ქართული წყاროთმცოდნეობა

XVII-XVIII

2015/2016

UDC (უაკ) 930.2
(051.2)
ქ – 279

რედაქტორები
გიული ალასანია და მარიამ ჩხარტიშვილი

Editors
Giuli Alasania & Mariam Chkhartishvili

სარედაქციო კოლეგია
გონელი არახამია
მანუჩარ გუნცაძე
ზურაბ თარგამაძე
ეკა კვაჭანტირაძე
ქეთევან მანია
გიორგი მაჭარაშვილი
დავით მერკვილაძე
ნატო სონღულაშვილი
სოფიო ქადაგიშვილი
ქეთევან ქუთათელაძე

Editorial Board
Goneli Arakhamia
Manuchar Guntsadze
Zurab Targamadze
Eka Kvachantiradze
Ketevan Mania
Giorgi Macharashvili
David Merkviladze
Nato Songulashvili
Sopio Kadagishvili
Ketevan Kutateladze

გამომცემელი
მარიამ ჩხარტიშვილი

Publisher
Mariam Chkhartishvili

ჟურნალის სრული ელექტრონული ვერსია განთავსებულია
ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტის ვებ-გვერდზე **www.georgianstudies.ge**

The full electronic version of the journal is published on the web-site of
The Georgian Studies Institute: www.georgianstudies.ge

გამომცემლის საკონტაქტო მონაცემები:
ელ-ფოსტა mary.chkhartishvili@gmail.com
მობ. 599 71 40 15
Publisher's contact details:
E-mail: mary.chkhartishvili@gmail.com
Mob.: +995 599 71 40 15

© ტექსტი – ავტორები, 2015/2016
© შედგენა – გ. ალასანია, მ. ჩხარტიშვილი, 2015/2016

© Text – authors, 2015/2016
© compilation – G. Alasania, M. Chkhartishvili, 2015/2016

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015/2016
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ტელ. 222 36 09, 599 17 22 30

ISSN 1987 – 9563

შინაარსი
CONTENTS

რედაქტორებისაგან 11
EDITORIAL

მილოცვა 17
CONGRATULATIONS

მილოცვა ჩვენი ჟურნალის რედაქტორს პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილს 19
Congratulations to our Editor Professor Mariam Chkhartishvili

წყაროთა კვლევა და ისტორიული რეპრეზენტაცია 21
SOURCE-STUDIES AND HISTORY REPRESENTATIONS

სასისხლო სიგელთა დათარიღებისათვის 23
გონელი არახამია
On the Dating of Wergild Documents
Goneli Arakhamia

„ორი ქვაზედ დაწერილი გუჯარი" და მისი მნიშვნელობა
XVIII საუკუნის დასაწყისის კახეთის სამეფოს ისტორიისათვის 34
თამაზ გოგოლაძე
"Two Documents Written on Stone" and their Significance for History of the
Kingdom of Kakheti at the Beginning of the Eighteenth Century
Tamaz Gogoladze

როდის იწოდა სარმატული სამყარო ალანეთად?
ალანთა შესახებ ჩინური ცნობის წარმომავლობა 42
ვახტანგ გოილაძე
When was Sarmatian World Referred as Alans' Land?
The Origins of the Chinese Data about Alans
Vakhtang Goiladze

ეთნიკური უმცირესობების საკითხისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს 50
მანუჩარ გუნცაძე
On the Issue of Ethnic Moinorities in Period of Democratic Republic of Georgia
Manuchar Guntsadze

ოსმალეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ 1918 წელს 55
დავით კოხრეიძე
Ottoman Aggression against Georgia in 1918
David Kokhreidze

1400 წლის აგვისტოში თემურ-ლენგის მიერ სებასტიის დაპყრობის შესახებ
არსებული წერილობითი წყაროების შედარებითი ანალიზი 63
გორ მარგარიანი
Comparative Analysis of Literay Sources about the Occupation of the Sebastia by Tamerlan in August 1400
Gor Margaryan

ტოპონიმი „ბოლოსტიკე" თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში 70
ჰაირაპეტ მარგარიანი
The Toponym "Bolost'ik'e" in the Work of the First Historian of Queen Tamar
Hayrapet Margaryan

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მონაწილეობა ვისბადენისა
და შტარნბერგის კონფერენციებში (1951–1952 წწ.) 75
შორენა მურუსიძე
Participation of the Georgian Political Emigrants in the
Conferences in Wiesbaden and Starnberg (1951-1952)
Shorena Murusidze

ნეკრესისა და რუსთავის ეპიგრაფიკული ძეგლების დათარიღება და ქართული ანბანის შექმნის ხანა 84
მარიამ (მაია) ნინიძე
Dating of Nekresi and Rustavi Epigraphic Monuments and the Time of Georgian Alphabet's Creation
Mariam (Maia) Ninidze

ქართული დამწერლობის მოდელი და ახალი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნის
ქართული წარწერები (პავლე ინგოროყვას ისტორიოგრაფიული კვლევების კვალდაკვალ) 92
მარიამ (მაია) ნინიძე, ვლადიმერ ჭელიძე
Model of Georgian Alphabet and I Century A.D. Georgian Inscriptions
(Following Footsteps of Pavle Ingorokva's Historiographic Researches)
Mariam (Maia) Ninidze, Vladimer Chelidze

მცხეთის საკათალიკოსო ეპარქიის კრებსითი სიგელები 99
მზია სურგულაძე
Aggregate Charters of Eparchy of Mtskheta Catholicos
Mzia Surguladze

მაღალაძეთა საგვარეულოს ისტორიისთვის 108
ელზა ხაინდრავა
Towards the History of Maghaladzes' Feudal House
Elza Khaindrava

წყაროთა კვლევა, თარგმანი და პუბლიკაცია 115
SOURCE-STUDIES, TRANSLATIONS AND PUBLICATIONS

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის რაჭა-სამეგრელოში მოგზაურობის დღიურები
როგორც საისტორიო წყარო (პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული მასალების მიხედვით) 117
იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი
Dimitri Meghvinetkhutsesishvili's Trip to the West Georgia
Ioseb (Soso) Alimbarashvili

ცარიზმის პოლიტიკა ჰერეთის მოსახლეობის მიმართ XIX საუკუნის 40-50-იან წლებში
(ახალი საარქივო მასალის მიხედვით) 132
ხათუნა ბაინდურაშვილი
Tsarist Policy towards the Population of Hereti in 1840s-1850s (according to newly obtained archival data)
Khatuna Baindurashvili

სტეფანე ბურნაშევი და მისი ნაშრომი *საქართველოს სურათი ანუ ქართლისა და*
კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა 144
დავით მერკვილაძე
Stephen Burnashev and His Work *Picture of Georgia or the Description*
of Political Situation in the Kingdoms of Kartli and Kakheti
David Merkviladze

ფრანგი დრაგომანის ცნობები მეფისწულ აბას მირზასა
და მისი უახლოესი გარემოცვის შესახებ (1807-1808) 160
ირინე ნაჭყებია
French Dragoman's Information About the Prince Abbas Mirza and His Entourage (1807-1808)
Irine Natchkebia

რობერტ კერ პორტერის საქართველოში მოგზაურობის დღიური როგორც საისტორიო წყარო 172
გიორგი სოსიაშვილი
Robert Ker Porter's Diary about his Travelling in Georgia as Historical Source
Giorgi Sosiashvili

ხობის მონასტრის საისტორიო საბუთები. XV-XVIII საუკუნეები
(კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა
და საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული კოლექციების მიხედვით) 181
თეა ქართველიშვილი
Historical Documents of Khobi Monastery. 15th–18th Centuries
(The collections preserved at K. Kekelidze
National Center of Manuscripts and the National Archive of Georgia)
Tea Kartvelishvili

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო სენატი 203
ზაზა ცინაძე
The Supreme Court Senate of Georgian Republic
Zaza Tsinadze

საარქივო მასალა *ვეფხისტყაოსნის* მთარგმნელის ჰუგო ჰუპერტის შესახებ 216
ნათელა ჯორჯიკია
The Archival Material about Hugo Huppert – the Translator of *The Knight in Tiger's Skin*
Natela Jorjikia

ისტორიოგრაფია 223
HISTORIOGRAPHY

ეროვნული საკითხის ქართული ინტერპრეტაციები 225
ზურაბ თარგამაძე
Georgian Interpretations of a National Issue
Zurab Targamadze

ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის წყაროთმცოდნეობის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში . . 244
მერაბ კალანდაძე
Source-Studies Issues of Napoleon's Biography Investigation in Georgian Historiography
Merab Kalandadze

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლაზეთი: *წყაროები, ისტორიოგრაფია და შესწავლის პრობლემები* 250
ნუგზარ მგელაძე
Historic-Ethnographic Lazeti: *Sources, Historiography and Problems of Study*
Nugzar Mgeladze

ქართული ისტორიული აზრის განვითარება შუა საუკუნეებში:
ქართლის სამეფოს დაარსების შესახებ ცნობების შედარებითი ანალიზი 262
მარიამ ჩხარტიშვილი
Development of Georgian Historical Thought in Middle Ages:
Comparative Analysis of Evidences on Establishment of Kartli Kingdom
Mariam Chkhartishvili

ქართული საისტორიო პროზის განვითარების ადრეული ეტაპები
(საინფორმაციო-დიპლომატიური წყაროების ლიტერატურული პირველსახე). ნაწილი პირველი 270
ვლადიმერ ჭელიძე
Early Stages of the Development of Georgian Historic Prose
Literary Prototype of the Informative-Diplomatic Sources. Part 1
Vladimer Chelidze

საერთაშორისო პრეზენტაცია 285
INTERNATIONAL PRESENTATION

ქართველური იდენტობის ჩამოყალიბება გვიან ანტიკურ ეპოქაში: ზოგი მეთოდოლოგიური მოსაზრება ... 287
ქრისტოფერ ჰაასი
The Formation of Kartvelian Identity in Late Antiquity: Some Methodological Considerations
Christopher Haas

თვალსაზრისი 299
STANDPOINT

სამეცნიერო კვლევების კონცეფცია 301
მარიამ ჩხარტიშვილი
Comception of Academic Research
Mariam Chkhartishvili

წიგნების მიმოხილვა 311
BOOK REVIEWS

ენციკლოპედია *ანტიკური კავკასია* 313
რისმაგ გორდეზიანი
Encyclopedia *Caucasus Antiquus*
Rismag Gordeziani

საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებების კრებული
პირველი მსოფლიო ომი (ანალიზი და ინტერპრეტაცია) 315
სოფიო ქადაგიშვილი
The Proceedings of the International Conference
The First World War (*Analysis and Interpretation*)
Sopio Kadagishvili

დონალდ რეიფილდი, ქართული ლიტერატურის ისტორია.
მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა. ლონდონი: გარნეტის გამომცემლობა, 2010, 366 გვ. ... 317
კეიტ ჰიჩინსი
Donald Rayfield, *The Literature of Georgia. A History*,
3rd revised and expanded edition. London: Garnett Press, 2010, 366 pages.
Keith Hitchins

ქრონიკა 321
CHRONICLE

ჟურნალ *ქართული წყაროთმცოდნეობის* XV–XVI გაერთიანებული ტომის პრეზენტაცია 323
სოფიო ქადაგიშვილი
Presentation of Scientific Journal *Georgian Source-Studies* Volume XV-XVI, 2013/2014
Sopio Kadagishvili

ი.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული ინტერდისციპლინური *ისტორიული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი წრის* 2014-2015 წწ. მუშაობის ანგარიში 330
ელზა ხაინდრავა
Annual Report of the Interdisciplinary *Student Research Circle History of History Discipline*
Elza Khaindrava

ვილანოვას უნივერსიტეტის პროფესორის ვიზიტი საქართველოში 336
მარიამ ჩხარტიშვილი
Villanova University Professor's Visit to Georgia
Mariam Chkhartishvili

საერთაშორისო კონფერენცია: მოდის ისტორია: *ტანისამოსი, სიმბოლოები, კომუნიკაცია* რომი, 2015, ლა საპიენცას უნივერსიტეტი 340
სოფიო ქადაგიშვილი
International Conference *Fashion Through History Costumes, Symbols, Communication*
Sapienza University of Rome, 2015
Sopio Kadagishvili

მედიევისტიკის საერთაშორისო კონგრესი. დიდი ბრიტანეთი, ლიდსი, 2015, 6-9 ივლისი 343
მარიამ ჩხარტიშვილი, სოფიო ქადაგიშვილი
International Medieval Congress, Leeds, 6-9 July, 2015
Mariam Chkhartishvili, Sopio Kadagishvili

აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 125-ე წლისთავსადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია 347
ქეთევან ხუციშვილი
Conference Dedicated to Academician Giorgi Chitaia's 125th Anniversary, November 10-12, 2015
Ketevan Khutsishvili

დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის დაბადებიდან 200-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, გორი, 17 ნოემბერი, 2015 349
იოსებ ალიმბარაშვილი
Scientific Conference Dedicated to 200th Anniversary of
Dimitri Megvinetukhutsesishvili's Birth, Gori, 2015, 17 November
Ioseb Alimbarashvili

დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის დაბადებიდან 200-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის სექციური მუშაობა 351
სოფიო ქადაგიშვილი
Scientific Conference Dedicated to 200th Anniversary of
Dimitri Megvinetukhutsesishvili's Birth: Work in Sessions
Sopio Kadagishvili

I საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი – *ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები* 355
რუსუდან ლაბაძე
The International Kartvelological Congress – *Problems and Prospects of Kartvelology*
Rusudan Labadze

სამეცნიერო კონფერენცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში . . . 359
დავით მერკვილაძე
Conference at Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
David Merkviladze

ხსოვნა 363
IN MEMORIAM

მამისა ბერძნიშვილის გახსენება 365
გონელი არახამია
In Memoriam to Mamisa Berdznishvili
Goneli Arakhamia

თემურ თოდუა: პედაგოგი, მეცნიერი და პიროვნება 367
მარიამ გოგალაძე
Temur Todua – Teacher, Scientist, Personality
Mariam Gogaladze

პროფესორი ნათელა ქუთელია (1928-2014) 369
ლევან კოჭლამაზაშვილი
Professor Natela Kutelia (1928-2014)
Levan Kochlamazashvili

სათნო სახის კეთილად მომღიმარი ქალბატონი
ლიანა დავლიანიძის გახსენება 373
გიორგი ჭეიშვილი
The Lady with Kind Face Expression and Smile
In Memory of Liana Davlianidze
Giorgi Cheishvili

პროფესორ გიორგი ჟუჟუნაშვილის გამოსათხოვარი 375
მიხეილ ქართველიშვილი
In Memoriam to Giorgi (Gogita) Zhuzhunashvili
Mikheil Kartvelishvili

მედეა აბაშიძის გახსენება
წიგნის – *მედეა აბაშიძე* პრეზენტაციაზე წარმოთქმული სიტყვა 377
ლია მელიქიშვილი
Recalling Medea Abashidze
Lia Melikishvili

გზამკვლევი ავტორთათვის 381

GUIDELINES FOR AUTHORS

რედაქტორებისაგან

სიამოვნებით წარმოგიდგენთ *ქართული წყاროთმცოდნეობის* მორიგ გამოცემას. როგორც წინა ჯერზე, ახლაც ერთ წიგნად ორი ტომი – XVII / XVIII – არის აკინძული. ჩვენი დიდი სურვილის მიუხედავად ვერ ხერხდება უფრო მეტი სიხშირით გამოვცეთ ჟურნალი. სამწუხაროდ, არ გვყავს ანაზღაურებადი თანამშრომლები, რომლებიც საკუთარ დროსა და ენერგიას მთლიანად ამ საქმეს მიუძღვნიდნენ. რედკოლეგიის წევრები, რომლებიც ჟურნალისათვის უსასყიდლოდ იღწვიან, უაღრესად დაკავებული ადამიანები არიან თავიანთი ძირითადი სამსახურეობრივი მოვალეობებით. ამიტომ ზოგჯერ ერთ კვირაში გასაკეთებელი საქმე ერთ თვეს ჭიანურდება. მიუხედავად ამისა, ვცდილობთ არ მივატოვოთ *ქართული წყاროთმცოდნეობის* გამოცემა.

ეს გამოშვება, წინანდელების მსგავსად, საინტერესო გამოვიდა და ვიმედოვნობთ, რომ ჩვენი მკითხველები იმედგაცრუებულნი არ დარჩებიან.

როგორც წინა ნომრებში, აქაც ავტორთა შორის თავი მოიყარა განსხვავებული გამოცდილების ათეულობით მკვლევარმა, ქართველებმა და უცხოელებმა, სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენლებმა.

გაერთიანებული ტომი მოიცავს ორ ათეულზე მეტ კვლევით სტატიას, რომლებიც როგორც პრობლემური, ისე ქრონოლოგიური ფოკუსის თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანია. ჩვენ ისინი გავანაწილეთ რამდენიმე განყოფილებაში: *წყاროთა კვლევა* და *ისტორიული რეპრეზენტაცია*; *წყاროთა კვლევა, თარგმანი და პუბლიკაცია*; *ისტორიოგრაფია*. თუმც ეს დანაწილება გარკვეულად პირობითია, რადგან, როგორც ადრეც მივუთითებდით, თითქმის ყოველთვის ისტორიული რეპრეზენტაცია წყاროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიული ძიებებს მოიცავს და, პირიქით; წყاროთა პუბლიკაციაც შეუძლებელია წყاროთმცოდნებითი ანალიზისა და ისტორიული სურათის აღსადგენად მიმართული კვლევის გარეშე. ტერმინი „ისტორიოგრაფია" ქართულ მეცნიერებაში ხშირად ესმით როგორც საკითხის შესახებ არსებული სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა. ეს არის ამ ტერმინის ერთ-ერთი მნიშვნელობა. დასავლურ მეცნიერებაში ამ ტერმინით უმეტესწილად აღინიშნება ისტორიული აზრის ისტორიის შემსწავლელი მეცნიერება. ამ აზრით, ის ცხადია, მოიცავს საკითხის შესახებ სპეციალური ლიტერატურის განხილვასაც. ჩვენი ჟურნალის რუბრიკაციაში აღნიშნული ტერმინი გამოიყენება ფართო მნიშვნელობით. სწორედ ამიტომაა, რომ ამ განყოფილებაში იბეჭდება როგორც ახალი პერიოდის ისტორიული ნააზრევის ანალიზი, ისე შუა საუკუნეების ისტორიული პროზის შესწავლის შედეგები.

ზემოთ დასახელებულ სამივე განყოფილებაში სტატიები წარმოდგენილია ანბანური თანამიმდევრობით: კერძოდ, დალაგებულია პირველი ავტორის გვარის მიხედვით.

თვალსაზრისის განყოფილებაში გრძელდება ქართული საისტორიო მეცნიერების საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობა. ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში გამოჩნდა პირველად ეს განყოფილება და მასში ერთ-ერთი ჩვენთაგანის, კერძოდ, მარიამ ჩხარტიშვილის წერილი იყო გამოქვეყნებული. ახლაც მისი წერილი ქვეყნდება, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ სხვა კოლეგებიც აუბამენ მას მხარს და მოისურვებენ ჩვენი ჟურნალის მეშვეობით ესაუბრონ ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას ისტორიის დარგში არსებული კვლევითი თუ სხვა პრობლემების შესახებ. რადგან ამ მხრივ საფიქრალი და ერთმანეთისათვის სათქმელი ქართველ ისტორიკოსებს, მართლაც, რომ ბევრი გვაქვს.

ცალკეა გამოყოფილი განყოფილება *საერთაშორისო პრეზენტაცია*. ამგვარი განყოფილება *ქართული წყاროთმცოდნეობის* შემთხვევაში XIII/XIV ტომებში გამოჩნდა (სულ პირველად კი ქართულ სამეცნიერო მედიაში ის გაჩნდა ერთ-ერთი ჩვენთაგანის მიერ რედაქტირებულ კრებულში *საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები*, IX, 2008, თბილისი: უნივერსალი). ამჯერადაც გადავწყვიტეთ ამ განყოფილების გამოყოფა, მიუხედავად იმისა, რომ მასში მხოლოდ ერთი სტატიაა. სამომავლოდ გვინდა, რომ სპეციალისტებს გაუჩნდეთ სურვილი ამ სახის მასალის წარმოდგენისაც. ზოგჯერ ხდება ისე, რომ თავად საერთაშორისო ფორუმების სტატიების კრებულებიც კი (ამა თუ იმ მიზეზის გამო) არ იბეჭდება. ასეთ შემთხვევაში ჩვენი ჟურნალის ეს რუბრიკა კარგ საშუალებას იძლევა მეცნიერმა სპეციალისტების ფართო წრეს გააცნოს თავისი მოხსენება.

ქრონიკა აშუქებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ სამეცნიერო ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან ფაქტებს. ამ გამოშვებაში საკმაოდაა ასეთი ინფორმაცია, მაგრამ მაინც ვისურვებდით, რომ ის კიდევ მეტი და მეტი ყოფილიყო და ამაში გეჭირდება ყველაზე მეტად სამეცნიერო საზოგადოების დახმარება, რათა, რაც შეიძლება სრული ასახვა ჰპოვოს ქართული ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრადიციის მქონე ჟურნალის ფურცლებზე სამეცნიერო ცხოვრებაში მომხდარმა ფაქტებმა. იგივე უნდა ითქვას *წიგნების მიმოხილვის* განყოფილებაზეც, რომელიც ამჯერადაც საინტერესო ინფორმაციას გვანვდის, მაგრამ ეს მაინც ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც არის, რაც ხდება წიგნების პუბლიკაციის თვალსაზრისით

და რაც სათანადო ასახვას იმსახურებს. მეცნიერებმა თავად უნდა გამოიჩინონ დაინტერესება, რომ შესაბამისი ინფორმაცია გავრცელდეს. ცხადია, ეს არაა მარტო ჟურნალის რედკოლეგიის საზრუნავი საქმე.

სამწუხაროდ, კვლავ დატვირთულია ის განყოფილება, რომელსაც *ხსოვნა* ეწოდება. მეცნიერება მარტო აზრები არ არის. მეცნიერება, უპირველეს ყოვლისა, არის ადამიანები, რომელნიც ამ აზრებს ქმნიან. *ქართულ წყაროთმცოდნეობას*, მისი დაარსების დღიდან, ახასიათებდა ტენდენცია სათანადოდ აღენიშნა მკვლევართა პიროვნული დამსახურებანი დარგის განვითარებაში. ჩვენ ვცდილობთ გავაგრძელოთ ეს ტრადიცია და, შეძლებისდაგვარად, უყურადღებოდ არ ვტოვებთ მათ, ვინც გამორჩეულად იღწვის ჩვენი დარგის განვითარებისათვის, პირველ რიგში, ვინც აღარ არის ჩვენს გვერდით.

ჟურნალს აქვს სტატიების გაფორმების დადგენილი წესები, რომლის შესახებ ავტორები ინფორმირებულნი არიან. სამწუხაროდ, მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი იცავს მათ ზედმიწევნით. ავტორთა უმეტესობა ამ წესებს ნაწილობრივ ითვალისწინებს: იქნება ეს ლიტერატურის დამოწმება, ფონტი, ინგლისური რეზიუმეს დართვა თუ სხვ. დამოწმების წესის თვალსაზრისით ტექსტის რედაქტირება რა შრომატევადი საქმეა, ყველამ კარგად იცის. ნაწილი სტატიებისათვის, როგორც წინა ჯერზე, ახლაც ეს გააკეთა რედკოლეგიამ, მაგრამ იმის გამო, რომ, როგორც ვთქვით, ჟურნალს ანაზღაურებადი თანამშრომლები არ ჰყავს, ტოტალურად ამ კუთხით სტატიების გამართვა ძალიან გაგვიჭირდა. ასევე ძნელია ფონტის ცვლილება იმ ტექსტებისათვის, რომელთაც აქვთ მრავალი შენიშვნა და დამოწმება; მითუმეტეს რთულია ვითარება რეზიუმესთან დაკავშირებით: ავტორის მაგიერ მისი დაწერა და ინგლისურად თარგმნა ნამდვილად შეუძლებელია რედკოლეგიისათვის. არადა, დასანანაია, რომ გამოქვეყნდეს სტატიები ინგლისური რეზიუმეს გარეშე, რადგან ჩვენი ფუნდამენტური ინტერესია საერთაშორისო აუდიტორიისათვისაც ჟურნალი მისაწვდომი იყოს. ამ გამოშვებაში, რამდენიმე სტატია რეზიუმეს გარეშე იბეჭდება, რადგან, სამწუხაროდ, მათმა ავტორებმა დროულად ვერ შეძლეს რეზიუმეს მოწოდება და იძულებული გავხდით ასე დაგვებეჭდა. სამომავლოდ, უმორჩილესად ვთხოვთ ყველას, რომ ზუსტად დაიცვან სტატიის მომზადების და წარმოდგენის წესები, ასევე, ვადებიც.

ეს გამოშვება გარკვეულად განსაკუთრებულია იმ აზრით, რომ საიუბილეოა. 2015 წელს არა მარტო ერთ-ერთ ჩვენთაგანს შეუსრულდა მრგვალი თარიღი, არამედ ჟურნალსაც: *ქართული წყაროთმცოდნეობა* გასულ წელს 50 წლის გახდა.

ამასთან დაკავშირებით გვინდა ძალიან მოკლედ წარმოგიდგინოთ ჟურნალის მიერ განვლილი ნახევარსაუკუნოვანი გზა. ეს რეტროსპექტივა გარდასული სინამდვილისადმი უბრალოდ ინტერესის დაკმაყოფილებას როდი ისახავს მიზნად; ჩვენ გვინდა წარსულის გააზრებით უფრო მომზადებული შევხდეთ მომავალს: სადაც ეს შესაძლებელია და საჭიროა შევინარჩუნოთ ტრადიციები, ამავე დროს ვიყოთ უფრო გაბედული და თანმიმდევრული ინოვაციების დანერგვის დროს.

ქართული წყაროთმცოდნეობის პირველი წიგნი გამოვიდა 1965 წელს. მაშინ ის ჟურნალი კი არ იყო, არამედ — კრებული და ასე ეწერა კიდეც სატიტულო გვერდზე. აქედან მოყოლებული გარკვეული ინტერვალებით გამოდიოდა, კერძოდ, გამოსვლის ქრონოლოგია შემდეგია: 1965 წელს, როგორც ითქვა, გამოვიდა პირველი წიგნი, 1968 წელს – მეორე, 1971 წელს – მესამე, 1973 წელს – მეოთხე, 1978 წელს – მეხუთე, 1985 წელს – მეექვსე, 1987 წელს – მეშვიდე, 1993 წელს – მერვე, 2000 წელს – მეცხრე, 2004 წელს – მეათე, 2006 წელს – მეთერთმეტე, 2010 წელს – მეთორმეტე, 2011/2012 წლებში – მეცამეტე და მეთოთხმეტე, ხოლო 2013/2014 წლებში – მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე.

ამ ხნის განმავლობაში იცვლებოდნენ რედაქტორები, ავტორები, გაფორმება, რუბრიკები და ა.შ. პირველი წიგნს მუყაოს უფერო ყდა ჰქონდა, რომელზედაც უბრალოდ კრებულის სახელწოდება იყო დაბეჭდილი. მარტივი დიზაინის სტილი გაჰყვა მომდევნო ოთხ ნომერს, იმ განსხვავებით, რომ მუყაოს ყდას მეორე და მესამე ნომრების შემთხვევაში შინდისფერი და ყავისფერი კოლენკორი აქვს გადაკრული, მეოთხე და მეხუთე ნომრები კი გამოსულია რბილი ყდით. მეექვსე ნომერი ასევე რბილყდიანია, თუმცა ახლებურად გაფორმებული: შავ ფონზე ეტრატის გრაფიკული გამოსახულებაა. ზუსტად იგივეა მეშვიდე ნომრის გარეკანიც. მერვე ტომის ყდა კვლავ რბილია, ოღონდ შეფერილობა აღარ არის, ეტრატის გრაფიკული გამოსახულება კი ნარჩუნდება. ამის შემდგომ ვიდრე მეთორმეტე ნომრამდე გარეყდის დიზაინი განუწყვეტლივ იცვლება. მეთორმეტე ნომრიდან *ქართული წყაროთმცოდნეობა* გამოდის გარეყდის იმ დიზაინით და იმ ფორმატით, როგორიც აქვს წინამდებარე გამოშვებას, ოღონდაც ნომრების მიხედვით განსხვავებულია ფერები.

გარეყდის დიზაინში ცვლილებები გარკვეულად უკავშირდება *ქართული წყაროთმცოდნეობის* სტატუსს. თავიდან ის გამოვიდა, როგორც კრებული და ასე გრძელდებოდა ვიდრე მეექვსე ნომრამდე. მეექვსე ნომერს აქვს სერიული ნომერი და, ჩანს, ამიტომაც საგანგებოდ იზრუნეს წიგნის დიზაინზე და ნარჩუნდება კიდეც ეს დიზაინი მეშვიდე ნომერში უცვლელად, რომელსაც აგრეთვე აქვს სერიული ნომერი. მერვე ნომერს აქვს როგორც სერიული, ისე ცალკე წიგნისათვის დამახასიათებელი ნომერიც. ამის შემდგომ ვიდრე მეთორმეტე ტომამდე *ქართული წყაროთმცოდნეობა* გამოდის ყოველგვარი სარეგისტრაციო ნომრის გარეშე. მეთორმეტე ნომრიდან ის ხელახლა რეგისტრირდება, როგორც ჟურნალი და, შესაბამისად, გარეყდის დიზაინიც ერთგვაროვანი ხდება.

იცვლებიან გამომცემლობებიც. მერვე ტომის ჩათვლით *ქართულ წყაროთმცოდნეობას* გამოსცემდა *მეცნიერება*. ტექსტები სტამბურად არის აწყობილი. ამის შემდგომ ნომრები კომპიუტერითაა დაბეჭდილი. მეცხრე ტომი *მემატიანეს* მიერ არის საგამოცემლოდ მომზადებული, მეათე და მეთერთმეტე ტომები მომზადებულია გამომცემლობა *არტანუჯში*. მეთორმეტე ტომიდან ამ ტომის ჩათვლით *ქართული წყაროთმცოდნეობა* გამოიცემა *უნივერსალის* მიერ.

საინტერესოა ტირაჟებისათვის თვალის მიდევნებაც: საბჭოთა კავშირის დაშლამდე გამოსული ტომების ტირაჟი თანამედროვე ტირაჟებთან შედარებით მნიშვნელოვნად დიდია: პირველი ორი ტომის ტირაჟი, თითოეულისა ცალკ-ცალკე, იყო 1000 – 1000, მესამე ტომის – 1500, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე ტომები კვლავ 1000 ეგზემპლარის ოდენობით გამოსულა; მეშვიდეს ტირაჟია – 1200, მერვესი კი უცებ ვარდება, კერძოდ, 150 ეგზემპლარია. ამის შემდეგ, როგორც ითქვა, კომპიუტერულად აკრეფილი ნომრები გამოდის. მითითება ტირაჟისა აღარ ხდება, მაგრამ აშკარაა, რომ იმაზე მეტი არ იბეჭდება, რაც მერვე ტომი იყო. მეთორმეტე ტომიდან ტირაჟთან დაკავშირებით ვითარება იმ კუთხით იცვლება, რომ ნომრების ელექტრონული ვერსიები თავსდება ინტერნეტში არასამთავრობო ორგანიზაციის *ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტის* ვებ-გვერდზე.

იცვლებიან რედაქტორებიც. პირველი ტომის რედაქტორი იყო ვარლამ დონდუა, რომელიც სულ ბოლო გვერდზე იყო მიწერილი იქ, სადაც გამომცემლობის რედაქტორს წერდნენ ხოლმე. მომდევნო ტომებს მეექვსეს ჩათვლით მეურვეობდა რამდენიმე წევრისაგან შემდგარი სარედაქციო კოლეგია. მეშვიდე ტომის რედაქტორი იყო რევაზ კიკნაძე. მერვე, მეათე და მეთერთმეტე ტომები გამოვიდა გიული ალასანიას რედაქტორობით. მეცხრე ტომის თანარედაქტორები იყვნენ მამისა ბერძნიშვილი და გიული ალასანია. მეთორმეტე ნომრიდან მოკიდებული დღემდე ჟურნალ *ქართული წყაროთმცოდნეობის* თანარედაქტორები არიან გიული ალასანია და მარიამ ჩხარტიშვილი.

პირველი ტომი რედაქტორის წინათქმით იხსნებოდა, სადაც დარგის მნიშვნელობაზე არის საუბარი. მეორე ტომს აქვს რედკოლეგიის წინათქმა. შემდეგ ტომები ვიდრე მეთორმეტე ნომრამდე ყოველგვარი წინათქმის გარეშე გამოდის. მეთორმეტე ტომიდან კი ტრადიციული გახდა სარედაქტორო წერილის წამძღვარება გამოცემისათვის.

პირველ და მეორე ტომებს არა აქვთ უცხოენოვანი კონტრტიტულები, არც სტატიებს ახლავთ რეზიუმეები უცხო ენაზე. მესამე ტომიდან კრებულს აქვს რუსული კონტრტიტული, სარჩევი ორენოვანია: ანუ ავტორის გვარი, სახელი და ნაშრომის სათაური არის ქართულ და რუსულ ენებზე, სტატიებს აქვთ რეზიუმეები რუსულ ენაზე. ასე გრძელდება მეხუთემდე. მეექვსეს სარჩევი კვლავ ორენოვანია და რეზიუმეები არის რუსულ ენაზე. ასევეა მეშვიდე ნომერი. მერვეს აქვს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე სარჩევი და რეზიუმეები ინგლისურ ენაზე. ამ სამ ნომერს არა აქვს კონტრტიტული, მაგრამ ბოლო გვერდზე არის გამოცემის სახელწოდება რუსულ ენაზე. მეცხრეს შემთხვევაში სატიტულო გვერდზე მოცემულია ქართული ტექსტი და მისი ინგლისური თარგმანი, სარჩევი და რეზიუმეები არის ინგლისურად, მეთერთმეტე ტომში ზოგი რეზიუმე რუსულადაა, უმეტესობა კი – ინგლისურად. მეთორმეტე ტომიდან მოკიდებული ქართულ წყაროთმცოდნეობას აქვს კონტრტიტული ინგლისურ ენაზე, სარჩევი ქართულად და ინგლისურად, სტატიებს (არა მხოლოდ კვლევით, არამედ საინფორმაციო ხასიათის წერილებსაც და ყველა სხვა ტიპის მასალას) ახლავთ რეზიუმეები ინგლისურ ენაზე.

წლების მანძილზე სხვადასხვა იყო *ქართული წყაროთმცოდნეობის* ფინანსური მხარდაჭერის სქემაც: მერვე ტომამდე იგი იბეჭდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამმცემლო საბჭოს დადგენილებით, რაც გულისხმობდა შესაბამის სახელმწიფო მეურვეობას, პირველ რიგში, დაფინანსებას. მერვე ტომი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დადგენილების საფუძველზე და, ცხადია, მისივე დაფინანსებით არის გამოცემული. ამის მერე ქართულ წყაროთმცოდნეობას მოაკლდა სახელწიფოებრივი მზრუნველობა და მისი ბედი კერძო სამეცნიერო ინიციატივას დაუკავშირდა: მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე ტომები გამოვიდა ავტორთა ხარჯით, მეთორმეტე ტომიდან მოყოლებული ამ ტომის ჩათვლით ჟურნალ *ქართული წყაროთმცოდნეობას* ჰყავს გამომცემელი, რომელიც მთლიანად ფარავს სასტამბო ხარჯს.

ჟურნალის ისტორიის ამ კერძო, ერთი შეხედვით, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ნაკლებად დაკავშირებულ, ფაქტებში აისახება ისტორიული ეპოქების ცვლა: საბჭოთა კავშირში საქართველოს ყოფნა, დაშლის დროს რუსულისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გაჩენა და ქართული მეცნიერებისათვის ახალი საერთაშორისო ენის მიღება (რუსულს ანაცვლებს ინგლისური), მეცნიერების დაფინანსების სქემებისა და პრიორიტეტების ცვლილება და ა.შ.

პირველ ტომში გამოყოფილი არ ყოფილა სხვადასხვა განყოფილებები. მეორე ტომში სტატიების მერე არის ორი განყოფილება *კრიტიკა* და *ბიბლიოგრაფია* და *ნეკროლოგი*. მესამე ტომში კვლავ არ არის გამოყოფილი განყოფილებები. მეოთხე წიგნში ცალკე გამოყოფილია *პუბლიკაციის* განყოფილება, სადაც არსენი საფარელის თხზულებაა გამოქვეყნებული. ამ ტომს აქვს *ნეკროლოგის* განყოფილებაც. მეექვსე ნომრიდან უკვე გამოკვეთილია რუბრიკები, რაც გარკვეულად დარგის განვითარების ამსახველია: *კონკრეტული*

წყაროთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფია, საისტორიო წყაროების გამოცემის მეთოდიკა, პუბლიკაცია, კრიტიკა და *ბიბლიოგრაფია.* რუბრიკაცია გრძელდება შემდეგ ნომრებშიც, კერძოდ, მეშვიდე ნომერში გამოყოფილია რამდენიმე განყოფილება: *ზოგადი წყაროთმცოდნეობა, კონკრეტული წყაროთმცოდნეობა, პუბლიკაცია, წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფია, კრიტიკა* და *ბიბლიოგრაფია.* მერვე ტომი ამ კუთხით წარმოგვიდგება შემდეგნაირად: *კონკრეტული წყაროთმცოდნეობა, ზოგადი წყაროთმცოდნეობა, პუბლიკაცია, კრიტიკა* და *ბიბლიოგრაფია, მოგონებები.* შემდეგ სამი ნომერი გამოდის კვლავ რუბრიკების გარეშე, მეთორმეტე ნომრიდან კი მასალის დაყოფა განყოფილებებად სტაბილურ ხასიათს იღებს. ისინი არ ემთხვევა წინა პერიოდის რუბრიკებს და გარკვეულად იცვლება ნომრიდან ნომრამდე შემოსული მასალის კვალობაზე. ესეც დარგის და ჟურნალის მიერ აღებული კურსის – მოიზიდოს ჰუმანიტარიის სფეროს სხვადასხვა პროფილის გამოკველევები – მაჩვენებელია.

რამდენიმე ნომერი მიძღვნითია. ნომრები ეძღვნება დარგის გამოჩენილ სპეციალისტებს, ზოგს სიცოცხლეშივე, ზოგს გარდაცვალების შემდგომ. მესამე ტომი, მაგალითად, მიეძღვნა ვარლამ დონდუას დაბადების საიუბილეო თარიღს, მის შესახებ წერილით იხსნება ტომი და იბეჭდება მისი შრომების ბიბლიოგრაფია; ასევე სიცოცხლეშივე მიეძღვნათ ტომები სხვა მეცნიერებასაც: მეცხრე ტომი – თინათინ ყაუხჩიშვილს, მეათე – დავით მუსხელიშვილს, მეთერთმეტე – მამისა ბერძნიშვილსა და ლიანა დავლიანიძეს, ხოლო მერვე – რევაზ კიკნაძის ხსოვნას, მეთორმეტე – ლელა პატარიძის ხსოვნას.

პირველ ტომში სულ რვა სტატია იყო, მეორეში – თერთმეტი. მესამეში მნიშვნელოვნად იმატა სტატიების რიცხვმა. საერთოდ რაოდენობა მერყეობდა ათეულიდან სამ ათეულამდე. მაგალითად, მეშვიდეში ორ ათეულზე მეტი იყო, მერვეში ყველა რუბრიკაში მოგონებების გამოკლებით სამ ათეულს აღწევდა. წინამდებარე გაერთიანებულ გამოშვებაში მხოლოდ კვლევითი სტატიების ოდენობა ასევე სამ ათეულამდეა.

ქართული წყაროთმცოდნეობა თავიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილების კრებული იყო. ამ ერთი განყოფილების თანამშრომლები ამზადებდნენ და მარტო ისინი ბეჭდავდნენ კიდეც მასში ნაშრომებს. თავის წინათქმაში პირველი რედაქტორი – ვარლამ დონდუა – საუბრობდა ქართული საისტორიო მეცნიერების საერთო აღმავლობაზე ამ ვითარებაში წყაროთმცოდნეობისათვის თავისი ადგილის მიჩენაზე. მისი აზრით, შესაბამისი მუშაობის მასტიმულირებლად ისტორიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა წყაროთმცოდნეობის განყოფილება. ვარლამ დონდუა მიუთითებდა, რომ ამ განყოფილებას საკუთარი გეგმა და მიზანსწრაფვა ჰქონდა პერსპექტივაში, რომ იგეგმებოდა ნაშრომის – *ქართული წყაროთმცოდნეობის* გამოცემა, რომელსაც განყოფილება ამზადებდა. უკვე მეორე ტომში აღარ იბეჭდება მხოლოდ წყაროთმცოდნეობის განყოფილების თანამშრომელთა ნაშრომები. შემდეგ ტომებში ეს ტენდენცია ძლიერდება და კარი ეხსნება არა მარტო ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სხვა განყოფილებების თანამშრომელთა ნაშრომებს, არამედ ინსტიტუტის გარეთ მოღვაწე მეცნიერებსაც. ტომეულების მომზადებაშიც ჩართულნი არიან მკვლევრები სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებიდან. ასე რომ, ერთი განყოფილების სამეცნიერო შრომების კრებულიდან თანდათან *ქართული წყაროთმცოდნეობა* ეროვნული მასშტაბის გამოცემად გადაიქცა. მასში უკვე უცხოელი ავტორების ნაშრომებსაც ვხედავთ და რედკოლეგიის სურვილია ეს ტენდენცია გაძლიერდეს და ჟურნალმა საერთაშორისო ხასიათი მიიღოს.

ასეთია მოკლედ ის გზა, რომელიც *ქართულმა წყაროთმცოდნეობამ* განვლო დღემდე. ვუსურვებთ მას დღეგრძელობას და დარწმუნებული ვართ ყველა თქვენთაგანი შემოუერთდება ჩვენს ამ სურვილს ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

გიული ალასანია

მარიამ ჩხარტიშვილი

თბილისი, 2016 წლის 29 იანვარი

EDITORIAL

We present with pleasure the new edition of *Georgian Source-Studies* in which two volumes, namely, XVII/XVIII, are binded. We eager to make the issuing of the journal more frequent, however, it is yet impossible because of unfavorable circumstances: we have no paid workers who would devote all their energy and time to preparing of the journal. Our editorial stuff consists of volunteers who are very busy with their responsibilities in places of their main work. It is why sometimes the work which actually requires only week to be done lasts for a month. Despite this we do our best not interrupt issuing the journal.

We hope that the present edition as previous ones, would be interesting for the readers and meet their expectations.

More than two dozen research papers are published in this issue. They are quite different in regard of chronology and thematic focus. We distributed them in the several headings. This distribution in certain degree is conditional, because, as we already mentioned in previous editions, in practice sometimes it is impossible to separate intellectual process of representing history from those of studying critically sources or historiographical inquiries.

As in previous volumes, among the authors are persons with diferrent academic background: University Professors, research fellows of the research institutions and also doctoral students, Georgians as well as foreign scholars.

2015 was anniversary year for the journal. It became 50 years old. The first issue was published in 1965; however, *Georgian Source-Studies* was not journal yet, but collection of academic works of scholars being research fellows of the *Department of Source-Studies* at the Javakhishvili Institute of History, Archaeology and Ethnography. The Editorial board also was consisted of the members of the department. Since this date many things in the life of the serial edition had changed: editors, volume headings, number of issued copies, thematic and chronological coverage, authors. The dates of the volumes'issuing are as follows: the first one, as was already mentioned was published in 1965, in 1968 was published second volume, in 1971- III, 1973- IV, in 1978 – V, in 1985 –VI, in 1987 – VII, in 1993 – VIII, in 2000 – IX, in 2004 - X, in 2006 – XI, in 2010 – XII, in 2011 –XIII, in 2012 – XIV, in 2013 – XV, in 2014 – XVI. From the XII issue *Georgian Source Studies* is registered as journal and assumed the cover in the current design, only colors are different for different issues.

In Georgian version of our notes we are presenting brief survey of all these changes which actually are not only facts of journal's history, but reflection of Georgian society's life during this half century period. The most important among these facts is a fact of entering of Georgian scholarship into western academic space after the collapse of Soviet Union. As was already mentioned originally the *Georgian Source- Studies* was an edition made on institutional level. Gradually, it broadened the sphere of influence and nowadays represents journal of all national importance.

We wish long live to our journal and are sure that readers will join us in this desire for wellbeing of Georgian scholarship.

Giuli Alasania
Mariam Chkhartishvili
Tbilisi, January 29, 2016

მილოცვა

CONGRATULATIONS

მილოცვა ჩვენი ჟურნალის რედაქტორს
პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილს

ძვირფასო ქალბატონო მარიამ!

მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მილოცვა დაბადებიდან მე-60 ნლის იუბილესთან დაკავშირებით.

ძალიან გვიხარია, რომ თქვენთან თანამშრომლობის და ადამიანური ურთიერთობის საშუალება გვაქვს, რომ ჟურნალ *ქართული წყაროთმცოდნეობას* თქვენი და ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით ნელილი შეაქვს ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში.

გისურვებთ ყოველივეს სიკეთეს, ცხოვრების ხალისს და ყველა თქვენი ნაშრომების ნაყოფიერებით განხორციელებას!

ჟურნალ ქართული წყაროთმცოდნეობის redakcia

Congratulations to our Editor
Professor Mariam Chkhartishvili

Dear Kalbatono Mariam!

Please accept our most sincere congratulations on the occasion of your 60th Jubilee!

We are all very glad that we are given opportunity of collaboration and personal interrelations with you, we are happy that with our joint efforts Journal Georgian Source –Studies is contributing to the development of history discipline in Georgia.

We wish you all the bests, joy, and to your beginnings a successful completion!

Editorial Board of the Journal Georgian Source –Studies

წყაროთა კვლევა და ისტორიული რეპრეზენტაცია

SOURCE-STUDIES AND HISTORY REPRESENTATIONS

სასისხლო სიგელთა დათარიღებისათვის

გონელი არახამია

მართალია, სასისხლო სიგელთა შესწავლას, მათ შორის, დათარიღების საკითხის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ ამ მიმართულებით ზოგი რამ დაზუსტებას მოითხოვს. ამჯერად საუბარი შეეხება რამდენიმე მათგანის ტექსტის შედგენის დროის განსაზღვრას.

ნიქაბერიძეთა სასისხლო სიგელი. შემონახულია სიგელის პირი, გადაწერილი ეტრატზე მხედრულით, საავარაუდოდ, XVI საუკუნეში. დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (ქმ 1604). გამოცემულია ს. კაკაბაძის მიერ (კაკაბაძე 1924: 2-6). გადანერის დროს დედნის კეფები არეულია. საბუთის გადანაწერში შეტანილია სხვა დოკუმენტის ფრაგმენტი, რომელიც, ალბათ, დედნის არშიაზე ან თავისუფალ ადგილზე იყო დაწერილი.

სიგელის ადრესატები არიან გიორგი, ოღი და სიხარული ნიქაბერიძეები, „გელათისა წინამდეგნი და ყმანი". საბუთის გამცემის შესახებ ხელნაწერი გვაუწყებს: „დავითისაგან ბაგრატოვანისა, ძისა ვახტანგისგან" (კაკაბაძე 1924: 3). ს. კაკაბაძის კონიექტურით მოტანილი ფრაზა ასე იკითხება: „დავითისაგან ბაგრატოვანისა, ძისა მისისა ვახტანგისგან" (კაკაბაძე,1924: 5). საბუთის გაცემის თარიღის შესახებ ხელნაწერში ვკითხულობთ: „დაიწერა სიგელი სასისხლო და ბრძანება ესე...ინდიკოტო მეფობასა ჩუენისათა იოანე ჴელითა მწიგნობარი ეფთვიმესითა ასურისთა" (კაკაბაძე 1924: 3). ს. კაკაბაძის დაკვირვებით, ტექსტის მოტანილი ფრაზა დამახინჯებულია გადამწერის მიერ, რომელსაც თარიღის მაჩვენებელი „იე" (15) გაუგია საკუთარი სახელის „იოანეს" დაქარაგმებად. მისი აზრით, საბუთის დედანში აღნიშნული წინადადება ასე იკითხებოდა: „დაიწერა სიგელი სასისხლო და ბრძანება ესე...ინდიკტიონსა მეფობასა ჩუენისათა იე, ჴელითა მწიგნობრისა ეფვთიმესითა ასურისათა" (კაკაბაძე 1924: 4-5).

ს. კაკაბაძე სიგელის გამცემად მიიჩნევს დავით VI ნარინს, რომელიც ერთი ქრონიკალური ცნობით, დედის, რუსუდანის თანამოსაყდრედ ეკურთხა 1236 წელს (ჟორდანია 1897: 124). აქედან გამომდინარე მკვლევარი ასკვნის, რომ მისი მეფობის მეთხუთმეტე წელს („ინდიკტიონს ი-ე") გაცემული სიგელი 1251 წლით უნდა დათარიღდეს (კაკაბაძე 1924: 6), რასაც იზიარებენ დ. ჟღენტი (ლექსიკონი 1991: 266) და ლ. რატიანი (ლექსიკონი 2004: 308).

ვფიქრობ, სიგელის თარიღი დაზუსტებას მოითხოვს. საქმე ისაა, რომ დავით ნარინის თანამოსაყდრედ კურთხევის თარიღის შესახებ წყაროები განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან. ე.წ. აფხაზთა ქრონიკა, რომელსაც ემყარება ს. კაკაბაძე, ამ ფაქტს 1236 წლით ათარიღებს, რაც ზუსტი არ უნდა იყოს. ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანის" მიხედვით, დავით უფლისწული, შემდგომში მეფე დავით VI ნარინი, თანამოსაყდრედ აკურთხეს ქუთაისში ხუთი წლის ასაკში, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში ჯალალ-ად-დინი თარეშობდა (ყაუხჩიშვილი 1959: 179). ეს უკანასკნელი საქართველოს გაეცალა 1230 წლის მეორე ნახევარში, მოკლეს 1231 წ. 17 აგვისტოს. აქედან გამომდინარე ი. ჯავახიშვილმა და ნ. ბერძენიშვილმა დავით ნარინის თანამოსაყდრედ კურთხევა 1230 წლით დაათარიღეს (ჯავახიშვილი 1982: 16; ბერძენიშვილი 1966: 21). ამ უკანასკნელ თარიღს იზიარებს ნ. შოშიაშვილი, თუმცა აღნიშნული ფაქტის თარიღად 1232 წელსაც ასახელებს (შოშიაშვილი 1984: 180).

თუ დავით ნარინის თანამოსაყდრედ კურთხევის თარიღად და, შესაბამისად, განსახილველ სიგელში მისი მეფობის ინდიკტიონის ათვლის წერტილად 1230 წელს ან 1232 წელს მივიღებთ, მაშინ საბუთის გაცემის თარიღი 1245 წ. ან 1247 წ. გამოვა, რაც მიუღებელია. საქმე ისაა, რომ სწორედ ამ წლებში დავით VI მონღოლთა ყაენის კარზე იმყოფებოდა და, ცხადია, საქართველოში სიგელს ვერ გასცემდა.

როგორც არ უნდა დათარიღდეს დავით VI-ის თანამოსაყდრედ კურთხევა ან დასავლეთ საქართველოში მისი გამეფება, ავიღებთ მისი მეფობის ინდიკტიონის ათვლის საწყისად თანამოსაყდრედ თუ დამოუკიდებელ მეფედ კურთხევის წელს, ნიქაბაძის სიგელის გაცემის თარიღი სცილდება დავით ნარინის მოღვაწეობის ხანას.

ამაზე მიუთითებს რამდენიმე გარემოება. სიგელში სისხლის ფასი განსაზღვრულია ძველი ცხუმური თეთრით. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ვერცხლის ფულის – თეთრის, იქნება ის კირმანეული თუ ცხუმური, ეპითეტი „ძველი" ფეხს იკიდებს 1296 წლიდან, როდესაც ყაზან–ყაენის რეფორმის შედეგად შემოღებულ იქნა ვერცხლის ფულის ახალი კანონიერი წონა. ასე რომ, ნიქაბაძის სიგლის გაცემის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია 1296 წ. შესაძლებელია მოინიშნოს ზედა ქრონოლოგიური ზღვარიც. სიგლის ტექსტი შეიცავს გვიანდელი დამტკიცება-განახლების ფრაგმენტს, რომელსაც ხელახლა დამამტკიცებელი მეფის სახელი აკლია, მაგრამ შემოუნახავს ხელახლა დამტკიცების თარიღი: „ინდიკ(ტ)იონსა მეფობასა რაი ას სამოცდასამსა" (კაკაბაძე 1924: 3). ფრაზაში „რაი ას სამოცდასამი", როგორც ს. კაკაბაძე შენიშნავს, ქრონიკონის ანბანური

მაჩვენებელი („რაი“) განმარტებულია სიტყვიერადაც. ქრონიკონის ანბანური მაჩვენებელი კი თავდაპირველად (იგულისხმება დედანში) რ (100), ი (60) და გ (3) ასონიშნების კომბინაცია უნდა ყოფილიყო. მხედრულ ანბანში ასონიშანი (ი – იოტა) XVI საუკუნემდე ნუსხური გრაფიკით იწერებოდა (რაც ძალიან ჰგავდა მხედრულ „ა“-ს). გადამწერმა სწორად გაიაზრა ამ ასონიშნის ადგილი ანბანში და, შესაბამისად, მისი რიცხვითი მნიშვნელობა (60), ოღონდ რიცხვის ანბანური კომბინაციის მესამე ასონიშნის გადმოღებაში დაუშვა შეცდომა და „გ“-ს ნაცვლად „ი“ დაწერა, თუმცა რიცხვითი მნიშვნელობა სიტყვიერად („ას სამოცდასამი“) სწორად გადმოსცა. ასე რომ, ნიქაბაძის სასისხლო სიგელის ხელახალი დამტკიცების თარიღია ქრონიკონი 163 და იძლევა (1312+163) 1475 წელს, რაც, ამავე დროს, მისი შედგენის ზედა ქრონოლოგიური ზღვარიცაა.

ამრიგად, ნიქაბაძის სასისხლო სიგელი გაცემულია 1296-1475 წლებს შორის, რომლის გამცემი დავით მეფეც ამ შუალედშია საძიებელი. აღნიშნულ პერიოდში ამ სახელის მატარებელი ორი მეფეა ცნობილი, ერთი დავით IX, რომელიც ი. ჯავახიშვილის მიერ დადგენილი ქრონოლოგიით 1346-1360 წწ. მეფობდა (ჯავახიშვილი 1982: 83-84) და პროვინციის მეფე დავით ანდრონიკეს ძე, რომელიც პოლიტიკურ არენაზე ჩანს 1354-1382 წლებში. მისი საგამგებლო ტერიტორია შიდა ქართლი, კერძოდ, გორის მიდამოებია (კაკაბაძე 1914: 139; ოდიშელი 2010: 189). დასავლეთ საქართველოზე მისი ხელისუფლების გავრცელების რაიმე ნიშანი წყაროებს არ შემოუნახავს, ამიტომ „გელათის წინამდეგნი და ყმანი“ ნიქაბაძეები აღნიშნული დავითის ვასალები ვერ იქნებოდნენ და, ცხადია, მათ სიგელსაც ვერ მისცემდა.

რჩება სრულიად საქართველოს მეფე დავით IX, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა დასავლეთ საქართველოზეც. მისი მეფობის მეთხუთმეტე ინდიკტიონი, თუ ათვლის წერტილად ერთპიროვნული გამეფების თარიღს (1346 წ.) ავიღებთ, 1360-1361 წლებზე მოდის.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აღნიშნულ სიგელში დავით მეფის შვილად დასახელებულია ვახტანგი, რომელიც სხვა წყაროებში არ ჩანს. ცნობილია, რომ დავით IX სამეფო ტახტზე შეცვალა თავისმა ძემ ბაგრატმა. ამიტომ ნიქაბაძის საბუთის აღნიშნული ცნობა შეიძლება დავით IX-ის მეფობის ადრეულ პერიოდს ასახავდეს, როცა მას ბაგრატი ჯერ კიდევ არ ჰყავდა (პირმშო ვახტანგი, ივარაუდება, მამის სიცოცხლეში გარდაიცვალა).

ე.წ. გორგაძეთა სასისხლო სიგელი. შემონახულია მხედრულად დაწერილი პირი, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (Ad 932). გრაგნილის მეორე მხარეს წერია: „ესე სიგელისა ძველისა დედოსსგან (sic) გარ(დ)მოვწერეთ და გარ(დ)მოვიღეთ“ (ჟორდანია 1897: 194). გამოცემულია თ. ჟორდანიას მიერ (ჟორდანია 1897: 193-195). საბუთის პირი, ხელის მიხედვით თ. ჟორდანიას აზრით, გადაწერილია XV საუკუნეში (ჟორდანია 1897: 193), ს. კაკაბაძის შეხედულებით XVI ს. მეორე ნახევარში (კაკაბაძე 1924: 67). პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით (იგულისხმება ასოები: ო, პ, ნ, უ, ჩ, ც, წ ნუსხურიდან მხედრულისაკენ გარდამავლობა), ჯ. ოდიშელი ხელნაწერს XV ს. მიაკუთვნებს (ოდიშელი 1966: 212).

ეს სიგელი სამეცნიერო ლიტერატურაში გორგაძის სასისხლო სიგლის სახელწოდებითაა ცნობილი, მაგრამ ტექსტში ადრესატის გვარი ყველგან ამოშლილია და ჩაწერილია „გორგაძე“, ოთხი ასეთი შემთხვევიდან ერთში მკრთალად, მაგრამ გარკვევით შემორჩენილია ნაკვალევი გვარსახელისა „ინოსარიძე“, რაც მოწმობს იმას, რომ დანარჩენ სამ ადგილზეც, სადაც ადრესატი იყო დასახელებული, გვარი „ინოსარიძე“ ეწერა. მას დავითი რქმევია, რაზედაც მიუთითებს ის გარემობა, რომ ადრესატის სახელი „დავითი“ ორგან ძირითადი ტექსტის ხელითაა შემონახული (ორგან კიდევ გვართან ერთად სახელიც წაშლილია და დაწერილია „გორგაძე დავით“). საბუთის ადრესატის ვინაობის წაშლა და ახლით ჩანაცვლება გაკეთებულია თითქმის თანამედროვე ხელით, შესაძლოა, როგორც ჯ. ოდიშელი ვარაუდობს, იმ დავით გორგაძის მიერ, რომელმაც ის იმერეთიდან ჩამოიტანა და თ. ჟორდანიას გადააწერინა XIX ს. 90-იან წლებში (ოდიშელი 1966: 212).

ასე რომ, ე. წ. გორგაძეთა სასისხლო სიგელი სინამდვილეში დავით ინოსარიძის სახელზე გაცემული საბუთია.

სიგელის თავში გამცემის შესახებ ნათქვამია: „ქ. სახელითა ღმრთისათა ჩუენ მეფეთ-მეფემან ალექსანდრემან და ძეთა ჩუენთა ვახტანგ დავითიან ბაგრატოვანმან...“ (ჟორდანია 1897: 193). სიგელის ბოლოს გადამწერის მიერ გადმოღებულია ხვეული ხელრთვა: „ალექსანდრე“ (ჟორდანია 1897: 194).

გაცემის თარიღის შესახებ ტექსტში წერია: „დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ინვნდიკონსა მეფობისა შიგან ქრონ(იკონ)სა ოთხმოცსა, თვესა ივნისსა ცამეტსა, ჴელითა მწი(გნო)ბრისათა ჩუენისა გრიგოლისითა“ (ჟორდანია 1897: 194). ალექსანდრე მეფის ინდიქტიონის (ტექსტში დამახინჯებულია: „ინვნდიკონი“) რიცხვითი მაჩვენებელი არ გვაქვს, მაგრამ მითითებულია ქრონიკონი 80, რაც 1392 წელს (1312+80) უჩვენებს.

სიგელის გამცემი ალექსანდრე მეფის იდენტიფიკაცია აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. თ. ჟორდანია მას აიგივებს ლიხთ-იქითის მეფე ალექსანდრესთან, რომელიც, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, გამეფდა 1387 წელს და გარდაიცვალა 1389 წელს (ყაუხჩიშვილი 1973: 803). თ. ჟორდანია განსახილველი სიგელის თარიღს უფრო სანდოდ მიიჩნევს, ვიდრე ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას აღნიშნული მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ (ჟორდანია 1897: 193). ს. კაკაბაძის აზრით, სიგელის დედანში უნდა წერებულიყო „ქრონიკონსა ას პთ“ (ანუ 1501 წელი), რაც გადამწერს შეცდომით გადმოულია როგორც „ოთხმოცსა“. ამის საფუძველზე ის

სიგელს მიაკუთვნებს იმერთა მეფეს ალექსანდრე II-ს (კაკაბაძე 1924: 68), რასაც არ იზიარებს ჯ. ოდიშელი (ოდიშელი 1966: 212).

განსახილველი სიგელის გაცემის ახლო ხანებში, XIV ს. 90-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში ჩანს პროვინციის მეფე ალექსანდრე (ნინიძე 1995: 103-112). დ. ნინიძე სვამს კითხვას, ხომ არ შეიძლება ამ უკანასკნელის გაიგივება ე. წ. გორგაძის სასისხლო სიგელის გამცემ ალექსანდრე მეფესთან? (ნინიძე 1995: 108).

იმის გათვალისწინებით, რომ ინოსარიძის („გორგაძის") სასისხლო სიგელის გამცემი მეფის ხელისუფლების გავრცელების არეალი დასავლეთ საქართველოშია, ყველაზე მისაღებად ჩანს თ. ჟორდანიას თვალსაზრისი, რომლის თანახმად, საბუთი გაცემულია დავით ნარინის შთამომავლის, დასავლეთ საქართველოში 1387 წელს გამეფებული ალექსანდრე ბაგრატის ძის მიერ, რომლის გარდაცვალების ვახუშტისეული თარიღი (1389 წელი), განსახილველი სიგელის საფუძველზე, უნდა გადაისინჯოს.

სიგელის ადრესატი დავით ინოსარიძე დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, რაჭა-ლეჩხუმის ცნობილი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელია. ინოსარიძეთა/ინასარიძეთა გვარი წერილობით წყაროებში პირველად ლაბეჭინის XIII ს. წარწერაში იხსენიება (თაყაიშვილი 1991: 26).

გუგუნავების სასისხლო სიგელი. შემონახულია საბუთის ორი პირი; ერთი მათგანი, ეტრატზე დაწერილი მხედრულით, ხელის მიხედვით XV-XVI სს-ს ეკუთვნის და დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (ქიმ 1607); მეორე, შესრულებული 1868 წელს ა. ბერჟეს დაკვეთით, ინახება სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთის ხელნაწერთა ინსტიტუტში, მ. ბროსეს არქივში (H91, ფ. 4v –5r).

პირველი ხელნაწერის (ქიმ 1607) მიხედვით ტექსტის დიდი ნაწილი გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ (კაკაბაძე 1924: 299–300); უფრო ადრე მან გამოაქვეყნა ტექსტი მეორე ხელნაწერის მიხედვით (კაკაბაძე 1913ა: 18-19). რუსული თარგმანი იმავე (პეტერბურგში დაცული) ხელნაწერის მიხედვით გამოსცა საურმაგ კაკაბაძემ (კაკაბაძე 1982: 117-119).

სიგელის ადრესატები არიან მეფის მოლარეთუხუცესის ქველი ჭილაძის ყმა-ვასალები, კაკუ და მისი შვილები: მამალე, გავაშელი, ტაიბუღა და რატი გუგუნავები (კაკაბაძე 1913ა: 18).

სიგელის გამცემი მეფის ვინაობა ხელნაწერებში განსხვავებულად არის წარმოდგენილი. ქუთაისურ ნუსხაში ვკითხულობთ: „ქ. სახელითა ღუთისათა დავით მეფემან და გი(ორ)გი ბაგრატუობათა..." (იხ. ქიმ 1607). პეტერბურგულ ხელნაწერში შესაბამისი ადგილი ასე იკითხება: „ქ. სახელითა ღმრთისათა დავითიანმან მეფემან გიორგიმ ბაგრატონიანმან..." (კაკაბაძე 1913ა: 18). როგორც ვხედავთ, ქუთაისურ ნუსხაში სიგელის გამცემად დასახელებულია ორი მეფე – დავითი და გიორგი. დ. ჟღენტი (ლექსიკონი 1991: 268) და მ. სურგულაძე (სურგულაძე 2010: 175) თვლიან, რომ სიგელის გამცემია მეფე დავითი, რომელსაც აიგივებენ დავით X-სთან (1505-1525), მაგრამ ეს მოსაზრება საბუთის ერთი (ქუთაისური) ხელნაწერის დამახინჯებულ ჩვენებას ემყარება; მეფის ტიტულატურის აღმნიშვნელი „დავითიანი" (მიანიშნებს ბაგრატიონთა ბიბლიური დავით წინასწარმეტყველისაგან წარმოშობას), დამოწმებული პეტერბურგულ ნუსხაში, ქუთაისური ნუსხის გადამწერმა გაიგო როგორც საკუთარი სახელი („დავითი") და ასეც გადმოიტანა.

საბუთის გამცემი მეფის ვინაობის გასარკვევად სარგის და საურმაგ კაკაბაძეები, სავსებით მართებულად, უპირატესობას პეტერბურგული ნუსხის წაკითხვას ანიჭებენ და ასეთად გიორგი მეფეს თვლიან, რომელსაც გიორგი VII-სთან (1393-1407) აიგივებენ. მათი აზრით, ასეთ იდენტიფიკაციას ადასტურებს სიგელში მოწმეებს შორის დასახელებული გიორგი მეფის სიძე ამირეჯიბი კახაბერ ჩიჯავაძე (კაკაბაძე 1913ა: 19; კაკაბაძე 1924: 300; კაკაბაძე 1982: 119), რომელიც სხვა საბუთის მიხედვით, მართლაც იყო გიორგი VII-ის სიძე – მისი დის ულუმპიას მეუღლე (ენუქიძე და *სხვები* 2013: 7).

სიგელის გამცემი რომ გიორგი VII, ამას მოწმობს მასში დაცული კიდევ ერთი რეალია. საბუთის დამწერია დემეტრე მარკოზიშვილი (კაკაბაძე 1913ა: 19; კაკაბაძე 1924: 300), რომელიც მდივან-მწიგნობარი იყო გიორგი VII-ისა და ალექსანდრე I-ის (1413-1446) კარზე (ენუქიძე და *სხვები* 2013: 81, 90, 101, 115, 119, 126, 129, 136, 152).

ქველი ჭილაძე იხსენიება ტყვირის ეკლესიის ქტიტორულ წარწერაში (თაყაიშვილი 1913: 2-5; ჭილაძეთა საგვარეულოს შესახებ იხ. სოსელია 1973: 271-284; არახამია 2009: 8-26).

მიქაბაძის სასისხლო სიგელი. შემონახულია საბუთის პირი, გადაწერილი ეტრატზე XV საუკუნეში. ხელნაწერი დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (ქიმ 1605).

სიგლის ადრესატები არიან დავით და გიორგი მიქაბაძეები, მეფის მეაბჯართუხუცესის გიორგი ჩხეტიძის ყმა-ვასალები (კაკაბაძე 1924: 6).

საბუთის გამცემია გიორგი მეფეთ-მეფე „იესიან-დავითიან-სოლომონიან ბაგრატუანი ნებითა ღვთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შანშე და შარვანშთა, აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, სამხრისა და ჩრდილოეთისა, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა – ორსავე სახელმწიფოსა ტახტ-გვირგუინისა ღვთისა მიერ მფლობელ-მპყრობელი" (კაკაბაძე 1924: 6-7).

გაცემის თარიღად დასახელებულია გიორგის მეფობის ინდიკტიონი რიცხვითი მაჩვენებლის გარეშე და ქრონიკონი 545 (კაკაბაძე 1924: 8).

საბუთის დათარიღების საკითხი განიხილა ს. კაკაბაძემ. ქრონიკონი 545, ცხადია, გაუგებრობაა – ის ქრონიკონულ 532 წლიან ციკლს 13 წლით სცილდება. ეს უცნაურობა ქრონიკონის რიცხვითი მაჩვენებლისა, ს. კაკაბაძის აზრით, აიხსნება იმით, რომ საბუთის შემდგენელმა დასრულებული ქრონიკონის სრულ ციკლს (532-ს) მექანიკურად მიუმატა ახალი ქრონიკონის წლები, რომელთა რაოდენობა 13-ს შეადგენდა. ამის გათვალისწინებით მკვლევარმა ქრონიკონის მაჩვენებლად გამოიყვანა 13 და მიიღო 1325 წ. (1312+13) (კაკაბაძე 1924: 8-9). ს. კაკაბაძის ეს თვალსაზრისი გაიზიარეს დ. ნინიძემ (იხ. ნინიძე 1995: 121), კ. კახაძემ (კახაძე 2001:46-48) და ა. ბაქრაძემ (ლექსიკონი 2004: 180). სიგელის გამცემი გიორგი მეფე ს. კაკაბაძემ გააიგივა ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში დასახელებულ გიორგი მეფესთან, რომელიც *იმერული გარიგების წიგნის* ქრონიკალური ცნობით, გარდაიცვალა 1345 წელს ეს უკანასკნელი, მკვლევრის ვარაუდით, დავით ნარინის ჩამომავალი იყო (კაკაბაძე 1924: 9). ეს ვარაუდი არ გაიზიარეს დ. ნინიძემ და კ. კახაძემ. მათი აზრით, სიგელის გამცემია გიორგი V ბრწყინვალე (ნინიძე 1995: 121; კახაძე 2001: 48).

ვფიქრობთ, საბუთის თარიღისა და გამცემი მეფის იდენტიფიკაციის საკითხის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები უდავო არ არის. ამის საფუძველს იძლევა რამდენიმე გარემოება. უწინარეს ყოვლისა, ხელნაწერში დაცული ქრონიკონის რიცხვითი მაჩვენებლის ს. კაკაბაძისეული ინტერპრეტაცია ხელოვნურად გამოიყურება – ქრონიკონით თარიღის მითითება იმგვარად, როგორც ეს განსახილველი სიგელის ხელნაწერში გვაქვს, არც ერთ ქართულ წერილობით ძეგლში არ დასტურდება.

ცნობა თარიღის შესახებ დამახინჯებულია გადამწერის მიერ და მისი პირვანდელი სახით აღდგენა უიმედო ჩანს. მეორე, სიგელის თავში მეფის ტიტულატურაში ეკითხულობთ: „იესიან-დავითიან-სოლომონიანი", რითაც ქართველი ბაგრატიონები ბიბლიურ დავითთან თავიანთ ნათესაობას უსვამდნენ ხაზს. ეს ელემენტი ქართველ მეფეთა ტიტულატურაში ფეხს იკიდებს XIV ს. 80-იანი წლებიდან (ენუქიძე და *სხვები* 2013: 50, 98), რაც გვაფიქრებინებს, რომ განსახილველი საბუთი ეკუთვნის უფრო გვიანდელ ხანას, ვიდრე გიორგი V ბრწყინვალის მეფობაა (1318-1346). აქედან გამომდინარე სიგელი გაცემული უნდა იყოს გიორგი VII (1393-1407) ან გიორგი VIII (1446-1465) მიერ. სხვა გიორგი მეფე, რომლის მოღვაწეობა თავსდება საბუთის შედგენის სავარაუდო ეპოქაში (XV-XVI საუკუნეები) და დასავლეთ საქართველოშიც ფლობდა ხელისუფლებას, ცნობილი არაა. საბუთის დამწერის ვინაობა – სამეფო „კარისა და საწოლის მწიგნობარი დავითი" – კი გვიბიძგებს იქითკენ, რომ სიელის გამცემად გიორგი VII ვივარაუდოთ, რამდენადაც სწორედ მისი მეფობის ახლო ხანებში, სახელდობრ, 1408 წელს სამეფო კარზე მოღვაწეობდა „საწოლის მწიგნობარი დავითი", გვარად ცნოდისძე (ენუქიძე და *სხვები* 2013: 100).

მიქაბაძის გვარის სამკვიდრო რაჭა უნდა ყოფილიყო: XV-XVI სს-ით დათარიღებული ნასყიდობის წიგნის მიხედვით, მიქაბაძე ივანია მოწმედაა დასახელებული დავით სამსონიშვილის მიერ შალვა შერაზადიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (ლექსიკონი 2004: 190).

თოდოძეთა სასისხლო სიგელი. შემონახულია სიგელის ორი პირი. ერთი მათგანი, დაწერილი ეტრატზე მხედრულით, ხელის მიხედვით, გადაწერილია XV საუკუნეში. ინახება ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (ქმ 591). მეორე პირი, გადანერილი პირველისგან, ინახება ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში (ხელნაწერთა ფონდი zd-73). ეტრატის ხელნაწერი თავის დროზე თოდუებს წარუდგენიათ სამეგრელოს მმართველობის საბჭოში (1857-1867), რასაც გვაუწყებს შემდეგი რუსული მინაწერი: „Сей документ в Совет Управления Мингрелиею крестьянином Тодуевым явлен и в книгу подоринником под №829 записан, в чем подписан присутствующих и приложением казеннкой печати свидетельствуется" (კაკაბაძე 1924: 47). სიგელი ეტრატის ხელნაწერის მიხედვით გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ (კაკაბაძე 1924: 45-47).

საბუთის მიმღებად დასახელებულია სარგის ფარიჯანიანის ყმა-მსახურები ვარდან და გიორგი თოდოძეები. ეტრატის ხელნაწერში ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ მეფე კონსტანტინეს წინაშე იაჯა სარგის ფარიჯანიანმა მისი ერთგული ყმების ვარდან და გიორგი თოდოძეებისათვის სასისხლო სიგლის ბოძება, სიტყვები: „ფარიჯანიანი სარგის" გადაკეთებულია ასე: „მარად მთავარანგელოზის ეკლესიის კარს" (კაკაბაძე 1924: 48). ეტრატის ხელნაწერიდან გადმოღებულ ზუგდიდურ ნუსხაში გადასწორების კვალი, ბუნებრივია, არ ჩანს. გადამკეთებლის მიზანი კარგად ჩანს – მას სურდა წაეშალა ფარიჯანიანის მიმართ თოდოძეების ყმობის მაჩვენებელი სიტყვები. შესწორება, ხელის მიხედვით, XVI საუკუნეში უნდა მომხდარიყო (კაკაბაძე 1924: 46).

საბუთის შედგენის წელი მითითებული არ არის, მაგრამ მოცემულია გაცემის თვე, დღე და რიცხვი (15 დეკემბერი, პარასკევი). საბუთის გამცემია მეფე კონსტანტინე. სიგელის გაცემის სავარაუდო ეპოქაში (XIV-XVI სს.) ამ სახელის მქონე ოთხი მეფეა ცნობილი: დასავლეთ საქართველოს მეფეები კონსტანტინე დავით ნარინის ძე (1293-1336), მისი ძმის, მიქაელის შვილიშვილი კონსტანტინე ბაგრატის ძე (1396-1401), ერთიანი საქართველოს მეფეები (რომელთა ხელისუფლება დასავლეთ საქართველოზეც ვრცელდებოდა), კონსტანტინე I (1407-1412) და კონსტანტინე II (1478-1505). მათ შორის, გამორიცხვის წესით, განსახილველი საბუთის გამცემად ვერ მივიჩნევთ კონსტანტინე დავით ნარინის ძეს. ამის საფუძველს იძლევა, როგორც ა. ტულუში შენიშნავს, მეფეთა ტიტულატურაში მოცემული ფორმულა „იესიან-დავითიან-სოლომონიანი", რომელიც

კონსტანტინე დავით ნარინის ძის მეფობის ხანაში ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული სიგელთდაწერილობის პრაქტიკაში (ტულუში 2006: 206).

სიგელის გამცემ მეფეთა რიგიდან, ვფიქრობ, გამოსარიცხია კონსტანტინე ბაგრატის ძეც, რომელიც, რამდენადაც ვიცით, ყაენთან ურდოში არ ყოფილა დასახელებულ მეფეთა შორის განსახილველი საბუთის გამცემი მეფის ძიებისას გვაქვს ერთი ამოსავალი რეალია, რასაც თავად სიგელის ტექსტი გვანვდის. სიგელში მეფე გვაუწყებს: „ღმრთისა სამართალსა ზედა შეუშვით. ლაშქარს ვიყავით. სამი თათარი გამოირჩია ყაინმან, ვითა სამი ქრისტიანე შეაბითო სამართალსა ზედა. მერმე ერთი ესე თოდოა ვარდან შევაბით და ორი სხვა. იპრიანა ღმერთმან და სამივე დაჭრეს და მოკლეს" ქართველებმა" (კაკაბაძე 1924: 46).

ცნობის შინაარსი გარკვეულ კომენტარს მოითხოვს. ნათელია, რომ მეფე კონსტანტინე ქართველ მეომრებთან ერთად იმყოფებოდა „ლაშქარში", რომელიღაც ყაენთან, რაც ნიშნავს იმას, რომ ყაენი და ქართველი მეფე ერთმანეთს კი არ ებრძვიან, არამედ ქართველი მეფე თავისი ჯარით ყაენთან იმყოფება ანუ ამ უკანასკნელის წინაშე იხდის სამხედრო ვალდებულებას. ამის გათვალისწინება საჭიროა საბუთის გამცემი კონსტანტინე მეფის იდენტიფიკაციისათვის. ყაენს მოუთხოვია სამ-სამი თათრისა და ქრისტიანის „შებმა" (შებრძოლება) „სამართალსა ზედა". ცნობილია, რომ „სამართალსა ზედა შებმა" შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული ორდალიების ერთ-ერთი ფორმაა, რასაც, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მიმართავდნენ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოზე ვერც მოსარჩელე და ვერც მოპასუხე სხვა მტკიცებულებებით ვერ ახერხებდნენ საკუთარი პოზიციის დამტკიცებას. ასეთ დროს სასამართლო დანიშნავდა ორთაბრძოლას. სიმართლე იმის მხარეს იქნებოდა, ვინც ორთაბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდოდა (ჯავახიშვილი 1984: 354).

ყაენის გადაწყვეტილება „სამართალსა ზედა შებმა" სამ თათარსა და კონსტანტინე მეფის მხრიდან სამ ქრისტიანს (resp. ქართველს) შორის, მართალია, ირიბად, მაგრამ ეჭვმიუტანლად გულისხმობს იმას, რომ ყაენსა და ქართველ მეფეს შორის, ან ყაენის ქვეშევრდომებსა და ქართველი მეფის ამალას შორის წარმოშობილა სადავო საქმე, რომელიც გასარჩევად სასამართლოს გადასცემია. სასამართლოზე ვერც ყაენისა და ვერც ქართველთა მხარემ თავისი პოზიციის დასაცავად საკმარისი მტკიცებულებები ვერ წარმოადგინა და სასამართლომ „შებმა" დაადგინა. ამ შებმაში, როგორც მეფე კონსტანტინე იუწყება, ქართულ მხარეს გაუმარჯვია.

საბუთში მითითებულია გაცემის თვე, რიცხვი და დღე (15 დეკემბერი, პარასკევი), რაც გარკვეულ სამსახურს გვიწევს სიგელის გამცემი მეფის იდენტიფიკაციაში. ა. კალანდაძის უნივერსალური კალენდრის მიხედვით, კონსტანტინე I-ის მეფობის პერიოდში 5 დეკემბერი პარასკევ დღეზე მოდიოდა 1410 წელს., კონსტანტინე II-ს მეფობის ხანაში კი – 1483 წელს და 1488 წელს.

არჩევანი გვაქვს კონსტანტინე I–სა (1407-1412) და კონსტანტინე II–ს (1478-1505) შორის, მაგრამ არჩევანს ართულებს ის გარემოება, რომ, ჯერ ერთი, არ ჩანს ყაენის ვინაობა და მეორე ის, რომ ორივე კონსტანტინეს მეფობის ისტორიის, განსაკუთრებით, საგარეო ურთიერთობების შესახებ მეტად მწირი ცნობები გვაქვს. შემორჩენილი წყაროებიდან ვიცით, რომ კონსტანტინე I ორგზის იმყოფებოდა ურდოში (ლექსიკონი 1991: 317). ამაში შეიძლება თემურ-ლენგთან უფლისწულობის დროს მისი ორგზისი (1401 წელს და 1403 წელს) ელჩობა იგულისხმებოდეს (კაციტაძე 1976: 156; ტაბატაძე 1974: 151–152). მაგრამ უფლისწულობის ხანაში მისი ლაშქრით ხლება და სამსახური თემურ-ლენგთან არ დასტურდება (ასეთ სამსახურს არ გულისხმობს მისი მხრიდან მორჩილების გამოცხადება თემურ-ლენგისადმი ძმის, გიორგი VII-ის მეფობის ხანაში, რაზედაც მოგვითხრობენ უცხოელი ავტორები (კაციტაძე 1974: 157-160; ტაბატაძე 1974: 148-151). კონსტანტინე I-ის სამხედრო ვალდებულების შესახებ რომელიმე უცხო ქვეყნის ყაენის წინაშე მისი მოღვაწეობის რომელიმე ეტაპზე არაფერია ცნობილი, თუმცა ა. ტულუში მიიჩნევს, რომ სიგელი გაცემულია კონსტანტინე I-ის მიერ 1410 წელს(ტულუში 2006: 207).

ყაენთან ლაშქრით სამსახურის შესახებ ცნობილია კონსტანტინე II-ის მოღვაწეობიდან. როგორც ცნობილია, ბაგრატ VI-მ კონსტანტინე II 1472 წ. ქვეყნიდან გააძევა (ოდიშელი 1968: 27), რომელმაც აყ-ყოინლუს ყაენთან უზუნ ჰასანთან შეაფარა თავი. მას თან გაჰყვა ბარათაშვილი და სხვა მცირე ამალა (ყაუხჩიშვილი 1959: 342). ამ დროს უზუნ ჰასანი ოსმალეთთან საომრად ემზადებოდა და საქართველოს მეფეს ჯარი მოსთხოვა, რაც შესრულდა კიდეც (კიკნაძე 1963: 117). ბრძოლები უზუნ-ჰასანის ჯარსა და ოსმალეთს შორის 1473 წელს გალათიასთან და მდინარე თერჯანასთან გაიმართა. გალათიასთან ბრძოლაში ქართველებიც, მათ შორის, კონსტანტინეც მონაწილეობდა. თერჯანასთან ბრძოლაში უზუნ-ჰასანი დამარცხდა. ბრძოლის ველიდან დაბრუნებული უზუნ-ჰასანი იმავე წლის შემოდგომაზე საქართველოს შემოესია (კიკნაძე 1963: 117-118), ქართლი მოარბია, ბაგრატ მეფეს ხარკი შეაწერა და დიდძალი ნადავლით დაბრუნდა თავრიზში (ასათიანი და *სხვები* 2012: 128). უზუნ ჰასანთან თავშეფარებული კონსტანტინე II სწორედ ამ დროს დაბრუნდა ქართლში. 1474 წელს 5 აპრილს ის დოლისძეებს აძლევს წყალობის სიგელს (თარიღისთვის იხ. ოდიშელი 2010: 176). ამის შემდეგ მისი რაიმე მონაწილეობა უცხო ქვეყნის ლაშქარში არ ჩანს. ვარდან თოდოძე შეიძლებოდა ამ ლაშქრობაში ხლებოდა კონსტანტინე მეფეს. რაც შეეხება სიგელის გაცემას, ზემოთ დასახელებული ორი

სავარაუდო თარიღიდან უპირატესობა 1483 წელს უნდა მიენიჭოს: ამ დროს მისი ხელისუფლება დასავლეთ საქართველოზე ჯერ კიდევ ვრცელდებოდა, 1488 წელს ლიხთიმერეთში ალექსანრე II მეფობდა.

ასათიანების სასისხლო სიგელი. შემონახულია XIX საუკუნეში ქაღალდზე მხედრულად დაწერილი პირი, რომელიც ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (Hd 10144[a]). გამოქვეყნებულია ს. კაკაბაძის მიერ (სმ, II, 1924, გვ. 14-15).

სიგლის მიმღებია აზნაურები ქველი და არდაშელ ასათიანები.

საბუთის გამცემნი არიან მეფეთ-მეფე გორგასალი და დედოფალთ-დედოფალი თამარი (კაკაბაძე 1924: 14).

თარიღის შესახებ ვკითხულობთ: „დაიწერა ბრძანება ესე ინდიკტიონსა (ხელნაწერშია: ინდიკორსა) მეფ(ობ)ისა ჩუენისასა სუდ ქრონიკონსა" (კაკაბაძე 1924: 15). „სუდ", რომელიც ნუსხა-ხუცურითაა დაწერილი, ქრონიკონის მაჩვენებლად თუ ჩავთვლით, მაშინ მივიღებთ 1606 წ. (1312+194), რაც დიდად სცილდება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სიგელის გამცემი სავარაუდო მეფის მოღვაწეობის ხანას. ამიტომ სწორი უნდა იყოს ს. კაკაბაძის მოსაზრება, რომ ნუსხური „სუდ" საბუთის ძველი საარქივო აღრიცხვის მაჩვენებელი უნდა იყოს (კაკაბაძე 1924: 15), რომელიც სიგელის ბოლოს იყო მიწერილი, ხოლო გადამწერმა თარიღის მაჩვენებლად ჩათვალა და ტექსტში შეიტანა.

საბუთის გამცემი მეფეთ-მეფე გორგასალი არის იგივე მეფეთ-მეფე ვახტანგ ალექსანდრე I-ის (1413-1442) ძე, რომელიც მამამ თავის სიცოცხლეში დასვა პროვინციის მეფედ დასავლეთ საქართველოში თამარ დედოფალთან ერთად. ვახტანგისა და თამარის (ის დავით ნარინის შვილიშვილის ალექსანდრეს ასული იყო) ერთობლივი, შემდგომ დამოუკიდებელი მეფობა დასავლეთ საქართველოში გაგრძელდა ცენტრალურ (თბილისის) სამეფო ტახტზე მის ასვლამდე – 1442 წლამდე. დასავლეთ საქართველოში 1432 წელს გაცემულ საბუთებში ვახტანგი დიდი წინაპრის, ვახტანგ გორგასლის მიბაძვით თავს გორგასალს უწოდებს.

სიგელში დასახელებული მეფეთ-მეფე თამარი, რომელიც ს. კაკაბაძის (კაკაბაძე 1924: 16) მიერ და *პირთა ანოტირებულ ლექსიკონშიც* (ლექსიკონი 1991: 294) ვახტანგ გორგასლის თანამეცხედრედ არის მიჩნეული, სინამდვილეში ამ უკანასკნელის დედინაცვალია. მოღწეულია აღნიშნული თამარ მეფის მიერ დამოუკიდებლად გაცემული სიგელი, რომელსაც თარიღად უზის 1433 წელი (თაყიშვილი 1909: 371).

ს. კაკაბაძე სწორად აიგივებს განსახილველი საბუთის გორგასალს გურალიძისა და კოტრიძის სიგელებში მოხსენიებულ ვახტანგ გორგასალთან, მაგრამ ვახტანგ გორგასლისა და თამარ მეფის გენეალოგიის შესახებ მის მიერ წარმოდგენილი სქემა (კაკაბაძე 1924: 16) საკითხის შემდგომმა კვლევამ არ დაადასტურა (ნინიძე 1995: 150–153; კახაძე 2001: 55–56).

ზუსტად არ ვიცით, თუ რომელი წლიდან იწყება ვახტანგ ალექსანდრე I-ის ძის, ზედწოდებით, გორგასლის მეფობა დასავლეთ საქართველოში, ამიტომ ასათიანის სასისხლო სიგლის გაცემის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად პირობითად ვიღებთ 1432 წელს – მისი სახელით ცნობილი საბუთებიდან ყველაზე ადრინდელის თარიღს, ზედა ზღვრად – ცენტრალურ (თბილისის) ტახტზე მის ასვლის თარიღს – 1442 წელს.

კაპანაძეთა სასისხლო სიგელი. შემონახულია საბუთის ეტრატზე გადაწერილი პირი, რომელიც, ხელის მიხედვით, XV ს. ეკუთვნის. დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (ქმ 607). გამოქვეყნებულია ს. კაკაბაძის მიერ (კაკაბაძე 1924: 10-11).

საბუთს დასაწყისი აკლია. ტექსტი იწყება დიმიტრი მეფის, დადიანის, გურიელისა და მეფის კარისკაცთა მიერ კაპანაძისათვის „გაჩენით" ანუ სასამართლოს გადაწყვეტილებით მიკუთვნებული რაღაც „გარდანახადის" დამტკიცების შესახებ. ამის შემდეგ განსაზღვრულია სანახშიროს, საზაოსა და შესამყრელოს კონკრეტული ოდენობა, ხოლო სხვადასხვა დანაშაულისათვის საზღაურის ოდენობა სრულ სისხლთან შეფარდებითაა განსაზღვრული (მაგ., „ნახევარი სისხლი", „მეექუსედი სისხლი" ან „როგორც ამისგან (იგულისხმება სრული სისხლი გ. ა.) ხვდებოდეს"), მაგრამ თვით სრული სისხლის ოდენობა საბუთის შემორჩენილ ნაწილში არ ჩანს, თუმცა მისი არსებობა უდავოდ იგულისხმება (სხვანაირად ამა თუ იმ დანაშაულისათვის საზღაურის შეფარდებით განსაზღვრას აზრი არ ჰქონდა). სრული სისხლის ოდენობა საბუთის დაკარგულ ნაწილში ყოფილა განსაზღვრული. ამ თავისებურებით კაპანაძის სიგელი ჰგავს იაკობიძის სასისხლო საბუთს (1433 წ.), რომელიც იწყება იმის შესახებ თხრობით, რომ ოქროპირ იაკობიძის მკვლელობის საქმეზე მეფის სასამართლომ განსაზღვრა მისი სრული სისხლი, რომლის გადახდა დააკისრა დამნაშავეს და ამის შემდეგ განსაზღვრულია საზღაური ზოგიერთი დანაშაულისათვის სრული სისხლის ოდენობასთან შეფარდებით („ნახევარი სისხლისა", „მესამედი ამა თეთრისა") (თაყაიშვილი 1909: 372-374; კაკაბაძე 1913ბ: 8).

თარიღის შესახებ შემონახული პირი შემდეგს იუწყება: დაიწერა „ბრძანება და სიგელი ესე ინდიკტიონსა (ხელნაწერშია: ინკოტინისა) მეფობასა შინა ჩვენისასა თუესა სეკდენბერსა (ხელნაწერშია: სეკნედებერა) ოცდაერთსა" (კაკაბაძე 1924: 11). ინდიკტიონის რიცხვითი მაჩვენებელი არ წერია. საბუთის მიმღებია დავით კაპანაძე, გამცემი მეფეთ-მეფე დიმიტრი (კაკაბაძე 1924: 11).

XV ს. წყაროების მიხედვით, დასავლეთ საქართველოში ცნობილია დიმიტრი ალექსანდრეს ძე. ცაიშის საწინამძღვრე ჯვრის წარწერაში ეკითხულობთ: „სისხლითა შენითა მოგებულსა ნუ უგულებელს მყოფ დღესა მას განკითხვისასა მე დიმიტრი მეფეთა მეფესა, ძე(ს)ა ალე(ქსანდ)რეს(ს)ა, რომელმან წარ(ვუ)ძღვანე

ჯუარი ესე დანიელ ჩაისელს...ამინ“ (ჟორდანია 1897: 270). დანიელ ცაიშელი ლაბსყელდაშის (სვანეთი) ტაძრის დაწერილში გვაუწყებს: „მე, ცაიშელი მთავარეპისკოპოსი დანიელი, ლაბსყელდასა მივედი. ვაკურთხე მთავარანგელოზი ლაბსყელდაშისა, დემეტრე მეფისა მეფობასა შიგა ერისთავთ-ერისთავისა დადიანისა ოზბეგისა ბრძანებითა...“ (სილოგავა 1989: 104). დავით კაპანაძის სასისხლო სიგელი გაცემულია „მეფეთ-მეფის დიმიტრის“ მიერ, რომლის ბრძანების ერთ-ერთი დამამტკიცებელია მეფის „მეავჟანდე დადიან-გურიელი“ (კაკაბაძე 1924: 10).

სამივე წყარო უთარიღოა, რაც ართულებს მათში დასახელებული დიმიტრის ადგილის მონიშვნას ქუთაისის მეფეთა რიგში.

ცნობილია დიმიტრი მეფის სახელით აღმოსავლეთ საქართველოში გაცემული რამდენიმე სიგელი, მათ შორის, თარიღიანიც. ესენია: 1) ნასყიდობის წიგნი ზაქარია დარიბეგაშვილისადმი ქალაქში, მეფის ზვრის თავში მდებარე სავენახე მიწის მიყიდვის შესახებ, რომელიც გაცემულია 1445 წელს 26 აგვისტოს (ჟორდანია 1897: 257); 2) შეწირულობის განახლების სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი, გაცემული 1451 წელს (ჟორდანია 1896: 74); 3) წყალობის წიგნი ბერძენი მიტროპოლიტის ხრისანტესადმი ზაქარია დარიბეგაშვილისეული მიწის ბოძების შესახებ (ლექსიკონი 1991: 27).

როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ საქართველოში გაცემული თარიღიანი საბუთების მიხედვით, დიმიტრი მეფედ ჩანს 1445-1451 წლებში, მაგრამ ამ საბუთების რეგულაციის თემა და ადრესატები არ შეიძლებოდა მოქცეული ყოფილიყო მისი, როგორც მეფის, იურისდიქციის სფეროში. განვმარტავთ ნათქვამს: ქალაქში (თბილისში) დარიბეგაშვილისათვის მიყიდული, მოგვიანებით კი ბერძენი მიტროპოლიტისთვის ბოძებული მიწის ნაკვეთი არ შეიძლებოდა მოქცეული ყოფილიყო დიმიტრის სამეფოს ტერიტორიულ საზღვრებში, ვინაიდან თბილისი ამ დროს ერთიანი საქართველოს მეფის ვახტანგ IV-ის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა. აშკარაა, რომ დიმიტრი აღნიშნული მიწის ნაკვეთს განკარგავს როგორც კერძო მესაკუთრე და ეს კერძო საკუთრება მისი საგანმგებლო ტერიტორიის გარეთაა.

მეფე დემეტრე, ალექსანდრე I-ის ძე, შიო-მღვიმის მონასტერს ყმა-მამულების შეუვალობას უმტკიცებს, რაც მიუთითებს მის მეფობაზე შიდა ქართლში, სადაც იყო განთავსებული, ძირითადად, აღნიშნული მონასტრის მამულები (ლომინაძე 1953: 35-36).

დიმიტრი ალექსანდრეს ძის სამფლობელო ტერიტორიის შესახებ ცნობა დაცულია ჯავახიშვილების საჩივრის წიგნში (XV ს. ბოლო მეოთხედი), სადაც ნათქვამია, რომ „ოდეს ვახტანგ მეფობა დაიჭირა, წყალს იქით მისსა ძმასა პატრონსა დემეტრეს მიანება“ (ბერძენიშვილი 1937: 35). ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევით, საბუთში მოხსენიებული ვახტანგ მეფე ერთიანი საქართველოს მეფე ვახტანგ IV-ა (1442-1446), „წყალს იქით“ მდებარე ტერიტორია კი, რომელიც ახალგამეფებულმა ვახტანგმა ძმას დემეტრეს „მიანება“ ანუ სრულ განკარგულებაში გადასცა, შიდა ქართლის ნაწილია მტკვრის მარჯვენა მხარეს (გვიანდელი წყაროების „გაღმა მხარი“) და მოიცავდა თეძმისა და ატენის ხეობებს (ბერძენიშვილი 1937: 11, 25; გვრიტიშვილი 1955: 121-131; ნინიძე 1995: 134-138).

ზემოთ დასახელებულ წყაროებში დასახელებული დიმიტრი (დემეტრე) მეფის გენეალოგიისა და მოღვაწეობის ქრონოლოგიის საკითხებმა დიდი ხანია მიიქცია მკვლევართა ყურადღება. ს.კაკაბაძის მოსაზრებით, კაპანაძის სასისხლო სიგელის გამცემი მეფეთ-მეფე დიმიტრი უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფის ალექსანდრე 1-ის შვილი, რომელიც ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში 1429 წ. იხსენიება მეფედ (კაკაბაძე 1913გ: 14). ს.კაკაბაძე, ამოდის რა ალექსანდრეს მიერ შვილებს შორის ქვეყნის სამეფოებად დანაწილების შესახებ ერთ დროს ფართოდ ფეხმოკიდებული კონცეფციიდან, თვლის, რომ დასავლეთ საქართველო სამეფოდ მიუღია დიმიტრი უფლისწულს, რომელიც აქ მეფობდა 1429 წლიდან გარდაცვალებამდე (1452 წ.) (კაკაბაძე 1924: 12).

დანიელ ცაიშელის სიგელი ლაბსყელდაშის ტაძრისადმი ე.თაყაიშვილმა, უნებლიე შეცდომით, დავით ნარინის დროს გაცემულად მიიჩნია და, შესაბამისად, ის 1258-1293 წლებით დაათარიღა (თაყაიშვილი 1991: 458). პ.ინგოროყვას აზრით, საბუთში ნახსენები მეფეთ-მეფე დემეტრე ალექსანდრე I დიდის ძეა, რომლის ზეობა, რატომღაც, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ დავით ნარინის შთამომავლის, დიმიტრი ალექსანდრეს ძის ერისთავობის წლებით (1414-1455), საბუთის გაცემა კი 1442-1452 წლებით განსაზღვრა (ინგოროყვა 1940: 28).ი. დოლიძემ სიგელი დემეტრე II თავდადებულის მეფობის წლებით 1271-1289 დაათარიღა (დოლიძე 1965: 171). ვ.სილოგავაც თვლის, რომ საბუთის გამცემია ალექსანდრე I დიდის ძე დიმიტრი და იზიარებს მისი მეფობის ჯ.ოდიშელის მიერ (ოდიშელი 2010: 175). დადგენილ ქრონოლოგიას 1445-1452 წწ. (სილოგავა 1986: 64). დ.ნინიძის აზრით, ზემოთ დასახელებულ დასავლურ-ქართულ და აღმოსავლურ-ქართულ წყაროებში (საბუთებსა და წარწერაში) დასახელებული მეფე დიმიტრი ერთი და იგივე პიროვნებაა და ის ალექსანდრე I-ის ძეა, რომლის ძირითად სამფლობელოს ძმის, ვახტანგ IV-ის მიერ „მინებებული“ „გაღმა მხარი“ წარმოადგენდა და ამავე დროს მას გაელენა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ტერიტორიაზე (ნინიძე 1995: 134-138).

ზემოთ აღნიშნულ აღმოსავლურქართულ და დასავლურქართულ წყაროებში დასახელებული დიმიტრი მეფის ერთმანეთთან მიმართება მთლად ნათელი არ არის. მათი გაიგივება, არსებითად, სახელისა და

მამის სახელის იგივეობას ემყარება. ამავე საფუძვლით, დასავლურქართულ წყაროებში მოხსენიებული მეფე დიმიტრი შეიძლება გავაიგივოთ დავით ნარინის შთამომავალ დიმიტრი ალექსანდრეს ძესთანაც, რომელიც, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ალექსანდრე I-მა იმერეთის ერისთავად დასვა და ამ სტატუსით გარდაიცვალა 1455 წელს (ყაუხჩიშვილი 1973: 804-805), მაგრამ გამორიცხული არაა, რომ ალექსანდრე I-ის გარდაცვალების შემდეგ გარკვეული დროით იმერეთის მეფობა მოეხვეჭა. დიმიტრი ალექსანდრე I-ის ძის სამფლობელო გამოკვეთილად ჩანს „გაღმა მხარი" შიდა ქართლში, დასავლეთ საქართველოში კი მისი მეფობა ჰიპოთეტურია. ამიტომ ჩვენ ღიად ვტოვებთ სამ დასავლურქართულ წყაროში (დანიელ ცაიშელის დაწერილი, ცაიშის საწინამძღვრე ჯვრის წარწერა და კაპანაძის სასისხლო სიგელი) დასახელებული უდავოდ დასავლეთ საქართველოს მეფის დიმიტრი ალექსანდრეს ძის წარმომავლობის საკითხს.

რაც შეეხება იმერეთში დიმიტრი ალექსანდრეს ძის მეფობის ქრონოლოგიას, ის უნდა განისაზღვროს 1442-1443/1444 წლებით. ამას მოწმობს შემდეგი: 1432 წლიდან (თუ უფრო ადრეული წლებიდან არა) 1442 წლამდე (ალექსანდრე I-ის ტახტიდან გადადგომამდე), როგორც ზემოთ ვნახეთ, ქუთაისის მეფეა ვახტანგ გორგასალი (მასთან ერთად გარკვეული დროით მეფობს თამარიც). 1443/1444 წლიდან 1466 წლამდე, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ქუთაისის ტახტზე ზის ბაგრატ II (1466-1478 წლებში ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI). ასე რომ, დიმიტრის მეფობისთვის ადგილი რჩება მხოლოდ აღნიშნულ წლებში.

თოფურიძეთა სასისხლო სიგელი. შემონახულია საბუთის ეტრატზე დაწერილი პირი (მხედრულად), რომელიც დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (ქმ №1508). ტექსტი გამოცემულია ოთხჯერ: ე. თაყაიშვილის მიერ 1891 წ. (თაყაიშვილი 1891: №213) და 1909 წ. (თაყაიშვილი 1909: 35-38), თ. ჟორდანიას მიერ (ჟორდანია 1897: 233–235) და ს. კაკაბაძის მიერ (კაკაბაძე 1920: 73-75).

საბუთის მიმღებნი არიან კაციბერ, შერგილ, გიორგი და იოვანე თოფურიძეები. გამცემია მეფე ალექსანდრე.

საბუთის ბოლოს მითითებულია გაცემის თარიღი: „დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჟამსა ალექსანდრეს მეფობისასა ქორონიკონსა: ას: სამოცდარვასა: თვესა მაისსა ა(თ)ჩვიდმეტსა".

ქრონიკონის რიცხვითი მაჩვენებელი 868, როდესაც მისი სრული ციკლი მხოლოდ 532 წელიწადს მოიცავს, ცხადია, მცდარია. ს. კაკაბაძე ვარაუდობდა, დედანში ქრონიკონის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო როჸ, რომელიც გადამწერმა არასწორად გაიგო. ამ სავარაუდო აღდგენით, საბუთის დედნისეული თარიღი იყო 178 ანუ 1490 წელი.

საბუთის გამცემ მეფე ალექსანდრეს ე. თაყაიშვილი აიგივებს ალექსანდრე I-თან და სიგელსაც მისი ზეობით, 1412-1442 წლებით ათარიღებს (თაყაიშვილი 1909: 35). აღნიშნულ იდენტიფიკაციას იზიარებს თ. ჟორდანიაც, ოღონდ საბუთში მოხსენიებულ „დავით ცხეთელს" კათალიკოსად მიიჩნევს და აიგივებს სხვა წყაროებით 1426-1430 წლებში ცნობილ დავით კათალიკოსთან, აქედან გამომდინარე, საბუთსაც ამ წლებით ათარიღებს (ჟორდანია 1897: 233). ამავე დროს თ. ჟორდანია წერს: „ამ სიგელს ბევრი ნიშნები აქვს იმისა, რომ იგი ან ყალბია, ან იმერთა მეფეს ალექსანდრე II–ს უნდა ეკუთვნოდეს". თ. ჟორდანიას აზრით, ამ მეორე ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს სიგელშივე მოხსენიებული სვიმონ მაწყვერელისა და საქართველოს კათოლიკოსის დავით III-ის მოღვაწეობის ხანა – XV ს. ბოლო (ჟორდანია 1897: 233).

სიგელში მოხსენიებული ივანე ათაბაგისა და სვიმონ მაწყვერელის მოღვაწეობის ხანის მიხედვით ს. კაკაბაძეც საბუთის გამცემ მეფე ალექსანდრეს იმერთა მეფე ალექსანდრე II-სთან (1484–1510) აიგივებს (კაკაბაძე 1920: 75–76). ამის გათვალისწინებით აღადგენს ის, როგორც ვნახეთ, საბუთის გაცემის სავარაუდო დედნისეულ თარიღს. ივანე ათაბაგისა და სვიმონ მაწყვერელის მოღვაწეობა 1486–1515 წლებში თავსდება (გურგენიძე 2013: 84, 86).

ვფიქრობთ, საბუთის გამცემი მეფის გაიგივება იმერთა მეფე ალექსანდრე II-სთან სავსებით ნათელია. ამასთან დაკავშირებით, სვიმონ მაწყვერელისა და ივანე ათაბაგის მოღვაწეობის ხანის გარდა, ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ საბუთში მოწმეებად დასახელებული შიოშ ფალავანდიშვილი, დავით ციციშვილი, საყან მაჭუტაძე, დიმიტრი ბერიძე, ლომონი მახაძე (თაყაიშვილი 1909; 37) ნამდვილად ალექსანდრე II იმერთა მეფის თანამედროვენი და მისი გარემოცვის წევრები არიან. ამას ადასტურებს ალექსანდრე II-ის სიგელი ფალავანდიშვილებისადმი ბოძებული 1488 წ. 1 ივლისს. სიგელის ერთ–ერთი ადრესატია სიაოშ იგივე შიოშ ფალავანდიშვილი, მოწმეებად დასახელებულნი არიან დავით ციციშვილი, აგრეთვე, მაჭუტაძე, ბერიძე, მახაძე სახელების გარეშე (კაკაბაძე 1924: 25). აშკარაა, რომ თოფურიძის სასისხლო სიგელში წარმოდგენილი ალექსანდრე მეფისა და 1488 წ. სიგელში წარმოდგენილი ალექსანდრე II იმერთა მეფის გარემოცვა იდენტურია, რაც, ბუნებრივია, ამ ორი მეფის იდენტურობის მაჩვენებელიცაა.

ასე რომ, თოფურიძეთა სასისხლო სიგელი უნდა დათარიღდეს ალექსანდრე II იმერთა მეფის ზეობის ანუ 1484-1510 წლებით, მაგრამ შესაძლებელია თარიღის დავიწროებაც. ამის შესაძლებლობას გვაძლევს სიგელში დასახელებული გიორგი ერისთავის ვინაობა. გიორგი ერისთავი, ცხადია, რაჭის ერისთავია. რაჭის ერისთავი გიორგი, გვარად აფხაჭელიძე, იხსენიება მაღნარაძის სასისხლო სიგელში (ამაზე ქვემოთ), აგრეთვე, წარწერებში.

1488 წლის სიგელში რაჭის ერისთავია ივანე ჩხეტიძე (კაკაბაძე 1924: 25). აქედან მოკიდებული რაჭის

ერისთავები ამ გვარის წარმომადგენლები არიან, სანამ მათ საგვარეულოს სოლომონ II დაამხობდა (სოსელია 1973: 74, 102; მეტრეველი 2013: 94, 104).

აშკარაა, რომ გიორგის ერისთავობა წინ უსწრებდა ივანე ჩხეტიძის ერისთავობას და, შესაბამისად, თოფურიძის სასისხლო სიგელის შედგენა ფალავანდიშვილების სიგელის გაცემას (1488 წელს). აქედან გამომდინარე თოფურიძეთა სიგელი გაცემულია 1484-1488 წლებს შორის.

მაღნარაძის სასისხლო სიგელი. შემონახულია ეტრატზე გადაწერილი პირი, რომელიც დაცულია საქართველოს საისტორიო არქივში (1448–5040). საბუთის შინაარსი რუსულ ენაზე გამოაქვეყნა დიმ. ფურცელაძემ (ფურცელაძე 1881: 36-37). გასული საუკუნის 20-იან წლებში ქუთაისის არქივში ს. კაკაბაძემ მიაკვლია საბუთის პირს, გადაწერილს XIX ს. პირველ ნახევარში და გამოაქვეყნა 1924 წელს (კაკაბაძე 1924: 19–22).

სიგელის მიმღებნი არიან საყდრისშვილები, მაღნარაძეები: ივანე, გიორგი, გეგელია და ამ უკანასკნელის შვილები.

საბუთი გაცემულია დავით მეფის მიერ (კაკაბაძე 1924: 20). ეტრატის ხელნაწერს ბოლო ნაწილი აკლია, სადაც თარიღის შესახებ უნდა ყოფილიყო მითითება. ს. კაკაბაძის ხელთ არსებული პირი, როგორც პუბლიკაციიდან ჩანს, თარიღს არ შეიცავდა. დიმ. ფურცელაძის განკარგულებაში არსებული პირი გაცემის თარიღად 1477 წელს უჩვენებდა (ფურცელაძე 1881: 37).

საბუთში მოწმეებად დასახელებულნი არიან: დავით ციციშვილი, ერისთავი აბღაჭელიძე გიორგი, ამილახორი ივანე ჩხეტიძე, მეაბჯრეთუხუცესი დავით ღოლობერიძე, გიორგი ჩიჯავაძე, ქველი ჭილაძე, ციხისთავი თუქლამ ჭილაგიძე, ეჯიბი აფაქიძე, გოშოძე, ჩუხჩარები გავაშელ ამუნასკირი, მოლარეთუხუცესი ქორთოძე, მეღვინეთუხუცესი რომანავიძე, ივანე ჭარხალაძე, როსტან ქოჩაქიძე, მიქელაძე, ფანოველ ნაფიცხვიძე; ეპისკოპოსები – რომანოზ ბიჭვინტელი, აბრამ ჭყონდიდელი, ეფთვიმე ცაიშელი, საბა მოქველი, სვიმეონ გელათის მოძღვართ-მოძღვარი (კაკაბაძე 1924: 21).

დასახელებულ პირთაგან დავით ციციშვილი, ერისთავი გიორგი აბღაჭელიძე და ფანოველ ნაფიცხვიძე ალექსანდრე II იმერთა მეფის მიერ გაცემულ თოფურიძეთა სასისხლო სიგელშიც იხსენიებიან (პირველში გიორგი ერისთავი, ფანუელ ლაფიცხუძე), რაც მაღნარაძის სასისხლო სიგელს ქრონოლოგიურად აახლოებს თოფურიძეთა სასისხლო სიგელთან ანუ XV ს. 80-იან-90-იან წლებთან.

ჩამოთვლილი საერო და საეკლესიო პირები, დასავლეთ საქართველოს – არგვეთის, რაჭის, ლეჩხუმის, სამოქალაქოს, სამეგრელოსა და აფხაზეთის დიდებულები და საეკლესიო იერარქები არიან. გამონაკლისს წარმოადგენს დავით ციციშვილი, მაგრამ ციციშვილების საფეოდალო და შიდა ქართლის დასავლეთი ნაწილი XV ს. და XVI ს. პირველ მეოთხედში ქუთაისის ტახტზე მსხდომ მეფეთა საგამგებლოში შედიოდა. ამიტომ ციციშვილის მოხსენიება აქ სავსებით ბუნებრივია. ასე რომ, ეს ჩამონათვალი წარმოგვიდგენს ქუთაისის სამეფო კარს და ქუთაისის სამეფო ტახტზე მჯდომი მეფის გარემოცვას და საგამგებლოს.

აღნიშნული პოსტულატიდან გამომდინარე, მაღნარაძეთა სასისხლო საბუთის გამცემი დავით მეფე ქუთაისის ტახტზე ზის.

ქუთაისის სამეფო ტახტისათვის ბრძოლა XV ს. 80-იან წლებში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა თბილისის ტახტის მფლობელ კონსტანტინე II–სა და ქართლ-იმერეთის მეფის ბაგრატ VI-ის მემკვიდრეს ალექსანდრეს შორის. 1484 წელს ქუთაისის ტახტზე მეფედ დაჯდა ალექსანდრე II, რომელიც 1486 წ. ჩამოაგდო კონსტანტინე II-მ, 1487-1488 წლების მიჯნაზე ალექსანდრე II-მ მეფობა დაიბრუნა, შემდგომ 1491 წელს შუა ხანებში კონსტანტინე II-მ მოკლე ხნით ალექსანდრე II გადააყენა ტახტიდან. საბოლოოდ ალექსანდრე II-მ განიმტკიცა მდგომარეობა ტახტზე და კონსტანტინეც ამ ფაქტს შეურიგდა.

სწორედ კონსტანტინე II-ის ქუთაისის ტახტზე გაბატონების ერთ-ერთ ეპიზოდს უკავშირებს ს. კაკაბაძე ქუთაისის ტახტზე მისი უფროსი შვილის, დავითის გამეფებას და მაღნარაძეებისათვის სიგლის ბოძებას. დავითის ხანმოკლე მეფობას და მაღნარაძეთა სიგლის გაცემას ს. კაკაბაძე 1486-1488 წლებით ათარიღებს (კაკაბაძე 1924: 22, 252). აღნიშნული მოსაზრება არსებული მასალების ფონზე მისაღები ჩანს.

ყიფიანთა სასისხლო სიგელი. შემონახულია საბუთის პირი, დაწერილი ეტრატზე მხედრულად. მეორე გვერდზე გამეორებულია იგივე ტექსტი, რომლის მელანი გამქრქალებულია. დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (Sd 731).

საბუთის ტექსტი Sd 731-ის მიხედვით გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა (თაყაიშვილი 1909: 398-399).

ადრესატები არიან საყდრისშვილები თემნა და ბუჭუა ყიფიანები. გამცემია მეფეთ-მეფე ბაგრატი (თაყაიშვილი 1909: 398).

საბუთის გამცემი მეფე ბაგრატი ე. თაყაიშვილის აზრით, არის იმერთა მეფე ბაგრატ II, რომლის ზეობას ის 1462–1478 წლებით განსაზღვრავდა (თაყაიშვილი 1909: 398), რაც გაზიარებულია *პირთა ანოტირებულ ლექსიკონში* (ლექსიკონი 1991: 233); ს. კაკაბაძის აზრით, ყიფიანების სიგელი, ისევე როგორც აბესალომ გელუანისა, ეკუთვნის იმერეთის უცნობ მეფეს, რომელიც მოღვაწეობდა XV ს. დასაწყისში (კაკაბაძე 1924: 58); კ. კახაძის მოსაზრებით სიგელი გაცემულია ბაგრატ V-ის მიერ იმ პერიოდში, როდესაც ის მამის, დავით IX-ის (1346-1360) სიცოცხლეში განაგებდა დასავლეთ საქართველოს მეფის ტიტულით (კახაძე 2001: 59).

საბუთის დასათარიღებლად ერთადერთი საყრდენი კალიგრაფიაა, რომლის მიხედვით ის XV საუკუნეს მიაკუთვნა ე. თაყაიშვილმა. ამიტომ ის ბაგრატ II იმერთა მეფის ზეობით, ანუ 1443/44-1466 წლებით უნდა დათარიღდეს.

გუგუნბერიძეთა სასისხლო სიგელი. გასული საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივს სოფელ ქვიტირელი (იმერეთი) ს. გოგიბერიძის ოჯახმა გადასცა მათი საგვარეულო სიგელი (სცსსა 1448-5035). ესაა გუგუნბერიძეთა სასისხლო საბუთი, დაწერილი ქაღალდზე მხედრული ანბანით. გამოაქვეყნა ი. ცინცაძემ (ცინცაძე 1927: 16-19).

საბუთის ადრესატები არიან ზარდია, იმარიდო და შიოშ გუგუნბერიძეები.

საბუთის გამცემად დასახელებულია მეფე გიორგი, მისი თანამეცხედრე დედოფალი ნესტანდარეჯანი და ძე მათი ალექსანდრე (ცინცაძე 1927: 16–17).

საბუთის თავი მოხატულია წითელი და შავი მელნით, შუაში ჯვარია გამოსახული, რომლის გარშემო მთავრულად წერია: „ჯი, ქი, ძა, მა". ჯვარის ქვემოთ ორნამენტებით შემკული ოთხკუთხედის ფორმის არშიაა დახატული, რომელშიც წითელი მელნით ჩაწერილია: „სახელით ღ(მრ)თისათა ჩვენ ღ(მრ)თ(ივ)გვირგვინოსანთა მეფთ-მეფემან პატრონმან როსტომ" (ცინცაძე 1927: 17).

საბუთს ბოლო სტრიქონები აკლია. ზურგზე მითითებულია ხვეული ხელრთვა და იკითხება „როსტომ" (ცინცაძე 1927: 18).

გუგუნბერიძეებისათვის სასისხლო სიგელის მბოძებელი მეფე თანამეცხედრისა და შვილის სახელის მიხედვით არის მეფე გიორგი VIII (1446-1465) (ჯავახიშვილი 1982: 272,320; ცინცაძე 1927: 17).

სიგელი განახლებულია იმერეთის მეფის, როსტომის მიერ (1593-1604), როდესაც გიორგი VIII-ის მიერ გაცემული საბუთის ტექსტი თავიდან გადაიწერა, თავში გაუკეთდა მინაწერი როსტომ მეფის მოხსენიებით და ბოლოს დაერთო მისი ხელრთვა. საბუთის ტექსტი თხელ ქაღალდზეა დაწერილი, რომელიც მოგვიანებით სქელ ქაღალდზე დაუწებებიათ. საბუთის ზურგზე მოთავსებული როსტომ მეფის ხელრთვა რომ ამ სქელ ქაღალდს არ დაეფარა, ეს უკანასკნელი ხელრთვის პირდაპირ ოთხკუთხედად ამოუჭრიათ.

ასე რომ, საბუთი გაცემულია გიორგი VIII-ის მიერ 1446-1465 წლებს შორის. მოგვიანებით, 1593-1604 წლებს შორის სიგელი განაახლა როსტომ იმერთა მეფემ.

დამოწმებანი

არახამია 2009: გ. არახამია, საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები, თბილისი.

ასათიანი და *სხვები* 2012: საქართველოს ისტორია XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე, წიგნი შეადგინეს ნ. ასათიანმა, გ. ოთხმეზურმა, მ. სამსონაძემ, გ. ჯამბურიამ, ტ. III, თბილისი.

ბერძენიშვილი 1966: ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბილისი.

ბერძენიშვილი 1937: ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, I, თბილისი.

გვრიტიშვილი 1955: ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან თბილისი.

გურგენიძე 2013: მაწყვერელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი. კრებ. რელიგიის ისტორიის საკითხები, II, თბილისი.

დოლიძე 1965: ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი.

თაყაიშვილი 1909: საქართველოს სიძველენი, II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი.

თაყაიშვილი 1991: ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, კრებ. დაბრუნება, 2, თბილისი.

თაყაიშვილი 1891: გაზ. „ივერია".

ინგოროყვა 1941: პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, ტექსტები, თბილისი.

კაკაბაძე 1913ა: ს. კაკაბაძე, გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა, ტფილისი.

კაკაბაძე 1913ბ: ს. კაკაბაძე, უცნობი აფხაზ-იმერეთის მეფე თამარი, ტფილისი.

კაკაბაძე 1913გ: ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, ტფილისი.

კაკაბაძე 1914: ს. კაკაბაძე, სვანები XV საუკუნეში, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I ტფილისი.

კაკაბაძე 1920: ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, ტფილისი.

კაკაბაძე 1924: ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II (ტფილისი,1924).

კაკაბაძე 1982: С. С. Какабадзе. Грузинские документы IX-XV вв, Москва.

კაციტაძე 1976: დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV სს. მიჯნაზე, თბილისი.

კახაძე 2001: კ. კახაძე, დასავლეთ საქართველოს „უცნობი მეფეები", კლიო, 11.

კიკნაძე 1963: რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის II ნახევარში, ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, თბილისი.

ლექსიკონი 1991: პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბილისი.

ლექსიკონი 2004: პირთა ანოტირებული ლექსიკონი, III, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს ა. ბაქრაძემ, ლ. რატიანმა და გიორგი ოთხმეზურმა, ტომი შეადგინეს დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ, თბილისი.

ლომინაძე 1953: ბ. ლომინაძე, შიომღვიმე, თბილისი.

მეტრეველი 2013: რ. მეტრეველი, რაჭა,. შტრიხები წარსულიდან, თბილისი.

მეტრეველი 2008: ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი.

ნინიძე 1995: დ. ნინიძე, „პროვინციის მეფეები" XIV-XV სს. საქართველოში, თბილისი.

ოდიშელი 2010: ჯ. ოდიშელი, ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები, თბილისი.

ოდიშელი 1966: ჯ. ოდიშელი, ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან., მაცნე, # 4, თბილისი

ოდიშელი 1968: მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა და შესავალი წერილი დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბილისი.

ჟორდანია 1897: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და განმარტებული თ. ჟორდანიას მიერ, ტფილისი

ჟორდანია 1896: თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი" ვაჰხანის ქვაბთა, ტფილისი.

ენუქიძე და *სხვები* 2013: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, II, XIV-XV სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ, თბილისი.

სილოგავა 1986: სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სამეცნიერო – საცნობარო აპარატურა დაურთო ვ. სილოგავამ, თბილისი.

სოსელია 1973: ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, თბილისი.

სურგულაძე 2010: მ. სურგულაძე, ეპიზოდები XVI საუკუნის საქართველოს შიდა პოლიტიკური ცხოვრებიდან. ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, 23, თბილისი.

ტაბატაძე 1974: კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბილისი.

ტულუში 2006: ა.ტულუში,თოდოძეთა სასისხლო სიგელის დათარიღებისათვის, ი. ჯავახიშვილის თსუ ზუგდიდის ფილიალის შრომები, I, თბილისი.

ფურცელაძე 1881: Грузинские дворянские грамоты, составил Д. П. Пурцеладзе.

ყაუხჩიშვილი 1959: ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1973: ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

ცინცაძე 1927: ი. ცინცაძე, გუგუნბერიძეთა სასისხლო სიგელი, საქართველოს არქივი, II, ტფილისი.

ჯავახიშვილი 1982: ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III,თბილისი

ჯავახიშვილი 1984: ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VII, თბილისი,

ON THE DATING OF WERGILD DOCUMENTS

Goneli Arakhamia

Wergild documents are one of the important groups of medieval Georgian diplomatic monuments. Their value as a historical source is diverse. They provide us with such data which help in research of the issues of political history of medieval Georgia, social structure, historical genealogy, the history of the study of law. However, the difficulty of using these data consists in the fact that one part of the mentioned documents is either undated or the information containing the date is distorted by the copiers. Therefore, one of the important tasks of the Georgian source studies is dating of the undated wergild's documents. This paper deals with this issue and an attempt of dating several wergild's papers is given.

„ორი ქვაზედ დაწერილი გუჯარი“ და მისი მნიშვნელობა XVIII საუკუნის დასაწყისის კახეთის სამეფოს ისტორიისათვის[1]

თამაზ გოგოლაძე

ქართული ისტორიული საბუთები საქართველოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ერთ-ერთ უტყუარ წყაროს წარმოადგენენ. ისტორიულ დოკუმენტებში ცალკე ჯგუფს ქმნის ქვაზე შესრულებული იურიდიული აქტები.

წინამდებარე ნაშრომიც სწორედ ქვაზედ ამოღარულ ორ საბუთს ეხება, რომელიც 1901 წლის 23 იანვრის გაზეთ *ცნობის ფურცელის* 1362-ე ნომერში დაბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილმა, სათაურით *ორი ქვა ზედ დაწერილი გუჯარი*, რომელიც, ავტორისავე თქმით, 1901 წლისათვის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთსაცავში ინახებოდა. სამწუხაროდ, ჩვენ აღნიშნული ორი საბუთის დღევანდელ ადგილმდებარეობას ვერ მივაკვლიეთ. როგორც ჩანს, ისინი 1901 წლის შემდეგ დაიკარგა. აქედან გამომდინარე, ამ გუჯრების ტექნიკურ აღწერილობის, მათი გადმონაწერისა და ასევე მათი ტექსტების გამართვისას ექვთიმესეულ ნაშრომს ვეყრდნობით.

მეცნიერის თქმით,

> წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავში ინახება ორი პატარა თხელი ქვის ფიცარი, რომლებზედაც დაწერილია საინტერესო გუჯრები. ქვის ფიცრები რბილი გვარისაა და ძლიერ წააგავთ იმ ქვებს, რომლებსაც ჩვენში დანის სალესავად ხმარობენ. სიგრძე პირველი ქვისა არის 5 გოჯი[2], განი 1 2/3 გოჯი, ქვა ოთკუთხედია, მხოლოდ ერთი თავი მომრგვალებული აქვს. მეორე ქვა სრული ოთკუთხედია და პირველზე უფრო სქელი, სიგძე აქვს 3 2/3 გოჯი, განი 1 1/2 გოჯი. წარწერა ამ ქვებისა ნუსხა მხედრულია. წერილი გაგრძელებულია არა თუ ორივე ფიცრებისა, არამედ სისქის გვერდებზედაც. წარწერანი მოგვყავს ამ რიგით და წესით, რა რიგითაც და წესითაც ნაწერნი არიან ნამდვილზე.

პირველი წარწერის ტექსტის ექვთიმე თაყაიშვილისეული გადმონაწერი:

1. ქ.მივეც. მეგორგასლ. მეფემ. უსადევო. მამული.
2. დუყვედ. ური. შესავლი. იდგსვლი იტკვრსად. იორშუა
3. საცა შეიყ რება. დოღუ. ზრბმდი. ხვრბლიანიდ ბხრტიონთა.
4. ვისი. სხნ ვსთე სითიმს ქვეით ბაბნურის ფშ. საქეთ. მთით და
5. ბრითსძებ რით დუძებრით. ერთობით თუშებისთვის. წოვსდ ჩღ
6. მასთვის. ამსქმისთვის. რომვღრ. გუელთ. გველეშპს. დაელდ
7. რის ციხე ააგეთ დიმში. ალვნ შვილი. ფრსმელიდ. ადგა
8. დაისმო კლმეც ეს წყლობ გიყე. დუმეტესი გრჯილობ
9. აუღია თვისი. ხლმით. ორჯელ. ჩვე˜ც მივეცით. წერილით
10. ადბიჭობა. გმოგივიდათ. დარც. არგეთხოვოთ. არს
11. ხემწიფისგნ. ფარზე. ერთი ცხვრის მეტი. რმც. მებატ
12. ონემ. გაქტეხოთ. და შეგიშლოთ. ისიმც. შეიშლ
13. ება თვისი სახისაგან. შეჩვენებული. იყოს. ცისად
14. მიწისგნ. დყო
15. ველის. რჯულისგნ. არის. ამგუჯრების. გამ
16. რიგე. ბატონიშვილი არჩილ მოურვი ზაქარია
17. დამიწერია დეით ჭერემელ აღიწერა დიდებ ღმერთს

მეცნიერი, წარწერის ტექსტის გადმონაწერის მოტანის შემდეგ დასძენს: „განზე“ მომრგვალებული თავისკენ ჯერ სწერია: „ვე“, შემდეგ ხელჩართულის მსგავსი წარწერაა, ვგონებ ნიშნავს „ქორონიკონსა“ და ბოლოს „ტუ“.

აღნიშნული საბუთის ექვთიმე თაყაიშვილისეული წაკითხვა:

ქ. მივეც მე გორგასალ მეფემ უსადევო მამული და უყვედური, შესავლით და გასავლით, მტკვარსა და იორს შუა, საცა შეიყრება დოლუზრმდი, ხვარბლიანი და ბახტრიონი, თავისი სახნავ სათესით, იმის ქვეით ბაბანურის ფშავს აქეთ, მთით და ბარით, საძებრით და უძებრით, ერთობით თუშებისთვის, ნოვას და ჩაღმასთვის, ამ საქმისთვის, რომ ვეღარ გუელ-გველეშპის და ელდრის ციხე ააგეთ (ავიღეთ?) და იმაში ალვანიშვილი ფარსმელი დადგა, და ის მოკალ, მეც ეს წყალობა გიყავ, და უმეტესი გარჯილობა აუღია თვისი ხმლით, ორჯელ ჩვენც მივეცით წერილით, და ბიჭობა გამოგივიდათ, და არცა რა გეთხოვოთ არას ხელმწიფისაგან ფარაზე ერთი ცხვრის მეტი. რამანცა მებატონემ გაგიტეხოთ და შეგიშალოთ, ისიმცა შეიშლება თავისი სახისგან, შეჩვენებული იყოს ცისა და მიწისაგან, ღვთისაგან, კრებული ანგელოზისაგან და ყოველის რჯულისაგან, არის ამ გუჯრების გამრიგე ბატონიშვილი არჩილ მოურავი ზაქარია, დამიწერია დავით ჭერემელს, აღიწერა, დიდება ღმერთსა.

მეორე წარწერის ტექსტის ექვთიმე თაყაიშვილისეული გადმონაწერი:

1. ქშევწირე. მეფე გორგასალმ. ჩემი სულისო
2. ხოთ დუსბამთ. მამული. ზეით და ქვითჩი
3. ლური. ჭერმის ხედი შობელს. თვისიზვრ
4. ით წყრო წისქვილით. მთითბრით
5. რცმებტონემ შეშლოს წყეული
6. იყოს ხვდისგნ. ცისად მიწისგნ
7. ყოველი ღვდელთვრისგნ კრებულ
8. იანგელოზისგნ. დყოველი მუშკ
9. ცისგნ. რმც მებტნემ. გამო
10. სწიროს შეჩვენებული სული ეშმ
11. კშეწიროს. დვით ჭერმელი არისა
12. მგუჯრების დამწერი წყლობ
13. თმამიხსენ
14. მოურვი ზქრია. არჩილ შენდობი
15. არიეს

ექვთიმე, წარწერის ტექსტის გადმონაწერის მოტანის შემდეგ ამბობს, რომ წარწერას „განზე“ უწერია ჯერ „აგ“, შემდეგ ჩართულის მსგავსი წარწერაა, ისეთი როგორც პირველ ქვაზე, და შემდეგ სწერია „ტუ“.

მეორე სიგელის ექვთიმესეული ნაკითხვა:

ქ. შევწირე მეფე გორგასალმა ჩემი სულის საოხად დაუსაბამოდ მამული ზევით და ქვეეთი ჩილური ჭერემის ღვთის მშობელს თავისი ზვარით, წყარო წისქვილით, მთით, ბარით. რამანც მებატონემ შეშალოს, წყეული იყოსა ღვთისაგან, ცისა და მიწისაგან, ყოველომღვდელ-მთავრისაგან, კრებული ანგელოზისაგან და ყოველი მუშა კაცისაგან. რამანც მებატონემ გამოსწიროს, შეჩვენებული სული ეშმაკს შეწიროს. დავით ჭერემელი არის ამ გუჯრების დამწერი. წყალობით მამიხსენეთ მოურავი ზაქარია. არჩილ შენდობილ არის (არიეს) (თაყაიშვილი 1901:№1362).

როგორც ვხედავთ, ორივე გუჯარი შესრულებული ყოფილა ქვის თხელ ფიცარზე. ქვებს წარწერები მისდევდა, როგორც მის პირისა და ზურგის მხარეზე, ასევე განივ ჭრილზეც. პირველი ქვის სიგრძე ყოფილა 5 გოჯი ანუ დაახლოებით 20 სმ, ხოლო სიგანე 1 2/3 გოჯი ანუ დაახლოებით 6.66 სმ. მეორე წარწერას ჰქონია სიგრძე 3 2/3 გოჯი ანუ დაახლოებით 14,66 სმ, ხოლო სიგანე კი 1 1/2 გოჯი ანუ დაახლოებით 6 სმ. ექვთიმეს თქმით, აღნიშნული ქვის ფიცრებს ჰქონიათ დანის სალესი ქვის ფორმები, რომლებზეც წარწერები მხედრული დამწერლობით იყო შესრულებული. ისტორიკოსი პირველი წარწერის ტექსტს ჰყოფს 17 სტრიქონად, ხოლო მეორე წარწერისას კი, 15 სტრიქონად.

რაც შეეხება ამ საბუთთა შინაარსს, პირველი დოკუმენტის მიხედვით, მეფე გორგასალი თუშებს წყალობის სახით აძლევს მტკვარსა და იორს შორის მდებარე მამულს თავის მთით, ბარით, სახნავითა და სათესით. უფრო კონკრეტულად, იმ ტერიტორიას, სადაც თავს იყრიდა დოლუზმდარა, ხვარბლიანი და ბახტრიონი, ქვევით – ბაბანაურის ფშავამდე. აღნიშნულ ტერიტორიას გორგასალ მეფე თუშებს აძლევს იმ სამსახურის სანაცვლოდ, რომელიც მათ მიუძღოდათ მეფის წინაშე. მათ მოუკლავთ ფარსმელი ალვანიშვილი გველეთისა და ელდარის ციხეების აღების დროს. სწორედ აღნიშნული დამსახურების სანაცვლოდ გორგასალ მეფე აძლევს მათ კონკრეტულ წყალობას. გარდა ამისა, მეფისაგან თუშებს მიუღიათ საგადასახადო შეღავათი – ფარაზე ერთი ცხვრის მეტი არ ეთხოვებოდათ. აღნიშნული საბუთის გამრიგეებად დასახელებულნი არიან: არჩილ ბატონიშვილი, ზაქარია მოურავი, ხოლო საბუთის დამწერად მოხსენიებულია დავით ჭერემელი.

მეორე საბუთის მიხედვით, გორგასალ მეფე ჭერემის ღმრთისმშობელს სნორავს ზედა და ქვედა ჩაილურს მისი ზვრით, წყაროთი და წისქვილით. პირველი დოკუმენტის მსგავსად, აღნიშნული საბუთის დამწერად კვლავ დავით ჭერემელი გვევლინება. ასევე იხსენიებიან მოურავი ზაქარია და არჩილი.

მოცემულ სტატიაში, ექვთიმე თაყაიშვილი საუბრობს გუჯრებში მოხსენიებულ ჭერემის ეკლესიაზე, მოჰყავს ვახუშტის ცნობა, რომლის თანახმადაც, ვახტანგ გორგასალს ჭერემში აუშენებია ეკლესია და იქ ეპისკოპოსი დაუსვამს. ექვთიმე ჩამოთვლის ჭერემის ეპისკოპოსთა შორის აქამდე ცნობილ პირებს: 1. ანტონს, რომელიც XVI საუკუნის დასასრულს ცხოვრობდა, და რომელიც მიეგება რუსის ელჩს ტატიშჩევს; 2. დანიელს, რომელმაც ვახტანგ VI-ის დროს იმოგზაურა პალესტინაში; 3. ევლოგს, რომელიც გაემგზავრა რუსეთში 1795 წელს და გარდაიცვალა მოსკოვში 1801 წელს. რაც შეეხება გუჯრებში მოხსენიებულ დავით ჭერემელს, ექვთიმე თაყაიშვილი მას არ იცნობს.

ამის შემდეგ, ე. თაყაიშვილი ასკვნის: „ზემო მოყვანილ გუჯრებში მოხსენიებული ბატონიშვილი და მეფე არჩილი ჩვენის აზრით არის არჩილ პირველი ანუ შაჰ-ყული-ხანი, ძე ქართლის მეფის ვახტანგ მეხუთისა, ავტორი ცნობილის კრებულის არჩილიანისა. არჩილი მეფედ იყო კახეთში (1664-1675 წწ.)“ (თაყაიშვილი 1901:№1362).

ამდენად, ავტორი ეპიგრაფიკულ საბუთებში მოხსენიებულ არჩილ ბატონიშვილს აიგივებს მეფე არჩილ II-სთან და, შესაბამისად, გუჯრების თარიღს XVII საუკუნის II ნახევრით განსაზღვრავს.

გარდა დავით ჭერემელისა და არჩილ ბატონიშვილისა, მეცნიერი ცდილობს გაარკვიოს საბუთებში მოხსენიებულ მოურავ ზაქარიას ვინაობა. ავტორის თქმით, ზაქარია უნდა ყოფილიყო ქიზიყის მოურავი, გვარად ენდრონიკაშვილი, რომელიც მოგვიანებით ბერად შემდგარა და მარტყოფის, წმიდა ანტონის მონასტერში, წინამძღვრად ყოფილა. 1699 წელს მას სამრეკლო აუშენებია. ავტორს, ამის არგუმენტად მოჰყავს მარტყოფის სამრეკლოზე არსებული წარწერის ტექსტი:

1. „ჩვენ: მ¯ნდობილმან: ძალისა მღთა
2. ებისამან: საჭეთ: მპყრობელმან საყდრისა: ამისამან:
3. ენდრონიკაშვილმან: ქისკის მოურავის ძემან: ზაქარი
4. ამ ‍ველვყავ ძირითგან აღშენებად სამრეკლოსა ამის
5. სახსენებლად: სულისა ჩუენისა და ცოდვათა ჩვენთა
6. შესანდობელად: ამინ: მას ჟამსა ოდეს განაგებდა მეფობასა
7. საქართველოსასა მეფე: ჰერეკლე: ძისწული მეფის თეიმურაზისა ქ¯კს ტპზ“ (თაყაიშვილი 1901:№1362).

ამრიგად, ე. თაყაიშვილი მარტყოფის მონასტრის სამრეკლოს წარწერასა და გუჯრებში მოხსენიებულ ზაქარიას ერთსა და იმავე პირად მიიჩნევს და ამბობს, რომ გუჯრები უფრო ადრინდელ დროს ეკუთვნიან, ვიდრე სამრეკლოს წარწერა. გუჯრების დაწერის თარიღს არჩილის კახეთში მეფობის, კერძოდ კი, 1664-1675 წლებით განსაზღვრავს. დავით ჭერემელსაც ამავე პერიოდის მოღვაწედ თვლის. რაც შეეხება ქვის სალესი ქვის განზე მიწერილ გრაფემებს, ავტორი მათ ქორონიკონად არ მიიჩნევს. თუმცა, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მათში (იგულისხმება განზე მიწერილ გრაფემები, - თ.გ.) თარიღის გამოხატვა სდომებიათ და ველარ მოუხერხებიათ. იქვე აღნიშნავს, რომ თუ მათ (იგულისხმება ასოები, - თ.გ.), თარიღის აღმნიშვნელ გრაფემებად მივიჩნევთ, შეიძლება გაჭირვებით ამოვიკითხოთ „ტუ“ ასოები, რომელთა ქორონიკონი 1702 წელს გვაძლევს, მაგრამ ავტორი, იქვე აღნიშნავს, რომ ეს შეუძლებელია და გაურკვევლობას მწიგნობრის უვიცობას აბრალებს. მისი თქმით, „გუჯრები მთის ქართველების ენის კილოთია ნაწერი, დავით ჭერემელი თვით მთიელებისგან უნდა ყოფილიყოს“. ბოლოს კი ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ეს საბუთები განსაკუთრებით ყურადსაღებია იმით, რომ ისინი ქვაზე ნაწერი გუჯრების პირველ მაგალითს წარმოადგენენ.

როგორც ვნახეთ, ექვთიმე თაყაიშვილი გუჯრებს XVII საუკუნის II ნახევრით ათარიღებს, კერძოდ კი მის ქრონოლოგიას არჩილ მეფის კახეთში მეფობის პერიოდით ანუ 1664-1675 წლებით განსაზღვრავს.

სანამ ჩვენი ნაშრომის მსჯელობით ნაწილზე გადავიდოდეთ, საინტერესოა ქართულ სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებული მოსაზრებები აღნიშნულ წარწერების შესახებ.

პირველად, ეს წარწერები გაკვრით აქვს მოხსენიებული ვალერი სილოგავას თავის 1972 წლის ნაშრომში *ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში.*

მეცნიერი შესავალ სტატიის შესავალ ნაწილში აღნიშნავს რა, რომ ქართული ეპიგრაფიკის დიპლომატიკური საკითხები საგანგებოდ არავის უკვლევია, იქვე დასძენს, რომ „თუმცა, ჯერ კიდევ ექ. თაყაიშვილისეულ პუბლიკაციებში ვხვდებით საგანგებო მითითებებს ზოგიერთ მათგანზე, როგორც იურიდიული შინაარსის აქტზე“ (სილოგავა 1972: 143).

ამის შემდეგ იგი სქოლიოში უთითებს ექვთიმეს მიერ ამ მიმართულებით გამოქვეყნებულ სტატიებს: თონეთის ეკლესიის კავთელ ნადირაასძეთას წარწერასა და ჩვენთვის საინტერესო ორ ქვაზედ დაწერილ გუჯარს.

მეორედ აღნიშნული საბუთები მოაქვს აბრამ შავხელიშვილს თავის 1977 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში *აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან (თუშეთი XVI-XIX ს, I ნახევარში).*

ავტორი შესავალ ნაწილში მიმოიხილავს რა თუშეთის შესახებ დაცულ ქართულ ნარატიულ და დიპლომატიკური ძეგლების მონაცემებს, ყურადღებას ამახვილებს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოკვლეულ ქვაზე დაწერილ გუჯრებზე:

> ე. თაყაშვილისათვის თუშეთი სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა, მაგრამ მის მიერ მიკვლეული და შესწავლილი ორი გუჯარი, ქვაზე დაწერილი XVII საუკუნეში, ჩვენთვის მეტად საყურადღებოა. ამ გუჯრების მიხედვით, თუშების განვითარებული მეცხოველეობის საზამთრო სადგომებად გამოყოფილია ივრისა და მტკვრის აუზები. ეს საბუთი საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ კლასობრივ დიფერენციაციას, რომელიც მესაქონლეობაში, კერძოდ მეცხოველეობაში, შეიმჩნეოდა (შავხელიშვილი 1977: 11).

აბრამ შავხელიშვილმა სრული ნდობა გამოუცხდა აღნიშნული გუჯრების ექვთიმესეულ დათარიღებას და მის მსგავსად, ისინი XVII საუკუნის საბუთებად მიიჩნია.

სულ ეს არის და ეს, რაც იცის ქართულმა ისტორიოგრაფიამ აღნიშნული წარწერების შესახებ.

მას შემდეგ, რაც ვაჩვენეთ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები ჩვენთვის საინტერესო საბუთების შესახებ, ამის შემდეგ გვიჩნდება ლოგიკური კითხვა - თუ რამდენად შეესაბამება რეალობას აღნიშნული ორი წარწერის ექვთიმე თაყაიშვილისეული დათარიღება?

ამისათვის კიდევ ერთხელ მოვუბრუნდებით აღნიშნული წარწერების ექვთიმესეული დათარიღებას. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ექვთიმე თაყაიშვილი ამ დოკუმენტებში მოხსენიებულ არჩილ ბატონიშვილსა და არჩილს ვახტანგ V (1658-1675 წწ.) შაჰნავაზის შვილ არჩილ მეფედ მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, ამავე პერიოდის მოღვაწეებად ასახელებს იგი ამ საბუთებში მოხსენიებულ დავით ჭერემელსა და ზაქარია მოურავს. ავტორის მიერ გამოთქმული ეს შეხედულება არ არის სარწმუნო არჩილ ბატონიშვილთან მიმართებაში, რადგან არც ერთ მოყვანილ საბუთში არჩილი მეფედ არ იხსენიება. პირიქით, პირველ შემთხვევაში ის ბატონიშვილად, ხოლო მეორე შემთხვევაში უბრალოდ სახელით არის მოხსენიებული.

ასევე არადამაჯერებელია მკვლევრის მიერ წარწერებში მოხსენიებული ზაქარია მოურავის გაიგივება მარტყოფის ეკლესიის სამრეკლოს 1699 წლის წარწერაში მოხსნიებულ ქიზიყის მოურავის ძე ზაქარია ანდრონიკაშვილთან. როგორც წარწერიდან ჩანს, მარტყოფის მონასტრის სამრეკლოს წარწერაში ნახსენებია არა ზაქარია მოურავი, როგორც ამას თვლის ექვთიმე თაყაიშვილი, არამედ ქიზიყის მოურავის ძე ზაქარია ანდრონიკაშვილი.

როგორც ირკვევა, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება არჩილ ბატონიშვილთან და ზაქარია მოურავთან დაკავშირებით არ შეესაბამება რეალობას და, შესაბამისად, მისი დათარიღებაც აღნიშნული საბუთებისა XVII საუკუნის II ნახევრით ანუ 1664-1675 წლებით არ არის მართებული.

თუ ეს ასეა, მაშინ რა დროით უნდა განისაზღვროს აღნიშნული ორი საბუთის ქრონოლოგია?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ორივე საბუთის გამცემ გორგასალ მეფის პიროვნებაზე, რომლის სახელს ექვთიმე თაყაიშვილი ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო გვერდს უვლის. იმავდროულად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გორგასალ მეფე ორივე საბუთში მეფედ იხსენიება და, შესაბამისად, ამ ორი სიგელის გამცემია.

მას შემდეგ, რაც ჩვენ დავინტერესდით მეფე გორგასალის პიროვნებით, თვალი გავადევნეთ ქართულ საისტორიო საბუთებს, რის შედეგადაც ბაგრატიონთა სამეფო ოჯახიდან ორი გორგასალი გამოიკვეთა:

1. ქართლის მეფის დავით X-ის ძმის, ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟი – გორგასალი (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991: 220).

2. ერეკლე I ნაზარალიხანის რიგით მერვე ვაჟი – გორგასლან/გურგასლანი (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991: 275).

პირველი, ქართლის მეფის დავითის ძმისწული გორგასალი უნდა გამოირიცხოს, რადგან ის ქართლის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი იყო და ძნელად დასაჯერებელია, რომ მას პრეტენზია ჰქონოდა კახეთის სამეფოს ტახტზე. რაც შეეხება მეორე ვერსიას, ერეკლე I ნაზარალიხანის ძე გორგასლან/ გურგასლანს, ეფიქრობთ, რომ იგი ამ შემთხვევაში უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს.

ერეკლე I ნაზარალიხანის ძე გორგასლან/გურგასლანი მხოლოდ ორ ისტორიულ საბუთში იხსენიება.

გთავაზობთ ამ ორი საბუთის ტექსტიდან ჩვენთვის საინტერესო ადგილებს:

1. პირველი დოკუმენტი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის Hd-2521 ფონდში და წარმოადგენს სითარხნის წიგნს, რომელიც ბოძებულია 1697 წელს ერეკლე I ნაზარალიხანის მიერ ფარემუზ ჯავახიშვილისადმი. დოკუმენტის ჩვენთვის საინტერესო ნაწილი ასე გამოიყურება: „...ჩუენ, მ[ე]ფედ მეფემან | და ჴელმწიფემან, პატრონმან ნაზარალიხან და

თანამეცხედრ|ემან ჩვენმან, დედოფალთ დდოფალმან, პატრონმან ანნამ და ძე|<ე>მან ჩვენმან სასურველმან პატრონმან იმანყულიმ, პატრონმან | კოსტანდილემ და გურგასლან..." ხეც. Hd №2521).

2. მეორე დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივშის ფონდში ნომრით 1448-45; დოკუმენტი წარმოადგენს წყალობის წიგნს, რომელიც 1697 წლის 13 სექტემბერს ერეკლე I ნაზარალიხანმა პაპუა სამლაღანაშვილს უბოძა. ამ დოკუმენტში ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი ასე გამოიყურება: „...მეფეთ | მეფემ{ა}ნ და თვით ჴელმწიფემ{ა}ნ, პატრონმ{ა}ნ ნაზარალიხ{ა}ნ და თა|ნამეცხედრემ{ა}ნ ჩვენმ{ა}ნ, დედოფალთ დედოფალმ{ა}ნ პატრონმან | ანამ, პირმშომ{ა}ნ და სასურველმ{ა}ნ ძემ{ა}ნ ჩვენმ{ა}ნ, პატრონ{ა}ნ იმამყ|ულიმ და პატრონმ{ა}ნ მამ{ა}დყულიმ და პატრონ{ა}ნ გ<ი>{ო}რგასლ{ა}ნ..." (სეა, 1448-45).

გორგასლან/გურგასლანთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა მიხეილ ქავთარიას 1978 წელს გამოქვეყნებული სტატია სახელწოდებით *ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის გენეალოგია და ქრონოლოგია (XVII-XVIII სს.)*, სადაც ავტორი ცალ-ცალკე განიხილავს ერეკლე I ნაზარალიხანის შვილებს ქართულ საისტორიო საბუთებზე დაყრდნობით. მეცნიერი ერეკლე I-ის რიგით მერვე ვაჟის გორგასლანთან დაკავშირებით იმოწმებს ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ 1697 წლის დოკუმენტის დასაწყის ნაწილს:

„...ნაზარალიხან, თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან ანამ და ძემან ჩვენმან სასურველმან იმანყულიმ, პატრონმან კონსტანტინემ და გურგასლან, ესე ამიერით გასათავებელი წიგნი გიბოძეთ". გურგასალი სხვაგან ვერსად დავადასტურეთ (არ ვგულისხმობთ Sd-46), რომელიც ციტირებული დოკუმენტის ნუსხაა). არ გამოვრიცხავთ ერთ შესაძლებლობას, რომ გიორგი და გურგასლანი ერთი და იგივე პირის ორი სახელი იყოს. თუმცაღა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ნაკლები შანსებია ოფიციალურ სამეფო დოკუმენტებში მეფისწულთა სახელების აღრევისა. არც ამ გურგასლანის შესახებ ვიცით სხვა რამე" (ქავთარია 1978: 234).

როგორც ვხედავთ, ავტორი აღნიშნული გორგასლანის შესახებ მხოლოდ ერთ, 1697 წლის დოკუმენტს იცნობს, რომელიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის Hd-კოლექციაში 2521-ე ნომრით არის განთავსებული. გარდა ამისა, მას ნაკლებ დამაჯერებლად მიაჩნია, რომ ერთსა და იმავე პირს (მხედველობაში აქვს გორგასლანი) ორი სახელი – გიორგი და გორგასლანი ჰქონოდა.

საქართველოს ეროვნული არქივის 1697 წლის წყალობის სიგელი კიდევ ერთხელ ადასტურებს დოკუმენტურად მიხეილ ქავთარიას გამოთქმულ ვარაუდს გორგასლანთან დაკავშირებით, რომ ერეკლე I-ს, მართლაც, ჰყავდა შვილი სახელად – გურგასლან/გორგასლანი.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ექვთიმესათვის ასევე გაურკვეველი რჩება წარწერათა გასწვრივ მიწერილი გრაფემების დანიშნულება, თუმცა უშვებს შესაძლებლობას, რომ ისინი ქორონიკონის ასო-ნიშნები შეიძლება იყოს. მას გაჭირვებით ამოუკითხავს „ტყ" გრაფემები რომლებიც, მისივე თქმით, 1702 წელს შეესაბამება. თუმცა აღნიშნული თარიღი მიუღებლად მიიჩნია.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, აღნიშნულ ორ საბუთში მოხსენებული მეფე გორგასალი არის ერეკლე I ნაზარალიხანის რიგით მერვე ვაჟი – გურგასლან/გორგასლანი.

თუმცა აქ ჩნდება ერთი წინააღმდეგობა: 1697 წლიდან ქართულ საისტორიო საბუთებში ერეკლე I-ის ვაჟებს შორის გურგასლან/გორგასლანი ქრება. რით შეიძლება აიხსნეს ეს წინააღმდეგობა?

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შეიძლება მოიძებნოს რამდენიმე ახსნა:

1. შესაძლოა, 1697 წელს გურგასლან/გორგასლან ბატონიშვილი აუჯანყდა თავის მამას და ძმებს, გამაგრდა თუშეთში და თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა. სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული მისი სახელის გაქრობა ქართული საისტორიო საბუთებიდან. მან, როგორც ჩანს, თავისი მამის გზა აირჩია. თუ გავიხსენებთ XVII საუკუნის 60-იან წლების დასაწყისში ვახტანგ-არჩილისა და ერეკლე ბატონიშვილის დაპირისპირებას კახეთის სამეფო ტახტისათვის, იქ ერეკლე ბატონიშვილის ძირითად დასაყრდენს ქართლელი ბაგრატიონების წინააღმდეგ სწორედ თუშები წარმოადგენდნენ. აღნიშნული მოვლენები კარგად არის გაშუქებული დავით ჟღენტის ნაშრომში „შინაფეოდალური ბრძოლა XVII ს-ის 60-70-იანი წლების აღმოსავლეთ საქართველოში"(ჟღენტი 1994: 42-60).

2. აგრეთვე, შესაძლებელია, დავუშვათ ის შემთხვევაც, რომ გურგასლან/გორგასლანი მოქმედებს არა მამის წინააღმდეგ, არამედ მასთან შეთანხმებით კახეთში ირანის მიერ დანიშნული ყიზილბაში ხანების წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, 1677 წელს ირანის შაჰმა ქართლის მეფედ გიორგი XI დაამტკიცა, თუმცა ამის პარალელურად, კახეთში ყიზილბაში ბეჟან ხანი (1677-1683 წწ.) დასვა მმართველად და ამის შემდეგ, 1703 წლამდე კახეთს ყიზილბაში ხანები მართავდნენ (ჯამბურია 1973: 350). მას შემდეგ (1688 წ.), რაც ერეკლე I ნაზარალიხანი ქართლის სამეფო ტახტზე დაამტკიცეს, რა თქმა

უნდა მას პრეტენზია ექნებოდა კახეთის სამეფოზეც, როგორც მის ლეგიტიმურ სამფლობელოზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ერეკლე, თავისი ვაჟის გურგასლან/გორგასლანის მეშვეობით შეეცადა კახეთში ბოლო მოეღო ყიზილბაშთა მმართველობისთვის. თუ პირველ ქვაზე დაწერილ საბუთის შინაარსიდან ამოვალთ, ვნახავთ, რომ გორგასალ მეფის ძირითად დასაყრდენს, ყიზილბაში ხანების წინააღმდეგ, თუშები წარმოადგენენ, რომელთა მეშვეობითაც, იგი ცდილობდა აღედგინა მისი ლეგიტიმური უფლება კახეთის სამეფოზე.

გარდა აღნიშნული წინააღმდეგობებისა, ქვაზე შესრულებულ საბუთების ტექსტში, მოწმეთა შორის იხსენიება, ვინმე არჩილი/არჩილ ბატონიშვილი, რომელსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ე. თაყაიშვილი აიგივებს მეფე არჩილ II-სთან, მიუხედავად იმისა, რომ საბუთის შინაარსი, მას ამის თქმის უფლებას არ აძლევდა. ამ მიმართულებით, ჩვენ გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ საბუთებში მოხსენიებული არჩილი/არჩილ ბატონიშვილი, შესაძლოა იყოს მეფე გორგასალის ვაჟი.

ამავდროულად, ე. თაყაიშვილის მიერ „გაჭირვებით ამოკითხულ“ „ტუ“ გრაფემებს, ჩვენ ქორონიკონად მივიჩნევთ, რაც 1702 წელს გვაძლევს, მაგრამ აქვე გვინდა აღვნიშნოთ ის, რომ ავტორის მიერ გაჭირვებით ამოკითხულ „ტუ“ გრაფემების გვერდით შესაძლოა ყოფილიყო კიდევ სხვა გრაფემა, რომლის ამოკითხვაც ავტორმა ვერ მოახერხა. თუ აღნიშნულ მოსაზრებას მივყვებით, საბუთი შედგენის თარიღად შესაძლოა იყოს როგორც 1702, 1703, 1704 და ა შ. ამის საფუძველზე, გუჯრების თარიღს XVII საუკუნის II ნახევრით კი არა, როგორც მათ ექვთიმე თაყაიშვილი ათარიღებს, არამედ არამედ XVIII საუკუნის პირველი ათიანი წლებით განვსაზღვრავთ.

ჩვენ შეგვიძლია, კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ აღნიშნული გუჯრების ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთი, ამის საშუალებას გვაძლევს 1709 წლის ნინოწმინდელი ეპისკოპოსის შეწირულების წიგნი, მიცემული დოდორქის მონასტრისადმი (ხეც. Ad №2521).

აღნიშნულ შეწირულების წიგნში უკვე მოწმედ ნიკოლოზ ჭერემელი იხსენიება. ერთი მხრივ, მხედველობაში ვიღებთ ექვთიმეს მიერ ამოკითულ გუჯრების თარიღს – ქორონიკონს „ტუ“, რაც 1702 წელს უდრის, ხოლო, მეორე მხრივ, ვითვალისწინებთ 1709 წლის შეწირულების საბუთს, სადაც უკვე ჭერემელად ნიკოლოზია დასახელებული და ყოველივე ამის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, აღნიშნული ორი საბუთის ქრონოლოგიას არა XVII საუკუნის II ნახევრით, ან XVIII საუკუნის დასაწყისით, არამედ შვიდწლიანი შუალედით – 1702-1709 წლებით განვსაზღვრავთ.

ამრიგად, XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე შედგენილ საისტორიო საბუთების ურთიერთშეჯერების საფუძველზე მეტად საინტერესო დასკვნებამდე მივედით:

1. აღნიშნულ ორ საბუთში მოხსენიებულ მეფე გორგასალს ერეკლე I-ის რიგით მერვე ვაჟად – გურგასლან/გორგასლანად მივიჩნევთ.

2. როგორც ჩანს, 1697 წლის შემდეგ ერეკლე I-ის რიგით მერვე ვაჟი – გურგასლან/გორგასლანი აუჯანყდა თავის მამას და თუშების დახმარებით თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა. / ან თავის მამასთან შეთანხმებით იბრძოდა ყიზილბაში მმართველების წინააღმდეგ კახეთში ლეგიტიმური უფლებების აღსადგენად.

3. გორგასალ მეფის ორი საბუთის ქრონოლოგიას XVII საუკუნის II ნახევრის ანუ 1664-1675 წლების ნაცვლად, შვიდწლიანი შუალედით – 1702-1709 წლებით განვსაზღვრავთ.

4. გორგასალ მეფის ორ საბუთში მოხსენიებული არჩილი/არჩილ ბატონიშვილი ვახტანგ V-ის ვაჟად, არჩილ მეფედ კი არ მივიჩნიეთ, როგორც ამას ფიქრობდა ექვთიმე თაყაიშვილი, არამედ გამოვთქვით ფრთხილი ვარაუდი მისი გორგასალ მეფის შვილად მიჩნევის შესახებ.

5. ჩვენთვის საინტერესო გუჯრებში მოხსენიებული დავით ჭერემელი დღემდე უცნობ, XVIII საუკუნის პირველ ჭერემელ ეპისკოპოსად გვევლინება, რომლის მწყემსთავრობის ზედა ზღვარს – 1709 წლით განვსაზღვრავთ.

შენიშვნები

[1] სტატიაზე გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს – ქალბატონ მზია სურგულაძეს.

[2] გოჯი, მანძილი ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე. იხმარებოდა სიგრძის საზომად (უდრის დაახლ. 4 სმ.) (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1990: 326-327).

დამოწმებანი

თაყაიშვილი 1901: №1362: ე. თაყაიშვილი. ორი ქვაზედ დაწერილი გუჯარი, გაზ. *ცნობის ფურცელი,* №1362.

პირთა ანოტირებული ლექსიკონი 1991: პირთა ანოტირებული ლექსიკონი (XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით), გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა. მ. სურგულაძემ. ე. ცაგარეიშვილმა. გ. ჯანდიერმა, თბილისი, მეცნიერება.

ჟღენტი 1994: დ. ჟღენტი. შინაფეოდალური ბრძოლა XVII ს-ის 60-70-იანი წლების აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, მეცნიერება.

სეა, 1448-45: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1448, საბუთი №45.

სილოგავა 1972: ვ. სილოგავა. ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის *მაცნე,* №4.

ქავთარია 1978: მ. ქავთარია. ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის გენეალოგია და ქრონოლოგია (XVII-XVIII სს.). მრავალთავი ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. ტ. VI, თბილისი, მეცნიერება.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1990: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ნაკვეთი პირველი. ა-ლ. თბილისი.

შავხელიშვილი 1977: ა. შავხელიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან (თუშეთი XVI-XIX ს, I ნახევარში), თბილისი, მეცნიერება.

ხეც: კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ქართული ისტორიული საბუთების Ad კოლექცია. საბუთი №508.

ხეც: კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ქართული ისტორიული საბუთების Hd კოლექცია. საბუთი №2521.

ჯამბურია 1973: გ. ჯამბურია. საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს. 30-90-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

"TWO DOCUMENTS WRITTEN ON STONE" AND THEIR SIGNIFICANCE FOR HISTORY OF THE KINGDOM OF KAKHETI AT THE BEGINNING OF THE EIGHTEENTH CENTURY

Tamaz Gogoladze

Georgian acta are authentic sources for studying history of Georgia. Legal acts carved in stone belong to a separate group of historical documents.

The paper concerns two documents written on the stone surfaces. Information about the texts under the title *Two Documents Written on Stone* was published by Eqvtime Takaishvili in a newspaper *Tsnobis Purceli*, issue no. 1362 of January 23, 1901. By that time the texts were kept at the library of the *Society for Spreading the Literacy*. Unfortunately, we did not succeed in identifying recent location of the above-mentioned texts. Probably they were lost or obliterated after 1901.

According to the first document, King Gorgasali donated territory with its mountain, valley and cultivated land to the Tushetians in return for certain services to the King. The Tushetians killed Alvanishvili from Parsma during the capture of Gveleti and Eldari fortresses. It was for this service King Gorgasali donated them the land. Apart from this, the Tushetians were granted a tax reduction by the King: only one sheep per flock. Prince Archil and *mouravi* (appointed royal official) Zakaria are mentioned as overlookers. Bishop Davit of Cheremi wrote the document.

According to another document, King Gorgasali had donated the Upper and Lower Chailuri with its fields, spring and mill to the Mother of God of Cheremi. This document was also written by Bishop Davit of Cheremi. Prince Archil and *mouravi* Zakaria are also mentioned in the document.

Eqvtime Takaishvili considered that Prince Archil is a future King Archil II. Based on this consideration, he dated the document to the second half of the seventeenth century, or more precisely, to the years of the King's reign, 1664-1675. Date of the document suggested by Eqvtime Takaishvili was accepted in Georgian historiography (A. Shavkhelishvili).

Based on the comparative analysis of the historical documents under consideration, both compiled on the turn of the seventeenth to eighteenth century, we have come to the following conclusions: a) in our opinion, King Gorgasali mentioned in the document is Gurgaslan / Gorgaslan, the eighth son of King Erekle I; b) one can suppose that Gurgaslan / Gorgaslan, the eighth son of King Erekle I, rebelled against his father and announced himself the King of Kakheti under the support of the Tushetians. Another scenario is also possible: Gorgasali strove against the Iranians in coordination with his father for restoration of legitimate rights in Kakheti; c) we date the above two documents issued by King Gorgaslani to 1702-1709, instead of 1664-1675 as was accepted earlier; d) in difference from Eqvtime Takaishvili, we don't think that Archil / Prince Archil mentioned in the above two documents was the son of King Vakhtang V. According to our cautious assumption, Archil was the son of King Gorgasali. d) Davit of Cheremi mentioned in the documents is yet unknown bishop of Cheremi Bishopric. We consider 1709 as the upper chronological limit of the bishop's rule.

როდის იწოდა სარმატული სამყარო ალანეთად?

ალანთა შესახებ ჩინური ცნობის წარმომავლობა

ვახტანგ გოილაძე

ამ ბოლო წლებში სხვა საკითხებთან ერთად ოსთა წინაპრების ისტორიაზეც მომიხდა მუშაობა. საშუალება მომეცა უფრო ღრმად გამეანალიზებინა ჩვენი ძველი მეზობლების – ოსების წინაპრად მიჩნეული ალანების ეთნოგენეზისა და განსახლების არეალთან დაკავშირებული პრობლემები. ქვემოთ ერთ-ერთ ასეთ საკითხზე მექნება საუბარი.

ძვ. წ. VII საუკუნეში მდინარე ვოლგის დასავლეთით გადასული სარმატული მოდგმის ტომებიდან ძვ. წ. II-I საუკუნეებისათვის: როქსოლანების, იაზიგების, სირაქებისა და აორსების გაერთიანებები იყო ჩამოყალიბებული. ახ. წ. I ს-ის 30-იან წლებში ჩრდილო აზოვისპირეთში ალანთა მთებიდან (Αλανου Ορος)[1] ჩამოსული „ცხენმრავალი" ალანთა გაერთიანება (იმხანად ისინი სკვით-ალანებად იწოდებოდნენ) იქვე მომთაბარე იაზიგებს დაუპირისპირდა და ჩრდილო აზოვისზღვისპირეთიდან დასავლეთისაკენ განდევნილი – გადასახლებული იაზიგების[2] კვალდაკვალ დუნაისპირეთში გამოჩნდა. დუნაისპირეთში ალანები გერმანულ და სხვა სარმატულ ტომებთან ერთად ისე აქტიურად ჩაებნენ რომის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლებში, რომ ჩქარა მათმა სახელმა სხვა სარმატული ტომების (იაზიგების, როქსოლანების, სირაქების, აორსების და სხვათა) სახელები გადაფარა. I საუკუნისა და შემდგომი ხანის რომაელი ავტორებისათვის *სარმატი* და *ალანი* იდენტური შინაარსის ტერმინები გახდა (გამყრელიძე 1973: 55).

სარმატული მოდგმის ტომების ალანებად მოხსენებას ევროპელი ავტორებიდან ოფიციალურად ამიანუს მარცელინუსმა (გარდაიცვალა ახ. წ. 400 წელს) დაუდო სათავე. მაგრამ, თუ ქვემომოტანილ ჩინური ცნობის დღეისათვის მიღებულ ერთ-ერთ დათარიღებას (ძვ.წ. II ს.) გავიზიარებთ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ ტენდენციას უფრო ადრე უნდა ჩაყროდა საფუძველი. თვით ამიანუს მარცელინუსი *რომის ისტორიის* XXIII წიგნში, რომელშიც ახ. წ. 363 წლის ამბებს გადმოგვცემს, ალანების ვრცელ ტერიტორიაზე განსახლების შესახებ ჯერ კიდევ არ მიუთითებს. ყურადღებას უფრო მეტად სკვითებზე ამახვილებს. ალანებს, სკვითებსა და სარმატებს ცალ-ცალკე ასახელებს.

> ადგილებში, სადაც მთავრდება იმავიისად და აპურიისად წოდებული მთები სპარსეთის მხარეში ცხოვრობენ სკვითები, რომლებიც ესაზღვრებიან აზიელ სარმატებს და ემეზობლებიან ალანთა მიწების განაპირა საზღვრებს. დედამიწის დაშორებულ კუთხეებში გაფანტულნი, განმარტოებას შეჩვეულები, ისინი ცხოვრობენ ერთმანეთისაგან შორს, კმაყოფილდებიან მწირი და ღარიბული საკვებით (კულაკოვსკი, სონი 2005:307).

ამიანუსი ევროპისა და აზიის საზღვრად რადგან მდინარე ტანაისს (მდინარე დონი) თვლიდა (კულაკოვსკი, სონი 2005:540), მის მიერ დასახელებულ „ალანთა მიწების განაპირა მხარეში", ცხადია, მდინარე დონის დასავლეთით მდებარე მიწები ივარაუდება. მდინარე დონის აღმოსავლეთით მდებარე ველები, მართლაც, აზიელი სარმატების (ამ შემთხვევაში, სირაქებისა და აორსების) მომთაბარეობის არეალი იყო.

ზემომოტანილი მონათხრობიდან სულ რაღაც 10/15 წლის გასვლის შემდეგ, როცა ამიანუსი XXXI წიგნს (ეს წიგნი 375/378 წლების ამბებს ასახავს) ადგენდა, იგი უკვე ალანთა განსახლების არეალს ეხება.

> ამ მდინარის (ე. ი. მდ. ტანაისის – ვ. გ) გადაღმა ალანებს უჭირავთ სკვითური უდაბნოს[3] განუზომელი სივრცე. მათი სახელი მომდინარეობს მთების სახელიდან.[4] თანდათანობით, მრავალრიცხოვანი გამარჯვებებით, მათ დაიმორჩილეს მეზობელი ხალხები და მათზე განავრცეს თავიანთი სახელი ისე, როგორც ეს სპარსელებმა გააკეთეს (კულაკოვსკი, სონი 2005: 540).

ამის შემდეგ ამიანუსი ალანთა მიერ დამორჩილებული ხალხების განსახლების ადგილებს, ჩაცმულობასა და ზნე-ჩვეულებებს გვაცნობს და დასძენს:

> მეორე მხრივ, ამაზონების საცხოვრისის[5] მახლობლად – აღმოსავლეთით არიან ალანები, გაფანტულნი აზიის ოლქების მრავალრიცხოვან და დიდ ხალხებში, როგორც მე შევიტყვე მდ. განგამდე, რომელიც გადაკვეთს ინდების მიწებს და სამხრეთის ზღვას უერთდება. ალანები გაყოფილნი არიან სამყაროს ორ ნაწილში, დანაწევრებული მრავალ ტომად, რომელთა სახელების ჩამოთვლას მე საჭიროდ არ ვთვლი. თუმცა ისინი მომთაბარეობენ როგორც ნომადები უზარმაზარ სივრცეში ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებით. მაგრამ, დროთა განმავლობაში ისინი გაერთიანდნენ ერთი სახელის ქვეშ და ერთნაირი წეს-ჩვეულების, ერთნაირი ენისა და [ერთნაირი] შეიარაღების გამო ახლა ყველა ალანად იწოდა (კულაკოვსკი, სონი 2005:541).

იმ დროს, როცა ამიანუსი ზემომოტანილ ამბავს მოგვითხრობდა, მის მიერ ალანეთად სახელდებული ტერიტორია უკვე ჰუნების კონტროლქვეშ იყო მოქცეული და სხვა სარმატული წარმომავლობის ტომებთან ერთად ალანებიც მათი ქვეშევრდომები იყვნენ (სიე 1961 ბ: 890), ამიტომ ალანებზე თხრობისას ამიანუსი, როგორც ჩანს, ძველ ტრადიციას ეყრდნობა. ასე რომ, ამიანუსის თხზულებიდან მოტანილი ცნობა, უპირველეს ყოვლისა, იმ მხრივაა საინტერესო, რომ მასში სარმატიის ყოფილ ტერიტორიაზე – აღმოსავლეთ ევროპაში ჰუნების შემოჭრის წინა ხანის ვითარებაა ასახული (ჰუნები აღმოსავლეთ ევროპაში IV ს-ის 50/70-იან წლებში შემოვიდნენ). რაც მთავარია, ამიანუსი გვარწმუნებს, უზარმაზარ სივრცეში ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებით მომთაბარე სარმატული წარმომავლობის ტომები დროთა განმავლობაში, მხოლოდ ერთნაირი წეს-ჩვეულებების, ერთნაირი ენისა და ერთნაირი შეიარაღების გამო იწოდნენ ალანებადო.

ამიანუსის ასეთი მითითება, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ, არალის ზღვის მიმდებარე ველებიდან მდინარე დუნაის ნაპირებამდე მომთაბარე – აორსები, სირაქები, იაზიგები და როქსოლანები ალანები გახდნენ.[6] IV საუკუნის შუაწლების შემდეგაც რომაელი ავტორები ცალკეულ სარმატულ გაერთიანებებს ძველი სახელით არაერთხელ იხსენიებენ. თუმცა, იმავე დროიდან ბერძნულ-რომაული სამყაროდან გამოსული ავტორებისათვის (ასევე იმ ავტორებისათვის, რომლებიც მათი ცნობებით სარგებლობდნენ) ეთნიკური სახელი *ალანი* ზოგჯერ ისეთივე ზოგადი შინაარსისა იყო, როგორც ძველად *სკვითი* და შემდეგ *სარმატი*.

ამიანუსის ცნობის გაანალიზებისას ისმის კითხვა – რა ტერიტორიას მოიცავდა *ალანიის* სახელის ქვეშ ნაგულისხმევი ყოფილი სარმატული სამყარო?

ძველ ავტორებთან (სტრატანოვსკი 2004:294; პლინუს უფროსი 1949:277; კულაკოვსკი, სონი 2005:540) აზიად და ევროპად, მართალია, მდინარე ტანაისის დასავლეთითა და აღმოსავლეთით მდებარე ველები (მდინარე ვოლგამდე) მიიჩნეოდა, მაგრამ ამიანუსის მიერ ნახსენები „იმავიის" (იგივე იმაიონის) მთები, რადგან ტიან-შანის მთებია, ამიანუსის ისტორიიდან ზემოთ მოყვანილ ცნობაში, ალანთა სახელის ქვეშ მოხსენიებული ტომების მომთაბარეობის ადგილად მდინარე ვოლგის აღმოსავლეთით მდებარე ველებიც იგულისხმება.[7] აღნიშნულიდან გამომდინარე, ამიანუსის მიერ ნახსენები ირანის იმპერიის შუაზიულ სამფლობელოებში მცხოვრები სკვითების მოსაზღვრე ტომები, მდინარე ვოლგის აღმოსავლეთით (ე. ი. შუა აზიის დასავლეთით) მომთაბარე ის მცირე სარმატული გაერთიანებები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებსაც ქვემომოტანილი ჩინური ცნობის თანახმად, კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ველები ეჭირათ. შუა აზიაში მცხოვრებ სკვითებს მათთან, მართლაც, ექნებოდათ გარკვეული ურთიერთობა.

ამრიგად, ამიანუსის ცნობიდან გამომდინარე, IV ს-ის 70-იან წლებში ალანიად იწოდებოდა არა მარტო ძველი ავტორების მიერ სარმატიად ცნობილი, მდინარე დონის დასავლეთითა და აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიები მდინარე ვოლგამდე (ე. ი. სტრაბონისეული ევროპა და აზია), არამედ მდინარე ვოლგის აღმოსავლეთით მდებარე მინები ტიან-შანის მთებამდე, შემდეგ ტერიტორია მდინარე განგამდე ისევ სკვითეთი იყო.[8]

სარმატიად წოდებული ვრცელი ტერიტორიის ერთი ნაწილი, კერძოდ, მდინარე სირ-დარიის ჩრდილო-დასავლეთით არსებული გაერთიანება, რომ ალანიად იწოდა, როგორც ითქვა, ეს ჩინურ სინამდვილეშიცაა ასახული. ჩინური *ქრონიკის* (ესაა *ხანის უმცროსი დინასტიის ისტორია*) ცნობით:

> კანგიუაის ჩრდილო დასავლეთით 2000 ლის მანძილზე მდებარეობს სახელმწიფო იანცძი. ამ მომთაბარეთა სახელმწიფოს შეუძლია 100 ათასი მეომრის გამოყვანა. ჩვეულებებით სრულიად კანგიუაის მსგავსია. იანცძი დამრეც ნაპირებიანი დიდი ტბის, იგივე ჩრდილოეთის ზღვის მიმდებარე ქვეყანაა. მას 5 პატარა სამფლობელო ემორჩილება. ესენია:1. სუის მფლობელი; 2. ფუმუსის მფლობელი; 3. იუნისის მფლობელი; 4. გისკის მფლობელი; 5. იუგიანის მფლობელი (ბიჩურინი 1950:186).

იმავე *ქრონიკის* სხვა ადგილას ნათქვამია: „სამფლობელო იანცძი ახლა ალანიად იწოდა. იგი კანგიუაის ქვეშევრდომია. ჰავა ზომიერია, მრავლადაა ფიჭვები და ვაციწვერა. წეს-ჩვეულებითა და ჩაცმულობით კანგიუაის მსგავსია" (ბიჩურინი 1950:229).

ზემომოტანილ ჩინურ ცნობაში აღწერილ ამბავს რადგან ძვ. წ. II ს-ით ათარიღებენ (თოფჩიშვილი 2008:9; თოფჩიშვილი 2009:176), გამოდის, რომ ამ ცნობის ავტორის მოღვაწეობის დროისათვის ჩრდილოეთის ზღვის (ე. ი. კასპიის ზღვის) სანაპიროზე მდებარე ქვეყანა იანცძის სახელი *ალანია* ახალი შერქმეული ჰქონდა.

ახლა ვნახოთ რომელი ქვეყანაა კანგიუაი, სად მდებარეობდა იგი და, კერძოდ, რომელი სარმატული გაერთიანება იგულისხმება *იანცძის* სახელის ქვეშ?

ძველი თურქების ისტორიის ცნობილი მკვლევრის ლ. გუმილიოვის თანახმად, კანგიუაის გაერთიანება არალის ზღვისა და ბალხაშის ტბის შორის არსებულ ველებზე მომთაბარეობდა (გუმილიოვი 1960:166). ძვ. წ. I ს-ის შუახანებში კანგიუაი აღწერილი იქნა როგორც დავანის (ფერღანის) ველიდან 2000 ლის (900 კმ) დაშორებით არსებული მომთაბარეთა სამფლობელო. სამხრეთით – თურანის დაბლობიდან მას ბეთვაყ-დალის უნაყოფო ველი ყოფდა, აღმოსავლეთით თარბაღათაის მთები აკრავდა, დასავლეთით სახელმწიფო *იანცაი* – ე. ი. ალანეთი ესაზღვრებოდა (გუმილიოვი 1960:166).[9] ლ. გუმილიოვი იქვე აანალიზებს ჩინურ რუკებზე

გამოხაზულ კანგიუაის საზღვრებს და აღნიშნავს: ჩრდილო-დასავლეთით თენგიზის ტბასთან, კანგიუაის ჩრდილოეთით უი-ს (რომლის სახელის ქვეშ ეთნონიმი უგრი უნდა ამოვიცნოთ) ტომები ცხოვრობდნენო (გუმილიოვი 1960:166). როგორც ლ. გუმილიოვი წერს, იმ დროისათვის კანგიუაი მნიშვნელოვან გაერთიანებას წარმოადგენდა 600 ათასიანი მოსახლეობით. მას 120 ათასიანი არმიის გამოყვანა შეეძლო. თუ *ხანის უფროსი დინასტიის ისტორიაში* არსებული ცნობით, კანგიუაის დასავლეთი მეზობელი – იანცძი, მისგან დამოუკიდებელი იყო, *ხანის უმცროსი დინასტიის ისტორიაში* ნათქვამია, რომ იანცძი მას ექვემდებარებოდა. კანგიუაის იგი ახ. წ. I-II ს-ებში უნდა დაემორჩილებინა, თუმცა კანგიუაის ლაშქარს მდინარე ვოლგა არ გადმოულახია (გუმილიოვი 1960:167-168).

საბჭოთა ისტორიულ ენციკლოპედიაში კანგიუაის შესახებ ნათქვამია:

> კანგიუაი (იგივე კანგხა, კანგდიზი) ეს იყო სახელმწიფო წარმონაქმნი შუა აზიაში. მის ბირთვს, როგორც ჩანს, მდ. სირ-დარიის მახლობლად მცხოვრები და მომთაბარე ტომები შეადგენდნენ. ძვ. წ. II ს-ის დასასრულისათვის კანგიუაში შედიოდა თანამედროვე ტაშკენტის ოაზისი, ასევე მდ. ამუ-დარიისა და სირ-დარიის შუამდინარეთის მიწების ნაწილი. ძვ. წ. I ს-ში მან ხორეზმიც[10] დაიმორჩილა. ახ. წ. I-III საუკუნეებში კანგიუაის, მართალია, ხორეზმი და ტაშკენტის ოაზისი ჩამოცილდა, მაგრამ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. დაიმორჩილა სახელმწიფო იანცძი (ალანები) ჩრდილო არალისპირეთში და იანი სამხრეთ ურალისპირეთში (კანგიუაი 1965:954-955).

როგორც ვხედავთ ლ. გუმილიოვი და ისტორიულ ენციკლოპედიაში მოთავსებული წერილის ავტორი ერთხმად მიუთითებდნენ ახ. წ. I-II საუკუნეებში კანგიუაის მიერ იანცძის კუთვნილი იმ ნაწილის დაუფლების შესახებ, რომელიც ჩრდილო არალისპირეთში – მდინარე ვოლგის აღმოსავლეთით მდებარეობდა.

აღნიშნულის შემდეგ ლ. გუმილიოვის იმ დასკვნას თუ გავითვალისწინებთ, რომლის თანახმად, კანგიუაის ლაშქარს ახ. წ. I-II საუკუნეებში, იანცძის დამორჩილებისას მდინარე ვოლგა არ გადმოულახავს, უნდა ვივარაუდოთ, რომ იანცძის გაერთიანების დიდი ნაწილი – კერძოდ, მდინარე ვოლგის დასავლეთით მდებარე ველებზე მომთაბარეები, ახ. წ. II საუკუნის შემდეგაც დამოუკიდებელნი იყვნენ. ნათქვამთან ერთად, ჩინურ *ქრონიკაში* არსებული მითითებით, ქვეყანა კანგიუაიდან კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს დამრეც ფერდობებზე მდებარე ქვეყანა იანცძიმდე, რადგან 2000 ლი (900 კმ) იყო (გუმილიოვი 1960:166), ჩინური *ქრონიკის* ქვეყანა *იანცძი* – სარმატი აორსების გაერთიანების აღმოსავლეთი ნაწილი ყოფილა. ამ გაერთიანების სამომთაბარეო არეალი კი კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ველებს (ჩრდილო არალისპირეთი) გარდა, რადგან კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთით და მდინარე ვოლგის სამხრეთით მდებარე ველებსაც მოიცავდა (სიე 1961 ა: 646), იანცძის (აორსთა) გაერთიანების დასავლეთი ნაწილის შესახებ ჩინელ ქრონისტს, როგორც ჩანს, ცნობები არ ჰქონდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩინური *ქრონიკის* ცნობით, ახ. წ. II საუკუნეში აორსთა გაერთიანების ის ნაწილი იწოდა ალანეთად, რომელიც ჩრდილო არალისპირეთში მდებარეობდა და ხუთი პატარა სამფლობელოსგან შედგებოდა. სახელი ალანია შემდეგში მთელ აორსთა გაერთიანებაზე იქნა გავრცელებული (სიე 1961ა: 646).

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ აორსებს საკუთრივ სკვით-ალანებთან მხოლოდ შორეული საერთო წარმომავლობა, და, როგორც ამიანუსი წერს, გარკვეული წეს-ჩვეულებები აკავშირებდა, აორსთა გაერთიანების აღმოსავლეთი ნაწილი – ჩინური წყაროს „იანცძი“ მაინც ალანიად იწოდა. აღნიშნულმა განაპირობა შემდეგში აორსთა იმ ქვეშევრდომებს, რომლებიც უფრო გვიან, აორსებთან ერთად მდინარე თერგის ვაკისზე შემოვიდნენ, უცხოელი ავტორები ალანებად რომ მოიხსენიებენ, თუმცა მათი ერთი ნაწილის თვითსახელწოდება „ირ“ („ირონ“) იყო (გაგლოითი და *სხვები* 1969:27). როგორც ზემოთაც აღვნიშნე, აორსების მსგავსად ძველი ავტორები ზოგჯერ ალანებად სხვა სარმატული ტომების წარმომადგენლებსაც იხსენიებენ, რის შედეგადაც ამ ცალკეულ სარმატულ გაერთიანებათა ისტორია ალანებს მიეკუთვნა.

თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, მაშინ გამოდის: სარმატულ სამყაროში ალანთა გამოჩენის შემდეგ მომხდარ ცვლილებაზე (ყველა სარმატული გაერთიანება რომ ალანიად იწოდა) ამიანე მარცელინუსმა IV-ს 70-იან წლებში მიუთითა (იხ. ზემოთ), ჩინურ სინამდვილეში კი ეს ცვლილება რამდენიმე საუკუნით ადრე აისახა, რაც ძალიან უცნაურად მეჩვენება.

ისტორიის ასპარეზზე როცა ალანთა გამოჩენის შესახებ ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო: ალანთა შესახებ ცნობები არა აქვთ ძვ. წ. I ს-ში მოღვაწე დიოდორე სიცილიელს (დიოდორე სიცილიელი 1947) და ახ. წ. 24 წელს გარდაცვლილ ძველ ბერძენ გეოგრაფს – სტრაბონს (სტრატანოვსკი 2004), ამიტომ მხოლოდ ჩინურ ცნობაზე დაყრდნობით ახ. წ. I ს-ის 30-იან წლებზე უფრო ადრეულ ხანაში ალანებზე საუბარი ანაქრონიზმია. ძვ. წ. II ს-ის ჩინეთში შუა აზიაში მცხოვრები ბინადარი ხალხების შესახებაც ძალიან ცოტა იცოდნენ (ვასილიევი 1958:43), რის შესახებაც ქვემოთ მექნება საუბარი.

როცა ჩინური ცნობის წარმომავლობაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში ისმის კითხვები: 1. რა იცოდნენ ძველმა ჩინელებმა დასავლეთის ქვეყნების შესახებ და როდიდან? 2. ბერძნულ-რომაული სამყაროს მესვეურები თუ იყვნენ დაინტერესებულნი ჩინელებთან ურთიერთობით?

ბერძნულ-რომაულ სამყაროსა და ჩინეთს შორის ურთიერთობა, ადრიდანვე რომ იყო, ამას ჩინეთიდან წინა აზიისაკენ მიმავალი აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზის არსებობა მოწმობს. ამ გზის გაკაფვა ჩინელი დიპლომატისა და მოგზაურის ჩან ციანის (გარდ. დაახლ. ძვ. წ. 103 წ.) სახელთანაა დაკავშირებული. მაგრამ, ძვ. წ. 119 წელს მისი დიპლომატიური მისიის ზოგიერთმა წევრმა მხოლოდ წინა აზიის ქვეყნებამდე მიაღწია (ვასილიევი 1976; ამ მისიის შესახებ იხ. ქვემოთ), შესაბამისად მითითება იმის შესახებ, თითქოს ალანებზე ცნობა ძვ. წ. II ს-ის ისტორიის ამსახველ ჩინურ ქრონიკაში არის, არ შეიძლება. რ. თოფჩიშვილის მიერ დამოწმებულ ლ. გუმილიოვის ნაშრომის 284 გვერდზე ძვ. წ. II საუკუნის კასპიისპირეთში ალანთა კი არა, სარმატების ცხოვრების შესახებაა ნათქვამი. ეს ტერიტორია ახ. წ. II ს-ში ალანთა მოთავეობით შექმნილი ტომთა კავშირის აღმოსავლეთი – განაპირა მხარე იყოო.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის დასაზუსტებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავადგინოთ: სტრაბონისეულ ევრაზიაში როდის ეჭირათ ალანებს დომინირებული მდგომარეობა.

ჩრდილო აზოვისპირეთიდან ალანთა ძირითადი მასა დუნაისპირეთში, როგორც ითქვა, ახ. წ. I ს-ის 30-იან წლებში გადავიდა და სხვა გაერთიანებებზე თავისი ძალაუფლება თანდათანობით გაავრცელა. IV ს-ის 70-იანი წლებიდან კი, როგორც დუნაისპირეთში გადასული, ისე შავი და აზოვის ზღვების ჩრდილოეთით დარჩენილი სარმატული გაერთიანებები, მათ შორის ალანები ჰუნების ხელქვეევით მოექცნენ. ჰუნთა ბელადის ატილას მიერ შექმნილი იმპერიის აღმოსავლეთი საზღვარი მდინარე ვოლგის დასავლეთ სანაპიროებამდე და კავკასიის მთებამდე აღწევდა (სიე 1961 ბ: 980). ასე რომ, დუნაისპირეთსა და აზოვისპირეთის ჩრდილოეთით ალანთა აქტივობის ხანა ახ. წ. I ს-ის 30-იან წლებიდან IV ს-ის 70-იან წლებამდე ივარაუდება, რაც სათანადოდ აისახა ამიანუს მარცელინუსის თხზულებაში, გავიხსენოთ XXXI წიგნში არსებული მისი მითითება: ალანებმა „თანდათანობით, მრავალრიცხოვანი გამარჯვებებით დაიმორჩილეს მეზობელი ხალხები და მათზე განავრცეს თავიანთი სახელი". ამის შემდეგ უნდა გაჩენილიყო ჩინურ სინამდვილეში ცნობები სარმატულ სამყაროში ალანთა დაწინაურების გამო მომხდარი ცვლილებების შესახებ. იმ დროისათვის ბერძნულ-რომაულ სამყაროში კი უკვე სათანადო ცოდნა ჰქონდათ შუა აზიის ქვეყნებისა და ჩინეთის შესახებ. ასევე ჩინეთში დასავლეთის ქვეყნებზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მითითებით, ჯერ კიდევ აქემენიანების დროს შუა აზიელი სამხედრო შენაერთები არამარტო მონაწილეობდნენ აქემენიან მეფეთა დაპყრობით ომებში (მაგ. საბერძნეთში), აქემენიანთა იმპერიის შორეულ პროვინციებში სამხედრო გარნიზონებშიც მსახურობდნენ. არის ძვ. წ. V ს-ის ცნობა ეგვიპტის სამხრეთ საზღვართან ხორეზმელი მეომრის ყოფნის შესახებ (სტავისკი 1964:176). მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მაკედონელმა შუა აზიაში ილაშქრა (ძვ. წ. 327 წ.), ძვ. წ. 250 წელს კი შუა აზიის ტერიტორიაზე ბერძნულ-ბაქტრიული სამეფო შეიქმნა (იგი მოიცავდა: ბაქტრიას, სოღდიანეს, მარღიანეს. ნაწილობრივ შაშს და ფერღანას. ძვ. წ. 190/180 წლებში შეიერთა არეა და არახოსია), რომაულმა სამყარომ შუა აზიის ქვეყნებისა და ხალხების შესახებ უფრო მეტი შეიტყო. აღნიშნულით უნდა აიხსნას სტრაბონსა (გარდ. ახ. წ. 24 წ.) და პლინიუს უფროსს (გარდ. ახ. წ. 79 წ.) მრავალრიცხოვანი ცნობები რომ აქვთ „კასპიის კარის" აღმოსავლეთით მცხოვრები ხალხებისა და ქვეეყნების შესახებ (სტრატანოვსკი 2004:79; პლინიუსი 1949:303-306). ჩინეთისა და შუა აზიის ქვეყნების შესახებ, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი იცოდნენ[11] პლინიუსის შემდეგ მოღვაწე ავტორებმა – ერთ-ერთი ასეთია ამიანუს მარცელინუსი.

ამიანუს მარცელინუსის *ისტორია* თუ ძირითადი წყაროა ახ. წ. IV ს-ის შუახანების სტრაბონისეულ ევრაზიაში მომხდარი ამბების შესასწავლად, აღმოსავლეთი რეგიონებისათვის (ძირითადად შუა აზიის), ამ მხრივ მნიშვნელოვან ცნობებს სწორედ ჩინური ქრონიკები შეიცავენ. მათგან *ხანის უფროსი დინასტიის ისტორიის* ავტორი ბან გუ ახ. წ. 92 წელს გარდაიცვალა (პერელომოვი 1962:115). რაც შეეხება *ხანის უმცროსი დინასტიის ისტორიას* (სადაც ზემომოტანილი ჩინური ცნობაა), მის ავტორად V ს-ში მცხოვრები სწავლული – ფან ხუა ითვლება[12] (გუმილიოვი 1960:5). *ისტორიის* შედგენისას იგი ძველი მასალებითაც სარგებლობდა. როგორც ლ. გუმილიოვი წერს, ფან ხუას მონათხრობი, მართალია სქემატური ხასიათისაა და წინამორბედთა ნაშრომებთან შედარებით მდარედ ითვლება (გუმილიოვი 1960:5), მაგრამ სწორედ მისმა ნაშრომმა შემოგვინახა ცნობა სარმატულ სამყაროში მომხდარი ცვლილების შესახებ.

გამოდის, რომ ფან ხუამ ახ. წ. V ს-ში შეადგინა *ხანის უმცროსი დინასტიის ისტორია* და მისი მოღვაწეობის დროისთვის ჩინეთში უკვე საკმაო ცოდნა იყო დაგროვილი დასავლეთი მხარის შესახებ. ეს ცოდნა ჩინეთის საიმპერატორო კარიდან დასავლეთის ქვეყნებში წარგზავნილი დიპლომატიური მისიების მიერ მოპოვებული ცნობების გარდა, იმდროინდელ გეოგრაფიულ და საისტორიო ლიტერატურას ემყარებოდა. თავის მხრივ, ჩინეთის შესახებ სათანადო ცნობები ჰქონდათ რომის იმპერიაში. ასეთი ურთიერთობის დასტურადაა მიჩნეული პტოლემაიოსის რუკაზე მდინარე იაქსარტი (სირ-დარია) ისეთივე შეცდომით რომაა გამოხაზული, როგორც ეს ჩინელ კარტოგრაფს აქვს (გუმილიოვი 1960:118).

ჩინეთში შუა აზიის, კერძოდ, სოღდიანასა და ფერღანას (ჩინურად დავანი) შესახებ, როგორც ითქვა, ზემოხსენებული ჩან ციანის მისიის წევრებისაგან შეიტყვეს. მათივე მონათხრობით გაიგეს ჩინელებმა მათთვის უცნობ ქვეყნებზე: კანგიუაის, იანცძის, პართიის (ჩინურად – ანსი), მესოპოტამიის (ჩინურად –

ტიაჩეი), საოცარ ქვეყანა ინდოეთზე (ჩინურად – შენდუ, ინდუ) და რომის იმპერიის (ჩინურად – ლიგანი) შესახებ (გუმილიოვი 1960:112-113; ვასილიევი 1958:43).

თვით რომის იმპერიაში როდის შედგა ჩინელთა ელჩობა, ამის ზუსტი თარიღის მითითება ძნელია, მაგრამ ერთი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ეს ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის დამლევს – ოქტავიანე ავგუსტუსის მმართველობაში (ძვ. წ. 27 – ახ. წ. 14 წ.) უნდა ყოფილიყო. ასეთი მტკიცების საფუძველს რომაელი პოეტის ჰორაციუსის (ძვ. წ. 65-8) პოემაში დასახელებული სერები (ჩინელები) იძლევა[13] (სერგეევი 1941:562). ჩინელთა ელჩობა რომში, მართლაც, რომ ოქტავიანე ავგუსტუსის მმართველობისას იმყოფებოდა, ეს ახ. წ. II ს-ის რომაელი ისტორიკოსის ლუციუს ანეი ფლორის *ისტორიაში* არსებული ცნობით დასტურდება (ლუციუს ანეი ფლორი 1972:34).

ჩემი დაკვირვებით, ფლორის თანამედროვე ბერძენი გეოგრაფის პტოლემაიოსის თხზულებაში ცნობები რომაა "იმაიონის მთების იქითა სკვითეთზე", სერიკაზე, საკების მიწებზე (გუმილიოვი 1960:118), ე. ი. იმ ტერიტორიებზე, რომელთაც ჩინელები სიუის, ანუ დასავლეთის მხარეს უწოდებდნენ, იმას მოწმობს, რომ პტოლემაიოსის მოღვაწეობის დროისათვის (ახ. წ. II ს.) რომის იმპერიის მმართველ წრეებს შუა აზიასა და ჩინეთში მიმდინარე პროცესებზე სათანადო ინფორმაცია ჰქონდათ. თავის მხრივ, ჩინელი ავტორები, როგორც ჩანს, ყურადღებით ადევნებდნენ თვალს რომის იმპერიასა და სკვითურ-სარმატულ სამყაროში მომხდარ ამბებს, ეცნობოდნენ სათანადო ლიტერატურასაც.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით უნდა დავასკვნა: ამიანუს მარცელინუსის თხზულებაში ალანთა შესახებ არსებულმა ცნობებმა, კერძოდ, მითითებამ: „ალანებმა თანდათანობით რომ დაიმორჩილეს მეზობელი ხალხები და მათზე განავრცეს თავიანთი სახელი, დროთა განმავლობაში სარმატული ტომები გაერთიანდნენ ერთი სახელის ქვეშ და ერთნაირი წეს-ჩვეულებების, ერთნაირი ენისა და [ერთნაირი] შეიარაღების გამო ახლა ყველა ალანად იწოდა" საფუძველი მისცა V ს-ში მცხოვრებ ფან ხუას *ხანის უმცროსი დინასტიის ისტორიაში* შეეტანა ცნობა: „სამფლობელო იანცძი ახლა ალანიად იწოდა"-ო. ფან ხუა, რადგან ძველი მასალებით სარგებლობდა, და მისი მონათხრობი, როგორც ლ. გუმილიოვი წერს, „დიპლომატიური მისიების მიერ მოპოვებულ ცნობებს" გარდა, იმდროინდელ გეოგრაფიულ და საისტორიო ლიტერატურასაც ეყრდნობა, საეჭვო არაა, მის თანადროულ ჩინეთში არამარტო ინდოეთის, წინა და შუა აზიის ქვეყნებისა და მხარეების (მათ შორის, აორსების სარმატული გაერთიანების აღმოსავლეთი ნაწილის – ჩინური წყაროების *იანცძი*), შესახებ, არამედ სტრაბონისეული ევრაზიის ტერიტორიაზე არსებულ სარმატულ გაერთიანებებზეც სათანადო ცოდნა ჰქონდათ.

ამრიგად, მას შემდეგ რაც ახ. წ. I-IV საუკუნეების დუნაისპირეთში არსებულ სარმატულ გაერთიანებათა შორის ყველაზე ძლიერი და აქტიური ალანების სახელი იმდროინდელმა ავტორებმა სხვა სარმატულ გაერთიანებებზეც განავრცეს, ამიანუს მარცელინუსი იძულებული გახდა თავისი თხზულების XXXI წიგნში შეეტანა ცნობა სარმატულ სამყაროში მომხდარი ცვლილების შესახებ. სწორედ ამ ცნობას ეყრდნობა V ს-ში მცხოვრები ჩინელი ქრონისტი – ფან ხუა, როცა უთითებს „იანცძი (ჩინური წყაროების აორსთა გაერთიანების აღმოსავლეთი ნაწილი) ახლა ალანიად იწოდაო".[14]

ჩინური *ქრონიკის* ცნობის არასწორმა ინტერპრეტაციამ მკვლევართა ნაწილს, ერთი მხრივ, საფუძველი მისცა შუა აზია ალანთა ეთნოგენეზის ადგილად მიეჩნიათ (ავგუსტი ალემანი; თოფჩიშვილი 2008:49), ხოლო, მეორე მხრივ, აორსებისა და ალანების იგივეობა ემტკიცებინათ (სიე 1961ა; გუმილიოვი 1960:252; გაგლოითი 1966:61), რის შემდეგაც ალანების განსახლებისა და მომთაბარეობის არეალად უზარმაზარი სივრცე – მდინარე ამუ-დარიიდან მდინარე დუნაის დასავლეთ ნაპირებამდე არსებული ტერიტორია იქნა მიჩნეული (კრუპნოვი 1961:329; თოფჩიშვილი 2008:18, 49, 52). რაც შეეხება ალანთა შესახებ ჩინური ქრონიკის ცნობის ძვ. წ. II ს-ით დათარიღებას, როგორც ზემოთ ვაჩვენე, იმ დროისათვის ჩინელებს შუა აზიის ქვეყნებზეც კი ნაკლები ცოდნა ჰქონდათ. მხოლოდ ძვ. წ. 119 წლის ელჩობის შემდეგ გამოიკვეთა განსაკუთრებული ინტერესი დასავლეთის მხარის (ჩინურად სი იუი) და მასში თავდაპირველად ძირითადად აღმოსავლეთ თურქესტანის ქალაქ-სახელმწიფოები იგულისხმებოდა (ვასილიევი 1958:44-45).

შენიშვნები

[1] კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ სარმატიაში არსებულ მთათა შორის დასახელებულ *ალანთა მთებად* მდ.დონის (ტანაისის) დასავლეთით მდებარე დონეცის ჭიუხი ითვლება (კლავდიოს პტოლემაიოსი 1948:235, შენ. 7). დიონისე პერიეგეტის XII ს-ის კომენტატორის ევსტაფის განმარტებით, „ალანი – ესაა მთიანი ქედი სარმატიაში, საიდანაც ალბათ მიიღო სახელი დიონისეს მიერ „ძლიერ და ცხენმრავლად წოდებულმა ალანთა ტომმა" (ევსტაფი 1948:246). ამიანუს მარცელინუსის თანახმად, ხალხის სახელი "Halani" მთების სახელიდან არის მიღებული (კულაკოვსკი, სონი 2005:540). "ალანი" მთაა სარმატიაში წერს სტეფანოს ბიზანტიელი (ვანეევი 1959:26). ალანთა მთებს ასევე აიგივებენ

ურალის მთების სამხრეთი გაგრძელების მუღოჯარების მთებთან (თოფჩიშვილი 2008:49, 25-26; თოფჩიშვილი 2012:47). ალანთა მთებად მუღოჯარების მთები მიაჩნია კატალონიელ მეცნიერს ავგუსტი ალემანს (თოფჩიშვილი 2012:51).

[2] ასე იხსენიებს პტოლემაიოსი იაზიგებს (კლავდიოს პტოლემაიოსი 1948:233). გამომცემლის განმარტებით, პტოლემაიოსის დროისათვის (ახ. წ. II ს.) "გადასახლებულ იაზიგებს" (Ἰαζίγες Μετανάσται) დაკების მეზობლად მდ. დუნაისა და მდ. ტისას შორის არსებული ტერიტორია ეკავათ (კლავდიოს პტოლემაიოსი 1948:233. შენ. 3). ი. კულაკოვსკის ეს ცნობა იმის მაჩვენებლად მიაჩნია, იაზიგები იმ მხარის ძირითადი მაცხოვრებლები რომ არ იყვნენ (კულაკოვსკი 1899:7).

[3] ძვ. წ. VII საუკუნიდან სკვითეთად ძირითადად შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველი იწოდებოდა, სადაც ძვ. წ. V ს-ში სკვითების სახელმწიფო ჩამოყალიბდა. როგორც ჩანს, ამ ტერიტორიას იხსენებს ამიანუს მარცელინუსი „სკვითების უდაბნოდ". ჰეროდოტე სკვითების განსახლების (მომთაბარეობის) არეალად მდ. ბორისთენეს (მდ. დნეპრი) აღმოსავლეთით მდინარე ტანაისამდე არსებულ ტერიტორიას მიიჩნევს (ყაუხჩიშვილი 1975:257). როგორც ი. კულაკოვსკი წერს, შემდეგში „სკვითეთის" განმარტება შეიცვალა. პლინიუს უფროსი ტერმინ „Scythicae gentes" ქვეშ სხვადასხვა მოდგმის ხალხებს იხსენიებს (პლინიუსი 1949:278). მარიან ტირელი კი ტერმინს *სკვითეთს* იყენებს აზიის შორეული აღმოსავლეთის უცნობი ქვეყნების აღსანიშნავად (კულაკოვსკი 1899: 8).

[4] იგულისხმება პტოლემაიოსის ალანთა მთები (*Ἀλανον ορου*).

[5] პლინიუს უფროსის ცნობით, ამაზონები მდინარე ტანაისთან (დონთან) ცხოვრობდნენ და ალანები მათთან ქორწინების შედეგად წარმოიშვნენ (პლინიუსი 1949:293). ეს ცნობა, როგორც ჩანს, ჰეროდოტეს იმ მონათხრობიდან მომდინარეობს, რომლის თანახმად ამაზონ ქალებთან ქორწინების შემდეგ სარმატი ჭაბუკები „მდინარე ტანაისის გადაღმა დასახლდნენ" (ყაუხჩიშვილი 1975:285). ალანები მათ შთამომავლებად ითვლებიან.

[6] ამიანუსის ცნობა, მართლაც, გახდა საფუძველი არა მარტო ალანებისა და აორსების იგივეობაზე მიეთითებინათ (გაგლოითი და *სხვები* 1987:55), ალანებად იქნენ მიჩნეულნი იაზიგები, როქსოლანები, სირაქები, აორსები. ასეთი გაიგივების საფუძველზე, ცნობილმა რუსმა მეცნიერმა ე. კრუპნოვმა ალანებს უზარმაზარი ტერიტორია მიაკუთვნა. მისი თქმით, ალანები ძვ. წ. II საუკუნიდან არიან ცნობილნი როქსოლანების სახელით და ახ. წელთაღიცხვის პირველ საუკუნეებში ისინი ცხოვრობდნენ: ქვემო ვოლგისპირეთში, სამხრეთ ურალისპირეთში, ჩრდილო კასპიისპირეთში, დონისპირეთში, კავკასიის მთისწინეთსა და ჩრდილო შავიზღვისპირეთის სამხრეთ რაიონებში მდინარე დნეპრამდე (კრუპნოვი 1961:329). ე. კრუპნოვს მხედველობიდან გამორრჩა ახ. წ. I საუკუნიდან ალანები მდინარე დუნაისპირეთში რომ იყვნენ გადასულები. მას შემდეგ, რაც ალანთა მთებიდან ჩრდილო აზოვისპირეთში ჩამოსულმა სკვითმა-ალანებმა იაზიგების სამომთაბარეო ტერიტორია დაიკავეს, ამ ტერიტორიაზე დარჩენილ იაზიგებთან ალანთა შერევის შესახებ შეიძლება ვილაპარაკოთ. იგივე პროცესი მიმდინარეობდა დუნაისპირეთშიც, თუმცა იქ გადასულ იაზიგებსა და როქსოლანებს ძველი ავტორები ისევ ცალ-ცალკე იხსენიებენ.

[7] ამიანუსის ასეთი მითითების მხარდასაჭერად გვიანდელ ავტორთა იმ ცნობებს იმოწმებენ, რომლებშიც ალანები იხსენიებიან არა მარტო შუა აზიაში, არამედ ჩინეთშიც კი. X ს. ხორეზმელი სწავლულის ალ-ბირუნის ცნობაზე დაყრდნობით აღნიშნულ ფაქტზე წერს ზ. ვანეევი. მისივე თქმით, XIV ს-ში ჩინგიზ ხანის სამსახურში 72 იასი (ე. ი. ოსი, - ვ. გ.) თაავადი იყო (ვანეევი 1959:53). რ. თოფჩიშვილის თანახმად „ალანების ძველ საცხოვრისში (ე. ი. შუა აზიაში, – ვ. გ.) დარჩენილი ნაწილი, ალანებისავე სახელწოდებით, შუა აზიაში X საუკუნის ბოლომდე მკვიდრობდა, რომლებიც დროთა განმავლობაში გათურქდნენ" (თოფჩიშვილი 2012:47).

[8] ეს ტრადიცია ევროპაში გვიანობამდე შემორჩა. ასე, მაგალითად, XIV ს-ში მოღვაწე ბიზანტიელი ავტორი ლაონიკ ხალკოკონდილე ძველ ბიზანტიურ ტრადიციაზე დაყრდნობით თავის თანადროულ რუსეთს "სარმატიას", ხოლო ოქროს ურდოს „სკვითეთს" (იგივე სათათრეთს) უწოდებს (დიტენი 1962:54).

[9] ჩინურ ცნობაზე დაყრდნობით, როგორც ვხედავთ, ლ. გუმილიოვი იანცძის უკვე ალანებად მოიხსენიებს, რაც ისტორიულ რეალობას არ შეესაბამება.

[10] ს. ტოლსტოვის თანახმად, კანგიუაი იგივე ხორეზმია, ავესტის კანგხა (ტოლსტოვი 1948:146). შეიძლება ხორეზმთან სიახლოვემ განაპირობა კანგიუაის მმართველებმა ჩინეთთან ურთიერთობის დამყარება რომ სცადეს. ძვ. წ. 36 წელს კანგიუაის მმართველმა ჩინეთში თავისი ძის მეთაურობით ელჩობა გააგზავნა (ვასილიევი 1958:45).

[11] ბ. სტავისკის ნაშრომის ქვეთავში – *О связях Средней Азии с Римом*. მრავალი მაგალითია მოტანილი ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ. მაგ. ახ. წ. I ს-ის დასასრულისათვის ბაქტრიელი ვაჭრები იხსენებიან ქ. ალექსანდრიაში, ხოლო ტაჯიკეთის ტერიტორიაზე მიკვლეულია რომის იმპერატორთა მონეტები (სტავისკი 1964:179-180).

[12] ფან ხუას სახელია ფან ე., ხოლო თხზულებას ჰქვია *ხოუ ხან შუ* (გუმილიოვი 1960:4-5; დუმანი 1965:308).

[13] მიმართვაში ოქტავიანე ავგუსტუსისდმი ჰორაციუსი წერს, რომ ტრიუმფში მონაწილეობდნენ „უზომოდ თავმომწონე პართები" და რომის წინაშე ძრწიან „აღმოსავლურ უდაბნოში ინდოელები და სერები (ჩინელები)" (სერგეევი 1941:562). ახ. წ. 99 წელს დაკების დამარცხების აღსანიშნავად იმპერატორ ტრაიანეს (97-117) მიერ გამართულ ტრიუმფს ქუშანთა ელჩები ესწრებოდნენ. ასევე არის ცნობა იმპერატორ ადრიანეს (117-138) მიერ „ბაქტრიის მეფეთა" მიღების შესახებ, ხოლო იმპერატორ ანტონინუს პიუსთან (138-161)" „ინდოელთა, ბაქტრიელთა და ჰირკანელთა" ელჩების ჩასვლაზე (სტავისკი 1964:177-178).

[4] V-VI საუკუნეებში სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასა და ჩინეთს შორის უფრო გაღრმავდა. ჩინეთის შენსის პროვინციის ქ. სიანის მახლობლად 1953 წელს მიკვლეული იქნა იმპერატორ იუსტინე

II-ის (565-578) დროინდელი ოქროს მონეტა (სია ნაი 1962:128). ტანის დინასტიის ჩინეთთან ბიზანტიის იმპერიამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. ამის შემდეგ, ჩინური ქრონიკის ცნობით, ჩინეთში მასიურად გამოიყენებოდა დასავლეთის ქვეყნების ოქროსა და ვერცხლის მონეტები. ჩინეთში ასევე მრავლადაა მიკვლეული სასანიანი შაჰების მიერ მოჭრილი მონეტები (სია ნაი 1962:181-182).

დამოწმებანი

ბიჩურინი 1950: Н. Я. Бичурин (Иакинф). Собрание сведений о народах, обитавших в Средней Азии в древние времена, т. 2, Москва-Ленинград.

გაგლოითი 1966: Ю. С. Гаглойти. Аланы и вопросы этногенеза осетин. Тбилиси.

გაგლოითი და *სხვები* 1987: Ю. С. Гаглойти, В. И. Абаев и др. История Северо-Осетинской АССР, т. I, Орджоникидзе.

გაგლოითი და *სხვები* 1969: Ю. С. Гаглойти и другие. Очерки истории Юго-Осетии, т. I, „Иристон", Цхинвали.

გუმილიოვი 1960: Л. Н. Гумилев. Хунну. Средняя Азия в древние времена. Москва.

დიტენი 1962: Г. Диттен. Известия Лаоника Халконондила о России. Византийский Временник. №XXI. Москва.

დიოდორე სიცილიელი 1947: Диодор Сицилийский. Историческая библиотека. Вестник древней истории (შემდეგში ВДИ), 1947, №4.

დუმანი 1965: Л. И. Думан. Китай. Исторический очерк до конца 18 в. СИЭ, т. 7, Москва.

ევსტაფი 1948: Евстафий. Комментарий к „Землеописанию" Дионисиа, ВДИ, № 1, Москва.

ვანეევი 1959: З. Н. Ванеев. Средневековая Алания. Сталинир.

ვასილიევი 1976: Л. С. Васильев. Чжан Цянь, СИЭ, т. 16. Москва.

ვასილიევი 1958: Л. С. Васильев. Культурные и торговые связи ханского Китая с народами Центральной и Средней Азии. Вестник истории мировой культуры, № 5, Москва.

თოფჩიშვილი 2012: რ. თოფჩიშვილი. ოსთა ეთნოგენეზის შესახებ. კრებული – კავკასიის ეთნოლოგლირი კრებული, XIV, თბილისი.

თოფჩიშვილი 2008: რ. თოფჩიშვილი. ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი. თბილისი.

თოფჩიშვილი 2009: Р. Топчишвили. Осетины в Грузии миф и реальность. Тбилиси.

კლავდიოს პტოლემაიოსი 1948: Клавдий Птолемей. Географическое руководство. ВДИ, № 2, Москва.

კანგიუი 1965: Кангиюй, Кангха, Кангдиз. СИЭ, т. 6, Москва.

კრუპნოვი 1961: Е. И. Крупнов. Аланы, СИЭ, т. 1. Москва.

კულაკოვსკი 1899: Ю. Кулаковскаий. Аланы по сведениям классических и византийских писателей. Киев.

კულაკოვსკი, სონი 2005: Аммиан Марцеллин. Римская история. Перевод с латинского Ю. А. Кулаковского и А. И. Сонни. Москва.

ლუციუს ანეი ფლორი 1972: Луций Аней Флор. История. т. 2. Москва.

პერელომოვი 1962: Л. С. Переломов. Бань Гу. СИЭ, т. 2. Москва.

პლინიუს უფროსი 1949: Г[аи] Плиний Секунд. Естественная История. ВДИ, № 2. Москва.

სია ნაი 1962: Ся Най. Золотая византийская монета, найденная в могиле периода династии Суи. Византийский Временник, т. XXI. Москва.

საბჭოთა ისტორიული ენციკლოპედია 1961 ა: Аорсы. Советская историческая энциклопедия (შემდეგში – სიე), т. I, Москва.

სიე 1961 ბ: Атилла. Сиэ, т. I, Москва.

სერგეევი 1941: ვ. ს. სერგეევი. ძველი რომის ისტორიის ნარკვევები. ნაწ. II, თბილისი.

სტავისკი 1964: Б. Я. Ставиский. Средняя Азия, Индия, Рим (к вопросу о международных связях в Кушанский период). კრებულში - Индия в древности. Москва.

სტრატანოვსკი 2004: Страбон. География. Перевод, вступительная статья и комментарий Г. А. Стратановского. Москва.

გამყრელიძე 1973: ტაციტუსი. ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. ანალები. ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ, გამოსცა ალ. გამყრელიძემ, თბილისი.

ტოლსტოვი 1948: С. П. Толстов. По следам древнехорезмийской цивилизации. Москва-Ленинград.

ყაუხჩიშვილი 1975: ჰეროდოტე. ისტორია. ტ. I, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა. თბილისი.

WHEN WAS SARMATIAN WORLD REFERRED AS ALANS' LAND?

The Origins of the Chinese Data about Alans

Vakhtang Goiladze

Alans were first mentioned in the Roman literature (Seneca the Younger, Lucani, Pliny the Elder, Josephus Flavius) of the 1st century AC. According to one group of the scholars Alans are mentioned in the annals of the Han dynasty in the 2nd century BC (A. Aleman, R. Topchishvili).

As soon as Alanis appeared on the stage of history and when they moved to the basin of river Danube they became so actively involved in the military affairs against Romans that all authors of the 1st-2nd centuries called all representatives of the Sarmatian union (Iazyges, Roksolans, Aorses, Siraques) Alans. On the basis of the mentioned tradition Roman author Ammianus Marcellinus (died in 400) while writing the history of the 375/378 years, mentioned: "Because Sarmats, like nomads, on a vast territory have common traditions, language and armament, now they are called Alans". We have notification alike in the Chinese *Chronicle*. It says: "Domain Yantsdzi (it is a territory located in the East of the Aors Sarmats' union till the river Volga.) is now called Alans' land".

Chinese people learned about the Central Asian and Near Eastern countries after diplomatic mission of Dan Cyan (119 year BC). They established relations with Rome at the beginning of the 1st century AD. Despite above mentioned Ban Gu, the author of *The History of the Former Han Dynasty*, who died in 92 BC had not an information about Alans.

Chinese – Roman relations became intensive in the 4th-5th centuries. Because, Chinese chronicler of the 5th century Fan Hua wrote *The History of the Later Han Dynasty* based on those days geographical and historical literature and materials gathered by diplomatic missions" (L. Gumiliov), supposedly, the information about the Sarmatian world (that it is called land of Alans) he had taken from *The History of Rome* by Ammianus Marcellinus and indicated: "Domain Yantsdzi is now called Alans' land".

Thus, the information of the Chinese *Chronicle* originates from Ammianus Marcellinus and belongs to the 5th century author Fan Hua. The false interpretations of the Chinese data gave scholars(E. Large, R. Topchishvili) an occasion identify Alans with other Sarmatian tribes and assume their settlement from the surrounding steppes of Amu Darya to the river Danube, which does not correspond to historical reality.

ეთნიკური უმცირესობების საკითხისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს

მანუჩარ გუნცაძე

საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის შესწავლის დროს, სახეზე გვაქვს მთელი რიგი პრობლემატური საკითხების, რომლებიც ქვეყნის წინაშეა წამოჭრილი. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების თემა, რომლის შესწავლაც ისტორიკოსების, ეთნოლოგების, იურისტებისა თუ სხვა სამეცნიერო დისციპლინების შესწავლის საგანს წარმოადგენს და საკმაოდ აქტუალურიცაა დღევანდელობაში.

საკითხის დღეს აქტუალურობამაც გააჩინა ჩვენი ინტერესი, რომ მომხდარიყო მისი შესწავლა არა მხოლოდ თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით, არამედ გადაგვეხედა წარსული გამოცდილებისათვის, რაც უკეთ დაგვანახებდა, თუ როგორი იყო მიდგომა ამ საკითხისადმი ჩვენ ქვეყანაში.

იმისათვის, რომ საკითხის კვლევას არც ძალიან შორეულ წარსულში გადაენაცვლა და დღევანდელობასთანაც ახლოს ყოფილიყო, ანუ მომხდარიყო საკითხის გაანალიზება იმ ეპოქაში, როდესაც საქართველოს ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, შესასწავლად აღებული იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის 1028 დღიანი მონაკვეთი.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებას, წინ უსწრებდა რუსული იმპერია და გარკვეულ საკითხებზე მის საკანონმდებლო ბაზას გვერდს ვერ აუვლიდნენ. თუმცა საჭირო იყო თვისობრივად ახალი, უფრო დასავლური სტანდარტების ნორმატიული აქტების შედგენა, რომლებიც არა მხოლოდ კონსტიტუციის დონეზე, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც უზრუნველყოფდნენ მოქალაქეების და ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობების უფლებებს.

აქედან გამომდინარე ცხადი იყო, რომ როდესაც ქვეყანა დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა, საჭირო გახდებოდა ან უკვე არსებული კანონებისთვის რეფორმის ჩატარება, ან და ახალი კანონების მიღება, რომლებიც საშუალებას მისცემდა ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებს, დაეცვათ საკუთარი უფლებები და თავი ეგრძნოთ ქვეყნის თანასწორუფლებიან მოქალაქეებად.

ცოტა უფრო მოგვიანო პერიოდის საბჭოთა გამოცდილებას რომ გადავხედოთ, ამ საკითხის მოგვარება საკანონმდებლო დონეზე უფრო მარტივია ვიდრე მისი რეალურ ცხოვრებაში დანერგვაც. რადგან საბჭოთა კავშირის პერიოდი იყო თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეეძლო ქვეყანას, ფურცელზე ჰქონოდა დაცული მოქალაქეების უფლებები, მაგრამ ყოფით ცხოვრებაზე ეს არ ასახულიყო.

ზემოთ დასახელებულმა საბჭოთა კავშირის მაგალითმა მოგვცა კვლევის ჩატარების მიმართულება, კერძოდ კი მომხდარიყო საკითხის გაანალიზება იმ კუთხით თუ პირველი, რა კანონები არსებობდა 1918-1921 წლების საქართველოში ეთნიკური უმცირესობების დასაცავად; მეორე, რამდენად იყო საჭიროება კონკრეტული კანონების მიღების, თუ ეს იყო იმისთვის რომ უფრო დემოკრატიული გამოჩენილიყო მთავრობა; მესამე, ის კანონები, რომლებიც ეხებოდა ჩვენთვის საინტერესო საკითხს, ხორციელდებოდა თუ არა რეალურ ცხოვრებაშიც, თუ ისინი მხოლოდ ფურცელზე დაწერილ ტექსტებადვე რჩებოდა.

ახლა კი გადავიდეთ უშუალოდ 1918-1921 წლების საქართველოს პერიოდზე, როდესაც ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე, მის წინაშე დადგა ეთნიკური უმცირესობების საკითხიც.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავიდანვე შეიქმნა ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა თანაბარუფლებიანობის პრინციპზე. საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე კარგად აცნობიერებდნენ, რომ ეთნიკურ უმცირესობათა ყველა წარმომადგენელს უნდა ჰქონოდა ის უფლებები, რაც ქართველებს, არ უნდა მომხდარიყო მათი ჩაგვრა და დევნა. რა თქმა უნდა, სახელმწიფო ენა ქართული იქნებოდა, მაგრამ ეს ნებისმიერი დამოუკიდებელი ქვეყნისთვის ჩვეულებრივი ატრიბუტია და ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის უფლებების დარღვევას არ ნიშნავს.

ეთნიკური უმცირესობებისადმი მიდგომა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტშიც აღინიშნა. ეს ფაქტი მეტყველებს, თუ როგორი პრიორიტეტი ენიჭებოდა მათი უფლებების დაცვას. დამოუკიდებლობის აქტის მეხუთე და მეექვსე პუნქტებში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე თანასწორი იყო ეროვნების, სარწმუნოების, სოციალური მდგომარეობისა და სქესის განურჩევლად; ასევე საქართველოში მოსახლე ყველა ერს ეხსნებოდა თავისუფალი ასპარეზი საქართველოს ტერიტორიაზე (შარაშენიძე 1990).

ამ აქტით დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე გამოირიცხა ეროვნული ნიშნით ჩაგვრა. ამით საქართველო შეუერთდა მსოფლიოს დემოკრატიულ სტანდარტებს და საკანონმდებლო დონეზევე გამოირიცხა, რომ საქართველოში რომელიმე მოქალაქის უფლება დარღვეულიყო მისი ეთნიკური განსხვავებულობის გამო.

საქართველოს მთავრობა ცდილობდა:

> ეთნიკური უმცირესობებისადმი ეჩვენებინათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა მათდამი დაპირისპირებას არ ითვალისწინებდა, პირიქით, იგი მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების გარანტი გახდებოდა. ამ ნაბიჯით, ხელისუფლება მყარ ნიადაგს ქმნიდა რესპუბლიკაში ურთიერთდაპირისპირების აღმოსაფხვრელად და სტაბილურობის შესანარჩუნებლად (ვადაჭკორია 2006: 214).

ეს იყო მხოლოდ პირველი ნაბიჯი ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დასაცავად, რომელსაც სხვა კანონები მოჰყვა. 1918 წლის 13 სექტემბრის კანონით ეთნიკურ უმცირესობებს უფლება მიეცათ, თავიანთი წარმომადგენლები ჰყოლოდათ საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში – ეროვნულ საბჭოში. წარმომადგენლების რაოდენობა იყო ყოველი 20 000 მცხოვრებიდან ერთი დელეგატი. არსებობდა გამონაკლისიც: როდესაც ეთნიკური უმცირესობა ამ რაოდენობით არ ცხოვრობდა ქვეყანაში, მაგრამ მათ მაინც ჰყავდათ წარმომადგენლები, კერძოდ, ესენი იყვნენ ბერძნები, გერმანელები და ებრაელები (შარაშენიძე 1990).

ამრიგად, ეთნიკური უმცირესობების დელეგატთა რაოდენობა ეროვნულ საბჭოში შემდეგნაირად გადანაწილდა:

ეთნიკური უმცირესობა	რაოდენობა
სომხებს	10
თათრებს	4
აფხაზებს	3
რუსებს	2
ოსებს	2
ქართველ ებრაელებს	2
ებრაელებს	1
ბერძნებს	1
გერმანელებს	1

აქედან ჩანს, რომ ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვას ყურადღება ექცეოდა და ამ კანონით უკვე უმცირესობათა წარმომადგენლებს თავადაც ეძლეოდათ საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობა. ამ დელეგატებს ირჩევდნენ ან ამ ერების ეროვნული საბჭოები ან ხდებოდა ისეთი წარმომადგენლის გაგზავნა, რომელიც არჩეული იყო დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა დაწესებულებაში (შარაშენიძე 1990).

მთავრობა ითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ დამოუკიდებლობა ახალი აღდგენილი იყო და ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის ცოდნასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები არსებობდა. რუსეთი იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს მათ არც საშუალება და მითუმეტეს არც საჭიროება არ ჰქონიათ ქართული ენა შეესწავლათ, ეს პრობლემა კი ასე მალე ვერ მოგვერდებოდა. სწორედ ამან გამოიწვია 1918 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტში ახალი კანონის შემოღება, რომლის მიხედვითაც უმცირესობის წარმომადგენლებს უფლება ეძლეოდათ სიტყვა წარმოეთქვათ უმცირესობის ენაზე, თუ ის პრეზიდიუმის ერთმა წევრმა მაინც იცოდა (შარაშენიძე: 1990).

მსგავსი კანონების განხილვა ნათელ სურთს წარმოგვიჩენს, თუ რა დონეზე ხდებოდა 1918-1921 წლებში საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვა. მათ ჰყავდათ წარმომადგენლები საკანონმდებლო ორგანოში და ამ წარმომადგენლებს უფლება ეძლეოდათ, უმცირესობის ენაზე გამოსულიყვნენ სიტყვით. მსგავსი ხელშეწყობა სამაგალითო იქნებოდა ნებისმიერი ევროპული დემოკრატიული ქვეყნისთვის.

თუმცა მხოლოდ ხსენებული კანონები კომფორტს ვერ შეუქმინდა უმცირესობების იმ ნაწილს, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა, დამოუკიდებელ ქვეყანაში კი სახელმწიფო ენის ცოდნა ინტეგრაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ამას დავუმატოთ ისიც, რომ განათლების მისაღებად თავიდან მხოლოდ საკუთარი ენის ცოდნა საკმარისი არ იყო. ამიტომ განათლების სამინისტროში გატარდა რეფორმა, რომლის მიხედვითაც ეთნიკური უმცირესობების მოზარდი თაობის უმრავლესობას საშუალება ეძლეოდათ პირველდაწყებითი და ზოგ შემთხვევაში საშუალო განათლება მიეღოთ უფასოდ. ასევე განაპირა რეგიონებში ქართველი და არაქართველი ახალგაზრდებისთვის სტიპენდიების სახით გამოიყო 200 000 მანეთი. 1920 წლის მონაცემებით საქართველოში იყო 306 სკოლა ეთნიკური უმცირესობებისთვის:

რაოდენობა	სკოლა
81	სომხური
66	ბერძნული
60	რუსული
48	ოსური
31	თათრული
20	აფხაზური

ეს ყველაფერი გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში ხდებოდა ეთნიკური უმცირესობების კულტურულ-საგანმანათლებლო უფლებების დაცვაც.

საქართველოს რესპუბლიკის მიდგომას ეროვნული უმცირესობებისადმი ზუსტად ასახავს საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის სიტყვა დამფუძნებელი კრების სხდომაზე 1920 წელს:

> ერთის ერის ბედნიერება მეორის ბედნიერებაა და ერთის უბედურება-უბედურებაა მეორისათვის. აყვავება სახელმწიფოსი არის აყვავება და გამდიდრება უმცირესობისა. ეს უნდა ქონდეს შეგნებული ყოველ უმცირესობას, რომ ადგილი არ ექნეს რაიმე გაუგებრობასა და უნდობლობას... უმცირესობამ უნდა შეითვისოს ის აზრი, რომ ჩვენი რესპუბლიკა მათი რესპუბლიკაა და რაც ავნებს სახელმწიფოს ავნებს, მათაც (ვადაჭკორია 2003: 456).

მსგავსი ხედვა წარმოადგენდა საერთო სამოქალაქო საზოგადოების შექმნის სურვილს, სადაც ერთიანი სახელმწიფოებრივი აზროვნება იქნებოდა. მსგავსი სტრატეგია სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში არა მარტო მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ დღესაც პრიორიტეტულია და ერთ-ერთი ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისათვის მხოლოდ ცალკეული კანონების მიღებით არ შემოიფარგლებოდნენ და ამ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც 1921 წელს იქნა მიღებული. კონსტიტუციას მოქმედება, ფაქტობრივად, აღარ დასცალდა რუსული არმიის შემოჭრის გამო, მაგრამ კარგად ასახავს ქვეყანაში არსებულ ზოგად შეხედულებებს და იმ მიმართულებას, როგორც ქვეყანა აპირებდა განვითარებას.

ეთნიკურ უმცირესობათა საკითხის მეთოთხმეტე თავი მთლიანად ეთმობოდა და 9 მუხლს (129-137 მუხლები) მოიცავდა (1921 წლის კონსტიტუცია).

თ ა ვ ი 4.
ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი

მუხლი 129. არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა. ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა ენაზე.

მუხლი 130. ეროვნულ უმცირესობისაგან შემდგარი ადგილობრივ თვითმმართველობის ერთეულების (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შეერთდნენ და დააარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძღოლად კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში. 25 ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც ასეთი თვითმართველობის ორგანოები არ მოეპოვება, შეუძლია ამის გარეშეც შეადგინოს ეროვნული კავშირი ამ მუხლში აღნიშნული უფლებითა და კომპეტენციით. ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო და თვითმართველობათა ბიუჯეტიდან გადაიდება ფინანსიური საშვალებები პროპორციულად მცხოვრებთა რაოდენობისა.

მუხლი 131. არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობისას.

მუხლი 132. ყოველ ეროვნულ კავშირს შეუძლია აღძრას და დაიცვას სასამართლოს წინაშე ის საქმე, რომელიც ეხება კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

მუხლი 133. საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო თუ საერობო სამსახური.

მუხლი 134. ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გადადებული თანხით დააარსოს საკმაო რიცხვი სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებისა მოქალაქეთა ეროვნულ შედგენილობის პროპორციის მიხედვით.

მუხლი 135. ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე.
მუხლი 136. ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20 %-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედაენაზედაც.
მუხლი 137. არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს. დაწერილებით წესს განსაზღვრავს კანონი (1921 წლის კონსტიტუცია).

ამ მუხლების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების უფლებები არ უნდა შეზღუდულიყო, უნდა ჰქონოდათ საკუთარ ენაზე განათლების მიღებისა და კულტურული განვითარების საშუალება. უფლება ეძლეოდათ ეროვნული კავშირების დაარსებისა, რაც ხელს შეუწყობდა კულტურულ-საგანმანათლებლო განვითარებას, რის დასაფინანსებლადაც სახელმწიფოსა და ადგილობრივ თვითმართველობათა ბიუჯეტიდან გამოიყოფოდა თანხა. მათ აგრეთვე ეძლეოდათ სრული პოლიტიკური თუ მოქალაქეობრივი თავისუფლება. ეროვნულ კავშირებს ენიჭებოდა კიდევ ერთი დატვირთვა: მათ შეეძლოთ სასამართლოში აღეძრათ სარჩელი და დაეცვათ უმცირესობათა უფლებები, რაც დაცვის დამატებით გარანტიას იძლეოდა. ეთნიკური უმცირესობები ჩვეულებრივ მოქალაქეებს წარმოადგენდნენ, ფაქტობრივად, იმ უფლებებით, რაც ქართველებს ჰქონდათ, ამიტომ მათ ეძლეოდათ სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო, საქალაქო და საერობო სამსახურში მუშაობის უფლება.

კონსტიტუციაშიც ექცეოდა ადგილი უმცირესობათა განათლების საკითხს, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი თვითმმართველობები ვალდებულნი იყვნენ, ეთნიკურ უმცირესობათა განათლებისთვის გამოეყოთ თანხა ბიუჯეტიდან და ეზრუნათ სკოლების აშენებაზე. ბავშვი განათლებას იღებდა მის სალაპარაკო ენაზე, ამით მარტო ეთნიკური უმცირესობების კი არა, არამედ ბავშვის უფლებების დაცვაც ხდებოდა. კონსტიტუციაში გაწერილი იყო ისიც, რომ ადგილობრივი თვითმართველობის ფარგლებში, სადაც ეთნიკურ უმცირესობათა რაოდენობა 20% -ს აღემატებოდა, იქ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ადგილებში სახელმწიფო ენასთან ერთად საქმის წარმოება და მსჯელობა ეთნიკური უმცირესობის ენაზეც უნდა დაშვებულიყო.

ასეთია კონსტიტუციაში ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების მონახაზი, რითაც არავითარი ჩაგვრა თუ შეზღუდვა არ უნდა მომხდარიყო. კონსტიტუციას ხომ მთავარი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში ადამიანის უფლებების დასაცავად, სწორედ კონსტიტუცია არის ქვეყნის განვითარების მიმართულების მაჩვენებელი. ამ მხრივ, ქართული კონსტიტუცია საკმაოდ დემოკრატიული იყო და მნიშვნელოვნად ითვალისწინებდა ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებს.

რა თქმა უნდა, ეს ცალკეული კანონები, რომლებიც აქ იყო მოყვანილი და თვით კონსტიტუციაც არის ფურცელზე დაწერილი, რომელსაც პრაქტიკაში განხორციელებაც სჭირდება. ამისთვის საქართველოს ძალიან ცოტა დრო ჰქონდა, მხოლოდ 1918 წლის 26 მაისიდან, 1921 წლის 21 თებერვლამდე, რის გამოც სრულად ვერ მოხდა ყველა ამ უფლების განხორციელება, თუმცა ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის ფაქტები მაინც საკმარისი რაოდენობით არსებობს. სწორედ რამდენიმე მათგანით შევეცდებით ამ კანონების გამყარებას.

ერთი ასეთი შეგვიძლია მოვიყვანოთ სომეხთა უფლებების საკითხი. 1918 წელს სომხეთმა საქართველოს წინააღმდეგ წამოიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება: მისმა ჯარებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვარი და მათი დანიშნულების ადგილს თბილისი წარმოადგენდა. სამხედრო მოქმედებათა შემდეგ საქართველომ უკუაგდო სომხეთის ჯარები და გამარჯვებაც მოიპოვა. სომხეთის მხრიდან ასეთი აგრესიის ფონზე შესაძლებელი იყო საქართველოს აგრესია გამოეჩინა იმ სომეხთა მიმართ, რომელნიც ქვეყანაში ცხოვრობდნენ, რადგან თეორიულად შეიძლებოდა ისინი პოტენციურ საფრთხედ განეხილათ. მიუხედავად ამისა, სომეხთა მიმართ მსგავსი ჩაგვრის ფაქტები არ გვაქვს, არ მომხდარა საქართველოს ტერიტორიაზე მათი წმენდა ასეთი დაპირისპირების შემდეგაც კი; ასევე 1919 წელს დაშნაკთა სომხურმა პარტიამ დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც კი მიიღო (ჩაჩხიანი 2007).

მეორე მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ საქართველოში მცხოვრები ჩინელთა საკითხი, რომელთა პრობლემაც 1920 წელს წამოიჭრა, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც მიმდინარეობდა სამხედრო მოქმედებები, ერთი მხრივ, ბოლშევიკურ აზერბაიჯანთან, ხოლო, მეორე მხრივ, აჯანყებულ ოსებთან ვითარება რთულდებოდა და ყოველდღე მოსალოდნელი იყო სამხედრო დაპირისპირების დაწყება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში საკმაოდ რთული ვითარება იყო, მაგრამ ეთნიკურ უმცირესობებს მაინც ექცეოდა ყურადღება. საქმე იმაში იყო, რომ საქართველოში მცხოვრებმა ჩინელებმა ქართული არ იცოდნენ და მძიმე ეკონომიკურ პირობებში უხდებოდათ ყოფნა. სწორედ ამიტომ 1920 წელს, საქართველოს მთავრობის დახმარებით, ჩინელთა ჯგუფმა დააარსა საქართველოში მცხოვრებ ჩინელთა კავშირი, რომლის მიზანიც იყო

საქართველოში მყოფი ჩინელთა დახმარება. გაიხსნა შესაბამისი პუნქტიც, სადაც ხდებოდა ჩინელთათვის დახმარების გაცემა. ინფორმაციის გავრცელებას ხელს უწყობდა იმდროინდელი პრესაც. აგრეთვე იყო მიმართვა იმ სამსახურებისადმი, სადაც ჩინელები მუშაობდნენ, რომ მიეცათ დროებითი შვებულება მათთვის, რათა მათ კუთვნილი დახმარება მიეღოთ (*ერთობა 1920: №124*).

ბოლოს კი შეგვიძლია ოსებთან დაკავშირებული ფაქტი მოვიყვანოთ. 1920 წლის აჯანყების ჩახშობის დროს სამხედრო აგრესია მიმართული იყო მხოლოდ აჯანყებულების მიმართ და არავინ არ ჩაგრავდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ოსებს, რადგან ეს იყო არა ოსების მიმართ განხორციელებული გენოციდი, არამედ აჯანყების ჩახშობა, რომლის მიზანიც საქართველოსთვის ისტორიული ტერიტორიის ჩამოჭრა იყო, სადაც ქართველები მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობნენ (გუნცაძე 2013/2014).

მაშასადამე, აღნიშნული ფაქტები გვიჩვენებს, რომ თეორიაში გატარებული კანონები პრაქტიკულადაც საკმაოდ წარმატებით ხორციელდებოდა და მხოლოდ ფურცელზე დაწერილ სიტყვებად არ რჩებოდა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ბევრი ხარვეზი გააჩნდა, როგორც ახლად შექმნილ სახელმწიფოს, ყველაფერი თანდათან ვითარდებოდა, მაგრამ დემოკრატიულ ვითარებას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა, რაც, თავისთავად, გულისხმობდა ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვას და მათ მიღებას საქართველოს ჩვეულებრივ, სრულუფლებიან მოქალაქეებად.

დამოწმებანი

1921 წლის კონსტიტუცია: საქართველოს კონსტიტუცია (მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს), თბილისი, „სამშობლო", 1992, 28 გვ. ელექტრონული ვერსია: http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/000299/

გუნცაძე 2013/2014: მ. გუნცაძე. 1920 წლის ოსთა აჯანყება შიდა ქართლში ქართული პრესის მასალების მიხედვით, *ჟურნალი ქართული წყაროთმცოდნეობა*, № XV-XVI, თბილისი, უნივერსალი.

ერთობა 1920: კავშირი საქართველოში მცხოვრებელ ჩინელ მოქალაქეთა, გაზ. *ერთობა*, №124.

ვადაჭკორია 2003: შ. ვადაჭკორია. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი 1, თბილისი, მემატიანე.

ვადაჭკორია 2006: შ. ვადაჭკორია. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი 2, თბილისი, მემატიანე.

შარაშენიძე 1990: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), რედაქტორი ვ. შარაშენიძე, თბილისი, ივერთა მხარე.

ჩაჩხიანი 2007: ა. ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბილისი, არადანი.

ოსმალეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ 1918 წელს

დავით კოხრეიძე

XX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს შეიარაღებული კონფლიქტის არსებობა ოსმალეთთან.

სტატიაში იმ პერიოდში გამომავალ პრესაზე დაყრდნობით წარმოდგენილი იქნება პოლიტიკური და სამხედრო მოვლენების ყოველდღიური მსვლელობა და მისი ანალიზი, გამომწვევი მიზეზები და შედეგები.

პირველი მსოფლიო ომიდან სეპარატული ზავის შედეგად გამოთიშული რუსეთი სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაეხვა, რუსეთის ჯარებმა მასიურად დაიწყეს სამხრეთ კავკასიის ფრონტის მიტოვება. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა ოსმალეთმა და მოინდომა სამხრეთ კავკასიაში საკუთარი გავლენის გაძლიერება, სადაც იმ დროისათვის არსებობდა ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი ჩანასახი.

1917 წლის 8 ნოემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი ზავის შესახებ და მიმართა მეომარ ქვეყნებს შეეწყვიტათ ომი და დაეწყოთ საზავო მოლაპარაკება.

1918 წლის 3 მარტს საბჭოთა რუსეთის დელეგაციამ ხელი მოაწერა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებას, რომლის მეოთხე მუხლშიც წერია:

> არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქებიდან უნდა გავიდეს რუსეთის ჯარი. რუსეთი არ უნდა ჩაერიოს ამ ოლქების ახალ სახელმწიფო-სამართლებრივ და საერთაშორისო-სამეურნეო ორგანიზაციაში და უნდა მიეცეს შესაძლებლობა ამ ოლქების მოსახლეობას, დაამყაროს ახალი წყობილება მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან შეთანხმებით.

ამ ზავით საბჭოთა რუსეთმა ფაქტობრივად აღიარა დამარცხება პირველ მსოფლიო ომში და ამიერკავკასიის ქვეყნები შეატოვა თურქეთს. 1917 წლის 7 ნოემბერს რუსეთში ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ამიერკავკასიის პარტიები და ორგანიზაციები ბოლშევიკებს გაემიჯნენ და 15 ნოემბერს დააარსეს ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ასრულებდა ამ მხარის დროებითი მთავრობის ფუნქციებს. ამიერიკავკასიის კომისარიატმა გადაწყვიტა საკუთარი სახელით მოლაპარაკებოდა ოსმალეთს, გადაწყდა დაწყებულიყო სამშვიდობო მოლაპარაკებები.

კონფერენცია გაიხსნა 1 მარტს (14 მარტი), ტრაპიზონში, კონფერენციაზე ამიერკავკასიის კომისარიატის წარმომადგენლები უარს აცხადებდნენ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ცნობაზე, თურქები კი მოითხოვდნენ იქ მიღებული შეთანხმების დაცვას.

ტრაპიზონის სამშვიდობო მოლაპარაკების მიმდინარეობის პარალელურად ოსმალეთის სამხედრო ხელმძღვანელობა განაგრძობდა ამიერკავკასიის საზღვრებისაკენ შეტევას და ოსმალეთის რაზმებმა ერთმანეთის მიყოლებით დაიკავეს ტრაპიზონი, ერზერუმი და ყარაურგანი. მტრის რაზმები უკვე ყარსისა და ბათუმის მისადგომებთან გამოჩნდნენ, მდგომარეობა ძალზე კრიტიკული გახდა. საგარეო საფრთხეს დაემატა ის, რომ ამიერკავკასია შიგნით არ იყო ერთიანი და ადგილობრივი მაჰმადიანები იჭერდნენ ციხეებსა და სტრატეგიულ ობიექტებს. სოფელ ვარხანაში შემდგარა მუსლიმანთა ნაციონალური საბჭო, რომლის ირგვლივაც დიდი ძალა ყოფილა თავმოყრილი, ამ საბჭოს მიერ გამოტანილი დადგენილებების მიხედვით მოხდა მობილიზაცია. ამრიგად, ოსმალეთი ყველანაირად ცდილობდა ამიერკავკასიაში დაენთო აჯანყების ცეცხლი და უმტკივნეულოდ დაეკავებინა რაც შეიძლება მეტი ტერიტორია.

საინტერესოა, რომ თვითონ ოსმალეთს არ ჰყავდა მაინცდამაინც დიდი ძალები გადმოსროლილი კავკასიის ფრონტზე, ამიერკავკასიის ჯარების სარდლობის დასკვნის საფუძველზე ვიტყობთ, რომ ოსმალეთის მთელი სამხედრო ძალა წარმოდგენილი იყო ორი არასრული სამხედრო დივიზიით (8 000 კაცამდე), თანაც ჯარისკაცებს ეუბნებოდნენ, რომ მიდიოდნენ არა საბრძოლველად, არამედ დაცლილი ტერიტორიის დასაკავებლად (*საქართველო* 1918 №54: 3).

რა გასაკვირია, რომ არსებული შედარებით მცირე ძალების გამო ოსმალეთი ძალზე დიდ იმედებს ამყარებდა ადგილობრივ მოსახლეობაზე, მათ შორის, მუსლიმან ქართველებზე – აჭარლებზე, რომლებიც რაოდენობრივად აღემატებოდნენ კიდეც ბათუმის ბრძოლაში რეგულარულ ოსმალო ასკერებს, თუმცა ამაზე ქვემოთ.

მძიმე მდგომარეობაში მყოფმა ამიერკავკასიის მთავრობამ და სეიმმა, რომელიც გრძნობდა გარდუვალ კატასტროფას 1918 წლის 20 მარტს (2 აპრილს) მიიღო სამობილიზაციო კანონპროექტი, რომელიც 13 მუხლისგან შედგებოდა და მეორე დღესვე გამოქვეყნდა ყველა გაზეთში.

ამიერკავკასიის მთავრობა, რომელიც ყოველთვის ხაზს უსვამდა იმას, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახური დიდი ბოროტება იყო და ყოველთვის იბრძოლებდა იმისათვის, რომ სამხედრო სამსახური გაეუქმებინათ, იძულებული გახდა მობილიზაცია გამოეცხადებინა, რადგან ოსმალეთის მხრიდან საფრთხე დღითი დღე მატულობდა.

უკვე 15 მარტიდან (28 მარტი) აჭარის წყლის რაიონში, რომელიც ბათუმიდან 21 კილომეტრით არის დაშორებული, ოსმალო მზვერავები გამოჩნდნენ და ამიერკავკასიის ჯარებთან შეტაკება მოუხდათ.

23 მარტს (5 აპრილს) თბილისში მოვიდა ცნობა, რომ ოსმალებმა სარიყამიში აიღეს: „13 საათზე, სომხური ჯარის ნაწილებმა სარიყამიში უბრძოლველად დათმეს" (საქართველო 1918 №67: 2).

უკვე 28 მარტს (10 აპრილს) ჭოროხის, ჩაქვის და ქობულეთის რაიონებში სროლა იყო, რომელსაც პასუხი გასცა საციხოვნო არტილერიამაც, ბათუმის მიმდებარე ტერიტორიაზე ნელ-ნელა გახურება დაიწყო ბრძოლამ (*ერთობა* 1918 №74: 2).

იმ დროს, როდესაც ტრაპიზონში ამიერკავკასიის სამშვიდობო დელეგაციის წარმომადგენლები უშედეგოდ აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, ოსმალები ძალზე შედეგიანად მიიწევდნენ წინ და ადვილად უმკლავდებოდნენ დემორალიზებულ და სუსტად მომზადებულ ამიერკავკასიის ჯარებს.

ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის განცხადების მეორე დღესვე, ოსმალთა ჯარების სარდალმა, რომლის სრული სახელიცაა ფერიკ-ვეჰიბ-მეჰმედ-ფაშა, დეპეშა გაუგზავნა ბათუმის ციხის კომენდანტს, რომ მან გასცა ბრძანება შეეჩერებინა ბათუმის წინააღმდეგ ბრძოლა და ამასთანავე სთხოვა ბათუმის კომენდანტს შეეჩერებინა ბათუმიდან არტილერიის მოქმედება და ასევე გადასცა, რომ თუ ბათუმის კომენდანტი 11 აპრილს (ახ. სტ) საღამოს 6 საათამდე არ იქნება შეჩერებული სროლა, სამხედრო მოქმედება გაგრძელდებაო (*ერთობა* 1918 №96: 1).

მეორე დღეს, 12 აპრილს (ახ.სტ.) ამიერკავკასიის ჯარების უფროსს ოსმალებმა ულტიმატუმი წამუყენეს, სადაც აღნიშნული იყო, რომ ვინაიდან ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად ბათუმი უნდა დაიცალოს და ამიერკავკასიის ჯარებმა უნდა დაიხიონ 1877 წლის რუსეთ-ოსმალეთის საზღვარზე. ხოლო ფორტები, რომლებითაც ბათუმი იყო დაცული, სასწრაფოდ უნდა დაცლილიყო, ამასთან ყველანაირი შეიარაღება და საბრძოლო მასალა, რაც ფორტებში იყო განლაგებული, აუცილებლად ოსმალეთის ხელში უნდა გადასულიყო. ამასთანავე გამაგრებული ადგილების დაცლისათვის ამიერკავკასიის ჯარების სარდლობას ეძლეოდა დრო 31 მარტის (13 აპრილის) შუადღის ოთხ საათამდე. თუ ამ დროისათვის პირობა არ იქნებოდა შესრულებული, ოსმალები გადმოვიდოდნენ შეტევაზე. საპასუხოდ ვადა იყო მიცემული 31 მარტის (13 აპრილის) შუადღის 12 საათამდე.

ამასთან ამავე დღეს, ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის თავჯდომარემ, ა. ჩხენკელმა ორჯერ აცნობა დეპეშით ბათუმში შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ფორტების დაცლა მას მიაჩნია აუცილებლად მთელი რიგი მოსაზრებების გამო, რომელსაც არ აკონკრეტებდა.

ბათუმის ციხის კომენდანტმა მიიღო რა ოსმალთა ულტიმატუმი, სთხოვა ოსმალთა ჯარების სარდალს, გაეგრძელებინა ვადა 24 საათით, ვინაიდან მას საშუალება არ ჰქონდა თბილისიდან შესაფერი განკარგულებები მიეღო. ვეჰიბ ფაშამ ამ თხოვნაზე უარი განაცხადა და ბათუმიც იარაღით აიღეს ოსმალთა ჯარებმა 1 აპრილის (14 აპრილი) ღამით, მას შემდეგ, რაც ფაქტობრივად 48 საათით იყო შეწყვეტილი საბრძოლო მოქმედებები (*ერთობა* 1918 №96: 3).

აქ მომყავს ჯავშნოსანი მატარებლის უფროსის ვალოდია გოგუაძის ნაამბობი, სადაც ის აღწერს ბათუმის დაცემას, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ *ერთობის* 7 აპრილის (20 აპრილი) ნომერში: ბათუმში სიტუაცია მეტად აირია 30 მარტიდან (12 აპრილი), როდესაც საღამოს გამოცხადდა დროებითი შერიგება. ამ ფაქტმა ისედაც გაქცევაზე თვალდაჭერილი ჯარები უარესად დაქსაქსა, ხალხში ის აზრი დაიბადა, რომ ომი დამთავრდა და ბევრი შინ დასაბრუნებლად მოემზადა ფსიქოლოგიურად და ზოგიც ფიზიკურადაც.

მიუხედავად იმისა, რომ მეთაურები ჯარისკაცებს უხსნიდნენ საქმის ნამდვილ მდგომარეობს, მაგრამ მათ შეგონებას არავინ უსმენდა, პოზიციებზე მხოლოდ მცირერიცხოვანი რაზმები იდგა და ისინიც მეტად უგულისყუროდ ეკიდებოდნენ საქმეს, როდესაც ვალოდია გოგუაძის მიერ ერთი რაზმი იქნა გაგზავნილი გარნიზონის შესაცვლელად, გარნიზონის ჯარისკაცებმა არც კი ჰკითხეს შემცვლელთ ვინ იყვნენ და ჰქონდათ თუ არა ნებართვა (*ერთობა* 1918 №79: 2).

1 აპრილს (14 აპრილი) ვალოდია გოგუაძე შედის ქალაქ ბათუმში, სადაც ნახულობს გენერალ ართმელიძეს, რათა მისგან მიიღოს განკარგულებები. გენერლის ბრძანება მეტად სავალალოა, ის გოგუაძეს უბრძანებს შეაჩეროს ამიერკავკასიის ჯარის ნაწილები, რომლებიც სტიქიურად გარბიან პოზიციებიდან.

ბათუმის ბედი გადაწყვეტილი იყო. ჯარების მოუმზადებლობა აშკარად ჩანდა, ჯარისკაცებმა ან ვერ მოასწრეს ნორმალურ წვრთნის გავლა, ან ამაზე დიდად არც არავის შეუწუხებია თავი. რამდენიმე წერილში, რომელიც ძველმა ოფიცრებმა გამოგზავნეს თბილისში და რომელიც დაიბეჭდა *ერთობისა* და *საქართველოს* ფურცლებზე, წინასწარ იყო გაცხადებული ის, რაც მოხდა პირველ აპრილს ძველი სტილით, ოფიცრები არაერთხელ ითხოვდნენ მთავრობისაგან ბათუმის პოზიციებზე გაეშვათ გამოცდილი, უკვე ნამსახური

ჯარისკაცები და არა ახალწვეულები.

აღსანიშნავია, რომ ყველა წერილში, რომელიც იბეჭდებოდა *გაზეთ ერთობასა* და *საქართველოში*, ჯარისკაცები მტრის ჯარებს აჭარლებად მოიხსენიებდნენ. ფაქტია, რომ იმ მომენტში ან აჭარლები, მართლაც, სჭარბობდნენ ოსმალებს, ან უბრალოდ საყოველთაოდ იყო ასეთი აზრი გავრცელებული ქართულ ოფიცრებში. ამის დადგენა ახლა ძნელი იქნება.

2 აპრილს დილის 7 საათზე ჩაქვიდან ტელეგრამა მივიდა ვალოდია გოგუაძის სახელზე, რომელიც გამოგზავნილი იყო ჩაქვის რაზმის უფროსის პოლკოვნიკ ყარალაშვილისგან, რომელიც ალყაში იყო მოწყვდეული და ითხოვდა შველას, ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით პოლკოვნიკმა ყარალაშვილმა და მისმა რაზმმა ბრძოლით გამოიარა მთელი გზა და გავიდა ქობულეთისაკენ მშვიდობით.

ვალოდია გოგუაძე აღნიშნავს, რომ ოფიცერთა უმრავლესობა გმირულად იბრძოდა უკანასკნელ წუთებამდე, ჯარისკაცების მხოლოდ უმცირესობაზე შეიძლება იგივე ითქვას, ასევე, აღსანიშნია გენერალ ართმელიძის და პოლკოვნიკ გელოვანის რაზმების გმირული ბრძოლა, რომლებმაც ბოლო წუთებამდე არ დათმეს პოზიციები და მხოლოდ სარდლობის ბრძანებით დატოვეს ისინი.

აქვე უნდა ითქვას, რომ არტილერია ღირსეულად იბრძოდა, მტერს დიდ ზიანს აყენებდა და როგორც ვალოდია გოგუაძე აღნიშნავს, ქვეითი რაზმის ნორმალური მომზადების შემთხვევაში შედეგი სულ სხვა იქნებოდაო (*ერთობა* 1918 №80: 2).

როგორც აღვნიშნეთ, 31 მარტს (13 აპრილს) ღამით ამიერკავკასიის დელეგაცია მთავრობამ გაიწვია და 1 აპრილს (14 აპრილს) დელეგაცია თბილისში გაემგზავრა. ამის შემდეგ სამხედრო მოქმედებები გაგრძელდა როგორც შავი ზღვის პირის რაიონში (ბრძოლა ბათუმისათვის), ასევე არანაკლები ინტენსივობით ყარსის ციხის გარშემო, რაც ოსმალთა ჯარების უფროსმა ა. ჩხენკელს აცნობა 9 აპრილის (22 აპრილის) დეპეშით, სამხედრო მოქმედება იმიტომ განვაახლეთ, რომ ამიერკავკასიის დელეგაციამ საზავო მოლაპარაკება შეწყვიტაო. 10 აპრილს (23 აპრილს), ვინაიდან წინა დღით სეიმმა დაადგინა, რომ ოსმალებთან საზავო მოლაპარაკება განახლებულიყო, მინისტრთა თავმჯდომარემ ა. ჩხენკელმა[1] ახალი კაბინეტის შედგენამდე წინადადება მისცა ოსმალთა ჯარების უფროსს 10 აპრილის საღამოს 8 საათიდან მთელს ფრონტზე შეეჩერებინათ სამხედრო მოქმედება. ამასთანავე ა. ჩხენკელმა აცნობა ოსმალეთს, რომ ამიერკავკასია გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

ამიერკავკასიის ლაშქარს ესაჭიროებოდა გამარჯვება იმისათვის, რომ ელემენტარული თვითრწმენა მაინც გასჩენოდა დემორალიზებულ სამხედრო ნაწილებს, ეს გამარჯვება მათ გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა აჩუქა.

გიორგი მაზნიაშვილის მოგონებების მიხედვით, 12 აპრილს (ახ. სტ.) სამტრედიაში გენერალი მაზნიაშვილი შეხვდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას და კავკასიის არმიის მთავარსარდალ ლებედინსკის, ასევე ამ შეხვედრაზე დასასწრებად ბათუმიდან ჩამოვიდა ბათუმის ციხის კომენდანტი – გენერალი მდივანი. გენერალმა მდივანმა მაზნიაშვილს გადასცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც იგი დანიშნული იყო შემოვლითი რაზმის უფროსად, რომელსაც სადგურ ჩაქვიდან უნდა გაევლო ხეობა, ასულიყო მაღლობზე, რომელიც მიდის სამების ფორტამდე და ყველანაირად უნდა ეცადა შეეშალა ხელი ოსმალეთისათვის, რათა მათ არ დაეჭირათ ფორტი სამება.

ამ გეგმას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და გარკვეულწილად ბათუმის ბედი იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ რამდენად სწრაფად შეძლებდა გიორგი მაზნიაშვილი ამ ამოცანის შესრულებას. მას ძალზე რთულ ვითარებაში მოუწია სულ მცირე ჯარის შედგენაც კი, მის განკარგულებაში იყო 90 კაცისაგან შემდგარი რაზმი, და ერთი ბატარეა, რომელსაც მეთაურობდა კაპიტანი სერგო კარგარეთელი. გავითვალისწინოთ, რომ ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც მატარებლები გაჭედილი იყო ფრონტიდან გამოქცეული ჯარისკაცებით, რომლებიც, მიუხედავად ოფიცრების დიდი მცდელობისა, გარბოდნენ თავიანთ სახლებში და თან მიჰქონდათ სახაზინო ტანისამოსი და იარაღი.

მთავრობა უკვე ბათუმის დაკარგვის წინა დღეს, 13 აპრილს (ახ.სტ.) იყო დარწმუნებული იმაში, რომ ბათუმი დაეცემოდა, რადგან 13 აპრილს გიორგი მაზნიაშვილი დაიბარა ნოე ჟორდანიამ და დაავალა გამგზავრებულიყო სადგურ ნატანებში და მიეღო სათანადო ზომები, რათა მტერი მდინარე ჩოლოქს არ გადმოსცდენოდა (მაზნიაშვილი 1990: 27).

1 აპრილს (14 აპრილს) დილით გენერალი მაზნიაშვილი დაიძრა სამტრედიიდან სამი ეშელონით. სულ გენერლის განკარგულებაში იყო: 174 შეიარაღებული კაცი, 4 ტყვიამფრქვევი და 6 საარტილერიო დანადგარი, 4 ოფიცერი და 150 ჯარისკაცი. ხოლო ნატანებში რაზმს მიემატა ჯავშნიანი მატარებელი ვალოდია გოგუაძის ხელმძღვანელობით (მაზნიაშვილი 1990: 29).

გენერალი ამ მცირე რაზმის იმედად იჭერს მდინარე ჩოლოქის პოზიციებს, თავის მოგონებებში გიორგი მაზნიაშვილი აღნიშნავს, რომ ახლო მდებარე სოფლებიდან მან დაიბარა უხუცესები, გააცნო საქმის ვითარება და სთხოვა დახმარება შექმნილ სიტუაციაში. უხუცესების დახმარებით შედგა მოხალისეთა რაზმები, რომელთაც დაეკისრათ ძირითადად სადაზვერვო ფუნქციები (მაზნიაშვილი 1990: 31).

ამის შემდეგ მაზნიაშვილი უკავშირდება კორპუსის უფროსს – გენარალ გაბაშვილს და სთხოვს დამხმარე ჯარებსა და ოფიცრების გამოგზავნას სამეთაურო შტაბის შესადგენად და პარტიზანული რაზმების სამეთაუროდ. ასევე სამტრედიაში ზურგისა და სანიტარული ნაწილების ორგანიზებას.

ამ დროს ქობულეთში იმყოფება პოლკოვნიკი ყარალაშვილი თავისი მეორე ლეგიონის ნარჩენებით, რომლებიც ჩაქვიდან გამოიყვანა ვალოდია გოგუაძემ თავისი ჯავშნოსანი მატარებლით.

შეხვედრისას პოლკოვნიკმა ყარალაშვილმა გენერალს მოახსენა, რომ ოსმალები გამოჩნდნენ ჩაქვის მიდამოებში და მოიწევენ ქობულეთისაკენ, ხოლო გენერლის შეკითხვაზე, თუ რას წარმოადგენს მეორე ლეგიონი, როგორც სამხედრო ძალა, პოლკოვნიკმა უპასუხა რომ ლეგიონში დარჩა 500 ჯარისკაცი, და რომ იგი, როგორც სამხედრო ნაწილი არაფრად ვარგა და რომ მათი ერთადერთი მისწრაფებაა რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში.

ამ მოხსენების შემდეგ გიორგი მაზნიაშვილმა გადაწყვიტა, რომ ეს ლეგიონი არ დაეტოვებინა, რადგან „გამოცდილებით ვიცოდი, რომ ამგვარი ჯარის ნაწილი არამცთუ არავითარ დახმარებას არ გამიწევდა, არამედ პირიქით, იმ პატარა რაზმსაც გამიფუჭებდა, რომელიც პოზიციებზე იდგა“ (მაზნიაშვილი 1990: 32).

პოლკოვნიკმა ყარალაშვილმა მიიღო ბრძანება, რომ თავისი ლეგიონით ასულიყო სადგურ ლანჩხუთში და იქ დაბანაკებულიყო, რომ შეედგინა დამხმარე რაზმი.

16-17 აპრილს (ახ.სტ.) გენერალი მაზნიაშვილი ამაგრებს პოზიციებს, ავსებს ახალი რაზმებით და ემზადება მტრის დასახვედრად. დღისით მზვერავის ფუნქციას ასრულებს ჯავშნიანი მატარებელი, ხოლო ღამით ადგილობრივ მკვიდრთაგან შედგენილი მზვერავი რაზმები.

18 აპრილს (ახ.სტ.) მაზნიაშვილი მიემგზავრება ვალოდია გოგუაძის ჯავშნოსანი მატარებლით ქობულეთისკენ, სადაც ოჩხამურის ხიდზე ოსმალების მზვერავებს გზა გაეხსნათ, წინა ვაგონი და ორთქმავალი ხრამში გადაიჩეხა, სერიოზული საფრთხე დაემუქრა გენერალსა და ვალოდია გოგუაძეს, თუმცა საბედნიეროდ ისინი უხიფათოდ გადარჩნენ, მხოლოდ ხელის გული დაეწვა გიორგი მაზნიაშვილს (შარაძე 1992: 439-440).

საბედნიეროდ მოხერხდა ჯავშნიანი მატარებლის გადარჩენა, სამტრედიიდან გამოძახებულმა სარემონტო მატარებელმა მოახერხა მისი ამონევა და გარემონტება.

ვიდრე გენერლის სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხეში იყო, მისი საქმე წინ მიიწევდა, სამხედრო რაზმები ივსებოდა ნაწილ-ნაწილ 100-150 კაციან მცირე ჯგუფებად. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფრიად მამულიშვილური გრძნობით განწყობილნი მოდიოდნენ გენერალ მაზნიაშვილის განკარგულებაში, მათ მაინც არ ავიწყდებოდათ ახალი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის, ასევე სადილის მოთხოვნა და მხოლოდ მაშინ მიდიოდნენ პოზიციებზე, როდესაც ყველა მოთხოვნას დაიკმაყოფილებდნენ (მაზნიაშვილი 1990:34).

> მე კარგად მქონდა შესწავლილი ფსიქოლოგია ქართველი ჯარისკაცებისა, კარგად ვიცოდი, რომ თუ მტრის პირველ იერიშებს გავუძლებდი, ჩემი ჯარები იბრძოლებდნენ ბოლომდე, მაგრამ თუ პირველივე შეტაკებაზე შედრკებოდნენ, განმეორდებოდა ბათუმის ისტორია და იძულებული ვიქნებოდი დამეხია სამტრედიისაკენ და იქ კვლავ დამეწყო შეგროვება გაფანტული ჯარებისა, რომლებიც ასე სიძნელით იქნა შეგროვებული ასეთ მოკლე ხანში (მაზნიაშვილი 1990: 35).

საჭირო იყო რეზერვი, რომელსაც აქვს მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია, გარდა პრაქტიკული გამოყენებისა, რეზერვს აქვს ძალზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური დატვირთვა იმ ძალებისათვის, რომლებიც ფრონტზე იბრძვიან. რადგან გენერალს რეზერვი არ გააჩნდა, მისი ფუნქცია უნდა ეტვირთა ჯავშნიან მატარებელს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვალოდია გოგუაძე, რომელმაც დაკისრებული ფუნქცია ბრწყინვალედ შეასრულა.

სამწუხაროდ მხოლოდ ამ პოზიციის მომზადება არ კმარობდა, არსებობდა საფუძვლიანი საშიშროება, რომ ოსმალეთის ჯარები შეძლებდნენ ზურგიდან მოევლოთ ამ პოზიციისათვის იმ შემთხვევაში თუ ოზურგეთი არ იქნებოდა გამაგრებული. ამიტომ გენერალი მაზნიაშვილი ოზურგეთში გაემგზავრა, სადაც მოინახულა მეოთხე ქართული ლეგიონი, რომელსაც ხელმძღვანელობდა სვიმონ წერეთელი. გენერალი შეეკითხა მას, შეიძლებოდა თუ არა ამ ლეგიონზე იმედის დამყარება და დაყრდნობა, რაზედაც მიიღი პასუხი, რომ ლეგიონერები დარცხვენილები არიან ბათუმიდან გამოქცევის გამო და იბრძოლებდნენ თავგამეტებით და დაიცავენ თავიანთ მიწა-წყალს. რამდენად „დაიცვეს“ ამ ჯარებმა ოზურგეთი ამას ქვევით ვნახავთ.

ოზურგეთის პოზიციების მონახულების მეორე დღეს მაზნიაშვილს დაუკავშირდნენ ტელეფონით ოზურგეთიდან. ტელეგრაფისტი აცნობებდა რომ ოზურგეთი დაცლილია სახელმწიფო დაწესებულებების ჯარებისა და მეოთხე ქართული ლეგიონის მიერ და ისინი იხევენ დაბა ჩოხატაურისკენ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მოულოდნელი და თავზარდამცემი ცნობა იქნებოდა ეს გენერალი მაზნიაშვილისათვის. სიტუაცია სასწრაფოდ მოქმედებებს მოითხოვდა.

6 აპრილს (21 აპრილს) გამთენიის 3 საათისათვის, გენერალს აცნობეს, რომ ოსმალები მიუახლოვდნენ ქართულ პოზიციებს, აქ იწყება, შეიძლება ითქვას, მთელს ამ ომში ერთადერთი ღირსეული გამარჯვება

ამიერკავკასიის ჯარებისა, გამარჯვება ჩოლოქთან, რომელშიც კიდევ ერთხელ გამოჩნდა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ბრწყინვალე ცოდნა სამხედრო ხელოვნებისა. აგრეთვე, ამ ბრძოლაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ჯავშნიანი მატარებლის უფროსმა, კაპიტანმა ვალოდია გოგუაძემ.

მას შემდეგ, რაც ცნობა მოვიდა ოსმალების გამოჩენის შესახებ, ჯავშნიან მატარებელს ებრძანა ტყვიამფრქვეველებითა და არტილერიით დაეცვა ქართული პოზიციები, ასევე დაეზვერა მიდამო და შტაბისათვის მიეწოდებინა სრული ინფორმაცია მტრის რაზმების გადაადგილების შესახებ.

დილის 5 საათზე ჯავშნოსანი ჩოლოქის ხიდს მიადგა, მტრის გუშაგები დაიჭირა და პირდაპირ მტრის ბანაკში შეიჭრა. მთელი ველის გარშემო სულ ოსმალო ჯარისკაცები იყვნენ განლაგებული. არცერთ მხარეს სროლა არ აუტეხია, უბრალოდ ელოდა მოვლენების განვითარებას. აი რას გადმოგვცემს ჯავშნოსნის მეთაური ვალოდია გოგუაძე თავის მოგონებებში: „მე სროლა არ ავტეხე, მტერს ვაგრძნობინე, რომ შემთხვევით მოვხვდი მტრის ბანაკში და ვნებდები. უკვე გათენდა და ოსმალები ჩვენი ჯავშნოსნისკენ გამოიქცნენ, ახლოს მოვიდნენ და მატარებლის საფეხურებზეც კი ამოცოცდნენ, ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვეველების ლულებს ჩამოეკიდნენ. ჯავშნოსანი ჩაკეტილი იყო, შიგნით ვერ შემოვიდოდნენ. ოსმალები გულდამშვიდებულად გამოლაგდნენ რკინიგზასთან, ეგონათ რომ ჯავშნოსანი ცეცხლს არ გახსნიდა. როდესაც იქ ყველამ მოიყარა თავი, მაშინ გავეცი ბრძანება ცეცხლი გაეხსნათ, შეიქნა სასტიკი ბრძოლა, მოწინააღმდეგე მამაცურად იბრძოდა. როდესაც მტრის ჯარებს მთელი ყურადღება ჯავშნოსნისკენ ჰქონდათ მიმართული, ამასობაში გენერალ მაზნიაშვილის ქვეითებმაც დაიწყეს შემოტევა და ერთი მხრიდან რკალში მოაქციეს მოწინააღმდეგე.

ამ ბრძოლაში ამიერკავკასიის ჯარებმა დაკარგა მხოლოდ ოთხი ჯარისკაცი. სამაგიეროდ ოსმალები ძალიან დაზარალდნენ.

ასე დამთავრდა 6 აპრილის ბრძოლა, ჩოლოქის მიდამოებში ბრწყინვალე გამარჯვებით, გამარჯვებით გიორგი მაზნიაშვილის სტრატეგიული ნიჭისა, რომელმაც მოახერხა და თითქმის სრულად მოუმზადებელი ქართული ჯარებით შეძლო კარგად გაწვრთნილი და გაცილებით მრავალრიცხოვანი ოსმალეთის იმპერიის ჯარის დამარცხება. ეს არის პატარა, მაგრამ ულამაზესი ეპიზოდი ამიერკავკასიასა და ოსმალეთს შორის მიმდინარე ამ პატარა, მაგრამ საკმაოდ ტრაგიკული ომისა.

რაც შეეხება ოზურგეთს, აქ ქართულ ნაწილებს, კერძოდ მეოთხე ქართულ ლეგიონს, პოლკოვნიკ წერეთლის მეთაურობით არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია მტრისთვის და დაიხია დაბა ჩოხატაურისაკენ.

იმის გამო, რომ გენერალ მაზნიაშვილის მარცხენა ფრთა მოიშალა, იქმნებოდა სერიოზული საშიშროება იმისა, რომ ოსმალეთის ჯარები შემოუვლიდნენ ამიერკავკასიის ჯარების პოზიციებს და ალყაში მოაქცევდნენ, მაგრამ ოსმალებმა დაადგვიანეს მანევრის შესრულება, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასროლა ჩოლოქზე ოსმალთა ნაწილების განადგურებამ. მაზნიაშვილმა ამ დარტყმით შეაჩერა ოსმალთა ჯარი და მათ ვერ შეძლეს შეტევის განვითარება, ამან დრო მისცა გენერალს და მან ენერგიული ქმედებებით მოახერხა ჯარების განლაგება ნასაკირალის უღელტეხილზე და მოუსპო საშუალება ოსმალებს ზურგში თავდასხმისა.

ნასაკირალის უღელტეხილზე განთავსდნენ ორი ლეგიონის ჯარისკაცები, პოლკოვნიკ ყარალაშვილის მეთაურობით.[2] ასევე ხაშურიდან მოვიდა პოლკოვნიკი გედევანიშვილი თავისი რაზმით, რომელიც მოიხსნა ახალციხის ფრონტიდან. უღელტეხილის საბრძოლო რაიონის უფროსად დაინიშნა გენერალი სუმბათაშვილი.

უკვე 7 აპრილიდან (20 აპრილი) იწყება პოზიციური მანევრები, როგორც ოსმალები, ასევე ქართული ჯარები იწყებენ თხრილების გათხრას და ძველი თხრილების გამაგრება-გაფართოებას, რამოდენიმე დღის განმავლობაში თხრილებით დაიფარა მთელი ფრონტი და გადაიჭიმა ზღვიდან სოფელ შემოქმედამდე 21 კილომეტრის მანძილზე.

9 აპრილს (22 აპრილი) ჯარების შტაბში მოვიდნენ გვარდიის ეშელონები, შეიარაღებითა და აღჭურვილობით, ასევე საველე შტაბის თანხლებით.

გენერალი მაზნიაშვილი საინტერესოდ და გასაგებად აღწერს შტაბის მუშაობისა და მართვის პრინციპებს თავის მოგონებებში, მისი გადმოცემით სახალხო გვარდიას არ ჰყავდა ერთი რომელიმე მეთაური, იყო მთავარი შტაბი და ეს შტაბი საჭიროებისამებრ გამოჰყოფდა საკუთარი რიგებიდან სამი-ოთხი წევრისაგან შემდგარ კომისიას, მიუმატებდა ერთ გამოცდილ და მცოდნე სამხედრო პირს და ეს შემდგარი ორგანო იყო გვარდიის მეთაური ბრძოლის დროს. ყველა საკითხი, როგორც საბრძოლო, ისე ადმინისტრაციული და სამეურნეო წყდებოდა ხმის უმრავლესობით. რაც შეეხება გვარდიის ბრძოლისუნარიანობას, გენერლის აზრით, გვარდია საკმაოდ გამოსადეგი ძალა იყო და შეიძლებოდა მასზე დაყრდნობა (მაზნიაშვილი 1990: 46).

ყველა ქართველ ჯარისკაცს და განსაკუთრებით ადგილობრივ მოსახლეობას ძალზე აწუხებდა ოზურგეთის დაკარგვა, როგორც გიორგი მაზნიაშვილი აღნიშნავს, მასთან მიდიოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები და სთხოვდნენ დაებრუნებინა ოზურგეთი.

შტაბში გადაწყდა ოზურგეთის დაბრუნება და იქიდან მტრის საჯარისო დანაყოფების განდევნა, შემუშავებული გეგმა მდგომარეობდა შემდეგში, პოზიციების მარჯვენა ფრთა რჩებოდა თავის ადგილზე და ხელს შეუწყობდა მთავარი ძალების იერიშს. სახალხო გვარდიის რაზმს სანაპირო ჯარის ორი რაზმისა და სამთო ბატარიის დახმარებით გვერდიდან უნდა შემოევლო მტრისათვის სოფელ ვაშნარიდან ოზურგეთამდე.

მათ საცეცხლე დახმარებას გაუწევდა თხრილებში მყოფი ჯარის ნაწილები. მარცხენა ფრთას ნაგომარის უღელტეხილიდან ნასაკირალის უღელტეხილამდე ხელი უნდა შეეწყო მთავარი ჯარების იერიშისათვის, სანამ ეს ჯარები არ მიაღწევდნენ ჩაის პლანტაციებამდე, რომელიც მდებარეობდა ნატანებ-ოზურგეთის გზატკეცილის პირას და გძელდებოდა ოზურგეთამდე. იმ წუთასვე, როდესაც მთავარი ძალები დაიჭერდნენ ჩაის პლანტაციებს, მარცხენა ფრთა გენერალ სუმბათაშვილის მეთაურობით უნდა გადასულიყო სწრაფ და გადამწყვეტ იერიშზე და დაეჭირა ოზურგეთი. ამის შემდეგ, სახალხო გვარდიის ნაწილები უნდა დასდევნებოდნენ უკან დახეულ მტერს და გასულიყვნენ სოფელ ლიხაურამდე, იქ შეჩერებულიყვნენ და გამაგრებულიყვნენ (მაზნიაშვილი 1990: 48).

11 აპრილს (24 აპრილი) დაიწყო იერიში, ოსმალები ვერ უძლებდნენ ქართული ნაწილების მიწოლას და განუწყვეტლივ იხევდნენ უკან. გამარჯვება ადვილი შესაძლებელი იყო, რადგან გენერალმა მაზნიაშვილმა მოახერხა და ქართული ნაწილების მოტივაცია და შემართება ისე აამაღლა, რომ არცერთი ქართველი ჯარისკაცი არ ფიქრობდა უკან დახევაზე, იხსენებს მაზნიაშვილი. მაგრამ... დილის 10 საათისთვის გენერალ მაზნიაშვილთან გამოცხადდა შიკრიკი, რომელმაც გადასცა მთავრობის თავჯდომარის ბრძანება, რომლის მიხედვითაც უნდა შეწყვეტილიყო საბრძოლო მოქმედებები, რადგან ოსმალეთთან მიმდინარეობს საზავო მოლაპარაკებებიო.

აღნიშნული ბრძანების მიღებიდან ცოტა ხნის შემდეგ გენერალ მაზნიაშვილთან მიდის მეორე შიკრიკი და გადასცემს დეპეშას, რომელშიც გენერალს ატყობინებენ, რომ ამიერკავკასიისა და გერმანიის მთავრობების შეთანხმებით, გერმანიის საიმპერატორო მთავრობა არ მისცემდა ოსმალეთის ჯარებს წინ წანევის საშუალებას. ამ ბრძანებასთან ერთად გენერლის განკარგულებაში იგზავნებოდა გერმანელ ჯარისკაცებისაგან[3] შემდგარი რაზმი ოფიცრის თანხლებით.

ამ ბრძანების მიღებიდან რამდენიმე საათში ქართული პოზიციების თავზე უკვე გერმანიის ბაირალიც ფრიალებდა.

შემდეგ დღეებში შავი ზღვის პირის მიმართულებაზე ხდებოდა მხოლოდ პოზიციების გამაგრება და რეზერვების შევსება, დროებითი შეთანხმება საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ არ დარღვეულა.

სამაგიეროდ პარალელურად შედარებით მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი სარიყამიშისა და ყარსის მიმართულებაზე.

11 აპრილს (24 აპრილს) მინისტრთა თავმჯდომარემ, საარმიო კორპუსის შტაბის უფროსის გენერალ ვიშინსკის ცნობიდან გაიგო გენერალ ოდიშელიძესადმი მიცემული ის პირობები, რომლის თანახმად ოსმალები მოითხოვდნენ ყარსთან ბრძოლის შეჩერებას, ვიშნსკის დეპეშის თანახმად, როგორც აღნიშნული იყო, ყარსის ფრონტის ოსმალეთის ჯარების უფროსის წერილში გენერალ ვიშინსკისადმი შემდეგში მდგომარეობდა: ჩვენს ჯარებს უნდა დაეხიათ ყარსისაკენ და უნდა გაჩერებულიყვნენ ორი კილომეტრის დაშორებით ფორტების წინ, აგრეთვე ამიერკავკასიის ჯარს სროლა არ უნდა აეტეხა, როცა ოსმალთა ჯარები მოვიდოდნენ, რომელთაც იმავე დღეს უნდა დაეკავებინათ აღნიშნული ხაზი.

ამ ცნობის მიღებისთანავე მინისტრთა თავჯდომარემ დაუყოვნებლივ გასცა ბრძანება მიეღოთ ოსმალების პირობები და შეეწყვიტათ სამხედრო მოქმედება, რაც კიდევაც ეცნობა სომხური კორპუსის უფროსს გენერალ ნაზარბეკოვს. ამ განკარგულებასთან ერთად ამიერკავკასიის ჯარების სარდლებთან მივიდა ოსმალეთის ჯარების სარდლის, ვეპიბ ფაშას დეპეშა, სადაც იტყობინებოდა, რომ ოსმალებმა შეაჩერეს მოქმედება ციხიდან ორი კილომეტრის დაშორებით.

11 აპრილსვე (24 აპრილი) გენერალ ნაზარბეკოვს ებრძანა არაუგვიანეს ღამის 12 საათისა 11 აპრილს ოსმალებთან გაეგზავნა პარლამენტიორები, რათა განესაზღვრათ დრო და პირობები ყარსის დაცლისა, ამასთანავე მას უნდა ეცადა რაც შეიძლება დიდი მეტი დრო გამოეთხოვა ამ საქმისათვის და საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის დრო მიეცა მისთვის, რათა იგი მთავრობას შეჰკითხებოდა (ერთობა 1918 №91: 1-2).

ყარსთან განთავსებულ ოსმალთა ჯარების უფროსმა 11 აპრილს დილით წერილი გაუგზავნა ამიერკავკასიის სამხედრო რაზმის უფროსს ვეპიბ ფაშის ზემომოყვანილი სამი პირობის შესახებ. ციხის კომენდანტმა არ დაუცადა ამ პირობების ამიერკავკასიის მთავრობის მიერ დამტკიცებას და შეუდგა მის აღსრულებას. ციხის კომენდანტს 11 აპრილს ვერ მოუსწრო მთავრობის განკარგულებამ ციხის უბრძოლველად ოსმალეთისთვის გადაცემის შესახებ, მას უნდოდა მიეღო შესაფერი ზომები რომ შეეჩერებინა ოსმალთა ჯარების შემოტევა საქმის გამორკვევამდე, ამიტომ მან გახსნა ცეცხლი საციხოვნო არტილერიიდან, რომელიც შეწყდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოსმალები შეჩერდნენ. ამ გაუგებრობას ხელი შეუწყო აგრეთვე ოსმალთა პირობების გაურკვევლობამ ორი კილომეტრის მანძილის შესახებ.[4]

ციხის უბრძოლველად გადაცემის შესახებ კომენდანტმა ბრძანება მიიღო მხოლოდ საღამოს 7 საათზე 11 აპრილს (24 აპრილს), მაშინ კომენდანტმა ოსმალებს გაუგზავნა პარლამენტიორები და 12 აპრილს (25 აპრილი) დილიდანვე წინასწარ შემუშავებული პირობების თანახმად ამიერკავკასიის ჯარების ნაწილებმა კომენდანტის განკარგულების თანახმად დაიწყეს ფორტების დატოვება, რომლებიც შემდეგ დაიკავეს ოსმალთა ჯარებმა.

ყარსის დაცლის შემდეგ ამიერკავკასიის ჯარებმა დაიხიეს მდინარე არპაჩაიზე, ხოლო ალექსანდროპოლის ის სიმაგრეები, რაც დარჩა არპაჩაის მარჯვენა ნაპირზე ჩვენმა ჯარებმა ააფეთქეს, რადგან ეს ფორტები ყარსის ოლქის მიდამოებში იყო მომწყვდეული და საშიშროებას წარმოადგენდა ერევნის გუბერნიისათვის.

ოსმალეთის ჯარებმა 14 და 15 (27 და 28) აპრილს გადმოლახეს ამიერკავკასიის საზღვარი ალბათ დაზვერვის მიზნით, მალევე ჯარები უკან გაბრუნდნენ და დაიკავეს საწყისი პოზიციები.

როგორც ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, ამიერკავკასიის მთავრობა ზომებს იღებდა იმისათვის, რომ ოსმალეთის მიერ დაჭერილ ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხებს მეტი დრო მიეცათ იმისათვის, რათა, ვისაც სურვილი ჰქონდა, დაეტოვებინა საკუთარი მინა წყალი, წამოსულიყო და ქონება გამოეტანა, ამ შემთხვევაში ეს უფრო ნაკლები უბედურება იყო, არჩევანი ცუდსა და უარესს შორის, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მთავრობამ არაერთხელ მიმართა კავკასიის ფრონტის ოსმალეთის ჯარების მთავარ სარდალს – ვეჰიბ ფაშას და განუცხადა, რომ სამშობლოდან გამოქცეული ხალხი დიდ შევიწროებას განიცდიდა და რომ ამ ნიადაგზე მოსალოდნელი იყო ეროვნული დაპირისპირება, ასევე განაცხადეს, რომ ერთადერთი საშუალება უბედურების თავიდან ასაცილებლად იქნებოდა გადმოსახლების შეჩერება იმათი შეჩერება და უკან გაბრუნება, ვინც გზაში იყო. ამიერკავკასიის მთავრობამ ოსმალეთის სარდალს აცნობა, რომ გადმოსახლების შესაჩერებლად შემდეგი გარანტიები გამოდგებოდა: სასტიკი ბრძანება ოსმალეთის ჯარებისადმი, რომ მათ მცხოვრებლებისათვის არავითარი შევიწროვება არ მიაყენონ, შეიარაღებული ბრბოების ალაგვმა, გზების დაცვა, მშვიდობიან სახალხო ორგანიზაციებისათვის ნების მიცემა, რომ სოფლებში წესრიგი დაიცვან და ლტოლვილთა საქმეები მოაგვარონ. ამ ზომებს, ამიერკავკასიის მთავრობის აზრით, შეეძლოთ საცხოვრებელ ადგილებზე შეეჩერებინათ მცხოვრებლები და გაქცეულები უკან დაებრუნებინათ. ხოლო იმათთვის, ვისაც გადაწყვეტილი ჰქონდა უსათუოდ გაქცეულიყო და მეურნეობის ლიკვიდაცია მოეხდინა, მიეცათ ერთი თვის ვადა.[5] როგორც ვეჰიბ ფაშას წერილიდან ჩანს, რომელიც 16– 29 აპრილს(ძვ.სტ.) მოუვიდა მინისტრთა თავმჯდომარეს, და აგრეთვე სხვა ცნობებით, ყარსის ოლქიდან მიმავალ მცხოვრებლებს ნება ჰქონდათ გადაეტანათ ყოველგვარი საოჯახო ნივთები და საჭირო სანოვაგე, ხოლო ის უძრავ-მოძრავი ქონება, რომელსაც დატოვებდნენ შეეძლოთ გაეყიდათ, ან გაეჩუქებინათ საკუთარი ნების შესაბამისად (ერთობა 1918 №92: 2). აქედან ჩანს, რომ ოსმალეთის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა ყარსის ოლქიდან გაეძევებინა ადგილობრივი მოსახლეობა, რაც მეტი ადგილობრივი დატოვებდა ოლქის ტერიტორიას, მით უკეთესი იქნებოდა ოსმალეთის იმპერიისათვის.

ასეთ მძიმე ვითარებაში იხსნება ბათუმის საზავო კონფერენცია 1918 წლის 11 მაისს. ამ კონფერენციაში ჩაერია ოსმალეთის მოკავშირე გერმანია, რომლის წყალობითაც ბათუმის საზავო მოლაპარაკება დასრულდა 1918 წლის 4 ივნისს. ოსმალეთის იმპერიასა და ცალ-ცალკე ამიერკავკასიის ქვეყნებს (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) შორის დაიდო „ზავისა და მეგობრობის" ხელშეკრულება. ოსმალეთის მიერ ბათუმში ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან დადებული ხელშეკრულებები მეტად მძიმე იყო ამ ქვეყნებისათვის. ოსმალეთს გადაეცა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, სურმალინის მაზრა, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის მაზრების სამი მეოთხედი, შირურ-დარალალეზის მაზრის ერთი მეხუთედი და სხვ.

ჩვენი სტატიის მიზანს წარმოადგენდა მოგვეხდინა იმ ყოველდღიური მოვლენების რეალური სურათის ასახვა, რასაც ადგილი ჰქონდა 1918 წელს ოსმალეთისა და საქართველოს შორის არსებულ სამხედრო კონფლიქტში. სამხედრო მოვლენებს რა თქმა უნდა თან ახლავს დიპლომატიური ურთიერთობები, რასაც ასევე ვეხებით აღნიშნული საკითხის კვლევის დროს ვუკეთებთ ანალიზს, როგორც კონფლიქტის დაწყების მიზეზებს, ასევე მის მსვლელობასა და დასრულებას.

სტატიის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ჩენთვის მთავარი წყარო არის მოვლენების პერიოდში გამომავალი ყოველდღიური ქართული პრესა, რომელმაც საშუალება მოგვცა თვალი გვედევნებინა კონფლიქტის დროს განვითარებული სამხედრო მოქმედებებისათვის, ასევე იმ დიპლომატიური შეხვედრებისა და მოლაპარაკებების დროს წამოჭრილი პრობლემების გარკვევისათვის, რასაც წარმოადგენს ჩვენი მცდელობა შევავსოთ ის ხარვეზი, რაც ამ პრობლემის კვლევის დროს არსებობდა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

საქართველოს შეცდომა პირველ რიგში იყო მერყეობა საგარეო პოლიტიკური კურსის აღებაში, საქართველოს მესვეურებმა დროულად ვერ გადაწყვიტეს საგარეო პოლიტიკური კურსის აღება, მათ დროულად ვერც ზავისა და ომის საკითხები გადაწყვიტეს. თუმცა ჩვენ უნდა გავუგოთ მათ, რადგან ეს პერიოდი იყო უმძიმესი ქართული სახელწმიფოს ისტორიაში, ახლადშობილი სახელმწიფო იყო პირისპირ მომაკვდავი მხეცისა, რომელიც საქართველოს გადაყლასაც ცდილობდა იმ უფსკრულში, სადაც თვითონ მიექანებოდა. მიუხედავად ბევრი შეცდომისა, ქართულმა სახელმწიფომ მაინც შეძლო სიტუაციის ასე თუ ისე დარეგულირება, დროულად მოუსწრო ანტანტის მიერ ოსმალეთის დამარცხებამ. იმ მომენტში საქართველო გადაურჩა კატასტროფას.

შენიშვნები

[1] გეგეჭკორის მთავრობა გადადგა და მინისტრთა თავმჯდომარის თანამდებობა აკაკი ჩხენკელმა დაიკავა.

[2] ეს ის ლეგიონია, რომელმაც ბრძოლით გამოარღვია ოსმალთა ალყა და გამოვიდა ჩაქვიდან.

[3] ესენი უყვნენ ძირითადად საქართველოში მცხოვრები გერმანელები, რომლებსაც სახელდახელოდ გამოუჩხრიკეს გერმანული ფორმები, რამდენიმე დღე ავარჯიშეს, რათა ესნავლათ მწყობრში სიარული და ისე გაუგზავნეს მაზნიაშვილს.

[4] ამიერკავკასიის ჯარები შორდებოდნენ ორი კილომეტრით ფორტებს, თუ ოსმალთა ჯარები უახლოვდებოდნენ.

[5] მანამდე განზრახული იყო ორი კვირის ვადის დაწესება.

დამოწმებანი

ერთობა 1918: გაზეთი ერთობა №16;29;31;34;44;45;48;62;63;65;71;72;74;76;79;80;89;91;92;96.

საქართველო 1918: გაზეთი საქართველო №54;67;

მაზნიაშვილი 1990: გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, საბჭოთა აჭარა.

შარაძე 1992: გ. შარაძე. დაბრუნება ტ 3. თბილისი, მეცნიერება.

OTTOMAN AGGRESSION AGAINST GEORGIA IN 1918

David Kokhreidze

This paper refers to the episode of struggle of Georgia for the territorial integrity in 1918, specifically, the military conflict against Ottomans.

The key sources of the research are the periodicals of 1918, in particular *Ertoba* and *Sakartvelo*. The additional sources are memories, scientific monographies and articles.

In the previous works these events were studied, however there were many gaps. In present paper we will try to fill these gaps and represent the everyday course of the events.

The issue of struggle for the territorial integrity of Georgia has been the problematic one within the whole twentieth century and does not loss urgency even today. So, it is important to examine all those episodes when Georgia tried to settle this problem. Hence, we chose one from the important moments like this in the modernist history – military conflict against Ottomans which played the crucial role in strengthening and development of the democratic Republic of Georgia of 1918-1921.

СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ ИСТОЧНИКОВ О ВЗЯТИИ СЕБАСТИИ ТАМЕРЛАНОМ В 1400 ГОДУ

Гор Маркарян

К концу XIV в. один из самых успешных и безжалостных завоевателей и полководцев Востока Тамерлан[1] создал свою огромную империю и включил в нее в Центральной Азии земли Чагатайского улуса, завоевал Иран, Ирак, Афганистан, Закавказье, разгромил могущественную Золотую Орду, совершил успешный поход в Индию После смерти мамлюкского султана Баркука (1399 г.) в Ближнем Востоке единственная сила, которая могла представить угрозу для империи Тамерлана была молодая Османская империя. К концу XIV в. османский султан Баязид I (1389-1402) в свою очередь расширял границы своей империи завоеваниями в Анатолии и на Балканском полуострове. Османская империя становилась одним из сильнейших государств в регионе. К концу XIV в. военно-политическое столкновение между Тамерланом и Баязидом стало неизбежным. Формальным поводом для войны стали требования Тамерлана о выдаче своих врагов Кара Коюнлу Кара Юсуфа и Ахмада Джалаира, а также не беспокоить эмира Ерзнки Тахартена, от которого Баязид потребовал платить ему налоги и отдать крепость Камах. Баязид отказывается выполнять эти требования и дает Тамерлану повод для военной кампании. В 1399 г. Тамерлан перезимовав с войсками в Карабахе начал так называемый "Семилетный поход", вторгся в Грузию и, как пишет византийский историк Дука, "маршируя по Армении", занял Ерзнка и направился к Себастии (Doukas 1975, 89-90). Согласно источникам, Себастия была цветущим и богатым городом, которого после смерти его правителя Кади Бурхан ед-Дина (1398 г.) и кратковременного правления его сына Зейн ал Абидин, занял Баязид. В Себастии наряду с греками и мусульманами значительную часть населения представляли армяне. Себастия имела важное стратегическое значение для сторон и один из редких очагов, который смог оказать сопротивление армии Тамерлана.

Цель исследования темы является освещение событий осады и взятия Себастии, а также факты о защите города армянской конницей.[2]

Источники об осаде и взятии Себастии.

Мусульманские источники о взятии Себастии.

Для изучения этой темы ценными источниками являются сообщения таких персидских авторов, как Низам ад-дин Шами, Хафиз-и Абру, Шараф ад-дин Али Язди, Муин ад-Дин Натанзи. Низам ад-дин Шами, Хафиз-и Абру, Шараф ад-дин Али Язди известны как авторы трудов о деяниях и победах Тамерлана «Зафарнаме»' - Книга Побед. Более ранним является работа Низам ад-дина Шами и многие его сведения заимствовали Хафиз-и Абру и Шараф ад-дин Язди. Низам ад-дин сообщает, что город защищали 4000 всадников[3], по большей части армяне, присланные Баязидом во главе с эмиром Мустафой, и что при взятии города Тамерлан пощадил мусульман взяв с них *māl-i amān*[4], а защитников захоронил заживо (Šāmī 1937, 219). Сведения Низам ад-дина Шами потверждаются в «Зафарнаме» Шараф ад-дина Али Язди. Труд Язди для изучения темы представляет особую ценность, так как события осады и взятия Себастии освещены более подробно и красочно. Язди сообщает, что после осады города, его защитники оказывали сопротивление до тех пор, пока стены и башни с западной стороны не начали рушиться, так как Тамерлан приказал подкопщиков разрушить фундамент стен города. После этого комендант города Мустафа вместе с знатными горожанами выходит из города и просит о пощаде. Об этих событиях Язди пишет:

> Был издан приказ гарантией безопасности-взять с мусульман подать прощения (māl-i amān) и отдать победоносному войску, а неверных армян и христиан[5] взять в плен. И так как в городе кавалерия (сипахиан) Илдирим Баязида, которые по большей частю были **армянами**, в заблуждении осмелились с дуру оказывать сопротивление и воевать, было приказано, чтобы этих 4000 всадников (сипахи) разделили между туманами и как наказание заживо бросили в колодцы и засыпали землей, чтобы это было уроком для всех сопротивляющихся. Еще один обязательный приказ был-сравнить с землей стены Сиваса, и, согласно приказу, город был разрушен (Yāzdī 1378, 1037)...
>
> وبدلیغ ازان التباع بمعافی پیوستن که مسلمانان مال امانی بستانند و به لشکر ظفر قرین رسانند و بی دینان ارمنی
> و نصرانی را اسیر کنند. و چون سپاهیان ایلدرم بایزید که در ظرف، پای مخالفت فشرده بودند و از سر جهل و ضلالت دست
> جسارت به محاربه و قتال برآورده، بیشتر ارمنی بودند، حکم شد که چهارهزار سپاهی را بر توامانات قسمت کردند، و همه را از

برای سیاست، زنده درچاه هاکرده، به خاک پیشانیشتند، تا عبرت دیگر مخالفان گردد، و فرمن واجب الاذعان صدور یافت، تا حصار سیواس از کنگره تا اساس و یران سازند و بر حسب فرموده بازیزید همواره ساختند[6].

«Зафарнама» Язди имеет несколько переводов, которые тоже использованы в этой работе и имеют немалую ценность. Среди них отличается французский перевод Пети ла Круа, в котором с точностью как в оригинале приведены все основные сведения об осаде и взятии Себастии - о длительности осады (18 дней), о подкопных работах с западной стороны города, о командующем гарнизона Мустафе, о пощаде мусульман, которые заплатили Тамерлану за «подать прощения» (droit d'amnistie/māl-i amān), об использовании с обеих сторон военных машин[7] и об армянской коннице (La Croix 1722, 266-268). В 1723 году работа была переведена на английский язык, но этот перевод особой ценности не представляет, так как является лишь переводом с французского текста (The History of Timour-Bec 1723).

От персидского оригинала несколько отличается русский перевод со староузбекского языка. Здесь некоторые подробности, которые есть в персидском оригинале, опущены и имеются некоторые отличия. Так, согласно переводу, осада длилась не 18, а 17 дней, отсутствуют сведения о военных машинах, кроме того о гарнизоне здесь речь идет не о конном войске, а о воинах, о которых сначала говорится, что большая часть из них были армяне, а потом складывается впечатление, что все они были армянами: «четыре тысяч армян схватить» (Зафарнаме 2008, 266). Кроме того есть отличия и в датировке: согласно переводу, Тамерлан пошел на Себастию в начале месяца мухарам 803 года, а эту дату переводчик передает как 22-ое число августа 1400 года, но это сведение может быть ошибочным, так как при 18 дневном осаде получается Себастия была взята 9-ого сентября, а не 26-27-ого августа (Зафарнаме 2008, 266).

Взятие Себастии описывает еще один персоязычный источник Тимуридской эпохи Муин ад-дин Натанзи[8], который подтверждает, что город защищала 4000-ая кавалерия, которая впоследствии была захоронена заживо, а город был разрушен (Mu'īn al-dīn Naṭanzī 1336, 375).

События о взятии Себастии отражены и в османских источниках той эпохи, но они в отличие от персидских источников в основном лаконичны. К примеру у Орудж бека[9] отсутсвует дата взятии города, а события описываются после происшествий 798 г. Хиджры (1395/1396 г.). Орудж бек лишь сообщает о том, что Тимур пришел и завоевал Сивас (Oruç beğ 1975, 57-58). В другом османском источнике XV в. у Ашык Пашазаде также лаконично сообщается, что пришел Тимур хан со своим войском, взял город и население пленил ('Āshiq Pāshāzādeh 1914, 77). По сравнению с этими двумя источниками более многословен исторический труд Мустафы ал-Дженаби (XVI в.). Дженаби дает точную дату событий (1400 г.), сообщает, что Тамерлан взял город с западной стороны, защитники были заживо захоронены, однако, отсутствуют сведения об армянах и о числе войск (Genabi 1680, 23).

Среди османских источников события в Себастии более подробно описываются в анонимной османской хронике. Согласно сообщениям хроники, себастийцы пришли врасплох, когда Тамерлан приближался к Себастии: «в один день утром жители города увидели, что мир окутан пылью и когда приближались увидели, что это было несметное войско Тимур хана», который отправил своих представителей к горожанам, чтобы те сдали крепость, но получил отказ Тимура и велел заминировать стены. Согласно хронике, осада длилась 8 дней и на 8-ой день разрушили стены. Хроника подтверждает факт обещания Тамерланом не убивать горожан, однако, последний не сдерживает слово и «тех, кто был в городе, приказал зарыть ямы и в них их захоронить»(Giese 1925, 50-51). Из этих сообщений видно, что источник не только не говорит об армянской кавалерии, но и ошибочно передает, что *всех* захоронили и город разрушили, а что касается Малкоч бега Мустафе, о нем говорится не как об амире войск Баязида, а о каком то Малкоче: «в городе остался один человек по имени Малкоч бек, которого Тимур не убил и послал к Баязиду, чтобы тот рассказывал ему о них (о Тамерлане и его войске)".

О взятии Себастии ценные сведения есть у Ахмада ибн Арабшаха. Арабшах очень подробно описывает эти события, но его сообщения несколько отличаются. Арабшах был современником событий, однако он писал свой труд позднее этих событий, так как в начале XV века он был юношей. Сообщение Арабшаха, якобы Таймур (Тамерлан) заранее заявил, что возьмет Себастию за 18 дней, по всей вероятности, является вымыслом автора, однако Арабшах дает точную дату взятии города: 5-ый день месяца мухаррам 3-его (803-его) года хиджры (26 августа 1400 г.). Арабшах, в отличии от других источников, пишет, что защитники города были захоронены не под стенами города или в ямах, а в колодце *Бадр*. Автор сообщает, что число защитников составляло 3000 воинов, но молчит об их этнической принадлежности, о виде войск гарнизона. Арабшах не описывает, каким способом Тамерлан взял город ('Arab shah 1882, 120). Надо заметить, что взятие Себастии было настолько знаменательным событием, что нашло свое отражение и в «Уложении Тамерлана», правда в тексте нет подробностей об осаде и взятии, однако, сообщается, что после взятии

города Тамерлан жителей предал мечу, добычу разделил между войсками, выбил и рассеял оттуда воинов Баязида (Уложение 1999, 63).

Византийские источники.

События Себастии отражены также в византийских источниках XV века, среди которых нас больше интересуют труды Халкондила (Халкокондил) Афинского и Михайила Дуки. Надо заметить, что несмотря на то, что Халкондил являлся почти современником событий в его труде события представлены несколько размазанные и порой неточные. Халкондил сообщает, что Паязет (Баязид) узнав, что Темир (Тамерлан) идет на Себастию, отправляет своего сына Ортобулеса (Мустафа Челеби) с частью своего войска туда. Историк знает, что Тамерлан, несмотря на ожесточенное сопротивление, овладел городом способом минирования стен и приводит также число подкопщиков (8 000), которые зажгли сдерживающие фундамент стен бревна и разрушили стену. Удивительно, но Халкондил молчит о массовом захоронении гарнизона, а вместо этого сообщает, что после взятия города Тамерлан приказывает собрать в одном месте женщин и детей и приказывает коннице, затаптывая, убивать их.[10] У византийского историка отсутствуют даты происходящего и длительность осады, не представлены силы обеих сторон и так далее, однако, только у него встречаем сведение о числе жителей города – 120 000 (Chalcondyle 1577, 191). Осада и взятие Себастии, а также расправа с осажденными красочно и подробно описаны в труде Михайила Дуки. Согласно Дуке, Тамерлан овладев Арсинганом (Ерзнка) и зарезав в нем всех сторонников Баязида, направляется к Себастии, маршируя по Армении. Дойдя до Себастии он ставит свой лагерь (осаждает город) и требует сдать город, однако, получив отказ горожан, приказывает заминировать стены. Из сообщений Язды известно, что стены города были построены еще сельджукским султаном Ала ад-дин Кей Кубадом и были очень толстыми и мощными (Yāzdī 1378, 1036), к этому Дука добавляет, что стены были построены из необожженного кирпича. Тамерлан приказывает начать подкопные работы и, согласно Дуке, жители города не могли догадываться об этом, так как подкоп начали с расстояния одного миля от города. Далее подкопщики под пустыми фундаментами стен ставят бревна и после очередного отказа сдать город, Тамерлан приказывает сжечь бревна и стены рушатся. Войска проникают в город, грабят и режут жителей. Особенно живо Дука описывает расправу Тамерлана, который приказывает всех знатных людей собраться в одном месте и приказывает копать ямы для кладбищ, после чего – «несчастных, кем бы он не был, склоняли голову и засововали между ног, так чтобы нос прикасался задницы, а колени и голени тянули до ушей и так бросали в ямы. Когда в яму было сброшено по 10 человек, ямы накрывали бревнами и потом только засыпали землей" (Doukas 1975, 89-91). Естественно, такой способ захоронения обрекал захороненных на долгую и мучительную смерть. Как видно, Дука тоже молчит о коннице и, согласно ему, хоронят не конницу, а знатных людей, что можно объяснить тем, что вместе с войсками Тамерлан приказал таким способом наказать и представителей городской знати.

События Себастии отражены также в «Византийских малых хрониках». В XII хронике коротко сообщается, что в 1400 г. пришел предводитель скифов и персов Тамир (Тамерлан) из Семарханина (Самарканд), взял Себастию, перебил жителей и построил 3 кучи из человеческих голов (Schreiner 1975).

Армянские источники.

Из армянских источников в первую очередь стоит упомянуть труд Товмы Мецопеци. В этом историческом труде, несмотря на общую схожесть с событиями, есть несколько отличающихся сообщений, на анализ которых мы и остановимся. Автор не указывает точную дату взятия Себастии. Если ориентироваться последовательностью сообщений текста «в году ՊԾ» (1401 г.) двинулся дракон дыщащий смертью (Тамерлан) и пошел на нашу страну» (Товма Мецопеци 1999, 97), «и опять в следующем году (1402 г.) со своими войсками пошел на город Себастия» (Товма Мецопеци 1999, 102), то получается, что Себастия была взята в 1402 г., что противоречит со всеми известными сообщениями источников. Мецопеци не сообщает о длительности осады и не описывает как именно был взят город, однако, указывает число защитников (4000), упоминает об обещании Тамерлана не убивать граждан в случаи сдачи города. Мецопеци сообщает, что после взятия города население подверглось жесткой расправе со стороны войск-людей пытали, богатых грабили, бедных пленили и так далее (Товма Мецопеци 1999, 103). Можно подумать, что эту участь разделили все жители города, так как у Мецопеци нету сведений о том, что мусульмане города смогли избежать этой участи заплатив *māl-i amān*. Согласно автору, Тамерлан приказал заживо похоронить защитников, покрывать землею и пеплом, чтобы «они с приходом весны вышли из под земли» (Товма Мецопеци 1999, 104). Заслуживает внимания еще одно сообщение Мецопеци, согласно которому, Тамерлан приказал собрать всех юношей и девушек и пустить их под колесницы.

В памятных записях армянских манускриптов XV в. это событие также отражено. Так в одной записи

анонимный автор из Востана сообщает, что после того как Тамур бек (Тамерлан) взял город Севаст (Себастия), похоронил заживо 3 000 человек «тех, кто запустили в него стрелы», также в другой записи, Григор Хлатеци пишет о взятии города и захоронения живых защитников города, однако другие подробности о взятии в обеих записях отсутсвуют (Памятные записи 1955, 3, 288).

Сообщения европейских источников.

Из европейских источников факт взятия Себастии освещена в дневнике Рюи Гонзалеза де Клавихо посетивший двор Тамерлана в Самарканде. Несомненно, сведения Клавихо имеют большую ценность и в общем плане события представлены в правильном порядке, однако, автор допускает ряд неточностей. Клавихо сообщает, что Тамерлан вышел "из прекрасных полей, которые называются Катарабаке (Карабах)", пошел на Арсингу (Ерзнка) и после этого в «турецкие владения»-в Сабастрию (Себастия). Далее автор отмечает тот факт, что себастийцы попросили помощи у Баязида и последний отправил туда своего сына, губернатора Себастии Мусульмана Челеби (Сулейман Челеби). Однако, Клавихо преувеличивает число конницы (200 000) посланной Баязидом во главе с Сулейманом. Так как Себастия в это время была под властью Баязида, Клавихо полагает, что город защищали турки, однако из других источников уже знаем, что город защищало армяснкое войско, правда, подвластное Баязиду. Клавихо молчит о Малкоч бек Мустафе, не указывает длительность осады и не говорит каким способом Тамерлан взял город, однако в точности описывает сдачу города с выплатой дани «серебром и золотом»[11], об обещании Тамерлана не пролить крови осажденных при сдаче[12]. Но далее Клавихо допускает неточность, рассказывая о том, что знатные горожане, поверив обещанию Тамерлана, вышли к нему, а последний приказал захоронить их в ранее выкопанных ямах. Складывается впечатление, что захоронили не защитников города, а знатных граждан. К недостатком труда Клавихо можно отнести и то, что датировка этих событий у автора отсутствует (Клавихо 1881, 142-143).

Из европейских источников особый интерес представляет описание путешествия Иогана Шильтбергера. Ход событий у Шильтбергера изложен правильно, однако, и в этом источнике есть отличия в сообщениях. Так, Шильтбергер начинает с того, что Тамерлан пошел на Себастию с войском численностью 1.000.000 человек и осадил город. Осада города длилась 21 а не 18 дней, а город пал после того, как часть стены было разрушена. Несмотря на обещание, данное коменданту города Мустафе не пролить кровь, Тамерлан приказал зарыть заживо гарнизон города - 5 000-ую армянскую конницу, ранее отправленный сюда Баязидом. После взятия города, население, в их числе 9 000 девственниц, было увезено в плен (Schiltberger 1859, 71-72). Шильтбергер также сообщает число потерь Тамерлана, которое составляло 3000 человек.

Для изучения данной темы важны также сведения мемуаров доминиканского отца, который был дипломатическим посланником французского короля Карла VI (1380-1422) отправленным к Тамерлану. В его сообщениях отличается длительность осады, так как согласно ему Темир бей (Тамерлан) осадил город 11 дней, после чего в течение 5 дней построил большую башню у стен города и «жители, поняв, что пропали, пошли к Тамерлану просить пощады». Получается, что осада длилась 16 дней, а возведение башни, возможно, было не у стен города, а у стен цитадели. Следующее сообщение автора больше удивляет, так как согласно ему, Тамерлан, несмотря на обещание не пролить кровь осажденных, приказал зарыть заживо 36000 людей- *всех, кроме греков* (Mémoire sur Tamerlan 1894, 433-464).

Заключение[13].

Для обеих сторон Себастия имела большую стратегическую важность, взятие которого позволило Тамерлану углубиться во владениях Баязида и завоевать Сирию. Осада Себастии длилась 18 дней, город защищала 4000-ная армянская кавалерия под руководством Мустафа Малкоч бека. Встретив сильное сопротивление и отказ сдачи города, Тамерлан приказал подкопами рушить стены, а после взятия приказал разрушить город. После взятии города сторонник Баязида и комендант города Мустафа Малкоч бек вместе со знатными горожанами сдались на милость победителя и просив пощады вместе с мусульманским населением города смогли избежать расправы, заплатив «налог пощады». Однако, судьба армянской конницы, героически защищавшей город, была предрешена: защитники города подверглись жестокой расправе - их связанными бросали в ямы и живыми хоронили, оставив их умирать длительной мучительной смертью. Также и христианское население – армяне и греки – подверглись гонениям, пыткам и были увезены в рабство. Несмотря на трагический конец защитников города, надо отметить важность упоминания об армянской коннице, которая на стороне Баязида смогла оказать героическое сопротивление грозному завоевателю Тамерлану. Судя по многочисленным отражениям в источниках, жестокая расправа с защитниками и жителями города могла бы иметь и деморализирующее воздействие на войска Баязида, что в свою очередь могла быть одной из причин неудач Баязида в войне с Тамерланом.

Примечания

1 Тамерлан (Хромой Тимур) известен также как Тимур Ленк, Тимур Аксак, Тамбурлан, Тамур бек, Темир хан и т. д.

2 Исследуемая тема в разных степенях изучения находила свое отражение в современной историографии. Среди американских историков отметим труды Адама Гиббонса и Стенфорда Шау. А. Гиббонс, основываясь на сообщения некоторых европейских и персидских источников, в своей работе «Основание Османской империи» коротко описывает события в Себастии, подчеркивая факт существования армянской конницы в городе (Gibbons 1916, 248). Хотя труд Гиббонса был опубликован в первой половине XX в., он более информативный по сравнению с трудом С. Шау, который поверхностно сообщая о взятии Себастии 27-ого (а не 26-ого) августа 1400 г. полагает, что после взятия города Тамерлан расправился с населением города (Shaw 1976, 35), однако в этой статье будет показано, что мусульмане города уплатив "налог помилования", смогли избежать участи армян и греков, которых либо перебили, либо увезли в плен. События в Себастии довольно подробно излагает Дж. Мароцци, приводя много интересных фактов. Однако, как и у Гиббонса, в работе использована лишь некоторая часть известных источников, посвященных этой теме (Мароцци 2010, 303-304). Большую научную ценность представляет исследование Беатриса Манза, в которой подробно описана жизнь и деятельность Тамерлана. Однако, автор никак не освещает события в Себастии (Manz 1989). Общую картину событий взятия Себастии также описывают армянские историки Л. Хачикян и Т. Акопян (История... 1972, 31; Акопян 1987, 222). Из турецких историков эти события описывает И. Данишменд, который сдачу или взятие города объясняет тем, что, якобы, элита города, согласившись на сдачу города, стремилась защитить население, однако, об армянском происхождении защитников города автор умалчивает (Danişmend 1947, 125-126). О событиях Себастии имеются сведения также и в труде турецкого историка И. Узунчаршылы в общем контексте изложении истории османской империи (Uzunçarşılı 1947). Наиболее полные сведения об исследуемой нами теме приводит М. Александреску в своей работе посвященной военной кампании Тамерлана против Баязида. Автор, ссылаясь на сведения разных источников, дает наиболее полную картину происходящего (Alexandrescu 1942, 42-44).

3 Автор для обозначения кавалерии вместо сипахи использует слово sawār (راوس).

4 Подробнее см. Margaryan G., Quelques remarques sur l'histoire économique en Arménie sous la domination des Aq Qoyunlus et Qara Qoyunlus au XIV-XV siècles, *Aramazd*, vol. 9/2 (2015), pp. xx - xx (Yerevan) (forthcoming).

5 Имеет в виду греков-Г. Маркарян.

6 Во избежание неточностей в понимании перевода и для сравнения с другимы переводами и сообщениями источников, цитируется оригинальный персидский текст (Гор Маркарян).

7 В французском тексте-aradés-огнеметы, mangenies-катапульты метающие камни.

8 Работа Муин ад дина Натанзи-«Мунтахаб ал-таварих Муини», известна также как «Аноним Искендера».

9 Не надо путать с Орудж бек Баятом (Дон Жуан Персидский).

10 Как увидим далее этот же факт приводит и Фома Мецопский, по сообщениям которого Тамерлан приказал затоптать юношей и девушек. Нам не известно, воспользовался ли Халкондил трудом Фомы Мецопского, или же оба автора приводят этот факт независимо друг от друга, однако, нигде больше в источниках такое сведение не находим.

11 Из сообщений персидских источников уже знаем, что под этой данью надо подразумевать подать *māl-i amān*.

12 Надо заметить, что сообщение Клавихо о том, что Тамерлан обещал не пролить кровь (в итоге он «сдержал» слово, захоронив их заживо), имеет исключительную важность, так как в остальных источниках говорится об обещании или клятве Тамерлана «не убивать осажденных», но при таком обещании Тамерлан не смог бы мстить защитникам Себастии за сопротивление одновременно «сдержать» слово, поэтому необходимо предпочтение отдавать сообщению Клавихо.

13 Выражаем признательность профессору М. Чхартишвили за оказанную поддержку, а также к.и.н К. Костикяну, к.и.н. Г. Даниеляну, Х. Гаприндашвили и Г. Мхитаряну за советы и помощь по усовершенствованию данной статьи.

Литература

Yāzdī 1378: Sharaf ad-dīn 'Alī Yāzdī, Zafar nāmah, jild 2, Tehrān, 1378.

La Croix, 1722: Histoire de Timur-bec connu sous le nom du Grand Tamerlan, ecrite en persan par Cherefeddin Ali, Petis la Croix, t. 3, Paris.

The History of Timour-Bec 1723: The History of Timour-Bec, J. Darby, in two volumes, London.

Зафарнаме 2008: Зафар-наме, Йазди Шараф ад-дин Али, А.Ахмедова, Ташкент.

Šāmī 1937: Zafarnāma par Nizāmuddīn Šāmī, par Felix Tauer, t.1, Praha.

Hāfiż-i Abrū 1381: Zubdat al-tawarikh, jild 2, Tehrān.

Mu'īn al-dīn Naţanzī, 1336: Muntakhab al-tawarīkh Mu'īnī, Tehrān.

Oruç beğ 1975: Oruç beğ tarihi, Atsiz.

'Āshıq Pāshāzādeh 1914: Tewarikh āli 'osmāndan, 'Āshıq pāshā zādeh tewarikhī, Istanbul.

Al Genabi 1680: Mustaphæ Filii Hussein Al Genabi de gestis Timurlenkii seu Tamerlanis, Vienne.

Giese 1925: Die altosmanischen anonymen Chroniken, Friedrich Giese, Leipzig.

'Arab shāh 1882: Shihāb ad-dīn Ahmad al-mağruf bi ibn 'Arab shāh, 'Ajāib almaqdur fī akhbāri Taīmūr, Kalkuta.

Товма Мецопеци 1999: Товма Мецопеци, Историография, подготовка текста и предисловие Л. Хачикяна, Ереван.

Памятные записи 1955: Памятные записи армянских рукописей XV века. Часть первая (1401—1450 гг.). составил Л. С. Хачикян, Ереван.

Уложение 1999: Уложение Темура. пер. Х. Кароматова, Ташкент.

Клавихо 1881: Рюи Гонзалес де Клавихо, Дневник путешествия ко двору Тимура в Самарканд в 1403-1406 гг., под. ред. И. Срезневского, Санкт Петербург.

Schiltberger 1859: Reisen des Johannes Schiltberger aus München in Europa, Asia und Afrika:von 1394 bis 1424, K. F. Neumann, München.

Chalcondyle 1577: La decadence de l'empire Grec, et establissement de celvy des Turcs, par Nicolas Chalcondyle Athenien, Paris.

Doukas 1975: Dukas, Decline and Fall of Byzantium to the Ottoman Turks, ed. By H.J. Margulias, Detroit.

Schreiner 1975: Peter Schreiner. Die byzantinischen Kleinchroniken. Teil I. Wien., перевод А. Досаевой, Восточная Литература, http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Byzanz/Kleinchroniken/Texts/text12.htm

Mémoire sur Tamerlan 1894: Mémoire sur Tamerlan et sa cour par un dominicain, en 1403; H. Moranvillé, Bibliothèque de l'école chartes, tome 55.

Alexandrescu 1942: Marie M. Alexandrescu, La Campagne de Timur en Anatolie (1402), Bucureşti.

Shaw 1976: Stanford J. Shaw, History of the Ottoman Empire and Modern Turqey, vol.1.

Gibbons 1916: A. Gibbons,The Foundation of the Ottoman Empire: A History of the osmanlis up to the death of Bayezid I (1300-1403), New York.

Мароцци 2010: Дж. Мароцци, Тамерлан-завоеватель мира, пер. А. Больных, Москва.

Manz 1989: B. F. Manz, The rise and rule of Tamerlane, Cambridge.

История... 1972: История армянского народа, т. 4, Ереван.

Акопян 1987: Т. Акопян, Города исторической Армении, Ереван.

Danişmend 1947: Ismail H. Danişmend, Izahli Osmanlı Tarihi Kronolojisi, cilt 1, Istanbul.

Uzunçarşılı 1947: Osmanlı Tarihi, I cilt, I. Uzunçarşılı, Ankara.

1400 წლის აგვისტოში თემურ-ლენგის მიერ სებასტიის დაპყრობის შესახებ არსებული წერილობითი წყაროების შედარებითი ანალიზი

გორ მარგარიანი

სტატიაში წარმოდგენილია თემურ-ლენგის მიერ სებასტიის დაპყრობის შესახებ არსებული წერილობითი წყაროების შედარებითი შესწავლა, 1400 წლის აგვისტოში თემურ-ლენგის (თამერლანის) და მისი ჯარის მიერ ქალაქ სებასტიაზე ლაშქრობისა და დაპყრობის დეტალები. მუსლიმური (არაბული, სპარსული, ოსმალური) და ქრისტიანული (სომხური, ევროპული, ბიზანტიური) წყაროების კვლევა-ძიების საფუძველზე წარმოდგენილია თემურ-ლენგის ჯარების სამ კვირიანი გმირული წინააღმდეგობის, ლაშქრობისა და დაპყრობის შესახებ არსებული ცნობები, სომხური ცხენოსანი ჯარის მიერ ქალაქის დაცვის ცნობა, ქალაქის დაპყრობის შემდეგ თემურ-ლენგის მიერ მცველებთან ანგრიშსწორების შესახებ და ა.შ. წყაროების ცნობებისა და შედარებითი შესწავლის საფუძველზე ნაშრომში მოცემულია ამ მოვლენების უფრო სრული და დეტალური აღწერა.

COMPARATIVE ANALYSIS OF SOURCES ABOUT THE OCCUPATION OF THE SEBASTIA BY TAMERLAN IN 1400

Gor Margaryan

In this article are introduced the details of the siege and the occupation of the city Sebastia by Tamerlane and his army in August in 1400. This research is based on the studies of the islamic (Arabic, Persian, Ottoman) and christian (Armenian, European, Byzantine) sources. There are details of the heroic resistance, which lasted nearly 3 weeks, the information about the occupation of the city. There is examined the fact about Armenian Cavalry who defended Sebastia and the description of Tamerlan's estimate with the defenders of the city. Detailed description of those events is presented in the paper providing comparative analysis of the sources.

ტოპონიმი „ბოლოსტიკე“ თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში

ჰაირაპეტ მარგარიანი

ბასიანის ბრძოლა XIII საუკუნის დამდეგის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და კარგად შესწავლილი ეპიზოდია. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად არის გაშუქებული ამ ბრძოლის ადგილმდებარეობის საკითხი.[1] ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილი, სადაც დასახელებულია სულთან რუქნ ად-დინის ლაშქრის დაბანაკების ადგილი: „ბასიანისა ადგილსა, ბოლოსტიკედ წოდებულსა“ (მეტრეველი 2008: 464). რადგანაც ტოპონიმი „ბოლოსტიკე“ არცერთ წყაროში მოხსენებული არ არის, მისი ზუსტი ფორმის აღდგენა და ლოკალიზაციის გარკვევა მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

ჩვენ კვლევას ორი პრინციპული საკითხის გაშუქებით ვიწყებთ. პირველი: რა შედგენილობა აქვს „ბოლოსტიკე“-ს და მეორე: რომელი ენის საფუძველზე შეგვიძლია ავხსნათ აღნიშნული ტოპონიმი? მართალია, პირველი კითხვა საგანგებოდ დასმული არ ყოფილა, მაგრამ ამაზე პასუხი მოგვეპოვება ლიტერატურაში. ტოპონიმის ზუსტი ფორმის აღდგენის ცდები აშკარად გვიჩვენებს, რომ არცერთ მკვლევარს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი ორი ნაწილისაგან შედგება. საყოველთაო აღიარებით, ტოპონიმის პირველი კომპოზიტი არის „ბოლ“ ან „ბოლო“ და სწორედ მეორე ნაწილის აღდგენისას იწყება აზრთა სხვადასხვაობა.

რას ნიშნავს „ბოლ“ ან „ბოლო“? პირველად ვახუშტი ბატონიშვილს მიუქცევია ყურადღება იმ გარემოებისათვის, რომ („ბოლო“) სომხური სიტყვაა და ამიტომ ბასიანის ბრძოლის სახელწოდება „ბოლოკერტი“ ფორმით მოგვცა (ყაუხჩიშვილი 1973: 187). მართალია, ვახუშტი ტოპონიმის სომხური წარმოშობის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ მის მიერ მოწოდებული სახელწოდება მთლიანად სომხურია და უეჭველს ხდის იმ მოსაზრებას, რომ ვახუშტიმ სომხური ენის საფუძველზე აღადგინა აღნიშნული გეოგრაფიული ჰუნქტის სახელი. მომდევნო მკლევართაგან ასე ფიქრობდა კორნელი კეკელიძეც და მისი ეს მოსაზრება გამოხატულია, როგორც მის მიერ აღდგენილ დედანში, ასევე თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების რუსულ თარგმანში (კეკელიძე 1941: 38-39; კეკელიძე 1973: 223). მართლაც, სუფიქსი „კერტი“ ფართოდ არის გავრცელებული სომხურ ტოპონიმიკაში. სომხურში სიტყვა «բոլոր» („ბოლორ“) „მრგვალს“ ნიშნავს და „ბოლოკერტი“ შეიძლება გადავთარგმნოთ, როგორც „მრგვალად აღშენებულ“-ი (ჰიბშმანი 1907: 325; ტერ-პოღოსიანი 1951: 123). ასე რომ, ვახუშტი ბატონიშვილის და კორნელი კეკელიძის ვარაუდი ლოგიკურად სავსებით გამართლებულია. მაგრამ საქმე ის არის, რომ იგი არ მტკიცდება წყაროების მონაცემების უქონლობის გამო. გარდა ამისა, მოსალოდნელი იყო ასეთივე სახელწოდების არსებობა სომხეთის სხვა მხარეებშიც, მაგრამ საქმე ასე არ არის. ტოპონიმი „ბოლოკერტი“ დადასტურებული არ არის არც სომხურ და არც უცხოენოვან წყაროში.

ტოპონიმი „ბოლოკერტი“ ბადებს სხვა კითხვასაც: თუ ამ სახელწოდების პირველი კომპოზიტი სომხურია, მაშინ რატომ უნდა იყოს აღდგენილი იგი შემოკლებული („ბოლო“) და არასრული („ბოლორ“) ფორმით. მითუმეტეს, რომ *ქართლის ცხოვრების* ზოგ ნუსხაში „ბოლო“-ს შემდეგი ბგერა სწორედ „რ“ არის და არა – „ს“. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სწორედ ასეთი ნუსხა უნდა ჰქონოდა ფარსადან გორგიჯანიძეს, რომლის ვარაუდით, ბრძოლა მომხდარა „ბოლრატავ“-ში (ჯაფარიძე 1995: 151). გამოდის, რომ ფარსადან გორგიჯანიძეს თავისი შეხედულება ჰქონდა ტოპონიმის მეორე კომპონენტზე და „ტიკე“-ის ნაცვლად „ტავ“-ს კითხულობდა. ამჟამად ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი სხვა გარემოებაა. მისი მოსაზრებით, ტოპონიმის პირველ ნაწილში შედიოდა კიდევ ერთი თანხმოვანი – სახელდობრ, „რ“ და, მაშასადამე, გვაქვს სომხური ფუძე თავისი სრული სახით. მაშინ, ნებსით თუ უნებლიეთ, უნდა დავსვათ კიდევ ერთი კითხვა: რატომ მოიქცნენ ასე ვახუშტი ბატონიშვილი და კორნელი კეკელიძე? მათ ხომ კარგად იცოდნენ სომხური სიტყვის სრული ფორმა, მითუმეტეს, იმ ხელნაწერთა მონაცემები, სადაც გვხდება ფორმები „ბოლორტ˜დ“-ი და „ბოლორკად“-ი. როგორც ჩანს, სწორი ფორმის აღდგენაში მათ ხელი შეუშალა არა ისტორიულმა, არამედ ლინგვისტურმა გარემოებამ. ვახუშტი ბატონიშვილი და კორნელი კეკელიძე, მას შემდეგ, რაც ტოპონიმის მეორე კომპოზიტი აღადგინეს „კერტი“-ს სახით, იძულებულნი გახდნენ გამოერიცხათ „რ“ ბგერის არსებობა ტოპონიმის პირველ ნაწილში. საქმე ეხებოდა ქართული ენის ცნობილ კანონს – ერთ სიტყვაში შეუძლებელი იყო ორი „რ“-ს თანაარსებობა.

მოხდა ასე, რომ ფორმა „ბოლო“-ს უპირატესობა მიანიჭა ივანე ჯავახიშვილმაც, თუმცა სულ სხვა მიზეზის გამო. მისი დაკვირვებით,

ამ ადგილის სახელი, უფრო რომ მისი ბოლო, ცოტა დამახინჯებული უნდა იყოს გადამწერთაგან; პირველი ნაწილი არის „ბოლ“ ანუ „ბოლო“ და უდრის ბერძნულს „ბოლო“-ს, ხოლო სომხურს „ბოლ-ბერდ“-ს; სომხური სახელის მეორე ნაწილი ციხესა ჰნიშნავს, პროკოპი კესარიელიც მას ციხედა სთვლის; ამიტომ შესაძლებელია ამ ადგილის ქართული სახელის მეორე ნაწილი „ტიკე“ გადამწერისაგან დამახინჯებული „ციხე“ იყვეს? მაშინ თავდაპირველად იქმნებოდა „ბოლოსციხე“ (ჯავახიშვილი 1983: 64).[2]

ივანე ჯავახიშვილის შეხედულების მეორე ნაწილს ჩვენ დავუბრუნდებით, ამჟამად კი აღვნიშნავთ, რომ მისთვის მისაღები იყო არა სომხური ისტორიკოსის ლაზარე ფარპეცის თხზულებაში დამოწმებული „ბოლ“-ი, არამედ პროკოფი კესარიელის მიერ მოხსენიებული „ბოლო“. უეჭველია, რომ ივანე ჯავახიშვილმა კარგად იცოდა ნ. ადონცის ნაშრომი – *სომხეთი იუსტინიანეს ხანაში,* სადაც ლაზარე ფარპეცის «Բողբերդ»-„ბოღბერდ“-ის და პროკოფი კესარიელის „ბოლონ“-ს იდენტურობის საკითხი სპეციალურად არის განხილული (ადონცი 1908: 24-25) და გაზიარებულია მისი მოსაზრება. ეს იდენტურობის საკითხი არასდროს გამხდარა კამათის საგანი არმენოლოგიურ ლიტერატურაში. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს ტოპონიმი „ბოლონ“-ის თავდაპირველი ფორმის საკითხი. ბერძნული სუფიქსი – „ონ“ თითქოს მიუთითებს იმაზე, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსისთვისაც აღნიშნული ციხის რეალური სახელწოდება „ბოლ“-ი იყო. რაც შეეხება ლაზარე ფარპეცის «Բողբերդ» – „ბოღბერდ“-ს, აქ არანაირ მოულოდნელობას არ აქვს ადგილი. სომხურ სახელწოდებაში დამოწმებულია სომხური ენისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილება – თავდაპირველი ბგერა «լ» – „ლ“ გადაქცეულია «ղ» – „ღ“-დ.

სად მდებარეობდა ეს ციხე? ლაზარე ფარპეცის ცნობით, ბოღბერდი მდებარეობდა ბასიანში, პროკოფი კესარიელი კი თვლის, რომ ბოლონი სადღაც თეოდოსიოპოლის, ახლანდელი ერზრუმის მახლობლად იყო. ნ. ადონცი ფიქრობდა, რომ ციხე ბოღი უნდა მოიძებნოს მოსაზღვრე ტაოს კანტონ ბუხაში, მაგრამ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ორივე ტოპონიმს მსგავსი ჟღერადობა აქვს. მის ამ მოსაზრებას სხვა არგუმენტი არ გააჩნდა და არმენოლოგიურ ლიტერატურაში ამან კამათი გამოიწვა (ხაჩატურიანი 1925 № I: 54-57; ტერ-პოღოსიანი 1951: 53-67). როგორც ჩანს, ნ. ადონცის აზრი ბოღბერდის ლოკალიზაციის შესახებ არც ივანე ჯავახიშვილისთვის ყოფილა დამაჯერებელი და ამიტომ იგი ბოღბერდს ბასიანად მიიჩნევდა. საოცარი ის არის, რომ ადონცსა და ჯავახიშვილს ყურადღება არ მიუქცევიათ ღევონდ ალიშანის იმ ნაშრომისთვის, სადაც მოცემულია ბასიანის ოლქის გეოგრაფიული დახასიათება და დაწვრილებითი ისტორია (ალიშანი 1890: 16-25). სწორედ აქ არის მოყვანილი ორი უმნიშვნელოვანესი ცნობა, რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია უფრო რეალურად ვიმსჯელოთ ბოღბერდის ლოკალიზაციის შესახებ. ალიშანს ჯერ მოჰყავს VII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის სებეოსის თხზულების ერთი ადგილი, სადაც ავტორი მოგვითხრობს ბიზანტიურ-სპარსული ერთ-ერთი ომის დროს მომხდარი ერთი შეტაკების შესახებ VI საუკუნის მეორე ნახევარში. სებეოსის სიტყვებით, დაუძინებელი მტრების დაპირისპირება მომხდარა „ბასიანში ბოლორაპაპაკში, სადაც ერთმანეთს ერთვის მურცი და არაქსი“ (სებეოსი 2005: 473). გამოდის, რომ ლაზარე ფარპეცის შენახული აქვს ციხის სახელწოდების შემოკლებული ფორმა, რომელშიც პირველი კომპოზიტი შეცვლილია სომხური ენის ნორმების მიხედვით.

ასევე ძალიან საინტერესოა მეორე კომპოზიტიც. სომხურში სიტყვა «պահակ» – „პაჰაკი“, თავისი პირველადი მნიშვნელობის („დარაჯი“) გარდა, „გამაგრებული ადგილი“-ს მნიშვნელობითაც იხმარება და, ამრიგად, ბოლორაპაპაკი უდრის ბოლორბერდს, რომლის ერთ-ერთი სახელწოდება იყო ბოღბერდი. საქმე ის არის, რომ ტოპონიმ ბოლორაპაპაკის მთლიანად გამოთქმა საჭირო არ იყო და, როგორც დავინახეთ, ეს V საუკუნეში უკვე შესამჩნევი მოვლენა იყო. ძნელად წარმოსადგენი არ არის მისი ცვლილებები არასომხურ წყაროებში. ცვლილების საფრთხე არსებობდა არა იმდენად პირველ ნაწილში, არამედ – მეორეს ნაწილის შუაში. ბგერა „ჰ“-ს გამოთქმა ხშირად უგულებელყოფილია ბევრ ენაში, მათ შორის, ქართულში. ეს მოვლენა კარგად ჩანს ირანული წარმოშობის სიტყვებში. იქ, სადაც სომხურში გვაქვს ძლიერი „ჰ“, ქართულში მისი წარმოთქმა სავალდებულო არ არის. შევუდაროთ თუნდაც სომხური «հավքաւ» – „ჰამბავი“ და ქართული „ამბავი“. მაგრამ თუ ბგერა „ჰ“ არ ჟღერს, მაშინ გვექნება ორი ერთნაირი ხმოვანი ერთად თავმოყრილი, რის გამოც დამატებითი სიძნელე ჩნდება. დავუმატოთ ამას მესამე „ა“ სიტყვის ორ კომპოზიტს შორის და გასაგები ხდება ტოპონიმის თავდაპირველი სახის შენარჩუნების მთელი სიძნელე.

როგორ სახეს მიიღებდა ბოლორაპაპაკი ცოცხალ სომხურ ენაში და სხვა ენებში? ღევონდ ალიშანმა ყურადღება მიაქცია XIV საუკუნის პირველი ნახევრის იტალიელი ავტორის ბალდუჩი პეგოლოტის იმ ცნობას, რომელიც ნაწილობრივად მაინც გვიპასუხებს დასმულ კითხვაზე. პეგოლოტი აღწერს თავისი დროის სავაჭრო გზებს და ასახელებს ერზრუმი-თავრიზი მაგისტრალის პუნქტებს. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ერზრუმის შემდეგ მის სიაში დგას “Polorbecch“ – “Polorbecche“ (პეგოლოტი 1936: 29), რომლის იდენტურობა ბოლორაპაპაკთან ეჭვს არ ინვევს (ჰეიდი 1886: 116; მანანდიანი 1985: 210; მიქაელიანი 1952: 358). ყურადღება მივაქციოთ ორ გარემოებას: პირველი ის არის, რომ სომხური ტოპონიმის დასაწყის ნაწილში „ბ“-ს ნაცვლად გვაქვს ასო „ფ“ და „პ“-ს ადგილას იტალიურ სახელწოდებაში „ბ“ არის წარმოდგენილი, მაგრამ ეს სრულებით არ არის გასაკვირი. ასეთი ფონეტიკური ცვლილებები მომხდარა სომხური ენის ზოგ კილოში

ძალიან ადრე. ამერიკელი არმენოლოგისა და ქართველოლოგის რობერტ ბლეიქის მოსაზრებით, აქ კილიკიის სომხურ სამეფოში გავრცებული კილოს აშკარა გავლენა ჩანს (პეგოლოტი 1936: 390). ბალდუჩი პეგოლოტის მართლაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა კილიკიის სამეფოს გავლენიან წრეებთან და, როგორც ჩანს, სომხურ გამოთქმას მისდევდა. ორ თანხმოვანს შორის პირველადი „ა“-ების ნაცვლად, ის დებს ახალ ხმოვანს – „ე“-ს. პეგოლოტის ცნობებზე დაყრდნობით შეგვიძლია გავაკეთოთ ორი დასკვნა: პირველი – გეოგრაფიულ პუნქტ ბოლორაპაჰაკს სამხედრო მნიშვნელობის გარდა,[3] სავაჭრო როლიც ჰქონდა. მეორე დასკვნა გვაახლოებს ბასიანის ბრძოლის ადგილის ზუსტი სახელწოდების აღდგენის მცდელობასთან. ვფიქრობთ, „ქართლის ცხოვრების“ ზოგ ხელნაწერში შემონახულ „რ“ ბგერას უპირატესობა აქვს „ს“-თან შედარებით. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ სომხური ტოპონიმის პირველი ნაწილი ზუსტად არის შემონახული ქართველი ისტორიკოსის თხზულებაში.

ტოპონიმის მეორე ნაწილის საკითხი, რასაკვირველია, უფრო რთულია. მისი აღდგენა როგორც „კერტი“ – გამორიცხულია იმ მიზეზებით, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. როგორც ვნახეთ, ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ *ქართლის ცხოვრების* თავდაპირველ ტექსტში „ბოლოსციხე“ იყო.[4] ეს კონიექტურა ძალიან გონებამახვილი და დამაჯერებელია, თუკი დავეთანხმებით მის წინასწარ გამოთქმულ ვარაუდს ქართულ ტოპონიმიკაში ფართოდ წარმოდგენილი კომპოზიტის – „ციხი“-ს დამახინჯების თაობაზე. ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ქართველმა გადამწერმა ვერ იცნო წმინდა ქართული ძირი. ამიტომ მართებული იქნება, თუ განვაგრძობთ კვლევას და მოვძებნით ტოპონიმის სხვა შესაძლო ვარიანტებსაც. ჩვენი აზრით, ქართველი მემატიანე გადმოგვცემს ტოპონიმს იმ ფორმით, რომელიც დადასტურებულია პეგოლოტის ნაწარმოებში. მაგრამ, როგორც ვნახეთ, იტალიელი ავტორის ხელნაწერებში ტოპონიმი ორი ფორმით გვხვდება და აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა დავადგინოთ თავდაპირველი სახელწოდება. ვფიქრობთ, საკმაოდ მართალია ღევონდ ალიშანი, როდესაც ბოლო ბგერას ზედმეტად არ თვლის. ამრიგად, პეგოლოტის მიერ დასახელებული გეოგრაფიული პუნქტის სახელს ქართულში „ბოლორბეკე“-ს ფორმა უნდა ჰქონოდა. ამის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ ის, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში თავდაპირველად მეორე კომპოზიტი იწყებოდა „კ“ ბგერით და მთავრდებოდა „ე“ ბგერით. როგორც ჩანს, „ტ“ ბგერის ნაცვლად ხელნაწერებში ჯერ იყო „ბ“, როგორც ეს არის პეგოლოტის ტექსტში. ასეთი შესაძლებლობა მართლაც არსებობდა, თუ ტექსტი დაწერილი იყო ნუსხურით, სადაც „ბ“ და „ტ“ ბგერები ერთმანეთს ჰგავს. უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ ტოპონიმის შუაში იყო „ე“ და მის ადგილას „ი“-ის გამოჩენა ქარაგმის მცდარი ახსნის შედეგია. მაშასადამე, თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ დასახელებული „ბოლოსტიკე“ შეიძლება აღდგენილი იყოს როგორც „ბოლორბეკე“. ეს კონიექტურა, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი შესაძლებელი ვარიანტია, რადგანაც დედნის ზუსტი აღდგენა, მართლაც, ძალიან ძნელია. ამიტომ ამჟამად შემოვიფარგლებით იმ ფაქტის კიდევ ერთხელ დადგენით, რომ „ბოლოსტიკე“ სწორედ ის ციხეა, რომელიც კარგად არის ცნობილი წყაროებში როგორც „ბოღბერდი“, „ბოლორაპაჰაკი“ და «Polorbecch» – «Polorbecche».

ბასიანის ბრძოლის ისტორიის დაწვრილებითი შესწავლა მოითხოვს, რომ ვეცადოთ უფრო ზუსტად დავადგინოთ მთავარი შეტაკების ადგილი. ბოლო ხანებში გოჩა ჯაფარიძემ პირველად მიაქცია ყურადღება XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის სმბატ სპარაპეტის ცნობას რუქნ ად-დინის ლაშქრის მჟნკერტის ციხისკენ მოძრაობის შესახებ. როდესაც ერზრუმის აღებით აღფრთოვანებული სულთანი ავიწროებდა ციხის მცველებს, ქართულმა ჯარმა შეუტია და დაამარცხა მტერი (სმბატ სპარაპეტი 1956: 212).[5] მკვლევრის მტკიცებით, მჟნკერტის ციხე არის დასახელებული ბრძოლის ადგილად XVIII საუკუნის დამდეგის თურქი ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის ნაშრომში *ჯამი ად-დუვალში*. ამრიგად, დასახელებული ორი ცნობის მიხედვით, რუქნ ად-დინთან ბრძოლა უნდა მომხდარიყო მჟნკერტის მახლობლად (ჯაფარიძე 1995: 153-155). ასევე ყურადსაღებია XIII საუკუნის არაბი გეოგრაფის იაკუთის ცნობაც, რომლის მიხედვით, ბრძოლა მოხდა ავნიქის ციხესთან.

ბასიანის ბრძოლის ლოკალიზაციის პრობლემის გამო დისკუსიას იწვევს პირელწყაროების გარკვეული მრავალფეროვნობა. ზოგ შემთხვევაში ეს წყაროები აშკარად უპირისპირდებიან ერთმანეთს. მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობის მეორე მიზეზი არის ის, რომ მათ გარკვეული არა აქვთ ბრძოლის საერთო სურათი და თავისებურად აფასებენ პირველწყაროების გადმოცემებს. მაგალითად, გაუგებარია, თუ როგორ შეგვიძლია გადავწყვიტოთ მთავარი შეტაკების საკითხი. შემთხვევითი არ არის, რომ შუა საუკუნეების ავტორები ამის შესახებ სხვადასხვა პუნქტებს ასახელებენ. როგორც ჩანს, ყოველ ავტორს თავისი წარმოდგენა ჰქონდა ბრძოლის შესახებ. უეჭველია, მათგან მხოლოდ თამარის პირველ ისტორიკოსს აქვს დაწვრილებით აღწერილი ბრძოლის მთელი მსვლელობა და ამიტომ მის ცნობებს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ საბოლოო დასკვნის მიღებაში. ამიტომ მართებული არ არის იმ მკლევართა მოსაზრება, რომლებიც მიიჩნევენ, რომ გადამწყვეტი ბრძოლა ბასიანში არ მომხდარა. ისინი თვლიან, რომ ბასიანში მეტოქენი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ბრძოლის ბედი გადაწყვიტა ქალაქ ერზურუმთან ან სარიღამიშის მახლოლად მომხდარმა ბრძოლებმა. გამოდის, რომ ისინი უგულველჰყოფენ თამარის პირველი ისტორიკოსის ნათელ ცნობებს და მთავარი შეტაკების ადგილს დებენ სულ სხვა რეგიონში – კარინ-ერზურუმში ანუ ვანანდში.

ვფიქრობთ, საბოლოო დასკვნის გამოტანამდე მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მხოლოდ ცალკეული პუნქტების დასახელების ფაქტები, არამედ გეოგრაფიული ფაქტორებიც. მაგალითად, უნდა დავსვათ ამგვარი კითხვა – რამდენად არის შესაძლებელი დიდი სამხედრო მოძრაობები და მასშტაბური ომი ავნიქის და მუნკერტის ციხეებთან? ამ გამაგრებული ადგილების ზუსტი ლოკალიზაცია კარგად არის ცნობილი და მათი მიდამოები არაერთხელ არის აღწერილი ისტორიულ-გეოგრაფიულ და სამხედრო-ისტორიულ ლიტერატურაში. მუნკერტის (ასევე ავნიქის) ციხის მახლობლად დიდი ბრძოლისთვის აუცილებელი ვრცელი ველი არ არსებობს. აქაური ძლიერი სიმაგრეების მთავარი ამოცანა მეტოქეების იერიშებისაგან საზღვრების დაცვა ყოფილა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მუნკერტისა და ავნიქის ციხეების მიდამოებში მომხდარ ბრძოლებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონიათ. როგორც ჩანს, ამ პუნქტების მახლობლად ყოფილა სელჩუკთა მოწინავე რაზმებთან პირველი შეტაკებები. მთავარ ბრძოლად უნდა ჩავთვალოთ ის შეტაკება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თავად სულთანმა რუქნ ად-დინმა. სწორედ ამ ადგილას მდებარეობდა მისი კარავი, აქ ინახებოდა სიმდიდრე და ალაფი.

საქმე ის არის, რომ ბასიანი გეოგრაფიულად და ისტორიულად შედგებოდა ორი ნაწილისაგან. ამათგან ზემო ბასიანი უმთავრესად ვაკე მინდორია და ცნობილი იყო უტყეო ბასიანის სახელწოდებითაც. აქ მდებარეობდა საკუთრივ ბასიანის ველი. ქვემო ბასიანს შედარებით მთიანი რელიეფი აქვს, მისი ჩრდილო ნაწილი მდიდარია ტყეებით. ზემო ბასიანი ცნობილია თავისი წყაროების სიმრავლით (ალიშანი 1890: 16-18). ამ გარემოებასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ქართველი მემატიანის მეორე ცნობა რუქნ ად-დინის ლაშქრის კარვების ადგილის შესახებ: „და იყო იგი ადგილი წყაროთა სავსე“ (ყაუხჩიშვილი 1959: 98; მეტრეველი 2008: 467). ეს აღწერილობა მეტად ნიშანდობლივია მთავარი ბრძოლის კონკრეტული ადგილის დასადგენად. სებეოსის ცნობიდან ირკვევა, რომ ბოლორაპაჰაკი მდებარეობდა მდინარე არაქსის და მურცის შესართავთან და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მდინარე მურცი, იგივე ჰასან-ყალა ჩაი, არაქსის მარცხენა შენაკადია და ერთვის არაქსს იმ ადგილას, სადაც აშენებულია ცნობილი ქოფრიქოის ხიდი. ქართველი ისტორიკოსის ცნობა დასტურდება უცხოენოვანი მასალით და მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოსა და რუმის სასულთნოს შორის მთავარი ბრძოლა მომხდარა ზემო ბასიანში, ბასიანის ველის სამხრეთ ზონაში, სადაც მდებარეობდა ძველი ბოლორაპაჰაკის ციხე და დღევანდელი ქოფრიქოის ხიდი (ერემიანი 1953: 628).

შენიშვნები

1 არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა მიცემულია გოჩა ჯაფარიძის ნაშრომში, იხ. (ჯაფარიძე 1995: 150-156)

2 ეს მოსაზრება მიიღო ს. ყაუხჩიშვილმა, იხ. (ყაუხჩიშვილი 1959: 96). ი. ჯავახიშვილს თავისი ნაშრომის ძირითად ნაწილში კიდევ ერთხელ მოაქვს თამარის პირველის ისტორიკოსის თხზულებიდან სათანადო ნაწყვეტი და უპირატესობას „ბოლოსტიკე"-ს წაკითხვას ანიჭებს (ჯავახიშვილი 1983: 48).

3 ნ. ადონცი უფრო გვიან დაწერილ ერთ ნაშრომში იმეორებს თავის აზრს ბოლბერდიმ ლოკალიზაციის შესახებ, მაგრამ ერთსა და იმავე დროს დასაშვებად თვლის, რომ ბოლბერდი მდებარეობდა დღევანდელი ჰასან-ყალას ადგილას და კეტავდა ერზრუმიდან მომავალ გზას (ადონცი 1948: 217-220).

4 ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება სიმონ ყაუხჩიშვილმა დამაჯერებლად მიიჩნია და სათანადო ცვლილება შეიტანა მის მიერ დადგენილ დედანში, *ქართლის ცხოვრების* უკანასკნელ გამოცემაში ტოპონიმი ისევ „ბოლოსტიკე“ ფორმით იკითხება.

5 ჯაფარიძე სარგებლობს ინგლისური თარგმანით (S. Der Nersessian, The Armenian Chronicle of the Constable Smpad or of the "Royal Historian". - Etudes byzantines et arméniennes, Louvain, 1973).

დამოწმებანი

ადონცი 1908: Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, СПб.

ადონცი 1948: Ն.Ադոնց, Հայաստանի ռազմական ուսումնասիրութիւններ», Պարիս.

ალიშანი 1890: Ղ. Ալիշան, Այրարատ, Վենետիկ.

ერემიანი 1953: С.Т. Еремян, Армения в IX-первой четверти XIII в., "Очерки истории СССР. Период феодализма", ч. I.

კეკელიძე 1941: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი.

კეკელიძე 1973: К.С. Кекелидзе, Этюды по истории древнегрузинской литературы, XII, Тбилиси.

მანანდიანი 1985: Я.А. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торголей древних времен, «Труды», Ереван.

მეტრეველი 2008: ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქტორობით, თბილისი, მერიდიანი.

მიქაელიანი 1952: Г.М. Микаелян, История Киликийского армянского государства, Ереван.

პეგოლოტი 1936: Francesco Balducci Pegolotti, La Pratica della Mercatura. Edited by Allan Evans. Medieval Academy Books(No. 24), Cambridge, Mass.

სებეოსი 2005: Սեբէոս, Պատմութիւն, «Մատենագիրք Հայոց», հ.Դ, Անթիլիաս-Լիբանան.

სმბატ სპარაპეტი 1956: Սմբատ Սպարապետ, Տարեգիրք, Վենետիկ.

ტერ-პოღოსიანი 1951: Պ. Տեր-Պողոսյան, Տեղագրական հետազոտութիւններ Հայաստանի մէկ քանի քաղաքներու եւ բերդերու մասին, Վիեննա.

ყაუხჩიშვილი 1959: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირათადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1973: ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.

ხაჩატურიანი 1925: Ա. Խաչատրյան, Հույն պատմիչների վկայությունը հին Հայաստանի ոսկեհանքերի և նրանց տեղի մասին, «ՀՍԽՀ պետական համալսարանի տեղեկագիր»

ჯავახიშვილი 1983: ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბილისი.

ჯაფარიძე 1995: გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, თბილისი.

ჰეიდი 1886: Heyd, Histoire du commerce du Levant au moyen-âge, II, Leipzig.

ჰიბშმანი 1907: Հ.Հիւբշման, Հին հայոց տեղւոյ անունները, Վիեննա.

THE TOPONYM "BOLOST'IK'E" IN THE WORK OF THE FIRST HISTORIAN OF QUEEN TAMAR

Hayrapet Margaryan

From the perspective of localization of the battle of Basiani the part of the work of the first historian of the Queen Tamar, where it is mentioned the location of the army of the sultan Rukn al-Din("the place (called) Basiani, known also by the name of Bolost'ik'e"), is in a great interest.

The study shows that "Bolost'ik'e" is the fortress, which is well known from Armenian and Italian sources by the names «Bolorapahak» / «Polorbecche « (both names mean «fortress built in circle»). It was situated at the junction of rivers Araks and Murts' (now the Hasankale river) and had strategic significance.

The second witness of the Georgian historian "there were many springs in this place" is important for clarifying the exact location of the battle. This information is confirmed by the foreign language sources and shows that the decisive battle between Georgia and Rum Sultanate took place in Upper Basen, in the southern area of Basen field, where were situating the old Bolorapahak fortress and our days' Koprikoy bridge.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მონაწილეობა ვისბადენისა და შტარნბერგის კონფერენციებში (1951-1952 წწ.)

შორენა მურუსიძე

ცივი ომის დროს ამერიკის შეერთებული შტატები სსრკ-ს წინააღმდეგ ე. წ. „ფსიქოლოგიური ომის" ტაქტიკას მიმართავდა. აშშ–ში არსებობდა საზოგადოებრივი კომიტეტები, რომლებიც საბჭოთა კავშირში შემავალი ერების ემიგრანტულ გაერთიანებებს ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას ჰპირდებოდნენ. 1951 წლის 8 თებერვალს აშშ-ში *ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული კომიტეტი* დააარსდა. მისი ერთ-ერთი მიზანი საბჭოთა კავშირის ემიგრანტული ორგანიზაციების გაერთიანება და *ანტიბოლშევიკური ცენტრის* ჩამოყალიბება იყო[1]. *კომიტეტის* ეს მიზანი რთული განსახორციელებელი აღმოჩნდა. მთავარი წინააღმდეგობა, რაც სსრკ-ის ემიგრაციის გაერთიანებას ხელს უშლიდა „ეროვნულ საკითხში" არსებული შეუთანხმებლობა იყო.

საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან წასული ემიგრანტები სხვადასხვა ორგანიზაციებში ერთიანდებოდნენ და ქართული ემიგრაციის მსგავსად დაქსაქსულები იყვნენ. მიუხედავად ამისა, ყველა ეროვნების ემიგრანტული გაერთიანების მიზანი საერთო იყო – ისინი თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. ამ მისწრაფებას ეწინააღმდეგებოდა რუსული ემიგრაცია. თვით რუსული ემიგრაციაც სხვადასხვა პარტიებად და ორგანიზაციებად იყო დაყოფილი. მისი ერთი ნაწილი რუსეთის მონარქიული იმპერიის აღდგენას, ხოლო მეორე კი ფედერაციული სახელმწიფო წყობის ჩამოყალიბებას მიიჩნევდა საჭიროდ. მათ საერთო მხოლოდ ერთი ჰქონდათ – არც ერთი მათგანი არ აღიარებდა რუსეთის იმპერიის საზღვრების შეცვლას და მასში შემავალი ერების სუვერენულ უფლებებს. რუსული ემიგრაცია სხვა ერების მხრიდან დამოუკიდებლობის მოთხოვნას სეპარატიზმად აღიქვამდა და მათ „სეპარატისტულ ჯგუფებად" იხსენიებდა.

რუსულ ემიგრაციასთან ეროვნული საკითხის ირგვლივ შეუთანხმებლობის გამო სსრკ-ის ქვეყნების ემიგრაციის ურთიერთშეთანხმება და ერთობლივი მოქმედება არ ხერხდებოდა.

საბჭოთა კავშირის ერთა ემიგრაციის გაერთიანებას მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიაც ცდილობდა. თუმცა ეს მიზანი ვერ განხორციელდა ეროვნულ საკითხში გერმანიის მხარეს მებრძოლი „რუსეთის განთავისუფლების არმიის" ხელმძღვანელის გენერალ ანდრეი ვლასოვის (1901-1946) შეუვალი პოზიციის გამო (სალია 1952: 4).

ყველაზე მრავალრიცხოვან რუსულ ემიგრაციას ანგარიშს უწევდნენ ევროპაშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. *ამერიკული კომიტეტი* პირველად სწორედ რუსული ემიგრაციის ე.წ. დემოკრატიულ ნაწილს (სოლიდარისტებს) დაუკავშირდა და მასთან თანამშრომლობით დაიწყო ანტიბოლშევიკური გაერთიანების ჩამოყალიბება. *კომიტეტი* მხარს უჭერდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად შექმნილ რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოს და გამორიცხავდა რუსული ემიგრაციის იმ ჯგუფებთან კავშირს, რომლებიც რუსეთის იმპერიის და მონარქიული სახელმწიფო წყობის აღდგენისათვის იბრძოდნენ.

ამერიკულმა კომიტეტმა ანტიბოლშევიკური გაერთიანების შექმნა რუსული ემიგრაციის გაერთიანებით დაიწყო. ამ მიზნით *კომიტეტმა* 1951 წელს შტუდგარდში კონფერენცია ჩაატარა, სადაც მიიწვა რუსეთის ხალხთა განთავისუფლებისათვის მებრძოლი კავშირი, ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლის ლიგა, განმათავისუფლებელი მოძრაობის მხედართა კავშირი და უპარტიო რუსი ემიგრანტები (*მებრძოლი საქართველო* 1952ა: 6). აქ შეკრებილმა რუსულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს პროგრამა, სადაც ბოლშევიკური რეჟიმის შემდეგ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე *რუსეთის ხალხთა თავისუფალი კავშირის* შექმნას დაუჭირეს მხარი. შტუდგარდის კონფერენციაში მონაწილე რუსული ემიგრაციის დემოკრატიულმა ნაწილმა თავის წინანდელი პოზიცია *ეროვნული საკითხის* შესახებ შეცვალა. პროგრამაში ისინი საბჭოთა კავშირში შემავალ ერებს კვლავ *რუსეთის ხალხებად* მოიხსენიებდნენ, თუმცა ამჯერად მათ თანასწორობას და *ერთა თვითგამორკვევის* უფლების მინიჭებას ჰპირდებიან. ყრილობის მონაწილეთა საპროგრამო დოკუმენტში შენიშვნის სახით ჩაიწერა, რომ *ერთა თვითგამორკვევის* პრინციპი არ ვრცელდება მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირის მიერ დაპყრობილ სახელმწიფოებზე (იგულისხმებოდა ბალტიისპირეთის ქვეყნები: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი). მათი დამოუკიდებლობა უპირობოთ იქნება აღდგენილი (*მამული,* 1951: 74,75). საეარაუდოდ, ეროვნული საკითხის შესახებ შტუდგარდში შეკრებილი რუსული ემიგრაციის პოზიციის ცვლილება – ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვრებში მცხოვრები ერებისათვის *ერთა თვითგამორკვევის* უფლების ცნობა *ამერიკული კომიტეტის* ინტერესების გათვალისწინებამ განაპირობა (ურატაძე 1951: 9).

რუსეთის ემიგრაციის ე. წ. დემოკრატიულ ნაწილს უნდოდა *შტუდგარდის რუსული პროგრამა* სავალდებულო გაეხადა სსრკ-ის ემიგრაციისთვის და ამაში *ამერიკული კომიტეტის* ავტორიტეტისა და გავლენის გამოყენების იმედი ჰქონდათ (*მებრძოლი საქართველო* 1952ბ: 8).

ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით რუსული ემიგრაციის დემოკრატიული ნაწილის პოზიციის ცვლილებას, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია გამოეხმაურა. ამ ფაქტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები, სოციალ-დემოკრატიული პარტია და *ეროვნული საბჭო* დადებითად აფასებდნენ. თუმცა ისინი ამავე დროს ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ საქართველოს საკითხი განსხვავდებოდა ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვრებში შემავალი სხვა ქვეყნებისგან, რადგან მისი დამოუკიდებლობა, მსოფლიოს არაერთი სახელმწიფოს, მათ შორის, საბჭოთა რუსეთის მიერ, დე-იურე იყო აღიარებული. ქვეყანას ჰქონდა კონსტიტუცია და არჩეული საკანონმდებლო ორგანო (დამფუძნებელი კრება), თავისი დიპლომატიური წარმომადგენლები (ელჩები) ჰყავდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა არა შიდა გადატრიალებით, არამედ დაპყრობის შედეგად. ამის საფუძველზე ისინი მიიჩნევდნენ, რომ *ერთა თვითკამორკვევის* უფლება საქართველოზე არ უნდა გავრცელებულიყო. მათი შეფასებით, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას საქართველოსთვის ოკუპაციის გაუქმების და ქვეყნიდან უცხო ჯარების გაყვანის საკითხი უნდა დაეყენებინა, რასაც სუვერენიტეტის აღდგენა მოჰყვებოდა. ამ პრინციპების გათვალისწინებით ქართული ემიგრაციის ეს ნაწილი რუსულ ემიგრაციასთან თანამშრომლობას არ გამორიცხავდა (ურატაძე 1951: 20).

შტუდგარდის შეხვედრაზე ხუთი რუსული ორგანიზაციის გაერთიანების შემდეგ *ამერიკულმა კომიტეტმა* საბჭოთა კავშირის არა რუსი ერების ემიგრაციასთანაც დაამყარა ურთიერთობა და ისინი 1951 წლის 3 ნოემბერს ვისბადენის კონფერენციაზე მიიწვია. ვისბადენის თათბირი ანტიბოლშევიკური გაერთიანების საფუძველი და წინაპირობა უნდა გამხდარიყო. მასში მონაწილეობის მისღებად „ამერიკული კომიტეტის“ წარმომადგენელმა ევროპაში ეუენ ლაიონსმა 1951 წლის 30 ოქტომბრს ქართული პოლიტიკური ემიგრაციიდან მხოლოდ *ქართული ეროვნული საბჭო* მიიწვია (*მებრძოლი საქართველო* 1952გ: 7).

ვისბადენის კონფერენციამდე *ქართული ეროვნული საბჭოს* აღმასრულებელმა კომიტეტმა საგანგებო ყრილობა ჩაატარა, სადაც მომავალ კონფერენციაზე ქართული ემიგრაციის სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს და დელეგატები (ნოე ცინცაძე და დავით სხირტლაძე) აირჩიეს.

ვისბადენის თათბირის დაწყებამდე *ქართული ეროვნული საბჭოს* წევრებმა *ამერიკული კომიტეტის* წარმომადგენლებს ქართული ემიგრაციის პოლიტიკური საქმიანობის ძირითადი ხაზი გააცნეს. მათ სცადეს რუსულ ემიგრაციასთან მოლაპარაკება და წინასწარი შეთანხმების მიღწევა. ეროვნული საბჭოს დელეგატები შეხვდნენ მიუნხენის ქართველთა პოლიტიკურ კომიტეტს, რომლის წევრთა ნაწილი *ეროვნული საბჭოს* აღმასრულებელი კომიტეტის მიერ პარიზის ყრილობაზე მიღებულ სამოქმედო გეგმას არ იზიარებდა და უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ქართველი დელეგატები ნოე ცინცაძე და დავით სხირტლაძე სომხეთისა და ბელორუსიის ემიგრაციის წარმომადგენლებს, უკრაინის რადისა და მთავრობის პასუხისმგებელ პირებსაც შეხვდნენ. უკრაინელები ვისბადენში არ მიუწვევიათ, ამიტომ ისინი კონფერენციას არ დასწრებიან (*მებრძოლი საქართველო* 1952ბ: 6,7). შეხვედრების მიზანი *ქართული ეროვნული საბჭოს* პოზიციის გაცნობა და მხარდაჭერის მოპოვება იყო.

ვისბადენში მონაწილეობას ღებულობდნენ შტუდგარდის კონფერენციაში მონაწილე 5 რუსული დემოკრატიული და სოციალისტური ორგანიზაცია და ქართველების, ბელორუსების, აზერბაიჯანელების, ჩრდილო კავკასიის (ავტორხანოვის ჯგუფი), თურქესტანის საბჭოები და კომიტეტები, რომელიც ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ნაწილის აზრით საგანგებოდ ამ კონფერენციაში მონაწილეობისთვის წინასწარ შეიქმნა (*ივერია* 1953: 15).

ვისბადენში მიწვეული რუსული პოლიტიკური გაერთიანებებიდან *რუსეთის განთავისუფლების ჯგუფი*, რომელსაც რუსი ისტორიკოსი, პუბლიცისტი და რედაქტორ-გამომცემელი სერგეი მელგუნოვი (1879-1956) ხელმძღვანელობდა (*მებრძოლი საქართველო* 1952დ: 23) და რუსული *ხალხთა განთავისუფლებისათვის მებრძოლი ლიგა* ისტორიკოსისა და პოლიტიკური მოღვაწის ბორის ნიკოლაევსკის (1887-1966) თავმჯდომარეობით (*მებრძოლი საქართველო* 1952ე: 28), აღიარებდნენ საქართველოსა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოების დამოუკიდებლობას. თუმცა მელგუნოვი კერენსკისთან ერთად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ამ უფლების დოკუმენტურად დაფიქსირებას.

ვისბადენის კონფერენციაზე ქართული პოლიტიკური ემიგრაცია სხვა არარუს ემიგრანტულ გჯუფებთან შედარებით ყველაზე კვალიფიციურად და ღირსეულად იყო წარმოდგენილი. ქართველი დელეგატი ნოე ცინცაძე თათბირის თავმჯდომარედ აირჩიეს. ის ყველაზე დიდ წინააღმდეგობას უწევდა ვისბადენის კონფერენციაზე რუსული ემიგრაციის ინტერესების განხორციელებას.

რუსულმა ორგანიზაციებმა ვისბადენზე *შტუდგარდის რუსული პროგრამის* გაზიარების საკითხი დააყენეს, რამაც ვისბადენის თათბირის დღის წესრიგი განსაზღვრა. კონფერენციაზე იმსჯელეს: 1. ეროვნულ საკითხზე, 2. მომავალი გაერთიანების სახელწოდებასა და 3. ორგანიზაციულ მოწყობაზე.

ვისბადების კონფერენციაზე ქართველმა დელეგატებმა მოითხოვეს თვითგამორკვევის უფლება მიენიჭებინათ რუსეთის იმპერიაში შემავალი ერებისთვის, ხოლო ქვეყნებს, რომლებმაც ბოლშევიკების დაპყრობის შედეგად დაკარგეს სუვერენიტეტი უშუალოდ აღედგინათ დამოუკიდებლობა (*მებრძოლი*

საქართველო 1952ვ: 17). რუსი ემიგრანტები მოლაპარაკებების დროს მხოლოდ სიტყვიერად აღიარებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის უშუალოდ აღდგენის უფლებას (*მებრძოლი საქართველო* 1952ბ: 8).

კონფერენციის მონაწილეები ვერ შეთანხმდნენ სახელწოდებაზე, რუსული ორგანიზაციები ითხოვდნენ მომავალი ანტიბოლშევიკური გაერთიანების დასახელებაში *რუსეთის*, ხოლო დანარჩენი ემიგრანტული ორგანიზაციები კი *სსრკ* მოხსენიებას (*მებრძოლი საქართველო* 1952ბ: 8).

ორგანიზაციის მოწყობის საკითხში უარყვეს უპარტიო საზოგადო მოღვაწეების მიღების წესი, რასაც, მომავალ გაერთიანებაში უმრავლესობის მოპოვების მიზნით, რუსი ემიგრანტები უჭერდნენ მხარს (*მებრძოლი საქართველო* 1952ბ: 8).

ვისბადენის კონფერენციაზე აირჩიეს პარიტეტული კომისია, რომელსაც ვისბადენზე ღიად დარჩენილი საკითხების ირგვლივ შეთანხმების მიღწევის მიზნით მორიგი თათბირის მოწვევაზე უნდა ეზრუნა. პარიტეტულ კომისიაში შედიოდა სამი რუსი და სამი სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი, მათ შორის, ქართველებიდან იყო დავით სხირტლაძე (*მებრძოლი საქართველო* 1952ბ: 9).

ინტერესთა კონფლიქტის, აზრთა სხვადასხვაობის, ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით შეუთანხმებლობის მიუხედავად, ვისბადენის კონფერენცია დეკლარაციის მიღებით დასრულდა, რომელსაც მიზანმიმართულად 1951 წლის 7 ნოემბერს, ბოლშევიკური გადატრიალების დღეს მოეწერა ხელი (*მებრძოლი საქართველო* 1952ბ: 9). *ეროვნული საბჭოს* სახელით ვისბადენის დოკუმენტს ნოე ცინცაძემ და დავით სხირტლაძემ მოაწერეს ხელი (*ივერია* 1952: 40). კონფერენციის მონაწილეებმა მიღებული გადაწყვეტილებით სცნეს საბჭოთა კავშირში შემავალი ერებისთვის თვითგამორკვევის უფლების განხორციელება პლებისციტის, ეროვნული დამფუძნებელი კრების ან საერთო რუსული დამფუძნებელი კრების გზით (*მებრძოლი საქართველო* 1952ბ: 8). დეკლარაციაში დაფიქსირებული იყო სსრკ-ის ემიგრაციის ერთობა ბოლშევიკური რეჟიმისა და კომუნისტური დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში (პატარიძე 1952: 32). ვისბადენის რეზოლუციაში არაფერია ნათქვამი საქართველოს სუვერენიტეტის ავტომატურად აღდგენის შესახებ.

ქართველების მოთხოვნას უპირობოდ ეღიარებინათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რუსულმა ემიგრაციამ ტაქტიკური სვლით უპასუხა: ისინი ბოლშევიკური რეჟიმის გაუქმების შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის ავტომატურად აღდგენას მხოლოდ სიტყვიერად აღიარებდნენ, თუმცა ეს ზეპირი შეთანხმება არ შევიდოდა რეზოლუციაში, არც დოკუმენტურად დაფიქსირდებოდა სადმე და ამავე დროს არ გასაჯაროვდებოდა, რითაც შეძლებდნენ ქართველების დათანხმებას მონაწილეობა მიეღოთ რუსებთან ერთად მოლაპარაკებებში, მსგავს მოთხოვნას არ წამოაყენებდნენ სხვა არარუსი ერები და ამასთანავე არ გამოიწვევდა წინააღმდეგობას და დაპირისპირებას რუსული ემიგრაციის შიგნით (*მებრძოლი საქართველო* 1952ზ: 24). მათ ეს მიზანი ადვილად განახორციელეს. ქართველი დელეგატები საქართველოს დამოუკიდებლობის უპირობოდ აღდგენის სიტყვიერი შეთანხმებით შემოიფარგლნენ და ამ უფლების რეზოლუციაში შეტანა არ მოუთხოვიათ. კონფერენციის მონაწილე ქართული ემიგრანტული ორგანიზაცია *ეროვნული საბჭო*, ამას ასე ხსნის: „ასეთ აქტში (რეზოლუციაში, – შ.მ.) ჩვენი ერის მოთხოვნილების ცალკე აღნიშვნა რომ მოგვეთხოვა, ამით მხოლოდ შევასუსტებდით საერთო თავდასხმის ძალას და მნიშვნელობას...“ რადგან მათი აზრით, ეს სხვა ერების უკმაყოფილებას და მათთან დაპირისპირებას გამოიწვევდა და რუსული ემიგრაციის მიმართ მათ ერთობლივ წინააღმდეგობას დაასუსტებდა (*მებრძოლი საქართველო* 1952ვ: 18).

ვისბადენის კონფერენცია იყო პირველი შემთხვევა, როცა რუსი და არარუსი ემიგრანტული გაერთიანებები სათათბიროდ შეიკრიბნენ, აქ მიღებული დეკლარაცია კი – პირველი პოლიტიკური აქტი რუსისა და სხვა ერთა წარმომადგენლების მიერ დადებული ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. როგორც უკვე ითქვა, მანამდე რუსული პოლიტიკური ემიგრანტული გაერთიანებები არა თუ არ სცნობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, არამედ იბრძოდნენ ამ უფლების წინააღმდეგ. არც ერთი რუსული ორგანიზაცია არ აღიარებდა რუსეთის იმპერიის დაშლას.

ვისბადენის თათბირის დასრულების შემდეგ ქართველი დელეგატები კვლავ მიუნხენის ქართველებს შეხვდნენ, იქვე საგანგებოდ კონფერენციის შედეგების შესახებ სასაუბროდ უკრაინის რადის და მთავრობის წარმომადგენლები ჩავიდნენ (*მებრძოლი საქართველო* 1952ბ: 9).

ვისბადენის კონფერენციაში მონაწილეობით ქართველი ემიგრანტები (*ქართული ეროვნული საბჭო* და მათი პოზიციის მომხრენი) თავის მიზანს ასე განსაზღვრავდნენ:

> მთავარი და ძირითადი იყო ჩვენთვის გზის გაკაფვა ამერიკის საზოგადოებისაკენ, რადგან აშშ-ს საქართველოს დამოუკიდებლობა არ ჰქონდა აღიარებული და ამერიკაში ცოტამ თუ იცოდა საქართველოს შესახებ... ჩვენი მდგომარეობა მოითხოვს გავიჩინოთ დამხმარე შიგნით, მათსავე გავლენიან წრეებში, რომლებიც საზოგადოებრივ აზრის შემქმნელ ფაქტორად ითვლებიან... როცა დადგება მომენტი საქართველოს ბედის კონკრეტულათ გადაჭრის და ამ გადაჭრაში დაგვჭირდება ხმა და გამოძახილი დიდ სახელმწიფოთა მთავრობების – ამერიკის შეერთებულ შტატებში დაგვხვდეს არა გაუგებრობა, არამედ საყოველთაო სიმპატია და თანაგრძნობა. არა გულგრილობა, არამედ ხალხის გამოწვევა და დახმარება. აი აქეთკენ გვიხსნის გზას ვისბადენის თათბირი (*მებრძოლი საქართველო* 1952ბ: 9).

ეროვნულ საბჭოს თავის ამოცანად *ამერიკული კომიტეტის* პოზიციის შეცვლაც მიაჩნდა, რადგან *კომიტეტი* თავიდან პრორუსული იყო. მათი შეფასებით, ვისბადენში მონაწილეობამ განაპირობა მათი დაახლოება *კომიტეტთან* და კომიტეტის წევრების საბჭოთა კავშირის ეროვნებათა საკითხით დაინტერესება. თუმცა, *კომიტეტის* დამოკიდებულების ცვლილება არა ვისბადენის თათბირმა, არამედ ხელმძღვანელის ცვლილებამ განაპირობა. როცა კომიტეტს ჟურნალისტი ეჟენ ლაიონსი ხელმძღვანელობდა მისი პოზიცია იყო სსრკ-ს ეროვნებათა საკითხი რუსეთის შიდა საკითხად ეღიარებინათ. ვისბადენის კონფერენციის შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარე გახდა აშშ-ს ყოფილი ელჩი რუსეთში, ეროვნებათა საკითხში გარკვეული ადმირალი ალან კერკი. მისი ხელმძღვანელობის დროს *კომიტეტის* პრორუსული ორიენტაცია შეიცვალა, ის უფრო მიუკერძოებელი გახდა (კერესელიძე 1952: 9). *ამერიკული კომიტეტი* ყოველთვის აშშ-ის საგარეო პოლიტიკური ინტერესების გამტარებელი იყო, მის დამოკიდებულებაზე და შეხედულებებზე საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების ემიგრაციას გავლენის მოხდენა არ შეეძლო.

ვისბადენის კონფერენციის დასრულების შემდეგ რუსულმა ემიგრაციამ შტუდგარდში მიღებული *რუსული პროგრამა* გამოაქვეყნა, რამაც ვისბადენის თათბირის არასწორი აღქმა განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ ვისბადენში შტუდგარდის პროგრამა უარყვეს, მაინც მოხდა მათი გაიგივება (*მებრძოლი საქართველო* 1952ვ: 15). ვისბადენის კონფერენციაზე მიღებული რეზოლუცია სსრკ-ის დაპყრობილ ერთა ემიგრანტულმა ორგანიზაციებმა მათი სახელმწიფოების სუვერენიტეტის დამცრობად მიიჩნიეს.

ორგანიზაცია *ქართული პოლიტიკური ცენტრი უცხოეთში*[4] ვისბადენის თათბირს და დეკლარაციას საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად აფასებდა და მასში მონაწილე ემიგრანტულ ორგანიზაციებს რუსეთის მესამე იმპერიის შესაქმნელად ნიადაგის მომზადებაში ადანაშაულებდა. მათთვის მიუღებელი იყო რუსულ ემიგრაციასთან თანამშრომლობა და მოლაპარაკებები. იგივე პოზიციაა დაფიქსირებული საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პარიზის ორგანიზაციის 1951 წლის 16 ოქტომბრის ყრილობისა და პარიზის ქართველთა კრების 1951 წლის 20 ოქტომბერის რეზოლუციებში. რუსულ ემიგრაციასთან ქართველების თანამშრომლობის წინააღმდეგი იყვნენ *ქართულ-ამერიკული ლიგა* და აშშ-ის ქართული სათვისტომო. *ცენტრალური ევროპის ქართული პოლიტიკური კომიტეტი* ემიგრაციისადმი თავის მიმართვაში ვისბადენის კონფერენციას ასე აფასებდა: „უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ასეთი მარცხი საქართველოს საკითხს ჯერ არ განუცდია. ეს არის ხელის აღება ქართველი ხალხის სუვერენობის დაცვაზე და ეროვნული ბრძოლის გეზისა და მიზნის შეცვლა". ამ მიმართვას კომიტეტის სახელით ხელს აწერდნენ მიხაკო წერეთელი, დავით ვაჩნაძე, დიმიტრი შალიკაშვილი, ნიკო ნაკაშიძე, ალექსანდრე ცომაია და მიხეილ ალშიბაია (*ივერია* 1952: 37-42).

რუსულ ემიგრაციასთან მოლაპარაკებების გამართვას შეცდომად მიიჩნევდა *ეროვნულ საბჭოს* წევრი *თეთრი გიორგის* ორგანიზაცია, რომელიც *საბჭოს* გაემიჯნა და მისი შემადგენლობა დატოვა (1952 წლის 5 ივლისს). მათი აზრით რუსებთან თანამშროლობა „საქართველოს დამოუკიდებლობის პრინციპის შეულახავად შეუძლებელია". ისინი ვისბადენის შეხვედრაში ქართველების მონაწილეების მომხრენი არ იყვნენ, თუმცა აღიარებდნენ, რომ „ამ შეხვედრის დროს საქართველოს უფლებები არ ყოფილა დათმობილი" (სალია 1952: 3). *თეთრი გიორგის, ეროვნული საბჭოდან* გამოსვლის უშუალო მიზეზი გახდა *საბჭოს* მონაწილეობა 1952 წლის 18 ივნისს შტარენბერგში გამართულ კონფერენციაში (*ბედი ქართლისა* 1952: 31).

ვისბადენის პოლიტიკური ხაზი (რუსულ ემიგრაციასთან თანამშრომლობა „ერთა თვითგამორკვევის პრინციპის" დაცვით) მიუღებლად მიაჩნდათ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების ემიგრაციას, კერძოდ, უკრაინის მთავრობისა და ნაციონალური *რადას* წევრებს (ივერია 1952: 42), ჩრდილო კავკასიისა და აზერბაიჯანის ემიგრანტულ გაერთიანებებს.

ჩრდილო კავკასიელებმა მიუნხენის ყრილობაზე უარყვეს რუსული ემიგრაციის პოზიცია ეროვნულ საკითხში და გააკრიტიკეს გენერალი ლაზარ ბიჩერახოვი ჩრდილო კავკასიელების სახელით რუსულ ემიგრაციასთან თანამშრომლობის გამო. ჩრდილო კავკასიის ნაციონალურმა კომიტეტმა აბდურახმარ ავტორხანოვი ვისბადენის კონფერენციაში მონაწილების მეზეზით კომიტეტიდან გარიცხა (*ივერია* 1952: 42,43).

ანკარისა და აზერბაიჯანის კოლონის რეზოლუცია ვისბადენის კონფერენციას აზერბაიჯანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ინტერესებისათვის საზიანოდ მიიჩნევდა და პროტესტს უცხადებდა ა. შეიხულ-ისლამოვს, ჯეიხუნ ხაჯიბეილს და ისმაილ აკბერს რუსულ ორგანიზაციებთან ერთად ვისბადენში მონაწილეობის გამო. აზერბაიჯანული მუსავატური პარტია მიიჩნევდა, რომ ვისბადენის პოლიტიკური კურსი არის საბჭოთა კავშირის ერთა სუვერენიტეტის საერთაშორისო მასშტაბიდან რუსეთის შიდა საკითხად ქცევა. მუსავატური პარტია განმარტავდა, რომ ვისბადენის კონფერენციაში მონაწილე *აზერბაიჯანის ეროვნული ერთობის საბჭო* რეალურად არ არსებული ორგანიზაცია იყო (*ივერია* 1952: 43).

ვისბადენის საწინააღმდეგო გამოსვლები იბეჭდებოდა მიუნხენში გამომავალ ჟურნალ *კავკაზშიც* (რედაქტორი კანტემირი), რომელიც რუსულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე იბეჭდბოდა და მის ირგვლივ ე. წ. ბამატის ჯგუფი იყო გაერთიანებული. ამ გამოცემასთან თანამშრომლობდა ქართული პოლიტიკური

ემიგრაციის მემარჯვენე მიმართულების გაერთიანება – *ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი* (*მებრძოლი საქართველო* 1952ვ: 19).

ვისბადენის კონფერენციის საწინააღმდეგოდ აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის ერებისა (მათ შორის ქართველების) და თურქესტანელთა წარმომადგენლებმა მიუნხენში 1951 წლის 30 ნოემბერს მოიწვიეს კონფერენცია, რომელიც რეზოლუციის მიღებით დასრულდა. მას ქართველების მხრიდან ხელს აწერდა ალექსანდრე კორძაია. რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ რუსული ემიგრაცია, კერძოდ კი „რუსეთის ხალხთა განმათავისუფლებელი საბჭო" საბჭოთა საკშირის ხალხთა ემიგრაციის სახელით საუბრობს და რუსეთის იმპერიის საზღვრების შენარჩუნებას ცდილობს (*ივერია*: 44).

ვისბადენის კონფერენციაზე ერთა თვითგამორკვევის უფლების ცნობამ წინააღმდეგობა გამოიწვია რუსულ ემიგრაციაშიც. *ქართული პოლიტიკური ცენტრის ცნობით* ვისბადენის თათბირში მონაწილე რუსული ორგანიზაციების წინააღმდეგ გამოვიდნენ რუსული სამხედრო და პოლიტიკური გაერთიანებები (*ივერია* 1953: 19).

ქართულ და ზოგადად საბჭოთა კავშირში შემავალ ერთა ემიგრაციაში აქტუალური განხილვისა და კამათის საკითხად ქცეულ *ერთა თვითგამორკვევის უფლების* სამართლებრივი მნიშვნელობისა და არსის ახსნას ცდილობდა სტრასბურგის უნივერსიტეტის იურიდულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი მიხეილ მუსხელიშვილი:

> ეს პრინციპი არ არის კანონი, წესი საერთაშორისო პოზიტიური სამართლისა ე. ი. ცნობილი და სავალდებულოდ აღიარებული სახელმწიფოთა მიერ არც საერთოდ, არც მათი უმრავლესობისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითგამორკვევის პრინციპი ჩვენ არავითარ უფლებას არ გვანიჭებს და არც რუსებს აკისრებს რაიმე ვალდებულებას ჩვენს მიმართ (სალია 1954: 17).

მუსხელიშვილის თქმით საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ უფლებას რეალურად დიდი სახელმწიფოების მთავრობები ანგარიშს არ უწევენ, მას ამის დამადასტურებელი მაგალითებიც მოჰყავს. საერთაშორისო სამართალი არ განმარტავს, როგორ უნდა შეათანხმონ თავისი ინტერესები *მპყრობელმა სახელმწიფომ* და *პყრობილმა ერმა*. აქედან გამომდინარე მიხეილ მუსხელიშვილის აზრით: „ერთა თვითგამორკვევის უფლება დღესაც საერთაშორისო სამართლის გარეშე იმყოფება. მწარედ მოსტყუვდებიან ის ერნი, რომლელნიც მათ იმედს დამოუკიდებლობის მოპოვებისა თვითგამორკვევის უფლებაზედ დაამყარებენ. კიდევ უფრო დიდ უგუნურებად ჩაითვლება მიტოვება მათ მიერ დამოუკიდებლობის სტატუტისა და გაცვლა თვითგამორკვევის უფლების აღსარებაზედ. ეს ნიშნავს ნანადირევის ხელიდან გაშვებას მისი აჩრდილისათვის (მუსხელიშვილი 1954: 16).

ერთა თვითგამორკვევის უფლებას მხარს უჭერდა *ამერიკული კომიტეტი*. *კომიტეტის* პოზიცია ეროვნულ საკითხში მიუღებელი აღმოჩნდა, როგორც რუსული, ისე საბჭოთა კავშირის ერთა ემიგრანტული ორგანიზაციებისთვის. *კომიტეტის* გავლენით რუსული ემიგრაციის ნაწილმა აღიარა ერთა თვითგამორკვევის უფლება საბჭოთა კავშირში შემავალი ერებისთვის, თუმცა, მცდელობის მიუხედავად, *კომიტეტის* პოზიციის შეცვლა ვერ შეძლეს არარუსმა ემიგრანტულმა გაერთიანებებმა. უშედეგოდ დასრულდა *ქართული ეროვნული საბჭოს* წარმომადგენლის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის მცდელობა მოეპოვებინათ *ამერიკული კომიტეტის* მხარდაჭერა საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების დამოუკიდებლობის უპირობოდ აღდგენაში. *კომიტეტის* წევრები არაერთგზის განმარტავდნენ, რომ

> უსაშინლესი შეცდომა იქნებოდა საზღვარგარეთიდან, საბჭოთა კავშირში მყოფ ერთა თანხმობის გარეშე, გამოგვეცხადებინა მომავალი სახელმწიფოებრივი ფორმა რუსის ხალხის, ან სხვა რომელიმე ეროვნებისა. ეს იქნებოდა სრული წინააღმდეგობა იმ დემოკრატიულ პრინციპებთან, რომელთაც ჩვენ ვაღიარებთ. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ თვით ერებისაგან, შედეგად საკუთარი განსჯისა (*მებრძოლი საქართველო* 1952თ: 22)

ვისბადენის კონფერენციიდან ერთი წლის შემდეგ ქართული ემიგრანტული პოლიტიკური ორგანიზაცია *ეროვნული საბჭო*, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე კვლავ ცდილობდა გაეცა პასუხი კითხვაზე: იყო თუ არა სწორი ვისბადენში მონაწილეობა და ქართული საკითხისათვის რა შედეგით დასრულდა იგი? შეფასებისას ყველა თანხმდებოდა, რომ *ამერიკულ კომიტეტთან* ურთიერთობის გზა ვისბადენზე გადიოდა, ამიტომ ამ მიმართულებით მუშაობა კვლავაც უნდა გაეგრძელებინათ, თუმცა აუცილებელი იყო გაეთვალისწინებინათ მიღებული გამოცდილება და უკეთესი შედეგისათვის ებრძოლათ. *საბჭოს* წევრებისათვის ისიც ცხადი იყო, რომ მთავარი არა რუსულ ემიგრაციასთან შეთანხმება, არამედ საქართველოს საკითხის აქტუალობა იყო, რომელმაც მათი შეფასებით საერთაშორისო მასშტაბი შეიძინა. *ეროვნული საბჭოს* შემადგენლობაში მყოფი სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი ნიკო ურუშაძე, მიიჩნევდა, რომ ვისბადენის კონფერენციაზე

ქართველების და ნაწილობრივ ბელორუსების გარდა სხვა საბჭოთა კავშირის ერთა ემიგრანტები სათანადოდ არ იყვნენ წარმოდგენილი, ხოლო ქართველების მონაწილეობა ნაჩქარევი იყო, რადგან მცირე დროში მათ სათანადოდ მომზადება ვერ მოესწრეს (*მებრძოლი საქართველო* 1952ი: 14). ვისბადენის თათბირის შესახებ და რუსულ ემიგრაციასთან ურთიერთობის საკითხზე მსჯელობისას *ეროვნულ საბჭოში* ორი პოზიცია გამოიკვეთა: სოციალ-ფედერალისტების აზრით, რუსული და ქართული ემიგრაციის ინტერესები ანტაგონისტური, მათ შორის კავშირი კი უპერსპექტივოა, ამიტომ მიიჩნევდნენ, რომ აუცილებელი იყო საბჭოთა კავშირში შემავალ ერთა, უპირატესად კი კავკასიის ერების ემიგრანტული ორგანიზაციების გაერთიანების შექმნა. სოციალ-ფედერალისტები, სხვა ერებთან შეხვედრების დროს კომუნიკაციისთვის რუსული ენის გამოყენებასაც ეწინააღმდეგებოდნენ, რადგან ამ ფაქტორს მოხერხებულად იყენებდა რუსული ემიგრაცია. მეორე პოზიციას *ეროვნული საბჭოს* სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები აფიქსირებდნენ. მათ უმრავლესობას მიაჩნდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა მოითხოვდა რუსულ დემოკრატიულ და სოციალისტურ ემიგრაციასთან ურთიერთობას და მათ მომხრობას. „ჩვენ არასოდეს არ უნდა გამოვიდეთ რუსი ერის წინააღმდეგ. ჩვენი ბრძოლა უნდა იყოს მიმართული რეჟიმის წინააღმდე, რომელიც ყველას ერთად სულს გვიხუთავს" (ვ. ტულუში) (*მებრძოლი საქართველო* 1952ი: 26). *ეროვნული საბჭოს* წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი სოციალ-დემოკრატი რაჟდენ არსენიძე უიმედოდ არ უყურებდა რუსეთთან შეთანხმების საკითხს, მისი აზრით საშიში და საზიანო იყო „რუსეთის დარღვევის" მოთხოვნა, რადგან ეს ნიშავს რუს ერთან დაპირისპირებას. მისი აზრით, ქართული ემიგრაცია მხოლოდ „ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებით" უნდა დაკმაყოფილებულიყო (*მებრძოლი საქართველო* 1952ი: 21). რუსულ ემიგრაციასთან თანამშრომლობას აუცილებელ პირობად მიიჩნევდა ვისბადენის კონფერენციაში მონაწილე *ეროვნული საბჭოს* დელეგატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ნოე ცინცაძეც. მისი თქმით:

> ვერავითარი ანგარიშით ჩვენ ამ ბრძოლიდან ვერ ამოვაგდებთ იმ მთავარ ძალას – რუსის ერს, – რომელმაც შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს. უიმისოდ გამარჯვება პრობლემატურია და სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს დღეს ამერიკის დემოკრატია... აქ ლაპარაკია ნდობაზე: რუსებს სჩვევით დაპირებაზე ხელის მოწერა და მისი უკან წაღება *(მებრძოლი საქართველო* 1952ი: 29).

ამერიკული კომიტეტის ინტერესების გათვალისწინებით რუსეთთან თანამშრომლობას გამართლებულად, სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორიც. ის ვისბადენის შედეგს ასე აფასებდა: „საქართველოზე დღეს ლაპარაკობენ საქმიანი სიმპათიით და ცოდნით. *ნიუ-იორკ ტაიმსი* მას ახასიათებს, როგორც ბოლშევიკური იმპერიალიზმის პირველ მსხვერპლს. 30 წლის სიჩუმის შემდეგ ლონდონის *ტაიმსი* ფართო ადგილს უთმობს ჩვენს პრობლემას, რადგან მანამდე საქართველოს საკითხით, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მცდელობის მიუხედავად, არავინ ინტერესდებოდა" (*მებრძოლი საქართველო* 1952ი: 28).

ეროვნულმა საბჭომ ვისბადენის პოლიტიკური ხაზის შეფასებისას მიიჩნია, რომ *საბჭოს* კვლავ უნდა ეთანამშრომლა რუსულ ემიგრაციასთან, თუმცა ამის პარალელურად აქტიურად ეწარმოებინა მოლაპარაკებები არარუს ერებთან, რათა მომავალ ანტიბოლშევიკურ გაერთიანებაში მძლავრად ყოფილიყვნენ წარმოდგენილი საბჭოთა კავშირში შემავალი ერების წარმომადგენლებიც (*მებრძოლი საქართველო* 1952ი: 32).

ვისბადენის კონფერენციის შემდეგ *ამერიკული კომიტეტი* კვლავ ცდილობდა რუსებისა და სხვა ერთა ემიგრაციის შეთანხმებას.

ვისბადენის კონფერენციაზე გადაწყდა, რომ შეიქმნებოდა *ერთა შორისი კომისია,* რომელიც ვისბადენის კონფერენციაზე ღიად დარჩენილი საკითხების ირგვლივ შეთანხმების მიღწევაზე იმუშავებდა, მაგრამ კონფერენციის დასრულების შემდეგ რუსულმა ემიგრაციამ (მელგუნოვმა და კერენსკიმ) უარყო ვისბადენში მიღებული შეთანხმება *ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ* და კონფერენცია რუსული ინტერესებისათვის საზიანოდ მიიჩნია. ვისბადენის კონფერენციის გადაწყვეტილების განხორციელება ჩიხში მოექცა, მდგომარეობის გამოსწორების ინიციატივა *ამერიკული კომიტეტის* თანხმობით ნოე ცინცაძემ ითავა, მაგრამ უშედეგოდ. რუსული ემიგრაცია კვლავ ეწინააღმდეგებოდა *ერთა თვითგამორკვევის უფლების* ცნობას და მოითხოვდა გაერთიანების სახელწოდება *რუსეთის ერთა განთავისუფლების ცენტრი* ყოფილიყო. *ამერიკულმა კომიტეტმა* არსებული წინააღმდეგობების დაძლევისა და შეთანხმების მიღწევის მიზნით მორიგი კონფერენციის მოწვევა განიზრახა. ახალი თათბირი 1952 წლის 19-21 ივნისს შტარნბერგში შედგა (*მებრძოლი საქართველო* 1952ი: 9). მიზანი კვლავ შეთანხმება და ანტიბოლშევიკური ცენტრის შექმნა იყო. კონფერენციის თავმჯდომარედ ისევ ნოე ცინცაძე აირჩიეს. მასში მონაწილეობდნენ: *ქართული ეროვნული საბჭო,* აზერბაიჯანის, ბელორუსიის, სომხეთის, ჩრდილო-კავკასიის, თურქისტანის, რუსეთის ემიგრანტი ორგანიზაციები (რუსმა სოლიდარისტებმა უარი თქვეს მონაწილეობაზე). კონფერენცია დასრულდა რადიო კომისიისა (რადიო კომისიის მუაობის შედეგად 1953 წლის მარტში რადიო *თავისუფლება* დაფუძნდა)

და პოლიტიკური ერთა შორისი კომისიის შექმნით. ამ უკანასკნელს დაევალა პლენუმის მოწვევისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება.

პოლიტიკური კომისიის საქმიანობა მიუნხენში პლენუმის მოწვევით დასრულდა. პლენუმზე მიიღეს *პოლიტიკური კომისიის* მიერ შემუშავებული პროექტი, რომელიც კვლავ ვისბადენის შეთანხმებას იმეორებდა. თუმცა ის ფაქტი, რომ რუსული ემიგრანტული ორგანიზაციები ბალტიისპირეთის ქვეყნების მსგავსად საქართველოს დამოუკიდებლობის ავტომატურად აღდგენას აღიარებდნენ, საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა დაპყრობილი ერების უკმაყოფილებას იწვევდა, რაც მათთან ურთიერთობისა და შეთანხმების გზაზე წინაღობას და წინააღმდეგობას იწვევდა. ამის გათვალისწინებით პლენუმში მონაწილე ქართველ ემიგრანტებს წესდებაში საქართველოს დამოუკიდებლობის უპირობო აღდგენის დაფიქსირება, ვისბადენის რეზოლუციის მსგავსად, კვლავ არ მოუთხოვიათ და მხოლოდ სიტყვიერ შეთანხმებას დასჯერდნენ. თუმცა ცდილობდნენ ჩასჭიდებოდნენ დოკუმენტში დაფიქსირებულ თვითგამორკვევის პრინციპის განხორციელებას *ეროვნული დამფუძნებელი კრების* საშუალებით, რაც მათი განმარტებით თავისთავად გულისხმობდა და ითვალისწინებდა იმას, რომ „ერი უკვე სუვერენია და სრულიად სუვერენულად სწყვეტს სახელმწიფო წყობილების ფორმასა და წესს" (*მებრძოლი საქართველო* 1952კ: 22). მიუნხენის პლენუმზე მიღებულ დოკუმენტზე *ქართული ეროვნული* საბჭოს წარმომადგენლის ხელმოწერა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ნაწილის მიერ უარყოფითად იქნა შეფასებული. მიხეილ მუსხელიშვილის აზრით, ამ ფაქტით ქართველებმა უარი თქვეს საქართველოს 1918 წლის სუვერენიტეტზე:

> ამ სტატუტზე (მიუნხენის დოკუმენტზე, – შ. მ.) ხელის მოწერა ქართველების მიერ ნიშნავს ყოველი იჭვის გარეშე, მიტოვებას სუვერენულ სახელმწიფოს სტატუტისა, რომელიც საქართველომ მოიპოვა 1918-1921 წწ. საერთაშორისო კრებულში. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ამიერითგან შეუძლებელია მოვითხოვოთ ეს სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა როგორც უფლება, რომელიც ჩვენ უკანონოდ წაგვართვეს... სტატუტის ხელმომწერებმა უდაოდ იცნეს ორგანული და განუწყვეტელი კავშირი ქართველი ერისა რუსეთთან (სალია 1954: 17-18).

მიუხედავად ასეთი მწვავე შეფასებისა, ვისბადენისა და მიუნხენის დოკუმენტებს არ ჰქონია სამართლებრივი ძალა, რადგან მასზე ხელისმომწერ მხარეებს არ ჰქონდათ სამართლებრივი უფლება გადაეწყვიტად თავისი ქვეყნის სახელმწიფოებრივი საკითხები, ისინი არ იყვნენ მთელი ერისა და დამოუკიდებელი რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, მთავრობათა წარმომადგენლები. თუმცა ქართული ემიგრაციის იმ ნაწილმა, რომელიც ვისბადენის პოლიტიკურ ხაზს იზიარებდა და მის განხორციელებას მხარს უჭერდა, დათმო საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების უპირობო მოთხოვნა, რითაც საქართველოს საკითხი რუსეთის შიდა პოლიტიკის ნაწილად აღიარა.

მიუნხენის პლენუმზე საბჭოთა კავშირში შემავალი ერების ემიგრანტული ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან 1952 წლის 16 ოქტომბერს დაარსდა *ანტიბოლშევიკური ბრძოლის საკოორდინაციო ცენტრი,* მისი თავმჯდომარე სერგეი მელგუნოვი გახდა. *ცენტრი* 60 წევრისაგან შედგებოდა (30 რუსული ემიგრაციის და 30 არარუსი ემიგრაციის წარმომადგენლები). მას ჰყავდა არჩეული *აღმასრულებელი ბიური* (5 რუსი და 5 არარუსი ერების წარმომადგენელებისგან), რომელიც *ცენტრის* საქმიანობას უხელმძღვანელებდა. *ცენტრმა* ეროვნულ საკითხში ვისბადენზე მიღებული შეთანხმება გაიზიარა და მიიღო.

საკორდინაციო ცენტრი უნდა ქცეულიყო ორგანოდ, რომლის საფუძველზეც მტკიცე *პოლიტიკური ცენტრი* შეიქმნებოდა (*ივერია* 1953: 16), მაგრამ მან წინააღმდეგობების ფონზე ორი წელი იმუშავა და დაიშალა. რუსული ორგანიზაციები ცდილობდნენ უმრავლესობის მოპოვებას და „ცენტრის" თავისი გავლენის ქვეშ მოქცევას. *საკორდინაციო ცენტრს* არარუსი ემიგრანტული ორგანიზაციები გამოეყვნენ და ცალკე გაერთიანება *პარიზის ბლოკი* შექმნეს (*მებრძოლი საქართველო* 1952ი: 10).

ამერიკული კომიტეტის მიზანი შეექმნა *ანტიბოლშევიკური გაერთიანება* ვერ განხორციელდა, რადგან რუსულ ემიგრაციასთან სსრკ-ში შემავალი ქვეყნების ემიგრაციის, მათ შორის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ნაწილის (*ეროვნული საბჭო*, სოციალ-დემოკრატიული და სოციალ-ფედერალისტური პარტიები) თანამშრომლობა და შეთანხმება არ შედგა. ამის მიზეზი იყო რუსული ემიგრაციის შეუვალი პოზიცია და მცდელობა უპირატესობა და გავლენა მოეპოვებინა სხვა ეროვნულ ემიგრაციაზე, შეეზღუდა მათი უფლებები და ინტერესები.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლი ქართული პოლიტიკური ემიგრაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის ინტერესების სფეროში მოექცა, რამაც მისი გააქტიურება განაპირობა. ისინი მიზნის მისაღწევად განსხვავებულ გზებს ირჩევენ. ქართველი ემიგრანტების ნაწილი (*ქართული ეროვნული საბჭო*, სოციალ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტური პარტიები) თვლიდა, რომ ამერიკის მხარდაჭერის მიღება მათგან გარკვეულ კომპრომისებზე წასვლას მოითხოვდა, მათი აზრით, ვისბადენის, შტარნბერგის კონფერენციებში მონაწილეობა და *საკოორდინაციო ცენტრში* გაწევრიანება ანუ რუსულ ემიგრაციასთან

თანამშრომლობა სწორედ ამ დათმობას წარმოადგენდა, რადგან ამ მოვლენების უკან „ამერიკული კომიტეტის“ და აშშ-ის ინტერესები იყო. ქართული ემიგრაციის ნაწილი კი რუსულ ემიგრაციასთან მოლაპარაკებების გამართვას საქართველოს დამოუკიდებლობის ღალატად და სუვერენიტეტის ეჭვქვეშ დაყენებად აფასებდა, რადგან რუსული ორგანიზაციები საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

შენიშვნები

[1] *ამერიკული კომიტეტის* შესახებ ვრცლად იხ. სტატია: შ. მურუსიძე, ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული კომიტეტი, კრებ.: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2010, 2(8)

[2] დაარსდა 1951 წლის 20 ოქტომბერს. მის შემადგენლობაში შედიოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის, სოციალ-ფედერალისტური პარტიის, ქართული ახალგაზრდული თაობის დემოკრატიული ორგანიზაცია, *თეთრი გიორგი* (ამ უკანასკნელმა მალევე დატოვა საბჭოს შემადგენლობა). *ეროვნულ საბჭოსთან* თანამშრომლობდნენ საქართველოს მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრები.

[3] დაარსდა 1950 წლის 18 ნოემბერს. მის შემადგენლობაში შედიოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, სოციალ-რევოლუციონერების, ლევან ზურაბიშვილის ხელმძღვანელობით 1948 წლის 6 ივნისს დაარსებული *თავისუფალ ქართველთა კავშირის*, სამხედრო კავშირის და უპარტიოთა წარმომადგენლები. ორგანიზაციის საპატიო თავმჯდომარე იყო გენერალი გიორგი კვინიტაძე.

დამოწმებანი

ბედი ქართლისა 1952: *თეთრი გიორგის* ხელმძღვანელობა, განმარტება, ჟურნალი *ბედი ქართლისა*.

ივერია 1953: განმარტება და გაფრთხილება, ჟურნალი *ივერია*, 5-6.

ივერია 1952: ვისბადენის კონფერენცია, ჟურნალი *ივერია*, 4.

კერესელიძე 1952: კერესელიძე გიორგი, აღმასრულებელ კომიტეტის პოლიტიკური შედეგები, ჟურნალი *მებრძოლი საქართველო*.

***მამული* 1951:** დიდი ამბავი რუსულ ემიგრაციაში, ჟურნალი *მამული*, ბუენოს-აირესი, 1951, რვეული მესამე.

მებრძოლი საქართველო 1952ა: ის. დონ-ლევინის დეპეშა ადმირალ ბ. ალენ კერკს, ჟურნალი *მებრძოლი საქართველო*.

მებრძოლი საქართველო 1952ბ: ვისბადენზე, ჟურნალი *მებრძოლი საქართველო*, 1.

მებრძოლი საქართველო 1952გ: დეპეშა ბ. ე. ლაიონსისა, ჟურნალი *მებრძოლი საქართველო*.

მებრძოლი საქართველო 1952დ: რუსულ ჟურნალ-გაზეთებიდან, ჟურნალი *მებრძოლი საქართველო*, 1.

მებრძოლი საქართველო 1952ე: ნიკოლაევსკის განცხადება, ჟურნალი *მებრძოლი საქართველო*, 5.

მებრძოლი საქართველო 1952ვ: მიმოხილვა, ჟურნალი *მებრძოლი საქართველო*, 1.

მებრძოლი საქართველო 1952ზ: პრესა, ჟურნალი *მებრძოლი საქართველო*, 6.

მებრძოლის საქართველო 1952თ: *ამერიკული კომიტეტი* ეროვნულ საკითხში, ჟურნალი *მებრძოლი საქართველო*, 6.

მებრძოლი საქართველო 1952ი: *ქართული ეროვნული საბჭოს* მეორე სესია, ჟურნალი *მებრძოლი საქართველო*, 7.

მებრძოლი საქართველო 1952კ: მიუნხენიდან, ჟურნალი *მებრძოლი საქართველო*, 6.

მუსხელიშვილი 1954: მიხეილ მუსხელიშვილი, ერთა თვით-გამორკვევის უფლებისათვის ჟურნალი *ბედი ქართლისა*, 18.

პატარიძე 1952: ელისე პატარიძე, ეროვნულ პოლიტიკურ ძალთა მთლიანობა და ქართული ეროვნული პოლიტიკური გზები, ჟურნალი *ივერია*, №4.

სალია 1954: კალისტრატე სალია, საქართველოს უფლებათა დაცვისათვის, ჟურნალი *ბედი ქართლისა*, 16.

სალია 1952: კალისტრატე სალია, ქართველი ერის ბრძოლა ოცდაექვსი მაისისათვის, ჟურნალი *ბედი ქართლისა*, 12.

ურატაძე 1951: გრიგოლ ურატაძე, რუსულ ემიგრაციაში, ჟურნალი *ჩვენი დროშა*, 10.

PARTICIPATION OF THE GEORGIAN POLITICAL EMIGRANTS IN THE CONFERENCES IN WIESBADEN AND STARNBERG (1951-1952)

Shorena Murusidze

During the period of the "cold war", which started after the Second World War, public organization *American Committee,* founded in USA, aimed to create an anti-Bolshevik organization by means of unification of the political emigrants of all nations living in the Soviet Union. This was the purpose of the conference of the Soviet Union nations' political emigrants, which was held in Wiesbaden in 1951. On the conference the following topics were discussed: a) national problem; b) title of the future association; c) organizational issues.

Conference in Wiesbaden was the first case, when the Russian and non-Russian emigrant associations gathered for discussion. The declaration passed on this conference was the first political act against Bolshevik regime issued by the representatives of Russian and the other nations.

Next conference was held in Starnberg on June 19-21, 1952. Aim of this conference was again creation of the anti-Bolshevik center. Finally, result of the conference was establishment of the two committees – radio and international political block. The work of the Political Committee was ended with organization of the plenary session. During this session was created "organizational center", activities of which, in spite of all difficulties, lasted for two years and then was dissolved.

The fact of participation of the Georgian emigrants in the historiography of these conferences are not studied yet. But this information is extremely important for investigation of a) activities of the Georgian political emigrants; b) interest of the USA's government towards Georgian emigrants during the period of "the cold war" and c) relations with the Russian emigrants.

ნეკრესისა და რუსთავის ეპიგრაფიკული ძეგლების დათარიღება და ქართული ანბანის შექმნის ხანა

მარიამ (მაია) ნინიძე

ქართველი ერის ერთ-ერთი უდიდესი კულტურული მონაპოვარი მისი მარტივი, ლამაზი და თვითკმარი (სრული ფონემურ-გრაფემული შესაბამისობის მქონე) დამწერლობაა. ანბანის შექმნისა და განვითარების ისტორიის კვლევა ქართველოლოგიის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ამ საკითხებზე არაერთი მონოგრაფია, ფუნდამენტური ნაშრომი და სამეცნიერო სტატიაა დაწერილი, მაგრამ დღემდე ვერ ხერხდება კონსენსუსამდე მისვლა ისეთ უმთავრეს საკითხებთან დაკავშირებითაც კი, როგორებიცაა ქართული ანბანის შექმნის წყარო და ეპოქა. დღეს, როდესაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ ქართული დამწერლობა არამატერიალური კულტურის ძეგლად აღიარა და იუნესკოში წარდგენილია მასალები მისი სამივე სახეობის – მრგლოვანის, ნუსხურისა და მხედრულისთვის მსოფლიო მნიშვნელობის არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად, ამ საკითხების კვლევა კიდევ უფრო აქტუალური გახდა.

V საუკუნის ქრისტიანულ ტაძრებზე აღბეჭდილი ასომთავრული გრაფემები სიმაღლეში თანაბარია, მათი შემადგენელი ელემენტების უმეტესი ნაწილი კი – წრიული. სწორედ ამ წარწერების საფუძველზე შემუშავდა ახლად აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლების დათარიღების კონცეფცია – თუ მათზე წარმოდგენილი ასო-ნიშნები არ იქნებოდა სიმაღლეში თანაბარი და გრაფემები, რომლებიც ზემოხსენებულ წარწერებში თავშეკრულია, წარმოდგენილი იქნებოდა თავღია (რკალური) ფორმით, ძეგლები უნდა დათარიღებულიყო გვიანდელი პერიოდით.

Ա	*a*	1		Ճ	ə	*a*	1
Բ	*b*	2		Կ	ɡ	*b*	2
Գ	*g*	3		Ղ	ɡ	*g*	3
Դ	*d*	4		Ծ	d	*d*	4
Ե	*ē*	5		Ղ	ɛ	*e*	5
Զ	–	6		Դ	ʒ	*v*	6
Ζ	*z*	7		Ն	z	*z*	7
Η	*ē(ej)*	8		Ւ	ʊ	*e,ej*	8
Θ	*tʰ*	9		Օ	o	*tʰ*	9
Ι	*i*	10		Ղ	i	*i*	10
Κ	*k*	20		Կ	ɡ	*k'*	20
Λ	*l*	30		Ղ	ɮ	*l*	30
Μ	*m*	40		Ձ	ʒ	*m*	40
Ν	*n*	50		Ճ	ʒ	*n*	50
Ξ	*ks*	60		Ջ	ʒ	*j*	60
Ο	*ō*	70		Ռ	ɾ	*o*	70
Π	*p*	80		Ղ	ʒ	*p'*	80
Ϟ	–	90		Վ	ɡ	*ž*	90
Ρ	*r*	100		Ռ	ɾ	*r*	100
Σ	*s*	200		Ս	s	*s*	200
Τ	*t*	300		Ր	ʈ	*t'*	300
Υ	*ū,w*	400		Վ	ʒ	*wi(ū),w*	400
				ՈՎ	ʊ	*u*	
Φ	*pʰ*	500		Փ	ʒ	*pʰ*	500
Χ	*kʰ*	600		Ք	ʒ	*kʰ*	600
Ψ	*ps*	700		Ո	ɾ	*ʃ*	700
Ω	*ō*	800		Ֆ	ʒ	*q'*	800
ϡ	–	900		Ֆ	ʒ	*ǎ*	900

ქართული დამწერლობის შემადგენელ ასო-ნიშანთა ისტორიულ-შედარებითი კვლევა ცხადყოფს, რომ მის გრაფემებს ახასიათებს სისტემური მსგავსება ბერძნულ კაპიტალურ დამწერლობასთან (ასოთა რიგი, სიმაღლეში თანაბრობა, კუთხოვანება-წრიულობა), მაგრამ ამ ორი დამწერლობის მსგავსი ბგერების აღმნიშვნელი ასოები ერთმანეთისგან განსხვავებულია – მათი სპეციფიკური, ურთიერთგანმასხვავებელი ნიშნები ერთმანეთს არ ჰგავს. წარმოგიდგენთ ბერძნულისა და ქართული ასომთავრულის ფონეტიკურად მსგავსი ბგერების აღმნიშვნელი გრაფემების პარადიგმატიკას წიგნიდან „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა" (გამყრელიძე 1989: 133). ერთი დამწერლობის მეორისაგან წარმომავლობის დასამტკიცებლად მთავარი ამ მაიდენტიფიცირებელი ელემენტების მსგავსებაა, ასოთა რიგი, სიმაღლეში თანაბრობა და მკვეთრად გამოხატული გეომეტრიული მოხაზულობები, კი – ასო-ნიშანთა ერთ სისტემას მეორისაგან შეიძლებოდა მიეღო მისი განვითარების რაღაც კონკრეტულ ეტაპზეც.

რეალობიდან გამომდინარე, ქართული ანბანის ბერძნულიდან წარმომავლობა კანონზომიერი არ ჩანს, მაგრამ დასტურდება უკვე არსებული ქართული დამწერლობის რეფორმა ბერძნულის მიხედვით. ასეთ პირობებში დათარიღების ის პრინციპი, რომლითაც დღეს მეცნიერთა უმრავლესობა ხელმძღვანელობს, რეალურად, გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ მათ რომელიმე ძეგლი ამ ეპოქაზე უფრო ადრეულად დაათარიღონ. იქმნება ჩაკეტილი წრე, რომელიც საშუალებას არ იძლევა, აკადემიურად გადამოწმდეს ქართული ანბანის ჩვენი წელთაღრიცხვით IV საუკუნემდე წარმოშობის თეორია.

დამწერლობათმცოდნეობა მეცნიერების ისეთი დარგია, რომელიც ძირითადად პალეოგრაფიული ძეგლების ისტორიულ-შედარებით და სისტემურ ანალიზს ემყარება. შესაბამისად, კვლევის შედეგებისათვის შესაძლოა განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდეს თითოეულ ახალაღმოჩენილ არტეფაქტს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ერთხელ კიდევ ყურადღებით გაგვეანალიზებინა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში რუსთავსა და ნეკრესში აღმოჩენილი წარწერები, რომლებიც გრაფემათა მოყვანილობით მნიშვნელოვნად განსხვავდება უძველესი თარიღიანი ძეგლებისაგან და რომელთა დათარიღებასთან დაკავშირებითაც მეცნიერთა შორის

აზრთა ყველაზე რადიკალური სხვაობაა. მაგ. ლევან ჭილაშვილის წიგნში *ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები* ეს წარწერები I-IV საუკუნეებით არის დათარიღებული (ჭილაშვილი 2004), ბესიკ ხურცილავას ნაშრომში *ნეკრესის ნაქალაქარის ქართული ასომთავრული წარწერების შესახებ* კი – V-X საუკუნეებით (ხურცილავა 2003: 31-47). შემოგთავაზებთ ზოგიერთი მათგანის განსხვავებულ წაკითხვას და ჩვენეულ არგუმენტებს დათარიღებასთან დაკავშირებით.

საყურადღებოა ნეკრესის №10 და რუსთავის №1 წარწერებში ერთნაირი გრაფიკული ნიშნების ამოკითხვის საკითხი. ლევან ჭილაშვილი წერს, რომ ეს „ქართული ანბანისთვის უცნობი გრაფიკული გამოსახულებაა“ (ჭილაშვილი 2004: 26) და მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ეს არის ალბანური დამწერლობის „ვიე“ – „კ“ და რომ ნიშანთა კომპლექსში უნდა იკითხებოდეს სახელი „ბაკა“ (ჭილაშვილი 2004: 26). ამ აზრს იზიარებს თამაზ მჭედლიძეც (მჭედლიძე 2013: 15, 21). წიგნში *ასომთავრულიდან პირველსახისკენ* (ნინიძე 2005: 33-34; ნინიძე 2007: 127) მოხმობილი გვაქვს ამ წარწერებში „კ“-დ ამოკითხული გრაფემების იდენტური მოხაზულობის არაერთი მაგალითი, სადაც ეს ნიშანი ბგერა „ჯ“-ს აღმნიშვნელია და თან შეცდომა გამორიცხულია, რადგან იგი ძირითადად შედის სიტყვის – „ჯუარი“ დაწერილობაში და აღბეჭდილია ჯვრის კვარცხლბეკებზე (შოშიაშვილი 1980: 75, 76, 81, 84, 100, 115, 165). საუბარი გვაქვს V-VII საუკუნეებით დათარიღებულ ისეთ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე, როგორებიცაა: ბოლნისის სიონის ვარდან ნახპეტის წარწერა, ლამაზი გორის ფრაგმენტი, ლამაზი გორის ბარნაბას ჯვრის წარწერა, პანტიანის ეკლესიის ერემიას და ფალავოჭის მოსახსენიებელი, დავით გარეჯის ეკლესიის მართუეცის მოსახსენიებელი, მცხეთის თემესტიას მოსახსენიებელი და სხვ.



რატომღაც მეცნიერები გვერდს უვლიან იმ ფაქტსაც, რომ ასო „ჯ“-ს ჯვრის ფორმა არა აქვს არც IVსაუკუნის დავათის სტელაზე. საგულისხმოა, რომ ამ ნიშანს დროთა განმავლობაში გარკვეული ელემენტები რომც დაზიანებოდა და წაშლოდა, მისი პირველსახე მაინც ვერ იქნებოდა „ჯ“ გრაფემის ის მოყვანილობა, რომელსაც ჯვრის ფორმა აქვს და ქართული ანბანის წარმომავლობაზე მსჯელობისას ეყრდნობიან ხოლმე მეცნიერები – (ჯავახიშვილი 1996: 226; პატარიძე 1980: 260; გამყრელიძე 1989: 167; გამყრელიძე 2011: 47; მაჭავარიანი 1982: 49-54; მაჭავარიანი 1989). ის არასწორი მოსაზრება, თითქოს გრაფემა „ჯ“-ს ქართული ანბანის შექმნისთანავე ჯვრის ფორმა ჰქონდა, ზოგჯერ არგუმენტადაც კი არის გამოყენებული იმის დასამტკიცებლად, რომ ეს დამწერლობა ქრისტიანულ ეპოქაში შეიქმნა. თამაზ გამყრელიძის წიგნში *ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა* ვკითხულობთ: „ძველი ქართული „ასომთავრული დამწერლობის“ ქრისტიანულ დამწერლობად მიჩნევა და მისი წარმომავლობის დროის განსაზღვრა ქართულ სახელმწიფოში ქრისტიანობის გავრცელების ხანით, აგრეთვე გასაგებს ხდის ძველ ქართულ ანბანში „ჯვრის“ მოხაზულობის „ჯან“ ასოს მოთავსებას ანბანის ბოლოში, ფონეტიკური მნიშვნელობის მქონე უკანასკნელ ნიშნად, რასაც ამ თვალსაზრისით გასაგები სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა“ (გამყრელიძე 2011: 47).

ნეკრესის №10 წარწერაში ზემოხსენებული ადგილი უნდა ამოვიკითხოთ, როგორც სახელი „ბაჯა“ და არა „ბაკა“. ვფიქრობთ, ამ წარწერის წინაქრისტიანული პერიოდით დასათარიღებლად გასათვალისწინებელია ლევან ჭილაშვილის მიერ მოხმობილი არგუმენტიც – ცოლ-ქმრის ერთად დაკრძალვის ფაქტი, რაც ქრისტიანულ ეპოქაში მხოლოდ მათი ერთად გარდაცვალებით შეიძლება იყოს გამოწვეული, წარმართობისათვის კი, როდესაც გარდაცვლილ ქმარს ცოლს სწირავდნენ და მასთანვე მარხავდნენ, სრულიად ტიპიური შემთხვევაა (ჭილაშვილი 2004: 28).



კიდევ უფრო მნიშვნელოვანია გრაფემების იდენტიფიცირება რუსთავის №1 წარწერის ბოლოს. აქ ქარაგმით იკითხება არა გაურკვეველი მნიშვნელობის სიტყვა „ვივი“ (ჭილაშვილი 2004: 57, მჭედლიძე 2013: 14, 20), არამედ – „ჯ-ი ჯ-ი ი ი“ „ჯუარი ჯუარი იყავნ იყავნ“. ქრისტიანული წარწერის დასრულება ამგვარი ფრაზით სავსებით ბუნებრივია. ქარაგმა „ი ი“ – „იყავნ იყავნ“ ბოლნისის სიონის დავით ეპისკოპოსის წარწერაშიც დასტურდება, ნეკრესის ეპიგრაფიკული ძეგლი კი გამორჩეულია იმით, რომ ტექსტის დასასრულის უფრო სრულ ქრისტიანულ ფორმულას გვთავაზობს. შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს წარწერა II-IV საუკუნეებს მიეკუთვნება, გადასახედია. იგი აშკარად ქრისტიანული (ვგულისხმობთ, საქართველოში მის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას) ეპოქისაა და IV საუკუნის მეორე ნახევარზე ადრეული ვერ იქნება.

კვლევის შედეგად იკვეთება ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი – გრაფემა „ჯ“-ს არცერთ უძველეს წარწერაში ჯვრის ფორმა არა აქვს და ეს მოხაზულობა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავეც კი არ შეუძენია, იგი კიდევ უფრო გვიანდელია. შესაბამისად, აშკარად მცდარია ის მოსაზრება, რომ ქართული ანბანი იმთავითვე იმ სახით შეიქმნა, როგორითაც წარმოდგენილია ბოლნისისა და

იერუსალიმის წარწერებში. წარმოუდგენელია, რომ სიტყვა „ჯვრის“ პირველ ასოს ჯერ ჯვრის მოხაზულობა ჰქონოდა და მოგვიანებით, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ მიეღო სამი ურთიერთმკვეთი ხაზის ის მოხაზულობა, როგორიც დასტურდება ნეკრეს-რუსთავისა და ზემოთ ჩამოთვლილ არაერთ სხვა ნარწერაში. შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ეს ეპიგრაფიკული ძეგლი ბოლნისისა და იერუსალიმის წარწერებზე უფრო ადრეულია.

ლოგიკური იქნება, რომ ამის შემდეგ პირდაპირ გადავიდეთ იმ წარწერების განხილვაზე, რომელთა დასასრულშიც არა ქრისტიანობაზე მიმანიშნებელი ჯვრის ინიციალი, არამედ სრულიად სხვა ნიშანი გვაქვს, თან ზუსტად ისეთი მოყვანილობისა, როგორიც საქართველოში ნაპოვნ წარმართობისდროინდელ ძეგლებზეა აღმოჩენილი, ვგულისხმობ წარწერების ბოლოს ასო „ჩ“-ს ან კომპლექს „ჩ ი“-ს არსებობას. ჩვენც ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ „ი“ უნდა იყოს „იყავნის“ ქარაგმა (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ბოლნისის ერთ-ერთ წარწერაშიც დასტურდება), მაგრამ ცალსახად დამტკიცებულად არ მიგვაჩნია „ჩ“ გრაფემის ფუნქციური დატვირთვა და მნიშვნელობა. მართალია, სრული დამაჯერებლობით ვერ ვიტყვით, არის თუ არა ის მთვარის სიმბოლურ რიცხვ 28-ზე მინიშნება (ჭილაშვილი 2004: 26), მაგრამ ერთი რამ უტყუარი ფაქტია – გრაფემა „ჩ“, რომელიც ნეკრესისა და რუსთავის ოთხი წარწერის ბოლოში გვხვდება, აღბეჭდილია საქართველოს ტერიტორიაზე ორ სხვადასხვა ადგილას – არეშსა და ვანში ნაპოვნ, ძველი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნით დათარიღებულ ნივთებზე (იხ. ვანის წითელკეციანი ჭურჭლისა და არეშის დერგის წარწერები). გრაფიკული ნიშანი, რომელიც ამა თუ იმ ნივთზე ცალკე, დამოუკიდებლად არის გამოსახული ან წარწერის ბოლოსაა აღბეჭდილი იმ ადგილას, რომელიც ქრისტიანულ ეპოქაში სიტყვა „ჯვარმა“ ან ჯვრის გამოსახულებამ დაიკავა, გვაფიქრებინებს, რომ ასევე რელიგიას უნდა უკავშირდებოდეს და წარმართული ხანისა უნდა იყოს. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ რუსთავის №2, 3 და ნეკრესის №1, 10 წარწერები, რუსთავის №1 წარწერისაგან განსხვავებით, წინაქრისტიანული პერიოდისაა.



ნეკრესის ქვევრის პირზე გაკეთებულ №6 წარწერას („მბ ესი ჭ(უ)რი მე დავრგე“) ლევან ჭილაშვილი II-III სს. ათარიღებს. სავსებით ლოგიკურად გვეჩვენება მის მიერ ქარაგმაში „მბ“ მაზდეანთა ღმერთის – მითრა-ბაგას (მითრა ღმერთის, მზე ღმერთის) ამოკითხვა (ჭილაშვილი 2004: 32). მითრას თაყვანისცემის გავრცელებას საქართველოში ადასტურებს ბორისა და არმაზისხევის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ვერცხლის თასები, რომელთა ფსკერზე შიდა მხრიდან გამოსახულია სამსხვერპლოს წინაშე მდგარი ტორანეული ცხენი ანუ ის ცხოველი, რომელიც, საზოგადოდ, მზის ღვთაებას შეეწირებოდა ხოლმე. მეცნიერთა აზრით, საქართველოში მითრას თაყვანისცემის გავრცელებას ხელი შეუწყო იმან, რომ მას აქ „დახვდა ადგილობრივი მზის ღვთაების ტრადიცია“ (მუსხელიშვილი და *სხვები* 2012: 182). სახელს მითრიდატე (მითრას ძღვენი) იბერიაში ატარებდა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების რამდენიმე მეფე. გარდა ამისა, ნეკრესის სამლოცველოს გათხრებისას აღმოჩნდა მაზდეანობის სარიტუალო ინვენტარი – ბრინჯაოს ნკეპლების კონა. საგულისხმოდ გვეჩვენება ქარაგმა „მბ“-ს გაშიფრვისას ლევან ჭილაშვილის მიერ პარალელის გაკეთება ურბნისში აღმოჩენილი ქვევრის პირზე გაკეთებულ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგდროინდელ წარწერასთან – „ქჭე“ (ჭილაშვილი 2004: 30, 34), რომლის პირველი ასო ქრისტეს ინიციალია და, სავარაუდოდ, ამ ქვევრის საეკლესიო დანიშნულებაზე მიგვანიშნებს („ქრისტეს ჭური ესე“). რამდენადაც ღვინო მითრაისტულ რიტუალებშიც გამოიყენებოდა, ლევან ჭილაშვილი მიიჩნევს, რომ ქვევრი, რომელზეც №6 წარწერაა გაკეთებული, შესაძლოა შესაწირავი ღვინისთვის ყოფილიყო განკუთვნილი და წარწერის დასაწყისში მითრა-ბაგას მოხსენიება იმავე პრინციპს ემყარებოდა, რომელსაც ქრისტიანულ ეპოქაში ასეთსავე წარწერაში ქრისტეს ხსენება. ჩანს, რომ რელიგიური აღმსარებლობის შეცვლასთან ერთად მოხდა წარწერათა დასაწყის-დასასრულებში მითრას ქრისტეთი ჩანაცვლებაც.

რაც შეეხება სიტყვა „ჭურის“ სიძველეს (ჭილაშვილი 2004: 29, 30), საგულისხმოა, რომ ივანე ჯავახიშვილი მევენახეობის ისტორიის შესახებ შექმნილ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ჭურს“ „ქვევრზე“ უფრო ადრინდელ ლექსიკურ ერთეულად მიიჩნევს და წერს, რომ უძველეს ქართულში სწორედ სიტყვა „ჭური ყოფილა ღვინის ჩასასხმელ-შესანახი ჭურჭლის აღსანიშნავად მიღებული, შემდეგდროინდელ საბუთებსა და ძეგლებში, ჭურს გარდა, ქვევრიც ჩნდება“. (ჯავახიშვილი 1986: 652, 653). რაც შეეხება სიტყვას „დავრგე“, ის ფაქტი, რომ ეს სიტყვა ქვევრის ჩადგმასთან დაკავშირებით ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებში აღარ იხმარება, ასევე მიგვანიშნებს წარწერის სიძველეზე.

ნეკრესის №7 („...ან აზატსი არს ნუმცავინ ხრევს“) წარწერასთან დაკავშირებით (ახ. წ. I-II სს.), საყურადღებოდ გვეჩვენება ლევან ჭილაშვილის შენიშვნა ხანმეტობის პერიოდთან დაკავშირებით (ჭილაშვილი 2004: 39). ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროების მიხედვით, ეს ტენდენცია V-VII საუკუნეებში დასტურდება, მაგრამ უფრო ადრეული ეპიგრაფიკული მასალის არარსებობის გამო ვერ ვიტყვით, როდიდან დაიწყო. ასეთ პირობებში ტექსტის ხანმეტობა მის V საუკუნეზე უფრო ადრეული პერიოდისათვის კუთვნილების დამამტკიცებელი არ არის, მაგრამ ამის ვარაუდის საშუალებას მაინც გვიტოვებს. სარწმუნოდ გვეჩვენება ლევან ჭილაშვილის მოსაზრება იმასთან დაკავშირებითაც, რომ წარწერაში საფლავის ხელშეუხებლობის მოთხოვნა უფრო წინაქრისტიანულ პერიოდში შეიძლებოდა გაკეთებულიყო, როდესაც მიცვალებულისთვის საფლავში ჩატანებული ძვირფასი ნივთები მათი ძარცვის მიზეზი ხდებოდა ხოლმე (ჭილაშვილი 2004: 39).

ნაკლებ არგუმენტირებულად გვეჩვენება ლევან ჭილაშვილის მიერ ნეკრესის №8 („...ვი ე ავანისი და ნუმცავინ ნა... ერთვის“) წარწერის დაზიანებული ადგილების ამოკითხვა და ტექსტის მიჩნევა „სამეფო თუ მუნიციპალურ საჯარო განკარგულებად“. ჩვენი აზრით, ბევრად უფრო მეტი საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ წარწერის დასაწყისში შემორჩენილი ბოლო ორი ასო – „ვი“ სიტყვა „საფლავი“-ს ნაწილია და ეპიგრაფიკული ძეგლი ეპიტაფიაა. შავ ჰორიზონტალურ პარალელურ ხაზებს შორის წარმოგიდგენთ წარწერის ზედა, ჩამოტეხილი ნაწილის რეკონსტრუქციის შესაძლო მოდელს, რომლის მიხედვითაც, მეორე ხაზის ზემოთ შემორჩენილი ოდნავ დახრილი ვერტიკალური ხაზი ასო „ფ“-ს ფეხი შეიძლებოდა ყოფილიყო. რეკონსტრუქციისათვის პირობითად გამოვიყენეთ „ს“ და „ა“ გრაფემების ფორმები ამავე წარწერიდან და „ფ“ და „ლ“ გრაფემებისა – რუსთავის №2 წარწერიდან.

ჩვენი აზრით, გადასახედია იმ სიტყვის წაკითხვაც, რომელიც ლევან ჭილაშვილის მიერ ამოკითხულია, როგორც „ნაერთვის“. თუ გავითვალისწინებთ იმავე წარწერაში ერთი ხაზით ზემოთ აღბეჭდილი „დ“-ს მოყვანილობას – , ნიშანი შესაძლოა შეესატყვისებოდეს ბგერა“დ“-ს და არა „ნ“-ს, რადგან მსგავსი „ნ“ არცერთ სხვა წარწერაში არ გვხვდება. რაც შეეხება მეორე ხაზის ბოლოს დაზიანებული ნიშნის – „ა“ და „ნ“ გრაფემებად ამოკითხვას, დამაჯერებლად არ გვეჩვენება. №8 წარწერის გრაფემათა მოხაზულობა ძალზე თავისებურია. სხვაგან არსად შეგვხვედრია ასეთი „ც“ – „რ“– და „ჯ“ – ; იშვიათია „თ“ –). ამას გარდა, გრაფემათა ფორმა არასტაბილურია – გვაქვს ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ერთი და იგივე ასო-ნიშნები: „ა“ – , „ი“ – , „ე“ – და წარწერის შუაში განთავსებულია არაეპიგრაფიკული ელემენტები – გეომეტრიული მოხაზულობები (წრეები და წრის შუაში ჩაწერილი წერტილი), რომლებიც, ბოლო სიტყვას შუაში წყვეტს. ყოველივე ზემოთქმულის გამო, ძნელია ისეთ არაორდინალურ მოხაზულობაში, როგორიცაა რომელიმე გრაფემების ამოცნობა, მით უფრო, რომ აქ საკუთარი სახელის დასაწყისი ასოებია სავარაუდებელი და სიტყვის იდენტიფიცირებაში კონტექსტი ვერ დაგვეხმარება. თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ამ ასომთავრულ წარწერაში არ არის დაცული გრაფემათა სიმაღლეში თანაბრობის პრინციპი, ასო-ნიშანთა უმრავლესობა რკალური ფორმისაა და „ჯ“ და „თ“ გრაფემები თავშეუკვრელია, რაც წიგნში *ასომთავრულიდან პირველსახისკენ,* ქართული დამწერლობის განვითარების სისტემური კვლევის საფუძველზე მიღებული დასკვნის მიხედვით, შეიძლება წარწერის სიძველის ნიშანი იყოს.

ლევან ჭილაშვილის აზრით, ნეკრესის ბაზილიკაში აღმოჩენილი ფიქალზე შესრულებული №9 წარწერის დასაწყისი იკითხება ასე: „როი (რამეთუ ოდენ იყო) სატანანი ქრისტეფორე და სალალრიმ დო სალოსტმარიანებო...“ მკვლევრის აზრით, იგი შესრულებულია წარმართთა მიერ და ქრისტიანების წინააღმდეგ „წყევლის თუ ჯადოს დანიშნულება უნდა ჰქონოდა“ *(ჭილაშვილი 2004: 49–50).* ჩვენი აზრით, წარწერის ასე ამოკითხვა გარკვეულ ეჭვებს ტოვებს: 1. ასოებს „როი“ არ ახლავს ქარაგმის ნიშანი და ჩვენი აზრით, საკმარისი საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ აქ „რამეთუ ოდენ იყო“ იგულისხმება. ტექსტის დასაწყისის მაგალითები

– „იყო“ და „რამეთუ იყო ჟამი“, რომლებიც ლევან ჭილაშვილის წიგნში შესადარებლად არის მოხმობილი აგიოგრაფიული თხზულებებიდან, ვრცელი ამბის გადმოცემის წინ მართებულია, მაგრამ ვერ ვიტყვით, რამდენად მიესადაგება მსგავსი შესავალი რამდენიმე ხაზიან წარწერას, რომელიც, ამავე წიგნში გამოთქმული მოსაზრებით, მხოლოდ მოხსენიებულ ქრისტიანთა დასაწყევლად იყო განკუთვნილი და არა ვინმესთვის წასაკითხად.



წარწერიანი ფიქალი ისეთნაირად იყო ჩაშენებული ტაძრის სვეტში მეტრნახევრის სიმაღლეზე, რომ ეკლესიაში მყოფი ადამიანები ვერ ამოიკითხვდნენ. 2. რამდენად მართებულია წარწერის დასაწყისის მეოთხე გრაფემის მიჩნევა „ს“ ასო-ბგერად. გარდა იმისა, რომ ასეთი მოხაზულობა „ს“ ასო-ნიშნისთვის ასომთავრულში გავრცელებული არ არის, იგი არ დასტურდება არც განსახილველ წარწერაში. „ს“ ბგერის გამომხატველი ნიშანი აქ გვხვდება შემდეგი ფორმებით:  , „ზ“-ს გამომხატველები კი – შემდეგით:  . ვერ ვიტყვით, რომ გაურკვეველ სიტყვაში – „ასმე“ „ს“-დ ამოკითხული ნიშანი მართლაც „ს“-ა. შესაბამისად, ჩვენი აზრით, წარწერის მეორე სიტყვა არ უნდა იკითხებოდეს, როგორც „სატანანი“. 3. თავისთავად, სიტყვა სატანა, როგორც ავი ძალებისა და დემონების მთავარი, ათეიზმის მომძლავრებამდე, სანამ მოხდებოდა რელიგიური ლექსიკის გარკვეული სემანტიკური ტრანსფორმაცია, მრავლობით რიცხვში არ იხსენიებოდა. შესაბამისად, მისი ასეთი ფორმით არსებობა მეოთხე საუკუნის ძეგლზე ნაკლებ სარწმუნოა.

ჩვენი აზრით, წარწერის დასაწყისიდანვე, პირველი სამი გრაფემის ცალკე გამოყოფის გარეშე, ჩამოთვლილი უნდა იყოს სახელები, სავარაუდოდ, „როიზატ, ანანი, ქრისტეფორე...“ მართალია, სახელი „როიზატ“უძველეს წყაროებში ვერ ვიპოვეთ, მაგრამ, როდესაც ეპიგრაფიკული ძეგლი ესოდენ დაზიანებულია, იძულებული ვხდებით მეტნაკლებად ლოგიკურ ვარაუდებს დავეყრდნოთ. მეორე მხრივ, სახელი „ანანი“, რომელიც „ანანიას“ ადრეული ფორმაა, ბიბლიურია. იგი ებრაულად ღვთის მადლს, უფლის მფარველობას ნიშნავს. სახელით ანანი ბიბლიაში მოხსენიებულია იუდეის მეფე იოაკიმის დროს მცხოვრები გოდოლიას ღვთისმოსავი ვაჟი, იექონიას ერთ-ერთი შთამომავალი და მრავალი სხვა; ანანია კი, იქედან გამომდინარე, რომ ერქვა მაცხოვრის მოწაფეს (სამოცდაათიდან), შუა საუკუნეების სელეკიელ, სპარს, ფინიკიელ და არაერთ სხვა ქრისტიან მოწამეს, პირველ საუკუნეებშივე მთელ საქრისტიანოში ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული. საგულისხმოა, რომ ჩვენთან არსებობს გვარი ანანიაშვილიც.

თუ წარწერაში საუბარი არ არის „სატანებზე“ და ქრისტიან ღვთისმსახურთა სახელებია ჩამოთვლილი, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი არა მათდამი დაპირისპირებული წარმართის, არამედ ასევე ღვთისმოსავი ადამიანის – მშენებლის, ხატმწერის, შემომწირველის ან სხვ. მიერ უნდა იყოს შესრულებული და ტაძრის ერთ-ერთ სვეტში მოკრძალებულად ჩატანებული. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ ტაძარი აგებულია თრდატ მეფის დროს და, შესაბამისად, უნდა დათარიღდეს 369-383 წლებით, იგი ემყარება *მოქცევაჲ ქართლისაჲ*-ს ცნობას: „და დაჯდა მეფედ ძმაჲ მისი თრდატ... მის ზე-ვე ნეკრესს კახეთისასა ეკლესიაჲ აღიშენა განსრულებით“. (მოქცევაჲ: 5) და, ბუნებრივია, ვიზიარებთ. ვერ ვიტყვით, რომ წარწერა უფრო ადრეულია და შემდეგ არის ჩატანებული ტაძრის სვეტში. „ქ“ გრაფემის ჯვრის ფორმა და წარწერის ტექსტში მოხსენიებული ქრისტიანული სახელები – ქრისტეფორე და კვირიაკოზი თავისთავადაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი მეოთხე საუკუნის 40-იან წლებზე ადრეული ვერ იქნება.

ბესიკ ხურცილავას ნაშრომში *ნეკრესის ნაქალაქარის ქართული ასომთავრული წარწერების შესახებ* აშკარად იგრძნობა წინასწარი განზრახვა, რომ ნეკრესში ნაპოვნი არცერთი წარწერა არ დათარიღდეს IV საუკუნეზე ადრეული პერიოდით. მკვლევარი ცდილობს ლევან ჭილაშვილისეულ დათარიღებათა გაბათილებას, მაგრამ არგუმენტები და მტკიცებულებები, რომელთა საშუალებითაც ამას აკეთებს, ნაკლებ დამაჯერებელია. მაგ. იგი წერს, რომ ნეკრესის №6 წარწერა IX საუკუნეზე ადრინდელი ვერ იქნება, რადგან სიტყვათა შორის ინტერვალები ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში მხოლოდ ხსენებული პერიოდიდან გვხვდება (ხურცილავა 2003: 36). რეალურად, №6 წარწერაში სიტყვის ასოებს შორის არაერთგან არის უფრო დიდი ინტერვალი, ვიდრე სიტყვებს შორის. სიტყვებს შორის შემთხვევითი ინტერვალები კი გვხვდება არათუ საყოფაცხოვრებო წარწერებში (№6 წარწერა ქვევრის პირზეა ამოკაწრული), არამედ ტაძარზე ამოკვეთილ მონუმენტურ ეპიგრაფიკულ ძეგლებზეც კი. მაგ. დააკვირდით ინტერვალებს ბოლნისის სიონის დავით ეპისკოპოსის V საუკუნის წარწერის სიტყვებს – „ხულოცოს იგიცა ღნ (ღმერთმან) შეინყალე“ შორის. ასევე დააკვირდით, როგორი ინტერვალებია №6 წარწერის „სიტყვებს: „მბ“ „ესე“ „ჭური“ და როგორ არის ერთმანეთისგან დაშორებული სიტყვის „დავრგე“ შემადგენელი ასოები – „დ“, „ა“, „ვ“. სიტყვებს შორის დაშორებები შემთხვევითობასაც რომ არ მივაწეროთ და რომელიმე ძველ







ქართულ წარწერაში მართლაც იყოს ასეთი ინტერვალები ან სიტყვათგამყოფი ნიშნები, მათი სიძველე ეჭვქვეშ არ უნდა დავაყენოთ მხოლოდ იმიტომ, რომ მანამდე ჩვენს ხელთ არსებულ ქართულ წარწერებში ასეთი რამ არ შეგვხვედრია. ასეთი პრაქტიკა ჩვენი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნეებიდან უკვე არსებობდა სხვა დამწერლობებში, დასტურდება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც და სავსებით მოსალოდნელია, რომ იგი ქართულ წარწერებშიც გამოყენებიათ. იხ. მაგ. არმაზში აღმოჩენილ ლანგარზე გაკეთებული I საუკუნის ბერძნული წარწერა, რომლის ყველა სიტყვა ინტერვალებით არის გამოყოფილი ერთმანეთისგან: „მე მეფე ფლავიოს დადემა ვუძღვანი პიტიახშ ბერსუმს“.

არგუმენტად არ გამოდგება მეცნიერის ეჭვები ეპიტაფიების ტრადიციასთან დაკავშირებითაც (ხურცილავა 2003: 42). იმ ფაქტს, რომ საფლავზე ქვის აღმართვის და ეპიტაფიის გაკეთების ჩვეულება საქართველოში ნამდვილად არსებობდა, მოწმობს სერაფიტას II საუკუნის სამარხი და მასზე აღბეჭდილი წარწერა.

არალოგიკურად მიგვაჩნია მოსაზრება, თითქოს ის წარწერიანი ქვები, რომლებიც ლევან ჭილაშვილს ეპიტაფიებად და მოგვიანებით, მარნის კედლებში მეორადი დანიშნულებით ჩაშენებულად მიაჩნია, ხელოსანთა მიერ იყოს შესრულებული უშუალოდ მარნის მშენებლობისას (ხურცილავა 2003: 46). ამას გამორიცხავს №4 წარწერაზე საკუთარი სახელის წარმოდგენა კუთვნილებითი ფორმით – „ეოთორისი“ და №5 წარწერის დასაწყისი „ესე საფ“, რომელიც, დიდი ალბათობით, სიტყვა „საფლავის“ ნაწილია.



ჩვეულების წარწერა 4:
„ᲔᲝ...ᲠᲘᲡᲘ“
„ეო...ერ ეოთორისი“
(ეს ფ. 1-2ᲩᲑ.)

ჩვეულების წარწერა 5:
„ᲔᲡᲔ ᲡᲐᲤ...“
„ესე საფ...ე“
(ეს ფ. 1-2ᲩᲑ.)

ქრისტიანობის შემოღებამდე ქართული დამწერლობის არსებობის თვალსაზრისის მოწინააღმდეგენი აღნიშნავენ, რომ სხვადასხვა საუკუნეების ის ქართული ისტორიული წერილობითი ქრონიკები, რომლებსაც ეყრდნობა *ქართლის ცხოვრება*, არამეული ან ბერძნული ალოგლოტოგრაფიით იქნებოდა ჩანერილი (ხურცილავა 2008: 11). ჩვენი აზრით, ეს ნაკლებ სავარაუდოა, რადგან *ქართლის ცხოვრების* იმ ნაწილშიც კი, რომელიც ისტორიის უძველეს პერიოდს ასახავს, სპეციფიკური ქართული ბგერების შემცველი საკუთარი და გეოგრაფიული სახელები და ეთნონიმები სრული ფონემურ-გრაფემული შესაბამისობით არის წარმოდგენილი (წუნდაჲ, დურძუკეთი, ხერთვისი, ოძრჴე, ჭოროხი, ღადოჲ, სამცხე, ჭართალეთი, ტყეტბა, ბერდუჯისი, რეჴი, ხლაჭა, ხენეშგი, ჰერეთი, ჯიქნი, ჰრომნი სხვ.). აქ რომ ალოგლოტოგრაფიასთან გვქონდეს საქმე, ის სპეციფიკური ქართული ბგერები, რომლებიც ბერძნულსა და არამეულში არ იყო, პირთა და გეოგრაფიულ სახელებში მაინც დაიკარგებოდა. ამის თვალსაჩინო მაგალითი ჩვენს თვალწინაც კი ხდებოდა, როდესაც რუსეთის პოლიტიკური გავლენისა და ოფიციალური დოკუმენტების რუსულ ენაზე წარმოების გამო ბევრ ქართულ გვარში ფუძისეული სპეციფიკური ქართული ასო-ბგერა დაიკარგა და მისი აგილი დაიკავა რუსულში ამ ბგერის ჩამნაცვლებელმა ნიშანმა. გარდა ამისა, 36 ქართული ბგერის გადმოსაცემად 22/24 გრაფემიანი დამწერლობები ყოვლად მოუხერხებელი იქნებოდა და ვერ შეუვსებდა ქართველებს დამწერლობის დანაკლისს.

ქრისტიანულ ეპოქაში, როდესაც ყველა ქრისტიანი ერი ხაზს უსვამდა მისი კულტურის, მათ შორის დამწერლობის, კავშირს ამ რელიგიასთან (იხ. მაგ. სომხური დამწერლობის შექმნის ისტორია მესროფ მაშტოცის მიერ, სლავურისა – კირილესა და მეთოდეს მიერ), საეკლესიო მოღვაწე – ლეონტი მროველი, რატომ მიაწერდა ქართული დამწერლობის შექმნას წარმართ მეფე ფარნავაზს, ამ ფაქტის დამადასტურებელი რეალური ისტორიული წყაროები რომ არ ჰქონოდა ხელთ.

თუ ამ არგუმენტებს დავამატებთ „ჯ“ ასო-ნიშანთან დაკავშირებულ რეალურ სურათს და იმ ფაქტს, რომ ნეკრესისა და რუსთავის ოთხი ასომთავრული წარწერის ბოლოს ცალკე მდგარი გრაფემა „ჩ“-ს გამოსახვა დაგვეხმარა საქართველოს ტერიტორიაზე ორ სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილ, ჩვენი წელთაღრიცხვით

პირველი საუკუნით დათარიღებულ, ორ ნივთზე აღბეჭდილი ამავე ნიშნის ქართულ გრაფემა „ჩ“-დ იდენტიფიცირების დადასტურებაში, უნდა ვაღიაროთ, რომ ქართული დამწერლობა ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში ნამდვილად არსებობდა და ნეკრესისა და რუსთავის ცალკეულ წარწერებში აღბეჭდილი გრაფემათა მოხაზულობები ჩვენამდე მოღწეულთაგან უძველესია.



წიგნში *ასომთავრულიდან პირველსახისკენ* გამოთქმული გვქონდა მოსაზრება, რომ ქართულმა დამწერლობამ განვითარების რაღაც ეტაპზე რეფორმა განიცადა ბერძნულის გავლენით – მოხდა გრაფემათა სიმაღლეში გათანაბრება, თავშეკვრა-გაკუთხოვანება და ბერძნულ ანბანურ რიგზე დალაგება. თუ ვიმსჯელებთ ნეკრესისა და რუსთავის ზემოთ განხილული წარწერების მიხედვით, საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე ამ რეფორმის ერთი ეტაპი უკვე განხორციელებული იყო – ზემოთ გაანალიზებულ უძველეს წარწერებშიაც კი, ცალკეული გრაფემები გვხვდება თავშეკრული ან კუთხოვანი ფორმით და გრაფემა „უ“ შედგენილია ორი ასო-ნიშნის კომპლექსით (ეს მოვლენა ბერძნულსა და ქართულში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვერ მოხდებოდა). დავათის სტელის 367 წლით დათარიღებული წარწერის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ იმ დროისთვის უკვე მომხდარი იყო „ქ“ გრაფემისთვის ჯვრის ფორმის მიკუთვნება, ასოთა დალაგება ბერძნულის მსგავს რიგზე, ასო-ნიშნებისთვის ბერძნულის მსგავსი რიცხვითი ოდენობის დამკვიდრება და უკანასკნელი ასო-ნიშნის – ϣ-ს დამატება 10 000-ის აღსანიშნავად. ბოლნისის სიონის, ურბნისის და პალესტინის წარწერები ასახავს რეფორმის ბოლო ეტაპს, როდესაც მოხდა გრაფემა „ჯ“-სთვის ჯვრის განსხვავებული ფორმის (Crux decussata) მიკუთვნება, ასო-ნიშანთა სიმაღლეში გათანაბრება და ისეთი გრაფემების თავშეკვრაც კი, რომლებიც მანამდე თავგახსნილი იყო. თუკი მეფე ბაკურს ღვაწლი მიუძღვის ქართული დამწერლობის წინაშე (ხურცილავა 2008), ეს უნდა მდგომარეობდეს ბერძნული ალფავიტის მიხედვით მისი რეფორმის დასრულებასა და ქართულ ასო-ნიშანთათვის იმ იერსახის მიცემაში, როგორითაც ის გვხვდება V საუკუნის წარწერებში.

სიახლეები, რომლებიც უძველესი ქართული წარწერების დათარიღებას უკავშირდება, სხვადასხვა დარგის მეცნიერთა (პალეოგრაფების, არქეოლოგების, წყაროთმცოდნეების, ისტორიკოსების) ფართო ჩართულობას და მრავალმხრივ სისტემურ კვლევას მოითხოვას.

შენიშვნები

1. ფრაზაში „წინაქრისტიანული პერიოდი“ სტატიაში ყველგან ვგულისხმობთ არა ქრისტეშობამდე ხანას, არამედ საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდელ პერიოდს.
2. სტატიაში გამოყენებულია თამაზ მჭედლიძის ბლოგზე http://asomtavruli.blogspot.com/ განთავსებული გრაფიკული მასალა.

დამოწმებანი

გამყრელიძე 1989: თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გამყრელიძე 2011: თ. გამყრელიძე, ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა, თბ. : საქ. ეთნოგრ. მემკვიდრეობის დაცვის ფონდი.

მაჭავარიანი 1982: ე. მაჭავარიანი, ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები თბილისი, ხელოვნება.

მაჭავარიანი 1989: მნიგნობრობაჲ ქართული, შემდგენელი ელენე მაჭავარიანი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი.

მოქცევაჲ ქართლისაჲ *მოქცევაჲ ქართლისაჲ* თანამედროვე სამეცნიერო კვლევის ასოციაცია – თსკა, შატბერდისეული ვერსია, ვებ-გვერდი http://www.amsi.ge/istoria/qm/qarTlis_moqceva.pdf

მუსხელიშვილი და სხვები 2012: დ. მუსხელიშვილი, ო. ჯაფარიძე, გ. მელიქიშვილი, ა. აფაქიძე, მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, მ. სამსონაძე, ნ. ასათიანი, გ. ჯაბამბურია, გ. ოთხმეზური, მ. ნათმელაძე, ალ. ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი, *საქართველოს ისტორია*, ტომი 1, უძველესი დროიდან ქრისტიანობის მიღებამდე, ვებ-გვერდი https://tsulearn.files.wordpress.com/2014/12/book1.pdf

მჭედლიძე 2013: თ. მჭედლიძე, წარმართული ხანის ქართული წარწერები.

ნინიძე 2005: მ. ნინიძე, ასომთავრულიდან პირველსახისკენ.

ნინიძე 2007: M. Ninidze, *A New Point of View on the Origin of the Georgian Alphabet*, The Kartvelologist _ Journal of Georgian Studies, №14, 2007. http://www.litinfo.ge/volume-2/14%20dek.%20ingl%20anb.pdf

პატარიძე 1980: რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბილისი, ნაკადული.

შოშიაშვილი 1980: *ეპიგრაფიკული ძეგლები და ხელნაწერთა მინაწერები*, ტ. 4, ქართული წარწერების კორპუსი 1, ლაპიდარული წარწერები 1, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შოშიაშვილმა თბილისი, მეცნიერება.

ჭილაშვილი 2004: ლევან ჭილაშვილი, ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები.

ხურცილავა 2003: ბ. ხურცილავა, ნეკრესის ნაქალაქარის ქართული ასომთავრული წარწერების შესახებ, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. 2003, №5.

ხურცილავა 2008: ბ. ხურცილავა, ქართული ასომთავრული ანბანი და მისი შემქმნელები: „ბაკურ“ და „გრი ორმიზდ“, თბილისი.

ჯავახიშვილი 1986: ი. ჯავახიშვილი, მეევნახეობა, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 5, თბილისი.

ჯავახიშვილი 1996: ი. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 9, თბილისი.

DATING OF NEKRESI AND RUSTAVI EPIGRAPHIC MONUMENTS AND THE TIME OF GEORGIAN ALPHABET'S CREATION

Mariam (Maia) Ninidze

There is a great number of books, monographs and scientific articles written about Georgian alphabet but the key questions about the origin and the time of its creation are still unsolved. In such a situation analysis of each newfound inscription may be of great importance. Nekresi and Rustavi epigraphic monuments, found by archeologists in the second half of the 20-th century, are dated very differently. Some of the scientists attribute them to the I-IV centuries and the others to the V-X centuries. It is not only a matter of dates of particular inscriptions, these dates are closely connected with different theories of the alphabet creation – some researchers consider that it was created Before Christ while others suppose that the fact took place later – after the country was converted to Christianity. The article suggests different readings of some inscriptions and gives new arguments for their dating. The most important information that Nekresi and Rustavi inscriptions bear, is that the mark carved on the clay vessels found in Georgia at two different places and dated back to I century A.D. is definitely a Georgian letter expressing some pagan religious symbol. The same mark is found at the end of 4 different Nekresi and Rustavi narrative inscriptions written with Georgian alphabet.

ახალი ნელთაღრიცხვით პირველი საუკუნის ქართული ნარნერები (პავლე ინგოროყვას ისტორიოგრაფიული კვლევების კვალდაკვალ)

მარიამ (მაია) ნინიძე, ვლადიმერ ჭელიძე

ქართული დამწერლობის განვითარების სისტემური კვლევის საფუძველზე წიგნში *ასომთავრულიდან პირველსახისკენ* (ნინიძე 2005: 39-40; ნინიძე 2007: 122-134) გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ თავდაპირველი ქართული გრაფემები თავგაახსნილი იყო და მოგვიანებით მოხდა მათი ტრანსფორმირება (თავშეკვრა, სიმაღლეში გათანაბრება) ბერძნული ანბანის მოდელზე (იხ. სქემა).



ნეკრესის, რუსთავისა და პალესტინის უახლესმა აღმოჩენებმა ნაწილობრივ დაადასტურა ეს ვარაუდი, მაგრამ, რამდენადაც მეცნიერთა აზრი ამ წარწერების დათარიღებასთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარია, საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ ზემოხსენებული კონცეფცია გადაგვემოწმებინა ისეთ წარწერებთან მიმართებით, რომელთა დათარიღებაც ეჭვს აღარ იწვევს.



2013 წელს გამოქვეყნდა იულონ გაგოშიძისა და სოსო მარგიშვილის ნაშრომი *მეფე ფლავიოს დადეს ვინაობისთვის*, რომელშიც გაანალიზებულია არმაზის საპიტიახშო ნეკროპოლში (სამარხი №3) აღმოჩენილ ვერცხლის დიდ ლანგარზე გაკეთებული ბერძნული წარწერა. სტატიაში ფუნდამენტური ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა:

...I საუკუნის 70-იან წლებში იბერთა მეფეს შეექმნა ისეთი პოლიტიკური სიტუაცია... როდესაც იგი საჭიროდ ჩათვლიდა მისი თანამედროვე რომაელი იმპერატორის სახელის მიღებას... იმხანად იბერიის სამეფო ტახტზე მჯდომმა მეფე მითრიდატე II-მ მიიღო კიდეც სახელი ფლავიუსი და ვესპასიანე ფლავიუსის პატივსაცემად ინოდა ფლავიუს დადედ (გაგოშიძე, მარგიშვილი 2013: 80).

იმის გამო, რომ უცნობია მითრიდატე II-ს მეფობის ზუსტი წლები, სტატიაში ლანგარიც შესაბამისად მიახლოებით არის დათარიღებული არაუგვიანეს ახ. წ. I საუკუნის 80-იანი წლებით (გაგოშიძე, მარგიშვილი 2013: 82). ვესპასიანეს მეფობის წლების (ახ. წ. 69-79) და მცხეთასთან აღმოჩენილი ახ. წ. 75 წლით დათარიღებული წარწერის საფუძველზე, რომელშიც საუბარია ვესპასიანეს მიერ იბერიის მეფისთვის დედაქალაქის გალავნის გამაგრებაზე, ჩვენ შევძელით, ლანგარზე გაკეთებული ბერძნული წარწერის თარიღის დაზუსტება. ვესპასიანეს 75 წლის წარწერაში იბერიის მეფე მოხსენიებულია მითრიდატედ და არა ფლავიოს დადედ. მითრიდატეს რომ იმ დროს ფლავიუსების წოდება უკვე მიღებული ჰქონოდა, ეს ფაქტი ბერძნულ ეპიგრაფიკულ ძეგლში ნამდვილად აისახებოდა. შესაბამისად, ლანგარზე გაკეთებული წარწერა, რომლის მიხედვითაც მითრიდატე ფლავიოს დადედ იხსენიება, 75 წლის წარწერაზე უფრო გვიანდელია, ხოლო რადგან ვესპასიანემ ამის შემდეგ სულ ოთხი წელი იმეფა, ეს წარწერა შეგვიძლია დავათარიღოთ ახ. წ. 75-79 წლებით.

არმაზის ლანგრის ბერძნული წარწერის შექმნის თარიღის დაზუსტებამ კიდევ უფრო გაზარდა პავლე ინგოროყვას იმ სენსაციური აღმოჩენის მნიშვნელობა, რომელიც ეხება ზემოხსენებული ვერცხლის ლანგრის კიდეებზე გაკეთებულ ბერძნულ წარწერაში მოხსენიებული პირის – ბერსუმ პიტიახშის ინიციალების შესატყვისი ქართული გრაფემების არსებობას ამავე ლანგრის ფსკერზე (ინგოროყვა 1941: 411-427).

ამ ნაშრომს სამ ათეულზე მეტი წლის შემდეგ გამოეხმაურა აკაკი ბაქრაძე. მის წერილში „მატიანის კვალდაკვალ" ვკითხულობთ: „არმაზში ნაპოვნი წარწერების შესწავლა უნდა გაგრძელდეს. კიდევ ბევრი ახალი აღმოჩენაა მოსალოდნელი... თავის დროზე არმაზის წარწერების ქართულად წაკითხვა სცადა პავლე ინგოროყვამ. საყურადღებო დასკვნებიც გააკეთა. მაგრამ მაშინ ამას არ მიექცა სათანადო ყურადღება. იქნებ პ. ინგოროყვას ცდას უფრო ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ?" (ბაქრაძე 1977: 171-182). პავლე ინგოროყვას მიგნებების შესახებ დაიბეჭდა კიდევ ერთი გამოხმაურება (ჭელიძე 1980), რომელშიც აღნიშნულია ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც ამ მეცნიერის კვლევებს აქვს ქართული წერილობითი კულტურის ისტორიისათვის, 2013 წელს კი – თამაზ მჭედლიძემ წიგნში „წარმართული ხანის ქართული წარწერები" პავლე ინგოროყვას მიერ აღმოჩენილ ლიგატურებს სათანადო ადგილი მიუჩინა ქართული დამწერლობის ძეგლების ქრონოლოგიურ რიგში (მჭედლიძე 2013).

ეს გამოხმაურებები მაინც ძალიან ცოტაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მეცნიერთა დიდ ნაწილს ქართული ანბანი კვლავ ქრისტიანულ ეპოქაში შექმნილად მიაჩნია. შესაბამისად, საჭიროდ ჩავთვალეთ, განგვეხილა დიდი მეცნიერის მიერ აღმოჩენილი ქართული ლიგატურები ზემოხსენებული მოდელის ფონზე.

ერთ-ერთ ლიგატურაში ბერსუმ პიტიახშის ინიციალების ამოკითხვა უდავოა. ასეთი „ბ" და „პ" გრაფემები გვხვდება არაერთ უძველეს ქართულ წარწერაში, მაგ. შეადარეთ ლიგატურის Ԩ (ბ) ასეთივე კუთხოვანი ფორმის მქონე „ბ" გრაფემებს ნეკრესის №9 და №10 წარწერიდან ⵖⵖ ⵖⵖ და ⵗ (ბ) დავათის სტელაზე გამოსახულ „პ"-ს ⵓ.

რაც შეეხება მეორე ლიგატურას, საეჭვოდ მიგვაჩნდა მასში ასო „ქ"-ს ამოკითხვა და მისი დაკავშირება ქარძამ მეფის სახელთან. ამიტომ გადავწყვიტეთ ხელახლა შეგვესწავლა ეს მონოგრამა. ქართული ასომთავრული ასო „ქ" არ დასტურდება არცერთ უძველეს წარწერაში, რომელიც აშკარად გამოხატული ქრისტიანული პერიოდისა არ არის. ისტორიულად ჩვენი მეზობელი ქვეყნების (სომხეთი, რუსეთი) ქრისტიანული ეპოქის ასომთავრულ დამწერლობებში იესო ქრისტეს ინიციალთან ასოცირებული გრაფემა ყველგან ჯვრის ფორმისაა და ეს ლოგიკურიცაა, მაგრამ არადამჯერებელია, რომ რომელიმე წარმართულ ანბანში ჯვრის ფორმა ბუნებრივად დამთხვეოდა სწორედ „ქრისტეს" ინიციალს.

იმ დასკვნამდე, რომ ლიგატურაში მოიაზრება „ქარძამი" პავლე ინგოროყვა მის მიერ „ქ"-დ მიჩნეულმა გრაფემამ მიიყვანა (მისი მოსაზრებით ორივე ლიგატურა ერთად ასე იკითხება – „ბერსუმ პიტიახში ქარძამის ძეი"). რამდენადაც პირველი საუკუნის ლანგარზე ჯვრის ფორმის ასო „ქ"-ს არსებობა ეჭვქვეშ დადგა და თან ისტორიული წყაროებით ქარძამი მითრიდატე II-მდე საუკუნეზე მეტი ხნით ადრე – ძველი წელთაღრიცხვით I საუკუნის შუა წლებში მეფობდა (ჭელიძე 1999), საჭიროდ მივიჩნიეთ ამ მოსაზრებაზე დამყარებული იმ დასკვნის გადამოწმებაც, რომელიც ქარძამს შეეხება.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ ვისი ინიციალები შეიძლება მოიაზრებოდეს მეორე მონოგრამაში.

ლანგრის ფსკერზე გამოსახული ორი ლიგატურა სრულიად განსხვავებული სტილით არის შესრულებული. ერთი რკალური მოყვანილობისაა, მეორე კი მართკუთხოვანი; ერთი უფრო გაკრული ხელით არის შესრულებული, მეორე კი – მკაფიოდ გამოხატული გეომეტრიული სიზუსტით. მათში გამოსახულ გრაფემათა ჰორიზონტალური ხაზები ერთმანეთის გასწვრივი არ არის და არც ვერტიკალური ხაზებია ერთმანეთის პარალელური. ეს გვაფიქრებინებს, რომ ლანგარზე აღბეჭდილი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხელით შესრულებული ორი გრაფიკული ნიშანი ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ.

მეორე ლიგატურის ამოკითხვაში დაგვეხმარა ლანგარზე გაკეთებული ბერძნული წარწერა: "მე მეფემან ფლავიოს დადემან ვუძღვენ ბერსუმ პიტიახშს". რადგანაც, გრაფიკული ნიშნების სტილისა და მათი სიბრტყეში განლაგების მიხედვით მივედით იმ დასკვნამდე, რომ ლიგატურები სხვადასხვა დროს არის შესრულებული, გაგვიჩნდა აზრი, რომ მეორე მონოგრამაში შეიძლებოდა ფლავიუს დადეს სახელი ყოფილიყო აღბეჭდილი. ბერძნული წარწერის შინაარსიდან გამომდინარე, იგი ბერსუმ პიტიახშის ლიგატურაზე უფრო ადრე იქნებოდა შესრულებული.

თუ ეს ლიგატურა ლანგრის ფსკერის ზედაპირზე გაკეთებული პირველი წარწერა იყო, იგი ნებისმიერი პოზიციიდან შეიძლებოდა გაკეთებულიყო. სწორედ ამ ვარაუდმა გვიკარნახა, რომ ლანგარი შემოგვეტრიალებინა და სხვადასხვა რაკურსით დავკვირვებოდით გრაფიკულ ნიშანს. რის შედეგადაც მივაგენით პოზიციას, რომლიდანაც ლიგატურამ მიიღო ასეთი სახე ⸸-და ნათელი გახდა, რომ იგი მართლაც ფლავიოს დადეს მონოგრამაა და იყოფა შემდეგნაირად: ⸸ → ⸸

წიგნში *ასომთავრულიდან პირველსახისკენ* წარმოდგენილი მოდელის მიხედვით ასო „ფ"-ს თავდაპირველად ზემოთ აღმართული რკალისა და მისი ვერტიკალურად მკვეთი სწორი ხაზის ფორმა ჰქონდა და ასეთი ზემოთგახსნილი რკალით იგი გვხვდება მე-7 საუკუნის ხანმეტ ლექციონარში Ψ, ნახევრადგახსნილი კი – არაერთგან, მათ შორის, ნეკრესის № 9 წარწერაშიც Ψ, სადაც მარჯვენა ელემენტი ბოლომდე შეკრული არ არის, მარცხენას კი ზუსტად ისეთი მახვილკუთხოვანი ფორმა აქვს, როგორიც არის არმაზის ლანგარზე. რაც შეეხება ასო „დ"-ს, იმავე კონცეფციის მიხედვით, მას ჰორიზონტალურ ხაზზე ქვემოდან მიერთებული მარცხნივ გახსნილი რკალის სახე ჰქონდა, რაც უძველეს წარწერებში არაერთგან დასტურდება, მათ შორის, ნეკრესის იმავე (№9) წარწერაში ⸸ . როგორც ვხედავთ, ლიგატურის შემადგენელი გრაფემები რეალურად ემთხვევა ქართულს და ამოკითხული სახელიც – ფლავიოს დადე ის პიროვნებაა, ვისი მონოგრამაც, ბერსუმ პიტიახშის დარად, ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი ამ ლანგარზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველი მონოგრამა გაკეთებულია იმ დროს, როდესაც ლანგარი ფლავიოს დადეს ეკუთვნოდა, მეორე კი – მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც იგი ბერსუმ პიტიახშის მფლობელობაში გადავიდა.

არმაზის ლანგრის მსგავსად, ჭურჭლის ფსკერზე წრეში, ე. წ. მედალიონში, ჩასმული გრაფემები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აღმოჩენილ ბევრ სხვა ჭურჭელზე გვხვდება და უმთავრესად მათი მფლობელის ვინაობას გვიმხელს. მაგალითად, ძვ. წ. მე-8 საუკუნის ნესტორის თასზე, ძვ. წ. მე-5 საუკუნის ფიდიასის თასზე, ამავე პერიოდის ჭურჭელზე, სადაც ლიგატურა (დელტა და ეფსილონი) მიგვანიშნებს მის ხალხისადმი „დემოსისადმი" კუთვნილებაზე, სემიბრატნის ყორღანში ნაპოვნ ძვ.წ. მე-4-3 საუკუნეების და ტამანის ნახევარკუნძულზე ნაპოვნ ძვ. წ. 3-2 საუკუნეების თასებზე და სხვ.

გვხვდება ზუსტად არმაზის მსგავსი შემთხვევებიც, როცა ჭურჭელზე სხვადასხვა მფლობელთა ვინაობაა ამოკვეთილი. ქერჩში ნაპოვნ ახ. წ. მე-3 საუკუნის ვერცხლის ლანგრის შუაში მოთავსებულ წრეში აღბეჭდილია იმპერატორ ანტონინეს ინიციალები, ლანგრის უკანა მხარეს კი – მეფე რისკუპორიდ მესამისა (შავროვი 2009:31). მარკუს ავრელიუს ანტონინე კარაკალა რომის იმპერატორი იყო (211-217), რისკუპორიდი კი – ბოსფორის მეფე (210-226). რისკუპორიდიც, არმაზის წარწერაზე მოხსენიებული ფლავიოს დადეს მსგავსად, თავის სახელს რომაელი იმპერატორისას ამატებდა და ინოდებოდა „ტიბერიუს იულიუს რისკუპორიდად", კეისრისა და რომაელთა მეგობრად. როგორც წარწერიდან ჩანს, ეს ლანგარი მას რომის იმპერატორმა უძღვნა. ამ ვერცხლის ლანგარზეც, არმაზის ლანგრის მსგავსად, სხვადასხვა დროს მისი ორი მფლობელის სახელია აღბეჭდილი და მათგან ერთ-ერთი (რომის იმპერატორისა), ლიგატურის სახით არის წარმოდგენილი.

სხვადასხვა დროს სამი სხვადასხვა მფლობელის სახელია აღბეჭდილი 1962 წელს შვეიცარიაში, კაიზერაუგსტში აღმოჩენილი ვერცხლის საგანძურის ორი სხვადასხვა ლანგრის ფსკერზე, რომლებიც, მეცნიერთა აზრით, იმპერატორ ივლიანეს ეკუთვნოდა და ამ ტერიტორიაზე 361 წელს მისი ვიზიტის დროს უნდა დარჩენილიყო (გუგისბერგი 2003: 47, 171).



ვერცხლის ლანგრებზე შესრულებული წარწერები არის როგორც ცენტრისკენ მიმართული, ისე ცენტრიდან გარეთ მიმართული, მაგ. კაიზერაუგსტის ერთ-ერთ თასზე აღბეჭდილი ინიციალი „რ" მიმართულია გარედან ცენტრისკენ (გუგისბერგი 2003: 65), ისევე, როგორც ფლავიუს დადეს მონოგრამა, მეორეზე აღბეჭდილი „მე" კი, პირიქით – ცენტრიდან გარეთ (გუგისბერგი 2003: 48), როგორც ბერსუმ პიტიახშისა. საგულისხმოა ისიც,

რომ ლანგრებზე ახალი წარწერის გაკეთებისას იშვიათად აქცევენ ყურადღებას მის პოზიციურ მიმართებას წინა წარწერისადმი. იხ. მაგ. კაიზერაუგსტის კიდევ ერთი ვერცხლის ლანგრის ვრცელი წარწერა კიდის გაყოლებით და მფლობელის შემოკლებული სახელი „მარ“ (მეცნიერთა აზრით, „მარცელიანე“) შიდა ნაწილში (გუგისბერგი 2003: 53). ერთსა და იმავე ლანგარზე გაკეთებული ეს ორი წარწერა ცენტრის მიმართ სხვადასხვა რაკურსით არის გაკეთებული, ისევე, როგორც ფლავიოს დადესა და ბერსუმ პიტიახშის მონოგრამები.



იმისათვის, რომ უკეთ წარმოვიდგინოთ, რა საჭირო იყო ლანგარზე მიძღვნის ტექსტის აღბეჭდვა ან მფლობელთა მონოგრამების გაკეთება, თვალი გადავავლოთ ისტორიას. არქეოლოგ ლევ კლეინის მტკიცებით:

> ვერცხლის ჭურჭელი (განსაკუთრებით, მედალიონებიანი) რომის გარშემო მდებარე წარმართული ქვეყნების მმართველთა წრეში სამეფო ყოფისა და საერთაშორისო ურთიერთობების ელემენტი იყო (კლეინი 1979: 217).

ყუბანში ნაპოვნ ძვ. წ. მე-5-4 საუკუნეების ვერცხლის თასზე გაკეთებულია წარწერა: „მე ვეკუთვნი ფაზისის მმართველს – აპოლონს“, სოჭთან ნაპოვნ ახ. წ. მე-3 საუკუნის ვერცხლის ლანგარს კი აწერია მისი წინა მფლობელის ვინაობა: „წინათ ეკუთვნოდა ქერმანის მეფე ვარახრანს“. როგორც ვხედავთ, ისტორიული ტრადიცია და სხვადასხვა ქვეყნების არქეოლოგიური მონაპოვარი ადასტურებს იმის შესაძლებლობას, რომ არმაზის ლანგარზე წარმოდგენილი ორი ლიგატურა მისი პირველი და მეორე მფლობელის – ფლავიოს დადესა და ბერსუმ პიტიახშის ინიციალებს წარმოადგენდეს.

არმაზის ლანგართან მჭიდრო კავშირშია იმავე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ე. წ. შარაგასის / ჩარგასის სტელა, რომელზე ამოკვეთილი ლიგატურაც ზემოხსენებულ ნაშრომშივე ჰქონდა განხილული პავლე ინგოროყვას და კითხულობდა სახელს „ჭევახოს“. ჩვენი აზრით, ამ სტელაზე ნამდვილად არის ქართული ასომთავრულით შესრულებული ინიციალები „ჭ“ და „ს“, მაგრამ ნაკლებ სარწმუნოდ გვეჩვენება, რომ ეს პიტიახშის მამის სახელი იყოს. ვიზიარებთ მეცნიერის აზრს, რომ პიტიახშის არამეულად დაქარაგმებული სახელი ქართულად შეიძლებოდა ყოფილიყო „ჭარგას“ და არა „შარაგას“. სახელი „შარაგას“ ქართულ დოკუმენტურ წყაროებში არსად არ გვხვდება, „ჭარგასის“ მოდიფიცირებული ფორმა „ჩარგასი“ კი ჩვენს დრომდეა გავრცელებული საქართველოს მთიანეთში. გალაკტიონ ტაბიძეს პიესის ერთ-ერთ პერსონაჟადაც კი ჰყავს გამოყვანილი. საყურადღებოა, რომ გვაქვს ამ ფუძიდან წარმოებული გვარიც – „ჩარგაზია“.



განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ, ლიგატურის გარდა, „ჭარგასის“ სახელის ინიციალი აღბეჭდილია ქვასვეტის სხვა მონაკვეთშიც – მონოგრამის აღსაბეჭდად ზუსტად შესაფერის ადგილას – სტელის მარჯვენა ფრთის ზედა ნაწილში, რომლის პარალელური მეორე ნაწილიც ჩამომტვრეულია. ვფიქრობთ, მარცხენა ფრთის იმავე ადგილას შეიძლებოდა აღბეჭდილი ყოფილიყო სიტყვა „პიტიახშის“ საწყისი ასო - „პ“.

პავლე ინგოროყვას მოსაზრება, რომ სტელის დაზიანების შემდეგ ვენზელის დასაწყისში მასზე შემორჩენილი ვერტიკალური ხაზი არის მფლობელობის აღმნიშვნელი ნიშნის ნაშთი, უფრო ვარაუდის დონეზე იყო გამოთქმული, ვიდრე მტკიცებულებისა, რადგან სტელაზე ამ ვერტიკალური ხაზის ზემოთ ქვა მთლიანად ჩამოტეხილია და დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, იყო იქ წარწერის გაგრძელება, თუ არა.

ჩვენი აზრით, ეს ვერტიკალური ხაზი უნდა იყოს ლიგატურაში შემავალი გრაფემის ნაწილი და არა ცალკე სიმბოლო. სახელის „ჭარგას“ წინ, ლოგიკურად, უნდა ყოფილიყო სიტყვა „პიტიახში“ ან „ქართლის პიტიახში“. საგულისხმოა, რომ ლიგატურის საწყისი ელემენტი ⲥ წიგნში *ასომთავრულიდან პირველსახისკენ* წარმოდგენილი კონცეფციის მიხედვით, ემთხვევა გრაფემა „ქ“-ს (ნინიძე: 36) და მარცხნივ 90-გრადუსიანი შემობრუნებით, გრაფემა „პ“-ს ⲥ→ⲥ↺ ეს სწორედ ის ორი ასო-ნიშანია, რომლებიც სავარაუდო იყო ჭარგასის სახელის წინ – ინიციალები სიტყვებისა „ქართლის პიტიახში“. მართალია, ქართული დამწერლობის ხსენებულ მოდელში წარმოდგენილი „ქ“ გრაფემის ასეთი ფორმა ჯერჯერობით არცერთ სხვა წარწერაში არ არის ამოკითხული, მაგრამ, რაც შეეხება „პ“-ს, ეს მოხაზულობა ქართული ასომთავრულისთვის სავსებით ტიპიურია. შესაბამისად, ჩვენი აზრით, პიტიახშის სტელის ვენზელი უნდა გაიშიფროს ასე: „ქართლისა პიტიახში ჭარგას“ ⲥ→ⲥ↺ⲥⲗ ან „პიტიახში ჭარგას“ ⲥ→↺ⲥⲗ იმ ფაქტს, რომ ქართულ დამწერლობაში ლიგატურები ადრეული პერიოდიდანვე გამოიყენებოდა, ადასტურებს სასანური პერიოდის, კერძოდ VI საუკუნის, ფულზე აღბეჭდილი ლიგატურა – Ꞧ, რომელიც იშლება ასომთავრულ გრაფემებად „გ“ და „ნ“ – ⲗⲛ. ლიგატურისთვის სავსებით ბუნებრივია, ასოს გადახრაც და ისიც, რომ მისი გარკვეული ელემენტები საზიარო იყოს რამდენიმე გრაფემისთვის. რაც შეეხება სტელის მარჯვენა ფრთის თავში აღბეჭდილი „ჭ“-ს – ⲗ, იგი სავსებით შეესაბამება ამ გრაფემის გავრცელებულ ფორმას. იხ. მაგ. ნეკრესის №6 წარწერა – ⲗ.

ბერსუმ პიტიახშის მონოგრამაში ჯერ იკითხება სახელი (ბერსუმ) და შემდეგ მისი თანამდებობა (პიტიახში). რამდენად მოსალოდნელია, რომ დაახლოებით იმავე პერიოდის არმაზის სტელის ქართულ მონოგრამაში ჭარგას პიტიახში მოხსენიებული იყოს ჯერ თანამდებობით „პიტიახში“ ან „ქართლისა პიტიახში“ და შემდეგ სახელით „ჭარგას“? ამის გადამოწმების ერთადერთი გზა უძველესი ქართული წერილობითი ტექსტებია. „ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში თანამდებობისა და სახელის კომპლექსებში სიტყვათა თანმიმდევრობა გვხვდება ორივენაირი წყობით. იხ. მაგალითები, სადაც თანამდებობას მოსდევს სახელი: „და მისა შემდგომად მეფობდა მირდატ. და ესე წარიყვანა პიტიახშმან ვარაშ ბაღდადს და მუნ მოკუდა“; „ვითარ-იგი შეიპყრეს ქართველთა მეფე მირდატ სპარსთა წყობასა შინა“; „სპასპეტი სუმბატ ბივრიტიანი“; „მოკუდა მეფე მირდატ და დარჩა ვახტანგ შვიდისა წლისა ყრმაი“ აგიოგრაფიაში გვხვდება ასეთი წყობის ფრაზაც – „ქართლისა პიტიახში“ (მარტკლობაჲ: 1) შესაბამისად, წყობა – „პიტიახში ჭარგას“ ან „ქართლისა პიტიახში ჭარგას“ სრულიად ბუნებრივია ძველი ქართული წერილობითი წყაროებისათვის.

არმაზის სტელაზე აღბეჭდილ არამეულ წარწერაში ჭარგასი მოხსენიებულია ფარსმან დიდის ძის – მითრიდატეს პიტიახშად. მკვლევართა ვარაუდით ეს იგივე მითრიდატეა, რომელსაც 75 წელს რომის იმპერატორმა დედაქალაქის გალავნის კედლები გაუმაგრა (ჩხარტიშვილი 2009: 42, გაგოშიძე, მარგიშვილი 2013: 80) და, შესაბამისად, იგი იბერიის ის მეფეა, რომელიც მოგვიანებით ფლავიოს დადედ ინოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 75 წლის წარწერის მსგავსად, ჭარგასის სტელის წარწერის შესრულების დროსაც მითრიდატეს ფლავიუსების სახელი ჯერ მიღებული არა აქვს, შესაბამისად, ისიც არმაზის ლანგრის წარწერაზე უფრო ადრეულია. რაც შეეხება ამ ორი ეპიგრაფიკული ძეგლის ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, 75 წლის წარწერის მიხედვით მითრიდატე უკვე რომის იმპერატორ ვესპასიანეს მოკავშირეა, ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭარგასის სტელაზე გაკეთებულია მხოლოდ არამეული და არა ბერძნული წარწერა, რომთან სიახლოვე მინიშნებითაც კი არ ჩანს და ნახსენებია იბერთა ბრძოლები და მომიჯნავე ტერიტორიების დაპყრობა, რაც რომისთვის მისაღები არ იყო, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჭარგასის სტელის არამეულენოვანი წარწერა 75 წლისაზე უფრო ადრინდელია და შეიქმნა ახ. წ. 75 წლამდე.

როდესაც ვდგავართ ფაქტის წინაშე, რომ ერთ კონკრეტულ ლოკალურ ტერიტორიაზე ნაპოვნ პირველი საუკუნის ძეგლებზე ამოკვეთილი შვიდი ინიციალი არ ემთხვევა საქართველოში იმ დროისათვის გავრცელებული არცერთი უცხოური დამწერლობის (ბერძნული, არამეული/ფალაური) ასო-ნიშნებს და ემთხვევა იმ მოხაზულობებს, რომლებიც შეესაბამება **ფ**ლავიოს **დ**ადეს, **ბ**ერსუმ **პ**იტიახშისა და **პ**იტიახშ **ჭ**არგას-ის ქართულ მონოგრამებს, ეს დადასტურებაა იმისა, რომ აღნიშნული გრაფემები ქართულია.

ქართული დამწერლობის ქრისტიანობამდელ ეპოქაში შექმნის თეორიის აღიარებას ხელს უშლიდა ის ფაქტი, რომ უძველესი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, წარმოდგენილია ლიგატურებისა და ცალკეული გრაფემების, და არა ნარატიული ტექსტის სახით, მაგრამ ამის გამო მათ ისტორიულ ღირებულებაზე უარის თქმა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. მეცნიერთა დიდი ნაწილის მიერ არადამაჯერებლად აღიქმებოდა ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნით დათარიღებულ არეშის დერგზე და ვანის წითელკეციან ჭურჭელზე ერთნაირი მოხაზულობის ნიშანი ქართული გრაფემა „ჩ“-ა გამოსახული, მაგრამ რუსთავის №2, 3 და ნეკრესის №1, 10 წარწერების ასომთავრულით შესრულებული ტექსტების ბოლოს ზუსტად იმავე გრაფიკული ნიშნის დადასტურებამ (ნინიძე 2015) საბოლოოდ დაამტკიცა, რომ პირველი საუკუნით დათარიღებულ ზემოხსენებულ ორ ძეგლზე გამოსახული ერთი და იგივე გრაფემაც ქართულია. ყველა ეს მაგალითი, ადრეული ეპიგრაფიკული

ძეგლების სიმწირისა და სპეციფიკურობის პირობებშიაც კი, გვაძლევს საშუალებას დავადასტუროთ, რომ ქართული დამწერლობა ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში უკვე არსებობდა.

ამდენად, სწორედ პიტიახშ ჭარგასის (დათარიღებული ახ. წ. 75 წლამდე, ხანმოკლე პერიოდში), ფლავიოს დადესა და ბერსუმ პიტიახშის (დათარიღებული ახ. წ. 75-79 წწ,) არმაზული ლიგატურებით იწყება ქართული წერილობითი კულტურის დოკუმენტური ისტორია.

შენიშვნები

1. სტატიაში გამოყენებულია თამაზ მჭედლიძის ბლოგზე http://asomtavruli.blogspot.com/ განთავსებული გრაფიკული მასალა.

დამოწმებანი

ბაქრაძე 1977: ა. ბაქრაძე, მატიანის კვალდაკვალ, კრიტიკული გულანი, თბილისი.

გაგოშიძე, მარგიშვილი 2013: ი. გაგოშიძე, ს. მარგიშვილი, მეფე ფლავიოს დადის ვინაობისთვის, იბერია-კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი, 9.

გუგისბერგი 2003: *Der spatromische Silberschatz von Kaiseraugs,* Herausgegeben von Martin A. Guggisberg. Unter Mitarbeit von Annemarie Kaufmann-Heinimann, Römerstadt Augusta Raurica, Augst.

ინგოროყვა 1941: პ. ინგოროყვა, ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა [აღმოჩენილი მცხეთა-არმაზში არქეოლოგიური გათხრების დროს 1940 წელს], ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკის) მოამბე. – თბილისი, ტ.10.

კლეინი 1979: Л. Клейн, *О характере римского импорта в богатых курганах сарматского времени на Дону,* Научные ведомости Белгородского государственного университета. «Античный мир и археология». Вып. 4. Саратов, 1979.

მარტკლობაა: მარტკლობაა და მოთმინებაა წმიდისა ევსტათი მცხეთელისაა http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/gh/gh1/gh1.htm?gh1023.htm

მჭედლიძე 2013: თ. მჭედლიძე, წარმართული ხანის ქართული წარწერები, ფულდა.

ნინიძე 2005: მ. ნინიძე, ასომთავრულიდან პირველსახისკენ.

ნინიძე 2007: M. Ninidze, *A New Point of View on the Origin of the Georgian Alphabet,* The Kartvelologist – Journal of Georgian Studies, №14, 2007. http://www.litinfo.ge/volume-2/14%20dek.%20ingl%20anb.pdf

ნინიძე 2015: მ. ნინიძე, ნეკრესისა და რუსთავის პალეოგრაფიული ძეგლების დათარიღება და ქართული ანბანის შექმნის ხანა, იხ. ამავე ნომერში, XVII, 2015.

შავროვი 2009: О. Шавров, *Серебрянное блюдо с монограммой из погребения с золотой маской в Керчи,* Научные ведомости №1(56).

ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი, სახეები საქართველოს წარსულიდან, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი.

ჭელიძე 1980: ვლ. ჭელიძე, საიდან დავიწყოთ? სახალხო განათლება, თბილისი, 12 ნოემბერი.

ჭელიძე 1999: ვლ. ჭელიძე, ლეონტი მროველის მეფეთა ცხოვრება და უცხოური საისტორიო გადმოცემები, ლიტერატურული ძიებანი, XX.

MODEL OF GEORGIAN ALPHABET AND I CENTURY A.D. GEORGIAN INSCRIPTIONS (IN THE FOOTSTEPS OF PAVLE INGOROKVA'S HISTORIOGRAPHIC RESEARCHES)

Mariam (Maia) Ninidze, Vladimer Chelidze

More than a hundred years ago, when scientists began fundamental paleographic investigation of the Georgian Alphabet, the most ancient scripts known to them were written with capital letters (Asomtavruli) and dated around the 5-th century and later. The oldest of those inscriptions had letters with circular elements while the others (with later dates) had arc-shaped forms instead of the circular. Scientists generalized the data and worked out the principle of dating – if the letters of the inscriptions instead of circular forms have arc-shaped ones, they should be dated later than V-VI centuries. The book *From Georgian Capital Alphabet to its Origins* suggests different vision, according to which the origin of Georgian graphemes had arc-shaped forms but the alphabet was reformed according to Greek letters and the forms were replaced by circular and angular ones. Therefore the old principle, worked out by the Georgian paleographers, if not revised, may cause dating of all newfound old inscriptions with much later dates than they really belong to. Pavle Ingorokva considered that on the I century large silver dish and stele found in Armazi necropolis, besides Greek and Aramaic narrative inscriptions, are some Georgian ligatures, representing initial letters of the personal names mentioned in the narrative foreign texts. We specified some details, added several arguments and came to the conclusion that these are Georgian letters the forms of which correspond to the model given in the above mentioned book and they represent monograms of **F**lavios **D**ade (Mitridat II), **B**ersoumas **P**itiax and **P**itiax **C**hargas.

მცხეთის საკათალიკოსო ეპარქიის კრებსითი სიგელები

მზია სურგულაძე

დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იპყრობს მცხეთის საბუთების რამდენიმე, XIX საუკუნეში გადაღებული პირი, რომლებიც შინაარსობრივად იდენტურნი არიან, მაგრამ არსებითად განსხვავდებიან საბუთის გამცემი მეფეებისა და მწიგნობართა სახელებით. საბუთები კრებსითია. მათში შეკრებილია მცხეთის არსებული და ყოფილი უძრავი ქონება, მხარეთა მიხედვით ჩამოთვლილია ყმა-მამულისა და სოფლების სახელწოდებანი, ამიტომ საბუთები უაღრესად მდიდარ და საინტერესო ინფორმაციას შეიცავენ მცხეთის საკათალიკოსო ეპარქიის მფლობელობის მასშტაბებზე წარმოდგენის შესაქმნელად.

ამ საბუთების ორი პირი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ორი – საქართველოს ეროვნულ არქივში, და ორიც პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ საბუთთა კოლექციაში. ეს პირებია: 1. ხეც, Hd-8712, ძველი სააღრიცხვო ნომრით №59, 2. ხეც, Qd-11248-ბ; 3. სეა, 1449-1312; 4. სეა, 1449-1588, გადაწერილი ს. კაკაბაძის მიერ, ძველი სააღრიცხვო ნომრით №349; ორიც პეტერბურგული ნუსხა: 5. H6 (G 29b; H46)-42. *Лл.* 746-79a;6.P7 (P 1).

საბუთები რამდენჯერმე გამოიცა XIX-XX საუკუნეებში. პირველად მ. ბროსემ გამოაქვეყნა საბუთის ფრანგული თარგმანი (ბროსე 1835: CXVI-CXXI). უფრო გვიან დაიბეჭდა იმავე ვერსიის რუსული თარგმანი (აქტები 1866:1-3). მოგვიანებით *აქტების* VI ტომში გამოიცა ქართული ტექსტი (აქტები 1875: 769-770). საბუთი, რასაკვირველია, არ დარჩენილა თ. ჟორდანიას ყურადღების მიღმა. *ქრონიკების* II ტომში მან გამოაქვეყნა ქართული ტექსტი და დაურთო თავისი დაკვირვებები (ჟორდანია 1897: 195). ამ ნუსხების პეტერბურგული ვერსიების აღწერილობა გამოსცა საურმაგ კაკაბაძემ (კაკაბაძე 1967: 149-150). სულ ბოლოს, კრებსითი საბუთის ერთ-ერთი ვერსია (ხეც Hd-8712) გამოაქვეყნა ი. დოლიძემ (დოლიძე 1970: 176-181). ყველა ზემოხსენებულ პუბლიკაციაში საბუთის თარიღად მითითებულია 1398 წელი, მხოლოდ თ. ჟორდანია და ი. დოლიძე უთითებენ 1392 წელს.

თ. ჟორდანიას უნახავს სინოდის კანტორის ორი თავნაკლული ნუსხა: №349 და №59, რომელთაგან არცერთი იყო დედანი. მისი დაკვირვებით, ერთი ნუსხა XV საუკუნეში ყოფილა გადაწერილი ძველი გუჯრიდან, ხოლო მეორე – XVII საუკუნეში. თ. ჟორდანიასთან დასახელებული ორივე ნუსხის ნომრები: №59 და №349 ადვილად იდენტიფიცირდება ამავე ნომრებით ჩვენამდე მოღწეულ გვიანდელ პირებთან: 1. ხეც Hd-8712, გადაწერილი XIX საუკუნეში (ძველი სააღრიცხვო ნომერი №59); 2. სეა 1449-1588, გადაწერილი XX საუკუნის დასაწყისში ს. კაკაბაძის მიერ (ძველი ნომერი №349). სწორედ ამ უკანასკნელს უზის თარიღად პ (1392), რომლის უფრო ადრინდელი ნუსხა ხელთ ჰქონია თ. ჟორდანიას. ყველა დანარჩენი პირი მეტნაკლები სიზუსტით ამ იდენტიფიცირებულ ნუსხებს იმეორებს.

ამ იდენტურ პირთაგან მხოლოდ ორს აქვს შერჩენილი ბოლო ნაწილი, საიდანაც ჩანს, რომ ერთის (სეა ა: 1449-1312) დამწერია ქვათახევის წინამძღვარი ფილიპე ბარათაშვილი, მეორისა (სეა ბ: 1449-1588) – კარის მწიგნობარი იოსები. პირველს ამტკიცებს მეფე ალექსანდრე, მეორეს ხელს ურთავენ მეფე სვიმონი, დედოფალი ნესტან-დარეჯანი და ბატონიშვილი გიორგი. მიუხედავად საბუთთა ტექსტების იგივეობისა, მათ გამცემ მეფეთა და დამწერ მწიგნობართა განსხვავებულობა იძლევა საკმარის საფუძველს, რომ ისინი სხვადასხვა საბუთებად მივიჩნიოთ.

მ. ბროსემაც და თ. ჟორდანიამაც შეამჩნიეს ის შეუსაბამობები, რომლებიც არსებობდა საბუთის თარიღს, საბუთის გამცემ-დამამტკიცებელ მეფეებსა, საბუთის ადრესატ კათალიკოს დომენტის და საბუთის დამწერ-მწიგნობართა სახელებს შორის.

მ. ბროსემ საბუთი ალექსანდრე I კახთა მეფეს მიაკუთვნა, თუმცა, ამგვარი იდენტიფიკაციის დამაბრკოლებელ გარემოებად მიაჩნდა საბუთის ადრესატად კათალიკოს დომენტის მოხსენიება. ამ სახელის მქონე კათალიკოსი XVI საუკუნის II ნახევრამდე არ გვხვდება. ამიტომ დოკუმენტში დომენტი კათალიკოსის მოხსენიება მ. ბროსემ ახსნა საბუთის შესაძლო გადაწერით დომენტი კათალიკოსის დროს (ბროსე 1849:680 sen 3) [1].

თ. ჟორდანია, რადგან სრულ ნდობას უცხადებდა საბუთებში მითითებულ ქორონიკონებს – პ (1392) და პვ (1398) საბუთის გამცემად მიიჩნევდა იმერთა მეფე ალექსანდრეს, თუმცა აეჭვებდა ის გარემოება, რომ ქართლ-კახეთის სამცხეთო მამულების გუჯარს იმერთა მეფე ამტკიცებდა. საბოლოოდ თ. ჟორდანიამ საქმის ვითარება ასე წარმოადგინა: 1392 წელს ალექსანდრე მეფის სახელით გამოიცა მცხეთის კრებსითი საბუთი, ხოლო სვიმონ მეფემ ეს საბუთი დაამტკიცა ორი საუკუნის შემდეგ (ჟორდანია 1897: 198).

ამ საბუთებთან დაკავშირებულ გაუგებრობებს, უპირველესად, იწვევს სწორედ ეს თარიღები: ნუსხათა

ქორონიკონები ვარირებს 1392 (პ) და 1398 (პვ) წლებს შორის. თარიღის პრობლემას უშუალოდ უკავშირდება საბუთთა გამცემი მეფეებისა და დამწერ მწიგნობართა იდენტიფიკაციის საკითხი. როგორც უკვე ითქვა, საბუთთა ეს მახასიათებლები ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაშინ, როდესაც ტექსტები არსებითად იდენტურია.

აღნიშნულ საბუთთა ტექსტები არასოდეს გამხდარა კრიტიკული შესწავლის საგანი, ამიტომ ამ საბუთებში დამონმებული ისტორიული რეალიები სამეცნიერო ლიტერატურაში ძველ პუბლიკაციებში, უპირატესად თ. ჟორდანიას *ქრონიკებში* მითითებული თარიღით გავრცელდა. რადგან თ. ჟორდანიას ხელთ ძველი პირები ჰქონია, საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ძველ პირებში ყოფილა დამახინჯებული თარიღები, რომლებიც უცვლელად გადაუტანიათ XIX საუკუნეში გადაწერილ პირებში.

უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი, რომელსაც შეუძლია სიცხადე შეიტანოს კრებსითი სიგელების დათარიღების საკითხში, არის მათში ჩამოთვლილ სამფლობელოთა წარმომავლობის ქრონოლოგია. ამ თვალსაზრისით წყაროებზე, განსაკუთრებით, მცხეთის ძველ საბუთებზე და, ასევე, ეპიგრაფიკულ ცნობებზე საგანგებო დაკვირვებამ უჩვენა, რომ კრებსით საბუთებში გამოიყოფა სხვადასხვა ეპოქის ქრონოლოგიური შრეები. ეს გარემოება შესაძლებლობას გვაძლევს მეტნაკლები სიზუსტით დავადგინოთ საბუთთა ტექსტებში შეტანილ სამფლობელოთა ქრონოლოგიური მაჩვენებლები.

კრებსითი საბუთები ემყარება მცხეთის საარქივო დოკუმენტებს, რომელთა მონაცემები მის შემდგენს არა ქრონოლოგიურად, არამედ უფრო გეოგრაფიულად, მხარეთა და ხეობათა მიმდევრობით დაულაგებია. ამიტომ ტექსტის ძველი და ახალი ქრონოლოგიური შრეები მრავალ ადგილასაა გაფანტული და ერთმანეთთან შერეული. საბუთები იწყება სვეტიცხოვლის თბილისური და მისი მიმდებარე სამფლობელოების ჩამოთვლით, ამას მიჰყვება შიდა ქართლის, ლიხის, თრიალეთის, ჯავახეთის, ტაოს, არტაანის, კლარჯეთის, არაგვისპირის, შემდგომ ივრისპირეთის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, ღანუხის, ერწოს და სხვა კახური პროვინციების სოფლები.

ამ მონაცემების ქრონოლოგიური „გადაწყობით" შემდეგ სურათს ვიღებთ: სვეტიცხოვლის ქონების ჩამონათვლში ყველაზე ადრინდელ (დაწყებული ადრეული შუასაუკუნეებიდან) ქრონოლოგიურ შრეებს განეკუთვნება მამულები და ეკლესიები შავშეთ-კლარჯეთში, ტაოში, არტაანში, ჯავახეთში (...თუბარს საყდარი მოციქულთა და საფლავი აშოტ კურაპალატისა, სხალთა, არტანუჯი, დოლისყანა...). მესხეთ-ჯავახეთში მცხეთის მამულების (ახალქალაქთან ოკამი, თავფარავანი, ტოლოში, ფოკა და სხვ.) არსებობის შესახებ კრებსითი საბუთების ცნობები დადასტურებულია მრავალი ისტორიული საბუთით და ეპიგრაფიკული მასალით (შოშიაშვილი 1984: 26, 177; ბერძენიშვილი 2000: 41; ჯოჯუა 2011 :154). ამ მხარეში მცხეთის სამწყსოსა და მფლობელობის შთამბეჭდავ მასშტაბებზე, ასევე, საკუთრივ ქართლის კათალიკოსის სახასო მამულების შესახებ იუწყება XVI ს. პირველი ნახევრის დოკუმენტები: „შავშეთი მიჭიხიანათ ბატონის უწმინდესის კათალიკოზის ყოფილა. იმ ქვეყნის ეპისკოპოზის იასაულიც ის ყოფილა" (დოლიძე 1970: 242-244, 244-246). კრებსითი საბუთების ძველ ქრონოლოგიურ შრეს განეკუთვნება, აგრეთვე, აქ მოხსენიებული კახური სამფლობელოების უკვე ტოპონიმებად ქცეული სახელწოდებანი: „დავით აღმაშენებლის ეკლესია" და „თამარის რუ" და სხვ. (სეა ა: 1449-1312).

ტექსტის ამ ძველ ფენებთანაა შერწყმული მცხეთისათვის უკვე მომდევნო საუკუნეებში ბოძებულ სამფლობელოთა სახელწოდებანი, რომელთა ზუსტი ქრონოლოგიის დადგენა, რიგ შემთხვევაში, შესაძლებელია ჩვენს ხელთ არსებული ზუსტი საკონტროლო მასალის საშუალებით. მაგალითად, ხვედურეთი და იმერხევი მცხეთამ 1355 წელს მიიღო (ლომინაძე 2013: 47), გარეჯის ორივე უდაბნო მათი შესავალი სოფლებით სვეტიცხოველს ალექსანდრე I-მა უბოძა 1424 და 1428 წლებში (ლომინაძე 2013: 134-135,151). 1434 წელს მანვე შესწირა ლორეში სოფელი ამუჭი (ლომინაძე 2013: 195). XV საუკუნეში მიიღო სვეტიცხოველმა ყორანთა ბარათაშვილებისაგან (ლომინაძე 2013: 143), სოფელი ბაგა 1448 წელს შესწირა გიორგი VIII-მ სვეტიცხოველს (სურგულაძე 2014: 45) და ა.შ.

კრებსით სიგელში გვხვდება XVI საუკუნეში ბოძებული შეწირულობებიც. მაგალითად, 1525/1526 წელს დავით X-მ შემონაზვნებისას სვეტიცხოველს შესწირა დიდგორზე სოფელი მოხისი (სეა ვ: 1449-1495). მეორე მოხისი, „ულუმბის ძირს" მდებარე, სვეტიცხოველს დაუბრუნდა XV საუკუნის 50-იან წლებში (სურგულაძე 2010:175-176). ისეთი მაგალითების მოყვანა, რომლებიც ადასტურებენ სხვადასხვა პირთა მიერ XIV-XVI საუკუნეებში კრებსით საბუთებში მოხსენიებული ყმა-მამულის, მონასტრების, ციხეებისა და სამეურნეო ობიექტების სვეტიცხოვლისათვის შეწირვის ფაქტებს, კიდევ შეიძლება, მაგრამ ზემოთ მითითებულებიც საკმარისია იმ სურათის შესაქმნელად, რომელიც კრებსითი საბუთის შექმნის თარიღს XVI საუკუნის მეორე ნახევარში ათავსებს. სწორედ XVI საუკუნის მეორე ნახევარში ისხდნენ საკათალიკოსო ტახტზე დომენტის სახელის მქონე კათალიკოსები: დომენტი I (1556-1560) და დომენტი II (1595-1610). რაც შეეხება საბუთების დამამტკიცებელ მეფეთა სახელებს – ალექსანდრესა და სვიმონს – მათში მხოლოდ ალექსანდრე II კახთა მეფე (1574-1605) და ქართლის მეფე სვიმონ I (1556-1599) შეიძლება ამოვიცნოთ. მეტი ალბათობით, საბუთი დამტკიცებული უნდა იყოს დომენტი II კათალიკოსის დროს (დომენტი I-ის დროს ალექსანდრე II მეფე არ იყო).

როგორც საბუთების ფაქტობრივი შინაარსი, ასევე მასში მოხსენიებულ ისტორიულ პერსონათა

თანადროულობა მოწმობს, რომ საბუთების ქორონიკონი დამახინჯებულია და შეცდომა საერთო წყაროდან (ძველი პირებიდან) მომდინარეობს. პირების გადამწერმა ქორონიკონის გრაფემებს დააკლო ასეულის გამომხატველი „ს-ანი" (შესაძლოა, იგი დაქარაგმებული ქორონიკონის „ქკს" დამაბოლოებელ ს-ანში აერია). როგორც ჩანს, ზოგიერთ ნუსხაში დაკლებული ყოფილა ქორონიკონის ერთეულის თანხმოვანი „ვ-ინიც", რამაც გამოიწვია ზოგი ნუსხის დათარიღება 1392 წლით, ზოგისა – 1398-ით. ამ დაკლებულ გრაფემათა აღდგენის შემთხვევაში მიიღება ქორონიკონი „სპვ", რაც გვაძლევს კრებსითი საბუთებისათვის სავსებით რეალურ თარიღს – 1598 წელს. ამ წელს კათალიკოსობა უწევს დომენტი II-ს (1595-1610), რომელიც ერთ-ერთი სრული ნუსხის მიხედვით, საბუთის ადრესატად არის მოხსენიებული.

თუ ამ დასკვნას ვირწმუნებთ, პასუხი უნდა გაეცეს სხვა კითხვას: რატომ არის ეს კრებსითი საბუთები გამოცემული XVI საუკუნის მიწურულს ერთნაირი ტექსტითა და თარიღით, მაგრამ განსხვავებული ავტორებით? ამ კითხვას უკავშირდება მწიგნობართა საკითხიც. სანამ კითხვას ვუპასუხებდეთ, საჭიროა განვმარტოთ კრებსითი საბუთი, როგორც დიპლომატიკური მოვლენა და ზოგადად შევეხოთ მცხეთის სხვა კრებსით საბუთებს – მათი შედგენის მიზეზებსა და გარემოებებს.

ქართულ დიპლომატიკურ პრაქტიკაში არაერთგზისაა დამოწმებული კრებსითი საბუთების შედგენის ფაქტები. ასეთი საბუთები ყველა დიდ კათედრას გააჩნდა კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონების, საშემოსავლო გადასახადების აღსანუსხად და, ზოგიერთ შემთხვევაში, მისი სამართლებრივი უფლებების განსასაზღვრავად. კრებსითია, მაგალითად, სამთავისის გუჯარი (სურგულაძე 2014: 98-110), ბიჭვინტის იადგარი (დოლიძე 1965: 176-183), ქუთაისის, ხონის, ცაგერის და სხვ. დავთრები (დოლიძე 1970: 279-342; 358-373, 374-379), რომლებსაც თავად ეკლესია ადგენდა ეპარქიის საქონებელის აღნუსხვისა და მართვის მიზნით. ამგვარი დოკუმენტების შედგენილობა და სტრუქტურა ყოველთვის ერთნაირი არაა, მაგრამ ყველა ისინი ემსახურებოდნენ ეკლესიის პრაქტიკულ საჭიროებებს.

კრებსით საბუთებში თავს იყრის სხვადასხვა დროის, ზოგჯერ რამდენიმე საუკუნის ინფორმაცია მოცემული ეპარქიის სამწყსოს, იურისდიქციის ფარგლების, მისი სამართლებრივი, იმუნიტეტური უფლებების, ფისკალური წესრიგისა და სხვ. შესახებ (მაგალითად, სამთავისის გუჯარი, ბიჭვინტის იადგარი), რის გამოც კრებსით საბუთებს მემორიალური დანიშნულებაც ჰქონდა. კრებსითი საბუთები ძველი საბუთების კომპილაციის გზით იქმნებოდა, სწორედ ამიტომ ისინი იურიდიული არსით ყოველთვის პირებს წარმოადგენდნენ, როგორიც იყო, მაგალითად, *ბიჭვინტის იადგარი* (სურგულაძე 1999: 376-383). მათში გადმოცემული იყო გამოყენებული დედნების იურიდიული შინაარსი, მაგრამ არ იყო დაცული (და ეს ვერც მოხერხდებოდა) დედნებთან ტექსტობრივი სიზუსტე. როცა ამგვარ საბუთებს ოფიციალური თანამდებობების პირები ამტკიცებდნენ, მაშინ მათ იურიდიული ძალა ენიჭებოდა.

მცხეთის საკათალიკოსო ეპარქია, რომელიც გამოირჩეოდა სამწყსოს, ყმა-მამულის, ეკლესია-მონასტრების, სამეურნეო ობიექტებისა და სახლების მრავალრიცხოვნებით, ბუნებრივია, იყენებდა კრებსითი საბუთების შედგენის პრაქტიკას. მცხეთის კრებსითი დოკუმენტები, რასაკვირველია, ემსახურებოდა საკათალიკოსო ეპარქიის საზღვრების კონტროლს, ფისკალური ერთეულების აღნუსხვას გადასახადების ორგანიზებულად მოკრეფის მიზნით და, რაც ყველაზე არსებითია, მცხეთის პოლიტიკურ ამოცანებს. აქ უსათუოდ გასათვალისწინებელია, რომ მცხეთის მფლობელობა არ შედგებოდა კომპაქტურად განლაგებული მიწებისაგან, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა სხვა ეპარქიების შემთხვევაში. მცხეთის საქონებელი ქვეყნის ყოველ მხარეში იყო მიმობნეული და საქართველოს ძლიერების ხანაში მისი საზღვრები, სამეფო ხელისუფლების ხელშეწყობით, პოლიტიკური მიზანშეწონილობის შესაბამისად ფართოვდებოდა. საუკუნეთა განმავლობაში მცხეთა საქართველოს ყოველ რეგიონში აყალიბებდა თავის ერთგულ ფეოდალურ კონტინგენტს, რომლის დახმარებასაც ყოველთვის იყენებდა პოლიტიკური კრიზისების პერიოდებში. ამით მცხეთა, შეძლებისდაგვარად, აკავებდა ქვეყნის დაშლის პროცესს. ამიტომ იყო, რომ მცხეთის საკათალიკოსო ტახტი, როგორც სამეფო ხელისუფლების ყველაზე საიმედო მოკავშირე, მუდამ იბრძოდა თავისი სამფლობელოების შენარჩუნებისათვის, რადგან ამით მატერიალურ შემოსავლებთან ერთად პოლიტიკური ზეგავლენის ინსტრუმენტსაც ინარჩუნებდა ადგილებზე.

რასაკვირველია, მცხეთის საქონებელის მოცულობა და საზღვრები მაინც იცვლებოდა, რაც, გარკვეული პერიოდულობით, აისახებოდა კიდეც მცხეთის კრებსით საბუთებში. საზოგადოდ, კრებსითი საბუთების შედგენა, განსაკუთრებით ისეთი დიდი და მდიდარი ეპარქიისათვის, როგორიც იყო მცხეთა, მოითხოვდა ხანგრძლივ საარქივო მუშაობას, ცალკეული საბუთების გადასინჯვას, საჭირო ინფორმაციის ამოკრებას და მათ სისტემატიზაციას შერჩეული პრინციპით. მცხეთის განსაკუთრებული მნიშვნელობისა და დამსახურების გამო ერთიანი ქართული მონარქიის წინაშე საქართველოს დაშლის შემდგომაც ქართლისა და კახეთის სამეფო სახლები მცხეთას თანაბრად უჭერდნენ მხარს და მის კრებსით დოკუმენტებს, ჩვეულებრივ, ამტკიცებდნენ, რითაც ხაზს უსვამდნენ მემკვიდრეობით მიღებულ პასუხისმგებლობას მცხეთის წინაშე.

საქართველოს ერთიანობის ხანიდან, როდესაც ფაქტობრივად ჩამოყალიბდა მცხეთის ვრცელი მფლობელობა მთელი ქვეყნის მასშტაბით, მცხეთის არც ერთ კრებსით საბუთს ჩვენამდე არ მოულწევია, თუ

არ ჩავთვლით მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილს, რომელიც, მართალია, ერთი პირის საქმიანობის ანგარიშს წარმოადგენს, მაგრამ საუკეთესოდ ამჟღავნებს საკათალიკოსო კათედრის „ტერიტორიული პოლიტიკის ტენდენციებს". აქ კარგად ჩანს კათალიკოსის მიერ შეძენილი და სვეტიცხოვლისათვის შეწირული მამულების გეოგრაფიული ამპლიტუდა შავშეთ-კლარჯეთიდან მოყოლებული, ჰერეთამდე (შოშიაშვილი 1984: 20-21). მცხეთამ განსაკუთრებით დიდი დანაკარგები განიცადა თემურლენგის ლაშქრობათა შედეგად, რის გამოც ალექსანდრე I თავიდან იწყებს მცხეთის მამულების შემოკრებას: ხელახლა უმტკიცებს მცხეთას გადარჩენილ ძველ სამფლობელოებს და დიდი რაოდენობით სწირავს ახლებს. ალექსანდრე I-ის გარდაცვალებიდან მოკლე ხანში შედგა ჩვენთვის ცნობილი პირველი კრებსითი საბუთი, რომელიც გიორგი VIII-ის სახელით გამოიცა 1447 წელს (სურგულაძე 2014: 36-42).[2] სიგელში შეტანილია უპირატესად კახეთისა და შიდა ქართლის ის სამფლობელოები, რომლებიც ალექსანდრე I-მა განუახლა სვეტიცხოველს ან ახლად შესწირა.

XVI საუკუნეში, გარკვეული ინტერვალებით, რამდენჯერმე შეიქმნა მცხეთის კრებსითი საბუთები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან რეგიონების შერჩევის პრინციპით. ეს გარემოებაც ირიბად მიანიშნებს იმ გამუდმებულ ბრძოლაზე, რომლის გადატანაც უხდებოდათ ქართლის კათალიკოსებს მცხეთის სამფლობელოების შესანარჩუნებლად. კრებსითი საბუთების კატეგორიას განეკუთვნება 1516 წლის სიახლოვეს შედგენილი მცხეთის სამწყსოს ნუსხა სამცხე-საათაბაგოში, რომელიც 25 დიდ თავადურ სახლს მოიცავს (დოლიძე 1970: 242-244). ასევე კრებსითია 1516-1545 წლების მონაკვეთში გამოცემული ამჟამად თავბოლონაკლული საბუთი (ხეც Ad-697). ამ უკანასკნელში ერთადაა შეტანილი მცხეთის კუთვნილი კახური სამფლობელოები და სამცხე-საათაბაგოს ზემოხსენებული მამულები, რაც იმის მოწმობად უნდა ჩაითვალოს, რომ საბუთის შედგენის დროს მცხეთას კიდევ მიუწვდებოდა ხელი სამცხის მამულებზე. 1559 წლის 1 დეკემბრით არის დათარიღებული სვიმონ მეფის სახელით გამოცემული მცხეთის კიდევ ერთი კრებსითი სიგელი (დოლიძე 1970: 263-268),[3] რომელშიც ძირითადად სვეტიცხოვლის ქართლური სამფლობელოებია აღნუსხული. ამათთან ერთად შეტანილია მხოლოდ ერთი კახური მამული („აშს ოდიშელისძენი"), რის გამოც სიგელს ხელს კახი ბატონიშვილი ალექსანდრეც აწერს (დოლიძე 1970: 263-267). საკუთრივ მცხეთის კახური მამულების ვრცელი ჩამონათვალი მოცემულია 1589 წელს შედგენილ ალექსანდრე II კახთა მეფის სიგელში (დოლიძე 1965: 197-202). მსგავს სიგელებში შეტანილ სამფლობელოთაგან ზოგიერთი რეალურად სხვის მფლობელობაში შეიძლებოდა ყოფილიყო გადასული, ან იმდენად გავერანებულ-გაპარტახებული, რომ მატერიალური სარგებელი ვერც მოეტანა ეპარქიისათვის. მაგალითად, 1559 წლის კრებსითი სიგელის მინაწერის ცნობით, სიგელის დაწერის დროისათვის ჩამოთვლილთაგან რამდენიმე მოზრდილი სამცხეთო მამული მცხეთას დაკარგული ჰქონია (დოლიძე 1970: 268), მაგრამ მთავარი მცხეთისათვის მაინც იურიდიული მხარე ჩანს. მიუხედავად ფაქტობრივი მდგომარეობისა, კრებსითი სიგელების საშუალებით მცხეთა ყოველ ჯერზე თავიდან ადასტურებდა თავისი იურისდიქციის გავრცელების იურიდიულ საზღვრებს.

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენი მსჯელობის მთავარ საგანს – XVI საუკუნის მინურულს შედგენილ მცხეთის ორ, ერთნაირი შინაარსის კრებსით საბუთს, რომელთაგან ერთს ქართლის მეფე ამტკიცებს, მეორეს – კახეთის მეფე. ორივე საბუთი წინა კრებსით საბუთებს სისრულით მნიშვნელოვნად აღემატება. მათში ასახულია მცხეთის უაღრესად შთამბეჭდავი მფლობელობა ერთიანი საქართველოს ისტორიულ მხარეებში. ქართლისა და კახეთის სამცხეთო მამულებთან ერთად აქ შეტანილია უკვე ოსმალთა ხელში მყოფი სამცხე-საათაბაგოს სამცხეთო მამულები და, ასევე, მოცემულია უიშვიათესი ცნობა იმერეთის სამეფოში მცხეთის სამფლობელოთა არსებობის შესახებ.

ორიოდ სიტყვით უნდა შევჩერდეთ მცხეთის იმერული სამფლობელოების საკითხზე. გარკვეული მინიშნებანი მცხეთის მფლობელობაზე დასავლეთ საქართველოში აქა-იქ სხვა წყაროებშიც არის გაბნეული, მაგრამ არა ისეთი სიცხადით, როგორც ეს ჩვენს კრებსით საბუთებშია. ამ საბუთთა მიხედვით სურათი ასეთია: მცხეთის მფლობელობაში ყოფილა: „მონასტერი კაცხი შესავლითა და სოფელი რკვია" (ხეც ა: Hd-8712; სეა ა: 1449-1312) „მონასტერი კაცხისა თავისის მამულითა და აგარაკითა; სამიქელაოს ორივე საშავარდნე" (ხეც ბ: Qd-11248-ბ). ამ ცნობათა მიხედვით, გარკვეულ პერიოდებში მცხეთას ხელი მიუწვდებოდა, ერთი მხრივ, არგვეთში კაცხის მონასტერზე და სოფელ რკვიაზე, ანუ იმ ადგილებზე, რომლებიც XV საუკუნიდან აბაშიძეთა სათავადოში შედიოდა (სოსელია 1973: 155,158), მეორე მხრივ, იმერეთის ცენტრალურ ვაკეზე, მიქელაძეთა სათავადოს ორ სოფელზე – სამიქელაოს ორივე საშავარდნე [4].

კრებსითი საბუთის ეს ცნობები ეხმიანება იმ ძველისძველ საისტორიო ტრადიციას, რომლის თანახმად, ადრეულ შუასაუკუნეებში, გარკვეული წყვეტილებით, ქართლის კათალიკოსის იურისდიქცია ისტორიულ არგვეთზეც ვრცელდებოდა. ამ ტერიტორიას გულისხმობენ მკვლევრები მაგალითად, იოანე დრასხანეკერტელის ცნობაში, რომ კირიონ ქართლის კათალიკოსი ეგრისის (და გუგარქისაც) არქიეპისკოპოსის პატივს ფლობდა (აბულაძე 1937:9). სხვა ცნობათა თანხმად, VIII საუკუნის პირველ ნახევარში მცხეთის იურისდიქციაში ყოფილა მოქცეული ვაკე-იმერეთიც და საკმაოდ ვრცელი ტერიტორია რიონის მარჯვენა სანაპირზე (აბრამიშვილი 1977: 36; მუსხელიშვილი 2003: 380-381). ამ ტერიტორიების მოქცევას მცხეთის იურისდიქციაში „ერთობასა შინა" ადასტურებს ვახუშტი ბაგრატიონიც ხონის ეკლესიაზე საუბრის დროს (ყაუხჩიშვილი 1973: 750-751). ეს

ცნობები, მართალია, ძალზე ადრეულ ეპოქებს ეკუთვნის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საზოგადოდ მცხეთის ტრადიციულ ტერიტორიულ პოლიტიკას, გამორიცხული არ არის, რომ მას ერთიანობის ხანაშიც ჰქონოდა მცდელობები მოეპოვებინა სამფლობელოები დასავლეთ საქართველოში. მაგრამ შემდგომში, საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის, მეტადრე დასავლეთ საქართველოს ეკლესიური გამიჯვნის პირობებში, ამგვარი მცდელობებისათვის თითქოს ნაკლები საშუალებები უნდა არსებულიყო, მაგრამ, კრებსითი საბუთების მიხედვით, მცხეთის იმერული სამფლობელოები აქა-იქ ეპიზოდურად მაინც ჩნდება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მცხეთის მწიგნობრები რეალურ ისტორიულ ცნობებს ემყარებოდნენ, როდესაც კრებსით საბუთებში ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეჰქონდათ.

დოკუმენტური მოწმობა, რომ ქართლის კათალიკოსს, მართლაც, ჰქონდა იმერეთში ყმა-მამული, შემონახულია კიდევ ერთ საბუთში, რომელიც მცხეთის სადროშოს ეძღვნება. ამ საბუთის დათარიღების საკითხი, სამწუხაროდ, ბოლომდე არ არის ნათელი, მაგრამ აშკარაა, რომ იგი გაცემულია „დაშლილი საქართველოების“ დროს. მისი ავტორია კახეთის მეფე ალექსანდრე (საკითხავია, I თუ II)[5]:

> ქ. ჩვენ, ხელმწიფემ, მეფემ ალექსანდრემ, ესე წიგნი მოგართუით თქუენ, ჩუენს სასოებას და სიქადულს სვეტს ცხოველსა და კვართს საუფლოსა და მირონსა წმიდასა და სულისა ჩუენის მეოხსა კ(ათალიკო)ზს ბასილს, ასე და ამა პირსა ზედა, რომე, რაც თქუენი ყმა იყოს ქართლსა, კახეთსა, საათაბაგოს, სომხეთს თუ საბარათიანოს, თრიალეთს ზედა თუ *იმერეთს,* ლაშქარსა და ნადირობას თქუენი ყმა თქუენ ნუ გაგეყრების... (კლიმიაშვილი 1964:137-138).

საბუთში ასახული ისტორიული რეალობა საკმაოდ გვიანაც, XVIII საუკუნეში სრულ ჭეშმარიტებად მიაჩნდათ, რასაც უჩვენებს საბუთზე დართული დამტკიცებები ერეკლე II-ისა და სამეფო ოჯახის სხვა წევრებისა. ერეკლეს დროს რომ ცოცხალი იყო ხსოვნა დასავლეთ საქართველოში მცხეთის კათალიკოსის საქონებელის არსებობის შესახებ, კარგად ჩანს ერეკლეს კიდევ ერთ საბუთში – ესაა 1769 წელს გაცემული *მცხეთის სასარდლოს განწესების წიგნი:* „რადგან ძველათ ნეტარხსენებულის ჩვენის ჩამომავლობისაგან სვეტისცხოვლის ყმისა ასე განწესება ყოფილა, რომ, რაც სვეტისცხოვლის ყმა ქართლს, *იმერეთს,* კახეთს, საათაბაგოს, სომხითს, თუ საცა იყოს, მის უწმინდესობას კათალიკოზს უნდა ახლდეს და თავის ყმით ჩვენს დროშაზე ბძანდებოდეს“ (დოლიძე 1965: 418).

ამრიგად, წყაროთა ჩვენებები მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ XV-XVI საუკუნეებში მცხეთას დასავლეთ საქართველოში პერიოდულად მცირე სამფლობელოები მაინც ჰქონდა. ამგვარი პერიოდების მოქცევა ზუსტ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში შეუძლებელია საკონტროლო მასალის არარსებობის გამო, მაგრამ ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა მაინც შეიძლება.

ცნობილია, რომ XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა „მამული ლიპარიტეთი“, რომელშიც, დიდი ალბათობით, კაცხიც შედიოდა, გელათს შესწირა (ყაუხჩიშვილი 1955: 330), მაგრამ რამდენ ხანს დარჩა კაცხი გელათის კუთვნილებაში, არ ვიცით. 1529 წელს მალაქია კათალიკოსის მიერ გელათისათვის ბოძებული საბუთის მიხედვით, კაცხი გელათის სამფლობელოთა საზღვარზეა, თავად იგი გელათს არ ეკუთვნის (კაკაბაძე 1921: 10-11). რადგან XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე არგვეთი აბაშიძეთა სათავადო ტერიტორია ხდება, კაცხიც აბაშიძეთა მამულებში უნდა ვივარაუდოთ, მაგრამ XV საუკუნის მიწურულსა და XVI საუკუნის დასაწისში აბაშიძეთა აქტიური საქტიტორო საქმიანობა მიმართული ჩანს სოფელ ჭალაში, რომელიც აბაშიძეთა უძველესი რეზიდენცია იყო (სოსელია 1973: 154). ამიტომ ჩნდება ეჭვი, რომ კაცხი ამ დროს აბაშიძეთა საკუთრებაში ჯერ არ უნდა ყოფილიყო. კაცხი აბაშიძეთა შეწირულების ადრესატად პირველად მოიხსენიება ამირეჯიბ აბულახსარ აბაშიძის ორ უთარიღო საბუთში, რომელთაც ს. კაკაბაძე 1515-1535 წლებს შორის ათავსებს (კაკაბაძე 1928: 46-47, 42-44). შემდგომ წლებში კაცხისადმი განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა ვახუშტი აბაშიძის შეწირულების საბუთი (სოსელია 1973: 155). ეს საბუთები მიანიშნებს, რომ კაცხი დაახლოებით XVI საუკუნის 30-იანი წლებიდან იქცა აბაშიძეთა მთავარ რეზიდენციად. მანამდე კი, XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნის დასაწყისში, დროის იმ მონაკვეთებში, როცა ქართლ-იმერეთის პოლიტიკური საზღვრები ხშირად იცვლებოდა და მკაფიოდ გამიჯნული არც იყო, თეორიულად შესაძლებელია, ქართლის კათალიკოსი მცირე ხნით მაინც დაპატრონებოდა არგვეთის ნაწილს, მათ შორის კაცხს და რკვიას.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ჩვენს ხელთ არსებული თითო-ოროლა ცნობაც იმერეთის ფეოდალური არისტოკრატიის მიერ პოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვით სვეტიცხოვლის სასარგებლოდ გაცემული შეწირულობების შესახებ. მაგალითად, XVI ს. 30-იანი წლების დასაწყისში ქართლის მეფე ლუარსაბმა, როგორც ჩანს, დიპლომატიური მიზნით, თავისი და მიათხოვა იმერეთის თავად გუსტან ჭილასძის ვაჟს, ჯავახს. ამ ე.წ. „უხვედრი ქორწინების“ საკომპენსაციოდ ქართლის კათალიკოს მალაქიას მოთხოვნით, გუსტან ჭილასძემ სვეტიცხოველს საკანონოდ შესწირა სამოცი ლიტრა ცვილი (სეა, დ: 1448-2285). შემდგომში, 1549 წელს, სოფელ ბლისკარის ყმა-გლეხებს მათი საბეგრო ვალდებულებებით სვეტიცხოველს სწირავს უკვე ჯავახ ჭილასძე, როგორც ლუარსაბ მეფის სიძე და მისი პოლიტიკური მოკავშირე (სეა ე: 1449-1666).

ამგვარ შეწირულებათა ხანგრძლივობა, დიდი ალბათობით, ხანმოკლე იყო და იგი არ აღემატებოდა თავად შემწირველთა სიცოცხლის ხანგრძლივობას, მაგრამ შესაბამის დოკუმენტებს ფორმალურ-იურიდიული მნიშვნელობა მაინც ჰქონდა შენარჩუნებული და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ისინი ინახავდნენ ხსოვნას მცხეთის ტახტის ისტორიული უფლებების შესახებ.

ამრიგად, XVI საუკუნის ბოლოს მცხეთის საკათალიკოსო ეპარქიაში იქმნება კრებსითი დოკუმენტი, რომელშიც პროეცირებულია საქართველოს ერთიანობის ისტორიული სურათი მცხეთის ვრცელ სამფლობელოთა ფარგლებში. თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას: სამცხე-საათაბაგოს ოსმალთაგან დაპყრობას, ქართლის თითქმის მუდმივ საომარ მდგომარეობას, კახეთის ორჭოფობას ოსმალეთსა და ირანს შორის, გაუგებარი ჩანს, რა მოტივით ხელმძღვანელობდა მცხეთა, როდესაც მოცემულ პირობებში ასეთი სისრულის კრებსით დოკუმენტს ადგენდა.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ცვლილებები ქართლის კათალიკოსის ტიტულატურის ფორმულებში, რომელიც XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან შეინიშნება და შემდგომ საუკუნეებში საყოველთაოდ ვრცელდება. მაგალითად, კათალიკოს ნიკოლოზ VIII-ის მიერ 1588 წელს გაცემული ერთი წყალობის წიგნი ასე იწყება: „ქ. ჩუენ, ქრისტეს ღ(მრ)თისა მიერ კურთხეულმან, ყოვლისა საქართველოს მამათმთავართ მთავარმან, ქართლისა კ(ალიკო)ზ-პატრიაქმან, ჴელმწიფის ლეონის ძემან, პატრონმან ნიკოლაოზ..." (დოლიძე 1970: 346-347). რას გულისხმობდა „ყოვლის საქართველოს" მამათმთავართმთავრობა, ეს ჩანს შედარებით უფრო გვიანდელი ნიმუშებში, რომლებშიც ეს ფორმულა ასეა გახნილი: „...ქართლისა, კახეთისა, სამცხე-საათაბაგოსა მაკურთხეველი..." (დოლიძე 1970: 489, 579, 596-597, 600, 620, 618, 626).

შეუძლებელია ამ ფორმულაში, რომლის კომპონენტები უფრო ფეოდალ მონარქს შეეფერება, ვიდრე მწყემსმთავარს, პოლიტიკური ქვეტექსტი არ დავინახოთ. როგორც ჩანს, ამ ფორმულამ შემოინახა ხსოვნა ქართლის ეკლესიის მესვეურთა პრეტენზიაზე – საქართველოს პოლიტიკური დაშლა-დაკნინებისა და მუსლიმური გარემოცვის პირობებში სწორედ ქართლის კათალიკოსს ეტვირთა ქვეყნის გამაერთიანებლის ფუნქცია.

1590 წელს ირან-ოსმალეთის ზავის შედეგად მთელი აღმოსავლეთ საქართველო ოსმალეთის გავლენის სფეროში მოექცა. ოსმალთა პოლიტიკა ქრისტიანული ეკლესიის მიმართ გაცილებით უფრო ხისტი და სწორხაზოვანი იყო, ვიდრე ირანისა. ქართლს წინ ედო სამცხე-საათაბაგოს მაგალითი, სადაც უკვე დაწყებული იყო ეკლესიის შევიწროვების პროცესი. ამ დროს ქართლის კათალიკოსს და მაღალ სამღვდელოებას შეუძლებელია არ ეფიქრათ ეკლესიის წინაშე მდგარ საფრთხეებზე, რომლებიც ოსმალთა ბატონობას აუცილებლად თან მოჰყვებოდა. მაგრამ რა მექანიზმები ეპყრა ხელთ ქართლის კათალიკოსს ესოდენ სერიოზული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად? მას შეეძლო მიემართა ისევ და ისევ უკვე ტრადიციად ჩამოყალიბებული ერთადერთი საშუალებისათვის – ცდილიყო თავისი იურისდიქციის აღდგენა-დამტკიცებას ისტორიულ საზღვრებში (მათ შორის სამცხე-საათაბაგოსა და იმერეთშიც), რათა ლეგიტიმური სივრცე მოეპოვებინა თავისი სამწყსოს დასაცავად. ამგვარი პოზიციის გამოძახილი ჩანს მცხეთის კრებსით საბუთებში, რომლებშიც მცხეთის ეპარქიალური საზღვრებით გადაფარულია იმჟამინდელი შიდა პოლიტიკური საზღვრები, ხოლო ქართლის კათალიკოსი წარმოჩენილია, როგორც შემაკავშირებელი ფიგურა „დაშლილი საქართველოებისა". ასეთი იყო ქართლის კათალიკოსთა ტრადიციული „ტერიტორიული" პოლიტიკა, სხვა არანაირი მექანიზმი მიმდინარე მოვლენებზე ზემოქმედებისათვის მათ არ გააჩნდათ [6].

სულ სხვა საქმეა, რამდენად ადექვატური და შედეგიანი იქნებოდა მცხეთის ძველი ნაცადი გზა ახალ პოლიტიკურ რეალობაში, როცა ოსმალეთის იმპერია არ ცნობდა ეროვნულ ეკლესიებს და ყველას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უქვემდებარებდა. რომ არა 1603 წელს ირან-ოსმალეთის ომის განახლება, დიდი ალბათობით, ქართლის ეკლესიის წინაშე რეალურად დადგებოდა სტატუსის საკითხი, რის დასაცავადაც იმჟამინდელ ქართლის ეკლესიას სხვა არაფერი გააჩნდა, გარდა ისტორიული არგუმენტებისა. ასეთი არგუმენტთაგანი იყო ძველი სამფლობელოების შემოკრება მთელი საქართველოს მასშტაბით და მეფეთაგან მათზე ხელახალი მტკიცებულობების მიღება.

თუ ამ პოზიციიდან შევაფასებთ, მცხეთის კრებსითი საბუთების „უცნაურობანი" ადვილად აიხსნება. დოკუმენტის თავდაპირველი ტექსტი შეუდგენიათ მცხეთაში, შემდეგ მისგან გადაუწერიათ მეორე პირი, რომელთაგან ერთი წარუდგენიათ ქართლის მეფისათვის, მეორე – კახეთის მეფისათვის. საბუთებს ამტკიცებენ ორივე სამეფოს კარზე, რადგან ორივე იზიარებდა დოკუმენტის პოლიტიკურ სულისკვეთებას და თანაბრად ინაწილებდა მცხეთის მიმართ პასუხისმგებლობას.

კრებსითი საბუთების არსებული პირები – ყველა თავნაკლულია. სრული ყოფილა მხოლოდ ის პირი, რომელიც საფუძვლად დასდებია *აქტებში* გამოქვეყნებულ რუსულ თარგმანს. თარგმანიდანაც ჩანს, რომ თავდაპირველ ტექსტში საბუთი იწყებოდა მეფის ტიტულატურით, მაგრამ კონკრეტული მეფის სახელის გარეშე. ეს გარემოებაც მიანიშნებს, რომ კრებსითი საბუთის თავდაპირველ ვერსიებში, სწორედ იმის გამო, რომ იგი სხვადასხვა მეფისათვის უნდა წარედგინათ, კონკრეტული მეფის სახელი არც იყო ჩაწერილი. სამაგიეროდ, მეფეთა სახელები საბუთებს დაერთო ბოლოში, მტკიცებულებითი ფორმულებისა და ხელრთვა-ბეჭდების სახით.

საბუთების შემდგენელ-გადამწერთა სახელებიც ამ ორ ვერსიას უკავშირდება. კახური ვერსიის მწიგნობარია ქვათახევის წინამძღვარი ფილიპე ბარათაშვილი, ქართლური ვერსიისა – სვიმონ მეფის კარის წინამძღვარი იოსები. ორივე მწიგნობრის სახელი ცნობილია სხვა საბუთებიდანაც. ფილიპე ბარათაშვილი სვეტიცხოვლის საბუთებს წერს 1559, 1570, 1574 წლებში (ხეც გ: Ad-1572; ხეც დ: Hd-1557; ჟორდანია 1897: 415). იოსებს კი, 1595 წელს დაუწერია სვიმონ მეფის შეწირულების სიგელი თბილისის მეტეხთა ღმრთისმშობლისადმი (სეა გ: 1449-1630). ამ მწიგნობართაგან თავდაპირველი ტექსტის ავტორი ფილიპე ბარათაშვილი ჩანს. ამას ადასტურებს ფილიპეს ვერსიის დიპლომატიკური ფრაზეოლოგიის იდენტურობა მის მიერვე შედგენილ სვეტიცხოვლის სხვა (ხეც გ: Ad-1572) სიგელთან. იოსების ვერსია რედაქციულად ოდნავ სხვაობს კიდეც ფილიპე ბარათაშვილის ვერსიისაგან.

სვეტიცხოვლის კრებსითი საბუთები, შედგენილი XVI საუკუნის დასასრულს, საკათალიკოსო ეპარქიის მფლობელობის მთლიან ისტორიულ სურათს ქმნის. ამ მხრივ ისინი შემაჯამებელი დოკუმენტებია. მათი შედგენის დროისათვის აქ ჩამოთვლილ სამფლობელოთა დიდ ნაწილს მცხეთა რეალურად ვეღარ ფლობდა, მაგრამ ხსოვნა მისი მასშტაბური მფლობელობის შესახებ კვლავ ცოცხლობდა და დროდადრო მას იურიდიულ ფორმას ანიჭებდნენ, რათა, საჭირო შემთხვევაში, მტკიცებულებად გამოეყენებინათ.

შენიშვნები

[1] ალექსანდრე ბატონიშვილის მტკიცებულების გაჩენა საბუთზე, მაშინ, როდესაც მასში ძირითადად ქართლის მამულებია ჩამოთვლილი, ახსნილია მასში იმ კახური მამულის მოხსენიებით, რომელიც იმ დროისათვის კახ ბატონიშვილს წილობრივი უფლებებით სჭერია (ოდიშელი 1964: 101). ქართლის სამეფო ოჯახიდან ამ საბუთს ბეჭდით ამტკიცებს სვიმონ მეფის ძე, გიორგი ბატონიშვილი.

[2] საბუთი თავადაპირველად შედგენილი ყოფილა 1442 წელს ვახტანგ IV-ის მიერ, შემდგომ იგი გადაუკეთებიათ და 1447 წელს გიორგიVIII-ის სახელით გამოუცია (ჯოჯუა 2009: 123-135).

[3] სიგელი თავნაკლულია, ამიტომ მისი გამცემი მეფის სახელი დაკარგულია. სვიმონ მეფის სახელის აღდგენა შესაძლებელი ხდება საბუთის თარიღში გამცემი მეფის IV ინდიქტიონისა და კათალიკოს დომენტი I-ის ზეობის წლების გადაკვეთით.

[4] სამწუხაროდ, ამ სახელწოდების სოფლები ვერ დავადასტურეთ ვახუშტი ბაგრატიონთან, მას არ ასახელებს არც ო. სოსელია სამიქელაოს სოფელთა ჩამონათვალში (სოსელია 1973: 54-55).

[5] უფრო მოსალოდნელია, საბუთი ალექსანდრე I კახთა მეფეს ეკუთვნოდეს. ნაკლებ სავარაუდოა, ამასიის ზავის შემდგომ ამგვარი შინაარსის საბუთი შეედგინათ.

[6] XVIII საუკუნეში, ოსმალთა ბატონობის საწყის წლებში მსგავსი შინაარსით იწერება მცხეთის კიდევ ორი კრებსითი საბუთი, რომელთა მიზანი იყო ოსმალთა ხელისუფლებისაგან ქართლის კათალიკოსის კანონიკური უფლებების და სვეტიცხოვლის სამფლობელოების დამტკიცება მის ისტორიულ საზღვრებში (სურგულაძე 2015: 320-336).

დამოწმებანი

აბულაძე 1937: ი. აბულაძე. იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლებით ილია აბულაძისა, თბილისი.

აბრამიშვილი 1977: გ. აბრამიშვილი. სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბილისი.

აქტები 1866: Акты. Собранные Кавказскою археографическою комиссиею, Архив главного управления наместника кавказского, т. I, Тифлис.

აქტები 1875: Акты. Собранные Кавказскою археографическою комиссиею, Архив главного управления наместника кавказского, т. VI, часть. II,Тифлис.

ბერძენიშვილი 2000: დ. ბერძენიშვილი. ჯავახეთი, თბილისი, ნეკერი.

ბროსე 1835: M.Brosset. Introduction dans l'histoire de la Georgie, Paris.**ბროსე 1849:** M Brosset. Histoire de la Georgie depuis l'antiquité jusqu`en1469 de I.-C. St. Pétersbourg.

დოლიძე 1965: ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, II, თბილისი.

დოლიძე 1970: ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, III, თბილისი.

კაკაბაძე 1921: ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, ტფილისი.

კაკაბაძე 1928: ს. კაკაბაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, III, თბილისი.

კაკაბაძე 1967: С.С. Какабадзе. Грузинские документы Института народов Азии, Изд. Наука, Москва.

კლიმიაშვილი 1964: ა.კლიმიაშვილი. მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის, XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბილისი.

ლომინაძე 2013: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, II, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს: თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ, თბილისი.

მუსხელიშვილი 2003: დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში,თბილისი.

ოდიშელი 1964: ჯ. ოდიშელი. აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის, XIV-XV სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბილისი.

ჟორდანია 1897: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წ. II, ტფილისი.

საქართველოს ეროვნული არქივი ა: საქართველოს ეროვნული არქივი (შემდგეგში სეა), ფონდი 1449-საქმე №1312.

სეა ბ: სეა. ფონდი 1449, საქმე 1588, გადაწერილი ს. კაკაბაძის მიერ, ძველი სააღრიცხვო ნომრით №349;

სეა გ: სეა. ფონდი 1449, საქმე №1630.

სეა დ: სეა. ფონდი 1448, საქმე №2285.

სეა ე: სეა, ფონდი 1449 საქმე №1666.

სეა ვ: საქართველოს ეროვნული არქივი (შემდგომში სეა), ფონდი 1449, საქმე №1495.

სოსელია 1973: ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიიდან, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი.

სურგულაძე 1999: მ. სურგულაძე. ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან. „ბიჭვინტის იადგარი". მრავალთავი XVIII, თბილისი.

სურგულაძე 2010: მ. სურგულაძე. ეპიზოდები XVI საუკუნისსაქართველოს შიდა პოლიტიკური ცხოვრებიდან, ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, მრავალთავი, 23, თბილისი.

სურგულაძე 2014: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, თბილისი.

სურგულაძე 2015: ოსმალობის პერიოდის მცხეთის ორი დოკუმენტი, მრავალთავი, 24 (იბეჭდება).

ყაუხჩიშვილი 1955: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1973: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი.

შოშიაშვილი 1984: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ.შოშიაშვილმა, თბილისი.

ჯოჯუა 2009: თ. ჯოჯუა. ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯრის თავდაპირველი ტექსტის დადგენისათვის, საერთაშორისო სიმპოზიუმი *ქართული ხელნაწერი*, მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

ჯოჯუა 2011: თ. ჯოჯუა. მასალები სიქანელისძეთა ფეოდალური სახლის ისტორიისათვის (XIII-XIV სს.), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის და საქართველოს ისტორიის შრომები, თბილისი.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ა: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შემდგეგში ხეც), ფონდი Hd, ხელნაწერი №8712, ძველი სააღრიცხვო ნომრით №59.

ხეც ბ: ხეც. ფონდი Qd, ხელნაწერი №11248-ბ.

ხეც გ: ხეც. ფონდი Ad, ხელნაწერი №1572.

ხეც დ: ხეც. ფონდი Hd, ხელნაწერი №1557.

ხეც ე: ხეც. ფონდი Ad, ხელნაწერი №697.

AGGREGATE CHARTERS OF EPARCHY OF MTSKHETA CATHOLICOS

Mzia Surguladze

The present paper is dedicated to two aggregate charters belonging to Svetitskhoveli Cathalicos Cathedral. These charters present the historical picture of the most expanded ownership of Svetitskhoveli. Originals of the documents are lost. In the XIX century copies, which reached us, texts of the charters are identical, but they differ from each other by the names of the kings (authors), who issued them and the scribes (writers), who compiled them. Publishers of the document (M. Brosset, T, Zhordania) concentrate attention on the dates of the charters (1398/1392) and the kings, who issued them (Alexandre and Svimon). Here are also mentioned chronological discrepancies of Cathalicos (Domenti), though no efforts were made to review the documents' dates. Just because of this the historical realities witnessed in the documents were brought unchanged into the scientific literature from the publications of the mentioned authors.

Composition of the aggregate documents is discussed in the present paper – through comparison with other documents of Svetitskhoveli, the chronology is determined of transferring the lands named in the aggregate documents into the ownership of Svetitskhoveli, in result of which it is clarified that the aggregate documents were compiled not earlier than II half of XVI century. This conclusion made it possible to correct the date of documents – it seems that in the process of copying the first grapheme "S" of Koronikon was lost that gave us two century long difference with the real time (1598 or 1592) of the documents compilation. 1592 was excluded from these two dates, because Domenti II, Catholicos of Kartli, mentioned in the documents, was Cathalicos in 1595-1610.

Determination of the date clarified identity of the kings, who confirmed the documents – one document is confirmed by Svimon I (1556-1599), King of Kartli, the other – by Akexandre II (1574-1605), King of Kakheti.

Thus, an initiator of compilation of the documents seems to be Domenti II, Catholicos of Kartli. The fact of legal confirmation of the Svetitskhoveli aggregate documents by the kings of Kartli and Kakheti in the present paper is connected with the political situation formed in Georgia – from the 1950s East Georgia appeared to be fully in the sphere of political influence of the Ottoman Empire. In this period, the Kartli Church faced the danger of intensified activities of the Ottoman church policy, which prompted the Kartli Church to prepare Mtskheta aggregate documents, in which the historical borders of Mtskheta jurisdiction spreading would be fully presented.

მაღალაძეთა საგვარეულოს ისტორიისთვის

ელზა ხაინდრავა

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ყოველთვის დიდ როლს თამაშობდნენ ფეოდალური საგვარეულოები. საქართველოს ისტორიის მრავალი საკვანძო საკითხი ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიასთანაა გადაჯაჭვული. უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესოა იმ საგვარეულოთა ისტორიის კვლევა, რომლებიც ორგანულად იყვნენ დაკავშირებულნი ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას. XIV-XVIII სს-ის ქართლის სამეფოს ცხოვრებაში კვლავინდებურად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა განსაკუთრებული პრივილეგიებით აღჭურვილი მცხეთიშვილთა ფენა. მცხეთიშვილები იყვნენ შთამომავალნი იმ აზნაურული საგვარეულოებისა, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში დაკისრებული ჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოს საკათალიკოსო მამულების მეურვეობა. მცხეთიშვილთა შორის თვალსაჩინო ადგილი ეკავათ მაღალაძე/მაღალაშვილთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლებს.

ჩემი საკვალიფიკაციო თემა კასპის რაიონის ეპიგრაფიკულ ძეგლებს ეხება. სწორედ ამ ძეგლებზე მუშაობის დროს დავინტერესდი მაღალაძეთა საგვარეულოს ისტორიით. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „წინარეხს ზეით არს მონასტერი ყოვლად წმიდისა, ბეთლემად სახელდებული და იქავ სახლობენ აზნაურნი მაღალაძენი" (ყაუხჩიშვილი 1973: 14).

მაღალაძე/მაღალაშვილთა გვარის შესწავლას დიდი ამაგი დასდო ვახტანგ ბერიძემ. მან პირველმა წაიკითხა და გამოაქვეყნა „მაღალაანთ კომპლექსში" არსებული წარწერები. ასევე მას ეკუთვნის ამ კომპლექსის აღწერილობა. ვ. ბერიძის ორ ნაშრომში *წინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა* და *წინარეხი, სასხორი, გომისჯვარი*, მრავალი საინტერესო და ყურადსაღები ფაქტია მოყვანილი ამ საგვარეულოს შესახებ (ბერიძე 1943; ბერიძე 1947).

მაღალაძეთა გვარს და მათ რეზიდენციას წინარეხში, ასევე შეეხნენ თავიანთ ნაშრომებში მ. ბროსე (ბროსე 1850; 1851), ლ. მელიქსეთ-ბეგი (მელიქსეთ-ბეგი 1925), ს. მაკალათია (მაკალათია 1959) და სხვ.

მიუხედავად განეული შრომისა, ვფიქრობთ, ამ საკითხთან დაკავშირებით კვლევა-ძიება უნდა გაგრძელდეს. მაღალაძეთა საგვარეულო მთლიანობაში არ არის შესწავლილი. არ არის დადგენილი მათი სამამულე მფლობელობა და გენეალოგია. არ არის სრულყოფილად წარმოჩენილი საგვარეულოს ცალკეულ წარმომადგენელთა მოღვაწეობა. ჩვენი მიზანია ამ საკითხის მონოგრაფიულად შესწავლა. წინამდებარე სტატია პირველი ნაბიჯია ამ მიმართულებით ჩვენ მიერ გადადგმული.

მაღალაძეები, როგორც აღვნიშნეთ, მცხეთიშვილები იყვნენ. შუა საუკუნეების საქართველოში მცხეთიშვილობა გულისხმობდა მცხეთის საკათალიკოსო საყდრის კუთვნილი მამულების წილობრივ ფლობას და მამულთან დაკავშირებული ყველა სხვა ვალდებულების შესრულებას. ამასთანავე მცხეთიშვილობა ნიშნავდა კათალიკოსთან არსებულ ერთგვარ სათათბირო ორგანოში მონაწილეობას. მცხეთიშვილები კათალიკოსთან ერთად იღებდნენ გადაწყვეტილებას ეკლესიის შიდა ორგანიზაციული, სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა საკითხების შესახებ. მცხეთიშვილობა მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე. იმ შემთხვევაში, როდესაც პირდაპირი მემკვიდრეობითი ხაზი წყდებოდა, მცხეთიშვილობა შესაძლებელია გადაცემოდა ქალის შთამომავლებს. თუკი ასეთებიც არ იყვნენ, მაშინ სამცხეთიშვილო წილზე სვამდნენ ახალ მცხეთიშვილს. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას კანდიდატურის შერჩევის შესახებ დანარჩენ მცხეთიშვილებთან თანხმობით იღებდა კათალიკოსი, საბოლოოდ კი ამტკიცებდა მეფე. მცხეთიშვილებს უპყრიათ კათალიკოსის კარზე სამცხეთიშვილო წილთან მიბმული ყველა ადმინისტრაციული, საეკლესიო და სამეურნეო თანამდებობა: ჯვრისმტვირთველობა, ქადაგობა, სარდლობა, მეღვინეთუხუსობა, მსახურთუხუცესობა, მდივანმწიგნობრობა, მოურავობა, პირისმწდეობა, ამირაჯიბობა და სხვ. მცხეთიშვილები ჩანან მეფეებისა და კათალიკოსების მწირველ-მეაღაპეებად; ისინი მონაწილეობენ მცხეთის სამამულე მფლობელობასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში; ერთმანეთთან დებენ საქმიან გარიგებებს და გამოდიან ერთმანეთის მოწმეებად; ქორწინების გზით ერთმანეთთან კრავენ ნათესაურ კავშირებს და ა.შ. თუკი მცხეთიშვილის ოჯახი იყრება, საქმეს დანარჩენი მცხეთიშვილები არჩევენ. მცხეთიშვილები ქმნიან ცალკე სოციალურ შრეს, მათთვის დამახასიათებელია კორპორაციულობა და ერთობის განცდა. მათი სამართლებრივი და სამეურნეო ცოდნის მოცულობაზე, აგრეთვე, მაღალ სამწიგნობრო კულტურაზე მეტყველებს მათ მიერ შედგენილი დოკუმენტებიც. მცხეთიშვილობა ქართლის უპირველესი ტაძრის საყდრისშვილობას ნიშნავდა (სურგულაძე 2008: 171-179).

მაღალაძეთა ბევრი წევრი თავისი ეპოქის თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა. ისინი დაახლოებული იყვნენ მეფეებსა და კათალიკოსებთან, აქტიურად მონაწილეობდნენ ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. სხვადასხვა დროს მაღალაძეები იყვნენ: სვეტიცხოველის ქადაგები, არქიმანდრიტები და

სახლთუხუცესები, კათალიკოსის მდივნები, მწიგნობრები, კალიგრაფები, აგრეთვე, კრწანისის, ციხედიდის, ხატისოფლის მოურავები და სხვ. ფლობდნენ დიდძალ მამულებს კავთისხევში, ქვათახევში, ოჩლიურში, ჩოჩეთში, გორში, მცხეთასა და სხვ.

მაღალაძეთა შესახებ ცნობები ნარატიულ წყაროებში ფაქტობრივად არ შემონახულა. მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონი, და ისიც მხოლოდ ერთხელ, მოიხსენიებს ამ საგვარეულოს წარმომადგენელს (მასზე ქვემოთ გვექნება საუბარი). ნარატიული წყაროების ცნობების სიმწირეს ავსებს დოკუმენტური მასალა და ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემები.

არსებული დოკუმენტების მიხედვით, მაღალაძეთა/მაღალაშვილთა საგვარეულოს ისტორიული ევოლუცია შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ჩვენთვის ცნობილი მაღალაძეთა საგვარეულოს პირველი წარმომადგენელია მღვდელ-მონაზონი მაღალაშვილი ზაბილონ. ის დამწერია დავით ბერისძის ნასყიდობის წიგნისა ელიოზ კათალიკოსისადმი, რომელიც თარიღდება 1411 წლის 25 ოქტომბრით (სურგულაძე 2013: 104). მართალია, წყაროების სიმწირე არ იძლევა მისი და სხვა მაღალაძეთა ნათესაური კავშირების დადგენის საშუალებას, მაგრამ ის ფაქტი, რომ ზაბილონი ელიოზ კათალიკოსისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნის დამწერია, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ მისი მაღალაძეთა მწიგნობრული გვარისადმი კუთვნილება.

1411 წლიდან 1441 წლამდე მაღალაძეების ხსენება არ არის ამ პერიოდის საბუთებში. ალექსანდრე მეფის 1441 წლის სიგელში სვეტიცხოვლისადმი, ნათქვამია: „...მცხეთას შევწირე...მაღალაურნი...“ (სურგულაძე 2013: 230). ეს მაღალაურნი, იგივე მაღალაძეები/მაღალაშვილები უნდა იყვნენ.

მცხეთის ქადაგის თანამდებობაზე მაღალაშვილთა საგვარეულოდან პირველად იხსენიება დიმიტრი გაგელიშვილი-მაღალაძე 1443 წლის საბუთში (ფონდი 1451; სურგულაძე 2014: 19). დოკუმენტების მონაცემებით მისი მოღვაწეობა გაგრძელდა 1449 წლამდე. მართალია, პირველ საბუთში დიმიტრი მხოლოდ გაგელისშვილის გვარით იხსენიება, ხოლო დანარჩენ ორში მაღალაძე-გაგელისშვილად, მაგრამ უდავოა, რომ ეს ერთიდაიგივე პიროვნებაა. 1446 წ. და 1449 წ. საბუთებში: „დაიწერა...ჭელითა მაღალაძისა გაგელისშვილისა და მცხეთის ქადაგისა დიმიტრისითა“; 1443 წ. საბუთში „ხელითა მცხეთის ქადაგის დიმიტრი გაგელისშვილისა“. ჩვენი აზრით, აქ უნდა აღდგეს მაღალაძის გვარი: „დაიწერა ჭელითა მაღალაძისა გაგელისშვილისა და მცხეთის ქადაგისა დიმიტრისითა“. დიმიტრი გაგელისშვილი და დიმიტრი მაღალაძე-გაგელისშვილი აშკარად ერთი პირია.

საინტერესოა დიმიტრის ორი გვარით მოხსენიება. სავარაუდოდ, დიმიტრი მაღალაძეს ეწყალობა გაგელიშვილთა მამულები და მათი გვარიც მიიღო. ფეოდალურ საქართველოში მსგავსი შემთხვევები სხვაც არის დაფიქსირებული. ერთი საგვარეულოსთვის რომელიმე ამოვარდნილი ან დამცრობილი საგვარეულოს მამულების გადაცემის შემთხვევაში გვარის მისაკუთრება ხდებოდა. მაგ. XIV-XV სს-ის მიჯნის მოღვაწე ამილახორი ხიმშია აბაზასძე დოკუმენტებში აბაზასძე-მარილელი-აბულეთისძედ იხსენიება, რაც აბაზასძეთა მიერ მარილისის ხეობისა და ამოვარდნილი აბულეთისძეთა მამულის დაკავებით იყო განპირობებული (ოთხმეზური 2006).

ინტერესს იწვევს გაგელისშვილთა გვარის წარმომავლობაც. ხომ არ უკავშირდება ის ძველ ფეოდალურ საგვარეულოს გაგელებს? წყაროთა სიმწირის გამო, ამ საკითხთან დაკავშირებით ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია. როგორც ცნობილია, გაგელები XII-XIII სს. საქართველოს დიდებულ ფეოდალთა საგვარეულოს, მხარგრძელთა განშტოებას წარმოადგენდნენ. ამ გვარის ფუძემდებელი იყო ზაქარია გაგელი, ვარამ მხარგრძელის ძე, რომელმაც თამარ მეფისაგან მიიღო სამემკვიდრეოდ ციხე გაგი და იწოდა გაგელად. XIII ს. 50-იანი წლებიდან გაგელთა სახლი დამცრობილია: მეფეს მსახურთუხუცესობა გრიგოლ სურამელისთვის გადაუცია. როგორც ჩანს, გაგელებს დაუკარგავთ გაგი და მასთან ერთად გაგელობაც; XIII ს. 40-იანი წლების მოღვაწე ვარამის ძე აღბუღა უკვე გაგელად აღარ იხსენიება და გაგის ხსენება ამ დროისათვის ქრება წყაროებში (ენციკლოპედია 1977: 611). გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს: იქნებ გაგელისშვილების წარმომავლობა გაგელების ამ ძლიერ საგვარეულოს უკავშირდება. თუმცა, ამ ფაქტის მტკიცების პრეტენზია, კვლევის ამ ეტაპზე არ გაგვაჩნია.

ყურადღებას იქცევს 1447 წელს შედგენილი შეუვალობის სიგელი გიორგი მეფისა სვეტიცხოვლისადმი. ამ სიგელით სვეტიცხოველს მრავალი ყმა-მამული გადაეცა, მათ შორის, „...კავთისჴევს – გაგელისშვილი მისითა მამულითა ივანიასძეურითა...“ (სურგულაძე 2014: 40). ეს იმას ნიშნავს, რომ გიორგი VIII-მ სვეტიცხოველს დაუმტკიცა კავთისხევს მცხოვრები გლეხი გაგელისშვილი, რომელიც, როგორც ჩანს, ამოვარდნილ ივანიაძეთა მამულს ფლობდა. გამოდის რომ გაგელისშვილებმა მიიღეს ივანიასძეთა მამული, ხოლო შემდეგ გაგელისშვილების (და, მასთან ერთად, ივანიასძეების) მამული მაღალაძეებს გადაეცათ.[1]

1447 წლის შეუვალობის სიგელი თავისთავად საინტერესო დოკუმენტია. გიორგი VIII აღწერს მისი პაპის ძმის, გიორგი მეფის (ანუ გიორგი VII-ის) ზეობისას თემურ-ლენგის მიერ საქართველოს აოხრებას და სვეტიცხოვლის დაქცევას:

> მოსრულ იყო უსჯულოებით აღძრული და ყოელისა ქუეყანისა მაოჴრებელი და ყოვლისა სჯულისა მტერი, აგარის მონათესავე და წინააღმდგომი ყოველთა ჯუარისმოსავთა, უსჯულო თემურ მრავლითა და აურაცხელითა ულუსითა და ამოეწყუიდა საქართველო და მრავალნი სულნი პირითა მახუილისათა მოესრნეს; და ახალი იერუსალემი და ქრისტიანეთა სჯულისა საძირკველი და განმანათლებელი ქრისტეანეთა დედაქალაქი საყდარი მცხეთა დაეკცა. და უსაშინლეს და უმწარეს მოწევნულ იყო დღე-იგი დღესა მას, რომელ კრეტსაბმელ ტაძრისა განიპო, მზე დაბნელდა და ქუეყანა ზარტეხილ იქმნა (სურგულაძე 2014: 38).[2]

თემურ-ლენგის მიერ ეკლესია-მონასტრების დაქცევის ფაქტები დაფიქსირებულია ნარატიულ წყაროებშიც და დოკუმენტებშიც, ეპიგრაფიკულ ძეგლებში. საკუთრივ სვეტიცხოვლის დაქცევაზე *ქართლის ცხოვრებაში* აღნიშნულია:

> რამეთუ ესრედ სახედ ყოველივე ჰყო მძლავრმან უწყალომან ლანგ-თემურ/საქართველოსა შინა, ვითარცა ეფემან ბაბილოვნისამან ნაბუქოდონოსორ მოაწია იერუსალიმსა ზედა, ამან უფროსღა გარდამატა მას, რამეთუ მან არა იკადრა დარღუევა ტაძრისა მის სოლომონისა, თჳნიერ წარღებისა მრავალფასსა მას პატიოსანთა ჭურჭელთა ტაძრისათა, არამედ ამან ლანგ-თემურ ესეოდენი ბოროტი ქმნა, რომელ წარიღო სრულიად პატიოსანი სამკაული და შემკობილნი ჭურჭრლნი წმიდისა კათოლიკე ეკლესიისანი, და იგი არა ჯერ უჩნდა კმაყოფად, არამედ თჳთცა შეჰკადრა და ბილწითა ჴელითა წარმდებად ჴელ-ჰყო დარღუევად და მოოჴრებად სუეტისა ცხოველისა შინაგან, და გარეთ ზღუდენი და პალატნი. და ყოველნივე შენობანი სრულიად იავარ ჰყვეს სპათა ლანგ-თემურისთა (ყაუხჩიშვილი 1959: 452).

ზემოთ მოტანილ 1447 წლის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სვეტიცხოველი აღადგინა ალექსანდრე დიდმა (სურგულაძე 2014: 39). ამას ადასტურებს *ქართლის ცხოვრებაც:*

> ...ამა მეფის ალექსანდრეს აღმზრდელმან მრავლის ჭირნახულობითა, ბებია მისმან ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე-ყოფილმან რუსა, ამან იწყო მრავლისა ღუაწლითა და გულსმოდგინებით აღშენებად წმიდისა სუეტის-ცხოველისა... და ვერღარა სრულ ჰყო აღშენება მისი, ეგრეთ მიიცვალა ამიერ სოფლით....და ვითარ ეგულებოდა მეფესა ალექსანდრეს, ეგრეთვე იგულა და იგულსმოდგინა: ოცდაოთხისა წლისამან იწყო აღშენებად სუეტისა ცხოველისა და აწ ახლად აღაშენა... (ყაუხჩიშვილი 1959: 474).

შემდეგი საბუთი მაღალაძეების შესახებ 1470 წელს არის შედგენილი. ამ წყალობის წიგნით კათალიკოსი დავით V (1466-1479) ბაგრატ მეფის (1466-1478) ნებადართვით, მაღალაძეებს, კონკრეტულად კი, მახარებელ მაღალაძეს და მის ოთხ შვილს: გერმანოზს, მარკოზს, ეგნატის და დიმიტრის, უწყალობებს უმემკვიდროდ დარჩენილი ივანიასძეთა და ასევე უძეოდ გადაგებული ივანიასძეთა ქადაგის დიმიტრის დიდძალ მამულებს და „სახელოს“ ანუ ქადაგობას და სამამთავრო სამწყსოს. ეს ის დიმიტრი მაღალაძეა, რომელიც, როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, 1443-1449 წწ-ში მოღვაწეობდა. მაღალაძეებს აგრეთვე გადაეცათ „მცხეთას სენაკი და სამცხეთიშვილო წილი“ (სურგულაძე 2014: 183). მაღალაძეებს კავთისხევში სასახლე და მამულიც რგებიათ. როგორც ჩანს, სწორედ ამ დროიდან მკვიდრდებიან მაღალაძეები წინარეხში. საბუთში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მახარებელ მაღალაძე დაისვა ივანიასძედ, მახარებელი ხდება ივანიასძეთა გვარის მატარებელი, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიღებული იყო ფეოდალურ საქართველოში. მახარებელი მაღალაძე უფრო ადრეულ საბუთშიც გვხვდება. იგი დამწერია 1465 წლის 23 აპრილის შეწირულების წიგნის ვამიყ შაბუსრისძისა სვეტიცხოვლისადმი (სურგულაძე 2014: 144-147). ხელს აწერს როგორც ოქროპირიშვილი მახარებელი. ოქროპირიშვილი – გვარის ფორმა აქვს მამის სახელს, მაგრამ მაღალაძეებში ეს ფორმა არ დამკვიდრდა.

მახარებელ მაღალაძე, აგრეთვე, დამწერი და მოწამეა 1482 წლის ანდერძის წიგნისა მისრი ედილაშვილისა მღვდელ იოანე ჭარმაულისადმი: „...დაიწერა ქრონიკონსა რო, ჴელითა მაღალისძისა მცხეთის ქადაგისა მახარებელისათა, მოწამეცა არს“ (სურგულაძე 2014: 257). ეს საბუთი დაკარგულია. მისი დედანი უნახავს თ. ჟორდანიას ელისაბედ ზაალის ასულ თუმანიშვილის კერძო კოლექციაში. თ. ჟორდანია „ანდერძს“ ათარიღებს 1442 წლით. მას არგუმენტად მოყავს ის ფაქტი, რომ *ანდერძში* მოხსენიებული შიო კათალიკოსი 1440-1446 წლებში მოღვაწეობდა, ხოლო სხვა შიო საბუთებით ცნობილი არ არის (ჟორდანია 1892: 252-253). ქართული ისტორიული საბუთების III ტომში ეს აზრი უარყოფილია. როგორც მ. სურგულაძემ დაასაბუთა, დოკუმენტში მოხსენიებული კათალიკოსი არის შიო II, რომელიც XV ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში მოღვაწეობდა და არავითარი საფუძველი თარიღის შეცვლისა არ არსებობს. თვითონ მახარებელი მცხეთის ქადაგად იხსენიება 1470 წლიდან (სურგულაძე 2014: 255).

საბუთებით მაღალაძეების კიდევ ერთი წარმომადგენელია ცნობილი მაღლანიძე იოთამ. 1472 წლის 2 იანვრის წყალობის წიგნით კონსტანტინე მეფე მას უმტკიცებს სოფელ ზერტს (სურგულაძე 2014: 204-205). „მაღლანიძე“ შესაძლებელია, გადაკეთებული იყოს. ეჭვს იწვევს, „მაღლანიძის“ მოთავსება საბუთის გადაფხეკილ ადგილას. ამ ეჭვს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ XVI საუკუნეში მიცემულ საბუთს უახლებენ

მაღალაძე გედევანს (სურგულაძე 2014: 204). ყოველ შემთხვევაში „მაღლანიძე" და „მაღლანაძესა" უნდა წაკითხულ იქნეს როგორც „მაღალა <ნი> ძე" და „მაღალა <ნი> ძესა".

მაღალაძეების დაწინაურებაზე მეტყველებს, აგრეთვე, დავით კათალიკოსის წყალობის წიგნი ოქროპირ მაღალაშვილისადმი. ამ დოკუმენტის თარიღს აღადგენენ როგორც 1472 წელს (სურგულაძე 2014: 206). წყალობის წიგნით დავით კათალიკოსი, ბაგრატ მეფის ნებით, მცხეთის ყმებს მაღალაშვილ ოქროპირს და მის შვილებს: მღვდელ მახარებელს, ზოსიმეს, ალექსის, გერმანოზს, დავითს, გრიგოლს და ეგნატის, გადასცემს ივანისძისეულ მამულს კავთისხევში და სამცხეთიშვილო წილს (სურგულაძე 2014: 206-207). ეს ოქროპირ მაღალაშვილი არის ზემოთ მოყვანილი, 1470 წლის დავით კათალიკოსის წყალობის წიგნის ადრესატის მახარებელ მაღალაძის მამა. როგორც ჩანს, ორი წლის შემდეგ კათალიკოსი მაღალაძეებს უახლებს წყალობას ივანიასძეების და ქადაგ დიმიტრის მამულებზე. თუმცა არაფერია ნათქვამი ქადაგობის მინიჭებაზე. როგორც ირკვევა, 1470 წლის წყალობის წიგნიდან, მახარებელი მაღალაძე ხდება სვეტიცხოვლის ქადაგი, მაგრამ 1472 წლის საბუთში ის იხსენიება მხოლოდ მღვდლად. ამ წოდების მისთვის ჩამორთმევას ვერ ვივარაუდებთ, რადგან 1492 წლის შეწირულების დამტკიცების სიგელის დამწერი მაღალაძე მახარებელი მცხეთის ქადაგად მოიხსენიება (სურგულაძე 2014: 295). ლოგიკურად, ოქროპირ მაღალაშვილისადმი ბოძებული წყალობის წიგნი უნდა უსწრებდეს მახარებელ მაღალაძისადმი მიცემულ წყალობის წიგნს, თუმცა ამ საბუთების დათარიღებაშიც ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ორივე საბუთის გამცემია დავით კათალიკოსი, ხოლო მისი მოღვაწეობის წლებია 1466-1479 წწ. გამოდის, რომ განსახილველი საბუთი 1466 წელზე ადრინდელი ვერ იქნება.

XV საუკუნის დოკუმენტებში აგრეთვე ფიგურირებს ამილბარ მაღალაძის და მისი ძმების დიმიტრისა და გიორგის სახელი. 1476 წლის სიგელით ალექსანდრე მეფე მათ უწყალობებს უმკვიდროდ დარჩენილი ივანიასძე გაბრიელის მამულებს (სურგულაძე 2014: 214).

მაღალაძეთა საგვარეულო განსაკუთრებით წინაურდება XVII საუკუნიდან. ამ პერიოდის მაღალაძეთა საგვარეულოს ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ნიკოლოზ მაღალაძე. მაღალაძეთა საგვარეულოს ერთადერთი წარმომადგენელი, რომლის შესახებ ცნობა მოიპოვება ნარატიულ წყაროებში, კერძოდ, ვახუშტისთან. მაგრამ ეს ერთი ცნობაც საკმარისია იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ თუ რამდენად დაწინაურებული იყო მაღალაძეთა საგვარეულო მის დროს. XVII საუკუნის მიწურულს ის საკმაოდ გავლენიანი ფიგურა ჩანს, ტრიალებს მეფის კარზე, უჭირავს მცხეთის საკათალიკოსო ტაძრის სვეტიცხოვლის ქადაგის თანამდებობა (ლექსიკონი 1991: 99-100). ვახუშტის ცნობით, 1691 წ. ახალციხელ თათრებთან ტყვეობაში მყოფ გიორგი XI-ის გამოსახსნელად, დიდებულ თავადებთან: აშოთან მუხრან-ბატონსა და გივი ამილახვართან ერთად, ნიკოლოზ მაღალაძეც გზავნის „მრავალ საგანძურს":

> ...და წარიყვანეს მეფე ახალციხეს. არამედ ვინაჲთგან უპატიო იყვნენ ქართველნი ერეკლე მეფისაგან, ამისათჳს ეზრახოდენ მეფეს გიორგის, რათა მოვიდეს ქართლს და დადვან სულნი თჳსნი მისთჳს და აღუთქმიდნენ ფიცითა დიდითა. კუალად უვლინებდნენ მრავალსა საგანძურსა აშოთან მუხრან-ბატონი, გივი ამილახორი და ნიკოლაოზ მაღალაშვილი, რათა მით/დაუყოს პირი მეფემან ოსმალთა ანგაართა (ყაუხჩიშვილი 1973: 466).

მას ხშირად შევხვდებით სიგელებში, როგორც „მონამეს და დამამტკიცებელს" (ბერძენიშვილი 1940: 54-244; ლექსიკონი 1991: 88-90). დოკუმენტებში იგი იწოდება „მღვდელმონაზონ-ქადაგად", „არქიმანდრიტად".

ნიკოლოზ მაღალაძის სახელი აღბეჭდილია სვეტიცხოვლის აღმოსავლეთ ფასადზე მეფე გიორგი XI-თან ერთად, 1678/1679 წლის წარწერაში: „მეფობასა გიორგისა ქ. ადამს აქეთ შვიდი ათას ას ოთხმოცდა ექუსსა, ქრისტეს აქათ ასათ ექუსას სამოცდა იბ (=12), ქორონიკონს ტნ-ზ, ღმერთო შეიწყალე ნიკოლოზ მაღალაძე". (*სვეტიცხოველი* 2010: 144). როგორც ჩანს, ნიკოლოზი გიორგი მეფისადმი ადრეც დიდი ერთგულებით და თანადგომით გამოირჩეოდა, ამიტომაც მიეცა უფლება საქართველოს მთავარი ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე მეფესთან ერთად დაეფიქსირებინა თავისი სახელი.

ქადაგი ნიკოლოზი ახატვინებს და ეკლესიებს სწირავს ხატებს, შესაწირავად ყიდულობს ან საგანგებოდ აწერინებს სახარებებს. მისი შეწირული ოთხთავი დღემდე შემოინახა და მის მეოთხე და მეხუთე გვერდებზე ნიკოლოზის მინაწერები იკითხება (ბერიძე 1947: 198). დღემდე დაცულია ნიკოლოზ მაღალაძის მიერ 1689 წელს „მაღალაანთ ეკლესიისთვის" (ლიტერატურაში ცნობილია სხვანაირადაც: „ბეთლემის მონასტერი", „ბეთლემის ღვთისმშობელი", „ქადაგის მონასტერი" ანუ „მონასტერი საქადაგო") შეწირული ხატი - „აღდგომა ქრისტესი". ხატის ზურგზე შავი საღებავით შესრულებული 8 სტრიქონი ასომთავრული წარწერაა მოთავსებული: ქ: ჩემო: სასოო: და შესავედრებელო ბეთლემისა: ღვთის: მშობელო: შეიწირე: მონისა: შენისა: ნიკოლოზ: მაღალაძისაგან: ვითარცა: ძემან: შენმან: ქვრივის: მწვლილნი და შეინყალე: სული: მამის: ჩემის: პაპუასი. და დედისა ელენესი: ქორონიკონს: ტოზ. (ბერიძე 1947: 200).

ნიკოლოზ მაღალაძე თვითონაც აშენებს და აღადგენს ეკლესიებს. სასხორში, თავისი დის ხორაშანის საფლავზე იგი აგებს მცირე ეკლესიას. აგრეთვე, 1682 წელს ანახლებს ნიაბის ეკლესიას: მის ჩრდილოეთ

ფასადზე მხედრული წარწერაა, რომელშიც მისი „მეორედ აღმშენებელი“ ნიკოლოზ მაღალაძე შენდობას თხოულობს მამის პაპუასა და დედის ელენესათვის: „ქ:. ადამს: აქეთ: შვიდიათას: ასოთხმოცდა//ათსა: აღვაშენე: მეორედ: საყდარი: ესე: ნიაბს: წმი//დის: გიორგისა: მე მაღალაძემ: მღუდელ: მონაზონმ//ან: ნიკოლოზ: შენდობა: ბრძანეთ: მამის: ჩემის: სახლს// იხუცის: პაპუასთვის: და დედის: ელენსა ქკს ტო:“ (ბერიძე 1947: 198).

უფრო ადრე, 1677 წელს, ნიკოლოზ მაღალაძემ „მაღალაანთ ეკლესია“ შეაკეთა, მოახატვინა და კანკელითაც აღჭურვა. იგი მოხსენიებულია მაღალაანთ ეკლესიის ოთხ წარწერაში (ერთი აღდგენის და სამი მოსახსენებელი: თავისი და მშობლების) და „ზემო კოშკის“ საამშენებლო წარწერაში. (იხ. სურათები). ყველა წარწერა განეკუთვნება XVII საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარს. ამავე მაღალაანთ ეკლესიის კანკელზე შემორჩენილია ფრესკები პაპუა მაღალაძის, მისი მეუღლის, ექვსი ვაჟის და ერთი ასულის ხორაშანის. ყველას ახლავს სათანადო წარწერა. წარწერები ასახულია მ. ბროსეს (ბროსე 1850), ლ. მელიქსეთ-ბეგის (მელიქსეთ-ბეგი 1925), ვ. ბერიძის (ბერიძე 1947) და სხვათა შრომებში.

„მაღალაანთ ეკლესიის“ წარწერები მოწმობს, რომ ბეთლემად წოდებული მონასტერი მაღალაძეების საგვარეულო ეკლესია და საძვალე ყოფილა XVII-XVIII სს.

ვახუშტის მიხედვით, აზნაურს უნდა ჰქონოდა „გვარი და ჩამომავლობა. და სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა და დაბნენი“, აგრეთვე უნდა შეძლებოდა „გამოსლვა მარქაფითა, კარვითა და მათთა გაწყობილებითა და თჳნიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად“ (ყაუხჩიშვილი 1973: 14). მაღალაძეები ყველა ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებდნენ. მათ საკუთარი სასახლეები და ციხე ჰქონდათ, ეკლესია და იქვე ეკლესიასთან, საგვარეულო საძვალეც. მრავალი საბუთი მოწმობს, რომ მათ დიდძალი მამულები ეკუთვნოდათ მთელი ქართლის მასშტაბით: კავთისხევში, ქვათახევში, ოჩლაურში, ნიაბში, მეტეხში, ჩოჩეთში, ზერტი, არმაზი, სკრა, ციხედიდში, ხატისოფელს, ციხებდავს, ეზატს, თრიალეთში თეძამს და თავფარავანს. მათი გვარი უკვე სამი საუკუნის არსებობას მაინც ითვლიდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, რომ მაღალაძეები, მიუხედავად აზნაურობისა, თავიანთი შეძლებით არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ თავადებს, და ერთ-ერთ უძლიერეს ფეოდალურ საგვარეულოს წარმოადგენდნენ.

რა თქმა უნდა, მაღალაძეების საგვარეულოს ისტორიის საკითხები ამით არ ამოიწურება. კიდევ მრავალი საინტერესო ფაქტია გამოსავლენი და დასაზუსტებელი, რაც შემდგომი კვლევა-ძიების საქმეა.

შენიშვნები

[1] საბუთში წერია ივანიასძეურითა და არა ივანისძეურითა, შეცდომითაა წაკითხული კორპუსში.

[2] კრეტსაბმელი (კრეთსაბმელი) კარის ფარდაგი (აბულაძე 1991: 388); რა თქმა უნდა, აქ ფარდის „გაპობაზე“ არაა საუბარი; კრეტსაბმელის ქვეშ კედლის დანგრევა იგულისხმება.

დამოწმებანი

აბულაძე 1991: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, ტომი I, თბილისი, ხელნაწერთა ინსიტუტი, მერანი.

ბერიძე 1943: ვ. ბერიძე. ნინარეხი, სასხორი, გომისჯვარი, თბილისი.

ბერიძე 1947: ვ. ბერიძე. ნინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა, თბილისი.

ბერძენიშვილი 1940: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტომი I, რედ. ნ. ბერძენიშვილი, თბილისი

ბროსე 1850; ბროსე 1851: M. Brosset. Rapoorts. II; Rapports. III.

ენციკლოპედია 1977: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბილისი.

ლექსიკონი 1991: პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტომი III, თბილისი.

მაკალათია 1959: ს. მაკალათია. თეძმის ხეობა, თბილისი.

მელიქსეთ-ბეგი 1925: ლ. მელიქსეთ-ბეგი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან კავთურის ხეობაში 1923 წელს. თბილისი.

ოთხმეზური 2006: გ. ოთხმეზური. ქართული ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან, აბაზასძე-მარილელი-აბულეთისძე, თბილისი.

ფორდანია 1892: თ. ფორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისთვის, ტფილისი.

სვეტიცხოველი 2010: სვეტიცხოველი, საიუბილეო გამოცემა, თბილისი.

სურგულაძე 2008: მ. სურგულაძე. მცხეთიშვილები. ჟურნ. *ანალები*. № 3. თბილისი.

სურგულაძე 2013: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ, ტომი II, თბილისი.

სურგულაძე 2014: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ, ტომი III, თბილისი.

ფონდი 1451: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1451, დოკუმენტი 1, საქმე 100.

ყაუხჩიშვილი 1959: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1973: ქართლის ცხოვრება, აღწერა სამეფოსა საქართველოსა.ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი IV , თბილისი.

სურ. 1 ნიკოლოზ მაღალაძის 1677 წლის საამშენებლო (აღდგენის) წარწერა. „მაღალაანთ ეკლესიის“ აღმოსავლეთ ფასადი



სურ. 2 ნიკოლოზ მაღალაძის მშობლების- პაპუასა და ელენეს მოსახსენებელი წარწერა. „მაღალაანთ ეკლესიის“ აღმოსავლეთ ფასადი



სურ. 3 ნიკოლოზ მაღალაძის მოსახსენებელი წარწერა.
„მაღალაანთ ეკლესიის“ აღმოსავლეთ ფასადი

სურ. 4 „ზემო კოშკის“ პაპუა და ნიკოლოზ მაღალაძეების საამშენებლო წარწერა.
კოშკის მთავარ ფასადზე

TOWARDS THE HISTORY OF MAGHALADZES' FEUDAL HOUSE

Elza Khaindrava

The Maghaladzes' house was a privileged feudal family in the Kartli Kingdom. Many members of the clan were prominent public figures. Magaladzes were close to Kings and Catholicoses, were actively involved in the political life of Kartli Kingdom. At various times they occupied positions of: preachers in Svetitskhoveli, Archbishops and chief stewards, secretaries of Catholicos, scribes, calligraphists, mouravis (governors) of Krtsanisi, Tsikhedidi, Khatisopeli and others. They owned large landed estates in Kavtiskhevi, Kvatakhevi, Ochliuri, Chocheti, Gori, Mtskheta and others.

A great contribution to the study of the Maghaladzes' /Magalashvili/s house has made by Vakhtang Beridze. He was the first who read and published inscriptions of "Magaladzes' complex". He described and analyzed the complex, as well. The Magaladzes' clan and residence in Tsinarekhi has been studied by N. Marr, L. Melikset-Beg, S. Makalatia and others.

Despite the available impotant results the research have to be continued in order to provide the representation of whole history of Magaladzes' feudal family. Their estate ownership and genealogy hasn't been defined yet. An activity of each family member hasn't been fully outlined. My ultimate goal is to carry out monographic study based on historical sources (narrative, documentary, epigraphic) as well as on the views existing in the scientific literature. The present paper is only the first attempt made from this standpoint.

წყაროთა კვლევა, თარგმანი
და პუბლიკაცია

SOURCE-STUDIES, TRANSLATIONS
AND PUBLICATIONS

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის რაჭა-სამეგრელოში მოგზაურობის დღიურები როგორც საისტორიო წყარო (პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული მასალების მიხედვით)

იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ისტორიკოსისა და არქეოლოგის დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მოგზაურობის მასალები უაღრესად საინტერესო წყაროს წარმოადგენს და ძვირფასი შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისათვის, რამდენადაც მის მიერ აღწერილი ეკლესია-მონასტრების, ფრესკების, იქ დაცული სიწმინდეებისა და სიგელ-გუჯრების მნიშვნელოვანი ნაწილი დაინგრა, პირვანდელი სახე დაიკარგა, განადგურდა, გაიძარცვა, ან საქართველოდან იქნა სხვადასხვა დროს გატანილი.

მეღვინეთხუცესიშვილმა 1848-1850 წლებში ფეხით შემოიარა საქართველოს არაერთი კუთხე, აღწერა უამრავი მატერიალური თუ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, იქ არსებული სიძველეები, გადმოგვცა იმდროინდელი საზოგადოების გამოჩენილ მოღვაწეებთან შეხვედრათა დეტალები. შეკრებილ მასალებს იგი პეტერბურგში უგზავნიდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრს, ცნობილ მეცნიერსა და ქართველოლოგს მარი ბროსეს, რომელიც, თავის მხრივ, ამუშავებდა და აქვეყნებდა „რაპორტების" სახით.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ნაშრომების ნაწილი დღემდე გამოუქვეყნებელია, ხოლო ჩვენამდე მოღწეული მემკვიდრეობის უმრავლესობა ინახება კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, QD ფონდში, შიფრით 986 და მოიცავს 56 საქმეს (წერილები, ნაწარმოებები, ლექსები, ჩანაწერები, დღიურები, ოფიციალური საბუთები, მეღვინეთხუცესიშვილის მიმოწერა დიმიტრი ბაქრაძესთან, მარი ბროსესთან და სხვა ცნობილ მოღვაწეებთან).

თუმცა, ზემოხსენებული ფონდი დიმიტრის ნამოღვაწარს სრულად არ ასახავს და მისი სამეცნიერო, ლიტერატურული და ეპისტოლარული შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე დაცულია პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, მარი ბროსეს ფონდში შიფრით H-47. ბროსეს უზარმაზარი მემკვიდრეობიდან დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილთან ურთიერთობა H-78 ფონდშია თავმოყრილი და შედგება 280 გვერდისაგან, რომლის საერთო სათაურია: *"Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850"*. პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის, ქალბატონ ირინა პოპოვასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, დამზადდა და ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ამ მასალების ელ-ვერსია (jpg ფაილების სახით), რომლის ნაწილს პირველად ვაქვეყნებთ.

მეღვინეთხუცესიშვილის მიერ აღწერილი მასალები საკმაოდ მოცულობითია. გარდა აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთში მოგზაურობისა, რომელსაც ჩვენ სხვადასხვა დროს ცალკე გამოკვლევები მივუძღვენით (ალიმბარაშვილი 2015 ა:446-491; ალიმბარაშვილი 2015 ბ:56-64), მოიცავს სამეგრელოსა და რაჭაში მოგზაურობას.

დასავლეთ საქართველოში მოგზაურობა იწყება მეასე გვერდიდან და მთავრდება 126-ე გვერდზე. საქაღალდეზე მარი ბროსეს სათაურად წაუწერია: „ბატონ დიმიტრი მეღვინეთხუცესოვის იმერეთში ექსკურსია 1850 წლისა" (ფრანგულ ენაზე) (არქივი ბ: 100). აქედან, 104-112 გვერდები ეხება სამეგრელოში მოგზაურობას, ხოლო 122-123 გვერდები – რაჭაში მოგზაურობას.[1] მოგზაურობის დღიურები ნაწერია მოყავისფრო ჭვირნიშნიან ფურცლებზე გაკრული, ლამაზი ხელით, გამოყენებულია ფურცლის ორივე (verso) მხარე, მთლიანობაში კარგად იკითხება. ადგილ-ადგილ ფურცლის კიდეებზე მარი ბროსეს გაკეთებული აქვს ფანქრით შენიშვნები ქართულ-ფრანგულ ენებზე, ძირითადად, პიროვნებათა სახელები, ქორონიკონის დაანგარიშებული თარიღები და კომენტარები.

დასავლეთ საქართველოში მოგზაურობისათვის დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი საფუძვლიანად ემზადება. საამისოდ მას გულდასმით შეუსწავლია ვახუშტი ბატონიშვილის *გეოგრაფია* და ხუროთმოძღვრულ ძეგლთა და სიძველეთა იმჟამინდელ ვითარებას ხშირად ვახუშტის ნაშრომს უდარებს. ბროსეს სთხოვს, რომ რუსულად თარგმნოს და გამოუგზავნოს გერმანელი მოგზაურის კოხის ნაშრომი,[2] რათა მოგზაურობის თითოეულ დეტალში კარგად გაერკვეს (არქივი გ: №14). მაგრამ იმ დროს, როდესაც მეღვინეთხუცესიშვილი დასავლეთ საქართველოში მოგზაურობდა, სამეცნიერო ლიტერატურა საქართველოს ამ რეგიონის შესახებ ძალზე ნაკლები და დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილისათვის ხელმიუწვდომელი იყო.[3]

მეღვინეთხუცესიშვილი გასაგებად და საინტერესოდ წერს, თუმცა, მისი თხრობისათვის დამახასიათებელია არქაიზმები და ბარბარიზმები, მაგ.: „რაიცა", „ჩუენის", „ეკკლესია", „თჳთ", „გარნა", „აღ" ზმნისწინი, „უეზდის ნაჩალნიკი", „სტანცია", „გუბერსკის სუდია" და სხვ.

საინტერესოა დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის თხრობის სტილი. იგი ნანახი ძეგლებისა და სიძველეების მხოლოდ მშრალი აღწერით არ კმაყოფილდება და ხშირად მიმართავს, როგორც ხალხში გავრცელებულ თქმულებებს, ლეგენდებსა და წეს-ჩვეულებებს, ისე მემატიანეთა თხზულებებს. მაგ., მარტვილის მონასტრის აღწერისას აღნიშნავს: „მარტვილის ეკკლესია არის გუმბათიანი ფ˜დ ძველი და გარედამ გაახლებული თლილის ქვით შინაგან მხატვრობა ძუელი ბერძნული, ერთს მხარეს დახატულია კონსტანტინე და ელენე დაგვირგვინებულნი, რომელთაც უპყრიათ ერთი დიდი ჯვარი. იტყვიან ვითომცა ეკკლესია ესე იყოს მათი აღშენებული" (არქივი ბ: 110). დიდ ადგილს უთმობს და დაწვრილებით გადმოგვცემს თავად დავით ჩხეიძის დაკრძალვის იმერულ ჩვეულებას, სამეგრელოში ჭყონდიდის (დიდი მუხის) წარმართულ ტრადიციას. საგანგებოდ ასულა მჟავე წყლებამდე და დაუთვალიერებია დიდი და „ფრიად ძველი" ეკლესია, რადგან, იქ, ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, თამარ მეფის „მკიდარე ნაწნავი" უნდა ყოფილიყო და სხვ.

როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის მარშრუტი დიმიტრის მარი ბროსეს რეკომენდაციით აქვს შედგენილი და იმის მიხედვითაა დაგეგმილი, რომლის ნახვა ფრანგ ქართველოლოგს ვერ მოუსწრია, ან შეკითხვები გასჩენია სამი წლის ადრე დასავლეთ საქართველოში მოგზაურობისას.[4] ბუნებრივია, მეღვინეთხუცესიშვილმა უფროსი მეგობრის თხოვნა უყურადღებოდ არ დატოვა და როგორც კი შესაბამისი ნებართვა მიიღო, დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ მოძიებულ მასალებს მარი ბროსეზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და კმაყოფილებით აღნიშნავდა: „დიდად საქებია მოგზაურობა თქვენი, მეცადინეობითა და ჭკუითა თქვენითა ბევრი კარგი წარმოაჩინეთ და ღირსი ხსენებისა სამსახური მეცნიერებისათჳს გიჩვენებიათო" (არქივი გ: №16).

ფრანგი მეცნიერი დიმიტრის სთხოვდა ინფორმაციის მიწოდებისას მაქსიმალურად სიტყვამოჭარბებული ყოფილიყო: „ჯერ ცოტა უნდა დაგტუქსოთ, იმისათჳს, რომ ალაგებისა და გზის აღწერაში ჴელმოჭირებული იყავით. მსურდა, რომ აღგეწერათ რომელის გზით გივლია, რომელი მდინარე, სოფელი, ციხე, ტყე გაიარეთ. მე უცხო ვარ და იმისათჳს დიდი სწავლა ჩემი იქნებოდა ადგილების დანიშვნა" (არქივი გ: №11).

აღსანიშნავია, რომ ბროსე მეღვინეთხუცესიშვილს განიხილავს არა როგორც ასისტენტს, არამედ ეყრდნობა და ანგარიშს უწევს მის მოსაზრებებს, ერთობლივად აანალიზებენ და მსჯელობენ საკვლევ საკითხებზე (ალიმბარაშვილი 2014: 227).

დასავლეთ საქართველოში დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს მოგზაურობა 1850 წლის 17 მაისს იწყება და 21 ივლისამდე, ანუ, მთლიანობაში 63 დღეს გრძელდება. სამეგრელოში იგი 26 მაისიდან – 25 ივნისამდეა, ხოლო რაჭაში 14-დან – 18 ივლისამდე.

მოგზაურობა ჩხერიმელას ხეობით, სოფელ მოლითით იწყება, აქედან მისულა ქუთაისში, აღწერს მის სიძველეებს, გეგუთს, მოწამეთას, გელათს, ბაგრატს. შეხვედრია იმერეთის მიტროპოლიტ დავით წერეთელს, პლატონ იოსელიანსა და სხვა ცნობილ მოღვაწეებს. 28 მაისს გზა გაუგრძელებია ოდიშისაკენ და მისულა ხონში, სადაც პარასკევობით იკრიბებოდნენ სხვადასხვა კუთხიდან ჩასული მოვაჭრენი. ხონის ცენტრში იგი აღწერს თლილი ქვით ნაგებ მცირე ზომის ეკლესიას, რომელშიც დაბრძანებული ყოფილა „ფრიად ძველი წმ. გიორგის ხატი" მდგომარე ვითარებაში. ბორნით გადასულა მდ. ცხენისწყალზე და „ყაზახთა" ცხენების დახმარებით, 25 ვერსის გავლის შემდეგ, ბინდისას მისულა სუჯუნას, ოდიშის ჭყონდიდელ ეპისკოპოს დადიანთან (არქივი ბ: 105).

მეორე დღეს სტუმრისათვის უჩვენებიათ სუჯუნის თლილი ქვით ნაგები გუმბათიანი ეკლესია და მშენებარე სამრეკლო. ეკლესიაში დაბრძანებული ყოფილა ვერცხლით შეჭედილი, ოქროთი დაფერილი და თვალ-მარგალიტით შემკული ხატი, ლევან II დადიანისა და მისი გარდაცვლილი მეუღლის მოსახსენიებელი 1646 წლის მხედრული წარწერით. ტაძარში ყოფილა სხვა ხატებიც, წარწერების მიხედვით, ერთი მათგანი შეუმკია თევდორე ხოშტარიას ბატონ დადიანის ძე ჭყონდიდელ-მიტროპოლიტ გრიგოლის ბრძანებით, ხოლო მეორე, ჭყონდიდელ ევდემოზ ჩხეტიძეს სუჯუნის მონასტრისათვის შეუწირავს ვამეყ ლიპარიტიანისა და ელენე დედოფლისაგან პირველად შემოწირული სამი კომლი გლეხი მათი მამულითა და ალაგით. აღნიშნული შეწირულობა მოგვიანებით განუახლებია გაბრიელ ლიპარიტიან-ჭყონდიდელს (არქივი ბ: 106). მესამე ხატი 1797 წელს პატიოსანი თვლებით შეუმკია, განუახლებია და სუჯუნის მონასტრისათვის დაუბრუნებია ჭყონდიდელ-მიტროპოლიტ ბესარიონს, კაცია დადიანის ძეს (არქივი ბ: 107).

სუჯუნაში დიმიტრის ჭყონდიდელთან სტუმრობისას მეღვინეთხუცესიშვილი საკუთარ ოჯახში მიუწვევია მელიტონ ჩხეიძეს. მეორე დღეს აქვე მოსულა გურიის ეპისკოპოსი ექვთიმეც და ერთად დასწრებიან დაკრძალვას, რომლის იმერული ტრადიციის აღწერას დიმიტრი დიდ ადგილს უთმობს (არქივი ბ: 107-108).

მეორე დღეს ჭყონდიდელი და მეღვინეთხუცესიშვილი გამგზავრებულან სოფელ კულაშში, სადაც ჭყონდიდელს სტუმრისათვის გაუცვნია მისი ნათესავი თავადი – მიქელაძე და მისი დახმარებით მიუღწევიათ სოფელ კოდორამდე. ჭყონდიდელ მიტროპოლიტს დიმიტრისათვის გადაუცია მიწერილობა სამეგრელოს მთავარ დადიანთან და გაუყოლებია ორი კაცი გზის საჩვენებლად, თუმცა, ერთი მათგანი სოფლის ბოლოდანვე გაპარულა, ხოლო მეორე მხოლოდ დიდი ხვეწნისა და თანხის გადახდის შემდეგ დასთანხმებია მეგზურობაზე,

რის შემდეგ, დიდი გაჭირვებით მიუღწევიათ სოფელ ხობამდე (არქივი ბ: 108), სადაც ერთ მოხუც მღვდელს უმასპინძლია და უჩვენებია მცირე ზომის, მაგრამ თლილი ქვით ნაგები ძველი ეკლესია, რომლის კედელზე გამოსახულნი ყოფილან ტაძრის აღმშენებელი: ერისთავ-თერისთავი და მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანი. ტრაპეზზე მდგარ პატარა ვერცხლით შეჭედილ ყუთში დაბრძანებული ყოფილა ღვთისმშობლის კვართი და სხვა წმინდა ნაწილები. დიმიტრის გადაუწერია ვერცხლის ყუთზე არსებული მხედრული წარწერა, რომლის მიხედვით, კვართის „კუბო ვერცხლითა და ოქროთი დაუფერავს და თვალ-მარგალიტით შეუმკია ლევან დადიანს, მისი ახლად გარდაცვალებული მეუღლის ნესტან-დარეჯანის სულის სახსრად და საოხად" 1640 წელს (ქ˜კს 328). ეკლესიის კარიბჭის შიდა და გარე კედლის მარმარილოს სვეტზე დიმიტრის ჩაუწერია ხუცური წარწერა, რომელიც გადმოგვცემს მანდატურთუხუცეს ვამეყ დადიანის ჯიქეთში ლაშქრობას, გამარჯვებასა და იქიდან მარმარილოს სვეტების წამოღებას (არქივი ბ: 109).

6 ივნისს დიმიტრი მისულა დავით დადიანთან და სამეგრელოს მთავართან ოთხი დღე დარჩენილა. აქ შეხვედრია დადიანების კახელ „მძახლებს": გულბაათ ჭავჭავაძეს, მის რძალს მარიამ ჭავჭავაძისას, დედით, დით და სიძით. მეღვინეთხუცესიშვილს შემთხვევა ხელიდან არ გაუშვია და „გაუსინჯავს" დადიანების მდიდარი ბიბლიოთეკა (არქივი ბ: 110). ქართველ სტუმარს თავისუფალ სვანეთში გამგზავრების სურვილი გამოუთქვამს, მაგრამ მასპინძლებს სიფრთხილისა და გადაწყვეტილების შეცვლისაკენ მოუწოდებიათ, მთაში არასტაბილური ვითარების გამო. მხოლოდ შტაბს-კაპიტან თავად აბაშიძეს აუღია თავის თავზე მეგზურობა, ისიც მხოლოდ მის სამოქმედო ტერიტორიაზე (არქივი ბ: 110).

11 ივნისს მეღვინეთხუცესიშვილი მეგზურის თანხლებით ზუგდიდიდან ცხენით გამგზავრებულა და ჭაობიანი და ტყიანი გზის წინააღმდეგობების შემდეგ, იმავე საღამოს მისულა შავი ზღვის ნაპირას ანაკლიაში. მდინარე ენგურის პირას მკვლევარს უნახავს დაზიანებული ციხე-კოშკი. ღელვის მიუხედავად, მოგზაურები იძულებული გამხდარან, უგზოობის გამო გზა ზღვის სანაპიროზე გაეგრძელებინათ და ერთ ადგილას მდინარის შესართავთან წყალშიც შესულან, რაც ლამის სიცოცხლის ფასად დაჯდომიათ. ოთხი საათის მომქანცველი და რთული მოგზაურობის შემდეგ, ისინი მისულან ყულევს, ანუ რედუტ-ყალეს, 17-ში – ხონს, ხოლო იქიდან მარტვილში გადასულან. დიმიტრის უნახავს და აღუწერია მარტვილის მონასტერი. აქვე, ჭყონდიდელისაგან ჩაუწერია ჭყონდიდის ისტორია.

მარტვილიდან მეღვინეთხუცესიშვილი ჭყონდიდელის მიერ მიმაგრებული კაცის თანხლებით მისულა ნოქალაქევში ალექსანდრე დადიანთან. დადიანს სტუმრისათვის დაუთვალიერებინებია მდინარე ტეხურას პირას არსებული კოლხეთის ძველი დედაქალაქი. კოლხეთის ძველი დიდების ნაშთების ნახვას დიმიტრიზე მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია. დანგრეული გალავანი, ქვევრებით სავსე მიტოვებული ნამარნები, ხავსგადაკრული ჩამოშლილი დუქნებისა და სახლების ნაწილები ყოფილა ირგვლივ მიმოფანტული. ადგილობრივ ეკლესიაში დადიანს სტუმრისათვის უჩვენებია კონსტანტინე დიდისა და ელენე დედოფლის ფრესკა ძელი ჭეშმარიტის ფონზე. წინაპართა გადმოცემით, ეკლესია თითქოს ბიზანტიის იმპერატორსა და დედოფალს აეშენებინოს ორმოც მოწამეთა სახელზე. დიმიტრის ადგილზე მართლაც უნახავს აგურით მოპირკეთებული ორმოცი ოთხკუთხა აკლდამა და მისი ნახვის სურვილი გამოუთქვამს, მაგრამ ადგილობრივების დიდი წინააღმდეგობის გამო, ეს ვერ მომხდარა. მათი რწმენით, აკლდამებში სწორედ „ორმეოც სებასტიანელ მოწამეთა" წმინდა ნაწილები იყო დაკრძალული და ისინი ხელშეუხებელნი იყვნენ (არქივი ბ: 111).

ტეხურას სანახებთან დიმიტრი შეხვედრია თავის ძველ ნაცნობს, გურულ თავად პოლკოვნიკ ერისთავს, რომელსაც მეღვინეთხუცესიშვილი ჯერ კიდევ 1845 წლის დარგოს ექსპედიციიდან იცნობდა და ამ ადგილას სამკურნალო თვისებების მქონე აბანოს გამო ჩამოსულა, რომელიც ადგილობრივებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

დიმიტრი, აბაშისწყლის გავლით, მხოლოდ საღამოს პირს დაბრუნებულა უკან მარტვილში. ჭყონდიდელ ეპისკოპოსს სიძველეთა მკვლევარი სტუმრისათვის უჩვენებია ძველი სიგელი, რომელიც გაცემულია ლევან II დადიანის მიერ და მასში დაწვრილებითაა მიმოხილული სამეგრელოს მთავრის იმერეთის მეფე ალექსანდრე III-სა და მის ძმა მამუკაზე გალაშქრება და ის აუარება ძარცვა, ტყვევნა და რბევა, რასაც დადიანი ახორციელებდა იმერეთზე (არქივი ბ: 111-112).[5]

25 ივნისს დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი ჭყონდიდელს გამომშვიდობებია და ხონის გავლით დაბრუნებულა ქუთაისს, ხოლო იქიდან ვარციხეს გადასულა. აქ მას უნახავს ფრანგი კონსულისა და მოგზაურის ჟაკ ფრანსუა გამბას ქალიშვილი და მისი ხის დამამუშავებელი საამქრო, სადაც წყლით „ხერხავდნენ ხეს". დიმიტრის მათგან შეუტყვია გამბას მიერ საქართველოს აღწერის შესახებ. მკვლევარი ვარციხეში დიდხანს არ დარჩენილა, რადგან ღირშესანიშნავი ვერაფერი უნახავს, გარდა ამაღლების ეკლესიაში ვერცხლის ძველი ხატისა, ასომთავრული წარწერებით, შოშიტა ერისთავისა და მისი თანამეცხედრის მარეხის მოსახსენიებლით, გაცემული 1613 წელს (არქივი ბ: 112).

12 ივლისამდე მეღვინეთხუცესიშვილი კვლავ ზემო და ქვემო იმერეთში მოგზაურობს და მისი სიძველეების აღწერითაა დაკავებული (ალიმბარაშვილი 2015 ბ).

13 ივლისს ბლაღოჩინ მღვდელს ოქროპირს დიმიტრი წაუყვანია საჩხერიდან და უჩვენებია ჯრუჭის

მონასტერი. ეტრატზე დაწერილი ძველი წიგნები, მათ შორის, ძალზე ძველი, ასომთავრულით ნაწერი, დაქარაგმებული და 926 წლით დათარიღებული სახარება (ჯრუჭის ოთხთავი). დაუთვალიერებიათ ჯრუჭის მონასტრის განძი, თუმცა, მეღვინეთხუცესიშვილი მის სახარებისდროინდელ თანადროულობასთან ეჭვს გამოთქვამს (არქივი ბ: 123).

ჯრუჭიდან დიმიტრი გადასულა რაჭაში, სოფელ შქმერში, ხოლო იქიდან – ონში. 14 ივლისს ონის ეკლესიაში მას უნახავს წმ. გიორგის ძალზე ძველი ხატი, რომელიც, გადმოცემით, წლების განმავლობაში სვანეთში ყოფილა დახიზნული „შიშიანობის“ გამო და უკან მოგვიანებით დაუბრუნებიათ. ხატზე სამი ძმის ხუცური წარწერა ყოფილა გარაყანისძეთა სულის მოსახსენიებლით (არქივი ბ: 123). ამავე ეკლესიაში ყოფილა ოქროთი დაფერილი და ვერცხლით შეჭედილი, ეტრატზე ნაწერი სახარება, რომელიც მეცამეტე მოქცევის დასასრულს (1312 წ.) გადაუწერიათ გიორგის მეფობისას.

15 ივლისს მეღვინეთხუცესიშვილსა და ოქროპირ „ბლაღოჩინს“ რიონი გადაულახავთ და ასულან მაღალ მთაზე ნათალი ქვით ნაგებ ძეგლევის ეკლესიაში, სადაც, ვახუშტის ცნობითა და ადგილობრივების მტკიცებით, თითოეული მიცვალებულის ზეთით განბანვის მიუხედავად, ჭიქაში ზეთი არ აკლდებოდა, თუმცა, დიმიტრის აქ ზეთი არ დახვედრია.

შემდეგ აჰყოლიან რიონს, მისულან მჟავე წყლებამდე და სპეციალურად დაუთვალიერებიათ დიდი და „ფრიად ძველი“ ეკლესია, რადგან იქ, ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, თამარ მეფის „მკიდარე ნაწნავი“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერც ნაწნავი და ვერც ამის მომსწრე-მნახავი დიმიტრის იქ ვერ მოუძებნია და იმავე საღამოს ონში უკანვე დაბრუნებულა.

16 ივლისს ონიდან სამ ვერსზე მაღლა მთაზე, სოფელ სხიერის ეკლესიაში უნახავს ვერცხლით შეჭედილი ხატები.

17 ივლისს მეღვინეთხუცესიშვილი ათვალიერებს მრავალძალის ეკლესიას, სადაც მრავლად ყოფილა საბრძოლო იარაღი შეწირული: ხმლები, შუბები, მუზარადები და სხვ. ადგილობრივების თქმით, ეკლესიაში ყოფილა შაჰ-აბას I-ის კუთვნილი ხმალი, რომელიც იმ ხანებში გაუყიდიათ და აღებული თანხით ტაძრის იატაკი მოუპირკეთებიათ. დიმიტრი შეწირულ ხმლებს შორის გამოარჩევს სპარსული ხელობის ოქროსტარიან ხმალს, ოდესღაც ძვირფასი თვლებით მოჭედილს, თუმცა, იმჟამად თვლებამოცლილს (არქივი ბ: 124). მეღვინეთხუცესიშვილს ხატებზე არსებული წარწერებიც გადაუწერია და შქმერის გავლით დაბრუნებულა საჩხერეს, სადაც წვიმიანი ამინდების გამო, რამდენიმე დღით შეფერხებულა.

მოგზაურობა დიმიტრის 20 ივლისს გაუგრძელებია, უნახავს სავანის ეკლესია და აღუწერია მისი წარწერები. იქვე, ეკლესიის შიგნით, კანკელის მარჯვნივ ძველ აკლდამაში შენახული ყოფილა ძველი ხატები, მაგრამ მისი გახსნასა და ნახვას ადგილობრივები ვერ ბედავდნენ და არც სტუმრისათვის მიუციათ ამის უფლება.

21 ივლისს კვლავ გაავდრებულა და უგზოობის პირობებში მეღვინეთხუცესიშვილს დიდი ძალისხმევა დასჭირვებია უკან დასაბრუნებლად: „გარდმოვიარე კორტოხის მთა ტყიანი და ხევებიანი წვიმა-ტალახში ზოგან ცხენით და ზოგან ქვევითათან გაჭირვებით ჩამოველ სურამსო“, აღნიშნავს იგი (არქივი ბ: 125).

ამით მთავრდება დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში. ადამიანი, რომელიც ხშირად საკუთარი ხარჯითა და ინიციატივით, სიცოცხლის რისკის ფასად ცდილობდა ეროვნული სიძველეების შესწავლასა და გადარჩენას, ელემენტარული პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგებოდა. ეს პრობლემები განპირობებული იყო ზოგან მოსახლეობის ცრურწმენით გამოწვეული შიშით, ზოგან დაუდევრობით და ზოგანაც ბიუროკრატიული აპარატის უმოქმედობით. მას ხან მეგზური ეპარება გზიდან, ხან თანხას დახარბებული უვიცი თანამგზავრი გზის გაგნებას ვერ ახერხებს, ხანაც ადგილობრივები სიძველეებს უმალავენ, რადგან, მათი ღრმა რწმენით, მათი გახსნა და უცხო თვალით ნახვა უბედურების მომტანია.

მეღვინეთხუცესიშვილი არაერთგან სწუხს, რომ ისეთ მეგზურს ვერ შოულობს, რომელმაც ადგილობრივი გზები კარგად იცის, მიუხედავად იმისა, რომ იმდროისათვის საკმაო დღიურ თანხას უხდის. მისი სურვილი ქვეყნის სიძველეთა შესწავლის მიზნით, ბევრისათვის გაუგებარი და დროის ფუჭი ხარჯვა იყო. ეს გულისტკივილი მის დღიურებს ცხადად ატყვია: „ვეძიებდი კარგს მოგზაურს კაცს დღეში მანეთათ თავის ცხენით, რომელთანაც მსურდა დამეველო დანაშთენნი ალაგები იმერეთისა, რათამცა მოგზაურობა ჩემი ესე ყოფილიყო სრული, გარნა სურვილი ჩემი ამაო იყო, სახელდობრ ვისაც ვეტყოდი ამა და ამ ქალაქებში მინდა წასვლა და ნახვა ამა ძველთა შენობათა, რომელთაც სწერს ვახუშტი თავის *გეოგრაფიაში*, იგინი ზოგნი დაიზარებდნენ და ზოგნი ვერ ბედავდნენ შორს სიარულს, დიდ ხანს მოუნდებით და ჩვენ საქმეს მოვცდებითო. ამის გამო იძულებულ ვიყავი გამეთავებინა იმერეთს მოგზაურობაო“ (არქივი ბ: 124).

იმერეთის შემდეგ, დიმიტრის სურვილი ჰქონია აჭარაში გამგზავრების, მაგრამ თანხისა და შესაბამისი ნებართვის უქონლობის გამო, იძულებული გამხდარა გორში დაბრუნებულიყო.

ჩვენი აზრით, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მოგზაურობის მასალები ქართული ისტორიოგრაფიისა-თვის ძვირფასი შენაძენია. მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ აღწერილი ეკლესია-მონასტერთა აღწერები

და სიგელ-გუჯართა წარწერები მოგვიანებით სხვა მეცნიერებმაც (დიმიტრი ბაქრაძემ, თედო ჟორდანიამ, ექვთიმე თაყაიშვილმა და სხვ.) გამოაქვეყნეს, ჯერ ერთი, მელვინეთხუცესიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა ეს მასალა. მეორე, მას ხელთ ჰქონდა აღწერილი სიგელ-გუჯრების დედნები, და მესამე, იგი აღწერს ეკლესია-მონასტრებისა და იქ დაცული სინმინდეების იმდროინდელ ბუნებრივ მდგომარეობას, ამიტომ შედარების თვალსაზრისით უაღრესად საჭირო ინფორმაციის შემცველია და მას დანართის სახით წარმოვადგენთ.

შენიშვნები

1 აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვემოთ მოცემულ ტექსტში 112-121 გვერდები შეგნებულადაა გამოტოვებული.

2 იგულისხმება გერმანელი მეცნიერი და ბოტანიკოსი კარლ კოხი, რომელმაც XIX საუკუნის 30-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში (კოხი1981).

3 მაგ., დიმიტრი, ბუნებრიეია, არ იცნობდა ცნობილი ფრანგი დიპლომატისა და მოგზაურის ჟაკ ფრანსუა გამბას ნაშრომს, რომელსაც დიმიტრის მოგზაურობამდე ჯერ კიდევ 25 წლით ადრე ჰქონდა პარიზში ფრანგულ ენაზე გამოცემული, რადგან გამბას ნაშრომი ქართულად მხოლოდ 1987 წელს ითარგმნა. დიმიტრი მხოლოდ გამბას ქალიშვილთან შეხვედრისას იგებს, რომ ასეთი აღწერილობა არსებობს (არქივი ბ: 113).

ჟაკ ფრანსუა გამბა 1820 წლიდან მართლაც იმყოფებოდა საქართველოში და აქვე გარდაიცვალა ქუთაისში 1833 წელს. 1824 წელს მან პარიზში გამოსცა ორტომიანი ნაშრომი, სადაც მნიშვნელოვანი ცნობებია ქართველების ადათ-წესების, რელიგიის, ეთნოგრაფიის, ფლორისა და ფაუნის შესახებ. მისი ქალიშვილი შარლოტა გამბა საქართველოშივე დარჩა, რომელსაც გრაფმა ვორონცოვმა აჯამეთის ტყეების უმეტესი ნაწილი უწყალობა, რათა ადგილობრივებისათვის ფრანგულად მინის დამუშავების მაგალითი მიეცა. ფრანგ მადმუაზელს საფრანგეთიდან მეგაღეების, მებოსტნეების და სხვა ხელობის ოსტატების ჩამოყვანის განზრახვა მართლაც ჰქონია, მაგრამ დაავადებულა და მალევე გარდაცვლილა (გამბა 1987:9-15).

4 მარი ბროსე დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა 1848 წლის 13 აპრილიდან 25 ივნისის ჩათვლით. 26 ივნისს იგი გორში დაბრუნდა, 4 ივლისს –თბილისში, ხოლო 23 ივლისს პეტერბურგში გაემგზავრა (Алимбарашвили, ППВ, №1(20), 2014:224-225).

5 ხსენებული დოკუმენტის დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის მიერ გადაწერილი პირი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშიც, ოღონდ, შედარებით გვიანდელი პერიოდით, 1867 წლის 01 ნოემბრითაა დათარიღებული (არქივი ა).

დანართი

მოგზაურობა და მოხილვა იმერეთისა

28 მაისს ვნახე ხონი სადაცა არის რაედენიმე ხის დუქნები და პატარა მაზრა გარემო სოფლებთა. აქა ყოველს პარასკევს მეიდანზედ შეიკრიბებიან მრავალნი ქალნი და კაცნი სხუა და სხუა სავაჭროთ. მეიდნის თავს სდგა პატარა ეკკლესია ძველი თლილის ქვისა ზღუდე შემორტყმული, ეკკლესიაში ასვენია ფ˜დ ძველი და დიდი წ˜ს გიორგის ხატი ვერცხლით მოჭედილი ზეზედ მდგმოიარე. აქედამ წასული გაველ პარომით ცხენის წყალს და შემდგომ ვიწყე სიარული ყაზახის ცხენებით ოდისში, გავიარე თითქმის ოცდახუთი ვერსი სწორე გზა ტყიანი და ზედ ვაზ აშვებული, ბინდისას მიველ სუჯუნას[1] ოდიშის ეპისკოპოზ ჭყონდიდელ დადიანთან[2] [104-V].

მისმან უმაღლესობამ მიმიღო დიდის ალერსით და უბრძანა კრებათა თკსთა „დღეს სასიამოვნო სტუმარი გვეწვია, ჩუ©ნ ვყოფილვართ ამის სახლში 1842 წელსა მომავალნი ტფილისიდამ, ამისგან ჩემი პატივით მიღება იმ ღამეს და მეორე დღესა მე ყოველთვის მახსოვს". იმ ღამეს გავატარეთ მხიარულად და მეორე დღეს მაჩვენეს სუჯუნას დიდი ეკკლესია თლილის ქვისა გუმბათიანი ახლად დადგმული ექვს სვეტზედ და სამრეკლოსაცა ქვისას აშენებდნენ ბერძნები. ეკკლესია სდგა ვაკეზედა, ერთს მხარეს არის შენობა ხისა რამდენიმე სახლები ჭყონდიდელისა მეორე მხარეზე კრებათა მისთათვის და სხვათა, შიგან ასვენია ძველი ხატები ვერცხლით შეჭედილები, პირველ ოქროით დაფერილი, ფირუზებით და თვალ-მარგალიტით შემკობილი სიგრძით თხუთმეტი ვერშოკი[3] და სიგანით რვა ვერშოკი ადლისა[4], რომელზედაც სწერია მხედრულის ძველის ასოებით ესრედ:

„ქ. ეჰა მოწამეთა შორის მხნეო შვიდ წილ უძლეველო ღვაწლისა მძლეო დიდო მხედარო დიდისა მეფისაო ნ˜ო გიორგი ჴრმლისანო ბორტმან ვინმე კაცმან ხელ ყო ხატისა შენისა გატეხა, ხოლო ჩუ©ნ ძალთა შენითა უკადრისად შემკადრებელი შენი გამოვაჩინეთ და, ვითარცა ავსა კაცსა ფერობდა, ისე უყავით აწ ჩუ©ნ შენ მიერ განძლიერებულმან დიდმან პატრონმან ლევან განვაახლეთ ახლად ოქროსა წყლითა დაფერვითა გარეშემო ოთხის ფენგისა მოჭედისათა და თვალმარგალიტითა და დავასვენეთ სუჯუნის [105] ეკკლესიისა მის კურთხეულის ჭილაძის ასულისა და თანამეცხედრისა ჩუ©ნისა დედოფლისა პატრონის ნესტანდარეჯნისა სულისა სახსრად და საოხად ჩუ©ნდა სადღეგრძელოდ და ძეთა ჩუ©ნთა აღსაზრდელად განახლდა ქორონიკონსა სამასოცდა ათ თოთხმეტსა"[5].

ამავე ხატზედ სწერია ხუცურად: +Ⴗ ᲗᲘ ᲘᲥᲘ ᲪᲗᲦᲗ ᲢᲡᲫᲘ

მეორის წ˜ს გიორგის ხატზედ სწერია მხედრულის ასოებით:

ქ. ღ˜თ და ბატონო დადიანის ძე ჭყონდიდელ-მიტროპოლიტი გრიგოლის ბრძანებით შევამკე ხოშტარია თევდორემა.

მესამე წ˜ს გიორგის ხატზედ სწერია მხედრულად"

„ქ. ᲨᲝᲘ ყოველთა ქრისტეანეთა ზღუდეო მცველო და შესაევდრებელო მხნეო მხედარო ქრისტესო შვიდ წილ უძლეველო ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეთა მთავარო წმინდაო გიორგი სუჯუნისაო ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან მამა ჭყონდიდელმან ჩხეიძე პატრონმან ევდემოზ ვიგულისხმეთ და მოვინდომეთ სასოებითა მოსავმან და მადიდებელმა ტაძრისა შენისამან ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ გკადრეთ და შემოგწირეთ მცირე შესაწირავი ესე ასე რომე კოდორი ვამეყ დადიანისაგან და ელენე დედოფლისაგან პირველად შემოწირული ყოფილიყო და საჭყონდიდელო სახასოთ ყოფილიყო და ჟამთა ვითარებისაგან ელი... გოგიას მისთვის დაეჭირა აწე ჩვენ გამოგვირთმევია ხელ ახლა შენთვის შემოგვიწირავს და ჩვენდა სახასოთ დაგვიჭირავს კოდოლს სამი კეამლი კაცი სოკიორე შელია (შეილი) მისი სახლი კაცები [105-V].

თვალიკაცი ქუბალია და ხოხონია გაგულია მათის სახლის კაცით მამულ და ალაგითა სხვა იქაური პარტახები მამული და ალაგები ჩვენთვის დაგვიჭირავს აწე რამანცა ძემან კაცისამან მეფემან ანუ დედოფალმან გინა უფლისწულმან დიდმან ანუ მცირემან ანუ რამანცა ძემან კაცისამან ანუ ჩვენმან შემდგომმან-ჭყონდიდელმან უკუნისამდე ეს ჩვენგან გარიგებული მამული და ეს წიგნები თქუᲩᲨ მოგიშალოს და ან ის გლეხები გასცეს ან იმ გლეხების გაცემაში გაეროს და იშუამავლოს და გაცემა მოინდომოს მასაცა რისხავს თავად დამბადებელი ღმერთი და მარტვილისა ღვთის მშობელი და ეს წმინდა გიორგი სუჯუნისა და ყოველნი წმინდანი ღვთისანი ზეცისანი და ქვეყანისანი უხორცოთ ძალნი მათმან დიდებისა მადლმან ნუ იხსნას და ნუცა იხსენების სული მისი ნუცა წირვითა და ლოცვით ნუცა იერუსალიმში წასვლითა ნურას საღთო საქმითა წყეულ და შეჩვენებულ იყო სული და ხორცი მისი ამინ.

ქ. ჩხეიძე ევდემოს ჭყონდიდელისაგან კოდორს სამი კომლი კაცი გიგო ელიასათვს გამოერთმია და წმინდის გიორგისა სუჯუნისათვს შეეწირა და ᲩᲨᲩ ლიპარიტის შვილმან ჭყონდიდელმან პატრონმან გაბრიელ ...გან ვაახლეთ საქადაგო ხატი და ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია [106] და გურიიდგან ჩხაიძე მახარებელი გამოვიყვანეთ და შელის შევყარეთ იგიც ჩვენ შევწირეთ ჩვენდა სადღეგრძელოთ და სულისა ჩვენისა საოხად რათა ჩვენცა გვაქენდეს დღესა მას განკითხვისასა.

ᲨᲝᲘ ყოველთა ქრისტეანეთა შემწეო და შესაევდრებელო შვიდ წილ უძლეველო ღვაწლით შემოსილო მხედარო მოწამეთა მთავარო გიორგი მონდობილი ურ...ეთ და გ... მხედართმთავარო ...შვიდ წილ უძლეველო მოწამეო გიორგი შევამკე ხატი ესე პატიოსანი სახისა შენისა მოსავმან სახელისა შენისამან დადიანის კაციას ძემან მამა ჭყონდიდელმან მიტროპოლიტმან ბესარიონ და შევამკე პატიოსნითა ძვალთა და წმინდა ნაწილებით და დავასვენე სუჯუნას ეკლესიასა სახსრად და საოხად სულთა ჩვენთა ქ˜ეს აქეთ ჩლეჯზ.

თვთ სუჯუნა არს პატარა მაზრა ოდიშისა, აქ არის რავდენიმე დუქნები ხისა და ბაზარი ყოველს პარასკევს. სუჯუნა არის ჭყონდიდელისათვის საზამთრო სადგური.

1 ივნისს აქავე სუჯუნას მოვიდა თავადი მელიტონ ჩხეიძე[6] და სთხოვა ეპისკოპოზს ჭყონდიდელსა განაპატიოსნოს ახლად გარდაცვალებული ნათესავი მისი მოხუცი თავადი დავით ჩხეიძე და ნუგეშ სცეს მგლოვიარესა მისთა. მეორე დღეს 2 ივნისს მისმან უდიდებულესობამ ჩამისვა მე კალიასკაში თვისთან და დეკანოზი, სხვანი კრება მისი მოგვდევდნენ ცხენებით და [106-V] ჩვენ გავიარეთ ვაკე გზა გავედით ცხენის წყალს და საღამოზედ მივედით სადაცა დგანან თავადნი ჩხეიძეები. იმ ღამეს ჭყონდიდელი მიიღეს გარდაცვალებულის ჩხეიძის სახლში და ჩვენ გამოგვიპატიჟა თავადმა მელიტონ ჩხეიძემ თავის სახლში, მეორე დღეს მობძანდა აქავე გურიის ეპისკოპოზი ექვთიმე[7] კრებითურთ და მრავალნი თავადაზნაურნი ქალნი და კაცნნ. აქავ ვნახე პირველად ძველი ჩვეულება იმერთა მიცვალებულსა ზედა ესრედ: თავადის დავით ჩხეიძის სახლი იყო ხისა ქვიტკირზედ დადგმული რავდენიმე ოთახები, რომელთა ჭერი და ბოძები აჭრელებულია მრავალგვარად, შუა ზალაში ერთ მხარეს იდგა კუბო მორთული ხავერდითა და მეორეს მხარეს თავს იჯდა დაბლა ხალიჩაზედ შვილი მისი ფეხშველი, ქუდმოხდილი და პერანგის საკინძ გახსნილი, მასთან ქალნი და მონათესავნი თავშიშველნი ოცამდე მოტირალნი, მეორეს სახლში იყო საწოლი და ქვეშაგები ზედ დაგებული რომელზედაც, ტანისამოსი მიცვალებულისა ეწყო ვითარცა მწოლიარე, თვით პატარა სტოლი, სტოლზედ საწერ-კალამი ან კანონი მეფის ვახტანგისა სადგანაც მიცვალებული ყოფილა დინბეგი და სახელოვანი იმერეთში. მეორეს სტოლზედ ეწყო სხვა და სხვა რიგზედ ვერცხლეული და თოფი ვერცხლით შეჭედილი ეჭირა მოსამსახურეს. გარეთ კარწინ იყო გრძლად ფანჩატური დადგმული და ირეოდა მრავალი ქალი და კაცი სხუა და სხუა გვარად ჩაცმულ დახურვილნი: იმერელნი, მეგრელნი, გურიელნი და სხუანი, ვითარცა მოტირალნი ეგრეთცა მაყურებელნი [107]. მეცხრე საათზედ შეიქმნა ეზოში უეცრად საშინელი ხმა და ყვირილი დიდი მოსამსახურეთა ვაი, ვაი, ვაი ისინი იყვნენ ორმოცამდე ჩოხა ჩაძრობილი წელამდე და თავშიშველნი შეკვიდნენ სახლში თავში ცემით, გამოიტირეს მათ მცხედარი, შემდგომ მიუტირეს ჭირის უფალთა, ქვეშაგების და დალაგდნენ გრძლათ ხსენებულს ფანჩატურში გარეთ, სადაცა იდგა ცხენი უკუღმა შეკაზმული შავგადაფარებული თავით ფეხამდე. ამ დროს ორთა მათ ეპისსკოპოზთა და კრებათა მისთა შემოსილთა ნახეს მხედარი და ჭირის უფალნი, იგინი დასდგნენ კუბოს თავს, კუბოსთანვე იდგნენ სამნი კაცნი და სამნი მოახლენი თავშიშველნი ტირილით, გარეთ მოიტანეს ექვსთა კაცთა ტივის ხე გათლილი და სამთლად შედგენილი ფრიალებითა და სხუა და სხუა ფერის მხატრობით აჭრელებული, აანთეს მასზედ რამდენიმე სამთლები და ამართეს ის კარწინ სახლის ბან კიდევ უმაღლესი, ხალხთაცა იწყეს ერთი მეორისა ხმობა და თქმა: ეს სანთელი მაჭავარიანმა (ქუთაისის უეზდის ნაჩალნიკმა)[8] შეაწია და თვით ორასი კაცი ცხენოსნითი მოვიდაო სატირლად. მაჭავარიანს მიუძღოდნენ წინ მოზარენი რავდენიმენი გლეხნი; თავად აზნაურნი და თავნი ქუდ მოხდილ სტიროდა მოთქმით, ამან იტირა მოთქმით კუბოსთან დაჩოქილმან და ყოვლის სიტყვისა მის ბოლოს ისმოდა გრიალი მოზარეთა ვაი, ვაი, ამ გვარად იწყეს დინება რიგრიგათ მახლობელთა მონათესავეთა და მცნობთა ქალმა და კაცთა დიდს ხანს. კიდევ მოიტანეს თორმეტმა კაცმა ეგრეთი დიდი სამთელი და დასდგეს მეორესთან მას მოსდევდნენ ცხენოსანი, სამასამდე გლეხნი და თავად აზნაურნი [107-V] მათ შორის ბოლოს სიძე

მიცვალებულისა ცოლით თავშიშველნი შორითვე მაღლის ხმით ტირილით მომთქმელნი, ქალი მიცვალებულისა და სხუანი მასთან მყოფნი ქალნი იყვნენ დართული მძიმედ დარახტულ ცხენებსა ზედა მსხდომიარენი, ამათ იტირეს ეგრეთვე და შემდგომ რომელნიმე წავიდოდნენ თავ-თავის სახლად. რომელნიმე დასეირნობდნენ დიდს ეზოში, სადაცა დიდროანი ხეები დააჩრდილებდნენ მშვენიერსა მწვანეს, გარდა ამისა, თუმცა ბევრი შესანიშნავი ვნახე აქა, გარნა საჭიროთ არა ვრაცხ დაწვლილებით თქმისა, მხოლოდ ეს უნდა ვსთქვა რომელ ესრეთი ჩვეულება იმერთა ჰქონიათ სამწუხაროთა და სალხინოთაცა, იმერეთში შესაბრალისებელთა და სატირელი არა მიცვალებულ, არამედ ჭირის უფალი რომელნიცა ერთს კვირას ზოგჯერ მომეტებით და ნაკლებ ზის სადაცა კუბო სდგა და ყოელისა მნახველსა მისსა თვითეულად თავში ცემით შესტირის მითქმით. საღამოზედ დაასაფლავეს მიცვალებული და მეორე დღეს ჩუენ ვიწყეთ სიარული ისევ კალიასკით სოფელსა კულაში, აქ მაჩვენა და გამაცნო თავის ნათესავნი ჭყონდიდელმა თავადნი მიქელაძეები. საღამოზედ მივედით კოდორს. მეორე დღეს მისმან უსამღვდელოესობამ მიმიწერა სამეგრელოს მთავარ დადიანთან წიგნი და გამაყოლა ორი კაცი გზის მაჩვენებლად, ერთი იქავ სოფლის ახლოს გამეპარა და მეორემ დიდის ხვეწნით და ფულის ჩუქებითა მატარა ტყით დაბურვილი და ხლართვა გზები და მომიყვანა ძლივს ს. ხოფსა [108].

იმ ღამეს მიმიღო მოხუცმან მღვდელმან და მეორესა დღესა მაჩვენა ეკკლესია ფ˜დ დიდი, გარნა ძველის თლილის ქვისა, შიგან სხუათა მხატვრობათა შორის კედლებზედ არიან გამოსახულნი მრთლად ფეხზედან მდგომნი ძველებურად ჩაცმულნი დადიანნი ლევან ამისი შვილი მანუჩარ და დედოფალი. ერთს მხატვრობასა სწერია: „ამა საყდრის აღმშენებელი, ერისთავეთ ერისთავი და მანდატურთ უხუცესი დადიანი გიორგი შეუნდოს ღმერთმან. რა ცა აქ წარწერა არის ვერცხლით მოჭედილთა ხატებთა ზედა და სხუაგან იმ მღვდელმან მიანბო სრულებით გადმოსწერა უფალმან ბროსემო. აქავე ენახე ტრაპეზზედ სდგა პატარა ყუთი ვერცხლით შეჭედილი, რომელშიაც ძევს კვართი ღვთის მშობლისა და ნაწილები სხუა და სხუა, ზედა სწერია მხედრულის ასოებით ესრედ:

„ქ. რომელ მამისაგან სამღთოითა ძალითა ძლად გამოარჩიე და ძისაგან მხოლოდ შობილისა დედა შეყვარებულად გამოსჩნდი ფარვითა ყოვლად წმინდისა სულისათა შენ უქორწინებელად ხმობილი და ქალწულებით დაცული მშობელი მეუფისა და მხსნელისა უსძლო დედოფალო მარიამ, რომელი ყოველთა ცოდვილთა მეოხი ხარ და მარადის შემწე შენ ჭეშმარიტად შემძლებელო ლხინებისაო საჩინო სახელო დიდო უხრწნელო მეოხ მხსნელი განმასვენებელო ცეცხლისა და სატანჯველისაგან განმარინებელო ექმენ დედოფალსა ნესტან დარეჯანის ასულსა ჭილაძისასა რომლისა საუკუნოსა სახსენებელად და ცოდვათა მისატევებლად შეეამეკე და მოვაჭედინე კვართისა კუბო ესე ვერცხლითა ოქრო დაფერეითა თვალითა მარგალიტითა მე ხელმწიფემან დადიანმან პატრონმან [108-V] ლევან მისთჳს საოხად შეგიმკეთ ყოვლად წმიდაო ქერობიმთა უმაღლესო და სერაბინთა უაღმატებულესო ქალწულთ ქალწულო ყოვლად საგალობელო ლხინებით ყოველთა ქრისტიანეთაო შეისმინე ვედრება ჩვენი დაიხსენ და აცხოვნე განუსვენე და აკურთხე სული დედოფლისა ნესტან დარეჯანისა დაამკვიდრე სასუფეველსა ამინ მოიჭედა ყოვლად წმინდისა პერანგისა კუბო˚ ესე ქ˜კს სამას ოცდა რვასა.

ეკკლესიაში შიგნით და გარეთ კარიპჭის კედელში მარჯვნივ არის მარმარილოს ოთხი ფიცარი დიდი და ბრტყელი, რვა მრგვალი სეტი მარმარილოსი კარნიზებითა, კარების აქავ ერთს მარმარილოს ქვაზედ სწერია ხუცურად:

„ქ. სახელითა ღვთისათა ერისთავთ ერისთავმან მანდატურთ უხუცესმან დადიანმან ვამეყ მამისა მათისა ...ᲰᲘᲥᲗᲘᲡ ვითარ ეთვისა დადიანის გიორგის შედგადა და მიუხდა ჯიქეთს ...ურწმუნოებისა და ორგულებისათვის რათამცა მემსაყდრესა და სძაგდა ...ᲠᲛᲪᲔᲑᲝᲡ უხმარ იქმნა მათი სიმაგრენი გაგარი და უღალნი ყოველნივე ძალითა მოირჭვნა მათი მრავალთა ჯიქეთისა პატრონთაგან მოვლო მოარბინა რაოდენ მოწეწყო მათი მძლეველნი წამოსხნა და სხუანი აოტნა და მაშინ მოიღო სვეტნი [109] და ფიქალნი ესენი მარმარილოსანი და მამა დედათა ლარნაკი (ᲮᲪᲫᲗᲗᲮᲘ) და მისი დამარხვილი გარეთა სვარმარსი ...განსვენება მათი".[10]

6 ივნისს აქედამ ყაზახის ცხენებით მიველ ზუგდიდს სამეგრელოს მთავარს დავით დადიანთან,[11] აქა დადიანის ბიბლიოთეკა გავშინჯე სადაცა იყო ქართული წიგნები ბევრი, მათ შორის: ძველი და ვრცელი ლექსიკონი, საპოლეტიკო თეატრი ანუ საყოფაქცეო სახილხიველობა თარგმნილი ქართულსა ენასა ზედა ჯვარის მამის ვენედიქტეს მიერ ქალაქსა თფილისს 1817 წელსა. წიგნი მრავალფერი ყვავილობანი პეტრე ლარაძისა ლექსად თქმული, ალექსანდრეს მაკედონელის მოთხრობა ლექსად, ძველი ქართლის ცხოვრება. წიგნი საქართველოს მეფეთა ძველთა და ახალთა ცხორება გალექსით, გრემიდამე იმერეთს დახიზვნა მეფის თეიმურაზისა. იოსიპოს ფლავიოსის იუდებრივისა სიტყვა დასაბამობისა გაიოზის თარგმნილი — ველიზარობა და სხუა და სხუა რუსული და აშ თარგმნილი და საეკლესიო (ეს სიტყვა ფანქრითაა ჩამატებული, — ი. ა.) წიგნები. აქედამ 10 ივნის ვაპირებდი თავისუფალ სვანეთში მოგზაურობას გარნა ყველანი დიდათ მიშლიდნენ იქ შესვლას რადგანცა სვანნი არიან თავისუფალნი პირუტყვის მსგავსნი უსიკვდილოთ მათ ვერ მორჩებიო ანუ ტყვედ გაგცემენო. ამასვე დღეს შტაბს კაპიტანი თავადი აბაშიძე, რომელიც არის განწესებული ახლს სვანეთის მხარს მეტყოდა თუ გსურს ჩემთან წამოსვლა მე გაჩვენებ და დაგატარებ რაც ჩემს უწყების ქვეშ იპოება ძველი შენობა, რომელნიცა სხვათაც უნახავთო და პირ იქით სვანეთში კი არც მე გირჩევ წასვლასაო [109-V].

11 ივნისს ზუგდიდამ წამოველ ყაზახის ცხენებით და გამოვიარე ცუდი ჭაობიანი და ტყიანი გზა დახლათული, საღამოზედ მიველ ანაკლიას შავი ზღვის პირზედ. აქ არის ციხე და კოშკი დაქცეული რომელსა ჩამოუდის მდინარე ენგური. აქედამ მეორე დღეს 12 რიცხვს ყაზახის ცხენებითვე ვიარე ზღვის პირად, ერთს ალაგას გაველ ზღვაში შემომდინარ მთიდამ მონადენს წყალში რომელშიცა დავსველდით წელამდე და კინაღამ დავიღუპენით. ზღვა ღელავდა და ტალღა მისი გრგვინვითა ზედი ზედ მომავალი ისროდა ნაპერწკლებს, მეოთხე სათზე მიველ ყულევს ანუ რედუთკალეს,[12] სადაცა ენახე ქალაქის მდებარეობა ყოველგან ხავსმოკიდებული და მაცხოვრებელნი მისნი სდგანან ბაყაყივით წყალში. იმ დღესა და მეორე დღე ზღვაში იყო ფურთვნა. 15 შეველ და ვნახე პარახოდი Боецъ, შემდგომ ვიწყე სიარული ცხენებით ფოშტის გზაზედ. 17-ს მიველ ხონსა, აქედამ მარტვილს ჭყონდიდელ დადიანთან, ვნახე მარტვილი. მარტვილად მაღლობსა ალაგსა ზედა, საიდამცა სჩანს ოთხკუთხივ დიდი და მშვენიერი მდებარეობა ოდიშისა და საჩინოსი მთები და მინდორი და წყლები, მარტვილის ეკკლესია არის გუმბათიანი ფ˜დ ძველი და გარედამ გაახლებული თლილის

ქვით შინაგან მხატვრობა ძველი ბერძნული, ერთს მხარეს დახატულია კონსტანტინე და ელენე დაგვირგვინებულნი, რომელთაც უპყრიათ ერთი დიდი ჯვარი. იტყვიან ვითომცა ეკლესია ესე იყოს მათი აღშენებული [110]. აქა მდგარა, როგორც მიანბო მე მისმან უსამღვდელოესობამ პირველად მუხა დიდი, რომელსაცა ჰქვია მეგრულად ჭყონ დიდი და სადაც კერპნი ძველად შეპსწირავდნენ შესაწირავსა თჳსთა ღმერთთა, შემდგომ ოდეს მოიქცნენ იგინი ჭეშმარიტსა ქრისტიანობითს სარწმუნოებასა ზედა მაშინვე მოჰკვეთეს ხე იგი დიდი და ნაალაგევსა მისსა დასდგეს მცირე ეკკლესია ხისა მეგრელთა, რომლისა გამო ეწოდება აქაურს ეპისკოპოზს ჭყონდიდელი. რაიცა წარწერილობა ვნახე აქ ხატებზედ და სხვაგან, მე მითხრეს უფაალმან ბროსეტმან გადმოწერაო. აქედან გამატანა ჭყონდიდელმა კაცი თავისი და ჩუᲩნ წავედით ნოქალაქევს ალექსანდრე დადიანთან,[13] ამან დამატარა ეს ძველი ქალაქი, რომელსაც იტყვიან კოლხიდათ, ესე არს მდინარისა ტეხურას პირს გატყეევებული, მას ჰქონია გალავანი, რომლის კედელი სდგა დღესაც რამდენიმე საჟენიანი სიგრძით და სიმაღლით ზედ მწვანე სურო გაფოთლილი, მრავალსა ადგილს ჰყრია ნანგრევი შენობათა, გალავანში სჩანს საძირკვლები სახლებისა თუ დუქნების ტეხურის პირად, ერთს მხარეს არის ჩასული ტეხურაზედ წყლის საზიდი გვირაბი ცადაქნილი თლილის ქვის მრთელი, მეორეს მხარეს დაქცეული შენობა, ქვეშ მარანი ქვევრებით, აქაე არის ფ˜დ ძველი ეკკლესია გუნბეთიანი, რომელშიცა წირვა და ლოცვა არის ყოველთვის, აქაურთა მღვდელთა და თავადთა დადიანებთა მაჩვენეს დახატული ეკლესიაში კონსტანტინე და ელენე ჰჯჯვარითა, იგინივე მეტყოდნენ: „ჩვენ ასე გაგვიგონია ჩუᲩნის მამა-პაპისაგან ეს ეკკლესია ამ კონსტანტინეს და ელენეს აღუშენებიაო სახელზედა ორმეოცთა წამებულთა სილიანის ტბაში, სხვა ფ˜დ ძველი ხატი ანუ წარწერილობა რაიმე არ მინახაეს რა, მხოლოდ დასავლეთის მხარეს კარიპჭეში მარჯჳნივ ვნახე განსაკვირვებლად მიწაში საფლავის [110-V] მსგავსად აგურის პირები ოთხკუთხივ და შიგ მწკრივად სხედს ოთხპირად ორმოცი კოჭოპი თავებ გადაკირული. მე დიდათ მსურდა დამეშინჯა ეს კოჭობები და ვითხოვდი შემწეობასა მაზედ, გარნა იგინი განცვიფრებით უარს ჰყოფდნენ და იტყოდნენ, რომელ ჩუᲩნ გაგვიგონია, ვითომცა ამათში იყოს იმა ორმეოცთა წამებულთა ნაწილებიც, რაც ეს ეკკლესია აღშენებულა მას აქეთ მტერსაც ბევრჯელ უნახამს და ვერავის ხელი ვერ შეუხია, ვერც ჩუᲩნ შეგვიძლიან გავხსნათ და ვნახოთ. აქედამ ამიყვანეს მათ კლდეებზედ, სადაც ვნახეთ კოშკი და რაღაც დაქცეული შენობა, შემდგომ შევსხედით ცხენებზედ და შემოუარეთ გატყეევებულ მაღლობსა ძველს ქალაქს, რომელიცა დასცქერის ოდიშის მდებარეობას და დაფანტვით მდინარესა ტეხურას. აქავე ვნახე ციხე-გალავანი დიდი კლდეზედ, თავსა და ბოლოს სიმაგრეები დაქცეული და თჳთ გალავანიცა ეგრეთვე დაქცეული. ციხეს უკან გადავიარე კლდეები, ჩაველ ტეხურის პირ აბანოს,[14] იმისი წყალი ამოდის კლდეში და სანაპირო ტეხურისა გადადის ზედ. აქა ვნახე გურიის თავადი პოდპოლკოენიკი ერისთაეი,[15] რომელიც მენახა 1845 წელსა დარღოში,[16]ამან მიანბო მრავალნი სნეულნი იკურნებიან ამაში ბანებითა და მეცა სამკურნალოთ ვარ აქა ცოლშვილით ეს ორი კვირა არისო, ჩუᲩნ განვატარეთ სადილი სიამოვნებითა და შემდგომ ვიწყე სიარული ჩვეულებისამებრ, შემოუარე მთას გარე, გამოველ მდინარესა აბაშ მეორეთ და მოველ მარტვილსა საღამოს ჟამსა [111].

ჭყონდიდელ ეპისკოპოზმან მაჩვენა თავისი წიგნები, რომელთა შორის ვნახე გადმოწერილი ესე: „ᲩᲪტლნო ღთისანო, საყდარნო საშინელნო, ცეცხლნო სულად სიტყვათა მსწრაფლად კაცთა მეოხად შექმნილნი ბრძანებითა საღმრთოთა წამისყოფითა მორტყმელნო მიქაილ, ძალითა მთავარნო, გაბრიელ ქალწულსა ხარებითა კაცთა და ღვთისა, თქუენ, რომელნი წამის ყოფითა ღთისა ბრძანებასა უხილავად ძლიერებითა უმჯობესისა განაგებთ რომელი სცავს ცასა და ქვეყანასა ფრთითა თქვენითა; ხოლო ან მეცა მაჩრდილეთ მეოხება თქუენი მე, დადიანსა ლევანს; მთავარანგელოზნო მიხაილ და გაბრიელ სახელითა და მღვთისათა და ძალითა შენითა. ჩუᲩნ ჴელმწიფემან დადიანმან პატრონმან ლევან გავილაშქრეთ მეფესა ალექსანდრესა და მის ძმასა მამუკაზედ და მივედით ქუთათის ციხის საბრძოლველად თჳთ მეფე სრულნი იმერნი და სხვანნი („ლენტეხელნი“ — ეს სიტყვა მარი ბროსეს მიერაა ფანქრით ჩამატებული, — ი. ა.) და საფარ ფაშის მეთოფეები ბევრი ახლდა და სოხესა და ჯჳბირებიდან იდგნენ: ჩუᲩნ მივედით და სოფია წმიდის საყდარი მეთოფეებით აევსო და გაემაგრებინა, უყავით ღამით იერიში და საყდარაი წავართვით რაცა მეომარი მეთოფეები იდგა ყველა გამოვასხით და ჯჳბირის გარეთ ორი დიდი ქვის პალატი იყო ძველთაგან ნაშენები და ის მეთოფითა და მეომრის კაცით აევსო და გაემაგრებინა; სოფია წმინდის საყდართანა დიდი ზარბაზანი მივიტანეთ და იქით დაღმა დაუწყეთ სროლა და ცემა და იმ ქვის სახლებსა და დავამტვრიეთ ზარბაზნებითა და მრავალი კაცი იმაშიგ მდგომი დავხოცენით. მერმე იერიში უყავით და იქეთ [111-V] მეფემან გამოაშველა ლაშქარი, დაუშინეთ ერთმანეთსა თოფებითა სროლა და საკვრველი ომი შეიქმნა, მრავალნი კაცნი დაიხოცა იქეთაც და აქეთაც, იქით მოკვდა თავადი და აზნაურ შვილი გიორგი ლორთქიფანიძე. ელიზბარ (ბროსეს მიერ ფანქრით ჩამატებულია „ლოლაძე“?) ღოღობერიძე (ბროსეს მიერ ფანქრით ჩამატებულია: „ორი ძმა ახვლედიან ...და ოვრივე სხვა ზოგი...“). სხუა ზოგი დაიხოცა და ზოგი დაიკოდა და წავართვით ის ქვის პალატები ...იქ ზედან სასახლეს ზარბაზნები ვერ მიუტანეთ მისატანი ალაგი არ ჰქონდა ჩამოვედით დაბლა რიონის პირს და დავსდექით. სასახლის ქვის სახლებს დაუწყეთ ზარბაზნებით სროლა და ცემა და დავამტვრიეთ ის ახალი ქვის პალატი თჳთ ალექსანდრე მეფისაგან აღშენებული, გაუსიეთ ლაშქარი გალმა ქუთათის ქალაქს, დავწვით (ბროსეს მიერ ჩამატებულია: „და მოვაოხრეთ“) ავაოხრეთ, მრავალი იშოვეს და წამოვედით გამარჯჳებული. მოვედით ოდიშს ძიგურს და ერთი კვირე არ გასულა, ისევე ვქენით ილღარი ცხენის წყალს შემოვიღამეთ ის ღამე ვიარეთ და გათენების დროს დავესხით ქუთათისს სასახლესა და ქალაქსა უწინდლისაგან ოთხი და ხუთი ზომა საშოვარი ალაფი და ტყვეები ვიშოვეთ, რომ ლაშქარი ძლივ დაერიცა და წამოვედით გამარჯჳებული და შევასვენეთ ლაშქარი და ცხენი და კიდევ გაილაშქრენით იმერეთზედ თვესა ფებერვალსა და მივედით (ბროსეს მიერ ჩამატებულია ფანქრით: „ურიას“) აჯამეთს, დავსწვით, ავაოხრეთ და მოვედით ჩხარის ქალაქს და იქ დავსდექით და სოფელნი დასწვეს (ბროსეს მიერ ჩამატებულია: „სოფლები ნამ...რული დასწვეს“) და ააოხრეს [112].

„რა ქნამ სასახლე არ დავსწვით (ბროსეს მიერ ფანქრით ჩამატებულია: „სქანდა მ...სასა დავსწვით“) ვარდის გორა და ჩიხორის ქალაქი დავსწვით, ავაოხრეთ, არგვეთ ლორთქიფანიძის სასახლეს დავსდექით (ბროსეს მიერ თავზე მიწერილია: „ესვა ...დეთ არგვეთს რუთ...სძის ახლოს დავსდექით და...“) და იქიდაღმა ჩვენმა და მან ლაშქარმან სრული არგვეთი და ჭალა ტყეს აქეთაც სასახლე და სოფლები იყო დაუწვავი და აუოხრებელი და არა დააგდეს რა და იქი დაღმა

ავიყარენით და თეთრი ყოლას და გოფანთო, მხეიძის სასახლეს დავსდექით და იქიდაღმა სადაც ლაშქარი მიუწევედა დაუწვავი და აუოხრებელი არა დაადგეს რა, წამოვედით გამარჯვებული და ნაშოვრით სავსე, რომ ლაშქარი ვერ დაერივნეს, ბალახოვანზე რიონს გამოვედით და ქუთათის ციხის დაღმა მეფე და სრულნი იმერელნი ლაშქარნი შეყრილი თვალით გვიმზერდნენ მისის თემისა და ქვეყნის ამოწყვეტას ჰხედავდა იმოდენა ნაშოვრის ტყვეების აქ ულავილი ყურით ესმოდათ, მაგრამ ციხის დაღმა თავი არ გამოჰყვეს და ვერცარა დაგვაკლეს ასე შეეარცხვინეთ და წამოვედით ოდიშს გამარჯვებული, გამოვგზავნეთ დავასვენეთ ტაძარსა შენსა ხეტრელსა (ბროსეს მიერ თავზე მინაწერი აქვს ფანქრით: „ეხტრელსა") და ალაგსა და თემსა ეცერსა, ხატი ესე მთავარანგელოზისა, ქორონკონსა სამას ოცდა ათოთხმეტსა.[17]

ეს ხატი რომელზედაცა სწერია ესე, ჭყონდიდელმა მიბრძანა სვანეთში ასვენიაო, სადაცა სვანნი არავის უშვებენო. მეორე დღეს გამოვეთხოვე მის უმაღლესობასა და ვიწყე სიარული ცხენით, მოვედი ხონს. აქედან საღამოზე ქალაქსა ქუთაისს [112-V].

...13 ივლისს საჩხერიდამ წამიყვანა ბლაღოჩინმა ოქროპირ მღვდელმა და მაჩვენა ჯრუჭის მონასტერი, აქავ ძველ ეტრატზედ დაწერილი საეკლესიო სხვა და სხვა წიგნები, მათ შორის ვნახე სახარება მრგვლოვანის საოებით ქარაგმით ნაწერი ეტრატზედ, ბოლოს ფურცელზედ სწერია ქორონიკონს ᲫᲰᲠᲗ [18].

კიდევ ვნახე ჯრუჭის მონასტრის განძეულობა, გარნა ფ˜დ ძველი არა იყო რა. იქაურმა გამგებელმან მაჩვენა ძვალი, რომელი რაღაც ცხოველისა გაქვავებული ქვაშივე მჯდომი და მითხრა ეს რიღაცის ძვალია კაცისა თუ ნადირისა დიდი ხანია ამ ეკკლესიაშიო არის შენახული ასე. აქედამ ავიარეთ მთები ტყით დაბურული და კლდოვანი დახლართული გზა, ჩუᲩნ გადავედით ვაკეს, შემდგომ გავედით მდინარესა ხარისთვალას, მივედით ჩქმერს[19] მღვდელთან, მეორეს დღეს ვიწყეთ სიარული თავქვე და ჩავედით რაჭაში, ვითარცა ჭაში ონს, რომელსა არტყია ირგვლივ მთები ტყიანი და მდინარე რიონი ჩამოუდის, აქაურმა უეზდის ნაჩალნიკმა მითხრა შარშან წინ უფალმა ბროსეტმა სულ დაიარა აქაური ეკკლესიები და თუ გსურსო, თქუᲩნც მოგცემთ კაცს ნახეთო.

14 ივლისს ონს ვნახე სასუნებლები ორმოები[20] და ეკკლესია პატარა, შიგ ასვენია ხატი ნ˜ს გიორგისა ფ˜დ ძველი, რომლისათს იტყვიან: პირველად ხატი ესე იყო საქართველოდამ[21] მოსვენებული შემდგომ სვანეთში დახიზნული და ახლა აქა არს, ვისგან და როდის უტარებიათ ესე არავინ უწყის, ზედა სწერია ხუცურის ასოებით: „წმინდანო მთავარ ანგელოზო მიხეილ და გაბრიელ მეოხ ეყვენით სამთა ძმათა გარაყანიძეთა მიხეილს, ფორთის და იოანეს და ზეთა მათთა ორსავე ცხორებათა შინა წინაშე ქრისტესა [122-V].

აზნაურნი გარაყანიძენი დღეს სცხოვრობენ ტფილისის გუბერნიაში საგურამოს, რომელთა ეკუთვნის ნაწილი ზემო ავჭალისა, მე ვიცნობ მათ და ვიცნობდი გარდაცვალებულსა მამასა მათსა გიორგი გარაყანიძესა, რომელიც იყო ბუნებითი მეხანიკი კარგი. იგი იტყოდა ხოლმე: ოდეს იმერეთში გელათს ხატამდა თავადი აფხაზოვი, მაშინ მე თექვსმეტ ჩვიდმეტის წლისა შეგირდი ვშველოდი მას გელათის შიგნიდან დახატვასა. გიორგი გარდაიცვალა რუსეთს ოთხმოცი წლისა მეტი თუ ნაკლებ სამ-ოთხი წლის წინათ.[22]

ამავე ონის ეკკლესიაში ვნახე მეორე ხატი ვერცხლით შეჭედილი და ოქროთი დაფერილი ნაწერით:

ქ. წმიდაო მთავარ ანგელოზო მეოხ ეყვენით ორთა ძმათა სოსიასა გიორგის ძე, აჯოლედიანსა და ვარდანს წინაშე ქრისტესა.

აქავ ვნახე სახარება ეტრატზედ დაწერილი, რომელზედაც სწერია:

ქ. დიდება ღმერთსა ყოვლის მპყრობელსა და სრულ მყოფელსა ყოვილისა კეთილისასა აღიწერა წმინდა ესე ოთხთავი სენთა მკურნალი და სულთა განმანათლებელი მეფობასა გიორგისასა დასასრულს მეცამეტე ქორონიკონსა.[23]

15 ივლისს მე და ოქროპირ ბლაღოჩინი გავედით რიონს და ვიწყეთ სიარული მაღალ კლდეებზედ ტყიან მთაში ცუდ გზაზე [123] ავედით მთის წვერზედ, სადაცა ვნახეთ სრულიად დაქცეული პატარა ნათალი ქვის ეკკლესია, აქა ჩუᲩნ ბევრი ვძებნეთ და ვერა ვნახეთ ის ზეთი, ვერცა ნაალაგევი ან ჭურჭელი მისი, რომელსაც სწერს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში და აქაურნიცა, და ჭეშმარიტებით იტყვიან, ვითომცა უწინ რამდენიც უნდა მიცვალებული შეემუსრათ იმ ზეთით, ჭიქა ზეთისა კიდევ და კიდევ ივსებოდაო.[24] იქიდამ ჩამოვიარეთ იმავე გზით, ჩავედით ძირს და ავყევით მდინარესა რიონს, შემდგომ მივედით მჟავე წყალზედ, აქა დიდსა და ფ˜დ ძველს ეკკლესიაში, რომელიც არის ნაგები სადათ და ვახუშტიცა თავის გეოგრაფიაში მოიხსენიებს აქა კიდებულს ნაწნავს, გარნა არა იყორა და არცა თუ მნახავი მისი არის ვინმე[25]. კვალად დავბრუნდით და მივედით საღამოს ონსავე.

16 ივლისს ონიდამ სამს ვერსზედ მაღლა მთაზე სოფელსა სხიერს[26] ვნახე ეკკლესია ქვისა, სადათ ნაგები და შიგან ძველი ხატები ვერცხლში შეჭედილები, სხვა ღირსი შესანიშნავი არა რა მე არა მინახამს აქა.

17 ივლის ონიდამ ვიარე ცუდი აღმართები. პირველს ძველ გზაზედ, რომლითაც მიველ ონს, შემდგომ გარდაუხვიე და მიველ მრავალძალსა, სადაცა სოფლის ივს (?) სდგა ეკკლესია თლილის ქვისა. [27]აქ მიანბეს, რომ ხმალი შახ-აბაზისაგან იყო ამ ეკკლესიაში დაკიდებული, გაიყიდა[28] და იმ ფულით ამ ეკკლესიას იატაკი დაუფინეთო, სხუა ხმლები მაჩვენეს შეწირულები ძველად, ერთი სპარსული, ოქროს თავიანი თელებ ამოტვიფრული, მეორე ჩერქეზული, შუბები, ბაირაღები, მუზარადი, ჩაჩქანი და ყანწები ანუ ჯიხვები, ყომრალი ვერცხლი გადაბმული ფ˜დ ძველები. [123-V] ეგრეთვე ძველი ხატები ვერცხლისფერში შეჭედილები, რომელთა ზედაწარწერები მე გადმოვწერე და ვიწყე სიარული მთამთა სამხრეთისაკენ. შემდგომ გადმოველ ჩქმერს მღვდელთან, მეორე დღეს ძველისაკე გზით ღრუბლიანსა დღეს ჩამოველ კვალადვე საჩხერეს, სადაცა დავრჩი წვიმების გამო რამდენსამე დღეს და ვეძიებდი კარგს მოგზაურს კაცს დღეში მანეთათ თავის ცხენით, რომელთანაც მსურდა დამეკლო დანაშთენი ალაგები იმერეთისა, რათამცა მოგზაურობა ჩემი ესე ყოფილიყო სრული, გარნა სურვილი ჩემი ამაო იყო, სახელდობ ვისაც ვეტყოდი ამა და ამ ალაგებში მინდა წასვლა და ნახვა ამა ძველთა შენობათა, რომელთაც სწერს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში, იგინი ზოგნი დაიზარებდნენ და ზოგნი ვერ ბედავდნენ შორს სიარულს, დიდ ხანს მოუნდებით ჩუᲩნს საქმეს კი მოვცდებითო, ამის გამო იძულებულ ვიყავ გამეთავებინა იმერეთს მოგზაურობა.

20 ივლისს საჩხერიდამ გამოველ ყვირილას და შვიდ რვა ვერსზედ მარცხნივ ყვირილას სათავისკენ ვნახე მაღლობზე სოფელსა სავანეს ეკკლესია. დიდის თლილის ქვისა, რომლისა კანკელი არა სრულიად შაბაქა ამოკვეთილი მრთელის ქვი-

სა. დასავლეთის მხარეს სწერია კლდის ქვაზედ ამოჭრილს ასოებით კარების თავზე ხუცურად ქარაგმითა გადაცვეთილ სიძეელისა გამო.

ქ. სახელითა მღვთისათა, მეოხებითა წმინდისა ღვთის მშობლისათა წმინდისა გიორგისითა დამაყენა მე სულითა საწყალობელი [124] ლუარსაბ აღსაშენებლად წმინდისა ამის საყდრისა ადიდენ ღმერთო გიორგი და იოანე სალოცველად სულისა მათთჳს და მშობელთა მათთჳს.[29]

ჩრდილოეთით კარიბჭეში კარების თავზედ სწერია ეგრეთისავე ასოებით ქვაზე:

ქ. სახელითა მღვთისაითა მე გიორგი იოანე აღვაშენე წმინდა ესე ეკკლესია სავანისა სალოცველად სულისა ᲩᲝᲗᲮსᲩᲰᲨᲡ და ძმისა ჩვენისა ᲔᲮᲛ და მშობელთა ჩუᲩᲜთათჳს ᲚᲮᲮᲮᲝᲡᲩᲡ ᲝᲩ მარიამისათჳს და შვილისა ჩუᲩᲜთათჳს გაბრიელისათვის და დედისა მისისათვის წ˜დო გიორგი მეოხ ეყავ წინაშე ღვთისა ამინ. იყვნენ ქორონიკონით ს.Ჩ Ჩ ᲩᲨᲗᲰᲩ მეფობასა კურაპალატისსა.[30]

კარიბჭეში კლდის ქვაზედ სწერია ხუცურად – ქარაგმითა ძნელად წასაკითხი:

ქ. სახელითა მღვთისათა და შეწევნითა სავანისა ᲫᲐ ᲨᲫᲨᲡᲩ (თავზე ბროსეს მიერ ფანქრით მიწერილია „მოწამისა" – ი. ა.) ᲗᲨ ᲐᲫᲰᲡ ᲮᲫᲰᲨ ᲐᲨᲐᲫᲐᲨᲨᲰᲰᲡᲩ ᲝᲧᲘᲘᲡᲫᲐᲮᲡ და მისის მეუღლისა თამარისა შეუნდოს ღ˜ნ[31] (იხ: დანართი ფოტო 1).

აქვე კარიბჭეში პატარა სამწირველოს კარების თავზედ კლდის ქვაზედა სწერია ეგრეთის ასოებით: „წმინდაო ღმერთო და ყოვლად წმინდაო ღვთის მშობელო შეიწყალე ქავთარაძე დავით ძეთა და ასულთა მისთა განუსვენე ქრისტე ამინ" [124-V].

გარედამ აღმოსავლეთის მხრით ფანჯრის გვერდზე სწერია კლდის ქვაზეზდ ამოჭრილის ასოებითა[32] (იხ.: დანართი ფოტო 2).

შიგან ეკკლესიაში კანკელი წინ მარჯვენივ არის საფლაეის მსგავსი იატაკზედ ერთ არშინ მაღლა, რომელსა აფარია ფიქალი ქვა. აქაურნი იტყვიან ვითომცა იყოს ამაში ძველად შენახული ავის დროის გამო ამ ეკკლესიის ხატები, ახლა თუმცა სურთ ახდა გარნა ვერა ბედვენ და არცა მე მომცეს შემწეობა მათ, რომელ მართლად შემეტყო მათი მოთხრობა. სხუა აქა ღირსი შესანიშნავი არა მინახამსრა. ეკკლესია სადათ არის ნაგები, უგუნბათო, გალავანგადაქცეული. აქედამ ვინყე სიარული აღ˜სავლეთისა მხრით, გარდმოვიარე კორტოხის მთა ტყიანი და ხევებიანი წვიმა ტალახში ზოგან ცხენით და ზოგან ქვევითათ გაჭირვებით ჩამოველ სურამს 21 იელისს.

სურამიდამ მსურდა გამგზავრება აჭარისაკენ მაგრამ უკეთუ [125] მოგზაურობა ჩემი განგრძელდებოდა უცხო ქვეყანას ერთს ორს თვეს, მაშინ საკმაო ფული აღარ მექმნებოდა თანა და დავბრუნდი 22 ივლისს კვალად ტფილისს.

შენიშვნები ტექსტისათვის

1 სუჯუნა – სოფელი აბაშის მუნიციპალიტეტში, რაიონული ცენტრიდან 6 კმ. მდ. აბაშისწყლის ნაპირას, ზღვის დონიდან 15 მეტრზე. სოფლის ტერიტორიაზე მდებარეობს XVIII ს. ბოლოს აგებული ჯვარგუმბათოვანი ტაძარი. სუჯუნაში იყო ჭყონდიდელების საზამთრო რეზიდენცია (კეკელია, 2011: 67-74).

2 ოდიშის ეპისკოპოსი ჭყონდიდელ-დადიანი – საუბარია ანტონ გიორგის ძე დადიანზე (1796-1852 წწ.), რომელიც ბიძად ეკუთვნოდა სამეგრელოს მთავარ დავით დადიანს. ჭყონდიდელის ხარისხში აიყვანეს 1843 წელს მთავრის მოთხოვნით. მის დროს გაფართოვდა ჭყონდიდელის უფლებამოსილება და სამღვდელოების გარეშე არ ფორმდებოდა სამთავრო კარის არც ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი (ჭყონდიდელი, 2010).

3 ვერშოკი – რუსული Вершок, სიგრძის ძვ. რუსული საზომი (არშინის 1/16 ნაწილი), უდრის 4,4 სმ. იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

4 ადლი – სიგრძის საზომი ერთეული ძველ საქართველოში. რუსეთთან შეერთების შემდეგ თანდათანობით რუსულმა არშინმა შეცვალა. იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე. უდრიდა დაახლ. 101,15 სმ-ს.

5 ზემოხსენებული ხატი ლევან დადიანის წარწერით აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილსაც (თაყაიშვილი 1913-1914: 22-31), თუმცა, ხუცურ წარწერას ხატზე ექვთიმე თაყაიშვილი არ ასახელებს და ხატის ზომებსაც უმნიშვნელო ცვლილებებით (48 x 34 სმ) გადმოგვცემს.

6 მელიტონ ჩხეიძე (1819-1870 წწ.), სიმონ ჩხეიძის ვაჟი. ჰყავს შვილები ნინო და ბარბარე. მეუღლე – პუპი, თავად ვამეყ დადიანის ასული (1833-?) (ჩიქოვანი 2004:70-72).

7 გურიის ეპისკოპოსი ექვთიმე – გურიის საეპისკოპოსო აღდგა 1844 წლის 1 აპრილს და მის ეპისკოპოსად დაინიშნა ექვთიმე წულუკიძე. მან ძალზე ბევრი რამ გააკეთა გურიაში მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცების მიზნით, რის გამოც იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანებით წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

მიტროპოლიტ დავით წერეთელის გარდაცვალების (†11. 04. 1853 წ.) შემდეგ, ეპისკოპოსი ექვთიმე წულუკიძე ეგზარქოს ისიდორეს მიერ გადმოყვანილ იქნა იმერეთის ეპისკოპოსად. იმერეთის ეპარქიაში სამი წლის მოღვაწეობის შემდეგ, 1856 წლის 4 აპრილს იგი გარდაიცვალა და დაკრძალეს დიდი პატივით ქუთაისში, ბაგრატის ტაძარში (ხურციძე 2008:55-57).

8 იგულისხმება გენერალ-მაიორი სპირიდონ სიმონის ძე მაჭავარიანი, ქუთაისის მაზრის უფროსი 1848-1850 წლებში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი (კალენდარი 1850:16).

[9] საუბარია ამჟამად ზუგდიდში, დადიანების ისტორიულ მუზეუმში დაცულ ღვთისმშობლის კვართზე.

[10] იგულისხმება ვამეყ I დადიანი (1384-1396 წწ.), რომელმაც მართლაც მოაწყო ხსენებული ლაშქრობა, დაიმორჩილა ჯიქეთი, მძევლები წამოიყვანა და კვლავ შემოუერთა საქართველოს (ხორავა1996: 43-44).

[11] სამეგრელოს მთავარი დადიანი – იგულისხმება სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი დავით დადიანი (1813-1853 წწ.), მთავრობდა 1846-1853 წლებში. დაკრძალულია მარტვილის მონასტერში. მთავრის გარდაცვალების შემდეგ, 1859 წლამდე სამთავროს მართავდა მისი ქვრივი ეკატერინე ჭავჭავაძე.

[12] რედუტკალე – ნავსადგური მდინარე ხობისწყლის შესართავში, ამჟამინდელ ყულევის ადგილას. დაარსეს 1804 წელს რუსებმა, რომელთაც ამ ადგილას სამხედრო ნაწილი ეყენათ და ზღვით ერთ-ერთ მთავარ სასურსათო ბაზას წარმოადგენდა. ფოთის ნავსადგურის ზრდასთან ერთად, ყულევის მნიშვნელობა თანდათან დაეცა.

[13] ალექსანდრე დადიანი – შესაძლოა, ეს იყოს ალექსანდრე მანუჩარის ძე დადიანი, რომელიც 1856 წელს გარდაიცვალა. ჰყავს შვილები: ტარიელი, ნიკოლოზი, პლატონი, პელაგია, მართა, გიორგი, პეტრე. იხ: www.nplg.gov.ge/dadiani/images/tabula-3-17jpg.

[14] საუბარია მდინარე ტეხურას პირას ნოქალაქევის (ნოსირის) ცნობილ სახალხო აბანოებზე.

[15] თავადი პოლკოვნიკი ერისთავი – იგულისხმება გორის მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლი ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავი, რომელიც დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილთან ერთად მონაწილეობას იღებდა 1845 წელს დარგოს ექსპედიციაში (ალიმბარაშვილი 2013: 66).

[16] 1845 წელს მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის ხელმძღვანელობით შამილის წინააღმდეგ მოწყობილ დარგოს (ჩრდილოეთ კავკასია) ოპერაციაში დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი პირადად მონაწილეობდა და სპეციალური ნაშრომიც (*ღირსახსოვარი ლაშქრობა კავკასიასა შინა 1845 წ.*) მიუძღვნა მას.

[17] უდრის 1646 წელს.

[18] ფურცლის კიდეზე ბროსეს მიერ ფანქრით აქვს მინაწერი: „186-926". საუბარია 936-940 წლებში კალიგრაფ გაბრიელის მიერ გადაწერილ ჯრუჭის ოთხთავზე. ამჟამად ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, H-1660.

[19] ჩქმერი – იგულისხმება სოფელი შქმერი, ონიდან 21 კილომეტრში, ზღვის დონიდან 1720 მეტრზე. შქმერზე გადიოდა ისტორიული საქარავნო გზა. ვახუშტი შქმერის შესახებ აღნიშნავს: „დაბა დიდი უვენახო, უხილო, მსგავსი სხუა მთის ადგილთა და შუენიერ ზაფხულის ფრიად" ბატონიშვილი 1973:766).

[20] ონის სასუნებელი ორმოები – სავარაუდოდ, საუბარია ონის მახლობლად, მდინარე ჯეჯორას ხეობაში, სოფელ სორგითთან არსებულ „სასუნთქელაზე", რომელსაც თავისებური სუნის (გაზის) გამო, სამკურნალო თვისებები აქვს თავისტკივილის, თავბრუსხვევის, გრიპით, ასთმით დაავალდებულთათვის.

[21] იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო.

[22] მელვინეთხუცესიშვილი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის აფხაზიშვილის (აფხაზოვის) მიერ ტაძრის მოხატვის თარიღთან დაკავშირებით. როგორც ვიცით, დიმიტრის იმერეთში მოგზაურობა 1850 წლის ზაფხულში განხორციელდა. გიორგი გარაყანიძე გარდაცვლილა „სამ-ოთხი" წლის წინ, ანუ დაახლოებით 1846-47 წლებში ოთხმოცი წლის ასაკში. თუ იგი აფხაზოვთან ტაძრის მოხატვისას 16-17 წლის ასაკში მუშაობდა, გელათი დაახლოებით 1783 წლისთვის უნდა მოეხატათ (1846-80+17=1783 წ.). თუმცა, სხვა ცნობებით ეს ფაქტი არ დასტურდება.

[23] მეცამეტე მოქცევა დასრულდა 1312 წელს. ამ დროისათვის საქართველოს მეფედ ორი გიორგი ჩანს. გიორგი VI „მცირე" და გიორგი V „ბრწყინვალე", რომელიც, მართალია, 1318 წელს გამეფდა, მაგრამ ოფიციალურად ჯერ კიდევ 1299 წლიდან ითვლებოდა მეფედ (ჯავახიშვილი 1966:385-398).

[24] დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი მიანიშნებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაზე, რომელიც ძეგლევის ეკლესიის აღწერისას გადმოგვცემს: „აქა ეკლესიასა შინა არს ზეთი ჭიქითა და მდულარებს მარადის და რაოდენ იღებენ, არ აკლს ჭიქასა მას" (ბატონიშვილი 1973:767-768).

[25] ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, „რიონს ჩრდილოთ, არს ეკლესია სიონი, დიდი. ამ ეკლესიის კამარასა შინა მკიდარებს თმა ერთი ნაწნავი და იტყჳან თამარ მეფისასა. აქავ არს მიწა, რომელსა უწოდებენ სასუნებლად" (ბატონიშვილი 1973:768).

[26] სხიერი – სოფელი ონიდან 7 კმ-ზე, რაჭის ქედის ჩრდილო კალთაზე, ზღვის დონიდან 1100 მეტრზე. სოფელში მდებარეობს XVIII ს. წმ. გიორგის ეკლესია.

[27] მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიის აღწერისას დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი ტაძრის არქიტექტურას არ აკონკრეტებს და მხოლოდ მიუთითებს, რომ იგი იყო „თლილის ქვით" ნაგები. საქმე ისაა, რომ მელვინეთხუცესიშეილი მოგზაურობისას ნახავდა დარბაზულ ეკლესიას. იგი მნიშვნელოვნად გადააკეთეს გაფართოების საბაბით 1894 წელს. დასავლეთის მხრიდან მიუშენეს სამრეკლო და დაადგეს გუმბათი, რითაც მნიშვნელოვნად დაირღვა ძველი არქიტექტურა და ადგილობრივთა წინააღმდეგობაც მოჰყვა, რადგან „რესტავრაციისას" ძველი ეკლესიის ქვები დაკარგულა (*ივერია,* 1895, №192).

[28] ამ ფაქტს ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს. მისი ცნობით, სასწაულთმოქმედი ძალის გამო, მრავალძალის ეკლესიისათვის შაჰ-აბას I-ს ოქროთი მოოჭვილი ხმალი პირადად შეუნირავს მნახველებზე გავლენის მოხდენის მიზნით: „არათუ სარწმუნოებით, არამედ სცნან, რამეთუ ჴრმალი მისი კიდავს მუნ" (ბატონიშვილი 1973:765).

[29] როგორც დ. მელვინეთხუცესიშვილი აღნიშნავს, წარწერა „გარდაცვეთილი სიძველისაგან" და დაქარაგმებული

ყოფილა, ამიტომ მცირეოდენ ხარვეზებით (მაგ. „ჰარაბას“ ნაცვლად კითხულობს „ლუარსაბს“, ბოლონაკლულია და სხვ.) ამოუწერია. ვალერი სილოგავა ხსენებულ წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: „ქ. ს[ა]ხ[ე]ლ[ი]თა ღ[მრ]თ[ი]ს[ა]ჲთა, მ[ეო]ხ[ე]ბ[ი]თა წ[მიდი]სა ღ[მრ]თ[ი]სმშობელ[ი]ს[ა]ჲთა, წ[მიდი]სა გ[იორგ]ისითა, დამაყენა მე, ს[უ]ლ[ი]თა ს[ა]წყ[ა]ლ[ო]ბ[ე]ლი ჰ[ა]რ[ა]ბ[ა]ჲ, აღსაშენებლად წ[მიდი]სა ამის ს[ა]ყდრისა, – ად[იდ]ნ ღ[მერთმა]ნ გ[იორგ]ი ე[რისთავთ]-ე[რისთავმან], ს[ა]ლ[ო]ცვ[ე]ლ[ა]დ ს[უ]ლ[ი]სა მ[ა]თ[ი]ს[ა]თ[ჴ]ს და მშობ[ე]ლთა მ[ა]თთათ[ჴ]ს და გ[ოლია] თ[ი]სათ[ჴ]ს და დედისა მ[ა]თ[ი]სათ[ჴ]ს“ (სილოგავა 1980:59-60; №39).

საგულისხმოა, რომ წარწერაში მითითებულ ადგილას მ. ბროსე და გ. წერეთელიც „ლუარსაბს“ კითხულობენ. იხ: (ბროსე 1857-59:40-41; წერეთელი 1898:103).

30 როგორც პირველ დანართზე ჩანს, დ. მეღვინეთხუცესიშვილს წარწერის ქორონიკონი ზუსტად ვერ გაურკვევია და „ს“-ს (=200) და „Ⴒ“-ს (=1) შორის წერტილი დაუსვამს, ხოლო „Ⴒ“ ცალკე დაუწერია. ამავე ფოტოს მარცხენა გვერდზე მარი ბროსეს ფანქრით მინაწერიდან გამომდინარე, ფრანგ ქართველოლოგს ქორონიკონი „ᲡⲤ“ (=201) წაუკითხავს და წარწერაც ამის მიხედვით დაუთარიღებია (780+201=981) (არქივი ბ: 124-V), ხოლო „ბაგრატ კურაპალატში“, ბაგრატ IV-ს ნაცვლად ბაგრატ III მიუჩნევია (ბროსე 1857-59:44-45). ბროსეზე დაყრდნობით, მოგვიანებით ეს შეცდომა დიმიტრი ბაქრაძემაც გაიმეორა (ბერიძე 1942:78). დღეისათვის გავრცელებული მოსაზრებით, წარწერა 1046 წლით („ქორონიკონით ᲡᲗᲩ„) თარიღდება (სილოგავა 1980: 59; №38; ბერიძე, 1974:146).

დ. მეღვინეთხუცესიშვილს მთლიანი წარწერა მხედრულით ამოუწერია, ხოლო ის ადგილები, რომლებიც მისთვის ბუნდოვანი ყოფილა, ასომთავრულით, ქარაგმების გაუხსნელად მოაქვს. ბუნებრივია, მას არც ხურსი და გიორგი ერისთავების ქარაგმების გახსნა უცდია. ეს მხოლოდ მოგვიანებით, სხვა წარწერებთან შედარების საფუძველზე გახდა შესაძლებელი. მაგ., გ. წერეთელი 1898 წელს „ხურსის“ ნაცვლად კითხულობდა „ხახუს“ (წერეთელი 1898:102). ვალერი სილოგავა ხსენებულ წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: „ქ. ს[ა]ხ[ე]ლითა ღ[მრ]თ[ი]ს[ა]ჲთა მე, გ[იორგ]ი ე[რისთავთ]-ე[რისთავმან] ავაშენე ესე წ[მიდა]ჲ ეკლესიაი სავანის[ა]ჲ; ს[ა]ლ[ო]ცვ[ე]ლ[ა]დ ს[უ]ლისა ც[ო]დვ[ი]ლ[ი]სა ჩ[ე]მისა, და ძმისა ჩ[ე]მისა ხ[ურსი] ე[რისთავისა] და მშ[ო]ბ[ე]ლთა ჩ[ე]მთათ[ჴ]ს – გ[უ]ლზ[ვი]ა]დ[ი]სთ[ჴ]ს და მ[ა]რ[იამი]სთ[ჴ]ს, და შვილისა ჩ[უ]ნისა გ[ო]ლ[ია]თისთ[ჴ]ს, და დედისა მისისათ[ჴ]ს.

წ[მიდა]ო გ[იორგ]ი, მეოხ ეყ[ა]ვ წ[ინაშ]ე ღ[მრ]თისა, ა[მე]ნ იყ[ა]ვნ.

ქრონიკონი იყო სიჲ.

აეშენა მ[ე]ფ[ო]ბ[ა]სა ბ[ა]გრ[ა]ტ კ[უ]რ[ა]პ[ალ]ატ[ი]ს[ა]სა (სილოგავა 1980: 58-59; №38).

მარიამ დედოფალი და მისი შვილები: გიორგი და ხურსი, ქარაგმის გარეშე მოხსენიებულნი არიან ქორეთის ღვთაების ეკლესიის (საჩხერის რაიონი, ყვირილას ხეობაში) 1000 წელს შესრულებულ ქტიტორულ წარწერაში. გ. გაფრინდაშვილი არ გამორიცხავს, რომ ქორეთისა (1000 წ.) და სავანის (1046 წ.) წარწერებში მოხსენიებულნი ერთი და იგივე პირები არიან (გაფრინდაშვილი1970:59-60). რა თქმა უნდა, ამაში ლოგიკა არის, თუმცა, *მატიანე ქართლისაის* ავტორი და სუმბატ დავითის ძე მიუთითებენ, რომ ხურსი ერისთავი, რატი ლიპარიტის ძესთან ერთად შირიმნის ბრძოლაში (1021 წ.) „მოიკლნენ“ (ყაუხჩიშვილი 1955: 284; 383).

31 ბროსეს მიერ ფურცლის კიდეზე ფანქრით მიწერილია: „990-210“. (780+210=990 წ., – ი. ა.). ამ შემთხვევაშიც დ. მეღვინეთხუცესიშვილი ტრადიციას არ ღალატობს და წარწერის ნაწილი მხედრულით აქვს გადმოწერილი (იხ: დანართი 2), ხოლო მის შუა ნაწილს (როგორც თვითონ წერს: „ქარაგმით ძნელად წასაკითხს“) ასომთავრულით გვთავაზობს. მიუხედავად ამისა, წარწერის შინაარსი, ძირითადად, გასაგები ხდება და მასში მოხსენიებულნი არიან მიქაელ ქავთარაძე და მისი მეუღლე თამარი. გ. წერეთელი წარწერას მთლიანობაში შემდეგნაირად კითხულობს: „სახელითა ღვთისათა და შეწევნთა სავანისა მთავარმოწამისა კარნი ესენი შევქმენით ქავთარაძეთა ღვთაებაო ღვთისაო შეუნდე მიქელს; გაკეთდა საფასითა მისის მეუღლისა თამარისა“ (წერეთელი 1898:102).

აღსანიშნავია, რომ ვალერი სილოგავას ხსენებული წარწერა მოტანილი არა აქვს, როგორც ბატონი ვალერი წერს, იმ მიზეზით, რომ ისინი ამჟამად განადგურებულია (სილოგავა 1980:18).

32 „ერისთავთ-ერისთავის“ სამშენებლო წარწერა დ. მეღვინეთხუცესიშვილს გადმოწერილი აქვს ასომთავრულით, ქარაგმების გაუხსნელად (იხ: დანართი 3) და ბოლონაკლულია. პირველი სტრიქონის ბოლო ორ კიდურ ასოს მასთან ჩვენ ეკითხულობთ, როგორც „ზ~ი“. მარი ბროსე იმავე ადგილს კითხულობს „ᲚᲚᲬ“ (სავარაუდოდ, გ[რი]გ[ო]ლ) (ბროსე 1857-59: 43). ვალერი სილოგავას წარწერა მთლიანობაში შემდეგნაირად აქვს წაკითხული: „ქ. სახელითა ღ[მრ]თის[ა]ჲთა მე, ე[რისთავთ]-ე[რისთავმან] გ[იორგ]ი, დაუწერე და მივეც ამის ეკლესი[ი]სა ნ[ა]ხ[ე]ვ[ა]რი ს[ა]ვ[ა]ნ[ი]სა ს[ო]ფ[ე]ლსა. თ[ა]ნადამიდგეს, ოდეს შ[ე]ნ[ე]ბ[ა]ი დავ[ი]წყ[ე]თ, მ[უ]შ[ა]ობ[ი]თა ფასითა და ყ[ოვ]ლითა ფ[ე]რ[ი]თა.

ღ[მერთმა]ნ უბ[ე]დნ[ი]ერ[ე]ნ უკ[უნისამდ]ე.

ვინ უქციოს, ჰრ[ი]სხ[ავ]ს-მცა ღ[მერთ]ი და წ[მიდა]ჲ გ[იორგ]ი“ (სილოგავა 1980:62-63; №41).

დამოწმებანი

ალიმბარაშვილი №1(20), 2014: Алимбарашвили И. Из взаимоотношений Мари Броссе и Димитрия Мегвинетухуцесишвили, „Письменные памятники Востока“, ИВР РАН (Институт восточных рукописей Российской Академии наук) № 1(20), Москва.

ალიმბარაშვილი 2013: ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). „დარგოს ექსპედიცია შამილის წინააღმდეგ 1845 წელს და წყაროთა ინტერპრეტაცია“, ჟურნ. *ანალები*, № 9.

ალიმბარაშვილი 2015 ა: ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის შიდა ქართლში მოგზაურობა, პროფ. ელდარ მამისთვალიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი.

ალიმბარაშვილი 2015 ბ: ალიმბარაშვილი იოსებ. დავითის ნაკვალევზე (დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის იმერეთში მოგზაურობის მასალები), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დავით აღმაშენებლის სახელობის II საერთაშორისო კონფერენციის მასალები.

არქივი ა: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი, წერილი: № 15.

არქივი ბ: Институт восточных рукописей Российской Академии наук (ИВР РАН), фонд Н-78, дело – „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850".

არქივი გ: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილები: № 2, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16.

ბატონიშვილი 1973: ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

ბერიძე 1942: ვახტანგ ბერიძე. სავანე (XI ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი), ქართული ხელოვნება, I, თბ.

ბერიძე 1974: ვახტანგ ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი.

ბროსე 1857-59: M. Brosset. Notice detaillee sur les eglises de Sawane et de Manglis (Avec deux Planches lithographiees), *Mélanges Asiatiques tirés du Bulletin de l'Académie impériale des sciences de St.-Pétersbourg*, t. III (1857-59).

გამბა 1987: გამბა ჟაკ ფრანსუა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები და ურთო მზია მგალობლიშვილმა, ტ. I, თბილისი.

გაფრინდაშვილი 1970: გაფრინდაშვილი გ. 1000 წლის სამშენებლო წარწერა ქორეთის ეკლესიაზე, ჟურნ. *ძეგლის მეგობარი*, №21.

თაყაიშვილი 1913-1914: თაყაიშვილი ე. არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული „ძველი საქართველო", ტ. III, ტფ., 1913-1914.

ივერია 895 №192: გაზ. *ივერია* , № 192.

კალენდარი 1850: Кавказский календарь, отд. IV.

კეკელია 2011: კეკელია ი. აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთაისი.

კოხი 1981: კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა, თბილისი.

სილოგავა 1980: ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, II, შეადგინა და გამოსცა ვალერი სილოგავამ, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1955: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I, თბილისი.

ჩიქოვანი 2004: იური ჩიქოვანი, იოსებ ბიჭიკაშვილი, შოთა ჩხეიძე. ქართული ნარჩინებული გვარები, ჩხეიძეთა საგვარეულო (ისტორიულ გენეალოგიური გამოკვლევა), წ. II, თბილისი.

წერეთელი 1898: Церетели Г., Саванская базилика, Материалы по археологии Кавказа, вып. VII, под. ред. графини Уваровой, Москва.

ჭყონდიდელი 2010: ანტონ II ჭყონდიდელი, ჭყონდიდელი მღვდელმთავრები.

ხორავა 1996: ხორავა ბეჟან. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.), თბილისი.

ხურციძე 2008: ხურციძე ბეჟან. იმერეთის ეპარქია 1821-1917 წწ. გივი ტყეშელაშვილის რედ., ქუთაისი.

ჯავახიშვილი III, 1966: ჯავახიშვილი ივანე. ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბილისი.

https://demetros.wordpress.com/2010/12/14

http://books.google.ge/books?id=jVLnp3G7YcAC&source=gbs_similarbooks

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4719/1/Chxeidzeta_sagvareulo.pdf.

http://www.orientalstudies.ru/rus/index.php?option=content&task=view&id=3988

http://babel.hathitrust.org/cgi/pt?id=hvd.32044083797084;view=1up;seq=9

DIMITRI MEGHVINETKHUTSESISHVILI'S TRIP TO THE WEST GEORGIA

Ioseb (Soso) Alimbarashvili

This paper concerns Dimitri Meghvinetkhutsesishvili's trip to the West Georgia (In Samegrelo and Racha) on May 17 - July 21, 1850 according to his diaries.

The trip diaries describe well-known churches and monasteries as well as relatively less explored sites (in Samegrelo: Khoni, Martvili, Kulevi, Zugdidi, Anaklia. In Racha: Oni, Mravaldzali, Skhieri, Chkmeri etc.).

Dimitri Meghvinetkhutsesishvili does not describe just only churches, monasteries and holies, survived there but often applies popular legends and traditions.

To the diaries are enclosed with drawings which significantly increase the importance of them; they give us a clearer picture of the described churches, monasteries, holies and antiquities protected there. The diaries are also supplied with the author's extensive commentaries and analysis based on the views of famous Georgian historians

The main part of the paper is based on the materials protected at Georgian National Center of Manuscripts, in Dimitri Meghvinetkhutsesishvili private collections and in the manuscript department at the Institute of Oriental Studies of St. Petersburg Academy of Science, in Marie-Félicité Brosset collections. It is noteworthy that some of the above-mentioned materials are to be published for the first time.The text of dieries is published in the appendix.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4

ცარიზმის პოლიტიკა ჰერეთის მოსახლეობის მიმართ XIX საუკუნის 40-50-იან წლებში (ახალი საარქივო მასალის მიხედვით)

ხათუნა ბაინდურაშვილი

1801 წელს რუსეთმა ქართლ-კახეთში მეფის ხელისუფლება გააუქმა და იგი თავის გუბერნიად გამოაცხადა, რითაც ბოლო მოუღო ქართულ სახელმწიფოებრიობას. 1811 წელს რუსეთიმა გააუქმა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და იგი რუსეთის სინოდს დაუქვემდებარა. საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგა რუსეთის სინოდის განყოფილება – დიკასტერია. კათოლიკოსობის ნაცვლად კი შემოიღეს ეგზარქოსის თანამდებობა.[1]

1801 წლის შემდეგ რუსეთი აქტიურად შეუდგა ჭარ-ბელაქანში ფეხის მოკიდებისათვის ნიადაგის მომზადებას, რადგან ამ მხარეს სტრატეგიულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმპერიისათვის, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით: სავაჭრო გზა – თბილისი-შემახა-ბაქო ჭარ-ბელაქანზე გადიოდა.

1844 წლის 12 ნოემბერს საქართველოს ეკლესიის ეგზარქოსად დაინიშნა ისიდორე ნიკოლსკი (1844-1858). მის მოღვაწეობის დროს მოხდა არაერთი ქართული ტაძრის (თბილისის სიონის, ალავერდის ტაძრის, სამთავროს, მარტყოფის, ქვათახევის და სხვ.) განახლება. ეგზარქოსი ყურადღებას აქცევდა განათლებას. მისი თაოსნობით მცხეთაში ქალთა, ხოლო გურიაში, ჯუმათში ვაჟთა სასულიერო სასწავლებლები გაიხსნა. ეგზარქოსის ინიციატივით 1849 წელს შეიქმნა ბიბლიის ქართული თარგმანის შემსწორებელი პირველი კომიტეტი. ისიდორე კოვალსკიმ 1849 წელს პლატონ იოსელიანს ათონის მთიდან 978 წელს გადაწერილი ოშკის ბიბლია ჩამოატანინა და ორი (ზოგი ინფორმაციით კი სამი) პირი გადააწერინა.[2] ეგზარქოსი დიდ ყურადღებას უთმობდა *ოსეთის სასულიერო კომისიის* საქმიანობას. მისი ინიციატივით 1851 წელს ხელახლა გაიხსნა საეკლესიო კათედრა აფხაზეთში. ისიდორე ნიკოლსკი იყო ერთ-ერთი ინიციატორი კავკასიაში *მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების* შექმნისა. იგი ხელს უწყობდა საეკლესიო-სამონასტრო მინების ხაზინისათვის გადაცემას – სეკულარიზაციას. 1858 წელს ისიდორე ნიკოლსკი კიევის მიტროპოლიტად გადაიყვანეს და თავისი მოღვაწეობა იქ გააგრძელა.[3]

საინგილოსთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი საინტერესო ნაშრომი არსებობს,[4] რომლებიც ძირითადად განიხილავს ამ მხარის სოციალურ-ეკონომიკურ და ისტორიულ ვითარებას. წინამდებარე სტატიის მიზანია ახალი საარქივო მასალის მიხედვით ვაჩვენოთ ცარიზმის პოლიტიკა ჰერეთის მოსახლეობის მიმართ XIX საუკუნის 40-იან წლებში, რაც თავისთავად განსაზღვრავდა საქართველოს საეგზარქოსოს რელიგიურ პოლიტიკას და ქმედით ღონისძიებებს ინგილოთა შორის მართლმადიდებლობის აღდგენის საქმეში.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლურ საცავში ნომრით Ros – 155 დაცულია ორი წერილი: ერთი 1847 წლის 22 სექტემბრით დათარიღებული და მეორე 1853 წლის იანვრით დათარიღებული დოკუმენტები. ორივე მათგანი ეკუთვნის საქართველოს ეგზარქოსს – ისიდორეს (წერილებს ვაქვეყნებთ შესაბამისი თარგმანით). აღნიშნული წერილები ძალზედ საინტერესო და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც კარგად ასახავს რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებისა და საქართველოს საეგზარქოსოს პოლიტიკას ჰერეთის ტერიტორიაზე საკუთარი ხელისუფლების განმტკიცების და აქ ქრისტიანობის ხელახალი გავრცელების შესახებ.

Ros – 155-ის ორივე წერილის ადრესატი ნუხის მღვდელი ხუციევია. პირველი წერილი წარმოადგენს ეგზარქოს ისიდორეს მიერ ხუციევისადმი გაგზავნილ საიდუმლო ინსტრუქციას, სადაც დეტალურად არის აღწერილი, თუ როგორ და რა თანმიმდევრობით უნდა მომხდარიყო ინგილოთა დაბრუნება მუსლიმობიდან მართლმადიდებლობაზე. ხელნაწერი შეადგენს შვიდ გვერდს. იგი დაწერილია თბილისში. საიდუმლო ინსტრუქცია შედგება შვიდი პუნქტისა და რამდენიმე ქვეპუნქტისაგან. თითოეული პუნქტი მკაფიოდ გამოხატავს საქართველოს ეგზარქოსის ინტერესს კონკრეტული საკითხისადმი, ამ ინტერესის მიზეზს და იქვე იძლევა მოსალოდნელი შედეგის პროგნოზს.

წერილის შესავალში საქართველოს ეგზარქოსი ნუხის მღვდელს, ხუციევს ატყობინებს, რომ ნუხთან ახლოს მცხოვრები ინგილო ტომები ამ ტერიტორიაზე ქართველ მეფეებს დაუსახლებიათ აქ საზღვრის დაცვის მიზნით. ეს მოსახლეობა კი დროთა განმავლობაში იძულებული გახდა ისლამი ეღიარებინა, თუმცა საიდუმლოდ ქრისტიანობას მისდევდნენ. დოკუმენტში ვკითხულობთ:

> ნუხთან ახლოს ცხოვრობენ ინგილოთა ტომები, რომელთა წინაპრები თითქოსდა ქართველები[5] (იგულისხმება ქრისტიანი, – ხ. ბ.) იყვნენ. ისინი ქართველმა მეფეებმა აქ დაასახლეს, რათა დაეცვათ ქვეყნის საზღვარი. მათ ლეკებისაგან ძალდატანებით ისლამი აღიარეს, მაგრამ დღემდე აქვთ ეკლესიები.[6]

XVIII ს. 20-იან წლებიდან ოსმალთა ბატონობის ხანაში საქართველოს ჩამოსცილდა ჭარ-ბელაქანი (საინგილო).[7] მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ფიზიკური გადარჩენის მიზნით ისლამი აღიარა, თუმცა ხშირი იყო ფარული ქრისტიანობის შემთხვევებიც.[8] აღნიშნულ პერიოდში ჭარ-ბელაქანში გავრცელებული იყო და მოსახლეობაზე დიდ გავლენას ახდენდა განსაკუთრებით რეაქციული მუსლიმური მოვლენა მიურიდიზმი. მოლები და მიურიდები ოსმალეთის წაქეზებით აშკარად თუ ფარულად სდევნიდნენ ყოველივე ქრისტიანულს. ამ მხრივ ურთულესი ვითარება შეიქმნა XVIII საუკუნის ბოლოდან, როდესაც აღნიშნულ პროცესებს ოსმალეთიდან მართავდა ცნობილი მუსლიმი სასულიერო პირი შეიხ-მანსური, იგივე უშურმა. ეს პიროვნება იყო რეაქციონერი მუსლიმი, რომელიც ფართო აგენტურული ქსელის მეშვეობით იღებდა ინფორმაციას და იძლეოდა შესაბამის დირექტივებს, რომელთა ნაწილი აშკარად, ნაწილი კი საიდუმლოდ უნდა განეხორციელებინათ. ამ დროს ქართული ენა ოჯახებშიც კი იდევნებოდა (ეს პროცესი მხოლოდ XIX საუკუნის 50-60-იან წლებში შეჩერდა, როდესაც ინგილოთა გაქრისტიანება დაიწყო).[9]

რუსეთისათვის ჭარ-ბელაქანი კავკასიის დაპყრობის ერთ-ერთი უბანი იყო. 1801 წლის შემდეგ რუსეთი აქტიურად შეუდგა აქ ფეხის მოკიდებისათვის ნიადაგის მომზადებას. ჭარ-ბელაქანში გამაგრება ცარიზმს უქმნიდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ უპირატესობას, უადვილებდა კავკასიის მთიელებზე იერიშის მიტანას და ირანის წინააღმდეგ ბრძოლას.[10] რუსეთის ხელისუფლების ჩინოვნიკები ჯერ კიდევ 1806 წლიდან გეგმავდნენ და ამუშავებდნენ ჭარ-ბელაქნის დაპყრობის სტრატეგიას, რაც გულისხმობდა აქედან ლეკების გადასახლებას რუსეთში და მათ ადგილზე რუსების ჩასახლებას. ეს კარგად ჩანს ოფიცერ ლოფიცკის მიერ პეტერბურგში 1806 წლის 30 აპრილს წარდგენილ მოხსენებაში.[11] რუსეთის ეს პოლიტიკური მოსაზრება კი ეწინააღმდეგებოდა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა შეხედულებებს, რომლებიც აქ ქართველობის (ქრისტიანობის) აღდგენას ითხოვდნენ.[12]

ჯერ კიდევ 1801 წ. აპრილში, როდესაც რუსეთის იმპერიის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, სახელმწიფო საბჭოში საბოლოოდ წყდებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი, ქართველმა ელჩებმა: ელიაზარ ფალავანდიშვილმა და გიორგი ავალიშვილმა საიმპერატორო კარს წარუდგინეს ნოტა, სადაც სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხთა გვერდით გარკვეული ადგილი ეთმობოდა ჭარ-ბელაქნის საკითხს. ნოტაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ჭარელები ეთნიკურად ქართველები იყვნენ და ლეკებმა ისინი ძალით გაამუსლიმეს.[13]

1822 წელს საინგილოში საქართველოს ეგზარქოსის იონას გადაწყვეტილებით (ინგილოთა წარმომადგენლების თხოვნის შემდეგ, რომლებმაც ქრისტიანობაზე დაბრუნების სურვილი გამოთქვეს) გაიგზავნა ორი მქადაგებელი. მუსლიმმა სასულიერო პირებმა მათ მისიონერულ საქმიანობას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს.

1826 წელს საინგილოში მყოფი პოლკოვნიკი კოცებუ აღნიშნავდა, რომ:

> ინგილო ხალხის თითქმის მთელი ნახევარი საიდუმლოდ იცავს ქრისტიანულ სარწმუნოებას, რადგან მოლები, რომლებიც მებატონე სოფლებს დაუყენებიათ, სასტიკად უთვალთვალებენ მუსლიმურ წეს-ჩვეულებათა დაცვას. ინგილოური სოფლების მამასახლისები ხშირად გულახდილად მარწმუნებდნენ, რომ თუ მათ მიწა-წყალზე რუსთა რაზმები მუდმივ სამყოფელად გამოჩნდებიან, მათი სოფლები აშკარად დაუბრუნდებიან მამა-პაპურ აღსარებას და მეჩეთების ნაცვლად ეკლესიებს ააშენებენ.[14]

აშკარაა, რომ საქართველოს ეგზარქოსი ისიდორე კარგად იცნობს კოცებუს, იაიშნიკოვის და ქართველი ელჩების ნოტებსა და რაპორტებს, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებას გარკვეული პერიოდულობით წარედგინებოდა ამ მხარეში არსებული ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს ეგზარქოსი ინფორმირებულია ინგილოთა შორის არსებული სურვილით ქრისტიანობაზე მოქცევის შესახებ და დაინტერესებულია იმ სოციალური და იდეოლოგიური ფონით, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელი იყო ჭარ-ბელაქანში ქრისტიანობის ქადაგებისათვის. ხაზგასასმელია ის სიფრთხილე და დიპლომატია, რომელსაც ეგზარქოსი ამ საკითხთან დაკავშირებით ავლენს. დოკუმენტიდან ვიტყობთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე აქტიურად მუშაობდნენ რუსეთის იმპერიის ინფორმატორები, რაც ხელს უწყობდა შესაბამისი სტრუქტურების ადგილზე ეფექტურ მუშაობას. წერილში ეკითხულობთ:

> ...ზოგმა მათგანმა (იგულისხმებიან ინგილოები, – ხ. ბ.) საიდუმლოდ გამოთქვა სურვილი მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე მოქცევის შესახებ. როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც ხომ არ შევხვდებით მუსლიმთაგან წინააღმდეგობას. შეიძლება გავარკვიოთ, ხომ არ გამოიწვევს მუსლიმი მოსახლეობის გაღიზიანებას აქ მართლმადიდებელი სარწმუნოების ღიად ქადაგება და ხომ არ გააძლიერებს იგი მათში მუსლიმურ ფანატიზმს.[15]

XIX ს. მთელ მანძილზე, თითქმის 70-იან წლებამდე, მეფის მთავრობა საქართველოსა და ზოგადად ამიერკავკასიაში ქრისტიანობის დაცვის ლოზუნგით მოქმედებდა. აღმოსავლეთ კახეთში რუსეთის მმართველობა თავიდანვე გამოეხმაურა ქართველი ინგილოების ინტერესებს.[16] რუსეთის ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ რელიგიური საკითხით მანიპულირება გრძელვადიან გეგმებში, ხელსაყრელ შედეგებამდე მიიყვანდა.

ჭარ-ბელაქანში რუსეთის მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი ოსმალეთის ხელისუფლებას უყურადღებოდ არ რჩებოდა, რომელიც აქ საკუთარი ინტერესების დასაცავად აქტიურად იყენებდა ისლამს. 1829 წელს დაღესტნიდან ჭარში ჩამოსახლდა მიურიდიზმის ცნობილი მქადაგებელი ჰაჯი-იაჰია, რომელიც მუსლიმ მოსახლეობას წმინდანად მიაჩნდა. მისი აქ მოღვაწეობის შედეგი იყო ის, რომ 1830 წელს ჭარ-ბელაქნის მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყდა, თუმცა მოსახლეობის ნაწილმა რუსეთის მხარე დაიჭირა. შეიარაღებული დაპირისპირება მიმდინარეობდა რუსებსა და მიურიდებს შორის. ამ დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი მიურიდი იმამები ყაზი-მოლა, ჰამზათ-ბეგი, შეიხ-შაბანი. ეს უკანასკნელი მუსლიმი მოსახლეობისადმი თავის მოწოდებაში – განედევნათ რუსები და აღედგინათ შარიათის კანონები, წყეულიდა ინგილო მოსახლეობას, რომელიც მათ მხარეს არ დადგა. დაღესტანს რუსეთის წინააღმდეგ აქეზებდა ოსმალეთი. დაღესტანი კი თავის აგენტებს აგზავნიდა ჭარ-ბელაქანში. მიურიდიზმის გააქტიურება განსაკუთრებით 1828-1829 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ხდება.[17] 1830 წ. რუსეთმა ხანგრძლივი ომის შემდეგ შეძლო ჭარ-ბელაქანში თავისი მმართველობის შემოღება.[18]

1831 წელს საქართველოს საეგზარქოსომ საინგილოში კვლავ გაგზავნა ხუთი მისიონერი, მაგრამ იმ დროს იქ არსებულმა დაძაბულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ მათი მოღვაწეობა ისევ შეაფერხა.[19]

1834 წლიდან მიურიდებს სათავეში ჩაუდგა შამილი.[20] მიურიდების გაძლიერება დიდ ზეგავლენას ახდენდა ჭარ-ბელაქანზე, სადაც მათ ბევრი მომხრე ჰყავდათ. რუსეთით უკმაყოფილო მუსლიმური სამღვდელოება და ფეოდალთა ნაწილი ჭარში შამილის გამოჩენას ელოდნენ. ჭარის მთავარმმართველი გენერალი შვარცი 1842 წელს წერილით საქართველოს მთავარმმართველ გოლოვინისაგან ითხოვდა „აუცილებელი სერიოზული შეტევის განხორციელებას", რაც ვერ მოხერხდა. 1843 წელს რუსეთის მმართველობას კავკასიაში სერიოზული საფრთხე შეექმნა.[21]

1844 წელსაც ჭარ-ბელაქანში რუსეთისათვის არა სახარბიელო მდგომარეობა რჩებოდა. რუსების მთავრობას ერთგულებდნენ მხოლოდ ინგილოები და მუღალები, თუმცა მათზე ჭარელ ლეკთა გავლენა ჯერ კიდევ ძლიერი იყო.[22] 1847 წელს მოლა შაბან-ჭარელი და ბელადი ადალოვი ჭარში ჩავიდნენ და სოფელი კატეხი ააჯანყეს. ამას თან ერთვოდა შამილის რაზმების შემოტევები.[23] ჭარში 1852 წლამდე ძალზედ დაძაბული ვითარება იყო. დოკუმენტის Ros-155-ის (1847 წლის წერილი) მიხედვით, საქართველოს ეგზარქოსი დაინტერესებული იყო ინგილოთა სოციალური ფენებით, მოსახლეობის ტომის უხუცესების ვინაობით, მათი ავტორიტეტითა და გავლენით. ეგზარქოსი დაინტერესებულია არსებული რელიგიური ფონის შესწავლით. აინტერესებს, ინგილოები რამდენად ღრმადმორწმუნეები არიან და რამდენად იცავენ მუსლიმურ წეს-ჩვეულებებს. ეგზარქოსს სურს მიიღოს ინფორმაცია ინგილოთა მხრიდან ქრისტიანობისადმი დამოკიდებულების შესახებ და შესაძლებელია თუ არა მათთან მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე დაბრუნების შესახებ საუბარი. წერილში ვკითხულობთ:

> საჭიროა: 1) საიდუმლოდ [გავარკვიოთ] რა საზოგადოებრივ ფენებად იყოფა ინგილოთა ტომი? ვინ არიან [ტომის] უხუცესები, რა აზრისანი არიან ქრისტიანობაზე, როგორც უხუცესები, ისე მათ დაქვემდებარებაში მყოფი მოსახლეობა? სად არის მათი მეჩეთი? მათი მოლები ადგილობრივები არიან, თუ დროდადრო მოდიან და [თუ მოდიან] საიდან? წინააღმდეგობას უწევენ თუ არა მოლები მოსახლეობის მიერ ქრისტიანულის მსგავსი ტრადიციების შესრულებას – მარხვის დაცვას და ზოგიერთი ქრისტიანული დღესასწაულის აღნიშვნას, თუ ამას გულგრილად უყურებენ? ინგილოთაგან კონკრეტულად ვის სურს მამაპაპათა რელიგიაზე [მართლმადიდებლობაზე] მოქცევა და აქვთ თუ არა რაიმე წონა [ავტორიტეტი] მოსახლეობაში? ხომ არ სურთ ვინმეს [დეკანოზთაგან], აღზარდოს შვილი თბილისში ხაზინის ხარჯზე, რომლის შემდეგაც ისინი ინგილოების მღვდლები გახდებიან. რა თქმა უნდა, დასმულ შეკითხვაზე პასუხების შეგროვება ერთბაშად ვერ მოხერხდება. აჩქარებას არც ვითხოვთ... უფრო მეტიც, წერილის მიღებისთანავე ნუ დაიწყებთ ინფორმაციის შეგროვებას, მხოლოდ რამდენიმე ხნის გასვლის შემდეგ მიეცით მას კერძო ცნობისმოყვარეობის სახე [და ისე გამოიკითხეთ ამბები] და არა როგორც უფროსის დავალება.[24]

ეგზარქოსი დეტალურად სწავლობს ჰერეთში არსებულ ვითარებას. მისი ინტერესის მიღმა არც სამხედრო გარნიზონი და მისი ხელმძღვანელობა რჩება. იგი მღვდელ ხუციევს პირდაპირ მოუწოდებს, რომ მან ნუხის სამხედრო ხელმძღვანელთან დაამყაროს კარგი ურთიერთობა, რაც შემდგომში მისგან სასურველი ინფორმაციის მოძიებას გაუადვილებდა.

> შეეცადეთ: ა) დაიმახსოროთ ნუხთა სამხედრო ხელმძღვანელის კეთილგანწყობა და დროთა განმავლობაში გამოჰკითხეთ, თუ ვინ არიან ინგილოთა და ელისუს სოფლების ჩინოვნიკები? ინგილოები ლეკებთან მტრულ თუ კეთილმეზობლურ ურთიერთობაში არიან? იქ მყოფი ჩინოვნიკები რა სარწმუნოების არიან: მართლმადიდებლები, კათოლიკეები, ლუთერანები თუ მუსლიმები? არიან თუ არა ისინი რაიმე ფორმით ნუხების სამხედრო ხელმძღვანელზე დამოკიდებული? იცის თუ არა მან [ნუხების სამხედრო ხელმძღვანელმა] რომ ინგილოები წარმოშობით ქართველები არიან, რომ მათ სურთ, მაგრამ უჭირთ გაქრისტიანება, და შეიძლება თუ არა იმედი ვიქონიოთ, რომ მათ ოდესმე ეს მოლოდინი შეუსრულდებათ? როგორია ამის თაობაზე სამხედრო ხელმძღვანელის აზრი?[25]

ეგზარქოსი ისიდორე მღვდელ ხუციევს სთხოვს შესაძლებლობისთანავე გაიცნოს ნუხის სამხედრო ნაწილის მღვდელი და მისგან შეიტყოს, თუ რომელ დღეებში ჩამოდიოდნენ ინგილოები ნუხში სავაჭროდ და ვისთან ჰქონდათ ურთიერთობა. ეგზარქოსი ადრესატისაგან ითხოვდა ინგილოებთან კონტაქტის დამყარებას და მათი კეთილგანწყობის მოპოვებას, რათა შემდგომში შესაძლებელი გამხდარიყო მათთან რელიგიურ თემაზე საუბარი.

წერილიდან ირკვევა, რომ ეგზარქოსს ურთიერთობა არ აქვს ნუხის სამხედრო ნაწილის მღვდელთან.

> ბ) თუ შესაძლებლობა მოგეცემათ, გაიცანით სამხედრო ნაწილის მღვდელი და მისგან გაარკვიეთ რაც საჭიროა:
>
> გ) გაიგეთ რომელ დღეებში ჩამოდიან ინგილოები ნუხში სავაჭროდ და ვისთან რჩებიან ბინაზე, გაიცანით ამ სახლების პატრონები, რათა მათთან მისვლისას ინგილოებთან საუბრის საშუალება გქონდეთ.
>
> დ) იმ ინგილოებს, ვისაც გაიცნობთ, ეცადეთ გულთბილად მოექცეთ, მიიწვიეთ ისინი სტუმრად თქვენთან სახლში, დაეხმარეთ ყველაფერში, რაც მათ დასჭირდებათ ქალაქში, უშუამდგომლეთ ჩინოვნიკებთან და ა. შ. და როცა მათ ნდობას მოიპოვებთ, მაშინ დაიწყეთ მათთან საუბარი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ვწუხვართ ჩვენ, რომ [ინგილოთა] წინაპრები ძალით ჩამოაშორეს ქრისტიანობას, რომლის კვალი მათში დღემდეა შემორჩენილი. და რომ ხელისუფლებაც და მთელი საქრისტიანო ძალიან გაიხარებდა თუ ღმერთი გამოუგზავნიდა მათ სურვილს, რომ კვლავ მამა-პაპათა სარწმუნოებას დაუბრუნდებოდნენ. თუ ასეთი საუბარი მათში გაღიზიანებას გამოიწვევს, არავითარ შემთხვევაში მათთან კონფლიქტში არ შეხვიდეთ და თავმდაბლად უპასუხეთ, რომ ჩვენ ვილოცებთ, რათა ღმერთმა მათი გონება და გული გაანათოს და ასე შეწყვიტეთ მათთან საუბარი. [ამის შემდეგაც] არავითარ შემთხვევაში არ შეცვალოთ მათთან გულისხმიერი და თბილი დამოკიდებულება.[26]

საიდუმლო წერილიდან ირკვევა, რომ საქართველოს ეგზარქოსს წინასწარ მოფიქრებული და კარგად გაანალიზებული ჰქონდა ჰერეთის მოსახლეობის ხელახლა გაქრისტიანების გეგმა და ისიც, თუ რა ფორმალური მხარის გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო იგი. ამ პროცესებში საეკზარქოსო, როგორც წესი, რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებასთან შეთანხმებით მოქმედებდა.

გაქრისტიანების მსურველთათვის აუცილებლობას წარმოადგენდა, თხოვნით მიემართათ კავკასიის მთავარმმართებლისათვის, რომლის თანხმობის შემდეგაც მონათვლისათვის საჭირო ხარჯებს სახელმწიფო ხაზინა დაფარავდა. საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება ცალსახად მიანიშნებს, რომ სახელმწიფო დაიცავდა ჰერეთის ხელახლა გაქრისტიანებულ მოსახლეობას, თუმცა, პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, საეგზარქოსო მიზანშეწონილად მიიჩნევდა, რომ თავდაპირველად მონათლულებს გაქრისტიანების შესახებ არაფერი ეთქვათ. ამით შესაძლებელი იყო რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფრონტაციის თავიდან აცილება.

დოკუმენტში ვკითხულობთ:

> თუ ვინმე გაქრისტიანების მსურველი გამოჩნდება, ურჩიეთ მათ, რომ ფოსტით გამოაგზავნონ ნუხების თხოვნა კავკასიის მთავარმართებლის წინაშე, გაქრისტიანების ყველა მსურველის ხელმოწერით და დაარწმუნეთ ისინი, რომ მღვდლები მათგან არანაირ თანხას [გასამრჯელოს] არ აიღებენ და ყველა საეკლესიო ხარჯებს მათთვის ხაზინა გაიღებს.
>
> თუ ვინმე ნუხში ისურვებს მონათვლას, ასწავლეთ მას *მოკლე სწავლება* მაცხოვრის ცხოვრებისა და წმინდა სამების შესახებ, ასწავლეთ მათ ათი მცნება და ლოცვები და მონათლეთ ისინი ხელისუფლებისაგან რაიმე განსაკუთრებული ნებართვის გარეშე.
>
> მონათლულები დაარწმუნეთ, რომ ადგილზე დაბრუნებისას საიდუმლოდ შეინახონ თავიანთი გაქრისტიანების ამბავი, რათა თავი აარიდონ ურწმუნოთაგან დევნას, ... თითოეულის მონათვლა ჩაწერეთ [საეკლესიო] მეტრიკაში.[27]

ეგზარქოსი ისიდორე, ვითარების გართულების შემთხვევაში, ხუციევს სთხოვს, რომ დამოუკიდებლად ნუ მიიღებს გადაწყვეტილებას და მხოლოდ მისი ინსტრუქციით იმოქმედოს.

ინგილოები საქართველოს ჩამოშორებულნი კვლავ მუსლიმური მოსახლეობის გარემოცვაში რჩებოდნენ და აშკარად და ოფიციალურად ქრისტიანობის აღიარებას დიდი სიძნელეები ხვდებოდა. გარდა ამისა, თვით რუსეთის მთავრობა, გარკვეული ხნის განმავლობაში, XIX ს. 50-60-იან წლებამდე, სანამ იგი დაღესტნელი ტომების და საერთოდ კავკასიის საბოლოო დაპყრობისათვის იბრძოდა, ერიდებოდა ჭარ-ბელაქანში ქრისტიანობის გავრცელებისათვის რაიმე პრაქტიკული ღონისძიების გატარებას, იმ მიზნით, რომ ამით მას არ გამოეწვია ჭარ-ბელაქანში მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობის უკმაყოფილება. იგი ამ მხარეში ქრისტიანობის ღია პროპაგანდას ჯერ-ჯერობით ნაადრევად თვლიდა. ქრისტიან ინგილოთა რიცხვის ზრდა შესამჩნევი ხდება მხოლოდ 1850 წლიდან. ამ წელს სოფელ კახიდან თბილისში გამოცხადდა რვა ინგილო, რომელთაც სურვილი გამოთქვეს ქრისტიანული სარწმუნოების მიღებაზე. მათი თხოვნა მეფისნაცვალმა ვორონცოვმა დააკმაყოფილა და ისინი სიონის ტაძარში მონათლეს. ამის შემდეგ ქრისტიანობის გავრცელებამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის აღმოსავლეთ ნაწილში – ყოფილ ელისუს სასულთნოში.[28] 1850 წლიდან ქრისტიანობის გავრცელებამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. 1851 წელს

1200 გამუსლიმებულმა ქართველმა საინგილოდან მიიღო ქრისტიანობა.[29] 1853 წლის 9 იანვრის ვორონცოვის ბრძანებით მონათლული ინგილოები გათავისუფლდნენ კომლობრივი გადასახადებისაგან.[30]

ამ პროცესების შედეგი იყო ის, რომ ზაქათალაში 1863 წელს მოხდა ცნობილი აჯანყება, როდესაც მიურიდულმა რეაქციამ ჯიჰადის დროშით დაიწყო ინგილოთა დევნა-შევიწროება. მიზეზი კი იქ დაწყებული გაქრისტიანების პროცესი იყო.

მუსლიმებთან შედარებით ქრისტიანებს მეტი პრივილეგიები ჰქონდათ რუსულ მმართველობაში და ისინი ხელმძღვანელ თანამდებობებზეც ინიშნებოდნენ, რაც მუსლიმებთან დაკავშირებით იშვიათად ხდებოდა. ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებულ ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებში მეფის რუსეთი სასტიკად კრძალავდა მხოლოდ ტყვე ქრისტიანებით ვაჭრობას. მუსლიმურ რაიონებში ქრისტიანობის გავრცელებისა თუ აღდგენის დროს საიმპერატორო ხელისუფლება ამსუბუქებდა ახალმონათლულთა მდგომარეობას და ზოგჯერ მათ ხარჯზე ბეგრავდა მუსლიმებს.

როგორც ვხედავთ, ინგილოთა კვლავ გაქრისტიანების პროცესი უპირისპირდებოდა რეაქციულ მიურიდიზმს, რაც, თავის მხრივ, იმართებოდა ოსმალეთიდან. ეს კი დიდ სირთულეებს წარმოშობდა. ამიტომაცაა ასე ფრთხილი ეგზარქოს ისიდორეს აღნიშნული ინსტრუქცია. ჩანს, საინგილოში მიმდინარე პროცესები ეგზარქოსს პირად კონტროლზე ჰქონდა და საერო ხელისუფლებასთან შეთანხმებით მოქმედებდა.

1845 წელს პეტერბურგში დაარსდა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოება, სადაც არსებობდა ეთნოგრაფიული განყოფილება. აქ მოღვაწეობდნენ რუსეთის იმპერიაში ცნობილი მეცნიერები. აღნიშნული საზოგადოების არსებობას და მის სამეცნიერო მუშაობას დიდი პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. გეოგრაფიული საზოგადოების ეთნოგრაფიული განყოფილება ახდენდა რუსეთის იმპერიის მიერ ახლადშემოერთებულ ტერიტორიებზე მოსახლე ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების შესწავლას ეთნოგრაფიული, ანთროპოლოგიური, რელიგიური და პოლიტიკური თვალსაზრისით. სამეცნიერო კვლევის შედეგებს, თავის მხრივ, სწავლობდა საიმპერატორო ხელისუფლება და მნიშვნელოვან ანგარიშსაც უწევდა. კვლევის შედეგები მათ ეხმარებოდა რელიგიური პოლიტიკის და დიპლომატიის სწორად დაგეგმვასა და წარმართვაში.

1850 წელს რეგიონის მნიშვნელობიდან გამომდინარე თბილისში დაარსდა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება.

Ros-155-ის 1853 წლის 6 იანვრით დათარიღებული მეორე წერილიც, როგორც აღვნიშნეთ, ეგზარქოს ისიდორეს ეკუთვნის და მისი ადრესატი კვლავ ევსტაფი ხუციევია. წერილიდან ირკვევა, რომ საქართველოს ეგზარქოსი აქტიურად ეცნობა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კვლევებს და თანამშრომლობს მათთან. ისიდორე ნიკოლსკი ფლობს ამ საზოგადოების ინფორმაციას სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი ძველი, მკვიდრი მოსახლეობის – უდიების წარმომავლობის შესახებ და დაინტერესებულია აღნიშნული საკითხით.

წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეგზარქოს ნიკოლსკის უდი მოსახლეობის წარმომავლობის გარკვევასთან დაკავშირებით ხშირი მიმოწერა ჰქონდა ხუციევთან. ამ საკითხის გარშემო ინფორმაციის მოძიებაში ხუციევს ეხმარებოდა ვინმე ჩოლოყაევი, რომელიც ნუხში არ ცხოვრობდა და იქ კონკრეტული დავალების შესასრულებლად უნდა ჩასულიყო. საქართველოს ეგზარქოსი ხუციევს სთხოვს, რომ მან უფრო სრული ინფორმაცია მოიძიოს უდიების წარმომავლობის, რელიგიური კუთვნილების, ცხოვრების წესის შესახებ. აინტერესებს მათი ანთროპოლოგიური მონაცემები, ხასიათის შტრიხები და მათი შესაძლო მსგავსება-ნათესაობა ებრაელებთან თუ სხვა ხალხებთან. ეგზარქოსის მხრიდან განსაკუთრებული დაინტერესება იგრძნობა იმ გადმოცემის შესახებ, რომლის მიხედვითაც ვართაშენში (ნუხთან ახლოს) მოკლულ იქნა წინასწარმეტყველი ელისე, ხოლო ნუხში მისი სამი მონაფე. ეს ინფორმაცია თავდაპირველად მოიპოვა პეტერბურგის ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ. ნიკოლსკი ცდილობს ამ თქმულების სინამდვილეში საკუთარი არხების საშუალებით დარწმუნდეს. ცხადია, თუ რატომ ენიჭებოდა აღნიშნულ ინფორმაციას დიდი მნიშვნელობა. რუსეთის სასულიერო ხელისუფლება ამ ლეგენდას ერთ-ერთ დამატებით კომპონენტად გამოიყენებდა ინგილო და უდ მოსახლეობაში მართლმადიდებლობის აღდგენის საქმეში, თუნდაც მუსლიმ სასულიერო პირებთან და მოსახლეობასთან ურთიერთობისას.

ზემოთ განხილული ორივე წერილი არის თვალსაჩინო და საინტერესო მაგალითი XIX საუკუნის 40-50-იან წლებში რუსეთის საერო და რელიგიური პოლიტიკის წარმოებისა ახლად შემოერთებულ ტერიტორიებზე საკუთარი პოზიციების გასამყარებლად. ამ ამოცანის გადასაწყვეტად კი საჭირო იყო ჭარ-ბელაქანში ქრისტიანობის გავრცელება. რისთვისაც დიდი სიფრთხილე და წინდახედულება იყო საჭირო.

ეგზარქოს ისიდორეს წერილებიდან ირკვევა, რომ ჭარ-ბელაქანში რუსეთის ხელისუფლების ფართო აგენტურული ქსელი მოქმედებდა, რომელში მონაწილეობას სამღვდელოებაც იღებდა. მიუხედავად სამისიონერო მოღაწეობის თავდაპირველი წარუმატებლობისა, რუსეთის იმპერიის საერო და სასულიერო ძალების ერთობლივმა მოქმედებამ მაინც მიაღწია გარკვეულ შედეგს ინგილოთა კვლავ გაქრისტიანების საქმეში.[31]

დანართი: 1.

Ros-155.

I წერილი (საიდუმლო ინსტრუქცია).

c.1.

Нухскому священнику Е. Хуциеву.

Секретная инструкция.

Недалеко от Нухи Расположены селения племени Ингилоицев, коих предки были Грузины, поселенни царями для охронения границ. Побежденные Лезгинами, они насилиями совращены о Магометанство. Но досел имеют церкви с некоторыми утварями, и потомки священников, под именемъ деканозовъ, и исправляют для них некоторые обряды. Многие из них, по одиначни секретно обявляли желание возвратиться на Православнои вере. Как много таковых, и не встретимся ли со стороны Магометан каких либо важных к водворению там христианства препятствий, можно узнать только на месте. Но военное начальство все попытки к тому прекрашало в самом начале, опасаясь чтобы открытое проповедание веры у Ингилоицев и вмешательство православного духовенства не усилило на линии фанатизма Мусульманъ и чтобы жители,

c. 2.

упоривые в Магометанством, не стали переходить к Лезгиинам, для сохронении своей веры. Обстоятельство сеи деиствительности требует величаищей осторожности со стороны православного духовенства.

Посиму, скрывая до времени [...]начальства, нужно:

1) Секретно [расуждать] на какие общества разделено племя Ингилоисев? Кто в каждом обществе старшины? Какого образа мыслей относительно Христянства как сами старшинй, так и подчинившие им жители? Где у них мечети? Постоянны ли [....] мулли, или на время приходят, и откуда? Препятствуют ли муллы жителям, исполнить обряды подобные Христянскими, соблюдать посты и праздновать некоторые Христянские рпаздники, или смотрят на это равнодушно? Кто иммено из Ингилойцев желает возвратиться на Праотеческой Православной вере, и имеют ли токовые на кой нибудь весь в народ? Не препятствуют ли таиному желанию деканозы, их опосения, потерять доходы, [...] получаемые от народа?

c. 3.

Не пожелает ли кто из деканозов, воспитать сына в Тифлис на казенный сщеть, [с тем], чтобы он мог в последствии быть священником у Ингилоицев? Само сабою разумееться, что ответы на изложевшие вопросы нельзя собрать скоро. Поспешности и не требуеться. Даже и приступать к [расинданию] не должно вскоре по прибитии на место, но спустя несколько времени, и [расужданию] давать вид частного любопытства, а не поручится от начальства. Для сего нужно:

2) Постараться

а) заслужить расположение Нухинского Военного начальника и по времени входить сними в разговор о том кто из чиновников заслужывает селенями Ингилойскими или Элисуйскими? близкое ли Ингилоицы имеют сношение съ Лезгинами или враждевны один с другим? Православные ли там чиновники, или лютерани, и татары? Зависят ли они сколько нибудь от Нухиинского военного начальника?– слыхаль ли он, что Ингилойцы, [помнят] о происхождений от грузин, с корбию отзываются, что им трудно возвратиться к

c. 4.

Христианству, и можно ли надеяться, что когда нибудь это ожидание исполнится? какое ко мнению Начальника было бы для сего средство самые действительность?

б) Познакомиться, если откроеться случай, съ священником воинских команд, в Элисуиских [если... ...] расположениых, и от него разяснить что нужно:-

в) узнать, в какие торговые дни приезжают Ингилоицы в Нуху для покупок, и у кого останавливаються на квартиры. Съ хозяевами этих квартир воити знакомство, чтобы, рпиходя к ним иметь случай бесседовать с Ингилоицами;

г) Тех Ингилойцевъ, съ [коими] случиться познакомиться, стараться всячески приласкать – приглашением к себе в дом услугами в их нуждах по городу, ходотайством за них у кого либо из чиновников и т. п., и когда [их] [снискана] будет их доверенность и расположение, начать сними говорить о том, сколько мы сожелеем, что предки их при несчастных обстоятельствах разными насилиями вождей отвлечены были от Христианской веры, кои следы остаються у них

c. 5.

[доселю (?)], и как и правительство и вся христиане были бы обрадованы, если бы Бог послал им желание возвратиться к вере отцов. Если такое напоминание принято будет с раздражением, отнюдь не входить ни в какие споры, а съ скромностью отвечать, что мы будем молиться, чтоби Господь просветил их умы и смягчил сердца,- и так прекратить разговор, нимало не переминять ласкового с ними обращения.

д) Если наидуться желающие возвратиться в Христианство: советовать им, чтобы послали от себя чрез Нухинского почту прошение на имя Наместника Кавказского, с подписъем имени всех желающих, и уверить их, что Свяшенники не будут брать с них платы ни за какия требы, и все нужное для церквей будет послано на казенный щеть.

е) Кто пожелает креститься в Нух, преподать ему краткое учение о лице Спасителя и св. Троицы, о заповедах и молитве Господней, и крестить не испрашивая особаго разрешения от Начальства, а только доносить по исполнении. Крестившиися

c. 6.

внушать чтобы, по возвращении на место, до времени содержали веру свою в тайно, дабы не подвергнуться

гонению от неверных, чтобы поутру и вечером молились Спасителью на восток, чтобы совлюдали посты и чистоту в жизни, чтобы любили Бога и ближних, чтобы в посты приходили в Нуху на исповедь и для приобщения Св. Таинюы. Крешение их кажды раз записывать в метрику.

3) Не дожидаться, пока все требуемая свядение будут собраны,а доставлять мне по частямъ в рапортах каждое сведение в тоже время, как [оное] получено, и излагать подробно, помещая [подлинния] слова в каких получены будут от кого либо ответы на предлаженые вопросы.

4) Если в чем встретятся затруждение, тотчась испрашивать моего наставления, и самому не приступить ни кь какимь деиствиям,не пояснившим в сей инструкции.

5) Если Ингилоицы будутъ просить, приехать в их селения: не решаться на это; не испросив моего разрешения.

с. 7.

6) Если кто из Грузин или благонамеренных Армян Нухиинских ездит к Ингилоицам для торговли: можно употребить его оружием для получения нужных сведений. Но прежде подробно узнать человека, поверить, можно ли положиться на его скромность и благонамеренность.

7) Инструкцыя сия не должна быть никому известна. –

Исидор Эгзархъ Грузии.

Сентябрь. 22.

1847.

Тифлись.

Ros – 155 ეგზარხოს ისიდორეს წერილი (საიდუმლო ინსტრუქცია) ინგილოების მუსლიმობიდან მართლმადიდებლობაზე დაბრუნების შესახებ /თბილისი. 1847 წ. 22 სექტემბერი. 7 გვ. წერილის ადრესატია ნუხეთის მღვდელი ე. ხუციევი.

თარგმანი

გვ. 1.

ნუხის მღვდელს ე. ხუციევს.

საიდუმლო ინსტრუქცია.

ნუხთან ახლოს ცხოვრობენ ინგილოთა ტომები, რომელთა წინაპრები თითქოსდა ქართველები იყვნენ, რომელებიც ქართველმა მეფეებმა აქ დაასახლეს, რათა დაეცვათ ქვეყნის საზღვარი. მათ ლეკებისაგან ძალდატანებით ისლამი აღიარეს, მაგრამ დღემდე აქვთ ეკლესიები რამდენიმე საეკლესიო ჭურჭლით, და არიან მღვდლების შთამომავლები დეკანოზები, და ასრულებენ მათთვის ზოგიერთ რიტუალს. ზოგმა მათგანმა ცალ-ცალკე, საიდუმლოდ გამოთქვა სურვილი მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე მოქცევის შესახებ. რამდენად ბევრია ასეთი. ხომ არ შევხვდებით მუსლიმთაგან ქრისტიანობის აღორძინებისას რაიმე სახის წინააღმდეგობას. თუ შეიძლება გავარკვიოთ, ხომ არ გამოიწვევს მუსლიმი მოსახლეობის გაღიზიანებას აქ მართლმადიდებელი სარწმუნოების ღიად ქადაგება და ხომ არ გააძლიერებს იგი მათში მუსლიმურ ფანატიზმს.

გვ. 2.

და ხომ არ მიმართავს მოსახლეობა ლეკებს თავიანთი სარწმუნოების დასაცავად. ეს გარემოებები და არსებული მდგომარეობა მოითხოვს უდიდეს სიფრთხილეს მართლმადიდებლური სამღვდელოებისაგან.

ამისათვის საჭიროა [ჩვენი განზრახვა] შესაფერის დრომდე საიდუმლოდ შევინახოთ.

საჭიროა:

1) საიდუმლოდ [გავარკვიოთ] რა საზოგადოებრივ ფენებად იყოფა ინგილოთა ტომი? ვინ არიან [ტომის] უხუცესები, რა აზრისანი არიან ქრისტიანობაზე როგორც უხუცესები, ისე მათ დაქვემდებარებაში მყოფი მოსახლეობა? სად არის მათი მეჩეთი? მათი მოლები ადგილობრივები არიან თუ დროდადრო მოდიან, და [თუ მოდიან] საიდან? წინააღმდეგობას უწევენ თუ არა მოლები მოსახლეობის მიერ ქრისტიანულის მსგავსი ტრადიციების შესრულებას – მარხვის დაცვას და ზოგიერთი ქრისტიანული დღესასწაულის აღნიშვნას, თუ ამას გულგრილად უყურებენ? ინგილოთაგან კონკრეტულად ვის სურს მამაპაპათა რელიგიაზე [მართლმადიდებლობაზე] მოქცევა და აქვთ თუ არა რაიმე წონა [ავტორიტეტი] მოსახლეობაში? ხომ არ აქვთ შიში *დეკანოზებს*, რომ ისინი ხალხისაგან შემოსავალს დაკარგავენ.

გვ. 3.

ხომ არ სურთ ვინმეს დეკანოზთაგან, აღზარდოს შვილი თბილისში ხაზინის ხარჯზე, რომლის შემდეგაც ისინი ინგილოების მღვდლები გახდებიან. რა თქმა უნდა, დასმულ შეკითხვაზე პასუხების შეგროვება ერთბაშად ვერ მოხერხდება. აჩქარებას არც ვითხოვთ. უფრო მეტიც, წერილის მოღებისთანავე ნუ დაიწყებთ ინფორმაციის შეგროვებას, მხოლოდ რამდენიმე ხნის გასვლის შემდეგ მიეცით მას კერძო ცნობისმოყვარეობის სახე და არა როგორც უფროსის დავალება. ამისათვის საჭიროა:

2. შეეცადეთ:

ა) დაიმსახუროთ ნუხთა სამხედრო ხელმძღვანელის კეთილგანწყობა და დროთა განმავლობაში გამოჰკითხეთ, თუ ვინ არიან ინგილოთა და ელისუს სოფლების ჩინოვნიკები? ინგილოები ლეკებთან არიან მტრულ თუ კეთილმეზობლურ ურთიერთობაში? იქ მყოფი ჩინოვნიკები რა სარწმუნოების არიან: მართლმადიდებლები, კათოლიკეები, ლუთერანები თუ მუსლიმები? არიან თუ არა ისინი რაიმე ფორმით ნუხეთის სამხედრო ხელმძღვანელზე დამოკიდებული? იცის თუ არა მან, რომ ინგილოები წარმოშობით ქართველები არიან, რომ მათ სურთ, მაგრამ უჭირთ გაქრისტიანება,

გვ. 4.

და შეიძლება თუ არა იმედი ვიქონიოთ, რომ მათ ოდესმე ეს მოლოდინი შეუსრულდებათ? როგორია ამის თაობაზე სამხედრო ხელმძღვანელის აზრი?

ბ) თუ შესაძლებლობა მოგეცემათ გაიცანით სამხედრო ნაწილის მღვდელი და მისგან გაარკვიეთ რაც საჭიროა:

გ) გაიგეთ რომელ დღეებში ჩამოდიან ინგილოები ნუხში სავაჭროდ და ვისთან რჩებიან ბინაზე, გაიცანით ამ სახლების პატრონები, რათა მათთან მისვლისას ინგილოებთან საუბრის საშუალება გქონდეთ.

დ) იმ ინგილოებს, ვისაც გაიცნობთ, ეცადეთ გულთბილად მოექცეთ, მიინვიეთ ისინი თქვენთან სახლში სტუმრად, დაეხმარეთ ყველაფერში, რაც მათ დასჭირდებათ ქალაქში, უშუამდგომლეთ ჩინოვნიკებთან და ა. შ. და როცა მათ ნდობას მოიპოვებთ, მაშინ დაიწყეთ მათთან საუბარი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ეწუხვართ ჩვენ, რომ [მათი] წინაპრები ძალით ჩამოაშორეს ქრისტიანობას, რომლის კვალი მათში დღემდეა შემორჩენილი.

გვ. 5.

და რომ ხელისუფლებაც (მეფის რუსეთი) და მთელი საქრისტიანო ძალიან გაიხარებდა, თუ ღმერთი გამოუგზავნიდა მათ სურვილს, რომ კვლავ მამა-პაპათა სარწმუნოებას დაბრუნებოდნენ. თუ ასეთი საუბარი მათში გაღიზიანებას გამოიწვევს, არავითარ შემთხვევაში მათთან კონფლიქტში არ შეხვიდეთ, და თავმდაბლად უპასუხეთ, რომ ჩვენ ვილოცებთ, რათა ღმერთმა მათი გონება და გული გაანათოს და ასე შეწყვიტეთ მათთან საუბარი. ამის შედეგაც არავითარ შემთხვევაში არ შეცვალოთ მათთან გულისხმიერი და თბილი დამოკიდებულება.

ე) თუ ვინმე გაქრისტიანების მსურველი გამოჩნდება, ურჩიეთ მათ, რომ გამოაგზავნონ ნუხების ფოსტით თხოვნა კავკასიის მეფისნაცვლის წინაშე, გაქრისტიანების ყველა მსურველის ხელმოწერით და დაარწმუნეთ ისინი, რომ მღვდლები მათგან არანაირ თანხას (გასამრჯელოს) არ აიღებენ და ყველა საეკლესიო ხარჯებს მათთვის ხაზინა გაიღებს.

ვ) თუ ვინმე ნუხში ისურვებს მონათვლას, ასწავლეთ მას *მოკლე სწავლება* მაცხოვრის ცხოვრებისა და წმინდა სამების შესახებ, ასწავლეთ მათ ათი მცნება და ლოცვები და მონათლეთ ისინი ხელისუფლებისაგან რაიმე განსაკუთრებული ნებართვის გარეშე.

გვ. 6.

მონათლული დაარწმუნეთ, რომ ადგილზე დაბრუნებისას საიდუმლოდ შეინახოს თავისი გაქრისტიანების ამბავი, რათა თავი აარიდოს ურწმუნოთაგან დევნას, და, რომ ყოველ დილა-საღამოს ილოცოს აღმოსავლეთის მიმართულებით. დაიცვას მარხვა და სინმიდე ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ უყვარდეს ღმერთი და თავისი ახლობლები. მარხვის პერიოდში ჩამოვიდნენ ნუხში აღსარების სათქმელად და წმიდა სამებასთან მის დასაახლოვებლად [ზიარებისათვის]. თითოეულის მონათვლა ჩაწერეთ [საეკლესიო.] მეტრიკაში.

3) ნუ დაელოდებით როდის შეაგროვებთ ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. მოგვაწოდეთ ისინი პერიოდულად რაპორტების სახით, თუ რა პასუხები იქნება თითოეულ დასმულ შეკითხვაზე (იგულისხმება ზემოთ ჩამოთვლილი კითხვები, – ხ. ბ.).

4) თუ რამე გართულებას ექნება ადგილი, ჩემგან დაუკითხავად ნუ მიიღებთ რაიმე სახის გადაწყვეტილებას და დაელოდეთ ჩემს ინსტრუქციებს.

5) თუ ინგილოები მოითხოვენ თქვენს ჩასვლას მათ სოფელში, გადაწყვეტილება არ მიიღოთ ჩემი ნებართვის გარეშე.

გვ. 7.

6. ნუხიდან თუ ვინმე ქართველი ან კეთილმოსურნე სომეხი საინგილოში წავა სავაჭროდ, შეიძლება ისინი გამოვიყენოთ საჭირო ინფორმაციის მიღების იარაღად. მაგრამ მანამდე საჭიროა კარგად გავიცნოთ ეს ადამიანები და მათ სანდოობაში და გულწრფელობაში დავრწმუნდეთ.

7) ეს ინსტრუქცია არავისთვის არ უნდა იყოს ცნობილი.

ისიდორე. საქართველოს ეგზარქოსი.
სექტემბერი 22.
1847.
ტფილისი.

Ros.-155.

II წერილი.

6 Январь. 1853 г. II. Письмо эгзарха Грузии Исидора священнику Евстафию [Хуциеву].

с. 1.

О. Еистафий! Постараитесь окончить данное вам поручение относительно Удиновъ. Визовите в Нуху Чолокаева, и с ними заимитесь. Петербургское Этнографическое общество говоритъ, 1) что Удини [тоже что] Гунны,- известно ли Удинам имя Гуннов? 2) что между Удинами есть придание, будто в Варташени убит пророк Елиссей, а в [нухи] убиты при ученика его,-правда ли? 3) Что Удины [знают] сродство с Мордовским народом, [передали] и знают ли Удины что нибудь о [Мордев] ? Желательно, что бы описать наружный вид Удинов – цвет и [ ] лица, рост, характер. [Узнайте], [как] много их в [Нухи]. Не знают ли они по наружности сходства с Евреями? С каким племеним [окружаясь] живут – Евреями или Татарами? Как зовут их Татарй, как Армяни и как Еврей? –

с. 2.

Не знают ли Удины [где говорят одним с ним языком?] Или не знают ли об этом Евреи. Занимающиися [... .] торговлю? Не пересикали когда либо [ ] Удины в другие места, и куда именно? Соберите [ ] нибудь собственние имена

и фамилии, как называют себя Удины, независимо от Христянский имен. Распросите Чолокаева пояснить ихние обычаи наблюдаться при оплачивании [ ] пред бракосачитании, на обычиях похоронных и сводебных. Заставте его разяснить чего [ ] не знают. Говорят, что [ближ] Кавкази к Северу от Варташени, есть селения сходные с Удииноми. Правда ли? Спросите у кого либо их старожилов, не знают ли обь них чего либо? Не знают ли тамошние Евреи каких либо деревнях приданыи устных или письменных, [ ] они сюда заняли, и кто жили там прежде их?

с. 3.

[Короткий ответ -], слишно ли [ ] Ежели [поишите, ...наидите ответ] хотя [неверный] или [....] но [ ] нибудь [занимательныи. Один]

Если случится [ ] с ним либо их Дагестанцы или Персиян, [ ], не употребляться ли [ ] слова [?]

Что узнаите, усведомляите меня.

[ ] Ваш благословение.

Исидор Эгзарх Грузии.

Янв. 1853.

1853 წლის 6 იანვარი. საქართველოს ეგზარქოსის ისიდორეს წერილი მღვდელ ევსტაფის [ხუციევს].

გვ. 1.

ევსტაფი! შეეცადეთ დაასრულოთ თქვენზე დაკისრებული დავალება [უდიებთან] დაკავშირებით. დაიბარეთ ჩოლოყაევი ნუხში და მასთან ერთად შეუდექით დავალების შესრულებას. პეტერბურგის ეთნოგრაფიული საზოგადოება აცხადებს, რომ 1) უდიები [იგივე ხალხია], რაც ჰუნები, უდიებისათვის ცნობილია თუ არა ჰუნების სახელი? 2) რომ უდიებში არის გადმოცემა, თითქოს ვართაშენში მოკლულ იქნა წინასწარმეტყველი ელისე, ხოლო [ნუხში] მისი სამი მოწაფე მოკლეს – სიმართლეა თუ არა ეს? 3) რომ უდიებმა [იციან] მორდოველებთან ნათესაობის შესახებ, [...] და იციან თუ არა უდიებმა რამე [მორდოველთა] შესახებ? სასურველია, რომ აღწეროთ უდიების გარეგნობა – ფერი, სახის [იერი?], სიმაღლე, ხასიათი. [გაიგეთ], ნუხში ისინი რამდენნი არიან. ხომ არ იციან მათ ებრაელებთა თავიანთი მსგავსების შესახებ? რომელი ტომების [გარემოცვაში] ცხოვრობენ – ებრაელების თუ თათრების? რას ეძახიან მათ თათრები, რას სომხები და ებრაელები?

გვ. 2.

ხომ არ იციან უდიებმა [სად ლაპარაკობენ მათ ენაზე?]. ან ხომ არ იციან ამის თაობაზე ებრაელებმა; დაკავებულებმა [...] ვაჭრობით? ხომ არ გადაუკვეთავთ როდისმე [ ] უდიებს სხვა ადგილებში, და სახელდობრ სად? შეკრიბეთ [ ] სმე საკუთარი სახელები და გვარები, ქრისტიანულ სახელებისგან დამოუკიდებლად. გამოკითხეთ ჩოლოკაევს, გაგარკვიოთ მათ ადათებში დატირებისას [ ] ნიშნობის წინ, დაკრძალვისა და ქორწინების ჩვეულებებში. აიძულეთ ის ახსნას რა [ ] არ იციან. ამბობენ, რომ კავკასიასთან [ახლოს] ვართაშენის ჩრდილოეთით, არის დასახლება უდიების მსგავსი. მართალია თუ არა? ჰკითხეთ ვინმე მცხოვანს, ხომ არ იციან მათ შესახებ რაიმე? ხომ არ იციან იქაურმა ებრაელებმა რაიმე სოფლებზე გადმოცემა ზეპირი ან წერილობითი, [...] და ვინ ცხოვრობდა იქ მანამდე?

გვ. 3.

[მოკლე პასუხი-] თუ ისმის [ ] ანდა [მოიძიეთ, ... იპოვეთ პასუხი] თუმცა [მცდარი] ან [...] მაგრამ [...]

თუ მოხდება [ ] მასთან ან მათ დაღესტნელები ან სპარსელები, [ ], ხომ არ გამოვიყენოთ [ ] სიტყვა [?]

რასაც შეიტყობთ, მაცნობეთ.

[ ] თქვენი კურთხევა.

ისიდორე საქართველოს ეგზარქოსი.

იანვარი, 1853.

შენიშვნები

[1] პირველი ეგზარქოსი იყო ვარლამი – ქსნის ერისთავთა ოჯახის წევრი, II იყო თეოფილაქტე რუსანოვი.

[2] ილ. ფერაძე, საქართველოს ექსარხოსები, „მოგზაური", №4, ტფ. გვ. 359. მელიქიშვილი, ნ. ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, I, გვ. 80.

[3] ხუციშვილი, მ. ისიდორე, ქსე., V, 1980, გვ. 228.

[4] პაპუაშვილი, თ. საინგილოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 2008, მისივე, ჭარ-ბელაქანი, ისტორიული ნარკევი, თბ., 1972. დუმბაძე, მ. აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბ., 1953. ბერძენიშვილი, ნ. აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბილისი., 1966.

[5] აქ ქართველებში მართლმადიდებელი ქრისტიანები იგულისხმება.

[6] Ros-155, 1 v.

[7] დუმბაძე, მ. აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბილისი., 153, გვ. 19.

[8] დუმბაძე, მ. დასახ. ნაშრ. გვ. 236.

[9] დუმბაძე, მ. დასახ. ნაშრ. გვ. 28.

[10] პაპუაშვილი, თ. საინგილოს ისტორიის ნარკვევები, თბ. 2008, გვ. გვ. 6-7.

[11] Лофоцкий, Замечания о Грузии, АСКАК. III, Тифлис,1879. с. 7.

12 პაპუაშვილი, თ. დასახ. ნაშრ. გვ. 8, 148.

13 Нота врученная Министерству Грузинскими послами 6 Апрель, 1801 г, Цагарели, Грамоты, т. II, вып. I, с. 207., პაპუაშვილი, თ. საინგილოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 2008, 145.

14 Коцебу. Статистические сведения о Чарских владениях, собранные на месте полковником Коцебу в 1826 году, Москва, ЦГВИА, ф. ВУА, д. 18498, л. 3-11. პაპუაშვილი, თ., დასახ. ნაშრ., გვ. 8, 211.

15 Ros-155, 1r.

16 დუმბაძე, მ. აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბილისი, 153, გვ. 229-230.

17 დუმბაძე, მ. დასახ. ნაშრ. გვ. 170-171.

18 დუმბაძე, მ. იმერეთის სახელმწიფოს გაუქმება და ცარიზმის ბატონობის გაფართოება საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV. გვ. 887.

19 დუმბაძე, მ. დასახ. ნაშრ. გვ. 235. Коцебу, გვ. 3-11.

20 დუმბაძე, მ. დასახ. ნაშრ., გვ. 212.

21 Волконский, Н. А. История Грузинской пешей его дружины, Тифлис, 1884, გვ. 84.

22 დუმბაძე, მ., დასახ. ნაშრ. გვ. 215.

23 იქვე. გვ. 218.

24 Ros-155, 1v, 2r.

25 Ros-155, 2r, 2v.

26 Ros-155, 2v-3r.

27 Ros-155, 3r- v.

28 დუმბაძე, მ. საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქნის შესახებ, საისტორიო მოამბე. ტ. 4, თბ, 1948. გვ. 497. *ზაქათალის კომისიის* ჟურნალი №45, 1872 , 20 ნოემბერი, პაპუაშვილი თ. დასახ. ნაშრ. გვ. 211.

29 *მოგზაური*, 1901 , №4 გვ. 359.

30 დუმბაძე, მ. საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქნის შესახებ, საისტორიო მოამბე, ტ. 4. თბ., 1948, გვ. 497.

31 1858 წლის 1 მარტს საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა ეპისკოპოსი ევსევი (ილინსკი, 1858-1877 წწ.). მის დროს *ოსეთის კომისიის* ნაცვლად 1860 წელს დაარსდა *კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება.*



1 r



1v



2r



2v



3r



3v



4г



I



II



III

სტეფანე ბურნაშევი და მისი ნაშრომი *საქართველოს სურათი ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა*

დავით მერკვილაძე

1783 წლის 3 აპრილს, ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის გეორგიევსკის ხელშეკრულების გაფორმებამდე დაახლოებით სამთვენახევრით ადრე, იმპერატორ ეკატერინე II-ის ფავორიტი და იმხანად იმპერიაში ყველაზე გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწე, გრიგოლ პოტიომკინი საიდუმლო ორდერით რუსეთის არმიის პოლკოვნიკ სტეფანე ბურნაშევს ატყობინებდა, რომ ეს უკანასკნელი მიივლინებოდა საქართველოში, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სთან და იმერეთის მეფე სოლომონ I-თან რუსეთის საგანგებო რწმუნებულად (კომისიონერად). „დიდი თავადი" იქვე დასძენდა, რომ ერეკლეს მიღება „უმაღლესი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მფარველობაში" და ამის შესაბამისი ტრაქტატით გაფორმება უკვე გადაწყვეტილი საქმე იყო (ბურნაშევი 1901: 1-2).

იმავე წლის მაისში სტეფანე ბურნაშევი უკვე საქართველოშია. აქედან იგი ინტენსიურ მიწერ-მოწერას აწარმოებს კავკასიის ხაზის სარდალთან, გრიგოლ პოტიომკინის ახლო ნათესავ პავლე პოტიომკინთან, რომლისაგანაც მუდმივ და დეტალურ სამოქმედო მითითებებს იღებს.

სტეფანე ბურნაშევი 1743 წლის 8 ოქტომბერს დაიბადა კურსკის წარჩინებული თავადური გვარის ოჯახში. 1759 წელს თექვსმეტი წლის ასაკში მიიღეს საინჟინრო კორპუსში კონდუქტორად. ორი წლის შემდეგ უკვე ინჟინერ-პრაპორშჩიკის თანამდებობაზეა გენერალ გრაფ შუვალოვის სამხაზველოში. მალე მონაწილეობა მიიღო ციხე-სიმაგრეთა მშენებლობაში, მეთაურობდა ჩერნიგოვის ციხის გარნიზონის საინჟინრო ნაწილს, ხელმძღვანელობდა საწყალოსნო კავშირგაბმულობის კომისიას და აგეგმარებდა საჭირო პროექტებს. 1766 წლიდან პორუჩიკის წოდებით აგრძელებდა სამხედრო სამსახურს (ბურნაშევი 1901: 41).

რუსეთ-თურქეთის პირველი ომის დაწყებისთანავე ბურნაშევი თავისი სურვილით იწყებს სამსახურს ფრონტზე მოქმედ არმიაში და იღებს ჯერ კაპიტნის (1769 წელს), ხოლო მომდევნო წელს სეკუნდ-მაიორის წოდებას. ომში თავი გამოიჩინა, როგორც საზრიანმა სამხედრო მეთაურმა. გამოიგონა ახალი ტიპის საალყო კიბეები და ყირიმში საომარი მოქმედებებისას აიღო ქერჩი, არაბათისა და ენიკალეს ციხეები. ამ დამსახურებისათვის მან მიიღო პრემიერ-მაიორის წოდება და დაჯილდოვდა წმ. გიორგის IV კლასის ორდენით (ბურნაშევი 1901: 41-45).

ომის დასრულების შემდეგ მონაწილეობდა პეტერბურგის საზოგადოებრივი შენობების აგებაში. 1775 წელს ბურნაშევს პოდპოლკოვნიკის ხარისხი მიენიჭა. 1778 წელს კი იგი შირვანის პოლკს მიუძღვება სალაშქროდ ყირიმში, სადაც გეომეტრიულად გადაიღო ყირიმის მთები და ახტიარის უბე. 1779-1782 წლებში აქტიურად მონაწილეობს ხერსონის ფორტიფიკაციების გამაგრებაში (ბურნაშევი 1901: 45-46).

საქართველოში საგანგებო რწმუნებულად დანიშვნამდე ცოტა ხნით ადრე, 1782 წელს ს. ბურნაშევი დააწინაურეს პოლკოვნიკად რიაზანის კარაბინერთა პოლკში. ქართლ-კახეთის სამეფოში გეორგიევსკის ხელშეკრულების მიხედვით გამოსაგზავნი რუსული ჯარის მეთაურადაც ჩანს, აქ უკვე საგანგებო რწმუნებულად მოვლინებული ბურნაშევის დანიშვნა იყო გათვალისწინებული. ამიტომაც 1783 წლის 2 ნოემბერს ეგერთა ორ ბატალიონს საქართველოში უფრო ადრე ჩამოსული პოლკოვნიკი ბურნაშევი თბილისში თავად შემოუძღვა.

საქართველოში ყოფნის პერიოდში ს. ბურნაშევი ერთმანეთს უთავსებდა სამხედრო და პოლიტიკურ საქმიანობას. თავისი ბატალიონებით იგი ერეკლეს გვერდში იდგა სხვადასხვა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში: 1784 წელს – მუღანლოსთან ლეკების დამარცხება, 1785 წლის დასაწყისი – ფათ ალი-ხანის მიერ შეგულიანებული გამდგარი განჯის ხანის დამორჩილება, იმავე წლის აპრილსა და მაისში – ახალციხიდან გადმოსულ მარბიელ ლეკ-ოსმალთა ჯარის განადგურება. მიუხედავად ამისა, ქართლ-კახეთში რუსული ჯარის შემოსვლის შედეგად ამ სამეფოსათვის გამოწვეული გართულებები ბევრად აღემატებოდა აქ გამოგზავნილი ორი ბატალიონის სამხედრო შესაძლებლობებს. ს. ბურნაშევი ამავე დროს შუამავლობას სწევდა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს შორის პოლიტიკური ურთიერთობის მოგვარების თვალსაზრისით. სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ, რუსეთის მთავრობის დავალებით, ერეკლესაგან მოითხოვდა, არ ჩარეულიყო იმერეთის საქმეებში. უფრო ადრე, 1784 წლის სექტემბერში, მანვე უზრუნველყო ერეკლე მეფისა და პ. პოტიომკინის უშუალო შეხვედრა.

ს. ბურნაშევს, როგორც კვალიფიციურ კარტოგრაფს, 1783-1784 წლებში საიმპერატორო კარისათვის შეუქმნია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისა და მისი სამეზობლოს არაერთი საინტერესო რუკაც. მათ შორის, სპეციალური სამარშრუტო რუკები: მოზდოკიდან თბილისამდე, ქუთაისიდან თბილისამდე,

თბილისიდან ბამბაკში ორთნავამდე, კახეთის სამარშრუტო რუკა. ასევე ქართული სამეფო-სამთავროების გენერალური რუკა, მათ მიმდებარედ კავკასიის მთებში მცხოვრებ ხალხთა ჩათვლით და ა.შ. (ბურნაშევი 1901: 34).

განჯის სახანოზე ბატონობის აღდგენის მიზნით ერეკლესთან ერთად ლაშქრობის დროს, 1787 წლის 13 სექტემბერს ბურნაშევმა პ. პოტიომკინისაგან მიიღო საიდუმლო ბრძანება, თავის დაქვემდებარებაში მყოფ ეგერთა ორ ბატალიონთან ერთად დაუყოვნებლივ დაეტოვებინა საქართველო და გამოცხადებულიყო „ხაზზე" (ბურნაშევი 1901: 29).

რუსეთში დაბრუნებული ს. ბურნაშევი მალევე ჩაება რუსეთ-ოსმალეთის ახალდაწყებულ ომში, სადაც ის მეთაურობდა რიაზანის კარაბინერთა პოლკს. მდინარე რიმნიკთან ბრძოლაში (1789 წლის 11 სექტემბერი) თავის გამოჩენის შემდეგ მას მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება, ასევე დაჯილდოვდა III კლასის წმ. გიორგის ორდენით 1790 წლის 30 მარტს.

1791 წელს ბურნაშევს ჩააბარეს კურსკის სამეფისნაცვლო სამართავად. ხოლო სამეფისნაცვლოს გაუქმების შემდეგ (1797 წლიდან), იგი გახდა კურსკის პირველი სამოქალაქო გუბერნატორი.

მომდევნო წლის ბოლოს ბურნაშევს ხვდა პატივი, გამხდარიყო იმპერიის უმაღლესი დაწესებულების, სამთავრობო სენატის წევრი. მართალია, იმპერატორმა პავლე I-მა სხვა სენატორებთან ერთად იგი სენატიდან დაითხოვა, მაგრამ მალევე აღუდგა სენატორობა ალექსანდრე I-ის ტახტზე ასვლის შემდეგ.

პენსიაზე გასულმა ბურნაშევმა ცხოვრების დარჩენილი წლები გაატარა თავის მამულში, კურსკის გუბერნიის სოფელ სპასსკოეში. აქვე იგი გარდაიცვალა 1824 წლის 31 მარტს.

სპასსკოეში მას დაუწერია სხვადასხვა სახის ნაშრომები. არცერთი ეს ნააზრევი არ გამოქვეყნებულა. სამაგიეროდ, კურსკში თავის მმართველობის ჟამს ბურნაშევმა გამოსცა კავკასიისადმი მიძღვნილი საკუთარი გამოკვლევები: 1. *საქართველოს სურათი, ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა* (1793 წელი); 2. *სპარსეთში აზერბაიჯანული ოლქების აღწერა და მათი პოლიტიკური მდგომარეობა* (1793 წელი); 3. *მთიელ ხალხთა აღწერა* (1794 წელი).

ბურნაშევის დასახელებული ნაშრომები უნდა იყოს ერთგვარი შემაჯამებელი მოხსენება-პატაკი, შედგენილი საგანგებო დავალებით, რუსეთის საიმპერატორო კარისათვის წარსადგენად, რათა იქ რაც შეიძლება სრული წარმოდგენა შექმნოდათ კავკასიაში იმხანად შექმნილ პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ვითარების ირგვლივ. ასეთი სახის ცნობები პეტერბურგში ჰაერივით სჭირდებოდათ, ვინაიდან საიმპერატორო კარზე უკვე გადაწყვეტილი იყო სამხრეთ კავკასიის საქმეებში რუსეთის აქტიური სამხედრო-პოლიტიკური ჩარევა და მომავლისათვის ამ მიმართულებით კიდევ უფრო შორსმიმავალი, იმპერიის გასაფართოებელი ღონისძიებების განხორციელებაც იგეგმებოდა.

საქართველოს სურათი... არის საყურადღებო წყარო XVIII ს-ის 80-იანი წლების საქართველოს (და, ცალკეულ შემთხვევებში, ასევე მისი სამეზობლოს) ისტორიისათვის. მის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ იგი წარმოადგენს განსწავლული რუსი ოფიცრის, როგორც თვითმხილველის, დაკვირვებული თვალით აღწერილ ვითარებას. პოლკოვნიკი ბურნაშევი იმ დროს საქართველოში არსებულ ვითარებას გადმოგვცემს სხვადასხვა კუთხით: მოსახლეობის ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობა, სოციალურ-წოდებრივი სახე, ხალხის სახასიათო თავისებურებანი, სახელმწიფო შემოსავლები, მმართველობის ფორმა, ეკონომიკური ვითარება, ვაჭრობა, შიდაპოლიტიკური მდგომარეობა, ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან და ხალხებთან. დიდი ყურადღება ეთმობა სამხედრო ხასიათის ცნობებს: ჯარის შეიარაღება და სამხედრო შესაძლებლობები, ბრძოლისუნარიანობა და ბრძოლის წარმოების ადგილობრივი თავისებურებები.

სამხედრო საკითხების გადმოცემისას, ბურნაშევი, როგორც ამ საქმის პროფესიონალი, უფრო საკუთარი დაკვირვებების მიხედვით მსჯელობს. დანარჩენ შემთხვევებში, როგორც ჩანს, ის სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ცნობებსაც ემყარება. თავის წყაროებს ის არ ასახელებს. ეს ბუნებრივია და გამოწვეულია ნაშრომის სპეციფიკითა და მიზანდასახულობით. ავტორის მიზანია მოპოვებული ინფორმაციის შეჯამება-შეჯერება და ამ სახით მიწოდება ზემდგომი ადრესატისათვის, რის გამოც წყაროს მითითება უსარგებლო და უადგილო იქნებოდა. ზოგიერ საკითხებში (ქართველ თავადაზნაურთა სრული უსწავლელობა, სახელმწიფო თანამდებობებზე ძირითადად სომხების ყოფნა და სხვ.) ბურნაშევის ცნობები მაინცდამაინც მართებულად ვერ ასახავს იმდროინდელ რეალურ ვითარებას. მაგრამ ეს გარემოება ბურნაშევის არაობიექტურობის გამოვლინების ნაცვლად უფრო მისი მიკერძოებული წყაროს (სავარაუდოდ, სომხური წარმოშობის პიროვნების) მიწოდების შედეგი უნდა იყოს.

მნიშვნელოვნადაა გამახვილებული ყურადღება ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობაზე მეზობელ სახელმწიფოებთან. ცალკეა აღწერილი ქართული სამეფოში და მის ირგვლივ არსებული პოლიტიკური მდგომარეობა ერეკლესა და ეკატერინეს შორის მფარველობითი ხელშეკრულების დადებამდე და ცალკე მსჯელობა ეთმობა ტრაქტატის შემდგომ ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. აშკარაა, რომ რუსეთის საგანგებო რწმუნებული გეორგიევსკის ტრაქტატს, სრულიად სამართლიანად, ერთგვარ გარდამტეხ მიჯნად აღიქვამს ერეკლესა და მისი სამეფოსათვის. ამ პირუთვნელი აღწერილობიდან

თვალსაჩინოდ ვლინდება, თუ როგორ დამძიმდა ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთთან მფარველობითი ხელშეკრულების გაფორმების შედეგად (მერკვილაძე 2012: 79). აღწერა საკმაოდ ობიექტურია და წარმოადგენს ბურნაშევის საგულისხმო პოლიტიკურ ანალიზს. რუსეთის რწმუნებულის მიზანია, საიმპერატორო კარს მიაწოდოს როგორც უკვე არსებული, ისე მოსალოდნელი ვითარების შეძლებისდაგვარად სრული ანალიზი და, მათ შორის, ერეკლე მეფის შესაძლო მდგომარეობა რუსული ჯარის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დატოვების შემთხვევაში. როგორც ჩანს, პეტერბურგში წინასწარვე განიხილებოდა ეს საკითხი, იმისდა მიუხედავად, რომ რუსეთის მხრიდან ეს აშკარა დარღვევა იქნებოდა ტრაქტატით გათვალისწინებული პირობებისა.

მეორეს მხრივ, ეს ნაშრომი ამ პერიოდის (XVIII ს-ის 80-იანი წლების) რუსულ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობის შესწავლისათვის უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს წარმოადგენს, ვინაიდან ავტორი ძირითადი აღწერილი მოვლენების თანამედროვეა და, ამავე დროს, აღნიშნული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების თვალსაზრისით, როგორც იმპერიის საგანგებო რწმუნებული, რუსეთის საიმპერატორო კარის მითითებების უშუალო შემსრულებელიც.

ნაშრომი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: *საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა* და *იმერეთის პოლიტიკური მდგომარეობა*. ცხადია, „საქართველოში" ქართლ-კახეთის სამეფო მოიაზრება, ხოლო „იმერეთში" – მთელი დასავლეთ საქართველო. პირველი ნაწილი ბევრად აჭარბებს მეორეს მოცულობით და ეს გასაგებიცაა: ბურნაშევი საქართველოში ყოფნისას ძირითადად სწორედ აღმოსავლეთ საქართველოში იმყოფებოდა (იმ იშვიათი გამონაკლისის გარდა, როცა მას მოუწია მცირე ხნით იმერეთში გადასვლა), ამიტომაც აქ არსებული ვითარება უფრო უკეთ ჰქონდა შესწავლილი. გარდა ამისა, როგორც ჩანს, რუსეთის საიმპერატორო კარის ყურადღება ძირითადად სწორედ ერეკლეს სამეფოსაკენ იყო მიპყრობილი, რასაც ადასტურებს ხელშეკრულების გაფორმებაზე ფაქტობრივად უარი ეთქვა იმერეთის მეფეს (სხვათა შორის, პირველ რიგში სწორედ სოლომონი იყო დაინტერესებული რუსეთის მფარველობაში შესვლით და არა ერეკლე, რომლის დათანხმებისათვისაც რუსეთის ხელისუფლებამ ძალ-ღონე არ დაიშურა და მასზე ზეწოლის არაერთ ხერხს მიმართა).

ბურნაშევის ეს თხზულება უდავოდ დაწერილია მისი საქართველოში ყოფნის პერიოდში. ის აქ იმყოფებოდა 1783 წლის მაისიდან 1787 წლის სექტემბრის ჩათვლით. საფიქრებელია, მისი დაწერა უნდა დაწყებულიყო 1784 წლის მეორე ნახევარში, ვინაიდან ნაშრომში იმერეთის მეფე სოლომონ I ცოცხალი აღარ ჩანს. ხოლო სოლომონი გარდაიცვალა 1784 წლის 23 აპრილს (ძვ. სტილით). აქ ასევე თვითმხილველის პოზიციიდანაა აღწერილი ომარ ხანის შემოჭრა აღმოსავლეთ საქართველოში 1785 წლის სექტემბერს, იმერეთის მეფე დავით II-ის მიერ მის მოწინააღმდეგეთა და იმერეთში დავით არჩილის ძის გამეფების მიზნით, ამ უკანასკნელის დასახმარებლად ახალციხიდან გადმოსულ თურქთა და ლეკთა ჯარის განადგურება, რაც 1786 წლის იანვარში მოხდა.

ზემოთქმულს სრულად შეესაბამება ჩვენს ხელთ არსებულ გამოცემაში თავფურცელზე არსებული მითითება, რომ დასახელებული ნაშრომი შესრულებულია „პოლკოვნიკისა და კავალერის ბურნაშევის მიერ ტფილისში 1786 წელს" (ბურნაშევი 1896). თუმცა, ამავე დროს, ყურადღებას იქცევს ტექსტში არსებული აღნიშვნა, რომ გიორგი ერეკლეს ძის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი არის ოცი წლის. დავით ბატონიშვილი კი დაბადებულია 1767 წლის 1 ივლისს. ამიტომ ზემოხსენებული მითითება 1787 წელს უნდა განეკუთვნებოდეს. შეიძლებოდა ეს შენიშვნა უმნიშვნელო უზუსტობად მიგვეჩნია, რომ არა კიდევ ერთი გარემოება. ს. ბურნაშევი იმერეთის ტახტის მაძიებელ დავით არჩილის ძესთან დაკავშირებით ერთ ასეთ საინტერესო განცხადებას აკეთებს:

> „თავადი დავითი საიდუმლოდ წავიდა ახალციხეში და იქ იმყოფებოდა ამჟამინდელ დრომდე, საქართველოდან ჩემი გამომგზავრების წინ კი სულეიმან-ფაშას მიერ გაშვებულ იქნა იგი იმერეთში, მცირე დროის გასვლის გამო ჩემთვის უცნობია, თუ რა განზრახვით (ბურნაშევი 1896: 23).

ე. ი. ამ შემთხვევაში ს. ბურნაშევი გადმოგვცემს მის მიერ უშაუოლდ საქართველოს დატოვების წინ („მცირე დროით" ადრე), ანუ 1787 წლის შემოდგომამდე მომხდარ ამბავს (პოლკოვნიკი ბურნაშევი ხომ საქართველოდან მიემგზავრება 1787 წლის სექტემბერში). თუ ნაშრომის შესრულების ზემოაღნიშნული მითითება ავთენტურია, მაშინ მასში დაცულ ამ მონაცემებსა და ნაშრომის შესრულების მითითებულ დროსთან არსებული ერთნლიანი შეუსაბამობა სავარაუდოდ შეიძლება აიხსნას შემდეგი გარემოებით: გამორიცხული არაა, ს. ბურნაშევს ნაშრომის ძირითადი ნაწილის წერა, მართლაც დაესრულებინა 1786 წლისათვის, თუმცა საქართველოდან წამოსვლამდე მასში კიდევ შეეტანა გარკვეული შესწორებანი და ჩამატებები.

ამრიგად, თხზულება *საქართველოს სურათი ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა* ბურნაშევს უნდა შეესრულებინა დაახლოებით 1784 წლის მაისიდან 1787 წლის სექტემბრამდე დროის მონაკვეთში.

პოლკოვნიკ ბურნაშევის დასახელებული ნაშრომი საკუთარი წინასიტყვაობის დართვით 1896 წელს ხელმეორედ გამოსცა კ. ნ. ბეგიჩევმა თბილისში. როგორც თავად გამომცემელი მიუთითებს, ბურნაშევს თავისი ნაშრომები კურსკში მცირე ტირაჟით გამოუქვეყნებია და უკვე ასი წლის შემდეგ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა. აღნიშნული გამოცემა კი ბეგიჩევს გადმოუღია „პეტერბურგში მდებარე მთავარი შტაბის ბიბლიოთეკის ეგზემპლიარიდან" (ბურნაშევი 1896: IV).

ბურნაშევის თხზულების თარგმანი ქვეყნდება პირველად. თარგმნისას ვიხელმძღვანელეთ ზემოდასახელებული გამოცემით. წყაროში გადმოცემულ მოვლენებზე მკითხველისათვის უფრო სრული წარმოდგენის შესაქმნელად ჩვენ მიერ ნათარგმნ ტექსტს ასევე დავურთეთ შენიშვნები და განმარტებები.

საქართველოს სურათი ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა

შესრულებული მის უმაღლესობა ქართლისა და კახეთის მეფესთან ირაკლი თეიმურაზის ძესთან მყოფი პოლკოვნიკისა და კავალერის ბურნაშევის მიერ ტფილისში 1786 წელს.

საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მისი ძალა.

კახეთისა და ქართლის სამეფოებში, კავკასიის ქალაქებში და საქართველოს მეფის ქვეშევრდომობაში მყოფ ადერბიჯანის ქალაქებში – ერევანსა და განჯაში, მცხოვრებნი მათი მიწებით, ქართველები, სომხები, ბერძნები, მაჰმადიანები, სხვადასხვა მთიელი ხალხები და ქურთები, 1783 წელს, სრულიად რუსეთის უმაღლესი ტახტის მფარველობაში საქართველოს შესვლისას მოითვლებოდა 42 000 კომლი.

მდგომარეობა.

საქართველოში ბუნებით ქართველებს შორის სამი მდგომარეობაა: სამღვდელოება, თავადაზნაურობა და გლეხები. პირველნი უმეტესწილად კეთილშობილთაგან არიან. სომხებს შორის: თავად-აზნაურები, ვაჭრები, ხელოსნები და გლეხები. ბერძნებს შორის: ვაჭრები, ხელოსნები, ხოლო უმეტეს წილად მემამდნენი, რომელნიც ამუშავებენ ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის სამეფო ქარხნებს. მაჰმადიანთა შორის: მოხელეთა საგვარეულოები (რომელთა თაობებიც სპარსეთში, ისევე როგორც საქართველოშიც, მეტად გამორჩეულია), ვაჭრები, ხელოსნები და გლეხები. მთიელი ხალხნი გლეხები არიან, მცირე მესაქონლეობით. მათი ნანილი მოხეტიალეები არიან, მტაცებლები და მეტად მიდრეკილნი ომისკენ. ქურთები მომთაბარე ხალხია.

მესაქონლეობა მთელს საქართველოში ლეკთაგან მუდმივი თარეშის გამო დიდი არ არის, ცხენსაშენები პატარაა და აღსანიშნავი არაა.

პური საკმარისია, განსაკუთრებით ყაზახსა და შამშადილში,[1] შესანიშნავი სიკეთისა და თვისებების. ბრინჯი უხვადაა, ასევე ფეტვი, ქერი და სიმინდი. ჭვავი და შვრია საერთოდ არ არის. ბამბა საკმარისია. სელი ბევრი არ არის, თესენ მხოლოდ საზეთო მარცვლისათვის. აბრეშუმი მეტად ბევრია, მხოლოდ საშუალო ხარისხისა.

ოქროსა და ვერცხლის მადნები საკმარისადაა, განსაკუთრებით ბევრი სპილენძის მადანია მთებში, რომლებიც ჰყოფს საქართველოს ერევნისგან, მათ ამუშავებენ თურქეთიდან გამოსული ბერძნების საშუალებით, რკინა ცოტაა და ცუდი, იყენებენ იქ რუსეთიდან ჩამოტანილს, ყიდულობენ რა მას ხუთჯერ უფრო ძვირად, ეს სიძვირე გამოწვეულია კავკასიის მთების გადავლით რთულად მიწოდების გამო.

ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები ცუდია და ხელოვნების გარეშე. მათ არ იციან მათი შერევა სხვა ლითონებთან. სპილენძისა კარგია, კალისა არ არის, ფოლადისა საშუალოა. რკინის ნაკეთობებს აკეთებენ კალასთან ერთად. არის მცირე ხელის ფაბრიკები აბრეშუმისა და ქაღალდის. უკანასკნელნი ძალზედ ბევრია.

ვაჭრები მიემგზავრებიან სპარსეთსა და ინდოეთში რუსეთიდან ჩამოტანილი არცთუ დიდი რაოდენობის საქონლით; ხოლო იქიდან ქარავნებით ღებულობენ აბრეშუმის, ბამბის, სპარსულ და ინდურ მატერიებს, ასევე ფაიფურის ჭურჭელს. დიდი ვაჭრობა აქვთ მათ მთიელ და სპარსელ ახლო მეზობლებთან მათი ხელნაკეთობებით, ანუ სპილენძის ჭურჭლით, ბამბის ქსოვილებით, მოჩითულით, შელებილითა და თეთრით, ცხენის მოსართავებით, ხმლებითა და ხანჯლებით, რკინის მცირე საგნებით, სამოსით, ქუდებითა და ფეხსაცმლით: ვინაიდან ამ საჭიროებებით თითქმის მთელი კავკასიელი ხალხები და მთელი მეზობლები სარგებლობენ ტფილისელი სომხების შრომისმოყვარეობით.

მცირე საეაჭროები ლამაზი საქონლით, ხელით ნაკეთობებითა და სასურსათო მარაგებით, ტფილისში 500-მდეა.

ღვთისმსახურება.

სარწმუნოების წეს-ჩვეულებები ქართველებში ბერძნულია.[2] ღვთისმოსაობა ეკლესიებში დიდი არ არის. ღვთისმოშიშების გარეგნულ გამოხატვას გამოავლენენ გულმოდგინედ. მარხვების შენახვა უზომოა. ეკლესიები და მონასტრები დაცარიელებულია და იმყოფება უკიდურესად უყურადღებოდ დატოვებულ მდგომარეობაში. კეთილმოწესეობა მათში საერთოდ არ არის, სამღვდელოებას გააჩნია საკმარისი ძალაუფლება და უშუალო პატივისცემა, მათი ხმა სამეფო საბჭოში მნიშვნელოვანია. მთავარი უფროსობა სამღვდელოებაზე გააჩნია კათოლიკოსს ანუ უპირველეს მთავარეპისკოპოსს.

სომხები მიჰყვებიან გრიგორიანულ გადმოცემას.[3] თავიანთ ეკლესიებს ინახავენ სუფთად და საკმაოდ მორთულია.

ტფილისში კათოლიკეთა 30-მდე ოჯახია. მათ ჰყავთ თავიანთი პატრები, გამოგზავნილნი რომიდან. ეს პატრები ასრულებენ ექიმთა მოვალეობებს და ყოველთვის მეფის უახლოესი ექიმები არიან. მათ ტფილისში ააგეს ვეებერთელა კათოლიკური ეკლესია, ქვისა, ევროპული ნიმუშით, მაგრამ მეფე ირაკლის მიერ ის გადაკეთდა ბერძნულად, საქართველოს ეკლესიაში გრიგორიანული ერესის შეტანის აღსაკვეთად, საქართველოს ეკლესიის ზოგიერთ წარჩინებულ სასულიერო პირთან შეთანხმებით.

ბერძნებს გააჩნიათ საკუთარი ეკლესიები, არამდიდრული.

მაჰმადიანებს სარწმუნოების აღსრულება არ ეკრძალებათ. ტფილისში მათ აქვთ სამი მეჩეთი. თითოეული მათგანი გარკვეულ ვალდებულებაში იმყოფება ქართულ ეკლესიებთან, კისრულობენ რა ერთი-მეორისათვის თავდებობას დარბევისგან დასაცავად გაბატონებული სარწმუნოების შეცვლის დროს. ჩვენი ჯარის იქ ყოფნის უკანასკნელ წელს მაჰმადიანებს ნება ეძლეოდათ, თავიანთი მორწმუნეები მეჩეთებში შეეკრიბათ მათი ჩვეულების მიხედვით.[4]

ქურთები არიან წარმართები და თითქმის სარწმუნოების გარეშე.[5] ზოგიერთები აღიარებენ მაჰმადიანურ სარწმუნოებას.

მთიელი ხალხები: ძურძუკები,[6] ხევსურები, ფშავლები, მორჩილნი მეფისანი – ბერძნული კანონისანი.

ხალხის თვისებები.

მიწის მდებარეობა მთა-გორიანია, რაც აქცევს იქაურ მცხოვრებთ, როგორც ყველგან მთებში, უფრო მკაცრ ადამიანებად. სპარსელებთან მუდმივი კავშირისა და ურთიერთობების გამო, გადაიღეს მათი ზნე-ჩვეულებები. და თუმცა კი ბევრი მათგანი საკმარისად დაჯილდოებულია გონიერების ბუნებრივი უნარით, მაგრამ არ ზრუნავენ თავიანთი შვილების აღზრდისა და განათლებისთვის, და ამიტომაც არიან წინვერმჭვრეტელნი, ცრუები, არამდგრადი ხასიათის და ანგარებიანნი. ბევრი კეთილშობილთაგანი პირადად მამაცია, დიადი საქმეები, რომლებიც გამოარჩევს ნიჭიერებას, არა ჩანს. არ გააჩნიათ მიჯაჭვულობა თავიანთი ახლობელი ნათესავებისადმიც კი. ცხოვრება და საკვები მკაცრია. მისვლა-მოსვლა ურთიერთ შორის ცოტაა, სახალხო მხიარულობები არ არის, გარდა საცხენოსნო შეჯიბრებებისა ორჯერ წელიწადში, და ხშირად ფარიკაობისა. თავიანთი ადათები და ცხოვრება მიაჩნიათ აღმატებულად. ევროპულის მიმართ კი შეიმჩნევა მათი ზიზღი და მთელი თავიანთი სიღარიბის მიუხედავად სულელურად ამაყები არიან.

მმართველობის წესი.

ერთხელისუფლებიანობაა, მეფის ნება შეუზღუდავია. კანონები და დადგენილებები დაწერილი თითქმის არაა. დაქვემდებარებული ხელისუფლება ცოტაა, მთელი საქმე და სულ მცირეც კი დამოკიდებულია მეფის გადაწყვეტილებაზე. მას ერთადერთს ემორჩილებიან უყოყმანოდ და მოწიწებით, სხვა ჩინოსნებს – ბევრად ნაკლებად.

მეფეს ჰყავს თავისი დივანი ანუ საბჭო, რომელშიც მონაწილეობს ყველა მისი შვილი, კათოლიკოსი, მღვდელთმთავრები, საბჭოს წევრები, დივან-ბეგებად წოდებულნი და მხარეთა დიდებულები, რომლის რჩევის გარეშეც მეფეს აქვს ჩვეულება, არაფერი არ იღონოს, თუმცა კი თვითმპყრობელია. ჰყავს აგრეთვე საგანგებო მინისტრები: საგარეო საქმეთა, სახელმწიფო შემოსავლების, სამხედრო განკარგულებების, რომლებიც, ისევე როგორც ყველა საქმიანი ადამიანი, ყოველთვის სომეხთაგან არიან, ვინაიდან ქართველ თავადთა საგვარეულოები თავიანთი სიამაყის გამო შეუფერებლად თვლიან თავიანთი შვილებისთვის უბრალო ანგარიშის სწავლებასაც კი.

სამხედრო, კარისკაცებისა და სამოქალაქო თანამდებობები, უმეტესწილად მემკვიდრეობითია საგვარეულოებში.

სამეფო კარი თავისებურად საკმაოდ ლაზათიანია, და არის მსგავსი ძველ ხელმწიფეთა კარისა გაუნათლებელ ხალხებში.

სახელმწიფო შემოსავლები.

ქვეშევრდომებისგან ფულადი და გლეხთაგან მიწის ნაწარმის სახით, ვერცხლის, ოქროსა და სპილენძის საბადოებიდან, საბაჟო მოსაკრებლებიდან, სარწყავიდან და თამბაქოს იჯარიდან, ქალაქების – განჯისა და ერევანისაგან, მეზობელი ხანების საჩუქრების ჩათვლით, აღწევდა ოთხას ათას მანეთამდე ოქროთი და ვერცხლით. მაგრამ ქალაქი ტფილისი ამას ზევით დამძიმებულია საგანგებო გადასახადებით, რამეთუ მისგან აიღება განუსაზღვრელი მოსაკრებელი, მეფის კეთილი ნების მიხედვით. მთელი შემოსავლების მეათედ ნაწილს, სამთამადნო შემოსავლების გამოკლებით, ძველი კანონმდებლობის მიხედვით, ღებულობს სახლთუხუცესი, სამეფო კარის მთავარი მოხელე.[7]

ჯარი.

ფულად ჯამაგირზე მყოფი ჯარები არ არის. ათი წელია, თავდასაცავად ლეკების მუდმივი მტაცებლობისგან, რომლებიც მათ ავიწროვებდნენ თვით ქალაქების გალავნებამდეც კი, იარიბება მათში მურიგად წოდებული მილიცია, შემდგარი 4000 მეომრისგან, რომლებიც, მსახურობენ რა ერთ თვეს, ბრუნდებიან სახლში, ხოლო მათ ადგილზე დგებიან სხვები რიგის მიხედვით მთელი სახელმწიფოდან.[8] ამ რიგით, განსვენებულმა უფლისწულმა ლეონმა, გაწმინდა თითქმის მთელი მიწა მთიელთა თავხედური ძარცვისაგან,[9] მაგრამ ამჟამად მეფის ვაჟიშვილთაგან არცერთი არ მოღვაწეობს ასე ვაჟკაცურად და ამიტომ მორიგე ჯარიც, მოხელეთა მხრივ ბოროტად გამოყენებების გამო, არსად არ დგას გზების, სოფლებისა და გლეხების დასაცავად.

კეთილშობილები ყველანი მსახურობენ ცხენოსნებად, ისევე როგორც ყველა ქონების მქონე. ყველა მდგომარეობის მეომარი ჩვენს იქ ყოფნისას იარიბებოდა 6000-მდე. მაჰმადიანებს, ყაზახელებსა და შამშადილელებს, საუკეთესო მეომრებს, რუსეთის მფარველობაში შემოსვლის დროიდან, არ ენდობოდა რა მათ მეფე, მათი აღშფოთების მიზეზით, მათ ჯარში არ იძახებდა. ყაბარდოელები და ოსები მეფის ომში მსახურობენ ჯამაგირის სანაცვლოდ, ასევე ლეკთა ზოგიერთი საგვარეულოც, რომელთაგან მეფეს, მათ ერთგულებაში დარწმუნებისათვის, ჰყავს მძევლები. ისინი უმეტესწილად

შეიარაღებული არიან შაშხანებით, სარტყელში გაყრილი პისტოლეტებით, მხარზე გადაკიდებული ჩანთით, ხანჯლითა და ხმლით, და თავად მეფეც ამდაგვარადაა შეიარაღებული. საომრად გამზადებული უღარიბესი გლეხები კი, იარაღის უქონლობის გამო, მიდიან კომბლებით.

ქართული არტილერია გადაიტანება ურმებით, და თუმცა კი არცთუ მთლად სწორადაა გაკეთებული და გამართულიც არ არის, მაგრამ საშიშია მეზობლებისთვის, მათი მოწინააღმდეგეებისთვის, რამეთუ ამ უკანასკნელთ ველზე ის არ გააჩნიათ. ამჟამად მეფეს აქვს 12 საკუთარი ზარბაზანი, ჩამოსხმული ტფილისში. დენთს აკეთებენ თვითონ, მაგრამ პროპორციების არცოდნის გამო იგი უკიდურესად ცუდია.

უმაღლეს სამხედრო მოხელეს ეწოდება სარდარი, რომელნიც არიან სამნი, კერძოდ: კახეთში ერთ-ერთი თავად ჩალაკაევთაგანი, ქართლში ორი – ერთი ზემო ივერიაში თავად ამილახვართაგან, მეორე კი სომხითში თავად ორბელიანოვთაგან, ეს თანამდებობები მემკვიდრეობითია საგვარეულოებში. კათოლიკოსს ჰყავს თავისი სარდარი, გენერლები არიან მარჯვენა და მარცხენა ფრთის. არტილერიის უფროსი იწოდება თოლში-ბაშა. მეფის ადიუტანტები, უფროსები და უმცროსები, მიმბაშები ანუ ათასისთავები, ხუთასისთავები და ასისთავები, ესაულები[10] და მედროშეები, და თუმცა კი ყველა ეს ჩინოსანი არსებობს, არასდროს თავიანთ ადგილზე არ არიან ხოლმე, არამედ ყოველთვის მეფის სიახლოვეს გროედებიან ლაშქრობის დროს. მათი ხელქვეითები ლაშქრობის დროს დაეხეტებიან თავიანთ ნებაზე და დგებიან ყოველგვარი წესრიგის გარეშე. მათი სამხედრო ბანაკი ემსგავსება სავაჭროდ მოსული გლეხების თავყრილობას. მეწინავე რაზმები და გამშვები ყარაულები არ ჰყავთ, და ამის გამო, ისე არ გავა ღამე, რომ ცხენებს, ზოგჯერ კი ადამიანებსაც არ სტაცებდნენ მათი მოწინააღმდეგენი ბანაკიდან, ისევე როგორც ისინი უკეთებენ იგივეს თავიანთ მოწინააღმდეგეებს. სურსათს არ იმარაგებენ, ომში ყველა წასულს თან მიაქვს, რამდენიც შეუძლია, და ამის გამო ხშირად განიცდიან შიმშილს. ზოგჯერ მომარაგება ხდება ტფილისიდან, მაგრამ იშვიათად, და ამიტომ ლაშქრობის დროს სოფლებიდან მოკრებენ პურს და სხვა საკვებს გარჩევისა და დანიშნულების გარეშე. სურსათის უკმარისობა იქცევა ხოლმე იმის გარდაუვალ მიზეზად, რომ მეფეს არ შეუძლია თავისი ჯარის დიდი ხნით ველზე შენახვა. სამხედრო სიმკაცრე და მორჩილება საერთოდ არ არის, და ამიტომ საკუთარი მიწებისთვის ჯარის მყოფობა და ლაშქრობა მათი თავხედობის გამო უკიდურესად გამაჩანაგებელია, ნადავლი და ნაძარცვი არის საერთო ჯილდო ყველასთვის, ვინც ჯარში იმყოფება.

ქ ა რ თ ლ შ ი

ციხე-სიმაგრეები.

1. დედაქალაქი ტფილისი გარშემორტყმულია აგურის კედლებით, კოშკებითურთ, თხრილის გარეშე, არც მაინცდამაინც თავდაცვით მდგომარეობაში; მაგრამ რადგანაც საქართველოს მოწინააღმდეგეებს, თურქების გარდა, არ გააჩნიათ არტილერია, ამიტომაც თავისი ხალხმრავლობის გამო უსაფრთხოა.

2. გორი მდინარე ლიახვის მტკვარში ჩადინების ადგილასაა, თუმცა კი გამაგრებულია ძველებური წესის მიხედვით, მაგრამ თავისი მდებარეობის გამო არა მხოლოდ იქაური ხალხებისთვის, არამედ ევროპელებისთვისაც კი შესაძლოა ძნელად ასაღები იყოს.

3. მცხეთა კედლებითა და კოშკებით გამაგრებული მონასტერია, რომელშიც ძველთაგანვე გვირგვინდებიან ქართველი მეფეები, ძეგს მდინარე მტკვარზე, მასში მდინარე არაგვის ჩადინების ადგილას.

4. ანანური ძველი ნიმუშის ციხე-სიმაგრეა კოშკებით; მდებარე მდინარე არაგვზე, რუსეთის მხრიდან საქართველოში კავკასიის მთებიდან გამომავალ გზაზე.

5. გორისციხე,[11] ძველებური ციხე-სიმაგრის ნიმუში, კოშკებით, მეტად ძველი, მდებარეობს მდინარე თერგისპირა მთაზე, კავკასიონის მთებს შორის; მის გვერდით გადის გზა რუსეთიდან საქართველოში, გაყვანილი ჩვენი ჯარების მიერ; ადგილმდებარეობა მეტად მაგარია, იქ კორპუსის გასვლის შემთხვევაში შეიძლება დაარსდეს მაღაზია.

6. სურამი მცირე ციხეა თურქეთისა და იმერეთის საზღვრების სიახლოვეს; აგებულია კლდეზე, თავისი სიმცირის გამო დიდ გარნიზონს ვერ იტევს და ძლიერი შეტევის მოგერიება არ ძალუძს.

კ ა ხ ე თ შ ი

7. მთავარი ქალაქია თელავი, გაუმაგრებელი.

8. ქიზიყში სიღნაღი, წარმოადგენს დიდ სივრცეს, გარშემოვლებულს ქვის კედლებით, სადაც მტრის ძლიერი შემოსევის დროს ყველა გარშემო მოსახლეს მთელი თავისი ქონებითა და საქონლით შეუძლია მოთავსება. თუმცა კი მთელს საქართველოში მონასტრებსა და თითქმის ყველა სოფელს, რომლებიც შედგებიან მიწურებისგან, აქვთ ქვის ციხეები, სადაც თავს აფარებენ მტრის თავდასხმებისას.

მმართველი სახლი.

მეფე ირაკლი თეიმურაზის ძე ბაგრატიონს,[12] თავისი წარმოშობა გადმოცემების მიხედვით აქვს წინასწარმეტყველისა და მეფის დავით იუდეველის შტოსგან,[13] და თავისი წინაპრები ათას წელზე მეტ ხანს მიაჩნია საქართველოს ტახტზე. არა საშუალო გონების კაცია, იშვიათი მომთმენი, და უმაგალითოდ ღვთისმოსავი, თავისი 70-წლიანი მოხუცებულობის მიუხედავად, ყოველდღიურად და აუცილებლად სამჯერ აღასრულებს ღვთისმსახურებას და განსაკუთრებით თავის კაბინეტში ორსაათიანი ლოცვით, რომლისგანაც არანაირ შემთხვევას არ ძალუძს მისი მოწყვეტა. გასაოცრად მოღვაწეა, ფხიზლობს მთელი ღამე დილამდე, თავად უძღვება რა თავისი სახელმწიფოს საქმეებს. სძინავს ცოტა, დღისით იღებს ელჩებს, წარმოგზავნილთ სპარსელი მმართველი ხანებისგან და მთიელი ხალხებისგან. სამართალს განუჩენს თავის ქვეშევრდომებს, თვით ყველაზე უმცირეს დავებშიც კი. ჩახედულია აზიური პოლიტიკური წეს-ჩვეულებების

გამოცდილებაში, იყო რა საკმაოდ ხანგრძლივი დროით დიდი ნდობით აღჭურვილი ნადირ-შაჰთან, ინდოეთში მისი ყველა ლაშქრობისას;[14] მაგრამ არაფრისკენ ისე არ ისწრაფვის, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისკენ. მეუღლე მისი, დედოფალი დარია გიორგის ასული,[15] სამეგრელოს დადიანების სახლიდანაა, თავად ჩეკუანთა საგვარეულოდან.[16] თავისი მეუღლეობის პირველ წლებში არ ჰქონია არანაირი გავლენა სახელმწიფო საქმეებზე და ნაკლებად იყო ცნობილი ქვეშევრდომების მიერ, რომლებიც იქაური ადათის მიხედვით მას ვერც კი ხედავდნენ. მაგრამ როდესაც მეფისწულებმა, მისმა შვილებმა დაიწყეს დავაჟკაცება, ხოლო მეფის ასულები მისთხოვდნენ უპირველესი და ძლიერი საგვარეულოების დიდებულებს, მან დაიწყო მონაწილეობის მიღება სამეფო საბჭოში და იმდენად ძლიერი შეიქმნა (როგორც ჩვეულებრივ მთელს სპარსეთში, მფლობელთა სახლებში, რაც უფრო მეტი ჰყავს ცოლს გაზრდილი შვილები, მით უფრო ძლიერი ხდება; რამეთუ თითოეულ მის ვაჟსა და სიძეს ჰყავს თავისი მომხრეები და შეადგენს პარტიას), ასე რომ ახლა ყველაფერი კეთდება მისი თანხმობით, და თავად მეფესაც მასთან ხანგრძლივი თანაცხოვრების გამო, მის მიმართ გააჩნია უსაზღვრო ნდობა.

მემკვიდრეს, მეფე ირაკლის უფროს ძეს, შობილს მეორე მეუღლისაგან, ამჟამინდელი დედოფლის გერს, გიორგი მეფისწულს,[17] მეფის ყველა ვაჟს შორის გააჩნია მეტი ზნეობრივი სიკეთეები, მეტად ჩახედულია წმინდა წერილში, და უკიდურესად ღვთისმოსავია, და ამის გამო გარშემორტყმულია სასულიერო პირებით, თუმცა კი არ აქვს არანაირი ცოდნა მეცნიერებებში ქვეყნის გაუნათლებლობის გამო. მძიმეა სამხედრო სიქველეთა მიმართ, მშვიდობისმოყვარეა და მიდრეკილია კეთილმოწყობისკენ. საქართველოში საკმარისი გამოცემული კანონების უქონლობის გამო იმედია, რომ იგი თავისი მომავალი მეფობის დროს გამოსცემს სასარგებლო დადგენილებებს. არ არის რა ყვარებული დედოფლისგან, თავისი დედინაცვლისაგან, თავს არიდებს სამეფოს საქმეებში მონაწილეობას მმართველობის მათი წესის მიხედვით, გარდა იმისა, როდესაც მოწოდებულია მეფისაგან ერთადერთი მხოლოდ გამოსაჩენად. ჰყავს მრავალრიცხოვანი ოჯახი პირველი მეუღლისგან:[18] რომელთაგან მისი უფროსი ძე თავადი დავითი[19] 20 წლისა, უზომოდ მგზნებარე თვისებებისა, იჩენს გონების უდიდეს სისწრაფეს, განსაკუთრებულ სიმამაცეს და ხალისს ომისკენ, და უკიდურეს სურვილს, შეისწავლოს ევროპული სამხედრო მეცნიერება.

პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთის მფარველობაში შემოსვლამდე.

ირაკლი მეფის სამფლობელოს შეადგენს ორი სამეფო – ქართლისა და კახეთისა, უკანასკნელს ფლობს იგი მემკვიდრეობით, თავისი მშობლის, მეფე თეიმურაზის სიკვდილის შემდეგ, გარდაცვლილისა ასტრახანში, გზად რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებისას.[20] ის ქართლის მეფედ აღყვანილია შაჰ-ნადირის მიერ, თურქთაგან მისი (ქართლის, – დ.მ.) ომით მოპოვების შემდეგ.[21] მეფე ვახტანგი, მაშინდელი მმართველი, ვერ შეძლო რა, წინ აღდგომოდა თურქულ ძალებს, მაშინ მთელი თავისი ოჯახით წარემართა რუსეთში, ვისი მემკვიდრეები ახლაც იქ იმყოფებიან.[22] ამგვარად გაერთიანდა ორივე სამეფო. მათ მმართველად ქცეულ მეფე ირაკლის ჰქონდა ბედნიერი წარმატებები არა მხოლოდ სპარსელების წინააღმდეგ, რომლებიც ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ იყვნენ ურთიერთმტრობაში და დაყოფილნი იყვნენ სხვადასხვა სახანოებად, არამედ თურქების წინააღმდეგაც, რომელთაგან კაინარჯის ზავით დატოვებულია სიმშვიდეში.[23]თავის მეზობელ სპარსელთათვის იქცა საშიშად, შეუერთა რა მათგან თავის სამფლობელოს ორი სახანო – განჯა და ერევანი.[24] ხოლო შემდეგ, დაამარცხა რა საქართველოში შემოჭრილი ავარიის ხანი, წინამძღოლი მთიელი ხალხებისა,[25]დაამყარა მათთან კავშირები, ეჭირა ბევრი მათგანისაგან მძევლები, ზოგიერთს ფულადი ანაზღაურების სახით აძლევდა ხარკს, ბევრს იწვევდა თავისთან სამსახურში და მათთან ერთად იბრძოდა სპარსელების წინააღმდეგ; თუმცა მრავალრიცხოვან ამ ხალხთაგან ყველასთან როდი ჰქონდა დამყარებული მშვიდობა. ასეთი კავშირების გამო მთის მცხოვრებნი, იყვნენ რა დამოუკიდებელნი, ბევრნი უფროსობის გარეშეც კი, საერთოდაც მტაცებლები და ვერაგები, არასდროს არ ანებებდნენ თავს ხშირი თავდასხმებით ქვეყნის გაჩანაგებას, თუმცა კი ყოველთვის იყვნენ დამარცხებულნი. არ შეეძლოთ რა დიდი თავყრილობით ღიად მიეყენებინათ საბოლოო განადგურება, გაიფანტნენ ტყეებსა და ხეობებში და დაიწყეს მისი აოხრება ნაწილობრივ და ქურდულად, რის გამოც ისინი ქართველებისთვის ხელმიუწვდომელნი გახდნენ. გზები გაუვალია, სოფლები დაცარიელებული და გლეხებისთვის ყანა-მინდერებში ყოფნა აღარ იყო უსაფრთხო. ასეთ საყოველთაო მტაცებლობებს ხელმძღვანელობდნენ თვითონ ქართველი თავადები, რომლებიც, გაბოროტდნენ რა მეფეზე, მის წინააღმდეგ მათივე საკუთარი ღალატის გამო, გარბოდნენ დაღესტანში, და იქიდან, შეაგროვებდნენ რა მოთარეშეებს, ძიძგნიდნენ თავიანთ საკუთარ სამშობლოს. უფლისწულმა ლეონმა, როგორც ზემოთ ითქვა, დააცხრო მტაცებელთა თავხედობა, მაგრამ ყაჩაღობანი კი, ლეკების მიერ იმ უმცირესი გამოსასვლელების ცოდნის გამო, რომლებიც მათ თავად ქართველებმა უჩვენეს, დღემდე არსებობს. საჭიროა, რომ მათ შეიძინონ ერთსულოვნება და სიყვარული სამშობლოსადმი ამ ბოროტების ამოსაძირკვად.

ოსები და ყაბარდოელები ყოველთვის იყვნენ მეგობრულნი საქართველოსადმი და მეფის მოთხოვნით ახლაც ემსახურებიან მას ომში ფულადი ანაზღაურებით.

სპარსეთის მხრიდან ადერბიჯანის მთელი სახანოებიდან იბრაჰიმ-ხან შუშელს ჰქონდა მეფესთან უწყვეტი მეგობრობა 26 წელი. დაეუფლა რა განჯას, იყოფდა მასთან ყოველწლიურ ხარკს, აყენებდნენ რა ქალაქში ორივე მხარისაგან მმართველებს.[26]

ნუხის ხანი,[27] თავისი სამფლობელოს სიმცირის გამო, არასდროს არ ყოფილა საქართველოსათვის მნიშვნელოვანი. კავკასიის მთებთან თავისი მდებარეობის გამო მისი ქცევა ცვალებადია: ხან ლეკებსა და მთიელებთან ერთად მეფის წინააღმდეგაა, ხანაც არის მეგობრული.

ერევნელი ჰუსეინ-ხანი, ამჟამინდელის მამა, დამარცხებული მეფე ირაკლის მიერ, ჩავარდა არა მხოლოდ მისგან დამოკიდებულებაში, არამედ სრულ და სამუდამო ქვეშევრდომობაშიც, რის თაობაზეც იკისრა მან საზეიმო წერილობითი ვალდებულება და თავის სიკვდილამდე სანიმუშოდ ერთგული იყო მეფისა.[28] სხვა ხანებს: თავრიზის, ურმიის, ხოის, ნახჭევნისა და სხვა მცირე მფლობელებს[29] უმეტესწილად ყოველთვის თანხმობა ჰქონდათ მეფესთან. მისი პირადი

გმირობებისადმი პატივისცემის გამო ხშირად უგზავნიდნენ საგანგებო საჩუქრებს, ხოლო მათ ქვეშევრდომებს შორის ვაჭრობა წარმოებდა დაუბრკოლებლად.

თურქეთის მხრიდან ახლო მყოფი ფაშებიდან ყარსის [ფაშა] ყოველთვის ინარჩუნებდა სამეზობლო მეგობრობას, თუმცა არ გააჩნდა მასთან არანაირი პოლიტიკური კავშირი.

ახალციხელი სულეიმან-ფაშა, მემკვიდრეობით ქართული ოლქის, სამცხე-საათაბეგოს მმართველი მთავრების საგვარეულოდანაა.[30] თურქების მიერ მისი დაპყრობის შემდეგ უკვე 150 წელია ყველა მის ქვეშევრდომთან ერთად მიქცეულია მაჰმადიანობაში. ძველი დროიდან საქართველოსთან აქვს განსაკუთრებული კავშირი და ურთიერთობები, მიუხედავად მათ შორის ძველითგანვე საიდუმლო სიძულვილისა; რამეთუ ქართველი მეფეები მიიჩნევენ, რომ აქვთ მემკვიდრეობითი უფლება სამცხე-საათაბაგოს სამთავროზე, და ამიტომ თავიანთ ტიტულშიც საუთარ თავს მოიხსენიებენ მის მემკვიდრეობით მთავრებად. თურქებთან რუსეთის ომის დასრულების შემდეგ, [1] 774 წელს უგზავნიდა ის მეფეს საჩუქრებს პორტასაგან, თურქეთის ინტერესებისაკენ მის მოსაზიდად და აიმედებდა მას [პორტას] მეფის კეთილგანწყობასა და მომხრეობაში.

შენიშვნები.

საქართველოს მეფეს ყოველთვის შეუძლია იქონიოს საჭირო ცნობები კონფიდენტ მონაზენებისაგან, და თეით სულთნის სასახლიდანაც, იქ ტყვედ მყოფი ქართველი ქალების მეშვეობით.

იმერეთის მეფეს, განსვენებულ სოლომონს, და მეფე ირაკლის ყოველთვის ჰქონდათ ერთმანეთთან ძლიერი საგვარეულო მტრობა; და თუმცა კი გარეგნულად შერიგდნენ კიდეც სარწმუნოების ყველაზე უწმინდესი მოქმედებით, როგორიცაა წმინდა საიდუმლოებებთან ერთად ზიარება, ერთი-მეორესთვის მისი მირთმევით, შინაგანი უთანხმოებით მაინც ყოველთვის იხლიჩებოდნენ, იღებდნენ ორივე თავისთან მათ წინააღმდეგ ამხედრებულ ახლო ნათესავებს. მთელი ასეთი უთანხმოებების მიუხედავად, უარს არ ეუბნებოდნენ ერთმანეთს დახმარებაზე საერთო მაჰმადიანი მტრების წინააღმდეგ.

პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილება საქართველოში, რუსეთის მფარველობაში
მისი შემოსვლისა და იქ ჩვენი ჯარების შესვლის შედეგად.

სრულიად რუსეთის იმპერატორობითი უდიდებულესობის მფარველობაში საქართველოს მიღების შესახებ ტრაქტატის საზეიმოდ დადების შემდეგ, როგორც კი ჩვენი ჯარები შევიდნენ იქ, მთელი ადერბიჯანელი ხანები და სხვებიც უფრო იქით, სპარსეთში, ძლიერ შეშფოთდნენ, მიუხედავად მათი კეთილდღეობისა და სარგებლობისადმი რუსეთის კეთილი განწყობის შესახებ დაიმედებისა, წინასწარ შეიპყრო თავიანთი ძალაუფლების დაკარგვის შიშმა, და კიდევ უფრო განმტკიცებულნი იყვნენ ამ აზრში ოტომანთა პორტას შთაგონებით, რომელიც განუწყვეტელი მისიებითა და მმართველობისთვის არამცირე საჩუქრების დარიგებით ცდილობდა მათ რაც შეიძლება ძლიერად აღძვრას მეფის წინააღმდეგ, და ამასაც მიაღწია: იბრაჰიმ-ხან შუშელმა დაუწყო მავნებლობა თავიდან ყველა საიდუმლო ხერხით, თუმცა კი ეს შესამჩნევი იყო. მისი მეცადინეობით განჯა მორჩილებიდან განდგა. ერევნის ახალგაზრდა ხანს, თუმცა კი განეული დაუმორჩილებლობის გამო მეფის ბრძანებით სიცოცხლე მოუსწრაფეს თავის ძმებთან ერთად, მხეცთა ჭერისას, და მის ადგილზე დაყენებულ იქნა უსეინ-ხანის მცირეწლოვანი ძე,[31] თავისი ტფილისელი ქრისტიანი დედის გამო მეფის ერთგული, მაგრამ იქ სულეიმან-ფაშას მუდმივი მოღვაწეობით ხრიკები ულევია. მეფეს ხარკს აღარ უხდიან სხვადასხვა საბაბით და ერევანიც მეფის ხელისუფლებისაგან ჩამოცილების უკანასკნელ მიჯნაზე დგას. სამეფო მფლობელობაში მყოფმა თათარმა ხალხებმა – ყაზახელებმა, შამშადილელებმა და შამქორელებმა, საუკეთესო მეომრებმა და მდიდარმა ადამიანებმა, მიატოვეს თავიანთი ნოყიერი მიწები, წავიდნენ შუშის ხანის მხარეში და ახლა მას ემსახურებიან მეფის წინააღმდეგ.

პორტამ, ვერ ჭვრეტს რა ადერბიჯანის ხანებს ძლიერებად, რომ შეძლონ ჩვენი ჯარების იქიდან გამოდევნა, განავრცო თავისი მტაცებლური და ხარბი ანგარებიანი წაქეზებანი დაღესტანზე ფულისა და დაიმედების მეშვეობით, რათა იმოქმედონ ერთობლივად ახალციხის მხრიდან. დაარწმუნა ავარიის უმა-ხანი, 32 მთიელთა შესაძლებელი ძალების შეყრით აშკარა ომით ნავიდეს მეფის წინააღმდეგ. სულეიმან ფაშას ნამდვილად ჰქონდა განზრახვა, თავისი მხრიდან მოეხდინა დარტყმა უმა-ხანის თანადროულად. ამის გაგება ძნელი არ იყო, ვინაიდან ჯერ კიდევ იმავე წლის გაზაფხულზე მან ღიად გამოგზავნა თურქული ჯარები ლეკებთან ერთად 4000 კაცის რიცხოვნობით, ზემო ივერიის დასარბევად, რომელთაც თავიანთი მოულოდნელი თავდასხმის წყალობით დაატყვევეს 600-ზე მეტი მოსახლე. მაგრამ უკანა გზაზე სურამში მდგარი ჩვენი ეგერთა რაზმის მიერ სასტიკად იქნენ დამარცხებულნი, და ყველა ტყვე განთავისუფლდა. ერთი თვის შემდეგ მან კვლავ გამოგზავნა თავისი რჩეული 3000 კაცი, ჩვენს ეგერებზე შურის საძიებლად, მაგრამ მათაც ისეთივე ხვედრი ეწიათ. ამასობაში უმა-ხანი, მოაგროვა რა 11 000-მდე კაცი სხვადასხვა მთიელ ხალხთაგან, მოვიდა მდინარე ალაზანზე, და შეუერთდა რა აქ მთიელებსა და ბელაქნელებს, საქართველოს შეურიგებელ მტრებს, გაძლიერდა 20 000-მდე. მეფემ, ეშინოდა რა თავდასხმისა ახალციხის მხრიდან, ვერ გაბედა ქართლისთვის ჯარების შეკრების დაკისრება. კახეთში იგი ახლობლების ჩაგონებით შეკავებულ იქნა ვინრომ ადგილებში თავის დასაცავად. ჰქონდა საფუძელიანი მიზეზი, არ მოეწვია ყაზახელები, შამშადილელები და თავისი ქვეშევრდომი სხვა მაჰმადიანი ხალხები, რამეთუ ცნობილი იყო მათი შფოთვის შესახებ. ვერანაირმა ჩემმა, როგორც რუსული ჯარის მეთაურის, დარწმუნებამ ვერ შეძლო ებიძგა მეფისთვის, მოსულიყო ქიზიყში ჩვენს ჯართან და შეგვეტია მოწინააღმდეგისთვის მდინარე ალაზნის გადმოლახვისას; რამეთუ იგი უფრთხობდა უბედურებასა და ამასთან საბოლოო გაჩანაგებას. უმა-ხანი გადმოვიდა [ალაზანზე] რჩეული და ცხენკეთილი ხალხით, 11 000-ის ოდენობით, მაგრამ ვერ გაბედა, შეეტია ჩვენი ბატალიონებისათვის, არამედ ღამით გაირბინა საქართველოს გაშლილი ადგილები და მიიმალა თურქეთის საზღვართან მდებარე მთების ხეობაში, დააქცია იქ ვერცხლის ქარხანა. მეფემ შეყარა რაღაც ჯარი და დაედევნა მას ჩვენს ბატალიონებთან ერთად, მაგრამ უმა-ხანს არ

სურდა ბრძოლაში ჩაბმა და გადავიდა ახალციხეში.[33]სულეიმან ფაშა არ დაძრულა ადგილიდან, რამეთუ მიიღო აკრძალვა თავისი კარიდან, არ ემოქმედა აშკარად დროზე ადრე. მეფე შეურიგდა უმა-ხანს იმ დროს არსებულ გარემოებათა გამო, რომელიც საქართველოში სიმშვიდეს მოითხოვდა.

მიზეზები, რომელთაც უბიძგა მეფეს, შესულიყო რუსეთის ხელისუფლების მფარველობაში.

ძველი დროიდან ქართველი მეფეები, იყენენ რა დამონებულნი მაჰმადიანების მიერ, ერთმორწმუნეობის გამო ყოველთვის ეძიებდნენ სრულიად რუსეთის დიდი ხელმწიფეების დახმარებასა და მფარველობას, მაგრამ არ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მათ მოესურვებინოთ ცნობილ დამოკიდებულებაში ყოფნა. მათი ამჟამინდელი მიდრეკილების აღმძვრელი მთავარი მიზეზი კი შემდეგია: ბუნებითი მემკვიდრეები ქართლის სამეფო ტახტისა, რომელზედაც მეფე ირაკლი აღყვანილია შაჰ ნადირის მიერ, არსებითად მეფე ვახტანგის შთამომავლები არიან, რომელიც გაიქცა რუსეთში თურქების მიერ საქართველოს დაპყრობისას; თავადმა ალექსანდრემ, ბაქარ უფლისწულის ძმმ და ვახტანგ მეფის შვილიშვილმა,[34] მეფე ირაკლით უკმაყოფილო ქართლის თავადებთან ურთიერთობისას და მეფედ გახდომის შესაძლებლობაში დარწმუნებულმა, დატოვა რუსეთი იმ განზრახვით, რომ მემკვიდრეობით ასულიყო მამისეულ ტახტზე. იგი გამოცხადდა იმერეთის მეფე სოლომონთან, რათა უფრო ახლოს ყოფილიყო თავის თანამოაზრეებთან, და ცდილობდა ორივე მეფეს შორის იმხანად არსებული საგვარეულო მტრობით წაექეზებინა იგი, გაეწია მისთვის დახმარება, რაც თუმცა კი ვერ მოახერხა. იქიდან წავიდა ახალციხის ფაშასთან და ცდილობდა, იგივესკენ აღეძრა მეზობელი სპარსელი ხანები. მეფეს ჰქონდა საფუძვლიანი მიზეზები, უკიდურესად შინებოდა მოსალოდნელი არასაიმედო შედეგებისა, რამეთუ ქართლელებს იგი არ უყვართ იმ მიზეზით, რომ ყველა შემთხვევაში იგი უპირატესობასა და სარგებლობას აძლევს თავის მემკვიდრეობით ქვეშევრდომ კახელებს. დედოფალი, აქვს რა განსაკუთრებული გეგმები თავის შვილების თაობაზე, იმავე საშიშროების გამო გადაიხარა რუსეთთან ტრაქტატის დადებისკენ (და თუმცა კი იგი დადებულია მთელი სამეფოს ყველა მოხელისა და თვით მისი თანხმობით, ახლა ხელიდან არ უშვებს შემთხვევას, რომ არ უსაყვედუროს მეფეს, ბრალს სდებს რა მას ქვეყნის გაჩანაგების გამო). საბჭოში მონაწილე თავადები, გონების მქონენი, არაერთ დღეს ანგარიშობდნენ თავიანთ პირად სარგებელს, აღძრულნი ამისკენ ანგარების სიყვარულით; რამდენადაც არ გააჩნიათ მათ წარმოდგენა სხვა უპირატესობების შესახებ, უკლებლივ ყველა ოცნებობს საკუთარი თავისთვის, რომ ოქრო და ვერცხლი გადმოეღვრებათ ყოველგვარი დამსახურების გარეშე.

მდგომარეობა, რომელშიც შესაძლოა აღმოჩნდეს საქართველო ჩვენი ჯარების გამოსვლის შემდეგ.

არცერთ ადერბიჯანელ ხანს, თავიანთი სიცუდის გამო, თუნდაც შეერთებული ძალებით, რაც არ შეიძლება მოხდეს მათი აზრების შეუთავსებლობის და არაერთსულოვნების გამო, არ ძალუძს მეფე ირაკლისთვის დიდი მავნებლობის მიყენება. არც თვით დაღესტნური ძალები არ არის საშიში, თუკი ოტომანთა პორტა[35] არ მიიჩნევს საქართველოს საბოლოოდ გაჩანაგებას თავისთვის საჭიროდ. ხოლო თუკი იგი ამის გაკეთებას ჩაიფიქრებს, მაშინ ახალციხის ფაშა არ დაუშვებს აქამდე ჩვენს წინააღმდეგ წარმოებულ ომში დიდი და მყარი წარმატებების მოპოვებას, რამეთუ მას უკვე დიდი ხანია გუნებაში აქვს, გახდეს თვითმფლობელი. მისი საიდუმლო პირობა მეფესთან რუსეთის ტახტის წინაშე მისთვის შუამდგომლობის განევის თაობაზე, ჩვენი დაპყრობების შემთხვევაში, იძლევა ასეთი დასკვნის გაკეთების მიზეზს.

დაღესტნელების შეკავება საქართველოს წინააღმდეგ მტრული მოქმედებებისაგან ძნელი არ არის ცოტაოდენი ფულითაც კი. ამავე საშუალებით მეფეს, მოიზიდავს რა მათ თავის სამსახურში, შეუძლია არა მხოლოდ იოლად გაუმკლავდეს ადერბიჯანელებს, არამედ ძველებურად შემოიმტკიცოს განჯა და ერევანი.

იმერეთის პოლიტიკური მდგომარეობა.

განსვენებულ მეფე სოლომონს,[36] თავისი ჩინებული სიმამაცისა და თავისი ხალხის მართვის განსაკუთრებული უნარის წყალობით, იყო რა იშვიათი ხელმწიფე თავის მიწაზე, ჰქონდა მხურვალე სურვილი, შემოსულიყო სრულიად რუსეთის ტახტის მფარველობის ქვეშ. რუსეთის შესახებ თუნდაც ერთი სიტყვის გაგონება იწვევდა მასში ერთგვარი განსაკუთრებული გრძნობის აღძერას და იმერეთში ჩამოსული ჩვენი ყველაზე მდაბალი მოხელეების მიმართაც კი იჩენდა უსაზღვრო პატივისცემას. თუმცა კი ყოველთვის ოტომანის პორტას მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ სულეიმან-ფაშასთან ჰქონდა მჭიდრო კავშირი და მისი ნაშვილები იყო ძველი ჩვეულების მიხედვით. მისმა უკანასკნელმა წარუმატებელმა ექსპედიციამ აჭარლების, თურქეთის ქვეშევრდომების წინააღმდეგ, განხორციელებულმა სულეიმან-ფაშას თანხმობით, დააჩქარა მისი აღსასრული[37] და მას შემდეგ ხელი ეწყობოდა ყოველგვარ შინააშლილობასა და შიდაარეულობას იმერეთში.

მისი (სოლომონის, – დ.მ.) უთანხმოება მეფე ირაკლისთან წარმოიშვა მისი ურჩი ვაჟის, მეფისწულ ალექსანდრეს,[38] მხეცური ზნე-ხასიათის ადამიანის, და ასეთივე თვისებების მქონე მისი ღვიძლი ძმის, არჩილის, მეფე ირაკლის სიძის[39]გამო. ისინი წავიდნენ იმერეთიდან და მიღებულ იქნენ ტფილისში ისე, როგორც საერთოდ არიან ჩვეულნი, მიიღონ თავიანთ საფარქვეშ მეორე სამეფოს მეამბოხე თავადები; ისევე როგორც ამჟამინდელმა მმართველებმა მეფე დავითმაც,[40] იქიდან წამოსულმა, თავშესაფარი ჰპოვა ტფილისში; მეფე სოლომონმა ამგვარადვე მიიღო თავისთან საქართველოდან გაქცეული თავადი ერისთაველი ვაჟი, ბრალდებული მეფე ირაკლის წინააღმდეგ ამბოხში, და დააქორწინა თავის ასულზე,[41]და ასევე მეფისადმი არაკეთილგანწყობილი ბევრი სხვა თავადიც. აქედან მომდინარეობდა ორივე მხრიდან სხვადასხვაგვარი უკმაყოფილებანი, და თუმცა კი იგი, როგორც ზემოთ ითქვა, თავისი ვაჟისა და ძმის სიკედილის შემდეგ შეურიგდა [მეფე ირაკლის], შინაგანი უთანხმოება მაინც არსებობდა [1]783 წლამდე.[42] ამჟამინდელი მეფე დავითი, სოლომონ მეფის ბიძაშვილი, ცხოვრობდა სიღარიბეში, და [ასევე] მეფე სოლომონის ღვიძლი ძმის არჩილის ვაჟიც – მეფე ირაკლის ქალიშვილისაგან შობილი.[43]დავითს თავის დედასთან, მეფის ასულთან ერთად, ჩამოერთვა სამემკვიდრეო სოფლები იმერეთში. ჩემდამი მინდობილობის შესაბამისად ბოლოს და ბოლოს მიეღწია შეთანხმებამდე ორივე მხრიდან: მეფე ირაკლის შვილიშვილი, ახალგაზრდა თავადი დავითი მეფე სოლომონის მიერ მიღებულ იქნა შვილის მაგიერად და

მემკვიდრედ; ბიძაშვილი, ამჟამინდელი მეფე დავითი დააბრუნეს იმერეთში და მისცეს სოფლები. მეფე ირაკლის მხრიდან რამდენიმე სოფელი მიეცა თავად ერისთავს, რომელსაც წართმული ჰქონდა საქართველოში სახელგანთქმული მთელი მისი მამული.

სოლომონ მეფის სწრაფმა გარდაცვალებამ გაურკვეველობაში ჩააგდო უპირველესი თავკაცები ახალი მეფის არჩევისას. თავადმა წერეთელმა, ამჟამინდელი მმართველი მეფის სიძემ,[44] თავისიანებს შორის პატივცემულმა, ნათესაობითი სიახლოვის წყალობით თავს იამებდა რა მომავალი უპირატესობებით, და სარგებლობდა რა განსვენებული მეფის გარდაცვალების გამო სხვების დათრგუნვით, მეფედ გამოაცხადა თავისი ცოლისძმა, თავადი დავითი, კანონიერი მემკვიდრისა და სოლომონ მეფის ღვიძლი ძმისშვილის საზარალოდ, და ამით ჩათესა შუღლი და შინააშლილობა, ადრე თუ გვიან ერთ-ერთის სიკვდილით რომ უნდა დასრულდეს. თავადი წერეთელი შეცდა თავის ვარაუდებში: მეფე ირაკლისგან გაქცეული თავადი ერისთავი, სიძე სოლომონ მეფისა და ღვიძლი ბიძა დედოფლისა, მეფე დავითის მეუღლისა, გაქცეულ ქართველთან, მღვდლის შვილ ბესარიონთან ერთად[45] დაეუფლა მეფის ნებას, რამეთუ მეფე დავითი, ახალგაზრდა კაცი, აღზრდისა და განათლების გარეშეა, თუმცა კი განწყობითა და გულით მეტად კეთილი და პირადად ჩინებული სიმამაცისაა. თავადმა ერისთავმა, რომელიც მართავს მის ნებას, ირაკლი მეფისთვის სამაგიეროს მისაგებად მისი მამისთვის სოფლებისა და მთელი მამულების ჩამორთმევის გამო, არ დაუშვა, მეფე დავითს დაეკმაყოფილებინა მეფე ირაკლის შვილიშვილი დავითი მამისეული სოფლებით და დაესაჩუქრებინა თავადი წერეთელი მეფისთვის მისი არჩევის დროს პირდაპირი მემკვიდრის წინაშე უპირატესობის მინიჭებით გაწეული სამსახურის გამო, მისთვის სასურველი ციხე-სიმაგრეებითა და სოფლებით. ამ საქციელმა აიძულა ახალგაზრდა თავადი, გარეთ ეძია დახმარება. მეფე ირაკლიმ, მისმა პაპამ, ჩემი წარდგინების მიხედვით არ მიიღო სხვა მონაწილეობა ამ საქმეში, თუ არა თხოვნისა და რჩევების მიცემისა დავით მეფისათვის, უარი უთხრა რა თავის შვილიშვილს ყველანაირ პირდაპირ და სხვა დახმარებაზე, რასაც შეეძლო შიდაარეულობის გამოწვევა. თავადი წერეთელი, გაუცრუვდა რა იმედები, მიეკრა ახალგაზრდა თავად დავითს, პატივცემულ და ხალხით ძლიერ თავად წულუკიძეებთან[46] ერთად, რომელთაც ასევე წართმეული ჰქონდათ თავიანთი ღირსებები და ძალაუფლება. მეფე ირაკლის დარიგებისა და ჩემგან ძლიერად დარწმუნების მიუხედავად, მოახდინეს შიდაარეულობა, გაემართნენ სულეიმან-ფაშასთან, რომლისგანაც მათ დასახმარებლად გამოგზავნილი ლეკები და თურქები დავით მეფის მიერ ერთიანად იქნენ განადგურებულნი. ყველა სოფელი გამონაკლისის გარეშე ჩამოერთვათ, დარჩნენ ისინი ალყაშემორტყმულნი მიუვალ ციხე-სიმაგრეში,[47] საიდანაც თავადი დავითი საიდუმლოდ წავიდა ახალციხეში და იქ იმყოფებოდა ამჟამინდელ დრომდე, საქართველოდან ჩემი გამომგზავრების წინ კი სულეიმან-ფაშას მიერ გაშვებულ იქნა იგი იმერეთში, მცირე დროის გასვლის გამო ჩემთვის უცნობია, თუ რა განზრახვით. თუმცა კი არ უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ისინი მშვიდად შეეწყობიან ერთმანეთს.

სამეგრელოს დადიანი იმერეთის არც ძალიან წარჩინებული თავადების, ჩიქვანების საგვარეულოდან,[48] ფეოდალური მმართველია, ისევე როგორც გურიელი,[49] და მოვალეა, აღიარებდეს იმერეთის მეფის ძალაუფლებას. [ამ] ეშმაკმა და ვერაგმა ადამიანმა ხელიდან არ გაუშვა შემთხვევა, ესარგებლა, და იმერეთის ამჟამინდელ ამღვრეულ მდგომარეობაში განიმტკიცა თავი თვითმპყრობელად, რისი გაკეთებაც სოლომონ მეფის დროს არ შეეძლო. მეფე დავითს სჭირდებოდა მისი დახმარება და დაუთმო მას თავისი სამფლობელოს ბევრი მიწა.[50]ხოლო დადიანმა მიიღო რა ისინი, ზურგი შეაქცია დავით მეფეს. და თუკი დავით მეფე განმტკიცდება მმართველობაში მის წინააღმდეგ მებრძოლ თავადებზე გამარჯვებით ან მათთან შერიგებით მათი ძველი ჩვეულებების მიხედვით, მეფე ირაკლისთან მას არასდროს არ ექნება ჭეშმარიტი თანხმობა, სანამ არ დაუბრუნებენ სოფლებს თავად ერისთავს, იმერეთის დედოფლის ღვიძლ პაპას, რისი გაკეთებაც მეფე ირაკლის არ შეუძლია, რამეთუ ისინი დარიგებული აქვთ მეფისნულებს, მის შვილებს.

შენიშვნები

1 მხარეები მტკვრის მარჯვენა (სამხრეთ) სანაპიროზე, დღევანდელ აზერბაიჯანში. ყაზახი უძველესი დროიდან ქვემო ქართლის შემადგენელი მხარე იყო მდ. აღსტაფის ქვემო წელზე. უზუნ-ჰასანის ლაშქრობების შემდეგ აქ ჩნდებიან თურქმანული მოდგმის მომთაბარე ტომები. XVIII ს-ის 60-იანი წლებიდან ყაზახის მხარეს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის მოურავები მართავდნენ. შამშადილი ყაზახის აღმოსავლეთიდან მომიჯნავე მხარეს ერქვა. 1750 წელს თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ განჯის შავერდი-ხანის თხოვნის შესაბამისად მისი სახანო ფანა-ხან ყარაბაღელის შემოტევისაგან იხსნეს. ვინაიდან განჯის ხანმა ვერ შეძლო ლაშქრობის დაპირებული ხარჯების ანაზღაურება, მას საზღაურის სანაცვლოდ შამშიდილის მხარის დათმობა მოუწია, რომელიც ამ დროიდან ქართლ-კახეთის შემადგენლობაში გადავიდა.

2 იგულისხმება მართლმადიდებლური აღმსარებლობა.

3 იგულისმება სომხურ-მონოფიზიტური აღმსარებლობა.

4 ჩანს, იგულისხმება მინარეთიდან მორწმუნეების ხმამაღალი მოხმობა მეჩეთში სალოცავად მუეძინის მიერ.

5 უნდა იგულისხმებოდნენ იეზიდები, ქურთთა ერთი ნაწილი, რომელთაც თავისებური, გამორჩეული აღმსარებლობა (იეზიდიზმი) გააჩნიათ. ბურნაშევისაგან აღნიშნული შეფასება შეიძლება გამოწვეული იყოს სწორედ ამ გარემოებით (რომ ისინი არ აღიარებდნენ მისთვის ცნობილ არცერთ რელიგიას – ქრისტიანობასა და ისლამს).

6 დურძუკები, იგივე ძურძუკები ვაინახური წარმოშობის ხალხის (ჩეჩნები, ინგუშები) წინაპრების აღმნიშვნელი საერთო სახელია ძველ ქართულ წყაროებში.

[7] იგივე სახლთუხუცესი, დიდმოხელე გვიანფეოდალურ საქართველოში, რომელიც უძღვებოდა სამეურნეო-საფინანსო და ადმინისტრაციულ საქმიანობას. განაგებდა სახელმწიფო გადასახადების, სამეფო ბაჟისა და იჯარის საქმეებს. მის დაქვემდებარებაში შედიოდა მრავალი სხვა მოხელე. წარმოადგენდა მეფის მარჯვენა ხელს სამეფოს მართვის საქმეში. ამ დროის ქართულ საბუთებში იგი ბურნაშოვთან დაფიქსირებული გამარტივებული ფორმით – „სალთხუცესი" მოიხსენიება. აღნიშნულ ხანაში ქართლ-კახეთის სამეფოში ეს თანამდებობა ერთდროულად რამდენიმე სახლთუხუცესსაც კი ეკავა. თავ-თავიანთი სახლთუხუცესები ჰყავდათ ძლიერ ფეოდალებსაც. ეს სახელო წყაროებში იხსენიება XV ს-დან.

[8] იგულისხმება მორიგე ჯარი, იგივე მორიგე ლაშქარი, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოში რეგულარული არმიის ერთგვარ ჩანასახს წარმოადგენდა XVIII საუკუნის II ნახევარში. განზრახული იყო, მის ბაზაზე შექმნილიყო სახელმწიფოს მუდმივი ჯარი. 1774 წელს მიღებული იქნა საგანგებო დადგენილება – „მორიგის ლაშქრის განაჩენი", რის მიხედვითაც ყველა წოდების სრულწლოვანი მამაკაცი ვალდებული იყო, წელიწადში ერთი თვე თავისი ხარჯითა და იარაღით ემსახურა მორიგე ჯარში. ასეთი სამსახურისათვის გლეხი თავისუფლდებოდა სასურსათო გადასახადისაგან. მორიგე ჯარისკაცთა რაოდენობა ერთხანს 5 ათასსაც აღწევდა. მათი საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრა ლევან ბატონიშვილს, ერეკლე II-ის ძეს. მორიგე ჯარის შექმნის მთავარ მიზანს ლეკთა თარეშის ალაგმვა და მეფის ხელისუფლების განმტკიცება წარმოადგენდა, რაც მნიშვნელოვანწილად განხორციელდა კიდეც. თუმცა ლევან ბატონიშვილის ნაადრევად გარდაცვალების შემდეგ მორიგე ჯარი ნელ-ნელა მოიშალა.

[9] საუბარია ლევან ბატონიშვილზე, ერეკლე II-ის ძეზე. ლევანი დაიბადა 1756 წელს თბილისში. ჭაბუკობიდანვე გამოირჩეოდა სამხედრო-პოლიტიკური აქტიურობით. არაერთ ბრძოლაში გამოიჩინა თავი, როგორც შესანიშნავმა მეომარმა და ალღოიანმა მეთაურმა. მის სამხედრო ხელმძღვანელობის ნიჭს ფართო გასაქანი მიეცა მორიგე ჯარის სარდლობისას, როცა მთელი რიგი მწარე დამარცხებები აგემა ქვეყანაში მოთარეშე ლეკთა რაზმებს. 1781 წელს ვეჯინში მყოფი 25 წლის ბატონიშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა.

[10] იგივე იასაული, გვიანფეოდალურ საქართველოში იყო მმართველობითი და მართლმსაჯულებითი აპარატის რიგითი მოხელე. უშუალოდ საალმსრულებლო საქმის გარდა, იასაულს გამოკვლევა-გამოძიებაც შეიძლებოდა დაკისრებოდა, ისევე როგორც გამოსაღებთა აკრეფა და სამეფო-სამეურნეო თუ სხვა სამუშაოთა ზედამხედველობა.

[11] სოფ. გორისციხე მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1870 მ-ზე. აქ კარგად ჩანს ორი საბრძოლო კოშკის ნანგრევი.

[12] ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-1762 წლებში. 1762 წელს მამის, თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, დაეუფლა ქართლის სამეფო ტახტსაც და გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოს მართავდა გარდაცვალებამდე, 1798 წლამდე. ერეკლეს მეფობის ხანაში ქართლ-კახეთის სამეფოს სიძლიერე ყველასათვის თვალშისაცემი გახდა. სამეფო არათუ საბოლოოდ განთავისუფლდა უცხოტომელთა ბატონობისაგან, არამედ რეგიონში ჰეგემონობის მოპოვებაც შეძლო და მეზობელი სახანოებიც კი დაიმორჩილა.

[13] დამკვიდრებული გადმოცემის თანახმად, ბაგრატიონთა გვარი მომდინარეობს ისრაელის მეორე მეფის, ბიბლიური დავით წინასწარმეტყველიდან. ეს დებულება გატარებულია XI საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი ისტორიკოსის, სუმბატ დავითის ძის ნაშრომში – *ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა.*

[14] ნადირ-შაჰი, ირანის შაჰი 1736-1747 წლებში, ყიზილბაშთა ავშარის ტომიდან. შაჰ-თამაზ II-ის დროს წარმატებით ხელმძღვანელობდა ირანის ჯარს ავღანელებისა და ოსმალების წინააღმდეგ, რითაც დიდი სახელი მოიხვეჭა. 1732 წელს მან ტახტიდან ჩამოაგდო თამაზ II, 1736 წელს კი თავი ირანის შაჰად გამოაცხადა. 1747 წელს ნადირ-შაჰი ხორასანში შეთქმულებმა მოკლეს. ახალგაზრდა ერეკლე უფლისწული ნადირ-შაჰს ინდოეთში ლაშქრობისას თან ახლდა 1737-1739 წლებში.

[15] ქართლ-კახეთის დედოფალი დარეჯანი (1734-1807), მეფე ერეკლე II-ის მესამე ცოლი და სამეგრელოს მთავრის, ოტია დადიანის ძმის, კაცია ასული. დაქვრივებული ერეკლე მეფე მასზე 1750 წელს დაქორწინდა. დარეჯან დედოფალი ძალიან მონდომებული იყო, რომ სამეფო ტახტი თავისი შვილების ხელში აღმოჩენილიყო, ამიტომ ათვალწუნებული ჰყავდა ტახტის მემკვიდრე, ერეკლეს უფროსი ვაჟი გიორგი (მეორე ცოლისაგან). 1803 წელს რუსულმა ხელისუფლებამ დედოფალი იძულებით გადაასახლა სანქტ-პეტერბურგში. იგი იქვე გარდაიცვალა 1807 წელს და უკანასკნელი განსასვენებელი ჰპოვა ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

[16] იგულისხმება დადიანთა მეორე დინასტია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ჩიქოვანთა (იგივე ჩიქვანთა) გვარის წარმომადგენელმა, გიორგი ლიპარტიანმა XVII ს-ის ბოლოს, როცა ხელში ჩაიგდო ოდიშის სამთავროს გამგებლობა. 1704 წელს კი მისმა ძემ, კაცია I-მა დადიანის ანუ ოდიშის მთავრის ტიტული მიიღო.

[17] გიორგი ბატონიშვილი (1746-1800 წწ.) – ერეკლე II-ის უფროსი ძე (მეორე ცოლისაგან). სამეფო ტახტზე შეცვალა ერეკლე II. მას წილად ხვდა გიორგი XII-ის სახელით ყოფილიყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე (1798-1800 წწ.). იგი ზოგჯერ გიორგი XIII-დაც იხსენიება. მისი გარდაცვალებიდან მალევე რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით ქართლ-კახეთის სამეფომ არსებობა შეწყვიტა და რუსეთის იმპერიის ნაწილად გამოცხადდა.

[18] გიორგის პირველი მეუღლე იყო ქიზიყის მოურავის, პაპუნა ანდრონიკაშვილის ასული ქეთევანი (1754-1782 წწ.). ბატონიშვილმა მასზე ჯვარი დაიწერა 1767 წელს. ჯამში მათ 12 შვილი შეეძინათ – 6 ძე და 6 ასული (აქედან ერთი ასული მალევე გარდაიცვალა). ქეთევან დედოფალი დაკრძალულია დავით-გარეჯის მონასტერში.

[19] საუბარია დავით ბატონიშვილზე (1767-1819 წწ.), რომელიც გიორგი XII-ის უფროსი ძე და ტახტის მემკვიდრე იყო. თუმცა ტახტზე ასვლა აღარ ეღირსა. მამის გარდაცვალების შემდეგ, სამეფოს გაუქმებამდე 1800-1801 წლებში

იყო ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი. 1803 წელს კი სხვა ბაგრატიონებთან ერთად გადაასახლეს რუსეთში, ქ. პეტერბურგს, სადაც ეწეოდა მრავალმხრივ სამეცნიერო მოღვაწეობას.

[20] პოლ. ბურნაშოვს აქ მცირე უზუსტობა მოსდის: ერეკლე II-ის მამა, თეიმურაზ II 1762 წლის 8 იანვარს პეტერბურგში გარდაიცვალა. მეფის ამალაში მყოფ ქართველებს სურდათ, მეფის ცხედარი სამშობლოში ჩამოესვენებინათ, მაგრამ გზად საქართველოსაკენ სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული შეფერხებების გამო ეს ვეღარ მოხერხდა და საბოლოოდ თეიმურაზ II იმავე წლის 4 ივნისს დაიკრძალა ასტრახანში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, ვახტანგ VI-ის გვერდით.

[21] 1735 წელს არფა-ჩაისთან (ყარსის მახლობლად) ოსმალებზე გამარჯვების შემდეგ ნადირ-შაჰმა აღადგინა ირანის ბატონობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და მათ შორის ქართლ-კახეთში. თუმცა იმ დროისათვის კახეთის გამგებელი თეიმურაზი მან ქართლის მეფედ დანიშნა მხოლოდ 1744 წელს, მას შემდეგ, რაც თეიმურაზმა და მისი ძემ, ერეკლემ, მოახერხეს ყიზილბაშთა წინააღმდეგ აჯანყებული გიგი ამილახვრისა და მის მხარდასაჭერად ქართლში შემოსული ოსმალთა ჯარის დამარცხება, რითაც ნადირმა აღმოსავლეთ საქართველოზე გავლენა შეინარჩუნა. ამავდროულად კახეთის მეფედ ერეკლე II იქნა დამტკიცებული.

[22] ვახტანგ VI (1675-1737 წწ.), გიორგი XI-ის ძმის, ლევანის ძე ქართლს როგორც ჯანიშინი განაგებდა 1703-1714 წლებში, როგორც მეფე – 1716-1724 წლებში. ავღანელთა შემოსევებისაგან ირანის დასუსტების კვალდაკვალ ვახტანგმა უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია რუსეთის იმპერატორ პეტრეს მოკავშირეობა, რომელიც ირანის ხელდებულ კასპიისპირეთში გეგმავდა ლაშქრობას. ამასთან არ მიიღო ოსმალთა შეთავაზება, რომელიც მოკავშირეობის სანაცვლოდ მისთვის მთელი საქართველოს გადაცემას ითვალისწინებდა და მძიმე მდგომარეობაში მყოფ შაჰსაც უარი უთხრა სამხედრო დახმარებაზე. მაგრამ პეტრეს დაგემილი ლაშქრობა შუა გზაში შეწყდა, განრისხებულმა შაჰმა კი ქართლი კახეთის მეფე კონსტანტინეს გადასცა, რომელმაც დაქირაველები ლეკების დახმარებით 1723 წლის 4 მაისს თბილისი აიღო. ამავდროულად ქართლში თურქ-ოსმალები შემოვიდნენ და ვახტანგი იძულებული გახდა, მთელი ოჯახითა და დიდი ამალით 1724 წლის ივლისში რუსეთისაკენ აეღო გეზი. არ გამართლდა რუსეთში გადახვწილი მეფის მოლოდინი იქიდან დახმარების მიღების თაობაზე. სასონარკვეთილი ვახტანგი გარდაიცვალა ასტრახანში 1737 წლის 26 მარტს.

[23] იგულისხმება ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება, რომლითაც დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი. ზავს სახელი ეწოდა სოფ. ქუჩუკ-კაინარჯის მიხედვით, რომელიც ამჟამად ბულგარეთში მდებარეობს. აქ 1774 წლის 10 ივლისს ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას მეომარ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს შორის. ზავის მიხედვით, დაუშვებელი იყო შურისძიების ყოველი გამოვლინება ყოფილი მოწინააღმდეგისა და მის მოკავშირეთა მიმართ. შესაბამისად, ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულება ოსმალეთს არ აძლევდა საშუალებას, პასუხი მოეთხოვა ერეკლესათვის რუსეთთან ომის დროს მის მიმართ მტრული მოქმედებების გამო: ოსმალეთის მიწა-წყალზე (ახალციხის საფაშოზე) განხორციელებული თავდასხმებისა და მიყენებული ზიანის გამო.

[24] როდესაც ერევნის სახანოში მაჰმად-ხანის მეთაურობით მომთაბარე თურქმანული ტომები შეიჭრნენ, 1749 წლის შემოდგომით ერევნის ხანმა ქართველ მეფეებს, თეიმურაზსა და ერეკლეს დახმარების თხოვნით მიმართა, ხოლო სამაგიეროდ ლაშქრობის ხარჯების ანაზღაურება და ყოველწლიური ხარკის ძლევა იკისრა. ქართლ-კახეთის ჯარმა ერევნის ციხესთან გამართულ ბრძოლაში მაჰმად-ხანის ლაშქარი დაამარცხა და სახანოდან განდევნა. ერეკლემ დამარცხებულ მაჰმად-ხანს ყარაბაღშიც მისდია, იქ ხარგვირაბის ციხე აიღო და მაჰმად-ხანის ცოლ-შვილი და ხაზინა იგდო ხელთ. ასევე ტყვეობიდან იხსნა ერევნის ხანის ძმა. ამ მოვლენების შემდეგ ერევნის ხანმა ქართლ-კახეთის მეფეთა მორჩილება აღიარა, მათი მფარველობა მიიღო და ხარკი იკისრა.

ამავე ხანებში ყარაბაღის მოღონიერებული მმართველი ფანა-ხანი (ფანაჰ-ალი-ხანი) განჯის დაპყრობას ცდილობდა. ალყაშემორტყმული განჯიდან შავერდი-ხანიც ხარკის მიცემის პირობით შველას ქართველ მეფეებისგან ელოდა. თეიმურაზი და ერეკლე ლაშქრობისთვის საგანგებოდ მოემზადნენ, ფანა-ხანის სხვა მოწინააღმდეგე ძალებსაც დაუკავშირდნენ და 1750 წლის თებერვალში იარაღის ძალით ყარაბაღის ხანის ამბიციებს ფრთები შეუკვეცეს. განჯის სახანო კი ქართლ-კახეთის სამეფოს დაქვემდებარებაში მოექცა.

[25] ავარიის ხანის დამარცხებაში – ჩანს, იგულისხმება 1754 წლის 16 აგვისტოს მჭადიჯვრის ციხესთან ერეკლე მეფის სარდლობით ქართლ-კახეთში შემოჭრილი ავარიის ხანის (ქართული წყაროებით ხუნძახის ბატონის), ნურსალ-ბეგის ლაშქრის დამარცხება. იმ ჯერზე ნურსალ-ბეგმა მთელი დაღესტნიდან მოკრიბა ჯარი და ლეკთა იქამდე არნახული ძალებით შეიჭრა კახეთში. იქიდან არაგვის საერისთავოში გადავიდა, დუშეთი ააოხრა და მჭადიჯვრის ციხეს შემოადგა. აქ ნურსალ-ბეგს ქართლ-კახეთის ჯარი შეებრძოლა ერეკლე II-ისა და თეიმურაზ II-ის მეთაურობით. დაღესტნელთა ჯარმა ისეთი მძიმე დარტყმა მიიღო, ნურსალ-ბეგმა თავისი ლეკებით გაქცევით უშველა თავს. ხუნძახის ბატონმა რევანშის აღების მიზნით მეორე წელსაც ილაშქრა საქართველოში, ყვარლის ციხეს მიადგა და ვერ აიღო. მისი ეს ლაშქრობა კი საერთოდ მოიშალა, როცა ერეკლემ ჯარის ნაწილი ჭარის დასარბევად გაგზავნა (ნურსალ-ბეგის ლაშქარში მრავლად იყვნენ ჭარელი ლეკები).

[26] იბრაჰიმ-ხან შუშელი, იგივე ყარაბაღის ხანი – იბრაჰიმ-ხალილ ხანი, ჯევანშირთა საგვარეულოს წარმომადგენელი და სახანოს დამაარსებლის, ფანაჰ-ალი ხანის ძე. ხანის ტიტული მემკვიდრეობით მიიღო 1759 წელს. მისი შუშელად მოხსენიება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ შუშა სახანოს დედაქალაქი იყო და აქ მდებარეობდა ხანის რეზიდენცია. იგივე მიზეზით ყარაბაღის სახანო ზოგჯერ შუშის სახანოდაც იხსენიება. იბრაჰიმ-ხანის მმართველობის ხანაში ყარაბაღის სახანო აზერბაიჯანულ სახანოთა შორის ერთ-ერთ უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულად იქცა. 1778 წელს მთელს ჩრდილოეთ აზერბაიჯანში გაბატონებული ფათ ალი-ხანის შეგონებით განჯის ხანი ერეკლეს მორჩილებიდან განდგა. ერეკლემ არ გარისკა გაძლიერებულ მონინააღმდეგესთან მხოლოდ საკუთარი ძალებით შებრძოლება და ფათ

ალი-ხანის შორსმიმავალი გეგმებით შეშფოთებულ იბრაჰიმ-ხანს დაუკავშირდა და მასთან ერთად საერთო მტერს მარცხი აგემა. ამის შემდეგ განჯა გამარჯვებულთა ორივე მხარის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა: იქ ერთდროულად ერეკლე მეფისა და იბრაჰიმ-ხანის მოხელენი დასხდნენ, რომელნიც განჯას ერთმანეთთან შეთანხმებით განაგებდნენ. ამის შემდეგ აქედან აღებული ხარკიც ქართლ-კახეთის სამეფოსა და ყარაბაღის სახანოს შორის თანაბრად ნაწილდებოდა.

27 უნდა იგულისხმეოდეს ნუხის მმართველი, მუჰამედ-ჰასან-ხანი (1783-1795) ჰუსეინ-ხანის ძე. ნუხის ანუ შაქის სახანო 1744 წელს დაარსა ჰაჯი-ჩალაბმა და 1755-მდე მართავდა მას.

28 ჰუსეინ ხან ერევნელი – უნდა იყოს ჰუსეინ-ალი-ხანი, ერევნის სახანოს მმართველი დაახლ. 1750-1780 წლებში. 1779 წელს ჰუსეინ-ხანმა აღთქმული ხარკის ძღვევა შეუწყვიტა ერეკლე II-ს. ურჩი ხანის დასამორჩილებლად ერეკლემ ერევანი დალაშქრა. ჰუსეინ-ხანმა მეფესთან სომეხთა კათალიკოსი მიაგზავნა მორჩილების აღიარებით და ხარკის გაღების თანხმობით. ერეკლემ ერევანში თავის სიძე იოანე მუხრანბატონი დააყენა ხანის თანამმართველად, რითაც ხანის უფლებამოსილება მეტისმეტად შეზღუდა. მეორე წელს ერეკლე კვლავ ლაშქრობს ერევანში იქ თავისი ბატონობის განმტკიცების მიზნით. ჩანს, ეს მოვლენები აქვს მხედველობაში პოლკ. ბურნაშოვს.

29 თავრიზის, ურმიის, ხოის და ნახჭევნის ხანები – აზერბაიჯანული სახანოების მმართველები. მათგან პირველი სამი სახანო ირანის აზერბაიჯანის, იგივე სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ნახჭევნის სახანო კი დაახლოებით დღევანდელ აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის მიწა-წყალს მოიცავდა.

30 ახალციხის ფაშა სულეიმანი იყო შთამომავალი სამცხის ყოფილი ათაბაგებისა, რომლებიც ჯაყელთა საგვარეულო დინასტიას წარმოადგენდნენ. 1628 წლიდან, ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობისა და მისი საფაშოდ გარდაქმნის შემდეგ ამ მხარეს უკვე რჯულშეცვლილი ათაბაგები განაგებდნენ. სულეიმანი ახალციხის ფაშად დაინიშნა 1767 წელს. სულთნისაგან მას ჩაბარებული ჰქონდა იმერეთის საქმეებიც. 1769 წელს იგი ამ თანამდებობიდან გადააყენეს, თუმცა 1770 წლიდან ისევ აღადგინეს და ფაშის თანამდებობა ეკავა გარდაცვალებამდე (1791 წლამდე). მას ორჯერ ძალიან დაეძაბა ურთიერთობა ერეკლესთან, პირველად 1769-1770 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთის მხარეზე ერეკლეს ომში მონაწილეობის გამო და მეორეჯერ გეორგიევსკის ხელშეკრულებაზე ერეკლეს ხელის მოწერის შედეგად.

31 ერევნის ეს ხანი უნდა იყოს მაჰმად-ხანი, ჰუსეინ-ალი-ხანის ძე. მას ახსენებს თეიმურაზ ბაგრატიონი თავის *ახალ ისტორიაში*. ოღონდ ამ *ახალი ისტორიის* მიხედვით, მაჰმად-ხანის წინ ხანის ტიტულს მცირე ხნით ფლობდა მისი ძმა ყულამალი, რომელიც ერევნელებს მოუკლავთ და მაჰმად-ხანი მხოლოდ ამის შემდეგ, დაახლ. 1783 წლისათვის ერეკლეს ძალისხმევით გახდა ხანი. აღსანიშნავია, რომ ჰუსეინ-ალი-ხანის მემკვიდრე ხანებს სხვა წყაროები არ იცნობენ და მათი სახელები თეიმურაზ ბაგრატიონთან არის შემონახული, რაც სანდოობის თვალსაზრისით ამ მხრივ თეიმურაზის მონაცემების უპირატესობასა და მნიშვნელობაზე მიუთითებს.

32 ომარ-ხანი, ავარიის ხანი, ქართული წყაროებით ხუნძახის ბატონი, ზემონახსენები ნურსალ-ბეგის ძე და მემკვიდრე. მისი მმართველობის დროს (1774-1801 წლებში) ავარიის სახანო მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაძლიერდა, იმდენად, რომ მის დაქვემდებარებაში მოექცნენ მეზობელი აზერბაიჯანული სახანოებიც. ომარ-ხანს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ოსმალებთან და ხშირად მათი მითითებებით მოქმედებდა.

33 ბურნაშევი გადმოგვცემს 1785 წლის სექტემბერში ომარ-ხანის ქართლ-კახეთში ლაშქრობის ამბავს. მაშინ ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულებით შეშფოთებულ ოსმალთა მიერ წაქეზებული ომარ-ხანი 20 ათასი ლეკით საქართველოში შემოიჭრა. ჭარიდან ალაზანზე გადმოსულმა ომარ-ხანის ლაშქარმა სიღნაღთან მდგარ ერეკლესა და ბურნაშევის ჯარებს გვერდი აუქცია, დედოფლისწყაროზე გავლით ჯერ იორი, შემდეგ მტკვარი გადალახა და ქვემო ქართლში ახტალის მადანმომპოვებელი სანარმოები დაარბია, ბერძენი მემადნეების ნაწილი დახოცა, ნაწილი კი ტყვედ წაიყვანა და ახალციხის საფაშოში გადავიდა.

34 ალექსანდრე ბაგრატიონ-გრუზინსკი, ვახტანგ VI-ის უფროსი ძის, ბაქარის შვილი. დაიბადა და აღიზარდა რუსეთში (დაბადების ზუსტი წელი უცნობია, დაახლ. 1724-28 წწ.). იყო რუსეთის გვარდიის ოფიცერი და ქართლის სამეფო ტახტის პრეტენდენტი. ქართლის სამეფო ტახტის დაუფლების მიზნით გამოემგზავრა რუსეთიდან. იყო შირაზში ქერიმ-ხანთან, იმერეთში – სოლომონ I-თან, 1782 წელს ალექსანდრე ამილახვართან ერთად ეწვია იმ დროს ერეკლეს მთავარ მეტოქეს ამიერკავკასიაში ყუბის მმართველ ფათ ალი-ხანს, რომელსაც იმ დროისათვის აზერბაიჯანის მთელი კასპიისპირა სახანოების მიწა-წყალი გაეერთიანებინა. ალექსანდრე ბატონიშვილი ცდილობდა ამ უკანასკნელის ჩართვას ერეკლეს საწინააღმდეგო ღია ქმედებებში. თუმცა მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ ერეკლე იმპერატორის მფარველობაში შესვლაზე დაიყოლია, მეფეს მოთხოვნა შეუსრულდა: ფათალი-ხანს ბატონიშვილის რუსული მხარისათვის გადაცემა აიძულა და იგი უკან რუსეთში დააბრუნეს. ალექსანდრე ბაქარის ძე გარდაიცვალა სმოლენსკში 1791 წელს.

35 იგულისხმება ოსმალეთის სულთნის ხელისუფლება.

36 იმერეთის მეფე სოლომონ I (1752-1784 წლები) იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის ძე. სოლომონმა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მიზნით: მამულები ჩამოართვა მეფის სანინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილე აბაშიძეებს, გააუქმა რაჭის საერისთავო, მეფის მორჩილებაში მოიყვანა გურიისა და ოდიშის მთავრები, აკრძალა ქვეყანაში ფესვგადგმული ტყვეთა სყიდვა. იგი ასევე ზრუნავდა სამეფოს სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის: ოსმალეთს შეუწყვიტა ხარკის ძღვევა, მის დასამორჩილებლად გამოგზავნილი

თურქთა ჯარი (რომელთაც მეფის მოღალატენიც შეუერთდნენ) სასტიკად გაანადგურა ხრესილის ბრძოლაში 1757 წლის დეკემბერში. მოგვიანებით ოსმალთა გარნიზონები განიდევნა ქუთაისის, ბაღდათის, ცუცხვათისა და შორაპნის ციხეებიდან. 1758 წელს სოლომონ I-მა მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადო ერეკლე II-თან და თეიმურაზ II-თან. მისი ზეობის ხანაში იმერეთის სამეფო შესამჩნევად გაძლიერდა.

37 ოსმალთაგან იმერეთის გაწმენდის შემდეგ სოლომონ მეფემ 1784 წლის გაზაფხულზე ოსმალთა მიერ დაპყრობილი ქობულეთის მხარის (ქვემო გურიის) განთავისუფლების მიზნით ილაშქრა ამ მიმართულებით (თუმცა საეჭვოა, ეს ლაშქრობა სულეიმან-ფაშასთან ყოფილიყო შეთანხმებული. რა ცნობაზე დაყრდნობით ასკვნის ამას პოლკ. ბურნაშოვი, უცნობია). იმერეთის ჯარმა აიღო ქობულეთის ციხე და ჩაქვის გავლით ბათუმამდეც მიაღწია. მაგრამ მეფის ლაშქრობის გეგმის შესახებ დადიანმა აცნობა ფოთის ფაშას, რომელმაც ციხისძირთან ჯარი გადასხა და სოლომონ მეფის ჯარს ზურგში მოექცა. 1784 წლის 9 მარტს ნაჭიშკრავის ვიწრო გასასვლელთან უკან მობრუნებული მეფის ჯარი ჩასაფრებულმა მტერმა ორცეცხლშუა მოაქცია და დიდი ზიანი მიაყენა. ამ წარუმატებლობის შემდეგ ძალიან მალეე, ძვ. სტილით 23 აპრილს, გიორგობის დღესასწაულის აღსანიშნავად ხონისკენ გასამგზავრებლად გამზადებული 49 წლის სოლომონ მეფე ცხენზე ამხედრებისას მოულოდნელად გარდაიცვალა.

38 მეფით უკმაყოფილო თავადებმა, რომელთაც თავკაცობდნენ სახლთუხუცესი დავით აბაშიძე და მოურავი თამაზ მესხი, 1778 წელს სოლომონ I-ის წინააღმდეგ აამხედრეს მეფის ერთადერთი ძე და მემკვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილი. მეფემ აჯანყებულები დაამარცხა, მათ თანამდებობები და ყმა-მამული ჩამოართვა, ზოგი სამეფოდან გააძევა. ალექსანდრე ერთი ხანი სხვა აჯანყებულებთან ერთად ქართლში იმყოფებოდა. სოლომონმა მას განაშორა ერთ-ერთი გამდგარი თავადის, ევგენი აბაშიძის ასული, რომელიც მას აჯანყებულებმა შერთეს და ბერი წულუკიძის ასულ დარეჯანზე დააქორწინა. ალექსანდრე ბატონიშვილი ნაადრევად გარდაიცვალა 1780 წლის ოქტომბერში.

39 არჩილ ალექსანდრე V-ის ძე ბატონიშვილი. 1770 წელს არჩილმა იქორწინა ერეკლე II-ის ასულ ელენეზე. 1772 წლის ზაფხულში გაუფუჭდა ურთიერთობა ძმასთან, იმერეთის მეფე სოლომონ II-თან მას შემდეგ, რაც მისგან უარი მიიღო მოთხოვნილი მამულებისა და ციხეების გადაცემაზე და მეფის საწინააღმდეგო კავშირები გააბა ახალციხის ფაშასა და სამეგრელოს მთავარ კაცია დადიანთან. არჩილის დაბადების წელი უცნობია. გარდაიცვალა 1775 წელს.

40 დავით II, იმერეთის მეფე 1784-1789 წლებში, სოლომონ I-ის ბიძაშვილი, გიორგი VII-ის ძე. იგი ემხრობოდა სოლომონ I-ის ნაცვლად მისი მემკვიდრის, ალექსანდრეს გამეფების მოწადინე აჯანყებულებს, რის გამოც მეფემ იგი იმერეთიდან გააძევა და მანაც ერეკლესთან ჰპოვა თავშესაფარი. სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ დავითი იმერეთის დიდ თავადთა ნაწილის ხელშეწყობით გამეფდა, ვინაიდან ამ დროისათვის, ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებული სოლომონის ძმისშვილი, დავით არჩილის ძე ჯერ არასრულწლოვანი იყო და არც სამეფოში არ იმყოფებოდა.

41 ელიზბარ ერისთავი (1738-1813), ქსნის ბოლო ერისთავის, გიორგის ძე. ერეკლე II-ის მიერ ქსნის საერისთავოს გაუქმების გამო მეფესთან ჰქონდა მძაფრი დაპირისპირება. ამის გამო გაიხიზნა იმერეთში. სოლომონ მეფემ იგი პატივით მიიღო და თავის ასული მარიამიც კი მიათხოვა ცოლად. იყო პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე.

42 სოლომონ I-სა და ერეკლე II-ს შორის ურთიერთობა დაიძაბა 1778 წლიდან, მას შემდეგ, რაც თავის მხრივ დათბა ურთიერთობა ერეკლესა და ოსმალეთს შორის, ვინაიდან ქართლის მეფის ეს ნაბიჯი იმერეთის მეფეს მისთვის სახიფათოდ მოეჩვენა. 1782 წელს ქართლში გადასული სოლომონ I და ერეკლე II ალში შეხვდნენ ერთმანეთს და შერიგდნენ.

43 დავით არჩილის ძე, სოლომონ I-ის ძმისშვილი. მისი დედა იყო ერეკლე II-ის ქალიშვილი ელენე. სოლომონ I-ის მიერ გამოცხადებული იყო ტახტის მემკვიდრედ, თუმცა მეფის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ამ უკანასკნელის ბიძაშვილი, დავით გიორგის ძე ავიდა. ამ დროს თორმეტიოდე წლის უფლისწული კახეთში იზრდებოდა ანდრონიკაშვილების ოჯახში, სადაც მეორედ იყო გათხოვილი დედამისი ელენე. 1789 წელს დავით არჩილის ძემ იმერეთის თავადების ერთი ჯგუფის, დადიანისა და ერეკლეს დახმარებით მეტოქე დაამარცხა და ტახტზე ავიდა სოლომონ II-ის სახელით. ბედმა არგუნა, ყოფილიყო იმერეთის უკანასკნელი მეფე.

44 დავით გიორგის ძის გამეფებაში დიდი დამსახურება მიუძღვის იმ დროის იმერეთში გავლენიან სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეს, პაპუნა ქაიხოსროს ძე წერეთელს (1740-1790), ზემო იმერეთის სარდალსა და მოლარეთუხუცესს. პაპუნასა და ზოგადად წერეთლების დაწინაურება ასევე სოლომონ I-ის წყალობა იყო. დავით II-მ კი დახმარების სანაცვლოდ პაპუნა და ზურაბ წერეთლები დაასაჩუქრა ქ. ონით იქ მოსახლე სამეფო ვაჭრებითურთ, ასევე გადასცა ყმა-მამულები ზემო იმერეთსა და რაჭაში. ამავე დროს, პაპუნას ცოლად ჰყავდა მეფის და. მაგრამ ახალი მეფის კარზე უპირატესი მდგომარეობა ელიზბარ ქსნის ერისთავის ძემ მოიპოვა, რომელმაც დავით II-ზე გავლენის მოპოვება შეძლო და მისი პირველი მრჩეველიც კი გახდა. ამას დაერთო ისიც, რომ დავით II-მ აღადგინა სოლომონ I-ის მიერ გაუქმებულის რაჭის საერისთავო, რომლის მიწა-წყლის ნაწილსაც უკვე წერეთლები და წულუკიძეები ფლობდნენ. უკმაყოფილო პაპუნა წერეთელი მეფეს განუდგა და ბერი წულუკიძესთან ერთად ტახტის მაძიებელ დავით არჩილის ძის მომხრეთა ბანაკს ჩაუდგა სათავეში. ორგულობის გამო მეფემ პაპუნას ჩამოართვა საწერეთლოს უფროსობა, ასევე – მის მიერვე ბოძებული ონი და წედისი რაჭაში.

45 მღვდლისშვილი ბესარიონი ცნობილი ქართველი პოეტი ბესიკია, იგივე ბესარიონ გაბაშვილი (1750-1791). ბესარიონი თეიმურაზ II-ის კარის მოძღვრის, ზაქარიას შვილი იყო. ზაქარიას კათალიკოს ანტონ I-თან დაპირისპირების გამო სამეფოს დატოვება მოუხდა. მისი ოჯახი სოლომონ I-მა მიიღო და ბესარიონი დიპლომატიურ საქმიანობაში ჩაება. სწორედ ბესარიონ გაბაშვილმა ჩამოიყვანა სოლომონის დავალებით ირანში მყოფი ალექსანდრე ბაქარის ძე იმერეთში 1779 წელს. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ ბესარიონს დავით გიორგის ძის ბანაკში ვხედავთ. ახალი მეფის

დავალებით იგი 1787 წელს რუსეთში გაემგზავრა დიპლომატიური მისიით, საიდანაც ვეღარ დაბრუნდა. დასნეულებული ბესარიონ გაბაშვილი გარდაიცვალა ქ. იასში (დღევანდელი რუმინეთი).

46 წულუკიძეები XVIII ს-ის II ნახევარში იმერეთის ძლიერი და გავლენიანი სათავადო სახლი იყო. ვახუშტი ბაგრატიონი მათ იმერეთის ერთ-ერთ „უწარჩინებულეს და შემძლებელ" გვარად მოიხსენიებს. თავიდან ისინი რაჭის ძლიერ სათავადო სახლს წარმოადგენდნენ, თუმცა შემდგომ ქვემო იმერეთშიც ებოძათ მამული, სადაც წულუკიძეთა სათავადო ჩამოყალიბდა. ჰყავდათ მრავალი ყმა-გლეხი და დაქვემდებარებული აზნაური. წულუკიძეები განსაკუთრებით დაწინაურდნენ სოლომონ I-ის ზეობისას. ტექსტში გადმოცემული მოვლენების ხანაში წულუკიძეთაგან ყველაზე გავლენიანი პირები იყვნენ ბერი კაციას ძე წულუკიძე, პირველი ეეზირი სოლომონ I-ის დროს და მისი ძმა გიორგი. უდავოდ ისინი მოიაზრებიან ბურნაშოვის სიტყვებში: „პატივცემული და ხალხით ძლიერი თავადი წულუკიძეები". ბერი წულუკიძეს ასევე ეჭირა ქვემო იმერეთის სარდლის, ქუთაისის მოურავისა და ბოქაულთუხუცესის თანამდებობები. სოლომონ I-მა მას „დიდებული თავადის" წოდებაც კი უბოძა. წულუკიძეებს მეფე ორმაგად დაუმოყვრდა: ჯერ ბერის და გულქანი მოიყვანა ცოლად დაქვრივებულმა 1778 წელს, ხოლო სულ ცოტა ხანში მისი ასული დარეჯანი თავის ვაჟს, ალექსანდრეს შერთო. ბერი წულუკიძე პაპუნა ნერეთელთან ერთად თავადთა იმ ჯგუფს ხელმძღვანელობდა, რომელთაც დავით გიორგის ძე გაამეფეს. თუმცა შემდეგ განდიდებული ბერი მეფის საწინააღმდეგოდ იწყებს მოქმედებას, რის გამოც დავითმა მას მოურავისა და ბოქაულთუხუცესის თანამდებობები ჩამოართვა და ელიზბარ ქსნის ერისთვისშვილს გადასცა. განაწყენებული ბერი წულუკიძე პაპუნა წერეთელთან ერთად უფრო აქტიურად იწყებს დავით არჩილის ძის გამეფებისათვის ბრძოლას.

47 1786 წლის 15 იანვარს პაპუნა წერეთელმა და ბერი წულუკიძემ ახალციხის საფაშოდან დავით I-ის წინააღმდეგ 1000 თურქი და 500 ლეკი შემოიყვანეს იმერეთში. მათ თან ახლდათ დავით არჩილის ძეც ბორჩალოელთა რაზმით. მაგრამ რაჭაში მეფის ჯართან შეტაკებისას 26 იანვარს მათ სასტიკი მარცხი განიცადეს და სხვავასა და კვარას ციხეებში ჩაიკეტნენ. სხვავას ციხეში შეხიზნულთა უმრავლესობა გაწყდა, კვარას ციხეში ალყაშემორტყმულებმა კი მეფეს პატიება სთხოვეს. ჯამში თურქ-ლეკთა ჯარი თითქმის სრულად განადგურდა, წერეთელმა და წულუკიძემ ახალციხეს შეაფარეს თავი. განრისხებულმა დავით I-მ ასევე ახალციხეში გადახვეწილ დავით არჩილის ძეს ამ გამოსვლის შემდეგ საუფლისწულო მამულები ჩამოართვა იმერეთში.

48 დადიანი ჩიქვანების საგვარეულოდან – იგულისხმება დადიანთა მეორე დინასტია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ჩიქოვანთა (იგივე ჩიქვანთა) გვარის წარმომადგენელმა გიორგი ლიპარტიანმა XVII ს-ის ბოლოს, როცა ხელში ჩაიგდო ოდიშის სამთავროს გამგებლობა. 1704 წელს კი მისმა ძემ, კაციამ I-მა დადიანის ანუ ოდიშის მთავრის ტიტული მიიღო.

49 გურიელები გურიის სამთავრო დინასტიას წამოადგენდნენ. აღნიშნულ ხანებში გურიაში მთავრობდა გიორგი V გურიელი. XVII ს-ის II ნახევარში იგი პერიოდულად ფლობდა მთავრის ტიტულს (1756-1758, 1765-1771 და 1776-1788 წლებში).

50 ამ დროს სამეგრელოს მთავარი იყო კაციამ II დადიანი (1758-1788), ოტია დადიანის ძე. მან დახმარება გაუწია დავით გიორგის ძეს იმერეთის ტახტის დაკავებაში, რის სანაცვლოდაც მეფისაგან საჭილაო-სამიქელაო მიიღო. კაციას მემკვიდრემ, გრიგოლ დადიანმა კავშირი შეკრა იმერეთის ტახტის მაძიებელ დავით არჩილის ძესთან და მას ცოლად თავისი და, მარიამი მიათხოვა.

დამოწმებანი

ბურნაშევი 1896: Картина Грузіи или описаніе политическаго состоянія Царствъ Карталинскаго и Кахетинскаго. Сдѣланное пребывающим при Его Высочествѣ царѣ Карталинскомъ и Кахетинскомъ Ираклiи Темуразовичѣ полковникомъ и кавалеромъ Бурнашевымъ въ Тифлисѣ въ 1786 г. Издание К. Н. Бѣгичева, Тифлисъ.

ბურნაშევი 1901: Новые Матеріалы для жизнеописанія и дѣятельности С. Д. Бурнашева, бывшаго въ Грузіи съ 1783 по 1787 г. Собралъ и издалъ съ приложеніемъ картъ, портретовъ и факсимиле С. Н. Бурнашевъ, под редакціей профессора А. А. Цагарели, С.-Петербургъ.

მერკვილაძე 2012: დ. მერკვილაძე, რუსულ-ქართული ურთიერთობები პოლკოვნიკ ბურნაშევის არქივის მიხედვით (1783-1787 წწ.). XIV. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. რედ. ხ. იოსელიანი. თბილისი.

STEPHEN BURNASHEV AND HIS WORK *PICTURE OF GEORGIA OR THE DESCRIPTION OF POLITICAL SITUATION IN THE KINGDOMS OF KARTLI AND KAKHETI*

David Merkviladze

The Russian Army Colonel Stephen Burnashev was sent to Georgia, as the Russian Special Envoy (commissioner) at the royal courts of Kartli-Kakheti's King Erekle II and Imereti's King Solomon I in May, 1783. He was presented there until September 1787. Burnashev also was appointed as a commander of two Russian battalions arrived in Georgia in accordance of the contract between the Russian Empire and Kartli-Kakheti kingdom (so called Georgievsk's Treaty) signed in the August 1783. So being in Georgia, he was combining military and political activities.

His investigation *Picture of Georgia or the Description of Political Situation in the Kingdoms of Kartli and Kakheti*, Burnashev published in 1793 in Kursk (Russia), being there a governor. This work should be his summarized report about Georgian Kingdoms for the Russian imperial court.

The Picture of Georgia... is an important source of Georgia's (and the Caucasus') history of 1780s. Burnashev tells about the situation in Georgia simultaneously from different perspective: the religious and ethnic composition of the population, its social face, the characteristic features of the local population, state income and its sources, form of government, economy, trade, the internal political situation, relations with neighboring countries. Great attention is paid to the information of the military case: army weaponry and military capabilities, fighting efficiency and local peculiarities of the hostilities. There are interesting data about the political situation in Kartli-Kakheti and Imereti Kingdoms and around them of that times, their relationship with each other and with neighboring political entities. This description is a rather objective work and represents Burnashev's significant political analysis.

On the other hand, the work is the most important source for the study of the Russian-Georgian political relationships in the mentioned period, since the author is the contemporary person and co-participant of most of the described events.

The work consists of two main parts: *Georgia's Political Situation* and Imereti's Political Situation. Under the term "Georgia" is implied Kartli-Kakheti kingdom (eastern Georgia), while "Imereti" used as designation of the western Georgia. The work was written during presence of Burnashev in Georgia. According to the data in the text, it is concluded that Burnashev expected to write it approximately during the period from May 1784 until September 1787.

The Picture of Georgia... was republished by K. Begichev in 1896 in Tbilisi. The present translation is made from this publication.The text is accompanied by the notes containing comments and explenations of the translator.

ფრანგი დრაგომანის ცნობები მეფისწულ აბას მირზასა და მისი უახლოესი გარემოცვის შესახებ (1807-1808)

ირინე ნაჭყებია

ინდოეთზე ლაშქრობის გეგმის კონტექსტში, ნაპოლეონის მიერ 1805-1809 წლებში სპარსეთში წარგზავნილი მისიების წევრებს ამ ქვეყნის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის შეკრება ევალებოდათ. საფრანგეთის არქივებში დაცულ მათ გამოუქვეყნებელ ანგარიშებში, სხვა მრავალ საკითხთა შორის, არის ცნობები ფათჰ-ალი შაჰისა და მისი ვაჟების უახლოესი გარემოცვის შესახებ. წინამდებარე სტატიაში წარმოვადგენთ სპარსეთში 1807-1809 წლებში საფრანგეთის სრულუფლებიანი მინისტრის, გენერალ გარდანის მეთაურობით წარგზავნილი მისიის მეორე დრაგომანის, ოგიუსტ-ანდრეა დე ნერსიას, მოხსენებითი ბარათის – *ჩანაწერები თავრიზის კარის უწარჩინებულესი პირების შესახებ* – სრულ ქართულ თარგმანს კომენტარებითურთ.

ჩანაწერების ავტორი, ოგიუსტ-ანდრეა დე ნერსია, 1782 წლის 9 ოქტომბერს დაიბადა ჰესსე-კასელში, გერმანიაში.[1] თავდაპირველი განათლება მან *Prytanée Français-ში*[2] მიიღო, 1800 წელს კი სწავლა კონსტანტინოპოლში 1721 წელს საფრანგეთის მთავრობის ხელშეწყობით დაარსებულ აღმოსავლური ენების სკოლაში (*l'Ecole des jeuns des langues*) განაგრძო, სადაც ახალგაზრდა ვაჟებს თარჯიმნებად ამზადებდნენ დიპლომატიური სამსახურისათვის (დეგრო 1984: 99/2, 77-78). მან იცოდა ბერძნული, თურქული და სპარსული ენები. 1803 წელს იგი კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს მეორე დრაგომანად დანიშნეს (დაირ დე მაიო 1896: II, 20), 1807 წლის აპრილში კი მეორე დრაგომანად ჩარიცხეს გენერალ გარდანის მისიაში (AMFAE, CP/Perse, vol. 9: doc. 85, fol. 91). სპარსეთში იგი ამ მისიაზე უფრო ადრე, 1807 წლის 21 მაისს ჩავიდა, რათა თარჯიმნობა გაეწია ფათჰ-ალი შაჰთან საგანგებო დავალებით გაგზავნილი, კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს მდივნის ქსავიე დე ლა ბლანშისათვის (AMFAE, MD/Perse: vol. 6, doc. 20, fol. 170r). ლა ბლანშმა შაჰს ნაპოლეონის წერილი ჩაუტანა, რომელშიც საფრანგეთის იმპერატორი მას 1804 წელს დაწყებული რუსეთ-სპარსეთის ომის გაგრძელებისა და ინგლისისათვის ომის გამოცხადებისკენ აქეზებდა. ფათჰ-ალი შაჰმა მისგანვე შეიტყო სპარსეთში გენერალ გარდანის სრულუფლებიან მინისტრად დანიშვნის შესახებ (ელო-ბელიე 2007: 97).

1807 წლის ივნისში ნაპოლეონის ემისრები საიანყალას ბანაკში შეხვდნენ გენერალ გარდანის მისიაში ჩარიცხულ საინჟინრო საქმეთა კაპიტანს, ოგიუსტ ბონტამ-ლეფორს,[3] რომელმაც ფათჰ-ალი შაჰისა და მისი ვაჟის, აბას მირზასათვის, ნაპოლეონის წერილების გადაცემა და სპარსეთის ლაშქარში ევროპული სამხედრო ელემენტების შეტანა ევალებოდა. შაჰისათვის წერილის გადაცემის შემდეგ, 26 ივნისს კაპიტანი ბონტამ-ლეფორი და ოგიუსტ დე ნერსია თავრიზის მახლობლად განლაგებულ აბას მირზას ბანაკში გაემგზავრნენ. მეფისწული მეტად კეთილგანწყობილი იყო მათ მიმართ (AMFAE, CP/Perse, vol. 10, doc. 5, fol. 11r-11v). ნაპოლეონის მიერ სპარსეთში წარგზავნილ ოფიცერთაგან სწორედ კაპიტანმა ბონტამ-ლეფორმა დაიწყო აბას მირზას ლაშქრის ევროპულ ყაიდაზე რეორგანიზების პირველი ეტაპი. იგი მას დაეხმარა ინფანტერიისათვის პატრონებისა და ფალკონეტების, ანუ ძველებური მომცრო ზომის ზარბაზნების, დამზადებაში, გაათავისუფლებინა ლაშქარი ზედმეტი ბარგისაგან, შეამცირა ზარბაზნების დატენვის სიმძლავრე და სხვ. (AMFAE, MD/Perse, vol. 7, doc. 36, fol. 71r-77v). ამ საქმიანობაში მას დიდ დახმარებას უწევდა ოგიუსტ დე ნერსია, რომელსაც გავლილი ჰქონდა სამხედრო მომზადება. იგი კაპიტანს ეხმარებოდა რეკრუტების გაწვრთნაში, თარგმნიდა მის ბრძანებებს და ინფანტერიის გასაწვრთნელ ინსტრუქციებს (ბონტამ-ლეფორი S. d.: 156, 159). აბას მირზას კაპიტან ბონტამ-ლეფორის დახმარებით რუსების წინააღმდეგ ბრძოლის მომზადება და აგვისტოში საქართველოზე ლაშქრობა სურდა, მაგრამ გენერალ გარდანის მოლოდინში, ფათჰ-ალი შაჰმა მას ამის ნება არ მისცა. გაწბილებული მეფისწული საჯაროდ გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას (AMFAE, CP/Perse, vol. 9, doc. 155, fol. 296r-296v, ბონტამ-ლეფორი S. d.: 152).

ოგიუსტ დე ნერსია და კაპიტანი ბონტამ-ლეფორი აბას მირზას სამსახურში 1807 წლის ნოემბრამდე, სპარსეთში გენერალ გარდანისა და მისი მისიის ჩასვლამდე დარჩნენ. 1808 წლის იანვრიდან მაისის მეორე ნახევრამდე ოგიუსტ დე ნერსია გენერალ გარდანის ბრძანებით ისფაჰანში არსენალის დასაარსებლად გაგზავნილ არტილერიის ლეიტენანტებს, ფავიესა და რებულს, უწევდა თარჯიმნობას (AMFAE, CP/Perse, vol. 11. doc. 181, fol. 308r). ისფაჰანიდან თეირანში დაბრუნების შემდეგ იგი უშუალოდ გენერლის განკარგულებაში იყო. იმავე წლის 12 ივლისს ფათჰ-ალი შაჰმა იგი საფრანგეთის მისიის რამდენიმე წევრთან ერთად მზის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა (AMFAE, CP/Perse, vol. 11, doc. 105, fol. 173r-173v). სპარსეთიდან კონსტანტინოპოლში ოგიუსტ დე ნერსია 1809 წლის სექტემბერში დაბრუნდა. ნაპოლეონის დავალებით, იგი 1810 წელს ეგვიპტესა და სირიაში გაემგზავრა, ოსმალეთის ამ პროვინციებში არსებული ვითარებისა და

მათ შორის არსებული სეპარატიზმის შესახებ უახლესი ინფორმაციის შესაგროვებლად. 1811-1815 წლებში მან მოიარა სმირნა (დღეს იზმირი), როდოსი, ალექსანდრეტა (დღეს ისკანდერუნი), სირია და აკრა და მან დიდი გაჭირვებით დააღწია თავი ინგლისელთა დევნას. საფრანგეთში დაბრუნება მან მხოლოდ 1816 წლის დეკემბერში მოახერხა. 1823 წლამდე იგი უმუშევარი იყო, შემდეგ კი ალექსანდრ ჰუმბოლტის რეკომენდაციით იგი ბურბონების სპარსული ენის მდივან-თარჯიმნად დანიშნეს. 1825 წელს ნერსიამ გამოაქვეყნა სპარსეთის შესახებ ჟოზეფ ფონ ჰამერის ნაშრომის ფრანგული თარგმანი თავისი კომენტარებითურთ (ნერსია 1825: II, 247-344) და კრიტიკული შენიშვნები პოლკოვნიკ გასპარ დრიუვილის თხზულების შესახებ (ნერსია 1825: XXX, 216-232). 1826 წელს, საპატიო ლეგიონის კავალერი, ოგიუსტ-ანდრეა დე ნერსია, საფრანგეთის გენერალური საკონსულოს პირველი დრაგომანად დანიშნეს სმირნაში, სადაც იგი გარდაცვალებამდე (1847) მსახურობდა (პიურიერი 1951: 390-91; დეგრო 1984: 99/2, 87, 104).

ოგიუსტ ანდეა დე ნერსიას მიერ გენერალ გარდანისათვის 1808 წლის 17 იანვარს წარდგენილი მოხსენებითი ბარათი *ჩანაწერები თავრიზის კარის გამორჩეული პირების შესახებ* (*Notice sur les personnages plus distingués de la cour de Tauris.* Auguste de Narciat, 2em Drogman provisoire de la Légation Français à Théran. Ecrit à Theran le 17 Janvier 1808, AMFAE, MD/Perse, vol. 7, doc. 41, fol. 102r-111r), საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივშია დაცული. ეს ხელნაწერი იმავე წლის 26 იანვარს გადაუგზავნეს კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულს, პიერ რუფენს, რომელმაც ის პარიზში გადაგზავნა (AMFAE, CP/Perse, vol. 9, doc. 184, fol. 348v).

ოგიუსტ დე ნერსიას მოხსენებითი ბარათი რვა თავად იყოფა და დაწერილია ავტორის მიერ აბას მირზას ბანაკსა და თავრიზის კარზე ყოფნის დროს მიღებული შთაბეჭდილებებისა და ადგილზე მოპოვებული ცნობების საფუძველზე. ხელნაწერის პირველ თავში მოცემულია სპარსეთის ტახტის მემკვიდრის, აბას მირზას, დახასიათება. დანარჩენ შვიდ თავში იგი გვაწვდის ცნობებს თავრიზის კარის გამორჩეული პირების – ყაჯართა ტომის წარმომადგენელი ექვსი ხანის, აბას მირზას აღმზრდელისა და პირველი ვეზირის, მირზა ბოზორგის, თავრიზის ყოფილი ბეგლარბეგის – აჰმედ ხანის, მირზა ბოზორგის უფროსი ვაჟის – მოჰამად ჰასანის, აღა-მაჰმად ხანისა და ფათჰ-ალი შაჰის ყოფილი პირველი ვეზირის, ჰაჯი იბრაჰიმის ვაჟის – მირზა ალი-რიზას, თავრიზის მუფთის – მირზა მეჰდისა და ოთხი მოხელის შესახებ. *ჩანაწერებში* ავტორი უაღრესად საინტერესო და ცოცხალი პორტრეტების გალერეას გვთავაზობს.

ჩანაწერები თავრიზის კარის გამორჩეული პირების შესახებ

აბას მირზა, აზერბაიჯანის უზენაესი ბატონი, ვაჟია მეჰდი-ყული ხან ყაჯარის დისა[4] და ბაბა-ხანისა, რომელიც უკვე ცამეტი წელია ფათჰ-ალი შაჰის სახელით მართავს სპარსეთს, და, აგრეთვე, ყაჯართა ტომიდან არის.[5] ეს ახალგაზრდა მეფისწული ჯერ ოცი წლისაც არ არის და თავის ძმებს შორის, რომელთა რაოდენობა ოქტომბერში ოცდაცხრა იყო, მხოლოდ ორია მასზე ოდნავ უფროსი: მოჰამად-ალი ხანი, ყაზვინის ყოფილი გუბერნატორი, რომელიც დღეს ქერმანშაჰს მართავს, მასზე ექვსი თვითაა უფროსი, მოჰამად-ვალი მირზა, ხორასანის გუბერნატორი კი – სამით. აღა-მაჰმად-ხანმა, საჭურისმა ყაჯართა ტომიდან, რომელმაც დაიპყრო იმპერია, აბას მირზა თავის სიცოცხლეშივე დანიშნა თავისი ძმიშვილის, ბაბა-ხანის, მემკვიდრედ, რომელსაც დაუტოვა ტახტი.[6] ეს იყო იმის მიზეზი, რომ მეფისწულის აღზრდაზე ბავშვობიდანვე საგანგებოდ ზრუნავდნენ. მან გაამართლა მასზე განეული ზრუნვა. მის მიერ მოცემული იმედები იმდენად დიდი იყო, რომ როდესაც ბაბა-ხანმა თავისი საჭურისი ბიძის სიკვდილის შემდეგ ხელთ იგდო მმართველობის სადავეები, დაამტკიცა გვირგვინზე დადგენილი მემკვიდრეობა სანინაალმდეგოდ ორი უფროსი ვაჟისა (fol. 102r), რომელთაც არა აქვთ დედის მხრიდან ყაჯარებად ყოფნის უპირატესობა.[7] აბას მირზას გონების ჩამოყალიბებისას არაფერს მოერიდნენ, რათა იგი ძლიერი და ამტანი ყოფილიყო წვრთნისა და ომის სიძნელეების მიმართ.[8] მისი სამხედრო ნათლობა წარმატებებით დაიწყო. ჯერ კიდევ იმ ასაკში, როდესაც ჩვეულებრივ თამაშობენ და დიდ საქმეებს არ ეწევიან, მან უხელმძღვანელა ლაშქრობას ხოის გუბერნატორის, ჯაფარ-ყული ხანის წინააღმდეგ, რომელსაც აჯანყების დროშა აეფრიალებინა. ამ ვითარებაში იგი იშვიათი ვაჟკაცობითა და გონიერებით მოიქცა და სალმასში გაანადგურა ეს აჯანყებული, რომელმაც რუსებს შეაფარა თავი.[9] აბას მირზამ აგრეთვე დიდ წარმატებას მიაღწია რუსების წინააღმდეგ არაქსის ნაპირებთან და თუკი აქამდე მან ისინი ვერ განდევნა საქართველოდან და მათ მიერ ოკუპირებული სხვა სპარსული პროვინციებიდან და თუ ამ უკანასკნელ კამპანიაშიც სათანადოდ ვერ წარსდგა მტრის წინაშე, ეს მისი გაუბედავობის კი არა, მხოლოდ და მხოლოდ თეირანის კარის მერყეობისა და მცდარი პოლიტიკის ბრალია, რაც მის დაუოკებელ სიმამაცეს მუდმივად უქმნის წინააღმდეგობებს. ეს მეფისწული, რომელიც ტანად მაღალი არაა, აღსავსეა დიდებულებით. იგი კარგი აღნაგობისაა, მისი ლამაზი სახე თუმცა კი ფერმკრთალია, კეთილშობილებასა და სიმშვიდეს გამოხატავს, კმაყოფილებისა ან დარდის მიხედვით კი გამოცოცხლდება ან იღუშება. მისი თვალები, დიდი და შავი, გადაბმული ხშირი წარბებით, დროდადრო ნაპერწკლებს ყრის და მუდამ სხვისი აზრების გაგებას ცდილობს. მას უყვარს ჯირითი, ნადირობა და ლამაზი იარაღი. იგი მხოლოდ იმპერიისათვის ბრძოლისა და გამარჯვების შემდეგ მოისვენებს. ისეთმა დიდებამ, როგორმაც ევროპაში დიდი ნაპოლეონი შემოსა, მისი სული სურვილით აღავსო, რომ აზიაში მის მსგავსად ცნობილი გახდეს (fol. 102v). თავისი სისხლისა და იმ ტახტის ფასად, რომელიც მან ერთ დღეს უნდა დაიკავოს, იგი ეძებს შემთხვევას, რომ გახდეს ღირსი საფრანგეთის იმპერატორის პატივისცემისა, რომელსაც ბიძას უწოდებს.[10] იგი საფრანგეთის ჭეშმარიტი მეგობარია. როდესაც მეფემ მას რუსების

წინააღმდეგ გამოსვლა აუკრძალა და ერევნის სარდალს[11] მეფისწულის იქ მისვლის შემთხვევაში მისი უკან გამობრუნება უბრძანა, აბას მირზამ საკმაოდ ხმამაღლა განაცხადა, რომ ეს საფრანგეთთან დადებული კავშირის გამცემლობა იყო, რომ მას სხვა აღარაფერი დარჩენოდა, თუ არა გამხდარიყო დამოუკიდებელი, არ გაეწია ანგარიში მისი უმაღლესობის (შაჰის, – ი.ნ) ფირმანებისათვის, იერიში მიეტანა მტრებზე, შეკვდომოდა ან დაემარცხებინა, შემდეგ კი ნაპოლეონთან შეეფარებინა თავი. მეფისწულის უგუნური თავგანწირვა მისი ვეზირის გავლენამ[12] და სიბრძნემ შეაჩერა, რადგან საშიში იქნებოდა, რომ მას თავისი გამოსვლებითა და მოქმედებებით, აგრეთვე საფრანგეთის მიმართ კეთილგანწყობის აპკარა გამოხატვით არ დაეკარგა უზენაესი კეთილგანწყობა და მშობლიური სიყვარული. არც ის იქნებოდა საეჭვო, რომ ძლიერი მეტოქეებიც მოიძებნებოდნენ მის მრავალრიცხოვან ძმებს, კერძოდ, კი ჩემ მიერ ზემოთ ნახსენებთა შორის. აბას მირზა გრძნობს, რომ საფრანგეთის მხარდაჭერა მისთვის ერთ დღეს აუცილებელი გახდება.[13] ის პატივს სცემს და მას უყვარს ფრანგები, განსაკუთრებით კი საფრანგეთის ჯარის მსგავსის შექმნა და თავისი ჯარის მთავარი გრენადერობა სურს. ჩვენგან წვრთნას არ თაკილობდა და ამბობდა: დამსაჯეთ, მცემეთ, როდესაც ცუდად ვასრულებ. მისი ჩაცმულობა სადაა, მაგრამ მეტად ელეგანტური. მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში იხილავთ მასზე ოქროსა და ძვირფასი ქვების ბრწყინვას.[14] თუმცა კი აბას მირზას ჰყავს ცოლები (fol. 103r), ეს მას ნაკლებად აღელვებს. უმეტეს დროს იგი ცხენზე ატარებს და არაფრად დაგიდევთ არც სიცხეს, არც სიცივეს, არც ქარსა და არც წვიმას, ღამეებს კი წიგნების კითხვაში ატარებს. ამბობენ, რომ იგი ყველა სპარსულ და არაბულ ნაშრომს იცნობს და მას განსწავლულთაგან ცოტა ვინმე თუ შეედრება. ორი თვის მანძილზე მას მოუკვდა სამივე ვაჟი, რომლებიც ფათჰ-ალი შაჰს დიდ სიხარულს ანიჭებდნენ. ამის გამო მას არ გამოუხატავს დარდი და უთქვამს, რომ ეს ბავშვები არ იყვნენ ტირილის ღირსნი, რადგან არასოდეს არაფერი არ გაუკეთებიათ. მაგრამ როდესაც განგების ხელი მას ართმევს მამაც მებრძოლს, სპარსეთის ღირსებას, პატივისცემის ღირსს უკვე განეული სამსახურისა და იმ სამსახურისთვისაც, რომელსაც მომავალშიც გასწევდა, იგი თავის ტანისამოსს შემოიხევს, მიწაზე ჰყრის, სიმწრით სავსე ცრემლებს ღვრის და ისეთ უიმედობას ეძლევა, რომ ძლივს ამშვიდებენ.[15] თავის ქვეშევრდომთა დამსახურების ამგვარი დაფასება მისდამი მათ სრულ ერთგულებას განაპირობებს. თავისი პირადი განძი მან თავისი ჯარისა და დედაქალაქის (თავრიზის – ი.ნ.) მაცხოვრებლებისათვის დახარჯა. ეს უკანასკნელნი თავის არსებობას ამ მძიმე წელს მხოლოდ მის კეთილშობილ სიბრალულსა და უზომო თავგანწირვას უნდა უმადლოდნენ ხორბლის იმ დიდი რაოდენობის შეძენისათვის, რაც აზერბაიჯანს აკლდა. მისი ყოველი მიზანი სპარსელთა შეხედულებების განვითარებისა და განდიდებისაკენაა მიმართული. ამის დასტურია ის აღტაცება, რომელსაც მასში ევროპის ხელოვნებაში არსებული მიღწევები იწვევს და ის სიხარბე, რომლითაც ის უცხოელთა მონათხრობს ისმენს კულტურული ერების შესახებ, აგრეთვე, ის პედანტიზმი, რომლითაც იგი თავისი კარის მინისტრებსა და სენიორებს აიძულებს აითვისონ ყოველივე, რის სწავლასაც ევროპელებთან ურთიერთობით მოახერხებენ. იგი ფიქრობს კოლეჯების დაარსებას კეთილშობილი ახალგაზრდობის განათლებისათვის (fol. 103v). მან თავრიზიდან განდევნა მოცეკვავეები და მეფოკუსეები და ყოველივე, რასაც ხალხის გარყვნა შეეძლო. ქალაქში არ აჭაჭანებდნენ მეძავებს და უსასტიკესად უსწორდებიან იმ ქალებს, რომლებსაც დანაშაულზე წაასწრებენ.[16] დანაშაულს უფრო მკაცრი მსაჯული არა ჰყავს; მეფისწული ესწრება ყველა იმ დასჯას, რომელსაც მისი მართლმსაჯულება დაადგენს და სიამოვნებს დამნაშავეთა სისხლის ყურება.

* * *

თავრიზის კარზე იმყოფება ექვსი ყაჯარი სენიორი. მათი სახელებია მეჰდი-ყული ხანი' ალი ხანი, ჰედაიეთ-ყული ხანი, ჰოსეინ-ალი ხანი, გელბ-ალი ხანი და ისმაილ ხანი. ამ პირებს დიდი პატივს სცემენ, იმ უპირატესობის გამო, რომ ყაჯართა ტომიდან არიან. ყოველი მათგანი ასაკოვანი და მეფისწულის სათათბიროს წევრია. ისინი არც ფართო განათლებით ბრწყინავენ და არც ნიჭით. მათი საუბრებიდან ჩანს, რომ მათ მეტად მცირე დრო დაუთმიათ განათლებისათვის, მაგრამ მათი მხედრული ღირსება მყარად არის დამკვიდრებული და ყველა ადასტურებს, რომ მათი ხმლები დიდად დაეხმარა მათ ტომს ხელთ ეგდო სპარსეთის იმპერია. მეჰდი-ყული ხანი შაჰზადეს ბიძაა დედის მხრიდან, ალი-ხანი კი ის სპარსელია, რომელმაც, ალბათ, ყველაზე მეტ მტერს დააყრევინა თავი. მათ მიერ გაწეულმა სამსახურმა მათ დიდი გავლენა მოუპოვა მმართველობაში და ახალგაზრდა მეფისწულისათვის მეტად საპატივცემულო პირებად აქცია, თუმცა იგი ხედავს მათი აზროვნების ჩამორჩენილობას. ომით დაღლამ მათში დასვენების სურვილი გამოინვია (fol. 104r) და ისინი მეფის ერთგულნი უფრო არიან, ვიდრე მეფისწულისა, მათი საუბრები კი იმ მოსაზრებების საზომია, რაც შეიძლება სურდეს თეირანის კაბინეტს. ასეა თუ ისე, ამ გმირებს ომის ველზე აქვთ მოპოვებული თავისი აზრების გამოთქმის უფლება. ისინი ყოველთვის წინააღმდეგნი იყვნენ, რომ აბას მირზას შეტევა მიეტანა რუსებზე, ხოლო სპარსეთისთვის საფრანგეთთან კავშირი[17] იმ უნაყოფო ხედ მიაჩნიათ, რომელიც თავის ჩრდილში იმპერიისათვის იმაზე უფრო დამლუპველ მიზნებს ფარავს, ვიდრე რუსების აშკარა მტრობაა. სპარსელთა სიძულვილმა და ღანძღვა-გინებამ ლამის დაგვაშორა კიდეც. ისინი გულის სიღრმეში იმედოვნებდნენ, რომ რუსების მიერ ჩვენი განადგურება მათ ყველაზე უფრო სასტიკი საშიშროებისაგან გაათავისუფლებდა; მისი უდიდებულესობა იმპერატორისა და მეფის ახალი ტრიუმფების ამბებმა ისინი მეტად გააოცა და დააბნია,[18] აბას მირზა კი მეტად გაამხიარულა. მე კვლავ არა მჯერა, რომ ეს ყაჯარები საფრანგეთის მომხრენი არიან და ვფიქრობ, რომ მათი თანხმობის ყიდვა მხოლოდ იმის დარი საჩუქრების ფასად იქნება შესაძლებელი, რასაც ისინი, ალბათ, რუსეთისაგან მოელოდნენ.

* * *

მირზა ბოზორგი,[19] რომელსაც ადრე მირზა ისა ერქვა, დაიბადა სპარსეთის ერაყის პროვინციის დაბა ფარაჰანში. იგი ჯაფარ ხანის[20] (რომელიც შირაზში ქერიმ ხანის[21] სიკვდილის შემდეგ შექმნილი ანარქიის დროს განაგებდა) ძმის, სადეყ ხანის ვეზირის, მირზა ჰოსეინის ვაჟია. იგი წინასწარმეტყველის შთამომავალია იმამ ჰუსეინის[22] ხაზით. ამგვარად, მას (fol. 104v ბუნების მიერ აქვს ბოძებული დიდი ჭკუა და იშვიათი შესაძლებლობა, შეესწავლა აზიაში ცნობილი ყველა

მეცნიერება. მან ზედმიწევნით იცის სპარსული და არაბული და მას, ალბათ, მჭევრმეტყველებაშიც ვერავინ შეედრება. მან იცის თურქულიც, მაგრამ უფრო სუსტად იმ პრეტენზიასთან შედარებით, რასაც ის ამ ენის ცოდნის გამო იჩემებს. ყმაწვილობიდანვე თავისი მამის გვერდით ყოფნითა და შრომით, მან ადრევე შეიძინა საქმეების წარმართვის ღრმა ცოდნა, განსაკუთრებით კი ინტრიგების ხლართვისა და მათი დაფარვის კიდევ უფრო რთული ხელოვნების დიდოსტატი გახდა. თუმცა კი მას უკვე მიეღწია გარკვეული ასაკისათვის, იგი მხოლოდ და მხოლოდ კვლავ დიდი ვეზირის, ჰაჯი იბრაჰიმის, მირზა (მდივანი) იყო, როდესაც აბას მირზამ ბავშვობის ასაკს გადააბიჯა და აღმზრდელი დასჭირდა. ჰაჯი იბრაჰიმმა იგი მეფეს დაუხასიათა როგორც ღირსებით, უნარითა და ცოდნით აღსავსე კაცი. მეფემ იგი კეთილგანწყობით მიიღო და ამგვარად დაიწყო მისი დაწინაურება. მსგავსად გათოშილი გველისა, რომელიც ცხოვრებისაკენ მიწათმოქმედს მოუბრუნებია, მან მირზა შაფისთან,[23] ამჟამინდელ დიდ ვეზირთან ერთად, თავისი კეთილისმყოფელის წინააღმდეგ მზაკვრული გეგმა მოიფიქრა და დიდი ნდობა უმადურობის ფასად მოიპოვა: ჰაჯი იბრაჰიმის უზომოდ დიდი ქონება, ფუფუნება და პოპულარულობა აშფოთებდა მეფეს, რომელიც იმჟამად ჯერ კიდევ მყარად არ იჯდა ტახტზე. შეშფოთება იქცა ეჭვად, რომელიც დღითი დღე მძაფრდებოდა და მეფეს მოსვენებას აღარ აძლევდა. მირზა ისამ გააღრმავა ამ ეჭვის საფუძველი და შეიმუშავა გამცემლური გეგმა, რასაც ჭეშმარიტების ბეჭედი დაასვა (fol. 105r). ჰაჯი იბრაჰიმს ტანჯვაში ამოხდა სული, მისი განძი, რომელმაც ყველა მოლოდინს გადააჭარბა, სამეფო საგანძურში შევიდა.[24] მისმა უმაღლესობამ მირზა ისა მეფის გადამრჩენად და გვირგვინის დამცველად გამოაცხადა და ბრძანა, რომ ამიერიდან მას ეტარებინა სახელი ბოზორგ, რაც დიდს ნიშნავს. ამის შემდეგ მისი ქონება იმ მეფისწულის დიდებასთან ერთად გაიზარდა, რომელთანაც იგი განამწესეს. მიუხედავად იმისა, რომ მისმა უამრავმა მტერმა იგი მეფესთან მრავალგზის ამხილა მძიმე დანაშაულში, მისეული თავის მართლების მანერა მუდამ აბნევს მის მბრალმდებლებს და მისი განადგურების ამგვარ მცდელობებს შედეგად მის მიმართ კვლავ კეთილგანწყობა და კიდევ უფრო დიდი პატივისცემა მოჰყვება. მირზა ბოზორგი მთელ თავის უნარსა და თვისებებს მხოლოდ თავის გულკეთილობასა და თავისი სულის სიწრფელეს მიაწერს, თუმცა ქვეყანაზე ალბათ არც კი დაბადებულა მასზე ვერაგი სულიერი. მისი ნაკვთები სიცრუითაა გაჟღენთილი და არასოდეს არ იცი, რას უნდა მოელოდე მისგან. იგი თავისი შეხედულების მიხედვით იმორჩილებს და აყალიბებს ხალხის გონებას; მეფისწულის ამაყი ხასიათისა და სიფიცხის მიუხედავად, ვეზირის გავლენით ეს ახალგაზრდა კაცი მუდამ ბრძნულ და სწორ გადაწყვეტილებებს იღებს, მისი ეშინია და მგონი თავის მამაზე მეტადაც კი უყვარს. ყველაზე უფრო გამჭრიახი ადამიანიც კი გაკვირვებული უნდა იყოს მირზა ბოზორგის ვერაგი შორსმჭვრეტელობით და არ უნდა დაიიმედოს თავი, რომ შესძლებს მისი აზრების წაკითხვას. მასზე უკეთესად არავინ იცნობს არც ადამიანის ბუნებას (fol. 105v), არც სპარსელთაგან ევროპის საქმეებს. მორჩილების ნიღაბს და გულგრილობის მანტიას ამოფარებული ეს კაცი უსაზღვრო ამბიციებს ფარავს და თავისი ძალაუფლების გამო ეჭვიანობის იმ წერტილამდეა მისული, რომ მზადაა სახელმწიფოს ინტერესები თავის პირად უმნიშვნელო მოსაზრებას შესწიროს. ამიტომ, იმის შიშით, რომ მეფისწულის მიერ ფრანგების მიმართ გამოხატულ კეთილგანწყობასა და პატივისცემას და მათი მოსმენით მიღებულ სიამოვნებას მის გონებაზე ვეზირის გავლენა არ შეემცირებინა, მირზა ბოზორგი განუწყვეტლივ აქებდა ერთ საცოდავ რუსს, რომელმაც თავი მაიორად წარადგინა, თუმცა ის ერთი საზიზღარი რუსი დეზერტირი ჯარისკაცი იყო, რომელმაც თავის ენაზე წერა-კითხვაც კი არ იცოდა. ამ რუსს ის ყოველთვის საგანგებოდ წარადგენდა და ისე ეპყრობოდა, როგორც სპარსეთისათვის ბ-ნ საინჟინრო საქმეთა კაპიტან ბონტამზე გაცილებით უფრო საჭირო კაცს, მიუხედავად იმისა, რომ თავად ღრმად იყო დარწმუნებული საპირისპირო მოსაზრებაში. მირზა ბოზორგმა იგი დაჯილდოვებინა ორდენით, რაც აქამდე გაუგონარი იყო სპარსეთში, რათა მას იმ ოფიცრის გვერდით შეძლებოდა გამოჩენა, რომელიც საპატიო ლეგიონის ორდენს ატარებდა.[25] ჩვენს საქმეში ამ კაცის მუდმივი ჩარევით კი ხელს გვიშლიდა, რომ ჩვენი მოკავშირეებისათვის ჭეშმარიტი სამსახური გაგვეწია. იგი თავს ისე აჩვენებს, თითქოს დერვიშის წოდების მიღება სურდეს და ხმამაღლა ამბობს, რომ დიდკაცობას, მსოფლიოს საუნჯესა და დიდებას მისთვის არავითარი მიმზიდველობა არა აქვს; რომ მას მხოლოდ წმინდანთა სწავლება აინტერესებს, მაგრამ დერვიშისა მას მხოლოდ ამპარტავნული ფარისევლობა აქვს და თავს ძლიერ ინონებს იმით (fol. 106r), რომ საუკუნეთა განმავლობაში მის ოჯახს მუდმივად ვეზირის გამორჩეული ადგილი უჭირავს და აქვს პატივი იყოს სპარსეთში ყველაზე უფრო დიდად პატივცემული წინასწარმეტყველის შთამომავალი.[26] უცხოელებს კი ეუბნება, რომ აბას მირზა აზერბაიჯანის მხოლოდ სრულუფლებიანი მმართველი კი არა, არამედ მისი მეფეა და მისი დიდი ვეზირი უფრო მეტი მნიშვნელობის, გავლენისა და ძალაუფლების მქონეა, ვიდრე სპარსეთის იმპერატორის დიდი ვეზირი. გარკვეული თვალსაზრისით ეს მართალიცაა, მაგრამ ნამდვილად არ მიუთითებს მის თავმდაბლობაზე. ვეზირის თქმით, მისი გენია ყოველივეს სწვდება. იგი იმასაც აცხადებს, რომ სამხედრო საქმეც სხვა სპარსელებზე უკეთესად იცის. ის კი სიმართლეა, რომ მისმა წინდახედულობამ იხსნა მისი ათასი ჯარისკაცი სავალალო შეცდომისაგან, რადგან იცის პოზიციების შერჩევა და ჩვეულად აქვს ინფანტერიის სანგრებითა და გამაგრებებით დაცვა. იგი მტრისათვის ყოველთვის ძნელად მოსახელთებელი ყოფილა, რადგანაც მტერს სანგრძლივად უხსნიდა ცეცხლს და მიზანსაც ზუსტად არჩევდა. მიუხედავად ამისა, ის არ იწონებს თავს ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცით და არ ამბობს, რომ მისი მახვილი ათასჯერ დასველებულა მტრის სისხლით. მას აქვს ისეთი გონივრული სიმამაცე, რომლის დროსაც ადამიანი უდიდესი საშიშროების შუაგულშიც კი მშვიდად რჩება და მიუხედავად იმისა, რომ მას ხშირას ჩაუხედავს თვალებში სიკვდილისთვის, იგი არ შემდრკალა. მას არა აქვს დიდებული გარეგნობა და ხშირად მასში ძლივს შეუცვნია ვეზირი. თუმცა მას ცხოვრების შესაბამისი დონის დაცვა ეუალება, იგი მეტად ზომიერად იკვებება. მას მხოლოდ ერთი ცოლი ჰყავს, რომელზეც ძლიერაა მიჯაჭვული. მას თითქმის არ სძინავს. ღამის საათებში იგი თავისი (fol. 106v ბატონის ძალაუფლების განდიდებითა და თავის მიმართ მისი ნდობის განმტკიცებითაა დაკავებული. დღის საათებს კი მიმდინარე საქმეებს სწირავს. ზოგჯერ ნახევარი საათით ჩათვლემს ხოლმე ყველას თანდასწრებით, გამოღვიძების შემდეგ კი დასვენებულია იმ ტვირთისაგან, რაც მას აწევს. თავისმა წინდახედულმა პოლიტიკამ ასწავლა, რომ ხელშეწყობის გარეშე იგი მხოლოდ გაჭირვებით მიაღწევდა დასახული დიდი გეგმების განხორციელებას. ის თავისუფალი დრო, რომელიც მას ჰაჯი იბრაჰიმთან თავისი

დაბალი თანამდებობის დროს ჰქონდა, თავისი ვაჟების ღირსეული აღზრდისათვის გამოიყენა და თავად იყო მათი აღმზრდელი. მას ხუთი ვაჟი ჰყავს: მირზა მოჰამად-ჰასანი, მირზა აბულ-ყასემი,[27] მირზა მაქსუმი, მირზა ჰუსეინი და მირზა მუსა. შრომისა და გატეხილი ღამეების ფასად სამ უფროს ვაჟს მამის ნიჭი და ცოდნა გადაჰყვა და ისინი უკვე მეტად წარმატებულად ემსახურებიან მას სხვადასხვა მომგებიან თანამდებობებზე. მირზა ჰუსეინი მხოლოდ თოთხმეტი წლისაა და ჯერ კიდევ არ არის საქმით დაკავებული, მაგრამ მამა და სამი უფროსი ძმა მას პატივს სცემენ და, რაც განსაცვიფრებელია, აცხადებენ, რომ იგი მათ სჯობნის თავისი საოცარი ცოდნით. უმცროსი შვილი, რომელიც ორი წლისაა, უკვე გრძნობს თავისი მამის ზრუნვას. მირზა ბოზორგს სურს ამ ბავშვსაც ასწავლოს და იმედი აქვს, რომ ის თავის ძმებზე უფრო შორს წავა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ორმოცდათორმეტი წლის ვეზირის ძალების აღდგენის ერთადერთი საშუალება ცოდნის გაერცელება და მისთვის სასურველი დასაყრდენის შექმნაა; ამასთან, თანდათან მისი ჯანმრთელობაც მეტად სუსტდება, რამაც შეიძლება მას ცხოვრების სტილის შეცვლაც კი აიძულოს. რადგან მირზა ჰუსეინსა და მირზა მუსას შორის მირზა ბოზორგს სხვა (fol. 107r) ვაჟი, რომელსაც სწავლა სჭირდება, არა ჰყავს და აღარც მეფისწული საჭიროებს მის გაკვეთილებს, მირზა ბოზორგმა იტვირთა ახალგაზრდა კაცის სწავლება, რომელიც არ არის მისი ოჯახის წევრი, მაგრამ იმ არაჩვეულებრივი წარმატებების გამო, რასაც ამ ახალგაზრდამ მიაღწია, ვეზირი მას ისე ეპყრობა, როგორც თავის სისხლსა და ხორცს. ამ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც მირზა მოჰამად-ალი ჰქვია, უმაღლესი მწვერვალების მიღწევა შეუძლია. ღმერთმა ინებოს, რომ ერთ დღეს აბას მირზა გამეფდეს.

* * *

აჰმედ ხანი მუქადამის ტომიდან,[28] რომელიც ოც წელზე მეტი ხნის მანძილზე იყო თავრიზის ბეგლარბეგი და ახლა ურმიის ტბასთან მდებარე მარაღას ხანია, ამბობს, რომ ორმოცდაათი წლისაც არ არის, თუმცა კი მისი გარეგნობისა და ხმის მიხედვით მას სამოცზე მეტსაც მისცემ. იგი დიდი ფიზიკური ძალის მქონე ჩანს და კვლავ ძლიერ მკაცრია. შეუძლებელია პირველი შეხედვისთანავე არ დაინახო მასში მეტად დიდებული, შესანიშნავი გარეგნობის უკეთილშობილესი მოხუცებული. მისი ტანისამოსი მეტად სუფთაა და ჩვენ შევნიშნეთ, რომ თეთრი მისი რჩეული ფერი იყო. ის ინარჩუნებს ჭაღარა წვერს, თუმცა კი სპარსეთში წესადაა მიღებული მისი შავად შეღებვა. ეს სავალდებულოც კი არის კარის წარჩინებულებისათვის, რადგან თუ ისინი სუვერენის წინაშე მოხუცებულობის ამ ნიშნით წარსდგებიან, შაჰი აიძულებული გახდება მათ პატივი მიაგოს. მას ევროპელივით თეთრი ხელები აქვს, თუმცა კი სპარსელებს წესად აქვთ ინის მარცვლების ფხვნილით მათი მოწითალოდ შეღებვა. იმ ტირანიამ, რომლითაც ის თავის პროვინციას განაგებდა, მას უზარმაზარი ქონება მოუტანა. იგი ხარბად ეტანება ამქვეყნიურ სიამეს (fol. 107v) და წარმოუდგენლად შურისმაძიებელია. იგი სასტიკი და სიტყვაძუნწია, მას არც ხათრი აქვს ვინმესი და არც სიბრალული; თავის შვილებს, რომლებსაც არაფერს აკლებს, მისი სითბო არასოდეს არ უგვრძნია. მას ფართო ცოდნას მიაწერენ. შესაძლოა ასეც არის, მაგრამ ოპიუმის ხმარების ჩვევა მის სხეულს ფიტავს და გონებას დღითიდღე უსუსტებს. თუ ერთი შეხედვით ის ისეთივე ჭკვიანად მოგეჩვენება, როგორც ზრდილობიანად, მალევე შეამჩნევ, რომ სისულელეებს როშავს. მას აკვიატებული აქვს, რომ რაღაცითაა დაავადებული. მის ხელთ არსებულ ნაშრომებს შორის სამედიცინო წიგნებიც არის, რომლებსაც ის გამუდმებით კითხულობს. მას ჰგონია, რომ რომელიღაც ავტორის მიერ აღნიშნული რაღაც სიმპტომები აქვს და მისი რჩევების მიხედვით მკურნალობს.[29] თუ, ერთი მხრივ, მისთვის თავისი ჯანმრთელობაა უდიდესი საზრუნავი, მეორე მხრივ, მას განუწყვეტლივ სტანჯავს სინდისის ქეჯნა ჩადენილი უამრავი უსამართლობისა და დანაშაულის გამო და ამაოდ ცდილობს ჰპოვოს სიმშვიდე იერუსალიმში ქრისტეს საფლავზე ჩასვლის გეგმებში, რომლებსაც ელოლიავება. მისმა ამგვარმა მდგომარეობამ მეფისწული დაარწმუნა, რომ იგი მხოლოდ მარაღას ხანად დაეტოვებინა და მისმა სამეფო უმაღლესობამ მას იქ საცხოვრებლად გადასვლა უბრძანა, თავრიზში კი მხოლოდ მისი საჯარისო ნაწილების დაშლის შემდეგ შევიდა. მაგრამ რადგან სწორედ აჰმედ ხანია ის პირველი სპარსელი, რომელმაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის შესახებ იფიქრა და დაამყარა კიდეც კავშირი ამ საკითხის გამო ალეპოს ბ-ნ კონსულთან,[30] აბას მირზა შიშობდა, რომ მის გადაყენებას ცუდი შთაბეჭდილება არ მოეხდინა (fol. 108r[1]) და საფრანგეთისათვის არ ეწყენინებინა. ამიტომ, ის თავრიზის ბეგლარბეგად 1807 წლის ნოემბერში, ამ ქალაქში გენერალ გარდანის ჩამოსვლის წინა ღამით აღადგინა. შეიძლება ითქვას, რომ მას აღარავითარი წონა აღარა აქვს და ისე ჩანს, რომ მას გაუქრა ის გრძნობები, რომლებიც თავიდან ჰქონდა ჩვენი ერის მიმართ.

* * *

თავრიზის სენიორებს შორის საგანგებო ყურადღებას მირზა ბოზორგის უფროსი ვაჟი, მოჰამად-ჰასანი[31] იმსახურებს. იგი ოცდაშვიდი წლისაა, ტანმორჩილი და სუსტი აღნაგობის. მას თავისი მამის ყველა ნაკლი აქვს; მამა, ალბათ, მას მხოლოდ ცოდნით თუ აღემატება. მისი ზრდილობა კიდევ უფრო დახვენილი და კაზმული, ქედმაღლობა კი უსაზღვროა. ვიდრე ხმას ამოიღებს, უკვე მისი დანახვისთანავე ხედები, რომ ის ჭკვიანი კაცია, რაც მას ღირსებით აღსავსე სახეზე ეხატება. ამასობაში, მისი სახის გამომეტყველება ყალბია და გრძელი წვერის მიუხედავად, მირზა ჰასანი უნდობლობას უფრო იწვევს, ვიდრე პატივისცემას. იგი ყოველგვარ ცრურწმენაზე მაღლა დგას, ტრაბახობს თავისი ბრწყინვალე ნიჭითა და ცოდნით, რომელიც მას ბუნებამ უბოძა და კარგი მანერები, რომლებიც აოცებენ უცხოელს. მისი საუბარი ძლიერ გაპრანჭულია. იგი ნელა, მაგრამ ისეთი გრძნობითა და გამომეტყველებით ლაპარაკობს, რომ აღგაფრთოვანებს. არავის არა აქვს მასზე უკეთესი ნიჭი დაგარწმუნოს იმაში, რაც თავად სურს. ის დიდი მატყუარაცაა. როდესაც მეგობრობას გამოხატავს, მისი საუბრები გაზვიადებულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი ნათქვამი გულწრფელობად მიგაჩნია. იგი შურიანია, მაგრამ თავის გრძნობებს ყალბად შეფერადებული ინტონაციითა (fol. 108v) და კეთილმოსურნეობის ნიღბით ფარავს. მისი მტრები სწორედ მაშინ უნდა ძრწოდნენ მისი ვერაგობის გამო, როდესაც იგი ყველაზე უფრო მეტად პირფერი და დამტკბარია. იგი კარისკაცის ნიმუშია. თავისი მოხერხებულობითა და ნიჭიერებით მან მოიპოვა კეთილგანწყობა მეფისწულისა, რომელიც მას როგორც ვეზირს, როგორც მისი დიდებისათვის აუცილებელ კაცს, ისე

ექცევა. აზერბაიჯანის ერთი მესამედი მირზა ჰასანს თავის ბატონად სცნობს და მისთვის უზარმაზარი შემოსავალი მოაქვს. როდესაც აბას მირზამ აჰმედ ხანი თავრიზის გუბერნატორობიდან გადააყენა, სწორედ მირზა ჰასანს მიანდო ამ ქალაქზე ზრუნვა. მისმა მმართველობამ ხალხს ყველაფერი გამოსწოვა, გაზარდა მისი ქონება და საშუალება მისცა ეცხოვრა ისეთი ფუფუნებით, როგორიც თვით მეფისწულსაც კი არა აქვს. როდესაც იგი გარეთ გადის, მას უამრავი ხალხი დაჰყვება, ყველა მდაბლად იდრეკს თავს მის წინაშე და მისდამი ისეთ პატივისცემას გამოხატავს, რომელიც მხოლოდ სუვერენს ეგების. მის გარდა სხვას არავის არ შეუძლია ყოველივე ლამაზისა და იშვიათის ყიდვა და იგი ისეთი განცხრომით ცხოვრობს, რომ ბადალი არა ჰყავს პროვინციაში. მას უყვარს მორთულობა და იგი ჰატარა ბატონია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იგი მეტად მგრძნობიარეა და სიამოვნებამ დაღალა კიდეც. მას არ უყვარს უცხოელები, განსაკუთრებით კი როდესაც მათ მისთვის საჩუქრები არა აქვთ. მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივ ის მათთან დაახლოებას ცდილობს და ირწმუნება, რომ მათი საუბრებიდან მეტის სწავლა სურს, მათ თავის დიდ პატივისცემას უდასტურებს, აბრუებს თავისი უსაზღვრო ზრდილობით და მათთვის თავისი პერსონის შესახებ მაღალი წარმოდგენის შექმნას ცდილობს. თუ ისე მოხდება, რომ მას ისეთ საჩუქრის მიღებაზე დათანხმებას სთხოვენ, რაც ძალიან დიდი ღირებულების არაა, მას თავისი თავის დიდსულოვან, ბრწყინვალე პიროვნებად წარმოჩენა სურს და მიძღვნილს სრულიად (fol. 109r) აუფასურებს სანაცვლოდ მირთმეული ნატიფი საჩუქრით, რადგან მას უბრალო არაფერი არა აქვს და მისი საჩუქარი ბევრად აღემატება ფასით იმას, რასაც ჩუქნიან. მაგრამ ეს სულ სხვა კაცია თავის მამის თანდასწრებით. მის მიმართ იგი უდიდეს პატივისცემას გამოხატავს, მისთვის განკუთვნილ ადგილზე მანამდე დგას ფეხზე, ვიდრე დაჯდომას არ უბრძანებენ.[32] მის სახეზე გადაკრული თავმდაბლური და მოკრძალებული იერი გაფიქრებინებს, რომ ამ ახალგაზრდა კაცს ჯერაც არაფერი არ უნახავს ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, ის სრულებით არ იბნევა და როდესაც მას მამამისი ან სხვა პირი ელაპარაკება, თავისუფლად და ტაქტით პასუხობს, რაც აკვირვებს მავანს, ვინც მას არ იცნობდა და თავიდან ის სულელიც კი ეგონა. ჩემი ნათქვამის მიხედვით არც ის უნდა დავასკვნათ, რომ მირზა ჰასანს არ უყვარს მირზა ბოზორგი და არც ის, რომ მისი პიროვნების მნიშვნელოვნება და ის პატივისცემა, რომლითაც ის სარგებლობს, ქრება მამის წინაშე, რომლისთვისაც იგი იმაზე უფრო ძვირფასია, ვიდრე ამის წარმოდგენაა შესაძლებელი. ვეზირს ათას გარემოებაში გამოუცდია თავისი შვილის უპირატესობა თავის თავთან შედარებით. მირზა ჰასანს ხშირად უჭირავს პირველი ადგილი მცირერიცხოვან საზოგადოებაში, მაგრამ დიდ შეკრებებზე ის უნდა იქცეოდეს აღმოსავლური წესის მიხედვით, რომელიც შვილებისაგან მამების მიმართ უდიდეს პატივისცემას ბრძანებს, თუნდაც ამ შვილებს მირზა ჰასანზე უფრო მაღალი მდგომარეობა ჰქონდეთ. დაბოლოს, მეფისწულის შემდეგ მირზა ჰასანია ყველგან პირველი და თუკი ბედისწერა კვლავ ინებებს, რომ ანარქიამ ხელახლა არიოს სპარსეთი, ის პოპულარობა, რომლითაც ეს ახალგაზრდა სენიორი სარგებლობს, ასევე მისი უსაზღვრო ამბიციურობა და ჭკუა, დიდი სიმამაცე და ის მნიშვნელოვანი დასაყრდენი რომელიც აქვს, მაფიქრებინებს, რომ შეუძლებელი (fol. 109v) არ იქნება, რომ მან თავისივე ბატონის ნამსხვრევებზე ააგოს თავისი ხელისუფლება.

* * *

მირზა ალი-რიზა, უბედური დიდი ვეზირის, ჰაჯი იბრაჰიმის, ეაჟი თავისი მამის შერისხვას შეეწირა. მას და მის ძმას დათხრილი აქვთ თვალები. ფათჰ-ალი შაჰის მიერ რისხვის დროს გაცემული ბრძანების გამო კი იგი დაასაჭურისეს კიდეც. ამის შემდეგ მისმა უმაღლესობამ ის წარუდგინა აბას მირზას, რომელიც სიბრალულით აღიესო მისი უბედურების მიმართ, თავისი გამორჩეული კეთილშობილებით მიიღო და კეთილგანწყობითა და პასტერისცემით მოეპყრო, რათა მისთვის გადატანილი უბედურებები დაევიწყებინებინა. ამ ახალგაზრდა საჭურისმა, რომელსაც ძლიერ განვითარებული გონება აქვს, მისთვის დამახასიათებელი დიდი სითბოთი და თავაზიანობით იმათი გულებიც კი მოიგო, რომელთა მოლბობას აღარც კი მოელოდა თავისი ცხოვრების დასაწყისში გადატანილი გაუგონარი უბედურების გამო. მაგრამ მას არ უნდა ენდო, რადგან მასაც ყველა ის მიდრეკილება, ნაკლი, ქცევა და გაქნილობა ახასიათებს, რაც მირზა ჰასანს, რომლის ფავორიტიც არის. ამას ისიც დაუმატეთ, რომ იგი მეტად მომხიბვლელია. იგი ცხრამეტი წლისაა, მაგრამ ტანმორჩილია, ფაქიზი ნაკვთების გამო კი თავიდან ბავშვი გეგონება, მაგრამ მისი დიდი ჭკუა და ის პატივისცემა, რომელსაც მისთვის მეფისწულის მიერ მინდობილი საქმის გამო სცემენ, აგრეთვე ხმა, რომელიც მოსალოდნელზე უფრო ვაჟკაცურია, მაშინვე აჩენს მის ჭეშმარიტ ასაკს. იგი მეფისწულის სასახლის მთავარი ინტენდანტია (fol. 110r). მირზა ჰასანის მსგავსად, ისიც არაჩვეულებრივი ელეგანტურობით იმოსება და უფრო დახვეწილად მოკაზმვას ქალიც კი ვერ შესძლებს. აბას მირზა კი, რომელიც სამართლიანია და გრძნობს, რომ ამ ახალგაზრდა უბედურს ქვეყანაზე სხვა სიამოვნება არა აქვს, საშუალებას აძლევს მას ისე გასწიოს დიდი ხარჯები, რომ თავის თანამდებობაზე უპატიოსნო საქციელი არ ჩაიდინოს. არ ვიცი რა მიზეზმა, კეთილგანწყობამ თუ საერთო ინტერესებმა, მირზა ჰასანი და მირზა ალი-რიზა ისე დაუაახლოვა ერთმანეთთან, რომ ამაზე მეტი სიახლოვე შეუძლებელია. საეჭვო არაა, რომ იმ ფარისეველურ გარემოში, რომელშიც ეს ახალგაზრდა კაცი იმყოფება, ერთ დღეს ის გარკვეულ ფუნქციას შეასრულებს.

* * *

მირზა მეჰდი, თავრიზის მუფთი, ორმოცდაათიოდე წლის, ჯერ კიდევ ჯანღონით სავსე, სრულიად უბრალო გარეგნობის კაცია. მას მეტად ფართო ცოდნა აქვს და დიდი ნდობით სარგებლობს. იგი, ასე ვთქვათ, თავრიზის შინაგან საქმეთა და პოლიციის მინისტრია. იგი უდიდესი მონდომებით ეკიდება ყოველივეს, რაც მეფისწულს ქვეშევრდომი მოსახლეობის წინსვლას ეხება. მირზა ბოზორგიც, ნაწილობრივ, სწორედ მას აკისრებს მმართველობის ტვირთს. როდესაც აბას მირზამ ახალგაზრდობის საყოველთაო განათლებისათვის კოლეჯების დაარსება გადაწყვიტა, მან ისე ძლიერ აქო მისი მამობრივი მზრუნველობა, რომ მისმა სამეფო უმაღლესობამ, რომელიც ამაზე უკეთესად ვერ შესძლებდა მის მიმართ თავისი ნდობის გამოხატვას, ამ მნიშვნელოვანი საქმის განხორციელება და ხელმძღვანელობა სწორედ მირზა

მეჰდის დაავალა. მის ხასიათს ნაკლებად ვიცნობ, რადგან (fol. 110v) მასთან ურთიერთობის საშუალება მეტად იშვიათად გვქონდა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი იმდენად პრეტენზიული და პატივმოყვარეა, რამდენადაც მცოდნე. მან ელექტროობის რაღაც ექსპერიმენტი ჩაატარა და ირწმუნება, რომ იგი სპარსეთში პირველია, ვისაც რაღაც გაეგება ამ საკითხზე. თუკი უნდა ვენდოთ მას, ამ ფენომენის აღმოჩენა მან დაუხმარებლად, მხოლოდ თავისი ნიჭის წყალობით შესძლო. მას სურს მუსლიმად აქციოს ნებისმიერი საღად მოაზროვნე და გონიერი ადამიანი. ამგვარად, ალბათ, ორიოდე სიტყვით შეიძლება მისი დახასიათებაც და იმის დასკვნაც, რომ ის ფანატიკოსი მუსლიმია.

* * *

ალი ხანი კარისკაცთა უფროსია, იბრაჰიმ ხანი კი – მონებისა, გელბ-ჰუსეინ ხანი ელჩების მესტუმრეა, ფათჰ-ალი ხან რაშთი[33] და ფათჰ-ალი ხან ნური[34] არც თავიანთი თანამდებობით და არც თავიანთი შესაძლებლობებით არ არიან მნიშვნელოვანნი. ეს უკანასკნელი დანარჩენებს თავისი ჭკუით სჯობს" (AMFAE, MD/Perse, vol. 7, doc. 41, fol. 102r-111r).

შენიშვნები

1 ნერსიების ოჯახი წარმოშობით ნეაპოლიდან იყო. მათი წინაპარი, წმ. იოანე იერუსალიმელის რაინდი, ბერი ანტუან-ანდრეა, 1619 წელს ომში, აფრიკაში გარდაიცვალა. დროთა განმავლობაში ნერსიების ოჯახის ერთი შტო ბურგუნდიაში დასახლდა, მეფის სამხედრო სამსახურში ჩადგა და ბარონის ტიტული მიიღო. ოგიუსტ დე ნერსიას პაპა, რობერ-ანდრეა დე ნერსია, ბურგუნდიის პარლამენტის ადვოკატი იყო. მის მამას, ანდრე-რობერ-ანდრეა დე ნერსიას (1739-1800), შესანიშნავი და მრავალმხრივი განათლება ჰქონდა მიღებული. სხვადასხვა დროს ის ჯარისკაცი, დიპლომატი, ორმაგი აგენტი, მუსიკოსი და მწერალი იყო. მის კალამს ეკუთვნის იმჟამად მეტად პოპულარული ეროტიკული ნოველები (აპოლინერი 1910: 3, 29-30).

2 1793 წელს პარიზის *Le collège Louis-le-Grand*-ს სახელი გადაარქვეს და *Le collège Egalité*, შემდეგ კი *Prytanée d'Athènes*-ს მიხედვით *Prytanée français* უწოდეს. ამ სასწავლებლის აღსაზრდელებს სახელმწიფოს ხარჯზე აძლევდნენ სამოქალაქო (ადმინისტრირება, საინჟინრო საქმე, სამართალმცოდნეობა, მედიცინა, პედაგოგიკა) და სამხედრო განათლებას .

3 ოგიუსტ ბონტამ-ლეფორმა (1782-1864) განათლება პარიზის პოლიტექნიკურ სკოლასა და მეცის სამხედრო სასწავლებელში მიიღო (ლეკომტი 1864: N 9, 132).

4 ყაჯართა დინასტიის დამაარსებელის, აღა-მაჰმად-ხანის სიტყვიერი ანდერძის თანახმად, სპარსეთის ტახტის მემკვიდრე მხოლოდ ყაჯართა ტომის დავალეს გვარის ქალისაგან უნდა ყოფილიყო შობილი. ამგვარი გადაწყვეტილების მიზანი ყაჯართა ტომის განსამტკიცებლად ყოიუნლუსა და დავალუს გვარების შერიგება იყო. აბას მირზას დედა, ასიე ხანომი, ფათჰ-ალი ხან დავალუ ყაჯარის ქალიშვილი, ფათჰ-ალი შაჰის მთავარი ცოლი იყო (სოლთან აჰმად მირზა 1997: 110, 336; კუზნეცოვა 1983: 18-19).

5 აღა-მაჰმად ხანის მკვლელობის შემდეგ, 27 წლის ბაბა-ხანი ფათჰ-ალი შაჰის სახელით 1798 წლის 21 მარტს ავიდა ტახტზე. რუსები მას სპარსეთის შაჰად არ ცნობდნენ და სხვადასხვა დოკუმენტებში მას კვლავ ბაბა-ხანად მოიხსენიებდნენ (დუბროვინი 1897: 112).

6 ფათჰ-ალი შაჰმა თავისი მეოთხე ვაჟი, აბას მირზა (1788-1833), 1799 წელს აზერბაიჯანის მმართველად დანიშნა. თუმცა ამ მეფისწულის გავლენა აზერბაიჯანის საზღვრებს არ სცილდებოდა, მისი წოდება იყო *ნაიბ-ოს სალთანე* (*nŷeb-os saltaneh*) ანუ მეფის ნაცვალი, რადგან მას უცხოელებთან თავისი მამის სახელით უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკებები. შაჰმა აბას მირზა ტახტის მემკვიდრედ – *ვალიაჰდად* (*vali'ahd*) – რუსეთისა და ინგლისის გავლენით ამ მეფისწულის გარდაცვალებამდე მხოლოდ ერთი წლით ადრე, 1832 წელს, დაასახელა (ებრაჰიმნეჯადი 1999: 272, 289).

7 ფათჰ-ალი შაჰის ხუთი უფროსი ვაჟი 1788/89 წლებში, ექვსი თვის განმავლობაში, დაიბადა. ტახტის მემკვიდრეობას ჩამოცილებული შაჰის პირველშობილი ვაჟის, მოჰამად-ალი მირზა *დოლათშაჰის* დედა ზიბაჩეჰრ-ხანუმი, ქართველი ტყვე, გვარად წიქარიშვილი უნდა ყოფილიყო (შარაშენიძე 1984: 36). მოჰამად-ალი მირზა 1798-1806 წლებში ყაზვინს, 1806 წლიდან გარდაცვალებამდე (1821 წ.) კი ხუზისტანს, ლურისტანს, ქერმანშაჰს და მთიან ქურთისტანს მართავდა. შაჰის მეორე ვაჟის, მაზანდარანის მმართველი მოჰამად-ყული მირზა *მოლქარას* დედა, ასიე ხანუმი, მოჰამად ხან ყაჯარის ქალიშვილი, ფათჰ-ალი შაჰის მამის ძმის, მეჰდი-ყული ხანის, პირველი ცოლი იყო. დაქვრივების შემდეგ აღა-მაჰმად-ხანმა იგი ბაბა-ხანს შერთო ცოლად. შაჰის მესამე ვაჟის, ხორასანის მმართველი მოჰამად-ვალი მირზას დედა, ბიბი ქუჩაქ ხანუმი, სადეყ ხან ბორუჯერდელის და იყო. შაჰის მეხუთე ვაჟის, ფარსის მმართველი ჰოსეინ-ალი მირზა *ფარმანფარმას* დედა, ბადრჯაჰან ხანუმი, მოჰამად ჯაფარ ხანის ქალიშვილი იყო (სოლთან აჰმად მირზა 1997, 336-338, 360-364).

8 აბას მირზა დაავადებული იყო ძვლის ტუბერკულიოზით (ყაჯარი 1992: 99).

9 სპარსეთიდან გაქცეული ჯაფარ ყული ხანი ტიფლისში დასახლდა, რუსეთის სამედრო სამსახურში შევიდა, გენერლის ჩინი მიიღო და ევროპული ცხოვრების წესების შეთვისებას ცდილობდა (ფრეიგანგი 1816: 141-148).

10 1806 წლის მაისში არდებილში დაბანაკებულ აბას მირზასთან ჩასული ფრანგი ემისრის, ამედე ჟობერის, ცნობით „სპარსელები ნაპოლეონში ხედავდნენ არა მხოლოდ ევროპის არბიტრსა და ბატონს, არამედ აღმოსავლეთის შეცვლისთვის მოწოდებულ პირს". ახალგაზრდა მეფისწულისში ბონაპარტის დიდება განსაკუთრებულ გაოცებასა

და აღტაცებას იწვევდა (AN, AF, IV, 1686, doc. 16, fol. 7, 8). კაპიტან ბონტამ-ლეფორის თქმით, ნაპოლეონი აბას მირზასათვის მისაბაძი გმირი და მაგალითი იყო (ბონტამ-ლეფორი S.d.: 108).

11 ერევნის ოლქის მმართველი, ჰოსეინ-ყული ხანი, აბას მირზას ნომინალურად ემორჩილებოდა (AMFAE, CP/Perse, vol. 10, doc. 201, fol. 387r-387v). ჰოსეინ ხანი და მისი ძმა, ჰასან ხანი, ერევნის სახანოს ფხიზლად სდარაჯობდნენ და თავგამოდებით იცავდნენ რუსებისაგან. ხანგრძლივმა მმართველობამ, ისევე როგორც მონოპოლიამ ადგილობრივ წარმოებაზე, მათ დიდი სიმდიდრე შესძინა, რადგან ეს ძმები განაგებდნენ თითქმის მთელ სავაჭრო ურთიერთობებს საქართველოსა და თურქეთის არმენიას შორის (AMFAE, MD/Perse, vol. 6, doc. 34, fol. 204r).

12 იგულისხმება აბას მირზას აღმზრდელი და პირველი ვეზირი, მირზა ბოზორგი.

13 აბას მირზა მეტად შეწუხებული იყო რუსეთთან ომში წარუმატებლობის გამო, მაგრამ თავისი ლაშქრის ევროპულ ყაიდაზე რეორგანიზების შედეგად კარგად გაწვრთნილი ჯარის მეშვეობით იგი რუსებისათვისაც ანგარიშგასაწევი მოწინააღმდეგე გახდებოდა და ტახტის მაძიებელ ძმებზეც დიდ უპირატესობას მოიპოვებდა.

14 გენერალ გარდანის მისიის ატაშეს, ადრიენ დიუპრეს ცნობით, აბას მირზა ყველაზე დაბალი რანგის ოფიცერივით, სადად იყო ჩაცმული (დიუპრე 1819: II, 298-299). 1808-1809 წლებში სპარსეთში ბრიტანეთის საგანგებო წარგზავნილის, სერ ჰარფორდ ჯონს ბრიჯის მდივანი, ჯეიმს მორიერი, ამ საკითხის შესახებ წერს: „როდესაც იგი თავის ოფიცრებს ფარჩის ტანისამოსში ხედავს, ეუბნება: რა საჭიროა ეს მორთულობა? ყოველიე ამას კარგი ცხენის, ხმლისა და თოფის ყიდვა სჯობს. ბრჭყვიალა ნივთები ქალების საქმეა და არა იმისი, ვინც მამაკაცისა და ჯარისკაცის სახელზე ოცნებობს" (მორიერი 1812: 280).

15 აბას მირზას დამოკიდებულებას თავისი ვაჟების გარდაცვალების შესახებ ჯეიმს მორიერიც ეხება. იგი წერს: „მოკვდნენ! რატომ უნდა ვიდარდო? ქვეყანას ამით არაფერი დაუკარგავს. მე რომ სამი ერთგული მსახური დამეკარგა, სამი ოფიცერი რომ მომკვდარიყო, დავდარდიანდებოდი. ბავშვები კი ჯერ ისევ აკვანში იყვნენ. მხოლოდ ღმერთმა უწყის შესძლებდნენ თუ არა ისინი ქვეყნისათვის კარგი სამსახურის გაწევას, როდესაც გაიზრდებოდნენ" (მორიერი 1812: 280).

16 გენერალ გარდანის უფროსი ძმა და საფრანგეთის მისიის პირველი მდივანი, ანუ დე გარდანი წერს: „სადილის შემდეგ მოცეკვავეები მოიყვანეს. ვეზირმა გვითხრა: – ჩემ ბატონს არ უყვარს მოცეკვავეები და ყველა გაყარა თავრიზიდან. მე ისინი მეზობელი სოფლებიდან მოვაყვანინე, რადგან სპარსეთის ელჩისაგან (იგულისხმება მირზა მოჰამად-რიზა ხანი, შაჰის მიერ 1806 წელს ნაპოლეონთან წარგზავნილი ელჩი – ი.ნ.) შევიტყვე, რომ თქვენთვის ეს სასიამოვნო გასართობია" (გარდანი 1809: 37). გენერალ გარდანის მისიის თარჯიმნის, ტანკუანის, ცნობით სპარსეთში იშვიათად თუ ნახავდი მეძავს, მათ ვერასოდეს შეამჩნევდი ქუჩაში და მათთან საქმეს მხოლოდ მდაბიოები იჭერდნენ (ტანკუანი 1819: II, 20).

17 იგულისხმება 1807 წლის 4 მაისს ფინკენშტეინში დადებული საფრანგეთ-სპარსეთის სამოკავშირეო ხელშეკრულება.

18 იგულისხმება ნაპოლეონის მიერ 1805 წლის 2 დეკემბერს ავსტრიელებსა და რუსებზე ქ.ალაქ აუსტერლიცთან (დღეს ქ. სლავკოვი სლოვაკეთში, – ი.ნ.) მოპოვებული გამარჯვება.

19 1798 წელს ჰაჯი იბრაჰიმ ხან შირაზელის რჩევით ფათჰ-ალი შაჰმა მირზა ისა ფარახანელი აბას მირზას აღმზრდელად დანიშნა. ჰაჯი იბრაჰიმ ხანის დასჯის შემდეგ ფათჰ-ალი შაჰმა მირზა ისას *ყაიემ მაყამის* ტიტული უბოძა (აბდ ორ-რაზაყ დომბოლი, 1982: 437).

20 ჯაფარ ხან ზენდი – სპარსეთის მმართველი (18.02.1785-23 .01. 1789).

21 მოჰამად ქერიმ ხან ზენდი (1705-1779) – სპარსეთის მმართველი 1763-1779 წლებში. ზენდთა დინასტიის დამაარსებელი.

22 იგულისხმება წინასწარმეტყველი მუჰამედის ქალიშვილის, ფატიმასა და ხალიფა ალის ვაჟი, ჰუსეინი, შიიტთა მესამე იმამი, რომელიც 680 წელს მოკლეს ქარბალასთან.

23 მირზა მოჰამად შაფი, აღა-მაჰმად-ხანისა და ფათჰ-ალი შაჰის პირველი ვეზირი, გარდაიცვალა 1818 წელს ყაზვინში (აბდ ორ-რაზაყ დომბოლი, 1982: 438). სერ ჰარფორდ ჯონს ბრიჯი მას უწოდებდა „ყველაზე ეშმაკ ბებერ მელას", რომელიც კი მას ოდესმე შეხვედრია (ჯონს ბრიჯი 1834: I, 221). ფათჰ-ალი შაჰის ორმოცდამეცხრე ვაჟი, სოლთან აჰმად მირზა, მის შესახებ წერს: „მისი ხასიათი ისეთი იყო, რომ ხაყანს (ფათჰ-ალი შაჰს – ი.ნ.) მშვიდად ყოფნის საშუალებას არ აძლევდა, ყოველთვის იმის ფიქრში იყო, რომ სადმე ჯანყი ან არეულობა მომხდარიყო, რათა ხელმნიფეს მისი რჩევა-დარიგებები დასჭირვებოდა" (სოლთან აჰმად მირზა 1997: 113).

24 შირაზის მმართველს, ჰაჯი იბრაჰიმს, ხელისუფლებაში ბრძოლის დროს გაწეული სამსახურისათვის აღა-მაჰმად-ხანმა პირველი ვეზირის თანამდებობა უბოძა. აღა-მაჰმად-ხანის სიკვდილის შემდეგ ჰაჯი იბრაჰიმმა ძლიერ შეუწყო ხელი ბაბა-ხანის ტახტზე ასვლას და დიდი უფლებებიც მოიპოვა. 1801 წელს მისმა მოწინააღმდეგეებმა ყალბი წერილები შეთხზეს მისი სახელით და ფათჰ-ალი შაჰს გაუგზავნეს. ამ წერილებიდან ირკვეოდა, თითქოს მას ფათჰ-ალი შაჰის ტახტიდან ჩამოგდება და მისი ძმის, ჰოსეინ-ყული მირზას, გამეფება სურდა. შაჰი ამ წერილს ერწმუნა და მისი ბრძანებებით ჰაჯი იბრაჰიმს თვალები დათხარეს, ენა მოაჭრეს და ყაზვინში გაგზავნეს, სადაც მალე გარდაიცვალა. ყველა მისი ხელდასმული კი გაანადგურეს და დაასახიჩრეს (აბდ ორ-რაზაყ დომბოლი, 1982; 487).

25 აუსტერლიცის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის ლეიტენანტი ბონტამ-ლეფორს კაპიტნის ჩინი მიანიჭეს და საპატიო ლეგიონის ორდენით დაჯილდოვეს (ლეკომტი 1864: №9, 132). ოგიუსტ დე ნერსიას ცნობით, ბონტამ-ლეფორს მეფისწულ აბას მირზასათვის უთხოვია ორდენი, რომელიც მას სპარსეთში გენერალ გარდანის მისიის ჩასვლამდე მისცეს (ნერსია 1825: 227). დავაზუსტებთ, რომ 1807 წლის დეკემბერში ფათჰ-ალი შაჰმა მზის პირველი

ხარისხის ორდენით გენერალი გარდანი, ხოლო მეორე ხარისხის ორდენით თეირანში მასთან ერთად მყოფი მისიის წევრები დაჯილდოვა (AMFAE, CP/Perse, vol. 14, doc. 2, fol. 5v). 1808 წლის ივნისში გენერალ გარდანის ძმამ და მისიის პირველმა მდივანმა, ანუ დე გარდანმა, საფრანგეთში ფათჰ-ალი შაჰის მიერ რატიფიცირებული საფრანგეთ-სპარსეთის ხელშეკრულება (4.05.1807) და შაჰის მიერ ტალეირანისა და ჰიუგო-ბერნარ მარესათვის გაგზავნილი მზის დიდი ორდენები ჩაიტანა (გარდანი 1809: 122). საფრანგეთის მისიის ის წევრები, რომლებიც 1807 წლის დეკემბერში თეირანში არ იმყოფებოდნენ, შაჰმა 1808 წლის ზაფხულში დაჯილდოვა მეორე და მესამე ხარისხის მზის ორდენებით (დიუმა 1915: 61). 1809 წელს პარიზში გამოცემულ *Almanach Impérial*-ში გამოქვეყნებული იყო, რომ მზის დიდი ორდენი მიღებული ჰქონდათ ბენევანის თავადს – ტალეირანს, სახელმწიფო მინისტრს – გრაფ ბერნარ მარეს და საფრანგეთის ელჩს – გენერალ გარდანს, მეორე კლასის მზის ორდენი – ლა ბლანშს, ხოლო პატარა მზის ორდენი – ანუ დე გარდანსა და საინჟინრო საქმეთა კაპიტანს, ბონტამს (ტესტუ 1809: 166). მზის ორდენის დაარსების საკითხი დაწვრილებით გამოკვლევას მოითხოვს, რადგან დასადგენია, თუ ვისი ინიციატივით დააარსდა ეს ჯილდო. არც ის არის ცნობილი, რა ორდენით დაჯილდოვდა რუსი დეზერტირი.

[26] 1819-1821 წლებში აბას მირზას სამხედრო სამსახურში მყოფი ნაპოლეონის ყოფილი ოფიცრის, ლეიტენანტ თეოდორ ეტიეს, ცნობები სრულიად ემთხვევა მირზა შაფის დე ნერსიასეულ დახასიათებას (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 249r-249v).

[27] მირზა ბოზორგის მეორე ვაჟი, მირზა აბულ-ყასემი, შემდგომში აბას მირზას ვაჟის, მოჰამად შაჰის (1834-1848) აღმზრდელი და მისი *ყაიემ მაყამი* იყო. აბას მირზას გარემოცვის დახასიათებისას, ლეიტენანტი თეოდორ ეტიე აღნიშნავდა, რომ მირზა აბულ-ყასემი, მეტად ცუდი ვეზირი იყო, იგი ძარცვავდა მეფისწულს და მხოლოდ თავის მამას ემორჩილებოდა (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 249r-250r).

[28] საფრანგეთთან კავშირის დამყარება და ფრანგი ოფიცრების დახმარებით სპარსეთის ლაშქრის რეფორმირება ფათჰ-ალი შაჰს პირველმა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები თურქულენოვანი ტომის წარმომადგენელმა, თავრიზის ბეგლარბეგმა, აჰმედ ხანმა, ურჩია (ტანკუანი 1819: I, 130). 1812-1813 წლებში აბას მირზას სამხედრო სამსახურში მყოფი პოლკოვნიკ დრიუვილის ცნობით, ერეკლე II-ს გარდაცვალების შემდეგ სპარსეთში მრავალი რუსი დეზერტირი გაიქცა და სწორედ მათ ჩაიტანეს იქ პირველი ცოდნა ევროპული სამხედრო ტაქტიკის შესახებ. აჰმად ხანისვე ხელშეწყობით ისინი ოფიცრებად დაუნიშნავთ და მათ რამდენიმე ბატალიონიც კი ჩამოუყალიბებიათ, მაგრამ ისინი იმდენად არასრულყოფილი ყოფილა, რომ მალე დაშლილა (დრიუვილი 1825: II, 67). ამედე ჟობერის ცნობით, აჰმედ ხანი მზად იყო თვითონ ეხელმძღვანელა სპარსეთის ლაშქარში ფრანგული სამხედრო სისტემის შემოღებისათვის, თუკი ნაპოლეონი სპარსეთში ოფიცრებს მიავლენდა. ხანი იმედოვნებდა, რომ ამ დახმარების მეშვეობით სპარსელთა ლაშქარი ერთი წელიწადში გაძლიერდებოდა და უდისციპლინო ურდოების ნაცვლად რუსებს ჭეშმარიტი ჯარი დაუპირისპირდებოდა (AN, AF, IV, 1686, doc. 16, fol. 20).

[29] კაპიტან ბონტამ-ლეფორის ცნობით, აბას მირზას ბანაკში ყოფნის დროს, აჰმედ ხანმა მას და დე ნერსიას გალიენის რეცეპტით სანდალოზის ხისაგან დამზადებული სითხე აჩვენა, რომლის მიღებამდეც ხანი ლოცვებს კითხულობდა და კრიალოსანს მარცვლაედა იმის გასაგებად, თუ რამდენად არგებდა მას წამალი (ბონტამ-ლეფორი S. d.: 156).

[30] იგულისხმება ალესანდრო-ლუიჯი დე კორანჩეზი, ალეპოში საფრანგეთის იმჟამინდელი კონსული. 1805 წლის 12 ოქტომბერს თეირანში გენერალ ალექსანდრ რომიეს მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ (12.10.1805), როდესაც არ იყო ცნობილი ფათჰ-ალი შაჰთან 1805 წლის მარტში წარგზავნილი ამედე ჟობერის შესახებ და ბუნდოვანი იყო საფრანგეთ-სპარსეთის შემდგომი ურთიერთობის ბედი, 1806 წლის 1 იანვარს აჰმედ ხანმა დე კორანჩეზის მისწერა წერილი, რომელშიც მას ხელის შეწყობას სთხოვდა საფრანგეთთან მეგობრული კავშირის დამყარებაში (AMFAE, CP/Perse, vol. 9, doc. 1-2, fol. 3r-3v).

[31] 1810 წელს ფათჰ-ალი შაჰმა აზერბაიჯანის ვეზირის თანამდებობა მირზა ბოზორგის ვაჟს, მირზა ჰასანს უბოძა, მაგრამ მირზა ჰასანი ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა და აბას მირზას ვეზირად მირზა ბოზორგის მეორე ვაჟი, მირზა აბულ-ყასემი, დაინიშნა, მაგრამ აზერბაიჯანის საქმეებს ფაქტობრივად, კვლავ მირზა ბოზორგი განაგებდა (აბდ ორ-რაზაყ დომბოლი, 1982: 437).

[32] ანუ დე გარდანის თხზულებაში შემდეგი ცნობაა დაცული მირზა ჰასანის შესახებ: „ვეზირს ჰყავს ვაჟი. მირზა ჰასანი, ოციოდე წლის ახალგაზრდა კაცი. ის ოთახის სიღრმეში იჯდა, როდესაც იქ მისი მამა შევიდა. ჰასანი ადგა, მიწამდე სცა თაყვანი და კართან დადგა. შვილები მამის მიმართ უდიდეს პატივისცემას გამოხატავენ. ისინი მათი სახელის გაგონებაზეც კი ფეხზე დგებიან" (გარდანი 1809: 37).

[33] აბას მირზას სასახლის ერთ-ერთი მთავარი ოფიცერი, ფათჰ-ალი ხან რაშთი, აღა-მაჰმად-ხანის მიერ დაბრმავებული გილანის მმართველის, ჰედაიეთ ხან რაშთის, ვაჟი, მძევლად ჰყავდათ შაჰის კარზე, რაც ბონტამ-ლეფორის აზრით, მისი ცუდად აღზრდის მიზეზი იყო. მას უხეში მანერები და მეტყველება ჰქონია, მისი მაღალი წარმომავლობა კი მხოლოდ ოქროქსოვილი ტანისამოსის ტარებითა და აღმაშფოთებელი ცინიზმით გამოიხატებოდა (ბონტამ-ლეფორი S. d.: 142).

[34] ამედე ჟობერის ცნობით, თავრიზის ბეგლარბეგის, აჰმედ ხანის მოადგილე, ფათჰ-ალი ხან ნური დიდ დაინტერესებას ავლენდა დასავლური მეცნიერების, ხელოვნების, მრეწველობისა და ცივილიზაციის მიმართ. იგი ჟობერს კომპასის გამოყენების, მეხამრიდის, აერტოსტატების, ტელეგრაფის, ევროპელ ნაოსანთა მიერ აღმოჩენილი ახალი მიწების, ელექტრონის საოცრებასა და ყვავილის აცრის შესახებ ესაუბრებოდა (ჟობერი 1821: 160-162).



ოგიუსტ დე ნერსიას ხელნაწერის, ფრაგმენტი.
AMFAE, MD/Perse, vol. 7, doc. 41, fol. 102r.



ოგიუსტ დე ნერსიას ხელნაწერის, ფრაგმენტი.
AMFAE, MD/Perse, vol. 7, doc. 41, fol. 106r.



ოგიუსტ დე ნერსიას ხელნაწერის ფრაგმენტი.
AMFAE, MD/Perse, vol. 7, doc. 41, fol. 111r.

დამოწმებანი

აბდ ორ-რაზაყ დომბოლი 1982: აბდ ორ-რაზაყ დომბოლი. მეფეთა საგმირო საქმეები. სპარსულიდან ქართულად თარგმნეს, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთეს ზ. შარაშენიძემ და ა. ჭეიშვილმა. თბილისი (ხელნაწერი დაცულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში).

აპილინერი 1910: Apollinaire, G. *Les maîtres de l'amour l'œuvre du Chevalier Andréa de Nerciat.* Introduction, essai bibliographique, analyses et notes par Guillaume Apollinaire. Paris.

ბონტამ-ლეფორი S. d: [Bontems Le Fort] *Lettres d'un officier français contenant la relation d'un voyage rapidement fait en Turqui et en Perse pendant l'année 1807.* S. l.

გარდანი 1807: Gardane, Ange de. *Journal d'un voyage dans la Turquie-d'Asie et la Perse, fait en 1807-1808, suivi d'un Vocabulario Italiano, Persico et Turco par le Prince Timurat-Mirza.* Paris-Marseille.

დაირ დე მაიო 1896: Dayre de Mailhol, Camille Philippe. *Dictionnaire historique et heraldique de la noblesse française.* Vol. II, Paris.

დეგრო 1984: Degros, Maurice. – „Les jeunes de langues sous la Révolution et l'Empire". Tiré à part de „Revue d'histoire diplomatique", 99/2. Paris, pp. 77-109.

დიუმა 1915: Dumas, J.-B., Général. *Un fourrier de Napoléon vers l'Inde, Les papiers du Lieutenant Général Trézel.* Paris.

დიუპრე 1819: Dupré, A.*Voyage en Perse, fait dans les années 1807, 1808 et 1809.* Vol. I-II, Paris.

დრიუვილი 1825: Drouville, G., *Voyage en Perse, fait en 1812 et 1813.* Vol. I-II, Paris.

დუბროვინი 1897: Дубровин, Н. Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ея к России, Санкт-Петербург.

ებრაჰიმნეჯადი 1999: Ebrahimnejad, H., *Pouvoir et succession en Iran. Les premiers Qâjâr, 1726-1834.* Société d'histore de l'Orient. L'Harmattan. Paris.

ელო-ბელიე 2007: Hellot-Bellier, F. *France – Iran, quatre cents ans de dialogue.* Avec le concurs de L'UMR 7528 « Mondes iranien et indien ». Paris.

კუზნეცოვა 1983: Кузнецова, Н. А. Иран в первой половине XIX века, Москва.

ლეკონტი 1864: Lecomte, F. lieutenant-colonek fédéral. *Le Colonel Auguste Bontems.* Nécrologie. Revue Militaire Suisse, №9, 27 Avril. Imprimerie Pache, Lausanne, pp. 131-136.

მორიერი 1812: Morier, J., *A Journey Through Persia, Armenia, and Asia Minor, to Constantinople, in the Years 1808 and 1809.* London.

ნერსია 1825: Nerciat, Au. „Examen critique du voyage en Perse de M. le colonel Gaspard Drouville dans les années 1812-1813, par M. le Baron de Nerciat". Bulletin de Société de Géographie, Vol. XXX. Paris, pp. 216-232.

ნერსია 1825: Nerciat, Au. „Extrait de la traduction fait par M. le Baron de Nerciat d'un Mémoire de M. de Hammer sur la Perse". Recueil de voyage et de mémoire publié par la société de Géographie, Vol. II. Paris, pp. 247-344.

პიერიერი 1951: Puryear, V. J., *Napoleon and Dardanelles.* University of California Press, Berkeley and Los Angeles.

ჟობერი 1821: Jaubert, P. Am., *Voyage en Arménie et en Perse, fait dans les années 1805-1806.* Paris.

საფრანგეთის ეროვნული არქივი: Archives Nationales (AN): AF IV, 1686, doc. 16.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: Archives du Ministère des Affaires Étrangères (AMFAE), *Correspondances Politiques, Perse* (CP/Perse): vol. 9, doc: 1, 2, 85, 155, 184; vol. 10, doc. 5, 201; vol. 11, doc: 105, 181; vol. 14, doc. 2, 126, 127, 289.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: Archives du Ministère des Affaires Étrangères (AMFAE), *Mémoires et Documents, Perse* (MD/Perse): vol. 2, doc. 29; vol. 6, doc. 20, 34; vol. 7, doc. 34, 36, 41, 180.

სოლთან აჰმად მირზა 1997: Soltān Ahmad Mīrzā. *Tārīkh-e Āzādī, ta'līf-e Shāhzādeh Āzād-oddouleh Soltān Ahmad Mīrzā, bā touzīhāt va ezāfāti az doktor 'Abdolhoseyn Navā'ī.* Tehran.

ტანკუანი 1819: Tancoigne, J. M. *Lettres sur la Perse et la Turquie d'Asie.* Vol. I-II, Paris.

ტესტუ 1809: Testu. *Almanach Impérial, pour l'année M DCCC IX, présenté à S. M. l'Empereur et le Roi par Testu.* Paris.

ფრეიგანგი 1816: Freygang. *Lettres sur le Caucase et la Géorgie, suivies, d'une relation d'un voyage en Perse, en 1812.* Hambourg.

ყაჯარი 1992: Kadjar, Prince Ali. *Les Rois oubliés, l'épopée de la dynastie Kadjare.* Paris.

შარაშენიძე 1984: ზ. შარაშენიძე. ირანის შინაპოლიტიკური ვითარება და საგარეო ურთიერთობანი XIX საუკუნის დასაწყისში. თბილისი.

ჯონს ბრიჯი 1834: Jones Brydges, Sir Harford. *An Account of the Transactions of His Majesty's Mission to the Court of Persia, in Years 1807-1811.* Vol. I-II, London.

FRENCH DRAGOMAN'S INFORMATION ABOUT THE PRINCE ABBAS MIRZA AND HIS ENTOURAGE (1807-1808)

Irine Natchkebia

In present paper we are focused on the report by August-Andréa de Nerciat, the second dragoman of the General Gardane, the Plenipotentiary Minister of France to Persia in 1807-1809. This manuscript dated by January 17, 1808, and entitled *Notice of the Most Distinguished Personages of the Tabriz Court (Notice sur les personnages plus distingués de la cour de Tauris),* is kept in the archives of the Ministry of Foreign Affaires of France. August de Nerciat as the interpreter of the engineering Captain Auguste de Bontems-Lefort was in the service of the Crown Prince Abbas Mirza from July till November 1807.

"Notice" is written on the basis of the personal impressions and the information gathered on the spot. It consists of eight chapters. The first chapter is devoted to characterization of the Prince Abbas Mirza. In the remaining seven chapters the author gives information about the *distinguished* persons of the court of Tabriz: six representatives of the Qajar tribe (Mehdi-Quli khan, Ali khan, Hedaiet-Quli khan, Hossein-Ali khan, Gelb-Ali khan and Ismail khan), Mirza Bozorg – the mentor and the first vizier of Abbas Mirza, Ahmad khan – ex-Beglarbeg of Tabriz, Mirza Mohammad Hassan – Mirza Bozorg's eldest son, Agha-Mohammad khan, Mirza Ali-Riza – Haji Ibrahim's son– ex-first vizier of Fath-Ali shah, and Mirza Mehdy – the Mufti of Tabriz. In "The Notice" the French dragoman paints a very vivid picture of the Prince and his courtiers and creates a gallery of such portraits. This manuscript has never been published and stayed beyond the attention of researchers for two centuries. We introduce full translation of the original text with relevant notes and commentaries.

რობერტ კერ პორტერის საქართველოში მოგზაურობის დღიური როგორც საისტორიო წყარო

გიორგი სოსიაშვილი

დიპლომატი, მოგზაური, მხატვარი და მწერალი რობერტ კერ პორტერი (ფსევდონიმი რეინოლდ სტეინკირკი) დაიბადა 1777 წლის 26 აპრილს, დურამში, უილიამ პორტერის ხუთშვილიან, ტრადიციულ, ბრიტანულ ოჯახში. რობერტის მამა – უილიამი ოცდასამი წელი ქირურგად მუშაობდა დრაგუნთა მეექვსე ბატალიონში. იგი გარდაიცვალა 1779 წელს და დაკრძალულ იქნა სტ. ოსვალდში, დურამში (რენე: http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php; არმსტრონგი 1962: 36-58). მისი წინაპრები იყვნენ აგინკურტის ბრძოლის მონაწილე – უილიამ პორტერი და როიალისტი ენდიმიონ პორტერი. რობერტის დედა გახლდათ ჯეინ პორტერი (1745-1831), დურამის მკვიდრის – რობერტ ბლენკინსოპის ქალიშვილი. ჯეინ პორტერი გარდაიცვალა ეშერში, სურეის საგრაფოში ოთხმოცდაექვსი წლის ასაკში. რობერტის უფროსი ძმები იყვნენ: უილიამ ოგილვიე პორტერი, იგი ფლოტში ქირურგად მუშაობის შემდეგ, ორმოცი წლის განმავლობაში ექიმის პროფესიას ემსახურებოდა ბრისტოლში. უილიამ ოგილვიე გარდაიცვალა 1850 წლის 15 აგვისტოს სამოცდაშვიდი წლის ასაკში. რობერტის მეორე ძმა იყო პოლკოვნიკი ჯონ პორტერი, რომელიც მანის კუნძულზე 1810 წელს ოცდათვრამეტი წლის ასაკში გარდაიცვალა. რობერტს ორი დაც ჰყავდა, ორივე მათგანი მწერალი. ჯეინ პორტერი (გარდ. 1850 წელს) და ანა მარია პორტერი (გარდ. 1832 წელს). რობერტმა სიყრმის წლები ედინბურგში გაატარა, სადაც დედამისი საცხოვრებლად 1780 წელს გადავიდა. მათი ოჯახი ძალზე ღარიბი იყო და, ძირითადად, არმიაში მყოფი მამის მეგობრები ეხმარებოდნენ. ედინბურგში ცხოვრებისას რობერტი გაიტაცა ფლორა მაკდონალდის ნამუშევრებმა. მან გადაწყვიტა სამხედრო მხატვარი გამხდარიყო. 1790 წელს დედამ მომავალი შემოქმედი ცნობილ ბრიტანელ მხატვართან – ბენჯამინ ვესტთან წაიყვანა, რომელიც იმდენად აღფრთოვანდა რობერტის ნამუშევრებით, რომ რეკომენდაცია გაუწია მას სამეფო აკადემიის სომერსეტის სკოლაში. რობერტი, ცამეტი წლის ასაკში სამეფო აკადემიის სტუდენტი გახდა[1] (ჰათჩინსონი 1960-62, №38).

პორტერის განსაკუთრებული ნიჭიერება მხატვრობაში მალე კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა. 1792 წელს მან მხატვართა საზოგადოებისაგან ბიბლიური პერსონაჟის – *ენდორის ალქაჯის* შესრულებისათვის ვერცხლის პალიტრა მიიღო. რობერტ კერ პორტერის ნამუშევრები იმ დროისათვის ცნობილი იყო მისი ფსევდონიმით – რეინოლდ სტეინკირკის სახელით. 1793 წელს მას დაევალა შორედიჩის ეკლესიის საკურთხევლის მოხატვა. 1794 წელს მან რომის კათოლიკური ეკლესიის სამლოცველოსთვის ქალაქ პორტსმუტში იესო ქრისტეს მიერ ქარიშხლის დაცხრომის სცენა დახატა. 1798 წელს პორტერმა წმინდა იოანეს კოლეჯში შეასრულა ნახატი *წმინდა იოანე ქადაგებისას*. 1799 წელს რობერტ კერ პორტერი ცხოვრობდა ლონდონში დებთან – ჯეინთან და ანა მარიასთან ერთად. რობერტი მხატვართა კლუბის წევრი გახდა. ამ დროისათვის პორტერი უკვე აღიარებული შემოქმედი იყო. 1792-1832 წლებში, პორტერმა ოცდარვა ნახატი შეასრულა, მათ შორის: *ლოდის ბრძოლა, ფრანგების დამარცხება სუვოროვის მიერ ეშმაკის ხიდთან, აგინკურტის ბრძოლა, ალექსანდრიის ბრძოლა* და სხვ (ლისტერი 1973, №8-9; კომენტი 1999).

პორტერს განსაკუთრებული აღიარება მოუტანა 1800-1801 წწ. შექმნილმა ნამუშევარმა *სერინგაპატამის შტურმი*. პორტერის მიერ შესრულებული ნახატების უდიდესი ნაწილი დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში, რომლებიც საჩუქრად პორტერის დამ, ჯეინმა გადასცა (ბარნეტი 1971).

1803 წელს პორტერმა ვესტმინსტერის მილიციაში დაიწყო სამსახური. 1805 წელს მან კაპიტნის ჩინი მიიღო, მაგრამ ოჯახის დაჟინებული თხოვნის გამო მას უარის თქმა მოუწია რეგულარული ჯარისკაცის პროფესიაზე, რაც პორტერს ყველაზე მეტად იზიდავდა. პორტერის, როგორც მხატვრის, სახელი პოპულარული იყო არა მარტო დიდ ბრიტანეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1805 წელს პორტერმა მიიღო რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის მიწვევა. საიმპერატორო კარის შეკვეთით მას უნდა შეესრულებინა ისტორიული ნახატები საადმირალო უწყების ნაგებობისათვის სანკტ-პეტერბურგში. მხატვარი ალექსანდრე I მიწვევას დათანხმდა და ის რუსეთის დედაქალაქში გაემგზავრა. სანკტ-პეტერბურგში ყოფნისას მან რუსი დიდგვაროვნის თეოდორ შერბატოვის ქალიშვილის – მარიას კეთილგანწყობა დაიმსახურა. მალე მათ შორის რომანი გაიბა, თუმცა მათ ურთიერთობას იმ დროის პოლიტიკურმა მოვლენებმა ხელი შეუშალა. რუსეთის მეფემ ნაპოლეონ ბონაპარტთან 1807 წელს ხელი მოაწერა ტილზიტის ხელშეკრულებას, რომელმაც რუსეთი დიდი ბრიტანეთის მოწინააღმდეგე საფრანგეთთან დააკავშირა. რობერტ კერ პორტერმა 1807 წელს ფინეთის გავლით, რუსეთი დატოვა და შვედეთში გადავიდა. 1806 წელს შვედეთის მეფემ გუსტავ IV-მ რაინდად აკურთხა. ამის შემდეგ პორტერი რამდენჯერმე ეწვია გერმანიას, 1807 წელს ინგლისელი

მხატვარი წმინდა იოახიმ ვურტემბერგის ორდენის წევრი გახდა. რობერტ კერ პორტერი მცირე ხანში ჯონ მურთან ერთად ესპანეთში გაემგზავრა. მან მოგზაურობისას მრავალი ჩანახატი შეასრულა. 1809 წელს პორტერმა ოთხ ტომად გამოსცა *მოგზაურობისას შესრულებული ნამუშევრები რუსეთში და შვედეთში 1805-1808 წლებში* (პორტერი 1809 ბ).

მოგზაურობის შთაბეჭდილებები პორტერის მიერ არის ილუსტრირებული. მცირე ხნის შემდეგ, მან გამოსცა: *წერილები პორტუგალიიდან და ესპანეთიდან* (პორტერი 1809 ა). 1811 წელს რუსეთის იმპერატორის მიწვევით პორტერი კვლავ ჩავიდა რუსეთში, სადაც 1812 წლის 7 თებერვალს იგი დაქორწინდა თეოდორ შერბატოვის ქალიშვილზე. ქორწინების შემდეგ მისი მეუღლე მარია შერბატოვი ლედი პორტერად იწერებოდა (არქივი 1882. T.23. C.91. №41).

რუსულ არისტოკრატულ ოჯახთან დანათესავების შემდეგ პორტერი მიღებულ იქნა რუსულ სამხედრო და დიპლომატიურ წრეებში. იგი კარგად ერკვეოდა 1812-1813 წლების სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებში, რამაც ასახვა ჰპოვა მისი შთაბეჭდილებების კრებულში (პორტერი 1814; პორტერი, დანლაპი 1815).

მალე ინგლისელ მხატვარს რუს მეუღლესთან ქალიშვილი შეეძინა. 1812 წლის გაზაფხულზე პორტერი ინგლისში დაბრუნდა, სადაც 2 აპრილს, პრინცმა რეგენტმა – მომავალმა მეფემ – გეორგ მეოთხემ რაინდის წოდება უბოძა. პორტერი სამშობლოდან მალევე გაემგზავრა რუსეთში, სადაც 1817 წელს დაგეგმა თავისი მოგზაურობა სანკტ-პეტერბურგიდან თეირანისაკენ. ირანში განხორციელებული მოგზაურობის ამსახველი დღიურები მან გამოსცა ორ ნაწილად. თეირანში, 1819 წელს, პორტერს აუდიენცია ჰქონდა ირანის შაჰთან – ფათალისთან. ინგლისელმა მხატვარმა შაჰის პორტრეტი შეასრულა და ირანის ხელისუფლისგან ჯილდოდ ლომისა და მზის ორდენი მიიღო (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თავრიზში ბრიტანელი მოგზაური ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II ვაჟს, ალექსანდრე ბატონიშვილს შეხვდა, რომლის შესახებაც მან თავის თხზულებაში გარკვეული ჩანაწერი გააკეთა (სოსიაშვილი 2013ბ: 45). ამის შემდეგ იგი დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა და მოკლეხნიანი ვიზიტის შემდეგ, კვლავ რუსეთში დაბრუნდა, თუმცა აქაც მცირე ხანი დაჰყო. 1825 წელს პორტერი ვენესუელაში დიდი ბრიტანეთის კონსულად დაინიშნა. დიპლომატიური სამსახურის დროს იგი თხუთმეტი წელი კარაკასში ცხოვრობდა (პორტერი 1966).

მას ოჯახი ვენესუელაში არ გაჰყოლია (მარინა 1909: 608). პორტერი თავის ოჯახის წევრებს წერილებს უგზავნიდა სამხრეთ ამერიკიდან და რუსეთში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდა (რენე, http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php).

პორტერი სამხრეთ ამერიკაშიც მალე გახდა პოპულარული. ამ პერიოდის განმავლობაში ის განაგრძობდა ხატვას. მისი ნამუშევარია სამხრეთ ამერიკის კონტინენტის გმირის და კოლუმბიის რესპუბლიკის დამაარსებლის სიმონ ბოლივარის პორტრეტი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1836 წელს ვენესუელის კონგრესთან არსებულმა ჰერალდიკის კომისიამ პორტერის კონსულტაციით შექმნა სახელმწიფო გერბი.

კონსულად ყოფნის პერიოდში პორტერი აქტიურად ცდილობდა, რომ აღმოეფხვრა რელიგიური დაპირისპირება ადგილობრივ კათოლიკეებსა და ვენესუელაში მცხოვრებ არაკათოლიკე უცხოელებს შორის. პორტერმა საკუთარი ხარჯით, ასევე ბრიტანეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, დააარსა პროტესტანტული სასაფლაო კარაკასში. იმ მრავალმხრივი დახმარების გამო, რაც მან პროტესტანტი მორწმუნეებისთვის გააკეთა ვენესუელაში, 1832 წელს იგი დასახელდა ჰანოვერის ორდენის რაინდ-მმართველად. პორტერი დიდ ბრიტანეთში 1841 წელს დაბრუნდა. მისი მეუღლე 1826 წლის 17 სექტემბერს სანკტ-პეტერბურგში ტიფით გარდაიცვალა. რობერტის ქალიშვილი რუსეთის დედაქალაქში ცხოვრებდა. იგი 1837 წელს გათხოვდა ეინმე პიერ დე კიკინზე, რომელიც საიმპერატორო გვარდიის კაპიტანი იყო. ძმასთან, დოქტორ უილიამ ოგილვიე პორტერთან, ბრისტოლში მცირეხნიანი ვიზიტის შემდეგ, რობერტ პორტერი დასთან, ჯეინთან ერთად სანკტ-პეტერბურგში თავის ქალიშვილთან გაემგზავრა. აქ მათ გარკვეული პერიოდი დაჰყვეს. 1842 წლის 3 მაისს, მან თავის ძმას სანკტ-პეტერბურგიდან წერილი გაუგზავნა. წერილში მხატვარი იტყობინებოდა, რომ ინგლისში გამგზავრებას აპირებდა, მაგრამ ნიკოლოზ I-თან გამოსამშვიდობებელი საღამოს შემდეგ უეცრად დამბლით გარდაიცვალა. რობერტ კერ პორტერი დაკრძალულია სანკტ-პეტერბურგში. მის სამშობლოში, ბრისტოლის მონასტერში პორტერების ოჯახის უკვდავსაყოფად განთავსებულია მარმარილოს დაფა, სადაც საქართველოში ნამყოფი მხატვრისა და მოგზაურის სახელიც არის ამოტვიფრული.

როგორც აღვნიშნეთ, რობერტ პორტერმა 1817-1820 წლებში კავკასიაზე გავლით აზიის ქვეყნებში იმოგზაურა. (ბარნეტი 1972: 19-24, პლეიტსი 1-12; ვასილევა 1994: 339-48, პლეიტსი 104-11). მან თავისი მოგზაურობა პეტებურგში დაგეგმა. ირანში მოგზაურობისას ბრიტანელ მოგზაურს თან ახლდა ალექსი ოლენინი – საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი. პორტერმა ექსპედიციაში სამი წელი დაჰყო და მოგზაურობისას გაკეთებული ჩანაწერები ორ წიგნად გამოსცა: *Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the 1817, 1818, 1819 and 1820* by Sir Robert Ker porter, vol. I, London, 1821; *Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia during the 1817, 1818, 1819 and 1820* by Sir Robert Ker porter, vol. II, London, 1822; ეს არის მოგზაურის და მხატვრის უზარმაზარი ნაშრომი, რომელშიც დაცულია ძალზე საინტერესო ინფორმაცია უძველესი ქვეყნების, აქ მცხოვრები ხალხების ისტორიული და თანამედროვე ყოფის შესახებ.

მოგზაური დაწერილებით გადმოგვცემს კავკასიასა და აზიაში მცხოვრები მოსახლეობის ისტორიას, მათ წეს-ჩვეულებებს. ჩანაწერებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ ავტორი აღწერილი მოვლენების და ფაქტების თვითმხილველია. პორტერი ეყრდნობა მისი წინამორბედი მოგზაურების, ასევე თანამედროვე და წინა საუკუნეების ცნობილი ისტორიკოსის თხზულებებს, ზეპირსიტყვიერ გადმოცემებს. მის ჩანაწერებს კიდევ უფრო მეტ ეფექტს აძლევს მის მიერ შესრულებული ჩანახატები, რაც აღწერილი ადგილების ვიზუალურ წარმოდგენასაც გვიქმნის. მოგზაურობის დროს მან შეასრულა არაერთი მნიშვნელოვანი ჩანახატი, რომლებშიც გადმოსცა აღწერილი ქვეყნების რელიეფი, ისტორიული პერსონაჟები. აზიის უძველეს ქალაქებში ყოფნისას გადაწერა ლურსმული წარწერები, გადმოხატა ძველი ტაძრების კედლებზე არსებული რელიეფური გამოსახულებანი. რობერტ კერ პორტერმა ირანში საქართველოზე გავლით იმოგზაურა. ინგლისელი მხატვრის ცნობები საქართველოზე შესულია თხზულების პირველ ტომში. მოგზაური, როგორც მისი ჩანაწერებიდან ჩანს, საქართველოში დარიალის ხეობით შემოსულა. იგი აღფრთოვანებული იყო კავკასიონის ნახვით და ამის შესახებ წერდა:

> არანაირ კალამს არ შეუძლია გამოხატოს ის გრძნობა, რომელიც ჩემში კავკასიის დანახვამ გამოიწვია. მე ნანახი მაქვს თითქმის ყველა მაღალი და დაუსახლებელი მთა პორტუგალიასა და ესპანეთში, მაგრამ არც ერთი მათგანის ნახვის დროს არ მქონია მშვენიერების, გრანდიოზულობის, სიერცისა და უსასრულობის შეგრძნება. თითქოს კავკასიონი არის ბასტიონი ევროპულ და აზიურ ერებს შორის (პორტერი 1821: 44).

კავკასიაში ჩამოსული მოგზაური რუსეთის ევროპული და აზიური ნაწილის საზღვრად მდ. თერგს მიიჩნევდა: „მდინარე თერგი რუსეთის ევროპულ ნაწილს ჰყოფს აზიური ნაწილისგან. ეს მდინარე კავკასიონის მთებიდან მოედინება. მისი სათავე კობის ახლოსაა“ (პორტერი 1821: 50). პორტერის მიერ რუსეთის აზიური ნაწილის ხსენება შემთხვევითი არ არის. XIX საუკუნეში საქართველოში ნამყოფი სხვა მოგზაურებიც იყენებენ ტერმინს „აზიური რუსეთი“. ამ მხრივ, შეგვიძლია დავასახელოთ ავსტრიელი მოგზაური ქალბატონი იდა პფაიფერი. იგი კავკასიაში არსებულ ქვეყნებს (სომხეთი, საქართველო) აზიურ რუსეთში მოიაზრებს (სოსიაშვილი 2013ა: 21). მოგზაურის ცნობით, თერგის ხეობა ერთგვარ ჭიშკარს წარმოადგენდა, სწორედ ამ ჭიშკრით ურთიერთობდა ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებთან:

> ველი, რომელზეც თერგი მიედინება, ძველად ცნობილი იყო „პოტტა კაუკასიას“ სახელით, რადგან ის დიდ ჭიშკარს წარმოადგენდა მთაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხის ურთიერთობებისთვის. ეკატერინე II იყო პირველი ევროპელი მმართველი, რომლის ჯარმა ჩრდილოეთიდან შეძლო იქ შეღწევა. რუსეთის ჯარის ერთი ნაწილი, გენერალი ტოტლებენის მეთაურობით, სწორედ აქედან შევიდა საქართველოში და დააგო გზა, რომელმაც შემდეგ განსაზღვრა ეკატერინე დედოფლის სურვილი ამ ადგილიდან გაეყვანა გზა თბილისამდე. პროექტი, რომელიც ფრიად მნიშვნელოვანი იყო თავისი სამომავლო შედეგით, ვერ განხორციელდა. დედოფლის ეს ჩანაფიქრი დაასრულა მისმა შვილიშვილმა, მისმა ახლანდელმა უბრწყინვალესობამ. მან გააგზავნა გენერალი ციციანოვი 1804 წ., რათა წამოწყებული საქმე დასრულებულიყო. გზის გაყვანაზე მომუშავე მუშების დაუღალავი და ყურადღებიანი გულმოდგინე შრომის წყალობით, გზის გაყვანა დასრულდა. ეს გზა ერთ-ერთ საოცრებად მიმაჩნია. ყველა მეგზური, რომელმაც იმოგზაურა ამ გზით და განიცადა მისი უსაფრთხოება, მადლიერი უნდა იყოს ამ გზის დამგები ხალხის (პორტერი 1821: 67).

რობერტ პორტერი დარიალის ხეობით შემოვიდა საქართველოში და მცირე ხნით ყაზბეგში შეყოვნდა, სადაც ადგილობრივი წარჩინებული გვარის წარმომადგენელს – ყაზბეგს შეხვდა, აღწერა აქ მცხოვრები მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება და სამეურნეო საქმიანობა:

> სახლი, სადაც მე შევჩერდი, ჩემი ეტლის აუცილებელი შეკეთების დროს, ეკუთვნოდა ქვრივ ქალს. მისი მეუღლე ადგილობრივი თავკაცი იყო. მას რუსების ჯარში კარგი და ერთგული სამსახურისთვის რუსებმა უბოძეს მაიორ-გენერლის წოდება. აქ მაცხოვრებელ ხალხში მიღებული არ იყო გვარების ქონა. ამიტომ გარდაცვლილმა, რათა შეწყობოდა თავის ახალ პატრონებს რუსებს, აიღო გვარი ყაზბეგი, იმ უძველესი მთის სახელი, რომლის ჩრდილშიც ის და მისი წინაპრები დაიბადნენ და ცხოვრობდნენ. სოფელმაც ამ პიროვნებისგან მიიღო ეს სახელწოდება – ყაზბეგი[2] (პორტერი 1821: 76).

ჩრდილოეთ კავკასიის საქართველოსთან დამაკავშირებელი გზების კეთილმოწყობას პორტერი რუსების დამსახურებად მიიჩნევს. მისი გადმოცემით, რუსებმა სამიმოსვლო გზები მოაწესრიგეს და სამხედრო სადგურებიც ააშენეს.

> რუსებმა დააგეს გზები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდა ეტლებით და ცხენებით მოძრაობა. მათ აგრეთვე ააშენეს სამხედრო სადგურები (გარნიზონები), რომლებიც განლაგებულნი არიან მოსახერხებელ ადგილებსა და მანძილზე. ფოსტის შენობები და კარგად შეიარაღებული ესკორტებიც მათი დამსახურებაა.

> ეტლებზე გადასატანი ტვირთისთვის რუსებმა დააწესეს გადასახადი, რომელიც ვლადიკავკაზში იკრიფება. (ვლადიკავკაზი ითარგმნება, როგორც კავკასიის გასაღები). ვაჭრებიც იხდიან გარკვეულ თანხას – 20-დან 25 რუბლამდე. ამ თანხაში შედის პირადი პასპორტის თანხაც. სხვა მოგზაურები უფასოდ მგზავრობენ, ისევე როგორც მე (პორტერი 1821: 81).

რუსული ხელისუფლება გზების მოწესრიგებასთან სამხედრო სადგურებს მძარცველი ოსებისაგან თავდაცვის მიზნით აგებდა. გზის იმ მონაკვეთზე, საიდანაც რობერტ კერ პორტერი მოძრაობდა, ოსები მიმავალ მგზავრებს უსაფრდებოდნენ და ძარცვავდნენ, ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, რომელმაც საქართველოში მეთვრამეტე საუკუნის 70-იან წლებში იმოგზაურა. ყაზბეგთან მყოფმა გიულდენშტედტმა, ოსებს, იმისათვის, რომ თერგზე ხიდები გაედოთ, ფული გადაუხადა და სანაცვლოდ მათ მძევალი სთხოვა. ოსები არა მარტო მგზავრებს, არამედ რუსულ რაზმებსაც თავს ესხმოდნენ (გელაშვილი 1964: 157-158). ბრიტანელი დიპლომატი და მოგზაური მცირე ხნით გაჩერდა ანანურში, სადაც ერთი ღამე გაათია, იგი აღნერს ანანურს:

> ანანური მდებარეობს კუმლის ციხის მთის სამხრეთ-დასავლეთის ერთ-ერთი განშტოების ძირში. ის უძველესი დროიდანაა ცნობილი. ოდესღაც აქ ბევრი მოსახლე ცხოვრობდა და სამხედრო ძლიერების ქალაქი იყო. დღეისათვის აქ მხოლოდ უბადრუკი, სავალალო ქოხებია შემორჩენილი, ზოგიერთი მათგანი მაღაზიაა. ჩემი პირველი შთაბეჭდილება ანანურის შესახებ იყო შემდეგი: ქალაქი, თავის ნარსულთან შედარებით უფერული და გაღატაკებულია. მაგრამ მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ მოსახლეობა ცივილიზირებული იყო. ხალხს ერთმანეთთან უფრო მეტი ურთიერთობა ჰქონდა, ვიდრე იმ ადგილებში, რომლებიც მე მოვინახულე აზიაში. ჩემი ნათქვამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია ის ფაქტი, რომ ამ მთის ხალხში გამორიცხულია ვინმეს დაყაჩაღება და ძარცვა-გლეჯა. ანანურში შემორჩა ნატიფი ეკლესიის ნანგრევები, რომელიც ციხე-სიმაგრის კედლებში დგას. ოდესღაც ამაყად აღმართული კედლები ინგრევიან. ამ ეკლესიის არქიტექტურული დეკორი მიუთითებს მისი მშენებლის დიდ ოსტატობაზე და ჩატარებულ შრომატევად სამუშაოზე. ჯვრები და ქვაში ამოტვიფრული რელიეფები, რომლებიც სიყვარულითა და გულწრფელი რუდუნებით არიან შესრულებულნი, ამშვენებენ ეკლესიის ინტერიერს (გარე ფასადს). ნიშის ფორმის კარებს შევყავართ ეკლესიის შიგნით. კარების ორივე მხარეს განლაგებულია ქართული ზედწერილები. ეს ეკლესია თავისი მიმდებარე ტერიტორიით იყო საქართველოს ძლიერი სიმაგრე, თავშესაფარი და წმინდა ადგილი. როდესაც თბილისი განიცდიდა ირანელებისა და თურქების თავდასხმებს ანანური იყო საიმედო ადგილი, სადაც საქართველოს სამეფო კარის ქალებს და მეფის ყველაზე მნიშვნელოვან ქონებას გადახიზნავდნენ ხოლმე. აქ ერთ ხანს ინახებოდა ქართველების ცნობილი რელიქვია – წმინდა ნინოს ჯვარი. ეს უძველესი რელიქვია შექმნილი იყო ამ წმინდანის მიერ. მან ვაზის ნასხლავი რქისგან ჯვარი გამართა და საკუთარი გრძელი თმის წანაჭერით შეკრა. დღეს ეს ჯვარი ინახება თბილისის დიდებულ სიონის ეკლესიაში (პორტერი 1821: 81).

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ წმინდა ნინოს ჯვრის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის XIX საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში ნამყოფი შოტლანდიელი მოგზაური რობერტ ლაიალი. მისი გადმოცემით, საქართველოს მეფეებმა წმ. ნინოს ჯვარი მცხეთის ტაძარს (სავარაუდოდ სვეტიცხოველს უნდა გულისხმობდეს) გადასცეს (ლაილი 1825: 63).

ანანურში რომ არასახარბიელო საცხოვრებელი პირობები იყო, ამას რობერტ ლაიალიც ადასტურებს. მისი გადმოცემით ანანურში ძნელად იშოვებოდა საჭმელი და მოგზაურს ღამის გათევაც მძიმე პირობებში მოუწია (ლაილი 1825: 67).

ანანურიდან რობერტ კერ პორტერი დუშეთში ჩავიდა. მისი გადმოცემით:

> დუშეთი განლაგებულია მთის ძირში, ხეობაში, სადაც მინა დამუშავებულია. იმ ხეობაში ბევრი სოფელია. ადგილობრივი მოსახლეობა დაკავებულია მიწის კულტივირებით, მაგრამ ის მოწყობილობა, რომლითაც ისინი მიწას ხნაეენ საკმაოდ მოუხერხებელია, რადგან მძიმეა. ის რკინით არის დაფარული, გრძელია და ხვნის დროს ორი ფუტის სიგრძის კვალს ტოვებს სიგანეში. აქ ნიადაგი ძალიან მდიდარია, ის შავია და მძიმე, იმდენად, რომ 14 ხარი, რომელიც წყვილად იყო შებმული ძლივს მიათრევდა გუთანს, აქ ძალიან ბევრი კამეჩია. ისინი ხშირად გამოიყენებიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს დროს, ისევე როგორც გზების დაგებისას (პორტერი 1821: 99).

პორტერი დუშეთს ლამაზ, გაშლილ ქალაქად მიიჩნევს: „დუშეთი ფართოდ გაშლილი ლამაზი ქალაქია. მასში ბევრია სასახლისა და ციხე-სიმაგრეების შემორჩენილი ნანგრევები. ეს ქალაქი ერთ დროს ქართველი მეფეების საზაფხულო რეზიდენცია იყო“ (პორტერი 1821: 100). დუშეთის შესახებ განსხვავებულ ცნობებს გვაწვდის რობერტ ლაიალი. მისი ცნობით, დუშეთი ქალაქად იწოდება, მაგრამ იგი ამ სტატუსს არ იმსახურებს:

> დუშეთს უწოდებენ ქალაქს, მაგრამ ის არ იმსახურებს ამ სახელს. მან გაგვახსენა ჩვენ ბახჩისარაის ქუჩები; სავსე დაბალი პატარა მაღაზიებით ანუ ყუთებით, სადაც სხვადასხვა საქონელი იყიდება და სხვადასხვანაირი

ხალხი ვაჭრობს იქ. თეთრეულის მკერავებიც კი არიან, რომლებიც სხედან მიწაზე და ტერფები ჩაყოფილი აქვთ ორმოებში. ყურადღებას იმსახურებს ეკლესია და რამდენიმე გარშემომყოფი სოფელი კოშკებით (ლაილი 1825: 72).

რობერტ კერ პორტერი თავის თხზულებაში საუბრობს იმდროინდელი საქართველოს ჩამორჩენის და პოლიტიკური დაქსაქსულობის მიზეზებზე. მისი აზრით, ქვეყანა მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა არა მარტო გამუდმებულმა შემოსევებმა, არამედ გაუთავებელმა შიდა არეულობამ და შფოთმა.

ოდესღაც დამოუკიდებელი, განვითარებული სამეფო დღეს ჩამოქვეითებული და დამცირებული ოლქია. გამუდმებულმა ომებმა და მტრული მეზობელი ქვეყნების მრავალგზის შემოსევებმა შეამცირეს ამ პატარა სამეფოს გულადი მოსახლეობის რაოდენობა. ოდესღაც აყვავებული ქვეყანა დამონებული და დაჩაგრულია დღეს. უნდა ითქვას, რომ ყველაზე დიდი მომაკვდინებელი დარტყმა ქვეყანას მიაყენეს იმათ, ვინც ამბიციით იყო აღსავსე. სხვა ქვეყნების მსგავსად, რომლებმაც იგივე ეროვნული თვითმკვლელობა ჩაიდინეს, იბერიელებსაც მოუხდათ ყოველგვარი სურვილის გარეშე ამ მდგომარეობაში ყოფნა. ქვეყანაში არსებული არეულობების დროს იბერიის მმართველი პირების შულლმა, უვარგისმა მმართველებმა გამოიწვიეს ქვეყნის განვითარების უკან დაწევა. ამ პროვინციის დღევანდელი მესაკუთრეების აზრით აქ მაცხოვრებელ ხალხს წლები დასჭირდება სოციალური და პოლიტიკური ცხოვრებისა და ყოფის ახლებურად დასაწყებად (პორტერი 1821: 102).

რობერტ კერ პორტერი თავის თხზულებაში დიდ ადგილს უთმობს მცხეთის აღწერას. ბრიტანელ მხატვარს საქართველოს ძველ სატახტო ქალაქში არაერთი ისტორიული ძეგლი მოუნახულებია.

დილის 9 სთ-ზე ჩავედით მცხეთაში, რომელიც ძველად საქართველოს დედაქალაქი იყო. დღეს ის გაღატაკებული და გაუბედურებული სოფელია. ოდესღაც მეფეების რეზიდენციის ქალაქი უფრო გაჭირვებისა და სიღარიბის ადგილსამყოფელს ჰგავს. მცხეთაში ჩასვლისთანავე გავეშურე ციხე-სიმაგრის ნანგრევების სანახავად, სადაც მთელი ღამე დავრჩი. ღამე გავატარე ციხე-სიმაგრის შიგნით არსებულ ტაძარში, მღვდლის სენაკში. ჩემი მასპინძელი სტუმართმოყვარე ადამიანი აღმოჩნდა. მცხეთა ანტიკურ ხანაში მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. ის გახლდათ იბერიის მეფეების სატახტო ქალაქი, რომელშიც მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა. ძველი დედაქალაქის დიდების ნაშთი აქ დღესაც ბევრია შემორჩენილი. იბერიის ამ ქალაქის აშენება გადაწყდა ორი მდინარის – მტკვრისა და არაგვის შეერთების ადგილზე (პორტერი 1821: 103).

პორტერს სვეტიცხოველში ქრისტიანული სიწმინდეებიც უნახავს, მათ შორის, ქრისტეს კვართიც, რომელსაც ძალზე საინტერესო ისტორია აქვს. ქრისტეს კვართი, ბრიტანელი მოგზაურის ცნობით, მცხეთელ მოძღვარს უჩვენებია:

სასიამოვნო მამაომ, რომელიც მე მეგზურობას მიწევდა ამ ტაძარში, მაჩვენა წმინდა რელიქვიები, რომელთა ნახვა ყოველთვის აინტერესებდათ მოგზაურებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ქრისტეს პერანგი და ელიას მოსასხამის ნაწილია. პირველი რელიქვია მრავალი საუკუნეა საიმედოდ არის დაცული მაღალი საკურთხევლის შიგნით. რაც შეეხება ელიას სამოსის ერთ ნაწილს, ისევე, როგორც მაგდაგვარი წმინდა რელიქვიები, მე ვერ შევძელი მათი ნახვა, რადგან არქიმანდრიტი, რომელიც ამ რელიქვიებზე იყო პასუხისმგებელი, მცხეთაში არ იმყოფებოდა (პორტერი 1821: 105).

მცხეთიდან რობერტ კერ პორტერმა გზა თბილისისაკენ გააგრძელა, ქალაქის შესასვლელთან სპეციალურ საყარაულო შენობასთან მოგზაურმა და მისმა მხლებლებმა კარანტინი გაიარეს, ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტები წარადგინეს და მხოლოდ ამის შემდეგ დართეს ნება, რომ ქალაქში შესულიყვნენ (პორტერი 1821: 114). როგორც ჩანს, იმ დროისათვის თბილისში ეპიდემია მძვინვარებდა და დედაქალაქში შემომსვლელ ყველა მგზავრს უნდა გაევლო შემოწმების პროცედურა. პორტერის გარდა ამ ფაქტს სხვა მოგზაურებიც ადასტურებენ. ავსტრიელი მოგზაურის იდა პფაიფერის ცნობით, რუსეთის „საზღვარზე" გადასვლის დროს, იმ შემთხვევაში, თუ ქოლერა, ან შავი ჭირი იყო გავრცელებული, კარანტინს აწესებდნენ (სოსიაშვილი 2013ა: 23). გერმანელი მოგზაურის ედუარდ აიხვალდის ინფორმაციით, საქართველოს ორი მხრიდან ემუქრებოდა შავი ჭირის გავრცელების საშიშროება, კავკასიონისა და აზიის მხრიდან. მეცხრამეტე საუკუნის 20-იან წლებში აიხვალდის ცნობით, ქვეყანაში რამდენიმე ადგილზე იყო კარანტინი, მათ შორის: ანანურთან, ბაღდადთან, სურამში, ასევე ქარელთან ახლოს. თბილისის შემოგარენში სამი კარანტინი ყოფილა (გელაშვილი 2005: 91). თბილისში ჩასული რობერტ კერ პორტერი მთავარმმართებელ ერმოლოვს შეხვდა და მას წერილები გადასცა. იგი ამ წერილების შესახებ დაწერილებით არ საუბრობს. სავარაუდოდ, მას საიმპერატორო კარისაგან გამოტანებული წერილები უნდა გადაეცა. რაკი ამ წერილების შესახებ იგი არ მოგვითხრობს, არ არის გამორიცხული, რომ ერმოლოვს მან საიდუმლო წერილები გადასცა. ბრიტანელ მოგზაურს რუსეთის ხელისუფლების წინაშე დიდი ნდობა ჰქონდა მოპოვებული და მას აღნიშნულ

წერილებს, ცხადია, ანდობდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1994 წელს ოქსფორდში ბოდლეს ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა პორტერის უცნობი წერილი. ამ წერილში იგი აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს პოლიტიკურ ამბებს აღწერს და აზიის ქვეყნებში განვითარებული მოვლენების შესახებ უცნობ ადრესატს, რომელიც მისი სიტყვებიდან გამომდინარე, ძალზე მაღალი წრის წარმომადგენელია, თავის მოსაზრებებს უგზავნის. წერილის ბოლოს მოგზაური თავის თავს ინფორმატორს უწოდებს. ჩვენი აზრით, პორტერი აზიის ქვეყნებში არსებული პოლიტიკური სიტუაციის შესახებ ინფორმაციას ბრიტანეთის ხელისუფლებას აწვდიდა და აზიის ქვეყნებში რუსეთის პოლიტიკაზე ესაუბრებოდა. თბილისში ჩამოსულმა პორტერმა ადგილობრივ სომეხს, ვინმე არატუნს, მიაკითხა. არატუნის მამა, მოგზაურის ინფორმაციით, სპარსეთის მეფის კარზე მუშაობდა:

> თბილისში შესვლისთანავე დამეუფლა ისეთი გრძნობა, თითქოს ტროფონიუს გამოქვაბულში შევდიოდი. მე გავემართე სომეხ ხოჯა არატუნის სახლში, რომლის მამა ხაზინადარად მუშაობდა სპარსეთის მეფის კარზე. მასპინძლისგან გავიგე, რომ საქართველოს გამგებელი, გენერალი ერმოლოვი დაბრუნდა თბილისში თავისი დიპლომატიური მისიიდან – სპარსეთიდან. მეორე დღეს მე ვეახლე მის აღმატებულობას, წარვუდგინე ჩემი თავი და გადავეცი წერილები (პორტერი 1821: 114).

რობერტ პორტერი თავის თხზულებაში თბილისის ისტორიის შესახებაც გვესაუბრება, თუმცა, ქალაქის დაარსების ფაქტს შეცდომით ათარიღებს და ქალაქის დამაარსებლად მეფე ლივანგს მიიჩნევს.

> ის დაარსდა 1063 წელს მეფე ლივანგის ზეობის დროს, რომელსაც უნდოდა გამოეყენებინა თბილისში არსებული ბუნებრივი ცხელი წყლები. ქალაქის სამხრეთ ნაწილში შემორჩენილია ძველი ციხის ნანგრევები, ახალი თურქების მიერ აგებული ციტადელისგან მოშორებით. რუსმა გუბერნატორმა თავისი რეზიდენციის ადგილსამყოფელად აირჩია მთა, საიდანაც დიდებული კავკასიონი კარგად მოჩანს. ეს ქალაქის ცენტრიდან მოშორებული ადგილია. რეზიდენციის შეკეთება როდესაც დასრულდება, ის გამორჩეული იქნება დიდი შუშაბანდით, რომლის ფასადს ქვის ორნამენტირებული ფიგურები დაამშვენებენ (პორტერი 1821: 117).

როგორც ჩანს, მას საქართველოს დედაქალაქის ისტორიის შესახებ არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს. სავარაუდოდ, ინფორმაციის მიმწოდებელი არაქართველი უნდა ყოფილიყო. არ არის გამორიცხული, რომ მოგზაურს ინფორმაცია სომეხმა არატუნმა მიაწოდა, რომელსაც ბრიტანელი მოგზაური შეხვდა. რობერტ პორტერისაგან განსხვავებით თბილისის დაარსებას ვახტანგ გორგასალს მიაწერს შოტლანდიელი მოგზაური რობერტ ლაიალი (ლაილი 1825: 72). ასევე გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდი (გელაშვილი 2005: 24). რობერტ კერ პორტერი აღწერს თბილისის გარეგნულ იერ-სახეს:

> თბილისის ყველა ქუჩა ვიწროა, საცალფეხო გზები პრიმიტიულ მდგომარეობაშია – საშინლად ჭუჭყიანი, სველი და მტვრიანი მშრალი ამინდის დროს. მისმა აღმატებულობა გუბერნატორმა ბრძანა ქუჩებში ქვების დაგება და ეს სამუშაოები უკვე დაწყებულია. მას განზრახული აქვს ყველა დანგრევის პირას მისული სახლების განადგურება და მათ ადგილზე თანამედროვე დაგეგმარებით ახალი შენობების აგება. გუბერნატორის სპარსეთში ყოფნის დროს დაიწყო ბაზრის გადაკეთება. შენობა მთლიანად გადაიხურა, ადგილია დატოვებული მხოლოდ ჰაერისა და სინათლის შეღწევისთვის (პორტერი 1821: 117).

პორტერი თბილისზე საუბრის დროს საგანგებოდ ჩერდება საქართველოს დედაქალაქში არსებულ აბანოებზე.

> ბაზრის ბოლოს ჩვენ წავაწყდით პატარა ხიდს, რომლის ქვეშ მიჩუხჩუხებდა კამკამა და ცივი მთის ნაკადული, რომელიც ბოლოს თბილ წყლებს უერთდებოდა. თბილისი განთქმულია თერმული ცხელი წყლებით, რომლებსაც სამკურნალო თვისებები აქვთ. სწორედ მათ გამო დაერქვა ქალაქს თბილისი. ეს წყლებია გამოყენებული თბილისის ცნობილ აბანოებში. თბილისის მოსახლეობა და აქ ჩამოსული მოგზაურები და სტუმრები. ამ წყლებს ხმარობენ სხვადასხვა დაავადებების მკურნალობისთვის. აბანოები აგრეთვე მამაკაცებისა და ქალებისთვის ხშირი თაშეყრის ადგილსაც წარმოადგენენ. აბანო, როგორც ფუფუნების, ისე გართობის ადგილად ითვლება (პორტერი 1821: 119).

თბილისის მოსახლეობა, ბრიტანელი მოგზაურის ცნობით, თანდათან ევროპულ წეს-ჩვეულებებზე გადადიოდა, რაც მათ ყოფა-ცხოვრებაშიც შეიმჩნეოდა:

> ბოლო 20 წლის განმავლობაში თბილისის მოსახლეობის ზედა ფენამ მიატოვა ბევრი აზიური მანერა. ცვლილებების მიზეზი ევროპული ქვეყნების სამოქალაქო და სამხედრო პირებთან ურთიერთობის შედეგია. რაც შეეხება დედაქალაქის დაბალ ფენებს, ნაწილობრივი ცვლილებები იქაც შეინიშნება. სახლის პატრონები, რომლებთანაც დროდადრო რუსი ჯარისკაცები ჩერდებოდნენ, უკვე ნებას რთავდნენ ცოლებს, რომ დაენახონ

> უცხო სტუმრებს. როდესაც ქართველი ქალი გარეთ გადის, მას ტრადიციულად აცვია გრძელი, თავიდან ფეხებამდე შეხვეული აზიური სამოსი, სახეზე პირბადე აქვს აფარებული, რომელსაც „ჩადრი" ჰქვია. თუ რომელიმე ქალბატონი საკუთარი სახლის კარებთან ჩადრის გარეშე დგას, ის სასწრაფოდ სახლში შედის და იმალება, რომ თავისი სახე დამალოს (პორტერი 1821: 122).

მოგზაური განსაკუთრებით მოხიბლულია ქართველი მანდილოსნების სილამაზით:

> ქართველი ქალის სილამაზე კამათს გარეშეა. ქალებს დიდი მუქი თვალები აქვთ, სწორი და საკმაოდ სასიამოვნო და თბილი სახის ნაკვთები და კარგი ხასიათი აქვთ. ისინი ფრიად ზრდილობიანები და თავაზიანები არიან. ეს დახასიათება საერთოა ყველა ქართველი ქალბატონისთვის. მაღალი წრის ქალების ტანსაცმელი მდიდრულია, დიდებულია და ტანზე ლამაზად აქვთ მომდგარი. დაბალი წრის ქალების სამოსი, რომელიც იშვიათად ირეცხება წყალსა და საპონში, უბრალოდ და ცუდად გამოიყურება. მას ჩვრის მსგავსი ფორმა აქვს (პორტერი 1821: 126).

პორტერი აღწერს თბილისში არსებულ ტაძრებს:

> თბილისში რამდენიმე კარგი ქრისტიანული ეკლესიაა. განსაკუთრებით მშვენიერია რომაული კათოლიკური ეკლესიის შენობა. წმინდა სიონის ტაძარი, დიდებული სომხური ეკლესია, განსაკუთრებით დიდია, რასაც ვერ ვიტყვი მის სიმდიდრესა და არქიტექტურულ მოხდენილობაზე (პორტერი 1821: 126).

თბილისში სიონის მართლმადიდებელი ტაძრის გვერდით სხვა რელიგიის აღმსარებელთა ეკლესიების მოხსენიება ბრიტანელი მოგზაურის მიერ შემთხვევითი არ არის. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ 1735 წლის ატლასის ქართლის რუკაზე დართული გეგმის მიხედვით, საქართველოს დედაქალაქში რამდენიმე „სომხის საყდარი" იხსენიება, აქვე გვხდება „ლათინთ საყდარი" (თბილისის ისტორია 1990: 459), რუსი ოფიცრის – ალექსანდრე პიშჩევიჩის გეგმის მიხედვით, რომელიც 1785 წელს არის შედგენილი თბილისში, აღნიშნულია: კათოლიკური ეკლესია, სომხების ახალი ეკლესია, სომეხთა ეკლესია ნორაშენი, სომეხთა ეკლესია საჰაკაშენი, სომხების ეკლესია კოზმანი, სომეხთა ეკლესია მოღნინი, სომხების ეკლესია ციხის საყდარი, სომხის ეკლესია მეტეხი (ავლაბარში), სომეხი ბერების მონასტერი, სომხების ეკლესია ქამოანთი, სომხების მონასტერი. ამავე გეგმაში შეტანილია: სამი მეჩეთი, მათ შორის „მეჩეთი თურქთა" (თბილისის ისტორია 1990: 462-463). შოტლანდიელი მოგზაურის რობერტ ლაიალის ცნობით, XIX საუკუნის I მეოთხედში თბილისში არაერთი ტაძარი იყო, მათ შორის: ოცი ბერძნული ეკლესია (მოგზაური ბერძნულ ეკლესიებში მართლმადიდებელთა ტაძრებს უნდა გულისხმობდეს), თხუთმეტი სომხური, ერთი თიატინელების მიერ დაარსებული ტაძარი, ასევე, ერთი სპარსული მეჩეთი და სიონის საკათედრო ტაძარი (ლაიალი 1825: 72).

> ქართველ თავადებს შორის არსებულმა გამუდმებულმა შუღლმა, ქვეყანაში კანონისა და სამართლის არ არსებობამ, ლეკების სისტემატურმა შემოსევებმა, თურქებისა და ირანელების სისხლიანმა ომებმა საქართველოს მოსახლეობა სასოწარკვეთილ მდგომარეობამდე, სიზარმაცემდე, უვიცობასა და სიღარიბემდე მიიყვანეს. ასეთი მდგომარეობა საერთოა თითოეულ იმ ქვეყნისათვის, სადაც გამუდმებული ომებისა და სხვადასხვა დამპყრობლების არსებობის გამო წესრიგი არ იყო (პორტერი 1821: 132).

ამრიგად, ინგლისელი დიპლომატის, მოგზაურის და მხატვრის ჩანაწერები ძალზე საყურადღებო წყაროს წარმოადგენს XIX საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ. მოგზაურის ცნობები ზოგჯერ არაზუსტია, თუმცა სხვა წყაროებთან შედარება გარკვეული ანალიზის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. ბრიტანელი დიპლომატი და მხატვარი აღწერილი მოვლენების თვითმხილველია, რაც მის ჩანაწერებს კიდევ უფრო მეტ ღირებულებას სძენს. ვფიქრობთ, რომ რობერტ კერ პორტერის მოგზაურობის ამსახველი ღღიურები მისი თანამედროვე საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკვლევრებსა თუ ფართო მკითხველს დახმარებას გაუწევს.

შენიშვნები

[1] პორტერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, იხ: (სეკომბი 1896: 190-192; არმსტრონგი 1962: 36-58; Dupouy 1969; Barnett 1972. Vol. 10; ენკეტილი 1978: 72-70; Ренне 1985: 105-109; ვასილევა 1995: 246-247; ვასილევა 1994: Bd 27. S. 339-348; რენე 1996: 104-115; Ренне 1997: 104-115; Губер 1999: 113-116).

[2] გენერალ ერმოლოვს, იმ მიზეზით, რომ საქართველოს სამხედრო გზა ზამთრის პერიოდში ზვავებით ხშირად იხერგებოდა, ალტერნატიული გზის გაყვანა სურდა თბილისიდან გორის, ცხინვალის, ონის გავლით კავკასიონის თხემზე, მაგრამ ამ იდეის განხორციელებას ჩეჩნეთის აჯანყებამ შეუშალა ხელი (გელაშვილი 2005: 236).

დამოწმებანი

არმსტრონგი 1962: Armstrong W. M., The many-sided world of Sir Robert Ker Porter, *The Historian*, №25, Washington, 1962.

არქივი 1882: Архив кн. Воронцова. М., 1882. Т.23. С.91. №41.

ბარნეტი 1971: Barnett R. D., Sir Robert Ker Porter, *British Museum Society Bulletin*, 7, June.

ბარნეტი 1972: Barnett R. D., Sir Robert Ker Porter – Regency Artist and Treveller // Iran. 1972. Vol. 10.

გელაშვილი 1964: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბილისი.

გელაშვილი 2005: ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბილისი.

გუბერი 1999: Губер К. П., Три картины для Главного Адмиралтейства // Россия – Англия. Страницы диалога. Краткое содержание докладов V Царскосельской научной конференции. СПб.

დუფო 1969: Dupouy W., Sir Robert Ker Porter's Caracas Diary. 1825-1842, Caracas.

ენკეტილი 1978: Ancketil M. D. I. The Silver Palette // Lantern. 1978. July.

ვასილევა 1994: Vasileva N. E. About The History of Sir Robert Ker Porter's Album with his sketches of Achaemenid and Sassanian monuments // Achaeologische Mitteilungen aus Iran. Berlin, 1994. Bd 27.

ვასილევა 1995: Васильева Н. Е., Альбом Р. Кер Портера с рисунками древнейших памятников скульптуры и архитектуры // Эрмитажные чтения 1986-1994 гг. памяти В. Г. Луконина. СПб.

თბილისის ისტორია 1990: თბილისის ისტორია, ტ. I, თბილისი.

კომენტი 1999: B. Comment, The panorama.

ლაილი 1825: Travels in Russia, the Krimea, the Caucasus, and Georgia by Robert Lyall, vol. I, London, 1825.

ლისტერი 1973: R. Lister, British Romantic art, 1973, №8-9;

მამისთვალიშვილი 2000: მამისთვალიშვილი ე., ქრისტეს კვართის ისტორია, გორი.

მარინა 1909: Марина М., В старом, радушном дворянском гнезде на Арбате // Русская старина. Т. CXL.

პორტერი 1809 ა: Porter R. K., Letters from Portugal and Spain, written during the march of the British troops under Sir John Moore ... By an officer, London, Longman, Hurst, Rees, and Orme.

პორტერი 1809 ბ: Porter R. K., Travelling sketches in Russia and Sweden. During the years 1805, 1806, 1807, 1808, Philadelphia: Published by Hopkins and Earle.

პორტერი 1814: A narrative of the campaign in Russia, during the year 1812. By Sir Robert Ker Porter, Baltimore, E. J. Coale.

პორტერი 1821: Travels in Georgia, Persia, Armenia, ancient Babylonia, During the 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I, London, 1821.

პორტერი 1966: Porter R. K., Caracas diary, 1825–1842, Caracas.

პორტერი, დანლაპი 1815: A narrative of the campaign in Russia, during the year 1812. By Sir Robert Ker Porter. To which is added, A narrative of the events which followed Buonaparte's campaign in Russia, to the period of his dethronement. By William Dunlap, Hartford, Andrus and Starr.

რენე 1985: Ренне Е. П. Роберт КерПортер в России // Труды Государственного Эрмитажа 25.

რენე 1996: Renne E., British artists in Russia in the first half of the nineteenth century // British art treasures from Russian Imperial collections in the Hermitage / Ed. by B.Allen and L.Dukelskaya. New Haven & London.

რენე 1997: Ренне Е. П., Британские художники в России в первой половине XIX века // С берегов Темзы — на берега Невы. Шедевры из собрания британского искусства в Эрмитаже / Под ред. Б. Аллена и Л. Дукельской. СПб.

რენე: Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php.

სეკომბი 1896: Seccombe T., Robert Ker Porter // Dictionary of National Biography. London, XLVI.

სოსიაშვილი 2013 ა: იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, ქართული თარგმანი გერმანულ ტექსტთან ერთად გამოსცა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბილისი.

სოსიაშვილი 2013 ბ: სოსიაშვილი გ., რობერტ კერ პორტერი ცნობები ალექსანდრე ბატონიშვილის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, კრებ. ქუთაისური საუბრები, ქუთაისი.

ჰაუჩინსონი 1960-62: Hutchison S. C., The Royal Academy Schools, 1768-1830, *Walpole Society*, №38.

ROBERT KER PORTER'S DIARY ABOUT HIS TRAVELLING IN GEORGIA AS HISTORICAL SOURCE

Giorgi Sosiashvili

Painter, writer and diplomat Robert Ker Porter was born in England, namely, in Durham on April 26, 1777 one of the five children of William Porter. Robert was an ancestor of the Irish family. His father William (died in 1779) a surgeon in the 6th battalion of Dragoons. Mother of the future traveler was Jane Porter (1745-1831). Robert Ker Porter finished the Royal Academy of Britain and became a painter of an army sketches. Soon the Tsar Alexander I of Russia invited him in Saint Petersburg to paint the Admiralty Hall. In 1817 from Saint Petersburg Porter began travelling to Theiran through the Caucasus. His tour continued from Isfahan to the ancient Persepolis, from here travelled to Ecbatana and Bagdad. Porter made notes during his travels: *Travelling to Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylon in 1817-1820.* In 1821-1822 his notes were published in London in two volumes. The first volume describes Georgia.

Here is described numerous cities of the Eastern Georgia, among them is Dusheti, Ananuri, Mtskheta, Tbilisi. Porter's diaries include very interesting information about the Georgian population, dressing style, economic activities, the Russian government and so on.

The notes of the British traveler and diplomat will greatly help those researchers who are interested in the history of Georgia in the first quarter of the nineteenth century.

ხობის მონასტრის საისტორიო საბუთები. XV–XVIII საუკუნეები

(კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული კოლექციების მიხედვით)

თეა ქართველიშვილი

ხობის მონასტერი შუა საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. მისი ისტორიის რეკონსტრუირებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს დოკუმენტური წყაროების შესწავლას, რომელიც, წესისამებრ, სანდოობითა და მრავალფეროვანი ინფორმატიულობით გამოირჩევა. წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა XV-XVIII საუკუნეებს მოიცავს. XV საუკუნეს ეკუთვნის ჩვენამდე მოღწეული უძველესი დოკუმენტი.[1] ეს გახლავთ *იადგარის განახლების სიგელი, მიცემული შამადავლა დადიან-გურიელის მიერ ხოფის ღმრთისმშობლისათვის*, რომლის შინაარსიდანაც ცხადი ხდება, რომ მსგავსი საბუთი უკვე არსებობდა და შამადავლა დადიანი ძველი იადგარის მხოლოდ განმაახლებელია. მაშასადამე, ხობის მონასტრის ისტორიული საბუთები XV საუკუნემდეც არსებობდა და მას ჩვენამდე არ მოუღწევია. სავარაუდოა, რომ თავდაპირველი იადგარი მონასტრის დაარსებიდან მალევე შეიქმნა, რაც ქრონოლოგიურად XIII საუკუნეს უნდა დავუკავშიროთ. ცხადია, იადგარის შექმნამდე უკვე არსებობდა სხვადასხვა საბუთი, რომელიც ხობის მონასტერს მიემართებოდა და რომელთა საფუძველზეც შეიქმნა იადგარი. რაც შეეხება გამოქვეყნებული დოკუმენტური წყაროების ზედა ზღვარს, ჩვენ აღარ შევეხეთ XIX საუკუნეს, რადგანაც XIX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა და ხობის მონასტრის ისტორიისთვის აღნიშნული პერიოდი უკვე სხვა ეტაპია.

შემორჩენილი საბუთების უმრავლესობა შეწირულების ხასიათისაა. დოკუმენტური მასალა ასახავს მონასტრის ეკონომიკურ მდგომარეობას, ყმა-მამულის რაოდენობას, გადასახადების ცვალებადობას საუკუნეებისდა მიხედვით. ძალზე საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ხობის მონასტრისა და აფხაზეთის საკათალიკოსოს ურთიერთობაზე. მათი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პერიოდულად, ხობის მონასტერი წარმოადგენდა აფხაზთა კათოლიკოსის რეზიდენციას და ამავდროულად ხობის ეპისკოპოსის საყდარსაც. საკათალიკოსო მონასტრისა თუ საეპიკოპოსოს ცენტრის სტატუსის მიღება მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული ოდიშის სამთავროში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებასა და დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე.

საბუთების უმრავლესობა უთარიღოა. დოკუმენტში მოხსენიებული ისტორიული პირებისა, თუ დასახელებული ისტორიული მოვლენების საშუალებით განსაზღვრულია მათი შედგენის დრო და მეტ-ნაკლებად დავიწროებული უკვე არსებული ქრონოლოგიური ჩარჩო. ამასთან, დართულია განმარტებითი კომენტარები ისტორიულ პერსონალიასა და საისტორიო ფაქტებთან დაკავშირებით. საბუთების ნაწილი პირველად ქვეყნდება.

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს ეროვნული არქივის კოლექციებში დაცული საისტორიო საბუთები. სამწუხაროდ, არ მოგვეცა საშუალება გვემუშავა ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმსა და ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში, სადაც, სავარაუდოა, რომ ხობის მონასტრის შესახებ არსებული საისტორიო საბუთების გარკვეული ნაწილი უნდა იყოს დაცული.

საბუთის ტექსტებში გამოყენებული პირობითი ნიშნები:

() ქარაგმის გახსნა

[ ] აღდგენილი ადგილები

{ } დამწერის მიერ უნებლიედ გამოტოვებული და გამოცემაში აღდგენილი ადგილები

... დაზიანების გამო გამოტოვებული ადგილები

I დედნისეული სტრიქონის გამოყოფა

II დედნისეული კეფის გამოყოფა

[[ ]] კიდეებზე მიწერილი ტექსტი

№1

იადგარის განახლების სიგელი, მიცემული შამადავლა დადიან-გურიელის მიერ ხოფის ღმრთისმშობლისათვის (1)
[1470-1475]

დედანი დაკარგულია. XVII საუკუნეში მხედრულად გადაწერილი პირი, ს. კაკაბაძეს უნახავს ბიჭვინთის საკათალიკოსო საბუთებში (№92), რომელიც თავნაკლული და დაზიანებული ყოფილა. გვაქვს პირი: სეა, 1449-1571.

საბუთი უთარიღოა: ს. კაკაბაძე საბუთს ათარიღებს შამადავლე დადიანის ზეობის წლებით 1470-1474. გ. არახამიას მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად შამადავლე დადიანი 1475 წელს გარდაიცვალა,[2] შესაბამისად, საბუთიც 1470-1475 წლებით უნდა დათარიღდეს.

გამოცემები: სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ნ. I, ტფ., 1921, გვ. 1-2.

გონელი არახამია, შამადავლა დადიან-გურიელის სიგელი და *ხობის ძველი იადგარი*, წგ: საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები, თბ., 2009, გვ. 144-147.

... დავამტკიცე ..... ჯვარი და ბისონი ... კეთილითა შევამკვეთ და დავასუენეთ. და ვირწმუნეთ იერუსალიმისა და ანტიოქისა პატრიარქსა მიხაელს, სარქოთა და ომფორითა კათალიკოზი იოვაკიმ. ქრისტეს სა[ფ]ლავისა მარჯუენითა კათალიკოზად დავაყენეთ და საკათო[ლიკოზ]ოდ ესე გავაჩინეთ.

თავსა წმიდასა გიორგი მსხულებისა [თვი]სითა შესავლითა და გამოსავლითა მისითა, სამსხოთა...ითა ტყითა, წყლითა და სანადიროთა, სათევზოთა, [სა]ყანითა, რასაც მოგელია იხმარებდა, უძებარითა და საძებრითა, იმ რიგითა და წესითა, გლეხებითა ყოლათა და ჯუარის მტუირთველად ბერი ზოსიმე ... [კემ]ხელს გეგებერია კაჭრისშვილები ბაბადიშა და მისნნი ძმანი კახაი და ვა[ჟ]ბედაი, მისთანა ორნი მაშისძენი დედისმამაი და ლადარია, ორნი ნადირია მიქელა და მამისთუალი, წუწუნარი მამ[უ]ული და მარანი მისითა ტყითა, წყლითა და ეკლესიის კარი[თა] და სათევზოთა, კუირია მასხულია მისითა შვილებითა, ოთარაი წუწუნავა მისითა მამულითა, ბერია მისითა მამულითა, წყლისპირს ბონია ქრისტეშიაი მისითა მამულითა.

წყლის პირსა ჭალადიდს რიონსზედან ნახევარი ბაჟი ხოფისა ღვთისმშობლისა არის და ნახევარი კათოლიკოზს, ქარანტას და კემხელს მესამედი წყლის ბაჟი ყოელად წმიდისა არის, ნოხიდენს ოთხი კუამლი კაცი ყურუ... და სხუიტავა ანდალისშვილი შონია მათითა მამულითა, ტყითა, წყლითა და ეკლესიის კარითა. აგრეეე დადიანის სახლის თავი ნიშანი კათოლიკოზისა არის. აგრევე სხუათა აზნაურის შვილთა ნიშანი, აგრევე სხუათა ებისკოპოთა საფერხავი მართებს და ამას არა ეთხოვებოდეს, აგრევე ცუს გამოღმა და ჭუირიას წყალს შუა ვინცა [ნა]დირი მოკლას, სეფეს ყოვლადწმიდის წინ მოიღებდეს, ნურავინ დააკლებს.

ქ. აგრევე ჩუენ ბატონმა დადიან-გურიელმან შამანდავლა მოვიკითხეთ იადგარი (2) ძუელთაცა აგრე ეწერა (3), ვინცა ხოფის საყდარს გარეშემო უპატიობა იკადროს ანუ გლეხი [და ან]უ ჯოგი ნაუსხას ანუ ქურდობა ქნას ანუ სასახლეს [მი]უხდეს და გატეხოსა, ათი გლეხი დაეურვოს საყდარსა. ... ზედან მოუხდეს დაარბიოს დააწუას ... მეხადილე კუამლი გლეხი დაუ...ლოდ ანუ ღალატითა კაცი მოკლას, ორი ზომა [სის]ხლი დაეურვოს. ვინცა, ძმათაგანსა უპატიობა ჰკადროს ანუ აგინოს, ათასი ბოტ[ინატი დაუ]ურვოს, აგრევე ჭუირიას და ცუს შუა ტყე და წყალი ყოვლად წმიდისა არის და ნურავინ დააკლებთ და ვინ დააკლოს, რ[ისხ]ავსმცა მამა ძე და სული წმიდა და ყოვლად წმიდა ღმრთისმშობელი ხოფისა და ყოველნი წმიდანი ღთისან ზეცისანი და ქუეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი და ვინცა ამისდა შლად და ქცევად ჴელყოს, რისხავსმცა ქრისტეს საფლავის მადლი, იერუსალიმს შესვლა, ჯუარცმა, აღდგომა, ნათლისღება, ამაღლება, მეორედ მოსვლა, მთაწმიდა, სინაწმიდანი, მოციქულნი, წინასწარმეტყუელნი, მღუდელთმოძღუარნი, მოწამენი, წმიდანი მამანი, მეუდაბნოენი და ქალწულნი, შემცაედების შიშთუილიბი იუდასი, კეთრი დიოსკორესი, განდგომილება იელიანესი, ღრჭენა კბილთა და სატანჯველი მდედარისა მის უწყალოსა და ნურათამცა სინუ[ნუ]ლით ნუ იქნების ჴსნა სულისა მისისა ჴელთაგან ჯოჯოხეთისათა, უკუთუ სისხლნიცა თვისნი ქრისტესთვის დასთხივნის ა(მი)ნ. დამამტკიცებელნი ამათნი აკურთხნეს ღმერთმან ა(მი)ნ.

აქ ყოფილა ხვეული ხელისმოწერა.

(1) საბუთი ს. კაკაბაძისეულ გამოცემაში შემდეგნაირადაა დასათაურებული: *შამადავლა დადიანის წიგნი საკათალიკოზო სარგოს შესახებ.* საკითხი საგანგებოდ შეისწავლა გ. არახამიამ. დოკუმენტის ანალიზის შედეგად მან დაასკვნა, რომ ხობის მონასტერი იადგარის შედგენის პერიოდში ერთდროულად წარმოადგენდა როგორც კათოლიკოსის რეზიდენციას, ასევე საეპისკოპოსო ცენტრს. იადგარის ადრესატია ხობის საეპისკოპოსო და მონასტერი. საბუთში გამიჯნულია ხობის მონასტრისა და საეპისკოპოსოს ქონება, ასევე სასისხლო პრივილეგიები, საკათალიკოსოს ქონებისა და უფლებებისაგან.[3] იგი საბუთის რაობას განსაზღვრავს, როგორც „ხოფის ღვთისმშობლის ძველი იადგარის განახლების სიგელი შამადავლა დადიან-გურიელისა". უმნიშვნელო კორექტივები შეეიტანეთ საბუთის დასათაურებაში. პირველ ადგილზე საბუთის სახეობა მოვათავსეთ, შემდეგ შემწირველი და ბოლოს ადრესატი. ამასთან იადგარის განახლებაზე მითითებამ სიტყვა „ძველის" ჩამოცილებისაკენ გვიბიძგა და საბოლოოდ დოკუმენტის რაობა ამ ფორმით განვსაზღვრეთ: *იადგარის განახლების სიგელი, მიცემული შამადავლა დადიან-გურიელის მიერ ხოფის ღმრთისმშობლისათვის.*

(2) იადგარი – სპარსული სიტყვაა და სამახსოვროს ნიშნავს. იადგარში განსაზღვრულია საეკლესიო მფლობელობა, დადგენილია კუთვნილი და გასაცემი სარგო, ასევე დაწესებულია სისხლის სამართლის ნორმები საეკლესიო პირების ან ქონების ხელყოფის დროს. მასში გაერთიანებულია საეკლესიო სენიორიის სამეურნეო და სასამართლო საქმიანობისთვის საჭირო ინფორმაცია, რის გამოც ეწოდება იადგარი.[4] იადგარს უაღრესად პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირის მიერ გაცემული დოკუმენტებიდან ძირითად ინფორმაციას ილებდნენ ანოტირებული სახით და აერთიანებდნენ, რომელსაც ამტკიცებდა სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი საერო თუ სასულიერო იერარქი. იადგარს, როგორც იურიდიულ აქტს ყოველდღიური მოხმარებისთვის გამოიყენებდნენ.

(3) შამადავლა დადიან-გურიელი ძველი იადგარის განმაახლებელია, რომელიც საფიქრებელია, მონასტრის დაარსების ახლო ხანებში შედგა. საკუთრივ მონასტერი XIII საუკუნეში უკვე დაფუძნებულია. გ. არახამია თავდაპირველად მიიჩნევდა, რომ იადგარი XV საუკუნის პირველ ათეულ წლებში შეადგინეს. საბუთში მოხსენიებულია ბიზანტიური ფულის ერთეული „ბოტინატი", რომელიც საქართველოში მიმოქცევაში იყო XII-XIII საუკუნეებში. საბუთში ბოტინატი ფულის მნიშვნელობით იხმარება. იადგარში ბოტინატის საკმაოდ დიდი რაოდენობაა დასახელებული (1000 ბოტინატი), რისი გადახდაც შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ სავარაუდოა, რომ საბუთი ასახავს იმ პერიოდის ვითარებას, როდესაც ფულის კურსი დაეცა – XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XV საუკუნის ჩათვლით.[5] მოგვიანებით, ძველი იადგარის დათარიღების საკითხში გ. არახამიამ კორექტივები შეიტანა და მისი შედგენა XIV საუკუნის შუა წლებს ან მეორე ნახევარს დაუკავშირა.[6] მ. სურგულაძე მიიჩნევს, რომ თავდაპირველი იადგარი XIII საუკუნეში არის შედგენილი.[7] იმოწმებს რა გ. ჯაფარიძისა და ე. ხოშტარია-ბროსეს ნაშრომებს, არგუმენტებად სწორედ ბოტინატის დასახელება და იადგარში ასახული, XIII საუკუნისათვის დამახასიათებელი, ბატონყმური ურთიერთობები მოაქვს.[8] შამადავლა დადიან-გურიელის მიერ განახლებული იადგარი მესამედ განაახლა ლევან II დადიანმა (1611-1657). ჩვენამდე მოღწეულ იადგართა შორის ხობის იადგარი ყველაზე ძველია.

№2

ნუსხა სახოფო გლეხებისა

დედანი დაკარგულია. გვაქვს პირი: სეა, 1449-1577, გადაწერილი ს. კაკაბაძის მიერ. ფანქრით მიწერილი: „მე-XVI საუკ. შუაში". ამ დროს უნდა იყოს შედგენილი საკათალიკოზო საბუთებში დაცული ნუსხა გლეხების თეთრის გარდასახადისა №82. ნუსხა ხოფელ ეპისკოპოზის გლეხებისაა, დაწერილია თეთრ ქაღალდზე ნუსხა ხუცურად, თავი აკლია და რაც დარჩენილია მისი ზომა უდრის 54 x 15.

საბუთი უთარიღოა. ს. კაკაბაძე საბუთს XVI საუკუნით ათარიღებს.

გამოცემა: ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფ. 1921, გვ. 13-14.

მართებს ამბაჲნაბარს დუდუნიას ოცი თეთრი
მართებს კთილისა დუდუნიას ოცდაათი თეთრი
მართებს მ[ა]მისბედაჲსა ოცდახუთმეტი თეთრი
მართებს მამრომაჲს დუდუნიას თუთხმეტი[9] ნაღდი თეთრი
მართებს კუტალია აბედიას და კუკუჩიას ოცდაათი თეთრი
მართებს ქრისტეშია კუტალიას ოცი თეთრი
მართებს ბ პატი კუტალიას მამულსაჲ ოცი თეთრი
მართებს პარკაღებს ორმოცი თეთრი
მართებს გორამებსა სამოცი თეთრი
მართებს კორტიკიას ოცდაათი თეთრი
მართებს ჩიქობელსა ხუ[თ]მეტი თეთრი
მართებს მ[ა]მისახარს სანაკიას ორმოცდახუთმეტი თეთრი
მართებს ი(ოან)ე და ქერობინს ცულუნიას ათი თეთრი
მართებს მოგელი იასავას და დარჩინასა ოცდახუთი თეთრი
მართებს ქრისტეშია ბერიას ოცდაათი თეთრი
მართებს იმარინდუჲ ჭანტურის მეორე წელიწადსა თუთხმეტი თეთრი
მართებს ი(ოან)ე ჭანტურას ხუთმეტი თეთრი
მართებს ესტატაი შუღლაიას ხუთმეტი თეთრი
მართებს ბედინაი კუკუტაიას თხუთმეტი თეთრი
ამას წინათ რ[ა]ჲცა სწერიათ: უნდა მაისს ბგ მოკრეფდეთ
მართებს მსხულებს ხატის ბეგარაჲ: ომაისური ერთი ზროხისაჲ თეთრი: ცხომარაია მ[ა]მისთევნასშვილისაჲ თევნაბიას და მაოხიას
მართებს ჭანტურიებსა ოცი თეთრი
მართებს რატიებსა ოცი თეთრი
მართებს სლთაამს ცხომარიას ოცი თეთრი
მართებს ჩუკოლიებსა ოცი თეთრი
მართებს ცხომარიას და ულოიას და გურიბიაშვილსა ოცი თეთრი

მართებს თევნაბიას და მისსა განაყოფს ათი თეთრი
მართებს წყ[ა]ლისძგელთა ხატის ბეგ[ა]რაჲ ომაისური ი(ოან)ე ილივარიასაჲ ოცი თეთრი
მართებს მაბებია კკრკუტლიას ოცი თეთრი
მართებს დოხუჩასა კკრკუტლიას ოცი თეთრი
მართებს სანას რასა კკრკუტლიას ოცი თეთრი
მართებს ვაუბედიასა ღუამჭითავას ოცი თეთრი
მართებს მამისარისა კკრკუტლიას ოცი თეთრი
მართებს თქელს კუათაცხელიას ოცი თეთრი
მართებს კახაბერასა კკრკუტლიას ოცი თეთრი
მართებს გავაშელ კკრკუტლიას ოცი თეთრი
მართებს მაკაკასაჲ კკრკუტლიას ოცი თეთრი
მართებს გუგუასაჲ ღუამჭითავას ოცი თეთრი
მართებს სკმონს კკრკუტლიას ოცი თეთრი
მართებს გმჲგონი კკრკუტლიას ოცი თეთრი
მართებს დიდისკთილსა კკრკუტლიას ოცი თეთრი
მართებს მ[ა]მისარასა კკრკუტლიას ოცი თეთრი
მართებს პაპას კკრკუტლიას ოცი თეთრი
მართებს მ[ა]მისასა შონიას ოცი თეთრი
მართებს ბევროზასა შონიას ოცი თეთრი
მართებს გუგულასა კკრკუტლიას ოცი თეთრი
მართებს ანდრიათვ[ა]ლსა ასის ნაღდისა სანთელი
მართებს კოთელასაჲ ნავსაჲ მაისობისა თკთოსა ნავსაჲ მუნის წინაჲ სანთელი, ვინც არ მოსცეს ყ(ოვლა)დ წ(მიდა)ჲ ღ(მრთ)ისმშობელი გაურისხდების და ხოფისა ღ(მრ)თისმშობლის წინამდეგის ებისკოპოზიდ მადლისაგან შეჩუტნებულმცა არის. ანდა სა[უ]კუნეთაჲ ს[აუ]კ[უ]ნეთაჲსა ა(მი)ნ და [უ]კ[უ]ნისამდი]ნ.

№3

შეწირულების წიგნი ხობელი ნიკოლოზ წულუკიძისა ხოფისადმი

დედანი დაკარგულია. გვაქვს პირი: სეა, 1449-1584, თავნაკლული და ხეც, Qd 9137 (არასრული).

საბუთი თარიღიანია: ქორონიკონი სმიზ (257) /1569/. საბუთი გადაათარიღა თ. ჯოჯუამ. სიგელში აღწერილი ამბები 1667 წლის ოსმალთა ლაშქრობას დაუკავშირა, როდესაც თურქებმა ხობის მონასტერი დაარბიეს და მისი მთავარი სიწმინდე ღმრთისმშობლის კვართი მიიტაცეს. ვინაიდან საბუთის დედანი დაკარგულია, ადვილი შესაძლებელია გადამწერმა შეცდომა დაუშვა და ქორონიკონი სმიზ (257) 1569 წელი (1312+257) დაწერა ტმიზ (357) ანუ 1669 (1312+357) ნაცვლად. ტ (300) გრაფემის მაგივრად ს (200) გრაფემა გადაიტანა.[10] ამასთან საბუთის ბოლო ფრაგმენტში მოხსენიებული პირის ზამან ბარძიმიშვილის იდენტიფიკაციის საშუალებით, თ. ჯოჯუამ საბუთი XVII საუკუნის II ნახევარს დაუკავშირა[11] და საბუთის თარიღად 1669 წელი მიიჩნია.

გამოცემები: ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფ. 1921, გვ. 19-21. დედნის მიხედვით; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ.274-275.

[ყოვლად] ქებულსა და დიდებულსა უმაღლეს ყოვლად წმიდასა და უფროსად კურთხეულსა დედოფალსა ხობისა ღ(მრ)თისმშობელსა, ოდეს სხვა ხოფელი იჯდა და თათრისაგან გაოხრებული და გაცუდებული საყდარი და მონასტერი იყო, ესე აოხრებული მონასტერი და მამული. ვიგულე და ვიგულსმოდგინე და შემოგწირეთ მცირე და კნინი შესაწირავი ესე შენ, თეთროსანსა (1) ხობისა ღ(მრ)თისმშობელსა თავს: ვერცხლის ბარძიმი და ფეშხუმი და კამარა, სამი ატლასის პერექლები, ერთი ოდიკი, ერთი ნაქსოვისა კრეტსაბმელი, ერთი ხელი შესამოსელი სტიხარი და ფილონი ნაქსოვისა, ოლარი ნაქსოვისა, სამკლავე ნაქსოვისა, ერთი დიდი ქვაბი სპილენძი გურიადამან მოვატანინე, გავაჭედინე და შემოგწირეთ ჩვენის სულის სახსრად და საოხად.

აწე, ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან ესე ჩვენგან შეწირული ნაღვაწი გამოგწიროს ანუ დადიანმან, ანუ დედოფალმა, ანუ კათალიკოზმა, ანუ ვეზირმან, ანუ ხოფელმან, ანუ მესტუმრემან, ანუ დიდმან ანუ მცირემან, – რისხავს თავად ღმერთი და ხოფისა ღ(მრ)თისმშობელი, ქრისტეს საფლავი და სისხლი მეწამული გოლგოთა და ცხოველსმყოფელი პატიოსანი ჯვარი, სინა, მაყვალი შეუწველი, მთაწმიდა. წყეულ და შეჩვენებულ არს ოთხთა პატრიარქთაგან, სამას ათურამეტთა მამათაგან. მასმცა ედების კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, ღრჭენა კბილთა დიოსკორესი და იესოს ჯვარისმცემელთანაც განიკითხვის მისი სული და ხორცი.

და[მა]მტკიცებელნი ამისნი აკურთხეს ღმერთმან, ამინ, ამინ. კიდეე ამას გარეთ ერთი მოსახლე კაცი თათრისაგან ვიყიდე სკვამიკოჩა ფაცისა და მოვნათლე, დავასახლე ხოფს და ვინც კანდელაკი იყოს, იმისთვის მიმიცემია და ყოველს წელიწადს ღმრთისმშობლობას ჩემი სულისათვის ჟამს სწირევდეს. ვინაც ბერები და ხუცები იყოს, იმიანათ სწირევდეს.

დამიც ბეგარა: ერთი ცხვარი, ერთი ლოღარიკონი სანთელი, ორი შაურის საკმეველი, სამი კოკა ღვინო, ორი ქილა ღომი, რაეთიც ეშოვებოდეს, თევზი და ყველი და კვერცხი მიართვან. თუ ის დღე მარხვა მოხდეს, მეორე დღეს სახსნილო მიართვას და ჩემი სულისათვის ჟამს სწირევდეს და მომიხსენებდეს და შემომინირავს ხოფისა ღმრთისმშობლისათვის ჩემი სულის სახსრად და საოხად.

აწ, ვინც გამოსწიროს, რომელიც ზემოს წყევლაა და შეჩვენება სწერია, ისიც მოინევს მას ზედან და ხობის ღ(მრ)თისმშობელიც, ამინ, ამინ.

ქორონიკონსა სმიზ.

ხელრთვა: ნიკოლოზ ხოფელი

ქ. სხვა კიდევ ამას გარეთ ზამან ბარძიმისშვილი მოკვდა და მის ნიშანსა და ნაწირვში ამიყვანია ივანე და სარჯელია და კაკულაია სერგია და ხატისდა შემინირავს ხოფისა ღ(მრ)თისმშობლისათვის მათის ცოლშვილით, სახლ-კარითა, ჭურ-მამულითა, მისის ყოელისფერითა. დამიც ჩემის სულისათვინ ერთის საკლავის სანთელი ოთხი ლოღარიკონი, სხვა რაცა ემართოს ხოფელს მიართმევდეს. და შემინირავს მე, წულუკიძეს ნიკოლაოზს ხოფისა ღ(მრ)თისმშობლისათვის.

რამანცა ძემან კაცისამან ესე გამოწიროს, ანუ დადიანმან, ანუ ვაზირმან, ანუ მესტუმრემან, ანუ სხვა ვინმემ ძემან კაცმან, მასცა რისხავს თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქვეყანისა[ნი და ხოფი]სა ღ(მრ) თისმშობელი.

ხელრთვა: ნიკოლოზ

(1) თეთროსნის ღმრთისმშობელი – საქართველოში გავრცელებული ერთ-ერთი წოდებულება ღმრთისმშობლისა, ნიშნავდა „თეთრით შემოსილს". თეთროსანი ღმრთისმშობლის ეკლესიები გვხვდება სხვადასხვა მხარეში: არაგვის ხეობა, ქსნის ხეობა, სვანეთი, გურია, სამეგრელო. გურიის სოფ. ხუცუბანში არსებულ თეთროსნის ეკლესიაში არის გადაწერილი ცნობილი „თეთროსნის დავითნი".[12] ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ თეთროსანი თეთრი გიორგის კულტთან არის დაკავშირებული. (იხ. ა. იოსელიანი, ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973). თუმცა მას შემდეგ რაც წყაროებში დადასტურდა, რომ ეპითეტი თეთროსანი ღმრთისმშობელს მიემართებოდა, აღნიშნულმა მოსაზრებამ საფუძველი დაკარგა.

№4

სიგელი და იადგარი, მოცემული ლევან დადიანის მიერ ხოფის ტაძრისათვის (1)

ᲓᲔᲓᲐᲜ: ხეც, Hd-1551-ა, თეთრი ეტრატი, მოთავსებულია რამდენიმე საბუთი; ადგილ-ადგილ დალაქავებულია; კიდეებზე ზოგან დაკრულია თხელი სარესტავრაციო ფურცელი, მაგრამ საბუთი ცუდ მდომარეობაშია, მარჯვენა და მარცხენა კიდეები მოფლეთილია და ტექსტი ალაგ-ალაგ დაზიანებული, საბუთი შეგდება ერთმანეთზე დაწებებული ოთხი ფურცლისაგან, I ფურცელი ზომა: 43,8 X 17,5სმ, II ფურცელი ზომა: 43,1 X 20 სმ, III ფურცელი ზომა: 43,5 X 21სმ, IV ფურცელი ზომა: 20,3 X 20,5სმ; რ-ს I და II ფურცელზე შავი ფერის მელანი და III და IV ფურცელზე და მთლიანად ვ-ზე ყავისფერი მელანი, დასაწყისი ოთხი სტრიქონი და ზოგიერთი სიტყვა დაწერილია სინგურით; ლამაზი მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ტექსტი ნაწერია რ-ზე და ვ-ზე სრულად.

ᲡᲐᲑᲣᲗᲘ ᲣᲗᲐᲠᲘᲦᲝᲐ. ე. თაყაიშვილი და ი. დოლიძე ლევან II დადიანის ზეობის წლებით 1611-1657 ათარიღებენ მას.[13] ს. კაკაბაძე 1639-1657 წწ.[14] პირთა ანოტირებულ ლექსიკონში საბუთი დათარიღებულია 1628-1647 წწ.[15] ქვედა ზღვრად აღებულია საბუთში მოხსენიებული მაქსიმეს გაკათალიკოსების წელი, რადგან აღნიშნული გამოცემის შემდგენლები თვლიან, რომ მაქსიმეს წინამორბედი მალაქია კათალიკოსი 1628 წელს გარდაიცვალა და მაქსიმემაც ამ დროს დაიკავა საკათალიკოსო ტახტი.[16] ზედა ზღვრად 1647 წლის მიჩნევა გაურკვეველია. მართებულად მიგვაჩნია ს. კაკაბაძისეული დათარიღება. ქრონოლოგიურ ჩარჩოს ავიწროვებს საბუთში კათალიკოს მაქსიმე მაჭუტაძის მოხსენიება. მაქსიმე საკათალიკოსო ტახტზე აღსაყდრდა 1639 წელს. ბუნებრივია, საბუთი 1639-1657 წწ. შორის არის შედგენილი.

საგულისხმოა, რომ საბუთში არ იხსენიება ლევან II დადიანის მეუღლე ნესტან-დარეჯანი. სავარაუდოა, რომ იგი უკვე გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო ამ დროისთვის, თუმცა ქრონოლოგიურ ჩარჩოს ეს ვერ ავიწროვებს, რადგან ნესტან-დარეჯანი 1639 წელს გარდაიცვალა, ჯერ კიდევ მალაქია კათალიკოსის სიცოცხლეში. შესაძლებელია, რომ საბუთის გაცემა სწორედ ნესტან-დარეჯანის სულის საოხად მოხდა, როგორც სხვა შეწირულობები, რომელიც ასე უხვად გაიღო ლევანმა.

ᲞᲘᲠᲔᲑᲘ: ხეც, Qd-9135, ხეც, Ad-2251 ლა და ხეც, Sd-2921. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘ: ექ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, №6, გვ. 26-33, ტფ., 1899 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 208-211. С.С. Какабадзе, гдина, 1967, №232, с. 174-175.

ქ. კურთხეულ არს ღ(მერ)თი დაუსაბამო... *(ვრცელი საღვთისმეტყველო შესავლის შემდეგ)*... თავსმდებობითა, შუამდგომლობითა, მინდობითა, გკადრეთ და| მოგახსენეთ დაწერილი სიგელი ესე იადგარი, უმიზეზო და უკუნისამდე წელთა და ჟა|მთა შეუცვალებელი და მარადის განთავებით განსრულებული, თქუენ, ჩუენსა მ|ცველსა და მფარველს და

ცხოვრებისა ჩუენისა წარმმართებელსა და განმარჯვებ[ითა]| მძლეველსა მტერთა და მბრძოთა ჩუენისათა, ქალწულსა უბინოსა, მარადის| ბინშეუხებელსა, დედასა ნათლისასა და მშობელსა მეუფისასა უთროსნისა| ღ(მრ)თისმშობელსა (3) და ძელსა ცხოველსა (4), ხოფის ტაძარსა შინა განსუენებულთა, მ|ისაძინელთა და საძუალთა პირველ კურთხეულთა და საუკუნოდ განსუენებულ[თა]| პატიოსანთა და სახელოვანთა [ძ]უელთა ჩუენთა პაპ[ა]თა და პაპის [პაპათა ყ(ოვლა) დ] სა|ნატრელთა – გიორგი (5), ეამეყ (6), შერგილ (7) და სამადავლე (8), ამათით ოთხთა ღ(მრ)თივ პიტ[ი]ვ|ცემულთა და გუირგუინოსანთა საფლავსა, და ჩუენსა სასოებით შესავედრებელს ხო|ფს განსუენებულსა სახესა და ხატს წ(მიდ)ისა ღ(მრ)თისმშობელისასა და ჯჯვარის ყო|ველთა განმაცხოველებელსა. მოგახსენეთ და გკადრეთ იადგარი და სიგელი მ|ტკიცე, ჟამთა საუკუნეთა გასათავებელი, ჩუენ თქუენ მიერითა მადლით|ა და ცვა-ფარვითა მძლედ და ძლიერად ამაღლებითა განძლიერებულმ|ან და ოხითა თქუენითა ზესთა აღმატებულმან და მტკიცედ მპყრობელ-მქონ|ებელმან, თვით განმგებელმან, თქუენ მიერ სახელ ა<მ>ღმატებულმან და (ფ)რ(ია)დ| მსასოებელმან და მადლთა და წყალობათა თქვენთა მინდობითა სარწმუნოდ| მოსავმან და სურვილით მოქენემან, ჴელმწიფემან, პატრონმან დადიანმან| ლევან. შიშით და კრძალვით განგიახლეთ და დაგიმტკიცეთ მტკიცე ესე უ|კუნისამდე კაცთა ნათესავისაგან შეუცილებელ-შეუსარჩლელი წიგნი და| ნიშანი, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ჟამთა ვითარებისა, და წელთა გ|არდასულისა, და ეტლთა მოქცვისა, და დღეთა ცვალებისაგან მოშლილიყო სოფე|ლი და ტყე, და ველი. ვნახეთ და მოკითხული ვქენით, და ძუელთა ჩუე[ნ]|თა მამა-პაპათა საფლავი ყოფილიყო, კურთხეულთა და სახელდებულთა და| მათ მიერ დადებული და გარიგებული იადგარი /და სიგელი/ ენახეთ და ჩუენცა გულ|სმოდგინებით ესრეთ დაუმტკიცეთ, ესე ვითარცა დადიან-გურიელისა, სულ|კურთხეულისა სამადავლ[ა]საგან გარიგებული სიგელი ვნახეთ, ესრეთ ეწერა| და გაერიგა: "ძუელითგანი იადგარი გ[ა]რყუნილიყო და დაკარგულიყო ხოფისა ღ(მრ)თისმ|შობელისა, მას ჟამსა უღმთოდ და უსჯულოებად მი[ი]ქცეს აფხაზნიო და აღვიყვან|ეთ იოვაკიმე – კაცი ღირსი ნეტარებისა და დავსვით კათალიკოზად, რომელი აფხაზთა| გარყუნეს სჯული და კ(ათალიკ)ზობა, ხოლო ჩუენ მარჯუენითა ქრისტეს საფლავისათა და| იერუსალემისა და ანტიოქი[ი]ს პატრიარქისა მიხაილის ნებადართვითა გავარიგეთო| ჯუერითა და ონფორითაო." აწე, ჩუენცა მათი გარიგებული და დადებული იადგა|რი ვნახეთ, განვიცადეთ და ჩვენც მსგავსად მათებრ დავამტკიცეთ და გავარიგეთ თ[ა]ვს| მსხულების წ(მინ)და გიორგი, მის შესავლითა და გასავლითა, წყლითა, ტყითა, სანა|დიროთა, სათევზოთა, საყანითა, უძებრითა და საძებრითა, იმა რიგითა გლეხებ|ითა, ჯვარისმტვირთველითა ბერი ზოსიმე, კემხელს გეგებერია, ვაჭრის შვილები,| ბაბადიში და მისნი ძმანი: კახაი და ვაუბედაი, მასთანა ორნი მაშის| ძენი დეის მამაი, და ორნი ლადარია: მიქაილ და მამისთუალი, წუწუნარი,| მამული და მარანი, მისითა ტყითა, წყლითა და ეკლესიის კარითა და სათე|ვზოთა, კვირია მასხულია, მისითა შვილებითა; თათარაი წუწუნავა მისის მ|ამულითა, ბერია მისის მამულითა. წყლისპირს, ბონია ქრისტეშია მისი|თ მამულითა. წყლისპირს რიონზედა, ჭალადიდსა, ნახევარი ბაჟი ხოფისა ღ(მრ)თის|მშობელისა არის. არის ქარიატას და კემხელს მესამედი ნავი და ბაჟი ყ(ოვლა)დ|წმიდისა, არის ნოხუდენს ოთხი კვამლი კაცი: ყურუა და სხვიტავა, ანდ|ალაისშვილი და შონია, მათითა მამულითა, წყლითა, ტყითა, სათევზოთა და| ეკლესიის კარითა. აგრევე, დადიანის სახლის თავი ნიშანი და სხვათა თავადთა| და აზნაურისშვილთა, ნიშანი კ(ათალიკ)ზისა არის, სხუათა ეფისკოპოზთა [3] || დგ[ომით] მართებს და ამას არას ეთხოვებოდესრა. აგრევე ცუს გამოღმა და [3] | და ჭვირას გაღმა ვინცა ნადირი მოკლას სეფესა ყ(ოვლა)დწმინდასა წინ მი[ი]ღ|ებდენ, ნურავინ დააკლებთ. აგრევე, ჩუენ პატრონმან დადიან-გურიელმ|ა შამადავლამ იადგარი [პირ]უელითგანი /ვნახეთ/ და ასრე ყოფილიყო ძუელითგან და| ესრეთ [ე]წერა: ვინც ხოფისა საყდარსა გარეშ[ე]მო უპატიობა იკადროს, ანუ| გლეხი დაურბიოს, ანუ ჯოგი წაუსხას, ანუ ქურდობა ქნას, ა[ნუ]| სასახლეს მოუხდეს და გატეხოს, ათი გლეხი დაუურვოს საყდარსა ვინ|ცა სახოფოსა ზედან მოუხდეს, და[ა]რბიოს და დანუას, მეხადილე გლეხი და|უურვოს საყდარსა. ბოდ, ანუ ღალატითა კაცი მოუკლან, ორი ზომა| სისხლი დაეურვოს. ვინც ძმათაგანსა უპატიობა ჰკადროს, ანუ აგინოს, ათა|სი პოტინატი დაუურვოს. აგრევე, ჭვირიას და ცუს შუა ტყე და ნ|ყალი ყოვლადწ(მიდ)ისა ხოფისა ღ(მრ)თისმშობელისა არის უცილებელი. ესრეთ ეწ|რა ძუელსა სიგელსა და იადგარ შიგან. ამა წყევითა და კრულვითა, აწე, ჟამ|თა ვითარებისაგან სიგელი გარყვნილიყო და კურთხეულსა დადიან-გუ|რიელს შამადავლსა გაერიგებინა, როგორც ძუელად ყოფილიყო ის|რევე გაერიგებინა.

აწე, მელია და საყდრის კაცები იცილებოდეს და დავსხ|ედით ჩუენ, ჴელმწიფე-პატრონი დადიანი ლეონ და კ(ათალიკ)ზი მაქს|იმე მაჭუტაძე და ვნახეთ ძუელი იადგარი და სრულად ჩვენი დარბაისელნი| დავისხით და გავუსინჯეთ და ასრე ეწერა წყევით რომე ჭვირასა და ცუს| ...

საბუთს ბოლო აკლია. ვ-ზე ჩანს ქვედა გრაფემები, უნდა იყოს ხელრთვა: ლევან. ქაღალდი აქერცლილია და, ვფიქრობ, უნდა იყოს კათალიკოზის ხელრთვა მაკურთხეველი მარჯვენა ჯვრით. იმავე ფერის მელნით – კ(ათალიკ)ზი მაქსიმე.

(1) ლევან II დადიანი იადგარის მესამე განმაახლებელია. იგი საბუთში მიუთითებს, რომ მანამდე არსებულ იადგარს ეყრდნობა, რომელიც შამადავლე დადიან-გურიელს (1470-1475) შეუდგენია და სიტყვა-სიტყვით იმეორებს მისეულ ტექსტს. ხოლო შამადავლე, თავის მხრივ, უფრო ძველ იადგარს ემყარება. ლევან II დადიანი სიტყვა-სიტყვით იმეორებს შამადავლა დადიანისეულ ტექსტს. იადგარს ახლავს მოგვიანო პერიოდის განახლებები და ხობის ღმრთისმშობლისადმი შეწირულებების დოკუმენტები, რომლებიც ასევეა წარმოდგენილი ჩვენს პუბლიკაციაში, თუმცა არქეოგრაფიულ აღწერილობაში არ გვაქვს მითითებული საბუთის ზომები, ვინაიდან ტექსტები ერთმანეთის მიყოლებით ან არშიაზე არის მოთავსებული იადგარისთვის განკუთვნილ ეტრატზე.

(2) ლევან II დადიანი – მანუჩარ II დადიანის ძე. ოდიშის მთავარი 1611-1657 წწ. ლევან დადიანი ზრუნავდა ხობის ტაძარზე. მისი სახელი შემოუნახავს აქ დაცულ ხატებს. ლევანი განსაკუთრებულ შეწირულობებს ახორციელებს მეუღლის, ნესტან-დარეჯანის გარდაცვალების შემდეგ. სწორედ მისი სულის საოხად შეუმკია და მოუჭედინებია სანანილე კოლოფი,

რომელშიც ინახებოდა საქრისტიანოს უდიდესი სიწმინდე – ღმრთისმშობლის კვართი, ასევე წმინდა მარინეს მკლავი, იოანე ნათლისმცემლისა და წმინდა გიორგის წმინდა ნაწილები.[17]

1640 წელს, ნესტან-დარეჯანის სულის საოხად, განუახლებია და ძვირფასი თვლებით შეუმკია მრავალნაწილიანი ვერცხლის ხატი, წარწერის თანახმად იგი თამარ მეფის დედის – ბორდოხან დედოფლისეული ყოფილა და მასში სხვა წმინდა ნაწილებთან ერთად ინახებოდა ძელიცხოვლის ნაწილი.[18]

(3) თეთროსნის ღმრთისმშობლის შესახებ იხ. დოკუმენტი №1-ის კომენტარი.

(4) ძელიცხოველის ნაწილი ხობის მონასტერში იყო დაცული. საკითხი საგანგებოდ შეისწავლა გიორგი კალანდიამ ნაშრომში *ოდიშის საეპისკოპოსოები*, სადაც მოაქვს სათანადო წყაროები (ჯუზეპე მარია ძამპი, ალექსი იევლიევი და ნიკიფორე ტოლოჩანოვი, ე. თაყაიშვილი), რომელთა თანახმადაც აღნიშნულ ავტორებს ძელიცხოველის ნაწილები პირადად უნახავთ ხობში.[19] საქართველოში დაბრძანებული ძელი ჭეშმარიტის ნაწილების შეისწავლა ელდარ ბუბულაშვილმა. წყაროების ანალიზის საფუძველზე მან დაასკვნა, რომ ხობის მონასტერში დაცულ რამდენიმე ხატსა და ჯვარში ჩაყოლებული ყოფილა ძელიცხოვლის ნაწილი.[20]

(5) გიორგი დადიანი – ძნელია განვსაზღვროთ თუ რომელი გიორგი იგულისხმება აღნიშნულ საბუთში. იგი უნდა იყოს ხობის მონასტრის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახული ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთუხუცესი გიორგი, რომელსაც ტაძრის მაკეტი უპყრია ხელთ და თან ახლავს სათანადო წარწერა, სადაც მას ტაძრის აღმაშენებელი ეწოდება.[21] მკვლევრებს უჭირთ მისი მოღვაწეობის პერიოდის დადგენა. ექ. თაყაიშვილი მიიჩნევს, რომ იგი არის გიორგი II დადიანი (1384-1396), მამია I-ის ძე. თუმცა მისი აზრით პირველი მაშენებელი არ უნდა იყოს ხობის ტაძრისა. მას უნდა ეკუთვნოდეს ეკლესიისთვის სამხრეთიდან და დასავლეთიდან ღია სტოის მიშენება.[22] ვ. ბერიძემ შეუძლებლად მიიჩნია, რომ ფრესკაზე გამოსახული გიორგი დადიანი მხოლოდ გალერეის ამშენებელი ყოფილიყო. იგი ქტიტორთა ადგილასაა დახატული ეკლესიის მოდელით ხელში, რაც იმას ნიშნავს, რომ გიორგი უდავოდ ტაძრის ამშენებელია, თუმცა არ არის სავალდებულო, რომ იგი მშენებლობის დამწყებად მივიჩნიოთ. საკუთარ თავს "საყდრის აღმაშენებელს" უწოდებდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხოლოდ დაასრულა თავისი წინამორბედის დაწყებული მშენებლობა.[23] გიორგი ბედანის ძეა და შერგილ დადიანის თანამედროვე, მოღვაწეობდა XIII-XIV სს. მიჯნაზე. ისტორიულ წყაროთა მონაცემებს სავსებით ეთანხმება ტაძრის ხუროთმოძღვრული ანალიზი.[24] მ. ბახტაძემ საგანგებოდ შეისწავლა ოდიშის ერისთავთა ქრონოლოგიური რიგი. მისი დასკვნით, ბედან II-ის ძე გიორგი II, XIII ს-ის 70-იან წლებში მოღვაწეობდა.[25] გ. არახამია მიიჩნევს, რომ ბედან II-ის ძე არის გიორგი I, რომელიც მოღვაწეობდა XIII ს. 90-იან წწ. ვიდრე 1323 წ-მდე. იგი არის ხობის ტაძრის ქტიტორი და აქვეა დაკრძალული.[26]

ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ საბუთში მოხსენიებული ყველა დადიანი დასაფლავებულია ხობში.[27] თ. ბერაძე თვლის, რომ ხობში მხოლოდ გიორგი II და ვამეყ I არიან დაკრძალულნი.[28]

(6) ვამეყ I დადიანი – ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთუხუცესი, გიორგი IV დადიანის ძე. ოდიშის ერისთავი 1384-1396 წწ. მან ააგო ხობის მონასტრის სამხრეთი მინაშენი, რომლის შესახებაც ფასადზე დატანილი წარწერა გვამცნობს. წარწერაში მოთხრობილია, რომ ვამეყს ჯიქეთში ულაშქრია, საიდანაც წამოუღია მარმარილოს სვეტები და ფიქალნი და ხობის ეკვდერის მშენებლობისთვის გამოუყენებია.[29] ვამეყს ეკუთვნის სამხრეთის მთელი მინაშენი – გალერიაც და დახურული ეკვდერიც. სვეტები ეკვდერში გამოუყენებიათ, ხოლო ფიქალნი – გალერეის კედლებში, ეკლესიის საკურთხეველის იატაკზე და ტრაპეზზე. იგი დაკრძალულია ხობის ტაძარში.[30]

(7) შერგილ დადიანი – ერისთავთ-ერისთავი შერგილი თავის ოჯახთან: მეუღლე ნათელთან, ვაჟთან ცოტნესთან და ასულ თამართან ერთად გამოსახულია ხობის მონასტრის სამხრეთ კედელზე.[31] ექ. თაყაიშვილმა იგი XIII ს-ის მოღვაწედ მიიჩნია.[32] ვ. ბერიძემ, ჩატარებული კვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ წარწერაში მოხსენიებული ცოტნე კოხტასთავის შეთქმულების გმირი არ არის და შესაბამისად შერგილის მოღვაწეობაც XIII ს-ის დასაწყისს ვერ დაუკავშირდება. იგი ახლო ნათესავი უნდა იყოს ხობის ეკლესიაში გამოსახული გიორგი დადიანისა და მისი თანამედროვე. შერგილს საოჯახო კაპელა აუშენებია ხობში.[33] მ. ბახტაძე შერგილის მოღვაწეობას XIII ს-ის მიწურულით განსაზღვრავს.[34] შერგილი, როგორც ჩანს, დიდად ზრუნავდა ხობის მონასტერზე და მასში დაცულ სიწმინდეებზე. მისი სახელი, ოჯახთან ერთად შემოუნახავს მაცხოვრის დასაკეც ოქროს ხატს, რომელშიც ჩადებული იყო თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი ძელიცხოვლის ნაწილით.[35]

(8) შამადავლე დადიან-გურიელი – ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით იგი ოდიშს განაგებდა 1470-1474 წწ.[36] გ. არახამიამ წყაროების ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ შამადავლე გარდაიცვალა 1475 წელს.[37] მის სახელს უკავშირდება ცაიშელ-ბედიელი იოაკიმეს კურთხევა აფხაზთა კათალიკოსად და ზოგადად, აფხაზთა საკათალიკოსოს გამოყოფა მცხეთის საპატრიარქოსგან.

№5

იადგარის განახლების წიგნი ლევან დადიანისა ხობისადმი
1662-1681

დ ე დ ა ნ ი; ხეც, Hd 1551-ა-1, ეტრატი აქერცლილია და ერთგან გახეული, ამ ადგილას ტექსტის ამოკითხვა ჭირს. ბაცი შავი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ტექსტი ნაწერია ვ-ზე, I კეფზე.

საბუთი უ თ ა რ ი ღ ო ა: დოკუმენტის გამცემი ლევან III დადიანი ოდიშის სამთავროს მართავდა 1662-1681 წლებში, შესაბამისად ამავე წლებით უნდა განვსაზღვროთ საბუთის დათარიღებაც.

გ ა მ ო ც ე მ ა: ექ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, №6, გვ. 30, ტფ., 1899.

პირი: ხეც, Sd 2921, ხეც, Qd 9145 და ხეც, Ad 2251-ლა (34/1).

ქ. როგორათაც ბიძაჩემს ლეუან დადიანს| გაერიგებია [ი]ადგარი ეს, უნახეთ და ჩვენ,| ხელმწიფეს დადიანს ლევანს (1) ასრე გა|გვირიგებია, და ჩვენც ასრე დაგვიმტკიცებია და| ამ წიგნშიდაც ასრე სწერია: სამი ნა|ვი [თათ]რები[38] რომ მოვიდეს, ორი ჩვენ|ი კაცისას დადგეს და მესამე ხატის ყმისას| დადგეს და ჩვენმან მებაჟენმან[39] ასრე გა[ა]რ[იგ|ოს.

ხელრთვა: ლევან

(1) ლევან III, იგივე შამადავლა დადიანი – ოდიშს მთავარი 1662-1681 წწ. hd-1551-დ თანახმად, მას ჰყავს მეუღლე თამარი. მისი მეორე ცოლი გახლდათ იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის ასული, თინათინი (1448-2225). იგი საკმაოდ სუსტი მმართველი გახლდათ. მან ვერ შეძლო შეენარჩუნებინა ლევან II დადიანის დროს ოდიშის სამთავროსთვის მოპოვებული პოზიციები.

№6

საკანონოს მირთმევის წიგნი ხახუ ჩიჩუასი კათალიკოს დავითისადმი
1675-1696

დედანი: ხეც, Hd 1551-ბ, გაყვითლებული ეტრატი, მუქი ყავისფერი მელანი. განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ტექსტი ნაწერია ვ-ზე, II კეფზე.

საბუთი უთარიღოა: თარიღის განსაზღვრა შეიძლება დავით ნემსაძის კათალიკოსობის პერიოდით (1673-1696). საფიქრებელია, რომ დოკუმენტი შედგენილი უნდა იყოს მას შემდეგ, რაც ლევან III დადიანმა 1675 წ. ხობის მონასტერი საკათალიკოსო რეზიდენციად გადასცა დავით ნემსაძეს. დოკუმენტი დავით კათალიკოსის ზეობის წლებით (1673-1696) დათარიღებული პირთა ანოტირებული ლექსიკონის V ტომში.[40]

გამოცემა: ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, №6, გვ. 31, ტფ, 1899 პირი: ხეც, Sd 2921-b; ხეც, Qd 9139 და ხეც, Ad 2251-ლა (34/4).

ქ. მე, ხახუ<მ> ფაციას, კაცი შემომაკდა და საკანონო გამიჩინეს| და ბიძაბ ცხომარია დავიხსენი და ხატს შევსწირეთ. ბატონ|მა კა(თალიკო)ზმა (1) და ხოფელმა გამიჩინა საკანონ[ო]დ და შევსწირეთ ხატს.| არის ამის მოწამე ბატონი ჭყოინდელი და ხახუ ჩიჩუეა. (2)

უზის ერთი ჯვარი.

(1) ქვემომოტანილი №7 საბუთის ტექსტიდან ირკვევა (Hd-1551-გ), რომ ხსენებული კათალიკოსი გახლავთ დავით ნემსაძე. იგი აფხაზთა საკათალიკოსოს განაგებდა 1673-1696 წწ. ლევან III დადიანმა მას გადასცა ხობის მონასტერი და ორი სასახლე. ნიშანდობლივია, რომ ამ შემთხვევაში, საკანონოს სწორედ კათალიკოსი აწესებს და შეწირულებაც ხობის, როგორც საკათალიკოსო მონასტერისადმია გაღებული.

(2) ხახუ ჩიჩუასგან (ჩიჩუვა) 1706 წელს, გრიგოლ აფხაზთა კათალიკოსს 300 მარჩილად შეუძენია ქუჩუა მირცხულავა და შეუწირავს ბიჭვინთის ღმრთისმშობლისათვის.[41] ასევე ბიას მცხოვრები ხოსია სიჭინავა კათალიკოსს ხახუს „საწირავსა და ნიშანში“ აიყვანეს.[42] პირთა ანოტირებული ლექსიკონის ტ. V მითითებულია, რომ ხახუ მოწმედ იხსენიება Hd 1551-გ,[43] თუმცა აღნიშნულ საბუთს მოწმეები საერთოდ არ ჰყავს. იხ. №7 (Hd 1551-გ).

№7

ყმის შეწირულების წიგნი, მიცემული აფხაზეთის კათალიკოს
დავით ნემსაძის მიერ ხოფის ღვთისმშობლისადმი
(1673-1696)

დედანი: ხეც, Hd 1551-გ, გაყვითლებული ეტრატი, შავი ფერის მელანი. მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ტექსტი ნაწერია ვ-ზე, II კეფზე საბუთი უთარიღოა: თარიღის განსაზღვრა შეიძლება დავით ნემსაძის (1673-1696) ზეობის წლებით. ამ შემთხვევაშიც სავარაუდოა, რომ დოკუმენტი შედგენილი უნდა იყოს მას შემდეგ, რაც ლევან III დადიანმა 1675 წ. ხობის მონასტერი საკათალიკოსო რეზიდენციად გადასცა დავით ნემსაძეს.

გამოცემა: ექ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, №6, გვ. 31, ტფ; 1899

პირები: ხეც, შდ 2921-გ; ხეც, Qd 9140 და ხეც, Ad 2251-ლა (34/3).

ქ. ჩვენ, ჩრდილოსა და აფხაზეთისა კა(თალიკო)ზ<ო>მან დავით შემოგწი|რე ბაუუნაი მირცულა (1), მისის შვილითა და ძმის[ნ]ულითა, მისის| სახ<უ>ლ-კარითა, ეკ<უ>ლესი[ი]ს კარითა, ტყითა, წყლითა, უძებარ-სა|ძებარითა და მისის ყოულისფერ[ი]თა. [[ასე და ამა პირუსა ზე]]| ხახუ ფაციას ნიშნად ბატონმა დადიანმან მიბოძა ეს გ<უ>ლეხი| და მე ხობისა ღ(მრ)თისმშობლისათვის შემოწირაუს ჩემი სულის| საოხად და საცხოუნებლად.

(1) ბაუუნაი მირცულა უნდა იყოს ბიჟოჟია, იგივე ბიჯოჯია მირცხულავა (მისხულავა). იგი იხსენიება hd-1551-ვ. ბიჯოჯია, 1696-1705 წწ. სიგელის თანახმად, აფხაზეთის საკათალიკოსოს ყმა-გლეხი იყო[44] და რადგანაც აღნიშნულ პერიოდში, ხობი საკათალიკოსო რეზიდენციას წარმოადგენდა, იგი ცხოვრობდა ხორგაში, რომელიც მონასტრის კუთვნილი სოფელი გახლდათ (1448-1529 r). მისი შვილია ქუჩუა მირცხულავა (იხ. №6 კომენტარი 2). მამა-შვილი ცალ-ცალკე უყიდია დავით კათალიკოსს. ბიჟოჟია 260 მარჩილად – პეპუნა ფაღავასგან, ხოლო ქუჩუა – ხახუ ჩიჩუასგან.[45]

№8

ყმის შეწირულების წიგნი, მიცემული აფხაზეთის კათალიკოს დავით ნემსაძის მიერ ხოფის ღვთისმშობლისადმი 1678-1679

დედანი: ხეც, Hd 1551-დ, გაყვითლებული ეტრატი, მკრთალი ყავისფერი მელანი. ლამაზი მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ტექსტი ნაწერია v-ზე, II და III ფურცელზე

საბუთი უთარიღოა: ასლებში ხეც, Sd 2921-დ და ხეც, Ad 2251-ლა (34/2), მითითებულია, რომ დოკუმენტი „არის ურიცხვო და უთვო".

საბუთის დასათარიღებლად მნიშვნელოვანია სიგელში ლევან III დადიანის მეუღლის თამარის მოხსენიება. თამარი ვახტანგ V შაჰნავაზის ძმისშვილი იყო. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, 1661 წელს შაჰნავაზმა ლევან III დასვა დადიანად და თამარი შერთო ცოლად.[46] 1663 წელს ლევანი იმერთა მეფე ბაგრატს შეებრძოლა და დამარცხდა. ბაგრატმა ლევანს თამარი წაართვა და თვითონ მოიყვანა ცოლად, ხოლო ლევანს თავისი და მიათხოვა.[47] 1678 წლის სექტემბერში მეფე არჩილმა ლევან დადიანის დახმარებით დაამარცხა ბაგრატ მეფე და თამარი ისევ ლევანმა დაიბრუნა, თუმცა 1679 წელს ბაგრატი კვლავშეება დადიანს და თამარი წაართვა.[48] თავად ლევანი 1680 წელს გარდაიცვალა. ლევანს თამარი ცოლად ჰყავდა 1662-1663 წწ, ხოლო მეორედ 1678-1679 წწ. საბუთი 1662-1663 წწ. გაცემული ვერ იქნება, რადგან შეწირულება გაიღო კათალიკოსმა დავით ნემსაძემ, რომელიც ზეობდა 1673-1696 წწ. გამოდის რომ საბუთი 1678-1679 წწ. უნდა იყოს შედგენილი. პირთა ანოტირებულ ლექსიკონში საბუთი დათარიღებულია 1673-1680 წწ.[49] ქვედა ზღვარი აღებულია დავითის გაკათალიკოსების წელი, ხოლო ზედა, ლევან III დადიანის მმართველობის ბოლო წელი. თუმცა ტექსტში თამარის მოხსენებამ საბუთის ქრონოლოგიური ჩარჩო უფრო დააკონკრეტა.

გამოცემა: ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, №6, გვ. 31-32, ტყ; 1899 პირები: ხეც, შდ 2921-დ; ხეც, Qd-9141 და ხეც, Ad 2251-ლა.

ქ. ჩუენ, ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან, ჩრდი|ლოსა და აფხაზეთისა კ(ათალიკო)ზმან, პატრონმან დავით, შემოგწი|რეთ თქვენ, ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღ(მრ)თისმშობელსა და ხო|ფის ღ(მრ)თისმშობელს (1) ლიფონავა ისუფი და მისი ძმა იანვარაი მათის| ცოლშვილითა, სახლ-კარითა, ჭურ-მარნითა, მისის ეკლე<ე>სიის| კარითა, მისის მამულითა, საყანითა, ტყითა, ველითა, გასავლითა| და გამოსავლითა, დღეს რისიც მქონებელი იყოს მისის [ყო]|ვლისფერით, სამართლიანის საქმითა, ასრე არის ამისის...| რომე გულერის კარს ბიჭვინტისა ღ(მრ)თისმშობლის / მეთევზე გ[ლე]ხი/ ძ[უ]ელ[ი]| შენაწირი ესახლა[50] და ასპანა ფაღავამ გაიქურდა და სახლის [კარ]|ობით დაგვიკარგა და მერმე მის გარდას[ა]ხადად ბატონმან [და]|დი[ა]ნმან ლეონ ხორგას ეს ლიფონავა გვიბოძა და ჩვენ [ბატო]|ნის დადიანისა და დედოფლის ბატონის თამარის ბრძა[ნებ|ით] ბიჭვინტისა და ხოფისა ღ(მრ)თისმშობელისათვის შეგვიწირავს|.

ანე, ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან, ანუ დადიან[ან,| ანუ] დიდმან და ან მცირემან, [ეს] ამ ჩვენს შენაწირს გ[ანაჩენს| შლად],[51] დაქცევად ხელყოს, ისიმც შეიცულების რჯურ[ისა]| ქრისტიანობისაგან, ნუცა იხსნების წირვითა და ლოცვი[თა],| ნუცა გ[ლა]ხაკთ მიცემითა, ნუცა იერუსალიმს წასუ[ლითა.| მა]სამც რისხავს დაუსაბამო, დაუსრულებელი ღ(მერ)თი|| ... სული ....|ლი და შეჩვენებულმც არის მისი სული და [ხორცი ამა]| და მას საუკუნოს, ანდა უკუნისამდე, ამინ.

არიან ამისნი შუ|ამავალნი: ლიპარტიანი ბატონი გიორგი, ჩიჩუა ხახუ, [დე]|ისმა[მა] ჯაიანი,[52] (2) და მონამე სრული ს(აკათალიკო)ზო და სახოფოს ა[ზ]ნ[აუ]|რის შვილები.[53]

ხელრთვა: კათალიკოზი, მაკურთხეველი მარჯვენითა და ჯვრით ხელში, ლევან, თამარ.[54] (3)
ახლავს სპარსული ტექსტი. (ერთი სტრიქონი)

(1) ბიჭვინთისა და ხობის ღმრთისმშობლის ერთად მოხსენიება გვიდასტურებს, რომ აღნიშნულ პერიოდში ხობი საკათალიკოსო მონასტერს და კათალიკოსის რეზიდენციას წარმოადგენდა. ვფიქრობთ, რომ ხობის ტაძარში დავანებული იყო ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატის ასლი.

(2) ექვთიმე თაყაიშვილის აღდგენილი აქვს, როგორც [დარ]|ისმა[ნა]. დეისმა ჯაიანის მოღვაწეობას ო. სოსელია

დავით ნემსაძის კათალიკოსობის მიხედვით განსაზღვრავს. ფიქრობს, რომ დეისმას თანამედროვეა ასევე დარისმანი, მისი სახლიკაცი, რომელიც გიორგი ლიპარტიანთან და ხახუ ჩიჩუასთან ერთად მოხსენიებულია სიგელში და იმოწმებს აღნიშნულ საბუთს.[55] თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ დარისმან ჯაიანი საერთოდ არ არსებობდა და ეს დეისმა ჯაიანია, ვინაიდან საბუთი კარგად არ იკითხება და ამგვარად, დარისმანად არის აღდგენილი. ო. სოსელია თვლის, რომ შესაძლოა დეისმა ხორგას მოურავი იყოს. დადიანის „სათხოვარი", „გარდასახადი" და „სხვა რამე სათემო საქმე ხორგაში მისი სასაქმოა". დეისმა და სხვა ჯაიანები ხორგაში საკუთარ ყმა-მამულსაც ფლობენ და აქ მყოფ საკათალიკოსო ყმებზე მძლავრობენ. გამოსაღებს ითვისებენ და ნავისგან ბაჟსაც თვითონ იღებენ.[56] დეისმა ჯაიანმა დავით კათალიკოსს პირობა მისცა ხორგაში მოსახლე მის ყმებს ქურდობაზე საზღაურს არ გამოართმევდა, არც გადასახადს და არც ბაჟს მიითვისებდა (hd-11208).

(3) ლევან III დადიანის პირველი მეუღლე იყო თამარი, ხოლო №14 საბუთის (სეა 1448-2225) თანახმად, მისი მეორე ცოლი გახლდათ იმერეთის მეფის ალექსანდრე III ასული, თინათინი.

№9

შეწირულების წიგნი, მიცემული ზებედე წინამძღვრის მიერ ხოფის ღვთისმშობლისადმი
1682

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd 1551-ე, გაყვითლებული ეტრატი, ალაგ-ალაგ გაცრეცილი და ტექსტი დაზიანებული, შავი ფერის მელანი. ლამაზი მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ტექსტი ნაწერია v-ზე, III კეფზე საბუთი თ ა რ ი ღ ი ა ნ ი ა: ქორანიკონი ათას ექვსას ოთხმოცდაორსა, 1682 წ.

გ ა მ ო ც ე მ ა: ექ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, №6, გვ. 32-33, ტფ; 1899 პ ი რ ე ბ ი: ხეც, Sd 2921-ე; ხეც, Qd 9142 და ხეც, ad 2251-ლა (34/5).

[ქ.] მაჟამსა ოდეს გურიელმან ო[დ]ი[შ]ი დაიჭ|ირა, (1) მე ზებედეს (2) ქვაჩი [ყურუა][57] შემომეხვეწა და| აქ ხოფს შევახვენა, [დ დავაყენეთ. ამ იასამ][58] უტყუა| და კახაბერს ჩიჩუას მისცა და მამაშვილი ორ|ი გამიყიდა. ანე, ხობისა ღ(მრ)თისმშობლის| განატეხნიდ ეს იასავები შევსწირეთ ბაძ|ულეი და მომაძინი მათის ცოლშვილ|ითა, სახლ-კარითა, ჭურ-მარნითა, ტყითა, ველ|ითა, საძებრითა და უძებრითა, რისაც მქო|ნებელი იყოს მისის სამართლიანის სა[ქ|მი]თ, ვინც ეს ჩვენგან შეწირული ბიჭვინტ|ისა და ხოფისა ღ(მრ)თისმშობელს (3) გამოსწიროს| ჩვენსამც კანონსამც ქვეშე არის. დამამტკიცე|[ბ]ელნი ამისნი ღმერთმან აკ[უ]რთხნეს| და მან ღ(მრ)თისმშობელმან. დაიწერა წიგნი ესე| ქორანიკონს [ათა]ს ექვსას ო[თხოც]დაორ|სა.

(1) გიორგი III გურიელი იმერეთის სამეფოს დაკავების შემდეგ, 1681 წლის შემოდგომაზე, ოდიშის სამთავროშიც გაბატონდა 1682 წლამდე, ვიდრე ლევან IV დადიანს გაამთავრებდნენ. 1682 წელს ეკუთვნის, დავით კათალიკოსის მიერ ოდიშის სამთავროდან გაღებული შეწირულება ბიჭვინთის ღმრთისმშობლისადმი, რომელიც გიორგი III გურიელის დასტურით განხორციელდა,[59] როგორც ჩანს იგი კათალიკოსის მიმხრობის პოლიტიკას ატარებდა.

(2) ზებედე ხობის მონასტრის წინამძღვრად იხსენიება Hd-1551-ზ. იგი უნდა იხსენიებოდეს ხობის ვერცხლის სამწერობლების წარნერაშიც.[60] ზებედე ამ სამწერობლებს სწირავს ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატს, რომელის ასლიც, როგორც უკვე გამოვთქვით ვარაუდი ხობის ტაძარში იყო დავანებული.

(3) იხ. საბუთი №8, Hd-1551-დ, კომენტარი (1)

№10

ყმის შეწირულების წიგნი, მიცემული აფხაზეთის კათალიკოს
დავით ნემსაძის მიერ ხოფის ღვთისმშობლისადმი
1681-1682

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd 1551-ვ, გაყვითლებული ეტრატი, გაცრეცილი და ტექსტი ძლიერ დაზიანებული, შავი ფერის მელანი. მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ტექსტი ნაწერია v-ზე, III კეფზე.

საბუთი უ თ ა რ ი ღ ო ა: დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გიორგი გურიელმა დაიკავა იმერეთი და ოდიში, რაც მოხდა 1681-1682 წლებში. შესაბამისად საბუთის შედგენის დროც ამ წლებით უნდა განვსაზღვროთ.

გ ა მ ო ც ე მ ა: ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, №6, გვ. 32-33, ტფ; 1899 (გამოქვეყნებულია შემოკლებით). პ ი რ ი: ხეც, Sd 2921-ვ; ხეც, Qd 9143 და ხეც, Ad 2251-ლა (34/6).

ქ. ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან, ჩრდილოსა და აფხაზე[თისა] კ(ათალიკო)ზმან, პატრონმან დავით, შემოგწირეთ მცირე და კნინი ესე შესაწირავი საშინელსა და შვიდ ცათა უმაღლესსა და ქერაბინთა უწმიდესსა ხობისა [ღმრთის]მშობელსა მირცხულავა ბიჯოჯია (1) და მისი შვილი ქოჩუა (2) და პაჭკუ (3) მ[ისითა ც]ო[ლ]შვილითა, სახლ-

კარითა, ჭურ-მარნითა ...[61] ტყითა, ველითა, გასავალითა და შემოსავალითა, საძებრითა და უძებრითა, რისაც მქონებელი იყოს, მისის ყოვლისფერითა სამართლიანის და მისის ეკკლესიის, სასაფლაოთა, კარითა. მისი საქმე ასრე არის: ბიჟოჟია, დეისმას ომზედ დაიკარგა და შაქარიას ცხომარის და ყუანდა ცოლად, და შაქარიამ დაიხსნა და მერმე ბახუა ბაბადიშმა, და ომობა დაგვიწყო, რომ კაცი რადგან შენი დახსნილი არისო, ადგილი ჩემი არისო და ერთი მისი შვილიო, მერმეთ ბიჟოჟია წარმოდგა და შაქარამან, რომ დამიხსნა ის ადგილი მას უკან ვიყიდეო და თავათ ბიჟოჟიამ და მისმა შვილმან დაუფიცა და მერმე ხუთმან ცხომარებმან დაიფიცა ამ სახელისათვის და მით ჩამოვიხსენით. და მერმე მისი ბიჭის საქმე ასრე არის, რომ მეღვინე ბიჭი გვყავდა მაკარია ხოფის ღ(მრ)თისმშობლის ყმის შვილი, ბაბადიშმან ის გაგვიყიდა და ქოჩუა ბიჟოჟუას შვილშვიდ გამოვართვით მაგიერად, უმაგიეროდ არა გვაქვს რა. მას ჟამსა, ოდეს გურიელმან გიორგიმ იმერეთი დაიჭირა და ოდიში, და მისის ბრძანებით [და ნებადართულობით, ბატონის დედოფლის თამარის ბრძანებით][62] შემოგწირეთ.

აწ, ვინც და რამანც ძემან კაცისმან, ანუ მეფემან, ანუ დადიანმან, ანუ გურიელმან, ანუ დიდმან, ანუ მცირემან თქვენდა ამის გამოხმად და შლად და ქცევად ხელყოს მასამც რისხავს თავათ დაუსაბამო სამებით დიდებული ღ(მერთ)ი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი...

„შემდგომად ამისა არა ცხადჰყოფდა მეტისმეტი სიძველის გარყვნილობითა," გვიამბობს გადამწერის მინაწერი.

(1) ბიჯოჯია იგივე ბიჟოჟია მირცხულავა ასევე იხსენიება 1696-1705 წწ. საბუთში. დავით ნემსაძის გარდაცვალების შემდეგ იგი პეპუნა ფაღავამ მიითვისა. მისგან დაიხსნა გრიგოლ კათალიკოსმა, 260 მარჩილად და საკათალიკოსოს შეწირა.[63] ბიჯოჯია თავის ოჯახთან ერთად ხობის, როგორც საკათალიკოსო მონასტრის კუთვნილებაა.

(2) ქუჩუა მირცხულავა დავით ნემსაძემ იყიდა ბაბადიში ხახუასგან და საკათალიკოსოს შეწირა. ლევან IV დადიანმა საკათალიკოსო ყმები მიითვისა, მათ შორის ქოჩუაც. ლევან IV დადიანის გარდაცვალების შემდეგ იგი ხახუ ჩიჩუას დარჩა. 1706 წლის საბუთში, გრიგოლ კათალიკოსი მოგვითხრობს, რომ მან ხახუსგან 300 მარჩილად გამოისყიდა და კვლავ საკათალიკოსოს შეწირა.[64] იგივე ამბავია მოთხრობილი 1712 წლის საბუთშიც.[65] აღსანიშნავია, რომ ქოჩუა ამასთან ხობის, როგორც საკათალიკოსო მონასტრის კუთვნილებაა.

(3) პაჭკუ, იგივე პაჭკუტია მირცხულავა იხსენიება ხობის მონასტრისთვის შეწირული და შესავალი სანთლის ნუსხაში (სეა 1448-1529რ) იგი ხორგაში ცხოვრობს და მისი ოჯახის წევრების მსგავსად აფხაზეთის საკათალიკოსოს კუთვნილი ყმაა.

№11

ყმის შეწირულების წიგნი, მიცემული აფხაზეთის კათალიკოს
გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ ხოფის ღვთისმშობლისადმი
1696-1742

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd-1551-თ, განივად მინაწერი r-ს მარცხენა არშიაზე, ყავისფერი მელანი, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთი უ თ ა რ ი ღ ო ა: თარიღის განსაზღვრა შეიძლება დოკუმენტის გამცემის გრიგოლ ლორთქიფანიძის კათოლიკოსობის წლებით 1696-1742. გ ა მ ო ც ე მ ა: ექ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, ტფ; 1899, №6, გვ. 30. პ ი რ ე ბ ი: ხეც, Sd-2922, ხეც, Qd-9143 და ხეც, Ad-2251 ლა (34/7).

[ქ. შეწევნ]თა[66] ღ(მრთისათა), ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან, ჩრდილოსა და აფხაზეთისა კ(ათალიკო)ზმან, ბატონმან გრიგოლ, (1) ესე გკადრეთ დავთრის თქვენსა წარნერით მცირედითა სიტყუითა და კნინოდენითა შესაწირავითა, ასრე რომე მეოხებითა შენითა საშინელო ხობისა ღ(მრ)თისმშობელო, და გულსმოდგინებითა ჩვენითა, ეს შონია ჩვენ ამ[ო]ვიყუანეთ მამაში და მის[ი] ძმა, მამიდა,| ამას წინათ ვითარებისაგან დაკარგულ იყო და ჩვენ ამოვიყუანეთ და ისრევ თქუენ შემოგწირეთ ჩვენის ცოდვილის სულის საოხად და ერთის რუბის საკმეველს ყოველსა დიდს ხუთშაბათს ხობისა ღ(მრ)თისმშობელო თქუენ მოგართმევდეს, რათა მეოხ გ[ვეყო].

აწ, ვინცა და რამანცა კაცმან ეს ხელახლა ჩვენგან შემოწირული შონი[ა] (2) [თქუენ][67] გამოწიროს და გამოგახუას ჩვენს კ[ა]ნუნსამც ქეეშ ის იქნება, ამინ.

ხელრთვა: კათალიკოზი,[68] ჯვარი მაკურთხეველი მარჯვენით.

(1) გრიგოლ ლორთქიფანიძე აფხაზეთის საკათალიკოსოს განაგებდა 1696-1742 წწ. მის სახელს უკავშირდება საკათალიკოსო მეურნეობის მოწესრიგება. დატაცებული ყმა-მამულის დაბრუნება. განსაკუთრებით მზრუნველობდა აფხაზთაგან აყრილ და შევიწროვებულ საკათალიკოსო ყმებს. მან საეკლესიო ყმა-გლეხებზე აღადგინა სანთლის ბეგარა. ასევე სულადი გადასახადი და ფულადი ბეგარა სანთლის ბეგარით შეცვალა.[69] გრიგოლ კათალიკოსი დიდად ზრუნავდა ხობის ტაძარზე. ჩვენ შემოგვრჩა მის მიერ განახლებული ღმრთისმშობლის მინანქრის მედალიონებიანი ხატი.[70]

(2) შონიები აფხაზეთის საკათალიკოსო ყმებს წარმოადგენდნენ. ნოხუდენში მცხოვრები შონია შამადავლე დადიან-

გურიელმა ხობის მონასტერს შეწირა. (სეა, 1449-1571). ეს შენირულება განაახლა ლევან II დადიანმა ხეც, Hd 1551-ა. ხობის მონასტერს ეკუთვნოდა წყალიგზას მცხოვრები ბეროზა შონია (სეა, 1449-1577), ასევე მამისა (სეა, 1449-1555) და მამაგული შონიები (ხეც, Hd-11221).

№12

შეწირულების წიგნი წინამძღვარ ზებედესი ხოფის ღმრთისმშობლისადმი
XVII-XVIII სს.

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Hd 1551 ზ, მინანერი ვ-ს მარცხენა არშიაზე განივად; შავი ფერის მელანი, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ტექსტი დაზიანებულია და გაჭირვებით იკითხება; ბოლონაკლული. ს ა ბ უ თ ი უ თ ა რ ი ღ ო ა: დათარიღება შესაძლებელია საბუთში მოთხრობილი ერთ-ერთ ფაქტის ლიპარტიანის აფხაზეთში ლაშქრობის მიხედვით. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, 1701 წელს, ოდიშის მმართველმა გიორგი ლიპარტიანმა აფხაზების წინააღმდეგ შემწეობა სთხოვა იმერეთში გამეფებულ გიორგი აბაშიძეს. მათ ერთობლივად მოაწყეს ლაშქრობა და აფხაზეთი დაარბიეს. აბაშიძემ დააზავა ლიპარტიანი და შარვაშიძე და უკან გამობრუნდნენ.[71] თ. ბერაძე ამ ლაშქრობას 1702 წლით ათარიღებს.[72] 1702 წლითვე ათარიღებს აღნიშნულ ლაშქრობას ო. ოკუჯავა. ოდიშის მმართველმა დაიბრუნა ტერიტორიები მდინარე ენგურიდან ღალიძგამდე. მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხის გამგებლები შარვაშიძეთა გვერდითი შტოს წარმომადგენლები რჩებოდნენ, ისინი მორჩილებას უცხადებდნენ დადიანს.[73] საბუთი არ აკონკრეტებს, რომელმა ლიპარტიანმა დალაშქრა აფხაზეთი. თუ ტექსტში, მართლაც, 1701, ან 1702 წლის ლაშქრობა იხსენიება, მაშინ ექ. თაყაიშვილის მიერ კათალიკოსის სახელად დავითის აღდგენა შეცდომად უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ დროს აფხაზთა კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძეა (1696-1742). საბუთში მოხსენიებული წინამძღვარი ზებედე და ზაალ ღოლობერიძე XVII-ის 80-იანი წლების მოღვაწენი არიან, ამიტომ გადაჭრით გვიჭირს საბუთის დათარიღება. მისი გაცემის დრო XVII-XVIII სს. მიჯნას უნდა დავუკავშიროთ.

გ ა მ ო ც ე მ ა: ექ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, ტფ; 1899, №6, გვ. 33. პ ი რ ე ბ ი: ხეც, Sd 2921-თ; ხეც, Qd 9144 და ხეც, Ad 2251-ლა (34/8).

ქ. ეჰა, შენ, ცათა უმაღლესო, სერაბინთა უზეშთაესო და ქერაბინთა უწმიდესო, რომელმან შევ ერთი სამებისაგანი და შობითა მისითა განხეთქე ცოდვათა ჩვენთა [ს]ელი]თ[წერილი].[74] შენ ყ(ოვლა)დ კურთხეულ[ო, ცათა მობაძავო] ხობისა ღ(მრ)თისმშობელო, [ჩვენ ცვა ფარვათა შენთა მინდობილმან] და მს[ასოებელმან] სიწმინდისა [შენ]ისამან, და საკუთრებით [მოურნემან სამსახურისამან კ]ინმან მა[დლთამან]...| ფრიადმან ცოდვითა წინამძღვარმან ზებედე, (1) შემოგწირე მცირე ესე შესაწირავი, ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ამას წინათ ხობს ვიდექით ჩვენ და ღოლაბერიძის კაცს ამ ხობისა ღ(მრ)თისმშობლის ფიცის [ტეხა დაედვა და ბატონმან კათალიკოზმან დავით თავს შეიდვა და მერმე] ზაალ [ღოლაბერიძემ (2) გასტეხა და ... აღარ გაეწყობოდა და ის კუამლი კაცი ხობს შე]მოსწირა, და ჩვენც მოგვაბარა[75] ეცადია [გეგენავა და ...] ოთია ჩვენ გვსახუ[რე]]ბდა. მერმე ლიპარტიანი ქვემოთ ნაბრძანდა აფხაზეთს ლაშკრად და ჩვენ ზუგდიდამდი ვიახელით, [და] ცოტა უძღებად[76] ვიყავით და დავბრუნდით, და აქ [ხობს] მოვედი[თ. აწე, ეს] გეგენავები პირველად [ამ ხატის ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ ... და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად ხელმეორედ] ორივე ძმანები შემოგვიწირავს. შეიწირე კნინი ესე შესაწირავი ხობ[ისა ღ(მრ)თისმშობელო] ...

(1) ზებედეს შესახებ იხ. საბუთი №9, Hd-1551-ე, კომენტარი (2)

(2) ვამეყ III დადიანის (1658-1662) ინიციატივით ოდიშის სამთავრო კარი უახლოვდება ღოლობერიძეთა გვარს. ამდენად, ზაალ ღოლაბერიძეს და მის ყმას ხობის მონასტერთან აქვთ ურთიერთობა. იგი მოწმედ გვხვდება ბაგრატ იმერთა მეფის მიერ ქაიხოსრო წერეთლისათვის მიცემული წყალობის წიგნში, რომელიც 1673 წ. არის გაცემული[77] მისი მოღვაწეობა XVII ს-ის 70-80-იან წლებს უნდა დავუკავშიროთ.

№13

ვამეყ დადიანის პირობის წიგნი კათალიკოს სვიმონ ჩხეტიძისადმი (1)
(1658-1662)

დედანი დაკარგულია. გვაქვს პ ი რ ი: ხეც, Qd 9146-ა.

საბუთი თ ა რ ი ღ ი ა ნ ი ა, ქორონიკონი 317, არის 1629 წელი. ამ დროს ოდიშის მთავარია ლევან II დადიანი. ამდენად თარიღი არარეალურია. ვფიქრობთ, გადამწერის შეცდომა უნდა იყოს. ვამეყი ოდიშს მართავდა 1658-1662 წწ. და საბუთის თარიღიც, შესაბამისად, ამ წლებით განისაზღვრება.

საბუთის დასაწყისში მიწერილი აქვს: დადიანი ვამეყ, მეფეთ-მეფე.

(ვრცელი საღვთისმეტყველო შესავლის შემდეგ)

... შენ, შვიდ ცათა უმაღლესო, ქერობინთა უზეშთაესო, ქრისტიანეთა სასოებავო და შესავედრებელო, ტკ[ბი]ლო და მოწყალეო, მეოჴო და ნუგეშინისმცემელო, ბიჭვინტისა და ჴოფისა ღ(მრთ)ისმშობელო, (2) ჩვენ ცვა-ფარვათა შენთა მინდობილმან და მსასოებელმან ძისა მეუფისა შენისამან, ჩვენ, ჴელმწიფემან მეფეთ-მეფემან დადიანმან პატრონმან ვამეყ (3) და თანამეუღლემან ჩემმან, გურიელის ასულმან, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ელენემ და ძეთა ჩვენთა გიორგი და ბაგრატ, კადრეთ და მოგახსენეთ თქვენ ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღ(მრთ)ისმშობელსა და ჴოფისა ღ(მრთ)ისმშობელსა და მას შინა დადგინებულსა ქუთათელ კათალიკოზსა ჩხეტიძესა პატრონსა სვიმეონს, (4) ასე რომე საკათალიკოზო მამულები სადაც იყო, ყოველგან მამულები და საყდრები ვინგინდავის სახელოთ ქონდა საპატიოს კაცებს და აწ ბატონო კათალიკოზო თქვენ მოინდომეთ და დაგვეაჯენით და ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გარდაგვიგდია საკათალიკოზო მამულზე და ალაგზედ ყოველგან მოურავი ჩუენს ბატონობა, ასე რომე ვერავინ ჩვენმა შემდგომან პატრონმან დადიანმან, [ანუ დე]დოფალმან და კათალიკოზმან ბიჭვინტისა ღ(მრთ)ისმშობელს და ჴოფისა ღ(მრთ)ისმშობელისა ადგილზე და ალ[აგზედ] თუ არა იმ ხატის ყმა, სხვა კაცი მოურავად არ დავსვათ და არცა ვის სახელოს მივსცეთ და არცა ვის ბიჭვინტისა და ხოფისა ღ(მრთ)ისმშობლის მამული და ყმები ჩვენ საბოლოოთ და საუკუნოდ არავის დავანებოთ, და ამას გარეთ სამართლიანიც ასეა და ძველთაგანაც ასე ყოფილიყო, რომ კათალიკოზის უკითხავად და უნებურად ეფისკოპოზობა არ გაცემულა და არც ჩვენგან დღეის ამას იქეთ თქვენდა უკითხავად და უვნებელად ჩვენ ეფისკოპოზი არ დავსვათ და არცა ეფისკოპოზობა გავცეთ, და ვინც ამის სასჯულოს საქმეზედ თქვენ წინა აღგიდგეს და გაუწყრეთ, ჩვენ სამართლიანის საქმით თქვენ მოგიდგეთ და სანამდის თქვენ შენდობა არ უბოძოთ და შეირიგოთ, მანამდის არც ჩვენ შევიწყნაროთ და როგორათაც მის დღეში ჩვენ სასახლეზე და საბატონოში სხვა კათალიკოზებს ჩვენგან და ამ სახლის ბატონისაგან პატივდებოდეს არც ის მოგიშალოთ და ჩვენც მწყალობელი და კარგნი [კარგის] მდომნი ვიყუნეთ თქვენთვის.

და აწ, ვინც და რამანც ძემან კაცისამან დიდმან, ანუ მცირემან, მეფემან, ანუ დადიანმან, (5) ანუ დედოფალმან, ანუ კათალიკოზმან და ანუ ვინმე სხვამან ბატონმან ჩვენგან დადებული სიგელი და გარიგებული საქმე მოშალოს ბიჭვინტისა ღ(მრ)თისმშობლისა და ხოფისა ღ(მრ)თისმშობლისა და ამისად შლად და გამოხვად ხელყოს მასამც რისხავს თავათ დაუსაბამო ღმერთი, მხოლოდშობილი უფალი იესო ქრისტე, ძე ღ(მრ)თისმშობლისა და სული წმინდა, ცხოველსმყოფელი, მამისაგან გამოსრული. შე-მცა-ედების ძრწოლა კაენისა, შიშთვილი იუდასი, მეხ[ის]ტეხა დიოსკორესი, [სირცხვილი] კ[ა] რი[სკენ]ტი და საბიანესი, დან[თქმა] დათან და აბირონისი, მასამც მოიწევის წყეული მეასედ რვ(ი)სა ფსალმუნისა, და-მცა-ისჯების სული და ჴორცი მისი და ნურცა სინანულითა არს ხსნა სულისა მისისა. დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს და ბიჭვინტისა ღ(მრ)თისმშობელმან, და მომშლელნი ამისნი წყეულ, კრულ და შეჩვენებულყოს ხოფისა ღ(მრ) თისმშობელისაგან, ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. და[ინერა] ბრძანება და სიგელი ესე ქრისტესსა სამას მეაჩვიდმეტესა.

(1) საბუთი ფაქტიბრივად იგივეა, რაც ვამეყ მეფისა და დადიანის შეწირულობის წიგნი, რომელიც ს. კაკაბაძემ გამოაქვეყნა დასავლეთ საქართველოს ისტორიულ საბუთების I წიგნში, გვ. 65-67. ეს საბუთი დათარიღებულია 1661, ანუ ქორონიკონი სამას ორმოცდაცხრა. განსხვავება მხოლოდ ერთია, სადაც ჩვენ საბუთში ბიჭვინტის და ხოფის ღმრთისმშობელი წერია, გამოქვეყნებულ საბუთში მხოლოდ ბიჭვინტის ღმრთისმშობელია მითითებული. როგორც ჩანს ს. კაკაბაძესაც პირი ჰქონდა ხელთ.

(2) იხ. საბუთი №8, Hd 1551-დ, კომენტარი (1)

(3) ვამეყ III დადიანი – ოდიშის მთავარი 1658-1662 წწ. ჩვენამდე მოღწეული საბუთების თანახმად, მას სხვადასხვა შეწირულება გაუღია აფხაზეთის საკათალიკოსოსადმი. ზაქარია კათალიკოსის მოთხოვნით, მან ბიჭვინთის ღმრთისმშობელს საკანონოდ შეწირა სენაკის საწინამძღვრო ეკლესია და საკათალიკოსო მონასტრად აქცია. ასევე შეწირა მამული და სასახლე. პირობა მისცა კათალიკოსს, რომ საკათალიკოსო მამულებზე მოურავს არ დააყენებდა. ბიჭვინთის ღმრთისმშობელს შეწირა გურიაში აკეთის საწინამძღვრო, ასევე ძიმითის წმ. კვირიკეს საყდარი. მან შეწირულობები გაიღო სხვა ეკლესია-მონასტრებისადმიც.

(4) სიმონ ჩხეტიძე – აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქი 1660-1666 წწ. ასევე ქუთაისის ეპისკოპოსი. მან მოახერხა ოდიშისა და გურიის სამთავროებში საკათალიკოსო მეურნეობის მოწესრიგება. ვამეყ III დადიანმა და გიორგი III გურიელმა ერთნაირი პირობები დაუდვეს, რომ საკათალიკოსო მამულებს „საძალოდ“ არავის დაანებებდნენ. ასევე კათალიკოსის ნებართვის გარეშე ეპისკოპოსს არ დასვამდა და არც გადააყენებდა. მისი მხარდაჭერით დაიბრუნა იმერეთის ტახტი ბაგრატ IV.

(5) ვამეყ დადიანი საბუთის შესავალში თავს ხელმწიფესა და მეფეთ-მეფეს უნოდებს. სხვა სიგელებშიც ვამეყი განდიდებული და რეალურ შინაარს მოკლებული ტიტულებით იწოდება. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ბრალთგადამხდელობით ნაწილში საბუთის შემდგენელს უკვე ვეღარ შეაქვს ცვლილება, სტანდარტულ ფორმას ხმარობს, სადაც დადიანი და მეფე გამიჯნულად იხსენიება.

№14

ყმა-მამულის შეწირულების განახლების წიგნი,
მიცემული ლევან დადიანის მიერ ბიჭვინთის ღმრთისმშობლისადმი
1675

დ ე დ ა ნ ი: სეა 1448-2225, გრაგნილი, ქაღალდი გაყვითლებული, მელანი ყავისფერი, პირველი სტრიქონი მოფლეთილი, მხოლოდ ორი სიტყვა ჩანს, შევსებულია სარესტავრაციო ფურცლით. ნაწერი r-ზე და v-ზე I და II კეფი. სულ შედგება 3 კეფისაგან. ზომები: I კეფი 33,2X25,8 II კეფი 42,4X25,1; III კეფი 41,5X24,7. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საბუთი **თ ა რ ი ღ ი ა ნ ი ა:** ქორონიკონი სამასსამოცდასამსა (363) /1675/

v-ზე ძალიან მკრთალი მელნით მითითებულია, რომ საბუთი ჩაწერილია სარეგისტრაციო დავთარში 1827 წ. თვე და რიცხვი არ ემჩნევა.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი: ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფ. 1921, გვ. 76-77. (შემოკლებული ტექსტი საღვთისმეტყველო შესავლის გარეშე).

თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, ტ. II, ტფ. 1897, 489-490. (შემოკლებული ტექსტი). **პ ი რ ი:** ხეც, Qd-9136.

(ძალიან ვრცელი საღვთისმეტყველო შესავლის შემდეგ, რომელსაც უკავია I კეფი და II კეფი ნაწილობრივ)

..... შენდამი მ|სასოებელთა, მე, მოწყინელთა მათ, ცვა-ფარვათა შეწეუნა| წარმართებათა თქვენთა მიერ, ჩვენ, სრულისა ოდიშისა| და აფხაზეთისა მპყრობელ-მქონებელმან დადიანმან პატრონმან| ლევან (1) და თან{ა}მეცხედრემან ჩვენმან, მეფეთ-მეფისა ასულმან| დედოფალმან პატრონმან თინათინ და პირმშომან ძემან ჩვენმან| მანუჩარ და ძეთა ჩვენთა და მომავალთა ყოველთავე. ვიგულეთ| და ვიგულსმოდგინეთ და მობრძანდით თქვენ, კ(ათალიკო)ზი ბატონი| დავით, დაგველაპარაკენით და ძ[ვ]ელთაგანცა ხობი ბიჭვინტისა ღ(მრ)თისმშობლის შეწირული ყოფილიყო და ჟამთა ვითარებისაგან|| გამოხმოდა აწე საკანონო საქმე დაგვედვა, ნათესავის სისწლ|ში გავერიეთ და მობრძანდით თქვენ, კ(ათალიკო)ზი ბატ[ო]ნი დავით| //ნემსაძე//78 და ჭყონდიდელ-ცაგერელი ბატონი გაბრიელ, როგორითაცა| ჩვენი ერთგული იყვენით, იმისთანა საქმე გვირჩიეთ და ჩვენ|ის სულის სახსრად საოხად და ცოდვათა ჩვენთა აღსახოცელად| და ძეთა ჩვენთა მანუჩარის აღსაზრდელად და ჭელმწიფობისა ჩვე|ნისა წარსამართებლად. ასრე რომე, ჩვენს ბატონობაშიდა მრავალი| საკანონო საქმე იქნა და შემოგვინირაუს მცირე ესე და კნინი| შესაწირავი: ხოფი ორის სასახლითა სხულებითა და ხორგითა, სუ|ლ<ა> მათის შესაულითა და გამოსაულითა, უძებრითა და საძებრითა,| მისის ყოულისფერის სამართლიანის საქმითა. ხორგას სამი ნავი| ვაჭარი თუ მოვიდეს, ერთი ბაძარგანი ვაჭარი სახობოს კაცის|ას დადგებოდეს და სვვა, რომელიც სარგოის ყოს, ხოფისა ღ(მრ)თის|მშობლის შეწირული ყველა ისრეუ შეგვინირაუს.

შეინირე მ|ცირე ესე შესაწირავი შენ, შვიდ ცათა უმაღლესი ქერაბი|ნთა უზეშთაესო ბიჭვინტისა და ღ(მრ)თისშობელო, ასე რომე კათალ|იკ[ო]ზს ოდიშს ერთი საყდარი ასეთი არ ქონდა, რომე დღესასწა|ული გარდაეხადა. ხან ერთს ეფისკოფოს ჩაუდგებოდენ ში|ნ და ხან მეორეს. ებისკოპ[ო]სები მწეთ გარჯით იყვენენ და ამისთ|ვის შეუსწირეთ, რომე როდისაც კ(ათალიკო)ზი ოდიშს მობრძანდებოდე|ს ხატსა, ჯვარსა და ომფორსა იქ და[ა]სვენებდეს და სასაფლაო|თაც ის შეგვინირავს, იქ გაიკეთებდენ და გაგაჩინეთ ამისთვის| ვინცავინ კ(ათალიკო)ზი იყოთ და ოდიშს ბრძანდებოდეთ ხარების დღეს ჟა|მს გვინრეუდეს ჩვენის სულის საოხად და სახსრად, კარს|გაღებულს აღაპს გვიზემდით. თუ იმ დღეს ოდიშს ვერ და|ესწრათ ამ თორმეტს საუფლოს დღეში იმ საყდარს ჟამს| გვინირეუდით, რათა არა განვარდეთ სასუფეველისაგან. ესე მა|მული, საყდარი და სასახლე ასრე გარიგებით ბატონის კ(ათალიკო)ზის და|ვითისთვის მიგვიბარებია.

ანე, ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან, დიდ|მან, ანუ მცირემან, დადიანმან, ანუ დედოფალმან, ანუ კ(ათალიკო) ზმ|ან, ანუ სხვა ვინმე ბატონმან ამისად შლად, ქცევად და გამო|ხმად ჭელყოს რისხუს თავად დაუსაბამო ღმერთი|| და მხოლოდშობილი უფალი იესო ქრისტე, ძე ღ(მრ)თის და სული წმიდ|ა ცხოველ|მყოფელი, მამისაგან გამოსრული .... (წყევლა) დამამტკიცებელნი ამისი ღმერთმან| აკურთხ[ო]ს და წმიდამან ბიჭვიტისა ღ(მრ)თისმშობელმა, და მშლ|ლნი და მქცეველნი ამისნი წყეულ და შეჩვენებულმცა| არის ანდა უკ[უ]ნისამდე ამინ.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე| ქორანიკონსა სამას სამოც და სამსა.

(ძალიან მკრთალი, ოდნავ გასარჩევი მელნით, სიგელის ხელითვე წერია შემდეგ) არის ამისი მოწამე ჭყო|ნდელ-ცაგერელი ბატონი გაბრიელ, ჩიქუანი კაცია, ბე|ჟანთ ღოლაბე[რი]ძე, კარის ჩვენის მესტუმრე ოთარი მელ|ია.

ხვეული ხელრთვა ისეთივე მკრთალი მელნით: ლევან, თინათინ.
ვ-ზე სხვა ხელით: ქ. ხობის შეწირულების დავთარი
მრგვალი ბეჭდით ორთავიანი არწივის ლეგენდით.

(1) იხ. საბუთი №5 კომენტარი (1) და საბუთი №6 კომენტარი (1).

№15

შეწირულების წიგნი ეფთვიმი ფაღავასი, ხოფის ღვთისმშობლისადმი
(1700 წ. ახლო ხანები)

დედანი დაკარგულია. გვაქვს პირები: ხეც, Ad 2251-მ და Qd 9145.

საბუთი უთარიღოა. ს. კაკაბაძე მას დაახლოებით 1700 წ. ახლო ხანებით ათარიღებს, თუმცა ყოველგვარი არგუმენტის გარეშე.[79]

გამოცემები: ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფ; 1921, გვ. 84.

ს. კაკაბაძეს ხელთ ჰქონია საბუთის დაზიანებული დედანი. იგი მიუთითებს, რომ ტექსტი აღადგინა პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცული პირის მიხედვით.

ეჰა, დიდებულო ქალწულო, უვრცელესო ცათაო და უწმიდესო ზეცისა მხედრობათაო, და ყოვლისა სოფლისა სიმტკიცეო და ზღუდეო, ველისაღმპყრობელო და მლხინებელო ქ(რისტ)ეანეთაო, შემიწყალენ და სახიერ მექმენ ღ(მრ)თისმშობელო, რ(ამეთ)უ დედასა ღ(მრთ)ისასა შემოგწირეთ შენ, ცათა მობაძავსა ხოფისა ღ(მრ)თისმშობელსა მცირე ესე და კნინი შესანირავი, შემოგწირეთ: ერთი კომლი კაცი, წალენჯიხელისაგან ვიყიდე როსტომია ამინათი, მისი ძმა ურცხალაი მათის შვილებიანათ, მათის სახლის კაცით, მისის ეკკლესიითა, სახლ-კარითა, მინა-მამულითა, შესავლითა და გამოსავლითა, ტყითა, წყლითა და ველითა, უძებრითა და საძებრითა, ყოელისფერითა შემოგვიწირავს ხოფის ღ(მრთ)ისმშობლისათვის, ჩ(უე)ნ, მთავარეპისკოპოსმან ჴოფელმან ევთიმი ფაღავამ, ჩ(უე)ნთვის სახსრად და სულისა ჩ(უე)ნისა წარსამართებლად მას დღესა განკითხვისასა, რათა შემრთოს მარჯვენითა მათ ცხოვართა და განმაშოროს უხილავი იგი მტერი.

აწ, ვინცა და რამანც ძემან კაცისამან ეს ჩ(უე)ნგან შეწირული გლეხი შენ გამოგწიროს, დიდმან, ანუ მცირემან, ან დადიანმან, ანუ დედოფალმან, ან ეფისკოპოზმან და ან თაეადმან, ანუ აზნაურისშვილმან, ან გლეხმან, ამის დაშლად, ქცევად და გამოხმად ჴელჰყოს, მასამც რისხავს თავად დაუსაბამო ღ(მერთ)ი და ყოველნი მისნი წ(მინდა)ნი ზეცისანი და ქუეყანისანი, ჴორციელნი და უჴორცონი, მასამც ედების ცეცხლი გეენისა, კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, მეხისტეხა დიოსკორეესი, დანთქმა დათან და აბირონისი, ნურას ხსნითამც ნუ იქმნების ხსნა სულისა მისისა, ნურცა წირვითა, ნურცა ლოცვითა, ნურცა გლახაკთ მიცემითა. დამამტკიცებელნი ამისნი ღ(მერთმა)ნ დაამტკიცოს, მომშლელი ამისი ღ(მერთმა)ნ მოშალოს. ამინ, ამინ, ამინ.

ჴელიც მართლის გულით ჩაგვირთავს.

წელი და თვე მითითებული არ აქვს.

№16

შეწირულობის წიგნი დადიან-გურიელ მამიასი ბიჭვინტის
ღმრთისმშობლისადმი (1)
(1696-1705)

დედანი: სეა, 1448-2151, ქაღალდი სიძველისგან გაყვითლებული და დალაქული, მელანი შავი, ზომა: 38X29, ნაწერია ლამაზი მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. რესტავრირებული, მარცხენა ზედა კუთხე მცირედზე მოფლეთილი, მარჯვენა კიდეს ზედა ნაწილიც მოფლეთილი და შევსებული სარესტავტაციო ფურცლით, ტექსტი დაზიანებული და შუა ნაწილიც ალაგ-ალაგ მოფლეთილი. ტექსტი ნაწერია r-ზე და v-ზე სრულად. საბუთის თავში აქვს XIX ს. მინაწერი: „შთაწერილ არს კომიტეტსა შინა საეკლესიოსა ჩყლე-ს წელს“ №8 ... (აღარ ჩანს). 2. 9104.

საბუთი უთარიღოა. ს. კაკაბაძე 1689-1701 წწ. ათარიღებს. ასევე ათარიღებს საბუთს ი. დოლიძე.

მამია გურიელი დადიანად ინოდება ასევე ბიჭვინთის ღმრთისმშობლისადმი გაღებულ გრიგოლ კათალიკოსის ერთ-ერთ საბუთში, რომელსაც ს. კაკაბაძე 1700-1712 წწ. ათარიღებს.[80] ამ საბუთს ი. დოლიძე 1706-1712 წწ. ათარიღებს[81] ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დავასკვენით, რომ საბუთი გაცემულია 1696-1705 წწ.[82] შორის. მამია III გურიელმა ოდიშის მთავრობა 1696 წელს მიიღო ოსმალთაგან.[83] "დადიანობა გურიელს დარჩა და თავობა გიორგი ლიპარტიანს". სავარაუდოა, რომ 1701 წლამდე ჰქონოდა დადიანობა, რადგან 1701 წ. მან იმერეთის მეფის ტახტიც დაიკავა, მაგრამ იმავე წელს დაკარგა, ხოლო გიორგი ლიპარტიანი უკვე 1701 წ. დადიანად იხსენიება.[84]

გამოცემები: ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფ. 1921, გვ. 86-87.

ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977 გვ. 683-686.

ვრცელი საღვთისმეტყველო შესავლის შემდეგ

... სახელდიდო მარ|იამ, ბიჭვინტისა ღ(მრ)თისმშობელო. ჩვენ ცვა-ფარვათა შენთა მონდობილმან, სიწმინდისა შენისა მსაოე|ბელმან, ძლიერებათა შენთა მადიდებელმან და აცთმოყვარებისა შენისა მაქებელმან, ცათა ბუნებისა ჩვეულ|ბითა ცოდვითა შებღალულმან, და აურაცხელთა ბრალთა ჩემთა შენდობისათვის შენმა მორუდენემან, ჴელმწიფეთ|ჴელმწიფემან, დადიან-გურიელმან, პატრონმან მამია, ვიგულ|მოდგინე, ვიგემე, ვინადე, ვიჯერჩინებეთ| ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ხორგას ნაპარკაო სასახლე ცხრა კვამლის კაცით კათალიკოზს დავით ნემსაძეს ნ|ულუკიძისაგან ეყიდა და მას გარეთ სხვა ეყიდა, თუ წირვით ეშოვნა, ჩვიდმეტად კვამლის კაცად გაეხადა ხვასკალია| ხაზაავა, ბაბადიშაი ხაზავა, ჯუბილეი მოჯალაბე, კიდე თოხულარა მოჯალაბე, ჭუჭუ დასტურაია, თომიხილი დასტურ|აია, კოჩილეი დასტურაია, მორდებული გიგიბერია, ხვიჩა ხოჭოლავა, ინალუხუ ლეფონავა, ...ალა ბერაია,| ბაძღალა ბერაია, ბატკუა ბერაია, დიაკონი ბერაია, ერთი ბერიკაკი, მარტოხელი ქაშაგია; ქო||ჩუა მირცხულავა, მამახუტა წულაია, კიდე ზემო ხობს ბიბია ბორქვაი, ხოსია სიჭინავა, ესენი კათალიკოზს| დავითს თქვენთვისა შემოეწირა და მას უკან ჟამთა ვითარებისამიერ გამოგწიროდათ და სადადიანოდ გამხდარიყო და| რადგან ბედნიერმან ხონთქათმან დადიანობა და ოდიში ჩვენ გვიბოძა, ჯერ იყო ჩემ მიერ, ძალისაებრ ჩემისა სამსახური და ქველისმოქმედება და შემონირვა არა, ხ(ოლო) თუ მოკლება, და წარსამართებელად და ამა სოფელსა საფარველად შენ| მომიგიე მტერთა ჩემთა ზედან განსამარჯვებელად და ორგულთა დასამხობელად, ჩემდა სადღეგრძელოდ და ჟამიერ მყოფე|ლად, შვილიერ მყოფელად, ხ(ოლო) საუკუნესა მეორედ მოსვლასა ძისა შენისასა საცხოვნებლად. ჩვენ თქვენთვის შემოგვი|წირავს, შეინირე დედაო ღ(მრ)თისაო, ბიჭვინტისა ღ(მრ)თისმშობელო ვ(ითარ(ა) ლოცვა და ძღვენი იგი დიდსა მამადმთავრისა და| ვ(ითარ(ა) ორნი მწვლილნი აწდა უკუნითი უკუნისამდე, ამინ. აწ, ვინცა რამანცა ადამის ძეთა და ტომთაგანმან ჴელმწიფემან, ანუ| თვითმპყრობელმან, ქალმან ანუ კაცმან, ბერმან ანუ ერმან, თავადმან ანუ აზნაურმან, დიდმან ანუ მცირემან, ეს| ჩვენგან შემოწირული და დამტკიცებული შეურაცხყოს, ურჩ ექმნას, ანუ შლად ჴელყოს, წყეულმცა და შეჩვენებულმცა არის| და ღ(მრ)თისა მამისა და ძისა შენისა მიერ და წმიდისა სულისა მადლითა. (წყევლა) ხოლო დამამტკიცებელნი მისნი აკ[ურთხოს ღმერთმან].

ხელრთვა დადიან-გურიელი მამია.
XIX ს. ხელით მიწერილი გურიელი მამია.

(1) ხობი აფხაზეთის საკათალიკოსოს კუთვნილ მონასტერს წარმოადგენდა და საკათალიკოსო რეზიდენცია იყო, ამიტომ საკათალიკოსო და მონასტერი ერთი და იმავე ყმა-მამულს ფლობდა. ამის ყველაზე თვალნათელი დასტურია "ხობის შესავალი და შეწირული სანთლის" ნუსხა (იხ. დოკუმენტი №17), რომელშიც მამია გურიელ-დადიანის მიერ ბიჭვინთის ღმრთისმშობლისთვის შეწირული ყმები, ან მათი შთამომავლები იხსენიებიან როგორც ხობის მონასტრის კუთვნილი ყმები. აღსანიშნავია, რომ სხვა საბუთებში, კერძოდ, გრიგოლ ლორთქიფანიძის მმართველობისას შედგენილ აფხაზეთის საკათალიკოსოს დავთრებშიც იხსენიებიან იგივე ყმები, მაგრამ წინამდებარე პუბლიკაციაში ეს საბუთები არ შევიტანეთ, რადგან თითოეულ დავთარში სახობო ყმა-მამულის გარდა აღნუსხულია აფხაზეთის საკათალიკოსოს კუთვნილი ქონება მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, რაც რასაკვირველია კონკრეტული თემატიკის საკითხებს სცდება.

№17

ნუსხა ხობის შესავალი და შეწირული სანთლისა (1)
1712-1733

დ ე დ ა ნ ი: სეა, 1448-1529, ქაღალდი თეთრი, შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ზომა: 43,6X15,1სმ; ტექსტი ნაწერია r-ზე სრულად. v-ზე მითითებულია, რომ საბუთი ჩაწერილია სარეგისტრაციო დავთარში 1823, მრგვალი ბეჭედი, ორთავიანი არწივის გამოსახულებით. საბუთს თავში აქვს მრგვალი ბეჭედი, შუაში გამოსახულია ღმრთისმშობელი ყრმით, გარშემო ასომთავრული ლეგენდით: „ქ. მ(ეუ)ფე და მღვდელმთავარი, აფხაზეთის კ(ათალიკო)ზი გრ(ი)გოლ. ქკს ტპდ".

საბუთი უ თ ა რ ი ღ ო ა. ი. დოლიძე მას კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის მმართველობის წლებით ათარიღებს 1696-1742. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დავასკვენით, რომ საბუთი 1712-1733 წლებს შორის უნდა იყოს გაცემული.[85]

პ ირ ე ბ ი: ხეც, Ad 2251-ნდ, ხეც, Qd 9134 გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი: ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფ. 1921, გვ. 115-117.

ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, №258, გვ.770-772.

ქ. წყალობითა ღ(მრ)თისათა, ხობის შესავალი და შ[ე]წირული სანთელი:
ხორგას თავს: დასტურაია| ჭუჭუ და გაბრიელ, ოთხი ლოღარიკი სანთელი|
ილორისა შვილები, ოთხი ლოღარიკი სანთე|ლი

არცანდია გაგინა, ოთხი ლოღარიკი|
დასტურაია დათუ და მახუტუ ოთხი ლოღა|რიკი
ხაჩქილა, ოთხი ლოღარიკი|
მამაშის შვილები, ოთხი ლოღარიკი სანთე|ლი
ხოჭოლავა მიამია, ოთხი ლო|ღარიკი სანთელი
პაჭკუტია მისხულავა| ოთხი ლოღარიკი სანთელი
გალმა ხო|რგას:
თაბუნია ხოჭოლავასსეული პა|რტახი ძველთაგან შეწირული ყოფილი|ყო და ოთხი ლოღარიკი სანთელი
ბესია გი|გიბერია და ორი მისი გლეხი, ხუთი ლოღა|რიკი სანთელი
ილანუხუ ლეფონავა| ოთხი ლოღარიკი სანთელი
მისი ძმა ნიკოლა| ოთხი ლოღარიკი
კიდევ მისი განაყოფი| გიმანძალა, ოთხი ლოღარიკი
ბერაია ბა|ბაკოჩი და ხახუ და მისი ძმისწულები, ოთხი ლოღარიკი
თომა ბერაია და მისი ძმა ბეჟ|ია, ოთხი ლოღარიკი
კიდევ ბერაია გურიკავა და შოშიტა, ოთხი ლოღარიკი
არცანდია ქომო|კორდა, მისი ძმისწული, ოთხი ლოღარიკი|
ჯაიანისეული კაცი ავშილავა| გონჯი, ოთხი ლოღარიკი
ხობს:
ბაბაკოჩი ბიგვავა, ხუთი ლოღარიკი
ძღიკვი| დიხამ[ი]ნჯია და თაიმაზი, ხუთი ლოღარიკი|
წულაი თუთაშხია და გვაძაბია, ხუთი ლოღარ|იკი
დოლუზია გოგოლეი, ხუთი ლოღარიკი|
ხუტუ კოდუა და მოგელაი,[86] ხუთი ლოღარიკი|
სუბუქ[ი]ა მამაგული, ბაბადიში და ბიძა მისი, ხუთი| ლოღარიკი
კიდევ ჯგუბურია ჭუჭუ, ახალკოჩი და მის||ი ძმები ხუთი ლოღარიკი სანთელი
ელიშა| ოსთარა და ვავა, ხუთი ლოღარიკი
ბიას:
კოჩიორე სიჭინავა| და მისი გლეხი იმანცალა ცხადაია, ხუთი ლოღარიკი
ბ|იგავა ჯვეგე და მისი ძმისწული, ხუთი ლოღარიკი
ს|ახარბედიოს:
ეჯიბია ივანელა, სამი ლოღარიკი სანთელი
კიდევ მეორე ეჯიბია ჭკოლოფუა და ბაძალია,| სამი ლოღარიკი სანთელი
ხუცესი ხარბედია| სამი ლოღარიკი სანთელი
ნასხიდა შუღ|ლაი, სამი ლოღარიკი
ხორგას ჩემი შეწირუ|ლი რომელიც იყო ის დამინერია. ძველად|გან ჟოელიებს
სდებია და როგორც სდებოდეს ისე| გარდაიხადოს. ამ /ჩემს/ შეწირულ კაცებს ვისაც სანთე|ლი ემართოს მეხადილეს კაცისათვის საკლავი
შე|მინევია და მეღორე კაცისათვის უფროსი საკლავი.| არც გასამყოფელო ეთხოებოდეს, არც ბატ|ონისაგან და არც მოხელისაგან და ხატის ბეგარა სან|თელი რამდენადაც გეიყოს თან გაჰყვე|ბოდეს მთლად.

ხელრთვა: კათალიკოზი
ოთხკუთხა ბეჭედი მხედრული ლეგენდით: აფხაზეთის კ(ათალიკო)ზი გრიგოლ
რ-ს მარცხენა კიდეზე, XIX ს-ის ხელით, ყავისფერი მელნით: "შთაწერილ არს კომიტეტს შ(ინ)ა საეკკლესიოსა ჩყლე-ს წელსა №90 ქუთაისს"
ვ-ზე, მოგვიანო ხელით: ქ. ხოფისა შეწირულობის.
სხვა ხელით უკულმა: ნვ. ვბ. №90.

(1) საბუთი მიემართება ხობს, როგორც საკათალიკოსო მონასტრის სტატუსის მქონეს. დოკუმენტის გამცემი სწორედ აფხაზთა კათოლიკოსია (გრიგოლ ლორთქიფანიძე). მან სანთლის ბეგარა მხოლოდ საკათალიკოსო მონასტრებს განუახლა და მათ შორის ხობსაც. საბუთში მოხსენიებული ხობის მონასტრის ყმები იხსენიებიან საკათალიკოსოს დავთრებში, როგორც აფხაზთა საკათალიკოსოს ყმები. ხობში პერიოდულად ჩნდება აფხაზთა კათოლიკოსის რეზიდენცია. გრიგოლ ლორთქიფანიძის დროს ოდიშის სამთავროში კათოლიკოსის გააქტიურება განპირობებული იყო იმერეთის სამეფოში შექმნილი არამყარი პოლიტიკური ვითარებით. გრიგოლ კათოლიკოსი ოდიშის სამთავროს ახალი დინასტიის – ჩიქვანების მხარდამჭერად გამოდის და მათთან თანამშრომლობით ცდილობს ძლიერი დასაყრდენის შექმნას.[87]

№18

შეწირულობის წიგნი ბესარიონ კათალიკოზისა ხოპის საყდრისადმი
(1742-1758)

დედანი დაკარგულია. გვაქვს პირი: ხეც, Ad-2251 ნა

საბუთი უთარიღოა. დათარიღების ქვედა ზღვრად უნდა ავიღოთ აფხაზეთის კათოლიკოს ბესარიონის აღსაყდრების წელი (1742). ვინაიდან საბუთში იხსენიება ოტია დადიანი, რომელსაც ყმები შეუწირავს კათოლიკოსისთვის, ამიტომ ზედა ზღვრად ოტია დადიანის გარდაცვალების წელი (1758) ავიღეთ.

ეჰა, შენ მშობელო უფლისა ჩ(უე)ნის იესო ქ(რისტ)ეს მშობელო, ღ(მრთ)ისმშობელო, საყდარო ხოპისაო, განსუენებულო ჩ(უე)ნ ძისა შენისა მიერ კ(ათალიკო)ზ-პატრიარხმან ბესარიონ, (1) შემოგწირეთ ჯაიანის მერაბის შვილი იოანე და სვიმონ. პ(ირველა)დ დადიანმა ოტიამ (2) შესწირა და ჩ(უე)ნ მოგუცა და ჩ(უე)ნ თქუენდა შემოგვიწირავს ის ორი ძმა მისი კაცებით, შაქარი, ჭაჭას სახლი და დაგაჯინი და კოტრავას სახლი მათის ყოვლისფერითა, გეგია და ხურცილავა, ერთი პარტახი, ნაგეგენაკ ტყით, წყლით და მიწა-მამულით, საყანით, სახოხბით.[88]

აწ, ვინც ეს გამოგწიროს, შეჩუენებულიმც არის შენის ძის ქ(რისტ)ეს ღმრთისაგან და ყ(ოველ)თა მისთაგან, ჩ(უე)ნის შემდგომის კ(ათალიკო)ზისაგან, და ყ(ოველ)თა სამღუდელოთა დასთაგან, ამინ.

დახატული არის მრგვალი ბეჭედი, შუაში აწერია ხატი, როგორც ჩანს ღვთისმშობლის ხატი ყოფილა გამოსახული, რადგან ზეკიდან აწერია ამის შიგან მღთისმშობელი. წრიულად აქვს წარწერა, ასომთავრულით: მ. ე თ. და მღვდელთმთავარი აფხაზეთისა, კათალიკოზი ბესარიონ, ჯჯვარი.

(1) ბესარიონ ერისთავი აფხაზეთის კათოლიკოს-პატრიარქი 1742-1769 წლებში. იგი იყო შოშიტა რაჭის ერისთავისა და იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ის ასულის მარიამის ვაჟი. მას ურთიერთობა გაურთულდა იმერეთის მეფე სოლომონ I-თან, როდესაც მეფის საწინააღმდეგოდ მხარი დაუჭირა თავის ძმას როსტომ ერისთავსა და ოდიშის მთავარს თავის დისწულ კაცია დადიანს. დახმარების სათხოვნელად 1768 წ. ახალციხის ფაშასთან ჩაეიდა, თუმცა იგი დააპატიმრეს. მან ტყვეობიდან თავი გაითავისუფლა და ოდიშის სამთავროში ჩავიდა, სადაც კაცია დადიანმა ოდიშის კათოლიკოსად დაადგინა. პარალელურად იმერეთში კათოლიკოსად აღსაყდრებული იყო იოსები. ორკათოლიკოსობა 1773 წ. დასრულდა, როდესაც ბესარიონი გარდაიცვალა.

(2) ოტია დადიანი – ოდიშის მთავარი 1728-1758 წწ. იგი დაპირისპირებული იყო იმერეთის მეფე ალექსანდრე V-თან და მხარს უჭერდა იმერეთის ტახტის პრეტენდენტებს მამუკასა და გიორგი უფლისწულებს. მისი ძმიშვილი დარეჯანი ცოლად ჰყავდა ერეკლე II-ს. ოტიას დამოკიდებულება იმერეთის მეფისადმი შეიცვალა სოლომონ I-ის ტახტზე ასვლის შემდეგ. სოლომონმა ცოლად შეირთო ოტიას ასული მარიამი და ოდიშის მთავარს დაუმოყვრდა. იგი ბოლომდე მხარი ედგა სოლომონს საშინაო თუ საგარეო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

№19

მიწერილობა იმერეთის კათალიკოს ბესარიონისა სინოდისადმი
ფილიმონ ეპისკოპოსის შეწყნარებაზე
1753. VIII.14

დედანი დაკარგულია. გვაქვს დიმიტრი ბაქრაძის მიერ გადანერილი პირი: ხეც, Sd-2972. საბუთს თავში ჰქონია მრგვალი ბეჭედი შემდეგი ლეგენდით: „ქ. მეუფე და მღვდელმთავარი აბხაზეთისა, ბიჭვინტისა 1742.“ შუაში გამოსახული: „სახე ბიჭვინტის ღთისმშობელის, საშუალ წიაღთა უტვირთავს ძე თვისი.“

საბუთი თარიღიანია: ქრისტეს აქეთ ჩღნგ, აგვისტოს იდ, /1753. VIII.14/.

ქ. მონა უფლისა ჩვენისა იესოს ქრისტესა, მამა მამათა და მწყემსი მწყემსთა, აფხაზთა, მეგრელთა და იმერ ქართველთა მამადმთავარი, კათალიკოზი ვისარიონ მოგახსენებ და ვითხოვ თქვენ მიერსა კურთხევასა წმინდაო და ყოვლადსანატრელნო მმართებელნო სინოდნო, არქიეპისკოპოსნო, მიტროპოლიტნო და ეპისკოპოზნო. აწე, მოგახსენებთ თქვენის სიმაღლეს ღირსებათა, საღმრთოთა და ზეგარდამოთა ჩემ მიერ მდაბალსა მოცემულითა მადლითა და უხილავითა ნიჭითა და წმინდათა მოციქულთაებრ განნესებითა და წმინდათა მამათაგან დამტკიცებითა, მე, მდაბალმან, მამადმთავარმან აფხაზ-მეგრელთა და იმერ-ქართლთა კ(ათალიკ)ოზმან ბესარიონ, შემწირველი წმინდისა საიდუმლოსა.

აწე, ვითხოვ თქვენ მიერსა შეწყალებასა. ესე ფილიმონ ეპისკოპოზი ჩემ მიერ იკურთხა და ხელდასხმულ იქმნა ეპისკოპოსად წმინდისა ღვთისმშობელისა მონასტერსა ხოფისასა, თანამწამებითა და ბრძანება-ჯერჩინებითა ამისა ჩემისა საქართველოს კათალიკოზის ანტონისათა, ვითარცა თვით წამებენ წერილნი მისნი ღირსებასა წმინდასა ამის ეპისკოპოსისასა. აწე, ვითხოვ თქვენის სიმაღლის ღირსებისაგან შეწყნარებასა.

აწე, ვითხოვ მოწყალებასა მათის სიმაღლისა დიდებულობის იმპერატორისაგან. წყალობასა ესე ჩვენ მიერ ნაკურთხი და ხელდასმული ეპისკოპოსი ფილიმონ, მათის დიდებულის სიმაღლის იმპერატორებისა სანდღეგრძელოდ შეიწყნარონ და იმსახურონ.

აწე, კ(ვალა)დ მოვახსენებთ წმინდათა და ყოვლადსანატრელთა მმართებელთა სინოდთა, ესე ჩემ მიერ ნაკურთხი და ხელდასმული ეპისკოპოსი ფილიმონ დამეთხოვა ამა მიზეზითა, რომელ არიან ალი ოსმალი ბილნნი აგარიანნი და მტერნი მართლამდიდებლობისა სარწმუნოებისანი და წმინდათა ეკლესიათა აღმაოხრებელნი. ჩამოვიდენ ქვეყანასა ჩვენსა და მოაოხრეს ქვეყანა ჩვენი და მათ უსჯულოთაგან შეშინდა და დაგვეთხოვა და აღარც ჩვენ დაუშალეთ და დასტური დავეცით და ჩვენის დასტურით თქვენს ქვეყანას წამოვიდა.

წმინდაო და ყ(ოვლა)დსანატრელნო სინოდნო და სრულიად რუსეთისა წმინდანო ეპისკოპოზნო, მოგახსენებთ და ვითხოვთ თქვენის სიმაღლის ღირსებისაგან ესე ჩემ მიერ ხელდასხმული ეპისკოპოსი ფილიმონ შეიწყნაროთ, სადაც მოვიდეს ამა ჩემის კურთხევისა და შენდობისა წიგნითა. (კათალიკოზი ბესარიონ)

ქ(ორონი)კ(ონ)ს ქ(რისტ)ეს ჩღნგ, აგვისტოს იდ. 1753.VIII.14

მდივან-მგალობელი, მორდალ კარის წინამძღვარი, მესტუმრეთუხუცესი სვიმონ ჯაფარიძე.

შენიშვნები

1 დედანი დაკარგულია, არსებობდა XVII საუკუნეში გადაწერილი მისი პირი, რომელსაც ასევე არ მოუღწევია ჩვენამდე. იგი უნახავს სარგის კაკაბაძეს. სწორედ მისეული ასლი და მის მიერ გამოქვეყნებული საბუთი გვაქვს ხელთ.

2 გ. არახამია, საისტორიო ძიებანი, V, წელიწდეული, თბილისი, 2002, გვ. 109.

3 გ. არახამია, შამადავლა დადიან-გურიელის სიგელი და „ხობის ძველი იადგარი", წიგნში: საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები, თბილისი, 2009, გვ. 135-136.

4 მ. სურგულაძე, ქართული საისტორიო აქტები XI-XV სს., თბილისი, 2006, გვ. 174.

5 გ. არახამია, ხობის ტაძრის „ძველი იადგარის" შესახებ, ჟურ. ფენიქსი №1, ზუგდიდი 1996, გვ. 111.

6 გ. არახამია, შამადავლა დადიან-გურიელის სიგელი და „ხობის ძველი იადგარი", წიგნში: საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები, თბილისი, 2009, გვ. 143.

7 მ. სურგულაძე, ქართული საისტორიო აქტები XI-XV სს., თბილისი, 2006, გვ. 175.

8 მ. სურგულაძე, ქართული საისტორიო აქტები XI-XV სს., თბილისი, 2006, გვ. 175.

9 გვიანი შუა საუკუნეების დოკუმენტებში ჩნდება დიალექტიზმები.

10 თ. ჯოჯუა, ხობელი ეპისკოპოსების ნიკოლოზ I წულიკიძისა და ნიკოლოზ II ჩოლოყაშვილის ფრესკული პორტრეტები ხობის ტაძარში, კრებულში: საქართველოს სიძველენი, №15, თბილისი 2012, გვ. 355-357

11 თ. ჯოჯუა, ხობელი ეპისკოპოსების ნიკოლოზ I წულიკიძისა და ნიკოლოზ II ჩოლოყაშვილის ფრესკული პორტრეტები ხობის ტაძარში, კრებულში: საქართველოს სიძველენი, №15, თბილისი 2012, გვ. 358-360.

12 ქ. ჩხატარაიშვილი, თეთროსანი და თეთროსნის დავითნი, კრებულში: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წ. V, თბილისი, 1986, გვ. 106.

13 ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, №6, ტფილისი, 1899, გვ. 26; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1965, გვ. 208.

14 С. С. Какабадзе, ГДИНА, 1967, №232. с. 174.

15 პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. II, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, თბილისი, 1993, გვ. 3-4.

16 პირთა ანოტირებული ლექსიკონი ტ. III, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: ანა ბაქრაძემ, ლევან რატიანმა და გიორგი ოთხმეზურმა; ტომი შეადგინეს დარეჯან კლდიაშვილმა და მზია სურგულაძემ, ტომის რედაქტორი: ზაზა ალექსიძე, თბილისი, 2004, გვ. 80.

17 ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფილისი, 1913-1914, გვ. 153-155.

18 ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფილისი 1913-1914, გვ. 150.

19 გ. კალანდია, წმინდა ნაწილები და რელიკვიები სამეგრელოში, წიგნში: ოდიშის საეპისკოპოსოები, თბილისი, 2004, გვ. 193-196.

20 ე. ბუბულაშვილი, საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები, თბ., 2007, გვ. 110-115.

21 ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 134-135, ტფ; 1913-1914; ვ. ბერიძე, ხობის ტაძრის ისტორიისათვის, ჟურ; მაცნე, ისტორიის სერია, 1973, №2, გვ. 74.

22 ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფ; 1913-1914, გვ. 135.

23 ვ. ბერიძე, ხობის ტაძრის ისტორიისათვის, ჟურნალი მაცნე, ისტორიის სერია, 1973, №2, გვ. 75-78.

24 იქვე, გვ. 78.

25 მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბილისი, 2003, გვ. 244.

26 გ. არახამია, საისტორიო ძიებანი, V, წელიწდეული, თბილისი, 2002, გვ. 104-105.

27 ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, ტფილისი, 1899, გვ. 26.

28 თ. ბერაძე, ოდიშის საერისთავო ერთიან მონარქიაში, კრებულში: სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, ი. ანთელავას საერთო რედაქციით, თბილისი-ზუგდიდი 1999, გვ. 145.

29 ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 132-134, ტფილისი, 1913-1914, ვ. ბერიძე, ხობის ტაძრის ისტორიისათვის, ჟურნალი მაცნე, ისტორიის სერია, 1973, №2, გვ. 79.

30 ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, №6, ტფილისი, 1899, გვ. 26; გ. არახამია, საისტორიო ძიებანი, V, წელიწდეული, თბილისი, 2002, გვ. 106.

31 ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფილისი, 1913-1914, გვ. 134; ვ. ბერიძე, ხობის ტაძრის ისტორიისათვის, ჟურნალი *მაცნე*, ისტორიის სერია, 1973, №2, გვ. 73.

32 ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფილისი 1913-1914, გვ. 134.

33 ვ. ბერიძე, ხობის ტაძრის ისტორიისათვის, ჟურნალი *მაცნე*, ისტორიის სერია, 1973, №2, გვ. 77.

34 მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბილისი, 2003, გვ. 244.

35 ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფილისი, 1913-1914, გვ. 153.

36 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 806-807.

37 გ. არახამია, საისტორიო ძიებანი, V, წელიწდეული, თბილისი, 2002, გვ. 109.

38 აღდგენილია ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემის მიხედვით.

39 Sd 2921-ის მიხედვით „ჩვენმან მებატონემან მარილი...“ და შემდეგ პირის გადამწერის მინაწერი: „აქ არა არს რა სიძუელის გამო.“ სიტყვასიტყვით იგივეს იმეორებს საბუთის მეორე პირი – Ad 2251-ლა. როგორც ჩანს Sd 2921 და Ad 2251-ლა გადამწერები ერთიმეორისგან სარგებლობდნენ.

40 პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. V, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს დარეჯან კლდიაშვილმა, ნანა მშვიდობაძემ, გულიკო მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ, ტომი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა მზია სურგულაძემ, თბილისი, 2015, გვ. 251.

41 ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ნ. I, გვ. 91; ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. III, თბილისი, 1970, გვ. 647.

42 იქვე.

43 პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. V, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს დარეჯან კლდიაშვილმა, ნანა მშვიდობაძემ, გულიკო მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ, ტომი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა მზია სურგულაძემ, თბილისი, 2015, გვ..251.

44 ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ნ. I, ტფილისი, 1921, გვ. 91; ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. III, თბილისი, 1970, გვ. 676.

45 ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ნ. I, ტფ; 1921, გვ. 91; ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. III, თბილისი, 1970, გვ. 676; თ. ქართველიშვილი, ხობის მონასტერი და აფხაზეთის საკათალიკოსო (აფხაზთა კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის მმართველობის პერიოდში), საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები IV, თბილისი, 2011, გვ. 220-222.

46 ი. ანთელავასა და თ. ბერაძის მიერ შედგენილ დადიანთა ქრონოლოგიური რიგის თანახმად, ლევანმა ოდიშის სამთავრო 1662 წელს დაიკავა და 1681 წლამდე მართავდა. იხ. *სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში* ი. ანთელავას საერთო რედაქციით, თბილისი-ზუგდიდი 1999, გვ. 326.

47 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 836-838.

48 ვახუშტი ბატონიშვილი, იქვე, გვ. 843-844.

49 პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. II, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, თბილისი, 1993, გვ. 568.

50 საბუთის პირის ხეც, შდ 2921-ის მიხედვით „საქმე რომ გელათის კარს ბიჭვინტისა ღ(მრ)თისმშობლის მეთევზე გლეხი შენაწირი ესახლა“.

51 აღდგენილია ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემის საბუთის პირის ხეც, Sd 2921 და ხეც, Ad 2251-ლა მიხედვით „იადგარის შლად.“

52 აღდგენილია საბუთის პირის ხეც, Sd 2921 და ხეც, Ad 2251-ლა მიხედვით.

53 აღდგენილია საბუთის პირის ხეც, Sd 2921 და ხეც, Ad 2251-ლა მიხედვით.

54 ექვთიმე თაყაიშვილის მიხედვით, ლევან ლიპარტიანი. საბუთის პირის ხეც, Sd 2921 და ხეც, Ad 2251-ლა მიხედვით – თამარ, თუმცა დედანში კარგად განირჩევა ხელრთვა *თამარ*.

55 ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, ჯაიანთა სათავადო, წ. I, თბილისი, 1973, გვ. 293.

56 ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, ჯაიანთა სათავადო, წ. I, თბილისი, 1973 გვ. 293.

57 აღდგენილია ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემის და საბუთის პირების ხეც, Sd 2921 და ხეც, Ad 2251-ლა მიხედვით.

58 აღდგენილია ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემის და საბუთის პირების ხეც, Sd 2921 და ხეც, Ad 2251-ლა მიხედვით. საბუთის პირებში არის იასე.

59 ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ.79.

60 ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფილისი, 1913-1914, გვ. 156.

61 დანარჩენი აკლია, გაგრძელება აღდგენილია საბუთის პირების მიხედვით ხეც, Sd 2921-ის და ხეც, Ad 2251 ლა.

62 ფრაზა არის მხოლოდ საბუთის პირში ხეც, ad 2251-ლა.

63 ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 91; ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბილისი, 1970, გვ. 676.

64 ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი 1921, გვ. 91 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბილისი, 1970, გვ. 647.

65 ხეც, Hd-1450; ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 104; ი. დოლიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 669.

66 ექვთიმე თაყაიშვილთან „სახელითა“.

67 აღდგენილია საბუთის პირის ხეც, Ad 2251-ლა მიხედვით

68 ექვთიმე თაყაიშვილის მიხედვით: გრიგოლ. საბუთის პირის ხეც, შდრ. 2922-ის მიხედვით: ხვეულად „კათალიკოზი“ და ხელი ჯვრით.

69 თ. ქორიძე, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსები და კათოლიკოს-პატრიარქები, წგ; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, თბილისი, 2000, გვ. 158-159.

70 ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფილისი, 1913-1914, გვ. 142.

71 ვახუშტი ბატონიშვილი, აღნერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 862-863.

72 თ. ბერაძე ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქოვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში XVII ს. მიწურულიდან XVIII ს. დამდეგამდე, კრებულში: *სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში* ი. ანთელავას საერთო რედაქციით, თბილისი-ზუგდიდი 1999, გვ. 223-224.

73 კ. ოკუჯავა, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია XVII საუკუნეში, კრებულში: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი, თბილისი, 2007, გვ. 159.

74 მთელ საბუთში ტექსტი აღდგენილია ე. თაყაიშვილის გამოცემის მიხედვით.

75 ექვთიმე თაყაიშვილის მიხედვით: „მოგვაშორა“.

76 ექვთიმე თაყაიშვილის მიხედვით: „უძლებად“.

77 Ad-11208, ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), წ. II, თბილისი, 1981, გვ. 38.

78 მარჯვენა არშიაზეა წაგრძელებით მიწერილი საბუთისავე ხელით.

79 თ. ქართველიშვილი, ხობის მონასტერი და აფხაზეთის საკათალიკოსო (აფხაზთა კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის მმართველობის პერიოდში), საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები IV, თბილისი, 2011, გვ. 226, სქოლიო 50.

80 ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 101.

81 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1970, გვ. 676.

82 თ. ქართველიშვილი, ხობის მონასტერი და აფხაზეთის საკათალიკოსო (აფხაზთა კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის მმართველობის პერიოდში), საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები IV, თბილისი, 2011, გვ. 220-222.

83 თ. ბერაძე, ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქოვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში XVII ს. მიწურულიდან XVIII ს. დამდეგამდე, კრებულში: *სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში* ი. ანთელავას საერთო რედაქციით, თბილისი-ზუგდიდი 1999, გვ. 222.

84 თ. ბერაძე, ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქოვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში XVII ს. მიწურულიდან XVIII ს. დამდეგამდე, გვ. 223.

85 თ. ქართველიშვილი, ხობის მონასტერი და აფხაზეთის საკათალიკოსო (აფხაზთა კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის მმართველობის პერიოდში), საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები IV, თბილისი, 2011, გვ. 220.

[86] ი. დოლიძესთან – „გოგელაი"

[87] თ. ქართველიშვილი, ხობის მონასტერი და აფხაზეთის საკათალიკოსო (აფხაზთა კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის მმართველობის პერიოდში), საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები IV, თბ. 2011.

[88] სავარაუდოა, რომ დედანში უნდა ყოფილიყო „სახობით", რაც სახობოს, ანუ ხობის მონასტრის კუთვნილ ტერიტორიებს ნიშნავდა.

HISTORICAL DOCUMENTS OF KHOBI MONASTERY. OF 15TH – 18TH CENTURIES (Collections preserved at K. Kekelidze National Center of Manuscripts and the National Archive of Georgia)

Tea Kartvelishvili

Khobi Monastery was one of the most important religious centers of medieval Georgia. Study of the documentary sources is critical for reconstruction of its history. Such sources, normally, are distinguished with reliability and diversity of information. Documentary materials subject to consideration cover 15th-18th centuries' period. The ancient document dated by 15th century evidences updating of the title of earlier document. Hence, the ancient documents of Khobi Monastery should be associated with the period of its establishment, in particular, 13th century (these documents were not maintained up to present). As for the upper limit of the published documentary sources, we have not discussed those of 19th century as in early 19th century autocephaly of the church of Western Georgia was eliminated and for Khobi Monastery, in the mentioned period the new stage has commenced.

Most of the maintained documents are of contribution nature. Documentary materials depict economic status of the Monastery, quantities of the lands and peasants, change of the taxes in the course of centuries. They contain very interesting information about relations between Khobi Monastery and Catholicate of Abkhazia. As a result of their analysis it was established that periodically, Khobi Monastery was used as a residency of the Catholicos of the Abkhazians and at the same time, it was the residence of Bishop of Khobi.

Most documents are not dated. They are dated based on the historical figures or historical events mentioned in the documents or, at least, the known time limits are specified more accurately. In addition, the publication contains explanatory comments dealing with historical persons and historical facts. Part of the documents are published for the first time.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო სენატი

ზაზა ცინაძე

სენატის დებულება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სასამართლო სისტემის რეფორმირების წარმატებულ დასასრულად და უმაღლეს მწვერვალად უნდა ჩაითვალოს 1919 წლის 29 ივლისს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული საქართველოს სენატის დებულება, რომელიც ძალაში შევიდა 1919 წლის პირველი ოქტომბრიდან. აღნიშნული დებულება იუსტიციის მინისტრის თანაშემწის გიორგი გველესიანის თავმჯდომარეობით შეიმუშავა განსაკუთრებულმა კომისიამ (არქივი, ფ.1837, აღ.1, ს.423).

ეს დოკუმენტი სამართლიანი სასამართლოს სისტემის მშენებლობის საქმეში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

სენატის დებულება შედგებოდა ხუთი თავისა და 53 მუხლისაგან; აღწერილი იყო სენატის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის საჭირო ყოველი დეტალი, მისი უფლებამოსილება და კომპეტენციის ზღვარი. იმისათვის, რომ მკითხველს ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდოთ აღნიშნული დებულების შესახებ, გადავწყვიტეთ, საფუძვლიანად განვიხილოთ ეს დოკუმენტი.

დებულების პირველი თავი *ზოგადი დებულება* შედგებოდა 8 მუხლისაგან, რომელშიც განსაზღვრული იყო სენატის მოქმედებისა და კომპეტენციის ზოგადი წესები. პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს სენატი იყო უზენაესი სასამართლო, რომელიც თვალყურს ადევნებდა კანონის დაცვასა და მის აღსრულებას. განაგებდა სასამართლო სისტემის ნაწილს, კერძოდ, საკასაციო პალატებს და ასრულებდა ამ დებულებით განსაზღვრულ მოვალეობებს.

სენატი მოქმედებდა საქართველოში დადგენილი *სასამართლო დაწესებულებათა დებულების,* სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდების, სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების წესდების და სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების საფუძველზე. სასამართლოს, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები ვალდებულნი იყვნენ უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ სენატის გადაწყვეტილებას.

თუ სენატი საქმის განხილვის დროს აღმოაჩენდა სახელმწიფოს რომელიმე უწყებაში რაიმე კანონდარღვევას, უნდა ეცნობებინა შესაბამისი უწყების მინისტრისათვის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს ბოროტმოქმედება ან დაუდევრობა ჩადენილი იყო მინისტრის მიერ, – მთავრობისთვის. საჭიროების შემთხვევაში, თუ სენატი მიზანშეწონილად ჩათვლიდა, შეეძლო, დაენიშნა სასამართლო დაწესებულების ან მისი რომელიმე უწყების მოხელეთა რევიზია. ნებისმიერი მინისტრის ან მთავრობის ნებისმიერი წევრის გამოცემული ცირკულიარი, განკარგულება ან სავალდებულო დადგენილება თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს, სენატს უნდა შეეჩერებინა ასეთი დოკუმენტის მოქმედება სრულად ან ნაწილობრივ, საჭიროებებიდან გამომდინარე. ზემოთ აღნიშნული თანამდებობის პირები ვალდებულნი იყვნენ მათ მიერ გამოცემული აქტები შესაბამის ინსტრუქციებთან და განმარტებებთან ერთად გადაეგზავნათ სენატისათვის, რომელიც სწავლობდა ამ დოკუმენტების კანონიერებას. სენატს ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ეცნობებინა დოკუმენტის გამცემი სათანადო დაწესებულების ან პირისათვის. სენატი თავისი მოღვაწეობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშს აბარებდა საქართველოს პარლამენტს (შარაშენიძე 1990).

სენატის დებულების მეორე თავი შედგებოდა 19 მუხლისგან. ამ მუხლებში განხილული იყო სენატის ორგანიზაცია და შემადგენლობა. პირველ მუხლში აღნიშნული იყო, რომ სენატის შენობა მდებარეობდა ქალაქ თბილისში. იგი მოიცავდა ორ – სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საკასაციო დეპარტამენტებს. სამოქალაქო სამართლის საკასაციო დეპარტამენტში შედიოდა საადმინისტრაციო განყოფილება. ამასთან, სენატში არსებობდა საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრება და საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულო. თითოეული საკასაციო დეპარტამენტისათვის შტატით განსაზღვრული იყო სენატორთა რიცხვი. თავად სენატს განაგებდა თავმჯდომარე და მისი მოადგილე. სენატის დეპარტამენტებიდან თავმჯდომარე განაგებდა ერთერთს სურვილისამებრ, ხოლო მისი მოადგილე – მეორეს. სენატორის მოვალეობის შესრულების გარდა, მათ ევალებოდათ მოსახსენებელი საქმეების განაწილება სენატორებს შორის, გამწესრიგებელი და სასამართლოს სხდომების დანიშვნა და საქმის წარმოების მეთვალყურეობა დეპარტამენტში (შარაშენიძე 1990).

გათვალისწინებული იყო ისიც, რომ თუ თავმჯდომარე ან მისი მოადგილე სამსახურში ვერ გამოცხადდებოდნენ ავადმყოფობისა თუ სხვა მიზეზის გამო, მათ მოვალეობას აღასრულებდა დეპარტამენტის

სენატორი, რომელიც სხვაზე ადრე იყო არჩეული, ხოლო ერთდროულად არჩეულთაგან – წლოვანებით უხუცესი (მუხლი 13).

საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრებისა და შეერთებული საკრებულოს ხელმძღვანელობა ევალებოდა ასევე სენატის თავმჯდომარეს, ხოლო მისი დაუსწრებლობის შემთხვევაში – მოადგილეს. საზოგადო კრებისა და შეერთებული საკრებულოს საქმეთა წარმოება ხდებოდა უშუალოდ იმ დეპარტამენტში, რომელსაც განაგებდა სენატის თავმჯდომარე (მუხლი 14).

შეერთებული საკრებულო, თავმჯდომარის გარდა, შედგებოდა ოთხი სენატორისაგან, რომელთაც ირჩევდა სენატის საზოგადო კრება ერთი წლის ვადით ორივე (სისხლის და სამოქალაქო სამართლის) დეპარტამენტთა წევრებისგან (მუხლი 15).

თითოეულ საკასაციო დეპარტამენტში არსებობდა დეპარტამენტის საკრებულო და განყოფილების საკრებულო. დეპარტამენტის, საზოგადო კრებისა და შეერთებული საკრებულოს სხდომას საქმეთა განხილვის დროს უნდა დასწრებოდა სენატორთა ორ მესამედზე მეტი, ხოლო განყოფილების სხდომას – არანაკლებ სამი სენატორი. სხდომებს უნდა დასწრებოდნენ, აგრეთვე, სენატის პროკურორი ან მისი მოადგილე და მდივანი (მუხლი 1617).

თუ განყოფილების ან დეპარტამენტის სხდომას არ ესწრებოდა განსაზღვრული რაოდენობის სენატორები, თავმჯდომარე დაუყოვნებლივ იწვევდა იმავე დეპარტამენტის სენატორებს. თუ ეს შეუძლებელი იყო, მაშინ ის სენატორების საჭირო რაოდენობას იწვევდა მეორე დეპარტამენტიდან (მუხლი 18).

განყოფილების და დეპარტამენტის სხდომაზე საქმის წარმოება ხდებოდა ამავე დებულების მეორე მუხლის მიხედვით (მუხლი 19).

სენატორებსა და სენატის თავმჯდომარეს მის მოადგილესთან ერთად პირველად ირჩევდა დამფუძნებელი კრება ორი წლის ვადით, ხოლო შემდგომ აირჩევდა პარლამენტი – ოთხი წლის ვადით. სენატორები თავის მოვალეობას ასრულებდნენ მანამდე, ვიდრე მათ ნაცვლად არ აირჩეოდნენ ახალი სენატორები (მუხლი 20).

თუ რომელიმე საკასაციო დეპარტამენტში განთავისუფლდებოდა სენატორის ადგილი ვადის ამოწურვამდე, აირჩეოდა ახალი სენატორი დარჩენილი ვადით. სენატორის დათხოვნას ან გადაყვანას ერთი დეპარტამენტიდან მეორეში მისი სურვილის წინააღმდეგ კრძალავდა დებულების 22ე მუხლი. თანამდებობიდან სენატორის დროებით გადაყენება დაიშვებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამოძიებაში იქნებოდა მიცემული, ხოლო, რაც შეეხება სრულიად დათხოვნას, ეს ხორციელდებოდა მხოლოდ სასამართლოს განაჩენის ძალით.

სენატის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს, სენატორს, სენატის პროკურორსა და მის მოადგილეს შეეძლოთ ესარგებლათ წელიწადში ორთვიანი შვებულებით. ამ ვადის გახანგრძლივება ერთი თვით, სათანადო დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, შეეძლოთ სენატის თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და სენატორებს, ხოლო სენატის პროკურორისა და მის მოადგილის შვებულების გახანგრძლივებას წყვეტდა იუსტიციის მინისტრი (მუხლი 23).

დეპარტამენტთა საზოგადო კრება და შეერთებული საკრებულოს საქმეთა წარმოების წესი განისაზღვრებოდა სენატის განაწესით. ამ განაწესის პროექტებს დეპარტამენტის საზოგადო კრება ამტკიცებდა (მუხლი 24).

სენატს ყველა დაწესებულებასთან და თანამდებობის პირთან ჰქონდა პირდაპირი მიწერმოწერა (მუხლი 25), (შარაშენიძე 1990).

სენატის თითოეულ დეპარტამენტს ჰქონდა თავისი კანცელარია, რომლის მოხელეთა რაოდენობა და ანაზღაურება განისაზღვრებოდა შტატით. კანცელარიის მოხელეებს ნიშნავდა სენატის თავმჯდომარე. ის ასევე განაგებდა სენატთან არსებულ საკოდიფიკაციო განყოფილებას (შარაშენიძე 1990).

სენატის დებულების მესამე თავი ეხებოდა სენატის საპროკურორო ნაწილს და შედგებოდა ოთხი მუხლისაგან, რომელთა მიხედვით, სენატში არსებობდა ორი პროკურორის თანამდებობა: ერთი სისხლის სამართლის, ხოლო მეორე – სამოქალაქო სამართლის დეპარტამენტისათვის. მათი მოადგილეთა რიცხვი განისაზღვრებოდა შტატით. პროკურორსა და მის მოადგილეებს ნიშნავდა მთავრობა. პროკურორი ან მისი მოადგილე სენატს წარუდგენდა თავის დასკვნას ყველა საქმის შესახებ, რომელიც შეტანილი იქნებოდა სენატის საზოგადო კრების, შეერთებული საკრებულოს და საკასაციო დეპარტამენტებში საკასაციო წესით. თითოეულ პროკურორს ჰქონდა თავისი კანცელარია, რომლის მოხელეებს თავადვე ნიშნავდა (შარაშენიძე 1990).

უშუალოდ სენატის კომპეტენცია განხილულია დებულების მეოთხე თავში, რომელიც შედგება ხუთი მუხლისაგან. სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტს ექვემდებარებოდა ყველა ის საქმე, რომელიც აღნიშნული იყო *სასამართლო დაწესებულებათა დებულებაში, სისხლის სამართლის წარმოების წესდებაში, სამხედრო სასამართლოს წესდებასა* და სხვა სათანადო კანონმდებლობაში; ხოლო სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტს ექვემდებარებოდა ყველა ის საქმე, რომელიც აღნიშნული იყო *სასამართლოს დაწესებულებათა დებულებაში, სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებასა* და სხვა სათანადო კანონმდებლობაში (შარაშენიძე 1990).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში შედიოდა საადმინისტრაციო განყოფილება. თუ რომელი საქმეები ექვემდებარებოდა ამ ორგანოს, აღნიშნული იყო დებულების მეოთხე თავის 34ე მუხლში: 1) საჩივარი და პროტესტი ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების გადაწყვეტილების შესახებ; 2) საჩივარი მინისტრების მოქმედებებისა და განკარგულების შესახებ; 3) თხოვნები საადმინისტრაციო საქმის გამო დადგენილ გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ; 4) მთავრობის დაწესებულებათა შორის კომპეტენციის გამო დანყებული დავის გადაწყვეტა; 5) იმ საქმეების განხილვა, რომელიც შეეხებოდა ხაზინის სასარგებლოდ ყველანაირი გადასახადისა თუ ბაჟის აღებას, ასევე – კანონდებულებათა დარღვევის აღმოჩენას; 6) სახაზინო მართვაგამგეობის საქმის განხილვა იმ შემთხვევებში და იმ წესით, რომელიც აღნიშნული იყო სათანადო კანონებში; 7) იმ საქმეთა განხილვა, რომელიც შეეხებოდა ხაზინაში უკანონოდ შესული ფულის დაბრუნებას; 8) განსაზღვრულ შემთხვევაში საჯარო ვაჭრობათა და ხელშეკრულებათა დამტკიცება, საჯარო ვაჭრობის ნებართვა, საჯარო ვაჭრობის უნაყოფობის გამო უძრავი ქონების ხაზინის საკუთრებად ჩარიცხვა; 9) მფლანგველის ქონებისათვის მეურვეობის დაწესება; 10) მიწების დაგირავების საქმე; 11) რომელიმე პირის ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმების საქმე; 12) ერობებისა და ქალაქის თვითმმართველობათა მიერ არჩეული მომრიგებელ მოსამართლეთა დამტკიცება და ამ არჩევნების გამო შეტანილი საჩივრის განხილვა; 13) მომრიგებელი მოსამართლის სამსახურიდან დათხოვნა, მისი თხოვნის თანახმად; 14) მომრიგებელი მოსამართლის სამსახურიდან განთავისუფლება ორ თვეზე მეტი ვადით; 15) საერთო ჯამში ყველა ის საქმე, რომელიც კანონით სენატს ექვემდებარებოდა და არ ეკუთვნოდა სენატის სისხლის სამართლის ან სამოქალაქო დეპარტამენტის ან საზოგადო კრების ან შეერთებული საკრებულოს განსახილველ საკითხთა რიცხვს (შარაშენიძე 1990).

ამის შემდეგ 35ე მუხლში ჩამოთვლილია ის საქმეები, რომელიც ექვემდებარებოდა სენატის საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრებას: 1) საჩივრისა და პროტესტის საბოლოო გადაწყვეტა იმ საქმის გამო, რომელიც განიხილა სენატის საადმინისტაციო განყოფილებამ, როგორც პირველმა ინსტანციამ; 2) იმ დავების საბოლოო გადაწყვეტა, რომელიც აღიძვრებოდა სასამართლო და მთავრობის დაწესებულებათა შორის ან სხვადასხვა უწყების სასამართლოს შორის კომპეტენციის გამო; 3) სააპელაციო საჩივრის განხილვა, რომელიც შეტანილი იყო სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის გადაწყვეტილების გამო და შეეხებოდა საადმინისტრაციო უწყების და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ისეთ უკანონო მოქმედებით ან დაუდევრობით მიყენებული ვნებისა თუ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც ან სრულიად არ ეკუთვნოდა სისხლის სამართლის უწყებას, ან რომლის შესახებ სისხლის სამართლის წარმოება შეჩერებული იყო ან მოსპობილი; 4) განხილვა თხოვნისა იმ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რომელიც დადგენილი იყო სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის მიერ სააპელაციო წესით წინა მუხლში ნაჩვენებ საქმეზე. ასევე, განხილვა თხოვნისა როგორც ამ გადაწყვეტილების გადასინჯვის, ისე ამ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ იმ პირთაგან, რომელთაც საქმეში მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული; 5) განხილვა თხოვნისა, რომ ნება დაერთოს მთხოვნელს, მოსთხოვოს სენატორებს ანაზღაურება ზარალისა, რომელიც მიაყენეს მას უკანონო, მიკერძოებული ან დაუდევარი მოქმედებით; 6) სასამართლო უწყების თანამდებობის პირთა მიმართ (მათ შორის სენატორთა მიმართაც) სენატის ქვემდებარე სადისციპლინო საქმეების გადაწყვეტა; 7) იმ საკითხების გადაწყვეტა, რომელიც სენატის რომელიმე დეპარტამენტის დადგენილებით, გადატანილი იყო საზოგადო კრების განსახილველად; 8) სასამართლო დაწესებულებებისათვის შეერთებულ საკრებულოში განხილული საერთო განაწესის დამტკიცება; 9) სენატის საკასაციო დეპარტამენტებისათვის შედგენილი განსაკუთრებული განაწესის დამტკიცება; 10) სენატის თავმჯდომარის, მისი მოადგილის ან სენატორების დროებით გადაყენება სამსახურიდან, თუ ისინი სამართალში ან გამოძიებაში იქნებოდნენ მიცემულნი; 11) მინისტრის ან მთავრობის სხვა წარმომადგენლის დადგენილების ნაწილობრივ ან სრულიად გაუქმება, თუ ეს დადგენილება ეწინააღმდეგებოდა კანონს; 12) ოლქის სასამართლოსა და პალატის წევრთა, თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეების დანიშვნა. ამ თანამდებობებისათვის ოლქის სასამართლოს და პალატის საზოგადო კრებანი, კუთვნილებისამებრ, წარუდგენდნენ სენატს ორორ კანდიდატს. თუ სენატი არცერთ მათგანს ჩათვლიდა დანიშვნის ღირსად, თავად ნიშნავდა თავის კანდიდატს. ამ თანამდებობის პირთა დანიშვნა ხდებოდა სენატის საზოგადო კრებაზე ხმის მიცემით (შარაშენიძე 1990).

36-ე მუხლი განსაზღვრავდა სენატის საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულოს კომპეტენციას. ამ ორგანოს ფუნქციებში შედიოდა: 1) ყველა სასამართლო დაწესებულებისა და სასამართლო უწყებების თანამდებობის პირთა მეთვალყურეობა და მათი მოღვაწეობის რევიზიის დანიშვნა; 2) მოსამართლის გადაყენების შესახებ განცხადებისა თუ თხოვნის განხილვა; 3) განხილვა საჩივრისა და პროტესტისა იმ დადგენილების გამო, რომლითაც გადაიჭრა საკითხი იმის შესახებ, რამდენად აკმაყოფილებდა ვექილობის მსურველი კანონით დადგენილ ფორმალურ პირობებს; 4) იუსტიციის მინისტრის მოთხოვნის შემთხვევაში სასამართლო დაწესებულებათა მიერ შედგენილი განსაკუთრებული განაწესის განხილვა (შარაშენიძე 1990).

სენატის დებულების დასკვნით ნაწილში ანუ ბოლო, მეხუთე თავში, განხილულია *სენატის დეპარტამენტებში საქმეთა წარმოების წესი.* კერძოდ, სისხლის სამართლის დეპარტამენტში საქმის

წარმოება ხდებოდა *სისხლის სამართლის წარმოების წესდების* (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის) მიხედვით. სამხედრო სასამართლოს განაჩენის გამო შეტანილი საჩივრისა და პროტესტის განხილვის დროს სენატი ხელმძღვანელობდა *სამხედრო სასამართლოს წესდებით*. სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში საქმის წარმოება, ჩვეულებრივ, ხდებოდა *სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებით*[1] (მუხლი 3738) (შარაშენიძე 1990).

საადმინისტრაციო განყოფილების განსახილველად წარდგენილი საქმეები უნდა განაწილებულიყო სენატორთა შორის მოსახსენებლად. საქმის განხილვის დღე უნდა ეცნობებინათ როგორც იმ თანამდებობის პირთათვის, რომელთა მოქმედება ან განკარგულება საჩივრდებოდა, ისე საქმეში ყოველი მონაწილე პირისათვის, რომლებიც სენატს განუცხადებდნენ თავიანთ მისამართს (მუხლი 40-41).

მოდავეთა ექვილად ყოფნა შეეძლო იმ პირს, რომელსაც *სასამართლო დაწესებულებათა დებულებით* და *სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებით* უფლება ჰქონდა, ეწარმოებინა სამოქალაქო საქმეები სასამართლო დაწესებულებაში. დაწესებულებასა და თანამდებობის პირს შეეძლო, გაეგზავნა თავისი რწმუნებული სენატის სხდომაზე განმარტებათა წარსადგენად. საქმის მოხსენება და მოდავეთა სიტყვიერი გამოსვლა საჯარო იყო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სენატი საჯაროდ განხილვას არ მიიჩნევდა მიზანშეწონილად ზნეობრივი ინტერესებიდან გამომდინარე. დადგენილება ასეთი გადაწყვეტილების შესახებ წინასწარ, საჯაროდ უნდა გამოეცხადებინათ სენატორებს (მუხლი 42-43).

საქმის მოხსენების შემდეგ სენატი ისმენდა საქმეში მონაწილეთა, ექვილთა და რწმუნებულთა განმარტებას და ბოლოს, სენატის პროკურორის ან მისი მოადგილის დასკვნას (მუხლი 44).

საქმის მოსმენის დროს ერთ სენატორსაც რომ განეცხადებინა, რომ საქმე საჭიროებდა, დამატებით, დეპარტამენტში განხილვას, ის დაუყოვნებლივ გადაეცემოდა დეპარტამენტს (მუხლი 45).

მოდავეთა განმარტებისა და პროკურორის ან მისი მოადგილის დასკვნის მოსმენის შემდგომ სენატს გამოჰქონდა რეზოლუცია იმ მოტივების აღნიშვნით, რომელიც საფუძვლად დაედო დადგენილ გადაწყვეტილებას. თუ სენატი ამ მოტივებს არ მიუთითებდა, რეზოლუციის გამოტანიდან ერთი კვირის განმავლობაში უნდა დაესაბუთებინა თავისი გადაწყვეტილება. რთული საქმისთვის სენატი შეიმუშავებდა უფრო ვრცელ დადგენილებას. რეზოლუციაცა და დადგენილებაც აღსასრულებლად ეგზავნებოდა სათანადო დაწესებულებასა და თანამდებობის პირს (მუხლი 46).

საქმის საბოლოო განხილვის შემდეგ სენატს გამოჰქონდა შემდეგი გადაწყვეტილებები: 1) საჩივარი ან პროტესტი უშედეგოდ ყოფილიყო დატოვებული; 2) დადგენილება, განკარგულება ან მოქმედება, რომელზედაც საჩივარი ან პროტესტი იყო შეტანილი, გაუქმებულიყო; 3) აცნობებდა სათანადო დაწესებულებას ან თანამდებობის პირს, რომ თავი შეეკავებინა განსაზღვრული მოქმედებისგან, ან განეხორციელებინა ისეთი ქმედება, რომელიც საჭირო იყო კანონიერების ან დაზარალებულის უფლებების აღსადგენად; 4) შეცვლილიყო გასაჩივრებული ან პროტესტის გამომწვევი დადგენილება ან განკარგულება, თუ ასეთი ცვლილება მხოლოდ საქმეში მონაწილე პირთა უფლებას ეხებოდა (მუხლი 48).

სენატის ადმინისტრაციული განყოფილების გადაწყვეტილებაზე, თუ ეს გადაწყვეტილება ისეთ საქმეს ეხებოდა, რომელიც პირველად ამ განყოფილებაში იყო აღძრული, როგორც პირველ ინსტანციაში, საქმეში მონაწილე პირებს შეეძლოთ, შეეტანათ საჩივარი, მინისტრებსა და თანამდებობის პირებს კი – პროტესტი სენატის საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრებაში. ასეთი საჩივარი ან პროტესტი სენატის დადგენილების ან დასაბუთებული რეზოლუციის გამოტანის დღიდან ერთ თვეში უნდა შეეტანათ. თხოვნა და წარდგენილება დადგენილების გადასინჯვის შესახებ შეტანიდან ათი წლის გასვლის შემდეგ განუხილველად იქნებოდა დატოვებული (მუხლი 50-51).

სენატის იმ დადგენილების შეცვლა ან გაუქმება, რომელშიც ადმინისტრაციული საქმე არსებითად იყო გადაჭრილი, დაინტერესებულ პირთა თხოვნით ან მინისტრის წარდგენილებით, შეიძლებოდა შემდეგ შემთხვევებში: 1) თუ ისეთი ახალი გარემოება აღმოჩნდებოდა, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ქონდა საქმის გადაწყვეტისთვის; 2) თუ აღმოჩნდებოდა საყალბე ისეთ აქტში, ან – მოწმის სიცრუე ისეთ ჩვენებაში, რომელზეც დამყარებული იყო დადგენილება; 3) თუ საქმეში მონაწილე პირის ან მისი წარმომადგენლის ბოროტმოქმედება ან სამსახურეობრივი დანაშაული გამოვლინდებოდა; 4) თუ დაწესებულების ან მოხელის განკარგულება სათანადო წესით უკანონოდ იქნებოდა ცნობილი ან გაუქმებული და ამ გაუქმებას შეეძლო გავლენის მოხდენა გამოტანილ დადგენილებაზე. დადგენილების გადასინჯვის შესახებ თხოვნა და წარდგენილება უნდა შეეტანათ ასეთი ფაქტების აღმოჩენიდან ოთხი თვის განმავლობაში (მუხლი 51).

მინისტრის მოქმედებაზე საჩივარი უნდა შეტანილიყო სენატში იმ ვადისა და წესის დაცვით, რომელიც აღნიშნული იყო საადმინისტრაციო სასამართლოს დებულების მეთვრამეტე მუხლში (მუხლი 53) (შარაშენიძე 1990).

როგორც ვხედავთ, საქართველოს მთავრობისა და დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულმა სენატის დებულებამ უზენაესი სასამართლოს ეს ორგანო აქცია მართლმსჯულების დაცვის ქვაკუთხედად საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

სენატის წევრთა არჩევნები.

1919 წლის 7 ოქტომბერს შედგა საქართველოს დამფუძნებელი კრების მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე ექვთიმე თაყაიშვილი და მდივნობდა დამფუძნებელი კრების მდივნის მოადგილე ქრისტინე შარაშიძე. დღის წესრიგში განსახილველ საკითხთა შორის იყო სენატის თავმჯდომარისა და წევრების არჩევა და მათი სახელფასო ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება.

აღნიშნულ საკითხზე მომხსენებლად გამოვიდა სოციალდემოკრატიული ფრაქციის წევრი სერგეი ჯაფარიძე, რომელმაც განაცხადა, რომ დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულმა სარეკომენდაციო კომისიამ, რომელსაც დავალებული ქონდა სენატორთა კანდიდატების დასახელება, ბევრი ღირსეულიდან კარგი კანდიდატი ვერ შეიყვანა ამ სიაში, რადგან ჯამაგირების სიმცირის გამო ისინი მატერიალურად უზრუნველყოფილი ვერ იქნებოდნენ. საგანგებო კომისიამ განიხილა ეს საკითხი და დაასკვნა, რომ ჯამაგირი მოემატებინათ არამარტო სენატორებისათვის არამედ მთელი სასამართლოსათვის, ვინაიდან ეს აუცილებელი იყო სასამართლოს სწორ ნიადაგზე დაყენებისათვის. სტენოგრაფიული ანგარიშის მიხედვით, სარეკომენდაციო კომისიამ მსჯელობის შემდეგ გადაწყვიტა, რომ ხელფასები გადანაწილებულიყო შემდეგნაირად: „1. სენატის თავმჯდომარე 9 000 მან.; 2. თავმჯდომარის ამხანაგი 8 000 მან.; 3. სენატორს 7 500 მან. 4. პროკურორის ამხანაგს – 7 000 მან" (*საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიში* 1919).

საინტერესოა დამფუძნებელი კრების წევრების მსჯელობა სენატორთა კანდიდატებისა და არჩევნების შესახებ. სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ამ პროცესის ჩანაწერი მოგვყავს უცვლელად:

ს. ჯაფარიძე: სარეკომენდაციო კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა სენატორთა კანდიდატების დასახელება უდგენს დამფუძნებელ კრებას სიას. კომისიამ მიზანშეწონილად დაინახა არჩევნები მოხდეს დეპარტამენტებათ თუ ვინ, რომელ დეპარტამენტში იქნება. სია ჩვენი ასეთია: (კითხულობს)

თავმჯდომარე: ეს გახლავთ სია წარმოდგენილი სარეკომენდაციო კომისიის მიერ. არჩევნები უნდა მოხდეს დღეს. ვის სურს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის ბ. მესხიშვილს.

შალვა მესხიშვილი (ს.ფ): ამ არჩევნების შესახებ ლაპარაკი არ მინდა, არც იმ წესის შესახებ, რომლითაც ეგ არჩევნები უნდა მოხდეს. მე სოციალფედერალისტთა ფრაქციის დადგენილებით, მაქვს პატივი, მოგახსენოთ, რომ ჩვენთვის კანდიდატების სია აქ წარმოდგენილი, საერთოდ მისაღებია, მაგრამ ზოგიერთი ჩვენში ცნობილი ფრიად მომზადებული და სენატისათვის სასარგებლო პირი ამ სიაში არ მოხდა. ამის გამო სოციალ-ფედერალისტთა ფრაქცია გამოსთქვამს თავის მწუხარებას. (ნინიძე ადგილიდან: ფედერალისტების ლოღიკა!)

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის გ. გვაზავას.

გიორგი გვაზავა (ერ.დემ.): რასაკვირველია, საქართველოში ბევრია ისეთი პირი, რომელიც სენატისათვის სასარგებლო იქნებოდა. ეს პირები ვერ შედიან სენატში. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, განვაცხადოთ ეს.

თავმჯდომარე: ბ. არსენიძე.

რაფსენ არსენიძე (ს.დ.): სოციალდემოკრატიული ფრაქცია სავსებით მხარს უჭერს წარმოდგენილ სიას. მართალია, ბევრია მომზადებული პირი, მაგრამ მათ აქვთ დიდი საქმეები და იქ არიან საჭირონი. ერთი კი გეწამს დღეს: ასარჩევი პირები უსათუოდ გაამართლებენ ჩვენ იმედებს, რომელნიც მათზე გვაქვს დამყარებული.

თავმჯდომარე: როგორ ინებებთ კენჭის ყრას, უყაროთ მთელ სიას თუ ცალცალკე?

ჯაფარიძე: დროს შესამოკლებლად თვითეულმა წევრმა წარმოადგინოს თავისი სია. თავმჯდომარე სენატისა, მისი ამხანაგი და ცამეტი წევრი სენატისა.

თავმჯდომარე: ვინაიდან სხვა სია არ არის, კენჭს უყრის კომისიის მიერ წარმოდგენილ სიას. ვინ არის მომხრე, რომ ეს სია მიღებულ იქნას? (გვაზავა ადგილიდან: როგორ თუ მიღებული! კენჭი უნდა ეყაროს!)

კენჭის ყრისათვის დარიგებულია დაბეჭდილი სიები. თვითოეულ წევრს შეუძლია აღნიშნოს თვითოეული წევრი. ამრიგად თვითოეული ჩვენგანი ირჩევს, ვინც მას სურს და ამავე დროს დაცული იქნება ფარული კენჭის ყრის წესი. (ხდება ფარული კენჭის ყრა, ბარათების დასათვლელად არჩეული არიან ნიკო ნიკოლაძე, ნიკ. ელიავა და სამსონ ფირცხალავა, რომელნიც მდივანთან ერთად ითვლიან ხმებს)

თავმჯდომარე: (ზარი) არჩევნების შედეგი ასეთია: სულ იყო 59 ბარათი. ამათში ერთი გაუქმებულია, ვინაიდან ზედ სახელი და გვარი იყო მოწერილი, ხოლო არჩევნები კი ფარული იყო. მაშასადამე დარჩა 58. ორმა თავი შეიკავა. პრეზიდიუმს მონაწილეობა არ მიუღია. ვინაიდან მხოლოდ ეს ერთი სიაა ოფიციალური და სხვა სია არ წარმოუდგენია, თუმცა ზოგს დასახელებული ჰყავს სხვადასხვა პირები, ხმები ასე არის განაწილებული: (კითხულობს)

სენატის თავმჯდომარედ არჩეულია ნაფიცი ვექილი დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი (ხმა:ახ!)

სენატის თავმჯდომარის ამხანაგად ივანე მიხეილის ძე ნაკაშიძე (ხმა: ახ!)

სენატორებად სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში ნაფიცი ვექილი ივანე ივანეს ძე ზურაბიშვილი (53), ნაფიცი ვექილი ვასილ ალექსანდრესძე ომიდოვი (54), სამართლის პალატის წევრი სოლომონ გიორგის ძე მიქელაძე (55), ნაფიცი ვექილი ლევან გიორგის ძე ასათიანი (43), ნაფიცი ვექილი გიორგი ისიდორეს ძე მდინარაძე (56).

სამოქალაქო დეპარტამენტის ადმინისტრაციულ განყოფილებაში ქუთაისის ქალაქის თავი იურისტი დიმიტრი ილარიონისძე კალანდარიშვილი (51), იუსტიციის მინისტრის ყოფილი ამხანაგი გრიგოლ ივანესძე გველესიანი (54), ნაფიცი ვექილი მიწათმოქმედების სამინისტროს იურისტ კონსული ვლადიმერ ნესტორისძე ქუთათელაძე (42)

სისლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტში 1. იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ნიკოლოზ მოსეს ძე ქიქოძე (56), 2. ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრი მიხეილ ლევანისძე ქორქაშვილი, 3.ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი ნიკოლოზ გიორგის ძე მაჭავარიანი, 4. სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე იოსებ ნიკოლოზის ძე როინიშვილი (54), 5. სოხუმის საგენგებო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი დიმიტრის ძე სიდამონ ერისთავი (55).
ამნაირად, ზემოთ ხსენებული კანდიდატები არჩეული არიან სენატორებად (ტაში)" *(საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიში* 1919).

საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ სენატის წევრთა არჩევნები, როგორც ზემოთ მოყვანილი სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ჩანს, დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით წარიმართა და სენატორებად არჩეულ იქნა მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტები, რომლებსაც გააჩნდათ თავიანთ სფეროში მოღვაწეობის ხანგრძლივი გამოცდილება და დიდი ავტორიტეტი. დამფუძნებელი კრების წევრები მოტივირებული იყვნენ იმისათვის, რათა სენატი დაკომპლექტებული ყოფილიყო განათლებული კადრებით და ყველა ზომას იღებდნენ ამისათვის.

სენატისა და სრულიად ქართული სასამართლოს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის ნათელი დადასტურებაა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 17 აპრილს მიღებული დადგენილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს დამფუძნებელი კრების სახელზე შემოსული თხოვნები და შუამდგომლობანი, რომლებიც სასამართლოს განაჩენის შეცვლას შეეხებოდა, დამუძნებელი კრების მიერ უარყოფილი იქნა (*კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული* 1919 №6).

ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ქართული სასამართლო სრულიად განთავისუფლებული იყო პარტიული თუ პოლიტიკური კონიუქტურისაგან და სრულიად დამოუკიდებელ სახელისუფლებო შტოს წარმოადგენდა.

სენატის პირადი შემადგენლობა.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივის 1837 ფონდში დაცული დოკუმენტები შეეხება საქართველოს სენატს. აღნიშნულ ფონდში მოვიპოვეთ საქმე №1127, რომელშიც შესულია საქართველოს სენატის პირადი შემადგენლობის სია. ამ დოკუმენტის წყალობით, ვეცნობით სენატში მომუშავე ყველა პიროვნებას, ვიგებთ მათ თანამდებობებს და უფლებამოვალეობის აღსრულების დაწყების ზუსტ თარიღს. ეს დოკუმენტი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა, გთავაზობთ მას:

1. ხელთუფლიშვილი დავით ბესარიონის ძე სენატის თავმჯდომარე 1919წ. 7/X 2. ჯაფარიძე ივანე მიხეილის ძე თავმჯდომარის ამხანაგი 1919წ. 7/X 3. მიქელაძე სოლომონ გიორგის ძე სენატორი 1919წ. 7/X 4. დემიდოვი ვასილ ალექსანდრეს ძე სენატორი 1919წ. 7/X 5. ასათიანი ლევან გიორგის ძე სენატორი 1919წ. 7/ X 6. გველესიანი გრიგოლ ივანეს ძე სენატორი 1919წ. 7/X 7. კალანდარიშვილი დიმიტრი ილარიონის ძე სენატორი 1919წ. 7/X 8. როინიშვილი იოსებ ნიკოლოზის ძე სენატორი 1919წ. 7/X 9. მაჭავარიანი ნიკოლოზ გიორგის ძე სენატორი 1919წ. 7/X 10. ქორქაშვილი მიხეილ ლევანის ძე სენატორი 1919წ. 7/X 11. ხარაზიშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე სენატორი 1919 წ. 13/XII.

სენატის კანცელარია და კანცელარიასთან არსებული თანამდებობის პირნი: 1. აფხაზი ივანე დიმიტრის ძე მდივანი 1919 წ. 15/X; 2. გამრეკელი ევგენი ალექსანდრეს ძე მდივანი 1919 15/X; 3. კობახიძე ნიკოლოზ იოთამის ძე მდივნის თანაშემწე 1919წ. 15/X; 4. ჯანანია გრიგოლ გიორგის ძე მოხელე 1919 წ. 15/X; 5. თარხან—მოურავისა, მარიამ დავითის ასეული მოხელე 1919წ. 18/X; 6. ადამია ნინო გიორგის ასული მოხელე 1919წ. 18/X; 7. მეტრეველი თამარ დიმიტრის ასული მოხელე 1919 წ. 18/X; 8. დვალიშვილი ნიკოლოზ ალექსის ძე ბოქოული 1919წ. 20/X; 9. ჯავახიშვილი ივანე გრიგოლის ძე ბოქოული 1919წ.20/X; 10. აბაშიძე კონსტანტინე ილიას ძე მდივნის თანაშემწე 1919წ. 1/XI; 11. კორძაია პარასკევა ბეგლარის ასული მოხელე 1919წ. 11/XI; 12. გიორგაძე პავლე გიორგის ძე მდივნის თანაშემწე 1919წ. 15/XI; 13. ელისაშვილი ნინო ილარიონის ასული მოხელე 1919 21/XI; 14. მიქელაძე ელისაბედ სოლომონის ასული მოხელე 1920 წ. 5/I; 15. ბობოხიძე ლიუბოვ არტემის ასული მოხელე 1920წ. 9/II; 16. გომელაური ნინო ილიას ასული არქივარიუსი 1920წ. 7/V; 17. გომელაური თამარ გიორგის ასული მოხელე 1920წ. 17/V; 18. სვანიძე ლიდია მალაქიას ასული მოხელე 1920წ. 24/VII; 19. გრიგოლია ლიდია პავლეს ასული მოხელე 1920წ. 9/IX; 20. ლომოური ნინო ნიკოლოზის ასული მდივნის თანაშემწე 1920წ. 15/XI; 21. კოხრეიძე სევერიან ივლიანეს ძე იასაული 1920წ. 15/XI; 22. კიკვაძე კალისტრატ იასონის ძე მდივნის თანაშემწე 1920წ. 1/XII; 23. ჩივაძე ალექსანდრე კონსტანტინეს ძე მოხელე 1920წ. 21/XII.

საკოდიფიკაციო განყოფილება: 1. ყარანგოზიშვილი ვიქტორ ალექსანდრეს ძე გამგის თანამდებობის დროებით აღმსრულებელი 1919წ. 22/X; 2. აბესაძე ნიკოლოზ ივლიანეს ძე საქმის მწარმოებელი 1919წ. 11/XI; 3. სიდამონერისთავი, გიორგი იოსების ძე საქმის მწარმოებლის თანაშემწე 1919წ. 22/X; 4. ბარათაშვილი დავით ნიკოლოზის ძე უფროსი კორექტორი 1919წ. 22/X; 5. სიხარულიძე არტემ ანტონის ძე უმცროსი კორექტორი 1919წ. 22/X; 6. არჯევანიძე თამარ ანტონის ასული მანქანაზე გადამწერი 1919წ. 22/X; 7. ცაგურია თამარ ბესარიონის ასული ექსპედიტორი 1920წ. 25/II; 8. ფალავანდიშვილი თამარ ალექსანდრეს ასული უფროსი კორექტორის თანამდებობის დროებით აღმსრულებელი 1920 წ. 21/V.

შიკრიკები: 1. პეტროვი ვიქტორ პეტრეს ძე 1919წ. 1/XII; 2. სოკოლოვსკი იოსებ გრიგოლის ძე 1919წ. 1/XII; 3. ნაცვლიშვილი შალვა გიორგის ძე 1920წ. 1/XI" (არქივი, ფ.1837, აღ.1, ს.1127, ფურც. 7-13).

საქართველოს სენატის შტატების აღწერილობა საშუალებას გვაძლევს, გავეცნოთ მასში მომუშავე პირების და თანამდებობების რაოდენობას. ასევე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გენდერული კუთხით სენატში არსებული მდგომარეობის შესახებ, რადგან, როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, სენატის თანამშრომელთა საკმაოდ დიდ პროცენტს ქალები შეადგენდნენ, რაც ქალთა უფლებების დაცვის კუთხით წინგადადგმული ნაბიჯი იყო და იმდროინდელ მსოფლიოში, სასამართლო სისტემაში ქალების ჩართულობის მხრივ, ერთ-ერთ გამორჩეულ მაგალითს წარმოადგენს. საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში შემონახულია სენატის თავმჯდომარის დავით ხელთუფლიშვილის პირადი საქმეც, რომელსაც ეწოდება *ნამსახურობის აღნუსხვა საქართველოს სენატის თავმჯდომარის დავით ბესარიონის ძის ხელთუფლიშვილის სამსახურის შესახებ* (არქივი, ფ.1837, აღ.1, ს.1241, ფურც. 1).

ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი იყო ეროვნებით ქართველი და სარწმუნოებით მართლმადიდებელი ქრისტიანი. 1919 წლის 7 ოქტომბერს იგი არჩეულ იქნა სენატის თავმჯდომარედ დამფუძნებელი კრების მიერ, ხოლო უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა 10 ოქტომბრიდან. 23 ოქტომბერს საქართველოს სენატის საკასაციო დეპარტამენტის საზოგადო კრების პირველ საჯარო სხდომაზე მან დადო სენატორის საჯარო აღთქმა, რომლის ტექსტსაც გთავაზობთ ქვემოთ:

> საჯაროდ აღვსთქვამ, ვიყო ერთგული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ვასრულო მტკიცეთ რესპუბლიკის ყველა კანონები, თვალყური ვადევნო კანონის დაცვას და სისწორით ასრულებას მთავრობის ყველა დაწესებულების და თანამდებობის პირის მიერ, თვით ვქმნა სამართალი წმინდა სინდისისამებრ მიუდგომლათ და პირუთვნელათ და ავასრულო მტკიცეთ ყოველივე ჩემ მიერ ნაკისრი მოვალეობა, მახსოვს რა, რომ ამაში პასუხი უნდა ვაგო კანონის და ჩემი სინდისის წინაშე (არქივი, ფ.1837, აღ.1, ს. 1241, ფურც. 2).

საჯარო აღთქმის (ფიცის) ზემოთ მოყვანილი ტექსტი საერთო იყო ყველა სენატორისათვის და მათ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელების საშუალება ეძლეოდათ მას შემდეგ, რაც საჯაროდ წარმოსთქვამდნენ სენატის სხდომაზე ამ ფიცს. ფიცის მიღების შემდეგ სენატორები იღებდნენ მოწმობას, რომელშიც აღნიშნული იყო მათი თანამდებობა. ამ მოწმობების შინაარსი შემდეგი სახის იყო: „ესე ეძლევა დავით ბესარიონის ძეს ხელთუფლიშვილს მას შინა, რომ იგი არის საქართველოს რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარე, რასაც ხელის მოწერითა და ბეჭდის დასმით ვამოწმებთ" (არქივი, ფ.1837, აღ. 1, ს. 1241, ფურც. 3)

ამ მოწმობებს ხელს აწერდნენ საქართველოს სენატის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე.

დავით ხელთუფლიშვილის პირადი საქმე შეიძლება გამოვიყენოთ იმის მაგალითად თუ როგორი წესით ხდებოდა სენატორთა პირადი საქმის შევსება. ასევე მნიშვნელოვანია მის პირად საქმეში მოყვანილი სენატორის ფიცის ტექსტი, რომელიც პირველად ქვეყნდება ჩვენ მიერ და საინტერესო წყაროს წარმოადგენს ამ მიმართულებით საკითხის კვლევისას.

სენატის საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრება.

საქართველოს სენატის საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრება წარმოადგენდა იმ სასამართლო სტრუქტურულ რგოლს, რომელზეც სენატის ყველა დეპარტამენტის წარმომადგენელი სენატორები იკრიბებოდნენ და წყვეტდნენ სასამართლო სისტემაში წამოჭრილ ამა თუ იმ პრობლემას სხვადასხვა ძირეული საკითხების შესახებ. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

1919 წლის 31 ოქტომბერს სენატის საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრებაზე დაისვა საკითხი, თუ რა ენაზე უნდა ეწარმოებინათ სენატში საქმეები, რომლებიც წინა სასამართლო ინსტანციებში მიმდინარეობდა რუსულ ენაზე.

აღნიშნულ სხდომას ესწრებოდნენ სენატის თავმჯდომარე დ. ხელთუფლიშვილი, თავმჯდომარის თანაშემწე ი. ჯაფარიძე, სენატორები: ი. ზურაბიშვილი, ს. მიქელაძე, ვ. დემიდოვი, ლ. ასათიანი, ვ. ქუთათელაძე, დ. კალანდარიშვილი, გ. გველესიანი, მ. ქორქაშვილი, ი. როინიშვილი, გ. ერისთავი; პროკურორები: მ. მღვდლისშვილი და გ. გელაზარიშვილი; მდივანი მ. შანიძე (არქივი, ფ. 1837, აღ.1, ს.5).

როგორც საქართველოს სენატის ჟურნალიდან ირკვევა, სხდომამ ამ საკითხზე გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება: „იმ საქმეებზე, რომლებიც თავიდან ნაწარმოები არიან რუსულ ენაზე, საქმის მოხსენება და კამათი სენატში იქმნას იმავე ენაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სენატის თავმჯდომარე, საქმეში მონაწილე პირთა თანხმობით, შესაძლოთ მიიჩნევს, რომ საქმე მოხსენებულ იქნას ქართულად. ყოველ შემთხვევაში, თვით სენატის რეზოლუცია და განჩინება დაწერილ უნდა იქნას ქართულად. თუ სენატის გადაწყვეტილებით სასამართლო პალატის განჩინება გაუქმებულ იქნა, სენატის ბრძანება უნდა გაეგზავნოს პალატის მომხსენებლის მიერ შემოწმებული თარგმანით" (არქივი, ფ.1837, აღ.1, ს. 5, ფურც. 3).

სენატის დეპარტამენტთა საზოგადო კრების განხილული საქმეებიდან ჩვენ მიერ მოყვანილი მეორე მაგალითი ეხება საქმის ქვემდებარეობის საკითხს. საქმეს, რომელიც ინახება საქართველოს ცენტრალურ საისტორიო სახელმწიფო არქივში, ეწოდება:

> სენატის თავმჯდომარის მიერ განმარტებულად წარმოდგენილი საკითხი რომელ სასამართლოს ოლქის სასამართლოს, თუ მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობას უნდა ექვემდებარებოდეს საჩივრები მომრიგებელ მოსამართლეთა გადაწყვეტილებაზე და დადგენილებაზე სამეურვეო საქმეების შესახებ და რომლის განმარტებაა საჭირო სასამართლოთა სახელმძღვანელოდ (არქივი, ფ.1837, აღ.1, ს. 1107, ფურც. 1).

მითითებული სხდომა გაიმართა 1920 წლის 8 ივნისს. სხდომას ესწრებოდნენ სენატის თავმჯდომარე დ. ხელთუფლიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგი ი. ჯაფარიძე და სენატორები: ს. მიქელაძე, ვ. დემიდოვი, გ. გველესიანი, მ. ქორქაშვილი, ნ. მაჭავარიანი, გ. მაღნაძე, დ. კალანდარიშვილი, ლ. ასათიანი, ვ. ქუთათელაძე, გ. ხარაზიშვილი; პროკურორები: მ. მღვდლისშვილი, ა. გელაზარიშვილი და მდივანი მ. შანიძე.

ზემოთ ჩამოთვლილმა სენატორებმა განიხილეს ეს დავა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ გამოტანილი განაჩენები სამეურვეო საქმეებზე უნდა გასაჩივრებულიყო არა მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაზე, არამედ საოლქო სასამართლოზე (არქივი, ფ.1837, აღ.1, ს. 1107).

საქართველოს სენატის დეპარტამენტთა საზოგადო კრების სხდომებზე განხილულ საკითხთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო ასევე შემდეგი საქმე: „ეკუთვნის თუ არა საქართველოს სენატის დეპარტამენტთა შეერთებულ საკრებულოს მეთვალყურეობა პროკურორის პირთა მოქმედებაზე და უფლება მათი მოღვაწეობის რევიზიის დანიშვნისა" (არქივი, ფ.1837, აღ.1, ს.1117. ფურც. 1).

ამ საკითხის განსახილველად სენატის დეპარტამენტთა საზოგადო კრების სხდომა გაიმართა 1920 წლის 21 დეკემბერს. სხდომას ესწრებოდა 10 სენატორი, სენატის ორი პროკურორი და ერთი მდივანი. სხდომაზე მოხსენება წაიკითხა სენატორმა მ. ქორქაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს სენატის დებულების მიხედვით, სენატის საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებულ საკრებულოს ექვემდებარება ყველა სასამართლო დაწესებულებისა მეთვალყურეობა და სასამართლო უწყების ყველა თანამდებობის პირთა, მათ შორის პროკურორთა, მოღვაწეობის რევიზიის დანიშვნა (არქივი, ფ.1837, აღ.1, ს.1117)

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლო ხელისუფლებაში სენატის საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრება წარმოადგენდა ქართული სასამართლო სისტემის ზედამხედველობისა და უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოს.

სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტი.

საქართველოს რესპუბლიკის სენატის დებულების თანახმად, უზენაესი სასამართლო შედგებოდა ორი დეპარტამენტისაგან: სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის დეპარტამენტებისგან. იმისათვის რომ გავიგოთ, თუ როგორ მუშაობდნენ სენატის ზემოთ აღნიშნული დეპარტამენტები, საჭიროა, თვალი გადავავლოთ იმ საარქივო დოკუმენტებს, რომლებშიც აღწერილია მათი საქმიანობა, სხდომის ოქმები და გამოტანილი გადაწყვეტილებები.

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში განხილული მრავალი საქმიდან თვალსაჩინოებისათვის ჩვენ მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითს, რომლიდანაც ცხადად ჩანს, რომ აღნიშნული დეპარტამენტი ქვედა საფეხურის სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომების აღმოფხვრას ემსახურებოდა. ამ დეპარტამენტის სენატორების მაღალი კვალიფიკაციის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ისინი თავიანთ რეზოლუციებში თითოეულ საკასაციო საჩივარს სწყვეტდნენ სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების თანახმად და დაბალი რგოლის სასამართლო სტრუქტურებს, არასწორი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, საქმეს ხელახალი განხილვისათვის შესაბამისი მითითებებით უბრუნებდნენ. საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ 1837-ე ფონდში დაცული ამ კონკრეტული საქმის სახელწოდებაა:

> საკასაციო საჩივარი ტფილისის საზოგადოების სასოფლოსამეურნეო კრედიტისა ტფილისის სასამართლო პალატის 1919 წლის აგვისტოს 26 დადგენილ გადაწყვეტილებაზე „ბასილი, სერაფიონ და დიანოზ ბეჟანის ძეები ჩაჩიბაიები და კომპანია" სავაჭრო სახლის კასატორთან 7 364 მანეთის თაობაზე სარჩელის შესახებ (არქივი, ფ.1837, აღ.1, ს.131, ფურც. 1).

აღნიშნული საკასაციო საჩივარი სენატის სამოქალაქო დეპარტამენტში შევიდა 1919 წლის 25 დეკემბერს. საქმის განხილვა მოხდა 1919 წლის 20 თებერვალს. სხდომას თავმჯდომარეობდა სენატორი ს. მიქელაძე; ესწრებოდნენ სენატორები ი.ზურაბიშვილი და ლ.ასათიანი, ასევე პროკურორის ამხანაგი პ. კიზირია და მდივნის თანაშემწე ვ. ცაგურია. სხდომაზე გამოცხადდნენ სავაჭრო სახლის *ჩაჩიბაიების* და *კომპანია*

რწმუნებული, ნაფიცი ვექილი ა. ანდრონიკაშვილი და თბილისის საზოგადოება *სასოფლო-სამეურნეო კრედიტის* რწმუნებული, ნაფიცი ვექილი გ. გორდეზიანი (არქივი, ფ.1837, აღ. 1, ს.131).

ნაფიცი ვექილი გორდეზიანი ითხოვდა თბილისის სასამართლო პალატის გადაწყვეტილების გაუქმებას, რასაც ეთანხმებოდა სენატის პროკურორიც. სენატმა, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ თბილისის სასამართლო პალატამ უარყო მეორე მხარის მოთხოვნა მოწმეების დაკითხვისა და ექსპერტიზის ჩატარების შესახებ და განიხილა მხოლოდ ერთი მხარის მიერ წარმოდგენილი საბუთები, შესაბამისად, იყო ცალმხრივი და დაარღვია სწორუფლებიანობის პრინციპი, გამოიტანა რეზოლუცია, რომლის ძალითაც გააუქმა მისი გადაწყვეტილება და დაუბრუნა ხელახალი განხილვისათვის სხვა შემადგენლობაში. თანაც სენატორებმა მიუთითეს თბილისის სასამართლო პალატას სამოქალაქო სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლებიც დაცული უნდა ყოფილიყო საქმის ობიექტურად გამოძიებისათვის (არქივი, ფ.1837, აღ.1, ს.131).

ჩვენ მიერ მოყვანილი საქმე მაგალითია იმისა, რომ სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტი ზრუნავდა საქართველოს სასამართლო სისტემაში კომპეტენტურობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვაზე, რაც განაპირობებდა სენატისადმი, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოსადმი, ნდობის მაღალ ხარისხს და სწორედ ეს სასამართლო ორგანო ნებისმიერ სააქციონერო საზოგადოებას, საკრედიტო კომპანიასა თუ კონკრეტულ მოქალაქეებს ამა თუ იმ სამოქალაქო დავის შემთხვევაში სამართლის აღსრულების გარანტად ესახებოდა.

სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილება.

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტაციო განყოფილება წარმოადგენდა ისეთ ორგანოს, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ საკონსტიტუციო სასამართლოს ჩანასახი. ეს განყოფილება უზრუნველყოფდა საქართველოს სენატის დებულების 34-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოვალეობების აღსრულებას.[2]

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების მუშაობის თვალსაჩინოებისათვის ნაშრომში მოვიყვანთ ამავე განყოფილების განხილული საქმეების ნაწილს, რათა ცხადი გახდეს მისი მუშაობის პროცესი სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და კომპეტენტურობის განსაზღვრის კუთხით.

1920 წლის 28 აპრილს საქართველოს სენატის საადმინისტრაციო განყოფილებაში შევიდა მეტეხის ციხის პატიმართა განცხადება, რომლებიც ითხოვდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის იმ განკარგულების გაუქმებას, რომლის მიხედვითაც დააპატიმრეს ისინი. ეს საკითხი განიხილა საადმინისტრაციო განყოფილებამ და შინაგან საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა წერილი, რათა სასწრაფოდ გადმოეგზავნათ სენატისათვის მინისტრის ის განკარგულება, რომლის საფუძველზეც მოხდა მომჩივანი პირების დაკავება. სენატმა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიისგან მიიღო მინისტრის აღნიშნული განკარგულების ასლი, რომელშიც ეწერა:

> მე, შინაგან საქმეთა მინისტრმა, მივიღე მხედველობაში, რომ ისააკ ჟვანია, ალექსანდრე მგელაძე და ერმილე დამენია არიან ნამდვილი წევრნი საზოგადოებისა, რომელთაც მიზნათ აქვს დასახული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოსპობა, რაც გამოირკვა კვლევაძიებით, თანახმად 1919 წლის 21 ნოემბრის დეკრეტისა, დავადგინე: აღნიშნულნი პირნი დატუსაღებულ იქნენ ერთი წლით დღიდან შეპყრობისა (არქივი, ფ.1837, აღ.1, ს.555, ფურც. 6).

საადმინისტრაციო განყოფილებამ მიღებული საჩივრისა, მინისტრის განკარგულებისა და მის ხელთ არსებული მასალებიდან გამომდინარე, გამოიტანა გადაწყვეტილება მინისტრის ამ განკარგულების გაუქმების შესახებ, გადაუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნული დადგენილება და მოითხოვა პასუხი, სასწრაფოდ ეცნობებინათ სენატისათვის, განთავისუფლდნენ, თუ არა ეს პირები საპატიმროდან.

შინაგან საქმეთა სამინისტროდან სენატმა მიიღო ტელეფონოგრამა, რომელშიც სენატს ატყობინებდნენ, რომ აღნიშნული პირები განთავისუფლებულნი იყვნენ მეტეხის ციხიდან ამინისტიის საფუძველზე (არქივი, ფ.1837, აღ.1, ს.555).

ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ საქართველოს რესპუბლიკის სენატი იყო მიუკერძოებელი ორგანო და სახელმწიფოს მის გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების არანაირი ბერკეტი გააჩნდა. ხაზგასასმელია ისიც, რომ ეს ფაქტი მინისტრის განკარგულების გაუქმების ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა. ამის დასადასტურებლად კიდევ არაერთი საქმე შეიძლება მოვიყვანოთ, თუნდაც ძმები ჯაფარიძეების საჩივარი შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაზე რაჭის მაზრიდან მათი გაძევების შესახებ.

სენატის საადმინისტრაციო განყოფილებაში შეტანილი ძმები ჯაფარიძეების საკასაციო საჩივრიდან ირკვევა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 1919 წლის 5 მარტის განკარგულების თანახმად, ძმები ჯაფარიძეები ხალხის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის გადაასახლეს რაჭის მაზრიდან. გადასახლებულებმა მოახერხეს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიასთან შეხვედრა, რომელსაც აუხსნეს თავიანთი გაჭირვება და

განუცხადეს, რომ არასოდეს არ მიუღიათ მონაწილეობა ხალხის საწინააღმდეგო ქმედებაში და არ იცოდნენ, თუ რა ბრალდებაზე იყო საუბარი. ნოე ჟორდანიამ ძმებს მისცა სპეციალური წერილობითი ნებართვა, რომლის ძალითაც მათ მიეცათ რაჭაში დაბრუნების საშუალება (არქივი, ფ.1837, აღ.1, ს.514).

რაჭაში დაბრუნებულ ძმებს ნოე ჟორდანიას მიერ გაცემული ნებართვა ჩამოართვა რაჭის მაზრის ერობამ და ისინი კვლავ გაასახლეს იგივე ბრალდებით. ამის შემდეგ ძმებმა საკასაციო საჩივარი შეიტანეს სენატში და დეტალურად აღწერეს თავიანთი მდგომარეობა. სენატმა განიხილა აღნიშნული საჩივარი, გააუქმა შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულება, რის შემდეგაც ძმებმა ჯაფარიძეებმა მოახერხეს რაჭაში დაბრუნება (არქივი, ფ.1837, აღ.1, ს.514).

შინაგან საქმეთა მინისტრი არ იყო მთავრობის ერთადერთი წარმომადგენელი, რომლის უკანონო გადაწყვეტილებაც გაუქმებულ იქნა სენატის მიერ. სენატი დეტალურად სწავლობდა ცენტრალური სახელისუფლებო ორგანოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს და თვალყურს ადევნებდა მათ კანონიერ აღსრულებას.

სენატის საადმინისტრაციო განყოფილების საარქივო მასალებში ასევე არაერთი საქმე გვხვდება, რომლებიც შეეხება ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებებს ან მათ მიერ შემოტანილ საკასაციო საჩივრებს, რომლებიც კანონის სრული დაცვით იქნა განხილული. მათზე გამოტანილი იქნა სამართლიანი გადაწყვეტილებები.

ერთ-ერთ ასეთ საქმეს წარმოადგენს თბილისის ქალაქის გამგებლის რწმუნებულის ნაფიცი ვექილის ი. ამირხანოვის საჩივარი თბილისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულ იქნა ქ. თბილისის გამგეობის 1918 წლის 14 თებერვლის დადგენილება. ქალაქის გამგეობის ეს გადაწყვეტილება შეეხებოდა სერგეი სემიონოვის როზოვის ბინიდან გაძევებას. ამ საქმეზე სენატის პროკურორმა მ. მღვდლისშვილმა 1919 წლის 3 დეკემბრის სამოქალაქო საკასაციო საადმინისტრაციო სხდომაზე გააკეთა შემდეგი მოხსენება:

> ქალაქის გამგებას, რომელმაც რეკვიზიციის წესით 1917 წლის 29 დეკემბერს მომჩივანი სემიონოვი მოათავსა როზოვის ბინაზე, 1917 წლის 18 დეკემბრის თბილისის საბჭოს დადგენილების თანახმად, ჰქონდა უფლება, სემიონოვი გამოეყვანა როზოვის ბინიდან და მოეთავსებინა სხვაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ როზოვის ოჯახური შემადგენლობისათვის საჭირო იქნებოდა ის ოთახი, რომელშიც სემიონოვი ცხოვრობდა. თუმცა საქმიდან არ ჩანს, რომ ასეთი გარემოება იყო სემიონოვის გაძევების მიზეზი. როგორც ქალაქის გამგეობის რწმუნებულის ნაფიცი ვექილის ი. ამირხანოვის ახსნა-განმარტებიდან ჩანს, გაძევების მიზეზი იყო დავა და უთანხმოება სემიონოვსა და როზოვს შორის. შესაბამისად, სემიონოვის გაძევება ბინიდან უნდა მომხდარიყო მხოლოდდამხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, თბილისის გამგეობას არ ქონდა უფლებამოსილება სემიონოვის გამოძევებისა როზოვის ბინიდან. გამგეობის ეს ქმედება არ არის კანონიერი და ის გაუქმებულ უნდა იქნეს (არქივი, ფ.1837, აღ.1, ს.38, ფურც. 3).

მოყვანილი საქმიდან ჩანს, რომ სენატის საადმინისტრაციო განყოფილებამ პროკურორის დასკვნა გაითვალისწინა და არ დააკმაყოფილა თბილისის გამგეობის საკასაციო საჩივარი.

1919 წლის 3 დეკემბერსვე სენატის სამოქალაქო საკასაციო საადმინისტრაციო განყოფილების სხდომაზე განხილულ იქნა ქალაქ თბილისის გამგეობის იმავე რწმუნებულის, ნაფიცი ვექილის ამირხანოვის მეორე საკასაციო საჩივარი თბილისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის პირველი თებერვლის გადაწყვეტილებაზე, რომლის ძალითაც, გაუქმებულ იქნა ქალაქ თბილისის გამგეობის დადგენილება ბოგდან სერგის ძე ერიციანის სახლის რეკვიზიციის შესახებ. აღნიშნულმა სხდომამ მიიღო რა მხედველობაში მხარეების ახსნაგანმარტება და პროკურორის დასკვნა, გამოიტანა თბილისის გამგეობის გამმამართლებელი რეზოლუცია შემდეგი მიზეზის გათვალისწინებით: ერიციანის სახლი ჩამორთმეული იქნა რეკვიზიციის წესით ამიერკავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსათვის. კინემატოგრაფია, რომელიც ამ სახლში განათავსეს, უშუალო ომის მიზნებს არ შეესაბამებოდა, მაგრამ ის არა მარტო გასართობი საშუალება იყო, არამედ ჯარის კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებსაც ემსახურებოდა და შეადგენდა ფრონტის ზურგისათვის აუცილებელ საგანს, იმ ზურგისთვის, რომელსაც არანაკლებ მნიშვნელობა ჰქონდა თანამედროვე ომის საწარმოებლად, ვიდრე ფრონტს. თანაც, კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულის 1914 წლის 9 დეკემბრის №334-ში გამოქვეყნებული მთავარი შტაბის სახელმძღვანელო ცირკულიარის თანახმად, ომის დროს, იმ ადგილებში, სადაც სამხედრო წესები იყო გამოცხადებული, მთავარი შტაბი ვალდებული იყო, ჯარის ნაწილებისა და მათთვის საჭირო დაწესებულებებისათვის მიეჩინა ბინა ყოველგვარ საზოგადოებრივ თუ კერძო შენობებში (არქივი, ფ.1837, აღ.1, ს. 38).

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში სენატმა დააკმაყოფილა ქალაქ თბილისის გამგეობის საკასაციო საჩივარი. მოყვანილი ორი საქმე იმას გვიმტკიცებს, რომ სენატი მიუკერძოებელი ორგანო იყო. სენატორები არ ექცეოდნენ ისეთი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს ზეგავლენის ქვეშ, როგორიც თბილისის გამგეობა იყო. მთავარი ნებისმიერ შემთხვევაში ერთი იყო: სამართალი უნდა აღსრულებულიყო. სამართალი

აღსრულა სენატმა მაშინ, როდესაც გამგეობის გადაწყვეტილება უკანონოდ სცნო და მაშინაც, როდესაც გამგეობის დადგენილება კანონთან შეფარდებულად მიიჩნია.

საარქივო მასალების განხილვამ დაგვანახა, რომ სენატის სამოქალაქო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილება წარმოადგენდა სენატის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რგოლს, რომელიც ზედამხედველობას უწევდა როგორც სასამართლო, ასევე სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს. ამოწმებდა მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონთან შესაბამისობას, იღებდა მათ წინააღმდეგ შეტანილ საჩივრებს და განიხილავდა ყოველგვარი მიკერძოების გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ ქართული სასამართლოს ისტორიაში ერთერთი ყველაზე ღირსეული ფურცელი სწორედ ამ ორგანომ ჩაწერა, რადგან საქმის განხილვის დროს მისთვის არ არსებობდა არანაირი ავტორიტეტი გარდა სამართლიანობისა და ობიექტური ჭეშმარიტებისა, რაც მკაფიოდ ჩანდა მის მიერ მინისტრებისა თუ ადგილობრივი თვითმართველობის მოხელეთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების გაუქმებებისას.

სენატის სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო დეპარტამენტი.

საქართველოს სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის მიერ განხილული საქმეების აბსოლუტური უმრავლესობა საბჭოთა კავშირის პერიოდში განადგურებული იქნა. აქედან გამომდინარე, სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის შესახებ წარმოდგენა შეიძლება, შევიქმნათ იმ ერთეული საქმეებიდან, რომლებიც გადარჩა განადგურებას და ინახება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. ასევე, 19181921 წლებში გამომავალ გაზეთებში გვხვდება რამდენიმე გახმაურებული სისხლის სამართლის საქმის სტენოგრაფიული ჩანაწერი.

უპირველეს ყოვლისა, გვინდა განვიხილოთ სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტში შესული საკასაციო საჩივარი: „ფინანსთა და ვაჭრობამრეწველობის სამინისტროსი 1920 წლის 31 იანვრის თბილისის ოლქის მოსამართლეთა ყრილობის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული ისაოღლი იქნა ცნობილი უდანაშაულოდ რესპუბლიკის საზღვარგარეთ გასაზიდათ აკრძალულ საგნების გატანის ცდის ბრალდებაში" (არქივი, ფ.1837, აღ.1, ს. 542, ფურც. 2).

აღნიშნული საქმე შედარებით მოცულობითია და მასში საპროცესო მოქმედებები დეტალურად არის ასახული. მომჩივანი მხარე კასაციის შედეგად ითხოვდა თბილისის ოლქის მოსამართლეთა ყრილობის გადაწყვეტილების გაუქმებას იმ კითხვების საფუძველზე, რომლებიც სასამართლოს მსვლელობის დროს უნდა დაესვათ და განეხილათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მომჩივანმა წარმოადგინა ეს კითხვები: 1. რა პირობებში მოხდა საქონლის აღმოჩენა, რომელიც ცნობილი იქნა საბაჟოს მიერ კონტრაბანდად; 2. როგორ ცდილობდა, ბრალდებული გაეტანა საზღვარგარეთ აკრძალული საქონელი, რომელიც მას აღმოუჩინეს და რა ზომებს მიმართავდა ის, რათა მცდელობა მოეყვანა სისრულეში; 3. რომელი საბაჟო კანონები დაარღვია თავისი მოქმედებით ისა ოღლიმ; 4. როგორ უნდა ყოფილიყო დასჯილი ბრალდებული (არქივი, ფ. 1837, აღ.1, ს. 542).

1920 წლის 23 აპრილის საქართველოს სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის განყოფილების სასამართლო საკრებულოს სხდომამ ეს საქმე შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ი. ჯაფარიძე; სენატორები მ. ქორქაშვილი და ს. მაჭავარიანი; პროკურორის ამხანაგი ჩივაძე და მდივნის თანაშემწე ბობოხიძე. სხდომის ოქმში ეკითხულობთ, რომ სხდომა გახსნა თავმჯდომარემ 11 საათსა და 20 წუთზე. მან წაიკითხა საკასაციო საჩივრის სრული სათაური და დაიწყო საქმის საკასაციო წესით განხილვა. საქმის საჯარო გარჩევის დროს სასამართლო დარბაზში გამოცხადდნენ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელი, საბაჟოს გამგე მიქაძე და ბრალდებულის დამცველი, ნაფიცი ვექილი ლომინაძე. საბაჟოს გამგემ წარმოადგინა ცნობა, თუ რა მანძილი იყო იმ ადგილიდან საზღვრამდე, რომელიც უნდა გადაეკვეთა ბრალდებულს და მოითხოვა ამ ცნობის დამატება საქმეზე. ბრალდებულის დამცველის პროტესტის მიუხედავად სენატმა ეს დოკუმენტი მიიღო ოფიციალურ ცნობად.

საბაჟოს გამგის განცხადებით, აღნიშნული საქმე არ ექვემდებარებოდა საოლქო სასამართლოს. ის ითხოვდა თბილისის ოლქის მოსამართლეთა ყრილობის მიერ გამოტანილი განაჩენის გაუქმებას.

მხარეთა მოსმენის შემდეგ სასამართლო გავიდა სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად. სენატორთა დარბაზში დაბრუნების შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა შემდეგი რეზოლუცია: „თბილისის ოლქის მოსამართლეთა ყრილობის 1920 წლის 31 იანვრის განაჩენი გაუქმებულ იქნას და საქმე დაუბრუნდეს იმავე ყრილობას ხელახლა გასარჩევათ სხვა შემადგენლობაში" (არქივი, ფ.1837, ა.1, ს.542, ფურც. 7).

საქმეში პირდაპირი მინიშნება იმის შესახებ, თუ რატომ ვერ აღმოაჩინა თბილისის ოლქის სასამართლომ ისაოღლის ქმედებაში კანონდარღვევა, არ მოიპოვება. ჩვენი აზრით, სავარაუდოდ, შეძლებულმა ისაოღლიმ მოახერხა მოსამართლეების მოსყიდვა. თუმცა, სხვა ვითარება გვაქვს სენატის შემთხვევაში. სენატი უკვე ის სასამართლო ორგანო იყო, სადაც ოლქის სასამართლოსა თუ სხვა სასამართლო ინსტანციის გამოტანილი არასწორი განაჩენები უქმდებოდა. სენატი მოხსენებას უგზავნიდა უკან თითოეულ სასამართლო რგოლს, სადაც დეტალურად იყო აღწერილი, თუ რომელი მუხლების განხილვით უნდა ეწარმოებინათ საქმეები. სენატორთა მოსყიდვა არავის შეეძლო, რაც მათდამი საზოგადოების ნდობის ხარისხს ამაღლებდა.

ახლა გვინდა მოვიყვანოთ კონკრეტული საქმე, სადაც ნათლადაა წარმოდგენილი თუ რა დიდი ყურადღება ექცეოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ყველა მუხლის სრულყოფილად აღსრულებას. საქმე ეხება ქუთაისის ოლქის პროკურორის ამხანაგის დავით აბაშიძის საკასაციო პროტესტს, ქუთაისის ოლქის სასამართლოს მიერ ოზურგეთში განხილული ევგენი კრინიცკის მკვლელობაზე.

ქუთაისის ოლქის პროკურორის ამხანაგის საკასაციო პროტესტში ვკითხულობთ, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლომ სასამართლოს ნევრის მ. ჭეიშვილის თავმჯდომარეობით და მდივნის ბ. კუხიანიძის თანდასწრებით, 1920 წლის 4 მაისს განიხილა ქ. ოზურგეთში ევგენი კრინიცკის მკვლელობის საქმე. სასამართლო პროცესზე წარმოდგენილნი იყვნენ ორი ბრალდებული: გიორგი შენირული და ერასტო დოლიძე. სასამართლო პროცესი გაიხსნა ქ. ზუგდიდში მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის დარბაზში. სასამართლო სხდომაზე, პროკურორის ამხანაგის განცხადებით, არ იყო დაცული სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდების ის მუხლი, რომლის თანახმად, თუ ნაფიც მსაჯულთა რიცხვი 24-ზე ნაკლები იყო, ამ შემთხვევაში, შევსებულ უნდა ყოფილიყვნენ კანდიდატები. აღნიშნულ პროცესს ესწრებოდა მხოლოდ 18 ნაფიცი მსაჯული. ასევე დარღვეულ იქნა აღნიშნული წესდების ის მუხლი, რომელიც მოითხოვდა, რომ ნაფიცი მსაჯულები სასამართლო დარბაზიდან არსად არ გასულიყვნენ, რათა არ ჰქონოდათ არანაირი დამოკიდებულება გარეშე პირებთან. აღნიშნულ პროცესზე ნაფიცი მსაჯულები სამი საათით იყვნენ გასულები ქალაქში, ვინაიდან პროცესის წარმოება შეწყდა დღის სამ საათზე და გაგრძელდა საღამოს 6 საათზე. პროკურორის ამხანაგის თქმით, აუცილებლად, უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული ის გარემოება, რომ ადგილობრივი მოქალაქეები ძალიან იყვნენ ამ საქმით დაინტერესებულნი და მრავლად ესწრებოდნენ სხდომას, ამიტომაც ნაფიცი მსაჯულები უნდა დარჩენილიყვნენ დარბაზში. ასევე, დაირღვა სისხლის სამართლის კოდექსის 806-ე მუხლი, რომელიც მოითხოვდა, რომ სათათბირო ოთახი დაცული ყოფილიყო დარაჯებით, რათა იქ არ შესულიყო გარეშე პირი. თუმცა, როდესაც მსაჯულები გავიდნენ სათათბიროდ და მიიხურეს კარები, რამდენიმე წუთის შემდეგ სათათბირო ოთახიდან გამოვიდა გარეშე პირი, ოზურგეთის მომრიგებელი მოსამართლე ხაფთასი. სათათბიროს სულ ორი კარი ჰქონდა, ერთი – დარბაზისკენ, მეორე – გარეთ გასასვლელი, რომელიც დარბაზიდან არ ჩანდა. არცერთ მათგანთან დარაჯი არ იდგა, შესაბამისად თუ ხაფთასს შეეძლო იმ ოთახში შესვლა, სხვა პირებიც თავისულად შეძლებდნენ ამას (არქივი, ფ. 1837, აღ. 1, ს. 905).

აბაშიძის განმარტებით, კიდევ ერთ კანონდარღვევას ჰქონდა ადგილი პროცესზე. მსაჯულთა შორის იყო მოსე დოლიძე, მამა პროკოპი დოლიძისა, რომელსაც ედებოდა ბრალი ამ საქმეში. ამგვარად მოსე დოლიძე დაინტერესებული იყო შვილის გამართლებით. სათათბირო ოთახიდან გამოსულმა მსაჯულებმა განაცხადეს, რომ მოსე დოლიძე ავად გახდა და ველარ მიიღებდა მონაწილეობას თათბირში. დოლიძე გადაყენებულ იქნა და მის მაგიერ დანიშნეს კანდიდატი. მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვა, რომ მოსე დოლიძე იყო პროკოპი დოლიძის მამა (არქივი, ფ. 1837, აღ. 1, ს. 905).

ამის შემდეგ, აბაშიძე მიუთითებდა, რომ ამდენმა პროცესუალურმა დარღვევამ განაპირობა ნაფიცი მსაჯულების მიერ გიორგი შენირულის გაამართლება. საკასაციო პროტესტში დ. აბაშიძე სწორედ ამ გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვდა (არქივი, ფ. 1837, აღ.1, ს.905).

აღნიშნული საკასაციო პროტესტი სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტმა დააკმაყოფილა და შენირულის საქმე დაუბრუნდა ქუთაისის ოლქის სასამართლოს სხვა შემადგენლობაში ხელახლა განსახილველად (არქივი, ფ. 1837, აღ. 1, ს. 905).

ამ დოკუმენტიდან კარგად ჩანს, თუ როგორი იყო საკასაციო საჩივრის ან პროტესტის ფორმულირება, რომლებიც დაინტერესებულ მხარეს შეჰქონდა სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო დეპარტამენტში. ეს საქმე ხაზს უსვამს ოლქის პროკურორის კომპეტენტურობას, რომელმაც სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევის გამო გაასაჩივრა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი. სენატორებმა, რა თქმა უნდა, გააუქმეს უკანონო გადაწყვეტილება და ამით გაამართლეს ოლქის პროკურორის ნდობა სენატის სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო დეპარტამენტისადმი.

სენატის მიუკერძოებლობა, ობიექტურობა და მაღალი პროფესიონალიზმი კარგად ჩანს არა მარტო საარქივო დოკუმენტებიდან, არამედ ეროვნულდემოკრატიული პარტიის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, გაზეთ *საქართველოში* გამოქვეყნებული სტატიიდან – *სამართალი აღსრულდა! დამნაშავემ პასუხი აგოს.* საქმე ეხება ერთ პოლიტიკურად მოტივირებულ სისხლის სამართლის საქმეს, რომელსაც 1920 წლის დასაწყისში ჰქონდა ადგილი. ეროვნულდემოკრატიული პარტიის ნევრი გ. გუჯეჯიანი სოციალდემოკრატიული პარტიის წევრმა სიმონიკა გოცაძემ პირადი ანგარიშწორების საფუძველზე, ყალბი დოკუმენტების ჩადებით, დააპატიმრა. გოცაძემ გამოიყენა თავისი, როგორც გვარდიელის უფლებამოსილება ბოროტად, დაიკავა გუჯეჯიანი და ოსეთის საზღვარზე მიმავალ გვარდიას სოფელ ჩონთოში გააყოლა, რომლებმაც საღორეში დაამწყვდიეს დაკავებული (*საქართველო* 1920, №64).

ეროვნულდემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე, შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა გააგზავნა მოთხოვნა დაპატიმრებულის თბილისში გადმოყვანის შესახებ, თუმცა ს. გოცაძის პირადი ინიციატივით, დაპატიმრებული გადაყვანილ იქნა ზესტაფონში, სადაც იმავე

დღესვე, 12 საათზე გამოუცხადეს ბრალდებულს, რომ იგი იმავე დღის 5 საათზე იქნებოდა გასამართლებული და საღამოს 8 საათზე კი, მას უკვე 6 წლით კატორღა მიუსაჯეს. აღნიშნული სასამართლო გაიმართა საველე სასამართლოს სახით და დაკომპლექტდა შემდეგი შემადგენლობით: რაიონის კომისარი, ადგილობრივი დურგალი და ვაგონების შემკვრელი. ამ სასამართლოს გადაწყვეტილება ეროვნულდემოკრატიული პარტიის მიერ გასაჩივრებული იქნა საკასაციო წესით სენატში (*საქართველო* 1920 №64).

საკასაციო საჩივარის განხილვის შემდეგ, სენატის სისხლის სამართლის საკასაციო განყოფილებამ რეზოლუციები გაგზავნა იუსტიციისა და სამხედრო სამინისტროში, რომელთა ძალითაც სენატმა მოითხოვა უკანონობის სწრაფი აღმოხვრა. იუსტიციის მინისტრს სენატის რეზოლუცია ავალებდა, სასწრაფოდ გაენთავისუფლებინა გ. გუჯეჯიანი; ხოლო სამხედრო მინისტრს –გაეუქმებინა უკანონოდ მოწყობილი საველე სასამართლო და ამ კანონდარღვევის გამო პასუხისგებაში მიეცა ს. გოცირიძე (*საქართველო* 1920 №64).

სენატის რეზოლუციების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ, იქნა განთავისუფლებული ეროვნულ-დემოკრატილი პარტიის წევრი გ. გუჯეჯიანი.

გუჯეჯიანის საქმე კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ სენატი პარტიული ზეგავლენისგან თავისუფალი იყო, რაც მის მუშაობაში ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვას განაპირობებდა. სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტი, ისევე როგორც სენატის სხვა სტრუქტურული ერთეულები, წარმოადგენდნენ მაღალი პროფესიონალიზმითა და საქმისადმი ერთგულებით გამსჭვალულ მოხელეთა რგოლს, რომლებიც ცდილობდნენ ქართულ სასამართლო ხელისუფლებაში სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების კუთხით ნებისმიერი უკანონო ქმედებისა თუ პროცესუალური დარღვევის გამოსწორებას.

შენიშვნები

1 აღნიშნული წესდებები (კოდექსები) გადმოღებული იყო რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ 1914 წელს გამოცემული *Сводъ законовъ Российской Империи* XVI ტომიდან.

2 იხ. სენატის დებულება.

დამოწმებანი

არქივი: საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1837.

კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული 1919: დეკრეტი სასამართლოს განაჩენის შეცვლის შესახებ შემოსულ თხოვნების განხილვისა, ჟურნალი *კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული*, №6. გვ. 9.

საქართველო 1920: გაზეთი *საქართველო*, №64. გვ. 23.

საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ჩანაწერები 1919: *საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ჩანაწერები*, 1919 წლის 7 ოქტომბერი. გვ. 34.

შარაშენიძე 1990: დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, ვ. შარაშენიძის რედაქტორობით, თბილისი ივერთა მხარე.

საარქივო მასალა *ვეფხისტყაოსნის* მთარგმნელის ჰუგო ჰუპერტის შესახებ

ნათელა ჯორჯიკია

ჰუგო ჰუპერტი (1902-1982) – ცნობილი ავსტრიელი პოეტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე 1950-1954 წლებში პერიოდულად ცხოვრობდა თბილისში. ჰუგო ჰუპერტი *ვეფხისტყაოსნის* მთარგმნელია, მას ჰაინრიხ ჰაინეს პრემია მიენიჭა პოემის გერმანულ თარგმანებს შორის საუკეთესო თარგმანისათვის. ჰუგო ჰუპერტის *ვეფხისტყაოსნის* გერმანული თარგმანი პირველად გამოვიდა 1955 წელს, 1970-1982 წლებში კი კიდევ სამჯერ გამოიცა.

ჰუგო ჰუპერტმა რუსთაველის პოემა გერმანულად თარგმნა მესამეჯერ. პირველად იგი თარგმნა არტურ ლაისტმა, მეორედ მარია პრიტვიცმა. მარია პრიტვიცი იყო მთარგმნელი, ბიბლიოგრაფი, პედაგოგი და მეცნიერ-მუშაკი. *ვეფხისტყაოსნის* თარგმანი მან 1940-1947 წლებში შეასრულა ქალაქ უფაში. მწერალ გივი კარბელაშვილს[1] თავის პუბლიცისტურ წერილში მოჰყავს ამონარიდი საქართველოს კპ ცეკას იმდროინდელი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის „ერთ-ერთი ბარათიდან", რომლის მიხედვით მარია პრიტვიცი რუსთაველის პოემის გერმანულ თარგმანს *ვეფხისტყაოსნის* დაწერის 750 წლის იუბილეს მომწყობი კომისიის დაკვეთით ასრულებდა (კარბელაშვილი 1987: 632).

მარია პრიტვიცის ნამუშევარი თავის დროზე არ გამოქვეყნებულა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მისი არქივი დაკარგულად ითვლებოდა. გივი კარბელაშვილის მოწმობით, მ. პრიტვიცის ნათარგმნის „მანქანაზე დაბეჭდილი" ცალი ინახებოდა ვახტანგ კუპრავასთან.[2] 1974 წელს დაიბეჭდა ვ. კუპრავას მიერ შედგენილი რუსთაველის აფორიზმების კრებული საუკეთესო თარგმანებითურთ გერმანულ ენაზე. ამ კრებულში მ. პრიტვიცის მიერ თარგმნილი 30 აფორიზმი შევიდა. ამასთანავე ვ. კუპრავამ თავისი ცალი ათხოვა ვასილ ჩაჩანიძეს, რომელიც მუშაობდა წიგნზე *ვეფხისტყაოსანი მსოფლიო ხალხთა ენებზე* (კარბელაშვილი 1987: 631-632). გასული საუკუნის 70 -იან წლებში გამოსული კუპრავასა და ჩაჩანიძის წიგნებიდან გახდა ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის მარია პრიტვიცის სახელი.

პროფესორმა მიხეილ კვესელავამ[3] თავის გარდაცვალებამდე მარია პრიტვიცისეული ხელნაწერი და მანქანაზე გადაბეჭდილი ერთი ვარიანტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთაველის კაბინეტის ხელმძღვანელს ლევან მენაბდეს გადასცა, კაბინეტის ახალი გამგის ელგუჯა ხინთიბიძისგან ამ ცალის არსებობის შესახებ ჰუმბერტის უნივერსიტეტის დოქტორმა, ქართველოლოგმა შტეფი ხოტივარი იუნგერმა შეიტყო. ორი მკვლევრის რედაქციით მარია პრიტვიცის მიერ შესრულებული რუსთაველის პოემის გერმანული თარგმანი 2005 და 2011 წლებში გამოიცა თბილისსა და ბერლინში.

ორი მთარგმნელის, მარია პრიტვიცისა და ჰუგო ჰუპერტის, ურთიერთდამოკიდებულების, მათი ნაშრომების ურთიერთმიმართების შესახებ განვიხილავთ შტეფი ხოტივარი იუნგერის, გივი კარბელაშვილის, აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის სხვადასხვა დროინდელ პუბლიკაციებს. შტეფი ხოტივარი იუნგერი მარია პრიტვიცის *ვეფხისტყაოსნის* გერმანული თარგმანის 2005 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში წერს, რომ პრიტვიცისა და ჰუპერტის გზები „ერთობ დრამატულად" გადაიკვეთა, როცა უკანასკნელმა თბილისიდან საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების მინვეეა მიიღო *ვეფხისტყაოსნის* თარგმნის თხოვნასთან ერთად. ჰუპერტს მხარს უჭერდა საზოგადოების იმდროინდელი თავმჯდომარე მიხეილ კვესელავა, ხოლო მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის შემდეგ, ახალი თავმჯდომარე შ. გორგაძე შეთანხმების ჩაშლას შეეცადა. მან მწერალ კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად მარია პრიტვიცის უკვე დასრულებული თარგმანის გამოცემა სცადა. ავტორს მოყავს ამონარიდი ჰუგო ჰუპერტის ავტობიოგრაფიიდან, სადაც ჰუპერტი გულისტკივილით იხსენებს „პროექტიდან" მისი გაძევების მცდელობის ამბავს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან უარყოფითი რეცენზიის საფუძველზე თითქმის ორასამდე სტროფი უნდა ყოფილიყო დაწუნებული მისი საცდელი თარგმანიდან, რაც მასთან ხელშეკრულების გაუქმებას ნიშნავდა.

> ეს ჰუპერტისათვის დიდი დანაკლისი იქნებოდა არა მხოლოდ მატერიალურად (ჰონორარი ძალზე დიდი იყო), არამედ მორალურადაც, პატივმოყვარეობის გამო მას ძალიან სურდა გადაეგორებინა ლოდი „რუსთაველი"... აშკარაა, რომ ჰუპერტმა მაშინ (და, სავარაუდოდ, სიკვდილამდე) არაფერი იცოდა პრიტვიცის შესახებ. ის მოითხოვდა მოეწყოთ მათი პოეტური შეჯიბრება, საჯარო კითხვა აკადემიური საზოგადოების წინაშე, მაგრამ შეჯიბრება არ შემდგარა. ჰუპერტის მხარეზე თბილისში დადგნენ მისი ნაცნობები, აკადემიის წევრები, უნივერსიტეტის პროფესორები და მას ნება დართეს განეგრძო სამუშაო. მის მიერ თავის ავტობიოგრაფიაში პრიტვიცის თარგმნის შეფასებაზე შეგნებულად არ ვამახვილებ ყურადღებას. ალბათ კინაღამ ჩაშლილი საქმის

> გამო გადატანილი მღელვარებისა და სირცხვილისაგან, მან რეალობის გრძნობა დაკარგა, ან, შესაძლოა, მისი არაკორექტული გამონათქვამები მის მკაცრ, ცვალებად ხასიათს მივაწეროთ (რუსთაველი 2005: LIII-LIV).[4]

ამავე ფაქტთან დაკავშირებით გივი კარბელაშვილი მოგვითხრობს, რომ 1950 წლის დასაწყისში, კანდიდ ჩარკვიანის დავალებით, საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებას გამოსაცემად უნდა მოემზადებინა *ვეფხისტყაოსნის* მარია პრიტვიციისეული თარგმანი, მისი რამდენიმე ცალი დასკვნისათვის გადაეცა რუსთველოლოგებსა და გერმანისტებს, მათ შორის, შალვა ნუცუბიძეს, კორნელი კეკელიძეს, ალექსანდრე ბარამიძეს, სიმონ ყაუხჩიშვილს, მიხეილ კვესელავას, ვახტანგ კუპრავას და სხვ. 1950 წლის გაზაფხულზე საზოგადოების შენობაში მოწვეულ იქნა რუსთველოლოგებისა და გერმანისტების თათბირი, რომელზედაც პრიტვიციის თარგმანის შესახებ იმსჯელეს და ერთხმად გაიზიარეს შალვა ნუცუბიძის აზრი, რომ მარია პრიტვიციის ნაშრომის რედაქტირებისა და გამოცემის საკითხის გადაწყვეტამდე საჭირო იყო გერმანული თარგმანი „საჭაშნიკოდ" წაეკითხათ გერმანელ პოეტებს. გამოითქვა აზრი, რომ შესაფერისი პოეტების გამონახვა დავალებოდა მიხეილ კვესელავას, რომელმაც იმავე თათბირზე დაასახელა ავსტრიელი პოეტი ჰუგო ჰუპერტი. ჰუპერტთან ჯერ მოსკოვში და შემდეგ თბილისში მოლაპარაკების დროს მ. კვესელავამ მას გადასცა მ. პრიტვიციისეული თარგმანი მისი რედაქტირების მიზნით. „ჰუპერტს კი თარგმანი დაუწუნია და გარკვეული მოლაპარაკების შემდეგ პოემის ახალი თარგმანი უკისრია", წერს გიორგი კარბელაშვილი (კარბელაშვილი 1987: 634).

ბუნებრივია, რომ საკითხის შესახებ აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის აზრი მეტად არის საყურადღებო. 1953 წელს ის წერდა:

> მ. პრიტვიცმა თარგმანი შეასრულა ომის ძნელ პირობებში; თბილისში ჩამოდიოდა შეძლებისდაგვარად და ჩემი კონსულტაციებიც ჩანს არ გამოადგა. თარგმანი მძიმე და მეტად არქაიზებული გამოვიდა. მიუხედავად ამისა, მ. პრიტვიცმა მთელი პოემა თავისებურად გამართა გერმანულად ოთხმაწაკიანი გარითმული ლექსით, და თუმცა დეტალები რუსთაველური ორკესტრობისა ვერ აითვისა, მაინც მისი თარგმანი ხელსაკრავი არ არის. საფუძვლიანი გადახედვის შემდეგ ის შეიძლება დაიბეჭდოს კიდეც...ჰუგო ჰუპერტის თარგმანის ხელმძღვანელობა მე დამევალა ერთი წლის წინ. მე, ცხადია ვიკისრე მხოლოდ ტექსტუალური ხელმძღვანელობა და არა სტილისტიკური..... ჩვენ შეგვიძლია შეეამჩნიოთ სტილისტიკური შეცდომა უცხო ენაზე, მაგრამ გასწორებას ყოველთვის ვერ შეეძლებთ. „ვეფხისტყაოსნის" გერმანული ტექსტი უნდა წაკითხოს საბოლოოდ (დასტამბვის წინ) გერმანული ბუნებრივი სმენის მქონე პიროვნებამ (ნუცუბიძე 1966: 295).

ამრიგად, განხილული მასალა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ჰუგო ჰუპერტის დამოკიდებულების შესახებ მარია პრიტვიციის თარგმანის მიმართ. ამ და საკითხის სხვა ასპექტებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს პარტიულ არქივში (ყოფილი კპ ცეკას არქივი, დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული) დაცული დოკუმენტები: ჰუგო ჰუპერტის 1951 წლის წერილს საქართველოს კპ ცეკას იმდროინდელი მდივნის კანდიდ ჩარკვიანისადმი.

ვაქვეყნებთ მის თარგმანს და მასთან ერთად ორიგინალს – რუსულ ვარიანტსაც.

> საქ. კპ(ბ) ცკ მდივანს
> ამხ. კ. ნ. ჩარკვიანს

ღრმად პატივცემულო ნესტორ კანდიდის ძევ! მოგმართავთ დაწვრილებით ერთ ლიტერატურულ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც რამდენიმე თვეა, რაც მე შემოქმედებითად მაღელვებს და რომელიც, ცხადია, რომ თქვენს ჩაურევლად, ვერ გადაწყდება.

სსრკ მწერალთა კავშირის უცხოეთის კომისიის შუამდგომლობით, 1950 წლის ზაფხულში მე ვიყავი მოწვეული საქართველოში ჩამოსასვლელად სკკს-ის[5] მიერ, რათა დასაბეჭდად ვარგის მდგომარეობაში მომეყვანა ვინმე მარია პრიტვიციის ხელნაწერები, რაც გერმანულ ენაზე *ვეფხისტყაოსნის* ლექსად თარგმნის მცდელობას წარმოადგენს.

მოსკოვში ჩემდამი გადმოცემული, დასახელებული ხელნაწერის პირველი გვერდების გაცნობის შემდეგ მე მიეიღე სკკს-ის წინადადება. თბილისში აგვისტოში ჩამოვედი, მაგრამ ხელნაწერზე 3-4 კვირის მუშაობამ მე იმ სამწუხარო, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებამდე მიმიყვანა, რომ მ. პრიტვიციის ხელნაწერი (უკვე ძლიერ დამუშავებული თბილისელი ლინგვისტი–პედაგოგების მიერ, გარდა პირველი გვერდებისა) აბსოლუტურად დილეტანტური მცდელობის დონეს ვერ სცილდება. ამ სრულიად უსუსური ტექსტის „პოეტიზირების" ჩემეული მცდელობა აზრს მოკლებული აღმოჩნდა, რამდენადაც ჩემი შრომა ორგანულად და გარდუვალად იქცეოდა დამოუკიდებელ, ახალ თარგმანად, რომელსაც მე კარგი ბწკარედის (და რუსთაველის ყველა არსებული რუსული თარგმანის) გამოყენების საფუძველზე ვაკეთებდი. პრიტვიციისეული ტექსტუალური ელემენტების გარკვეული რაოდენობის შენარჩუნება, რომლებიც მე იძულებული გავხდი დამეტოვებინა, (სკკს-ის დავალების შესრულების სურვილით), არა თუ ხელს უწყობდა, ხელს უშლიდა მუშაობას, არა თუ აუმჯობესებდა, აუარესებდა ლექსებს. ამიტომ მე განვაცხადე სკკს–ში ჩემი დასკვნების შესახებ და ჯერ კიდევ მოცემულ

ლიტერატურულ დავალებაზე წერილობითი შეთანხმების დადებამდე, მოვითხოვდი პოემის დამოუკიდებელ თარგმანზე მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობა მომცემოდა.

თბილისში, სკკს-სა და მწერალთა კავშირში გამართულ ორ საღამოზე, დეტალურ მოხსენებებში მე საჯაროდ გადმოვეცი რუსთაველზე ჩემი მუშაობის პრინციპები და გამოცდილება და წავიკითხე ნაწყვეტები ჩემი თარგმანის მზა თავებიდან (1-6 და „შესავალი"). სხვა ნაწყვეტები თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის პედაგოგებისა და სტუდენტების მიერ მოწყობილ მესამე საღამოზე წავიკითხე.

მაგრამ, ჩემი დამაჯერებელი, როგორც მე მიმაჩნია, მტკიცებულებებისა და იმ რიგი ამხანაგების (მათ შორის: ბარამიძე, ლუკაშვილი, ყაუხჩიშვილი, გ. ქიქოძე, ა. ჭეიშვილი, ი. აბაშიძე, იუშკოვა, ა. მირცხულავა, დ. შენგელაია, კვესელავა და სხვ.) უაღრესად დადებითი გამონათქვამების მიუხედავად, რომლებმაც საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობასთან ერთად მხარი დაუჭირეს ჩემს წამოწყებას, უკკს თავის პირვანდელ წინადადებას, ანუ მ. პრიტვიცის ტექსტის გადამუშავებას დაჟინებით იცავდა. ამიტომ ხელშეკრულების გარეშე 5 თვიანი მუშაობის შემდეგ, მე იძულებული გავხდი შემეწყვიტა ჩემი უპერსპექტივო მუშაობა და ა. წ. იანვარში დავტოვე საქართველო.

ნება მომეცით ერთხელ კიდევ გავიმეორო ჩემი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ, რომელიც შესაძლოა, რომ თქვენთვის ი. ს. ჩიქოვანთან საუბრით არის ცნობილი. მიზანშეუწონლად მიმაჩნია მსოფლიო მნიშვნელობის მქონე იდეურ–მხატვრული ნაწარმოების მიმართ კუსტარული ხერხების გამოყენება ან ექსპერიმენტირება. მიმაჩნია, რომ უაღრესად უხერხულია გერმანელ მკითხველს რუსთაველის გენია პირველად სანახევრო, კომპრომისული რეპროდუქციის სახით წარმოუდგინო[6]. ამ ხნის განმავლობაში მე დიდი მუშაობა გავწიე რუსთაველის შესახებ, ჩემთვის მისაწვდომი, რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურისა და ქართული რენესანსის ეპოქის ამსახველი სამუზეუმო–საარქივო მასალების შესასწავლად, ვიმოგზაურე მესხეთის, ჯავახეთის, ქართლის და სხვ. ღირსშესანიშნავ ადგილებში. საქართველოსთან ჩემი ნაცნობობა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე დაიწყო, როდესაც მე ბელადის სამშობლოს შესახებ ვაქვეყნებდი წიგნებს. მე ახლაც ვნერ ახალ ციკლს, რომელიც ადამიანების ზრდას და მეორმოცე საბჭოთა ათწლეულის ზღურბლზე ქართველი ხალხის მიღწევათა სიდიადეს ასახავს. (მინდა ეს ციკლი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დავბეჭდო). მე ახლაც ვაგრძელებ რუსთაველის შესწავლას და არ ვკარგავ იმედს *ვეფხისტყაოსანის* პირველი გერმანული პოეტური თარგმანი[7] 1951–1952 წლებში დავასრულო, რომელზეც მე საესებით ვაგებ პასუხს, როგორც ქართული, ისე გერმანული და ავსტრიული მოწინავე საზოგადოების წინაშე.

ამიტომ გთხოვთ, ღრმად პატივცემულო კანდიდ ნესტორის ძე, მხარი დაუჭიროთ ამ ჩემს შემართებას, თუკი თქვენ მხარს დაუჭერთ ჩემს თვალსაზრისს, რომ ახალი, მონოლითური თარგმანი აუცილებელია.

თან ვურთავ შერჩევით ნაწყვეტებს ჩემი დამოუკიდებელი თარგმანიდან, ასევე წერილს თბილისის გაზეთიდან *ლიტერატურა* და *ხელოვნება* საქართველოს მწერალთა კავშირში ჩემი საღამოს შესახებ. უახლოეს დროში დამატებით გამოგიგზავნით ოფიციალურ რეცენზიას ჩემს თარგმანზე, რომელიც სსრკ მწერალთა კავშირის ქართული კომისიიდან გამოვითხოვე.

მიიღეთ ჩემი ღრმა პატივისცემა
ჰუგო ჰუპერტი
საბჭოთა მწერალთა კავშირის წევრი
ავსტრიელი პოეტი
19. III.1951 წ.
(ფონდი 14, ანაწყობი 24, საქმე 422, ფურც. 3–7)

Секретарю ЦК КП(б) Грузии
тов. К. Н. Чарквиани

Глубокоуважаемый Кандид Несторович! Обращаюсь к Вам подробнее по одному литературному делу, которое меня вот уже несколько месяцев творчески волнует и которое без Вашего личного вмешательства, очевидно неразрешимо.

Летом 1950 года я был приглашен ГОКС ом, через посредничество иностранной комиссии союза писателей СССР, приехать в Грузию, чтобы привести в годное для печати состоянии рукопись некой Марии Притвиц, представляющую собой попытку стихотворного перевода «Витязя в тигровой шкуре» на немецкий язык.

Ознакомившись в Москве лишь с представленными мне первыми страницами названной рукописи, я принял предложение ГОКС а. В августе я прибыл в Тбилиси. Но, поработав 3-4 недели над рукописью, я пришел к грустному, но твердому убеждению, что качество рукописи М. Притвиц (за исключением первых страниц, уже сильно обработанных коллективом Тбилисских педагогов-лингвистов) не подымается выше уровня абсолютно дилетантского опыта. Моя попытка «поэтизировать» этот совершенно беспомощный текст оказалась бессмысленной, т. к. труд органически и неминуемо превращался в самостоятельный новый перевод, который делался мною на основе хорошего подстрочника (и всех имеющихся русских переводов Руставели). Сохранение некоторого количества текстуальных элементов Притвиц, которые я вынужден был оставить (желая выполнить предложение ГОКС а), не помогло, а мешало работе, не улучшало а ухудшало стихи. Поэтому я заявил в ГОКС е о своих выводах и, пока еще не имея письменного соглашения о данном мне литературном поручении, просил предоставить мне возможность продолжить работу над самостоятельным переводом поэмы.

На двух вечерах в Тбилиси – в ГОКС е и в союзе писателей я публично изложил в обстоятельных докладах принципы и опыт моей работы над Руставели и прочел отрывки из готовых глав (1-6 и «вступление») моего перевода. Другие отрывки я читал на третьем вечере, устроенном педагогами и студенчеством Тбилисского Института иностранных языков.

Но, несмотря на мои убедительные, как мне кажется, доводы и на весьма положительные высказывания ряда товарищей (в том числе Барамидзе, Лукашвили, Каухчишвили, Г. Кикодзе, А. Чеишвили, И. Абашидзе, Юшковой, А. Мирцхулава, Д. Шенгелая, Мачавариани, Квеселава и др.), Поддержавших вместе с руководством Союза Писателей Грузии мое начинание, ГОКС настаивал на своем первоначальном предложении, т. е. на обработку текста М. Притвиц. Поэтому я, после 5 месячной работы без договора, был вынужден прервать свой бесперспективный труд и в январе с. г. уехать из Грузии.

Позвольте мне еще раз повторить мои соображения по этому вопросу, знакомые вам может быть, из беседы с тов. И. С. Чиковани. Мне кажется нецелесообразным кустарничать или экспериментировать с идейно-художественным произведением мирового значения. Мне кажется сугубо неудобным представить впервые немецким читателям руставелевский гений в виде половинчатого, компромиссного воспроизведения. За это время я немного труда положил на изучение доступной мне на русском языке литературы о Руставели и музейно-архивных материалов об эпохи грузинского ренессанса, путешествовал по памятным местам Месхетии, Джавахетии, Карталинии и т. д. Мое знакомство с Грузией началось еще до второй мировой войны, когда я публиковал стихи о родине вождя. И сейчас я пишу новый цикл, отражающий рост людей и великие достижения грузинского народа на пороге своего 4 го советского десятилетия (хочу этот цикл напечатать в Герм. Демокр. Республике). Я и сейчас продолжаю изучать Руставели и не теряю надежду завершить в 1951-1952 годах первый немецкий поэтический перевод «Вепхвисткаосани», за который я смогу полностью отвечать, как перед грузинской, так перед германской и австрийской передовой общественностью.

Поэтому я вас прошу, многоуважаемый Кандид Несторович, поддержать это мое дерзание, если Вы одобрите мою точку зрения, что новый, монолитный перевод необходим.

Прилагаю отрывки из моего самостоятельного перевода, на выборку, а также заметку из тбилисской газеты «Литература и Искусство» о моем вечере в СП Грузии. Официальную рецензию на мой перевод, которую я запросил через Грузинскую комиссию Союза писателей СССР, я дополнительно направлю Вам в ближайшее время.

Примите мое глубокое уважение

Гуго Гупперт
член союза сов. писателей
австрийский поет
Москва, 151
Можайское шоссе 67/68
19. III.1951 г.
(ფონდი 14, ანაწყობი 24, საქმე 422, ფურც. 3–7)

არქივში ინახება საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთის – *ლიტერატურა და ხელოვნება* – 1950 წლის 3 დეკემბრის გამოშვება, სადაც ვკითხულობთ, რომ 23 ნოემბერს მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციამ მოაწყო პოეტ ჰუგო ჰუპერტის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილი *ვეფხისტყაოსნის* კითხვა– განხილვა. ჰუპერტმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ამ თარგმანის ისტორია და პრინციპები, რომელთა საფუძველზედაც მუშაობდა ის პოემის თარგმნის დროს და წაიკითხა თარგმანის ცალკეული ადგილები. თარგმანის შესახებ აზრი გამოთქვეს პროფესორმა ალექსანდრე ბარამიძემ, პროფესორმა იუშკოვამ, გერონტი ქიქოძემ, მიხეილ კვესელავამ, დემნა შენგელაიამ, გრიგოლ ნათაძემ, შიუკაშვილმა და სხვ. აქვე ვკითხულობთ, რომ „ორატორების სიტყვით ეს თარგმანი, სიზუსტისა და მხატვრული ხარისხის თვალსაზრისით, აქამდე უცხო ენებზე *ვეფხისტყაოსნის* ყველა თარგმანზე მაღლა დგას. პოეტ ჰუგო ჰუპერტს შესანიშნავად აქვს გაგებული რუსთაველის უკვდავი პოემის არსი".

გაზეთის თანამშრომელთან საუბარში ჰუგო ჰუპერტმა განაცხადა:

მე მთელი არსებით გამიტაცა რუსთაველის უკვდავმა ქმნილებამ. როცა მისი თარგმნა გადავწყვიტე, მივხვდი, რომ მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმე ვიკისრე და რამდენადაც ძნელია ის, იმდენად უფრო ძლიერია ჩემი სურვილი ღირსეულად შეეასრულო ნაკისრი ვალდებულება და ისე წარვუდგინო რუსთაველი გერმანელ მკითხველს, როგორც ეს შეეფერება ამ უდიდეს ქართველ პოეტს... უკვე სამი თვეა საქართველოში ვიმყოფები. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ვნახე, ვცდილობდი შემესწავლა რუსთაველის ეპოქის ძეგლები, გადავიკითხე არსებული ლიტერატურა რუსთაველზე და მის დროზე, გავეცანი საქართველოს ისტორიას. მე ბევრი რამ შემძინა ქართველი ხალხის ისტორიის, მისი კულტურისა და მისი პოეზიის გაცნობამ. სამწუხაროდ ვერ მოვასწარი საქართველოს ყველა კუთხეში ვყოფილიყავი, მაგრამ რაც ვნახე, იმან განცვიფრებაში მომიყვანა, ადამიანის გულს სიხარულით ავსებს ის გრანდიოზული მშენებლობა, რომელიც აქ მიმდინარეობს.

ჰუგო ჰუპერტს ასევე უთქვამს, რომ რუსთაველის თარგმნა მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეა და მხოლოდ დაძაბული შრომის შემდეგ შეიძლება მიაღწიოს პოეტმა იმ მიზანს, რომ გადასცეს უცხო ენაზე რუსთაველის პოემის სურნელება და სიბრძნე.

აქვეა საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების თავმჯდომარის გოგლიძის მოხსენებითი ბარათი.

(ფონდი 14, ანაწყობი 24, საქმე 422, ფურც. 2)

6/V.1953 წ.

მოგახსენებთ, რომ უკკს-ს ინიციატივითა და საქართველოს კპ ცკ თანხმობით 1951 წ. დაიწყო მუშაობა გერმანულ ენაზე რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსანის" პოეტური თარგმნისათვის. მთარგმნელად პოეტი ჰუგო ჰუპერტი იყო მოწვეული, რომელიც ჩვენ მოვამარაგეთ პოემის რუსული ბწკარედით, ქართველი ემიგრანტის მ. წერეთლის მიერ ბერლინში შესრულებული გერმანული ბწკარედით, ასევე პოემის ყველა არსებული რუსული და უცხოური თარგნამებით.

ერთდროულად თარგმანის რედაქტორად იყო გამოყოფილი პროფესორი. შალვა ნუცუბიძე, რომელიც ახდენდა თარგმანის რედაქტირებას მუშაობის პროცესში და კონსულტაციას უწევდა მთარგმნელს.

ამასთანავე, ჩვენი რუსთველოლოგი სპეციალისტებისაგან კონსულტაციის მიღების მიზნით მთარგმნელ ჰუპერტს თბილისში ორგზის ხანგრძლივად ყოფნის შესაძლებლობა მიეცა.

ამავე მიზნითა სკკს-მ გერმანული ენის მცოდნე რუსთველოლოგი სპეციალისტების მონაწილეობით ორჯერ მოაწყო თარგმანის ცალკეული თავების კრიტიკული განხილვა. განხილვის შედეგად თარგმანი ზოგადად დამაკმაყოფილებლად იყო ცნობილი.

გასულ წელს ამ თარგმანის ცალკეული ნაწყვეტები ავსტრიულ პრესაში იყო გამოქვეყნებული, რაც ასევე თარგმანის ხარისხსა და რუსთაველის პოემის მიმართ გერმანელი მკითხველის დაინტერესებაზე მიუთითებს.

ამჟამად პოემაზე მუშაობა სრულდება და ის მიმდინარე წლის ივლისში მზად იქნება დასაბეჭდათ.

ამასთან დაკავშირებით მომწიფდა თარგმანის დროულად გამოცემის საკითხი, რისი განხორციელებისათვის არსებობს შემდეგი შესაძლებლობები:

1. შ. რუსთაველის პოემის გერმანული თარგმანი გამოიცეს გდრ-ში, სადაც შესაძლებელია შესაბამისი გამომცემლობის გამოძებნა და გერმანელი სპეციალისტისაგან დამატებითი კვალიფიციური გამოხმაურების შეპირება.
2. პოემა გამოიცეს მოსკოვში „გამომცემლობა ლიტერატურა უცხო ენებზე"-ში, რისთვისაც გამომცემლობის გეგმაში გამოცემის შეტანის შესახებ სკკპ ცპ განკარგულება იქნება საჭირო.
3. პოემის თარგმანი გამოიცეს თბილისში, სადაც უკვე ინგლისურ ენაზე „ქართული პოეზიის ანთოლოგიის" დამაკმაყოფილებელი გამოცემის გამოცდილება არსებობს.
4. ივარაუდება თარგმანს დაერთოს მხატვრების თოიძის, ქობულაძისა და ზიჩის საუკეთესო ილუსტრაციები, მცირე ლექსიკონი და შესავალი სტატია რუსთაველის შესახებ.

სკკს გამგეობის თავმჯდომარე გოგლიძე

(ფონდი 14, ანაწყობი 27, საქმე 250, ფურც.4-5)

6/V. 1953 г.

Докладываю, что по инициативе ГОКС а и с согласия ЦК КП Грузии, в 1951 г. начата работа над стихотворным переводом поэмы Ш. Руставели «Витязь в тигровой шкуре» на немецкий язык. Переводчиком был приглашен поэт Гуго Гупперт, которого мы снабдили русским подстрочником поэмы, немецким подстрочником, сделанным в Верлине грузинским эмигрантом М. Церетели, а также всеми существующими русскими и иностранными переводами поэмы.

Одновременно редактором перевода был выделен проф. Ш. Нуцубидзе, который редактировал перевод в процессе работы и консультировал переводчика.

Переводчику Гупперту Была также предоставлена возможность двухкратного продолжительного пребывания в Тбилиси для консультации с нашими специалистами руствелологами.

С этой же целью ГОКС два раза устроил критический разбор отдельных глав перевода с участием специалистов руствелологов, знающих немецкий язык. В результате разбора перевод был признан в общем удовлетворительным.

В прошлом году отдельные отрывки этого перевода были опубликованы в австрийской прогрессивной печати, что также свидетельствует о качестве перевода и об интересе немецких читателей к поэме Руставели.

В настоящее время работа над переводом заканчивается и он будет готов к печати в июле текущего года.

В связи с этим назрел вопрос о своевременном издании перевода поэмы, для осуществления которого имеются следующие возможности:

1. Издать Немецкий перевод поэмы Ш. Руставели в ГДР, где можно подыскать соответствующее издательство и заручиться дополнительным квалифицированным отзывом специалиста – немца, а также окончательной языковой и стилистической правкой перевода.
2. Издать поэму в Москве в «Издательстве литературы на иностранных языках», для чего потребуется указание ЦК КПСС о включении издания в план издательства.
3. Издать перевод поэмы в Тбилиси, где уже имеется опыт удовлетворительного издания «Антологии грузинской поэзии» на английском языке.
4. Перевод предполагается снабдить лучшими иллюстрациями художников Тоидзе, Кобуладзе и Зичи, кратким словарем и вводной статьей о Руставели.

Председатель правления ГОКС Гоглидзе

(ფონდი 14, ანაწყობი 27, საქმე 250, ფურც. 4-5)

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი საარქივო მასალა ნაწილობრივ ავსებს საკითხის შესწავლაში არსებულ ხარვეზს და საინტერესოდ წარმოაჩენს საბჭოური კულტურული პოლიტიკის სულისკვეთებას.

შენიშვნები

[1] 1949 წლიდან საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების გამგეობის კონსულტანტ-რეფერენტი, უფრო გვიან ამავე საზოგადოების თავმჯდომარე.

[2] გასული საუკუნის 50 იან წლებში კანდიდ ჩარკვიანის თანაშემწე, ვისგანაც მას მ. პრიტვიცის მიერ პოემის თარგმნის დასრულების შესახებ უფიდან გამოგზავნილი წერილის კურირება დაევალა.

[3] გასული საუკუნის 50-იან წლებში საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების თავმჯდომარე.

[4] ავტორი – შტეფი ხოტივარი მოვლენებს ჰუგო ჰუპერტის მონათხრობის მიხედვით გადმოსცემს, მაგრამ გაუგებარი მიზეზებით საქართველოს უცხოეთთან კავშირის საზოგადოების მიერ ჰუგო ჰუპერტის თავდაპირველი მოწვევა, მისი რუსთაველის პოემის გერმანულ ენაზე დამოუკიდებელ მთარგმნელად მოწვევის ფაქტად არის წარმოჩენილი, რაც მას აძლევს შესაძლებლობას ამტკიცოს, თითქოს ჰუპერტმა მაშინ და, სავარაუდოდ, სიკვდილამდეც არაფერი იცოდა მარია პრიტვიცის შესახებ. სხვა წყაროებით დასტურდება, რომ ჰუგო ჰუპერტი თბილისში თავდაპირველად მარია პრიტვიცის თარგმანის რედაქტორად იყო მოწვეული, ამდენად, შეუძლებელია მას არ სცოდნოდა პრიტვიცის შესახებ.

[5] საქართველოს კულტურული კავშირის საზოგადოება (ГОКС).

[6] რუსთაველის ქმნილებას გერმანელი მკითხველი პირველად არტურ ლაისტის თარგმანით გაეცნო.

[7] *ვეფხისტყაოსნის* პირველი პოეტური თარგმანი არტურ ლაისტს ეკუთვნის.

დამოწმებანი

კარბელაშვილი 1978: გ. კარბელაშვილი, სულის ნაჟური, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

ნუცუბიძე 1966: შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

რუსთაველი 2005: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, გერმანული თარგმანი მარია პრიტვიცისა, შტეფი ხოტივარი-იუნგერისა და ელგუჯა ხინთიბიძის რედაქციით, თბილისი-ბერლინი, გამომცემლობა „ქართველოლოგი".

ფონდი 14: შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, ანაწყობი 24, საქმე 422.

ფონდი 14: შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, ანაწყობი 27, საქმე 250.

THE ARCHIVAL MATERIAL ABOUT HUGO HUPPERT – THE TRANSLATOR OF *THE KNIGHT IN TIGER'S SKIN*

Natela Jorjikia

In the article there is published a letter of the Austrian poet and public worker, Hugo Huppert sent to the secretary of the Central Committee of Communist Party, Kandid Charkviani on March 19, 1951. Hugo Hupert arrived to Georgia in 1950 on invitation of the International Society for Cultural Relations of Georgia with the aim of editing of translation of *The Knight in Tiger's Skin* fulfilled by Maria Prittwitz in German.

In the letter to be reviewed Huppert indicates with regrets about the dilettantish character and weaknesses and low artistic value of M. Prittwitz's translation. He considers it appropriate to fulfill the translation of the poem himself, for what he asks for support the addressee of the letter.

Other documents have been published too in the article: edition of the paper of the Writers' Union *The Literature and Art*, December 3, 1950 from which we understand that at the reading-reviewing of "the Knight in Tiger's Skin" translated into German by Hugo Huppert, arranged by the section of translators of the Writers' Union, the translation had been highly appreciated; the report letter of 1953, May 6, of the chairman of the Society of Cultural Relations of Georgia with foreign countries, Goglidze in which some details had been represented connected with fulfilling the translation by Hugo Huppert.

The article deals with the publications of Steffi Chotiwari-Junger, Shalva Nutsubidze and Givi Karbelashvili about the interrelation of translations of *The Knight in Tiger's Skin* fulfilled by two translators Maria Prittwitz and Hugo Huppert.

ისტორიოგრაფია

HISTORIOGRAPHY

ეროვნული საკითხის ქართული ინტერპრეტაციები *

ზურაბ თარგამაძე

ნაციონალური საკითხის კვლევა ქართული ისტორიოგრაფიისათვის არ არის ახალი და მას მნიშვნელოვანი ტრადიცია გააჩნია, თუმცა განსაკუთრებული პროფესიული ინტერესის საგანი ის მაინც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ხდება. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეროვნული საკითხის მიმართ ყოველთვის არსებობდა ინტერესი, მისი სრულფასოვნად შესწავლა (მით უფრო კონკრეტული მაგალითებისა) საბჭოთა პერიოდში, გასაგები მიზეზების გამო, არ და ვერ ხდებოდა. ყოველ შემთხვევაში, არსებული ცდები ვერ ცდება მარქსის სოციალური თეორიის ლენინისეულ ინტერპრეტაციას. ამდენად, შეუძლებელია მათი განხილვა, როგორც ამ მიმართულებით დამოუკიდებელი აზრის განვითარების ნიმუშებისა. გარდა ამისა, ამ კვლევებში უფრო მეტად საკითხის თეორიული შინაარსია წარმოდგენილი და მათში ნაკლებად ვხვდებით ისტორიული ფაქტებით გამყარებულ მაგალითებს. რაც ჩემთვის, როგორც ისტორიკოსისათვის, უმნიშვნელოვანესი მომენტია ამგვარი ტიპის კვლევებისათვის ისტორიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად.

როგორც ვთქვით, ვითარება იცვლება 80-90-იანი წლებისკენ, როდესაც შედარებით სუსტდება საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლების წნეხი რესპუბლიკებისადმი. საბოლოოდ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია ნელ-ნელა იწყებს გადასვლას ეროვნულ ნიადაგზე, მაგრამ დამოუკიდებლობის ოცდახუთი წელიწადი ნამდვილად არ არის საკმარისი კვლევის პრინციპულად ახალი სტანდარტის დამკვიდრებისათვის. ის, რომ სხვადასხვა მიმართულება ქართული საისტორიო კვლევებისა მეტ-ნაკლებად ფეხს უწყობს და არ ჩამორჩება თანამედროვე მიღწევებს, დიდწილად ადგილობრივი სკოლის კვლევითი ტრადიციის არსებობისა და რეგიონალური ისტორიის სპეციფიკის დამსახურებაა. განსაკუთრებით კი იმისა, რომ საკმაო დროის განმავლობაში ჩვენი დასავლელი კოლეგები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, ემუშავათ ქართულ წყაროებზე. ამდენად მათი ინტერესი საქართველოს ისტორიის საკითხებისადმი, მნიშვნელოვნად არის სამოცდაათწლოვანი ვაკუუმის შედეგი და არა თავად თანამედროვე ქართული კვლევების მოწინავეობისა და ინოვაციურობის (რასაკვირველია არსებობს მნიშვნელოვანი გამონაკლისებიც, თუმცა ზოგადი ტენდენცია ასეთია). უფრო რთულია ახალი და უახლესი პერიოდის ისტორიის მეცნიერული შესწავლის მდგომარეობა, საბჭოთა დროს არსებული ტრადიცია ამ ეტაპის ისტორიული სინამდვილის უგულებელყოფასა და დამახინჯებაში გამოიხატებოდა.

თანამედროვე ისტორიული კვლევა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მისთვის წინასწარი თეორიული საფუძვლების მომზადებასთან. საკითხების სირთულე და მრავალშრიანობა, როგორც წესი, ართულებს ერთგვაროვანი პოზიციის მიღწევის შესაძლებლობას, ეს კი ტრადიციული ისტორიული პარადიგმისათვის კატეგორიულად მიუღებელია. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ საისტორიო კვლევებში სოციალურ-კულტურული და თეორიული ხასიათის მსჯელობების ინტეგრირება სათანადოდ დღემდე ვერ ხერხდება, ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე ქართული საისტორიო მწერლობა ამის მაგალითია, ყურადღების მიღმა რჩება უამრავი საკითხი, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, ქართული საზოგადოებრივი და შემდგომ სამეცნიერო აზრის განვითარებისათვის .[1]

ეროვნული თვითცნობიერების/იდენტობის არსებობის, როგორც ფაქტის, უგულებელყოფა მხოლოდ იმის გამო, რომ ის წარმოადგენს ერის ობიექტურად არსებობის სუბიექტურ ასახვას, არასწორია. აზრი, რომ მისი არამატერიალური სუბიექტივისტური ბუნება შეუძლებელს ხდის მის გარშემო რაციონალურ და მეცნიერულ დისკუსიას, დამაჯერებლობას მოკლებულია.[2] მით უფრო მაშინ, როცა ზეპირად ყველა თანხმდება იმაზე, რომ საერთო ეროვნული ცნობიერების ფენომენი ნამდვილად არსებობს. სხვას რომ თავი დავანებოთ, შეუძლებელია არსებობდეს ასახვა იმისა, რაც არ არსებობს, და თუკი ერი ობიექტურად არსებობს და ეროვნული ცნობიერება მის ასახვას წარმოადგენს (რასაც ყველანი ვეთანხმებით), გამოდის, რომ ცნობიერების ანუ იდენტობის ისტორიის საკითხების კვლევაც გულისხმობს ობიექტური, მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენას. ეს კი მოითხოვს საკითხის ინტერდისციპლინარულ სიბრტყეში გაშლას, რისი აუცილებლობის შესახებაც ჯერ კიდევ 1983 წელს გამოქვეყნებულ ბროშურაში მიუთითებს გ. ყორანაშვილი:

> ...მოცემული საკითხის გააზრება (იგულისხმება ეროვნული ცნობიერების საკითხი,- ზ.თ.) უნდა მოხდეს ყოველმხრივად, კომპლექსურად, იგი უნდა წარმოებდეს მრავალი მეცნიერების შესაყარზე (ისტორიოგრაფია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება, რელიგიისმცოდნეობა, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია და სხვ.) ცალკეულ ამ მეცნიერებათაგან საკითხის მხოლოდ შესაბამისი ასპექტი თუ გაიგება. ...ეს უბრალოდ იმიტომ, რომ საკითხი ეროვნული ხასიათის, საერთოდ ფსიქოლოგიის შესახებ რთული და მრავალმხრივია. ...რამდენადაც აწმყოს რამდენადმე ადეკვატული გაგება შეუძლებელია ისტორიის

შესწავლის გარეშე, ამდენად ხალხს ან ერის ფსიქოლოგიის შესწავლა გულისხმობს მისი ისტორიის ცოდნასაც. თავის მხრივ, ეს ისტორია გულისხმობს როგორც საკუთრივ ეთნოფსიქოლოგიის ისტორიის, ისე, რა თქმა უნდა, საერთოდ ხალხის ან ერის, საერთოდ ეთნოსის, ნამდვილ ობიექტურ ისტორიას (ყორანაშვილი 1983: 20).

თუ თვალს გადავავლებთ ქართულ სამეცნიერო საისტორიო მწერლობას, დავინახავთ, რომ საქართველოს ისტორიის სხვა საკითხებთან შედარებით, დღესაც კი საგანგაშოდ მცირეა იმ ნაშრომების რაოდენობა, რომელთაც აღნიშნულ საკითხზე ისტორიკოსები ქმნიან და, რომლებიც ემსახურებიან ქართული ნაციონალიზმისა და ქართული ნაციის საკითხების ანალიზს, არადა, ამ ფენომენების გააზრების გარეშე ახალი და უახლესი პერიოდის ისტორიის კვლევა წარმოუდგენლად გვესახება.

ამდენად, ნაციისა და ნაციონალიზმის ფენომენების შესწავლა თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფი-ისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხად მიგვაჩნია. ასევე მინდა განვმარტო ის, რომ მის მნიშვნელობასა და აქტუალობას განსაზღვრავს არა მხოლოდ თანამედროვე ქართული პოლიტიკური ან კულტურული პროცესის თავისებურებანი და იმ დაბრკოლებათა გადალახვის მოთხოვნილება, რომლებიც პოსტსაბჭოთა პერიოდ-ში აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორები როგორც ჩვენი საზოგადოების დამოუკიდებე-ლი და ერთიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური სხეულის ჩამოყალიბებისათვის, ასევე ეროვნული ცნობიერების ფორმირებისას, არამედ იმ სტერეოტიპის უარყოფაც, რომლის თანახმადაც, ქართული აზრის განვითარები-სათვის უცხოა ეროვნული საკითხის შესახებ დისკუსია. [3]

ნაციებისა და ნაციონალიზმის შესახებ თეორიებში, სხვადასხვა მოსაზრებების პარალელურად, ყოველთვის არსებობდა მინიმუმ ამ მოსაზრებათაგან განსხვავებული და ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად საპირისპირო, მისი უარმყოფელი თეორიებიც. თუმცა აზრი იმის შესახებ, რაც სულ ცოტა ხნის წინ საკმაოდ პოპულარული იყო, და რაც გულისხმობდა იმას, რომ ნაციონალური საკითხი მოხსნილი იყო პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების დღის წესრიგიდან და, რომ პატრიოტიზმი და მსგავსი ემოციურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები გადალახულ მომენტებს წარმოადგენდნენ თანამედროვე პლურალისტური დემოკრატიული საზოგადოებებისათვის, თამამად შეიძლება ითქვას, უარყოფილია. [4]

ყოველ შემთხვევაში, დღევანდელობა იმის მაგალითად მაინც გამოდგება, რომ ისეთ რთულ ფენომენზე საუბრისას, როგორიცაა ერი, უპირველეს ყოვლისა, კატეგორიული და იმპერატიული განსაზღვრებების წამოყენებისაგან თავი უნდა შევიკავოთ. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ იმას, რომ ამ საკითხის გარშემო დისკუსია უნდა შეწყდეს, პირიქით, უნდა ვეცადოთ, რომ უფრო ღრმად ჩავიხედოთ მის შინაარსში და ამგვარად ავხსნათ დღევანდელი ნაციონალური და ეთნიკური სენტიმენტებით გაჟღენთილი საერთაშორისო და რეგიონული პოლიტიკურ-კულტურული დისკურსები. [5]

გასაგებია ისიც, რომ ნაციონალიზმისა და ნაციის ფენომენებზე საუბრისას, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე ეხება მისი კონკრეტული თეორიული მიდგომის მეშვეობით გაანალიზებას, ჩნდება გარკვეული უკმაყოფილება. რაც, ჩვენი აზრით, უპირველესად დაკავშირებულია იმ განცდასთან, რომ ეროვნული საკითხების შესახებ მსჯელობა, ამა თუ იმ ნაციის კულტურული და ისტორიული გამოცდილების თავისებურებისა და უნიკალურობის გამო, შეუძლებელია გარეშე (არა ეროვნული) თეორიების მეშვეობით, რომლებიც კონკრეტული გამოცდილების ფარგლებს მიღმა ჩამოყალიბდა.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად სხვადასხვა ისტორიული გამოცდილებისა, ადამიანური ცხოვრების ყველა ეტაპზე ისტორიული პროცესის მთლიანობის დადასტურებას წარმოადგენს ისიც, რომ, გარემოებათა სხვადასხვაობის მიუხედავად, უმნიშვნელოვანესი მომენტები ადამიანთა ცნობიერებაში ერთ ნიშნულამდე დაიყვანება. სწორედ ამიტომ ზოგადად სახელმწიფოებრიობისა და ეთნიკური და ნაციონალური იდენტობების ჩამოყალიბება, მიუხედავად გეოგრაფიული სიშორისა, პრაქტიკულად ყველგან იდენტურ გზას გადის. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებისადმი ერთობის წევრთა ინდივიდუალურ განწყობებში. სწორედ ამიტომაცაა, რომ არსებულ თეორიათა უმეტესობა, ერთი შეხედვით, ერთმანეთისაგან რაოდენ განსხვავებული ფილოსოფიური საფუძველიც არ უნდა ჰქონდეთ მათ, ერის განმარტებისას პრაქტიკულად ერთსა და იმავე ფორმულირებას გვთავაზობენ (ამ აზრით საინტერესოა სტალინისეული განმარტება ერისა). როგორ მნიშვნელოვან და საშურ საქმედაც არ უნდა გვესახებოდეს ახალი ეროვნულ-პატრიოტული თეორიების გამოგონება, უნდა გვესმოდეს, რომ, სამწუხაროდ, ისინი ვერ გასცდებიან უკვე არსებულ კონცეფციათა ჩარჩოებს.

როდესაც თეორიული მიდგომის არჩევამდე ან შექმნამდე მიდის საქმე, უნდა ვიცოდეთ, რომ ვიწყებთ არა რაიმე პრინციპულად ახლის აღწერას, არამედ არსებულ დამოკიდებულებათა სპეციფიკური გამოხატულებების გაცნობიერებას, კონკრეტული წინასწარ დადგენილი მეცნიერული სტანდარტისა და მოტივის შესაბამისად. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში საკითხის შინაარსი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ჩვენ ხელთ არსებული შესაძლებელობები, გადმოვცეთ ობიექტური მეცნიერული ცოდნა. ამიტომაცაა, რომ შემეცნების ყველაზე უფრო ღრმა ეტაპებზე ძნელია რაციონალურსა და ირაციონალურს შორის ზღვარის დადება და ამ დროს ჭეშმარიტების გადმოცემის ერთადერთი სწორი გზა მისი ემოციური და ინტუიციური

გააზრებაა. ეროვნული თვითშეგნება, ვგულისხმობთ კოლექტიურ ცნობიერებაზე დაფუძნებული ერთობის თვითცნობიერებას/იდენტობას, ეს სწორედ ის საკითხია, რომლის შესახებაც რაც არ უნდა სრულყოფილი და ყოვლისმომცველი განმარტება მოვძებნოთ, ყოველთვის აღმოჩნდებიან ადამიანები, მათ შორის კარდინალურად განსხვავებული პოზიციებიდან, ვისაც არ დააკმაყოფილებს განვითარებული აზრი (არა მხოლოდ პოზიციონერული თვალსაზრისით, არამედ ერთი შეხედვით, მათ ექნებათ საკმაოდ გამართული და არგუმენტირებული დასაბუთებაც). საკითხის სენსიტიურობა განაპირობებს იმასაც, რომ დღეს, დიდი ნაწილი, ჩვენი საზოგადოებისა (მათ შორის, მეცნიერულიც) ეროვნული საკითხის შესახებ მსჯელობისას მხოლოდ პოეტური და შემოქმედებითი გააზრებების იმედადაა და ნაკლებად ცდილობს მის მეცნიერულ დისკურსში მოქცევას. შექმნილი ვაკუუმი არის უმთავრესი მიზეზიც, ერთი შეხედვით, ცხადი და ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის სასიცოცხლოდ და პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო აზრთა სხვადასხვაობისა.

* * *

მანამ, სანამ უშუალოდ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადად ნაციონალიზმისა და ნაციის მნიშვნელობათა განმარტება. ამ საკმოდ ვრცელი, ზოგადი ხასიათის შესავლის მიუხედავად, აქვე გვინდა ვაუწყოთ მკითხველს ის, რომ, საკითხის ბუნებიდან გამომდინარე, ზოგადი ხასიათის მსჯელობებს სტატიის მომდევნო ნაწილებშიც შეეხდებით (ასევე უშუალოდ ეროვნული საკითხის ინტერპრეტაციების შესახებ მაგალითების განხილვისას წარმოდგენილი იქნება ვრცელი ციტატები, რაც, პირველ რიგში, საკითხის სრულყოფილად გაშუქების სურვილით არის გამოწვეული), თუმცა ვფიქრობთ, რომ ეს აუცილებელია არა მხოლოდ ჩვენთვის ანუ საკუთარი აზრის შედარებით სრულყოფილად წარმოდგენისათვის, არამედ თავად მკითხველისათვისაც, რათა მას უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნას ჩვენს სათქმელსა და არსებულ სურათზე.

დასავლეთში ნაციონალიზმისა და ნაციების ჩამოყალიბების დროს ერთობის კონსოლიდაცია მნიშვნელოვანწილად განსაზღვრული იყო დემოკრატიული და სამოქალაქო თანასწორობის იდეით, და მიმდინარეობდა კლასობრივი დაპირისპირების ფონზე. კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების პარალელურად, ხდება ეთნიკური ერთობის (ეთნიეს) ფორმის ცვლილება, მისი ნაციად გარდაქმნა. ამგვარ ფორმატში ჩამოყალიბებული ერების ტიპებს განიხილავენ, როგორც მოდერნიზაციის პროდუქტებს (ჩხარტიშვილი, მანია 2011/2012). თანასწორობისა და კუთვნილების საზიარობითი განცდა, ამ შემთხვევაში, განმსჭვალულია პოლიტიკური თანასწორობისა და თავისუფლების იდეით. ქართული მოდელის შემთხვევაში, ნაციონალიზმის იდეოლოგიის ფორმირების პერიოდში და ქართველი ერის ფორმირების საბოლოო ეტაპზეც, სახელმწიფოებრიობის არარსებობა განსაზღვრავდა კულტურული და ეთნიკური ნაციონალიზმის იდეების დომინანტობას, თუმცა არა ცალსახად, და ჩვენი აზრით, ის აუცილებლად გულისხმობდა, ამავე დროს, სამოქალაქო ანუ ერი-სახელმწიფოს დაფუძნების პერსპექტივასაც. უფრო მეტიც, რომ არა მეცხრამეტე საუკუნეში, რუსეთის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების ანექსია, ეს პროცესი ზუსტად ისეთივე გარდაუვალ და ისტორიულ კანონზომიერებად გვესახება, როგორც ევროპაში იყო. საქართველოსა და მისი მსგავსი შემთხვევები, ე.წ. პარადიგმული მოდელის ერებისაგან განსხვავდება იმით, რომ აქ ნაციონალური კონსოლიდაცია აბსოლუტურად გაცნობიერებულ მომენტს წარმოადგენს. ასეთ დროს სრულიად მიზანმიმართულად და შეგნებულად ხდება ნაციონალისტური იდეების გენერირება საზოგადოებაში (ნოდია: 2009).

რაც შეეხება *ნაციისა* და *ეთნიეს* [6], როგორც ერთგვარი სოციო-კულტურული ფენომენის ზოგად და ჩვენთვისაც მისაღებ მნიშვნელობას: *ეთნიე* (ეთნიკური ერთობა) და *ნაცია* არის გარკვეული ისტორიული ერთობა, რომელიც ემყარება ჯგუფის მიერ საკუთარი იდენტობის (თვითცნობიერების) ანუ კულტურული[7] თვითიგივურობის აღქმას და მასთან დაკავშირებულ სენტიმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სოლიდარობას ჯგუფის შიგნით. ამგვარი ერთობები ყოველთვის დაფუძნებულია კოლექტიურ ცნობიერებაზე.[8] თავისთავად კოლექტიური ცნობიერების განსაზღვრების საკითხიც უაღრესად საინტერესოა, თუმცა იმის გამო, რომ აღნიშნულ სტატიაში ჩვენთვის ის ჩვენი მსჯელობის მთავარ საგანს არ წარმოადგენს, არ შევეხებით მას საგანგებოდ. აღვნიშნავთ მხოლოდ ყველაზე უფრო განსხვავებულ დამოკიდებულებას ამ ფენომენთან დაკავშირებით, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს ერთიანი ცნობიერების პრინციპულ მნიშვნელობას ერის არსებობაში და ამგვარი მოსაზრების გაჩენას უკავშირებს ფსიქოლოგიაში მასის ფსიქოლოგიის გაგების დამკვიდრებას. ამ შეხედულების ძირითადი არგუმენტი არის ის, რომ სოლიდარობა, რაც ამოსავალ დებულებას წარმოადგენს კოლექტიური ცნობიერებისა, აბსოლუტურად გაცნობირებული აქტია და, ამდენად, ის ვერ იქნება მასობრივი, არარაციონალური ქმედებების საფუძველი (თევზაძე 2009).

საკითხში ჩახედული მკითხველი, ზემოთ მოყვანილი განმარტების შემდეგ იოლად მიხვდებოდა, რომ არსებულ თეორიათაგან ჩვენთვის მისაღებია ეთნოსიმბოლისტური კონცეფცია, რომელიც იმით არის საინტერესო, რომ პრინციპში წარმოადგენს უკვე არსებულ მოსაზრებათა სინთეზსს, სადაც ყველაზე

უფრო მეტადაა გათვალისწინებული საკითხის ზოგადი საფუძველები. ამ თეორიის მხარდამჭერებიც, მსგავსად მოდერნისტებისა, ერის საბოლოოდ ჩამოყალიბებას მეცხრამეტე საუკუნეს უკავშირებენ, თუმცა აღიარებენ მისი შექმნის ღრმა ისტორიულ საფუძვლებს. ეთნოსიმბოლისტები თვლიან, რომ ჯერ კიდევ ინდუსტრიამდელ ეპოქაში შეიქმნა გარკვეული ეთნიკური ერთობები (*ეთნიეები*), რომლებსაც ახასიათებდათ ერთმანეთის მიმართ ძლიერი სოლიდარულობა (სოლიდარულობის გაგებაში იგულისხმება ობიექტივისტური და სუბიექტივისტური განწყობების მთელი კომპლექსი, და თითოეული შემთხვევისათვის განიხილება ინდივიდუალური მოდელი). არსებითად ამ თეორიის კვლევის ობიექტს წარმოადგენს კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობა. თავად იდენტობა კი გულისხმობს იგივეობის თვითცნობიერებას.

ნაციად ქმნადობით ერთობა გადადის განვითარების აბსოლუტურად ახალ ფაზაში, რაც სულაც არ გულისხმობს იმას, რომ რომელიმე მომენტი, ობიექტურ ან სუბიექტურ ფაქტორთა შემადგენლობიდან უნდა გამოირიცხოს, პირიქით, ახლა მან საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნება: „უნდა მოახერხოს ორივე დონეზე, სოციალურ-პოლიტიკურსა და კულტურულ ფსიქოლოგიურზე" (სმითი 2008:86).

ისტორიული ფაქტორი უმნიშვნელოვანესია, როგორც სმითი განმარტავს: „ნაციის ღერძი ემყარება ეთნიკური ისტორიის ცოდნას, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ დედამიწის რომელიღაც კონკრეტულ ადგილას საერთო ისტორიის და ბედ-იღბლის ერთიანობაში თაობათა შორის უწყვეტი კავშირი ხორციელდება" (სმითი 2008:87).

ისტორიული კავშირი არ გულისხმობს მხოლოდ ვერბალურ მახსოვრობით მომენტს, პირიქით, მასში აუცილებლად იგულისმხება სოციალურ-პოლიტიკური და ზოგადად სახელმწიფოებრივი არსებობის მემკვიდრეობითობისა და აუცილებელობის პრაქტიკული განცდაც. ამდენად, ნაცია არის: „ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერთობა, რომელსაც უკავია სამშობლო მიწა და რომელსაც აქვს საერთო მითები და საზიარო ისტორია, საერთო საჯარო კულტურა, ერთიანი ეკონომიკა და ყველა წევრისათვის საერთო უფლება-მოვალეობანი" (სმითი 2004:17). ეთნიე კი ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერთობაა: „რომელიც დაკავშირებულია სამშობლო მიწასთან, აქვს საერთო მითები წინაპართა შესახებ, საზიარო მახსოვრობა, საზიარო კულტურის ერთი ან მეტი ელემენტი და გარკვეული ხარისხის სოლიდარობა ელიტის შიგნით მაინც" (სმითი 2004:17). საბოლოოდ გამოდის, რომ *ეთნიე* და *ნაცია* მსგავსი კულტურულ-ისტორიული ერთობებია და თავის მხრივ: „კულტურა არის სწორედ ის სისტემური მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც საუკუნეთა მანძილზე იდენტობრივი თვითიგივურობა შესაძლებელი ხდება" (კიკნაძე 2009:7).

სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელიც კი თავისთავად ეფუძნება კოლექტიურ ცნობიერებას და, პირიქით. საქმე ეხება არა გარკვეული მოდელის მხოლოდ ფორმალურ გამოხატულებას, არამედ მის შინაარსსა და ადგილს ერთობის ცნობიერებაში. სწორედ ამიტომაა, რომ კონკრეტული ფორმა მმართველობისა ზოგ შემთხვევაში ამართლებს, ზოგ შემთხვევაში – ვერ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ *ეთნიესა* (ეთნიკური ერთობა) და *ნაციის* შემთხვევაშიც კონკრეტულ კულტურულ ფორმატში საერთო ნიდაგზე, წინასწარი განწყობის საფუძველზე ყალიბდება ჯგუფების თვითცნობიერება და მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მომენტებიც. ეს პროცესი თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია ერთიანი ისტორიული მახსოვრობის უწყვეტობასა და მის შინაარსზე.

ზოგადად ეროვნული თვითცნობიერების/იდენტობის საკითხში, მისი შემადგენელი ელემენტების მიხედვით განასხვავებენ რამდენიმე მომენტს. ვეცდებით შეძლებისდაგვარად მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი. პირველი, რასაც გვინდა შევეხოთ, ეს არის ფსიქოლოგიური განზომილება. ის იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ეფუძნება ნაციის წევრთა შორის ერთიანობისა და სიახლოვის განცდას. თუმცა, როგორც ვთქვით, ზოგიერთი მკვლევარი ფსიქოლოგიურ განზომილებას უაღრესად სუბიექტურ და ირაციონალურ მოცემულობად მიიჩნევს. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ სწორედ ამ განცდის საფუძველზე, ადამიანები ხშირად ნირავენ თავს ნაციის კეთილდღეობისათვის. მეორე უმნიშვნეოოვანესი ფაქტორია კულტურული განზომილება. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული აზრით, კულტურა არის ის, რაც არის ამავე დროს ფსიქოლოგიური განზომილებაც და, პირიქით. კულტურის შემადგენელი ნაწილები: ფასეულობები, რწმენები, წეს–ჩვეულებები, ქცევის ნორმები, ეკონომიკა, პოლიტიკა, ტექნიკური რევოლუციები და ა.შ. აყალიბებენ თაობებში ფსიქო-ემოციურ ერთიანობას და განსაზღვრავენ კოლექტიური თვითცნობიერების სიმტკიცესა და თავისებურებებს. რაც შეეხება ისტორიულ განზომილებას, როგორც უკვე განვმარტეთ, ნაცია არის ერთობა, რომელიც საერთო წარსულისა და ისტორიული ბედის სუბიექტივისტურ განცდას ეფუძნება. ამდენად, მისთვის ისტორიული მომენტი უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან სწორედ ასეა შესაძლებელი ერთიანობის დადასტურება. ისტორიულ განზომილებაში იგულისხმება, როგორც მიმდინარე პროცესი (რაც არსებითად კულტურულ აქტივობასაც გულისხმობს), ასევე უკვე მომხდარი და, მათ შორის, ისიც კი, რომელიც მომავალში უნდა მოხდეს. სწორედ ის პროცესები, რომლებიც აყალიბებენ საერთო ცნობიერებას ანუ ფსიქოლოგიას. ისტორიული ბედის წარმოდგენა მთლიანად დაკავშირებულია განცდებთან, ამიტომ ნაკლები მნიშვნელობა აქვს ფაქტობრივ, რეალურ ისტორიას (ისტორიული განზომილების ქვეშ, მოვიაზრებთ, როგორც

კოლექტიური ცნობიერების/ფსიქოლოგიის მნიშვნელობას, ასევე კოლექტიურობის ინდივიდუალური განცდის შედეგად ჩამოყალიბებულ პერსონალურ დამოკიდებულებებს). შემდეგი არის ტერიტორიული განზომილება, ანუ სამშობლო მიწის საკითხი, რომელიც არსებითად გულისხმობს ჭურჭელს, რომელშიც მიმდინარეობს კულტურულ-ისტორიულ პროცესებთან დაკავშირენული რთული რეაქციები და რომელშიც ყალიბდება ეროვნული სხეული. ერთი და იმავე ადგილას თანაცხოვრების ისტორიული გამოცდილება, განაპირობებს იმას, რომ ნაციის განკარგულებაში აუცილებლად უნდა იყოს რეალური ან წარმოსახვითი ტერიტორია. ბოლო საკითხი, რომელსაც გვინდა შევეხოთ, არის ნაციონალური იდენტობის პოლიტიკური განზომილება. ერთიანი პოლიტიკური იდენტობის ჩამოყალიბება წარმოადგენს სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ძირითად საფუძველს. პოლიტიკური განზომილებისათვის უმნიშვნელოვანესია სამოქალაქო ცნობიერების არსებობა, ვინაიდან ის, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ერთობის წევრთა ნებაყოფლობით გამოხატულ სურვილს, იცხოვრონ ერთ სახელმწიფოში, რაც არის უმთავრესი გარანტი სტაბილურობისა განსაკუთრებით მრავალეთნიკურ ქვეყნებში.

ზემოთ აღწერილ განზომილებათა კომპლექსურობა, კარგად აჩვენებს ნაციონალური საკითხის რთულ ბუნებას. ვფიქრობთ, რომ მის შინაარსში უფრო ღრმად ჩახედვა და ზოგადი კანონზომიერებების აღმოჩენა მხოლოდ ხელს შეუწყობს დარგის განვითარებასა და უფრო სრულყოფილს გახდის ისტორიული სურათის რეპრეზენტაციას, ვიდრე, პირიქით. მით უფრო მაშინ, როცა, როგორც სტატიის მომდევნო ნაწილში დავინახავთ, დაინტერესებას ამ საკითხებითა და დამოუკიდებელი ქართული აზრის განვითარებას მის შესახებ, საკმაო ხნის ტრადიცია გააჩნია. ლოგიკურად მიგვაჩნია სტატიის ამ მონაკვეთის დასრულება ა. ჯორჯაძის ერთ-ერთი წერილიდან ამონარიდით, რომელიც ჩვენ მიერ ზემოთ თქმულს ადასტურებს: „დღეს ეროვნული პრობლემა არა მარტო თეორიულ და „რომანტიულ" ინტერესს წარმოადგენს, არამედ სამკვდრო სასიცოცხლო საგანს, იმისთანა რამ საგანს, რომელიც ჰყოფს ქართველ ინტელიგენციას ორ დიდ ბანაკად, ორ მთავარ ბანაკად" (ჯორჯაძე 1911: 23-24).

* * *

საქართველოში, ეროვნული საკითხის გარშემო მსჯელობამ, ინტენსიური ხასიათი შეიძინა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ქართველი ერის ფორმირების პერიოდში. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგიისა და ეროვნული საკითხის ჩამოყალიბება, მნიშვნელოვნად იყო განსაზღვრული მაშინდელი ისტორიული რეალობით. ის, რომ ცალკეულმა ქართულმა სამეფო-სამთავროებმა დამოუკიდებელი არსებობა შეწყვიტეს, ყველასათვის ცნობილ მიზეზთა გამო, ვფიქრობთ, რომ უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო და განსაზღვრავდა ამ მოძრაობის ხასიათს. და თუმცა, რეაქცია ქართული საზოგადოებისა საუკუნის დასაწყისშივე, ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებლობის გაუქმებისთანავე იყო მყისიერი, და ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით, თავისი შინაარსით, სახალხოც, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით სრულიად ახალ ფაზაში გადადის ის და რეალურად იძენს, გამოკვეთილ ნაციონალისტურ ხასიათს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ისტორიისაა და ქართული სახელმწიფოებრიობის ყველა ეტაპზე არსებობდა იდენტობის გამომხატველი კონკრეტული ფორმულები, მეცხრამეტე საუკუნეში, ილიას მიერ ჩამოყალიბებული ქართული ნაციონალიზმის იდეა, მიუხედავად იმისა, რომ ის ეფუძნებოდა ქართველთა საერთო ისტორიულ ტრადიციას, და, ბუნებრივია, რომ მას ეძებნება პარალელები უწინდელ კონცეფციათა შორისაც (ეს ასეც უნდა ყოფილიყო), არსებითად სიახლეს წარმოადგენს. ამ იდეასა და ძველს შორის პრინციპული სხვაობა, გამოიხატება იმაში, რომ ეროვნული მოძრაობისათვის უმნიშვნელოვანესი მომენტია მისადმი მთლიანი საზოგადოების (ან მისი უმრავლესობის მაინც) ერთგულება, მაშინ, როცა უფრო ადრეულ ეტაპებზე ერთიანობის უმთავრეს საზომს სახელმწიფოსა და მეფისადმი მმართველი ელიტის კეთილგანწყობისა და მორჩილების ხარისხი წარმოადგენდა.

განხვავებული, ე.წ. პრიომორდიალისტური აზრის მიხედვით, ეროვნული ცნობიერების უფრო ადრეულ ეტაპებზე არსებობის მაგალითია, მეფისა და უბრალო მოსახლეობის მხარდამხარ ბრძოლის ისტორიული ფაქტები. საქმე ისაა, რომ ასეთ დროს, ვგულისხმობთ მეფისა და ხალხის ერთობლივი ბრძოლის შემთხვევებს, უმთავრესს ინდიკატორს ალიანსისა წარმოადგენდა მოშლილი სახელმწიფოებრივი ინსტიტუციები და არასტაბილური პოლიტიკური ვითარება. საგულისხმოა, რომ ასეთი კავშირები უპირველესად მიმართული იყო ადგილობრივი მმართველების წინააღმდეგ, რომლებიც ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახიათებელი კლასობრივი ურთიერთობების ჩარჩოებიდან გასულები იყვნენ და, იმის მაგივრად, რომ უზრუნველეყოთ მოსახლეობის უსაფრთხოება, თავად წარმოადგენდნენ უმთავრეს საფრთხეს მათთვის (საგარეო მტერზე მეტადაც კი). ინტერესთა თანხვედრა, ვგულისხმობთ, ერთი მხრივ, მეფის სურვილს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და, მეორე მხრივ, უბრალო მოსახლეობის სურვილს მშვიდი ცხოვრებისა, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ნაციონალური ერთგულების ფაქტად. ამ დროს, მოტივაცია, საერთო მტრის წინააღმდეგ მოსახლეობის ბრძოლისა, როგორც აღვნიშნეთ, საკუთარი უსაფრთხოების დაცვა უფრო

იყო და ის არ გამოიხატებოდა სახელმწიფოსადმი ერთგულების იმ პრინციპით, რომელსაც პოლიტიკური მმართველობისადმი პირდაპირი და უშუალო კავშირის განცდა აყალიბებს.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა, მიუხედავად იმისა, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანვე გახდა საფუძველი მნიშვნელოვანი გამოსვლებისა, ინტელიგენციისათვის, როგორც ამას მოგვიანებით განვითარებული პროცესები აჩვენებს, არ იყო მთავარი ფაქტორი. მართალია, ქართული არისტორკატია ცდილობდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, თუმცა მისთვისაც უპირველეს მიზანს საკუთარი უსაფრთახოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ, მიუხედავად პატრიოტული განწყობებისა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, შეწყალებული ქართული არისტოკრატია (ყოველ შემთხვევაში, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი), უდიდესი თავგამოდებით, რუსულ მუნდირში გამოწყობილი აგრძელებდა სამშობლოს „მსახურებას". ერთგვარი გაორებული ცნობიერება, ერთი მხრივ, ილუზია იმისა, რომ კანონმორჩილებითა და სახელმწიფო სამსახურში ჩადგომით, ვემსახურებით სამშობლოს და, მაშასადამე, ეროვნულ ინტერესებსაც, და, მეორე მხრივ, არსებული ისტორიული რეალობა, როდესაც კანონები, რომლებსაც ვემორჩილებით, უცხოა და სამშობლო, რომელსაც ემსახურები, სინამდვილეში დაპყრობილია, სწორედ იმის მიერ, ვის კანონებსაც ვერთგულებთ, წარმოადგენდა ქართულ ინტელიგენციასა და უბრალო ხალხში მორალური და ზნეობრივი კატეგორიების მოშლის საფუძველს და მათ შორის არსებული უფსკრულის კიდეე უფრო გაღრმავებას უწყობდა ხელს. ღირებულებათა სისტემის ნიველირება, სულ ცოტა, საერთო ნაციონალური ინტერესების ბუნებრივ ჩამოყალიბებას უშლიდა ხელს და იწვევდა მის დამახინჯებას.

რუსულ მუნდირში გამოწყობილი ქართული ინტელიგენციის ნებისმიერი აქტივობა, უპირველასად ემსახურებოდა კეთილი უფროსი ძმის სტერეოტიპის დამკვიდრებას (ამ მიმართულებით პოლიტიკა არც შემდგომში შეცვლილა). იგივე პრაქტიკა გაგრძელდა საბჭოთა პერიოდშიც, როდესაც მაქსიმალურად ცდილობდნენ ქართული პოლიტიკური, კულტურული და სამეცნიერო ინტელიგენციის ასოცირებას, ერთი მხრივ, ფსევდო ეროვნულ-პატრიოტულ მოტივებთან და, მეორე მხრივ, საბჭოთა რუსულ მმართველობასთან. ეს ისეთივე სიყალბე იყო, როგორც საბჭოთა კონსტიტუციით გარანტირებული დემოკრატიული წყობა და პრინციპი ერთა თვითგამორკვევის უფლებისა. საბოლოო ჯამში, როგორც აღვნიშნეთ, ეს პოლიტიკა, მიზნად ისახავდა ქართულ ცნობიერებაში სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლად არსებობის ნამდვილი იდეის სუროგატი იდეით ჩანაცვლებას. როგორც დღევანდელობა აჩვენებს ამას, დამოუკიდებლობის ილუზია იმდენად ძლიერი და ტკბილი აღმოჩნდა, რომ დღესაც კი ის, საქართველოს მოსახლეობის საკმაო ნაწილისათვის, საგარეო და მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისას უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს.

ამდენად, მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების ეროვნული მოძრაობის ლიდერთა შემოქმედებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა ამგვარი სიმბოლოების მსხვრევას. ეროვნული კულტურისა და ისტორიის წინა პლანზე წამოწევა, ხაზგასმა საერთო ქართული ფსიქოლოგიის მანკიერ და დადებით მომენტებზე, ყურადღების გამახვილება სამშობლო მიწის/ტერიტორიის საკითხებზე, მიზნად ისახავდა ერთიანი ქართული ცნობიერების კონცენტრირებას ისეთ მომენტებზე, რომლებიც უფრო ღრმა ისტორიული საფუძველით იყო განპირობებული. მოცემულ სიტუაციაში კონკრეტული პოლიტიკური მიზნების დასახვა, პრაქტიკულად გამორიცხული იყო, თუმცა ერთიანი ნაციონალური თვითცნობიერების ჩამოყალიბება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამომავლოდ ამგვარი პრაქტიკული შესაძლებლობების წარმოდგენას არ გამორიცხავდა (ავტონომიის იდეა ამის დადასტურებას წარმოადგენს). იმას, რომ ქართული ნაციონალიზმის მიხედვით, ქართველობა, მშობლიური ერის კონცეფციის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული კანონზომიერების, დემონსტრირების გზით, უნდა გამხდარიყო ერთგვაროვანი თვითცნობიერების მატარებელი ნაცია, განაპირობებდა უპირველესად ქართველი ხალხის თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილება და მისი პრაქტიკული მაგალითების სიჭარბე არსებულ ნარატივში.

ამიტომაც იყო ახალი ეროვნული მოძრაობის წევრთა პროპაგანდა ძირითადად მიმართული ისტორიული და, ამასთანავე, ეთნიკური მომენტების აქტუალიზაციისაკენ. საგანგებოდ უნდა აღინიშოს ის, რომ ამ მოსაზრებებსა და დამოკიდებულებებს არასოდეს მიუღია იმგვარი ფორმა, რომ წინააღმდგეობაში მოსულიყო სამოქალაქო ნაციონალიზმის იდეასთან, და, მით უფრო, გამხდარიყო საფუძველი ეთნიკურ მოტივებზე ჩამოყალიბებული კონფლიქტებისა. ეთნიკურობის ძალიან სენსიტიურ გაგებას ამოფარებულ, სინამდვილეში გენეტიკურ-სელექციონერული ნაციონალიზმის იდეას, საქართველოში არასოდეს ჰქონია იმგვარი გასაქანი, როგორც დღეს აქვს და, რომელსაც რეალურად საერთო არაფერი აქვს მის ნამდვილ გაგებასთან. ეთნიკურობის საკითხს, ნაციონალიზმის იდეებში, მათ შორის, ნაციონალიზმის ევროპულ მაგალითებშიც, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და უკავია კიდეც, მიუხედავად ამისა, ის კონცეპტუალურად არასდროს მოსულა წინააღმდეგობაში ტოლერანტობისა და სოლიდარობის უმნიშვნელოვანეს პრინციპებთან.

მეცხრამეტე საუკუნეში, ქართული ნაციის ფორმირების დასკვნით ეტაპზე, ეროვნული მოძრაობის ლიდერებისათვის უმთავრესი მომენტი გახდა ეროვნული იდეის ინტერპრეტაციის საკითხი. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება პირველი დისკუსიები ეროვნული საკითხის გარშემო:

> მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველი ინტელეგენცია აღნიშნული ფაქტის მნიშვნელოვნებას აცნობიერებს და იწყება ეროვნული იდეის ცალკეული თემების ინტენსიური დამუშავება. სწორედ ამ დროს იქმნება ქართული ნაციონალური ნარატივის ძირითადი „სამშენებლო ბლოკები" და ყალიბდება ეროვნული იდეა, რომლითაც ქართული ერთობის აქტიური უმრავლესობის გამსჭვალვის შედეგს წარმოადგენს ქართველი ერი (ჩხარტიშვილი, მანია 2011/2012: 73).

ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი პუბლიცისტური თუ სალიტერატურო მოღვაწეობით ქართული ერთობის თანამედროვე კონცეფციის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად. პრაქტიკულად: „*ივერია* აყალიბებდა ქართულ ნაციონალურ იდენტობას საერთო ეთნიკური (და არა ნაციონალური, რომელიც ამ დრომდე არ არსებობდა,- ზ.თ.) წარსულის აქტუალიზაციის გზით" (ჩხარტიშვილი, მანია 2011:14).

თვითცნობიერების ნაციონალისტური ფორმის ჩამოყალიბებისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ იდეებისადმი მოსახლეობის უმრავლესობაში ჰომოგენური განწყობების დანერგვა. რისთვისაც იმ პერიოდისათვის არსებულ შესაძლებლობათაგან ყველზე უფრო მოსახერხებელი ბეჭდური მედიის გამოყენება იყო (მეორე მხრივ, ბეჭდური მედიის არსებობა თავადაც არის ერთგვარი წინაპირობა და ბიძგის მიმცემი ამგვარი მოძრაობეის გაჩენისათვის).

ამ პერიოდის ქართული პრესის ზედაპირული ანალიზიც კი აჩვენებს იმას, რომ პრაქტიკულად არ დარჩენილა არც ერთი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი, ჟურნალი თუ გაზეთი, რომელსაც ყურადღება არ ჰქონდეს გამახვილებული ნაციონალურ საკითხზე. მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე მეოცე საუკუნის 30-იან წლებამდე გამოსული პრესა, მასში დაფიქსირებული პოზიციების თვალსაზრისით შესაძლებელია, ორ ძირითად ნაწილად გავყოთ. ერთი იყო ილიასეული კონცეფციის გამტარებელი, მეორე კი ე.წ. მარქსისტ-ლენინური. ამ პერიოდის ჟურნალ-გაზეთებიდან აღსანიშნავია: *ივერია, დროება, კვალი, ცნობის ფურცელი, მოამბე, მოგზაური, ისარი, ამირანი, სიმართლის ხმა, ფიქრი, კომუნისტი, კომუნიზმის დროშა, მოსკოვის პრავდა* და ა.შ. როგორც ვთქვით, მსოფლმხედველობრივი პლატფორმის ორივე მხარეს პუბლიცისტები ნაციონალური საკითხის შესახებ საკუთარი იდეების პროპაგანდისათვის აქტიურად მიმართავდნენ ბეჭდურ მედიას. ილიასა და მისი მომხრეების შემთხვევაში *ივერია* იყო ის ადგილი, სადაც უნდა გარკვეულიყო ქართველთათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები:

> ივერიასეულ (ილიასეულ) ქართველი ერის ნარატივში წარმოდგენილი იყო ყველაფერი, რაც უნდა სცოდნოდა ქართული ერთობის თითოეულ წევრს მშობლიური ერთობის შესახებ: როდის და სად წარმოიშვნენ, რაში მდგომარეობდა მათი კულტურის უნიკალობა, როგორი იყო მათი მომავალი, ვინ, რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელი, ან საქართველოს რომელი კუთხის მკვიდრი შეიძლება მოაზრებულიყო ქართული ერთობის წევრად და ა.შ. ამ ტიპის კითხვებზე პასუხების გასაცემად *ივერიას* ჰქონდა მუდმივი რუბრიკები. განმეორებადი თემები. არც რუბრიკების, არც თემების არჩევანი, ცხადია, არ შეიძლება ყოფილიყო (და არც იყო) შემთხვევითი, ისინი წარმოადგენდნენ ქართული ეროვნული ნარატივის კონსტრუირებისათვის საჭირო მასალას (ჩხარტიშვილი, მანია 2011/2012: 73).

როდესაც ეროვნულ საკითხთთან დაკავშირებით ილიასეული მოსაზრებების შესახებ ვმსჯელობთ, გვერდს ვერ ავუვლით მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ფრანგი მოაზროვნის ე. რენანისადმი. აღნიშნული საკითხი (ისევე, როგორც ილიას ნაციონალისტური კონცეფცია), საკმაოდ კარგად არის შესწავლილი ქართველი მკვლევრების მიერ და ამჯერად მასზე დაწვრილებით არ შევჩერდებით.[8] საჭიროდ მიგვაჩნია მხოლოდ იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ რენანის შეხედულებებისადმი ილიას დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია იმან, რომ უპირველესად ქართველი საზოგადო მოღვაწე ფრანგ მოაზროვნეში ხედავდა საკუთარ თანამოაზრეს და მისთვის, როგორც ქართველი ერის იდეის ჩამომყალიბებლისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო დასავლური, კერძოდ, ფრანგული გამოცდილების გაზიარება (ჩხარტიშვილი, მანია: 2011/2012). როგორც ირკვევა, ილიასეული ხედვა ეროვნული საკითხისა არ იყო ერთგვაროვანი და ის ვითარდებოდა კონკრეტული ისტორიული მოცემულობისა და ქართველი ხალხის ზოგადი ფსიქოლოგიური პორტრეტის გაცნობიერების კვალდაკვალ. გ. ნოდია (და არა მარტო) ილიასეული ეროვნული კონცეფციის ჩამოყალიბებაზე შენიშნავს, რომ მასზე გავლენა ჰქონდა პოლიტიკურ პროცესებსაც. კერძოდ, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომმა და საქართველოს შემადგენლობაში მისი ისტორიული მინების დაბრუნების პერსპექტივამ განაპირობა ნაციონალური იდენტობის მოდიფიცირებული, საერთო ისტორიულ წარსულზე ორიენტირებული გაგების ფორმირება (ნოდია: 2009). ამ მოსაზრების მტკიცებულებას წარმოადგენს ილიას შემდეგი ციტატი, მისი ერთ-ერთი ცნობილი წერილიდან: „როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა, რომელსაც აღარ ახსოვს, ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ესევე ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც თავისი.... ისტორია არ ახსოვს" (ჭავჭავაძე 2012: 13).

ეროვნული საკითხის თეორეტიზების თვალსაზრისით, საინტერესოა ილიას მრავალი ნაწარმოები. წინამდებარე სტატიაში ჩვენ ილიას პუბლიცისტური და შემოქმედებითი მოღვაწეობის ამ თვალსაზრისით

განხილვას არ შევუდგებით, იმის გამო, რომ ამ საკითხებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიეძღვნა არაერთი სტატია და მონოგრაფიული კვლევა, რომელთა ძირითად დასკვნებს ჩვენც ვიზიარებთ. ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში იმის ჩვენებაა, რომ ილიასეული კონცეფცია, რომელიც მოგვიანებით, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში საფუძვლად დაედო ერთგვარ ორგანიცისტულ (უნდა ითქვას, რომ სისხლის ერთობისა და რასობრივი უნიკალურობის განცდა სრულებით არ არის გამორიცხული ილიასეული ნაციონალისტური ხედვიდან, განსხვავება მასში და ქვემოთ მოყვანილ მაგალითს შორის არის ის, რომ საბჭოთა პერიოდში ეროვნული იდეის ცენტრში ამგვარი დამოკიდებულების დაყენებით, მიზნად ისახავდნენ ლოკალური კონფლიქტების წახალისებას, ილია კი ამგვარ მომენტებზე ხაზგასმით ცდილობდა იმ საერთო გადაკვეთის წერტილების მოძებნას, რომელიც ერთიანი ისტორიის იდეასთან ერთად შეასრულებდა დამხმარე როლს და ხელს შეუწყობდა ეროვნულ კონსოლიდაციას) ნაციონალისტურ ხედვას, პრინციპულად ეწინააღმდეგება მის ნამდვილ შინაარსს. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, საბჭოთა პერიოდში პროპაგანდირებული ილიასეული ცნობილი ტრიადის *მამული, ენა, სარწმუნოება* (საგულისხმოა, რომ სწორედ ამ ფორმულის ტირაჟირება ხდებოდა და არა მისი მოდიფიცირებული ვარიანტისა, სადაც სარწმუნოების ადგილს ისტორია იკავებს), დამახინჯებული გააზრებაა. ნებისმიერი ქართველის წარმოდგენაში, ისევე, როგორც სხვებისათვისაც, მამული სამშობლო მიწასთან ასოცირდება. საბჭოთა პერიოდში ხდება ქართული მამულის იდეის, როგორც პრაქტიკული, ისე ვერბალური გაგების, დემონტაჟი. ბუნებრივია, სამშობლო ტერიტორიის სრულფასოვანი წარმოდგენა/აღქმა, როდესაც რეალური გარანტია მისი კონკრეტულ საზღვრებში გრძელვადიანი ფიქსაციისა არ არსებობს, და, პირიქით, გვაქვს მაგალითები, მისი სასოფლო-სამეურნეო მიზნით მოძმე ხალხებისათვის გადაცემისა (საქართველოს, დემოკრატიული რესპუბლიკას დაფუძნებისას ეკავა 107,600 კვ. კმ. ტერიტორია, ხოლო 1991 წელს დამოუკიდებლობის ხელმეორედ გამოცხადებისას კი 69,700 კვ. კმ., საბჭოთა მმართველობისას ქართული მიწები გადაეცა რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის სოციალისტურ რესპუბლიკებს), რომ აღარაფერი ვთქვათ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების შექმნაზე, შეუძლებელი იყო. არც ნაციონაური ენის მდგომარეობა იყო უკეთესი, ადამიანური მსხვერპლის ფასად ნარჩუნდება მისი ფასადური მნიშვნელობა. პრაქტიკულად სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ხდება სხვა ქართველური ენების, მეგრულისა და სვანურის წახალისება, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ოსურსა და აფხაზურზეც, რითაც ქართული ენის, როგორც გამაერთიანებლის, მნიშვნელობა კნინდება. საერთო ენას ნაციონალური იდენტობისათვის მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც მისი მეშვეობით ხდება ერთიანობის ფაქტის გაცნობიერება. რაც შეეხება სარწმუნეობას, საბჭოთა რეალობა, განსაკუთრებით მოგვიანო პერიოდში, გულისხმობდა რელიგიურობისა და ანტირელიგიურობის საოცრად სპეციფიკურ, ერთგვარად სინთეზირებულ განცდას. ამგვარ ფორმატში ჩამოყალიბებული ქართული, თუნდაც ავტოკეფალური ეკლესია, ვერ ასრულებდა გამაერთიანებლის როლს. ამდენად, ილიასეული ტრიადის ინტერპრეტაცია, საბჭოთა მოცემულობაში ემსახურებოდა ეროვნული იდეის შესახებ თვითკმაყოფილი ქართველი კაცის წარმოსახვის გაძლიერებას მხოლოდ. ყოველივე ამის ფონზე, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, არც არის გასაკვირი, რომ ცნობილი ტრიადა ტრანსფორმირდა ეროვნული საკითხის რასობრივ აღქმად.

ამ ფორმატში მსჯელობიდან ავტომატურად ირიცხებოდა საერთო ისტორიის შესახებ ილიასეული ორიგინალი იდეის აღორძინება, რაც მის მიერ ეროვნულ საკითხში გამოკვეთილ მომენტებს შორის უმთავრესი გამაერთიანებლის ფუნქციას კისრულობდა. მისეულ რეალურ პოზიციასა და საბჭოთა პროპაგანდის მიერ შემოთავაზებულ კონცეფციას შორის განსხვავების თვალსაჩინოებას ილიას მიერ 1888 წელს გამოქვეყნებული პატარა წერილიც წარმოადგენს:

> ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდ-პატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად საყოველთაოდ. ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღელისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკა თლა ლხინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თავის-თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვია (ჭავჭავაძე 1987: 19).

ან კიდევ: „ყველამ ერთად და თვითეულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე“ (ჭავჭავაძე 1987: 20-21).

ზემოთ მოყვანილი ციტატები ჩვენთვის წარმოადგენს საფუძველს, ვივარაუდოთ, მინიმუმ ის, რომ ქართველი ერის მამად წოდებული ილიასათვის უმთავრესი იყო საერთო ეროვნული ინტერესების გამონახვა სრულიად განსხვავებული შემთხვევებისათვისაც, როგორც კლასობრივი, რელიგიური ასევე ეთნიკური თვალსაზრისით. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ მისი მიზნებიდან გამორიცხული იყო დაპირისპირება, რასაც ვერ ვიტყვით საბჭოთა სივრცეში ფორმულირებული ქართული ნაციონალისტური იდეის შესახებ.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ილიასეული სტრატეგია მეცხრამეტე საუკუნეში, მისაღები აღმოჩნდა ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის, მათ შორის. პრინციპულად განსხვავებული მსოფლმხედველობრივი პოზიციის მქონეთათვისაც. თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ რამდენიმე მათგანზე საგანგებოდ გავამახვილებთ ყურადღებას.

ერთ-ერთი პირველი, ვისი მოსაზრებათა განხილვაც გვინდა, სოციალ-ფედერალისტი არჩილ ჯორჯაძეა. მისი შეხედულებები ეროვნული საკითხის შესახებ სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა: *ამირანში ისარში, დროებაში* და ა.შ. ჯორჯაძის შრომებიდან აღსანიშნავია: *სამშობლო და მამულიშვილობა, ეროვნული საკითხის განმარტების გამო, ეროვნული პრობლემა საქართველოში, ქართული ერის წარმოშობის და განვითარების ისტორიის მიმოხილვა* და სხვ. ჯორჯაძეც, მიუხედავად იმისა, რომ მისი მსოფმხედველობრივი პოზიცია ეროვნულ საკითხში ლოგიკურად განსხვავებული დამოკიდებულების გახმოვანებას მოითხოვდა, ილიას მსგავსად, იზიარებდა საერთო ნიადაგის თეორიას (სწორედ ამის გამო ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებს მასთან, როგორც სოციალიზმის მიმდევართან, პრეტენზიები). საგულისხმოა ისიც, რომ თუ მეცხრამეტე საუკუნეში ეროვნული საკითხის შესახებ მსჯელობები ჩამოყალიბების ფაზაში იყო და, ამდენად, ხშირად ამ თეორიათა შესახებ მხოლოდ შემოქმედებით გააზრებებს ვხვდებით, მეოცე საუკუნის დასაწყისში სახეზე გვაქვს მისი მიახლოება მსჯელობის მეცნიერულ სტანდარტებთან. არჩილ ჯორჯაძის პუბლიცისტიკა ამის თვალსაჩინო მაგალითა. განსხვავებით სამოციანელების ესეისტიკისაგან, მისი პუბლიკაციები ემსახურება უფრო მეტად პრაქტიკული ამოცანების გადაჭრას და წარმოადგენს საკითხის შესახებ მეცნიერული, ანალიტიკური მსჯელობის ნიმუშს. თავის შრომებში, ის სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძველზე განიხილავს ნაციონალური თვითშემეცნების პრობლემებს. ა. ჯორჯაძის აზრით, ეროვნების წარმოშობა, გარკვეული აზრით, დაკავშირებულია სახელმწიფოებრიობის წარმოშობასთან: „ეროვნება ჩნდება სწორეთ ამგვარი ხასიათის პოლიტიკური საზოგადოების ნიადაგზე. ამიტომაც არის, რომ პოლიტიკური საზოგადოების განსაზღვრული ევოლუცია არის ამავე დროს ევოლუცია ეროვნებისა" (ჯორჯაძე 1911: 26).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ა. ჯორჯაძის მოსაზრებათა შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის აბსოლუტურად იზიარებს ეროვნულ საკითხში ილიას დამოკიდებულებას. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ჯორჯაძის შემთხვევაში სახეზე გვაქვს ნაციონალისტური იდეების განვითარების კვალდაკვალ პოლიტიკურ-სახელ-მწიფოერბივი საკითხების გადაჭრის პრაქტიკული გზების ძიებაც (ამას, ალბათ, შესაბამისად მომწიფებული ისტორიული ვითარებაც განსაზღვრავდა).

მეორე თვალსაჩინო მოღვაწე ამ პერიოდისა, ვისზეც გვსურს ყურადღების გამახვილება, არის ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი. მისი პირადი მსოფლმხედველობრივი პოზიცია და ცხოვრებისეული მრწამსი განსაკუთრებით საინტერესოს ხდის მის მოსაზრებას ეროვნული საკითხის შესახებ. როგორც დ. შველიძე აღნიშნავს ვ. ჩერქეზიშვილის თხზულებათა კრებულის წინასიტყვაობაში: „მას ღრმად სწამდა, რომ ქართველი ხალხისათვის უპირველესი საზრუნავი, არა რომელიმე სოციალური იდეა, არამედ – ეროვნული თავისუფლება და სახელმწიფოებრივი აღდგენა იყო" (შველიძე 2011: 5).

ვ. ჩერქეზიშვილის, როგორც ანარქისტის, დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი, რომლის იდეოლოგიური შეხედულებები ყოველგვარ სახელმწიფოებრივ გამოვლინებასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა, აჩვენებს ეროვნული საკითხის შესახებ პროგრესული ინტელიგენციის ერთიან ხედვას, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო, და რომლის, როგორც გადაულახავი ბარიერის, მოსპობა რუსულ სოციალ-დემოკრატიას მხოლოდ რეპრესიებითა და ძალადობით შეეძლო. ვ. ჩერქეზიშვილის შემთხვევა იმითაც არის საინტერესო, რომ ის ქართული ნაციონალისტური პრეტენზიების საერთაშორისო ასპარეზზე გახმოვანებას ცდილობდა. მას ეკუთვნის დასავლურ პრესაში გამოქვეყნებული მრავალი საინტერესო სტატია საქართველოს პოლიტიკური უფლებებისა თუ კულტურის შესახებ. მისი პირველი წერილი გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების დარღვევის შესახებ გამოქვეყნდა 1888 წელს, ინგლისურ ჟურნალ *თაიმსში.* 1895 წელს პრესტიჟულ ბრიტანულ ჟურნალში – *მეცხრამეტე საუკუნე* დაიბეჭდა ვარლამ ჩერქეზიშვილის ვრცელი სტატია: *საქართველოს ხელშეკრულებები რუსეთთან.* ის არის 1907 წლის ჰააგის კონფერენციაზე, ე.წ. ქართველთა პეტიციის მომზადების ინიციატორიც (შველიძე: 2011). როგორც ჩანს, უკვე მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ათწლეულში ქართული ინტელიგენციის ნაწილი 60-იანი წლების პერიოდში ჩამოყალიბებული ნაციონალისტური ხედვისათვის აქტიურად ცდილობდა რეალური პოლიტიკური ხორცის შესხმას (ამ აზრით საინტერესოა *საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის* საქმიანობაც). აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული ნაციონალური მოძრაობის ისტორიაში სახეზე გვაქვს ახალი ეტაპის დასაწყისი.

ერთიანობის მუხტის სიძლიერის დადასტურებას წარმოადგენს ჩერქეზიშვილისა და ილიას თანამშრომ-ლობაც *იევრიაში,* მაშინ, როცა მათი იდეოლოგიური შეხედულებები პრინციპულად განსხვავებული იყო. უმთავრესი მიზეზი იმისა, რის გამოც ილია თანამშრომლობდა ჩერქეზიშვილთან, იყო ის, რომ:

ილია ჭავჭავაძე და დიდი ქართველი თერგდალეულები, საქართველოს ევროპეიზაციის პროპაგანდისტები იყვნენ. მათი ოცნება და მიზანი, სოციალურ-ეკონომიკურად, კულტურულ-ინტელექტუალურად და პოლიტიკურად –

ევროპულ სისტემაზე გარდაქმნილი საქართველო გახლდათ. ვ. ჩერქეზიშვილს „ევრიის“ მკითხველებისთვის უნდა გაეცნო ყველაფერი ევროპისა და განსაკუთრებით - ინგლისის შესახებ (შველიძე 2011:14).

მართლაც, თუ გადავავლებთ თვალს *ევრიაში* გამოქვეყნებული მისი წერილების თუნდაც სათაურებს, ვნახავთ პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვან ფაქტს, მაშინდელი ერთ-ერთი მოწინავე ქვეყნის, ინგლისის შესახებ (ინგლისის მაგალითი იმითაც არის საინტერესო, რომ, მსგავსად ქართული შემთხვევისა, სახეზე გვაქვს განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების თანაცხოვრების ფაქტი) ეროვნულ საკითხებზე საინტერესოა მისი წერილები: *მეცხრამეტე საუკუნე: ერთა აღორძინება*, *ირლანდიის ეროვნული აღორძინება* და ა.შ. ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის მომხრეები, გაერთიანებულნი იყვნენ თავისუფალი და ევროპული საქართველოს იდეის გარშემო.

ნაციონალური საკითხის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მ. წერეთლის 1910 წელს გამოცემული სოციოლოგიური გამოკვლევა *ერი* და *კაცობრიობა*, რომელიც წარმოადგენს მაღალი დონის სამეცნიერო ნაშრომს. მასში გადმოცემულია, ერის დეფინიციის საკითხში სოციალისტური თვალსაზრისის კრიტიკა. მ. წერეთელი ეკონომიკურ ფაქტორს განიხილავს, როგორც ერის ერთ მხარეს, მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, სოციალიზმს უყურებს, როგორც საზოგადოებისათვის არსებული ეკონომიკური საფუძვლის ცვლილებას და არავითარ შემთხვევაში არ უკავშირებს მას ინტერნაციონალიზმს და ყოველივე ეროვნულის უარყოფას (წერეთელი 1990). სწორედ ამ ეკონომიკური, ანუ სოციალური გარდაქმნისა და ქონების ახლებური გადანაწილების პრინციპის დაცვა, რაც გულისხმობს რევოლუციის გარეშე არსებული სოციალ-ეკონომიკური სურათის შეცვლას, რუსულმა სოციალ-დემოკრატიამ ვერ მოახერხა (გურული 2008). ამიტომაც მოხდა სოციალ-დემოკრატთა რიგების მენშევიკებად და ბოლშევიკებად დაყოფა და 1917 წელს ოქტომბრის გადატრიალება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძის მიდგომის გარდა (რომელიც თეორიულ ნაწილში, არსებითად ეხმიანებოდა მაშინდელ დასავლურ კონცეფციებს), არსებობდა ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ გაზიარებული, მარქსის სოციალური თეორიის მეშვეობით (უფრო სწორედ მისი რუსული ინტერპრეტაციის მიხედვით) ქართული ნაციონალური ფენომენის ახსნის მცდელობაც. აღნიშნული თეორია ნაციასა და ნაციონალიზმს (ე.ი.ნაციის კეთილდღეობის მიზნის მქონე იდეოლოგიას, რომელიც აქცენტს, პირველ რიგში, ჩვენ-ჯგუფის წევრებს შორის ჰარმონიულ, ნებაყოფლობით ურთიერთობაზე აკეთებს) განიხილავს კლასებს შორის დაპირისპირებისა და აპრიორი ყოველ ერში ორი ერთმანეთის ანტიპოდი ნაციის არსებობის თეორიის ფარგლებში. სადაც მთავარი ფაქტორი იყო ე.წ. მუშათა კლასის ინტერესი:

> უნდა გეახსოვდეს, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლების გარდა არსებობს კიდევ მუშთა კლასის ხელისუფლების განმტკიცების უფლება და ამ უკანასკნელს ექვემდებარება თვითგამორკვევის უფლება. შემთხვევები არის, როდესაც თვით-გამორკვევის უფლება ეწინააღმდეგება მეორე უფრო მაღალ უფლებას, სახელმწიფოს სათავეში მდგომ მუშათა კლასის ხელისუფლების განმტკიცების უფლებას. ამ შემთხვევების დროს, უნდა ეს პირდაპირ ითქვას,- თვითგამორკვევის უფლება არ უნდა იქნეს მუშათა კლასის მიერ მისი დიქტატურის განხორციელების საქმის ხელის შემშლელი. პირველმა გზა უნდა დაუთმოს მეორეს, ასეთი იყო მდგომარეობა, მაგალითად, 1920 წელს, როდესაც ჩვენ იძულებული შევიქენით, მუშათა კლასის ხელისუფლების ინტერესების მიხედვით, ვარშავაზე გველაშქრა (სტალინი 1923:35).

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ წარმოდგენილი პოზიცია მომავლის პრინციპულად განსხვავებულ და პროგრესულ ხედვას ეფუძნება. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც მათაც, ისევე როგორც სხვებს, ფაქტია, რომ შესანიშნავად ესმოდათ ნაციონალური თვითმყოფადი სხეულის ფორმირებისას სუვერენული ეროვნული ინსტიტუტების არსებობის/ფორმირების მნიშვნელობა:

> ქართული შკოლისა, ქართული მწიგნობრობისა, თეატრისა და სხვა ასეთ კულტურულ დაწესებულებისას – ამის საწინააღმდეგო ხალხი არ ყოფილა, პირიქით, ყველა ეს მისი ცხოვრების მიუცილებელი მოთხოვნილება და იმავე დროს, მისი განვითარების იარაღია. მაშასადამე თავის ნაციონალურ ენაზე კულტურის შექმნა და ამ ნიადაგზე თავის მერმისის აგება, წინმსვლელობის აუცილებელი გზაა (ყორდანია 1908: 4).

ყოველივე ამის შემოქმედი: ქართული თეატრის, ლიტერატურის და ზოგადად კულტურის, იყო ქართული ინტელიგენცია (არისტოკრატია – ე.წ. მჩაგვრელი კლასები). თუ კი მათ მიერ შექმნილი კულტურა (ანუ სუბიექტური ღირებულებითი სისტემა) ერთობის არსებობის გარანტია უნდა ყოფილიყო მომავალში, რატომ არ შეიძლებოდა, ის ერის ერთობის (კლასობრივი ერთობის) გარანტად ქცეულიყო აწმყოშიც.

საინტერესოა, ამ თეორიის მიხედვით, ელიტის/არისტოკრატიის მიერ შექმნილ კულტურას, როგორ უნდა გამოეკვება ინტერნაციონალურ მოტივებზე მდგარი პროლეტარიატი, რომელსაც საყოველთაო კომუნიზმის იდეით უნდა ესულდგმულა და რომელიც ე.წ. პროლეტარული დიქტატურის დამყარებას ისახავდა მიზნად.

ისტორიული ერთობის უარყოფით და კულტურულ-ისტორიულ ღირებულებათა სისტემის პლაგიატით, რაც ერის ერთიანი ეროვნული სხეულის (რომელიც ხანგრძლივი ისტორიული დროის განმავლობაში ჩამოყალიბდა) და საერთო ისტორიული მახსოვრობის გახლეჩას გულისხმობს და აბსოლუტურად ეწინააღმდეგება, ერთობის ერთიანობის ისტორიულად განპირობებულ გარდაუვალ პრინციპს, რაც ილიას მიერაც იყო ამოცნობილი და *საერთო ნიადაგის თეორიაშიც* ჩადებული თეზა იყო. თუმცა, როგორც გამოჩნდა, ე.წ. მუშათა და გლეხთა კლასს არ შეეძლო უარეყო თავისი სოციალური (კულტურული) სხეულის ნაწილები, მათ შორის, ისიც, რომელიც მას დაპირისპირებულ კლასთან აერთიანებდა, ეს იქნებოდა სხეულის აბსოლუტურად ჯანმრთელი ნაწილის „ამპუტაციის" მსგავსი და ამიტომაც იყო, რომ ლენინისეული ინტერპრეტირებული სოციალიზმი და მის მიერ შეთავაზებული „თავისუფლება" ვერ გახდა მუშათა და გლეხთა ინტერნაციონალისათვის ერთობის საკმარისი საფუძველი.

საგულისხმოა ის, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის, როგორც მენშევიკურ, ისე ბოლშევიკურ ფრთაში ეროვნული საკითხის შესახებ ხელმძღვანელობდნენ ერთი და იმავე კონცეფციით. ფაქტია, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არაერთი საკითხის გარშემო არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა, ეროვნულ საკითხთან დამოკიდებულების თვალსაზრისით (უფრო სწორედ ნაციონალიზმისა და ნაციონალური პრობლემების მოგვარების პრაქტიკული გზების ძიებასთან დაკავშირებით), ძირითადი სხვაობა საკითხის პოლიტიკურ ჭრილში განხილვისას ვლინდებოდა მხოლოდ. აი, როგორი წარმოდგენა ჰქონდა სტალინს ქართული ნაციონალიზმის შესახებ:

> ...თუ ადგილობრივი ანტირუსული ნაციონალიზმი, როგორც რეაქცია ველიკორუსული შოვინიზმისა, ამაზე შორს არ წავიდოდა (იგულისხმება რუსული შოვინიზმისაგან თავის დაცვა, – ზ.თ). მაგრამ უბედურება მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთ რესპუბლიკებში ეს თავდაცვის ნაციონალიზმი შეტევაზე გადადის. ავიღოთ საქართველო. იქ არის არა უმეტეს 30% ქართველი მოსახლეობა. მათ შორის არიან: სომხები, აფხაზელები, აჭარელები, ოსები, თათრები. სათავეში დგანან ქართველები. ქართველ კომუნისტების ნაწილში დაიბადა და ვითარდება იდეა იმისა, რომ ამ წვრილ ერებს არ უნდა გაეწიოთ დიდი ანგარიში: ისინი ნაკლებ კულტურულნი, უფრო ნაკლებ განვითარებულნი არიანო და ამიტომ მათ ანგარიში არ გაუწიოთო. აი ეს არის შოვინიზმი, მეტად სავალალო და საშიში შოვინიზმი, რადგან მას შეუძლიან საქართველო პატარა არა-სასურველი ამბების არენად გადააქციოს და მან გადააქცია უკვე იგი ასეთ არენად (სტალინი 1923:18).

ერთა თვითგამორკვევის საკითხის შესახებ კი:

> ...ჩვენი ეროვნული პროგრამა გამომდინარეობს სწორედ ერების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არსებობის უფლებიდან. იქიდან, რასაც წინად თვითგამორკვევის უფლებას უწოდებდნენ. ამის მიხედვით ჩვენ უნდა გადაჭრით განვაცხადოთ, რომ ერთა შორის კავშირი, მათი საერთო სახელმწიფოში გაერთიანება ვერ იქნება მტკიცე, თუ იგი არ ემყარება ნებაყოფლობას, თუ თვით ხალხი არ მოისურვებს ამ გაერთიანებას. მეორე საფუძველს შეადგენს იმ ერების უფლებრივი თანასწორობა, რომელნიც კავშირში შედიან. და ეს ადვილი გასაგებია. მე არ ვლაპარაკობ აქ ფაქტიურ თანასწორობაზე, ამის შესახებ მე შემდეგ მექნება ბაასი, რადგან ფაქტიური თანასწორობის დამყარება იმ ერებს შორის, რომელთაგანაც ერთი მეტად დაწინაურებული არის, ხოლო მეორე ჩამორჩენილი, მეტად რთული საქმეა და მთელი რიგი წლების მუშაობას მოითხოვს. მე აქ ვლაპარაკობ უფლებრივ თანასწორობაზე. თანასწორობა აქ გამოიხატება იმაში, რომ ყველა რესპუბლიკები, ხოლო ამ შემთხვევაში კი ოთხი რესპუბლიკა: ამერკავკასია, ბელორუსია, უკრაინა და რუსეთი, რომელნიც ამ კავშირში შედიან, თანასწორად სარგებლობენ კავშირის ყოველგვარ სასარგებლო მხარეებით, მაგრამ ამავე დროს ერთნაირადვე უარს ამბობენ ზოგიერთ დამოუკიდებლობის უფლებაზე კავშირის სასარგებლოდ (სტალინი 1923: 9-10).

შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული თვითგამორკვევის უფლება სინამდვილეში ერთგვარი სარეკლამო ფანდი უფრო იყო, ვიდრე რეალური პოლიტიკა. თუ ერებს თავიანთი ნაციონალური საკითხების გადაჭრის შესაძლებლობას არ მისცემდნენ და ბუნებრივი განვითარების კალაპოტიდან მოწყვეტდნენ, თუ ქართველებს არ ექნებოდათ საკუთარი ეროვნული კულტურის დაცვის შესაძლებლობა (სინამდვილეში საკითხი სწორედ ასე იდგა), ქართული ეროვნული ცნობიერება დარჩებოდა გახლეჩილი და შეკავშირებისა და განვითარების შესაძლებლობას მოკლებული. მოცემული სცენარის მიხედვით, ქართულ ნაციონალურ პროექტს, მსგავსად ხეიბრისა (რომელიც იდეის ავტორებმა მანამდე თავად დაახეიბრეს), რომელსაც ჯანმრთელი მოთამაშეებით დაკომპლექტებულ გუნდში მისცეს ფეხბურთის თამაშის უფლება, თანაც წინასწარ გააფრთხილეს, რომ ეს არის ნამდვილი თანასწორობა და სამართლიანობა, ელოდა გარდაუვალი იმედგაცრუება.

ის, რომ პოლიტიკური კავშირები ზოგადად ერთიანი სტანდარტების დამკვიდრებისაკენ არიან მიდრეკილნი, ამას თანამედროვე მაგალითებიც ადასტურებს. განსხვავება გამოიხატება მიდგომაში, როდესაც ეს ხდება ხანგრძლივი დიალოგის შედეგად, მაგალითად, ევროკავშირში, სადაც გვაქვს, თანასწორუფლებიანობის ისტორიულად დადგენილ პრინციპზე დაფუძნებული პოლიტიკური გაერთიანება, ყველა სუბიექტისათვის

გარანტირებული თვითმყოფადობის შენარჩუნების აბსოლუტური უფლებით. საბჭოთა კავშირში კი ენისა და სკოლის საკითხზე უფრო მნიშვნელოვნად, რის გარეშეც ნაციონალური თვითმყოფადობის შენარჩუნება გამორიცხულია, ესახებოდათ მოკავშირე რესპუბლიკებში მრეწველობის განვითარება (სტალინი 1923). უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ფიქრობდნენ ასე, იყო ის, რომ ძირითად მოკავშირედ ახალ რესპუბლიკათა კავშირის შექმნისას განიხილებოდა მუშათა კლასი. მხოლოდ მრეწველობის განვითარებით შეიძლებოდა ადგილობრივი პროლეტარების გაძლიერება და მათი საკავშირო დონეზე ე.წ. კლასობრივი დაპირისპირების საფუძველზე ადგილობრივი/საკუთარი ნაციონალიზმების წინააღმდეგ გაერთიანება.

საქმე ისაა, რომ რუსული კონცეფცია სინამდვილეში მიზნად არ ისახავდა ნაციისა და ნაციონალიზმის ფენომენების კვლევას, მის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ბურჟუაზიული-კაპიტალისტური წყობილების რღვევა, რასაც უნდა მოჰყოლოდა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დაფუძნება. ამ თეორიის ლენინურ ინტერპრეტაციაშიც კი კარგად ჩანს იმპერიალისტური მისწრაფებები. სინამდვილეში ის, საყოველთაო ეროვნული ნიჰილიზმის დანერგვით (საქართველოს მაგალითზე მაინც) და „ჰუმანისტური მოტივით", რუსული იმპერიის იდეის რეაბილიტაციას ისახავდა მიზნად.

ახალი ფორმატი გულისხმობდა იმას, რომ ნაციონალურ ნარატივს უნდა დაპირისპირებოდა ახალი ე.წ. ინტერნაციონალური ნარატივი, არა, როგორც მისი სრულიად უარმყოფელი და მისი საწინააღმდეგო, არამედ როგორც ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარე ისტორიული პროცესის განვითარების შედეგად ჩამოყალიბებული რეალობის ამსახველი და მისი თავისებური და ახლებურად გადააზრების ვარიანტი. ბოლშევიკებისათვის ის ასე ულერდა: „ერი ისტორიის ნაწარმოებია. ისტორიას, ე.ი. საზგადოებრივ ურთიერთობათა ცვილილებებს ქმნის ნივთიერი პირობები. ამისდა კვალად ეროვნულ ცნებას სხვადასხვა ისტორიულ ხანაში სხვადასხვა შინაარსი აქვს" (მახარაძე 1924:9).

ნ. ჟორდანია უფრო შორს მიდის და ცდილობს კონკრეტული ისტორიული მტკიცებულებების მოძიებას საკუთარი პოზიციების გამყარებისათვის. მის მიერ განვითარებული თვალსაზრისი წარმოადგენს, რბილად, რომ ვთქვათ, ისტორიული ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას. ნ. ჟორდანიას აზრით, რადგან ქართული ბურჟუაზია რუსული მმართველობის პირობებში შეიქმნა, შეუძლებელია მას ეროვნული საფუძველი ჰქონდეს. ასევე რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ფაქტს მიიჩნევს რა გარდაუვალად, იღებს მას, როგორც ისტორიულ კანონზომიერებას და თვლის, რომ:

> ქართველი გლეხობა, ბურჟუაზია და მუშა არ ვითარდება ნაციონალური გზით. ამიტომ მათი ნაციონალური თვითგამორკვევა არ შეიძლება იყოს მიმართული წინააღმდეგ უცხო პოლიტიკური და ეკონომიკური ძალებისა. პირიქით, ეს თვითგამორკვევა უნდა იყოს და არის კიდეც ინტერნაციონალური, ე.ი. საერთო პოლიტიკა და საერთო ეკონომიკა – აი, ქართველობის ახალი დროშა (ჟორდანია 1908:29).

რეალურად ამ გაუგებრობის მიზეზი ის იყო, რომ: „ნაციონალიზმი უხერხულ ანომალიად იქცა მარქსისტული თეორიისათვის და სწორედ ამიტომ, მასთან დაპირისპირების ნაცვლად მოხდა მისი იგნორირება" (ანდერსონი 2003:18).

საქმე ისაა, რომ რუსულ სოციალ-დემოკრატიას რუსეთის „გათავისუფლება" წარმოედგინა, იმპერიული პარადიგმის შენარჩუნების გზით. ახალი საბჭოთა „დემოკრატიული" წყობილებაც, მსგავსად მეფის რუსეთისა, დამყარებული იყო ბიუროკრატიული სისტემის მიმართ ერთგულებაზე. ნებისმიერი იმპერიალისტური სისტემა მართვაში ეყრდნობა არა ხალხს, არამედ ბიუროკრატიას, ხალხის ხმა გათანაბრებულია ბიუროკრატებისა და პარტიული ფუნქციონერების აზრთან. „ახალი" პოლიტიკური მოდელის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას, ე.წ. საკავშირო კაპიტალის შექმნის ხარჯზე ეროვნული ეკონომიკის მოკვლა წარმოადგენდა. ვინაიდან, ეროვნული ბურჟუაზიის ან თუნდაც დამოუკიდებელი ეროვნული სოციალიზმის პირობებში, სოციალისტური ეკონომიკის არსებობის ფაქტი, დამოუკიდბელობის მოპოვების ბუნებრივად განპირობებულ სურვილს რეალურს და უალტერნატივოს გახდიდა. ეროვნული ეკონომიკის არარსებობის პირობებში ნაციონალისტური პროექტის განხორციელება შეუძლებელია, სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურებოდა საკავშირო ეკონომიკის იდეის აღორძინება.

სტანდარტული პროცედურების მიღმა ჩვენთვის საინტერესოა ერთი გარემოება, კერძოდ, ის ფაქტი, რომ სოციალიზმი, უფრო სწორად, მისი მიღწევის ამგვარი ფორმა, წინააღმდგეობაში მოდის არა მხოლოდ ქართულ ინტელიგენციასთან, რომელსაც სინამდვილეში, მიუხედავად ყველაფრისა, ყოველთვის შეეძლო საერთო ენა გამოენახა ქართველ გლეხთან, არამედ გლეხობის ტრადიციულ ფორმასთანაც. მათი მიზანი, გლეხი ექციათ კოლმეურნედ (გაეთანარებინათ მუშათა კლასთან, რომელსაც ტრადიციული მეურნეობის ტიპთან თავისი არსით საერთო არაფერი ჰქონდა), ემსახურებოდა არა მხოლოდ ადგილობრივი მეურნეობების ზოგადი ადმინისტრაციული და სახელმწიფოებრივი პოლიტიკის თარგზე გაწყობის მიზანს, ან თანამედროვე ინდუსტრიული ტენდენციების დანერგვას, არამედ ტრადიციების ერთგული ქართველი გლეხიდან მომდინარე პოტენციური საფრთხის განეიტრალებას მისი გაპროლეტარებით.

საქმე ისაა, რომ ნებისმიერი განვითარება, ადამიანური შემოქმედების ყველა სფეროში, თუ ის არ არის ისტორიული პროცესისა და ადგილობრივი კულტურის ორგანული/კანონზომიერი ნაწილი და არ განიცდება მოსახლეობის მიერ ფსიქო-ისტორიულ დონეზე, თუნდაც ის ნამდვილად იყოს პროგრესული, აღიქმება, როგორც ადგილობრივი ტრადიციის საწინააღმდეგო და დამახინჯებულ ფსევდო ფაქტად (ასეთი მაგალითები თანამედროვეობაშიც მრავლად გვაქვს. იმისათვის, რომ პროცესების არასტაბილური განვითარება თავიდან ავიცილოთ, საჭიროა, ე.წ. სიახლეების მოსახლეობისთვის ძალიან ფრთხილად და ადგილობრივი ტრადიციის პრიზმაში გარდატეხვის გზით მიწოდება). მით უფრო მაშინ, როდესაც პროგრესი და ზოგადად განვითარება უცხო/დამპყრობელი ძალის მიერ ადგილობრივ კულტურაში ანტინაციონალური გრძნობების აღორძინებისათვის ხელის შეწყობის პარალელურად მიმდინარეობს. ტრადიციული მეურნეობის შენარჩუნებით, ქართველი გლეხი ინარჩუნებდა საკუთარი ეროვნული სხეულის ნაწილსაც. ასეთ დროს, როგორც აღვნიშნეთ, თუნდაც ფეოდალური ურთიერთობების უარყოფითი გამოცდილების გათვალისწინებით, მას მაინც უფრო მეტი ექნებოდა საერთო საკუთარ არისტოკრატიასთან, ვიდრე მუშთა კლასთან და მის იდეებთან. მომავალში ნაციონალური განწყობების აღორძინებისათვის პოტენციური საფრთხის განეიტრალება მოითხოვდა, მათი ცხოვრების წესში ძირეული ცვლილების შეტანას. ე.წ. კოლექტივიზაცია და კოლმეურნეობების შექმნა, განსხვავებით ევროპული მაგალითისაგან, სადაც ის ჩამოყალიბდა ეროვნული მოთხოვნილებების შესაბამისად და წარმოადგენდა ეროვნული განვითარების სიბრტყეში გამოვლენილ კანონზომიერებას, საბჭოთა სინამდვილეში, გულისხმობდა გლეხთა და მუშათა კლასების ხელოვნურ გაერთგვაროვნებას (მათ შორის, რადიკალური ჩარევების გზითაც). ამიტომაც, ვერ შედგა ქართული კოლექტიური მეურნეობა, მიუხედავად გადაჭარბებული გეგმებისა, წარმატებულ პროექტად. შეიძლება ითქვას, რომ ძალადობრივი აქტის ხსოვნა, დამოუკიდებლობის პირობებშიც კი მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს ქართველი გლეხისათვის დააფუძნოს მისთვის ეკონომიკურად მომგებიანი კაუჩირი.

კომუნისტური პროპაგანდა 60-იან წლებამდე მისდევდა 20-იან წლებში დანერგილ პრაქტიკას. ამ აზრით საინტერესოა, ამ პერიოდში შექმნილი ქართული კინემატოგრაფი: *ისინი ჩამოვიდნენ მთიდან, საბუდარელი ჭაბუკი* და სხვ., სადაც მთავარი გმირები ტოვებენ მამაპაპეულ სახლ-კარს და ხელობას, ანუ უარყოფენ ტრადიციას და მიდიან ქალაქში ახალი ცხოვრების დასაწყებად (ამ აზრით, საინტერესო ფაქტია ქალაქ რუსთავის დაარსებაც, რაც ნიშნავდა იმას, რომ კომუნისტური კონცეფცია ფრთებს ისხამდა. აღმშენებლობის მაგალითები ობიექტურ მოწმობას წარმოადგენდნენ აღთქმული კეთილდღეობისა). ამ იდეოლოგიის თავისებურება იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მან თავისი წიაღიდან ვერ მოიცილა არსებული ნაციონალური ნარატივები და მისი განეიტრალების მიზნით მოახდინა მათი ხელახალი რეინტერპრეტაცია, რითაც კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ქართველი კაცის ბუნებაში, ორმაგი აღქმის გაძლიერებას.

ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებული გაორებული ცნობიერების ფაქტი, არასდროს ისეთი თვალშისაცემი არ ყოფილა, როგორც ამ პერიოდში. 30-იანი წლების რეპრესიები არა მხოლოდ კონკრეტული პარტიის პოლიტიკური მტრების ლიკვიდაციას ისახავდა მიზნად, არამედ მის მთავარ ამოცანას მოსახლეობაში სოლიდარობის აქტის გაქრობა წარმოადგენდა. რეპრესიების ფონზე, უსუსურობის ფაქტის გაცნობიერება ადამიანებს აიძულებდა, უარეყოთ მშობლიური ნაციონალური სხეული და საკუთარი მტრების თავგამოდებულ მოკავშირეებად ქცეულიყვნენ. ახალ სხეულში დაბადებული ქართველი, ერთი მხრივ, ჯერ საკუთარ თავს არწმუნებდა რეპრესიებისა და დაპყრობის სისწორეში, მერე კიდევ (გარკვეული აზრით, უსაფრთხოეის მიზნითაც) საკუთარ შვილებს უნერგავდა და არწმუნებდა კომუნისტური პარტიის სიმართლეში და რუსი მოძმე ერის კეთილ ზრახვებში. განსაკუთრებული თავგამოდების საზღაურად, ქართველებმა მივიღეთ კარგად ცხოვრებისა და უძლეველობის მითი. და რწმენა იმისა, რომ:

> ...ოქტომბრის რევოლუციამ ერთის დაკვრით დაამსხვრია ეროვნული ჩაგვრის ხუნდები, ყირამალა გადაატრიალა ერებს შორის ძველად არსებული ურთიერთობა, ძირი გაუთხარა ძველს ეროვნულ მტრობას, გზა გაკაფა ერების თანამშრომლობისათვის და რუსეთის პროლეტარიატს მოუპოვა ნდობა არამც თუ მის თანამოძმე ერებს შორის რუსეთში, აგრეთვე ევროპასა და აზიაშიც (სტალინი 1923: 50).

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა სისტემა წარმოადგენდა პარტიული იერარქიისა (სადაც გამორიცხული იყო, რომელიმე პირის ძალაუფლების ზრდა პერიფერიაში) და ვერტიკალური მმართველობის ერთგვარ სინთეზს, სადაც წონასწორობის ყველა ძაფი ერთი პიროვნების ხელში იყრიდა თავს. მმართველის კულტზე აგებულ სისტემაში, უმაღლეს პოზიციაზე მდგომი პირი (განსაკუთრებით სტალინი, რომელიც საბჭოთა პროპაგანდამ აქცია ქართული ნაციონალიზმის მთავარ იდეად) კი არ მართავდა პროცესებს და მონაწილეობდა მასში უშუალოდ, როგორც რიგითი პარტიული ფუნქციონერი, არამედ, როგორც მასზე მაღლა მდგომი, ერთგვარი დემიურგული პოზიციის მქონე, უმაღლესი მსაჯული. მასში იყო განსხეულებული კომუნიზმისა და კომუნისტური სახელმწიფოს უმაღლესი იდეა. რეალურად კი ამით მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციამ მოკლა იმპერატორი, რუსული იმპერიული სხეული მაინც შენარჩუნდა.

შეჯამებისათვის შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში გამოკვეთილ მიდგომებში საინტერესო ტენდენციაა, რომ ორივე პოზიციის მიმდევრები, განსაკუთრებით კი, ილიას პოზიციის მომხრეები, ნაციონალისტური კონცეფციების დამუშავებისას მაგალითებად განიხილავდნენ ევროპულ მოდელებს. მათ შორის, როგორც მოდერნიზაციის შედეგად წარმოქმნილი ერების (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი), ასევე პარადიგმული მოდელის გათვალისწინებით შექმნილ მაგალითებსაც (იტალია, გერმანია). ეს თავისებურება მნიშვნელოვნად და ცალსახად ახასიათებს ქართული ეროვნულ მოძრაობასა და ზოგადად ეროვნული პრობლემის გააზრების პროცესს პროგრესულ და არა ტენდენციურ მოვლენად.

ზემოთ განხილული თვალსაზრისების გარდა, ნაციონალური საკითხის შესახებ, საქართველოში, რასობრივი ნაციონალიზმის იდეაც არსებობდა:

> ამ მიუვალ მთებსა და ხეობებში, ასეულობით საუკუნეთა მანძილზე ქართველურ ტომთათვის მკვიდრად ტრადიციულ ურთიერთშეჯვარებათა შედეგად, ორიგინალურ გენოტიპად ჩამოყალიბდა ქართული ჯიშის, ქართველის კაცის სახით. ამიტომ, ქართველი ერის ახლოს გაცნობისას ლოგიკურად გეუფლება აზრი, რომ აუცილებელია ამ თავისებური ეთნოგენოტიპის, როგორც სახეობის დაცვა, ისე გამრავლება, რათა შენარჩუნებული იქნას ათასწლობით ნაწარმოები მისი ორიგინალური ჯიში, რადგან ამ მიმართულებით მცირე ოდენი გადახრაც კი მნიშვნელოვნად არღვევს საუკუნეთა მანძილზე დახვეწილი გენოტიპის ბუნებრივ ჰარმონიას და მისი თვითმყოფადობის აღდგენა შემდეგ შეუძლებელი ან თითქმის შეუძლებელი ხდება (წერეთელი 2004: 6).

> მხოლოდ ის ერია განვითარების პოტენციისა და სიცოცხლის უნარის მქონე, რომლებმაც კაცთმოყვარე სულისკვეთებასთან ერთად შეინარჩუნა საკუთარი გენეტიკური, ზნეობრივ-კულტურული და ენობრივ-სარწმუნოებრივი თავისთავადობა (წერეთელი 2004: 14).

ეს შეხედულებაც თავისთავად მეორე უკიდურესობას წარმოადგენს, თუმცა საკითხის თეორეტიზებასთან დაკავშირებით, ქართული აზრის განვითარებისა და მრავალფეროვნების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ფაქტია (ამ თვალთახედვით საინტერესოა გ. რობაქიძისა და ზოგადად ამ პერიოდის ქართველი მწერლების შემოქმედებაც). ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია რჩეულობის მითი, როდესაც ხდება ერის ეროვნული სხეულის საკრალიზება, მისი სიწმინდის დაცვისა და შეურყვნელობის მოთხოვნილება განსაზღვრავს ბიოლოგიური თვითიგივურობის შენარჩუნების სურვილსაც (გარდა ამისა, ასეთი მომენტის არსებობის საფუძველი პოპულაციის სიმცირე და გადაშენებისადმი ერთგვარი შიშიც შეიძლება იყოს), სწორედ ამიტომ ყველაზე კრიტიკულ მომენტებში რასობრივი მომენტი იჩენს ხოლმე თავს. მათ შორის ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ჩვენს უახლოეს წარსულშიც, 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის დროს და თხუთმეტიოდე წლის წინ, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობაში ეროვნების აღნიშვნის საკითხის გარშემო არსებული დისკუსიაც ამის მაგალითს წარმოადგენს. ეთნიკურობისა და ნაციონალურობის გაიგივების საკითხი, რასობრივ მომენტებთან ერთად, ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემაა დღესაც.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით, ქართული ნაციონალიზმის ისტორიაში არსებითად ახალი ეტაპი იწყება. შექმნილი ვითარება სხვადასხვა თვალსაზრისით იყო საინტერესო, პირველი და უმთავრესი მომენტია ის, რომ სახელმწიფოს დაფუძნებით ქართული ნაციონალისტური პროექტი რეალური გამოცდის წინაშე დგება. მეორე ის, რომ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მეთაურობის პრივილეგია ქართული სოციალ-დემოკრატების მენშევიკური ფრთის წარმომადგენლებს ერგოთ. სუვერენული ქვეყნის ხელმძღვანელების პოზიციიდან ინტერნაციონალური იდეების პროპაგანდა, მით უფრო, უკიდურესად გამწვავებული ნაციონალისტური განწყობებისა და რეგიონალური პოლიტიკური ვითარების ფონზე, სულ მცირე, პოლიტიკურად ნამგებიანი იქნებოდა. ამიტომაც ამ აზრით პროცესების განვითარება თავის ბუნებრივ დინებაზე იქნა მიშვებული.

მენშევიკური ხელისუფლებისათვისაც, როგორც პოლიტიკური პროექტისათვის, უმთავრეს ამოცანად დამოუკიდებლობასთან ერთად, ერთიანი ეროვნული სხეულის შენარჩუნება იქცა. ორივე დონეზე (პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ) სტაბილურობის შენარჩუნების ერთადერთი გზა იყო ილიას საერთო ისტორიული წარსულისა და მეხსიერების ფაქტორები, მხოლოდ ასე შეიძლებოდა ახლად დაფუძნებული ერი-სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია 1919 წელს ივანე ჯავახიშვილის მიერ სტამბოლში გაკეთებული მოხსენება, სადაც ის საგანგებოდ აღნიშნავს:

> ყოველი განათლებული ერისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული ყალბი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე მოვალეა თავის ქვეყნის წარსული იცოდეს (ჯავახიშვილი 2006: 4).

დამოუკიდებლობის სამი წელიწადი, პროცესების განვითარების დინამიურობისა და არასტაბილურობის გათვალისწინებით, ბუნებრივია, არ იყო საკმარისი ქართული ნაციონალური პროექტის მდგრადობის გამოცდისათვის. ფაქტია, რომ დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდმა კიდევ უფრო გააძლიერა ქართველი კაცის გაორებული ცნობიერება, იმ აზრით, რომ მოგვიანებით საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიამ დამოუკიდებლობის აღნიშნული ფაქტი, ერთგვარ ფსევდო რეალობად აქცია.

მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ეროვნული საკითხის ინტერპრეტაციის ექსკლუზიური უფლება მთლიანად კომუნისტური პარტიის ხელში გადადის. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ელიტის მიერ ინტენსიურად ხდება მათეული პოსტულატების გახმოვანება. ამ სივრცეში შესვლის პრივილეგიას მოკლებული იყვნენ ფართო წრეები.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლიტერატორებს (კ. კეკელიძე, გ. ქიქოძე), რომლებიც ეროვნულ მოტივებზე საუბარს ეროვნული ლიტერატურის ანალიზის კონტექსტში გარკვეული დოზით მაინც ახერხებდნენ, ამგვარი საკითხების განხილვა გამორიცხული იყო სხვა ნებისმიერ შემთხვევაში. არც ერთ საისტორიო სასკოლო და სამეცნიერო გამოცემაში (ისტორიკოსთა შრომებშიც კი), მათ შორის, ქართველი ერის ისტორიის საკითხებზე მსჯელობა არ ყოფილა (ერის გაგებაში ამ დროს იგულისხმებოდა ვიწრო ეთნიკური და არა ნაციონალური მნიშვნელობა, რაც ასევე ერთ-ერთი ფაქტორი იყო ქართულ ცნობიერებაში ეთნიკური მომენტის გაძლიერებისა).

ვითარება მეტ-ნაკლებად იცვლება 50-იანი წლებისაკენ, როდესაც არსებულ დისკურსში შემოდის სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაციები, რომლებსაც საბჭოთა პროპაგანდა ამ საკითხში ლეგიტიმაციის ახალ ხარისხში უნდა აეყვანა. ამ ფაქტის გამო ნაციონალური საკითხი ქართველ მეცნიერთა ყურადღების საგნად მაინც იქცა, თუმცა გასაგები მიზეზების გამო ის აღარ იყო განსაკუთრებული თეორიული მსჯელობის ობიექტი და მისი ხაზგასმა სხვა საკითხების განხილვის კონტექსტში ხდებოდა. ზოგჯერ ის ასეც კი ხმოვანდებოდა: „ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბება XIX ს-ის მეორე ნახევარში წინ უსწრებს აღმოსავლეთის ხალხთა (ირანი, თურქეთი..) ერებად ჩამოყალიბებას. ეს კი, ცხადია, იმ ეკონომიკური პროცესის შედეგია, რომლის განვითარება საქართველოს რუსეთთან შეერთებით იყო განპირობებული"(გაბაშვილი 1954:127).

60-70-იანი წლებიდან მოყოლებული ჩნდება ახალი თეორიული ლიტერატურა.[9] 1966 წელს გამოდის ი. კაჭარავას მოკლე ბიბლიოგრაფიურლი მიმოხილვა, რომელიც ერის შესახებ არსებული თეორიული დისკურსის წარმოჩენას ისახავდა მიზნად. ავტორი აქ თავის შეხედულებასაც ავითარებს. იგი ერის ჩამოყალიბების აუცილებელ წინაპირობად ეკონომიკურ ფაქტორს ასახელებს, თუმცა აქვე დასძენს ნაციონალური ერთობის ერთიანობის სუბიექტური (კულტურული) მიზეზების თაობაზეც (კაჭარავა 1966). ერის ცნების რაობაზე თავისი კონცეფცია აქვს ა. სურგულაძესაც. იგი ითვალისწინებს რა სოციალური თეორიის ჩარჩოს, ერის ე.წ. ბურჟუაზიულ-იდეალისტურ და სოციალისტურ-მატერიალისტურ განსაზღვრებას, ასკვნის: „ერი ადამიანთა მყარი ისტორიულ–ეთნიკური ერთობაა, რომელიც ზრდას კაპიტალისტურ ან სოციალისტურ ეპოქაში ასრულებს, ეროვნულ სახელმწიფოდ ყალიბდება და ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და კულტურის ერთობით ხასიათდება" (სურგულაძე 1970: 26).

სუბიექტურ ფაქტორებზე უფრო კონკრეტულად ყურადღებას ამახვილებს გ. ყორანაშვილი. იგი უარყოფს ერის გაგების იდეალისტურ-ბურჟუაზიულ ვერსიას, მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდის ეროვნული კუთვნილების განსაზღვრისას თავად ამ პირის ეროვნულ თვითშეგნებას ანიჭებს უპირატესობას. ეროვნულ თვითშეგნებას კი ასე განსაზღვრავს: „...ეთნიკური ეროვნული თვითშეგნება გულისხმობდა აგრეთვე ჩვენი ტრადიციების გაცნობიერებას. ტრადიციები გაიაზრებოდა, როგორც ერთ-ერთი განუყოელი, აუცილებელი საფუძველი ჩვენი ეთნიკური ერთობისა, ეროვნული მეობისა" (ყორანაშვილი 1984: 64).

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ავტორის მცდელობას ახსნას ხალხის ეთნოფსიქოლოგიის (კულტურის) თავისებურებები და განსხვავებულობის მიზეზები, ის მიჰყავს გეოგრაფიულ დეტერმინიზმამდე (ყორანაშვილი 1983). და საბოლოოდ თავს მაინც ვერ აღწევს ერის სოციალურ-მატერიალისტურ განსაზღვრებას. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ავტორი მიზნად ისახავს მარქსისტული სოციოლოგიის ჩარჩოში მოძებნოს სუბიექტურ ფაქტორთა მნიშვნელობის ახსნის შესაძლებლობაც. ამით ის მოდერნისტებს უახლოვდება.

ასეთი არის ძირითადი სურათი ქართული ნაციონალური საკითხის ინტერპრეტირების თვალსაზრისით, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ვიდრე მეოცე საუკუნის 90-იან წლებამდე. სტატიის ამ ნაწილში, ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო გვეჩვენებინა ნაციონალური საკითხის ქართული აზრის სიბრტყეში განვითარების ადრეული მაგალითები. შეგნებულად არ შევეხეთ იმ ნაშრომებს, რომლებიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში არის შექმნილი, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ მეოცე საუკუნის 80-იან წლებში დაწყებული ახალი კულტურული მოძრაობა[11] დამოუკიდებლობა მოპოვებული საქართველოს ნაციონალური შინაარსის გაგებისათვის, სრულიად ახალ გამოწვევას წარმოადგენს და საჭიროებს სხვა ჭრილში განხილვას.

* * *

მანამ, სანამ ნაშრომის შედეგების საბოლოო შეჯამებაზე გადავიდოდეთ, გვინდა, რამდენიმე გარემოების აღნიშვნა. პირველ რიგში კი იმისა, რომ არ გვაქვს პრეტენზია, წარმოდგენილი სტატია სრულებით ამოწურავს

საკითხს. პირიქით, ვიმედოვნებთ, რომ მომავალში შევძლებთ მის უფრო ვრცლად და სრუყოფილად დამუშავებას. ჩვენს მიზანს მიღწეულად ჩავთვლით, თუ წინამდებარე სტატია დაინტერესებული პირებისათვის გარკვეულ საცნობარო ფუნქციას მაინც შეასრულებს. ასევე გვინდა განვაცხადოთ მზაობა განსხვავებულ მოსაზრებათა მოსმენისათვის.

როგორც სტატიაში განვითარებული მსჯელობიდან ჩანს, მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებიდან ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა მიერ გამოიკვეთა ნაციონალისტური მოდელი, რომელიც უპირველესად მოცემული ისტორიული რეალობის გათვალისწინებით, მიზნად ისახავდა ქართველთა ნაციონალური იდენტობის საერთო ისტორიული წარსულის ფაქტორით გამყარებას. მისი შეხედულება ეროვნული საკითხის შესახებ არსობრივად ეხმიანებოდა ე. რენენაის მოსაზრებას. მეოცე საუკუნის დასაწყისში, ნაციონალური იდენტობის შესახებ მსჯელობაში ახალი ეტაპი იწყება ა. ჯორჯაძის, მ წერეთლის და სხვათა სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაციებით.

მეორე უმთავრესი და ძირეულად განსხვავებული პოზიცია ეროვნული საკითხის შესახებ გახლდათ ე.წ სოციალ-დემოკრატიული ინტერპრეტაცია მარქსისა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ მიუხედავად სოციალური თეორიის ფართო ამხსნელობითი შესაძლებლობებისა, ნაციონალურ საკითში სოციალ-დემოკრატებს, ძირითად თავსატეხად ექცათ ინტერნაციონალის ფუნდამენტური იდეისა და არსებული ეროვნული მოძრაობების მოურიგებლობის პრობლემა. საუკეთესო გამოსავლად, როგორც ჩანს, დაისახა ისტორიული ფაქტების დამახინჯება, კლასობრივი დაპირისპირების პრინციპის მაქსიმიზაცია და ეროვნული იდეის სუროგაცია.

აღსანიშნავია, ასევე, რომ არსებობდა ე.წ. რასობრივი ნაციონალიზმის იდეა, რომელიც ეფუძნება გენეტიკური რჩეულობისა და სისხლით ნათესაობის პრინციპს. განსაკუთრებული განვითარება ამ იდეამ ჰპოვა საბჭოთა პერიოდში, და თუმცა დღეს, ის, ნამდვილად არ დგას თანამედროვე ქართული ნაციონალიზმის ცენტრში (და არც არასოდეს მდგარა), საზოგადოების გარკვეულ წრეებში ჯერ კიდევ პოპულარულია მსგავსი აზრი.

სტატიის დასასრულს კიდევ ერთხელ გვსურს ხაზი გავუსვათ იმას, რომ ზოგადად ნაციებისა და ნაციონალიზმების შესახებ არსებულ თეორიებში, ერის განმარტებისას არსებობს სტანდარტული პაკეტი. განსხვავება მდგომარეობს იმაში, თუ რომელი მოდელი, საკუთარი კულტურულ-ისტორიული გამოცდილებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, რას განიხილავს მისთვის შესაფერის მნიშვნელოვან მომენტად, და რომელ იდეას დააყენებს საკუთარი ნაციონალური იდეოლოგიის ცენტრში. როგორც წესი ასეთი არჩევანი, უფრო მეტად პარადიგმული მოდელის მიხედვით ფორმირებულ ერებშია აქტუალური, ვინაიდან ამ შემთხვევაში ნაციად ქმნადობა წინასწარ დადგენილი და ხელოვნურად ინსპირირებული ინტელექტუალური პროექტია.

შენიშვნები

* სტატია არის ნაწილი შოთა რუსათაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2014 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსით დაფინანსებული პროექტისა (DO/351/1-10/14) *ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები (XVIII საუკუნე)* .

[1] თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებებში უმთავრეს დამკვეთს მეცნიერებისა ხალხი წარმოადგენს. სწორედ საზოგადეობრივი ინტერესების მსახურებაა მეცნიერებისათვის უმთავრესი, მხოლოდ ამგვარად ახერხებს ის ამ მოდელში სახელმწიფო ინტერესების განხორციელებასაც. მხოლოდ ასე შეიძლება მეცნიერება იდგეს ჭეშმარიტების სამსახურში, და არ ემსახურებოდეს კონკრეტული ხელისუფლების ინტერესებს, და მიაღწიოს თავისუფლების იმ სტანდარტს, რომელიც ამავე დროს უმთავრესი სტიმულია განვითარებისათვის. საბჭოთა რეალობაში ასეთი შესაძლებლობა არ არსებობდა. მეცნიერული ინტერესის საგანი უმთავრესად იყო პოლიტიკური და, ამდენად, ის ახმოვანებდა მხოლოდ იმას, რაც სჭირდებოდა მმართველობას. ბევრი ქართველი მეცნიერის სასახელოდ, და არა მარტო, უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში უამრავი მნიშვნელოვანი და ღირებული ნაშრომი შეიქმნა, მათ შორის, ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა საზოგადოდ დამკვიდრებული ტრადიცია, რაც გულისხმობდა მნიშვნელოვან კოპრომისებსა და დათმობებს, ვერ იქნა დაძლეული. ამის გამო არა მხოლოდ შეფერხდა მაშინდელი სამეცნიერო აზრის ჯანსაღი და ბუნებრივი განვითარება, ერთგვარი მნიშვნელოვანი წინაპირობაც კი შეიქმნა მახინჯი ტრადიციის სახით დღევანდელობისათვის.

[2] ფაქტია, რომ ეროვნული ცნობიერება ნაციათმშენებლობისას ფორმირდება სრულიად გააზრებული გამოწვევებისა და ამავე დროს არსებული წინასწარი განწყობების გათვალისწინებით. ერთი შეხედვით, ფორმალურად ეს პროცესი ხასიათდება სპონტანურობით და, ამდენად, არ არის მყარი. ამის გამოცაა, სინამდვილეში სხვა მომენტებზე უფრო მნიშვნელოვანი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხი (ამ დროს ძალიან ძნელია გავავლოთ მკვეთრი ზღვარი პირად და საზოგადო ინტერესებს შორის), მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ტრადიცია და ნარატივი გაჯერებულია უანგარო, სამაგალითო და საზოგადო თავდადების მომენტებით.

[3] მით უფრო მაშინ, როდესაც XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე უამრავი მაგალითი გვაქვს ეროვნული საკითხების შესახებ დისკუსიისა ამ პერიოდის პუბლიცისტიკაში.

[4] საგულისხმოა, რომ არა მხოლოდ ხანგრძლივი ისტორიის მქონე ნაციები ცდილობენ საკუთარი იდენტობის შენარჩუნებას, არამედ მათ შიგნით არსებული გარკვეული ჯგუფებიც. ამ თვალსაზრისით, ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითებია ის შემთხვევები, რომლებიც ფიქსირდება სტაბილურ, განვითარებულ და, მათ შორის, ხანგრძლივი ისტორიული წარსულის მქონე ერთობებში. ერთგვარი სუბ-ნაციონალური მოძრაობები, რომელთა მიზანი დამოუკიდებლობის მიღწევაა, საკუთარი დამოუკიდებლობის უმთავრეს საფუძვლად ეკონომიკურ მიზეზებთან ერთად ასახელებენ ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მოტივსაც. ამგვარი შემთხვევები საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ თუ ტრადიციულ თეორიებში ნაციონალური კონსოლიდაციის ერთ-ერთ უმთავრეს ნინაპირობად გარეშე საფრთხეს ასახელებენ, ნაციათა გარკვეულ ტიპებში, მიუხედავად სტაბილურობისა, მაინც ჩნდება ან უფრო სწორედ ცოცხლდება შინაგანი წინააღმდეგობები. რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს, ისტორიული სამართლიანობის აღდგენას თუ განსხვავებას რეგიონალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს შორის, ან თუნდაც მართულ ეთნიკურ და კულტურულ დაპირისპირებას, ფაქტია, რომ დღეს ნაციათა არსებობისათვის უმთავრეს საფრთხეს არა გარეშე, არამედ შინაგანი ფაქტორები წარმოადგენენ.

[5] მათ შორის, დასავლურ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოდელებში განვითარებული სეპარატისტული მოძრაობები. საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ჩვენი რეგიონი და, კერძოდ, ქართული შემთხვევაც.

[6] არსებითად ნაციაც და ეთნიეც არის კულტურული ერთობები. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ნებისმიერი ამ ტიპის ერთობის გაერთიანების საფუძვლებში დეევს როგორც ინდივიდუალური და სუბიექტივისტური განწყობების მიხედვით გაერთიანების მოტივი, ასევე ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების აზრიც. ასეთ დროს ერთიანობის ერთ-ერთ უმთავრეს განმსაზღვრელ ფაქტორს, თავდაპირველ ეტაპზე, აუცილებლად წარმოადგენს ეთნიკური კუთვნილების ფაქტიც. ნაციონალური იდენტობის ფორმირების პროცესში, ყველა ეს მომენტი აქტუალური ხდება სახელმწიფოს ყველა წევრისათვის, განსხვავებებს სხვადასხვა მაგალითებისათვის განსაზღვრავს კონკრეტული ისტორიული გარემო.

[7] გვინდა დავაზუსტოთ, რომ კულტურაში ვგულისხმობთ მის ფართო მნიშვნელობას.

[8] ჩვენ მიერ შემოთავაზებული განმარტება არის ყველაზე უფრო ზოგადი განსაზღვრება ერისა. ის არ გულისხმობს კონკრეტული დეფინიციის შემუშავებას, რომელიც შემდგომში უფრო მეტად პრობლემური გახდება, ვინაიდან გარკვეული წინაწარგანსაზღვრული ჩარჩოების დადგენას გულისხმობს ამავე დროს. არც ერთი, ყველაზე უფრო პოპულარული თეორიაც კი არ მოდის წინააღდეგობაში მასთან, პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ერის განსაზღვრებაში მათთვისაც ამოსაავალ დებულებას სწორედ ამდაგვარი გაგება წარმოადგენს.

[9] იხ. გ. ნოდია ე. რენანი. რა არის ერი?. ფრანგულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გია ნოდიამ. ლაშარი, 1991, # 1.; მ. ღაღანიძე ილია ჭავჭავაძის ოსმალოს საქართველო: ეროვნული ერთიანობის კონცეფცია. კრებულში: ილია ჭავჭავაძე–170(საიუბილეო კრებული), თბილისი, (2007); მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში იერერია და მისი მკითხველი საქართველო ტ.I; თბილისი; გამომცემლობა უნივერსალი; 2011 და სხვა...

[10] ამ პერიოდის ავტორებიდან საინტერესოა: ა. აფაქიძის ნაშრომი *მოსახლეობის ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინები ძველ ქართულში,* კრებული *ორიეონი* 1967; ამავე წელს გამოსული გ. ბრეგაძის ნაშრომი *ერის ცნება და ერების ტიპები.* ეროვნულ ცნობიერების საკითხებს ეხებოდნენ თავიანთ შრომებში სხვადასხვა სპეციალობების წამორმადგენლებიც, მათ შორის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ფილოსოფიის წარმომადგენლები: რ. ბარამიძე, ნ. ნათაძე, ჯ. აფციაური, შ. ხიდაშელი. საინტერესოა ნ. ნათაძის შეხედულება, რომელიც ეროვნული თვითშეგნების შინაარსზე საუბრისას მიანიშნებს, სისხლის, ფასეულობათა სისტემისა და ისტორიული მიზნების ერთიანობაზე.

[11] ვგულისხმობთ პოსტმოდერნიზმისა და გლობალიზაციის შედეგად ჩამოყალიბებულ ახალ კულტურულ-ისტორიულ მოცემულობას, რომელშიც აზროვნების ტრადიციული ფორმა შეცვალა პლურალიზმისა და ინდივიდუალიზმის უკიდურესმა გაგებამ. სხვადასხვა საზოგადოების მისწრაფება გაერთგვაროვნებისაკენ განაპირობებს ნაციონალური დამოკიდებულებების ნიველირებას (ყულიჯანიშვილი 2009).

დამოწმებანი

ანდერსონი 2003: ბ. ანდერსონი. წარმოსახვითი საზოგადოებანი, თბილისი, ენა და კულტურა.

გაბაშვილი 1954: ვ. გაბაშვილი. ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, ნაკვ. 31, თბილისი, აკადემიის გამომცემლობა.

გურული 2008: ე. გურული. ერთმორწმუნე რუსეთი, თბილისი, უნივერსალი.

თევზაძე 2009: გ. თევზაძე. ქართველი ერის დაბადება. იდენტობა და იდეოლოგია. პოლიტეტალური და სოციეტალური იდენტობები. ეროვნულობა და რელიგიურობა, ქართველი ერის დაბადება, ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კაჭარავა 1966: ი. კაჭარავა ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები, თბილისი, მეცნიერება.

კიკნაძე 2009: ზ. კიკნაძე. ქართლი გაქრისტიანების გზაზე: *ადამიანი და სიწმინდეები*, თბილისი, კავკასიური სახლი.

მახარაძე 1924: ფ. მახარაძე. ნაციონალური საკითხი, თხზულებათა კრებული ტომი IV, ტფილისი, სახელგამი.

ნოდია 2009: გ. ნოდია. ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი, ქართველი ერის დაბადება, ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჟორდანია 1908: ნ. ჟორდანია. ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი, ქუთაისი, ელექტრომბეჭდავი ი. კილაძისა.

სმითი 2004: ე. სმითი. ნაციონალიზმი *თეორი, იდეოლოგია, ისტორია*, თბილისი.

სმითი 2008: ე. სმითი. ნაციონალური იდენტობა, თბილისი, გამომცემლობა ლოგოს პრესი.

სტალინი 1923: ი. სტალინი. ნაციონალური საკითხი: მოხსენება და საბოლოვო სიტყვა ნაციონალური საკითხის შესახებ რ.კ.პ. (ბოლშევიკების) მე-XII ყრილობაზე და ყრილობის რეზოლიუცია, ტფილისი, წითელი წიგნი.

სურგულაძე 1970: ა. სურგულაძე. ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ყორანაშვილი 1984: გ. ყორანაშვილი. ეთნიკური თვითშეგნება და ტრადიციები, თბილისი, მეცნიერება.

ყორანაშვილი 1983: გ. ყორანაშვილი. ეთნოფსიქოლოგია და ტრადიციები, თბილისი, მეცნიერება.

ყულიჯანიშვილი 2009: ა. ყულიჯანიშვილი. კულტურის თეორია, თბილისი, უნივერსალი.

შველიძე 2011: დ. შველიძე. ვარლამ ჩერქეზიშვილის ღვაწლი, ვარლამ ჩერქეზიშვილი თხზულებანი ტ. I, თბილისი, გამომცემლობა *კარპე დიემ*.

ჩხარტიშვილი, მანია 2011/2012: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია და ე. რენანის *რა არის ერი?*, ქართული წყაროთმცოდნეობა ტ. XIII-XIV, თბილისი, *უნივერსალი*.

ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში ივერია და მისი მკითხველი საქართველო ტ.I, თბილისი, *უნივერსალი*.

წერეთელი 1990: მ. წერეთელი. ერი და კაცობრიობა, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

წერეთელი 2002: გ. წერეთელი. გენი, მამული, ენა სარწმუნოება, თბილისი, გამომცემლობა *რეო*.

ჭავჭავაძე 2012: ი. ჭავჭავაძე. ერი და ისტორია: დავით აღმაშენებელი, ჩემი რჩეული, ტ. IV, თბილისი, *პალიტრა*.

ჭავჭავაძე 1987: ი. ჭავჭავაძე წოდებათა თანასწორობა, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად პუბლიცისტური წერილები ტ. V; თბილისი, გამომცემლობა *საბჭოთა საქართველო*.

ჯავახიშვილი 2006: ი. ჯავახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბილისი, გამომცემლობა *კომპასი საქართველო*.

ჯორჯაძე 1911: ა. ჯორჯაძე. ეროვნული პრობლემა საქართველოში, თხზულებანი წიგნი პირველი: ეროვნული პრობლემის გარშემო, ტფილისი, ელექტრო-მბეჭდავი *სორაპანი*.

GEORGIAN INTERPRETATIONS OF A NATIONAL ISSUE

Zurab Targamadze

Even in the modern era for independent Georgia the Soviet past and experience is still a significant challenge. To overcome the barrier, historians have an important role, not only to specify and clarify the specific issues of our long term and nearest past, also, they have to contribute to the development of normal social life.

In this sense I believe that one of the most important challenge is to provoke a discussion about national issue. Especially, when the development in this direction of the Georgian thought grounds a mid nineteenth century.

The paper seeks to discuss two main nationalistic visions, which were discussed by the end of the nineteenth century. The first vision was established by Ilia Chavchavazde – leader of national movement and public figure referred as 'father of Georgian nation'. Ilia's nationalistic model, first of all by considering current historical realities, aimed strengthening Georgian national identity by the common historical factors. His view reflected E. Renan's opinion. By the beginning of the twentieth century, the scientific publications authored by A. JorJadze and M. Tsereteli, created a new stage for the Georgian discussion about national identity.

The second and diametrically different vision, which was based on the Leninist interpretation of Marx, had social-democrats. It should be mentioned, that in spite of broad explanation opportunities of the social theory, in deciding on the national issue, conciliation of internationalism and existing nationalistic movements, become main problem. The best solution, as it seems, has been considered surrogation of these ideas by the distort the real

historical facts and by maximizing of class confirmation principle.

It should be noted, also, that there was idea of so-called racial nationalism. It was based on the principle of genetic choseness and blood kinship. This idea has gained a foothold in the Soviet era, and although for today he realy is not stands (it has never been) in the centre of the modern Georgian nationalism, among the certain circles this idea is still popular.

Because the topic is quite complocated, it is impossible to comprehend it in ful Our purpose would be achieved, if the present article will be serve as a reference for the persons concerned.

The work is a part of the project (DO/351/1-10/14) Georgian Identity: Historical Aspects (18-th century), sponsored by Shota Rustaveli Science Foundation 2013-2014 Doctoral program grant.

ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის წყაროთმცოდნეობის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში

მერაბ კალანდაძე

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გამოარკვიოს, როგორ არის ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის ისტორიის საკითხი დამუშავებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. თემა არის საინტერესო და ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე შესწავლილი არ ყოფილა. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შევჩერებულიყავით მასზე.

ფრანგი ისტორიკოსის შარლ სამარანის თქმით, „ისტორიული წყარო წარმოადგენს ისტორიის თავ-დაპირველ ნედლეულს" (სალოვი 1977: 152). ყველა ინფორმაცია წარსულის შესახებ არის წყარო. წყაროების მიგნება და დამუშავება ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ისტორიული ფაქტების სიცოცხლისუნარიანობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე თუ რა კვალი დატოვეს წყაროებში. ისტორიულ მოვლენებს, ფაქტებს წყაროების მიხედვით ვადგენთ. ისტორიკოსი ახდენს წარსულის რეკონსტრუქციას. ეს არის რთული პროცესი. ფრანგი ისტორიკოსი ფიუსტელ დე კულანჟი ამბობდა: „ერთი დღის სინთეზს ესაჭიროება ათი წლის შრომა" (ფიუსტელ დე კულანჟი 1906: XXXV).

ნაპოლეონის მოღვაწეობამ ღრმა კვალი დატოვა წყაროებში და წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო თანამედროვეებზე, არამედ შემდგომ თაობებზეც. ნაპოლეონის მოღვაწეობის შესახებ არსებობს საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი პირველწყაროები, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლის ინტენსივობა და სიღრმე. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ვცადოთ გამოვარკვიოთ თუ რა გაკეთდა ამ სფეროში ქართულ ისტორიოგრაფიაში.

* * *

ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით, თვალი გადავავლოთ ნაპოლეონის ეპოქის წყაროთმცოდნეობას. ეს კარგ ისტორიულ ფონს შექმნის ჩვენთვის საინტერესო საკითხის განსახილველად. ამ თემაზე სიტყვის თქმა უმთავრესად იმ გარემოებამ გადაგვაწყვეტინა, რომ მასზე ქართულ ენაზე არაფერი დაწერილა.

პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, აღსანიშნავია ნაპოლეონის ნაწერები, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ მის გეგმებს, განზრახვებს, ჩანაფიქრებს, წარმოდგენას გვიქმნის მის იდეურ ევოლუციაზე, სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებაზე, მრწამსზე.

უწინარესად ყურადღებას იპყრობს კორესპონდენციების, ნაპოლეონის ნაწერების, 32 ტომის გამოცემა, რომელიც განხორციელდა მეორე იმპერიის დროს, როდესაც ნაპოლეონის კულტმა აპოგეას მიაღწია. ისტორიკოსების ხელში აღმოჩნდა მნიშვნელოვანი პირველწყარო, რომელმაც მძლავრი სტიმული მისცა ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლას. აქ ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე. წყაროების ამ პუბლიკაციას გააჩნია ტენდენცია და მიზნად ისახავს ნაპოლეონის განდიდებას. ამიტომ წმინდა პოლიტიკური მოსაზრებების გამო ზოგიერთი დოკუმენტის ადგილი წყაროების პუბლიკაციაში ვერ მოიძებნა. განსაკუთრებით ეს ეხება მე-19-დან 32-ე ტომამდე. შემდგომში ამ მასალის მოძიება გრძელდებოდა (კარეევი 1922: 90).

1967-1968 წლებში, გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის, ნაპოლეონის ერთ-ერთი საუკეთესო ბიოგრაფის, პროფესორ ჟან ტიულარის რედაქციით, გამოვიდა ნაპოლეონის რჩეული ნაწერების სამტომეული. ყურადღებას იპყრობს ნაპოლეონის ანონიმური სტატიები, რომლებიც მას დაუწერია კონსულობის დროს. მათი დიდი ნაწილი გამოქვეყნდა პირველად (ტუგან-ბარანოვსკი 1990: 22).

ნაპოლეონის ნაწერები, რა თქმა უნდა, მოითხოვს კრიტიკულ მიდგომას. პირველ ყოვლისა, ეს ეხება რელაციებს არმიიდან, სამხედრო ბიულეტენებს. სადაც მკაფიოდ ჩანს გადაჭარბების, გაზვიადების, კვალი. ეს იმით გამოიხატება, რომ მოწინააღმდეგის დანაკარგი უსაშველოდაა გაბერილი, ხოლო ფრანგების დანაკარგი მინიმუმამდეა დაყვანილი. ნაპოლეონის მოღვაწეობის და ეპოქის შესასწავლად მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინება: მემუარული ლიტერატურა.

აღშნულ თემას ეძღვნება უზარმაზარი მემუარული ლიტერატურა. ფრანგი ისტორიკოსის ჟან ტიულარის აზრით, მისი რიცხვი კოლოსალურ ციფრს აღწევს და 794 ავტორს მოიცავს. ფაქტობრივად, მათ ჩაუყარეს საფუძველი შემდგომში ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ ძირითად მიმართულებებს: კლერიკალურ-როიალისტურს, რომელიც ნაპოლეონს აუგად იხსენიებდა და პირდაპირ მიწასთან ასწორებდა.

მათთვის ნაპოლეონი იყო „კორსიკელი ბანდიტი", „სისხლიანი ტერორისტი", „ანტიქრისტე"; დემოკრატიული, რომლის დამოკიდებულება ნაპოლეონის რეჟიმისადმი კრიტიკულია. თუ როიალისტები მარჯვნიდან აკრიტიკებდნენ ნაპოლეონის რეჟიმს, დემოკრატებმა მას მარცხნიდან შეუტიეს და „ბონაპარტისტული", რომელსაც ნაპოლეონი ცაში აყავს და უსაშველოდ განადიდებს (ტარლე 1957; კალანდაძე 1998). მემუარებში თავმოყრილი ფაქტობრივი მასალა საინტერესოა, მაგრამ მხოლოდ კრიტიკულ ფილტრში გატარების შემდეგ იძენს მეცნიერულ ღირებულებას (ტუგან-ბარანოვსკი 1990: 22).

პამფლეტები.

ნაპოლეონის დაცემის შემდეგ, რესტავრაციის პირველ წლებში ადგილი აქვს პამფლეტების ბუმს. ფრანგი ისტორიკოსის ჟან ტიულარის დაანგარიშებით მარტო 1815-1821 წლებში გამოვიდა დაახლოებით 500 პამფლეტი. აქ, რა თქმა უნდა, ნაპოლეონის მოღვაწეობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება დომინირებს. ამგვარი მიდგომა ცალმხრივია და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის (ტუგან-ბარანოვსკი 1990: 4).

პრესა, გაზეთები.

ნაპოლეონის ეპოქის შესახებ ის საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. მიუხედავად ნაპოლეონის რეჟიმის ავტორიტარული ხასიათისა, ის ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდა საზოგადოებრივ აზრს და ყოველთვის ზრუნავდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. ოფიციალურ ორგანოდ გამოცხადებული იქნა „მონიტიორი". 1800 წელს პარიზში არსებული 73 გაზეთიდან დაიხურა 60. დარჩა ცამეტი. შემდგომში ეს გაზეთებიც დაიხურა და დარჩა მხოლოდ ოთხი. გაზეთები კარგად ჩაგვახედებს XIX საუკუნის დასაწყისის საფრანგეთის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მიმდინარე პოლიტიკურ ვნებათაღელვაში (ტარლე 1958) ის პოლიტიკური პროპაგანდის ერთ-ერთ ფორმად გვევლინება. სწორედ, პრესა წარმოადგენს იმ ეპოქის საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მთავარ ინიციატორს. მისი მნიშვნელობაც ამაში მდგომარეობს.

დოკუმენტების კრებული.

დაბოლოს, უნდა ითქვას დოკუმენტების კრებულის შესახებ, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესახებ აურაცხელი რაოდენობითაა გამოცემული. აქ გასათვალისწინებელია არა მარტო დოკუმენტების კრებული, რომელიც ნაპოლეონის ეპოქას ეძღვნება, არამედ ისიც, რომელიც საფრანგეთის დიდ რევოლუციას შეეხება, რადგან დიდი ხნის განმავლობაში ფრანგულ ისტორიოგრაფიაში (ა. ტიერი, ფ. მინიე, ა. სორელი, ჟ. და კ. ვილარები, ა. სობული) ნაპოლეონის მმართველობას რევოლუციის ხანად მიიჩნევდნენ. საინტერესო პუბლიკაციები განახორციელეს ფ. ბუშემ, პ. რუმ, ა. ოლარმა, ჟ. გოდშომ, ჟ. ტიულარმა და სხვებმა (ტუგან-ბარანოვსკი 1990: 21).

მიუხედავად აღნიშნულ საკითხზე არსებული უხვი წყაროებისა, შეიძლება ითქვას, რომ ნაპოლეონის წყაროთმცოდნეობაში თეთრი ლაქები მაინც არსებობს. აქ, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ოპოზიცია არმიაში, რომლის ნებისმიერ გამოვლინებას ნაპოლეონი საგულდაგულოდ მალავდა, არ ახმაურებდა და ამიტომ წყაროებში მისი კვალი საკმაოდ მკრთალად, სუსტად, მოჩანს. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ეს თემა ისტორიოგრაფიაში დღემდე შედარებით ნაკლებადაა დამუშავებული (ტუგან-ბარანოვსკი 1990: 20-22).

* * *

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის დასმა ზემოთ აღნიშნული კუთხით საინტერესოა ორმხრივ: პირველი, რა გაკეთდა ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხის შესწავლისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით და მეორე, ნაპოლეონის ეპოქის და მოღვაწეობის შესახებ ქართულ ენაზე რა წყაროები გაგვაჩნია. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პრობლემატიკის დამუშავებაში ქართულმა ისტორიოგრაფიამ, შესაძლოა, მეტად მოკრძალებული, მაგრამ გარკვეული წვლილი შეიტანა. ეს მისი წარმატება იყო. ამ შრომის მნიშვნელობას მისი შემეცნებითი ღირებულება განაპირობებს და ქართულ სინამდვილეში ამ თემების გაშუქების პირველ მცდელობას წარმოადგენს.

საქართველოში აღნიშნული ეპოქის წყაროთმცოდნეობის საკითხებით დაინტერესება ორ პერიოდად იყოფა და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად. ნაპოლეონის მოღვაწეობის წყაროთმცოდნეობის საკითხებით დაინტერესება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში და ამ პრობლემატიკით დაინტერესება პოსტსაბჭოთა ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ნაპოლეონის ეპოქას თან ახლავს რაღაც რომანტიკული ხიბლი და, ბუნებრივია, გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე ამ ეპოქის წყაროთმცოდნეობა, რომელიც წმინდა აკადემიური თემაა. ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ ამ საკითხში ქართული ისტორიოგრაფიის შედეგები მეტად მოკრძალებული იყო. ის მწირი ინფორმაცია, რომელიც ქართულ ენაზე ამ საკითხზე გაგვაჩნია, ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს ძუნწი მასალა იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც აღნიშნულ საკითხზე თითქმის არაფერი იწერებოდა, გარკვეულ წინგადადგმულ ნაბიჯად გვევლინება. მისი მნიშვნელობის შეფასებისას, სწორედ, ამ კრიტერიუმით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საკითხის შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა პროფესორმა გრიგოლ ნათაძემ. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი ნაშრომი „ნაპოლეონის მემუარები და ანდერძი", რომელიც 1925 წელს დაიბეჭდა *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბეში.* ეს ნაშრომი წყაროთმცოდნეობით ხასიათს ატარებს და ქართულ სინამდვილეში ჩვენთვის საინტერესო თემის საგანგებოდ დამუშავების ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. ის იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენია. აღნიშნული პრობლემის პოპულარიზაციამ მეცნიერული ხასიათი მიიღო.

სავსებით კანონზომიერია, რომ ნაშრომი იწყება ისტორიაში პიროვნების როლის განხილვით. ასეთი ნაბიჯი, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და მისი გასაღები გ. ნათაძის მსოფლმედველობაში უნდა ვეძიოთ. გ. ნათაძე სავსებით მართალი იყო, როდესაც ნაპოლეონის უსაშველოდ განდიდება, რომელიც დომინირებდა XIX-XX საუკუნეების ფრანგულ და ევროპულ ისტორიოგრაფიაში, და არა მარტო ისტორიოგრაფიაში, მიზანშეწონილად არ ესახებოდა. ამ თემაზე მისი მსჯელობის რაციონალური მარცვალი, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ეს არ იყო საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. საკითხი არაა მარტივი. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მისი ესერული მრწამსის მარქსიზმთან კვეთასთან. ნაპოლეონის მოღვაწეობის შეფასების დროს პროფესორი გ. ნათაძე ისტორიის სოციოლოგიური გაშუქების მომხრედ გვევლინება და ცდილობს „ეკონომიკური მატერიალიზმის" პოზიციებიდან მარქსიზმისაკენ ევოლუციას (კალანდაძე 1999: 91-92).

პროფესორი გ. ნათაძე, პირველ ყოვლისა, ცდილობს გაიცნობიეროს მემუარების ისტორიული მნიშვნელობა და მეცნიერული ღირებულება. იგი დასძენს: „უაღრესი მნიშვნელობა აქვს თვით ნაპოლეონის ნააზრევს და ნაფიქრს. ამგვარი მასალა კი ბევრი არ მოგვეპოვება. მართალია, ბევრი რამ არის დაწერილი ნაპოლეონის ინტიმურ ცხოვრებაზე, მაგრამ ეს მხოლოდ ცნობისმოყვარეებს თუ დააკმაყოფილებთ, თორემ მეცნიერებას, ყოველ შემთხვევაში ისტორიულს, ვერას შესძენს, გარდა ყოფა-ცხოვრების დახასიათებისა. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ნაპოლეონის ნააზრევი და ნაფიქრი, მისი გეგმებისა და პოლიტიკის შესახებ. მისი ფარული ზრახვანი, შეგნებული და შეუგნებელნი. გარდა ცოტაოდენი ნაწერებისა ამ საგნისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მის მემუარებს, მაგრამ მისი მემუარები მის მიერვე შედგენილი და დამუშავებული არ არსებობს. არსებობს მხოლოდ მისი გენერლების მემუარები წმინდა ელენეს კუნძულზე დაწერილი, როგორც გამომცემლები ამბობენ „მის მიერ ნაკარნახები", მაგრამ ამ წყაროს თანამედროვე მეცნიერება ნდობით არ ეკიდება და ამის საფუძველიც აქვს" (ნათაძე 1925: 41-42). აქ ის ხაზს უსვამს მემუარული ლიტერატურისადმი კრიტიკული დამოკიდებულების აუცილებლობას. ეს იყო სწორი მიდგომა, რომელიც ამ თემაზე მისი მსჯელობის დადებით მხარეს წარმოადგენს.

გ. ნათაძეს ხელთ ჰქონდა ნაპოლეონის მემუარების სამი გამოცემა. პარიზის ორი გამოცემა 1823 წლისა და 1830 წლის და მაინის ფრანკფურტის გამოცემა 1823 წლისა. პარიზის ორივე გამოცემაში თავმოყრილია ნაპოლეონის ხელნაწერებთან ერთად მის მიერ ნაკარნახევი ამბები, რომელიც მაინის ფრანკფურტის გამოცემაში არ გვხვდება. ამიტომ გ. ნათაძის აზრით, მაინის ფრანკფურტის გამოცემა როგორც ისტორიული წყარო, შედარებით ნაკლებად სანდოა და „შედგება მოკლე შენიშვნების და მოკლე ცნობებისაგან" (ნათაძე 1925: 43). უფრო საიმედოდ მიაჩნია მას პარიზის ორივე გამოცემა 1823 წლისა და 1830 წლის. ის ხაზს უსვამს იმ განსხვავებას, რომელიც ამ ორ გამოცემას შორის არსებობს. მისი აზრით, თუ პირველ გამოცემას სუბიექტურობისა და ტენდენციურობის კვალი არ ეტყობა, მეორეზე ამას ვერ ვიტყვით. ის წარმოადგენს „ნაპოლეონის დითირამბებს". გ. ნათაძე აღნიშნავს, რომ ასეთი განსხვავება, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და მისი მიზეზი იმ პერიოდის საფრანგეთის ისტორიაშია საძიებელი.

> 1823 წელს საფრანგეთში ლუი XVIII მეფობდა და მისი რეჟიმი სრული უარყოფა იყო არა თუ რევოლუციის პრინციპებისა, არამედ თვით ნაპოლეონის მართვა-გამგეობის სისტემისა. ამიტომ მაშინ (ე.ი. რესტავრაციის ხანაში – მ.კ.) ნაპოლეონის სასარგებლოდ რისიმე თქმა სახიფათო იყო. ეს კიდევ არაფერი. იმ დიდი უბედურების შემდეგ, რომელიც საფრანგეთმა გამოიარა ლუი ბურბონის გამეფებამდის, პირველ ხანებში გამეფდა ისეთი გონებრივი და სულიერი სიცარიელე, რომ არავითარი პოლიტიკური იდეალები არ არსებობდა და ამიტომ წიგნში პოლიტიკური ტენდენციის გატარება მოსალოდნელი არ იყო. 1830 წელს კი მდგომარეობა შეიცვალა. საფრანგეთში ხელახლა რევოლუციური მოძრაობა დაიწყო. ბურჟუაზია ხელახლა წელში გაიმართა და შესძლო თავისი კლასობრივი ინტერესების შესაფერი იდეალის შექმნა. მისი იდეალი შორს არ მიდიოდა... კონსტიტუციური მართვა-გამგეობა სრულიად აკმაყოფილებდა მას (ნათაძე 1925: 48).

სავსებით მართალია პროფესორი გ. ნათაძე, როდესაც ამ ორ გამოცემას შორის არსებული განსხვავების მიზეზებს პოლიტიკურ კატაკლიზმებში ხედავს. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პროცესია. გ. ნათაძის მოსაზრება 1823 წლის გამოცემის ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის შესახებ საკამათოდ მიგვაჩნია და გადაჭარბებული შეიძლება იყოს. ვერ ვიტყვით, რომ 1823 წლის გამოცემას პოლიტიკური ტენდენცია არ გააჩნდა. გ. ნათაძეს კარგად აქვს გაცნობიერებული ის გარემოება, რომ „რესტავრაციის დროს ნაპოლეონის სასარგებლოდ

რამის თქმა სახიფათო იყო" (ნათაძე 1925: 48). ეს ასეა, მაგრამ ნაპოლეონის სახელის აუგად მოხსენიება დასაშვები იყო და რესტავრაციის დროს ფართოდ მოიკიდა ფეხი. გაიხსენეთ ჟერმენა დე სტალის ნაწერები. განა ეს პოლიტიკური ტენდენცია არ იყო? ვფიქრობთ, რომ კი. პოლიტიკური ტენდენცია მარტო ნაპოლეონის ქება დიდებას არ გულისხმობს და მის უარყოფით შეფასებასაც ეხება. ამ გამოცემის გულუბრყვილობა, ობიექტურობა, რომელსაც ხაზს უსვამდა პროფესორი გ. ნათაძე, მოჩვენებითი ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა ნაპოლეონის მოღვაწეობის დამცირებას, დაკნინებას, რაც სავსებით შეესატყვისებოდა რესტავრაციის ეპოქის სულისკვეთებას. ამიტომ ძნელი სათქმელია, რომ ერთ შემთხვევაში პოლიტიკური ტენდენცია თითქოსდა იყო, ხოლო მეორეში კი არა. ასეთი მიდგომა არათანმიმდევრულად მიგვაჩნია. პოლიტიკური ტენდენცია ორივე შემთხვევაში იყო. პირველ შემთხვევაში, სახელდობრ, რესტავრაციის ხანაში, ნაპოლეონის მოღვაწეობისადმი გულგრილი დამოკიდებულება შეინიშნებოდა, ხოლო მეორე შემთხვევაში, 1830 წლის ივლისის რევოლუციის შემდეგ, ის ჩაანაცვლა ნაპოლეონისადმი აღფრთოვანებამ, აღტაცებამ. ნაპოლეონის უსაშველოდ განდიდება, გაიდეალება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ამაში პროფესორი გ. ნათაძე სავსებით მართალი იყო.

ამ ორი გამოცემის შედარების შედეგად პროფესორი გ. ნათაძე დაასკვნის, რომ „უკეთეს წყაროს წარმოადგენს მისი მემუარების პირველი გამოცემა, როგორც უფრო დაახლოებული მის ნაწერებთან და ნაკარნახევთან, როგორც უკვე ნაკლებად გადამუშავებულთან" (ნათაძე 1925: 53). ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ უფრო საიმედო შეიძლება იყოს ნაპოლეონის მემუარების მეორე გამოცემა 1830 წელს, რომელიც მიუხედავად ნაპოლეონის განდიდებისა, უკეთესია პირველზე, არა მარტო გარეგნულად (შრიფტი, ქაღალდი), როგორც ამას ხაზს უსვამს პროფესორი გ. ნათაძე, არამედ შინაარსით და ნაპოლეონის ნააზრევზე, ნაფიქრალზე, შედარებით სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას გვიქმნის.

პროფესორი გ. ნათაძე კრინტს არ ძრავს ნაპოლეონის ანდერძზე, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის ნაკლია. ეს გარკვეულ შეუსაბამობას წარმოქმნის ნაშრომის სათაურს და შინაარსს შორის. გამოვთქვამ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ გ. ნათაძე, ხომ არ აიგივებდა ანდერძს და მემუარებს? თუ ეს ასეა, მაშინ, ამგვარი მიდგომა მიუღებლად მიგვაჩნია.

დასასრულ, უნდა დავძინოთ, რომ პროფესორი გ. ნათაძის ნაშრომის „ნაპოლეონის მემუარები და ანდერძი" მეცნიერულ მნიშვნელობას მისი შემეცნებითი მუხტი განსაზღვრავს. ფაქტობრივად, ეს იყო ქართულ ენაზე დაწერილი პირველი ნაშრომი, რომელიც საგანგებოდ ამ ეპოქის წყაროთმცოდნეობის საკითხებს შეეხება. ამ თვალსაზრისით, ის სიახლეს წარმოადგენდა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას ნაპოლეონის მოღვაწეობით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის და, პირველ რიგში, სტუდენტებისათვის. ის მათ გაუღვიძებდა ინტერესს ისტორიული მეცნიერებისადმი, კონკრეტულად, ამ შემთხვევაში წყაროთმცოდნეობისადმი და მოახედებდა მას ისტორიის დამხმარე დისციპლინისაკენ. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ის მინაწერი, რომელიც პროფესორ გ. ნათაძის ნაშრომის არშიაზე გაუკეთებია ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტს ლევან ჩიქოვანს 1940 წლის 1 აპრილს: „წავიკითხე და ძლიერ მომეწონა". საგანმანათლებლო მისიას, შეიძლება ითქვას, რომ პროფესორმა გ. ნათაძემ ურიგოდ როდი გაართვა თავი. ჩვენი აზრით, ეს იყო მთავარი. ამ ნაშრომის მნიშვნელობის შეფასებისას, სწორედ, ამ კრიტერიუმებიდან უნდა გამოვიდეთ (კალანდაძე 1998: 135-138; კალანდაძე 1999: 91-93).

ამრიგად, პროფესორ გ. ნათაძის ნაშრომი *ნაპოლეონის მემუარები* და *ანდერძი* იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი ფაქტია. ასეთი წყაროთმცოდნეობითი ხასიათის შრომებით ქართული ისტორიოგრაფია არა თუ მაშინ, არამედ დღესაც არ გახლავთ განებივრებული. მან ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად საგანგებო ყურადღება მიაპყრო ამ ეპოქის წყაროთმცოდნეობის საკითხს და შეძლებისდაგვარად სცადა გაეშუქებინა ეს თემა. ქართული რეალობის ფონზე, როდესაც ამ საკითხზე ფაქტობრივად ქართულ ენაზე არაფერი არ იყო დაწერილი, ეს სიახლე იყო. მისი დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ აღნიშნული პრობლემის დამუშავების გზაზე პირველი ნაბიჯი გადაიდგა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან თავისი სიტყვა თქვა საქართველოში ნაპოლეონის ეპოქის წყაროთმცოდნეობის საკითხების შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში. მან სათავე დაუდო ამ თემატიკის დამუშავებას საქართველოში. ამიტომ განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ შემდგომი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ხაზი არ გაგრძელებულა და გ. ნათაძის ეს ნაშრომი ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად რჩება. პროფესორ გ. ნათაძის ამ ნაშრომს აღნიშნული პრობლემის ვერცერთი ქართველი მკვლევარი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს. მას ღირსებები უფრო მეტი გააჩნია, ვიდრე ნაკლი.

შემდგომი პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ანალოგიური ფაქტები გაცილებით უფრო იშვიათია. სასურველი იყო მეტი აქტივობა. პირველ ყოვლისა, ეს ეხებოდა არა რაოდენობას, არამედ ხარისხს. უმთავრესად აქცენტი კეთდება წყაროების პუბლიკაციებზე, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ შედეგები აქაც საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება. რეალური სურათი ასეთია. მისი არც გაზვიადება და არც შეუფასებლობა გამართლებული არ იქნებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროფესორ. გ. ნათაძის ნაშრომის *ნაპოლეონის მემუარები* და *ანდერძი* შემდეგ ამ თემატიკაზე ქართულ ენაზე არაფერი დაწერილა. ამ პრობლემატიკით დაინტერესებამ, როგორც

ითქვა, საქართველოში სულ სხვა მიმართულება შეიძინა და უმთავრესად აქცენტი კეთდებოდა ამ ეპოქის ამსახველი წყაროების პუბლიკაციაზე. ეს კიდევ ერთი კარგი ინიციატივა იყო, რომელიც იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სიახლეს წარმოადგენდა და წინგადადგმულ ნაბიჯად გვეელინება.

აქ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს 1943 წელს ნაპოლეონის ჩანაწერების გარკვეული მონაკვეთის ქართულ ენაზე გამოცემა, რომლის ყურადღების ცენტრში დგას ნაპოლეონის ეპოქის ერთი საინტერესო მონაკვეთი, კერძოდ, იტალიაში ლაშქრობა 1796-1797 წლებში (ნაპოლეონი 1943). ასეთი ნაბიჯი სავსებით გამართლებული ჩანს, სამხედრო ისტორიკოსების თვალსაზრისით, ეს იყო ნაპოლეონის, როგორც მხედართმთავრის, მოღვაწეობის ერთ-ერთი საუკეთესო კამპანია. ამიტომ ძნელია დავეთანხმოთ ისტორიკოს ფერეროს, როდესაც 1936 წელს პარიზში გამოსულ თავის წიგნს უწოდა „ნაპოლეონის ავანტურა იტალიაში (1796-1797 წწ.)". ის ყოველმხრივ ცდილობს დაამციროს ნაპოლეონის როლი და მხოლოდ დირექტორიის, პირველ რიგში კი, ლაზარ კარნოს ბრძანებების უსიტყვო შემსრულებლად აღიქვამს. ეს იყო ერთი უკიდურესობა. ანტიბონაპარტისტული ხაზი. არის მეორე უკიდურესობაც. ბონაპარტისტული მიდგომა. ნაპოლეონის აპოლოგეტი ისტორიკოსები ადოლფ ტიერიდან დაწყებული ლუი მადლენით და ანდრე კასტელოთი დასრულებული, ხოტბას ასხამენ და განადიდებენ ნაპოლეონს იტალიაში ლაშქრობის დროს ჩადენილი გმირობების გამო. იტალიის კამპანიის დროს ნაპოლეონის დამსახურებას, რა თქმა უნდა, არავინ უარყოფს, მაგრამ მისი უსაშველოდ განდიდება, გაიდეალება, რაც წითელ ზოლად გასდევს აპოლოგეტურ ლიტერატურას, ცხადია, მართებული არ არის (მანფრედი 1973: 134-135).

ნაპოლეონის მემუარები არ წარმოადგენს მემუარებს ამ სიტყვის მკაცრი მეცნიერული გაგებით. როგორც ასეთი, მემუარები ნაპოლეონს არ დაუწერია. ესაა მისი ჩანაწერები და მოყოლილი, რომელიც ჩაიწერეს ლას-კაზმა და გენერალმა ბერტრანმა. პირველის ჩანაწერები გამოქვეყნდა 1828 წელს, ხოლო ბერტრანის ჩანაწერები გამოვიდა მოგვიანებით 1951-1959 წლებში.

ნაპოლეონის ჩანაწერები, როგორც ამ ჟანრის ყველა წყარო, კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს და მასში მოხმობილი ფაქტები მხოლოდ ასეთი გაცხრილვის მერე ხდება ფასეული. შემთხვევითი სულაც არაა, რომ ბონაპარტისტულ ხაზს სათავე, სწორედ, ნაპოლეონმა დაუდო. მის ნაწერებში და ნაკარნახებში, ბუნებრივია, შეინიშნება საკუთარი როლის ჰიპერბოლიზება, რომანტიზება.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ახალი ისტორიის ქრესტომათიის მეორე მონაკვეთის გამოქვეყნება გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა. აქ, ბუნებრივია, აღნიშნული ეპოქის ამსახველი წყაროები საკმაოდ ფართო სპექტრით იქნებოდა წარმოჩენილი. ეს შესამჩნევად შეავსებდა იმ ვაკუუმს, რომელიც ამ სფეროში ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არსებობს.

2009 წელს გამოვიდა ნაპოლეონის ჩანაწერების კიდევ ერთი მონაკვეთი, რომელიც შეეხება მისი ბობოქარი ეპოპეის დასაწყისს, ტულონის აღებას 1793 წლის 17-19 დეკემბერს. დიდი რუსი მწერლის, ლევ ტოლსტოის თქმით, „ეს იყო პირველი ნაბიჯი დიდების გზაზე". ეს იყო კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი ამ ეპოქის ამსახველი წყაროების პუბლიკაციის გზაზე და ნაპოლეონის ეპოქის და მოღვაწეობის წყაროთმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენია (ნაპოლეონი 2009).

2012 წელს გამომცემლობა „ინტელექტმა" გამოსცა ნაპოლეონის მამლუქის რუსტამ რაზას მემუარები. ეს საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ, რომ ის იყო, არა ქართველი, როგორც ეს გავრცელებული იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში (ამ შემთხვევაში მთავარ ტონის მიმცემად ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პროფესორი გივი ჟორდანია გვევლინებოდა), არამედ თბილისელი სომეხი. ამ გამოცემით საქმე გაკეთდა. ქართულმა საზოგადოებამ მიიღო საინტერესო წყარო, რომელიც ღრმად ჩაგვახედებს ნაპოლეონის ეპოქის ისტორიაში.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ 2014 წელს ბატონ ბაჩანა ბრეგვაძის მიერ შესრულებული თარგმანი *ნაპოლეონ ბონაპარტე. წმინდა ელენეს პატიმრის მაქსიმები* და *აზრები* (ნაპოლეონი 2014). ქართულმა საზოგადოებამ მიიღო კიდევ ერთი საინტერესო წყარო, რომელიც დაეხმარება მას ნაპოლეონის აზრებსა და შეხედულებებზე კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა შეიქმნას.

ამ თარგმანებმა გაამდიდრეს ქართული ისტორიოგრაფია აღნიშნულ საკითხებზე არსებული საინტერესო მასალებით, პირველწყაროებით და თავისი წვლილი შეიტანეს ნაპოლეონის ეპოქის წყაროთმცოდნეობის პოპულარიზაციის საქმეში. მათი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ამრიგად, აღნიშნული საკითხის შესწავლა საინტერესო და აქტუალურია და საშუალებას გვაძლევს შევავსოთ ქართული ნაპოლეონიანას კიდევ ერთი სუფთა ფურცელი. ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი საქმიანობა ორი მიმართულებით წარმართა: 1. ნაპოლეონის ეპოქის წყაროთმცოდნეობის საკითხების დამუშავება, პოპულარიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში. 2. ნაპოლეონზე არსებული საინტერესო წყაროების პუბლიკაცია. აღნიშნული პრობლემატიკით ქართული ისტორიოგრაფიის დაინტერესება ამ ორი ასპექტის შერწყმის, შეხამების, ერთგვარ მცდელობად გვევლინება. მას მკვეთრად გამოკვეთილი შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია.

დამოწმებანი

კალანდაძე 1998ა: მ. კალანდაძე. გ. ნათაძე ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხებზე – კრებული მიძღვნილი გივი კიღურაძის ხსოვნისადმი.

კალანდაძე 1998ბ: . მ. კალანდაძე. ისტორიკოსები ნაპოლეონზე – კლდეკარი №3.

კალანდაძე 1999. მ. კალანდაძე. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში.

კარეევი 1922: Н. Кареев. Западная Европа в новое время. Петроград.

მანფრედი 1973: А. Манфред. Наполеон Бонапарт. Москва.

ნათაძე 1925. გრ. ნათაძე. ნაპოლეონის მემუარები და ანდერძი – თბილისის უნივერსიტეტის მოამბე ტ. 5.

ნაპოლეონი 1943. რჩეული ნაწერები.

ნაპოლეონი 2009. ნაპოლეონ ბონაპარტი. მემუარები. ტულონის ალყა. (თარგმნა ნანა კვანტალიანმა). იხ. წიგნში: ალ. დიუმა, ნაპოლეონი. IV.

ნაპოლეონი 2012. ნაპოლეონის მამლუქი. რუსტამ რაზას მემუარები. (ფრანგულიდან თარგმნეს, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთეს ალ. მიქაბერიძემ და ნ. ხოფერიამ).

ნაპოლეონი 2014. ნაპოლეონ ბონაპარტე. წმინდა ელენეს პატიმრის მაქსიმები და აზრები. თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ.

სალოვი 1977: В. Салов. Историзм и современная буржуазная историография.

ტარლე1957: Е. Тарле. Наполеон. http://www.lib.ru/TARLE/napoleon/content.html

ტარლე 1958: Е.Тарле. Печать во Франции при Наполеоне I – соч. В 12-и томах. Т. IV.

ტუგან-ბარანოვსკი 1990: Д. Туган-Барановский. Формирование бонапартистского режима во франции в годы консульства (1799-1804 гг.) – Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук.

ფიუსტელ დე კულანჟი 1904: Н.Д. Фустель де Куланж. История обшественного строя древнеи Франции. Т. 1.

SOURCE-STUDIES ISSUES OF NAPOLEON'S BIOGRAPHY INVESTIGATION IN GEORGIAN HISTORIOGRAPHY

Merab Kalandadze

The academic profile of the paper is historiography. In particular, it provides survey of special literature in Georgian devoted to Napoleon's personal life and political activities. The Georgian historiography on this well-known historical figure is not very rich of facts, however available material deserves attention of the scholars and close analysis for both because of representation of Georgian historical thoughts and used source-studies methods, as well as for investigation Napoleon's biography and era.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლაზეთი
წყაროები, ისტორიოგრაფია და შესწავლის პროგლემები

ნუგზარ მგელაძე

ლაზთა ეთნოლოგია, ყოფისა და კულტურის ტრადიციული ფორმები ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებადაა შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ ლაზთა ისტორიისა და ხალხური კულტურისადმი ინტერესი ყოველთვის დიდი იყო, ობიექტური მიზეზების გამო მათი სრულფასოვანი კვლევა ბოლო პერიოდამდე არ ხერხდებოდა. ლაზებსა და, საერთოდ, XX საუკუნის 90-იან წლებამდე, ისტორიულ სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაში ქართველი სპეციალისტების მიერ განხორციელებულ საველე-ეთნოგრაფიულ ძიებას ადრე ოსმალეთის, ხოლო გვიან თურქეთის ადმინისტრაციის პოლიტიზირებული დამოკიდებულებაც აფერხებდა. ზოგი თვლის, რომ ვითარება თითქმის არ შეცვლილა დღესაც, თუმცა კულტურის ისტორიის სფეროში თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ლაზებზე ინივიდუალური დაკვირვება თუ ინტერვიუს წესით მათი ანკეტირება და გამოკითხვების გზით საველე მასალების მოპოვება, უკვე შესაძლებელია, მაგრამ რაც დღემდე გაკეთებულია, ბუნებრივია, სრულებითაც არაა საკმარისი და, შესაბამისად, ლაზთა კულტურული ფასეულობებისა და ისტორიული განვითარების თავისებურებების აღსადგენად სრულ სურათს ვერ შეგვიქმნის.

* * *

წყაროები და *ლიტერატურა:* ლაზეთისა და ლაზების ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულის შესახებ უძველესი დროიდან ქართულ თუ უცხოურ ენაზე არსებულ მრავალ ნაშრომში მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული. ლაზთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ ადრეულ ბერძნულ-რომაულ წყაროებში ჩნდება.

სატომო სახელს – *ლაზს* პირველად I-II საუკუნეებში მემნონ ჰერაკლიდესთან ვხვდებით. არაერთი საყურადღებო ინფორმაცია პლინიუსთან და პტოლემეუსთან ვლინდება, მაგრამ ლათინური წყაროებიდან, განსაკუთრებით, ახ. წ. II საუკუნის რომაელი ავტორის, იმპერატორ ადრიანეს მოხელის, ფლავიუს არიანეს თხზულება *პერიპლუსი* (*მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო*), ხოლო მოგვიანებით, ახ. წ. V საუკუნის ანონიმის სახელით ცნობილი იმავე სახელწოდების თხზულების ბიზანტიელი ავტორი უნდა გამოიყოს, რომელიც ხშირად იმ ძველ ნაწარმოებთა ტექსტებს იმეორებს, სადაც ლაზთა შესახებ არაერთი ცნობაა დაცული (არიანე 1961; ყაუხჩიშვილი 1965: 1-29), თუმცა ბევრს მიაჩნია, რომ მათი ინფორმაციები განსხვავებულობა-წინააღმდეგობრიობით ხასიათდება, ისე როგორც საერთოდ ძველ მწერალთა ჩანაწერები (სიხარულიძე1959:24), მაგრამ ყველა წყაროში ერთი რამ ცხადია: ლაზები შავი ზღვის სანაპიროზე, განსაკუთრებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და შავი ზღვის მიმდებარე გორაკ-ბორცვებზე განსახლებულნი სატომო დაჯგუფება იყო.

ბიზანტიური წერილობითი დოკუმენტებიდან ჩვენთვის საინტერესო პრობლემებთან დაკავშირებით პროკოპი კესარიელის თხზულებები გამოირჩევა, სადაც ლაზთა პოლიტიკური ისტორიის, მათი სამეფოს ცხოვრების წესისა და კულტურის შესახებ ინფორმაცია უხვადაა დაცული (ყაუხჩიშვილი 1965:38-234).

წყაროებში, როგორც ბერძნებთან, ისე რომაელებთან, არამარტო თანაარსებობის, არამედ დაუნდობელი ბრძოლების ეპიზოდებიც გამოსჭვივის. რომაელებს ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში კოლხეთის დიდი ნაწილის დაპყრობა მოუხერხებიათ. ევროპელთა ეს ინტერესი ამითაც იყო განპირობებული. აგათია, ადრე შუა საუკუნეებში პირდაპირ წერდა: „ძველად რომ ლაზებს კოლხები ერქვათ და რომ ისინი ნამდვილად კოლხები არიან, ამაში არავინ დაეჭვდება, ვინც კი გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და გარშემო ქვეყნების მოსახლეობას ... ლაზები ძლიერი და მამაცი ხალხია, რომელიც ბატონობს სხვა ძლიერ ხალხებზე. ისინი ფრიად ამაყობენ კოლხთა ძველი სახელწოდებით და, ალბათ, არც უსაფუძვლოდ". ეს ტრადიცია ბიზანტიელებმაც გააგრძელეს მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე, IV საუკუნეში, ეგრისელთა პოლიტიკურმა და გენეტიკურმა წინაპრებმა – ლაზებმა – ლაზთა სამეფო ჩამოაყალიბეს. პროკოფი კესარიელი VI საუკუნეშიც კი კოლხებისა და ლაზების იგივეობას ადასტურებდა და კონკრეტულად კი შენიშნავდა: „შეუძლებელია, რომ კოლხები იგივე ლაზები არ იყვნენ ... კოლხთა სახელი ლაზებად შეიცვალა, როგორც ეს ბევრ სხვა ხალხში მომხდარა" და სხვა მრავალი.

ქართული წერილობითი წყაროები, მათ შორის, ადრე განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების მატიანეები და გამოკვლევები ცალკე უნდა გამოიყოს (ყაუხჩიშვილი 1955). გვიან შუასაუკუნეებში ლაზების ისტორიის, გეოგრაფიისა და კულტურული ცხოვრების შესახებ შედარებით თანმიმდევრობითი თხრობით ვახუშტი ბატონიშვილი გამოირჩეოდა (ბერძენიშვილი 1941:142). ვახუშტით, 1745 წელს:

ბაიბურდისა და ფორჩხის სამჭრით, ჭანეთის მთას იქით, არს ჭანეთი, და ან უნოდებენ ლაზსავე. არს ესე შავი ზღვის კიდის (//კითის) წადევნებით, გონიიდამ ტრაპიზონის საზღვრამდე. გონიის დასავლით მოერთვის ზღვას მდინარე, ჭანეთში გამომდინარე ჭანეთის მთისა, რომელი მდებარეობს ჭანეთსა და ფორჩხის ჭეობას შორის და, და მოდის ჩდილოთ. ამ მდინარის იქით არს ხოფჯა, ქალაქი მცირე, ზღვის კიდესა ზედა. აქ მოერთვის მდინარე ხოფჯისა, გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე. კვალად მოერთვის ზღვას მდინარე ხოფჯას იქით გამომდინარე ჭანეთისავე მთისა,[1] რომელი არს ბაიბურდსა და ჭანეთს შორის, და მომდინარე ჩრდილოთ კერძოდ, ამ მდინარის დასავლით არს ქალაქი მცირე რიზა, ზღვის კიდეზედ. მოერთვის მუნვე მდინარე მისივე ზღვასა, და გამოსდის მასვე მთასა და მოდის ჩდილოთ. ხოლო ამის დასავლით ჩამოვარდების მცირე მთა, ენინღა ზღვამდე, ჭანეთის მთიდამ. და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა. აქა არს რკინის-პალო, აქავ არს სატყეპელა. აქ აღაშენა მეფემან არჩილ მოწამემან ციხე შემდგომად ყრუს შემოსვლისა [ეგონებ რიზას] (ბერძენიშვილი 1941: 142).

იქვე, ვახუშტი ლაზთა ეკონომიკასა და საქმიანობასაც დაწვრილებით ახასიათებს.

გვიანშუასაუკუნეებში უცხოური წყაროებიც ჩნდება, რომელთაგან იეზუიტების საზოგადოების უფროსისადმი – კლაუდიო აქვავასადმი ლ. გრანჯერიოს წერილი უნდა გამოიყოს (თამარაშვილი 1902).

ოსმალეთის ადმინისტრაციებში საქმის წარმოების პროცესში არაერთი საბუთი დგებოდა, სადაც ლაზთა ყოფა-ცხოვრების თაობაზე ინფორმაციაც ფიქსირდებოდა. განსაკუთრებული ყურადღება 1595 წელს ოსმალების მიერ შედგენილ ოფიციალურ დოკუმენტს *საქართველოს ვილაეთის დიდ დავთარს* უნდა დაეთმოს, სადაც აღწერილია ლაზისტანთან დაკავშირებული მთელი რიგი მოვლენა (ჯიქია 1958). ოსმალეთმა, როცა XVI საუკუნის მიწურულს, 1978 წელს სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი დაიპყრო, მას გურჯისტანის ანუ საქართველოს ვილაიეთი უწოდა, სადაც ჩილდირი, ფოცხოვი, პანიაკი – ბანა, არტაანია დახასიათებული, ხოლო მეორე ვილაიეთად ტრაპეზუნტი გამოიყო, რომელიც XIX საუკუნის სამოციან წლებში მდინარე ყიზილ-ირქამდე: ძველ ჰალისამდე განივრცობოდა. წყაროს მიხედვით, ლაზისტანი ოთხ – ლაზისტანის, ტრაპეზუნტის, ჯანიქის და გუმიშხანეს სანჯაყებად განიყო. ამათგან 1. ლაზისტანის სანჯაყი საქართველო-თურქეთის საზღვართან იწყებოდა და რიზემდე ვრცელდებოდა; 2. ტრაპეზუნტის სანჯაყი – რიზედან ორდიმდე; 3. ჯანიქის სანჯაყი – ორდუდან მდინარე ყიზილ-ირმაქამდე, რომლის ცენტრსაც ქალაქი სამსუნი წარმოადგენდა და 4. გუმიშხანე მთლიანი ადგილ-მდებარეობით. შესაბამისად, ასკვნიან, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს, ოსმალეთის ოფიციალური ნომენკლატურა ადასტურებდა, რომ ქალაქ სამსუნის ოლქი ყიზილ-ირმაქამდე, ადრეულ ჰალისამდე იყო განფენილი და ჯანიკი, იგივე, ჭანიკი – ჭანების (/ლაზების) პროვინციას ეწოდებოდა, შდრ (ბაწაში 1988).

საინტერესო აღწერილობები თურქმა მოგზაურებმა დაგვიტოვეს. ცალკეული დაკვირვებით განსაკუთ-რებით მდიდარია ევლია ჩელების თხზულება, რომელიც გარკვეულ კონტექსტებში ლაზთა ყოფა-ცხოვრებასაც ასახავს (ჩელები 1971). თურქული ისტორიოგრაფია ლაზეთის ისტორიით დღესაც ინტერესდება(მეჰმეტი 1999; ემინი 1998; 2002; გოლოღლუ 2013; ალეკსივა 2009).

ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ავტორთა ცნობები, რომლებიც ლაზთა დასახლებას, ისტორიულ საზღვრებსა და განსახლების ტერიტორიულ ჩარჩოებს, სამეურნეო საქმიანობას, სოციალურ ურთიერთობებს, სულიერ ცხოვრებასა და მატერიალურ კულტურას, სტატისტიკას, ეთნო-რელიგიურ სტრუქტურას, ენობრივ თავისებურებებს, ტოპონიმიკას ეხებოდა. ამ მოგზაურ-მკვლევართაგან ოსმან-ბეი (ოსმან-ბეი 1874), გიორგი ყაზბეგი (ყაზბეგი 1876ა; ყაზბეგი 1876ბ), ვ. ლისოვსკი (ლისოვსკი 1887), ე. ლიოზენი (ლიოზენი 1905-1907), ა. ფრენკელი (ფრენკელი 1879), ნიკო მარი (მარი 1910ა; მარი 1910ბ), იოსებ ყიფშიძე (ყიფშიძე 1911; ყიფშიძე 1896), გროგოლ ვეშაპელი (ვეშაპელი 1916: 21), ზაქარია ჭიჭინაძე (ჭიჭინაძე 1927), ალექსანდრე ხახანელი (ქრონიკა 1905) გამოირჩეოდნენ. ლაზებზე თითქმის ყველა იმ გამოცემაშია საუბარი, რომელიც ბიზანტიის იმპერიის ისტორიას ეხება (უსპენსკი 1948: 601).

უკვე XX საუკუნის პირველ მეოთხედში ივანე ჯავახიშვილმა და მასთან დაკავშირებულმა მეცნიერთა დიდმა ჯგუფმა შეძლო საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ისტორიული დისციპლინისათვის, ისე როგორც ქართველოლოგიისა და, საერთოდ, კავკასიათმცოდნეობის მრავალი დარგისათვის. დაიხვეწა მეთოდური და მეთოდოლოგიური მიდგომები, დაიწყო მეცნიერული ხასიათის სისტემური და მიზანდასახული კვლევა-ძიება. სწორედ მეცნიერთა ამ ჯგუფმა ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით ქართულ ისტორიოგრაფიაში მკაფიოდ დასვა საკითხი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის კულტურული ფასეულობების შესწავლის შესახებ (ჯავახიშვილი 1917); (ჯავახიშვილი 1960); (თაყაიშვილი 1960); (ჯანაშია 1959); (ყაუხჩიშვილი 1943); (ყაუხჩიშვილი1948); (მაკალათია 1941); (ლომოური 1964); (ხახუტაიშვილი 2007); (ჯაფარიძე 1969); (ყორანაშვილი 2013). შდრ. (ჰილზი 1972). ბუნებრივია, დღის წესრიგში ლაზთა ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების კვლევის პრობლემაც დადგა, მაგრამ იმის გამო, რომ ლაზეთი და ლაზებით დასახლებული ტერიტორია, როგორც ოდესღაც ისტორიული საქართველოს ორგანული ნაწილი,

ოსმალეთის შემადგენლობაში იყო მოქცეული, ფართომასშტაბიანი საველე საკვლევაძიებო სამუშაოების ჩატარება იმთავითვე გაძნელდა. მიუხედავად რიგი სირთულისა, გარკვეული კუთხით, მაინც ხერხდებოდა იმ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალის გამოვლენა და შეკრება, რომლებიც თურქეთსა და საქართველოში მცხოვრებ ლაზურ მოსახლეობას ჰქონდა შემონახული. ჩვეულებრივ, პრობლემა ლოგიკურად იჩენს თავს დასავლეთ საქართველოში ანუ კოლხური კულტურის გავრცელების უმთავრეს არეალში, მათ შორის, აჭარაში, არქეოლოგიური ძიებისას,[2] ისტორიული გეოგრაფიის კვლევისას,[3] ფოლკლორული,[4] ენათმეცნიერული, კერძოდ, დიალექტოლოგიური თუ ლექსიკოლოგიური[5] და ისტორიულ-ეთნოგრაფიული[6] შესწავლის პროცესში.

გასათვალისწინებელია არაერთი ავტორის ნაშრომი, განსაკუთრებით, ყურადსაღებია მუჰამედ ვანილიშისა და ალი თანდილავას ის მონოგრაფია, რომლის ვრცელი ტექსტი ხელნაწერის სახით აჭარის სახელმწიფო მუზეუმის არქივში ინახება (ვანილიში, თანდილავა 1964); იხ. რეცენზია და შეფასებები: (ჩიტაია 2001:513-514); (მგელაძე 1965:513-514). ასევე, ყურადსაღებია ბოლო ხანებში ალი თანდილავას ავტორობით გამოსული ლაზურ-ქართული ლექსიკონი (თანდილავა 2013).

ლაზთა სულიერ და მატერიალურ კულტურასთან დაკავშირებული მრავალი საყურადღებო ფაქტი გიორგი ჩიტაიამ დააფიქსირა, რომელმაც გამოვლენილი მასალები საფუძვლად დაუდო თავის ცნობილ გამოკვლევას *სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში* (ჩიტაია 2001:495-501; 2002).

ლაზთა წარსულისა და ლაზური ენის თავისებურებების შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო იოსებ მეგრელიძის, სერგი ჯიქიასა და არნოლდ ჩიქობავას ნაშრომები, რომლებმაც ფაქტობრივად განსაზღვრეს კიდეც ლაზთა ისტორიისა და კულტურის კვლევის ძირითადი მიმართულებები. ამ ნაშრომებიდან უნდა გამოიყოს იოსებ მეგრელიძის *Лазский и мегрельский слой в гурийском* (მეგრელიძე 1938), არნოლდ ჩიქობავას *ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ლაზურ-მეგრული შედარებითი ლექსიკონი*, ხოლო სერგი ჯიქიას *თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობანი...* იხ. (ჩიქობავა 1936; ჯიქია 1964).

რომაული – ლათინური და ბიზანტიური – ბერძნული წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე ლაზეთის სახელწოდების გარკვევას ნოდარ ლომოურის გამოკვლევები ეხებოდა, რომლებშიც ავტორის მიერ არაერთი საყურადღებო, მაგრამ ზოგჯერ პოლემიკური ხასიათის საკითხები გაშუქდა (ლომოური1964). ამ მხრივ მნიშვნელოვანია ც. გიგაურის ვრცელი მონოგრაფია, რომელიც რომაულ მწერლობაში კოლხეთის პრობლემატიკას ასახავს (გიგაური1985).

რიგ ავტორს, მართალია, უშუალოდ ლაზების ისტორიისა და ტრადიციული კულტურისადმი არ მიუძღვნია სტატია თუ მონოგრაფია, მაგრამ მათ, ძირითადად, ენათმეცნიერულ გამოკვლევებსა თუ ისტორიულ და კულტუროლოგიურ თხზულებებში ლაზების მონათესავე ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფების შესწავლასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, ქართველური ენების ადრეული გრამატიკული ფორმების დადგენისა და ეტიმოლოგიური წიაღსვლების პროცესში, არაერთი ყურადსაღები დაკვირვება გვხვდება, რაც ხშირად ქართული კულტურული ფასეულობების რეკონსტრუქციისა და უძველესი სოციალური სიმბოლოების სემანტიკის საფუძველი გამხდარა.

ისტორიულ-არქეოლოგიური და ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით უაღრესად ფასეულია ოთარ ლორთქიფანიძის, თეიმურაზ მიქელაძის, რისმარგ გორდეზიანის, გურამ გრიგოლიას, იური სიხარულიძის, მერი ინაძის, გელა გამყრელიძის, გურამ ყიფიანის, ნინო ინაიშვილის, მერაბ ხალვაშის, შოთა მამულაძისა და მისი რედაქტორობით გამოცემულ კრებულში ავტორთა ჯგუფის, მამია ფაღავას, მალხაზ ჩოხარაძის, ხოლო ფიზიკურ-გეოგრაფიული ასპექტით ალექსანდრე ტერელაძისა და სხვათა ნაშრომები, რომლებიც მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურის საკითხებს ეხებიან. იხ. (ლორთქიფანიძე 1998); (მიქელაძე 1967); (მიქელაძე 1974) ; (გრიგოლია 1994); (სიხარულიძე 1959); (სიხარულიძე 1977); (სიხარულიძე 1999); (ტერელაძე 1959); (ინაძე, 1994); (გამყრელიძე 2001); (ხალვაში 2002); (ინაიშვილი1991; (მამულაძე 2014).

სოფელ სარფში ვლადიმერ მგელაძის მიერ შეკრებილია ეთნოგრაფიული მასალები, რომლებიც ხელნაწერი დღიურების სახით შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში და მის პირად საოჯახო არქივში ინახება. ამ მასალების საფუძველზე ავტორმა ლაზთა ყოფა-ცხოვრებას არაერთი ნაშრომი, ლაზების ისტორიულ წარსულზე გამოქვეყნებულ მონოგრაფიას რეცენზია (მგელაძე 1964) და და ცალკე სტატიაც (მგელაძე 1964)[7] მიუძღვნა. ვლადიმერ მგელაძის 1964 წელს გამოცემულ სპეციალურ ნაშრომში, რომელიც ლაზური დასახლების მორფოლოგიას ეხება, ლაზთა ისტორიის ცალკეული ეპიზოდი, სოციალური კულტურა, ერთ-ერთი ლაზური სოფლის ტოპოგრაფია, დასახლების სამეურნეო პირობები და ლაზთა სხვა კულტურულ ფასეულობათა თავისებურებებია ასახული. ვლადიმერ მგელაძის მიერ დაწყებული კვლევები, რომლებიც ლაზთა კულტურული იერსახის შესწავლას ითვალისწინებდა, შემდეგშიც გაგრძელდა (მგელაძე 2005).

უთუოდ ღირებულია ლაზური ფოლკლორის, ყოფა-ცხოვრების, ტოპონიმიკის, ლექსიკისა და, საერთოდ, ენობრივი მახასიათებლების შესახებ ზურაბ თანდილავას (თანდილავა 1965); (თანდილავა 1970); (თანდილავა 1972); (თანდილავა 1976), რევაზ ბაქრაძის (ბაქრაძე2003), ციალა არდაშელიას (არდაშელია1978: 83-41), ნათელა ქუთელიას (ქუთელია 1982); (ქუთელია 2001); (ქუთელია 2011), ომარ მემიშიშის (მემიშიში 2005);(მემიშიში 2005); (მემიშიში 2007); (მემიშიში 2012: 258-267), გუბაზ ვანილიშის (ვანილიში 1978: 119-131); (ვანილიში 1979); (ვანილიში 2005); (ვანილიში: 2011), ციალა ნარაკიძის (თანდილავა, ნარაკიძე 2013: 172-176), ლილე თანდილავას (თანდილავა 2003: 58-66); (თანდილავა 2011: 177-181), პირიმზე რურუას (რურუა 2005); (რურუა 2007); მზია ჯღარკავას (ჯღარკავა 2002); (რურუა 2005) გამოკვლევები.

ლაზების ისტორიით, კულტურული ანთროპოლოგიით, ენითა და, საერთოდ, თანამედროვე ეთნო-სოციალური პროცესებით დაინტერესებულია დასავლური ისტორიოგრაფია.[8] ვოლფგანგ ფორშტეინმა ლაზურ-გერმანულ-თურქულ-ქართული ლექსიკონიც კი შეადგინა, რომელსაც ტრანსკრიფციით ლაზურად წოდებული ლათინურენოვანი ანბანი დაურთო (ფეურტსეინი 2002), როგორც ჩანს, იმ კეთილი მოტივით, რომ ლაზებმა, როგორც „უდამწერლობო" და რელიქტურმა ეთნო-ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლებმა, მათი კულტურული ღირებულებების წერილობითი გაცნობა შეძლონ, თუმცა ავტორს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ თურქეთში მცხოვრები ლაზები, როგორც ქართულ-კოლხური სამყაროს ისტორიულად მონათესავე წარმომადგენლები, ქართველურის განსაზღვრული ენობრივი შტოს – ზანურის დიალექტზე ლაპარაკობენ და რომ ლაზურისა და მეგრულის, როგორც ზანური ენის დიალექტების, სვანურისა და საკუთრივ *ქართ*-ულის ანუ ზოგადად ქართველურის ამოსავალი, საერთო ფუძე-ენა იყო. ბუნებრივია, აქედან გამომდინარე, ლაზებს ახალი ანბანის – დამწერლობის შექმნა არ სჭირდებათ, რადგან მათ წინაპრებს იგი თხუთმეტი საუკუნის წინ და, შესაძლოა, უფრო ადრეც, უკვე შექმნილი ჰქონდათ.

კოლხთა კულტურული მემკვიდრეობა მეტ-ნაკლებად ასახულია საქართველოს შავიზღვისპირეთის მოსახლეობაში – მეგრელებისა და ლაზების ისტორიაში, ეთნოგრაფიაში, ფოლკლორში, ენაში, რაც გამოხატულია საქორწინო ტრადიციებსა და საოჯახო ყოფაში, სამგლოვიარო რიტუალში, ბავშვის დაბადებასა და აღზრდა-სოციალიზაციაში, ჩვეულებით სამართალში, სამეურნეო ცხოვრებასა და მატერიალურ კულტურაში და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ლექსიკაში. დღეს უკვე ენათა კვლევის ფორმალური მეთოდებიც კი – დიაქრონულ პრიზმაში სამყაროს კონცეპტუალიზაციის, სტრუქტურებისა და მოდელირების საშუალებას იძლევა. იგი არსით ინტეგრალური ხასიათისაა და მიაჩნიათ, რომ ადამიანური ყოფის ისეთ სოციოკულტურულ სფეროებს მოიცავს, როგორებიცაა ენა, ხელოვნება, რელიგია, მეურნეობა, ეთნოტრადიციული ადათ-წესები, კულტურა-ცივილიზაცია ფართო გაგებით. უკვე არაერთი მკვლევარი თვლის, რომ ფორმალური მეთოდებით სრულიად დასაშვებია ფუძე-ენისა და მისი დიაქრონული განვითარების სურათის რეკონსტრუქცია, საიდანაც ხალხთა გენეტიკური კავშირების, მათი პირველსაცხოვრისისა და ისტორიული მიგრაციების მიმართულებების შესახებ ინფორმაციის მიღება შეგვიძლია დანვრ. იხ. (ასათიანი 2011:19).

საქართველოს შავიზღვისპირეთის მოსახლეობის კულტურული მემკვიდრეობა ისტორიული კოლხეთის ეთნიკურ არეალშია აღმოცენებული. არქეოლოგიური მასალები, ასურული, ურარტული, ბერძნულ-რომაული, მათ შორის, ბიზანტიური, ქართული და სომხური წერილობითი და სხვა ტიპის, განსაკუთრებით, ემპირიული, სამეცნიერო-ანალიტიკური თუ ნივთიერი, კულტურის აღწერილობაზე დაფუძნებული წყაროები მიუთითებს, რომ ეს ტერიტორიები ქართველურ ტომთა უძველესი საბინადრო იყო, უფრო ზუსტად, იგი ერთ-ერთი სატომო გაერთიანების – კოლხების (//ზანების) იმ სხვადასხვა ეთნოგრაფიული განშტოების, მაგალითად, კოლხების, სანების, იგივე, ჭანიკები'ს (შდრ. სანოის/ტძანოის), მაკრონების, ჰენიოხების, კერკეტების, მანრალების//მანრალოის (შდრ. ბერძნულ შესატყვისობებში ეკრი(კ)ტიკეს – ეგრიდიხა' ანუ ეგრისის მიწას), მეგრელების, ლაზების... სამოსახლოებს წარმოადგენდა, რომლებიც ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთში სხვადასხვა მონათესავე პოლიტიკურ გაერთიანებებში შედიოდა. შავიზღვისპირეთის ბარსა და მთაში დიაოხელების მიერ კონტურმოხაზულმა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა წარმონაქმნმა, ძვ. წ. XI-IX საუკუნეებიდან ინტენსიურად დაწყებულ მაკონსოლიდებელ ეთნიკურ პროცესებში, უკვე ძვ. წ. VIII-V საუკუნეებში, ეთნოპოლიტიკურ მემკვიდრეობითობაზე დაფუძნებული უმნიშვნელოვანესი ფაქტი გამოკვეთა: აქ მოსახლე ცალკეული დაჯგუფება თანმიმდევრულად კოლხთა ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ გაერთიანებებად ჩამოყალიბდა და, საბოლოოდ, იბერიულ-მესხურ წარმონაქმნებთან ერთად ქართველთა ეთნოგენეზში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

საქართველოს მიწა-წყალზე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას უხსოვარი დროიდან – დიაოხელთა არსებობის ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი, რაც ანტიკურ პერიოდში კოლხეთის სამეფოსა და, ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, იბერიულ-ქართული (ქართულ-მესხური) სუბეთნოსის მსგავსად, ქართველური სუპერეთნოსის მონათესავე ქართულ-კოლხური (//ქართულ-ზანური) და სვანური, ასევე, სუბეთნოსების წარმოქმნით დასრულდა, რომლებიც, თავის მხრივ, შემდეგში სხვადასხვა ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ ჯგუფებად დაიყვნენ. განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე, განსაკუთრებით, ანტიკურ და ელინისტურ

ხანებში ზანური (კოლხური) სუბეთნოსის ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ დანაყოფებს ადრე ჭანები (სანები), მაკრონები, შესაძლებელია, ბიძერები და ძიდრიტებიც, გვიან კი – ლაზები და მეგრელები წარმოადგენდნენ. ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე, საერთო კონიუქტურიდან გამომდინარე, ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფის ეთნოპოლიტიკური მნიშვნელობა გაფართოვდა, ხოლო სხვების დავიწროვდა. ამ ჯგუფთაგან ბევრი, დროთა განმავლობაში, ერთმანეთს შეერწყა და თანამედროვეობას ლაზებისა და მეგრელების სახით შემორჩა, როგორც ქართველური ეთნოლინგვისტური ოჯახის ორგანული ნაწილები, შესაბამისად, ეთნოპოლიტიკური პროცესები ეთნოლინგვისტურ პროცესებსაც შეეხო. ამდენად, როცა ქართველური ენა ქართ'ულს, ზანურსა და სვანურს აერთიანებდა, მაშინ ენის განვითარება, გარკვეულწილად, ეთნოსისა და ეთნოპოლიტიკური ორგანიზმის განვითარებასთან შესაბამისობაში მიმდინარეობდა, თუმცა ენის დიფერენციაციის, ისე, როგორც უნიფიკაციის პროცესი მხოლოდ ეთნოსოციალური და ეთნოპოლიტიკური სტაბილურობით არ იყო განპირობებული, მაგრამ მაინც თუ ენა, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენი, გარკვეულ სოციუმში არსებობდა და ადამიანის ყოფიერების ყველა სფეროს მოიცავდა, მაშინ, ბუნებრივია, მართებულია აზრი იმის შესახებ, რომ განსაზღვრულ ბიოსფეროში ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ ჯგუფთა პასიონარული განწყობის, როგორც კულტურულ-ისტორიული ერთობის როლი განსაკუთრებულად დიდი იყო. უნიფიცირებას განიცდიდა არა მარტო გარკვეულ სივრცეში არსებული ყველასათვის გასაგები ერთიანი საზოგადო ენა, არამედ მისგან დიფერენცირებული დიალექტები. მიმდინარე პროცესებში აუცილებელი პირობა ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობა იყო, თუმცა ჩვენ ვიცით რომ ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პერიოდშიც ყველა ქართველისათვის ქართული ენა სახელმწიფო, საეკლესიო და სამწერლობო ენა იყო. აქედან გამომდინარე, ენათმეცნიერები ასკვნიან, რომ ამგვარი საყოველთაობა არა ლინგვისტური, არამედ ორგანიზებული პოლიტიკური ძალაუფლების გავრცელებით განისაზღვრებოდა. შესაბამისად, აზროვნება ენის შესახებ, როგორც არნოლდ ჩიქობავა ფიქრობდა, ენათმეცნიერებად ისტორიულმა თვალსაზრისმა აქცია. სწორედ ამიტომ, ქართველ ტომთა ენობრივ არეალს კულტურულ-ისტორიული თვალთახედვით უნდა მივუდგეთ, რადგან მათ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პროცესში ერთიანი ქართული ენისა და ქართული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება შეძლეს. ენის ფუნქციის შესახებ დაწვრილებით იხ. (ქუთელია 2011:149).

დღეს მეგრული და ლაზური (//ჭანური) ზანურის ქვეჯგუფებს განეკუთვნებიან. ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ზანური, ისე როგორც სვანური და საკუთრივ *ქართ-ული*, ქართველურ ფუძე-ენასთან მიმართებაში, დიალექტებად გამოიყურება იმდაგვარად, როგორც დღეს ლაზური (//ჭანური) და მეგრული ზანურის დიალექტებად განიხილება, ხოლო მკვლევართა მეორე ნაწილის მიხედვით, *ქართ'ული*, სვანური და ზანური ქართველური ფუძე-ენიდანაა მიღებული და დამოუკიდებელ ენებად განვითარებული. თავის მხრივ, თანამედროვე ლაზური სამ დიალექტადაა დაყოფილი: ათინურად, ვინო-არქავურად და ხოფურად, მეგრული კი დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული და დღეს, უმთავრესად, ცხენისწყალსა და აფხაზეთს შორის არსებულ ტერიტორიაზეა განფენილი. იგი ორ დიალექტს მოიცავს: სენაკურსა და სამურზაყანოულ-ზუგდიდურს. ენობრივ კლასიფიკაციასთან შესატყვისობაში ქართველურმა წინარე სუპერეთნოსმაც ქართველი ხალხის – ქართული ეთნოსის ჩამოყალიბებამდე ხანგრძლივი გზა გაირა. საბოლოოდ, ქართული ეთნოსი ისტორიულ-ქრონოლოგიური თვალსაზრისით სტრუქტურულ-იერარქიულად სამ დიდ ჯგუფად – სამ სუბეთნოსად დანაწილდა: 1. *ქართ-*ულად (//იბერიულად), უფრო ზუსტად, იბერიულ-მესხურად; 2. ზანურად (/კოლხურად) და 3. სვანურად. ზანური სუბეთნოსი, თავის მხრივ, ორ ეთნოგრაფიულ ჯგუფად გაიყო: მეგრულად და ლაზურად (//ჭანურად). შემდგომში ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა, რაც როგორც მეგრულის, ისე ლაზურის კილო-კავებად დიფერენციაციაში გამოიხატა. დიფერენციაციის ანალოგიურ გზას ქართთა სუბეთნოსიც დაადგა, რომელიც ქართული ეთნოსის ფარგლებში მრავალი ეთნოგრაფიული ჯგუფისა და დიალექტის ჩამოყალიბებით დასრულდა. თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიურ ლიტერატურაში ქართველური ენების ნათესაობა და მათი საერთო წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საკამათოა მათი დიაქრონული განვითარების გზების განსაზღვრის საკითხი. ამიტომაც, სპეციალურ ლიტერატურაში ქართველთა ლინგვისტური წარმომავლობისა და დინამიკის – სტრუქტურული არქიტეტონიკის რამდენიმე პარადიგმული ვერსია არსებობს. მათ შესახებ იხ.(ასათიანი 2011:19-20).

რაც შეეხება ქართველურ ეთნოლინგვისტურ აგებულებას, იგი დიაგრამაზე პირობითად შემდეგნაირად გამოიყურება:



ადრე, საქართველოს ტრადიციული ყოფა, მთისა და ბარის ურთიერთშეპირისპირების ფონზე კულტურის, როგორც ზოგადეთნიკური (ზოგადქართული), ისე, ცალკეულ ვითარებაში, ლოკალურ-ეთნოგრაფიული (სახეობო და ტომობრივ-ეთნოგრაფიული) ელემენტებითაც ხასიათდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კულტურის ელემენტთა არქაული ფორმების რეკონსტრუქციით არაერთი მკვლევარი იყო დაკავებული, მაინც, სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციული ყოფის უძველესი ეთნიკურ-ეთნოგრაფიული პლასტებისა და ამ პლასტებისათვის ნიშანდობლივი კულტურული შრეების გამოვლენასა და ისტორიული ფრაგმენტების აღდგენას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ბუნებრივია, ამ პრობლემის გადაჭრა განსაკუთრებული მიდგომის გარეშე შეუძლებელია. ვფიქრობთ, მისი განხორციელება იბერიულ-მესხური, კოლხური და სვანური კულტურის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საფუძველზე უნდა დაიწყოს. სტრატიგრაფიული და ისტორიულ-შედარებითი მიდგომა იბერიულ-მესხური და ზანურ-სვანური კულტურული შრეების დიფერენცირებულად შესწავლის საფუძველზე საშუალებას მოგვცემს ამა თუ კულტურული ელემენტის არა მარტო წინარე ქართველური საერთო ფესვები დავადგინოთ, არამედ კულტუროლოგიური საკლასიფიკაციო ნიშნებით თანამედროვე ქართული ეთნოსის ზოგადეთნიკური და ამ ეთნოსის სტრუქტურულ სამხარეო დანაყოფთა ლოკალურ-ეთნოგრაფიული თავისებურებები გავარკვიოთ.

ისტორიოგრაფიაში უკვე შესამჩნევი მასალა დაგროვდა და ამას არქეოლოგიური, ეთნოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებამაც შეუწყო ხელი. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ცოტა რამ ვიცით

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველეს გაერთიანებათა სოციალური წყობისა და, საერთოდ, სოციალური მოდელის, სამეურნეო ყოფის, პოლიტიკური სტრუქტურისა და ენობრივი თავისებურებების შესახებ. წერილობითი წყაროებით ამ ხარვეზის სრულად შევსება საგრძნობლად რთულდება და ფაქტობრივად არც ხერხდება. ამ ამოცანის ერთ-ერთ დამატებით საშუალებად კოლხთა შთამომავლების ეთნოგრაფიული ყოფის სხვადასხვა ასპექტით – სოციალური სტრუქტურა, მატერიალური კულტურა, სამეურნეო ყოფა, რელიგია და მითოლოგია, ტოპონიმიკა – შესწავლა მიგვაჩნია.

ლაზებისადმი მზარდი ინტერესი, განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპის სამეცნიერო წრეების, რამდენიმე ფაქტორით ჩანს განპირობებული: 1. ლაზებმა, როგორც ქართველური ენებიდან ზანურის ერთ-ერთ დიალექტზე მოლაპარაკე ეთნო-ტერიტორიულმა ჯგუფმა და ქართველი ხალხის ისტორიულად ორგანულმა ნაწილმა, რომელიც ეროვნულ სხეულს დიდი ხანია მოწყდა, მართლმადიდებლობის ქვეშ ჯერ ბიზანტიურ გარემოცვაში, მათ შორის, ტრაპიზონის იმპერიაში გააგრძელა არსებობა, ხოლო გვიან შუა საუკუნეებში ოსმალეთის ძლევამოსილი სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა და ისლამიზაციას დაექვემდებარა, რამაც კულტუროლოგიური თვალსაზრით მათ მიმართ ეთნოლოგების ინტერესი ერთი-ორად გაზარდა; 2. ლაზები წარმოადგენს იმ ეთნო-ტერიტორიულ ჯგუფს, რომელთა ცნობიერება და ენა დღეს ჭრელ ეთნიკურ გარე-მოცვაში გაქრობის საფრთხის წინაშეა; ლაზები რელიქტური კულტურის მატარებლები არიან; 3. ლაზები არა მარტო თურქეთის რესპუბლიკაში, არამედ საქართველოშიც ცხოვრობენ. თავის დროზე, პოლიტიკური ბატა-ლიების საფუძველზე, აღნიშნული ეთნო-კულტურული ჯგუფის ტერიტორიის ნაწილი დაიყო და საზღვრისპირა რეგიონებში ისინი ორი სხვადასხვა მიმართულებით ცალ-ცალკე და დამოუკიდებლად განვითარდა: ნაწილი თურქეთში ისლამურ გარემოში, ხოლო მეორე ნაწილი საქართველოში ქრისტიანულ გარემოცვასა და მშობლიური ქართული კულტურის წიაღში მოექცა. თავისთავად ეს ფაქტი აღვივებს ინტერესს შესწავლილი იქნეს ყველა ის შესაძლო წინაკონფლიქტური ან მშვიდობიანი თანაარსებობის თეორიული მოდელის წანამძღვრები, რომლებიც გარეგანი ფაქტორების გამოყენების პირობებში ორი ქვეყნის, თუნდაც საერთო წარმომავლობის საზღვრისპირა რეგიონების მოსახლეობას ახასიათებს.

ამრიგად, ლაზთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული პანორამის აღგენის საქმეში დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კოლხთა იმ კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენასა და სისტემატიზაციას, რომლებიც ლათინურ, ბერძნულ, სომხურ, თურქულ და ქართულ წყაროებშია ასახული.

შენიშვნები

[1] იური სიხარულიძე ეყრდობა რა ვახუშტი ბატონიშვილის წყაროებს რკინის-პალოსთან სატყეპელას გამოყოფს, თუმცა ვახუშტისთან *სატყეპელა* დასტურდება (სიხარულიძე 1977:11). შდრ.(ბერძენიშვილი 1941: 142).

[2] კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნოლოგიისა და არქეოლოგიის ზოგიერთი საკითხი გაშუქებულია არაერთ სტატიასა თუ მონოგრაფიაში, რომელთაგან უნდა გამოიყოს (მიქელაძე 1974:9-75). ძვ. წ. X-VII საუკუნეების ქართველური ტომები და შემდგომი პერიოდის მათი მიმოხილვა, კოლხთა ეთნიკური ვინაობა, განსახლების არეალი, სამეურნეო, სოციალური და კულტურული განვითარების საკითხები ძველბერძნული და ლათინური წერილობითი წყაროების საფუძველზე ასახულია დავით ხახუტაიშვილის ფუნდამენტურ ნაშრომში (ხახუტაიშვილი 2009: 17-174), ასევე, არქეოლოგიური მასალების გამოყენებით სამთო-მეტალურგიული დარგის განვითარების უძველესი კერების კვალობაზე კოლხთა ეთნოგენეზისის პრობლემა ნივთიერი მონაცემებისა და წერილობითი წყაროების ურთიერთ-შეჯერებით განხილულია მის მემკვიდრეთა ნაშრომებში (ხახუტაიშვილი, 2013:69-90).

[3] ისტორიული გეოგრაფიის შუქზე ლაზეთის წარსულის მნიშვნელოვანი მოვლენები აისახა სხვადასხვა ავტორთა შრომებში (სიხარულიძე 1958); (სიხარულიძე 1977); (სიხარულიძე 1999); (გრიგოლია 1994); (ახვლედიანი 2009).

[4] ლაზური ფოლკლორის შესახებ იხ. (კარტოზია 1968); (თანდილავა 1965); (თანდილავა 1970); (თანდილავა 1972); (თანდილავა 1986); (თანდილავა 1988); (თანდილავა 1976); (თანდილავა 1996); (თანდილავა 2011); (თანდილავა, 2003); (თანდილავა 2005); (თანდილავა 2011); (თანდილავა 2013); (თანდილავა 2015).

[5] ლაზურის მეგრულთან, *ქართ'ულთან* და სვანურთან შეჯერებისა და ქართველოლოგიურ ჭრილში შესწავლის საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ცნობილ მეცნიერებს. იხ. (მარი 1910); (ყიფშიძე 1911; (ყიფშიძე 1939); (ჩიქობავა 1936); (ჟღენტი 1960); (გამყრელიძე, ივანოვი 1984), (გაყრელიძე 1954); (კარტოზია 2005). ლაზურთან მიმართებაში ამ მხრივ კვლევები დღესაც არ წყდება (ფუტკარაძე 2015; თანდილავა 2015). არაერთმა მკვლევარმა ლაზურის შესწავლაში ენათმეცნიერული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, იხ. (ნიჟარაძე 1971); (ქუთელია 1982), ასევე, თვით ლაზმა ფილოლოგებმა იხ. (თანდილავა, ნარაკიძე 1986); (ნარაკიძე 1986); (ნარაკიძე 2010); (მემიშიში 1999); (მემიშიში 2005); (თანდილავა 2013); (თანდილავა 2015).

[6] ლაზების, ყოფისა და კულტურის ცალკეული საკითხები მრავალი ავტორის შრომებშია განხილული(ჩიტაია 1926; (ჩიტაია 1941); (ჩიტაია 1947); (ადამია 1956); (გარაყანიძე 1959); (რობაქიძე 1959); (ჩიქოვანი1960); (ვანილიში, თანდილავა 1964); (მგელაძე 1964); (ვანილიში 1978); (ვანილიში 1979); (ჩიქოვანი 1960); (ვანილიში 2005); (მგელაძე 2005); (მგელაძე,

შოშიტაიშვილი, მიქელაძე, ტუნაძე 2009); (ვარშალომიძე 2005); (ვარშალომიძე 2007). კონტექსტურთან მხედველობაში მისაღებია თეიმურაზ გვანცელაძისა და სალომე-ბახია ოქრუაშვილის მიერ განხორციელებული კვლევები, რომლებიც ლაზურთან მიმართებაში აფხაზეთისა და სამეგრელოს ეთნო-კულტურულ მოზაიკას ეხება (გვანცელაძე 1996; ბახია 2011).

7 როგორც ჩანს, ვლადიმერ მგელაძეს ჩაფიქრებული ჰქონდა ლაზების ყოფა-ცხოვრებაზე ვრცელი მონოგრაფია დაეწერა, მაგრამ უდროოდ გარდაცვალების გამო მას ეს არ დასცალდა. მის პირად საოჯახო არქივში დაცულია ხელნაწერი, რომელიც არაა დასათაურებული, მაგრამ ხელნაწერში გამოყოფილია ქვესათაურები *ლიტერატურა* და *წყაროები*, *ლაზების განსახლება* და *ტერიტორიული საზღვრები* და *ლაზეთის წარსულიდან*. ეს ნაშრომი ვრცელი სახით, სადაც რიგი საკითხი დამატებითაა გაშუქებული, მაგალითად, ისეთები, როგორებიცაა *სარფის დასახლების ტოპოგრაფიის მოკლე მიმოხილვა*, *ლაზური სოფლის ეთნიკური შედგენილობა*, *სარფის მოსახლეობის გვარობრივი შედგენილობა*, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების არქივშია შენახული (მგელაძე 1961). ასევე, ავტორის არქივში დაცულია რამდენიმე გვერდიანი ხელნაწერი *ლაზური დასახლების მორფოლოგიის ძირითადი საკითხები (სოფელ სარფის მასალების მიხედვით)*, რომლის შემოკლებული ტექსტი მან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ სპეციალურ გამოცემაში გამოაქვეყნა. შემონახულია ლაზთა წარსულისა და ლაზური დასახლებისადმი მიძღვნილი ნაშრომის ქართულენოვანი მანქანაზე ნაბეჭდი მცირე მოცულობის რეზიუმე, რომელიც ფაქტიურად დასახელებული გამოკვლევის დასკვნითი ნაწილია. ზოგიერთი ამ ხელნაწერთაგანი ჩვენ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოვაქვეყნეთ. მაგალითად იხ. (მგელაძე 2006).

8 აღნიშნულ საკითხებზე საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში მათეუს პელკმანსი ლაზებსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარის მოსახლეობის თანამედროვე ეთნოკულტურულ პროცესებზე, 1995 წლიდან ინტენსიურ საველე სამუშაოებს აწარმოებდა, რომელიც ბოლო ხანებში გამოსული ინგლისურენოვანი მონოგრაფიით დასრულდა (პელკმანსი 2006).

დამოწმებანი

ალეკსივა 2009: Irfan Aleksiva – Islamail Avci Bucakisi.-Kitabin original adi. Svacoxo – Laz Yer Adlan Sozlugufa, Instanbul.

არდაშელია 1978: ც. არდაშელია. ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი, თბილისი.

არიანე 1961: ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბილისი.

ასათიანი 2011: რ. ასათიანი. ქართველური დიალექტების დიფერენციაცია დიაქრონიაში, ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, I, ბათუმი.

ახვლედიანი 2009: ნ. ახვლედიანი, ზანიზმები აჭარის ტოპონიმიაში, ბათუმი.

ბაქრაძე 2003: რ. ბაქრაძე. საქართველოს მიღმა, ბათუმი.

ბანაში 1988: ნ. ბანაში. ეთნო-რელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, თბილისი.

ბახია-ოქრუაშვილი 2011: ს. ბახია-ოქრუაშვილი. აფხაზთა ეთოლოგია, თბილისი.

ბერძენიშვილი 1941: ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), რედ. ნ. ბერძენიშვილი, თბილისი.

გამყრელიძე 2001: გ. გამყრელიძე. კოლხოლოგიური ნარკვევები, თბილისი.

გარაყანიძე 1959: М. Гараканидзе. Грузинское деревяное зодчество, Тбилиси.

გვანცელაძე 1996: თ. გვანცელაძე. ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ ენაში ქრისტიანული საკულტო ლექსიკის მიხედვით, „ქართველური მემკვიდრეობა", ქუთაისი.

გვანცელაძე 1998: თ. გვანცელაძე. ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის, აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბილისი.

გიგაური 1985: ც. გიგაური. კოლხეთი რომაულ მწერლობაში, თბილისი.

გოლოლლუ 2013: Mahmut Gologlu, Trabzon Tarihi (Fetihten Kurtuluşa Kadar), 2, Baskı, Trabzon.

გრიგოლია 1994: გ. გრიგოლია. ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბილისი.

ემინი 1998: Yolalıcı M. Emin. XIX yy. Canık (Samsun) Sancağının Sosyal ve Ekonomik Yapısı, Ankara.

ვანილიში 1978: გ. ვანილიში. ლაზური საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი (სარფის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა", VI, თბილისი.

ვანილიში 1979: გ. ვანილიში. ლაზთა საოჯახო ყოფის ისტორიიდან, ნაგებობანი. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა", VII, თბილისი.

ვანილიში 2005: გ. ვანილიში. ლაზური მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების პრობლემები და რეალობა.-ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის „შრომები", IV, ბათუმი.

ვანილიში 2011: გ. ვანილიში. ლაზური ოჯახი და ნათესაური ურთიერთობანი, ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, (პირველი საერთაშორისო კონფერენცია ლინგვოკულტუროლოგიასა და ანთროპოლოგიაში), I, ბათუმი.

ვანილიში, თანდილავა 1964: მ. ვანილიში, ა. თანდილავა. ლაზეთი, თბილისი.

ვარშალომიძე 2005: ჯ. ვარშალომიძე. მოგზაური ლაზი ხურო-მეჩუქურთმეები, რეალობა, ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის *შრომები*, IV, ბათუმი.

ვარშალომიძე 2007: ჯ. ვარშალომიძე. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრულ-დეკორატიული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები აჭარის მუსლიმანურ საკულტო ნაგებობებზე (ჯამეები), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიური პრობლემები, I, ბათუმი.

ვეშაპელი 1916: Г. Вешапели. Турецкая Грузия – Лазистан, Трапезунт и Чорохский край, Москва..

თამარაშვილი 1902: მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბილისი.

თანდილავა 1965: ზ. თანდილავა. მეთევზეობა-ნაოსნობის ასახვა ქართულ ფოლკლორში, აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, I, თბილისი.

თანდილავა 1970: ზ. თანდილავა. ლაზური ზღაპრები, თბილისი.

თანდილავა 1972: ზ. თანდილავა. ლაზური ხალხური პოეზია, ბათუმი.

თანდილავა 1976: ზ. თანდილავა. მეთევზეობის ლექსიკიდან, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, თბილისი.

თანდილავა 1988: ზ. თანდილავა. მომაკვდავი ლაზური დღესასწაულის მითოლოგიური საწყისისათვის, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“, IX თბილისი.

თანდილავა 1996: ზ. თანდილავა. წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი, ბათუმი.

თანდილავა 2003: ლ. თანდილავა. ზმნა.-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის *შრომები*, V (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ბათუმი.

თანდილავა 2011: ლ. თანდილავა. ნასესხებ ზმნათა დინამიური სვლა ლაზურში, ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი (პირველი საერთაშორისო კონფერენცია ლინგვოკულტუროლოგიასა და ანთროპოლოგიაში), I, ბათუმი.

თანდილავა 2013: აღ. თანდილავა. ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნენაფუნა), თბილისი.

თანდილავა 2015: ი. თანდილავა. საერთოქართველური ლაზური ზმნების პარადიგმა, ჟურნ. *ჭოროხი*, 1, ბათუმი.

თანდილავა, ნარაკიძე 1986: ზ. თანდილავა, ც. ნარაკიძე. ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი აჭარულ დიალექტში, ლექსიკიდან, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, V, თბილისი.

თაყაიშვილი 1960: ე. თაყაიშვილი. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბილისი.

ინაიშვილი 1991: ნ. ინაიშვილი. ციხისძირის ახ. წ. I-VI საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

ინაძე 1994: მ. ინაძე. ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბილისი.

კარტოზია 1968: გ. კარტოზია.

კარტოზია, 2005 – გ. კარტოზია. ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბილისი.

ლიოზენი 1905-1907: Э. Лиозен. Берег русского Лазистана.-«Известия кавказского отдела императорского русского географического общества“, т. XVII, кн. 3.

ლისოვსკი 1887: В. А. Лисовский. Чорохский край (Военно-статистический очерк), Тифлис.

ლომოური 1964: ნ. ლომოური. ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის – „მაცნე“ (ისტორიის სერია), №5, თბილისი.

ლორთქიფანიძე 1998: ო. ლორთქიფანიძე. ქართველთა ქვეყანა: ისტორია და კულტურა (უძველესი დროიდან არაბობამდე), თბილისი.

მაკალათია 1941: ს. მაკალათია. ძველი კოლხეთი (სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია), თბილისი.

მამულაძე 2014: ისტორიული ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (საფორტიფიკაციო ნაგებობები, ეკლესიები, საკომუნიკაციო და საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები), რედ. შ. მამულაძე, ბათუმი.

მარი 1910ბ: Н. Я. Марр. Из поездки в Турецкого Лазистан. II. Территория. - «Известия Императорской Академии Наук“, №7, VI серия, С.-Петербург.

მარი 1910ა: Н. Я. Марр. Грамматика занского (лазского) языка, С.-Петербург.

მგელაძე 1965: ვ. მგელაძე. მონოგრაფია ლაზეთის შესახებ.-ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, №1, ბათუმი.

მგელაძე 1961: ვ. მგელაძე. ავტორის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, დღიური №1, სოფელი სარფი.

მგელაძე 1964: ვ. მგელაძე. ლაზური დასახლების მორფოლოგიის ძირითადი საკითხები (სოფელ სარფის მასალების მიხედვით).-ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, III, თბილისი.

მგელაძე 2005: ნ. მგელაძე. ლაზური *ოფუტე*, ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, IV, ბათუმი.

მგელაძე 2006: ვ. მგელაძე. ლაზები და ლაზეთი (მოკლე ისტორიულ-ეთნო“გრაფიული დახასიათება).-ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „შრომები“, IV, ბათუმი.

მგელაძე და *სხვები* 2009: ნ. მგელაძის, ნ. შოშიტაშვილის, ჯ. მიქელაძის, თ. ტუნაძის თანაავტორობით. ლაზი ხელოსნების სამშენებლო ტრადიციები ჭოროხ-აჭარისწყლის ხეობებში, „გურამ კარტოზია – 75“, თბილისი.

მეგრელიძე 1938: И. В. Мегрелидзе. Лазский и мегрельский слой в гурийском, М.-Л.

მემიშიში 2005: ო. მემიშიში. „ნა“ კავშირიანი დამოკიდებული წინადადება ლაზურში. – ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, IV, ბათუმი.

მემიშიში 2005ა: ო. მემიშიში. ლექსიკური შეხვედრები ქართველურ ენებში. – „კრებული“, ბათუმი.

მემიშიში 2005ბ: ო. მემიშიში. თხზული სახელები ლაზეთის ტოპონიმიაში.-ლაზურში.-ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „შრომები“, IV, ბათუმი.

მემიშიში 2007: ო. მემიშიში. რთული ნათესაური ურთიერთობის ტერმინები ლაზურში. – „კრებული“, V, ბათუმი.

მემიშიში 2012: ო. მემიშიში. სარფის მიკროტოპონიმია, ჩვენი სულიერების ბალავარი (სამეცნიერო კონფერენციის მასალები), IV, თბილისი.

მეჰმეტი 1999: Öz Mehmet. XV-XVI yy. Canık Sancağı, Ankara.

მიქელაძე 1967: თ. მიქელაძე. სამხრეთ-დასავლეთი შავიზღვისპირეთის მელითონე ტომების ისტორიისათვის, *მაცნე* (ისტორიის სერია), №1.

მიქელაძე 1967: თ. მიქელაძე. ქსენოფონტის *ანაბასისი*, თბილისი.

მიქელაძე 1967: თ. მიქელაძე. ძიძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბილისი.

ნიჟარაძე 1971: შ. ნიჟარაძე. ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა, ბათუმი.

ოსმან-ბეი 1874: Осман-бей, Лазистан. – «Известия кавказского отдела императорского русского географического общества“, т. X, №8, С-П.

პელკმანსი 2006: Mathijs Pelkmans. Identity, Religion, and Modernity in Republic of Georgia, London.

ჟღენტი 1960: ს. ჟღენტი. ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I , თბილისი.

რობაქიძე 1959: А. Робакидзе. Современное грузинское крестьянское жилище, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბილისი.

რურუა 2005: პ. რურუა. სახლეულის სეგმენტაციის ზოგიერთი ასპექტი ლაზეთში.-ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „შრომები“, IV, ბათუმი.

რურუა 2005: პ. რურუა. ქორწინება და ოჯახი მეგრულ-ლაზურ ტრადიციულ საზოგადოებაში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი.

რურუა 2007: პ. რურუა. სახლეულის ტიპის სოციალური ორგანიზაცია სამეგრელოსა და ლაზეთში (ეთნოლოგიური პარალელები), ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „შრომები“,V, ბათუმი.

სიხარულიძე 1958: ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, ბათუმი.

სიხარულიძე 1959: ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი II, ბათუმი.

სიხარულიძე 1959: ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი II, ბათუმი.

სიხარულიძე 1977: ი. სიხარულიძე. ჭანეთი (ლაზეთი), საისტორიო გეოგრაფიის მასალები, I, ბათუმი.

ტერელაძე 1959: ა. ტერელაძე. აღმოსავლეთ ჭანეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის *შრომები*, (გეოგრაფიულ მეცნიერებათა სერია), ტ. 72, თბილისი.

უსპენსკი 1948: Ф. И. Успенский. История Византийской империи, т. III, Москва.

ფეურტსეინი 2002: W. Feurtsein. Didi Nenapona. Handworterbuch der lasishen sprache (Lasisch-Deutsch-Turish-Georgisch).

ფრენკელი 1879: А. Френкел.Очерки Чурук-су и Батума, Батуми.

ფუტკარაძე 2015: ტ. ფუტკარაძე. ენობრივ-კულტურული ისტორია, ჟურნ. „ჭოროხი“, №1, ბათუმი.

ქრონიკა 1905: Трапезундская хроника, Михаил Панарети, изд. А. Хаханов.-«Труды по Востоковедению“, вып. XIII, Москва.

ქუთელია 1982: ნ. ქუთელია. ლაზური ფოლკლორი (ქართული ენის ქართულ დიალექტზე): წიგნი შეადგინა და ლიტერატურული რედაქცია გაუკეთა ნათელა ქუთელიამ), თბილისი.

ქუთელია 2001: ნ. ქუთელია. ქრისტიანული ტრადიცია ლაზურ ლექსიკასა და და რიტუალში. – „ქართველური მემკვიდრეობა“, V, ქუთაისი.

ქუთელია 2011: ნ. ქუთელია. მეგრულისა და ლაზურის ურთიერთმიმართებისათვის, კულტუროლოგიური ძიებანი, II, ბათუმი.

ყაზბეგი 1876ა: Г. Н. Казбеги. Три месяца в Турецкой Грузии.-«Записки кавказского отдела императорского географического общества“, кн. 10, вып. Тифл.

ყაზბეგი 1876ბ: Г. Н. Казбеги. Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского Санджака, Тифлис.

ყაუხჩიშვილი 1940: ს. ყაუხჩიშვილი. რიტორიკული განათლების ცენტრი ძველს კოლხეთში. – საქართველოს მუზეუმის *მოამბე*, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1948: ს. ყაუხჩიშვილი. ლექციები. ბიზანტიის ისტორიიდან, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1955: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1965: ანონიმი. პერიპლუს პონტი ეუხინი, *გეორგიკა* (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. II, თბილისი.

ყიფშიძე 1911: И. Кипшидзе. Дополнительные сведения о чанском языке.-«Материалы по яфетическому языкознанию", III, СПб.

ყიფშიძე 1911: ი. ყიფშიძე. ჭანეთი და ჭანები, ჟურნ. `ნაკადული მოზრდილთათვის", №8.

ყიფშიძე 1939: ი. ყიფშიძე. ჭანური ტექსტები, ტფილისი.

ყორანაშვილი 2013: გ. ყორანაშვილი. ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხი, თბილისი.

ჩელები 1971: ევლია ჩელები. მოგზაურობის წიგნი, თბილისი.

ჩიტაია 1926: გ. ჩიტაია. გლეხის სახლი ქვაბლიანში. მიმომხილველი, I, ტფილისი.

ჩიტაია 1941: გ. ჩიტაია. ლაზური ორნამენტი, *შრომები*, XX ს. ქართული ეთნოგრაფია. საველე-ეთნოგრაფიული ძიებანი, მეთოლოგია, ტ. III, თბილისი.

ჩიტაია 1941: გ. ჩიტაია. სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში. – ენიმკის „მოამბე", ტ. X, თბილისი, იგივე ნაშრომი – *სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში*, ასევე, იხილეთ ბოლო ხანებში მისი გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ მრავალტომეულში, *შრომები* (ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და კულტურულ-ისტორიული პრობლემები), ტ. II, თბილისი.

ჩიტაია 2001: გ. ჩიტაია. ლაზი და ლაზური სახლი, *შრომები*, XX ს. ქართული ეთნოგრაფია. საველე-ეთნოგრაფიული ძიებანი, მეთოლოგია, ტ. III, თბილისი.

ჩიქობავა 1936: ა. ჩიქობავა. ჭანურისა და მეგრულის ადგილისათვის ქართველურ ენათა ჯგუფში (ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ), თბილისი.

ჩიქობავა 1936: ა. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, *შრომები*, IV, თბილისი.

ჩიქოვანი 1960: თ. ჩიქოვანი. ზემო აჭარული სახლი.-ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის *შრომები*, I, ბათუმი.

ჭიჭინაძე 1927: ზ. ჭიჭინაძე. ლაზისტანი, თბილისი.

ხალვაში 2002: მ. ხალვაში. კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან, ბათუმი.

ხახუტაიშვილი 2007: დ. ხახუტაიშვილი. აჭარის უძველესი და ძველი ისტორიის ძირითადი ეტაპები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, I, თბილისი.

ხახუტაიშვილი 2009: დ. ხახუტაიშვილი. შავიზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებით, *შრომები*, (სამტომეული), I, ბათუმი.

ხახუტაიშვილი 2013: ნ. ხახუტაიშვილი. კოლხთა ეთნოგენეზის პრობლემა კოლხური სამთო-მეტალურგიული ცენტრის მონაცემების შუქზე. – „საისტორიო მაცნე", XX, ბათუმი.

ჯავახიშვილი 1917: ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის მოკლე ისტორია, ქუთაისი.

ჯავახიშვილი 1960: ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი.

ჯანაშია 1959: ს. ჯანაშია. შრომები, ტ. III, თბილისი.

ჯაფარიძე 1969: ო. ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი.

ჯიქია 1944: ს. ჯიქია. „ლაზუტ" სიტყვის წარმოშობისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის *მოამბე*, ბ. V, 12, თბილისი.

ჯიქია 1958: ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თბილისი.

ჯიქია 1964: იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი, XV (ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ), თბილისი.

ჯღარკავა 2002: მ. ჯღარკავა. კოლხური (მეგრულ-ლაზური) სააკვნო ლექს-სიმღერები. – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმიფო უნივერსიტეტის *შრომები* (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), IV, ბათუმი.

ჯღარკავა 2002: მ. ჯღარკავა. კოლხური საქორნილო ლექს-სიმღერები (მეგრულ-ლაზური ფოლკლორული მასალების მიხედვით), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის *შრომები* (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), VII, ბათუმი.

ჯღარკავა 2005: მ. ჯღარკავა. კოლხური (მეგრულ-ლაზური) „სიჯალიკობა" და მასთან დაკავშირებული ხალხური პოეზია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის *შრომები*, IV, ბათუმი.

ჰილზი 1972: დ. ს. ჰილზი. ჩემი მოგზაურობანი თურქეთში, ძველ ლაზეთში, „მიმომხილველი", თბილისი.

HISTORIC-ETHNOGRAPHIC LAZETI: *SOURCES, HISTORIOGRAPHY AND PROBLEMS OF STUDY*

Nugzar Mgeladze

In spite of the fact that the interest towards history and folklore of the Laz has always been great, their ethnology, everyday life and culture have been explored poorly in the Georgian historiography. Due to some objective reasons their comprehensive exploration has not been carried out so far. The field explorations of the Laz and historic south Georgian population in general has been hindered first by the Ottomans and then by politically motivated attitude of the Turkish administration. It is considered that the same attitude has been preserved today. However, carrying out individual observations or structured interviews, obtaining field data about the Laz living in Turkey is possible. Naturally, everything that has been carried out till today is not sufficient to make clear picture about cultural values and peculiarities of their historic development. In this regard, written sources are of utmost significance. In the scheme of representation of historic and ethnographic panorama of the Laz history, huge significance should be paid to those cultural disclosure and systematization of Colchis, which are preserved in Latin, Greek, Armenian, Turkish and Georgian sources.

ქართული ისტორიული აზრის განვითარება შუა საუკუნეებში: *ქართლის სამეფოს დაარსების შესახებ ცნობების შედარებითი ანალიზი*

მარიამ ჩხარტიშვილი

შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის ორი ნიმუში *მოქცევაი ქართლისაი* და *ქართლის ცხოვრება* გარკვეული მონაკვეთში მოგვითხრობს ერთიდაიმავე ისტორიულ ფაქტებზე: პირველი მათგანი მოკლედ, მეორე უფრო ვრცლად. თუმც, როგორც ეს არაერთგზის აღნიშნულა სპეციალისტების, მათ შორის, ჩემ მიერაც[1] განსხვავება ამ ძეგლების თხრობას შორის მარტო მოცულობით არ ამოიწურება. ხშირად არაერთგვაროვანია მათში წარმოდგენილი ფაქტობრივი მონაცემიც და აღწერილ მოვლენათა შეფასებაც. ამ სხვაობათა შეჯერება და ანალიზი, როგორც წესი, ძალიან საინტერესო შედეგებს გვაძლევს არა მარტო ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კუთხით, არამედ ქართული ისტორიული აზროვნების ანუ ისტორიოგრაფიის ისტორიის თვალსაზრისითაც. წინამდებარე სტატიაში ერთ-ერთ ამგვარ შემთხვევაზე შევჩერდები. სიტყვა ეხება ცენტრით მცხეთაში ქართული სახელმწიფოს დაფუძნების ისტორიას.

აღნიშნული ისტორია უკვე მრავალი წელია არის მკვლევართა შეუნელებელი ინტერესის საგანი და, შესაბამისად, საკითხისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი გამოკვლევებიც არსებობს: (ხაზარაძე 2001: 318-336); (სანაძე 2001: 23-52); (ნიკოლოზიშვილი 2006: 51-73); (ქავთარაძე 2009: 29-55); (წულუკიძე 2010); (გორდეზიანი 2014: 84-85).[2] არსებული გამოკვლევების გაცნობის შემდეგ უშუალოდ წყაროთა ანალიზის საფუძველზე და ჩემ მიერ ზოგ პრობლემასთან დაკავშირებით ადრე მიღებული შედეგების გათვალისწინებით გამიჩნდა აზრი, რომ შესაძლებელია ლოგიკურად უფრო გამართული, და, ამავე დროს. წყაროთა მონაცემებთან სრულად შესატყვისი, ახალი თვალსაზრისის ჩამოყალიბება. ამ თვალსაზრისს წარმოვადგენ ქვემოთ.

ცნობილია, რომ როგორც *მოქცევაი ქართლისაი*, ისე *ქართლის ცხოვრება* რთული შედგენილობის ძეგლებია, ისინი არსებითად ისტორიოგრაფიული კრებულებია. აქედან გამომდინარე სხვადასხვა მონაკვეთს სხვადასხვა ავტორი და რედაქტორი შეიძლება ჰყავდეს. ამ საკითხის სათანადოდ წარმოჩენის საშუალება, ცხადია, აქ არაა. გაურკვეველობის თავიდან ასაცილებლად, მართებულად მიმაჩნია აღნიშნულ წყაროთა საანალიზო მონაკვეთებისათვის შემოვიღო პირობითი დასახელებები: *მოქცევაი ქართლისაის* იმ ნაწილს, რომელიც შეიცავს ცნობებს მცხეთის სამეფოს დაფუძნების ისტორიის შესახებ, ვუწოდებ პირველ ტექსტს, ხოლო *ქართლის ცხოვრების* თხრობას იგივე ფაქტის შესახებ – მეორე ტექსტს.

აშკარაა, რომ მეორე ტექსტის ავტორი იცნობს პირველ ტექსტს, თუმც გვაწვდის განსხვავებულ რეპრეზენტაციას:

პირველი ტექსტის მიხედვით, მცხეთაში პოლიტიკური ცენტრის მქონე ქართული სახელმწიფოს დაფუძნება უკავშირდება ალექსანდრე მაკედონელს. გარკვეული წინასწარი ღონისძიებების გატარების შემდგომ ალექსანდრეს აქ მოუყვანია და მეფედ დაუსვამს არიან-ქართლის მეფის ძე აზო. ამგვარად, აზო, ამ წყაროს მონაცემით იყო მცხეთის სამეფოს პირველი მეფე (აბულაძე 1963: 81-82).

მეორე ტექსტის მიხედვითაც, მცხეთის სამეფოს წარმოქმნა ალექსანდრეს ეპოქას უკავშირდება, მაგრამ სამეფოს შექმნა ადგილობრივი ინიციატივაა. ამ ნარატივშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აზოს (ამ სახელისათვის ტექსტში გამოყენებული ფორმა აზონია), რომელიც, ოღონდაც, აქ მაკედონელად და მეფე ალექსანდრეს თვისად ანუ ნათესავად არის წარმოდგენილი. ამ განსხვავებულ ფაქტს რამდენიმე, მისგან ლოგიკურად გამომდინარე, ცვლილებაც ახლავს: მაგალითად, პირველი ტექსტის მიხედვით, აზომ კერპები გაცი და გაცა თავის სამშობლოდან ანუ არიან-ქართლიდან მოიტანა; მეორე ტექსტის ავტორი, ვინაიდან არიან-ქართლს უგულვებელყოფს და აზონს მაკედონიას უკავშირებს, გვარწმუნებს, რომ კერპები აზონმა ადგილზე შექმნა ალექსანდრეს გარდაცვალების შემდგომ. აზონი ალექსანდრეს მიერ დადგენილ იყო მცხეთის სამეფოს მმართველად. აქ მოცემულია აზო/აზონის სიტყვიერი პორტრეტიც: იგი ადგილობრივთა ანუ ქართველთა მიმართ სასტიკია და მათ სიძულვილს იმსახურებს. მას დასჯაბნის დადებითი პიროვნული თვისებებით უხვად შემკობილი ფარნავაზი, რომელიც არის ალექსანდრეს მიერ მოკლული მცხეთის მამასახლისის ძმისწული. სწორედ ფარნავაზია, მეორე ტექსტის მითითებით, მცხეთის სამეფოს პირველი მეფე (ყაუხჩიშვილი 1955: 18-21).

ქართლის ცხოვრება, როგორც ითქვა, არის ძველქართულ ისტორიოგრაფიულ თხზულებათა კრებული. ჩვენთვის საინტერესო ცნობა მოცემულია მის დასაწყის ნაწილში, რომლის ავტორი (ზოგი თვალსაზრისით, შემდგენელ-რედაქტორი) ლეონტი მროველია. ჩვენთვის საინტერესო ცნობა არის თავში, რომელსაც

ფარნავაზის ცხოვრება ეწოდება. როგორც ვარაუდობენ, ეს თხზულება არსებობდა დამოუკიდებელი სახითაც. ანუ რეპრეზენტაცია, რომელიც ზემოთ წარმოვადგინე, ნაწილობრივ შესაძლოა, მომდინარეობდეს სწორედ ლეონტი მროველის წყაროდან, რომელიც გაცილებით ძველი ჩანს, ვიდრე ლეონტის მოღვაწეობის ხანა ანუ XI საუკუნე.

ზემოთ აღნიშნულ ფაქტობრივ სხვაობათა შესახებ, როგორც აღვნიშნე, არაერთხელ გამახვილებულა ყურადღება სპეციალურ ლიტერატურაში. მაგრამ, ჩემი აზრით, მარტო ფაქტების ჩამოთვლა არაა საკმარისი. უნდა ხაზი გაესვას მთავარი გზავნილის განსხვავებულობასაც: პირველის თანახმად, აზო ლეგიტიმური ხელისუფალია: ის მეფის ძეა ანუ მას დაბადებით აქვს უფლება იმეფოს, ამასთან ის ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული რომელიღაც პოლიტიკური ერთეულის ანუ არიან-ქართლის მმართველი დინასტიის წარმომადგენელია.

რასაც ეს ძველი ავტორი გვამცნობს, სავსებით ლოგიკურია: ალექსანდრემ შემთხვევითი პირი კი არ მოიყვანა ქართლში, არამედ შესაბამისი ლეგიტიმაციის მქონე პიროვნება. საინტერესოა, რომ ჩემი ეს ვარაუდი ანუ ლოგიკაზე დაფუძნებული ინტერპრეტაცია, შეიძლება შემაგრდეს ფაქტობრივი ანალოგიითაც: როგორც ირკვევა, სხვა შემთხვევაშიც ალექსანდრე ასევე მოქცეულა. აი, როგორი ვითარება ყოფილა სომხეთში:

> 331 წელს ალექსანდრე მაკედონელმა დარიოსი გავგამელას ბრძოლაში საბოლოოდ გაანადგურა და გავგამელასთან შემდეგ სომხეთის სატრაპად დარიოს მესამის სახელმწიფო სამსახურში ნამყოფი სარდესის ყოფილი გარნიზონის თავი მითრენი დანიშნა. ალექსანდრეს მითრენი „პატივში“ შემთხვევით არ ჰყავდა. მითრენი იარვანდიანთა სახლის შვილი იყო, ხოლო აქემენიდური ირანის სომხეთის სატრაპია იარვანდიანთა სახლს ეკუთვნოდა. როგორც კ.თუმანოვი აღნიშნავს, მითრენის იარვანდიანობამ განაპირობა ალექსანდრეს არჩევანი. ...ალექსანდრე მაკედონელმა, რა თქმა უნდა, მშვენივრად იცოდა, რომ მას სომხეთში სატრაპად მხოლოდ ისეთი სახლის შვილი უნდა აერჩია, რომელიც უცხო არ იქნებოდა იმდროინდელი სომხეთის მმართველი არისტიკრატიისათვის (მამულია 1979: 104).

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ პირველი ტექსტი სამეფო ტახტზე აზოს ლეგიტიმაციის ტექსტია.

რაც შეეხება მეორე ტექსტს, მის ავტორს აშკარად არ სურს, რომ აზოს შესახებ ეს თვალსაზრისი გავიზიაროთ. მისი ფავორიტი ფარნავაზია. იგი ფარნავაზს, როგორც ვნახეთ, დიდი პიროვნული ხიბლის მქონედ წარმოაჩენს, მაშინ, როცა სასტიკი აზო/აზონი ყველას სძულს. აზო/აზონის ბიოგრაფიიდან მეორე ტექსტის ავტორი, ვფიქრობ, შეგნებულად იღებს ამ უკანასკნელის ლეგიტიმაციისათვის მნიშვნელოვან ფაქტს — მის კავშირს ქართული სამყაროსთან და ერთ-ერთ ქართულ სამეფო დინასტიასთან. ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს აზონის უცხოელობაში. ამის პარალელურად ხაზგასმულია ფარნავაზის ადგილობრივობა.

მაგრამ ადგილობრივობა და პიროვნული ხიბლი არაა საკმარისი ტახტის დაკავების ლეგიტიმურობის დასასაბუთებლად. ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით ფარნავაზს აქვს დიდი პრობლემა. ის არაა წარმოშობით მეფე. მაგრამ ეს გარემოება მეორე ტექსტის ავტორს ხელს არ აღებინებს ფარნავაზის განდიდებაზე და ცდილობს საბუთად მოგვაწოდოს ფაქტი, რომელსაც ძველი კულტურის მსოფლხატის ჩარჩოებში, ასე ვთქვათ, „წყალი არ გაუვა“. ეს ფაქტი მას მოცემული აქვს ფარნავაზის სიზმრის სახით: იხ. (ყაუხჩიშვილი 1955: 21-23). აღნიშნული სიზმარი არაერთხელ გამხდარა მკვლევართა ანალიზის საგანი. ჩემი აზრით, ეს არის *ფარნავაზის ცხოვრების* ანუ მეორე ტექსტის უმთავრესი გზავნილის შემცველი მიკროტექსტი. ის გვამცნობს, რომ ფარნავაზი უფლის რჩეულია. ეს უფალი მზეა. სწორედ მზის სხივი აპოვნინებს ფარნავაზს განძს, რასაც ფარნავაზი აზოს წინააღმდეგ აჯანყების ორგანიზებისათვის გამოიყენებს. ფარნავაზი უბრალო ჭაბუკი კი არაა, ის მზეჭაბუკია, მზის მიერ ძალმოსილია. მზის ცვარცხებულია. გავიხსენოთ ქართული ხალხური ზღაპრების თხრობა მზის პირის ნაბანით გმირის გაძლიერების შესახებ. ცხადია, იგულისხმება, რომ მზის ცვარი მზის ძალის მომნიჭებელია. ავტორს აშკარად იმის თქმა უნდა, რომ ფარნავაზის გამეფება არის განგების ნება და ეს განგება კი მზეა.

ამგვარად, მეორე ტექსტი პროფარნავაზულია. ამიტომაც, ის ამავე დროს, ანტიაზონური ნარატივია. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ მეორე ტექსტის ავტორი ითვალისწინებს და პასუხებს სცემს „ოპონენტებს“, რომლებიც, შესაძლოა, რომ მცხეთის სამეფოს დაფუძნების ისტორიის რეპრეზენტირებისას სწორედ პირველი ტექსტის მონაცემთა გათვალისწინებით შემოედავონ. აქედან გამომდინარე მებადება კითხვა: ხომ არ შეიძლება მეორე ტექსტის ავტორის მიერ ფარნავაზის მეფობის მზით ლეგიტიმაციის ფაქტიც, რამენაირად უკავშირდებოდეს (პასუხს წარმოადგენდეს) აზო/აზონის ბიოგრაფიულ მონაცემზე. ანუ ხომ არ იყო აზოს/აზონის რეალურ ბიოგრაფიაში (ანდა, ბიოგრაფიის ლეგენდაში) მისი მეფობის მზესთან კავშირით ლეგიტიმაციის შესახებ ინფორმაცია?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მინდა განვიხილო კვლავ წყაროთა მონაცემები. როგორც ითქვა, პირველი ტექსტის ავტორის მიხედვით, აზოსთან არის დაკავშირებული გარკვეული რელიგიური ინიციატივა: გაცისა და გაცას კერპების არიან-ქართლიდან მოტანა. *წმ. ნინოს ცხოვრების* ვრცელ რედაქციაში, რომელიც

მოქცევაი ქართლისაის მეორე ნაწილს წარმოადგენს, არის გამეორებული ის ცნობა, რომ ეს კერპები იყვნენ მცხეთელ ქართველთა არიან-ქართველი წინაპრების ანუ „მამათა“ კერპები (აბულაძე 1962: 120).

წმ. ნინოს ცხოვრების ვრცელი რედაქცია IV ს. შუა ხანებში შექმნილი და მერე არაერთი რედაქცია გამოვლილია (ჩხარტიშვილი 1987). ზემოთ აღნიშნული აზრი კი დანარჩუნებულია. ამრიგად, ქართული ერთობის ნარატივში უმნიშვნელოვანესი ეთნიკური იდენტობრივი მარკერის ანუ რელიგიური მარკერის, ჩამოყალიბებაში არიან-ქართველთა ღვაწლის შესახებ ცნობა საუკუნეთა განმავლობაში უცვლელად ნარჩუნდება. კიდევ მეტი: XII საუკუნით დათარიღებულ *წმ. ნინოს ცხოვრების* მეტაფრასულ რედაქციაში, რომელიც *მოქცევაი ქართლისაის* საეკლესიო საკითხავად გადამუშავების წარმატებულ ცდას წარმოადგენს (ჩხარტიშვილი 1980: 114-121), განმეორებულია ქართველთა არიან-ქართველთაგან წარმომავლობა და ამის დამატებით ხაზგასმულია ქართველთა და არიან-ქართველთა ენის იგივეობაც (აბულაძე 1971: 46-47) ანუ იდენტობრივი განგრძობადობის თვალსაზრისით უმთავრესი მარკერის იგივეობაა მითითებული. ეს ავტორი, რომელსაც ზოგი მკვლევარი არსენ ბერს უწოდებს და ზოგი არსენ იყალთოელთან აიგივებს, აშკარად გააზრებულად იმეორებს თავისი წყაროს ცნობას და მას არიან-ქართული ენისა და ქართული ენის იგივეობის შესახებ მოსაზრებით ავსებს.

აღნიშნული ფაქტი, დამატებით თავად ტერმინისა, მაფიქრებინებს, რომ „არიან-ქართლში“ ძველი ქართველი მწიგნობარნი შეუძლებელია ქართული სამყაროსაგან სრულიად მოწყვეტილ ქვეყანას გულისხმობდნენ.

ქვეყანა, რომელთანაც მცხეთის სამეფოს მოსახლეობის ეთნიკური იგივეობა შეიძლება წარმოედგინათ ძველ ქართველ მწიგნობრებს, შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: ესაა კოლხისი[3] — ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი; კოლხური ენა კი უძველესი ქართულია.

აიეტის კოლხისის ხსოვნა რომ არსებობდა ქართულ სამყაროში, ეს დასტურდება უცხოურ წყაროების მიხედვითაც:

> მთელი ამ ტერიტორიის მოსახლეობა ანტიკურ ეპოქაში თავის თავს სწორედ ამ დიადი გაერთიანების მემკვიდრედ თვლიდა. მემკვიდრეობითობის ეს ჯაჭვი იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ იგი არ გაწყვეტილა მრავალი საუკუნის განმავლობაში მიუხედავად ქართველური სამყაროს ინტენსიური დიფერენციაციისა და საქართველოს ტერტორიაზე ახალ-ახალი სახელმწიფო გაერთიანების სიმრავლისა. ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ ფასისში ბერძნების მისვლისა და მედეას მოტაცების ამბავი მშვენივრად იცოდნენ სპარსმა ისტორიკოსებმა (I,2). „კოლხებს ახსოვდათ ეგვიპტელები“ (II,104). ქსენოფონტი (ძვ.წ.ა. IV ს.), გვაუწყებს, რომ ფასიანთა ქვეყანაში ანუ კოლხეთში მის დროს აიეტის შთამომავალნი მეფობდნენ („ანაბასისი“, V,6, 36-37), ხოლო სტრაბონი (ძვ.წ.ა.I ს.) აზუსტებს, რომ კოლხეთში აიეტი ადგილობრივი სახელია (1„2,39). ბერძნულ წყაროებში ასევე ადგილობრივი ტრადიციის გათვალისწინების საფუძველზე შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ტენდენცია ძველი ერთიანი კოლხეთის ახალ, დიფერენცირებულ კოლხეთთან დაპირისპირებისა. სტრაბონი შემდეგს გადმოგვცემს: „თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა, ცხადყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონის ლაშქრობაზე...ამის შემდეგ მემკვიდრე მეფეებმასკეპტუხიებად დაჰყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება“ (XI,2,18). აქ გამოთქმა „ამის შემდეგ“, შეიძლება მხოლოდ აიეტის პერიოდის მოვლენებს გულისხმობდეს. შესაბამისად, სტრაბონის მიხედვით, აიეტის დროინდელი ერთიანი კოლხეთი შემდგომ სკეპტუხიებად ანუ საბრძანებელ რეგიონებად დაჰყვეს მისმა მემკვიდრეებმა. ბუნებრივია, დიფერენციაციის მიუხედავად, ალბათ თითქმის თითოეული სკეპტუხიის მმართველს თავისი დინასტიის სანყისები იმ ლეგენდარულ დრომდე და დიდ კოლხეთამდე აჰყავდა (გორდეზიანი 1993: 25-26).

ამგვარად, *მოქცევაი ქართლისაის* ინფორმაციის ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ აზო ესაა პიროვნება, რომელიც კოლხისს და მის სამეფო დინასტიას უკავშირდება. კოლხისის მეფეები იყვნენ აიეტის შთამომავლები, ხოლო აიეტი ჰელიოსიანი ანუ მზის შვილი იყო. შესაბამისად, აზო მზის შთამომავალია.

ამიტომ ვფიქრობ, რომ მეორე ტექსტის ავტორის აქცენტი ფარნავაზის მზისმიერ ძალმოსილებაზე არ უნდა იყოს შემთხვევითი: მას სურს გვითხრას, რომ ამ ნიშნით ფარნავაზი სულაც არაა აზო/აზონზე ნაკლები. მართალია, მას ჰელიოსიანობა დაბადებით არ მოსდგამს, მაგრამ ის მზისგან ძალმოცემული პიროვნება და, შესაბამისად, სრულიად ლეგიტიმური ხელისუფალია. ანუ იმის თქმა მინდა, რომ ფარნავაზის ლეგიტიმურობის ამ სახით დასაბუთება მიუთითებს იმას, რომ მეორე ტექსტის ავტორს აზოს ლეგიტიმაცია დაკავშირებული აქვს მზესთან. მაგრამ ეს ლოგიკური იქნება იმ შემთხვევაში თუ მას *მოქცევაი ქართლისაის* მიერ გამოყენებული ტერმინი „არიან-ქართლი“ ესმის, როგორც „კოლხისი“.

როგორც კი „არიან-ქართლს“ „კოლხისად“ გავიაზრებთ და აზოს კოლხისთან დაკავშირებულ პიროვნებად, მისი სახელი ამ ნარატივში ერთბაშად შეიძენს ძალიან ღრმა შინაარსს. არაერთხელ ყოფილა მითითებული სპეციალურ ლიტერატურაში, რომ აზო/აზონი და იაზონი, ეს ერთიდაიგივე სახელებია, უფრო ზუსტად, ერთი სახელის ვარიაციებია.

როგორც უკვე მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, აიეტიანელობა ანუ დიდ კოლხეთთან მემკვიდრული კავშირის წარმოსახვა, იყო საქართველოს ტერიტორიაზე მომდევნო ეპოქებში წარმოქმნილი პოლიტიკურ

ერთეულებში ხელისუფლების ლეგიტიმაციის საფუძველი. არიან-ქართველი მეფის ძის სახელი, რომელიც, აშკარად საგვარეულო სახელია, მაფიქრებინებს, რომ შემდგომდროინდელი სახელმწიფოების ხელისუფალთა კავშირი აიეტიანთა დინასტიასთან მოიაზრებოდა იაზონიანების გზით ანუ აიეტის ქალიშვილის მედეასა და მისი სიძის – იაზონის – შთამომავლების გზით.

აქ უნდა გავაკეთოთ შემდეგი შენიშვნა: ხშირად თანამედროვე მკითხველმა იაზონის შესახებ იცის თქმულებების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც კოლხისში მის მისვლას და აქედან ოქროს სანმისის წაღებას და მედეას წაყვანას ეხება. მაგრამ იაზონის სახელის დაკავშირება შეიძლება მომდევნო პერიოდის კოლხისთანაც მისი და მედეას შთამომავლების ანუ იაზონიანების გზით. იაზონისა და მედეას ცხოვრების გვიანდელი პერიოდის შესახებ არსებობს თქმულებები, რომელთა ნაწილი აჩვენებს, რომ იაზონსა და მედეას შთამომავლობა დარჩათ, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ კოლხისში. მაგრამ ფართო მკითხველის თვალში ამგვარ ინფორმაციას ახშობს ევრიპიდეს (ძვ. წ. V საუკუნე) ტრაგედია *მედეა* მისი უძლიერესი ემოციით, რასაც მედეას მიერ შვილების მკვლელობა წარმოშობს. ამ ვერსიის გაზიარების შემთხვევაში იაზონისა და მედეას შთამომავლობაზე საუბარი, ცხადია, ზედმეტია. მაგრამ, როგორც ვთქვი, ესაა უფრო გვიანდელი ვერსია. ადრეულ თქმულებებში სხვაგვარი ისტორიაა წარმოჩენილი:

> მედეას მიმართება შვილების მოკლვასთან უკვე ანტიკურ ეპოქაში იწვევდა კამათს. ძველი და ახალი ავტორების უმეტესობის აზრით, ადრეულ ვერსიებში მედეა არ კლავდა საკუთარ შვილებს... არცერთი ჩვენამდე მოღწეული ევრიპიდემდელი წყარო არ იხსენიებს შვილების მოკვლის ეპიზოდს, თუმცა მათში მედეა საკმაოდ აქტიურად ფიგურირებს. მხოლოდ ევრიპიდეს შემდეგ ხდება ეს ვერსია პოპულარული. შესაბამისად, მედეას ტრაგიკული სახე, რომელიც თავადაც იტანჯება და თავისი უბედურებით ჩვენშიც ძრწოლას აღძრავს, პირველად ევრიპიდეს დრამაში ჩამოყალიბდა (გორდეზიანი 2006: 128).
>
> შდრ. ს. ჯანაშია:
>
> ...ნაკლს ავსებს ტაციტუსი თავის „ანალებში" (VI, 33-34). ის დაწერილებით საუბრობს იბერიის ამბებზე ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში და აფიქსირებს იბერიელების აზრს საკუთარი თავის შესახებ: „ისინი ამბობენ, რომ წარმოიშვნენ თესალიელებისაგან იმ დროს, როცა იასონი, რომელმაც მოიტაცა მედეა და შვილები იყოლია მისგან, შემდეგ დაბრუნდა აიეტის დაცარიელებულ სასახლეში უმეფოდ დარჩენილ კოლხებთან. და მართლაც იქ ბევრი რამ მოწმობს მის სახელსა და ფრიქსეს ორაკულს; არავის არ მიაქვს მსხვერპლად ვერძი, რადგანაც სწამთ, რომ მან მოიყვანა ფრიქსე". „იასონს ჰყავს მედეასაგან შვილები და, საგონებელია, მათთან ერთად ბრუნდება კოლხეთში; აიეტის სასახლე დაცარელიებულია, ხოლო კოლხები უმეფოდ არიან, საგონებელია, რომ აიეტი მკვდარია. იასონი იჭერს მის ადგილს (ასეთი შეხედულება თითქოს ჩანს სტრაბონთანაც, XI, თ. II, § 18) (ჯანაშია 1952: 238, 241, 242, 243).

როგორც ვთქვი, „არიან-ქართლის" გაგება, როგორც „კოლხისისა" და აზოსი, როგორც იაზონის და მედეას შთამომავლის ანუ ჰელიოსიან-აიეტიანებთან დაკავშირებული იაზონიანისა, ლოგიკური ასოციაციაა და მისი დაფიქსირება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. მაგრამ ჩემამდე ამ ასოციაციით, როგორც დასმული საკითხის კვლევისათვის მნიშვნელოვანი ინტელექტუალური რესურსით, არავის უსარგებლია.

მაინც რა იყო დამაბრკოლებელი თანამედროვე მკვლევართათვის, რომ ამოეცნოთ ძველი ქართველი მწერლების სრულიად გამჭვირვალე აზრი „არიან-ქართლისა" და „კოლხისის" იგივეობის შესახებ?

აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი, ჩემი აზრით, ისაა, რომ მკვლევრები „ქართლს" აღმოსავლეთ საქართველოსთან აკავშირებენ და მის ბერძნულ ექვივალენტად მიიჩნევენ „იბერიას". შესაბამისად, იმ ტოპონიმის „კოლხისად" გააზრება, რომელიც შეიცავდა სიტყვა „ქართლს", თავიდანვე გამორიცხული ჰქონდათ. მე როგორღა შევძელი ტრადიციული თვალსაზრისისგან თავის დაღწევა"?

ამ შემთხვევაში დამეხმარა ჩემს ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში მიღებული შედეგი ტერმინების „კოლხისა" და „ქართის" და, შესაბამისად, ტერმინების „კოლხისისა" და „ქართლის" იგივეობის შესახებ.

ზემოთ ხსენებულ ჩემს გამოკვლევებში აღძრულია ქართველთა თვითსახელწოდების საკითხი. როგორც გამორკვეულია სპეციალურ თეორიულ ლიტერატურაში, თვითსახელწოდება ეთნიკური (აგრეთვე, ეროვნული) ჯგუფის ძალიან მნიშვნელოვან მარკერს წარმოადგენს. მასში აისახება ის თუ როგორ აცნობიერებენ თავიანთ ერთად ყოფნის ფაქტს ამ ჯგუფის წევრები ანუ ესაა ჯგუფად ყოფნის გაცნობიერების გამომხატველი მნიშვნელოვანი მარკერი. გამორკვეულია ისიც, რომ ეთნიკურ ჯგუფებს განვითარებისას ახასიათებთ „მოქნილი სტაბილურობა": ცვალებადობის მიუხედავად ჯგუფის განგრძობადობა დროში. ზემოთქმულიდან გამომდინარე ცვლილებები განვითარებაში, პირველ რიგში, უნდა აისახოს თვითსახელწოდების ცვლილებაში, ხოლო თუ განვითარება განგრძობადია, ჯგუფის განვითარების სხვადასხვა ეტაპის შესატყვისი ეს სახელწოდებანიც უნდა იყოს მსგავსი და არა აბსოლუტურად განსხვავებული. მე ვაჩვენე ქართული ჩვენ-ჯგუფის ასეთი განვითარება და თვითსახელწოდების შესაბამის ცვლილებაც: ქართული ერთობის წევრის

თანამედროვე თვითსახელწოდება – „ქართველი“ – მხოლოდ გარკვეული ეტაპიდან ჩნდება, კერძოდ, მაშინ, როცა ეთნიკურ კოლექტივს ეწოდება „საქართველო“. მანამდე ეთნიკურ კოლექტივს ეწოდებოდა „ქართლი“ (ეს იყო, როგორც გაირკვა, არა მარტო ტოპონიმი, არამედ ეთნონიმიც), ხოლო ინდივიდუალურ წევრს – „ქართი“. ქართლი-კოლექტივი გაიაზრებოდა ქართების სიმრავლედ. უფრო ადრეულ ეტაპზე ეთნიკურ კოლექტივს „ქარი“, ხოლო ჯგუფის ინდივიდუალურ წევრს ისევ „ქართი“ ეწოდებოდა: *თ* კუთვნილების მაწარმოებელი სუფიქსის მეშვეობით ხდებოდა ქარ-კოლექტივისადმი წევრის მიკუთვნებულობის ჩვენება. ამ მსჯელობიდან ამჯერად მთავარია იმაზე ყურადღების გამახვილება, რომ სიტყვა „ქართი“ შედგება ძირითადი „ქარ“ სეგმენტისაგან და *თ* კუთვნილების სუფიქსისაგან.

მაგრამ ასეთი ანალიზი ხომ ცხადყოფს, რომ სიტყვა „კოლ-ხ-ი“ სიტყვა „ქარ-თ-ის“ იდენტურია: კოლხს აგრეთვე აქვს სამი ასოსაგან შემდგარი ძირითადი „კოლ“ სეგმენტი და კუთვნილების მაწარმოებელი *ხ* სუფიქსი ანუ ორივე ამ სიტყვას აქვს ერთი ფუნქციის მქონე სუფიქსები (*თ* და *ხ*), მაშინ როცა „კოლ“ და „ქარ“ ფონეტიკურად ერთმანეთის ფარდია: *ქ* და *კ* , *ა* და *ო* და *ლ* და *რ* ბგერების მონაცვლეობა არა მარტო ქართველური ენებისათვისაა დამახასიათებელი, არამედ ფონეტიკური უნივერსალიაა. ამგვარად, „ქართი“ და „კოლხი“ ფონეტიკური ვარიაციებია (ჩხარტიშვილი 2009: 47-65).

შესაბამისად, „ქართლი“ და „კოლხისი“ ერთი და იგივეა. ე.ი. „არიან-ქართლი“ ეს იგივე „არიან-კოლხისია“.

აღნიშნული იდენტიფიკაცია ქმნის მყარ ასოციაციურ ბმას ბერძენ წყაროებში გამოყენებულ ტერმინთან: ძნელი არაა მივხვდეთ, რომ ქართული წყაროს „არიან-ქართლი“ ბერძნული წყაროების „აია-კოლხისის“ ფარდი ტერმინია. „აია-კოლხისი“ პირველად ჰეროდოტესთან გვხდება. ადრინდელი ავტორები იცნობენ მხოლოდ „აიას“. ორივე სიტყვის ერთად გამოყენებით ჰეროდოტე ერთმანეთისაგან მიჯნავს ლეგენდარულ და ისტორიულ კოლხისს. ჰეროდოტე ქვეყნის ძველსა და ახალ სახელწოდებას აწვდის მკითხველს კომპოზიტის პირველი ნაწილი აიეტს ეპოქის ქვეყნის სახელია, მეორე შემდეგდრონდელ ხანის (გორდეზიანი 2014: 59). ანუ აღნიშნულ კომპოზიტში „აია“ „კოლხისის“ სინონიმია და არა ატრიბუტი.

იგივე უნდა ითქვას კომპოზიტზე „არიან-ქართლი“: „არიან“ „ქართლის“ მსაზღვრელი კი არ უნდა იყოს, როგორც აქამდე თვლიდნენ, არამედ მისი სინონიმია. ამასთან თუ ვიცით რას ნიშნავს „აია“, გვეცოდინება რას ნიშნავს „არიან“.[4]

ამიტომ ჯერ გავარკვიოთ რას ნიშნავს „აია“.[5]

აპრიორი მოსალოდნელია, რომ ეს იყოს გეოგრაფიული მხარის აღმნიშვნელი სიტყვა. მართლაც, ძველი სამყაროს კულტურულ კონტექსტში „აია“ ნიშნავს ერთ-ერთ გეოგრაფიულ მხარეს, კერძოდ, „აღმოსავლეთს“: ეს სრულიად გარკვეულად უწერია ჰომეროსს (ძვ.წ. IX-VIII სს.) *ოდისეაში* ანუ უძველესი ძეგლში, რომელიც „აიას“ ასახელებს. „აია“ დასტურდება რამდენჯერმე (ჰომეროსი X, XI, XII). *ოდისეას* მიხედვით, „აიაიე“ მდებარეობს აღმოსავლეთით, იქ, სადაც მზის ღმერთი ჰელიოსი აღმოსვლას იწყებს (ჰომეროსი XII, 1-4).

აქადურ ღვთაებათა პანთეონში „აია“ არის დედა ქალღვთაება, ნიშნავს განთიადს, ის ასოცირდება მზის ამოსვლასთან. „აია“ იყო შამაშის, იგივე უტუს ანუ მზის ღმერთის მეუღლე. „აიას“ უნდა უკავშირდებოდეს სიტყვა „აისიც“ ანუ განთიადი ანუ ისევ მზის სემანტიკური ველია. ქართულ სინამდვილეშიც მეცნიერები ვარაუდობენ მზის ქალღვთაება „აიას“ არსებობასავ. მაგალითად, სამეგრელოში დადასტურებული „აია-ჟაშხა“ (ანუ იგივე „აია-ბჟაშხა“) სწორედ ამის მაუწყებლად მიაჩნიათ. კომპოზიტი აშკარად შედგენილია ცნების ძველი და ახალი სახელწოდებისაგან: ანუ, ერთის მხრივ, სიტყვა „აიასაგან“, რომელიც მზის დღის აღსანიშნად უფრო ადრე გამოიყენებოდა და, მეორეს მხრივ, სიტყვისაგან „ბჟაშხა“, რომელიც უფრო გვიანდელია. ანუ „აია“ არის სამზეო, მზის სამყოფელი ადგილი, მზის ქვეყანა.

ამიტომ ვფიქრობ, რომ „აია“ მზის ამოსავლის ადგილს ანუ „აღმოსავლეთს“ ნიშნავს. ამგვარად, კომპოზიტი „აია-კოლხისი“ უნდა გავშიფროთ როგორც „აღმოსავლეთი-კოლხისი“. ამ კომპოზიტის შემადგენელი სიტყვები სინონიმებია.

ზემოთქმულმა შეიძლება მკითხველის გაკვირვება გამოიწვიოს: „კოლხისი“ და „აღმოსავლეთი“? „კოლხისი“ ხომ დასავლეთ საქართველოა, როგორ შეიძლება მისი სინონიმი იყოს „აღმოსავლეთი“?!

ჯერ ერთი, კოლხისი არ არის მხოლოდ დასავლეთ საქართველო. ამაზე არაერთხელ თქმულა და ახლა ამ საკითხს არ შევეხები. მთავარი ამ შემთხვევაში სხვაა: დასავლეთ საქართველო დასავლეთია აღმოსავლეთ საქართველოსათვის, მაგრამ არა საბერძნეთისათვის, რომლის მხრიდან დასავლეთ საქართველო, ისევე როგორც მთელი საქართველო, არის აღმოსავლეთი. ამიტომ „აღმოსავლეთი-კოლხისი“არის ქართული სამყაროს ხედვა ბერძნული პოზიციიდან[6] და, შესაბამისად, ბუნებრივია, რომ „კოლხისის“ სინონიმად გვაქვს „აღმოსავლეთი“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მოლოდინი ისეთია, რომ სიტყვა „არიან“, აგრეთვე უნდა იყოს დაკავშირებული მზის სემანტიკურ ველთან და ნიშნავდეს „აღმოსავლეთს“. მართლაც: ღ/რ არის ძირი სიტყვისა „აღმოსავლეთი“ ანუ „ორიენტი“ (ლათინური oriens). შდრ. სომხურშიც მზის ამოსვლის თუ თავად მზის აღმნიშვნელი ან მზის სემანტიკური ველის სიტყვები: արեւ (არევ) – აისი, արեւածագ (არევაწაგ) – მზის ამოსვლა, արեգակն მზის თვალი ანუ მზე. ამ კონტექსტში ალბათ ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს ხეთური პანთეონის მზის ქალღვთაების სამყოფელი ქალაქი „არინაც“.

ამგვარად, სიტყვა „არიან“ ნიშნავს „აღმოსავლეთს“ .„არიან-ქართლიც“ ასევე უნდა გავშიფროთ, როგორც „აღმოსავლეთი-ქართლი,“ რაც იგივე ფართოდ გაგებული კოლხისია.

ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ შუა საუკუნეებში საქართველო გაიაზრებოდა აღმოსავლეთად მიმართებით ბიზანტიასთან ანუ საბერძნეთთან, რომელიც იყო ოიკუმენას დასავლეთი ნაწილი. ეს არაერთგზის დასტურდება XI საუკუნის ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში წმ.გიორგი მთაწმინდელის *ცხოვრებაში* (აბულაძე 1967: 173-174, 183). ამ ძეგლის მიხედვით აღმოსავლეთი და საქართველო სინონიმებია. იგივეს აჩვენებს სხვა წყაროებიც.

„აღმოსავლეთი“ იყო ფართოდ გაგებული „ქართლის“ ანუ იგივე „კოლხისის“ ძველი სახელწოდება. და ეს უნდა ყოფილიყო არა მარტო ბერძნების აზრი „კოლხისის“ // „ქართლის“ შესახებ, არამედ თავად ამ ქვეყნის მმართველი ელიტის და მოსახლეობის აზრიც. ქვეყანას, რომელსაც, ითვლებოდა, რომ მზის შვილი მართავდა, სხვაგვარად როგორ გაიაზრებდნენ თუ არა როგორც „აღმოსავლეთს“ ანუ ამომავალი მზის ქვეყანას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ შუა საუკუნეებში ქართველ ისტორიკოსები ქართველთა ეთნიკურ ფესვებს, ისევე როგორც პოლიტიკური ისტორიის დასაწყისს, აიეტის კოლხისში ეძიებდნენ. კოლხისისათვის კი მათ ტერმინი „ქართლი“ იგივე „არიან-ქართლი“ ჰქონდათ.

მოქცევაი ქართლისაის მონაცემი აჩვენებს ძველი ქართველების ისტორიული მახსოვრობაში კოლხისის ხატის არსებობას და, შესაბამისად, ქართული იდენტობის განგრძობადობას მოკიდებული აიეტის ეპოქიდან. აღნიშნული ფაქტს სხვა წყაროების ანალიზის საფუძველზე აქამდეც ვარაუდობდნენ სპეციალისტები, მაგრამ წინამდებარე გამოკვლევის შედეგი მნიშვნელოვანი იმითაა, რომ ირკვევა: ის დასტურდება ძველი ქართული ისტორიოგრაფიული ძეგლის მეშვეობით.

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების საქართველოში ადგილი ჰქონდა ისტორიოგრაფიულ პლურალიზმს ისეთ ფუნდამენტურ საკითხთან დაკავშირებით, როგორიცაა ქართული სახელმწიფოებრიობის დასაწყისი. პირველი ტექსტის ანუ *მოქცევაი ქართლისაის* მიხედვით, არსებობს მემკვიდრეობითობა აიეტის კოლხისსა და მცხეთაში ცენტრის მქონე ქართულ სახელმწიფობრიობას შორის. ეს უკანასკნელი თვისებრივ ახალი რამ არ არის ქართველთა ისტორიაში. მეორე ტექსტის ანუ *ქართლის ცხოვრების* მიხედვით, ეს მემკვიდრეობითობა თუმც თითქოს გარკვეულად იკითხება სტრიქონებს მიღმა, მაინც ფარნავაზის სამეფო სრულიად ახალი ფენომენად არის წარმოჩენილი როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით. ამ ვითარების ერთი პარადოქსი ისაა, რომ ორივე ეს ურთიერთგამომრიცხავი აზრი თანაარსებობს შუა საუკუნეების საქართველოში და მეორე ტექსტის დიდი ემოციური მუხტის მქონე ნარატივი დინასტიის დამფუძნებელ მზეჭაბუკ ფარნავაზზე, სრულადაც ვერ ახშობს პირველი ტექსტის აზრს ქართული სამეფო სახლის აიეტიანური საწყისის შესახებ. განსხვავებულ თვალსაზრისთა თანაარსებობის მიზეზი, ჩემი აზრით, უნდა იყოს მეორე პარადოქსი: მიუხედავად ურთიერთგამომრიცხველი ინფორმაციისა, ორივე ეს შეხედულება სწორია: ფარნავაზის სამეფო აიეტის სამეფოს გაგრძელებაც იყო და სრულიად ახალი ეტაპიც ქართული სახელმწიფოებრიობის და იდენტობის ისტორიაში.

შენიშვნები

[1] ჩემს სხვადასხვა ნაშრომში, მაგალითად, მეფე ფარსმან ქველის, მეფე მირიანის, სტეფანოს პირველის ქართლის ერისმთავრის შესახებ დასახელებული წყაროებში დაცული ცნობების შედარებით ანალიზს ვატარებ: (ჩხარტიშვილი 1994: 84-104); (ჩხარტიშვილი 1996: 22-23); (ჩხარტიშვილი 2009ა: 88-117)

[2] ამ ჩამონათვალს არავითარ შემთხვევაში არა აქვს სისრულის პრეტენზია. აქ ვასახელებ მხოლოდ რამდენიმე ბოლო-დროინდელ ნაშრომს. ყველა ეს ნაშრომი განსხვავებულ თვალსაზრისს წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო საკითხ-ებზე. მათი დასახელება იმიტომაც მიმაჩნია ამ შემთხვევაში მიზანშეწონილად, რომ ავტორთა უმეტესობა გვაწვდის ისტორიოგრაფიულ შენიშვნებს და დაინტერესებულ მკითხველს მათი მეშვეობით იოლად შეეძლება საკითხის კვლევის ისტორიის შესახებ მეტ-ნაკლები სისრულის წარმოდგენის შექმნა. თავად მე სტატიის ფორმის მქონე გამოკვლევის შეზღუდული მოცულობის გამო ისტორიოგრაფიული მიმოხილვის წარმოდგენის საშუალება ამჯერად არ მაქვს.

[3] როგორც ცნობილია, ძველ ქართულ წყაროებში „კოლხეთი“ არ იხსენიება. ის ახლად შექმნილი ტერმინია. ამიტომ ეამჯობინე ბერძნული ფორმის „კოლხისის“ დანარჩუნება. ამ შემთხვევაში მაგალითი ავიღე პროფესორ რ.გორდეზიანისაგან, რომელიც იყენებს ბერძნულ წყაროებში კოლხეთისათვის გამოყენებულ სხვა ფორმას: „კოლხიდას“. აი, ამასთან დაკავშირებით მკვლევრის შენიშვნა: „ჩვენ განზრახ ვარიდებთ თავს გვიანდელი და ხელოვნურად ნაწარმოები ტერმინის კოლხეთის გამოყენებას კოლხთა ქვეყნის აღსანიშნავად და შეგნებულად ვხმარობთ კოლხიდა ფორმას, რომელშიც ბერძნული ფუძის -იდ სუფიქსალური ელემენტია შენარჩუნებული“ (გორდეზიანი 2006: 53).

[4] გ. მელიქიშვილის აზრით, „არიან“ ნიშნავს ირანს. ანუ „არიან-ქართლი“ ეს იგივეა, რაც ირანის ქართლი. ამ შეხედულებას დღეს მრავალი მეცნიერი იზიარებს. ამ ტერმინის სხვადასხვა გააზრების მაგალითად იხ. აგრეთვე (ჯაფარიძე); (ს.რაპი 2014: 121-124).

[5] სამეცნიერო ლიტერატურაში „აიას“ ეტიმოლოგიის შესახებ სამეცნიერო თვალსაზრისებისათვის იხ. (გორდეზიანი 2014).

[6] არა მაინცდამაინც ბერძნებისმიერი, არამედ ესაა ხედვა ბერძნების არსებობის გათვალისწინებით.

დამოწმებანი

აბულაძე 1963: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, მეცნიერება.

აბულაძე 1967: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები გამოცემული ი.ბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, წიგნი II (XI —XV საუკუნეები), თბილისი, მეცნიერება.

აბულაძე 1971: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი მესამე. (მეტაფრასული რედაქციები მეთერთმეტე-მეცამეტე საუკუნეები). დასაბეჭდად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, მეცნიერება.

გორდეზიანი 1993: რ. გორდეზიანი. ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გორდეზიანი 2006: არგონავტები. თხრობა და კომენტარები რ. გორდეზიანისა. მეორე გამოცემა, ლოგოსი.

გორდეზიანი 2014: აია წიგნში ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია, II, 1, თბილისი: ლოგოსი.

მამულია 1979: გ. მამულია. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში. თბილისი, მეცნიერება.

ნიკოლოზიშვილი 2006: ნ. ნიკოლოზიშვილი. ქართლი ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან „მოქცევაი ქართლისაისა“ და „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბილისი.

რაპი 2014: S.Rapp. The Sassanian World through Georgian Eyes. Caucasia and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature. Ashgate Publishing Company.

სანაძე 2001: მ. სანაძე. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლისოდან მირიანამდე), თბილისი, საქართველოს მაცნე.

ქავთარაძე 2009: გ. ქავთარაძე. „არიან-ქართლის“ საკითხისათვის. – ისტორიისა და ეთნოლოგიის შრომები, IX.

ყაუხჩიშვილი 1955: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ.1,თბილისი, სახელგამი.

ჩხარტიშვილი 1994: იხ. მ. ჩხარტიშვილი. „მარტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი“. „ცხოვრებაი და მოქალაქობაი წმიდისა სერაპიონ ზარზმელისაი“ (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა). თბილისი, მეცნიერება.

ჩხარტიშვილი 1996: მ. ჩხარტიშვილი. „მოქცევაი ქართლისაი“ და I-II სს ქართლის პოლიტიკური ისტორიის საკითხები. სამეცნიერო სესია „წერილობითი ისტორიული წყაროების შესწავლის და გამოცემის აქტუალური საკითხები“ (სიღნაღი, 9-11 მაისი, 1996). მოხსენებათა თეზისები. თბილისი, თსუ.

ჩხარტიშვილი 1987: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები („ცხორებაი წმიდისა ნინოისი“). თბილისი, მეცნიერება.

ჩხარტიშვილი 1980: მ. ჩხარტიშვილი. მეტაფრასი „წმ. ნინოს ცხოვრების“ „ქართლის ცხოვრებისეული“ რედაქციის შესახებ. სმა მაცნე (სერია: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ხელოვნების ისტორია), №4.

ჩხარტიშვილი 2009ა: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში, თბილისი, უნივერსალი.

ჩხარტიშვილი 2009ბ: მ. ჩხარტიშეილი. სახეები საქართველოს წარსულიდან. თბილისი, უნივერსალი.

წულუკიძე 2010: ნ. წულუკიძე. არიან ქართლიდან მოსულნი. ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ხაზარაძე 2001: ნ. ხაზარაძე. ლეონტი მროველი და არიან-ქართლის ლოკალიზაციის საკითხი.- წიგნში: Dedicatio.ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჯანაშია 1952: ს. ჯანაშია. კავკასიელი ეთნარქ-ეპონიმების ანტიკური სქემა. შრომები, II, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჯაფარიძე: მიტროპოლიტი ანანია. არიან-ქართლი. სიტყვა „ქართველის“ ეტიმოლოგია, ვებ-გვერდი *ჩვენი საუნჯე*. http:// saunj e.ge/i ndex.php?opti on=com_content&i d=1092%3A qq &cati d=1%3A2010 01 24 19 54 07&I ang=r u

DEVELOPMENT OF GEORGIAN HISTORICAL THOUGHT IN MIDDLE AGES: *COMPARATIVE ANALYSIS OF EVIDENCES ON ESTABLISHMENT OF KARTLI KINGDOM*

Mariam Chkhartishvili

The monument of old Georgian historiography "Conversion of Kartli" mentions the country under the name Arian-Kartli. According to this source the son of a King of Arian-Kartli Azo was first King of Eastern Georgian Kingdom with the political center in Mtskheta. He occupied the throne being supported by Alexander the Great.

There is no consensus among the scholars concerning the identification of the political and geographical reality to which the term Arian-Kartli was referred.

Grounded on a close analysis of sources and results of my previous investigations asserting sameness of Kartli and Colchis, I provide novel conclusions on Azo and Arian-Kairtli. In particular, there is argued that Arian-Kartli is equivalent of, Aia-Colchis mentioned by Greek writers. The latter consists of two synonymous words: Aia and Colchis. Aia was ancient designation of Colchis. In antique cultures this word was referred to Dawn and Sun rising, i.e. phenomena associated exclusively with East. Thus, East/Colchis was the meaning of Aia-Colchis. It is expected that term Arian too had the same meaning. Indeed in Georgian as well as in many other languages (Latin, Armenian, etc.) root r(rh) creates basis for words which are associated with the semantic field of the word East/Oriens.

Thus, Arian-Kartli means East/Kartli. And it is nothing but Georgian designation of Colchis (//Aia-Colchis).

Azo is a family name of Jazonides, i.e. descendants of Colchian King Aiete's daughter Medea and her husband Jazon. Of course, it is not accident at all, that just the person with the dynastic legend linking him with Aietides' dynasty accompanied Alexander the Great in his Caucasian campaign.

The facts obtained by me are evident and logical and lie on the surface; therefore is astonishing enough that it was not noticed by scholars earlier. Perhaps, the reason of this was an established view on identification Kartli of Georgian sources with Iberia of Greek sources and association of Colchis solely with Western Georgia. The term Colchis covered not only Western Georgia, but territories in Eastern Georgia too. Actually, in certain periods by Colchis was designated whole Georgia. However, for the present investigation matters not this fact, but another one: Western Georgia as well as Georgia in general might be perceived as Orient regarding to Greece representing Occident.

ქართული საისტორიო პროზის განვითარების ადრეული ეტაპები
(საინფორმაციო-დიპლომატიური წყაროების ლიტერატურული პირველსახე)

ნაწილი პირველი

ვლადიმერ ჭელიძე

ქართული საკარო ლიტერატურა, კერძოდ, საისტორიო პროზა, სხვადასხვა ეპოქის მიხედვით თანდათანობით იქმნებოდა („აღიწერებოდა ჟამითი ჟამად"). ეს ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-ლიტერატურული პროცესი თანმიმდევრულადაა ასახული ძველ ქართულ საისტორიო თხზულებებში *(მოქცევაჲ ქართლისაჲ* და ლეონტი მროველის *მეფეთა ცხოვრება)*.

სწორედ აღნიშნულმა წერილობითმა ძეგლებმა შემოგვინახეს უმნიშვნელოვანესი საინფორმაციო-დიპლომატიური წყაროები.

მაგრამ დროთა განმავლობაში ამ წყაროებმა არსებითი ხასიათის ტექსტობრივი, კერძოდ, როგორც გრაფიკული, ისე აზრობრივი, სახეცვლილებები განიცადა.

გარდა ამისა, შემდგომ, დამატებითი ცვლილებები განაპირობა საისტორიო კრებულების თემატურ-კომპოზიციურმა წყობამ, კერძოდ, სხვა წყაროებთან შერწყმამ და გაერთიანებამ.

ამ ცვლილებებმა, თანადროული ეპოქის ისტორიულ რეალიებთან მიმართებით, სხვადასხვა ხასიათის გაუგებრობა და შეუსაბამობა განაპირობა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამავე წყაროების ლიტერატურული პირველსახის[1] დადგენა, ხოლო ამის საფუძველზე ქართული საისტორიო პროზის ადრეული პერიოდის ლიტერატურული მოდელის მიახლოებითი სისრულითა და სიზუსტით აღდგენა (ჭელიძე 2002: 53-56).

თავის მხრივ, პირველსახის დადგენა შესაძლებელია შესაბამისი პერიოდის უცხოურ (ბერძნულ-რომაულ და სომხურ) საისტორიო თხზულებებსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებთან პარალელების დაძებნით, მათი ერთმანეთის თანმიმდევრობით შესწავლითა და ცალკეული მონაცემების დეტალური კვლევა-ძიებით.

აღნიშნული გარემოება მოგვცემს საშუალებას გარკვეულწილად სწორად გავიგოთ და გავიაზროთ ამ ეპოქაში მიმდინარე ისტორიულ-დიპლომატიური და ლიტერატურულ-კულტურული პროცესები.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესების ერთიანი და მთლიანი სურათის მეტნაკლებად სრულად წარმოჩენა, რისთვისაც თავდაპირველად უნდა ჩატარდეს საისტორიო წყაროების ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური შესწავლა და აუცილებელია განისაზღვროს ამ მიმართულებით წარმართული კვლევა-ძიების პარამეტრები. კერძოდ, ტექსტის დასადგენად მნიშვნელოვანია არამარტო ტექსტობრივი ნიუანსების და თავისებურებების, არამედ განსახილველი პერიოდის იდეოლოგიური ქვეტექსტებისა და ისტორიული კონტექსტების გათვალისწინება.

ამ სახის კვლევა-ძიებების შედეგად დადგენილი ტექსტის ანალიზი მომდევნო ეტაპზე შესაძლებელია გაგრძელდეს ისტორიულ-ლიტერატურული და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი მიმართულებებით.

რა თქმა უნდა, კვლევა-ძიება გაგრძელდება საინფორმაციო-დიპლომატიური მიმართულებებითაც, რადგან ეს წყაროები პარალელურად განსაკუთრებით საყურადღებო ინფორმაციასა და არსებითი ხასიათის მინიშნებებს გვაწვდის თანადროული ეპოქის ქართული სახელმწიფოს როგორც საშინაო მდგომარეობის, ისე საგარეო ორიენტირების შესახებ.

საისტორიო წყაროების პირველსახის აღსადგენად საჭიროა განვიხილოთ *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, რადგან „ადრეული, საფიქრებელია, თავდაპირველი, ეტაპი დაფიქსირებულია" (ჩხარტიშვილი 2009: 7) სწორედ ამ ძეგლში.

აღნიშნული თხზულების საწყის მონაკვეთში მოცემულია წინაქრისტიანული ხანის ქართლის სამეფოს მოკლე აღწერილობა ქართველ მეფეთა რიგითი თანამიმდევრობის მიხედვით (ნიკოლოზიშვილი 2008: 20-24). თავიდანვე შესამჩნევია ის გარემოება, რომ მეფეთა სიას („ესე ოცდარვანი მეფენი") ერთი მეფის სახელი აკლია, რადგან რიგითი ჩამონათვალის მიხედვით მხოლოდ ოცდაშვიდია („კზ") მითითებული.

გამორჩენილი მეფის სახელის შესაბამის ადგილზე აღსადგენად მიზნშეწონილია ათვლა ბოლოდან დავიწყოთ, რის შედეგად ღადამ მეფე რიგით მეცხრამეტე („ით') გახდება. ამ შემთხვევაში ტექსტის მომდევნო მონაკვეთის („და დღე კ") „კ" ასო-ნიშანი კონტექსტის მიხედვით გულისხმობს არა მისი მეფობის ოცდღიან პერიოდს[2], არამედ იმას მიუთითებს, რომ მომდევნო მეფე რიგით მეოცეა, რაც ტექსტობრივი გაუგებრობის გასწორებისა და დაზუსტების შესაძლებლობას გვაძლევს. კერძოდ, განსახილველი მონაკვეთის ფრაზა („და დღე") აზრობრივად არ უკავშირდება ამავე ტექსტის წინა ნაწილს. ეს ფრაზა ასო-ბგერათა დამსგავსებით განპირობებული აზრობრივი და გრაფიკული სახეცვლილებაა გამეფების მნიშვნელობის მქონე სიტყვა-

ტერმინისა „დ ა დ გ ა“, რომელიც გვხვდება მეფეთა სიის დასაწყისში: „და შემდგომად მისა დ ა დ გ ა ფარნავაზ“; „და შემდგომად მისა დ ა დ გ ა მეფედ საურმაგ“ (ნიკოლოზიშვილი 2008: 22). საისტორიო ტექსტის ლიტერატურულ პირველწყაროში, სავარაუდოდ, იქნებოდა ფრაზა – „დადგა მეფედ“, რომელსაც შემდგომ მეტწილად ჩაენაცვლა სხვა, ტერმინოლოგიურად იგივე მნიშვნელობის მქონე სიტყვა – „მეფობდა“.

თავის მხრივ, *მეფეთა ცხოვრება* პირდაპირ მიუთითებს, რომ ადამ (ღადამ) „სამ წელ ოდენ მეფობდა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 29). ლეონტი მროველის საისტორიო თხზულებაში მინიშნებაც კი არ არის ოც დღეზე.

ამდენად, საისტორიო ტექსტის ამ მონაკვეთშია საძიებელი გამორჩენილი და უცნობი, რიგით მეოცე მეფის სახელი. ამავე დროს, უცნობია ა ზ ო ს მამის, არიან-ქართლის მეფის სახელიც. მათი ვინაობის დასადგენად საჭიროა გაირკვეს, კონკრეტულად რა გარემოებებმა განაპირობა ეს ტექსტობრივი უზუსტობები და გაუგებრობები.

მოქცევაჲ ქართლისაჲ იწყება ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობების ეპიზოდით, რაც, ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე, ანაქრონიზმია, რადგან მას აქ, როგორც ცნობილია, ბრძოლები არ წარუმართავს. ამ ეპიზოდის პირველწყაროა ქრისტიანულ სამყაროში განსაკუთრებით პოპულარული ფსევდო-კალისთენეს რომანი *ალექსანდრიანი*. [3]

გარდა ამისა, განსახილველ თხზულებაში, როგორც ქართული საეკლესიო-სასულიერო მწერლობის ძეგლში, ბუნებრივია, ჩართულია ბიბლიურ-ქრისტიანული ლიტერატურული ტრადიციის ამსახველი ცალკეული ფრაზები, რაც გარკვეული იდეოლოგიური ხასიათის ქვეტექსტების შემცველია. კერძოდ, აქ, ტექსტის დასაწყისშივე, გვხვდება ბიბლიური ფრაზები: „ნათესავნი იგი ლ ო თ ი ს შ ვ ი ლ თ ა ნ ი წარიქცინა და შეაჴადნა იგინი კ ე დ ა რ ს ა მას ქუეყანასა“; „ი ე ბ ო ს ე ლ თ ა ნათესავნი იყვნეს“ (ნიკოლოზიშვილი 2008: 20).

ამავე ეპიზოდის შესაბამის მონაკვეთებში *მეფეთა ცხოვრება* ტექსტობრივად განსხვავებულია:

> ამან ალექსანდრე დაიპყრნა ყოველნი კ ი დ ე ნ ი ქუეყანისანი. ესე გამოვიდა დასავლით, და შევიდა სამჴრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად. და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყ ო ვ ე ლ თ ა ნათესავთა სჯულითა; არა რ ო მ ე ლ ნ ი ნათესავნი (ყაუხჩიშვილი 1955: 11).

ეს სხვაობები მიუთითებს, რომ თხზულებაში *მოქცევაჲ ქართლისაჲ* მხოლოდ იდეოლოგიური მიზანდასახულებითაა განპირობებული ბიბლიური ფრაზების ჩართვა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია განსახილველი ეპიზოდის პირველივე წინადადების ერთი მოკლე მონაკვეთი: „იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბ უ ნ - თ უ რ ქ ნ ი“ (ნიკოლოზიშვილი 2008: 20), რომლისგან განსხვავებით, ლეონტი მროველის საისტორიო თხზულების შესაბამისი ტექსტი ვრცელი და აზრობრივად დასრულებულია: „იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წ ა რ მ ა რ თ ნ ი, რომელთა-იგი ჩუენ ბ უ ნ თ უ რ ქ ა დ და ყ ი ვ ჩ ა ყ ა დ[4] უწოდთ“ (ყაუხჩიშვილი 1955: 11).

თხზულების *მოქცევაჲ ქართლისაჲ* ტექსტის შეკვეცა განაპირობებულია ქრონიკის ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, რითაც აღნიშნულმა მონაკვეთმა აზრობრივად მთლიანად განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინა. ეს ეპიზოდი გარკვეული იდეოლოგიური ქვეტექსტის შემცველია. ქართულ საისტორიო თხზულებების ავტორთა მიერ მოთხრობილი ისტორიულ-ლეგენდარული ამბავის მიხედვით ქართლში სალაშქროდ შემოსულ ალექსანდრე მაკედონელს ებრძვიან ადგილობრივი „წარმართნი“, რომლებიც, თანადროული ქრისტიანული ეპოქის ისტორიული კონტექსტის მიხედვით, თავიანთი ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე აღქმულია „ბუნთურქთა“, „ლოთის შვილთა“ და „იებოსელთა“, როგორც „ნათესავთა სჯულითა“ მსგავსნი.

აქედან გამომდინარე, ბუნთურქთა[5] ქართლში მკვიდრობის ამბავიც, ისტორიული კონტექსტის მიხედვით, რა თქმა უნდა, ანაქრონიზმია.

უცნობი მეფის, კერძოდ, აზოს მამის ვინაობის დასადგენად გასარკვევია „არიან-ქართლის“ საკითხი.[6]

თავის დროზე, გამოითქვა მოსაზრება, რომ სიტყვა-ტერმინი „არიან“ ბიბლიურ-აპოკრიფული ჟანრის ლიტერატურული ტრადიციის ამსახველია (თაყაიშვილი 1948: 624-626). აღნიშნული მოსაზრება ბოლო პერიოდის კვლევა-ძიებითაც დადასტურდა (ქავთარაძე 2009: 29-55).

როგორც ჩანს, ეს სიტყვაც იდეოლოგიური ქვეტექსტის შემცველი და, თხზულების დასაწყისი მონაკვეთის განხილული შემთხვევების მსგავსად, ანაქრონიზმია.

ანონიმის თხზულებაში *ნინოს ცხოვრება* ფრაზა „არიან-ქართლი“ შენაცვლებული სიტყვათა წყობითაა წარმოდგენილი: „წარვიდა ქ ა რ თ ლ ა დ ა რ ი ა ნ მამისა თჳსისა“ (აბულაძე 1971: 80). ანონიმის მიხედვით „არიან“ არა ქვეყნის, არამედ ამ ქვეყნის მეფის სახელია.

ლეონტი მროველის საისტორიო თხზულების შესაბამის ეპიზოდში ასევე არა ქვეყნის, არამედ ამ ქვეყნის მეფის სახელი გვხვდება, მაგრამ აქ „არიან“ ჩანაცვლებულია მსგავსი სახელით „იარედოს“: „და დაუტევა ... აზონ, ძე ი ა რ ე დ ო ს ი ს ი“ (ყაუხჩიშვილი 1955: 12).

მიუხედავად ამ სხვაობისა და სახეცვლილებებისა, ორივე სახელი („არიან“ და „იარედოს“) მსგავსია ქართლის მეფეთა სიის სახელისა „მირვან“.

მეფის ძის სახელი „აზო“ კი, თავის მხრივ, როგორც ეს გარკვეულია, მსგავსი, ოღონდ გრაფიკულად შეკვეცილია, აღნიშნული სიის ორმეფობის ხანის მესამე წყვილის ერთ-ერთი თანა-მეფის სახელისა „აზორკ“? (ქავთარაძე 2006: 56).

ასო-ნიშანთა გადასმისა და დამსგავსების შედეგად გრაფიკულად დაზიანებულია ლეონტი მროველის თხზულებაში შემორჩენილი ეს სახელიც („აზორკ“), რომლის შესაბამისია მეფეთა სიის *(მოქცევაჲ ქართლისაჲ)* – „არსოკ“.

როგორც ჩანს, უცნობი მეფის სახელია მ ი რ ვ ა ნ (არიან, იარედოს) და მისი ძის ა რ ს ო კ (აზო{რკ}, აზონ). ქართული საისტორიო წყაროების *(მოქცევაჲ ქართლისაჲ* და *მეფეთა ცხოვრება)* მიხედვით მ ი რ ვ ა ნ და ა რ ს ო კ სამშვილდის ერისთავთა სახელებია (ჭელიძე 1999: 153-163). ამ სახელთა მსგავსება იმაზე მიუთითებს, რომ დინასტიურად სამშვილდის ერისთავები მირვან მეფისა და მისი ძის არსოკის შთამომავლები არიან, რასაც, ბუნებრივია, ისიც ადასტურებს, რომ ქართლის მეფეთა სიაში ისინი ფარნავაზიანთა და ეგრისის ერისთავთა პარალელურად გვხდებიან.

სავარაუდოდ, „არსოკ“ სახელის გავრცელება პართიაში არშაკიდული დინასტიის გამეფების შემდგომ მოხდებოდა (დაახლოებით ძვ. წ. 250), რაც, შესაბამისად, ადგენს ქართლის სამეფოს შექმნის ზედა ქრონოლოგიური ზღვარს.

გარდა ამისა, შესაძლებელია, ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის გარკვევაც.

> მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, – გადმოგვცემს *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, – ქალდეველთაგან გამოსხმულნი, ჰ ო ნ ნ ი, და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქუეყანაჲ ხარკითა და დასხდეს იგინი ზანავს. და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, ჰრქჳან მას ხერეი (ნიკოლოზიშვილი 2008: 20).

გარკვეულწილად განსხვავებულია *მეფეთა ცხოვრება*, სადაც, შესაბამის მონაკვეთში, საერთოდ არ არის მოხსენიებული „ჰონნი“: „კუალად გამოვიდეს სხუანი ნათესავნი ქალდეველნი, და დაეშენნეს იგინი-ცა ქართლს“ (ყაუხჩიშვილი 1955: 11).

მაგრამ დასმულ საკითხში გარკვეული კორექტივი შეაქვს საისტორიო თხზულების წინა თავის ერთ მონაკვეთს, რომელშიც შედარებით ვრცლად არის გადმოცემული ამ ეპიზოდის შესაბამისი მეორე ნაწილი:

> მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი უ რ ი ა ნ ი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქჳან ზანავი. და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, ან ჰქჳან ხერკ ხარკისა მისთჳს (ყაუხჩიშვილი 1955: 10).

„ქალდეველნი“ აქ ჩანაცვლებულია ძვ. წ. VI საუკუნის ბაბილონის ცნობილი მეფის სახელით „ნაბუქოდონოსორ“, რაც, სხვა ასეთივე იდეოლოგიური ხასიათის ცვლილებების მსგავსად, ლეონტი მროველის მიერ განხორციელებულია თავისი ეპოქის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან და მიზანდასახულებიდან გამომდინარე. კერძოდ, მან ორიგინალურ ლიტერატურულ წყაროში, როგორც ეს მისსავე თხზულებაშია აღნიშნული, ჩაურთო ეპიზოდები უცხოური (სპარსული – „ცხოვრება სპარსთა“, ბერძნული – „ცხოვრება ბერძენთა“, სომხური – „ცხოვრება სომეხთა“) საისტორიო თხზულებებიდან, რომლებიც ქართლის ისტორიასთან მიმართებაში ანაქრონისტულია და, ამდენად, ისტორიულ სინამდვილესაა მოკლებული. ამგვარი შეუსაბამობა ერთი შეხედვითაც ვლინდება, როცა თხზულების ავტორი ცდილობს *ქართლის ცხოვრების* მისადაგებას მსოფლიო ისტორიისადმი (სხვადასხვა ისტორიულ მოვლენას ლეონტი მროველი საზღვრავს ნაბუქოდონოსორის, ალექსანდრე მაკედონელის, პართიის სამეფოს დაარსებისა და არშაკიდების დინასტიის მეფობით, სომხეთში არშაკის გამეფებით, ქართლში ფარნავაზიანთა გარდა უცხო ქვეყნების სამეფო დინასტიების – ნებროთიანთა, არშაკუნიანთა, ხოსროიანთა წარმომადგენლების მოღვაწეობით და სხვა). ეს გარემოება მხედველობაში უნდა გვქონდეს, როცა ლეონტი მროველის თხზულებას ვეცნობით (ჭელიძე 2005: 51).

ამავე დროს, იმ გადმოცემის მიხედვით („ურიანი მოვიდეს ქართლს“[8]), რომელსაც *მეფეთა ცხოვრება* გვაწვდის, „ჰონნი“ *(მოქცევაჲ ქართლისაჲ)* ტექსტობრივად უნდა გასწორდეს, როგორც – „ჰ{ურია}ნი“.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის დადგენა.

განსახილველი თხზულების *(მოქცევაჲ ქართლისაჲ)* ერთ-ერთ (ჭელიშურ) რედაქციაში არსებული სათარიღო მონაცემების საფუძველზე გარკვეულია, რომ ქართლში ებრაელთა პირველად მოსვლა და დამკვიდრება ძვ. წ. 169 წელს მოხდა[9] (მელიქიშვილი 1978: 61).

ამის შესაბამისად, სავარაუდოა, რომ სწორედ ამ წელს მოვიდნენ ქართლში „ქალდეველთაგან გამოსხმულნი ჰ {უ რ ი ა} ნ ი“.

ეს ებრაელთა ამ ქვეყანაში მოსვლის პირველი ეტაპია.

მეფეთა სიის მიხედვით, აღნიშნული პერიოდიდან დაწყებული ქართლში რამდენიმე თაობა შეიცვალა *(მოქცევაჲ ქართლისაჲ)* და ორმეფობის ხანის პირველი წყვილის, ქარძამ-ბრატმანის მეფობის დროსაც – „ჰ უ რ ი ა ნ ი მოვიდეს მცხეთას“[10] (ნიკოლოზიშვილი 2008: 22).

ქარძამი, მოვსეს ხორენაცის მიხედვით, სომხეთის მეფეების ტიგრან მეორისა (ძვ. წ. 95-55 წწ) და მისი ძის არტავაზდის (ძვ. წ. 55-34 წწ) თანამედროვეა. როგორც ცნობილია, სწორედ აღნიშნულ ხანებში, კერძოდ, ძვ. წ. 63 წელს, რომაელთა სარდალი პომპეუსი სირიიდან დაიძრა პალესტინისაკენ, დაიპყრო იუდეის სამეფო და იგი რომის პროვინციად გადააქცია. ამ დროს იუდეაში მიმდინარეობდა დინასტიური ბრძოლა სამეფო ტახტისათვის ორ ძმას ჰირკანსა და არისტობულეს შორის. ჰირკანს მხარს უჭერდნენ ფარისევლები, ხოლო არისტობულეს – სადუკეველები. პომპეუსი მიემხრო ჰირკანს. არისტობულე შეიპყრეს, ხოლო ქვეყნის შიგნით დაიწყო სადუკეველთა დევნა. საფიქრებელია, *მოქცევაის* ცნობა იმას მიგვანიშნებს, რომ მცხეთაში მოვიდნენ დამარცხებულ სადუკეველთა სექტის წარმომადგენლები, რომელთაც სამშობლოში უკვე აღარ დაედგომებოდათ. განხილული ფაქტები გვიჩვენებს, რომ ქართული წყაროების მონაცემები რეალური ისტორიული ვითარების ამსახველია, რაც სხვა ქრონოლოგიურ მიმართებათა დადგენას შეუწყობს ხელს (ჭელიძე 1999: 155).

ამდენად, ებრაელთა ქართლში მოსვლის მომდევნო, კერძოდ, მეორე ეტაპი ორმეფობის დასაწყისთან, კერძოდ, ძვ. წ. 63 წლის ამბებთანაა დაკავშირებული.

აქედან გამომდინარე, ქართული საისტორიო პირველწყაროს პირველ ეპიზოდში აღწერილი დრო,[11] ზედა და ქვედა ზღვარის დადგენის (დაახლოებით ძვ. წ. 250-169 წლები) შემდეგ, არსებული მოსაზრებებისგან განსხვავებით, ზოგადად შეგვიძლია განვსაზღვროთ ძვ. წ. III საუკუნის ბოლო და II საუკუნის დასაწყისი პერიოდით.

გარდა ამისა, დამატებითი წყაროების მოძიებით შესაძლებელია როგორც აღნიშნული სათარიღო მონაცემების დადასტურება, ისე თანადროული ეპოქის ისტორიული რეალიების დაზუსტება და დაკონკრეტება. ამისათვის, კერძოდ, გასარკვევია მეფის მირვანისა და მისი ძის არსოკის პერიოდის სხვა ისტორიული პირების, კერძოდ, „ბუნ-თურქთა უ ფ ლ ი ს" (*მოქცევაი ქართლისაი*), იგივე „მცხეთის მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი ს" (*მეფეთა ცხოვრება*) ვინაობა.

მოქცევაი ქართლისაი დამატებით რაიმე კონკრეტულ მონაცემს „ბუნ-თურქთა უფლის" (როგორც დადგინდა, მათში ქართლის „წარმართნი" იგულისხმება) ვინაობის დასადგენად არ გვაწვდის.

ამ მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია საისტორიო გადმოცემა მცხეთის მამასახლისის სამარასა და განსაკუთრებით მისი ძმისწულის ფარნავაზის შესახებ *(მეფეთა ცხოვრება)*. კერძოდ, გასარკვევია აღნიშნული სოციალური ტერმინის („მცხეთის მამასახლისი") წარმომავლობის საკითხი.

მცხეთის,[12] როგორც ციხე-ქალაქის მშენებლობა მეფეთა რამდენიმე თაობის განმავლობაში გრძელდებოდა და, ბუნებრივია, ამ მშენებლობის დასრულებამდე ვერც ეს ტერმინი ვერ შეიქმნებოდა:

> ხოლო ესე აზოჲ ... დაჯდა ძუელ მცხეთას; ფარნავაზ ... აღმართა კერპი დიდი ცხკ[რ]სა ზედა, და დასდვა სახელი მისი არმაზი. და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო, და ჰრქკან არმაზ; საურმაგ ... იწყო არმაზს შჱნებად; მირვან ... აღაშენა არმაზი; ფარნაჯობ ... აღაშენა [ციხჱ]'; არს(ოკ) ... ქალაქსა ზღუდენი მოაქმნნა; არიკ ... შიდაციხე აღაშენა არმაზსა; ბრატმან, რომელსა ზე მცხეთას ქალაქი დაეწყო; მირეან ... აღაშენა მცხეთაჲ ქალაქი (ნიკოლოზიშვილი 2008: 22).

ხოლო მეორე სიტყვა-ტერმინის („მამასახლისი") ნაცვლად აქ გვხდება სხვა სოციალური ტერმინი – ს ა ხ ლ ნ ი მ ა მ ა - მ ძ უ ძ ე თ ა ნ ი. ტექსტში აღნიშნული ტერმინი მრავლობით რიცხვშია, რაც განპირობებულია წინა რიცხვითი სიტყვით („ათნი"), რომელიც, სავარაუდოდ, რაოდენობის აღმნიშვნელი სხვა ტერმინის ნაწილია და, შესაბამისად, ტექსტის შეკვეცის გამოა მექანიკურად მიერთებული განსახილველ ტერმინზე. ისევე, როგორც ტერმინი „მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი", ისიც საისტორიო პირველწყაროში წარმოდგენილი იქნებოდა მხოლობით რიცხვში – „ს ა ხ ლ ი მ ა მ ა - მ ძ უ ძ ი ს ა".

აღნიშნული სოციალური ტერმინების („სახლი მამა-მძუძისა" და „მამასახლისი") შედარება გვიჩვენებს ტერმინოლოგიური სახეცვლილების ტექსტობრივ საფუძველს. კერძოდ, ორი სიტყვის („სახლი" და „მამა") ადგილების გადანაცვლება-გადასმითა და ერთსიტყვად შერწყმით ლეონტი მროველმა შექმნა სხვა, გრაფიკულად და აზრობრივად მსგავსი ტერმინი („მამასახლისი"). ტერმინის მეორე ნაწილის მომდევნო ერთი სიტყვის („მძუძე") ტექსტობრივ-გრაფიკულმა სახეცვლილებამ (ასო-ნიშამთა გადასმამ), თავის მხრივ, განაპირობა გრაფიკულად მსგავსი, მაგრამ აზრობრივად განსხვავებული და ორსიტყვიანი ტერმინის („ძმის ძე") შექმნა. ლეონტი მროველის თხზულებისათვის დამახასიათებელმა ისტორიული ამბის თხრობის ეპიკურმა მანერამ განაპირობა ამგვარი და სხვა მსგავსი ტექსტობრივი და სიუჟეტურ-კომპოზიციური ხასიათის სახეცვლილებები, კერძოდ, ცალკეული ეპიზოდებისა და სიტყა-ტერმინების ჩართვა, გადასმა-გადანაცვლება და შერწყმა-გაერთიანება, რის შედეგადაც, ამ თხზულების ტექსტი გარკვეულწილად განსხვავდება სავარაუდო პირველწყაროსაგან.

ქართლის სამეფოს შექმნის რეალიების აღწერისას ლეონტი მროველმა სწორედ სხვადასხვა ტექსტობრივ-ტერმინოლოგიური სახეცვლილებებისა და მხატვრულ-შემოქმედებითი გამონაგონის მიხედვით შეთხზა

ეპიკური სტილით მოთხრობილი და გადმოცემული მეტად საინტერესო, დრამატული ისტორიულ-ლიტერატურული ლეგენდა, კერძოდ, მცხეთის მამასახლისის სამარასა და მისი ძმისწულის ფარნავაზის ამბავი.

ამ გადმოცემის მიხედვით ცნობილი იყო მხოლოდ ფარნავაზის ბიძის სახელი („სამარა"), ხოლო მამისა კი არა, რაც ამბის თხრობის კონტექსტიდან გამომდინარე გარკვეულ გაუგებრობას ბადებდა. მაგრამ არსებული ტექსტობრივ-ტერმინოლოგიური სახეცვლილებების დადგენისა და დაზუსტების შემდეგ გასაგებია ის გარემოებები, რამაც როგორც აღნიშნული, ისე სხვა სახის გაუგებრობები და ისტორიული ანაქრონიზმები განაპირობა.

აღნიშნული სახელი („სამარა"), რომელიც ქართლის მეფეთა დინასტიური, კერძოდ ფარნავაზის ძის სახელის („საურმაგ") მსგავსია, აშკარად შეკვეცილი და გრაფიკულად დაზიანებულია (გადასმულია ასონიშნები). საისტორიო პირველწყაროში მისი სახელიც, ბუნებრივია, იქნებოდა ს ა უ რ მ ა გ.

განხილული მონაცემების მიხედვით, „საურმაგ მამამძუძე", სავარაუდოდ, ფარნავაზის მამაა და არა ბიძა. ხოლო „სამარა მამასახლისი" არა ისტორიული პირი, არამედ ლეონტი მროველის მიერ გამოგონილი ლიტერატურული პერსონაჟია.

ამდენად, მესამე ისტორიული პირის ვინაობაც გარკვეულია, რომლის შესახებ მონაცემებს გვაწვდის როგორც *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, ისე მეტაფრასულ რედაქციები – არსენ ბერის *ნინოს ცხოვრება* და ანონიმის *ნინოს ცხოვრება:*

> ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არ[ი]ან-ქართლად, მამისა თჳსისა და წარმოიყვანა რ ვ ა ჲ სახლი და ა თ ნ ი სახლნი მ ა მ ა-მ ძ უ ძ ე თ ა ნ ი, და დაჯდა ძუელ მცხეთას და თანა-ჰყეანდეს კერპნი ღმრთად – გაცი და გა (ნიკოლოზიშვილი 2008: 22);

> ხოლო ესე აზოვე წარვიდა არიან ქართლად მამისა თჳსისა და წარმოიყვანა მუნით ა თ ა ს ი სახლი მ დ ა ბ ი ო ჲ და მ ო ქ ა ლ ა ქ ე დედებით, ყრმებითურთ მათით და კუალად ათი სახლი მ თ ა ვ ა რ თ ა გ ა ნ პ ა ლ ა ტ ი ს ა თ ა დედებით და ყრმებითურთ მათით, და მათ თანა ჰყვეს კერპნი ღმრთად (აბულაძე 1971: 47).

> მაშინ აზოელ წარვიდა ქ ა რ თ ლ ა დ ა რ ი ა ნ მამისა თჳსისა და წარმოიყვანა მუნით ა თ ა ს ი სახლი მ დ ა ბ ი ო ჲ (უ ფ ლ ი ს ა C), და კუალად ათი სახლი მ თ ა ვ ა რ თ ა გ ა ნ და ყოვლით დედაწულით მათით მოიყვანნა და დააშენა ქართლს და თანა ჰყვეს კერპნი მათნი ღმრთად (აბულაძე 1971: 80).

ამ მონაცემების მიხედვით ს ა ხ ლ ი ს ა უ რ მ ა გ მ ა მ ა მ ძ უ ძ ი ს ა ქართლის სამეფო წრეს („სახლი მთავართაგან პალატისათა", „სახლი მთავართაგან") განეკუთვნება. აქედან გამომდინარე, განსახილველი ტექსტის შესაბამისი მონაკვეთის პირველსახე, სავარაუდოდ, ამგვარად უნდა აღდგეს: „წარმოიყვანა ... სახლი მამა-მძუძისა, მთავართაგან პალატისათა".

იმ მონაცემების მიხედვით, რომელსაც *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, არსენ ბერისა და ანონიმის მეტაფრასული თხზულებები გვაწვდის, ირკვევა, რომ მირვან-არსოკ და საურმაგ-ფარნავაზ (აზო-ფარნავაზის შესახებ ლეონტი მროველის საისტორიო გადმოცემისაგან განსხვავებით) ერთმანეთის თანამედროვე და, რაც მთავარია, თანამდგომნი არიან, როგორც ამ ქვეყნის სამეფო წრის წევრები, და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად ერთად იბრძვიან უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

გარდა ამისა, ქართული საისტორიო წყაროებში, შესაბამისად, აღწერილია ადრეული პერიოდის აღმოსავლურქართული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო პროცესების მიმართულება და გეოგრაფიული მდებარეობა. ორივე საისტორიო თხზულების მიხედვით ბრძოლა მიმდინარეობს მტკვრის სათავიდან დაწყებული მდინარის ხეობის გასწვრივ *(მოქცევაჲ ქართლისაჲ* – ოძრხედან სარკინე-ქალაქამდე, *მეფეთა ცხოვრება* – წუნდიდან კახეთის ქალაქებამდე).

ქვეყნის სამხრეთით მიმდინარე ეს საგარეო სამხედრო აგრესია ტერიტორიულად მხოლოდ მეზობელ სომხურ სახელმწიფოს შეეძლო განეხორციელებინა,[13] რასაც პირდაპირ ადასტურებს ქალაქ წუნდის შესახებ არსებული საისტორიო გადმოცემა (*მეფეთა ცხოვრება*), რომელიც ლეონტი მროველის თხზულების სხვადასხვა მონაკვეთში გვხვდება:

> ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო ან ჰქჳნ ჰური; და ესე ყოველნი შეკრიბნა ფარნავაზ და მიეგება ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური; მაშინ მეფე იქმნა სომხითს დიდი იგი მეფე იარვანდ. ... და მოუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე და დასხნა წუნდას შინა კაცნი მჴეცნი, ნათესავნი დევთანი, და უწოდა წუნდასა სახელად ქაჯატუნი, რომელი-ესე ითარგამნების დევთა-სახლად (ყაუხჩიშვილი 1955: 6, 16, 27).

ამ მონაკვეთების შედარება გვიჩვენებს, რომ პირველ ეპიზოდს, რომელიც თხზულების მეორე თავის

ქართლის ეთნარქ-ეპონიმების შესახებ ლეონტი მროველის მიერ შეთხზული ისტორიულ-ლეგენდარული ამბების სიუჟეტური ქარგის ნაწილია, საფუძვლად, შესაბამისად, მეორე და მესამე ეპიზოდები უდევს. მაგრამ მასში დაშვებულია ერთი არსებითი ხასიათის შეცდომა. კერძოდ, აქ საუბარია ორ ციხე-ქალაქზე („აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა"), ხოლო მომდევნო ორ ეპიზოდში მოთხრობილია არტანის მხარესა და იქ მდებარე მხოლოდ ქალაქ წუნდის შესახებ, რომელსაც ადრე ჰური ერქვა. აღნიშნული შეცდომა საისტორიო ტექსტის არასწორად გააზრებამ განაპირობა, რადგან მხარე და ამ მხარის ქალაქი თხზულების ავტორმა ორ ციხე-ქალაქად წარმოიდგინა.

გარდა ამისა, შედარების შედეგად ირკვევა ისიც, რომ მეორე ეპიზოდის საბრძოლო პროცესებს ქრონოლოგიურად წინ უსწრებს მესამე ეპიზოდი, რომელშიც აღწერილია ქართლის სასაზღვრო მხარეების მიტაცება სომეხთა მეფის იარვანდის (ორონტ II) მიერ, „რომლის ზეობაც ივარაუდება ძვ. წ. III ს-ის ბოლოს – II ს-ის დასაწყისში"[14] (ნიკოლოზიშვილი 2011: 226).

ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სწორედ ქართულ-სომხური წყაროების მონაცემების ასეთი თანხვედრაა. კერძოდ, ქართული საისტორიო წყაროების მიხედვითაც, აღნიშნული პროცესები, როგორც აღვნიშნეთ, შესაბამისად, ძვ. წ. III საუკუნის ბოლო და II საუკუნის დასაწყისი პერიოდებით თარიღდება.

რაც შეეხება მეორე ეპიზოდს, იგი ლეონტი მროველის საისტორიო თხზულების მესამე თავის დასაწყისი მონაკვეთის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომელშიც („ამბავი ფარნავაზისა") გადმოცემულია ქართული (ქართლ-მესხეთი და ეგრის-სვანეთი) და ჩრდილოკავკასიური (ოსეთი, დურძუკეთი) გაერთიანებული სამხედრო ძალების ბრძოლა საგარეო აგრესიის შედეგად მიტაცებული ქართლის სამხრეთი მხარეების დასაბრუნებლად.

შეიძლება ითქვას, გარკვეულ გაუგებრობას იწვევს ის გარემოება, რომ ქრონოლოგიურად წინმსწრები მესამე ეპიზოდი ჩართულია მომდევნო პერიოდის, კერძოდ, ორმეფობის ხანის მეორე წყვილის (ფარსმან და კაოს) მეფობის ამსახველ მონაკვეთში.

ამგვარი ტექსტობრივი გადანაცვლება, როგორც ჩანს, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საისტორიო პირველწყაროს სომხურ-ქართული (ზოგადად, კავკასიური) ლოკალური საომარი პროცესების აღწერილობა ქრისტიანულ ხანაში შეიცვალა ალექსანდრე მაკედონელის საერთაშორისო კონტექსტის მქონე და თანადროულ მსოფლიოში ცნობილი საბრძოლო ამბების გადმოცემით.[15]

სწორედ ამ ამბებს, ტექსტობრივ-კომპოზიციური სახეცვლილებების შედეგად, დაუკავშირდა და შეერწყა ადრეული პერიოდის ქართლის ისტორიის ცალკეული ეპიზოდები. კერძოდ, როგორც აღვნიშნეთ, ქართლში სალაშქროდ შემოსულ ალექსანდრე მაკედონელს ებრძვიან ადგილობრივი „წარმართნი", რაც ისტორიული კონტექსტის მიხედვით, ანაქრონიზმია. მაგრამ ამით, აღნიშნულმა თხზულებებმა წინაქრისტიანულ ეპოქასთან იდეოლოგიურად დაპირისპირებული ლიტერატურული ქვეტექსტების მნიშვნელობა შეიძინა.

მეფეთა ცხოვრება ორმეფობის ხანის მეორე და მესამე წყვილების მეფობის ამსახველ მონაკვეთში იარვანდის შემდგომ გადმოცემს ვრცელ საბრძოლო ეპიზოდებს სომეხთა მეფე არტაშანსა (არტაშეს I, ძვ. წ. 189-160)[16] და მის სპასპეტ სუმბატ ბივრიტიანზე.[17]

როგორც ჩანს, ქართული საისტორიო თხზულებების ტექსტობრივ-კომპოზიციური სახეცვლილებებისა და გადანაცვლების შედეგად ეს ეპიზოდები თემატურად გაერთიანდა ზარენის (მოვსეს ხორენაცის მიხედვით ზარეჰ,[18] ტიგრანის ძე და არტავაზდის უმცროსი ძმა) ეპიზოდთან, რომელიც, ქრონოლოგიურად თანხვდება ქართლში ორმეფობის პერიოდს, რადგან ის, მოვსეს ხორენაცის მიხედვით, როგორც ცნობილია, დაატყვევა ქარძამ მეფემ.

როგორც ჩანს, საისტორიო პირველწყაროს ტექსტი იწყებოდა იარვანდ სომეხთა მეფის მიერ ქართული სახელმწიფოს სამხრეთი ტერიტორიების ნაწილის მიერთებით („იარვანდ ... მოუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე"), რამაც განაპირობა მტკვრის სათავეში მდებარე მხარიდან, კერძოდ, ს ა მ ც ხ ი დ ა ნ (შესაძლოა, ეს სახელი ერქვა თანადროულ აღმოსავლურქართულ სახელმწიფოს), ადმინისტრაციული ცენტრის, რომელიც, როგორც ჩანს, ო ძ რ ხ ე ში მდებარეობდა, მტკვრის ხეობის აღმოსავლეთით გადმოტანა („მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე-ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაჯე, და ციხენი მათნი: ციხჱ დიდი სარკინისაჲ, უფლის-ციხჱ კასპისა, ურბნისსა და ოძრაჯისაჲ" – *მოქცევაჲ ქართლისაჲ,* „მდინარესა მას მტკურისასა მიხვევით" - *მეფეთა ცხოვრება).*

როგორც ჩანს, ამავე ამბავს გადმოგვცემს *მეფეთა ცხოვრება.* კერძოდ, საისტორიო თხზულების მეორე თავის დასაწყისში ისტორიულ-ლეგენდარული ეთნარქ-ეპონიმის – ქართლოსის[19] შესახებ მოთხრობილ ეპიზოდში სწორედ აღნიშნული პროცესია აღწერილი:

> და ესე ქ ა რ თ ლ ო ს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის ა რ ა გ ჯ მ ტ კ უ ა რ ს ა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი, და პირველად შექმნა მუნ ზედა ს ი მ ა გ რ ე და იშენა მუნ ზედა ს ა ხ ლ ი, და ვიდრე აღმართებადმდე მუნ ზედა კერპი არმაზისი, ერქუა მთასა მას ქ ა რ თ ლ ი. და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქ ა რ თ ლ ი – ხუნანითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა (ყაუხჩიშვილი 1955: 4).

ამ ეპიზოდს, მიუხედავად გარკვეული სახესხვაობებისა, საფუძვლად განხილული *(მოქცევაჲ ქართლისაჲ,* არსენ ბერისა და ანონიმის თხზულებები) საისტორიო ტექსტების შესაბამისი მონაკვეთები უდევს.

აქ არსებული მონაცემების მიხედვით, როგორც აღვნიშნეთ, სავარაუდოდ, დადგინდა მირვან მეფის, მისი ძის არსოკისა და საურმაგ მამამძუძის ვინაობები.

ამავე დროს, გარკვეულწილად შეუსაბამოა მეფეთა სიის ორმეფობის მონაკვეთში ა ზ ო რ კ (ა რ ს ო კ - *მოქცევაჲ ქართლისაჲ)* თანა-მეფის არსებობა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, „არსოკ" სამშვილდის ერისთავთა დინასტიური სახელია. ხოლო ქართლში მეფეთა, კერძოდ, ფარნავაზიანთა და სამშვილდის ერისთავთა ურთიერთბრძოლების შედეგად გამოწვეული დინასტიური მონაცვლეობის საპირისპიროდ, ფარნავაზიანთა და ეგრისის ერისთავთა ასევე დინასტიური გაერთიანება მოხდა, რასაც მათი მემკვიდრისა და სწორედ მისი შთამომავლების გამეფება მოჰყვა ორმეფობის ხანაში.

როგორც ჩანს, განხილულმა ტექსტობრივ-კომპოზიციურმა სახეცვლილებებმა და გადანაცლებამ განაპირობა წინა პერიოდის არა მხოლოდ სომეხთა (იარვანდის, არტაშანისა და სუმბატ ბივრიტიანის), არამედ, შესაბამისად, ქართველ მეფე-ერისთავთა, კერძოდ, ა რ ს ო კ მეფის, მისი უ ც ნ ო ბ ი ერისთავისა, და, აგრეთვე, ფ ა რ ნ ა ვ ა ზ (ფ ა რ ს მ ა ნ ა ვ ა ზ – *მოქცევაჲ ქართლისაჲ)* სპასპეტისა და ძუძუმტის შესახებ არსებული ეპიზოდების ორმეფობის ხანის ამსახველ მონაკვეთში ჩართვა.

ფარნავაზის[20] შესახებ ლეონტი მროველი ვრცლად მოგვითხრობს თავის საისტორიო თხზულებაში.

მოქცევაჲ ქართლისაჲ ფარნავაზის მეფობას მოკლედ აღწერს: „და ... დადგა ფ ა რ ნ ა ვ ა ზ. ამან აღმართა კერპი დიდი ცხჳ[რ]სა ზედა, და დასდვა სახელი მისი არმაზი. და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო, და ჰრქჳან არმაზ" (ნიკოლოზიშვილი 2008: 22). ხოლო „ფარსმან ავაზ" ამავე თხზულების მიხედვით ორმეფობის ხანის მეხუთე წყვილის ერთერთი თანა-მეფეა: „და მეფობდა იმიერ ფარსმან ქველი და ამიერ – ფ ა რ ს მ ა ნ ა ვ ა ზ" (ნიკოლოზიშვილი 2008: 22).

მეფეთა ცხოვრება გარკვეულწილად განსხვავებულია. აქ ვხდებით ფარსმან ქველის არა თანა-მეფეს, არამედ მის სპასპეტსა და ძუძუმტეს ფ ა რ ნ ა ვ ა ზ ს.[21]

როგორც აღვნიშნეთ, ქართულ საისტორიო წყაროებში მოთხრობილი ამბების შესაბამისი ეპოქის უცხოურ (ბერძნულ-რომაულ და აგრეთვე სომხურ) საისტორიო თხზულებებთან შედარებითა და შეპირისპირებით დასტურდება, რომ ქართული საისტორიო გადმოცემები ისტორიული სინამდვილის ამსახველია. შესაბამისად ხდება ქრონოლოგიური მიმართებებისა და ქართლის (იბერიის) მეფეთა გენეალოგიური თანამიმდევრობის დადგენა.

ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვან მონაცემებს გვაწვდის ფარსმან მეფის შესახებ არსებული საისტორიო გადმოცემები. კერძოდ, იბერიის (ქართლის) მეფის ფარსმანის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის რომაელი ისტორიკოსი კორნელიუს ტაციტუსი თავის *ანალებში*. ამავე დროს, ტაციტუსის *ანალების* მონათხრობს იბერთა ამ სახელოვანი მეფის შესახებ მეტად საგულისხმო პარალელები ეძებნება ლეონტი მროველის საისტორიო თხზულებაში წარმოდგენილ ეპიკური ხასიათის ეპიზოდთან ფარსმან ქველზე.[22] „ბევრნაირად საგულისხმოა შედარება ლეონტი მროველის ეპიკური მოთხრობისა ფარსმან ქველის შესახებ, და რომაელ ისტორიკოსის ტაციტის მოთხრობისა ფარსმან I-ის შესახებ", — აღნიშნავს პავლე ინგოროყვა[23] (ინგოროყვა 1978: 472).

პავლე ინგოროყვას მიერ მიკვლეული პარალელები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ვლინდება რომაულ-ქართული საისტორიო წყაროების თანხვედრის სხვა „საინტერესო პარალელებიც". კერძოდ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფარსმანის შესახებ არსებულ გადმოცემებში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა თანხვედრა[24] (ჭელიძე 1998: 31-36).

ამავე დროს, გასარკვევია, ერთი არსებითი ხასიათის სხვაობა.

ტაციტუსის ცნობის მიხედვით ფარსმანი თავის შვილს რადამისტს მოაკვლევინებს მითრიდატეს.

თავის მხრივ, ლეონტი მროველი გადმოგვცემს, რომ მირდატმა ფარსმან ქველს მიუგზავნა მზარეული და მოაწამვლინა იგი, რის შემდეგაც სპარსელთა დახმარებით გამეფდა ქართლში.

ანალების მონაცემების საფუძველზე დადგენილია, რომ ფარსმანი იბერიაში მეფობს ახ. წ. 35 წლიდან 60-იანი წლების ბოლომდე, ხოლო მცხეთა-არმაზში აღმოჩენილი შარაგას (ჩარგას) პიტიახშის არამეული და ვესპასიანეს ბერძნული წარწერების მიხედვით ახ. წ. 70-იანი წლებიდან იბერიის მეფეა მითრიდატე, რომელსაც, ბუნებრივია, ქართულად მირდატი ერქმეოდა.

მ ი თ რ ი დ ა ტ ე უნდა იყოს დინასტიურად დაკავშირებული წყვილის, კერძოდ, იბერთა მეფის ფ ა რ ს მ ა ნ ი ს ძის, რ ა დ ა მ ი ს ტ ი ს ა და ფარსმანის მიერვე არმენიაში გამეფებული მ ი თ რ ი დ ა ტ ე ს ასულის, ზ ე ნ ო ბ ი ა ს შვილი.

საგულისხმოა, რომ მ ი თ რ ი დ ა ტ ე დედის მამის და არა მამის მამის სახელია, რაც, როგორც ჩანს, განაპირობა დინასტიურმა გარემოებამ. კერძოდ, ტაციტუსის საისტორიო გადმოცემის მიხედვით, მითრიდატეს შემდეგ არმენიაში გამეფდა რადამისტი. აქედან გამომდინარე, მან შვილს, როგორც, სავარაუდოდ, არმენიის მომავალ მეფეს, დაარქვა წინა მეფის, ქართული სამეფო დინასტიიდან არმენიაში პირველად გამეფებული მ ი თ რ ი დ ა ტ ე ს სახელი.

ასევე ადამს (ღადამს) „დარჩა ძე მისი წელიწდისა ერთისა ყმა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 29).

გარდა ამისა, საყურადღებოა 114 - 115 წლების რომაული ეპიტაფია. ამ წარწერაში მოხსენიებულია იბერიელი უფლისწული – ა მ ა ზ ა ს პ ი, რომლის ძმაა იბერთა მეფე – მ ი თ რ ი დ ა ტ ე (მელიქიშვილი 1970: 565).

ანალები გადმოგვცემს, რომ სომხეთიდან ლტოლვილი რადამისტის ორსული მეუღლე — ზენობია ტირიდატმა სამეფო ღირსების შესაფერისად მიიღო, რაც მიუთითებს, რომ ასევე მეორე შვილიც უნდა დარჩენოდა რადამისტს (ღადამ-ადამს).

ზენობია, სავარაუდოდ, სწორედ არმენიის პირველი არშაკიდი მეფის დახმარებით ახერხებს შემდგომში თავისი პირველი ძის, უფლისწულ მ ი თ რ ი დ ა ტ ე ს იბერიაში გამეფებას, რადგანაც დინასტიურად მხოლოდ მას, როგორც ორმეფობის ხანის თანა-მეფეთა ორივე შტოს შთამომავალს, შეეძლო ქართლის სამეფოს ხელახალი გაერთიანება.

სავარაუდოდ, ქართულ საისტორიო წყაროებში ერთიდაიმავე სახელის (მ ი რ დ ა ტ-მ ი თ რ ი დ ა ტ ე) მქონე ორი სხვადასხვა ისტორიული პირის შესახებ არსებული გადმოცემები ერთმანეთს შეერწყა და გაერთიანდა.

ამდენად, ქართული და უცხოური საისტორიო გადმოცემების მიხედვით დასტურდება, რომ მეფეთა სიაში გამორჩენილი, რიგით მეოცე მეფის სახელია – მ ი რ დ ა ტ (მ ი თ რ ი დ ა ტ ე). აქედან გამომდინარე, ამ სახით უნდა აღდგეს პირველწყაროს ტექსტის შესაბამისი მონაკვეთი:

„ კ˜. დ ა დ გ ა მ ი რ დ ა ტ“

ამავე დროს, უცხოური (ბერძნულ-რომაული) წყაროები, განხილული მსგავსება-პარალელების გარდა, არანაირ ცნობას არ გვანდის არც ფარსმან ქველის თანა-მეფეზე (ფარსმან ავაზ – *მოქცევაჲ ქართლისაჲ*), არც მის სპასპეტსა და ძუძუმტეზე (ფარნავაზ – *მეფეთა ცხოვრება*), რაც დამატებით მიუთითებს იმას, რომ ეს ეპიზოდიც ორმეფობის ხანის მონაკვეთში ტექსტობრივი სახეცვლილებებისა და გადაადგილების შედეგად არის ჩართული.

ქართული საისტორიო თხზულებების აღნიშნული მონაცემები, როგორც ჩანს, მიუთითებს იმას, რომ ფ ა რ ს მ ა ნ – სახელია და ა ვ ა ზ – მეტსახელი, ხოლო ამ სახელისა და მეტსახელის შერწყმისა და შეკვეცის შედეგადაა მიღებული პარალელური სახელი – ფ ა რ ნ ა ვ ა ზ.

ამგვარივეა ზოგიერთი სხვა, კერძოდ, ქართლის მეფე ვახტანგ გორგასლის სახელიც – „სახელი მისი სპარსულად ვარან-ხუასრო-თანგ, ხოლო ქართულად ეწოდა ვახტანგ“ (ყაუხჩიშვილი 1955: 115). აქ („ვარან-ხუასრო-თანგ“) სახელში ჩართულია მეტსახელი (სპარსულად სიტყვა „ხუასროს“ მნიშვნელობაა – „ბრწყინვალე“). მათი შერწყმისა და შეკვეცის შედეგადაა შექმნილი აღნიშნული პარალელური სახელი – ვ ა ხ ტ ა ნ გ.

ასევეა ფ ა რ ნ ა ვ ა ზ მეფის შემთხვევაშიც (*მეფეთა ცხოვრება*), რაზედაც მიუთითებს საისტორიო თხზულების შესაბამისი მონაკვეთი – „ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 19). სავარაუდო პირველწყაროში ნაცვლად სახელისა „არმაზ“ გვექნებოდა ფ ა რ ს მ ა ნ ა ვ ა ზ. ეს ტექსტობრივი სახეცვლილება ძირითადად განპირობა როგორც ამ სახელების გრაფიკულმა მსგავსებამ, ისე იმ გარემოებამ, რომ ლეონტი მროველმა აღნიშნულ ტექსტში („ფ ა რ ნ ა ვ ა ზ ... აღმართა კერპი ... და დასდვა სახელი მისი არმაზი“ *მოქცევაჲ ქართლისაჲ*) კერპის სახელი („სახელი მ ი ს ი“) გაიაზრა მეფის სახელად („ფარნავაზს შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თ კ ს ს ა“).

ფარნავაზის მსგავსია მისი შთამომავალის სახელი ფ ა რ ნ ა ჯ ო მ, რომელიც მიღებული უნდა იყოს, შესაბამისად, სახელის ფ ა რ ს მ ა ნ და მეტსახელის ჯ უ ა ნ (სპარსულად „ახალგაზრდა“) შერწყმისა და შეკვეცის შედეგად, რაც, ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე (ფ ა რ ს მ ა ნ ა ვ ა ზ და ფ ა რ ს მ ა ნ ჯ უ ა ნ), ბუნებრივი და ლოგიკურია.

როგორც ჩანს, ორმეფობის ხანის მეორე წყვილის შემთხვევაშიც გვაქვს არა თანა-მეფეთა სახელები (ფ ა რ ს მ ა ნ და კ ა ო ს), არამედ პირველი თანა-მეფის სახელი და მეტსახელი ფ ა რ ს მ ა ნ კ ა ო ს (ისევე როგორც ფ ა რ ს მ ა ნ ქ უ ე ლ ი), რადგან მეფეთა სიაში არ გვხდება სხვა მეფე სახელით – კ ა ო ს.

ამდენად, ქართლის მეფეთა, კერძოდ, ფ ა რ ნ ა ვ ა ზ ი ა ნ თ ა დინასტიური სახელებია – ს ა უ რ მ ა გ (ფარნავაზის ძისა და, სავარაუდოდ, მამის სახელიც) და ფ ა რ ს მ ა ნ. სხვადასხვაა ამ სახელის (ფ ა რ ს მ ა ნ) მქონე მეფეთა მეტსახელები, რომლებიც მეფეთა სახელების მსგავსად, მეტწილად, სპარსულია – ა ვ ა ზ, ჯ უ ა ნ, კ ა ო ს. მათ შორის მხოლოდ ერთი მეტსახელია ქართული – ქ უ ე ლ ი.

გარდა ამისა, დასადგენია, ავრეთვე, თანადროული ეპოქის ისტორიული კონტექსტის შესატყვისი ცალკეული სოციალური ტერმინების მნიშვნელობა („რ ვ ა ჲ სახლი და ა თ ნ ი სახლნი...“; „ა თ ა ს ი სახლი მ დ ა ბ ი ო ჲ ი და მ ო ქ ა ლ ა ქ ე დედებით, ყრმებითურთ მათით და კუალად ა თ ი სახლი...“; „ა თ ა ს ი სახლი მ დ ა ბ ი ო ჲ უ ფ ლ ი ს ა, და კუალად ა თ ი სახლი... ყოვლით დედაწულით მათით...“).

ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით ტერმინის „სახლი“ ერთ-ერთი მნიშვნელობაა „გვარი“, რაც შეესატყვისება სტრაბონისეულ γένος-ს. კერძოდ, გვიანანტიკური ხანის ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი თავის საისტორიო თხზულებაში *გეოგრაფია* დეტალურად გადმოგვცემს ცნობებს ამავე პერიოდის იბერიის

საზოგადოებრივი იერარქიის ოთხი გენოსის (გვარის) შესახებ[25] (ყაუხჩიშვილი 1957: 129).

ანონიმის მეტაფრასული თხზულების აღნიშნულ ეპიზოდში პავლე ინგოროყვამ, ქართული საისტორიო წყაროსა და სტრაბონის თხზულების შედარებისას, მნიშვნელოვანი პარალელი გამოავლინა. კერძოდ, მკვლევარის დაკვირვებით აქ გვხვდება „გადმონაწერის სახით ... შენახული“ და „არქაული ეპოქიდან“ მომდინარე ფრაზა („მდაბიოჲ უფლისაჲ“), და მიუთითა იმ მსგავს სოციალურ ტერმინზე, „რომელიც სტრაბონს, ანტიკური ხანის იბერიის აღწერილობაში, მოხსენებული აქვს როგორც „λαο“ = „მდაბიონი“, οἱ βασιλικοὶ δοῦλοί εἰσι = „რომელნი მეფისა („უფლისაჲ“) მონანი არიან“ (ინგოროყვა 1978: 515).

ეს გარემოება ნამდვილად საყურადღებო და გასათვალისწინებელია. მაგრამ აქ დასაზუსტებელია სიტყვის „მდაბიო“ ტერმინოლოგიური მნიშვნელობა, რადგან, როგორც ჩანს, ის განსახილველ ეპოქაში „მდაბალ წრეს, <<მდაბიოთა>> წრეს“ (ასე განმარტავს ამ სიტყვას პავლე ინგოროყვა) არ უნდა ნიშნავდეს.

არსენ ბერის მეტაფრასული თხზულების შესაბამისი მონაკვეთის ტექსტის წყობა („მდაბიოჲ და მოქალაქე“) პირდაპირ მიუთითებს, რომ ეს სოციალური ტერმინები, შესაბამისად, აღნიშნავს „დაბის მკვიდრს“ და „ქალაქის მკვიდრს“.

ამდენად, ანონიმის თხზულებაში აღნიშნული სიტყვა „უფლისა“ სიტყვაზე „მდაბიოჲ“ ტექსტობრივი სახეცვლილების (სიტყვათა გადასმის) შედეგად მექანიკურად არის მიერთებული.

ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით ტერმინს „უფლისა“ შეესიტყვება „მონა“. კერძოდ, *მეფეთა ცხოვრება* აღნიშნული ხანის შესახებ ასე გადმოგვცემს: „ფარნავაზ წარგზავნა მ ო ნ ა ჲ თჳსი ქუჯის თანა“; „... განიხარა ქუჯი სიხარულითა დიდითა და ჰრქუა: „ ... შენ ხარ უ ფ ა ლ ი ჩემი, და მე ვარ მ ო ნ ა ჲ შენი“ (ყაუხჩიშვილი 1955: 15). ლეონტი მროველი მისი წინარე ეპოქის ამბების თხრობისას, როგორც ჩანს, ამავე პერიოდის საზოგადოებრივი წყობის ამსახველ სურათს აღწერს.

აქედან გამომდინარე, იქნებოდა არა შესიტყვება „მდაბიოჲ უფლისა“, არამედ – „მონაჲ უფლისაჲ“ („მონანი უფლისანი“).

ქართული საისტორიო წყაროებში („ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“) დაბალი სოცალური წრის აღსანიშნავად გვხდება ტერმინი „წურილი ერი“: „არავინ ერჩდა წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ თ ა გ ა ნ ი, არამედ წ უ რ ი ლ ი ს ა ე რ ის ა გ ა ნ ი მოაქცია ...“ (ყაუხჩიშვილი 1955: 161).

ამდენად, საისტორიო პირველწყაროს კონკრეტული მონაკვეთი, კერძოდ, დაბალი სოცალური წრის წარმომადგენლების სახელწოდება, ტერმინოლოგიურად სრული სახით ამგვარად აღდგება – „მონანი უფლისანი, წურილისა ერისაგან“.

აღსანიშნავია, რომ ამ სახით ეს სოციალური ტერმინი ზუსტად შეესატყვისება სტრაბონის აღწერილობას იბერიის საზოგადოებრივი იერარქიის მეოთხე გენოსის შესახებ.

ამავედროს, განსახილველ ეპიზოდში გვხდებარაოდენობის აღმნიშვნელ ტერმინთა ცალკეული სიტყვებისადა ფრაზების როგორც შეკვეცა, ისე, განსაკუთრებით, გრაფიკული და აზრობრივ-ტექსტობრივი სახეცვლილებები. კერძოდ, კონკრეტული რიცხვითი სიტყვების სხვაობა აღნიშნულ მონაკვეთში („რ ე ა ჲ *მოქცევაჲ ქართლისაჲ:* „ა თ ა ს ი“ – არსენ ბერისა და ანონიმის მეტაფრასულ თხზულებებში) განპირობებულია იმით, რომ „ასომთავრულ დამწერლობაში, მიუთითებს პ. ინგოროყვა, რიცხვი „რვა“ იწერება ამრიგად: ᲩᲐ; ხოლო რიცხვი „ათასი“ იწერება ამრიგად: Ⲩ. მაშასადამე, *მოქცევაჲ ქართლისაჲ*-ს პირველ დედანში რიცხვითი ასო-ნიშნით ყოფილა აღნიშნული: ⲧ (ე. ი. „ათასი“), რაც უფრო გვიანდელი ხანის გადმონაწერებში დაზიანებულა და წაუკითხავთ როგორც Ⲩ (ე. ი. „რვა“). ასეთი წარმოშობისაა ამ შემთხვევაში *მოქცევაჲ ქართლისაჲ*-ს ტექსტის დაზიანება“ (ინგოროყვა 1978: 515].

რაოდენობრივად გარკვეულად განსხვავებულია ლეონტი მროველის ცნობაც: „მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდარვაჲ“ (ყაუხჩიშვილი 1955: 10). მაგრამ, მიუხედავად ამ სხვაობისა, „ეს არის *მოქცევაჲ ქართლისაჲ*-დან მცხეთაში აზოს 18 სახლით მოსვლის შესახებ ამბის აშკარა გამოძახილი“ (ნიკოლოზიშვილი 2011: 209).

გრაფიკული და აზრობრივ-ტექსტობრივი სახეცვლილებები აქაც რიცხვითი მნიშნელობის მქონე ასომთავრული ასო-ნიშნების დამსგავსებით არის გამოწვეული. კერძოდ, პირველწყაროში იქნებოდა არა სიტყვა „ოცდარვაჲ“, არამედ, შესაბამისად, „ოცი ათასი“.

ეს რიცხვი, სავარაუდოდ, ორი პარალელური რიცხვითი მაჩვენებლის („ათი ათასი“ და „ათი ათასი“) ჯამს წარმოადგენს, რაზეც, კერძოდ, მიუთითებს „მ ო ქ ა ლ ა ქ ე“ სიტყვა-ტერმინის შემდეგ დასახელებული რიცხვი „ა თ ი“ („ა თ ნ ი“ *მოქცევაჲ ქართლისაჲ*). შესაბამისად, მას აკლია მომდევნო სიტყვა „ა თ ა ს ი“. თანადროული ეპოქის ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე, აღნიშნულ მონაცემს პარალელი ეძებნება ფარნავაზის ამბავთან (*მეფეთა ცხოვრება*): „ა თ ა ს ნ ი მ ᲩᲔ დ ა რ ნ ი, რომელნი აზონისგან მოერთნეს ფარნავაზს, ...იპყრნა იგინი კეთილად ... და უწოდა მათ სახელად ა ზ ნ ა უ რ ნ ი“ (ყაუხჩიშვილი 1955: 19).

ამდენად, საისტორიო პირველწყაროში გვექნებოდა „ა თ ი ა თ ა ს ი მ Ⲩ ᲔᲓ ᲐᲠ Ი“ („ათნი ათასნი მᲩედარნი“). ხოლო მეორე ფრაზის („სახელად ა ზ ნ ა უ რ ნ ი“) ნაცვლად კი – „სახლი ა ზ ნ ა უ რ ნ თ ა“.[26]

მომდევნო მონაკვეთში („და მ ო ქ ა ლ ა ქ ე დედებით, ყრმებითურთ მათით და კუალად ა თ ი სახლი...“) შუა ფრაზა („დედებით, ყრმებითურთ მათით“) კონტექსტისათვის შეუსაბამოა, განსხვავებით ანონიმის თხზულებისაგან, სადაც შესაბამისი ფრაზა ტექსტის ბოლოსაა დართული („და კუალად ათი სახლი

მთავართაგან და ყოვლით დედაწულით მათით მოიყვანნა"). აღნიშნული მონაკვეთის დარჩენილი ნაწილი („მ ო ქ ა ლ ა ქ ე და კუალად ..."), აზრობრივად და ტექსტობრივად დაზუსტების შემდეგ (კერძოდ, მსგავსად სიტყვა-ტერმინისა „მ თ ა ვ ა რ თ ა გ ა ნ"), მიიღებს ასეთ პირველსახეს – „მ ო ქ ა ლ ა ქ ე თ ა გ ა ნ კუალად ...", რომელსაც დაერთვის ამავე ტექსტის აღდგენილი გაგრძელება – „ა თ ი ა თ ა ს ი მ ს ვ ე დ ა რ ი, ს ა ხ ლ ი ა ზ ნ ა უ რ ნ თ ა".

გარდა ამისა, ტექსტში ტერმინამდე „სახლი მ დ ა ბ ი ო ჲ" გვხვდება რიცხვი „ა თ ა ს ი", რომელსაც, თავის მხრივ, შესაბამისად, აკლია წინა სიტყვა „ა თ ი". ამ შემთხვევაშიც, აღნიშნული სამხედრო სოციალური ტერმინის („ა თ ი ა თ ა ს ი მ ს ვ ე დ ა რ ი, ს ა ხ ლ ი ა ზ ნ ა უ რ ნ თ ა") პარალელურად, უნდა გვქონდეს მსგავსი შინაარსის ტერმინი „ა თ ი ა თ ა ს ი მ კ კ რ ც ხ ლ ი, ს ა ხ ლ ი მ დ ა ბ ი ო თ ა".

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონაცემებია, რადგან პარალელებს პოულობს სტრაბონის აღწერილობის მესამე გენოსთან („მხედართა და მიწის მოქმედთა"). აქ ტერმინი „ს ა ხ ლ ი მ დ ა ბ ი ო თ ა", სავარაუდოდ, შეესაბამება „მიწის მოქმედთა",[27] ხოლო მეორე მონაკვეთი („მ ო ქ ა ლ ა ქ ე თ ა გ ა ნ კუალად ა თ ი ა თ ა ს ი მ ს ვ ე დ ა რ ი, ს ა ხ ლ ი ა ზ ნ ა უ რ ნ თ ა") კი – „მხედართა".

მირიანის, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის ამბავის აღწერილობაში (*მეფეთა ცხოვრება)* გვხდება ტერმინი „ქურუმნი კერპთანი"[28], რითაც შესატყისობა დასტურდება მეორე გენოსთან.

სტრაბონის აღწერილობას პირველი გენოსის შესახებ, სავარაუდოდ, შეესაბამება ქართულ საისტორიო წყაროებში მიგნებული და კონკრეტულად განხილული ცნობები, რომელიც ეხება როგორც ქართლის (იბერიის) მეფეს (გადმოცემა მირვან მეფისა და მისი ძის არსოკის შესახებ), ისე მეფის შემდეგ მეორე პირს იმავე სამეფო სოციალური წრიდან „სახლი მამამძუძისა, მთავართაგან პალატისათა" (საურმაგ მამამძუძისა და მისი ძის, ფარნავაზ-ფარსმან ავაზ სპასპეტისა[29] და ძუძუმტის ამბავი).

ქართული საისტორიო თხზულებების სანყისი ეპიზოდის ცალკეული მონაკვეთების ტექსტობრივად და ტერმინოლოგიურად დადგენა-დაზუსტების შემდგომ, განხილული მონაცემები, სავარაუდოდ, საისტორიო წყაროს ლიტერატურული პირველსახის აღდგენის საშუალებას იძლევა:

> ხოლო ესე ა რ ს ო კ წარმოვიდა ო ძ რ ჴ ე ქალაქით, ქუეყანით, რომელსა ეწოდების ს ა მ ცხ ე, მ ი რ ვ ა ნ მამისა თჳსისა თანა და წარმოიყვანა მ ო ნ ა ნ ი უ ფ ლ ი ს ა ნ ი, წ უ რ ი ლ ი ს ა ე რ ი ს ა გ ა ნ, და ა თ ი ა თ ა ს ი მ კ კ რ ც ხ ლ ი, ს ა ხ ლ ი მ დ ა ბ ი ო თ ა და მ ო ქ ა ლ ა ქ ე თ ა გ ა ნ კუალად ა თ ი ა თ ა ს ი მ ს ვ ე დ ა რ ი, ს ა ხ ლ ი ა ზ ნ ა უ რ ნ თ ა, და ს ა ხ ლ ი მ ა მ ა - მ ძ უ ძ ი ს ა, მ თ ა ვ ა რ თ ა გ ა ნ პ ა ლ ა ტ ი ს ა თ ა ყოვლით დედაწულით მათით, და თანა-ჰყვანდეს კერპნი ღმრთად – გაცი და გა და ქურუმნი კერპთანი, და მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის ა რ ა გ კ მ ტ კ უ ა რ ს ა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების ქ ა რ თ ლ ი, და პირველად შექმნა მუნ ზედა ს ი მ ა გ რ ე და იშენა მუნ ზედა ს ა ხ ლ ი, და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქ ა რ თ ლ ი – ხუნანითგან ვიდრე ზლუადმდე სპერისა.

შენიშვნები

1 „პირველსახე, რომლისაგან მომდინარეობს ყველა შემდგომი ვარიანტი" (ჩხარტიშვილი 2009: 20).

2 ღადამის მეფობის ოცი დღის შესახებ მკვლევართა შორის გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაა (ინგოროყვა 1978; 515), (ჩხარტიშვილი 2009: 32-35).

3 „მიუხედავად იმისა, რომ სომეხთა ისტორია, ქართული მატიანეების მსგავსად, იბერიის სამეფოს წარმოქმნას ალექსანდრე დიდის სახელს მიაწერს, სავსებით ცხადია, რომ ალექსანდრეს არასოდეს გაულაშქრებია კავკასიისაკენ. ქართული და სომხური მატიანეების ეს ცნობები ეტყობა ნასესხებია ფსევდო-კალისთენეს პოპულარული თხზულებიდან, ალექსანდრეს რომანიდან (*Historia Alexandri Magni*), რომელიც ადრეულ შუასაუკუნეებს (სავარაუდოდ ახ. წ. IV ს.) განეკუთვნება" (ქავთარაძე 2006: 36).

4 ლეონტი მროველმა დამატებით თავისივე პერიოდის რეალიების მიხედვით ჩაურთო სიტყვა „ყივჩაყად".

5 ბუნთურქთა ქართლში მკვიდრობის საკითხი დიდი ხანია მკვლევართა განხილვის საგანია (ალასანია 2000: 19-29), (ალასანია 2008: 5-215), (გოილაძე 2015: 6-15).

6 მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ის ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინია. აღნიშნული საკითხი ვრცლად აქვს განხილული გ. ქავთარაძეს (ქავთარაძე 2009: 29-55).

7 „სახელწოდება აზორკი, თავის მხრივ, უეჭველად დაკავშირებულია ქართლის პირველი მეფის (*მოქცევაჲ ქართლისაჲ*-ს ცნობის), აზოს სახელთან" (ქავთარაძე 2006: 56).

8 აღნიშნულ საკითხზეც მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. კერძოდ, „ეს პასაჟიც მთლიანად „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს შესაბამისი ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციაა. *მოქცევაჲს* „ჰონნი" (იხ. შატბერდის კრებული, თბ., 1979 გვ. 320) „ქართლის ცხოვრების" გვიანდელმა რედაქტორმა აღიქვა როგორც „ჰურიანი" და ჩათვალა, რომ ისინი

ნაბუქოდონოსორის დროს იერუსალიმის აოხრებისა და ებრაელთა დატყვევების შედეგად ქართლში ლტოლვილი ებრაელები უნდა ყოფილიყვნენ" (ნიკოლოზიშვილი 2011: 209).

9 „ვასპურაკანის მთავარი მცხეთელი ებრაელის – აბიათარის მიმართ ამბობს, რომ „ფგ(=503) წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენი მამანი (წინაპრები) მოვიდნენ აქ (მცხეთაში, ქართლში)". ამავე საუბარში აბიათარი, თავის მხრივ, აღნიშნავს, რომ გავიდა 334 წელი მას შემდეგ, რაც ღვთაება აღარ მფარველობს ისრაელს. აქ, როგორც ჩანს, იგულისხმება ... სიკვდილი ქრისტესი, რაშიც ადანაშაულებდნენ ებრაელებს. აქედან გამომდინარე, მცხეთის ებრაული კოლონიის დაარსება უნდა მომხდარიყო ახ.წ. 334-503 წ. ძვ.წ. 169 წელს" (მელიქიშვილი 1970: 166). „ძვ. წ. 169 წელი, მართლაც, იყო სელევკიდთა დინასტიის წარმომადგენლის, ანტიოქოს IV ეპიფანეს წინააღმდეგ მაკაბელთა აჯანყების წელი, რომლის დროსაც მრავალი ებრაელი იძულებეული გახდა დაეტოვებინა თავისი სამშობლო და უსაფრთხო ადგილებისთვის შეეფარებინა თავი" (ნიკოლოზიშვილი 2011: 226).

10 მკვლევრები ძირითადად ქარძამ-ბრატმანის მეფობის დროს ქართლში დამკვიდრებულ ებრაელებს თვლის ძვ. წ. 169 წელს მოსულებად (ნიკოლოზიშვილი 2011: 226).

11 ამ ეპოქას ძვ. წ. IV საუკუნის ბოლო პერიოდს უკავშირებენ მკვლევარები (ნიკოლოზიშვილი 2011: 211-212).

12 სახელწოდება, სავარაუდოდ, მომდინარეობს სიტყვა-ტერმინიდან – „ციხეთა" (ქავთარაძე 2010-2011: 49-60).

13 აღნიშნული პროცესები შემდგომ, ქრისტიანულ ხანაში განსაკუთრებული პოპულარობის გამო, როგორც ჩანს, ალექსანდრე მაკედონელს მიეწერა.

14 მესამე მონაკვეთში (ლეონტი მროველის *მეფეთა ცხოვრება)* გადმოცემული ისტორიული ამბავი „პირდაპირ კავშირშია მოსე ხორენელის II წიგნის 40 და 41 თავების შინაარსთან, რომელთა მიხედვითაც ერვანდმა (იგივე ორონტმა, იგივე იარვანდმა) ააშენა ბაგარანი, კერპების ქალაქი მდინარე ახურიანის ჩრდილოეთ ნაპირზე. იმავე მდინარის ჩრდილოეთ ნაპირზევე გაუშენებია ერვანდს დიდი ტყე, რომელიც შემოუღობავს და იქ გაუშვია სხვადასხვა გარეული ცხოველი, რათა ნადირობით გართობილიყო. მოსე ხორენელის მიხედვით, ერვანდს ამ ტყისთვის დაურქმევია „ცნნდოც". ...მდინარე ახურიანი უნდა გულისხმობდეს მტკვრის ბერძნული სახელწოდების – „კაურ-ოს" დამახინჯებულ ვარიანტს, ხოლო ტყის სახელი – „ცნნდოც" (სიმბ. „დაბადებული") უნდა იყოს დამახინჯებული „წუნდა", ანტიკური ქართული ქალაქი მტკვრის ნაპირას. სახელწოდება „ბაგარან" (ირან. „ღმერთების ადგილი") კი, რომელსაც ხორენელი კერპების ქალაქს უწოდებს, პირდაპირ კავშირშია ქართველი მემატიანის სიტყვებთან – „უწოდა წუნდას სახელად ქაჯატუნი, რომელიც ითარგმნება დევთა სახლად". ამჯერად ძნელია გადაჭრით იმის თქმა, რა წყაროებს ეყრდნობოდნენ *ქართლის ცხოვრების* ავტორი და მოსე ხორენელი, ან რომელი რომელზეა დამოკიდებული" (ნიკოლოზიშვილი 2011: 226).

15 ქართული საისტორიო თხზულებების *(მოქცევაჲ ქართლისაჲ, მეფეთა ცხოვრება)* მიხედვით (მრავალი სხვა ქრისტიანული ქვეყნის მწერლობაში დამკვიდრებული ლიტერატურული ტრადიციის მსგავსად) საკუთარი ქვეყნის ისტორია დაკავშირებულია მსოფლიო ისტორიულ პროცესებსა და თავიანთი მოღვაწეობით განსაკუთრებით ცნობილ ისტორიულ პირებთან. ამ კუთხით როგორც უცხოელ, ისე, ამ შემთხვევაში, ქართველ ავტორთა მიერაც იქნა გამორჩეული ალექსანდრე მაკედონელი.

16 საინტერესოა (ნიკოლოზიშვილი 2011: 227), რომ „ეს ამბავი ეხმიანება მოსე ხორენელის *ისტორიას* (იხ. მ. ხორენაცი, II, 37-47)".

17 „მოსე ხორენელთან იგი წარმოდგენილია, როგორც სმბატ ბიურატის ძე, ბაგრატუნი. დაეხმარა არტაშესს იარვანდის ნაცვლად გამეფებაში (II, 37-38, 43-50)", რაც ასევე საინტერესოა (ნიკოლოზიშვილი 2011: 227).

18 „მოსე ხორენელი ზარენ/ზარეხის ამბავს ლაკონურად აღწერს" (ნიკოლოზიშვილი 2011: 230).

19 ეს და ამგვარი სახელები ლეონტი მროველის მიერ შექმნილია სხვადასხვა პიროვნების, ქვეყნის ან მხარის სახელწოდებებზე ბერძნული ნომინატივის ბრუნვის ნიშნის - ος დართვით, კერძოდ, ქ ა რ თ ლ -ო ს და სხვ.

20 „ცნობები ფარნავაზ მეფის შესახებ შემოგვინახეს შუა საუკუნეების ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრესმა ძეგლებმა: *მოქცევაჲ ქართლისაჲმ* და *ქართლის ცხოვრებამ*. პირველ მათგანში ფარნავაზის მოღვაწეობასთან დაკავშირებით სულ ორიოდე ფაქტია აღნიშნული, მეორეში კი მას ეძღვნება მთელი თხზულება *ცხოვრება ფარნავაზისი*. დასახელებულ ძეგლთა მონაცემები მარტოოდენ ინფორმაციის მოცულობით არ განსხვავდება, ისინი იგივეობრივი არ არის შინაარსის მხრივაც. ორივე უკავშირდება უძველეს ქართულ ისტორიოგრაფიულ ტრადიციას, ოღონდ თითოეულში ამ ტრადიციის განვითარების სხვადასხვა ფაზაა აღბეჭდილი. უფრო ადრეული, საფიქრებელია, თავდაპირველი, ეტაპი დაფიქსირებულია *მოქცევაჲ ქართლისაჲში*. შედარებით გვიანდელი ჩანს *ქართლის ცხოვრების ფარნავაზიანი*, რომელშიც ისტორიული ფაქტების ფოლკლორიზაციის საკმაოდ შორსწასულ პროცესს ვხედავთ" (ჩხარტიშვილი 2009: 7).

21 „ფარნავაზ-ფარსმან ავაზ" განსახილველი პერიოდის, კერძოდ, ორმეფობის ხანის ისტორიული კონტექსტისთვის გარკვეულწილად შეუსაბამოა. აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული და საინტერესოა მ. ჩხარტიშვილის მოსაზრებები (ჩხარტიშვილი 2009: 17-51).

22 მეფეთა ცხოვრება დეტალურად მოგვითხრობს ორმეფობის მეხუთე წყვილის – მირდატისა და ფარსმან ქველის ურთიერთდაპირისპირების შესახებ, რომლის შემდგომაც ქართლში ორმეფობა მოისპო.

23 რომაულ-ქართული საისტორიო გადმოცემათა ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის შედეგად პ.ინგოროყვა ასკვნის: „აქ ერთიმეორეს ხვდება ისტორიკოსის მოთხრობა (ტაციტისა) და ეპიკური თხრობა (ლეონტი მროველისა) არა მხოლოდ საერთო სურათის გადმოცემისას, არამედ იმ სიტყვებშიაც კი, რომლითაც ფარსმან მიმართავს თავის ჯარს

(ტაციტით: „აქ ვაუკაცებია, იქ კი დავლა!" ეპოსით: „აჰა ლომნო მძვნვარენო, ცხოვარნი დასეტყულნნ") (ინგოროყვა 1978: 473). როგორც გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, პ.ინგოროყვა „მიუთითებს საინტერესო პარალელებზე ფარსმანის შესახებ ტაციტუსისა და „ქართლია ცხოვრების" ცნობებს შორის" (მელიქიშვილი 1970: 56). მკვლევარი თუმცა ფიქრობს, რომ „ქართულ საისტორო ტრადიციაში, ეტყობა, არ არის საერთოდ ფიქსირებული... ქართლის სამეფოს (იბერიის) ყველაზე დიდი ძლიერების ხანა – ე.წ. „რომაული ხანა". მაგრამ ამ მოსაზრებას ურთავს ასეთ შენიშვნას: „გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ „ქართლის ცხოვრების" მოთხრობა ფარსმან ქველზე" (მელიქიშვილი 1978: 61).

24 ორ სხვადასხვა საისტორიო ნაწარმოებში (*ანალები* და *მეფეთა ცხოვრება)* მიგნებული, მსგავსი საერთო მომენტების კონსტატაციით, ურთიერთშეეჯერებით, მათში გადმოცემული და ასახული ეპიზოდების ლოგიკურ-ისტორიული ურთიერთშესაბამისობის წარმოჩენით ვლინდება რომაულ-ქართულ გადმოცემებს შორის არსებული შესატყვისობა-იდენტობანი. კერძოდ, „ტაციტუსი გვაუწყებს, რომ „მალე არტაბანი (პართელთა მეფე არტაბან III) მთელი სამეფოს ძალით წამოვიდა ზურის საძიებლად". პართელებმა ეს მეორე ბრძოლა გამართეს 37 წელს, ხოლო პირველი, რომელშიც დამარცხდნენ, მითრიდატეს სომხეთში გამეფების შემდგომ (35 წ.). ამ ბრძოლებს შორის შუალედი არა უმეტეს ერთი წელია (36 წ.). აღნიშნულ ფაქტს ასევე სწორად გადმოსცემს *მეფეთა ცხოვრება*. კერძოდ, „წელსა მეორესა კუალად" გაიმართა ქართველ-სპარსელთა ბრძოლა. მსგავსება ვლინდება, აგრეთვე, ერთი შეხედვით, თვით უბრალო დეტალების აწერისას. ტაციტუსი მებრძოლი მხარეების საომარი მზაობის დახასიათებისას აღნიშნავს: „მათი (პართელების) ერთადერთი ძალა მხედრობა იყო, ფარსმანი კი ძლიერი იყო ქვეითითაც". ამასვე გადმოსცემს ლეონტი მროველიც: „ფარსმან ქუელმან შემოკრიბა სპანი თჳისნი, მხედარნი და ქუეითნი." ტაციტუსი *ანალებში* ფარსმანთან ერთად ცნობებს გვაწვდის მის ძმაზე – მითრიდატეზე. *მეფეთა ცხოვრება* მოგვითხრობს, რომ ფარსმან ქველს ჰყავს თანა-მეფე მირდატი, რომელიც იმავე სამეფო საგვარეულოს შთამომავლია. ძირითადი, არსებითი ნიშნებით (სახელთა მსგავსება, ფარსმანსა და მითრიდატე-მირდატს შორის არსებული ურთიერთსაპირისპირო ურთიერთობა) ეს ისტორიული პირები თანხვდებიან, შეესატყვისებიან ერთმანეთს. გარდა ამისა, ტაციტუსი ერთობ ვრცლად და დაწვრილებით მოგვითხრობს ფარსმან მეფის შვილის რადამისტის თავგადასავალს. *მოქცევაჲ ქართლისაჲ* მიხედვით, ფარსმან ქველის შვილს ქვია – ღადამი, ხოლო „მეფეთა ცხოვრების" თანახმად – ადამი. „სწორია პირველი დამწერლობა: ღადამი", – წერს პავლე ინგოროყვა. ღადამ (ადამ)-რადამისტის იგივეობა, სახელთა მსგავსებასთან ერთად, სხვა ანალოგიებითაც დასტურდება. *კერძოდ, ანალების* მონაცემების საფუძველზე გამორკვეულია, რომ რადამისტის მცირეხნიანი გამეფება სომხეთში 52-54 წლებზე მოდის. ასევე ზუსტად აღნიშნავს ღადამის მეფობის მოკლე პერიოდს *მეფეთა ცხოვრება*: „სამ წელ ოდენ მეფობდა". რა წყაროებთან სარგებლობდა ქართული საისტორიო თხზულება ფარსმან ქველის შესახებ? „რასაკვირველია სრულებით გამორიცხულია შესაძლებლობა, – წერს პავლე ინგოროყვა, – რომ ლეონტი მროველი იცნობდა ტაციტის ტექსტს". მკვლევარი იქვე შენიშვნის სახით დასძენს: „არსად სხეაგან ლეონტი მროველის ცხოვრებაში არა გვაქვს ტაციტის გავლენის რაიმე კვალი, ხოლო ლეონტი მროველს რომ სცნობოდა ტაციტის თხზულება, იგი ცხადია, გამოუყენებელს არ დატოვებდა იმ უხე ცნობებს, რაც ტაციტს მოეპოვება". ლეონტი მროველი რომ არ იცნობს ტაციტუსის თხზულებას, ეს იმ არსებითი ხასიათის სხვაობებითაც ჩანს, რაც რომაულ-ქართულ საისტორიო გადმოცემებში დადასტურებულ მსგავსებებთან ერთად ვლინდება: ა) „მეფეთა ცხოვრება" არ იცნობს მითრიდატე (მირდატის) და რადამისტის (ღადამის) სომხეთში გამეფების ამბებს; ბ) მკვლევრები (პ. ინგოროყვა, გ. მელიქიშვილი და სხვები) დამაჯერებლად ასაბუთებენ, რომ *ანალებში* გადმოცემული იბერთა მეფის ფარსმანისა და პართელთა უფლისწულის ოროდის ორთაბრძოლის ეპიზოდს (მთლიანად იბერ-სპარსელთა პირველი ბრძოლის სურათს) მეტად ნიშანდობლივი ტიპოლოგიური პარალელი ეძებნება ქართულ საისტორიო თხზულებაში. მიუხედავად ამისა, სხვაობა აქაც იჩენს თავს. ლეონტი მროველისათვის (შესაძლოა მისი პირველწყაროსათვის) უცნობია ოროდის პიროვნება; გ) განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ ორ თხზულებას შორის ის სხვაობა, რომ მითრიდატე რომაული ორიენტაციისაა („ანალები"), ხოლო მირდატი კი სპარსულისა („მეფეთა ცხოვრება"). ... ამ სხვაობათა მიუხედავად, ... მსგავსება-პარალელები და შესატყვისობანი ერთობ თვალსაჩინო, ნიშანდობლივი და ანგარიშგასაწევია" (ჭელიძე 1998: 31-36), რაც მყარ საფუძველს ქმნის ქრონოლოგიურად განვსაზღვროთ და დავადგინოთ როგორც ფარსმან ქველის წინადროინდელი, ისე მისი მეფობის შემდგომი ეპოქის ქართლის (იბერიის) მეფეთა მოღვაწეობის ხანა (ჭელიძე 1999: 153-163).

25 „გამოყენებული წყაროების მიხედვით იბერიის აღწერილობა სტრაბონის „გეოგრაფიაში" (XI, 3, 1-6) ორ ნაწილად განიყოფება და სხვადასხვა წყაროს ეყრდნობა: XI, 3, 1-5 დამყარებულია ამიერკავკასიის ქვეყნებში პომპეუსის ლაშქრობის (ძვ. წ. 66-65 წწ.) მონაწილე თეოფანე მიტილენელის თხზულებებზე, თუმცა აქვე გამოყენებულია აგრეთვე ძვ. წ. III ს. ავტორი ერატოსთენე და ზოგჯერ (§ 3) პოსიდონიოსიც. რაც შეეხება XI, 3, 6-ს, იგი სწორედ პოსიდონიოსის „ისტორიიდაან" უნდა მოდიოდეს. თავის მხრივ, ცნობები, რომლებიც პოსიდონიოსს გააჩნდა, ძვ. წ. II ს. 40-იანი წლების დასასრულს ან 30-იანი წლების დასაწყისს განეკუთვნება. ... ძველი ქართლის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესასწავლად განსაკუთრებით საყურადღებოა სწორედ ის ცნობები, რომლებიც პოსიდონიოსიდან ანდა, შეიძლება, თვით პატროკლედან მომდინარეობს (XI 3, §3 და 6). იბერიის აღწერილობის დასასრულს სტრაბონი აღნიშნავს: „ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთი (გვარია) და პირველი, რომლისაგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე (ამ გვარიდან) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე (გვარი) არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე. მესამე (გვარი) არის მხედართა და მიწის მოქმედთა. მეოთხე (გვარი) არის ხალხისა (λαοὶ), რომლებიც სამეფო მონები (οἱ βασιλικοὶ δοῦλοί) არის (XI, 3, 6). და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო" (მელიქიშვილი 1970: 166).

26 როგორც გრაფიკულად, ისე აზრობრივად მსგავსი ტერმინები „სახელი" და „სახლი" ძველ ქართულ წყაროებში ტექსტობრივად ხშირად ენაცვლება ერთმანეთი.

[27] აღნიშნულ სოციალურ ტერმინთა შესატყვისობის საკითხი დასვა და ამის შესახებ თავისი მოსაზრება გაგვიზიარა მ. წურწუმიამ, რისთვისაც პატივცემულ მკელევარს დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[28] ეს ტერმინი იქნებოდა საისტორიო პირველწყაროში.

[29] ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პ. ინგოროყვას მოსაზრება: „გავეცნოთ ამის შემდეგ ერთ უაღრესად საყურადღებო ცნობას, რომელსაც გადმოგვცემს ანტიკური ხანის განთქმული გეოგრაფოსი სტრაბონი იბერიის სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ. სტრაბონი წერს, რომ იბერიაში სამეფო გვარეულობიდან – „ირჩევენ მეფედ მას, რომელიც უხუცესია ხნოვანობით და გვარის ხაზით. [იმავე სამეფო გვარეულობიდან] ირჩევენ შ ე მ დ გ ო მ ს (δεύτερος – მეორე პირს მეფის შემდეგ), რომელიც არის მსაჯული და მხედართმთავარი" (სტრაბონის გეოგრაფია, წიგნი X, თავი III, 6). სტრაბონის ეს უწყება, როგორც ეხედავთ, ძირითადში ემთხვევა ქართული წყაროს ცნობას: ა) იბერიაში, სტრაბონის ცნობით, არსებულა თანმდებობა მეფის „შემდგომი"-სა, მეორე პირისა მეფის შემდეგ. ეს არის იგივე „შემდგომი" მეფისა, რომელსაც მოიხსენიებს ლეონტი მროველი, ... რომელიც, ქართველი ისტორიკოსის ცნობით, „მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა"; ბ) ლეონტი მროველის ცნობით, ეს ხელისუფალი „შემდგომი" მეფისა ... ამავე დროს იყო მხედართმთავარი სამეფოსი („სპასპეტი"). სტრაბონის ცნობითაც იგივე მეორე პირი მეფის შემდეგ არის მხედართმთავარი სამეფოსი. ...ამრიგად, ჩვენ გვაქვს უაღრესად მნიშვნელოვანი დამთხვევა სტრაბონის ცნობებისა ქართული წყაროების ცნობებთან" (ინგოროყვა 1978: 546).

დამოწმებანი

აბულაძე 1971: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, (მეტაფრასული რედაქციები XI-XIII ს.ს.), ი. აბულაძის რედაქციით, თბილისი.

ალასანია 2000: გ. ალასანია, ქართული წერილობითი წყაროების ბუნ-თურქები (საკითხის ისტორიოგრაფია), ქართული წყაროთმცოდნეობა, IX, თბილისი.

ალასანია 2008: გ. ალასანია, ქართველები და ისლამამდელი თურქები, თბილისი.

გოილაძე 2015: ვ. გოილაძე, ჰუნ-თურქები კავკასიაში, თბილისი.

თაყაიშვილი 1948: ე. თაყაიშვილი, საიდან და როგორ გაჩნდა „ქართლის მოქცევის" ქრონიკაში სახელწოდება „არიან-ქართლი?", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IX, №9-10, თბილისი.

ინგოროყვა 1978: პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბილისი.

მელიქიშვილი 1970: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გ. მელიქიშვილის რედაქციით, თბილისი.

მელიქიშვილი 1978: გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში არსებული ხარვეზების შესახებ, ჟურნ. „მაცნე" ისტორიის სერია, 1978, 3, თბილისი.

ნიკოლოზიშვილი 2008: *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, ძველი ქართული ტექსტი დაადგინა და ახალ ქართულ ენაზე თარგმნა ნ. ნიკოლოზიშვილმა, ძველი ქართული ტექსტი ახ. ქართული პარალელური თარგმანით (ნ. ნიკოლოზიშვილის თარგმანი), ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები 3 ტომად (რედ. ლევან აბაშიძე), ტ. I. თბილისი

ნიკოლოზიშვილი 2011: ქართლის ცხოვრება, ტექსტი ახალ ქართულ ენაზე თარგმნა და კომენტარები დაურთო ნ. ნიკოლოზიშვილმა, თბილისი.

ქავთარაძე 2006: გ. ქავთარაძე, საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები (ადრეული ხანიდან),. თბილისი.

ქავთარაძე 2009: გ. ქავთარაძე, „არიან-ქართლის" საკითხისათვის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, IX, თბილისი.

ქავთარაძე 2010-2011: გ. ქავთარაძე, მცხეთის უძველესი ადგილმდებარეობისა და სახელწოდების საკითხისათვის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, X-XI, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1955: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1957: თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი.

ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი, სახეები საქართველოს წარსულიდან, თბილისი, უნივერსალი.

ჭელიძე1998: ლ. ჭელიძე, საისტორიო გამოცემები ფარსმან ქველზე, კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, თბილისი.

ჭელიძე 1999: ელ. ჭელიძე, ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება" და უცხოური საისტორიო გადმოცემები, ლიტერატურული ძიებანი, XX, თბილისი.

ჭელიძე 2002: ლ. ჭელიძე, ადრეული ხანის ქართული საისტორიო მწერლობის განვითარების ეტაპები, ქრისტიანული არქეოლოგიის VI კონფერენცია, მოხსენებათა შინაარსები, თბილისი.

ჭელიძე 2005: ლ. ჭელიძე, ლეონტი მროველმან აღწერა („მეფეთა ცხოვრების“ სიუჟეტური ერთიანობა და კომპოზიციური მთლიანობა), კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, თბილისი.

EARLY STAGES OF THE DEVELOPMENT OF GEORGIAN HISTORIC PROSE LITERARY PROTOTYPE OF THE INFORMATIVE-DIPLOMATIC SOURCES

Part 1

Vladimer Chelidze

The literature of Georgian royal court, particularly, historic prose, has been gradually formed over time. This was consistently reflected in old Georgian historic writings (*Conversion of Kartli* and *Life of the Kings* by Leonti Mroveli). Mentioned written monuments have kept very important informative-diplomatic sources. Over the course of time these sources have gone through essential textual changes. Additional changes have been made due to the thematic-composite structure of the historical collection of works and, specifically, due to their combination with other sources. It is important to determine the initial versions of these writings and thus possibly complete and precise restoration of literary model of the Georgian historic prose, which is possible by finding the parallels with foreign (Greek-Roman and Armenian) historical works and epigraphic monuments of that period, through their detailed analyses. At the beginning, research for philological-textual analyses of the historic sources should be carried out. It is also necessary to determine the parameters of the studies, carried out in this direction. To be more precise, not only the determination of the textual characteristics but also consideration of the historic context and ideological implications are important. On the next stage, research can be continued by historical-literary and source-studies, as well as informative-diplomatic directions. In parallel these sources provide significant information and substantial indications on Georgian internal situation as well as foreign vectors at that time.

In order to restore the original versions of the historic sources, we have reviewed *Conversion of Kartli*, which gives a short description of pre-Christian kingdom of Kartli (Georgia) by the sequential order of Georgian Kings. As it was found, the list of the Kings (twenty eight Kings) was missing one name. According to the sequential order, there are only 27 monarchs indicated. As a result of the analyzing the historical data, the name of the missing king has been conjectured. Unknown and twentieth king's name is M i r d a t (M i t r i d a t e).

Besides this, a very important section of the beginning of historic text has been restored; therefore, initial version has been recovered: "And Arsok went from town Ozrkhe, the land called Samtskhe, with his father Mirvan, and he took the servants of the Lord, peasants and ten thousand infantry, and family of villagers and citizens, also ten thousand horsemen, family of noblemen, family of his senior and all the members of the royal court and the idols he worshiped – Gatsi and Ga, and the priests. He came to the place where river Aragvi flows into the river Mtkvari. He went up to the mountain, called Kartli, where he built a bulwark and settled with family. After it the whole area that was stretched from Khunan territory to the Sper Sea was named as K a r t l l."

საერთაშორისო პრეზენტაცია
INTERNATIONAL PRESENTATION

THE FORMATION OF KARTVELIAN IDENTITY IN LATE ANTIQUITY: Some Methodological Considerations[1]

Christopher Haas

"The Iberi are a Christian people and keep the ordinances of the faith as zealously as any people we know. However, they have long been subjects of the Persian king" (*Pers.* 1.12.2–3). With this terse statement, the 6th century Byzantine historian, Procopius, introduces his readers to the eastern Georgian kingdom of Kartli or Iberia. For Procopius, as for other Greek writers in this period, the two most important descriptive elements in any ethnographic representation are religion and geo-politics.[2] This signals a subtle shift among Byzantine writers from the Classical ethnographic tradition, beginning with Herodotus in the fifth century BC. At one crucial moment in his *Histories*, a spokesman for the Athenians rejects the allurements of "Medizing" by concluding, "Furthermore, there is Hellenicity, consisting in the same blood and the same language, the common shrines of gods and cult and the same way of life, which the Athenians should not betray."[3]

These Classical markers of ethnicity evolved as the Mediterranean world came under the dominion of Rome. Ethnographic descriptions of the inhabitants of Kartli are best exemplified by Strabo, who was born in nearby Pontus.[4] When he wrote his monumental *Geographica* during the reign of Augustus, he portrayed the kingdom of Kartli in this fashion: "The greater part of Iberia is so well built up in respect to cities and farmsteads that their roofs are tiled, and their houses as well as their marketplaces and other public buildings are constructed with architectural skill." He goes on to say that "The plain of the Iberians is inhabited by people who are rather inclined to farming and to peace, and they dress after both the Armenian and Median fashion" (*Geogr.* 11.3.1–3). Similar to his descriptions of other kingdoms and peoples surrounding the Mediterranean world, Strabo also sketches the hierarchical dynamics of Iberian society and politics, the principal routes of access to the region, and the involvement of Iberians in Roman military conflicts – in this case, Gn. Pompey's campaigns against Mithradates VI of Pontus.[5] By the mid-6th century, however, these markers of ethnic identity fade in significance compared with religious adherence, in some respects a revival of one important ethnic marker for Herodotus when he sought to distinguish the Greeks from the Persians. For Procopius, religion was now assuming a role as the dominant criterion of ethnicity – just two generations before Khusro Parwez launched the last great war of Antiquity in the spring of 603. This war, which convulsed the entire Near East for almost three decades, included religion for the first time as a major ideological component.[6] Even in the modern era, religion has maintained a crucial position as a marker

1 This paper was the product of a stimulating conference entitled *Georgia Between the Empires Before the Coming of Islam*, held at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia, 26 June 2015. I owe an incalculable debt of gratitude to the co-organizers, Prof. Tedo Dundua and Prof. Mariam Chkhartishvili. I also wish to acknowledge the generous comments, suggestions, and encouragement provided by Eka Tchkoidze, Nikoloz Vacheishvili, Dato Tcheishvili, Levan Gordeziani, Lado Mirianashvili, Emil Avdaliani, Nino Silagadze, Leri Tavadze, and Niko Chocheli. I also wish to thank my colleagues at Villanova University who gladly answered my sometimes unusual queries: Judy Giesberg, Andy Liu, and Craig Bailey. Despite the best efforts of all these generous colleagues, the inevitable remaining errors of fact or interpretation are solely my own.

2 Followed closely in later Byzantine thought by language; on which, see J. Koder, "Sprache als Identitätsmerkmal bei den Byzantinern," *Anzeiger der Philosophisch-historischen Klasse* 147.2 (2012): 5-37.

3 Herodotus, *Histories* 8. 144.2; (αὖτις δὲ τὸ Ἑλληνικὸν ἐὸν ὅμαιμόν τε καὶ ὁμόγλωσσον καὶ θεῶν ἱδρύματά τε κοινὰ καὶ θυσίαι ἤθεά τε ὁμότροπα, τῶν προδότας γενέσθαι Ἀθηναίους οὐκ ἂν εὖ ἔχοι.)

4 A recent appraisal of these two very different authors may be found in M. Maas, "Strabo and Procopius: Classical Geography for a Christian Empire," in H. Amirav and B. Romeny, eds., *From Rome to Constantinople. Studies in Honour of Averil Cameron*, (Leuven, 2007), pp. 67-83. See also, A. Kaldellis, *Ethnography After Antiquity: Foreign Lands and Peoples in Byzantine Literature*, (Philadelphia, 2013).

5 On Strabo, see O. Lordkipanidze, *Das alte Georgien (Kolchis und Iberien) in Strabons Geographie, Neue Scholien*, (Amsterdam, 1996); G. Traina, *Strabone. Geografia, Il Caucaso e L'Asia Minore (Libri XI e XII)*, (Milano 2000): D. Braund, "Greek geography and Roman empire: the transformation of tradition in Strabo's Euxine," in D. Dueck, H. Lindsay, and S. Pothecary, eds., *Strabo's Cultural Geography: The Making of a Kolossourgia*, (Cambridge, 2005), pp. 216-234.

6 J. Howard-Johnston, "Heraclius' Persian Campaigns and the Revival of the East Roman Empire, 622-630," *War in History* 6. 1 (1999): 1-44; W. E. Kaegi, *Heraclius: Emperor of Byzantium* (Cambridge, 2003), pp. 142-159.

of Kartvelian identity, from Ilia Chavchavadze's famous triad of fatherland, language, and faith (within a common, historical sacral community) to the more recent formulation of Catholicos-Patriarch Ilia II, who emphasizes God, homeland (სამშობლო - a Trinitarian concept), and humanity – or love for one's neighbor.[7]

For Procopius in the sixth century, the most noteworthy aspect of the Iberians was the paradox of their fervent Christianity along with their longtime status as a Sasanian vassal state. As a writer who still embraced vestiges of Eusebius's unitary vision of Church and Empire, Procopius had difficulty placing the inhabitants of Kartli in his clear-cut taxonomy of peoples. Yet, it is this very oddity that cuts to the heart of the Iberians's emerging cultural identity during that pivotal half millennium between the second and seventh centuries AD. And it is this seeming dichotomy that draws me to the study of cultural identity in this region during Late Antiquity. As Lévi-Strauss famously said of certain animals, I have found the Caucasus "good to think with," particularly regarding the intersection of geography, cultural dynamics, and state formation.[8] This was especially true of Late Antiquity, when the nascent kingdoms of the South Caucasus became the focal point for a fierce geopolitical competition between the Roman Empire in the west and Parthian Empire in the east, succeeded in 224 by the even more aggressive Sasanian (or Sasanid) Persian Empire.[9] While these two empires played out their contest for hegemony along a 3,000 kilometer front extending from the Caucasus to the southwestern corner of the Arabian Peninsula, a galaxy of lesser states situated in this conflict zone struggled to forge their separate cultural identities while maintaining a modicum of political autonomy.

Second, much of the theoretical discussion of cultural identity in Late Antiquity has tended to overemphasize the fluid nature of cultural choices, as well as the way cultural markers can be adopted, blended together, or rejected based upon particular circumstances. This holds true for individuals (usually highly literate members of political or religious elites), groups bound together by common linguistic and ideological ties, or even entire states or kingdoms. While affirming the dynamic nature of cultural identity, I argue that the evolution of cultural identity progressively narrows the choices available. Especially in the case of entire kingdoms, the process is more akin to the slow accretion of a coral reef, gradually building upon itself and allowing later coral to flourish. Just as an ecological catastrophe may lead to a reef's destruction, so also the peripheral states of Late Antiquity were frequently under the threat of a geopolitical tsunami by invading armies from either great empire. Two such catastrophes at opposite ends of the frontier zone would be the Battle of Avarayr in 451, when the flower of Armenian nobility led by Vardan Mamikonean was annihilated by a vastly superior Sasanian army. In like manner, the Himyarite king, Yusuf As'ar Yathar, led a doomed campaign in 522-525 against the Christian communities of his kingdom, inviting certain invasion and retaliation by their patron, the Aksumite king, with the support of the Byzantine emperor. Nonetheless, even a military disaster leading to the end of an indigenous dynasty and absorption into the provincial structure of either Rome or Persia was not enough to imperil the foundations of cultural identity formed in Late Antiquity. In many cases, cultural markers like language, literature, religion, art, and architecture survived intact into the modern period when they were embraced by nationalists over the past two centuries.

This critical self-awareness operates on two levels: the use of particular historical theory and the construction of plausible historical models. First, by historical theory, I do not mean something esoteric or philosophical. I see theory as simply an explanatory tool, a perspective that helps us decide how to view and approach difficult historical questions. For my part, many of my own theoretical choices are made in reaction to widely-fashionable theories that I find less than fruitful. A great number of my colleagues are enamored of the triad race/class/gender as an all-explaining theoretical lens through which they view the past. The principal theoretician inspiring this view is Michel Foucault (1926-1984) whose writings highlighted the centrality of power and dominance in every form of social relation and, indeed, in the construction of knowledge itself. At times, this may allow for useful insights, but as an all-embracing historical theory, I find it as unsatisfying as dialectical materialism. Second, by models, I refer to intellectual constructs that deliberately simplify reality in order to emphasize the recurrent, the

7 Chavchavadze (1837-1907) developed and published many of these ideas in the influential journal, *Iveria* between 1877 and 1906. For Chavchavadze's foundational contribution to modern notions of Georgian nationhood, see მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია, *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. „ივერია" და მისი მკითხველი საქართველო*, (თბილისი, 2011) [M. Chkhartishvili, K. Mania, *Coverage of the process of the Georgian national consolidation in print media. Georgians as a readers of Iveria*, (Tbilisi, 2011)]; M. Chkhartishvili, "Georgian Nationalism and the Idea of the Georgian Nation," *Codrul Cosminului* 19.2 (2013): 189-206.

8 "Les espèces sont choisies non commes bonnes à manger, mais comme bonnes à penser," in *La Pensée sauvage*, (Paris, 1962).

9 The Caucasus, its peoples, and its resources continue to be a focus of great power competition today. See, R. G. Suny, "The Pawn of Great Powers: The East-West Competition for Caucasia," *Journal of Eurasian Studies*, 1 (2010), pp. 10-25.

constant, and the typical. These are especially useful for exploring causal relationships among historical factors. In the study of Classical history, two of the most influential models in the past half century have been Moses Finley's model of the "consumer city" which focuses on the fiscal exploitation of the countryside in order to support the development of urban, classical civilization; and Keith Hopkins's model of the Roman economy which posits three distinct economic zones (the frontier, the peaceful interior provinces, and a bloated imperial capital).[10] As artificially simplified constructs of reality, models do not purport to express some eternal truth about the past, they only assist us in conceptualizing complicated historical data and discerning plausible patterns. Finley's consumer city model has undergone considerable scrutiny, and when enough exceptions and divergences from the original model crop up, then it is becomes necessary to abandon the entire model.[11]

Over the past twenty years, considerable ink has been spilt in an effort to reformulate long accepted models which linked geographical zones and their distinct cultures. Perhaps this can best be seen in the reappraisal of Fernand Braudel's classic, *La Mediterranee et le monde mediterraneen a l'epoque de Philippe II* (2nd ed. 1972).[12] Where Braudel once saw a unified Mediterranean environment in which the ebb and flow of human history was constrained by the deep currents of a near-timeless landscape, more recent studies, notably Horden and Purcell's *The Corrupting Sea*, envision a geographical space consisting of extraordinarily diverse micro-regions surrounding the Mediterranean whose natural tendencies towards fragmentation are offset by the necessity to reduce the risks of survival by both short and long-range "connectivity" through trade.[13] These seminal works, and the numerous studies inspired by them, focus largely on seaborne exchange as the principal means of creating connection, and tend to ignore the political connections forged by state building and the creation of empires. Likewise, the Atlantic World during the Early Modern and Modern periods has become a distinct historical space in scholarly discourse, so much so that an entire field centered on the Atlantic World has emerged with conferences, journals, and job postings in universities.

I mention these two examples because it is becoming increasingly clear to historians that these spatial frameworks often are anachronistic projections from a modern imperialist and Enlightenment scientific world-view onto spaces that were conceived quite differently by their inhabitants in the past. This new revisionist perspective recognizes that these "naturally" demarcated geographical zones frequently turn out to be colonial constructs, imposing unity on regions where none existed. The "India" of Classical geographers comprised all the various lands with coasts bordering the Red Sea and Indian Ocean. "India" as a geographical unity did not exist until it was annexed by European powers. Historians are recognizing that the discourses of imperial outsiders are often quite different from those of indigenous inhabitants.[14]

As with seas, so also with mountains.[15] Traditionally, they are regions understood almost exclusively from the perspective of the inhabitants of the lowlands. They are accessible only by steep, winding roads whose tortuous ascent Braudel described as "an extension of the plain and its power through the hill country."[16] Even in the first

10 M. I. Finley, "The Ancient City," in B. D. Shaw and R. Saller, eds., *Economy and Society in Ancient Greece*, (London, 1981), pp. 3-23; idem, *The Ancient Economy*, 2nd ed. (London, 1985); K. Hopkins, "Taxes and Trade in the Roman Empire," *Journal of Roman Studies* 70 (1980): 101-125.

11 Useful introductions to the application of models and historical theory in Greco-Roman history may be found in N. Morley, *Theories, Models, and Concepts in Ancient History*, (London, 2004); and M. I. Finley, *Ancient History: Evidence and Models*, (New York, 1985).

12 F. Braudel, *La Mediterranee et le monde mediterraneen a l'epoque de Philippe II*, (2 vols., Paris 1949; 2nd rev. ed. Paris 1966) with Engl. transl. by S. Reynolds, *The Mediterranean and the Mediterranean world in the age of Philip II*, (London 1972). For a thoroughgoing analysis of Braudel and the influential *Annales* school of historical interpretation, see S. Kinser, "*Annaliste* Paradigm? The Geohistorical Structuralism of Fernand Braudel," *American Historical Review* 86.1 (1981): 63-105.

13 P. Horden and N. Purcell, *The Corrupting Sea: A Study of Mediterranean History*, (Oxford, 2000), which should be read in conjunction with the review by B. D. Shaw, "Challenging Braudel: A New Vision of the Mediterranean," *Journal of Roman Archaeology* 14 (2001): 419-453; the collected papers in W. V. Harris, ed., *Rethinking the Mediterranean* (Oxford, 2005), and I. Malkin, ed., *Mediterranean Paradigms and Classical Antiquity*, (London, 2005).

14 A foundational presentation of this revisionist approach may be found in M. W. Lewis and K. Wigen, *The Myth of Continents: A Critique of Metageography*, (Berkeley and Los Angeles, 1997). See also R. Lederman, "Globalization and the Future of Culture Areas," *Annual Review of Anthropology* 27 (1998): 427-449.

15 As an entrée into this field, consult M. F. Price, A. C. Byers, et al., *Mountain Geography: Physical and Human Dimensions*, (Berkeley and Los Angeles, 2013).

16 Braudel, *La Mediterranee* (Engl. transl. by S. Reynolds, *The Mediterranean and the Mediterranean world*), p. 41, as part of a longer discussion, pp. 25-53.

and second centuries AD, Roman Italy with the most developed road system in the Mediterranean, left only a faint imprint of its civilization on the mountainous zones everywhere present in the Italian peninsula. Yet, just as in the interplay between Eurasian steppelands and the sedentary, agricultural empires to the south, so too mountain and plain are bound together by innumerable ties of economic exchange, political conflict, and a rich give-and-take of cultural markers. At the same time, what constitutes a mountainous zone is often in the eye of the beholder. The nearest plains and hill country are frequently regarded by outside observers as little different from the adjacent mountains, especially when those outside observers represent imperial powers. This truism is glaringly obvious to anyone who bristles at the geographical designation of "Transcaucasus" for the region south of the Great Caucasus range, and the hegemonic, imperialist discourse implicit in naming an administrative city, Vladikavkaz.

Because of their natural difficulty of access, mountain zones are often regarded as mere peripheries by outsiders. Yet, their often-critical role in providing links between regions compels the attention of both ancient observers and modern historians. No serious historian of either Rome or Persia can ignore the decisive position held by the Alps and the Zagros for each imperial state. It was more than simply a convenience in nomenclature and also kinship in indigenous cultures that led the first Roman administrators to refer to Cisalpine and Transalpine Gaul. The Zagros was the spine of successive Persian empires, the rulers of which regarded the Mesopotamian regions west of the Zagros as an integral part of Īrān, albeit the "lowlands" (Middle Persian: *erāgh*, hence al-Īrāq). Likewise, the Caucasus in antiquity was not an utterly impenetrable barrier, either to steppe dwellers in the north or to the inhabitants of the Mtkvari and Aragvi valleys to the south. Archaeological remains from both sides of the Caucasus have long demonstrated that the entire region served as a pivotal cultural crossroads for millennia. Nonetheless, as the cultural historian Ori Soltes astutely observed regarding the Caucasus, "Crossroads are points of both creative and destructive potential; as such they can transform reality in the most exhilarating and the most devastating of ways." To put it another way, "the wider Caucasian world constituted one of Eurasia's most energetic and cosmopolitan zones of cross-cultural encounter, ... a crucible of negotiation and accommodation."[17]

Consequently, when I speak of Late Antiquity's "peripheral kingdoms," it is with the recognition that this label only makes sense from the imperial capitals of Rome/Constantinople and of Ctesiphon. What constitutes a periphery and what constitutes a center is simply a matter of cognitive geography. The Iberian nobles buried between the 2nd and 4th centuries at the necropoleis of Armaziskhevi and Samtavro with a dazzlingly rich assortment of prestige goods surely did not envision themselves as inhabiting the periphery of the civilized world. However, the main conflict zone between the great imperial powers was in eastern Syria and northern Iraq. From the standpoint of the emperor or of the *shahan'shah*, the South Caucasus kingdoms of Colchis/Lazica, Iberia/Kartli, and Armenia, as well as the Red Sea kingdoms of Himyar in modern Yemen and Aksum in modern Ethiopia and Eritrea were well removed from main theater of war and diplomacy.[18]

Like many historians today, I am fascinated by the formation of cultural identity among peoples and kingdoms during the centuries just prior to the rise of Islam. For each of these various kingdoms and states, the late antique period constituted a seminal stage in the formation of their self-understanding and cultural identity. Many of these kingdoms already had a rich heritage stretching back at least as far as the Achaemenid empire in the 5th and 4th centuries BC.[19] In like fashion, the cultural transformations common to many of these states in Late Antiquity will foreshadow their ongoing evolution over the next millennium and a half until the efflorescence of nationalist ideologies in the 19th and 20th centuries. Late Antiquity witnessed a crucial stage in a long-term process extending from the earliest ethnic coalescence during the Bronze Age to our modern era of competing nation-states. Charting the development of any one of these states in a diachronic manner across the centuries makes perfect sense as

17 O. Z. Soltes, "The Eternal Crossroads," in idem, ed., *National Treasures of Georgia*, (London, 1999), pp. 18-29; S. H. Rapp, Jr., *The Sasanian World through Georgian Eyes: Caucasia and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature*, (Farnham and Burlington, 2014), pp. 1-2. The Caucasus and their inhabitants have long served as the source of myth, legend, and romantic images that seldom accord with reality. On the creation and uses of this imaginary Caucasus, see C. King, *The Ghost of Freedom: A History of the Caucasus*, (Oxford, 2008), pp. 20-141

18 On the dichotomy of center/periphery in Late Antiquity, see G. W. Bowersock, "Centrifugal Force in Late Antique Historiography," in C. Straw and R. Lim eds., *The Past Before Us: The challenge of historiographies of late antiquity Bibliothèque de l'Antiquité tardive, 6 = Smith Studies in History Series 84* (Turnhout, 2004), pp. 19-23. For a later period, see J. Shepard, "Byzantium's Overlapping Circles," *Proceedings of the 21st International Congress of Byzantine Studies* (2006): 15-56.

19 At the same time, scholars are becoming sensitized to the meta-narratives embedded in traditional histories of Persia. On this, see the perceptive comments of T. C. McCaskie, "'As on a Darkling Plain': Practitioners, Publics, Propagandists, and Ancient Historiography," *Comparative Studies in Society and History* 54.1 (2012): 145–173.

a historical methodology.[20] However, I am very much aware of the ideological minefield surrounding the formation of ethnic and national identity in the South Caucasus. There is no question but that I am an outsider to these discussions. I earnestly hope that I lack the naïveté and arrogance to presume to barge heedlessly into decades-long incendiary debates fraught with violent political consequences. In similar fashion, there are very good reasons why few non-Americans have made substantive contributions to the history of the American Civil War.[21] The recent heated debates in the US regarding the public display of the Confederate battle flag today demonstrate that a cultural observer needs a nuanced awareness of race, sectional passions, and the multiple meanings carried by a single historical symbol – and this for a symbol that has a history of only a century and a half.[22] In comparison with the history of the Caucasus, that is a mere blink of an eye. I recognize that archaeology, linguistics, and historical texts have long been employed throughout the South Caucasus to substantiate mutually-exclusive historical narratives and claims to territory.[23] I also appreciate the singular dedication and personal sacrifice of pioneering Georgian scholars over the past century as they heroically created new fields of study and the academic institutions to support them. We must acknowledge their monumental contributions and tread carefully in scholarly fields whose products have often been wrenched out of context and appropriated by rabid ideologues. I try to keep in mind the dictum of the great British historian of nationalism, Eric Hobsbawm, "Historians are to nationalism[s] what poppy-growers in Pakistan are to heroin addicts: we supply the essential raw material for the market."[24]

As a historian of Late Antiquity, my chosen methodological approach to the question of cultural identity is to employ a comparativist method. This allows me to side-step theoretical debates within the study of nationalism and ethnicity, especially the conflict between the constructivists or instrumentalists, who see ethnic or national identity as a constantly changing, negotiable instrument in service to the self-interest of groups in the present, and the so-called primordialists, who trace the origins of the modern nation into deep past.[25] This latter school of thought has become much more sophisticated in recent years, informed by the theoretical advances of scholars like Anthony D. Smith and Azar Gat.[26] Historians of ancient cultures are increasingly embracing a dialectic between

20 For this method as it applies to Georgia, see M. Chkhartishvili, "Representing Georgian Past: Problem of Nation-Formation," in M. Chkhartishvili, ed., *Representing History: Theoretical Trends and Case Studies*, (Tbilisi, 2014), pp. 290-302; and idem, *On Georgian Identity and Culture*, (Tbilisi, 2009).

21 To my knowledge, the only such historian is the British scholar, Amanda Foreman, whose voluminous *A World on Fire: Britain's Crucial Role in the American Civil War*, (New York, 2011), focuses on the impact of Southern cotton production on the worldwide market in the 19th century.

22 One of the most insightful discussions is that of Tony Horwitz, "Embattled Banner," *The Civil War Monitor* (Fall, 2015): 33-41.

23 The intersection of these academic fields with modern political ideologies is addressed by P. L. Kohl and G. Tsetskhladze, "Nationalism, Politics, and the Practice of Archaeology in the Caucasus," in P. L. Kohl and C. P. Fawcett, eds., *Nationalism, Politics, and the Practice of Archaeology* (Cambridge, 1995), pp. 149-174; E. N. Chernykh, "Postscript: Russian archaeology after the collapse of the USSR – infrastructural crisis and the resurgence of old and new nationalisms," ibid., pp. 139-148; V. A. Shnirelman, *The Value of the Past: Myths, Identity and Politics in Transcaucasia, Senri Ethnological Studies*, 57 (Osaka, 2001); P. L. Kohl, M. Kozelsky, and N. Ben-Yehuda, "Introduction" in idem, eds., *Selective Remembrances: Archaeology in the Construction, Commemoration, and Consecration of National Pasts*, (Chicago, 2007), pp. 1-28; and L. Khatchadourian, "Making Nations from the Ground up: Traditions of Classical Archaeology in the South Caucasus," *American Journal of Archaeology* Vol. 112, No. 2 (2008): 247-278.

A broader introduction to the political and ethnic dynamics that shaped archaeology and related fields may be found in R. G. Suny, *The Revenge of the Past*, (Stanford, 1993); idem, "The empire strikes out: Imperial Russia, "national" identity, and theories of empire," in R. G. Suny and T. Martin, eds., *A State of nations: Empire and nation-making in the age of Lenin and Stalin*, (Oxford, 2001), pp. 23–66; T. Martin, "An Affirmative Action Empire: The Soviet Union as the Highest Form of Imperialism," in *ibid.*, pp. 67-92; F. Hirsch, *Empire of Nations*, (Ithaca, NY., 2005); R. G. Suny, "The Contradictions of Identity: Being Soviet and National in the USSR and After," in M. Bassin and C. Kelly (eds.), *Soviet and Post-Soviet Identities*, (Cambridge, 2012), pp. 17-36.

24 E. Hobsbawm, "Ethnicity and nationalism in Europe," *Anthropology Today* 8.1 (1992): 3-13, at p. 3.

25 Some of the most influential works of the constructivist/instrumentalist school are B. Anderson, *Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism*, rev. ed. (London, 2006); J. Breuilly, *Nationalism and the State*, (Manchester, 1982); and E. Hobsbawm and T. Ranger, eds., *The Invention of Tradition* (Cambridge, 1983). The classic exposition of this view as it applies to Georgian nationalism is R. G. Suny, *The Making of the Georgian Nation*, (Bloomington, 1988; rev. ed., Bloomington, 1994). This basic theoretical stance is implicit in a wide variety of recent histories of Georgia which skip over millennia of Georgian history and focus almost exclusively on the period after 1783.

26 A. D. Smith, *The Cultural Foundations of Nations: Hierarchy, Covenant, and Republic* (Oxford, 2008); idem, *Ethno-symbolism and Nationalism: A Cultural Approach*, (New York, 2009); A. Gat, *Nations: The Long History and Deep Roots of Political Ethnicity and Nationalism*, (Cambridge, 2012).

these two models that recognizes the ongoing project of identity formation within the constraints of a particular historical context.[27] This approach uses the evidence supplied by ancient texts as well as the rich material culture revealed by archaeology, epigraphy, and numismatics. In my view, it is critical to integrate both sorts of evidence without privileging one over the other. This is especially true when tracing one of the most important markers in cultural identity, religion, which embodies abstract ideologies in very specific material contexts.

In modern western historiography of cultural identity in early Georgia, it seems as though there are two competing models at work. One school of thought, best exemplified by David Braund, wants to firmly connect early Georgia to the Greco-Roman world. This view is mirrored by a considerable body of Georgian scholarship, which situates the nascent polity of Kartli within the Greco-Roman orbit, either as a result of diplomacy and trade in the first centuries AD, or as a result of the kingdom's conversion to Christianity in the fourth century.[28]

The other model, championed by the voluminous scholarship of Stephen Rapp and Nina Garsoïan, instead want to interpret the kingdoms of the south Caucasus primarily with reference to Sasanian Iran.[29] While I very much respect all of these impressive scholarly contributions, this sort of either/or model seems inadequate as it deprives the indigenous peoples of the south Caucasus of any agency or initiative in their own cultural development. In his more recent work, Steve Rapp has adopted a broader approach in which he follows historical and cultural developments across the entire south Caucasus, including Lazica, Kartli, Albania, and Persarmenia.[30] In this way, he revives the approach of Cyril Toumanoff, and yet Rapp goes much further in presenting a more nuanced view based on the most recent textual studies.[31] Additionally, he has become much more attuned to value of archaeological, epigraphic, and numismatic sources as he elucidates his position. Nonetheless, Rapp and Garsoïan understandably emphasize the vivid narratives found in literary souces, whether they be the *Kartlis Tskhovreba* or the histories of Agathangelos or Lazar P'arpec'i. If one views the cultural identity of the Caucasus kingdoms solely through the literary sources, one logical conclusion is that the societies of both Kartli and Armenia were patterned closely after Sasanian Persia. However, the material culture revealed by archaeology tells a very different story. Especially in Kartli, the status-bearing prestige goods sought by the nobility and the forms of both secular and sacred architecture are overwhelmingly western.[32] One of the great benefits of Subaltern Studies and Postcolonial theory

27 Lucid introductions to these issues may be found in J. McInerney, "Ethnicity: An Introduction," in idem, ed., *A Companion to Ethnicity in the Ancient Mediterranean*, (Oxford, 2014), pp. 1-16; J. Siapkas, "Ancient Ethnicity and Modern Identity," in ibid., pp. 66-81. See also C. Antonaccio, "(Re)Defining Ethnicity: Culture, Material Culture, and Identity," in S. Hales and T. Hodos, eds., *Material Culture and Social Identities in the Ancient World,* (Cambridge, 2010), pp. 32-53; F. Curta, "Some Remarks on Ethnicity in Medieval Archaeology." *Early Medieval Europe* 15 (2007): 159-85; E. Gruen, *Rethinking the Other in Antiquity*, (Princeton, 2011); N. MacSweeney, "Beyond Ethnicity: The Overlooked Diversity of Group Identities," *Journal of Mediterranean Archaeology* 22 (2009): 101-26.

28 D. Braund, *Georgia in Antiquity* (Oxford, 1994); T. Dundua, *Georgia with the European Integration as Seen Through Coinage*, (Tbilisi, 1999); idem, *Georgia with the European Integration*, Part 2, *Romans and the Georgians*, (Tbilisi, 2012). M. Chkhartishvili views this fundamental shift in cultural orientation as commensurate with the conversion of the Kartvelian monarchy and nobility in the fourth century: *Georgian Ethnie in the Epoch of Religious Conversion*, Vol. 3 in the series *Georgian Community and Its Identity: Ideas, Symbols, Perceptions*, (Tbilisi, 2009), (in Georgian with English summary).

29 S. H. Rapp, Jr., *Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Contexts*, CSCO 601, Subsidia 113 (Leuven, 2003); idem, "The Iranian Heritage of Georgia: Breathing New Life into the Pre-Bagratid Historiographical Tradition," *Iranica Antiqua* 44 (2009): 645-692; idem, *The Sasanian World through Georgian Eyes: Caucasia and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature*, (Farnham and Burlington, 2014); N. G. Garsoïan, *Armenia between Byzantium and the Sasanians*, (Aldershot, 1985); N. G. Garsoïan and J.-P. Mahé, *Des Parthes auf Califat: Quatre leçons sur la formation de l'identité arménienne*, (Paris, 1997), pp. 39-57. On the particular development of Armenian identity during this period, see also R. W. Thomson, "Armenia in the fifth and sixth century," in Averil Cameron, B. Ward-Perkins and Michael Whitby, eds., *CAH*[2] Vol 14., *Late Antiquity: Empire and Successors, A.D. 425*–600, (Cambridge, 2000), pp. 662-677; T. M. van Lint, "The Formation of the Armenian Identity in the First Millennium," *Church History and Religious Culture* 89.1-3 (2009): 251-278.

30 S. H. Rapp Jr., "Recovering the Pre-National Caucasian Landscape," in R. Büttner and J. Peltz eds., *Mythical Landscapes Then and Now: The Mystification of Landscapes in [the] Search for National Identity*, (Erevan: 2006), pp. 13-52; idem, "Caucasia and the First Byzantine Commonwealth: Christianization in the Context of Regional Coherence," Working paper, National Council for Eurasian and East European Research (Seattle, 2012); To a lesser degree, this was the approach advocated by N. G. Garsoïan, and B. Martin-Hisard, "Unité et diversité de la Caucasie médiévale (IVe-XIe s.)," in *Il Caucaso: Cerniera fra Culture dal Mediterraneo alla Persia, Settimane di Studio del Centro Italiano di Studi sull'alto Medioevo*, vol. 43a (Spoleto, 1996), 275-347.

31 C. Toumanoff, *Studies in Christian Caucasian History* (Washington, 1963); idem, "Armenia and Georgia" in J. M. Hussey, ed., *The Cambridge Medieval History*, 2nd edition, Vol. 4.1 (Cambridge, 1966), pp. 593-637.

32 A conclusion supported by the splendid recent catalogue and accompanying text by G. Gamkrelidze, *Archaeology of the Roman Period of Georgia (Iberia-Colchis): Essay & Catalog*, (Tbilisi, 2014).

derived from the work of Antonio Gramsci and Edward Said is to restore agency and a voice to groups previously deprived of these expressions in forms of historical discourse.[33] Colonial societies are no longer viewed as passively acted upon by imperialist outsiders. Instead, indigenous peoples are now regarded as constantly negotiating and reshaping the discourse of their imperial overlords while they formulate their own distinctive identities.[34]

While the theoretical models of Subaltern Studies and Postcolonialism were created to better articulate cultural dynamics in modern colonial societies, they may also be applied profitably to the study of pre-modern societies, particularly when used in concert with the archaeological remains of material culture. In the case of the South Caucasus, this means not necessarily privileging the viewpoints of outsiders, whether they be Strabo, Ammianus Marcellinus, Procopius, or Agathias. It also acknowledges that indigenous historiographical traditions were not created *ex nihilo*, but were formed in dialogue with longstanding literary traditions (notably in in Greek and Syriac) which were themselves undergoing profound evolution during Late Antiquity.

Perhaps we may approach the theoretical understanding of Late Antique cultures more clearly by taking a cue from recent models of archaeological theory. In the last half century, there has been a profound reaction against the previously dominant model of diffusionism, a model given a sophisticated basis in the pioneering works of V. Gordon Childe (1892–1957). At its most basic form, diffusionism postulates that any significant innovation in material culture, technology, or artistic styles (ranging from burial practices to pottery designs to the shift from bronze to iron) should be explained solely with reference to migration, conquest, or the exchange of goods from a superior culture to that of more backward natives.[35] In this way, archaeologists formerly plotted the diffusion of high culture from a central "Cradle of Civilization" to more primitive peripheries. In the 1980's, this crude model was stood on its head by Martin Bernal and other Afro-Centrists who argued that the glories of Classical Civilization were essentially "stolen" by white Europeans (Greeks) from black Africans (Egyptians). Although these Afro-Centrists made an important contribution in revealing the racist undertones in 18th and 19th century European Classical Studies, they were blind to the fact that their own model rested upon the same diffusionist assumptions.[36]

Diffusionism as a theoretical model has had a long an checkered history in the archaeology of the South Caucasus, especially of the Bronze and early Iron Ages. It has been used to explain everything from the advent of metallurgy and the spread of particular forms of burial to the creation of entire cultures. In conjunction with archaeo-linguistics, it has been employed either to link or to distinguish the ancient inhabitants of Georgia with peoples of the south and southwest (Urartians, Hurrians, Mushki, Phrygians, and Armenians), the north (Scythians, Sarmatians, and Alans), and the west (Colchians and Greeks). Fortunately, archaeology – by its very nature – has within it the means by which once dominant theories are overthrown. The Dmanisi skulls have challenged previous orthodoxies in paleoanthropology concerning humanity's journey "out of Africa." On a more recent historical stage, our understanding of the first centuries of the Iron Age in the South Caucasus is being transformed by the exciting ongoing excavations at Grakliani by Vakhtang Licheli and others from TSU.

In addition, the advent of new archaeological technologies from radiocarbon dating to DNA mapping have discredited many earlier diffusionist models while allowing for a more sophisticated understanding of the migration of people and ideas. Historians and archaeologists are much more cautious about identifying assemblages of material remains as evidence for distinct cultures, particularly the tendency to highlight unexpected intrusions into a traditionally accepted assemblages as borrowings, invasions, or migrations. Nonetheless, diffusionist models persist in many otherwise nuanced cultural studies, especially in those fields where the traumatic experiences of recent history and the desire to reclaim a national identity come into play. For my part, I try not to discount the influence of large, aggressive, imperial powers in Late Antiquity upon those kingdoms and peoples caught between these dangerous "clashing rocks." Perhaps a useful comparative model may come from the opposite

33 I found Gramsci's views on cultural hegemony to be a particularly helpful theoretical model in my earlier work on urban society in Alexandria: A. Gramsci, *Selections from the Prison Notebooks*, ed. and trans. by Q. Hoare and G. N. Smith, (London, 1971); T. J. Jackson Lears, "The Concept of Cultural Hegemony: Problems and Possibilities," *American Historical Review* 90.3 (1985): 567-593; C. Haas, *Alexandria in Late Antiquity: Topography and Social Conflict*, (Baltimore, 1997; paperback ed., 2006).

34 On Said and his influence, see E. Said, *Orientalism* (London, 1978); R. Irwin, *For Lust of Knowing: The Orientalists and Their Enemies*, (London, 2007); A. Adib-Moghaddam, *The Metahistory of the Clash of Civilisations: Us and Them Beyond Orientalism*, (London, 2010).

35 A. A. Storey and T. L. Jones "Diffusionism in Archaeological Theory: The Good, The Bad, and The Ugly," in T. L. Jones, A. A. Storey, E. Matisoo-Smith, and J. M. Ramirez-Alaiga, eds., *Polynesians in America*, (Lanham, CA, 2011), pp. 7-24.

36 M. Bernal, *Black Athena: The Afro-Asiatic Roots of Classical Civilization*, vol. 1, *The Fabrication of Ancient Greece, 1785-1985*, (London, 1987); J. Berlinerblau, *Heresy in the University: The Black Athena Controversy and the Responsibilities of American Intellectuals*, (New Brunswick, 1999).

end of Eurasia in roughly the same period, which saw a rich interaction between the empire of Tang China and the nascent cultures of Korea and Japan. In addition, I consider it entirely plausible that the smaller kingdoms in the west borrowed and adapted from one another, whether it be the development of monotheism or massive irrigation works in the Red Sea kingdoms of Aksum and Himyar, or common styles of ecclesiastical architecture and forms of literature in Lazica, Iberia, and Armenia. Still, we should be cautious in ascribing dependence or influence. To take one example, even when king Mirian and his successors on the throne of Iberia/Kartli embraced Christianity, I do not interpret this *necessarily* as a rejection of Sasanian cultural and political influence. Nor do I see the conversion of the Iberian monarchy as a crude example of the diffusion of one aspect of East Roman culture. To me, part of the fascination in this period of Georgian history is the attempt by kings, clergy, and holy men to chart an independent course between the two great imperial powers while maintaining (and developing) an indigenous cultural identity.

The construction of cultural identity within the Roman Empire has been a key question among scholars over the past two decades. Likewise, a dominant strand in late antique historiography is the question of "ethno-genesis." Historians have been keenly interested in charting the development of tribal groups during the so-called Migration Age in western Europe. As these largely Germanic tribal groups interacted with the Roman Empire and eventually established independent polities on former Roman territories, many of them underwent "ethno-genesis," an open-ended process of identity formation, in which cultural memories (or "traditions") are singled out, and are then transformed, recreated and employed according to the particular circumstances of settlement. On the basis of literary and archaeological evidence, ethnicity as a principle of political integration and legitimation only came to the fore as a distinguishing marker once these disparate groups settled within the Western Empire in the fifth and sixth centuries.[37] Moreover, it appears that ethnic identity became more pronounced in periods of conflict with Rome, Byzantium, or with other Germanic kingdoms. In all of these recent debates concerning warfare, culture, and state building in post-Roman Europe, one element that has been deliberately downplayed is "proto-nationalism," especially since scholars of this period have abandoned the previously dominant notion of "Völkerwanderung," the migration of distinct peoples who changed very little in their composition or outlook during these tumultuous centuries. Admittedly, all this has little to offer to those working in the Near East or in the Caucasus, but some of these models of ethnic formation might produce fruitful results in an eastern context. I think this is especially true in the case of western tribal groups who did not migrate, but instead simply expanded – like the Franks, for instance.[38]

The question of ethno-genesis is much less pronounced in scholarly studies of non-Roman peoples in the east, though the central conflict zone between Rome and Persia, consisting of Syriac and Arabic speaking peoples, remains an exception. The client states of northern Iraq and eastern Syria, as well as the tribal confederations occupying key buffer regions extending from the Gulf of Aqaba to Kurdistan continue to engage scholars, in part due to more plentiful source material, as well as to a natural teleological interest in a region that would soon witness the rise of Islam.[39] In most cases, the political independence of these former client kingdoms and "caravan cities" had long since been decided. The majority had been absorbed into the provincial structures of either Rome or Persia. However, the states in the more peripheral regions of the South Caucasus and the southern reaches of the Red Sea maximized their advantages of remoteness and difficulty of access, despite the intentions of the two great empires to engage them in proxy wars against each other. For these reasons, my attention has been drawn to the ethno-genesis of the South Caucasus kingdoms of Colchis/Lazica, Iberia/Kartli, and Armenia, as well as the Red Sea kingdoms of Himyar in modern Yemen and Aksum in modern Ethiopia and Eritrea.

I recognize that to invoke a concept like ethno-genesis with reference to the ancient states of the South

37 F. Curta, "Frontier ethnogenesis in late antiquity. The Danube, the Tervingi, and the Slavs," in idem, ed., *Borders, barriers, and ethnogenesis. Frontiers in late antiquity and the middle ages*, (Turnhout, 2005), pp. 173-204.

38 Most commentators date the beginning of this discussion to R. Wenskus, *Stammesbildung und Verfassung. Das Werden der frühmittelalterlichen Gentes*, 2nd ed., (Köln, 1977). For a sampling of the vast literature on this contentious question, see A. Gillett, ed., *On Barbarian Identity: Critical Approaches to Ethnicity in the Early Middle Ages, Studies in the Early Middle Ages*, 4 (Turnhout, 2002); W. Pohl, "Rome and the Barbarians in the 5th Century," *L'Antiquité Tardive* 16, (2008): 93-101; W. Pohl, and G. Heydemann,, eds., *Strategies of Identification. Ethnicity and Religion in Early Medieval Europe*, (Turnhout, 2012); M. Kulikowski, "The Western Kingdoms," in S. F. Johnson, ed., *The Oxford Handbook of Late Antiquity*, (Oxford, 2012), pp. 31-59.

39 J. F. Haldon and H. Kennedy, "Regional Identities and Military Power: Byzantium and Islam c. 600-750," in G. King, and L. A. Conrad, eds., *Communal Identities in the Late Antique and Early Islamic Near East*, (Princeton 2000); K. G. Holum and H. Lapin, eds., *Shaping the Middle East: Jews, Christians, and Muslims in an Age of Transition 400-800 C.E.*, (Bethesda, MD, 2011); G. Fisher, *Between Empires. Arabs, Romans, and Sasanians in Late Antiquity*, (Oxford, 2011).

Caucasus is akin to the theological debates surrounding the term *homoousios* ("of the same substance") after the Council of Nicaea in 325. Many church leaders objected to the creed's use of *homoousios* on the quite sensible grounds that it had been tainted by association with the heretical theology of the Gnostics and of Sabellius over half a century earlier. So too, the concept of ethno-genesis may be suspect due to its deleterious application by adherents of various schools of Soviet ethnology, and its use in either affirming or denying ethnic self-determination. Respected academicians often found themselves having to adapt to dangerous shifts in the ideology of ethno-genesis, especially during the 1930's and 1940's under a capricious autocrat who fancied himself a specialist on ethnicity. The tragedy of massive deportations was often justified on dubious ethnological grounds, and the aftershocks of seismic upheavals regarding the concepts of nation and ethnicity are still being felt today.

My own perspective on ethno-genesis within the contested peripheral zones of Late Antiquity is shaped by two principal models of interpretation. First, the various polities occupying these zones faced remarkably similar challenges and responded to them in very similar ways. These common features are put in high relief by an explicitly comparative methodology which illumines their similarities, but which also reveals certain key distinctions between them.[40] In the past decade, comparativist studies have been enjoying a renaissance in ancient history. However, the current trend is to focus either on state formation and large imperial systems or to analyze in a comparative fashion science and philosophy among major civilizations.[41] A notable exception is Chris Wickham's widely influential *Framing the Early Middle Ages* (Oxford, 2005), which compares the fortunes of ten discrete regions both within Rome's imperial borders and beyond (Ireland and Denmark) during those centuries which witnessed the decline of Roman power in the West.[42] This offers a model for analyzing the smaller kingdoms poised between the great powers of Late Antiquity. My current project employs a comparative methodology in order to gain a clearer awareness of historical causality, the conditions that created parallel developments in the various kingdoms, various categories of ethnic self-identity, and a heightened sensitivity to local/regional particularities.[43] As part of this deliberatively comparativist understanding, I also intend to foreground the geographical similarities of the peripheral kingdoms. All of these smaller kingdoms were relatively protected by natural geographical barriers, yet they were also either astride or close to important international trade routes, and they provided the larger imperial powers with strategic advantages in their larger military struggles.

In recent years, comparativist analysis has been gaining more adherents among late antique scholars. Conferences on both sides of the Atlantic have focused on religion, state building, and cultural identity, including a critically important 2009 symposium at Princeton entitled *Nation, Group and Religion in Late Antiquity and the Early Middle Ages*. One of the largest of these conferences was held in Vienna at the Österreichische Akademie der Wissenschaften in June of 2009. The proceedings have been published as W. Pohl et al, eds., *Visions of Community in the Post-Roman World: The West, Byzantium and the Islamic World, 300-1100* (Aldershot: Ashgate, 2012). Although the papers ranged from Tibet to Ireland, many of them dealt with the Germanic kingdoms of western Europe and the emerging polities of the Islamic world. Likewise, many of the papers referenced Chris Wickham's massive comparative study of the immediate post-Roman world. Unlike Wickham's *Framing the Early Middle Ages*, I am far less interested in socio-economic factors and the exercise of state power than I am in the emergence of distinct and enduring cultural identities. And yet, I find that a similar comparative framework yields potentially rich insights

40 On the application of a comparative methodology and its utility in constructing historical models, see C. Lorenz, "Comparative Historiography: Problems and Perspectives," *History and Theory*, 38.1. (Feb., 1999): 25-39. J. Mahoney and D. Rueschemeyer, *Comparative Historical Analysis in the Social Sciences*, (Cambridge, 2003); D. Cohen and M. O'Connor, eds., *Comparison and History: Europe in Cross-National Perspective*, (New York, 2004). For comparative theory in ancient studies, see P. F. Bang, M. Ikeguchi, and H. G. Ziche, eds., *Ancient Economies, Modern Methodologies: Archaeology, Comparative History, Models and Institutions*, Vol. 12 of *Pragmateiai* (Bari, 2006).

41 Significant examples of this trend are M. H. Dettenhofer, "Das römische Imperium und das China der Han-Zeit: Ansätze zu einer historischen Komparatistik," *Latomus* 65 (2006): 880-897; F. Hurlet, *Les Empires: Antiquité et Moyen ȝge: Analyse compare*, (Rennes, 2008); P. F. Bang and D. Kolodziejczyk, eds., *Universal empire. A comparative approach to imperial culture and representation in Eurasian history*, (Cambridge, 2012); W. Scheidel, ed., *State Power in Ancient China and Rome*, (Oxford, 2015); G. E. R. Lloyd, *Principles and Practices in Ancient Greek and Chinese Science*, (Aldershot, 2006); R. King and D. Schilling, eds., *How Should One Live? Comparing Ethics in Ancient China and Greco-Roman Antiquity*, (Berlin, 2011).

42 C. Wickham, *Framing the Early Middle Ages: Europe and the Mediterranean, 400–800*, (Oxford and New York, 2005). For a more explicitly theoretical discussion, see C. Wickham; "Problems in doing comparative history," *Challenging the Boundaries of Medieval History*, (Turnhout, 2009), pp. 5-29. Note also the important review essay of B. D. Shaw, "After Rome: Transformations of the Early Mediterranean World," *New Left Review* 51 (2008): 89-114.

43 To be published with the provisional title, *Between the Clashing Rocks: Small Kingdoms, Great Powers, and Cultural Identity in Late Antiquity* (Baltimore: The Johns Hopkins University Press).

in the study of late antique and early Medieval Kartvelian identity. A handful of examples may suffice which adumbrate my fuller exposition in the near future.

Christianization is a notoriously difficult process to trace, especially because many of the sources used by scholars date from eras sometimes centuries removed from the actual events.[44] Moreover, the narrative of conversion often is closely linked to the formation of ethnic or national identity, and care must be taken not to follow blindly much later sources that deliberately archaize in order to promote a particular agenda. However, a close comparative analysis reveals a clear model of Christianization in the kingdoms of Aksum and Kartli/Iberia, two kingdoms separated by nearly two thousand miles and by a volatile Roman/Persian frontier. Ezana I of Aksum and Mirian III of Iberia/Kartli both embraced Christianity in the early fourth century. It should be noted that neither Mirian nor Ezana converted to Christianity as the result of Roman diplomatic initiatives. Indeed, in each case, the Roman emperor responded late to the changed religious preferences of the local monarchs. Moreover, their espousal of Christianity should not be considered as equivalent to the conversion of the two kingdoms. Instead, the royal conversion stood as but one phase, though an admittedly crucial one, in a remarkably similar process of Christianization in Aksum and in Kartli. In both cases, this was a multi-phased process that took centuries to complete.

Christianization in Kartli and Aksum went through very similar stages between the third and sixth centuries – indeed, so similar that we may speak of a model of Christianization.[45] It begins with a substratum of preexistent monotheistic ideas, nurtured by a long established Jewish community. It is followed by early contact with Christianity through trade and the presence of Christian merchants, craftsmen, and diplomats. In the case of Kartli, this may be traced in an upsurge of Christian grave-goods and prestige material remains. In both kingdoms, the actual conversion of the royal house was carried out through the efforts of foreign-born Christians: Aedesius and Frumentius in Aksum, and St. Nino in Kartli. This is followed by the establishment of an ecclesiastical hierarchy, in each case invited into the kingdom at the behest of the monarch. Soon, the newly-converted king constructs a magnificent church in the capital to express his devotion, to house a particularly numinous relic, and to promote the centralization of his kingdom (Svetiskhoveli). However, in order to spread Christianity beyond the capital and the immediate royal circle, both kingdoms required the evangelization work of foreign-born monks who also planted monasticism in the countryside (Thirteen Syrian Fathers). Ultimately, it took the vigorous promotion of Christianity by a strong monarch, who later achieves near-legendary status, to ensure the fusion of Christianity with the kingdom's cultural identity: Kaleb I in Aksum and Vakhtang Gorgasali in Kartli.

Another area where a comparative analysis reveals nascent features in cultural identity is in the nature of sacredness, and the means by which the inhabitants of a late antique kingdom ensure ongoing contact with numinous power. Throughout the late antique east, cities and states had to re-orient their origin stories to better accord with their new Christian identity. Between the fourth and sixth centuries, the regions subject to the east Roman emperor in Constantinople went through a profound shift in the ways they negotiated their cultural identity by referencing their foundation myths and their evolving collective memories. As the tides of wealth, power, and resources flowed toward Constantine's city, so also potent talismans of the classical past as well as relics associated with earliest Christianity were eagerly gathered together by pious emperors. In a Christianized empire, the ideological dominance of Constantinople was reinforced by the presence of these relics until, by the time of Justinian, Constantinople had become a veritable Charybdis of sacredness. To counter this encroachment on the identities of cities and kingdoms, it was necessary to tap into the holiness of another source of sacredness, Jerusalem. This meant that, if at all possible, a city should establish a firm material connection with the circle of the Apostles in Jerusalem, or even better, with Christ or the Virgin Mary. Only large and powerful cities like Antioch or Alexandria could afford to rely upon their own traditions of legitimation based on ancient ties with the Apostles or through their own saints. Smaller cities, like Emesa in northern Syria or the frontier city of Edessa, sought

44 C. Haas, "Mountain Constantines: The Christianization of Aksum and Iberia," *Journal of Late Antiquity* 1.1 (2008): 101-126, for the literature prior to 2008. For a sampling of the voluminous literature on late antique Christianization since 2008, see R. Lim, "Christianization, Secularization, and the Transformation of Public Life," in P. Rousseau, *A Companion to Late Antiquity*, (Oxford, 2009), pp. 497-511; H. Inglebert, S. Destephen, and B. Dumézil, eds., *Le problème de la christianisation du monde antique*, (Paris, 2010); J. Maxwell, "Paganism and Christianization," in S. F. Johnson, ed., *The Oxford Handbook of Late Antiquity*, (Oxford, 2012), pp. 849-875; P.-L. Gatier, "La christianisation de l'Antiochène dans l'Antiquité tardive," in J. Keiser, R. Bailey, et al., eds., *The Levant, Crossroads of Late Antiquity : History, Religion and Archaeology = Le Levant, Carrefour De L'Antiquité Tardive: Histoire, Religion et Archäologie*, (Leiden, 2014), pp. 145-164; A. Busine, ed., *Religious Practices and the Christianization of the Late Antique City*, (Leiden, 2015); A. Papaconstantinou, N. McLynn, and D. Schwartz, eds., *Conversion in Late Antiquity: Christianity, Islam, and Beyond*, (Farnham, 2015).

45 As argued in C. Haas, "Mountain Constantines."

to maintain their unique identities through a renewed emphasis on their connection with Jerusalem. However, this quest for a Jerusalem-centered legitimation was most successful in the peripheral kingdoms of Aksum and Iberia, each of which developed remarkably close associations with Jerusalem through pilgrimage, monasticism, liturgical styles, and the possession of "super-relics" like the Ark of the Covenant and the Robe of Christ. In both kingdoms, the capitals themselves were rechristened as types or models of the earthly Jerusalem, creating a type of spirituality which later legitimized monarchies and provided a sense of "election" during the modern process of nation-building.[46]

In the midst of any discussion of formative cultural identity, it is necessary to confront the widely-accepted notion that these identities in Late Antiquity were constantly in flux. This dominant Post-Modern perspective emphasizes the fluid nature of cultural choices, as well as the way cultural markers could be adopted, blended together, or rejected based upon particular circumstances.[47] A close comparative analysis of two peripheral kingdoms calls into question this paradigm. Over the course of the fifth and early sixth centuries, the states of the South Caucasus and the Red Sea came under increasing pressure from both Rome and Persia. In addition to military considerations, the larger empires became less tolerant of cultural differences within the states of their "near abroad." Religion became one of the principal points in dispute, and included not only the choice between Christianity and Zoroastrianism, but in some cases also a particular sub-group within each religion, especially after the Council of Chalcedon in 451. As a response to these pressures, the Kartvelian king Vakhtang Gorgasali threw off his longstanding alliance with the Persian *shahan'shah*, and aligned himself with Rome. Some forty years later, a previously deposed Himyarite king named Yusuf As'ar Yathar staged a coup d'état against a client regime installed by an invading army from Aksum. In both cases, their policy shift seems to make no sense, since it set them on an unavoidably confrontational path with a major empire that could only result in military and political disaster. However, a comparative study of these two kings reveals that their seemingly ill-advised political decisions resulted from their adherence to key features of the emerging cultural identities within their respective states. In other words, the religious choices made by their predecessors determined their own geopolitical policies.[48]

A comparativist approach is but one way of consciously theorizing the evolution of cultural identity in Late Antiquity. By comparing the development of Kartli with that of similar contemporary polities, it might be possible to arrive at a better understanding of the evolving relationship between Christianization and identity formation in the peripheral kingdoms between Rome and Persia. In spite of the varying political and military fortunes of these kingdoms, the late antique period provided a crucial space and the means to articulate their newly forged cultural identities. These identities would be tested during the decades-long war between Rome and Persia that engulfed the entire Near East in the late sixth and early seventh centuries. The rapid spread of Islam and the rise of the Umayyad Caliphate would likewise test the self-understanding of these peripheral states. However, their sense of cultural autonomy survived intact and continues to exert a profound influence on the contours of geopolitical dynamics today.

46 M. Chkhartishvili, "Мцхета как Новый Иерусалим / Mtskheta as New Jerusalem," in A. Lidov, ed., *New Jerusalems. Hierotopy and Iconography of Sacred Spaces*, (Moscow, 2009), pp. 131-150.

47 Examples of this new orthodoxy are É. Rebillard, *Christians and their many identities in late antiquity, North Africa, 200-450 CE*, (Ithaca, NY 2012); D. Demetriou, *Negotiating Identity in the Ancient* Mediterranean, (Cambridge, 2012); S. R. Martin, "Ethnicity and Representation," in J. McInerney, ed., *A Companion to Ethnicity in the Ancient Mediterranean*, (Oxford, 2014), pp. 356-375.

48 An early version of this comparative study may be found in C. Haas, "Geopolitics and Georgian Identity in Late Antiquity: the Dangerous World of Vakhtang Gorgasali," in T. Nutsubidze, C. Horn, and B. Lourié, eds., *Philalethes: Patristic, Philosophical, and Georgian Studies in Honor of Shalva Nutsubidze's 125th Anniversary* (Leiden, 2014), pp. 29-44.

ქართველური იდენტობის ჩამოყალიბება გვიან ანტიკურ ეპოქაში: ზოგი მეთოდოლოგიური მოსაზრება

ქრისტოფერ ჰაასი

ნაშრომში კომპარატივისტულ ჭრილში განხილულია ქართული იდენტობის განვითარების პერიპეტიები გვიან ანტიკურ პერიოდში. ავტორის აზრით, სწორედ კომპარატივისტული მიდგომა შეიძლება იყოს ერთ-ერთი გზა ამ ეპოქაში არსებული იდენტობების თეორეტიზებისათვის.

ქართლის შედარებამ ანალოგიური განვითარების მქონე თანადროულ სახელმწიფოებთან შეიძლება მიგვიყვანოს რომსა და სპარსეთს შორის არსებულ პერიფერიულ სამეფოებში ქრისტიანიზაციისა და იდენტობის ფორმირების შორის კავშირის უფრო ღრმა გაგებამდე. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამეფოებს ჰქონდათ განსხვავებული სამხედრო და პოლიტიკური ბედი, გვიანმა ანტიკურობამ მათ მისცა საჭირო სივრცე და საშუალებები მკაფიოდ გამოეხატათ თავიანთი ახლად გამოჭედილი კულტურული იდენტობა. ეს იდენტობანი უნდა გამოწრთობილიყვნენ რომსა და სპარსეთს შორის მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარე ომით, რომელმაც მოიცვა მთელი ახლო აღმოსავლეთი მეექვსე საუკუნის ბოლოსა და მეშვიდე საუკუნის დასაწყისში. ისლამის სწრაფი გავრცელება და ომიადების სახალიფოს ზრდა ასევე უნდა ყოფილიყო გამოცდა ამ პერიფერიული სახელმწიფოების თვითცნობიერებისათვის. მიუხედავად ამისა, კულტურული ავტონომიის განცდა დარჩა უცვლელი და დღესაც კვლავ ახდენს გავლენას გეოპოლიტიკური დინამიკის კონტურებზე.

თვალსაზრისი

STANDPOINT

სამეცნიერო კვლევების კონცეფცია

მარიამ ჩხარტიშვილი

2012 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. სხვა საბუთებთან ერთად კონკურსანტებს უნდა წარედგინათ სამეცნიეროო კვლევების კონცეფცია. მე ამ კონკურსში ვმონაწილეობდი და ცხადია, ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი მეც წარვადგინე. კონკურსში გამარჯვება მოვიპოვე. ერთ-ერთი, რის გამოც საკონკურსო კომისიამ ჩემს კანდიდატურას მხარი დაუჭირა, უსათუოდ კვლევების კონცეფციაც იყო. აქ დაფიქსირებული თვალსაზრისი, ცხადია, მარტო კონკურსის მოთხოვნის გამო არ გამჩენია. მის გაზიარებას კოლეგებისათვის ისედაც კარგა ხანია ვაპირებდი და კონკუსრმა ამის საშუალება მომცა. ახლახან ამ კონცეფციას თვალი გადავავლე და აღმოვაჩინე, რომ ის კვლავ აქტუალურია ჩემთვის, რადგან ის თვალსაზრისი, რომელიც მაშინ კოლეგების ვიწრო წრეს წარვუდგინე განსასჯელად, ვფიქრობ, საჭიროა, რომ უფრო ფართო საზოგადოებას, ყოველ შემთხვევაში, ამ სპეციალისტ მკითხველ მკითხველს გავუზიარო. ტექსტს თითქმის უცვლელად ვბეჭდავ ანუ ის 2012 წლით თარიღდება.

* * *

თავიდანვე მინდა განვმარტო, რომ მსჯელობა, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ, მიზნად არ ისახავს საზოგადოდ საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპის ანალიზს, არამედ წარმოადგენს კონკრეტულად საქართველოს ისტორიის დარგში არსებული მდგომარეობის ხედვას, თუმც, ცხადია, საქართველოს ისტორიის პრობლემატიკა თავსდება ისტორიული დისციპლინის განვითარების საერთო კონტექსტში და, აქედან გამომდინარე, მისი განხილვა სავსებით მოწყვეტილი ვერ იქნება იმ მოვლენებსა და ფაქტებს, რომელთაც ადგილი აქვთ დღეს ისტორიკოსთა თანამეგობრობის ცხოვრებაში მსოფლიოს მასშტაბით.

ჩემს მსჯელობას წარვმართავ შემდეგი გეგმით. თავიდან განვმარტავ, თუ როგორ მესმის ისტორიული დისციპლინის საზოგადოებრივი ფუნქცია და ისტორიული რეპრეზენტაციის რომელი პარადიგმის ჩარჩოებში მიმაჩნია კვლევა ისტორიის დარგში მიზანშეწონილად (რადგან სამეცნიერო კვლევების კონცეფცია, ცხადია, გამომდინარეობს იქიდან, თუ როგორ ხედავს ისტორიკოსი აღნიშნულ ფაქტორებს). ამის შემდგომ მოვახდენ ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მდგარი უმთავრესი პრობლემების იდენტიფიკაციას და შეეეცდები დავსახო მათი გადაჭრის გზები. ბოლოს კი ვიტყვი იმის შესახებ, თუ თავად მე რას ვაკეთებ იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც, ჩემი აზრით, ქართული ისტორიოგრაფიის აქტუალური პრობლემების რიცხვს განეკუთვნება.

I. ისტორიული რეპრეზენტაციის პარადიგმის საკითხი

როგორც სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებებისათვის, ასევე ისტორიის დისციპლინისათვის, განმსაზღვრელი არის სინამდვილის შემეცნება, საზოგადოებრივი კანონზომიერებების დადგენა. მაგრამ ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორია არ არის მარტოოდენ მეცნიერება, იგი წარმოადგენს კოლექტიური კულტურული იდენტობის საფუძველზე აღმოცენებული ერთობების (ეთნოსების, ნაციების) მარკერსაც.

თანამედროვე თეორიულ ლიტერატურაში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ კოლექტიური კულტურული იდენტობის მქონე ერთობების დროში განგრძობადობას და გარეშე ცვლილებებისადმი მედეგობას დიდად განაპირობებს სუბიექტური ფაქტორები, რომელთა შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორედ ისტორიას ანუ კოლექტიურ მახსოვრობას. ისტორიოგრაფია არის კოლექტიური მახსოვრობის უმთავრესი გამოვლინება. იდენტობის განვითარების ყოველ საფეხურს შეესაბამება ისტორიოგრაფიის განვითარების გარკვეული დონე. ერად არსებობა შეუძლებელია ეროვნული ისტორიოგრაფიის გარეშე, რადგან სწორედ ისტორიით ახდენენ ერები საკუთარი თვითმყოფადობის გამოკვეთას და შენარჩუნებას.

იმის მიხედვით, თუ როგორ ხედავს ისტორიკოსი თავის თავს (როგორც გარეშე დამკვირვებელი, წარსული სინამდვილის ყოველგვარი ემოციის გარეშე შემმეცნებელი, თუ ამა თუ იმ კოლექტიური კულტურული იდენტობის მქონე ჩვენ-ჯგუფის წევრი, რომლის ერთადერთი მიზანიც წარსულის რეპრეზენტაციისას კოლექტიური თვითიდენტიფიკაციის პრობლემების მოგვარებაა), ცხადია, სხვადასხვა იქნება მისი სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

ეს კონცეფცია დიდად არის დამოკიდებული იმაზეც, ისტორიული ნაშრომის დაწერისას ისტორიკოსი მისდევს ე.წ. ტრადიციულ ანუ ემპირიცისტულ პარადიგმას, რომელსაც რანკესეულიც შეიძლება ეწოდოს ცნობილი გერმანელი ისტორიკოსის ლეოპოლდ ფონ რანკეს მიხედვით, თუ მისთვის ამოსავალია „ახალი ისტორიის" მიდგომა, რომლის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ანალების სკოლას.

როგორც ცნობილია, ტრადიციული პარადიგმა, რომელსაც ზოგი მეცნიერი „საღი აზრის ლოგიკის" პარადიგმასაც უწოდებს, ძიებათა ცენტრში აქცევს ფაქტების თხრობას. ანუ ეს არის აღწერილობით ხასიათის ისტორიული რეპრეზენტაცია ანუ ნარატივის ისტორიოგრაფია, მაშინ, როცა „ახალი ისტორიის" პარადიგმა ორიენტირებულია სტრუქტურების შემეცნებაზე და არის არა დესკრიფციული, არამედ დისკურსის ანალიტიკური ფორმა.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ირკვევა, ისტორიული რეპრეზენტაციის ამ ორი ფორმის თანაარსებობა და ურთიერთდაპირისპირებულობა ისტორიოგრაფიული პრაქტიკის მუდმივი მახასიათებელია, მაინც ითვლება, რომ უფრო ადრინდელია მოვლენების აღწერაზე ორიენტირებული რანკესეული მოდელი, ხოლო „ახალი ისტორია" ამ მიდგომის ბოლოდროინდელ გამოწვევას წარმოადგენს.

კვლევის ობიექტის არჩევისას აღნიშნულ ორ მიდგომას ახასიათებს სხვადასხვაგვარი პრეფერენციები. სხვადასხვაგვარია მათი დამოკიდებულება წყაროთა ბაზის სტრუქტურის განსაზღვრის საკითხშიც.

რანკესეული მიდგომისათვის, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია ინტერესი პოლიტიკური ისტორიისადმი და გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება დოკუმენტური წყაროებისათვის, რომლებიც ოფიციოზის შეხედულებას ასახავს. „ახალი ისტორიისათვის" ისტორიული რეკონსტრუქციის მიზანს წარმოადგენს ე.წ. ტოტალური ისტორია ანუ ისტორია მთლიანად და არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე ერთი, ცალკე აღებული, ასპექტი და ამისთვის იყენებს ძალზე მრავალფეროვან წყაროთა ბაზას.

ფუნქციონალისტური ანუ სტრუქტურების შემეცნებაზე ორიენტირებული მიდგომისათვის დამახასიათებელია „ქვემოდან ზემოთ" ისტორიოგრაფიული პროექტების განხორციელება ანუ ასახვა არა ლიდერთა ცხოვრებისა, არამედ ჩვეულებრივი ადამიანების და მენტალობების ანუ იმისა, რაც მასობრივ ცნობიერებას უკავშირდება.

ანალების სკოლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ფ. ბროდელი, როგორც ცნობილია, დროის რამდენიმე ფენას განასხვავებდა და ამის მიხედვით ახდენდა ისტორიული ხდომილებების კლასიფიკაციას. პირველი ფენა ესაა ე.წ. ხანგრძლივი დრო ანუ გეოპოლიტიკური ცვლილებების დრო. მეორე ფენა არის საშუალო დრო ანუ სოციალური და ეკონომიკური პროცესების განვითარების დრო. და მესამე ფენა არის მოკლე დრო, რომელიც დაახლოებით ერთი თაობის ცხოვრების ხანგრძლივობით განისაზღვრება. სწორედ ამ დროში ვითარდება პოლიტიკური მოვლენები: პოლიტიკური ისტორია არის „ისტორიის ოკეანის ტალღების ქაფი", ნამდვილი მოვლენები სიღრმეში იმალება, პოლიტიკა კი ზედაპირული მოვლენაა. ბროდელის და სხვა სტრუქტურალისტ-ფუნქციონალისტი ისტორიკოსების აზრით, მნიშვნელოვანია სიღრმისეული ფაქტების შემეცნება.

ისტორიული რეპრეზენტაციის ტრადიციული პარადიგმის და მასთან დაკავშირებული ე.წ. „მეცნიერული" ისტორიოგრაფიის განვითარება, როგორც ცნობილია, დაემთხვა, ერთის მხრივ, ისტორიის პროფესიონალიზაციის პერიოდს და, მეორეს მხრივ, ნაციონ-სახელმწიფოთა ჩამოყალიბების ხანას. ამიტომ ის გულისხმობდა კვლევის სპეციფიკურად ისტორიული მეთოდების სრულყოფას, აგრეთვე – ისტორიის სახელმწიფოს სამსახურში ჩაყენებას. ყოველივე ამის თავისებურ გამოწვევას წარმოადგენდა „ახალი ისტორია". ის, თავისი არსით, იყო ინტერდისციპლინური და ფოკუსში აქცევდა კომპარატივისტულ კვლევებს, რადგან სტრუქტურების შემეცნება, განსხვავებით ფაქტების თხრობისაგან, რომელიც დიაქრონულ ჭრილს გულისხმობს, აუცილებელია მოხდეს სინქრონულ ჭრილში.

„ახალი ისტორია" წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს იმპულსს ისტორიული პრაქტიკის ინტერნაციონალიზაციისათვისაც.

მკვლევარი, რომელიც შეეცდება ემოციური მომენტის გამორიცხვით, მხოლოდ აკადემიური მიზნით შეიმეცნოს წარსული, ფუნქციონალისტურ-სტრუქტურალისტურ რეპრეზენტაციაზე იქნება ორიენტირებული. ჰეროიკული ეთნოისტორიის შექმნა კი, ცხადია, უფრო მოსახერხებელია ისტორიული რეპრეზენტაციის ტრადიციული ანუ ემპირიცისტული პარადიგმის ფარგლებში.

ისტორიულად ასე მოხდა (მხედველობაში მაქვს ვითარება დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში): ჯერ „ახალი ისტორიის" მიერ სრულიად დაიჩრდილა ტრადიციული ისტორიოგრაფია, მაგრამ უკვე გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყეს საუბარი სტრუქტურული ანუ ფუნქციონალისტური ისტოროგრაფიის მარცხზე და ნარატიული ისტორიოგრაფიის აღორძინებაზე. თუმც იმასაც მიუთითებენ, რომ ახლა ნარატივი ის აღარაა, რაც იყო მეცხრამეტე საუკუნეში.

აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: მართალია, ფუნქციონალისტურ ისტორიოგრაფიას მეტად ამსგავსებენ საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებს და, აქედან გამომდინარე, ახასიათებენ მას, როგორც მეტი სიზუსტის მქონე ისტორიოგრაფიულ პარადიგმას, ფართო საზოგადოება გულგრილია

სტრუქტურების ისტორიისადმი, რამდენადაც სტრუქტურების ისტორია ჩრდილში აქცევს პიროვნებებს, ინდივიდუალობას, უნიკალობას, რადგან იგი ორიენტირებულია არა ცალკეულზე, კონკრეტულზე და სპეციფიკურზე, არამედ – უნივერსალურზე და საზოგადოზე.

ფართო საზოგადოებას ისტორია აინტერესებს სწორედ, როგორც სხვათა გამოცდილების თავისებური საცავი. ისტორია, როგორც ითქვა, არის არა მარტო სამეცნიერო დისციპლინა, რომლის მეშვეობით სინამდვილის (ამ შემთხვევაში წარსული სინამდვილის) შემეცნება ხდება, არამედ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იდენტობრივი მარკერიც. კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე აღმოცენებული ერთობებისათვის კი ისტორიული მახსოვრობა გადამწყვეტია, იმდენად გადამწყვეტი, რომ ეთნოსებსა და ნაციებს, რომლებიც სწორედ იდენტობის აღნიშნული ტიპის მქონე ერთობებია, ზოგი მკვლევარი მნემონიკურ ანუ მახსოვრობით კოლექტივებსაც კი უწოდებს. მაგრამ იდენტობრივი მარკერის ფუნქცია შეუძლია შეასრულოს მხოლოდ ჰეროიკულმა ისტორიოგრაფიამ, გმირების, წმინდანების ღვაწლის ამსახველმა ნარატივებმა და არა ინდივიდალურობისაგან დაცლილმა იმპერსონალურმა ისტორიულმა რეპრეზენტაციამ.

სტრუქტურების ისტორია, მართალია, ერთის მხრივ, წარმოაჩენს წარსული სინამდვილის ახალ განზომილებას, მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს ახალი განზომილება სრულიად მოკლებულია ემოციას. ისტორიული რეპრეზენტაციისათვის კი, როგორც ინდივიდუალობა, ასევე ემოცია ძალზე არსებითია. ისტორიისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო ადამიანი, როგორც ასეთი, როგორც სახეობა, არა მარტო, როგორც სოციალური კლასი ან კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობა, არამედ – როგორც კონკრეტული პიროვნება, კონკრეტული ინდივიდუალობა.

აქედან გამომდინარე, მე ვიზიარებ იმ სპეციალისტთა თვალსაზრისს, რომელთა მიხედვით, არ შეიძლება ისტორიული რეპრეზენტაციის ეს ორი პარადიგმა განხილულ იქნეს ისტორიოგრაფიული პრაქტიკის ალტერნატიულ მოდელებად. ისტორიული რეკონსტრუქციისას ორივენი თანაბრად უნდა იქნენ გამოყენებული, რადგან ისინი ურთიერთს ავსებენ.

მე (და ცხადია, არა მარტო მე) ისტორიული აზრის განვითარებაში უდიდეს მიღწევად მიმაჩნია ფ. ბროდელის მიერ მრავალფენიანი ისტორიული დროის კონცეპტის შემოტანა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი მგონია მოვლენათა კლასიფიკაციაც სწორედ განსხვავებული სიჩქარით მდინარე დროთა მიხედვით. ერთადერთი, რასაც ამ შემთხვევაში ბროდელის კონცეფციაში ვერ ვიზიარებ, ესაა აზრი, რომ ხანგრძლივ დროში განვითარებული პროცესები უფრო მნიშვნელოვანია, ისტორიოგრაფიული პრაქტიკის თვალსაზრისით, ვიდრე – მოკლე დროში წარმოშობილი ფაქტები. მართალია, ეს უკანასკნელნი სწორედ პირველთა გამოვლინებას წარმოადგენენ, მაგრამ ისტორიის დისციპლინის პარადოქსი სწორედ ისაა, რომ მისთვის ზედაპირული მოვლენებიც ისევე ფასეულია, როგორც სიღრმისეული. ისტორიის ერთ-ერთი უმთავრესი საზოგადოებრივი ფუნქცია ანუ ერთობის მარკირება მახსოვრობით, უკავშირდება სწორედ ზედაპირის, „ისტორიის ოკეანის ტალღების ქაფის" (ბროდელის ხატოვანი ფრაზაა, რომელმაც მრავალფენოვანი ისტორიული დრო აღწერა ზღვის მეტაფორის საშუალებით) ფაქტებს. ამიტომ არა მარტო ხანგრძლივ დროში ან საშუალო დროში მიმდინარე პროცესები, არამედ მოკლე დროში მომხდარი ფაქტებიც ძალიან არსებითია ისტორიკოსისათვის.

II. საქართველოს ისტორიის კვლევის თანამედროვე პრობლემათა იდენტიფიკაცია

დასაწყისშივე ჩამოვთვლი იმ ძირითად პრობლემატიკას, რომელიც, ჩემი აზრით, ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებს აქვთ გადასაწყვეტი სადღეისოდ და ამის შემდგომ შევეცდები უფრო დაწვრილებით განვიხილო თითოეული საკითხი, ამოცანების სახით წარმოვადგინო ისინი და ამ ამოცანათა გადაჭრის გზების შესახებ ჩემი თვალსაზრისიც მოგახსენოთ.

საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში თანამედროვე ეტაპზე სამი უმთავრესი პრობლემა მესახება. ესენია:

1) ქართველი ერის წარსულის თვისებრივად ახალი კონცეფციის შექმნა და ქართველი სამოქალაქო ერის ისტორიის დაწერა;

2) საქართველოს ისტორიის პროფესიონალიზაციის პროცესის გაღრმავება, რაც გულისხმობს კვლევის თეორეტიზებას, საგანგებო ზრუნვას ისტორიოგრაფიული (ტერმინ „ისტორიოგრაფიას", როგორც ცნობილია, აქვს რამდენიმე მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში მე მას ვიყენებ ისტორიის დისციპლინის აღმნიშვნელი სიტყვის აზრით ანუ როგორც „ისტორიის" სინონიმს. შესაბამისად, გამოთქმა „ისტორიოგრაფიული პრაქტიკა" სხვა არაფერია თუ არა კვლევა ისტორიის დარგში.) პრაქტიკის ანუ ისტორიის კვლევის მეთოდოლოგიაზე (მეთოდოლოგიებზე: მრავლობით რიცხვში სიტყვა „მეთოდოლოგიის" გამოყენება განპირობებულია რეალური ვითარებით, კერძოდ, თანამედროვე საქართველოში არსებული პირობებით: დღეს, განსხვავებით უახლოესი წარსულისაგან, ნამდვილად

შესაძლებელია მეცნიერები საზოგადოებრივი მეცნიერებების ყველა დარგში, და ცხადია, ისტორიაშიც) იყვნენ პლურალისტული მეთოდოლოგიური დისკურსის მონაწილენი) და მეთოდებზე, ისტორიული რეპრეზენტაციის სტილზე, ისტორიოგრაფიული დისკურსის ობიექტურობაზე;

3) საქართველოს ისტორიის ინტერნაციონალიზაცია ანუ საქართველოს ისტორიის დარგში კვლევის შედეგების საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის გაცნობა და ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრესი მონაპოვრების მსოფლიო ისტორიის კონტექსტში ჩართვა.

სამივე ეს პრობლემა მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული და მათი გადაჭრა, პრინციპში, ერთდროულად უნდა მოხდეს, თუ როგორ ამის ჩვენებას შევეცდები ქვემოთ, როცა თითოეულ მათგანზე უფრო ვრცლად შევჩერდები.

1. მინდა მსჯელობა დავიწყო მეორე პრობლემით ანუ საქართველოს ისტორიის დარგში პროფესიონალიზაციის პროცესის გაღრმავებისათვის ხელშეწყობის პრობლემით.

როგორც უკვე ითქვა, ისტორია არ არის „ჩვეულებრივი" სამეცნიერო დისციპლინა, რომ მისი საზოგადოებრივი ფუნქცია მარტოოდენ წარსულის შესახებ ჭეშმარიტების ძიებაში არ მდგომარეობს. ისტორია და, კერძოდ, ეროვნული ისტორია, არის ამავე დროს კოლექტიური მახსოვრობის ფორმაც. სწორედ ამიტომ მისდამი საზოგადოების ინტერესი განსაკუთრებით დიდია და არსებობს გარკვეული საზოგადოებრივი იმპერატივიც იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს მშობლიური ერის ისტორია.

ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი დიდი სტიმულის მიმცემია მკვლევრისათვის. დამეთანხმებით, სულ სხვაგვარია კვლევის მოტივაცია, როდესაც მისი შედეგებისადმი მიპყრობილია ფართო საზოგადოების ყურადღება. მაგრამ იგივე ზოგჯერ დამთრგუნველიც შეიძლება აღმოჩნდეს იმის გამო, რომ, როგორც ვთქვი, საზოგადოებას აქვს თავისი მოთხოვნები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი ეროვნული ისტორია უნდა მას და აქვს გარკვეული მოლოდინიც, რომლის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ისტორიკოსის შრომას იგი არ მიიღებს. ეს არის სერიოზული პრობლემა ეროვნული ისტორიის დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის: ერთი მხრივ, მათ, ცხადია, ზედმიწევნით უნდა დააკმაყოფილონ მეცნიერების უმთავრესი მოთხოვნა და ჭეშმარიტების ძიება დაისახონ მიზნად და, მეორე მხრივ, უპასუხონ საზოგადოებრივ მოთხოვნილებას და მიაწოდონ მას შიდაჯგუფური კონსოლიდებისათვის „გამოსადეგი წარსული" (თანამედროვე ბრიტანელი მეცნიერის ტონი ჯუდის გამოთქმა რომ გავიმეოროთ).

როგორ უნდა გადაიჭრას ეს საკითხი, რომელიც, ერთი შეხედვით, ნამდვილ დილემას წარმოადგენს? რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით ქართულ სინამდვილეში? ამ ბოლო კითხვას აქვე ვუპასუხებ: იმპერატივი ისტორიოგრაფიის მისამართით საზოგადოების მხრიდან ქართულ სინამდვილეშიც ხელშესახები ფაქტია და იგი გავლენას ახდენს არა მარტო კვლევის შედეგზე, არამედ ზოგჯერ თავად პრობლემების შერჩევაზეც.

როგორც ითქვა, საზოგადოებას, კოლექტივს აქვს გარკვეული მოლოდინი ეროვნულ ისტორიოგრაფიასთან დაკავშირებით. მაგრამ ეს მოლოდინი თავისთავად არ ჩნდება. ის მომდინარეობს წინარე ისტორიოგრაფიიდან. ანუ საზოგადოების მიერ მოწონებული თემები და ისტორიული რეპრეზენტაციის სტილი განპირობებულია უკვე აპრობირებული და კოლექტიური მახსოვრობის სისტემაში მოქცეული ისტორიოგრაფიული დისკურსით. თუ ტრადიციული ისტორიოგრაფიული ნარატივისაგან განსხვავებული რამ გვინდა შევთავაზოთ საზოგადოებას და გვსურს, რომ მან მიიღოს ეს სიახლე, ამისათვის უნდა წინასწარ შევამზადოთ და ვასწავლოთ ისტორიული რეპრეზენტაციის იმ სტილის შეფასებაც და დაფასებაც (sic!), რომლის შეთავაზებასაც ვაპირებთ. ანუ, მართალია, საზოგადოებას აქვს გარკვეული იმპერატივები ისტორიკოსთა საქმიანობის მიმართ, მაგრამ ამ იმპერატივების, გნებავთ, სტერეოტიპების ჩამოყალიბებაზე ზემოქმედება, სათანადო მუშაობის შემთხვევაში, შეუძლიათ თავად პროფესიონალ ისტორიკოსებს და მათ ეს კიდევაც უნდა გააკეთონ.

ამგვარად, აღნიშნულ „დილემის" დაძლევასთან დაკავშირებით მე საკმაოდ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და, ვფიქრობ, რომ შესაძლებელია საზოგადოებას შევთავაზოთ მშობლიური ერის წარსულის შესახებ ნამდვილად მეცნიერული და ამავე დროს მისთვის მისაღები ისტორიოგრაფიული ნარატივი.

ვიდრე ფართო საზოგადოებისათვის დავიწყებდეთ ამგვარი საკითხების გაცნობას და განმარტებას, თავად პროფესიონალი ისტორიკოსების წრეში უნდა მოხდეს შესაბამისი საკითხების ფართო განხილვა და გარკვეულ თემებთან, აგრეთვე, კვლევის მეთოდებთან და მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით თვალსაზრისების შეჯერება. ჩვენში ეს პროცესი ჯერჯერობით სუსტად არის განვითარებული. იშვიათად შევხდებით სამეცნიერო ნაშრომს, რომელშიც მკვლევარი საგანგებო მსჯელობის საგნად აქცევდეს ისტორიის კვლევაში თეორიულ მიდგომას ან ცდილობდეს ტრადიციულისაგან განსხვავებული რეპრეზენტაციის სტილი შემოგვთავაზოს. ქართველი ისტორიკოსები, ცხადია, იცნობენ დასავლეთში არსებულ სხვადასხვა ისტორიულ სკოლებს, შესაბამის კურსებში სტუდენტებს ფართოდ წარმოუდგენენ კიდეც მათ შესახებ ინფორმაციას, მაგრამ თავიანთ სამეცნიერო პრაქტიკაში იშვიათად იყენებენ ამ მიდგომებს. არ მიმდინარეობს ამ მიდგომების ვარგისიანობა-უვარგისობის განსჯაც. ამგვარი საკითხები თითქმის მთლიანად იგნორირებულია.

ამ ორიოდე წლის წინ ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საქართველოში ჩატარებული იქნა

ვორქშოფი შემდეგი სახელწოდებით: *ისტორიის განვითარება, კვლევა საქართველოში: რა არის საჭირო?* მასში მონაწილება მიიღეს ისტორიკოსებმა საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან და კვლევითი ინსტიტუტებიდან. მეც გახლდით ამ შეხვედრის მონაწილე და, შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო იდეების გაცვლის თვალსაზრისით ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა. გამოირკვა, რომ ქართველ ისტორიკოსებს ისტორიის როგორც სამეცნიერო დისციპლინის განვითარებასთან დაკავშირებით ერთმანეთისათვის ბევრი რამ აქვთ სათქმელი. და ამ ფონზე საინტერესო იყო შემდეგი ფაქტი: მიუხედავად ამისა, უკვე დიდი ხანია ისინი ამ საკითხებზე სასაუბროდ ერთმანეთს არ შეხვედრიან, არც უცდიათ ამგვარი შეხვედრის ორგანიზება. ეს კი იმ ვითარებაში, როცა საქართველოში ყოველწლიურად კონკრეტული ისტორიული კვლევისადმი მიძღვნილი მრავალი სამეცნიერო ფორუმი ტარდება.

მიმაჩნია, რომ ისტორიის თეორიული საკითხებისადმი ამგვარი დამოკიდებულება საქართველოში უნდა შეიცვალოს და შესაბამისი აქტივობებით (კონფერენციების, სემინარების ორგანიზებით, არსებული გამოკვლევების ანალიზით, საგანმანათლებლო პროგრამებით, საგრანტო პროექტებით და ა.შ) დაფიქსირდეს ამ საკითხებისადმი პროფესიონალთა ინტერესი. აქ მთავარია, პრობლემის გაცნობიერება. სხვა დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს. ახლა ამგვარ, წმინდა მეცნიერულ საკითხებზე ყურადღების კონცენტრირება, ვფიქრობ, უფრო ადვილადაა შესაძლებელი, რადგან სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში რეფორმების დიდი ნაწილი უკვე, ვიმედოვნებ, რომ გატარდა და უახლოეს წლებში უფრო მშვიდი ვითარება ჩამოყალიბდება. საბჭოთა პერიოდის საქართველოში, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა ისტორიის თეორიულ მხარეს (მაგალითად, ი. ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში, სადაც მე, როგორც მეცნიერმა, „ფეხი ავიდგი", სისტემატური ყურადღების საგანი იყო წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემების კვლევა), თუმც მაშინ მეთოდოლოგიური მონიზმის პირობებში, ეს არსებითად ნაკლები შედეგის მომტანი იყო. ახლა კი, როცა დასაშვებია მეთოდოლოგიური პლურალიზმი და რეპრეზენტაციის სტილის არჩევანის საკითხშიც არავითარი შეზღუდვა არ არსებობს, ცხადია, ისტორიის თეორეტიზების პრობლემა დარგის განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს და იგი დარგის სპეციალისტთა საგანგებო ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

აქვე მინდა აღვნიშნო ამ პრობლემის გადაჭრისაკენ მიმართულ ერთი ღონისძიების შესახებ, რომელიც ინიცირებულია თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის მიერ. ეს არის აკადემიკოს მარიამ ლორთიქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევები*, რომლის ჩატარება იგეგმება მიმდინარე წლის ნოემბერში და რომელშიც მონაწილეობას იღებს რამდენიმე ათეული მეცნიერი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, მათ შორის, ცხადია, საქართველოდანაც. როგორც კონფერენციის სახელწოდებაც აჩვენებს, იგი მიზნად ისახავს სწორედ ხელი შეუწყოს ისტორიის თეორიული პრობლემატიკის კვლევას კონკრეტულ კვლევებთან ერთად.

2. საქართველოს ისტორიის დარგის თეორეტიზების პრობლემასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ინტერნაციონალიზაციის პრობლემაც. იმისათვის, რომ საქართველოს ისტორია აღქმადი გავხადოთ ისტორიკოსთა საერთაშორისო თანამეგობრობისათვის და უბრალოდ საქართველოთი დაინტერესებული უცხოელი მკითხველისათვის, საკმარისი როდია რომელიმე საერთაშორისო ენაზე ვთარგმნით საქართველოს ისტორიის დარგში თუნდაც კლასიკურად მიჩნეული გამოკვლევები.

საქართველოს ისტორიის ინტერნაციონალიზაციისათვის ქართველმა ისტორიკოსებმა თავიანთი ნაშრომები უნდა წარმოადგინონ არა მარტო უცხო ენაზე, არამედ იმ კულტურის ენაზე, რომელზეც საუბრობენ დღეს ისტორიკოსები. ვგულისხმობ საერთაშორისოდ ცნობად პრობლემატიკას ისტორიის დარგში. ქართული შემთხვევის ანალიზი უნდა მოხდეს თანამედროვე ისტორიოგრაფიაში უკვე გამოკვეთილ პრობლემებთან მიმართებით, უნდა კარგად გვესმოდეს ჩვენი არაქართველი მკითხველის გემოვნება და ინტერესი. ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ გავიხსენო შემდეგი შემთხვევა: ერთ-ერთმა ჩემმა ამერიკელმა ნაცნობმა, რომელიც არ მისდევს პროფესიულ საქმიანობას ისტორიის კუთხით, მაგრამ განათლებით ისტორიკოსია და, რომელიც ამის გამო და იმ მიზეზითაც, რომ კარგა ხანია საქართველოში ცხოვრობს, დიდი ინტერესით ეცნობა საქართველოს ისტორიის შესახებ ლიტერატურას, ჩემთვის მოულოდნელად ერთხელ ჩემთან საუბარში დანანებით აღნიშნა შემდეგი: „რა მოსაწყენად არის დაწერილი ყველაფერი საქართველოს ისტორიაზე".

ამ შემთხვევაში მისი პირით მე აშკარად ვისმენდი დასავლელი მკითხველის აზრს საქართველოს ისტორიის შესახებ არსებული დისკურსზე. ის მცირედი, რაც დღეს არსებობს ევროპულ ენებზე თავად ქართველი მეცნიერების მიერ დაწერილი, ხშირად ვერ ითვალისწინებს დასავლელი მკითხველის ინტერესს და ამიტომ ნაკლებ წარმატებულია ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით. ხოლო ის, რაც უცხოელთა მიერ არის დაწერილი, ვერ ითვალისწინებს ჩვენს ინტერესს საქართველოს შესახებ ინფორმაციის ინტერნაციონალიზებასთან დაკავშირებით და, ამგვარად, ისინიც არ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ისტორიის ინტერნაციონალიზაციის ბოლომდე წარმატებულ ცდად.

ამ რთული, მრავალასპექტიანი პრობლემის გადაჭრა ვერ მოხერხდება კერძო ინიციატივითა და ცალკეულ ავტორთა ენთუზიაზმით. აუცილებელია თუნდაც უნივერსიტეტის სივრცეში საგანგებო კვლევითი უჯრედის შექმნა, რომელიც დაკომპლექტებული იქნება შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალით, უზრუნველყოფილი ფინანსურად და აღჭურვილი სათანადო ტექნიკური საშუალებებით და ფართით. სწორედ ამ უჯრედმა უნდა შეიმუშავოს შესაბამისი აქტივობების გრძელვადიანი გეგმა და უზრუნველყოს თანდათანობით მისი განხორციელება საქართველოს ისტორიის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით.

ცხადია, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ყველაფერი, რაც შეიქმნება ამგვარი უჯრედის წიაღში, თუ მისი თანამშრომლობით სხვებთან, უნდა პასუხობდეს თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნებს, პრობლემა ყოველთვის ისე უნდა იქნეს დასმული, რომ შესაძლებელი იყოს ქართული შემთხვევის ანალიზი შედარებით კონტექსტში და ალტერნატივუულ თეორიულ დისკურსში. მაგალითად, თუ ვისაუბრებთ ქართველი ერის წარმოშობაზე, აუცილებელი იქნება ნაციის მშენებლობის პროცესის რეპრეზენტაცია მარქსისტული სოციოლოგიის ალტერნატიულ მიდგომის ჩარჩოებშიც წარმოვადგინოთ და არა მხოლოდ მარქსისტულად, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე.

3. დაბოლოს, სულ პირველად დასახელებული პრობლემა, რომელიც, ჩემი აზრით, ყველაზე რთულია და, შესაბამისად, ყველაზე ძნელად გადასაჭრელიც. ესაა, როგორც ითქვა, საქართველოს ისტორიის ახალი გადმოცემის შექმნა და ქართული ერთობის ახალ საფუძველზე კონცეპტუალიზაცია. ეს პრობლემა წარმოდგება არა მხოლოდ უშუალოდ დარგის განვითარების მოთხოვნიდან, არამედ გარკვეული აზრით, იგი საზოგადოებრივ დაკვეთაზე პასუხიც არის.

2003 წლის *ვარდების რევოლუციის* შემდეგ საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა და სამოქალაქო სოლიდარობით მოქალაქეების აღზრდა. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ამგვარი პროცესის განვითარებით თანდათანობით მივალთ ქართველი სამოქალაქო ერის ანუ მრავალეთნიკური ქართველი ერის შექმნამდე. მაგრამ ამგვარი ერთობის ისტორია მის წარმოქმნამდე უნდა იქნეს მოაზრებული ანუ საქართველოს წარსული უნდა აღიწეროს ისე, რომ მასში ჩანდნენ არა მარტო ეთნიკური ქართველები ანუ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, არამედ ეთნიკური უმცირესობანიც, ამ შემთხვევაში მე გამოვიყენებდი ტერმინს „არაეთნიკური ქართველები" (აღნიშნილი ტერმინის შექმნისათვის ჩემი ინსპირაციის წყარო სხვა ფაქტებთან ერთად არის სხვადასხვა შეკრებებზე საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მ. სააკაშვილის მიერ გამოყენებული ტერმინი „მრავალეთნიკური ქართველი ერი") ანუ საქართველოს ეთნიკურად არაქართველი მკვიდრები. ქართული სამოქალაქო ერთობა ვერ გაფორმდება შესაბამისი ისტორიოგრაფიული დისკურსის გარეშე.

როგორც ცნობილია, კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობის განვითარების სხვადასხვა ეტაპს შეესაბამება სხვადასხვა ტიპის ისტორიოგრაფიული ნარატივი. *ქართლის ცხოვრება,* მაგალითად, გამოსადეგი იყო წინა მოდერნის ეპოქის ქართული ერთობისათვის. მისი უმთავრესი მიზანი იყო სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმურობის ფაქტების ჩვენება. ეს მიზანი აკმაყოფილებდა იმ საზოგადოებას, რომელმაც ის შექმნა. ლოალობის მთავარი ობიექტს წარმოადგენდა სწორედ მეფე. სამეფო ხელსუფლება ქართული ერთობის კონსოლიდებისათვის იყო განმსაზღვრელი ფაქტორი.

ახალ დროში, მას შემდეგ რაც ქართული ეთნიკური ერთობის ნაციონალურ ერთობად გარდაქმნის პროცესი დაიწყო, ამგვარი დისკურსი გამოსადეგი აღარ იყო. ყველასათვის კარგადაა ცნობილი ილიას მიერ *ქართლის ცხოვრების* მისამართით ნათქვამი კრიტიკული სიტყვები, მისი უკმაყოფილება იმით, რომ ამ ძეგლში ხალხზე არაფერია ნათქვამი. ქართული ერთობის კონსოლიდების ამ ეტაპზე ლოალობის მთავარი ობიექტი უკვე აღარ იყო მეფე, ხალხი გახდა მთავარი აქტორი და, შესაბამისად, ისტორიოგრაფიასაც უნდა შეეცვალა ფოკუსი.

ი. ჯავახიშვილმა, როგორც მართებულად არის შენიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, შექმნა *ქართველი ერის ისტორია,* მაშინ როცა ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომი იყო *აღწერა სამეფოსა საქართველოსა.* ანუ ეს ორი ნაშრომი სხვაობს ერთმანეთისაგან არა მხოლოდ კონკრეტული ფაქტების რეპრეზენტაციით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ქართული ერთობის კონცეპტუალიზაციის თვალსაზრისით. ვახუშტისათვის ქართული ერთობა იყო სამეფო, ი. ჯავახიშვილისათვის – ერი. ეს ორი ისტორიოგრაფიული ძეგლი ქართული ერთობის განვითარების ორ განსხვავებულ ეტაპს უკავშირდება, შეიძლება ითქვას, რომ „ემსახურება".

მაგრამ, როგორც ცნობილია, თავად ერად ყოფნა სხვადასხვა დროში და ქვეყანაში განსხვავებულია. თუმცა ქართველი ერის მამად წოდებული მოღვაწის ანუ ილია ჭავჭავაძის დეფინიცია ერისა იყო ამბივალენტური და ერთდროულად მოიცავდა სამოქალაქო ერის და ეთნო-ერის ნიშნებს. მაგრამ მოგვიანებით საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში (მიუხედავად ინტერნაციონალისტური რიტორიკისა) პროცესი მაინც წარიმართა ეთნო-კულტურული თვითიდენტიფიკაციის მიმართულებით. ი. ჯავახიშვილის ნაშრომი ემსახურებოდა ქართული ერთობის ეთნო-კულტურულ თვითგანსაზღვრას ანუ ქართველი ერთობის ეთნო-ერად კონცეპტუალიზაციას და რეალურ ჩამოყალიბებას. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ი. ჯავახიშვილისადმი იყო, რბილად რომ ვთქვათ, „სუსხიანი", მისი

ნაშრომები არ აუკრძალავთ, პირიქით, მათ ყოველმხრივ პოპულარიზაციას ხელი ეწყობოდა, რადგან ეთნო-ერების კონსოლიდება (სამოქალაქო სოლიდარობის საპირისპიროდ) საბჭოური ეროვნული პროექტების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა.

დღემდე ეს ვითარება გრძელდება. და ისტორიის დარგში ყოველი ქართველი, მამულიშვილის ცნობისმოყვარეობას, პატრიტულ გრძნობებს კვლავაც ზედმიწევნით აკმაყოფილებს ი. ჯავახიშვილისეული დისკურსი ქართველთა წარსულის შესახებ.

მაგრამ ქართველთა ეთნო-კულტურული კონსოლიდაცია მომხდარი ფაქტია. მეტიც, ქართულ ერთობას საკუთარი სახელმწიფო აქვს ანუ ეთნო-კულტურულ იდენტობას მეურვეობენ ეროვნული სახელმწიფოს ინსტიტუციები. მიუხედავად ამისა, ქართული ერთობა ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. თუ საბჭოთა იმპერიაში ყოფნისას მისთვის აუცილებელი იყო დარჩენილიყო ექსკლუზიურ ჯგუფად (ეს იმპერიებში მყოფი ეთნოსების თავდაცვის საშუალებას წარმოადგენს), საკუთარ სახელმწიფოს ფლობის შემთხვევაში ის უნდა გახდეს ინკლუზიური. და ამ მიმართულებით მიდის კიდეც პროცესი 2003 წლის *ვარდების რევოლუციის* შემდგომ. ყალიბდება მრავალეთნიკური სამოქალაქო სოლიდარობა ანუ სამოქალაქო ქართველი ერი. აი, სწორედ მას ესაჭიროება ისტორია, არა მარტო მიმდინარე, არამედ წინამოდერნის (sic!) ეპოქის ამსახველიც, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს ეს.

ქართველ ეთნო-ერს აქვს მდიდარი ისტორიოგრაფიული ნარატივი. მისი ცალკეული ნაწილების დახვეწა-დაზუსტება მუდმივად მიმდინარეობს, მაგრამ ზოგადი ქარგა ძირითადად უცვლელია. ქართველი სამოქალაქო ერის ისტორია ჯერ არ არსებობს. ამის მიზეზი, ცხადია, ისაა, რომ ჯერ არ არსებობს თავად ქართველი სამოქალაქო ერიც, მაგრამ ის უსათუოდ ჩამოყალიბდება და საჭიროა ისტორიკოსებმა ამ მხრივაც თადარიგი დაიჭიროონ.

უნდა შეიქმნას იმგვარი ისტორია, რომ ეროვნულმა უმცირესობებმა, რომლებიც ქართულ ერთობაში ინტეგრაციას ესწრაფვიან, საკუთარი თავი იპოვონ მასში. ეს არ არის იოლი. შესაფერისი კონცეფციის მომზადება დიდ ინტელექტუალურ ძალისხმევას მოითხოვს. მაგრამ სრულიად ცხადია, რომ საქართველოს ისტორია მომავალში მარტო ეთნიკური ქართველების ისტორია ვერ იქნება. ის, რომ პროფესიონალი ისტორიკოსები იზრუნებენ ამგვარი ისტორიის შექმნაზე, ხელს შეუწყობს საქართველოში სამოქალაქო სოლიდარობის განვითარებას და ბევრი გაუგებრობისაგანაც დაგვიცავს.

ამასთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო, რომელიც, ვფიქრობ, ძალიან საინტერესო მასალას წარმოადგენს განსჯისათვის.

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ერთ-ერთმა ჩვენმა კოლეგამ გააკეთა მოხსენება აზერბაიჯანში გამოქვეყნებულ წიგნზე. ავტორი ამ წიგნისა იყო ახალგაზრდა აზერბაიჯანელი კაცი, წარმოშობით საქართველოდან – მისი მშობლები დღესაც საქართველოში ცხოვრობენ. ამ წიგნში, მომხსენებლის მითითებით, ავტორი ამტკიცებდა თურმე იმას, რომ აზერბაიჯანელები საქართველოს უძველეს მოსახლეობას წარმოადგენენ და მათ განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქართველთა ეთნოგენეზისში. მომხსენებელი ამგვარი, მართლაცდა, ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებული, აზრების გამო გამოხატავდა უკიდურეს აღშფოთებას და ხაზს უსვამდა სასწრაფო პასუხის გაცემის აუცილებლობას. ამავე აზრს იზიარებდა დარბაზში მსხდომთა უმეტესობა. ჩემში კი ამ ინფორმაციამ სრულიად სხვაგვარი რეაქცია გამოიწვია. ამ ახალგაზრდა ავტორის მიმართ წყენა არ გამიჩნდა. მისი ფსევდომეცნიერული ნაშრომის სერიოზული კრიტიკის ობიექტად ქცევაც მართებულად არ ჩავთვალე. სრულიად აშკარა იყო, რომ ამ და მსგავს ნაშრომებზე პასუხის გაცემა საჭიროა, მაგრამ არა უშუალოდ ასეთი წიგნების კრიტიკის სახით, არამედ საქართველოს წარსულის იმგვარი გადმოცემით, რომელშიც საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები პასუხებს ნახავენ მათი ისტორის შესახებაც. სანამ ისინი ამას ვერ პოულობენ, უნდა მოველოდეთ მსგავს „შემოქმედებას", ანუ მოკლედ: ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) პასუხი საქართველოს ისტორიის გაყალბებაზე არის სწორედ ქართველი სამოქალაქო ერის ისტორიის შექმნა. ი. ჯავახიშვილის *ქართველი ერის ისტორია,* როგორც ითქვა, არის ქართველი ეთნო-ერის ისტორია, იგი ემსახურებოდა ქართველთა ეთნოკულტურულ თვითიდენტიფიკაციას, ფაქტობრივად, ასეთივეა *საქართველოს ისტორიის ნარკვევებში* წარმოდგენილი ისტორიაც. ქართული ერთობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობის შესაბამისი კი არის მისი, როგორც სამოქალაქო ერთობის, წარმოდგენა.

სწორედ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად თანამედროვე ეტაპზე ქართველი სამოქალაქო ერის ისტორიის დაწერა მესახება.

ამ პრობლემის გადაწყეტაც შეუძლებელია მხოლოდ ენთუზიაზმზე დაფუძნებით. საჭიროა წარიმართოს ადმინისტრაციის მიერ მხარდაჭერილი მუშაობა შესაბამის კვლევით უჯრედებში, თუნდაც თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში. შესაძლოა, მიზანშეწონილი აღმოჩნდეს, რომ შესაბამისი კვლევის ჩატარება გათვალისწინებული იყოს პროფესორის სამუშაო დატვირთვაში და წლიური თემების სახით შეიქმნას საფუძველი ამ პროექტის უფრო ფართო მასშტაბით განხორციელებისათვის. სასწავლო პროგრამებში ამ მიმართებით მიღწევების დანერგვაც უფრო სწრაფად მოხდება, როცა პროფესურა კვლევაში თავად იქნება ჩართული.

III. პრობლემათა გადაწყვეტის პერსონალური გამოცდილება

პირადად მე შეძლებისდაგვარად ვცდილობ გარკვეული წვლილი შევიტანო დასახელებული სამივე პრობლემის გადაჭრაში. ამას აჩვენებს როგორც ჩემი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა, ასევე ინტენსიური მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში.

ჩემს სამეცნიერო ნაშრომებში მე რეპრეზენტაციას ვახდენ, როგორც ემპირიციზმის, ისე სტრუქტურალიზმის ჩარჩოებში. სამეცნიერო მუშაობა მე დავიწყე მოკლე დროის ფაქტების წყაროთმცოდნეობითი პრობლემების კვლევით, კერძოდ, ტექსტოლოგიური ძიებებით, შემდეგ გადავედი წყაროთმცოდნეობითი ძიებების სრული ციკლის შემცველი ნაშრომების შექმნაზე, აგრეთვე, ქართული ისტორიული აზრის განვითარების ისტორიის და გვიანი ანტიკურობისა და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის პოლიტიკური და კულტურული ასპექტების შესწავლაზე. ამ სახის კვლევებს წარმოადგენს ჩემი მრავალრიცხოვანი სტატიები, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები და, აგრეთვე, წიგნები. სამეცნიერო დასკვნების ერთი ნაწილი ჩამოყალიბებული მაქვს პოპულარული ფორმითაც, რისთვისაც ვიყენებ დესკრიფციული ისტორიოგრაფიის კლასიკურ ფორმას – ისტორიულ ბიოგრაფიას, ისტორიულ პორტრეტს. ქრონოლოგიურად ჩემი ამგვარი გამოკვლევები უმეტესად XX საუკუნის 80-90-იანი წლებით თარიღდება, თუმც კვლევის ობიექტების ტრადიციული პარადიგმით განსაზღვრა და ისტორიული რეპრეზენტაციის ნარატიული ფორმა ჩემს უკანასკნელი დროის ბევრ ნაშრომშიც იჩენს თავს, თვით მათშიც კი, რომელთა კვლევის ფოკუსში არის პროცესები, რომელთა განზომილება არის არა მოკლე, არამედ საშუალო და ხანგრძლივი დრო.

ქართული იდენტობის ფორმირება, რომლის ისტორიის კვლევას მე შეუდექი XX საუკუნის 90-იანი წლების მინურულიდან, არის ძალიან ხანგრძლივი პროცესი ანუ ისტორიული ხდომილება, რომელიც შესაძლებელია, რომ აღიწეროს მხოლოდ იმპერსონალურად და ანალიტიკურად. ამ პრობლემის კვლევის შედეგები ჩემს არაერთ ნაშრომში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო პრეზენტაციაში არის ასახული, მათ შორის, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ ორ პროექტში და მონოგრაფიებში. ყველა ამ გამოკვლევაში იდენტობის ისტორიის შემეცნება ხდება, როგორც დედუქციურად, თეორიული საფუძვლის მეშვეობით, რომელსაც გვთავაზობს თანამედროვე დასავლური სოციოლოგია, ასევე ინდუქციურად, საქართველოს ისტორიის ფაქტების დადგენის გზით და მათი მეშვეობით ფართო ისტორიული სურათის რეკონსტრუქციით. კვლევა ზოგჯერ წყაროთმცოდნეობით საფუძვლებსაც კი შეეხება. ანუ ამ ნაშრომებში ისტორიული რეპრეზენტაციის ემპირიცისტული და სტრუქტურალისტურ-ფუნქციონალისტური პარადიგმების კომბინაცია გამოიყენება.

ამგვარი კომბინაციის მაგალითია საკონკურსოდ წარმოდგენილი, რუსთაველის ფონდის გრანტით დაფინანსებული, 2011 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. ივერია და მისი მკითხველი საქართველო* (თანაავტორი: ქ. მანია), აგრეთვე, ასევე რუსთაველის ფონდის გრანტით დაფინანსებული ჩემი სხვა მონოგრაფიაც: *ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში* (2009). ორივე ამ ნაშრომში ახალი თეორიული ბაზისის მოშველიებით ხდება ხანგრძლივი დროის განზომილების მქონე ხდომილების – იდენტობის – შემეცნება, თუმც აქვეა მოცემული წყაროთმცოდნეობითი და ისტორიული ძიებები იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელნიც, ბროდელისეული კლასიფიკაციით, მოკლე დროით არიან მარკირებული.

IV. შეჯამება

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიში, საზოგადოდ ანთროპოლოგიურად და სოციოლოგიურად ორიენტირებული პრობლემატიკის დამუშავების შემთხვევები ჯერ კიდევ არ არის ხშირი. მეტი აქცენტი კეთდება მოკლე დროის მოვლენებზე. განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველოს ისტორიაზე. დისკურსი ხშირად მთლიანად მოქცეულია ემპირიციზმის ჩარჩოებში და იშვიათად არის ცდა მოპოვებული მასალით სოციალური სტრუქტურების შემეცნებისა. მიაჩნიათ, რომ მოკლე დროის ფაქტები სავსებით საკმარისია ქართული ერთობის ისტორიული ცნობიერების განვითარებისათვის.

ემპირიციზმა დიდი სამსახური გაუწია საზოგადოდ ისტორიოგრაფიას და, კონკრეტულად, ქართულ ისტორიოგრაფიას. ამ მიდგომას თავი ჯერ არ ამოუწურავს. მაგრამ მიმაჩნია, რომ აღნიშნული მიდგომა საქართველოს ისტორიის მკვლევართა ნაშრომებში უნდა შეუთავსდეს ე.წ. ტოტალური ისტორიის მოთხოვნებს, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მიზანი თუნდაც ქართული ერთობის ისტორიული ცნობიერების განვითარება რომ იყოს მხოლოდ. საქმე ისაა, რომ თანამედროვე ქართული საზოგადოება, რომელიც გადაიქცა „მომხმარებელთა“ (თანამედროვე სოციოლოგიურ ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრით) საზოგადოებად, გახდა ყველაფრისადმი უფრო მომთხოვნი, მათ შორის, ისტორიისადმიც. მას და მის ელიტურ ნაწილს, რომლის თვითცნობიერება გადამწყვეტ როლს თამაშობს იდენტობრივი მარკერების განმტკიცებაში,

დააკმაყოფილებს მხოლოდ ისეთი ისტორიოგრაფია, რომელიც ისტორიული მეცნიერების თანამედროვე სტანდარტების შესატყვისია. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, საჭიროა ვითარება დაბალანსდეს და ქართულ სამეცნიერო პრაქტიკაში ისტორიული რეპრეზენტაციის ტრადიციული პარადიგმის თანაბრად გზა გაეხსნას „ახალი ისტორიის" პარადიგმას: ეს ნიშნავს, რომ ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს ისეთი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც მოითხოვს კომპარატივისტულ კვლევას. მხოლოდ ამგვარად არის შესაძლებელი ქართველი ერის მეცნიერული ისტორია იქცეს თანამედროვე ქართული ერთობის კოლექტიურ მახსოვრობად. მხოლოდ ამგვარად შეიძლება მოხერხდეს ქართული ნაციონალური ისტორიის განთავსებაც კაცობრიული ისტორიის კონტექსტში.

აღნიშნული ამოცანის გადაჭრისათვის აუცილებელია უცხო ენებიდან თეორიული ლიტერატურის თარგმნა, აგრეთვე, შედარებითი კვლევებისათვის აუცილებელი კონკრეტული ისტორიული ნაშრომების გადმოღება და, ამგვარად, საქართველოს ისტორიის კვლევის პრაქტიკის ძირეული გადახალისება.

საჭიროა ზრუნვა ქართული სამეცნიერო ენის განვითარებაზე, რათა ენა არ იქცეს დაბრკოლებლად ახალი ისტორიული კონცეფციების ჩამოყალიბებისათვის. ახალი ტერმინების შემოტანის პროცესი უნდა დარეგულირდეს. ჩემი აზრით, ეს ნიშნავს რაციონალურ ზომიერებას: არც უცხოური ტერმინებით ზედმეტად გატაცებას, თუმც არც მათ სრულიად უარყოფას. ახალ ტერმინებს წინ არ უნდა აღვუდგეთ მხოლოდ იმ საბაბით, რომ ისინი უცხო წარმომავლობისაა.

სოციოლოგიური და კულტურულ-ანთროპოლოგიური თეორიები, რომელთა დანერგვა დღეს სასურველია ქართულ სამეცნიერო პრაქტიკაში, უცხო წარმომავლობისაა და ისინი ქართული სამეცნიერო აპარატის გადახალისების გარეშე, ცხადია, ქართულად ვერ აღინერება.

საქართველოს ისტორიის წყაროთა თარგმნა, კომენტირება და გამოცემა სწორედ ამ მიზანთან მიმართებაშიც არის განსახილველი.

ამგვარად, ქართული ისტორიოგრაფიული პრაქტიკისათვის საზოგადოდ და, კონკრეტულად, საქართველოს ისტორიის კვლევისათვის საჭიროა მეტი ზრუნვა თეორიული ჩარჩოს შერჩევისათვის, პრობლემების მეტი თეორეტიზება. შედარებითი კვლევების და ინტერდისციპლინური მიდგომების მეტი განვითარება და, ამავე დროს, ემპირიცისტული მიდგომის ფარგლებში მოპოვებული მიღწევების შემდგომი განვითარება და კვლევის ტრადიციული მეთოდების და ტექნიკის დახვეწა.

საქართველოს ისტორია უნდა გადააზრებულ იქნეს იმ თემების მიხედვით, რომლებისკენაც დღეს არის მიმართული ინტერესი მთელ მსოფლიოში. ამავე დროს ამ ისტორიამ ადექვატურად უნდა უპასუხოს ნაციონალური კონსოლიდაციის ახალ საფეხურზე მყოფი მრავალეთნიკური ქართული ერთობის მოთხოვნილებებს. საჭიროა ზრუნვა ნარატივის ფორმაზეც: ფაქტების აღწერა უნდა გამდიდრებულ იქნეს ე.წ. „ღრმა აღწერით" (კულტურულ ანთროპოლოგიაში დამკვიდრებული სპეციალური ტერმინის აზრით) ანუ წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც ზედაპირის მოვლენები, ისე მათი განმაპირობებელი სტრუქტურების დახასიათება.

მოკლედ, საქართველოს ისტორიის დარგის სპეციალისტებმა კოლექტიური ძალისხმევა უნდა მიმართონ იქითკენ, რომ უახლოეს წლებში შეიქმნას განმაზოგადებელი ნაშრომი ქართული ერთობის ისტორიული წარსულის შესახებ – ი. ჯავახიშვილის ცნობილი ნაშრომის *ქართველი ერის ისტორიის* ანალოგი, რომელიც, ოღონდაც, როგორც შერჩეული თემების, ისე რეპრეზენტაციის ფორმის თვალსაზრისით, თვისებრივ იქნება განსხვავებული მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებლის ხსენებული ნაშრომისაგან.

CONCEPTION OF ACADEMIC RESEARCH

Mariam Chkhartishvili

The paper represents Professor Mariam Chkhartishvili's views on current development of studies in field Georgian history. These views were primarily introduced to the narrow circle of academics being members of Ivane Javakhishvili Tbilisi State University's commission of competition for academic positions in 2012. According to the author the dominant trend of modern Georgian scholarship in field of national history is event-centered representation in terms of statist paradigm. She argues for shifting focus to socially and cultural-anthropologically orientated historcal problems and identifies tasks neccasary for this shift. Professor Chkhartishvili provides some examples and shares with the reader her personal experience.

წიგნების მიმოხილვა

BOOK REVIEWS

ენციკლოპედია *ანტიკური კავკასია*

რისმაგ გორდეზიანი

XIX საუკუნიდან მოყოლებული ანტიკური კულტურის შესახებ მრავალი ენციკლოპედია თუ ლექსიკონი გამოიცა ევროპულ ენებზე, მაგრამ მათში სათანადოდ არ არის წარმოდგენილი კავკასია, რომლის მნიშვნელობაც, როგორც გეოპოლიტიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით, ანტიკურ წყაროებში კარგად იქნებოდა გამოკვეთილი. უაღრესად მნიშვნელოვანია ისეთი ენციკლოპედიური ცნობარის გამოცემა, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს კავკასიის როლს მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში.

ენციკლოპედია *ანტიკური კავკასია* მიზნად ისახავს, პირველად კლასიკური ფილოლოგიისა და კავკასიოლოგიის ისტორიაში შეკრიბოს და მეცნიერულად დაამუშავოს მთელი ინფორმაცია ანტიკური კავკასიის შესახებ, რომელიც ცალკე რეგიონად თავდაპირველად სწორედ ძველ ბერძნულ წყაროებში დაფიქსირდა. ანტიკურ წყაროებშივე მოხდა მისი გეოგრაფიული საზღვრებისა და მულტიეთნიკური ხასიათის განსაზღვრა. ენციკლოპედიაში სრულყოფილად აისახება ანტიკურ კავკასიასთან და, კონკრეტულად, საქართველოსთან დაკავშირებული ამომწურავი ინფორმაცია, გაანალიზებული იქნება ამ სფეროში არსებული უახლესი სამეცნიერო კვლევა და ხედვა, წარმოდგენილი იქნება წყაროებით დოკუმენტირებული მასალა.

მთლიანობაში ენციკლოპედია თავს მოუყრის 2000-ზე მეტ ტერმინს და მასში, ძირითადად, წარმოდგენილი იქნება ოთხი ჯგუფის სტატიები:

1. ანტიკურ და ძველ აღმოსავლურ (ძირითადად, ასირიულსა და ურარტულ) წყაროებში დადასტურებული კავკასიასთან დაკავშირებული ყველა ტერმინი (გეოგრაფიული, მითოლოგიური, ისტორიული სახელები. მაგალითად, კავკასია, ალბანია, კოლხისი, არმენია, იბერია, ფასისი, პრომეთე, აიეტი, მედეა, ფარსმანესი, ტიგრანესი, უიტერუხი, ძაბახა და ა.შ.);

2. რელიგიური, სოციალური, კულტურული ცხოვრების ამსახველი ცნობები (მაგალითად, სახელმწიფოები, ქალაქები, მმართველობის ფორმები, პანთეონი, ხალხები, ენები და სხვ.);

3. ანტიკური ხანის ყველა ავტორი, რომელმაც შემოგვინახა ცნობები კავკასიის შესახებ. ეს სტატიები შემოიფარგლება, ძირითადად, კონკრეტული მწერლის სახელის, მოღვაწეობის დროის და მის ნაწარმოებებში კავკასიასთან დაკავშირებულ იმ ტერმინთა ჩამონათვალით, რომლებსაც ლექსიკონში ცალკე სტატიები ეძღვნება (მაგ., ჰესიოდე, ძვ.წ. VII ს. *თეოგონია*: ფასისი, რესოსი, პერსეისი, ჰელიოსი, კირკე, აიეტი, მედეა და სხვ.);

4. კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ანტიკური ხანის ის ობიექტები (დასახლება, სამარხი, ცალკეული ძეგლი), რომლებიც, მართალია, ანტიკურ წყაროებში არ მოიხსენიებიან (ან მათი იდენტიფიკაცია წყაროების მონაცემებთან საეჭვოა), მაგრამ კლასიკური არქეოლოგიისთვის საყურადღებო მონაცემებს იძლევიან. მაგალითად, ვანი, საირხე, ფიჭვნარი და სხვ.

ენციკლოპედიის გამოცემა რამდენიმე ტომად იგეგმება: 2010 წელს გამოიცა ენციკლოპედიის პირველი ტომი, რომელიც განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური კვლევების მიმართულებით გამოყოფილი გრანტის ფარგლებში. აღნიშნულ ტომში თავმოყრილია კავკასიასთან დაკავშირებული ძველაღმოსავლური და ანტიკური წყაროების საკვანძო პასაჟები ორიგინალის ენაზე და მათი თარგმანი, აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი ანტიკური წყაროებისა, რომელიც აღნიშნულ ტომშია შეტანილი, პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე. იგეგმება პირველი ტომის გადამუშავებული და შევსებული მეორე გამოცემა, რომელსაც დაერთვება კავკასიაში აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ტექსტები და ვრცელი საძიებელი წყაროებისათვის.

რამდენიმე წლიანი პაუზის შემდეგ ენციკლოპედიის გამოცემის განახლება შესაძლებელი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელმძღვანელობის თანადგომით, რამაც პროექტში პერსპექტიული ახალგაზრდა სპეციალისტების ჩართვის შესაძლებლობა მოგვცა.

2014 წელს გამოიცა მეორე ტომის პირველი ნაკვეთი, რომელიც მოიცავს ა ასოს და მასში შესულია 500-მდე საენციკლოპედიო სტატია. ცალკეული სტატიის სტრუქტურა, ამგვარია: ტერმინი, მისი ეკვივალენტი ბერძნულ ან ლათინურ ენაზე, ზოგადი განმარტება, კვლევითი ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილია საკითხის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა, ბიბლიოგრაფია.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მეორე ტომის მეორე ნაკვეთზე, რომელიც მოიცავს ასოებს ბ-ი. ამ ნაკვეთშიც დაახლ. 450 სტატია იქნება წარმოდგენილი.

ენციკლოპედიის ფინალურ ტომში განთავსებული იქნება საილუსტრაციო მასალა: ფოტოები, რუკები, ტაბულები.

ენციკლოპედიაზე მუშაობა ხორციელდება თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში. მასში ჩართულნი არიან როგორც ინსტიტუტის, ასევე სხვა სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლები. ენციკლოპედიის რედაქტორები არიან: პროფესორი რისმაგ გორდეზიანი, ფილოლოგიიის დოქტორი მაია დანელია, ენციკლოპედიის კოორდინატორი: ფილოლოგიის დოქტორი გიორგი უგულავა.

ენციკლოპედია *ანტიკური კავკასია* არა მარტო ქართულ, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში, გარკვეულწილად, იქნება ფუნდამენტური საენციკლოპედიო ხასიათის ვრცელი შემაჯამებელი კვლევითი ნაშრომი, რომელიც ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდის საკითხით დაინტერესებულ ქართველ თუ უცხოელ მკვლევრებს.



ENCYCLOPEDIA *CAUCASUS ANTIQUUS*

Rismag Gordeziani

Encyclopedia *Caucasus Antiquus* aims at collecting and analyzing all available information about the ancient Caucasus, and particularly Georgia, as documented in the ancient sources. The encyclopedia comprises several volumes. The first volume, published in 2010, is a primary source book presenting ancient Near Eastern, Greek and Latin texts with Georgian translations. The first part of the second volume, published in 2014, contains around 500 entries (starting with A). Currently the second part of the second volume with around 450 entries (starting with B to I) is being prepared. Overall, the encyclopedia will contain more than 2000 articles. The last volume will have relevant maps, photos and tables. The project is being implemented by the Institute of Classical, Byzantine and Modern Greek Studies at Tbilisi State University. A number of scholars from other scientific institutions of Georgia are also involved in the project. The editors of the encyclopedia: Professor Rismag Gordeziani and Dr. Maia Danelia. Project coordinator: Dr. Giorgi Ugulava.

საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებების კრებული პირველი მსოფლიო ომი (ანალიზი და ინტერპრეტაცია)

სოფიო ქადაგიშვილი

2015 წლის მწურულს რომის ლა საპიენცაც უნივერსიტეტმა გამოუშვა კონფერენციის მასალები ორ ტომად. ორივე ტომი გამოიცა კემბრიჯის გამომცემლობის მიერ და ასახავს პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც გაშუქებული იყო საპიენცას უნივერსიტეტში 2014 წლის ივნისში პირველი მსოფლიო ომის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციზე. კრებულების რედაქტორები არიან ამავე უნივერსიტეტის პროფესორები – ანტონელო ბიაჯინი და ჯოვანა მოტა.

თავად კონფერენციის შესახებ *ქართული წყაროთცოდნეობის* წინა ტომში გესაუბრეთ (იხ. ქართული წყაროთმცოდნეობა, XV-XVI, გვ. 315-316), ამჯერად კი მინდა წარმოგიდგინოთ ის კრებულები, რომლებიც შედეგია იმ დიდი საქმისა, რომლის ინიციატივა რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტს და მის არაჩვეულებრივ გუნდს ეკუთვნის. კონფერენცია რომ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი იყო ამას კონფერენციის მასალების ორ ტომად გამოქვეყნება და თითოეული ტომის მოცულობა (I ტ. – 415 გვ., II ტ. – 535 გვ.) ცხადყოფს.

ორივე კრებული ასახავს კონფლიქტის თეორიების ახლებურ ხედვებს და ახასიათებს ინტერდისციპლინური, საერთაშორისო და კომბინირებული კვლევის მეთოდებს. სტატიები ეყრდნობა სხვადასხვა საარქივო მასალებს, ისტორიოგრაფიას, ჟურნალების ანალიზს, საფოსტო ბარათებს, პროპაგანდის მასალებს, სასკოლო წიგნების და ისტორიოგრაფიულ-იდეოლოგიური ხსოვნის ანალიზს.

ორივე კრებულში სტატიები განაწილებულია თემატიკის მიხედვით. საერთო ჯამში კრებულები მოიცავს ათ თემატურ თავს. ესენი გახლავთ: თეორია, ისტორიოგრაფია, მახსოვრობა; კომუნიკაცია, პროპაგანდა, პერცეფცია; არმიები ბრძოლაში: სტრუქტურები, ოპერაციები, ინოვაციები; ჯარისკაცები, პატიმრები, მოხალისეები; ერები და უმცირესობები; ინტელექტუალები და ისტორიოგრაფიული დებატი; პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები; ეკონომიკა და ომი; რუსეთი და ოსმალეთის იმპერია; კავკასია და შუა აზია. კრებულს დასკვნის სახით ახლავს ანტონელო ბიაჯინის სტატია ომის შემდგომი რთული პერიოდის შესახებ.

აღსანიშნია ის ფაქტი, რომ რომის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ საკონფერენციო მასალებში უკვე მეორეჯერ იბეჭდება ქართველი მკვლევრების სტატია. პირველი მსოფლიო ომისადმი მიძღვნილ მეორე ტომში დაბეჭდილია თსუ პროფესორის მარიამ ჩხარტიშვილის და თსუ დოქტორანტების სოფიო ქადაგიშვილის და ზურაბ თარგამაძის სტატია თემაზე: *პირველი მსოფლიო ომის იმპულსი ქართული იდენტობის განვითარებაზე*. აღნიშნული სტატია წარმოადგენს ომის წინა და მისი მსვლელობის უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდში ქართული იდენტობის განვითარების თავისებურებებს.





THE PROCEEDINGS OF THE INTERNATIONAL CONFERENCE *THE FIRST WORLD WAR (Analysis and Interpretation)*

Sopio Kadagishvili

The First World War (Analysis and Interpretation) is a proceedings of the international conference published in two volumes. The conference was held at Sapienza University of Rome in June 2014. The conference was dedicated to the hundred years anniversary of the First World War. Papers devoted to various aspects of the war count hundreds of pages. Among them is published the paper by TSU professor – Mariam Chkhartishvili and TSU PhD students – Sopio Kadagishvili and Zurab Targamadze: *Impulse of the Great War on Georgian Identity Development.*

DONALD RAYFIELD, *THE LITERATURE OF GEORGIA. A HISTORY*, 3RD REVISED AND EXPANDED EDITION. London: Garnett Press, 2010, 366 pages.

Keith Hitchins

I make these comments on a new survey of Georgian literature as a historian who studies the rise of the modern nation-state in Eastern Europe, the Near East, the Caucasus, and Central Asia. Along with the political, economic, and social development of the peoples of this Eurasia, I give much attention to cultural and intellectual currents, a knowledge of which is essential if we are to uncover the motivations of leaders and to measure the general climate of opinion of the time. It is with these thoughts in mind that I read Donald Rayfield's welcome history of Georgian literature from early medieval times to the post-Soviet era. He addresses his work both to scholars who know the Georgian language and literature and to a wider readership that includes the English-speaker who is coming to the subject for the first time.

Rayfield divides his narrative into five sections, each of which he characterizes carefully with abundant evidence drawn from the works of leading writers and many others, who, though less noteworthy perhaps, nonetheless cumulatively over time contributed to the creation of a distinctive national literature. Throughout his text he keeps in view broad trends of Georgian literary development, and thus he regularly reminds his readers how Georgian literature was constantly open to the most diverse influences –Byzantine, Arabic, Persian, Russian, French, German, and English–and how it often played the role of cultural intermediary between East and West.

Rayfield designates the period between the 5th and 11th centuries as the Classical Age, a time of beginnings and early masterpieces. He points out that translations in great number, mainly of religious works, laid the foundations of Georgian literature. They came from the monasteries of Jerusalem, Constantinople, Mt. Sinai, and, in the 10th century, Mt. Athos, notably Iviron Monastery, the greatest Georgian center outside Georgia. Almost all the first texts of Georgian literature, Rayfield notes, were translations from the Bible. They provided enormous cultural stimulation for Georgians, and those from Greek, especially, greatly influenced the Georgian language. He further notes the significance of hymns, in the first instance, their contribution to a flowering of lyrical poetry. But he thinks that the translations of the Lives of Saints into Georgian, in particular, led to the appearance of the first genre of original Georgian literature. Indeed, the oldest surviving Georgian literary text is the hagiography, *The Passion of Queen Saint Shushanik*, of the late 5th century. He also links the Georgian chronicles, notably the composite work *The Conversion of Georgia* (9th century) and Leonti Mroveli's *The Life of Kings* (c. 1070), to the emergence of an original prose. Of particular interest here is Rayfield's discussion of the beginnings of secular literature, which he connects to the *Balahvariani*, the Georgian version from the 9th century of *Varlaam and Ioasaphat*, the Christianized account of the life of Buddha originating in India. Partly a romance, partly a hagiography, it is, he argues, a striking example of Georgia's role as a cultural intermediary, since the Greek translation from Georgian was the source of versions in almost every language in Europe. The *Balahvariani* together with Mroveli's chronicle, folklore, the apocrypha, and fantasy in such works as Firdousi's *Shah-nama* helped lay the foundations of a secular literature. As Rayfield puts it, it was part of that crucial shift from the spiritual to the temporal in literature.

The second period of Georgian literature Rayfield calls the Golden Age, which he dates from the 12th century to the 18th. He links the beginning of this creative era to the independence and unity of the Georgian state, which was achieved at the opening of the 12th century. The new political and social order created the atmosphere and material conditions that drew writers and scholars to cultural centers in Georgia and imbued them with the self-confidence to create, Rayfield also calls our attention to a significant change in mental attitude represented by this literature. It replaced the old sentiment that this world was one of suffering and melancholy, which only a devotional literature could relieve, with the affirmation of life as meaningful and even happy and the realization that literature could serve humanity without necessarily being Christian and even religious.

Rayfield joins his Georgian colleagues in recognizing Shota Rustaveli's *The Knight in the Panther Skin* (end of the 12th century) as the most brilliant work of the period and, in his view, the "greatest classic of Georgian secular literature." He thinks it is, in essence, a pagan story, but its references to love and brotherhood seem biblical and its depiction of God as good and the world as treacherous represent a Christian view of things. Rayfield also acknowledges Rustaveli's enormous contributions to the construction of the Georgian poetic language, which, in effect, "gave birth to" the grammar and vocabulary of modern Georgian.

Rayfield identifies as other outstanding poets of the age King Teimuraz I in the 17th century and Davit Guramishvili and Besiki in the 18th. He credits King Teimuraz with establishing the narrative historical poem in Georgian. Steeped in Persian literature and a master of the sounds and rhythms of Georgian, he brought them together to create a body of work that inspired the leaders of the Georgian cultural renaissance in the 19th century to recognize him as their forefather. Rayfield calls Davit Guramishvili, the author of a long cycle of autobiographical poems, the *Davitiani*, Georgia's first modern poet. For his work he drew on Georgian hymns but also on Russian folklore, which provided him with new meters and melodies. Besiki was a cosmopolitan in his education and interests, among them Greek poetry and philosophy, Oriental languages, and French literature. He set the high standard of Romantic verse for later Georgian poets in such works as *I Entered the Garden of Sadness*.

Part three, which Rayfield entitles "Romantic and Civic Literature," covers the 19th century. It is an apt characterization, since the dominant spirit for generations of writers after 1800 was Romantic. It was also a time when Georgian literature expanded contacts with Western Europe, some of them coming through Georgia's connection with Russia. Rayfield thus reminds us of the profound cultural consequences of the Russian annexation of Georgia in 1801, and throughout the chapters he shows how Russian influence exerted itself in diverse ways on individual writers. But he remains committed to the thesis that Georgian literature was a great synthesis of indigenous, Western, and Eastern currents. He finds all these traits, all this openness to new ideas, concentrated in the work of Alexandre Chavchavadze. Deeply affected by his reading of the French Romantics, especially Lamartine and Victor Hugo, he was the first major Georgian Romantic poet who wrote the first radical civic poems in Georgian. Yet, he propagated the themes and moods of Western Romanticism without sacrificing the forms and subject matter that Georgian had drawn from its own sources and from Persian. Rayfield concludes that one of Chavchavadze's great achievements was to "transplant" a Romantic sensibility into a fundamentally Byzantine culture. He also recognizes the accomplishments of other Romantic poets, notably of Grigol Orbeliani, whose ode, *A Toast, or a Night Feast after War near Erevan*, is, he thinks, the essence of Georgian patriotic poetry, and Nikoloz Baratashvili, whose one long poem, *Fate of Georgia*, is a stirring lament for a country burdened with a tragic destiny.

Characteristic of a time of deep cultural change and spirited literary experimentation was the rise of modern Georgian drama. Rayfield recognizes how much it owed to Giorgi Eristavi as the founder and first director of the Georgian theater and the author of its first "actable" comedies. These comedies revealed Russian influence, especially that of Griboedov, but some of them also made plain the author's hostility to Russian rule. In any case, the dialogue was important because it recorded a Georgian that could be heard on the streets of Tbilisi.

Rayfield accords a special place in Georgian literary and social life to Ilia Chavchavadze, whom he treats as the leading representative of the generation of intellectuals born after the conspiracy of 1832. Chavchavadze belonged to the "sons," who were radical or liberal or socialist and were persuaded that literature should be an instrument of social change. Chavchavadze shared his generation's Russian education, and he himself was much in debt to Russian social thought. Rayfield thinks that his greatest prose work is *The Otariani Widow*, a portrait of "tragic endurance." He also recognizes Chavchavadze's other services to Georgian literature, in particular his creation of the language and ethics of intellectual debate and an engaging narrative prose style.

Rayfield devotes the fourth part of his history to Georgian writers' "rediscovery of roots" between 1880 and 1914. He thus involves himself in an inquiry into the nature of Georgian folklore and how it was related to cultivated literature. At the center of his concern is Vazha Pshavela, whose poetry represented a third general current among writers alongside the Realists, who advocated a social role for literature, and the Symbolists, who promoted a philosophy of art for art's sake. Pshavela stood for all that was authentically Georgian in poetry, by which he meant folklore. It was the chief source of his own poetry and an inspiration that he sought to pass on to other writers. From his first poems he combined the folklore and the dialect of his native Pshavia and the highlands of Khevsuretia with the literary traditions of Georgia and Europe. His language was laconic, his narrative style abrupt, and his mood pessimistic. Rayfield judges the high points of his poetry to be *Host and Guest* (1893), an exploration of the clash of the folk traditions of the blood feud and hospitality, and *The Snake-Eater* (1901), a Faust story about the shaman Mindia. Rayfield suggests that a reading of Pshavela's poetry is a productive way of approaching the world of folk poetry, partly Christian and partly pagan, upon which his own career was constructed. But Georgian folk poetry, in turn, especially the heroic poems of the Pshavs and Khevsurs, provides necessary insight into the meaning of Pshavela's work.

Rayfield devotes the fifth and concluding part of his history to the 20th century. He entitles it *The Age of Internationalism* in order to emphasize the diversity of intellectual and artistic currents that attracted Georgian writers. The subtitle, "The Dashing of Hope," suggests the dangers that poets and novelists confronted as they pursued their creative vocation under an arbitrary and often brutal political regime between the 1920s and 1980s. Yet, despite growing constraints on literary experimentation and individual self-expression as the Bolshevik regime took hold in Georgia during the 1920s, Rayfield is able to identify numerous promising initiatives. Among the novelists of the time, he praises the work of Mikheil Javakhishvili, who narrowly avoided execution in 1923 and then in the next six years went on to be

enormously productive. Rayfield discovers his ability as a writer in the merging of two levels of expression: the language of the folk and the standard literary language. These qualities are observable in his most influential novella, *Jaqo's Dispossessed* (1924), which suggests the possibility of a reconciliation between a former landlord and the new collectivist rural world coming into being, and in his master work, the novel *Arsena Marabdali* (1933-36), based on a hero of Georgian folklore, the bandit Arsena. Rayfield also has praise for Konstantine Gamsakhurdia as a great modernist prose writer, who like many of his generation was deeply affected by contacts with Western literature, in his case German Expressionism and French Post-Symbolist prose. After exile on the White Sea he wrote his first socialist novel, *Stealing the Moon* (1933-36), on love and collectivization in Mingrelia and Abkhazia.

Rayfield's measurement of the adaptability of poets to the new cultural order produces somber results. Two examples will suffice. Grigol Robakidze was the leader of the Blue Horns, young innovators during the First World War who *shook Georgian poetry into true modernity*. For them Rimbaud was the master, but they also admired Paul Verlaine and the Russian symbolists. They experimented with Georgian meter, allowing Georgian to attempt the flexible and percussive rhythms of Russian and English verse. Robakidze participated enthusiastically in these experiments. He had as his own models the Russian Symbolist Valerii Briusov and the Acmeist Nikolai Gumiliov, and he was fascinated by both Georgian folklore and Wagnerian myth. Upon learning that the Bolshevik Georgian security apparatus had marked him for elimination, he fled to Germany in 1929. The art of Simon Chikovani, who, Rayfield thinks, is the most original Georgian poet of the 20th century, also ran counter to the objectives of the new Georgian cultural managers. His inventive and musical poetry of the later 1920s, brought together in *Only Poems* (1930), came to an end with the imposition of the Stalinist literary tenets in 1932.

Rayfield indeed devotes a chapter to what he characterizes as "Beria's Holocaust," that is, the destruction of the Georgian literary world after 1927, when Lavrentii Beria became the dominant figure in the Georgian Cheka. He thus provides us with a chilling portrait of a cunning and brutal figure who was determined to subject intellectuals fully to the will of the Party. The main task of poets and novelists, then, as he saw it, was to promote Soviet political and economic objectives and glorify Stalin. He thus actively pursued recalcitrant writers like Robakidze and the Blue Horns. Yet, after Beria's departure for Moscow in 1938 literature remained in thrall to authoritarian principles. Even the death of Stalin in 1953 and the subsequent de-Stalinization process did not bring the emancipation of literature, mainly, Rayfield argues, because the regime in Georgia was anti-intellectual and thus kept writers marginalized. Only with the advent of Eduard Shevardnadze as the head of the Party in 1972 did literature begin to recover the courage and inventiveness that had largely been absent since the 1920s and did the isolation from Europe soften.

As a representative of the "thaw" in literary life in the 1970s Rayfield suggests Otar Chiladze, who contributed greatly to the revival of the Georgian novel. His first novel, *A Man Went Down the Road* (1972-73), draws on Georgian myths and calls on its readers to imagine Georgia at the dawn of its history, while his *The Iron Theater* (1981) analyzes the conflict between art and life and reminds Rayfield of Thomas Mann. Rayfield also admires Guram Dochanashvili, in whose work he detects a style and content beholden to the fairytale, as in his first major novel, *The First Raiment* (1975). Rayfield also calls our attention to the narrative power and the ability "to create legends out of history" of Chabua Amirejibi. He cites as an example *Data Tutashkhia* (1972-1975), the story of a bandit who becomes a force for good, a device that enables the author to confront the Soviet system by defending a free spirit and drawing on the national mythology.

Rayfield offers necessarily tentative judgments about writers who have come to the fore since the "Rose Revolution" of 2003, which brought Mikheil Saakashvili to power in place of Eduard Shevardnadze. He cites Aka Morchiladze as a major talent and typical of his generation's orientation toward English language and literature rather than Russian. He describes his techniques as post-modern in both his most famous novel, *A Journey to Karabakh* (1992), which chronicles the disintegration of an orderly society into anarchy, and his inventive *Down with the Maize Republic* (2003), about Georgian expatriates in London. Another major talent in the making, in Rayfield's view, is the playwright and novelist Lasha Bughadze, who has written plays in English and French, has adapted Goethe's *Faust* to contemporary times, and has shocked the public with his prose, notably the anti-Russian story, "The First Russian." Among women writers Rayfield finds the work of the poet Mara Sarishvili notable for her feminist approach to both literary and public issues, her experiments with meter and rhyme, and her general alignment with the work of women writers elsewhere, especially Sylvia Plath. These and other writers inspire him with hope for the future of Georgian letters.

This history is by far the most authoritative account of Georgian literature in English. It is valuable for Byzantinists and Iranists and, of course, for students of the Caucasus. More broadly, it offers new insights into the literary and cultural expansion of Western Europe in the 19th and 20th centuries as it measures the reception of European ideas and models by Georgian writers. Comparatists will find much stimulation in Rayfield's account of the diverse modern Georgian literary currents and in his treatment of the effects of the Soviet Communist system on Georgian literary life in the 20th century.



დონალდ რეიფილდი, ქართული ლიტერატურის ისტორია. მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა. ლონდონი: გარნეტის გამომცემლობა, 2010 , 366 გვ.

კეიტ ჰიჩინსი

ილინოისის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორი კეიტ ჰიჩინსი გვთავაზობს რეცენზიას დონალდ რეიფილდის წიგნზე: *ქართული ლიტერატურის ისტორია.* რომელიც გამოცემულია 2010 წელს. წიგნი შეეხება ქართული ლიტერატურის ისტორიას ადრეული შუა საუკუნეებიდან პოსტ-საბჭოურ პერიოდამდე. რეცენზენტი აღნიშნავს, რომ დონალდ რეიფილდის წიგნი განკუთვნილია, როგორც ქართული ენის მცოდნე მკვლევრებისთვის, ასევე, ინგლისურენოვან დაინტერესებულ პირთათვის, რომლებსაც პირველად უხდებათ ქართული ლიტერატურის საკითხებთან შეხვედრა. დ. რეიფილდი წიგნს ხუთ მონაკვეთად ჰყოფს, სადაც ფართოდ ჩანს ქართული ლიტერატურის განვითარების ტენდენცია სხვადასხვა ხალხების: ბიზანტიელების, არაბების, სპარსელების, რუსების, ფრანგების, გერმანელების და ინგლისელების გავლენის ფონზე.

რეიფილდი საქართველოს ისტორიაში V და XI საუკუნეებს შორის პერიოდს კლასიკურს უწოდებს. ავტორი ხაზს უსვამს ქართულ სამონასტრო კერებში დაწყებულ მთარგმნელობით სამუშაოებს, რომელმაც ხელი შეუწყო ქართული ორიგინალური ლიტერატურის შექმნას.

ქართული ლიტერატურის მეორე პერიოდს რეიფილდი ოქროს ხანას უწოდებს, რომელიც დაიწყო XII საუკუნიდან და მოიცავს პერიოდს XVIII საუკუნემდე. პოლიტიკურმა ოქროს ხანამ მენტალურად შეცვალა ლიტერატურული აზროვნება, რომელიც კარგად ჩანს შოთა რუსთაველის შემოქმედებაში. ოქროს ხანის ბრწყინვალე შემოქმედებას უწოდებს ავტორი დავით გურამიშვილის და ბესიკის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

წიგნის მესამე ნაწილი დასათაურებულია როგორც *რომანტიკული და სამოქალაქო ლიტერატურა.* 1800 წლიდან ლიტერატურის დომინანტური სული რომანტიკულია და დასავლური ორიენტაციის, რითაც ქართული ლიტერატურა რუსეთის გავლით საზრდოობდა. აქ ავტორი გამოყოფს ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებას. დონალდ რეიფილდი განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას ილია ჭავჭავაძეზე, როგორც ინტელექტუალების ლიდერის როლზე, რომელთა აქტივობა 1832 წლის შეთქმულების შემდეგ იწყება. ი. ჭავჭავაძისთვის ლიტერატურა სოციალური ცვლილების იარაღი გახდა. რეიფილდი *ოთარაანთ ქვრივს,* მოიაზრებს, როგორც ტრაგიკული ამტანობის პორტრეტს.

ქართველი მწერლების ისტორიის მეოთხე ეტაპად რეიფილდი გამოყოფს 1880-1914 წლებს, რასაც მკვლევარი *ფესვების ხელახლად ძიების* პერიოდს უწოდებს. რეიფილდი საუბრობს ვაჟა ფშაველაზე და მის მხატვრულს სტილზე, რომელიც არაერთი ავტორის ინსპირაციის საშუალება გახდა შემდგომ.

ავტორი, დასკვნით anu მეხუთე ეტაპად და *ინტელექტუალიზმის ხანად* მიიჩნევს XX საუკუნეს. აქ ძირითადად საუბარია მ. ჯავახიშვილის და კ. გამსახურდიას შემოქმედებით ღვაწლზე.

ეს ჩამონათვალი, რა თქმა უნდა, ვერ ამოწურავს იმ ავტორებს, რომელნიც განხილული აქვს რეიფილდს თავ-ის წიგნში. ცხადია, მათი რიცხვი და, შესაბამისად, მათი შემოქმედების შეფასებაც უფრო დიდია, ვიდრე რეცენზი-ის ინგლისური და ქართული ვერსიები იტევს. რეცენზენტი აღნიშნულ წიგნს დიდ შეფასებას აძლევს, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიით დაინტერესებულებს შესანიშნავ მასალას აწვდის ინგლისურ ენაზე.

ქრონიკა

CHRONICLE

ჟურნალ *ქართული წყაროთმცოდნეობის* XV-XVI გაერთიანებული ტომის პრეზენტაცია

სოფიო ქადაგიშვილი

2014 წლის 12 დეკემბერს ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გაიმართა სამეცნიერო ჟურნალ *ქართული წყაროთმცოდნეობის* გაერთიანებული – XV-XVI ტომის პრეზენტაცია. პრეზენტაცია ორგანიზებული იყო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე არსებული *ისტორიული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი წრის* მიერ. პრეზენტაციას უძღვებოდნენ ჟურნალის რედაქტორი და ამავდროულად *ისტორიული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი წრის* ხელმძღვანელი მარიამ ჩხარტიშვილი და წრის ხელმძღვანელის მოადგილე, თსუ დოქტორანტი ელზა ხაინდრავა.





ორგანიზატორებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ჟურნალის შედგენის პროცესი და სარედაქციო პოლიტიკა, ასევე წარუდგინეს *ქართული წყაროთმცოდნეობის* ახალი გამოცემა, რომელიც შედგება რამდენიმე განყოფილებისაგან: 1. წყაროთა კრიტიკა და ისტორიული რეპრეზენტაცია. მასში წარმოდგენილია ოცდაშვიდი კვლევითი ხასიათის ნაშრომი. სტატიებს შორისაა წყაროთმცოდნეობითი, ისტორიული, ისტორიოგრაფიული პროფილის გამოკვლევები და წყაროთა პუბლიკაცია; 2. თვალსაზრისი. აქ წარმოდგენილია წერილი სამეცნიერო ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა რეფერირებადი ჟურნალი; 3. წიგნების მიმოხილვა; 4. ქრონიკა. ეს სტატიები მოიცავს სამეცნიერო ღონისძიებების გარკვეული ნაწილის მიმოხილვას; 5. ხსოვნა. ესაა ჟურნალის ემოციურად ყველაზე დამუხტული ნაწილი, თუმცა იგი ამავე დროს ძალიან ინფორმაციულიცაა და ქართული ისტორიული მეცნიერების ისტორიას წარმოადგენს თავისებური რაკურსით.

ავტორები წარმოადგენენ სხვადასხვა კვლევით და სასწავლო დაწესებულებებს. ჟურნალზე გამოხმაურება რომ დიდია, ამას ადასტურებს არა მხოლოდ მისი სარჩევი, არამედ ის დამსწრე საზოგადოება, რომელიც დიდი ინტერესით მოვიდა პრეზენტაციაზე. პროფესორებთან ერთად დარბაზში მრავლად იყვნენ თსუ ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის სტუდენტები.

ჟურნალის წარდგენის შემდეგ აზრის გამოთქმის საშუალება მიეცათ რედკოლეგიის წევრებს, ავტორებს და მოწვეულ სტუმრებს. კერძოდ, აზრი გამოთქვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა გიული ალასანიამ, გიორგი ოთხმეზურმა, გორა ჯაფარიძემ; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა პროფესორებმა გონელი არახამიამ, ეკა კვაჭანტირაძემ, თემო ჯოჯუამ; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა ოთარ ჟორდანიამ, ზურაბ პაპასქირმა, აგრეთვე ლადო მირიანაშვილმა და სხვებმა.

არანაკლებ საინტერესო იყო პრეზენტაციის შემდგომ რედკოლეგიის მიერ სტუმრების არაოფიციალურ გარემოში გამასპინძლება. ამან უშუალო ურთიერთობებს შეუწყო ხელი.

ღონისძიების ორგანიზატორები იმ იმედით დაემშვიდობნენ სტუმრებს, რომ მომავალ წელსაც აღნიშნავენ ჟურნალი *ქართული წყაროთმცოდნეობის* გამოცემას, რომელსაც უკვე საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს.

PRESENTATION OF SCIENTIFIC JOURNAL *GEORGIAN SOURCE-STUDIES* VOLUME XV-XVI, 2013/2014

Sopio Kadagishvili

On December 12, 2014 were presented scientific journal Georgian *Source-Studies* volume XV-XVI,2013/2014. The presentation was initiated by the student research circle *History of History Discipline* of the Faculty of Humanities at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University. The presentation was opened by the editor of journal and also supervisor of *the above mentioned circle* Professor Mariam Chkhartishvili, and deputy supervisor of the circle TSU doctoral student Elza Khaindrava.

Organizers informed the audience about editorial policy and process of gathering articles for the journal. Then new edition of *Georgian Source-Studies* was presented. It consists of several sections: *Source Criticism and Historical Representations* (27 articles in total from different universities and research institutes); *Standpoint*. Here we have an article about *Georgian Academic Environment and Peer Reviewed Journal* written by Professor Mariam Chkhartishvili; *Chronicle* includes reviews of various scientific activities; *In Memoriam*.

Kind regards were expressed by authors, editorial board members and hosts. Among them were Professors Giuli Alasania, Giorgi Otkhmezuri, Gocha Japaridze, Goneli Arakhamia, Eka Kvachantiradze, Temo Jojua, Otar Zordania, Zurab Papaskiri and Lado Mirianishvili.

Not less interesting was informal part of the presentation that encouraged interpersonal relations. Organizators of the event hope that they will arrange presentation for the journal's next volume.

ი.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული *ინტერდისციპლინური ისტორიული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი წრის* 2014-2015 წწ. მუშაობის ანგარიში

ელზა ხაინდრავა

2014 წლის 17 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა სტუდენტური სამეცნიერო წრის დებულება, ხოლო ამავე წლის 2 ივნისს თსუ ჰუმანიტარულ მეციერებათა ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცა ფაკულტეტზე არსებული წრეები და მათი ხელმძღვანელები. უნივერსიტეტში სტუდენტური წრეების საქმიანობის ისტორია, ცხადია, ამ თარიღებით არ იწყება. ეს იყო წრეების მუშაობისათვის გარკვეული ოფიციალური სტატუსის მინიჭება მათი მოტივაციის ამაღლების მიზნით.

თუმცა არის ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებაც: ადრე არსებული წრეები კონკრეტულ სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტებთან იყო ასოცირებული. ახლა დებულებით დაიშვა ინტერდისციპლინური წრეების არსებობაც. დღეს არსებული ვითარებით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე უმეტესობა წრეებისა მაინც კონკრეტულ მიმართულებებს უკავშირდება. სულ რამდენიმეა მათ შორის ინტერდისციპლინური. ერთ-ერთი მათგანია *ისტორიული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი წრე,* რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელია თსუ პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მარიამ ჩხარტიშვილი. ხელმძღვანელის მოადგილე კი ვარ მე – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის *საქართველოს ისტორია* და *წყაროთმცოდნეობა* დოქტორანტი ელზა ხაინდრავა. წრის ადგილსამყოფელია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. დღეისათვის ჩვენ სამეცნიერო წრეს ინტერნეტში აქვს საკუთარი გვერდი, რომლის საშუალებით ხორციელდება წრის წევრებს შორის ინფორმაციის გავრცელება. ინფორმაციას ვდებთ აგრეთვე ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

ამ წრის პრეზენტაცია მოხდა 2014 წლის 11 აპრილს ანუ უფრო ადრე, ვიდრე ფაკულტეტის საბჭოს შესაბამისი დადგენილება იქნებოდა მიღებული. ეს იყო მეტად თავისებური ფორმატის შეკრება, რომელზედაც იმხანად პირველკურსელებმა ნანი მანველიშვილმა, ირაკლი ნოდიამ და ლერი მდინარაძემ წარმოადგინეს ჩვენი უნივერსიტეტის უხუცესი წევრის აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90-ე წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების ამსახველი კრებული და ამავე დროს სტუდენტური სამეცნიერო წრის მიზნები, ამოცანები და მუშაობის უახლოესი გეგმები (ამ ფაქტის შესახებ ვრცლად იხ. *ქართული წყაროთმცოდნეობის* წინა ანუ 2013/2014 წლის გამოშვებაში ს. ქადაგიშვილისა და მ.გუნცაძის ინფორმაცია „წიგნისა და სტუდენტთა სამეცნიერო წრის პრეზენტაცია საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში“, გვ.305-312).

ისტორიული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი წრის პირველი სამუშაო სხდომა ჩატარდა 2014 წლის 10 ოქტომბერს. მოხსენება თემაზე *მასალები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ დასავლეთ ევროპის არქივებში* წაიკითხა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტმა, ბექა კობახიძემ. მომხსენებელმა შემდეგი საკითხები განიხილა: დიდი ბრიტანეთის ეროვნულ არქივში დაცული პირველ რესპუბლიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების სრული კრებული: მინისტრთა კაბინეტის, საგარეო და თავდაცვის სამინისტროების მასალები. ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული საგარეო მინისტრის – ლორდი კერზონის პირადი არქივი. ოქსფორდის ბოდლეინის ბიბლიოთეკაში დაცული, 1919-1920 წლებში სამხრეთ კავკასიაში მისი უდიდებულესობის უმაღლესი კომისრის – ოლივერ უორდროპის პირადი არქივი. ბრიტანეთის სამხედრო მუზეუმში დაცული, 1920-1921 წლებში მის უდიდებულესობის უმაღლესი კომისრის – პოლკოვნიკ სტოქსის პირადი არქივი. ლონდონის ქინგს კოლეჯში დაცული, 1918-1921 წლებში ბრიტანეთის შავი ზღვის ძალების სარდლის – გენერალ ჯორჯ მილნის პირადი არქივი. საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს არქივი/AMAE. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი/SHAT. პროფესორ ილია ტაბაღუას მიერ 1980-იან წლებში რომიდან ჩამოტანილი იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი, რომელიც დღეისათვის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. შეერთებული შტატების მთავრობისა და კონგრესის არქივები. მსოფლიოსა და ქართული ყველაზე დიდი გაზეთების კრებულები New York Times, The Times, Le Temps.

მორიგი სხდომა ჩატარდა 2014 წლის 7 ნოემბერს. მოხსენება თემაზე *რა არის ისტორია?* წაიკითხა თსუ დოქტორანტმა ზურაბ თარგამაძემ. მოხსენების დროს განხილული საკითხები იყო შემდეგი: ისტორიული დროისა და ისტორიული მახსოვრობის კატეგორიები. ტრადიციული ისტორიისა და მეცნიერული ისტორიის ჩამოყალიბებისა და ურთიერთმიმართების საკითხები. ისტორიული ნარატივის პრობლემა. თანამედროვე ისტორიის აქტუალური პრობლემები.



2014 წლის 21 ნოემბერს წრის მორიგ სხდომაზე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტმა, ეთერ მიქაძემ წარმოადგინა მოხსენება *ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონი: წყაროთმცოდნეობითი კვლევა და ისტორიული რეპრეზენტაცია.* მომხსენებელმა, სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, იმსჯელა ბაგრატიონთა დინასტიის დასავლური შტოს წარმომადგენელზე, „უცნობ მეფეზე", რომელიც არ მოიხსენიება ერთიანი საქართველოს მეფეთა ჩამონათვალში, თუმცა იწოდება ერთიანი საქართველოს მეფედ.

2014 წლის 12 დეკემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში *ისტორიული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი წრის* ინიციატივით გაიმართა ჟურნალ *ქართული წყაროთმცოდნეობის* XV-XVI გაერთიანებული ტომის პრეზენტაცია(ვრცლად ამ ფაქტის შესახებ იხ. ამ ტომის ამავე განყოფილებაში ს.ქადაგიშვილის ინფორმაცია)

ისტორიული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი წრის მორიგი სხდომა ჩატარდა 2015 წლის 27 მარტს. მოხსენება თემაზე წინა *აზიის ძველი ენები და მათი შესწავლის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისთვის,* წაიკითხა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტმა ლევან კოჭლამაზაშვილმა. მოხსენებაში განხილული იყო ხათური და ქართველური ენების ურთიერთმიმართების საკითხები. იყო მცდელობა ხსენებულ ენათა გენეალოგიურ კონტექსტში განხილვისა, რაც ქართველოლოგიაში, და საერთოდ, კავკასიოლოგიაში, ერთ-ერთი აქტუალურ საკითხია. ხათურ ლექსიკურ მასალას აღმოაჩნდა ტოლფარდი ძირ-ფუძეები ქართველურ ენებში, რომელთა შედარების შედეგადაც დაფიქსირდა კანონზომიერი ბგერათშესაბამყვისობის ერთიანი წესი, რომელიც ისტორიულად მოქმედებდა ხსენებულ ენობრივ სისტემებს შორის. მოხსენებაში კიდევ ერთხელ გაესვა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მნიშვნელობას საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.

2015 წლის 1 მაისს სამეცნიერო წრის მომდევნო სხდომა. ამჯერად მოხსენება თემაზე *აბრეშუმის გზის ტრანსკულტურული დანიშნულება ჩინეთისთვის* წაიკითხა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის პირველი კურსის სტუდენტმა ოთარ ჭიღლაძემ. მოხსენების მოკლე შინაარსი იყო შემდეგი: აბრეშუმის დიდი გზა იყო ტრანსკონტინენტური სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც თითქმის ორი ათასწლეულის მანძილზე წარმოადგენდა მთავარ მაკავშირებელს შორეულ აღმოსავლეთსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. გარდა სავაჭრო დანიშნულებისა, აბრეშუმის დიდ სავაჭრო გზას ჰქონდა ტრანსკულტურული ხიდის დანიშნულება შორეულ აღმოსავლეთს, ევროპას, ჩრდილოეთ აფრიკასა და აზიის დანარჩენ ნაწილებს შორის. ვაჭრებს და სხვა მოგზაურებს, გარდა საქონლისა გადაჰქონდათ მშობლიური თუ უცხო კულტურის ელემენტები ერთი ადგილიდან მეორეზე. თავის მხრივ, სავაჭრო საქონელიც კულტურის ნაწილი იყო. განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ჩინეთის კულტურის განვითარებაში შემოტანილმა რელიგიებმა: ბუდიზმმა, ქრისტიანობამ, ისლამმა. მათ შორის კი გამოსარჩევია ბუდიზმი. რელიგიებმა თავისი კვალი დატოვეს ჩინურ მსოფლმხედველობაზე, ფერწერაზე, სკულპტურაზე, არქიტექტურაზე, მეცნიერებაზე და ა.შ. მუსიკა, რომელიც ჩინეთში უძველესი დროიდან დიდი პოპულარობით სარგებლობს, აბრეშუმის გზის გახსნის შემდეგ დასავლური ელემენტის აშკარა გავლენას განიცდის. ჯერ კიდევ ახ. წ. მეოთხე საუკუნეში შესრულებულ ფრესკებზე მოკაოს მღვიმეში გამოსახულია სპარსული, ბერძნული და სხვა დასავლური წარმოშობის საკრავი. ღვინო ჩინეთში ჯერ კიდევ 6-7 ათასი წლის წინ ფიქსირდება, მაგრამ ყურძნის ღვინის დამზადების ტექნიკის ინტროდუქცია ჩინეთის ტერიტორიაზე ხდება ძვ.წ. მეორე საუკუნეში ცენტრალური აზიიდან ვაჭრების მეშვეობით. არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აბრეშუმის გზამ ჩინურ არქიტექტურაში ახალი ელემენტების შეტანის მხრივ. ამა თუ იმ კულტურის არქიტექტურული ცოდნა და ტრადიციები ძირითადად რელიგიებს გადაჰქონდათ. ბუდიზმის გავრცელებას თან მოჰყვა ჩინეთში ბუდისტური ტაძრების, პაგოდებისა და კლდეში ნაკვეთი სალოცავების აგება. ისლამისა და ქრისტიანობის გავრცელებამ გამოიწვია ეკლესიისა და მეჩეთის დასავლური სტილის შერწყმა ადგილობრივთან. უძველესი დროიდან ჩინეთსა და დასავლეთს შორის მიმდინარეობდა სამეცნიერო იდეების გაცვლა. ანტიკურ ჩინურ მეცნიერულ აზროვნებაში აშკარად შეიმჩნევა ბაბილონური და თვით შუმერული ცივილიზაციების კვალი, განსაკუთრებით ასტრონომიაში. პროცესი გრძელდებოდა ბერძნული ცივილიზაციის აყვავების პერიოდშიც. სავაჭრო გზების გახსნამ კი საგრძნობლად გააძლიერა ეს პროცესი.

2015 წლის 15 მაისს *ისტორიული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი წრე* მორიგ სხდომას ატარებს. მოხსენება თემაზე *სიზმრები ქართლის ცხოვრებაში და მათი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა* წაიკითხა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის მეორე კურსის სტუდენტმა ნანი მანველიშვილმა. თემა ეხებოდა სიზმრების ფუნქციას წინამოდერნული ეპოქის ისტორიული რეპრეზენტაციებში. მათ მნიშვნელობას ისეთ ისტორიოგრაფიულ წყაროში, როგორიცაა *ქართლის ცხოვრება.* მომხსენებელმა განიხილა სამი სიზმარი: ფარნავაზ მეფის, წმ. ნინოს და ვახტანგ გორგასლის. ნანი მანველიშვილი შეეცადა წარმოეჩინა ავტორის პოზიცია, თუ რისი თქმა სურს მემატიანეს სიზმრების თხრობაში შემოტანით.

2015 წლის 29 მაისს *ისტორიული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი წრის* ფარგლებში გაიმართა თსუ მიზნობრივი სამეცნიერო საგრანტო პროექტის – *ქართველთა კოლექტიური მეხსიერების ხატები ეროვნული*

ისტორიის სახელმძღვანელოების მიხედვით – წინასწარი შედეგების პრეზენტაცია. მომხსენებლები იყვნენ პროექტის მონაწილეები სამაგისტრო პროგრამის „საქართველოს ისტორია" სტუდენტები ნინო ტივაძე, ეთერ მიქაძე, ელა კაკავა და ნინო გოგრიჭიანი.

ისტორიული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი წრის მორიგი სხდომა ჩატარდა 2015 წლის 23 ოქტომბერს, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტმა სოფიო ქადაგიშვილმა გააკეთა მოხსენება თემაზე *ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებების შესწავლა ისტორიოგრაფიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში.* მოხსენება მიზნად ისახავდა თანამედროვე ეტაპზე დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში ჰაგიოგრაფიის კვლევის ძირითადი ტენდენციების ჩვენებას. ამ მასალის ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ ქართული ჰაგიოგრაფიის სპეციფიკური თუ უნივერსალური ნიშნები. წარმოდგენილი მოხსენება ეფუძნებოდა შესაბამისი დარგის უახლეს ინგლისურენოვან ლიტერატურას.

მიმდინარე წლის 6 ნოემბერს წრის მორიგ სხდომაზე მოხსენება თემაზე *XVIII საუკუნის ქართული საისტორიო მწერლობა და მისი კონცეპტუალური გააზრებანი ქართულ ისტორიოგრაფიაში* წაიკითხა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტმა ზურაბ თარგამაძემ. მოხსენება აღწერდა საბჭოური პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ძველი ქართული საისტორიო მწერლობის შესწალის მდგომარეობას. განსაკუთრებით გამოკვეთა მომხსენებელმა ისტორიული რეპრეზენტაციისას ავტორიტეტის პრობლემა. ავტორიტეტის დამოწმება ზოგჯერ გამოიყენებოდა, როგორც არგუმენტი.

წრეზე წაკითხული მოხსენებები ყოველთვის იწვევდა მსმენელთა დიდ ინტერესს. ყოველი მოხსენების შემდგომ იმართებოდა დისკუსია.

წრემ მოამზადა ძალიან საინტერესო სამეცნიერო-შემეცნებითი პროექტიც *წარსულის რეპრეზენტაცია სომხეთში: ვიზუალური მონუმენტები* (ავტორები მარიამ ჩხარტიშვილი, ელზა ხაინდრავა), რომელიც წარდგენილი ჰქონდა კიდეც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბიუჯეტო კომისიაში სათანადო დაფინანსების მოპოვების მიზნით. სამწუხაროდ, კომისიამ ამ პროექტს მხარი არ დაუჭირა. მიზეზად დასახელდა წლის მეორე ნახევარში შესაბამისი თანხების არქონა. თუმც კომისიამ დააფინანსა სხვა პროექტი, რომელიც წარადგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთ-ერთმა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა. ამ გადაწყვეტილებამ ყველას ძალიან დაგვწყვიტა გული, მაგრამ მოგვცეს იმედი, რომ სამომავლოდ ჩვენს პროექტსაც დააფინანსებენ.

ასეთია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტეზე არსებული ინტერდისციპლინური *ისტორიული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი წრის* ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის მოკლე ანგარიში.

ANNUAL REPORT OF THE INTERDISCIPLINARY *STUDENT RESEARCH CIRCLE HISTORY OF HISTORY DISCIPLINE*

Elza Khaindrava

The Interdisciplinary *Student Research Circle History of History Discipline* started formal functioning after March 14, 2014 when Ivane Javakhishvili Tbilisi State University academic council approved regulation on student research circles and later on, namely, July 2, 2015 on a ground of this regulation there were established research circles at the Faculty of Humanities, among them interdisciplinary circle *History of History Discipline*. It is coordinated by Professor Mariam Chkhartishvili. PhD student Elza Khaindrava assists Professor Chkhartishvili. The *Circle* was presented before its official approval at the presentation of book dedicated to the 90th anniversary of Academician Mariam Lordkipanidze. During the year the circle initiated ten seminars and one research project.

ვილანოვას უნივერსიტეტის პროფესორის ვიზიტი საქართველოში

მარიამ ჩხარტიშვილი

ვილანოვას უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორ ქრისტოფერ ჰაასს ვიცნობ უკვე მრავალი წელია. თუ არ ვცდები, ჩვენ პირველად 2001 წელს შევხდით. იმ ხანად ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ვმუშაობდი და ამავე დროს ვთანამშრომლობდი საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრში, რომლის დაფუძნების ერთ-ერთი ინიციატორი გახლდით და რომლის ოფისი სწორედ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის იმ ოთახში იყო, სადაც დღეს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილებაა განთავსებული.

როგორც აღნიშნული ცენტრის გამგეობის წევრთან ჩემთან შესახვედრად მოვიდა პროფესორი ჰაასი. იგი მოიყვანა ამერიკაში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ, პროფესიით მხატვარმა ნიკო ჩოჩელმა. პროფესორი ჰაასი ანტიკურობის მკვლევარია. მანამდე კავკასიის ან, კონკრეტულად, საქართველოს ისტორიასთან შეხება არ ჰქონია, მაგრამ როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანს ძალიან აინტერესებდა საქართველო.

ეს იყო პროფესორ ჰაასის პირველი ვიზიტი საქართველოში. ის ოჯახით სტუმრობდა ჩვენს ქვეყანას და მე მქონდა ბედნიერება მასთან ერთად გამეცნო მისი მეუღლე და მათი უფროსი ვაჟიშვილი.

ბატონი ჰაასი უაღრესად კომუნიკაბელური პიროვნებაა და მასთან საუბარი ძალიან უშუალოდ და სასიამოვნოდ წარიმართა. პირველი შეხვედრისთანავე ჩვენ ერთობლივი მუშაობის გარკვეული გეგმები დავსახეთ. ის ბევრს მეკითხებოდა ქრისტიანული საქართველოს ისტორიის შესახებ. ვცდილობდი ამომწურავი პასუხების გაცემას. მე მას ვაჩუქე აღნიშნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმის *ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი* მასალები (International Symposium *Christianity: Past, Present, Future*, Georgia, Tbilisi, October 11-17, 2000. Short contents of the papers. Edited by Mary Chkhartishvili and Lado Mirianashvili, Tbilisi: Mematiane, 2000). ცენტრის დაფუძნება სწორედ ამ სიმპოზიუმზე გადაწყდა. მახსოვს თავად მაჩუქა ძალიან საინტერესო და მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული მსხვილტანიანი მონოგრაფია: Christopher *Haas. Alexandria in Late Antiquity: Topography and Social Conflict*, 1997, რომელიც წარმოადგენს ანტიკურობის ურბანული ისტორიის რეპრეზენტირების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს.





რამდენიმე წლის შემდეგ მას კვლავ შევხდი საქართველოში ორგანიზებულ ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე. ამ ჯერზეც ძალიან თბილი იყო ჩვენი შეხვედრა. მახსოვს მაჩუქა თავისი საინტერესო

ნაშრომი *Mountain Constantines: The Christianization of Aksum and Iberia*. აქ ჩემი მისდამი უმნიშვნელო დახმარება საგანგებოდ აქვს აღნიშნული მადლიერების გამომხატველი სიტყვებით.

მერე როგორღაც შენყდა ჩვენი ურთიერთობები და აი, ამ ორიოდე წლის წინ აღნიშნული ურთიერთობა გამახსენა მისმა სტატიამ მეტად საინტერესო კრებულში: Christopher Haas. *Geopolitics and Georgian Identity in Late Antiquity: the Dangerous World of Vakhtang Gorgasali* in T. Nutsubidze, C. Horn, and B. Lourié, eds., Philalethes: Patristic, Philosophical, and Georgian Studies in Honor of Shalva Nutsubidze's 125th Anniversary (Brill, 2014), pp. 29-44. თითქმის ამ ფაქტის თანადროულად მისგან დამეგობრების მოწვევა მივიღე ფეისბუქზე და ამის შედეგად საინტერნეტო სივრცეში ჩვენი შეხვედრები ინტენსიური გახდა. სწორედ ამ დროს მან გამანდო, რომ ძალიან ენატრება საქართველო. ამასთან წერს ნაშრომს ანტიკურ პერიოდში კავკასიაში არსებული იდენტობების შესახებ. ამიტომ მისთვის აუცილებელია ქართველ კოლეგებთან და, პირველ რიგში, ჩემთან შეხვედრა. მკითხა, ხომ ვერ დავეხმარებოდი ვიზიტის ორგანიზებაში. მე, ჩემის მხრივ, დახმარებისათვის მივმართე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ დარეჯან თვალთვაძეს. მან მოწვევის წერილი გაამზადა პროფესორ ჰაასისათვის. ამ წერილში ქალბატონი დარეჯანი წერდა, რომ პროფესორ ჰაასის ვიზიტი საჭირო და აუცილებელია ჩვენი სამეცნიერო წრეებისა და სტუდენტებისათვის. წერილი ამერიკაში ქართულ ენაზეც გავაგზავნეთ ინგლისურ ვარიანტთან ერთად. ასეთი იყო თავად პროფესორ ჰაასის სურვილი. ეს სურვილი მან იმით ამიხსნა, რომ სჯეროდა, სათანადო შინაარსსა და დასაბუთებასთან ერთად ულამაზესი ქართული ანბანი დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა გრანტების გამცემ ორგანიზაციების მესვეურებზე. ეს იყო მიზეზი თუ სხვა რამ, პროფესორმა ჰაასმა სათანადო გრანტი, მართლაც, მოიპოვა და მთლიანად თავისი დაფინანსებით ჩამოვიდა საქართველოში. ამ მხრივ, ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ დავეხმარეთ მას. თუმც, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, ყოველნაირად შევეცადეთ, რომ ეს ვიზიტი ჩვენი სტუმრისათვის მრავლისმომცემი ყოფილიყო არა მარტო მეცნიერული თვალსაზრისით, არამედ სასიამოვნოც. გავუსწრებ მოვლენებს და ვიტყვი, რომ, როგორც მისი ვიზიტის შემდგომი წერილებიდან ჩანს, მასპინძლებს კარგად გამოგვივიდა ამ მიზნის განხორციელება. ის შთაბეჭდილებებით აღსავსე დაბრუნდა სამშობლოში. და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ პირადად მე და სხვა ქართველმა კოლეგებმაც ყველა იმ ღონისძიებით, რომელშიც პროფესორი ჰაასი მონაწილებდა, უაღრესად ვისიამოვნეთ ინტელექტუალურად თუ ემოციურად.

მართალია, პროფესორი ჰაასი ჩვენი უნივერსიტეტის მოწვევით ჩამოვიდა საქართველოში, მაგრამ ჩვენ არ ვიყავით აქ მისი ერთადერთი მასპინძლები. სამეცნიერი სივრცეში მის მასპინძელს აგრეთვე წარმოადგენდა ილიას უნივერსიტეტი და, კონკრეტულად, ამ უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ეკა ჭყოიძე. აკადემიური სივრცის მიღმა მას მეურვეობდნენ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლების და ქართული კულტურის მოღვაწენი. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ პროფესორმა ჰაასმა ბევრი იმოგზაურა საქართველოში და მოინახულა თითქმის ყველა ის ადგილი, რომელიც მანამდე ნანახი არ ჰქონდა და მის ოცნებას წარმოადგენდა.

პროფესორი ჰაასი საქართველოში ჩამოვიდა მიმდინარე წლის მაისის ბოლოს. პირველი შეხვედრა მას ჰქონდა ჩემთან და ჩემი სადოქტორო პროგრამის *საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა* ორ

სტუდენტთან: სოფიო ქადაგიშვილთან და მანუჩარ გუნცაძესთან. ამჯერად ჩვენ პროფესორ ჰაასს შევხდით, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის *ქართველოგიური კვლევების ინსტიტუტის* გამგეობის წევრები. ეს შეხვედრა იყო არაფორმალური. ჩვენ „ხინკლის სახლში" მივიწვიეთ სტუმარი ქართული სამზარეულოს დასაგემოვნებლად. აქ ბევრი ვისაუბრეთ მეცნიერებაზე, სამეცნიერო კონტაქტების მნიშვნელობაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ვილანოვას უნივერსიტეტს შორის სწავლებისა და ადმინისტრირების მსგავსება-განსხვავებებზე. ვიხუმრეთ, ვიხალისეთ. პროფესორ ჰაასს არ გასჭირვებია საერთო ენის გამონახვა ახალგაზრდებთან. ის, როგორც ყოველთვის, ახლაც უშუალო და მეტად საინტერესო მოსაუბრე იყო.

ამ დროს მე უკვე შეთანხმებული ვიყავი თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეკისტიკის ინსტიტუტის დირექტორ პროფესორ რისმაგ გორდეზიანთან, რომ პროფესორი ჰაასი ლექციას წაიკითხავდა ამ ინსტიტუტის სემინარის სხდომაზე. 4 ივნისს, მართლაც, ჰაასი წარსდგა ქართველი აუდიტორიის წინაშე *ლექციით კულტურული იდენტობის ნავიგაცია რომსა და სპარსეთს შორის.* აუდიტორია სავსე იყო. ბატონმა რისმაგმა სხდომა გახსნა. მოკლე ინფორმაციისთვის მე გადმომცა სიტყვა. ჩვენი კოლეგის ლადო მირიანაშვილის მაღალი რანგის თარჯიმნობამ დიდად შეუყო ხელი მოხსენების გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლას. სემინარის შემდგომ ბატონმა რისმაგმა პროფესორი ჰაასი, მე და კიდევ რამდენიმე კოლეგა მიგვიწვია სავახშმოდ რესტორან „ბეღელში". სუფრას თავად ბატონი რისმაგი გაუძღვა. ეს იყო ნამდვილად დასამახსოვრებელი საღამო სავსე აკადემიზმით, და, ამავე დროს, ლაღი იუმორით. ამჯერადაც, სამეცნიერო პრობლემების შესახებ ბევრი ითქვა და უაღრესად საინტერესო აზრთა გაცვლა-გამოცვლას ჰქონდა ადგილი.

8 ივნისს უკვე ილიას უნივერსიტეტში ჩაატარა პროფესორმა ჰაასმა ლექცია შუა საუკუნეების კვლევების ფარგლებში. ამ ლექციის სათაური იყო *შუქურის ანარეკლი: ანტიკური ალექსანდრიის ისტორიული სურათი.*

შემდეგ ამერიკელი პროფესორი გარკვეული პერიოდით საქართველოს სხვადასხვა კუთხის დასათვალიერებლად გაემგზავრა. იქიდან დაბრუნებული ის თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში მივიწვიე და ინსტიტუტის დირექტორს პროფესორ თედო დუნდუას გავაცანი. ქართველ და ამერიკელ კოლეგებს შორის უმალ ჩამოყალიბდა ძალიან უშუალო დამოკიდებულება. პროფესორმა თ. დუნდუამ სტუმარს საკუთარი ნაშრომები უსახსოვრა და იქვე გადაწყდა, რომ ამერიკელი მეცნიერის მონაწილეობით ჩაგვეტარებინა თემატური სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციის სახელწოდებად ერთობლივი განსჯის შედეგად შევარჩიეთ შემდეგი სათაური: *Georgia Between the Empires before the Coming of Islam.*

26 ივნისს თსუ პირველი კორპუსის 212-ე აუდიტორიაში ჩატარდა ინგლისურენოვანი თემატური სამეცნიერო კონფერენცია. მასში პროფესორ ჰაასის (მან წარმოადგინა მოხსენება თემაზე Cultural Identity in Late Antiquity: Comparativist Perspective) გარდა ხუთმა მომხსენებელმა მიიღო მონაწილეობა. კერძოდ, ესენი იყვნენ: მარიამ ჩხარტიშვილი (Forging Georgian Identity in Late Antiquity: Myth of Ethnic Election), თედო დუნდუა (Georgia – Colchis and Iberia – Between the Empires as Seen in Coinage), ნინო სილაგაძე (Georgia – Iberia – Between the Empires as Seen in the Fine Arts). ლერი თავაძე (Gubaz II, King of Lazica, and Imperial Silentiarios of

Byzantium), ემილ ავდალიანი (Sasanian Empire: Strategy for Global Dominance). კონფერენცია ძალიან საინტერესო იყო არა მარტო წარმოდგენილი მოხსენებებით, არამედ დებატების კუთხითაც. ამ კონფერენციის შესახებ უფრო ვრცლად მკითხველს შეუძლია იხილოს ლ. თავაძისა და თ. დუნდუას საინფორმაციო წერილში (იხ. „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია Georgia Between the Empires before the Coming of Islam (თბილისი, თსუ, 2015 წლის 26 ივნისი)", რომელიც გამოქვეყნდა თსუ საქართველოს ინსტიტუტის „შრომების" მეცხრე ტომში, 2014-2015, გვ.381-384). პროფესორი ჰაასმა ყურადღებით მოისმინა ყველა მოხსენება და არაერთი საკითხისადმი საკუთარი დამოკიდებულება დააფიქსირა.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ პროფესორმა თედო დუნდუამ პროფესორი ჰაასი რამდენიმე კოლეგასთან ერთად რესტორანში მიგვიწვია. კონფერენციაზე დაწყებული საუბარი აქ გაგრძელდა არა-ფორმალურ ვითარებაში. ბევრი საინტერესო ითქვა და სამომავლო თანამშრომლობის ფართო პერსპექტივებიც გამოიკვეთა.

საქართველოდან გამგზავრების შემდეგ ფეისბუქის გვერდზე პროფესორმა ჰაასმა გამოაქვეყნა ინფორმაცია სამხრეთ კავკასიაში (ერთი კვირით ის სომხეთშიც იმყოფებოდა) მისი ვიზიტის შესახებ. ამ ინფორმაციაში, რომელშიც კოლეგებისადმი მადლობის სიტყვებს უმთავრესი ადგილი ეთმობა, ნათლად ჩანს, რომ მისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო. ქართველი კოლეგების სახელით იგივეს დავადასტურებ მეც. დიდი მადლობა პროფესორ ქრისტოფერ ჰაასს, რომ მან თავის შემოქმედებას გვაზიარა და მის პიროვნებასთან დაახლოების საშუალება მოგვცა.

ამგვარად, მიმდინარე წლის ზაფხულში პროფესორ ჰაასის თითქმის ერთთვიანი ვიზიტი საქართველოში ნაყოფიერი გამოდგა. ის ნამდვილად ხელს შეუწყობს სამეცნიერო კონტაქტების და მეცნიერებს შორის ადამიანური ურთიერთობების (რაც ცხადია, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია) შემდგომ გაღრმავებას.

VILLANOVA UNIVERSITY PROFESSOR'S VISIT TO GEORGIA

Mariam Chkhartishvili

At the beginning the author of the information – The Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professor Mariam Chkhartishvili recalls her first meeting with Villanova University Professor Christopher Haas in 2001: his fascination by Georgian culture and great interest in Georgia history; she mentions some of his main contributions including those devoted to Georgian history and then represents his recent visit to Georgia in June, 2015. Professor Haas delivered two lectures: first – *The Navigation of Cultural Identity between Rome and Persia* to the seminar of the Institute of Classical, Byzantine and Modern Greek Studies at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University; another one – *The Historical Image of Alexandria* was given at Ilia State University. Professor Haas participated to the conference *Georgia between the Empires before the Coming of Islam* held by the Ivane Javakhishvili Tbilisi State University Institute of Georgian History. Alongside with academic activities Professor Haas made sightseeing, visited many regions of Georgia, met colleagues and gained new friends. This was definitely fruitful visit for both sides: it has deepened contacts and intensified personal relations between academics.

საერთაშორისო კონფერენცია:
მოდის ისტორია: ტანისამოსი, სიმბოლოები, კომუნიკაცია
რომი, 2015, ლა საპიენცას უნივერსიტეტი

სოფიო ქადაგიშვილი

რომის ერთ-ერთმა ძველმა ლა საპიენცას უნივერსიტეტმა არ უღალატა წინა წლების ტრადიციას და 2015 წლის ზაფხულშიც გახდა ორგანიზატორი საერთაშორისო კონფერენციისა, სადაც ასობით მომხსენებელმა მიიღო მონაწილეობა. კონფერენცია გაგრძელდა ორ დღეს. მოხსენებები გადანაწილებული იყო 20 და 21 მაისის სესიებზე. კონფერენციის თემატიკა გახლდათ *მოდის ისტორია: ტანისამოსი, სიმბოლოები, კომუნიკაცია.* ღონისძიების მიზანი იყო დებატების გამართვა მოდასა და საზოგადოებას შორის მიმართებაზე ისტორიული განვითარების პროცესში ინტერდისციპლინური კვლევების კონტექსტში. ყველა ეპოქაში მოდა საზოგადოების პროდუქტია, თუმცა ამავე დროს ის სიმბოლური გამომხატველია საზოგადოებისა, რომელზე დაკვირვებაც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის. აქედან გამომდინარე, კონფერენციისთვის პრიორიტეტული იყო ინტერდისციპლინური კვლევების და ინტერნაციონალური ურთიერთობების გაზრდა, სხვადასხვა ცოდნის და კვლევის მეთოდების თავმოყრა, რომელიც გააღრმავებდა სოციალური ისტორიის გაგებას ტანისამოსთან მიმართებაში. სწორედ ამის გამო, კონფერენციამ უზრუნველყო სხვადასხვა ქვეყნის პროფესორებისა თუ დოქტორანტების გაერთიანება, რომლებიც სხვადასხვა დარგებიდან: ისტორიიდან, სოციოლოგიიდან, ფილოსოფიიდან, ფსიქოლოგიიდან, ეკონომიკიდან, ინფორმაციული ტექნოლოგიებიდან, ლიტერატურიდან ამდიდრებდნენ კონფერენციის თემატიკას.

სესიები თემატურობის მიხედვით იყოფოდა პანელებად. ყოველ სესიას ჰყავდა თავმჯდომარე და დისკუსანტი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ დებატების გამართვას და მომხსენებლებისათვის აკადემიური გარემოს შექმნას. სესიები დალაგებული იყო საკვანძო სიტყვების მიხედვით: მოდის ისტორია; ეკონომიკა და მარკეტინგი; ესთეტიკა და კომუნიკაცია; ქსოვილები და მოდის ტექნიკა; უნიფორმები და თეატრალური ტანისამოსი. კონფერენციას ჰყავდა საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტი. საორგანიზაციო კომიტეტი მოიცავდა ოცდაცხრა წევრს, იტალიის, საფრანგეთის უნივერსიტეტებიდან, ასევე სან პაულოს, პერუს, ლიონის უნივერსიტეტებიდან. აღსანიშნია, რომ წლებია რაც ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი უცხოელ კოლეგებთან ერთად წარმოადგენს კონფერენციის სამეცნიერო საბჭოს, რაც ქართულ-იტალიურ სამეცნიერო ურთიერთობებს უფრო მჭიდროს და ინტენსიურს ხდის.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი დიდ ყურადღებას ამახვილებდა კონფერენციაში დოქტორანტების და პოსტდოქტორანტების ჩართვაზე. სწორედ სამეცნიერო ინტერესებიდან გამომდინარე მათთვის საკონფერენციო გადასახადის ნახევარი იყო დაწესებული. ძირითადი საკონფერენციო ენა იყო ინგლისური, თუმცა მონაწილეების მოთხოვნის შესაბამისად არსებობდა იტალიური და ფრანგულენოვანი სესიებიც.

მრავალეროვანი მომხსენებლებთან ერთად კონფერენციის მონაწილეებს შორის იყვნენ ქართველი მომხსენებლებიც. 20 მაისს კონფერენციის დამსწრე საზოგადოებამ და მონაწილეებმა მოისმინეს ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილის და დოქტორანტების სოფიო ქადაგიშვილის და ზურაბ თარგამაძის ერთობლივი მოხსენება, რომელიც ეხებოდა ეროვნულ ტანისამოსს, როგორც ავთენტურობის გამოხატულებას ქართულ ნაციონალისტურ დისკურსში. მეორე დღეს ამავე უნივერსიტეტის პროფესორმა ეკა ლეკაშვილმა, თანამომხსენებლებთან ლია ლურსმანაშვილთან და ეკატერინე ტუხაშვილთან ერთად წარადგინეს მოხსენება: *აბრეშუმის პროდუქცია საქართველოში: ისტორია და განვითარების შესაძლებლობები.*

კონფერენციის პირველი დღეს გაიმართა მეგობრული ვახშამი, ხოლო მეორე დღეს პლენარული სხდომით დაასრულა კონფერენციის სულისჩამდგმელმა და ორგანიზატორმა, ლა საპიენცას უნივერსიტეტის პროფესორმა ჯოვანა მოტამ. მან შეაფასა ორდღიანი მუშაობა და იმედი გამოთქვა მომავალი თანამშრომლობისათვის. ორგანიზატორები მომხსენებლებს დაპირდნენ, რომ, როგორც წინა წელს, ამჯერადაც კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები კრებულად გამოიცემა Cambridge Publisher-ის მიერ.

INTERNATIONAL CONFERENCE: *FASHION THROUGH HISTORY COSTUMES, SYMBOLS, COMMUNICATION* Sapienza University of Rome, 2015

Sopio Kadagishvili

Sapienza University of Rome once again hosted international conference entitled: Fashion Through history: Costumes, Symbols, Communication. The conference was hold on May 20 and 21, 2015 at different buildings of Sapienza University of Rome. The conference intended to open a debate on the relation between fashion and society through history, analyzed in the context of an intensely interdisciplinary research. The conference program included both plenary sessions and thematic ones divided into panels, with a chair, a discussant and at least three speakers. In this years as well as last ones conference had organizing and scientific committees, among them is Professor Mariam Chkhartishvili, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Conference opened on 20th of July. At the same day was presented joint project of TSU professor Mariam Chkhartishvili and PhD students: Sopio Kadagishvili and Zurab Targamadze: *National Dress as an Expression of Authenticity in the Georgian Nationalistic Discourse*. On the next day TSU associated Professor Eka Lekashvili along with co-authors, Lia Lursmanashvili and Ekterine Tukhashvili read their paper *Silk Production in Georgia: History and Development Opportunities*.

The conference ended with final session leaded by the scientific director of the conference Professor Giovanna Motta. It was productive meeting of researchers from various countries as the organizers are planning to publish the proceedings of the conference.

მედიევისტიკის საერთაშორისო კონგრესი
დიდი ბრიტანეთი, ლიდსი, 2015, 6-9 ივლისი

მარიამ ჩხარტიშვილი
სოფიო ქადაგიშვილი

მედიევისტიკის საერთაშორისო კონგრესი (International Medieval Congress – IMC) არის ყოველწლიური წარმომადგენლობითი სამეცნიერო ფორუმი, რომელიც ტარდება 1994 წლიდან. მისი ორგანიზატორია ლიდსის უნივერსიტეტის შუა საუკუნეების კვლევების ინსტიტუტი. აღნიშნული კონგრესის მესვეურები ცდილობენ ევროპული შუა საუკუნეების კვლევების ყველა სფეროში ინტერდისციპლინური დისკუსიის შესაძლებლობა შექმნან. ყოველი კონგრესი თავისი კონკრეტული ფოკუსით განსხვავებულია. 2015 წლის კონგრესის სახელწოდება იყო „რეფორმები და განახლება". ეს თემა აერთიანებს მედიევალურ და თანამედროვე მოვლენებს და მათ გავლენას ადამიანური გამოცდილების ბევრ ასპექტზე.

IMC კონგრესების მონაწილეთა რიცხვი საკმაოდ დიდია, ჩვეულებრივ რამდენიმე ასეულს აღწევს. ამავე დროს ესაა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ტრადიციის მქონე სამეცნიერო კონგრესები. 2015 წელს ჩატარებული კონგრესი, სამეცნიერო დონის თვალსაზრისით, ცხადია, არ იყო გამონაკლისი. იგი ოთხ დღეს გაგრძელდა და IMC-ს ისტორიის მანძილზე მონაწილეთა რეკორდული რაოდენობა (2000) მოიცვა. ჩატარდა რამდენიმე ასეული (653) სესია. სესიებს შორის იყო შემდეგი მიმართულებები: საერო და რელიგიური, სივრცული და რიტუალური რეფორმები; უთანხმოება, კულტურათშორისი პერსპექტივები, მედიევალისტი ისტორიოგრაფების ხედვა რეფორმებზე, ასევე რეფორმებზე პოსტმედიევალისტური პერსპექტივები; რეფორმების არტისტული და ლიტერატურული გამოხატვა და ცოდნის რეფორმები.

საორგანიზაციო კომიტეტმა განსაზღვრა დისკურსის შემდეგი პრობლემები: რეფორმების გამართლება მმართველი ან დისიდენტური ჯგუფების მხრიდან; რეფორმების მახსოვრობა, ისტორიოგრაფიული დასაბუთება; რეფორმების გამართლება და განახლება: მედიევალური კომენტარები და თანამედროვე კვლევა; რეფორმები და განახლებები იმ კონტექსტში, რომელიც აღწერს ცვლილებას სხვადასხვა პერიოდის, რელიგიის და ადგილმდებარეობის მიხედვით; რელიგიური და იდეოლოგიური განახლებები და სხვ. ეს გახლავთ მცირე ჩამონათვალი კონგრესის წინასწარგანსაზღვრული თემატიკისა, რომელიც რეალურად აერთიანებდა შუა საუკუნეების და თანამედროვეობის კავშირებს დროსა და სივრცეში, აერთიანებდა უამრავი ქვეყნის გამოცდილებას და კვლევას, ხელს უწყობდა ინტერდისციპლინურობას და პრობლემის ინტერნაციონალიზაციას.

ამავე დროს გაიმართა არაერთი მრგვალი მაგიდა, ვორქშოფი და სხვადასხვა, მათ შორის, თეატრალიზებული ღონისძიება, სესიების გარდა, თითქმის ყოველდღე იმართებოდა ლექციები სხვადასხვა თემაზე და ტარდებოდა ღონისძიებები. კონგრესის ოთხივე დღეს უნივერსიტეტის ფოიეში ეწყობოდა წიგნების ყიდვა-გაყიდვა, იმართებოდა გასართობი და შემეცნებითი სანახაობები, რომლებიც შუა საუკუნეების ინგლისის სულისკვეთებას წარმოაჩენდნენ. ხდებოდა საიუველირო ნაწარმის, ეროვნული ტანისამოსის თუ საჭმლის გამოფენა-გაყიდვა. სპეციალურად მომხსენებლებისათვის დაიგეგმა ექსკურსიები, როგორც ლიდსში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

კონფერენციის ენა იყო ინგლისური. ყოველი სესია დაკომპლექტებული იყო სამ-სამი მოხსენებით, რომელთაც კოორდინირებას უწევდა მოდერატორი.

კონფერენციის პირველ დღეს ანუ 6 ივლისს მოხსენება წარმოვადგინეთ ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა და ამავე უნივერსიტეტის დოქტორანტმა სოფიო ქადაგიშვილმა. მოხსენების სათაური იყო *დავით აღმაშენებელი შუა საუკუნეების* და *თანამედროვე ნარატივებში (David the Builder in Medieval and Modern Narratives)*. სექცია, რომელზედაც ჩვენ წარმოვადგინეს მოხსენება იწოდებოდა ასე: Reforming Medieval and Modern Views of the Medieval Past.

ჩვენი მოხსენება ეძღვნებოდა დავით აღმაშენებელს და მის ეპოქას ანუ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთ ყველაზე კარგად შესწავლილ ეპოქას, მაგრამ ჩვენი მიდგომა იყო ახალი, კერძოდ, ჩვენ თავიდან ყურადღება გავამახვილეთ ისტორიული მეხსიერების ფენომენზე. ისტორიისა და კოლექტიური მეხსიერების ურთიმიმართება მრავალი მეცნიერის ყურადღებას იპყრობს მთელს მსოფლიოში. ამ საკითხს ეძღვნება არაერთი თეორიული გამოკვლევა. ეს ძიებანი ეფუძნება სხვადასხვა ისტორიულ გამოცდილებას და შედეგად გვაქვს ღრმა, როგორც კონკრეტული, ისე ზოგადი ხასიათის დასკვნები. ჩვენი მოხსენება წარმოადგენდა მცდელობას აღნიშნული საზოგადო პრობლემა გამოკვლეულ ყოფილიყო ქართული მაგალითის საფუძველზე. ამისათვის ჩვენ შევარჩიეთ XI – XII საუკუნეების საქართველო და მეფე დავით აღმაშენებელი. მეფე დავითი, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა მან ჩაიბარა დასუსტებული ქვეყანა. გარდაცვალების მერე კი მან დატოვა ძლიერი სახელმწიფო, ფაქტობრივად, ქართული იმპერია. ქართული სამეფოს პოლიტიკურ აღმასვლას თან სდევდა კულტურული მიღწევები. ეს ტრანსფორმაცია შედეგი იყო

იმ ინოვაციებისა, რომლის ინიცირება მოახდინა მეფე დავითმა სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში: სახელმწიფოს ადმინისტრაციული სტრუქტურა, სასამართლო, არმია, ეკლესია, განათლების სისტემა, საფინანსო სისტემა რეფორმირებულ იქნა. მოხსენებაში ჩვენ მხოლოდ მოკლედ წარმოვაჩინეთ ამ რეფორმების ფაქტობრივი ისტორია (რა მოხდა სინამდვილეში), ძირითადად, კი შევჩერდით იმაზე თუ როგორ დაილექა ეს ვითარება ქართველთა კოლექტიურ მეხსიერებაში. წყაროები, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია: გაანალიზდა არა მარტო საისტორიო მწერლობა, არამედ მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, მემუარები, სოციალური ქსელების მასალა და სხვ. კვლევამ აჩვენა, რომ შუა საუკუნეების ნარატივებში მეფე დავითი, როგორც პიროვნება, წარმოდგენილია სრულიად დადებითად ანუ ხატად; მაგრამ საინტერესო ისაა, რომ თანამედროვე ნარატივებიც არსებითად იგივეს გვთავაზობენ: ეროვნული გმირი დავით მეფე კვლავაც ხატად გაიაზრება, ხოლო მისი მოღვაწეობის ეპოქა კონცეპტუალიზდება, როგორც საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანა". თუ რეალური დავით აღმაშენებელი ქართველი ერის ისტორიის ერთ კონკრეტულ მონაკვეთს უკავშირდება, კოლექტიური მახსოვრობაში გადასული დავით მეფე ყველა ეპოქაში თავისებურად, მაგრამ მაინც ყოველთვის ქართული იდენტობის ფუნდამენტური მარკერია.

სესია, რომელზედაც წარმოვადგინეთ ჩვენი მოხსენება, იყო ძალიან საქმიანი. მოდერატორი იყო მეცნიერი ქალბატონი გერმანიიდან უტა კლაინე. აქ ქართველ მონაწილეთაგან მარტო ჩვენ ვიყავით. დასმული კითხვები, უშუალოდ მოხსენებაში წამოჭრილი პრობლემატიკის გარდა, შეეხებოდა საზოგადოდ საქართველოს ისტორიის კვლევის პრობლემატიკასაც. მოდერატორმა ჩვენს პრეზენტაციას მაღალი შეფასება მისცა.

კონგრესზე სხვა ქართველი მეცნიერებიც იღებდნენ მონაწილეობას, მაგალითად, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი მანანა ჯავახიშვილი. მოხსენება ეხებოდა საგანმანათლებლო რეფორმას შუა საუკუნეების საქართველოში. მომხსენებელი სხვა სექციაზე მოხვდა და, სამწუხაროდ, მის მოხსენებაზე დასწრება ვერ შევძელით.

სამაგიეროდ შევძელით დავსწრებოდით ორ ქართველოლოგიური სესიას: *შუა საუკუნეების ქართული კულტურა*, რომელსაც თავმჯდომარეობდა შუა პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე და *რუსთაველი XII საუკუნის ქართველი პოეტი და მოაზროვნე*, რომელიც მიჰყავდა ცნობილ ქართველოლოგს, დედოფალი მერის უნივერსიტეტის რუსისტიკის დეპარტამენტის პროფესორს დონალდ რეიფილდს. გარდა თავმჯდომარეობისა, პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე იყო მომხსენებელიც. მან წარმოადგინა მოხსენება თემაზე: *სიყვარულის კონცეპტის განახლება და რეინტერპრეტაცია შუა საუკუნეებიდან რენესანსის პერიოდამდე*. პროფესორმა დონალდ რეიფილდმა წარმოადგინა მოხსენება: *რელიგიური ტოლერანტობა და შეუწყნარებლობა შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში*. მოხსენებები წაიკითხა ასევე ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ირმა მაკარაძემ თემაზე *აღმოსავლური სიუჟეტის აღორძინება ინგლისურ დრამატურგიაში: ვეფხისტყაოსნის ნაკვალევი XVII საუკუნის ინგლისში*. ვენეციის, კაფოსკარის უნივერსიტეტის პროფესორი გაგა შურღაია აუდიტორიის წინაშე წარსდგა თემით: *ვახტანგ გორგასლის (440-502) საეკლესიო რეფორმა*. ამავე უნივერსიტეტიდან მოხსენება თემაზე *ვეფხის მნიშვნელობა შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანში* წაიკითხა ქართველოლოგმა ლუიჯი მაგაროტომ და ქართველოლოგმა ბერთ ბეიენმა თემაზე *შოთა რუსთაველის მეგობრობის ფილოსოფია, არისტოტელური თუ ქართული?*

საერთაშორისო მედიევალისტური კონგრესი ოფიციალურად დაიხურა 9 ივლისს. ლიდსის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე უკვე დევს ინფორმაცია მომდევნო წლის კონგრესის შესახებ, რომელიც, უნდა ვივარაუდოთ, ისევე საინტერესო იქნება, როგორც წლევანდელი.

თავისუფალ დროს ვათვალიერებდით ლიდსს. კულტურული პროგრამის ფარგლებში ერთი დღით ვესტუმრეთ იორკსაც. ამ ქალაქმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენთან ერთად მყოფ ყველა კოლეგაზე და, ცხადია, ჩვენზეც.

INTERNATIONAL MEDIEVAL CONGRESS, Leeds, 6-9 July, 2015

Mariam Chkhartishvili
Sopio Kadagishvili

International Medieval Congress (IMC) which was held on 6-9 July provided interdisciplinary forum of discursion of all aspects of Medieval Studies. However, every year, the IMC chooses a special thematic strand which – for 2015 – was *Reform and Renewal*. The theme has been chosen for the crucial importance of both phenomena in social and intellectual discourse, both medieval and modern, as well as their impact on many aspects of the human experience. For the first time in its history the IMC has passed a major milestone of over 2000 actively involved participants with its academic programme featuring a total of 653 sessions and round table discussions.

Among numerous participants were Georgians too. On the 6th of July Ivane Javakhishvili Tbilisi State University (TSU) Professor Mariam Chkhartishvili and TSU PhD student Sopio Kadagishvili presented joint paper on *David the Builder in Medieval and Modern Narratives*. Two Kartvelological session were organized by 9th of July. Moderators and as well as presenters were Professor Elguja Khintibidze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University with paper: *Reinterpration and Renewal of the Concept of Love from the Middle Ages to the Renaissance* and Professor Donald Reyfield, London, Queen Mary University who made a speech about *Religious Tolerance and Intolerance in Medieval Georgian Literature in English*. Two non-georgian Kartvelologitss Professors Luigi Magarotto and Bert Beynen made presentations: *The Meaning of Vepx-i in Shota Rustaveli's The Man in the Panther's Skin* and *Shota Rustaveli's Philosophy of Friendship: Aristotelean or Georgian* respectively. Ca'Foscari University Professor Gaga Shurgaia consatrated on *The Ecclesiastical Reform of Jakhtang I Gorgasali, c. 440-502*. TSU doctoral student Irma Makaradze's paper was about *Revival of the Oriental Plot in English Dramaturgy: the Trace of the Man in the Panther skin in 17th-Century England*. Manana Javakhishvili, from Ilia State University, presented papet *Educational Reform in Medieval Georgia*.

Except scientific session The Leeds University Union Medieval Society brought together a series of medieval (inspired) activities – from games sessions and film showings, to a poetry evening, displays of craft and local produce as well as live entertainment including music, combat displays and re-enactment demonstrations.

აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 125-ე წლისთავსადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

ქეთევან ხუციშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში 2015 წლის 10-12 ნოემბერს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია: *ეთნოლოგია გუშინ და დღეს: კულტურის კვლევის პრობლემები.* კონფერენცია მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი ეთნოლოგის, ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებლის გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 125-ე წლის იუბილეს. კონფერნციის ორგანიზატორები იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი და ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. კონფერენციის თემატიკა მოიცავდა ეთნოლოგიის საკითხებს, კულტურის კვლევის პრობლემებს, მეთოდოლოგიურ, თეორიულ და პრაქტიკულ ამოცანებს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისა და ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის და კულტურის კვლევით დაკავებული სხვა სამეცნიერო-სასწავლო ცენტრებისა და ერთეულების თანამშრომლებმა და სტუდენტებმა. კონფერენციაზე წარმოდგენილ იქნა 45 მოხსენება. კონფერენცია გახსნა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ. კონფერენციის შეჯამებისას ითქვა, რომ სამდღიანმა ინტენსიურმა მუშაობამ დაადასტურა გიორგი ჩიტაიას მიერ დასახული მიმართულებების მართებულობა, თვალნათლივ წარმოჩნდა მიმდინარე კვლევების აქტუალობა და, რაც მთავარია, ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილმა მოხსენებებმა ხაზი გაუსვა მემკვიდრეობითობის არსებობას ქართული ეთნოლოგიურ სკოლაში.

CONFERENCE DEDICATED TO ACADEMICIAN GIORGI CHITAIA'S 125TH ANNIVERSARY November 10-12, 2015

Ketevan Khutsishvili

The conference dedicated to Academician Giorgi Chitaia's 125th anniversary was organised by The Institute of Ethnology at Ivane Javakhishvili Tbilisi State University and Institute of History and Ethnology. The conference prolonged three days. The themes were focused on actual ethnological problems and tasks, investigation issues of culture, methodological, practical and theoretical aspects.

დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის დაბადებიდან 200-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
გორი, 17 ნოემბერი, 2015

იოსებ ალიმბარაშვილი

2015 წელს შესრულდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, არქეოლოგის, დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის დაბადებიდან 200-ე წელი. იგი დაიბადა გორის მაზრის სოფელ ხიდისთავში 1815 წელს, აზნაურ კონსტანტინე მეღვინეთხუცესიშვილისა და ანა წინამძღვრიშვილის ოჯახში.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის იყო საქართველოში არქეოლოგიის როგორც სამეცნიერო დისციპლინის ერთ-ერთი ფუძემდებელი, დრამატურგი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის ქართულ სიძველეთა და ხელნაწერთა აღმოჩენის, გადმოღების და დამუშავების თვალსაზრისით, მათ შორისაა თავისი მნიშვნელობით უნიკალური *ძეგლი ერისთავთას* ტყავზე ნაწერი დედანი, ომან ხერხეულიძის ნაშრომი *მეფობა ირაკლისა*, მეტეხის ოთხთავი და სხვ. ამ ხელნაწერებს დიმიტრი იკვლევდა, აღწერდა და პეტერბურგში უგზავნიდა მარი ბროსეს, რომელსაც ფრანგი მეცნიერი ამუშავებდა და აქვეყნებდა თავის ცნობილ "Rapport"-ებში.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია და მთელი თავისი ქონება მემკვიდრეობით დაუტოვა დისშვილს ანეტა ბაქრაძეს (ცნობილი ქართველი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის მეუღლეს), თუმცა, მან ეს ქონება ვერ შეინარჩუნა და XIX ს-ის ბოლოს ბანკის ვალებში იქნა გაყიდული.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საფლავი მდებარეობს მის მშობლიურ სოფელში, ზედაველას სასაფლაოზე, რომელიც დროთა განმავლობაში, უყურადღებობისა და მოუვლელობისაგან ძალზე სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით გადაწყდა საფლავის განახლება და საიუბილეო თარიღის აღნიშვნა.

საფლავის რესტავრაცია და ხარჯები მთლიანად თავის თავზე აიღო მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ხიდისთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა ქალბატონმა ლიანა კოვზიაშვილმა და მისმა ოჯახმა. საფლავს ჩაუტარდა გასამაგრებელი სამუშაოები, მოპირკეთდა, გაიწმინდა, შემოიღობა და დაიდგა მეცნიერის ღვაწლის ამსახველი მარმარილოს ფილა.

2015 წლის 16 ნოემბერს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა გვირგვინით შეამკეს დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის განახლებული საფლავი. მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა გორი-ატენის მიტროპოლიტმა მეუფე ანდრიამ. ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების, ეპარქიისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

17 ნოემბერს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოეწყო დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს 14 უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების 36 მეცნიერ-მკვლევარმა.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კონსტანტინე თავზარაშვილი, გორის უნივერსიტეტის რექტორი გიორგი სოსიაშვილი, პროფესორები ელდარ მამისთვალიშვილი, გიორგი ოთხმეზური, ელენე კავლელაშვილი და სხვები.

მოხსენება დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ გააკეთა უნივერსიტეტის პროფესორმა, ისტორიის დოქტორმა იოსებ ალიმბარაშვილმა. მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ – მარი ბროსესთან ურთიერთობისა და მეგობრობის შესახებ, მის დამსახურებაზე საქართველოს სიძველეთა აღმოჩენა-გადარჩენის, არქეოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის ჩამოყალიბებისა და ქართული დრამატურგიის განვითარების საქმეში. ასევე დიმიტრის ღვაწლზე მშობლიურ სოფელ – ხიდისთავში სკოლის, ბანკის დაარსების, აუცილებელი ღონისძიებების გატარებისა და ქველმოქმედების მიზნით.

შემდეგ კონფერენცია გაგრძელდა სხვადასხვა სექციებში.

კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები გამოიცემა სამეცნიერო კრებულის სახით.

დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის დაბადებიდან 200-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის სექციური მუშაობა

სოფიო ქადაგიშვილი

იმის გამო, რომ დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის დაბადებიდან 200-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის მოხსენებები იკითხებოდა პარალელურ სექციებში, პირადად მე არ მქონდა შესაძლებლობა ყველა მოხსენება მომესმინა, ამიტომ წარმოგიდგენთ იმ სექციის მუშაობას, რომლის მონაწილეც გახლდით. სექციას ხელმძღვანელობდა თსუ პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი. პროგრამით გათვალისწინებულ ცამეტ მომხსენებელთაგან მოხსენება წარმოადგინა რვამ. მათ შორის ხუთი (მანუჩარ გუნცაძე, ზურაბ თარგამაძე, ეთერ ცერცვაძე, სოფიო ქადაგიშვილი და ელზა ხაინდრავა) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის *საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა* (ხელმძღვანელი თსუ პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი) დოქტორანტი იყო.

მოხსენებები აქვე წარმოადგინეს თსუ ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა დავით მერკვილაძემ, გორის მუნიციპალიტეტის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საექსპოზიციო განყოფილების გამგემ, ეთნოლოგიის დოქტორმა თამილა კოშორიძემ და თსუ საქართველოს ისტორიის მიმართულების პროფესორმა ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარმა მეცნიერ თანამშრომელმა, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის გამგემ მარიამ ჩხარტიშვილმა.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, მანუჩარ გუნცაძის მოხსენების თემა იყო *ქართული ჯარის მეთაურობის საკითხი 1920 წლის ოსი ბოლშევიკების აჯანყების დროს ქართულ ისტორიოგრაფიაში;* თამილა კოშორიძემ წაიკითხა მოხსენება: *დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი და ქართულ ხალხურ დღესასწაული.*

ზურაბ თარგამაძემ წარმოადგინა მოხსენება *ისტორია და სოციალური მეცნიერება*, დავით მერკვილაძის გამოსვლა ეხებოდა დეკანოზ ბასილ მერკვილაძის შთამომავალთა საოჯახო არქივის მონაცემებს. ეთერ ცერცვაძემ წარმოადგინა *ისტორიოგრაფიული პროფილის კვლევები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში,* ხოლო ელზა ხაინდრავამ ისაუბრა მაღალაძეთა გვარის ისტორიის შესახებ. ამავე სექციაზე წაიკითხე მოხსენება მეც თემაზე: *ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებების შესწავლა ისტორიოგრაფიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით ქართულ და დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში.* სექციის მუშაობა დაასრულდა თავად სექციის თავმჯდომარის, პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილის მოხსენებით, რომელმაც წარმოადგინა ახალი თვალსაზრისი ტერმინ *არიან-ქართლის* რაობის შესახებ.

უნდა ითქვას, რომ თითოეული მოხსენება უაღრესად საინტერესო იყო. მიუხედავად განსხვავებული რაკურსისა, მოხსენებათა ერთობა უფრო მეტად წარმოაჩენდა დარგის მრავალმხრივობას და სიღრმეს. ამასთან ერთად ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ მონაწილეები კარგი მსმენელებიც იყვნენ და ყოველი მოხსენების გარშემო იმართებოდა ხანგრძლივი და საინტერესო დისკუსია, რაც ნამდვილად დასაფასებელია კონფერენციის მუშაობის პროცესში.

გორში გატარებული საქმიანი დღის შემდეგ სასიამოვნო შთაბეჭდილებებით აღსავსენი დავბრუნდით თბილისში.

SCIENTIFIC CONFERENCE DEDICATED TO 200TH ANNIVERSARY OF DIMITRI MEGVINETUKHUTSESISHVILI'S BIRTH

Sopio Kadagishvili

On November 17, 2015 Gori Studying-Teaching University hosted the scientific conference dedicated to 200th anniversary of Dimitry Megvinetukhutsesishvili's birth. The conference was organized by faculty of humanities and Educational-Scientific centre of History and Archaeology. The conference was opened with rector George Sosiashvuli speech. Some of the researchers greeted the participants too. After the plenary session the conference continued working in parallel sessions. I attended one of them and presented paper as well. Supervisor and one of the speakers was prof. Mariam Chkhartishvili. Reports were presented by Dr. Tamila Koshoridze, senior scientific employee of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology – David Merkviladze, TSU PhD students (doctoral program - *History of Georgia and Source-Studies*): Manuchar Guntsadze, Zurab Targamadze, Eter Tsertsvadze, Elza Khaindrava and me – Sopio Kadagishvili. Except interesting topics, there was excellent collaborative collegial atmosphere that made pleasure feelings during the sectional working.

I საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი – *ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები*

რუსუდან ლაბაძე

11-13 ნოემბერს თბილისში ჩატარდა I საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი – *ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები*, რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საპატრიარქოს მიერ. ამ ფორუმს დიდი მოსამზადებელი სამუშაო უძღვოდა, რომელსაც სათავეში ედგა კონგრესის ჩატარების იდეის ავტორი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი როინ მეტრეველი.

კონგრესში მონაწილე უცხოელ მეცნიერთა შემადგენლობა საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. საქართველოს ეწვივნენ როგორც უკვე ცნობილი და საქვეყნოდ აღიარებული, ისე ახალბედა ქართველოლოგები: ბ. უტიე (საფრანგეთი); ვ. ბოედერი, მ. ნავროთი (გერმანია); ჰ. მაედა (იაპონია); თ. დრაგაძე (დიდი ბრიტანეთი); ნ. დურა (რუმინეთი); კ. ვამლინგი (შვედეთი); კ. ლერნერი (ისრაელი); ფ. ბაირამი, ჰ. ჩიმქე, ი. გივიაშვილი (თურქეთი); შ. მუსტაფაევი (აზერბაიჯანი); ე. ნესმეიანოვი, ლ. ბაშალეიშვილი (რუსეთი); ჰ. მარგარიანი (სომხეთი); ლ. გარსაევი, შ. გაფუროვი, ვ. მაგომაევი (ჩეჩნეთი); ბ. ხარსიევი (ინგუშეთი) და სხვ. კონგრესის სტუმრებს შორის იყო აგრეთვე როსტოვის ტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაცია რექტორის, პრორექტორის და წამყვანი მეცნიერების შემადგენლობით. მონაწილეთა შორის არანაკლებ

მრავალფეროვნად იყვნენ წარმოდგენილი საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერები.

10 ნოემბერს, სტუმრების ჩამოსვლის დღეს, კონგრესის უცხოელ მონაწილეებს საკუთარ რეზიდენციაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე, უწმინდესი და უნეტარესი ილია II შეხვდა.

საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი 11 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიხსნა. შესავალი სიტყვით კონგრესის მონაწილეებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა მიმართა. მან აღნიშნა, რომ ასეთი მასშტაბის სამეცნირო ფორუმი სხვადასხვა ქვეყნების ქართველოლოგთა მონაწილეობით პირველად ტარდება საქართველოში და, ამდენად, მისი მნიშვნელობა ძალიან დიდია. შესავალი სიტყვის შემდეგ მონაწილეებს მიესალმენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოს კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი, კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე, მეუფე დანიელი, როსტოვის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ბესარიონ მესხი, ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი შ. გაფუროვი.

გახსნის ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ გაიმართა პლენარული სხდომა, რომელსაც აკადემიკოსმა როინ მეტრეველი და ცნობილი ფრანგი ქართველოლოგი ბერნარ უტიე თავმჯდომარეობდნენ. პლენარულ სხდომაზე წაკითხულ იქნა ოთხი მოხსენება: 1. რ. მეტრეველი – ივანე ჯავახიშვილი და კავკასიოლოგიის საკითხები; 2. თ. გამყრელიძე – ეკოლოგია და კულტურა (თ. გამყრელიძის ავადმყოფობის გამო მისი მოხსენება წაიკითხა პროფ. ე. სოსელიამ); 3. მ. ლორთქიფანიძე – „მეფე" საქართველოში; 4. ბ. უტიე – ერთი ახალი ფრაგმენტი ქართული ხელნაწერისა და საკითხები ქართული ენის შესახებ.

პლენარული სხდომის შემდეგ კონგრესის მუშაობა სექციებში გაგრძელდა. საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესის ფარგლებში სამი სექცია მოქმედებდა: ენათმეცნიერების, საქართველოს ისტორიისა და რელიგიის და ლიტერატურისა და ხელოვნების. ენათმეცნიერების სექციას აკადემიკოსი ა. არაბული და გერმანელი ქართველოლოგი ვ. ბოედერი ხელმძღვანელობდნენ, საქართველოს ისტორიისა და რელიგიის სექციას – აკადემიკოსი ნ. ხაზარაძე და აკადემიის. წევრ-კორესპონდენტი გ. ლორთქიფანიძე, ხოლო ლიტერატურისა და ხელოვნების სექციას აკადემიკოსი ე. ხინთიბიძე და პროფესორი კ. მაჩაბელი უძღვებოდნენ. 11 ნოემბერს, კონგრესის მუშაობის პირველ დღეს, სექციათა ორ-ორი სხდომა შედგა.

12 ნოემბერს ქართველოლოგთა საერთაშორისო კონგრესს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა. კონგრესის მონაწილეებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა. მან ხაზი გაუსვა ქართველოლოგიური კონგრესის ჩატარების განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლს ამ საქმეში. გარდა ამისა, კონგრესის მონაწილეებს მიმართა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთის სამეცნიერო

ცენტრის თავმჯდომარემ გ. მატიშოვმა. ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი როსტოვის უნივერსიტეტის ისტორიისა და დღევანდელობის შესახებ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თითოეულმა სექციამ სამი სხდომა ჩაატარა, რომლებსაც ქართველ მეცნიერებთან ერთად უცხოელი ქართველოლოგები უძღვებოდნენ. კონგრესის მუშაობის განმავლობაში ასზე მეტი მოხსენება იქნა წაკითხული და, შესაბამისად, ძალიან დატვირთული იყო სამუშაო გრაფიკი. კონგრესის მუშაობის მეორე დღე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მხატვრული პროგრამით დასრულდა, რომელშიც უნივერსიტეტის ანსამბლმა მიიღო მონაწილეობა.

სამდღიანი სამეცნიერო ფორუმის დახურვა 13 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შედგა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა მადლობა გადაუხადა საერთაშორისო კონგრესის ყველა მონაწილეს და იმედი გამოთქვა, რომ კონგრესი ტრადიციული გახდება და საქართველო არაერთხელ უმასპინძლებს ქართველოლოგიური დისციპლინებით დაინტერესებულ მკვლევრებს. სექციათა ხელმძღვანელებმა: აკადემიკოსმა. ნ. ხაზარაძემ, აკადემიკოსმა ა. არაბულმა და აკადემიკოსმა. ე. ხინთიბიძემ დადებითად შეაჯამეს კონგრესის მუშაობა. მათ ხაზი გაუსვეს მოხსენებათა განსაკუთრებულად მაღალ დონეს და პრობლემატიკის მრავალფეროვნებას. დასასრულ, უცხოელმა ქართველოლოგებმა ემოციურად ისაუბრეს საქართველოში გატარებული დღეების შესახებ და, მომავალი თანამშრომლობის იმედით, დიდი მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს.

კონგრესის კულტურული პროგრამა საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. უცხოელი სტუმრები დაესწრნენ სპექტაკლს – *მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი* – რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრში, დაათვალიერეს ღამის თბილისი, ხოლო კონგრესის დახურვის შემდეგ მცხეთისა და გორის ღირსშესანიშნაობებს ეწვივნენ.

ქართველოლოგიური მეცნიერების დიდი ფორუმი 14 ნოემბერს სტუმრების გამგზავრებით დასრულდა. წინ დაძაბული სამეცნიერო მუშაობა და მომავალი კონგრესისათვის მზადებაა!

THE INTERNATIONAL KARTVELOLOGICAL CONGRESS – *PROBLEMS AND PROSPECTS OF KARTVELOLOGY*

Rusudan Labadze

I International Kartvelological Congress – *Problems and Prospects of Kartvelology* was held on 11-13 November, 2015 in Tbilisi. The Congress was organized by the Georgian National Academy of Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University and the Georgian Patriarchate.

Among the participants were representative kartvelologists from France, Great Britain, Germany, Sweden, Romania, Japan, Israel, Turkey, Azerbaijan, Armenia, Russia, Chechnya, Ingushetia etc.

The International Kartvelological Congress was opened on 11 November in the Georgian National Academy of Sciences by welcome speech of Academician Roin Metreveli, the Vice-President of the Georgian National Academy of Sciences, the chairman of the organizing committee of the Congress.

After the plenary meeting the sessions continued in the sections. There were three sections: Section of Linguistics, Section of Georgian History and Religion and Section of Literature and Art.

On 12 November the host of the Congress was Ivane Javakhishvili Tbilisi State University. There were held three meetings of each sections. Entirely the participants presented more than hundred reports about Kartvelological problems during the Congress.

The Congress was closed by the concluding session in the Georgian National Academy of Sciences. The leaders of the sections assessed positively the reports and emphasized the diversity of the Kartvelological problems discussed during this Congress. The guests of the Congress expressed gratitude and hoped to carry on the idea of the Congress.

სამეცნიერო კონფერენცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში

დავით მერკვილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულის „საქართველო – 2015“ ფარგლებში 25-27 ნოემბერს გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა ვაჟა კიკნაძემ.

პირველ დღეს მოხსენები ძირითადად მიეძღვნა საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებს. სხდომას თავმჯდომარეობდა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე თემო ჯოჯუა. მოხსენებები წაიკითხეს შემდეგმა მეცნიერებმა: ვახტანგ გოილაძემ – *ქალაქების საკითხი შუა საუკუნეების ოსეთში*; ნიკო გურგენიძემ – *მაწყვერელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგის დაზუსტებისათვის*; ნიკო ჯავახიშვილმა – *ქართულ-ლიტვური სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის სათავეებთან (XV ს.)*; ქეთევან ქუთათელაძემ – *სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიური ძიებისათვის*; დავით მერკვილაძემ – *ჰერეთის, კახეთისა და კუხეთის შესახებ ლეონტი მროველის ცნობების ვახუშტი ბატონიშვილისეული ინტერპრეტაცია*; ირაკლი გელაშვილმა – *უცნობი ეპიგრაფიკული ძეგლები რუისის ფერისცვსლების ეკლესიიდან*; დავით ჯავახიშვილმა – *ქართლისა და კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწულები (XVIII ს-ის I ნახ.)*; გელა საითიძემ – *ირაკლი ალექსანდრეს ძე გრუზინსკი (ბაგრატიონი) (1827-1882 წწ.)*.

სხდომის თავმჯდომარე, თემო ჯოჯუა გამოვიდა ორი მოხსენებით: *ფანასკერტელთა ფეოდალური სახლის ისტორიის ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის (XIV-XV სს.)*; და *გრიგოლ ფერაძე და კრაკოვის უნივერსიტეტის ეროვნული მუზეუმის თავადი ჩარტორიისკების ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერი წიგნები (XI-XVIII სს.)*.

კონფერენციის მეორე დღე დაეთმო საქართველოსა და მსოფლიოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებს. სხდომის თავმჯდომარე იყო ვაჟა კიკნაძე. პირველი მოხსენება წაიკითხა სხდომის თავმჯდომარემ – *რუსეთის იმპერიის კულტურულ-ექსპანსიონისტური პოლიტიკის რამდენიმე მაგალითი (XIX ს.).* შემდეგი მოხსენების თემა იყო *რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და ქართული საზოგადოება (ისტორია და თანამედროვეობა)* – მომხსენებელი დოდო ჭუმბურიძე.

მოხსენებებით აგრეთვე წარსდგნენ: გია გელაშვილი – *ულრიხ რაუშერი – გერმანიის ელჩი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.);* შოთა ვადაჭკორია – *საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობისადმი წაყენებული ბრალდების – ოსმალეთისადმი ბათუმის „ნებაყოფლობით“ გადაცემის საკითხის გარკვევისათვის (1921 წლის მარტი);* ლელა სარალიძე – *საქართველოს ემიგრაციული მთავრობის საგარეო-დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (1921-1922 წწ.);* ნატო სონღულაშვილი – *ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში (XX ს-ის 40-50-იანი წწ.);* ავთანდილ სონღუ-

ლაშვილი – ეროვნულ უმცირესობათა რელიგიური სექტები საქართველოში XX ს-ის საუკუნის 50-იან წლებში; ნუგზარ ბარდაველიძე – პოლიტიკური ტერორიზმის ახალი ვექტორები; მაია გურამიშვილი – რელიგიური ფუნდამენტალიზმის პრობლემა თანამედროვე პოლიტიკაში; ალექსანდრე გრიგალაშვილი – სამხრეთ კავკასიის რეგიონული სტაბილურობის პერსპექტივები; თამარ დარჩია – ჯორჯ ჰერბერტ უოლკერ ბუში – აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობების ახალი ეტაპი; ნათია ლაცაბიძე – საქართველო-იტალიის ურთიერთობა პოსტსაბჭოთა პერიოდში; ნელი პაპუკაშვილი; მუშაითობა და მისი როლი ესთეტიკური გემოვნების განვითარებაში.

სხდომის ბოლო, მესამე დღე დაეთმო ეთნოლოგიური ხასიათის მოხსენებებს.

სხდომას უძღვებოდა ქეთევან ხუციშვილი. მანვე წაიკითხა პირველი მოხსენება: *კარლა სერენას ცნობები საქართველოს შესახებ.*

მოხსენებები აგრეთვე წაიკითხეს: ხათუნა იოსელიანმა – *აზერბაიჯანელთა განსახლებისა და დასახლების ფორმები ქვემო ქართლში;* გიორგი მამარდაშვილმა – *აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური სურათის ისტორიული საფუძვლები და განვითარების დინამიკა;* დავით ჭითანავამ – *„ნეოლითური რევოლუციის“ განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები.*

შესვენების შემდეგ წაკითხულ იქნა კიდევ ოთხი მოხსენება: როლანდ თოფჩიშვილი – *ოსეთის ეთნოგრაფიული ენციკლოპედია ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტში;* სალომე ოქრუაშვილი – *კავკასიის ხალხთა ოჯახის შესწავლის ეთნოსოციალური ასპექტები (ადიღეურ-აბაზური მოდგმის ხალხთა შედარებითი ეთნოსოციალური კვლევისათვის);* ლავრენტი ჯანიაშვილი – *სომხების განსახლებისა და დასახლების ფორმები ქვემო ქართლსა და ჯავახეთში.* ირმა კვაშილავა – *წმინდა შაბათი ქართველ ებრაელთა ყოფაში.*

კონფერენცია საკმაოდ დატვირთული გამოდგა. სამი დღის განმავლობაში წაკითხულ იქნა სამი ათეულზე მეტი მოხსენება. თითოეული მოხსენების შემდეგ გამოყოფილი იყო დრო მომხსენებლისათვის კითხვების დასასმელად და პასუხების მისაღებად. საბოლოო ჯამში კონფერენციამ სამეცნიერო თვალსაზრისით საკმაოდ ნაყოფიერად ჩაიარა.

CONFERENCE AT IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY

Davit Merkviladze

Within the framework of Scientific Week in Georgia, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology on November 25-27 hosted national conference. Conference was opened by Institute director – Vazha Kiknadze. The conference schedule was quite busy. Totally were presented more than thirty papers by historians and ethnologists. Overal Results of the conference are fruitful for scientific point of view.

ხსოვნა
IN MEMORIAM

მამისა ბერძნიშვილის გახსენება

გონელი არახამია

საქართველოს ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ქალბატონი მამისა ბერძნიშვილი დიდი ხანი არაა, რაც ამ ქვეყნიდან წავიდა. გამოჩენილ მეცნიერს დაფასება და აღიარება კოლეგებისა და მკითხველებისაგან არასდროს დაკლებია, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, ღვაწლმოსილი პიროვნების გარდაცვალება აღმოჩნდება ის მიჯნა, საიდანაც მთელი სისრულით წარმოჩნდება მისი მოღვაწეობის მნიშვნელობა. მ. ბერძნიშვილის ცხოვრება და შემოქმედება (რაც განუყოფელი მთლიანობაა – ის ცხოვრობდა მეცნიერებით ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით), საგანგებო და საფუძვლიანი მსჯელობის საგანი უთუოდ გახდება არაერთი ავტორისათვის. ჩემი მიზანი გაცილებით მოკრძალებულია – გავიხსენო ქალბატონი მამისა როგორც შეგირდმა ისტორიის ინსტიტუტის იმ განყოფილებისა, სადაც ის მოღვაწეობდა და ამდიდრებდა ისტორიული მეცნიერების დარგს, რასაც წყაროთმცოდნეობა ჰქვია. განყოფილებაში დამკვიდრებული იყო ასეთი წესი: ასპირანტი თუ მაძიებელი, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო განყოფილებაში მისი ოფიციალური ხელმძღვანელი, განყოფილების ყველა უფროსი თაობის მეცნიერის უშურველი მეურვეობით, რჩევა-დარიგებითა და კონსულტაციებით სარგებლობდა. ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის იქმნებოდა უაღრესად სასარგებლო და კეთილგანწყობილი გარემო. ქალბატონი მამისა ამ ტრადიციის ერთ-ერთი დამამკვიდრებელი და თანმიმდევრულად ერთგული დამცველი ბრძანდებოდა. ის ყოველთვის დიდი გულისყურით ისმენდა ახალგაზრდის მიერ განყოფილების სხდომაზე წაკითხულ მოხსენებას თუ წლიურ ანგარიშს, არც მოწონების სიტყვებს დაიშურებდა და არც ნაკლოვანების გამოსასწორებლად გზის გაგნებაში დახმარებას, რომ არაფერი ვთქვათ მის მუდმივ მზაობაზე ნებისმიერ დროს გაეცა საქმიანი რჩევა.

ცალკე საუბრის თემაა ქალბატონ მამისას სასემინარო მოხსენებები თუ წლიური ანგარიშები, რაც განყოფილების შეგირდებისათვის თვალსაჩინო ნიმუში იყო იმისა, თუ რაოდენ დიდ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული მეცნიერული კვლევა და მისი შედეგების მიტანა მსმენელამდე თუ მკითხველამდე.

საერთოდაც, მისი ყოველი ნაშრომი იყო ღრმა პატივისცემის გამოხატულება მკითხველის მიმართ, რომელსაც სთავაზობდა მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულ სიახლეს გამოვლილს უმკაცრეს ლაბორატორიულ წრთობაში.

ქალბატონ მამისას მრავალი ღირსება ამკობდა, მათ შორის, მაღალი პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა. ეს არცაა გასაკვირი თუ გავიხსენებთ, რომ ის მეცნიერულ წრთობას გამოჩენილი ისტორიკოსის, პროფესორ მაქსიმე ბერძნიშვილის მეთვალყურეობით ოჯახში გადიოდა, უნივერსიტეტსა და ისტორიის ინსტიტუტში – აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით.

უაღრესად საინტერესო იყო პირადი საუბრები ქალბატონ მამისასთან. ის სიყვარულითა და მოწიწებით იხსენებდა ძვირფას მასწავლებელთან ერთად ქართული ისტორიული დოკუმენტების გამოსაცემად მომ-

ზადებაზე მუშაობის ცალკეულ ეპიზოდებს, უნივერსიტეტისა და ისტორიის ინსტიტუტის წარსულის ამბებს, რასაც ვერც ერთ არქივში ვერ იპოვით.

ქალბატონ მამისას ცხოვრება მეცნიერებისათვის კეთილსინდისიერი მსახურების თვალსაჩინო მაგალითია, ხოლო სამეცნიერო მემკვიდრეობა ღირსეული წვლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

IN MEMORIAM TO MAMISA BERDZNISHVILI

Goneli Arakhamia

Outstanding researcher in Georgian history, honest professional and always ready to help – these are not only epithets through which Professor Goneli Arakhamia depicts his colleague, Mamisa Berdznishvili. He recalls researcher's professionalism and his conversations with her that were so informative that hardly to find in books. In conclusion Goneli Arakhamia indicates that Mamisa Berdznishvili's life is an example of scientist and her works worthy legacy for Georgian historiography.

თემურ თოდუა: პედაგოგი, მეცნიერი და პიროვნება

მარიამ გოგალაძე

2014 წლის 22 დეკემბერს, ყველასათვის მოულოდნელად ჩვენგან წავიდა არაჩვეულებრივი პედაგოგი, სამეცნიერო ხელმძღვანელი, ისტორიკოსი და არქეოლოგი პროფესორი თემურ თოდუა. იგი მრავალი წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ტრადიციულად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულ-ტეტზე, *ანტიკური ქვეყნების ისტორიასა* და სალექციო კურსს *ბერძნულ-რომაული ქალაქები*, ხოლო ტექნიკურ უნივერსიტეტში – *სახელმწიფო მართვას*.

ბატონი თემური იყო სიცოცხლის მოყვარული ადამიანი, სხარტი, დიდი იუმორის გრძნობით დაჯილ-დოვებული, ქარიზმატული, ფეთქებადი და მარად შემართული საკამათოდ... მან იცოდა – სამშობლოს, დედის, შვილის, მეგობრის, სიყვარულის ფასი; იყო კეთილი, ყურადღებიანი და მეგობრობდა სტუდენტებთან.

მისი ლექციები წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა მსმენელზე. დამსწრე საზოგადოებას ამოგზაურებდა ანტიკურ ეპოქაში. მას მოვლილი ჰქონდა პრაქტიკულად ყველა ისტორიული ადგილი და დიდი აღტაცებით გვიყვებოდა თითოეული მათგანის შესახებ. ლექციების მსვლელობის დროს პარალელებს ავლებდა, ანტიკურ სამყაროსა და თანამედროვეობას შორის, აქცენტებს აკეთებდა აქტუალურ საკითხებზე.

ბატონი თემური არა მარტო კარგი ისტორიკოსი იყო, არამედ ის იყო პროფესიონალი არქეოლოგიც. განსაკუთრებით უყვარდა სტუდენტებთან იმ პერიოდის გახსენდება, როდესაც ის მუშაობდა ბიჭვინთის ექსპედიციაში, რომელსაც არაერთი მონოგრაფია მიუძღვნა. აფხაზეთი ყოველთვის მისი დიდი ტკივილი იყო და ოცნებობდა იმ დროზე, როდესაც იქ ისევ აუცილებლად დაბრუნდებოდა.

კომფორტული და მრავლისმომცემი იყო მასთან, როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელთან, მუშაობა, დაუღალავად შეეძლო ნაშრომების გასწორება, თითოეულ აბზაცს დიდი გულისყურით კითხულობდა. დაინტერესებული იყო მეცნიერების განვითარებითა და თავის სტუდენტებში ყოველთვის ეძებდა ახალ სახეებს, რომელთაც იმედის თვალით უყურებდა.

იმისდა მიუხედავად, რომ ბატონი თემური კარგად ერკვეოდა პოლიტიკურ საკითხებში და ბევრი ცნობილი პოლიტიკოსი მისი ყოფილი სტუდენტი იყო, იგი არასოდეს ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი. იგი თვლიდა, რომ ეს სფერო მისი საქმე არ იყო.

ბატონი თემურ თოდუა – პედაგოგი, მეცნიერი და პიროვნება დიდად დააკლდა მის ახლობლებს, კოლეგებს, სტუდენტებს.

TEMUR TODUA – TEACHER, SCIENTIST, PERSONALITY

Mariam Gogaladze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University doctoral student Mariam Gogaladze recalls her academic supervisor Professor Temur Todua as charismatic, full of sense of humour and friendly to students lecturer. All the characters he had alongside with professionalism and love of his work. Temur Todua was not only a historian, but professional archaeologist as well. His death is a huge loss for his family members, friends, colleagues and students.

პროფესორი ნათელა ქუთელია
(1928-2014)

ლევან კოჭლამაზაშვილი

2014 წლის 18 აპრილს ქართულ საზოგადოებას გამოაკლდა ღვაწლმოსილი მეცნიერი და მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნათელა ქუთელია.

ქალბატონი ნათელა 1928 წლის 18 აგვისტოს დაიბადა ქ. სოჩაში (ჩერქეზეთი). მისი მამა, სამსონ ქუთელია, ცნობილი მრეწველი იყო, თუმცა საბჭოთა ხელისუფლების დადგომის შემდეგ საწარმო-ქარხნები მთავრობამ ჩამოართვა და რეპრესიების თავდაღწევის მიზნით ოჯახთან ერთად გორში გადასახლდა. მისი დედა, სოფიო ცხადაია, სამეგრელოს მთავარ დადიანთა შთამომავალი იყო.

1946 წელს დაამთავრა გორის მე-3 ქალთა გიმნაზია; იმავე წელს გახდა თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ფაკულტეტის სტუდენტი ინგლისური ფილოლოგიის განხრით.

1951 წელს სწავლა განაგრძო ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში ზოგადი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის კათედრაზე, რომელსაც აკად. გიორგი ახვლედიანი ხელმძღვანელობდა. 1956 წელს პროფ. სერგი ჟღენტის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია *ჰარმონიულ კომპლექსთა ორი სისტემა ქართულ ენაში.* მისი ოპონენტი აკად. გიორგი ახვლედიანი ბრძანდებოდა, რომელმაც უმაღლესი შეფასება მისცა ნაშრომს. ქალბატონი ნათელა ხშირად იხსენებდა თავისი დიდი მასწავლებლის წარმოთქმულ ფრაზას დისერტაციის დაცვაზე, როდესაც სიტყვა წარმოთქვა როგორც ოპონენტმა: „მან [ნათელა ქუთელიამ] არც კი იცის, რამხელა აღმოჩენა აქვს: ჰარმონიული კომპლექსის კომპონენტები საურთიერთო პალატალიზაციის მეშვეობით ერწყმიან ერთმანეთს...", რამაც შემდგომი ხანის ფონეტიკურ მეცნიერებაში დიდი მნიშვნელობა შეიძინა და დღესაც უცვლელად ინარჩუნებს ღირებულებას ქართველურ ენათა თუ ზოგადი ფონეტიკის თვალსაზრისით.

1972 წელს ზოგადი ენათმეცნიერების კათედრამ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის შეადგინა სახელმძღვანელო *ენათმეცნიერების შესავლის საკითხები,* რომლის საერთო რედაქტორიც აკად. გიორგი ახვლედიანი ბრძანდებოდა. მან ფონეტიკის საკითხთა მომზადება დასახელებული წიგნისათვის თინათინ აბზიანიძესა და ნათელა ქუთელიას დაავალა.

1986 წელს ქალბატონმა ნათელა ქუთელიამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია *ლაზურის ფონემატური სტრუქტურა/სეგმენტური ფონემები და ფონემათა ჯგუფები: პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა.* მისი

ოპონენტი პროფესორი კორნელი დანელია ბრძანდებოდა; მას ოცი შენიშვნა ჰქონია დისერტანტის მიმართ, რომელთაგანაც თექვსმეტი უყოყმანოდ მიიღო. ამ ფაქტს ქალბატონი ნათელა მუდამ სიამოვნებით იხსენებდა და ერთგვარად აფასებდა მეოცე საუკუნის ბოლო წლების ქართული ენათმეცნიერების მაღალხარისხიანობას.

2005 წელს გამოქვეყნდა პროფ. ნათელა ქუთელიას მონოგრაფია ლაზურის *ფონემატური სტრუქტურა*. დღემდე არ შექმნილა ასეთი მასშტაბური ფონეტიკური ნარკვევი არც ერთ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში, გარდა კოლხურისა. ნაშრომში სიღრმისეულადაა აღწერილი კოლხური (resp. ზანური) ენის ლაზური დიალექტის ვოკალური და კონსონანტური სისტემები, აგებულია პარადიგმები, დახასიათებულია ყოველგვარი ფონეტიკური პროცესი, რაც ლაზურში განხორციელებულა დიაქრონიულად თუ სინქრონიულად; შესწავლილია ხმოვანთა და თანხმოვანთა კომპლექსები, გამოყოფილია სინტაგმატური კანონიკური და არაკანონიკური ჯგუფები. დადგენილია ყველა ის შემთხვევა, როდესაც მოხერხდა ისტორიული ვითარების შენარჩუნება; აგრეთვე გამოვლენილია ყველა ისტორიული ბგერათცვლილება, რომელიც ფონოტაქტიკის საფუძველზე განხორციელდა ლაზურში და დღეს საფუძვლად დასდებია მის კილოკავურ დიფერენციაციას. ქალბატონი ნათელას დაკვირვებით, ლაზურში შესაძლებელია ფონეტიკური ტრანსფორმაციის განხორციელება ერთი და იმავე მთქმელის ფარგლებში: გამოვლენილია შემთხვევები, როდესაც რთული ბგერათკომპლექსი გამარტივებისკენ მიისწრაფვის და ამავე დროს უკან განვლოს ცვლილების საფეხურები და გამარტივებულმა კომპლექსმა აღიდგინოს ისტორიული სახე.

ქალბატონი ნათელა გამუდმებით სიახლის ძიებაში იყო. მას შესწევდა ძალა საკუთარი ნაშრომისათვის ეჭვის თვალით შეეხდა, რაც მაღალმეცნიერული მოტივაციის მაჩვენებელია. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელია თუნდაც შემდეგი ფაქტი: სადოქტორო დისერტაციის მომზადებისას, 1986 წელს, ლაზური ენად სახელყო, რასაც შემდეგში მრავალგზის უარყოფდა და 2011 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებულ *ლინგვოკულტუროლოგიურ ძიებანში (№2)* საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა სათაურით *მეგრულისა და ლაზურის ურთიერთმიმართებისთვის.*

2012 წელს გამოქვეყნდა მისი წიგნი *ქართველოლოგიური კვლევები,* სადაც თავმოყრილია ყველა ის მნიშვნელოვანი სტატია-ნარკვევი, რომელიც სხვადასხვა დროს დაიბეჭდა სამეცნიერო ჟურნალებში. აქვე შესულია ავტორის საკანდიდატო დისერტაციის რუსულენოვანი თარგმანი ***Две системы гармонических согласных в грузинском языке*** ექსპერიმენტული მონაცემებითა და სურათებითურთ.

პედაგოგიურ მოღვაწეობას ქალბატონი ნათელა ქუთელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1954 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა. იგი ხშირად იხსენებდა, თუ როგორ გადასცა წასაკითხად კურსი აკად. არნოლდ ჩიქობავამ: „ერთ დღესაც ბატონმა არნოლდმა შინ დამიბარა, სურდა ჩემთან გასაუბრება ზოგადი ენათმეცნიერების საუნივერსიტეტო კურსის თაობაზე. შეხვედრამდე ორი დღით ადრე გავიგე ეს ამბავი და ავღელდი, სასწრაფოდ დავინყე მასალის მომზადება ზოგადი ენათმეცნიერების სხვადასხვა საკითხზე, ყველა ავტორის კონცეფციათა ძირითად მომენტებს ვიზეპირებდი გამალებით... რომ მივედი, ჩვენი საუბარი სხვა საკითხებს შეეხო. ბატონმა არნოლდმა მკითხა, თუ რა აზრისა ვიყავი მარტინ ლუთერზე, როგორ მესმოდა რეფორმაცია და კონტრ-რეფორმაცია, ევროპული რენესანსი... მეც, გახარებულმა, ყველაფერი სხაპასხუპით ვუამბე და საუბრის ბოლოს მივხედი, რომ ზოგადი ენათმეცნიერების არც ერთ საკითხზე არ გვისაუბრია. რასაკვირველია, იქვე ვკითხე მეც, ბატონო არნოლდ, ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ რატომ არ მკითხეთ? მან კი მიპასუხა: „ზოგადი ენათმეცნიერების“ კურსის წამკითხველს სიღრმისეულად უნდა ესმოდეს ევროპული კულტურის საფუძვლები, დავემშვიდობე ბატონ არნოლდს და საქმეს შევუდექი...“.

პროფ. ნათელა ქუთელიას განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა სტუდენტებთან და სტუდენტებსაც განსაკუთრებით უყვარდათ იგი. უამრავი სტუდენტი ჰყოლია და როდესაც ქუჩაში მიმავალი შეუნიშნავთ, უყურადღებოდ არ დაუტოვიათ, მუდამ ეფერებოდნენ, გულში იკრავდნენ, კომპლიმენტებით ავსებდნენ, დროის გასვლას ვერ გრძნობდნენ და ერთად იხსენებდნენ იმ ძვირფას დღეებს, რომელიც მათ სტუდენტობას მოიცავდა. მე რამდენსამე ეპიზოდს გავიხსენებ: ერთხელ აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილების სტუდენტებთან ლექცია დაამთავრა და მეხუთე კორპუსიდან გამოვიდა შინ წასასვლელად. გზას ვაგრძელებთ პირველი კორპუსისაკენ და უცებ ერთი ცოლ-ქმარი შეგვხვდა: ატეხეს ყვირილი – ქალბატონო ნათელა, ქალბატონო ნათელა... გავჩერდით და ხან ცოლი ეხვეოდა და ხან – ქმარი. ვერ იცნო უეცრად ქალბატონმა ნათელამ ყოფილი სტუდენტები და ვინაობა გამოჰკითხა, მაგრამ მაინც ვერ გაიხსენა... ცოლ-ქმარი მადლიერებით ორსავე ხელზე მიეახლა და ასე გაახსენა თავი: „ჩვენ რომ დღეს ოჯახი გვაქვს, ეს თქვენი დამსახურებაა, ნიშნობის ბეჭდის ფული არ მქონდა და თქვენ მაჩუქეთ“. ამ კაცს თვალთ ცრემლი მოერია, ქალბატონი ნათელა კი მყისიერად მიუტრიალდა და ჩვეული ქართლური აქცენტით მიუგო: ქალო, აგაშენე თუ დაგლუპე აბა?.. ერთხელ კიდევ პირველი კორპუსიდან მერვისაკენ მივდიოდით და ვაკის ლეჩკომბინატს რომ მივუახლოვდით, ერთი მანქანა გაჩერდა. გადმოვიდნენ შვილები და შვილიშვილები და მოხუცი კაცი გადმოსვეს მანქანიდან. ყავარჯნები ერთ შვილიშვილს ეჭირა, პაპამ მეორეს სთხოვა, გაეჩერებინა ქალბატონი ნათელა. მოვიდა ეს ბავშვი ჩვენთან და გვითხრა, პაპას თქვენთან საქმე აქვსო. მივედით მანქანასთან და გვხვდება საკაცეზე მწოლიარე ხანდაზმული და ქალბატონ ნათელას მიესალმა და უთხრა, თქვენი სტუდენტი

ვიყავიო. ქალბატონი ნათელა სახტად დარჩა, რა დაგემართაო, გამოჰკითხა ჯანმრთელობის ამბავი და მერე მითხრა, ეს კაცი ჩემზე ათი წლით უფროსია და ჩემი სტუდენტი ყოფილაო, შევაცილეთ სამკურნალო სახლში... მისი სტუდენტები იყვნენ ქართული საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანები: პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, პოეტები: შერმადინ ქალდანი, ტარიელ ხარხელაური... ლიტერატორი თემურ ნუცუბიძე, რომელსაც მუდამ დიდი მწუხარებით იხსენებდა, ფილოლოგები: რისმაგ გორდეზიანი, თენგიზ კიკაჩეიშვილი, აპოლონ სილაგაძე, რუსუდან ცანავა, ნინო ბარამიძე, გიორგი ეკიზაშვილი... მწერალი დიანა ანფიმიადი, მთარგმნელი და ლიტერატორი გიორგი ლობჟანიძე, ენათმეცნიერთა ფართო სპექტრი: მიხეილ ქურდიანი, შალვა გაბესკირია, რევაზ აბაშია, მერაბ ბაბუხადია, მერაბ რობაქიძე, ვაჟა შენგელია, თეიმურაზ გვანცელაძე, ფატმან ანთაძე, ხათუნა თუმანიშვილი, ნომადი ბართაია... იგი ასწავლიდა კავკასიოლოგთა, აღმოსავლეთმცოდნეთა, ფილოლოგ ქართველოლოგთა და ისტორიკოსთა მრავალ თაობას, უამრავი სხვა, ყველას დასახელება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია...

ქალბატონი ნათელა ქუთელია პირველი მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს წევრი გახლდათ; მან ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს 1991 წლის 9 აპრილს. 1992-93 წწ. სახელმწიფოს გადატრიალების შემდეგ გადაიტანა არაერთი რეპრესია.

მისთვის ძალიან ძვირფასი იყო ლაზეთი და ლაზები, ოცდაჩვიდმეტი წელიწადი მიუძღვნა ლაზურის შესწავლას: სოფელ სარფში ჩადიოდა და თავისი ძვირფასი მასწავლებლის – ალი-ეფენდი თანდილავას ოჯახში ცხოვრობდა. იგი პატრონობდა ლაზებს: სასწავლებლად აგზავნიდა უნივერსიტეტში და სხვადასხვა პროფესიას აუფლებდა ლაზ ახალგაზრდობას, რათა ყველას საკუთარი საქმე ჰქონოდა და გამოსდგომოდა სოფელს. მისი შუამდგომლობით გამოიცა 2013 წლის დეკემბერში ალი თანდილავას „ლაზური ლექსიკონი", რომლის ერთ-ერთი რედაქტორიც თავადვე ბრძანდებოდა. 1982 წელს მან შეადგინა ლაზური ზღაპრების წიგნი *ლაზური პარამითეფე*, აკად. სერგი ჯიქიას დახმარებით დაურთო ლაზურ-მეგრულ-ქართულ-თურქული ლექსიკონი. აგრეთვე შეადგინა სატრანსკრიფციო ქართულ-თურქული ანბანი, რათა თურქეთის ლაზეთის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო ტექსტის შინაარსი და მშობლიური ანბანი. უდრეკად ებრძოდა ლაზების ქართულ ფესვებთან მოწყვეტის საქმეს და ძალ-ღონეს არ იშურებდა მის ჩასახშობად. მან ჩაშალა 2007 წელს ბათუმის უნივერსიტეტში „ლაზური ანბანის" პროექტი, რომლის მიზანიც იყო, შექმნილიყო ლაზური ანბანი ლათინურის საფუძველზე თურქული რიგის დაცვით, მისი ერთ-ერთი ავტორი – ვოლფგანგ ფორშტაინი კი დარბაზიდან გააძევა.

ცალკე მინდა ვისაუბრო ქალბატონი ნათელაზე, როგორც პიროვნებაზე. ყველა ებრალებოდა, ყველას გაჭირვებას იზიარებდა, ანუგეშებდა. მას ჰქონდა არაჩვეულებრივი უნარი სიმართლის თქმისა: აუცილებლად მიგითითებდა შეცდომაზე და იქვე გასწავლიდა მისი გამოსწორების გზას. მახსენდება ერთი შემთხვევა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა 2009 წელს, სადაც მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა პირველი კურსის სტუდენტებს, რამეთუ წარსადგენი იყო გასული წლის აკადემიური მაჩვენებლები და მათ ეს არ გააჩნდათ ფიზიკურად. იმ წლის ერთ-ერთი პირველკურსელი სტუდენტი გამოირჩეოდა ნიჭიერებით: ფლობდა რამდენსამე ევროპულ ენას და ძალიან კარგად სწავლობდა, კარგად ითვისებდა ახსნილ სასწავლო მასალას, ამზადებდა სასემინარო დავალებას, დიდ შრომას დებდა დამოუკიდებელ მუშაობაში და ეს ყოველივე ქალბატონ ნათელას მხედველობიდან არ გამორჩენია. რომ გამოცხადდა სასტიპენდიო კონკურსის შედეგები, ამ სტუდენტის გვარი სიაში არ იყო და უნივერსიტეტი შეძრა, პირდაპირი გაგებით! შეატყობინა ეს ამბავი ფაკულტეტის დეკანს, უნივერსიტეტის რექტორს და სთხოვა სტიპენდიის დანიშვნა სტუდენტისათვის. იმ დროისათვის ვერ მოხერხდა, სამწუხაროდ, საუნივერსიტეტო კანონმდებლობისა თუ შინა განაწესის შეცვლა და არ დაენიშნა ამ სტუდენტს სტიპენდია, რასაც ძალიან განიცდიდა ჩვენი მასწავლებელი. მუდამ სტუდენტთა გვერდით იდგა, ყოველთვის ზრუნავდა მათზე. გამორჩეულ სტუდენტს წიგნს ჩუქნიდა და განუმეორებელ წარწერას ურთავდა, რომლის წაკითხვაც დიდ ხალისს ჰგვრის მკითხველს. ასეთი უამრავი მეც მომეპოვება.

მე, როგორც თავისი მოწაფე, ყველგან დავყავდი: სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ ღონისძიებებზე, არაერთ სახელოვან მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწისათვის წარვუდგენივარ მოწაფის სტატუსით და ნიშნად მისი დიდი პატივისცემისა ამ ცნობილ და ღვაწლმოსილ პირთ დიდი სითბოთი და რჩეული სალმით მივუღივარ. მან მაზიარა ყველა იმ დიდებულ ტრადიციას, რასაც უნივერსიტეტის დამაარსებელნი ნერგავდნენ მეცნიერ-მკვლევართა მომავალ თაობაში; ჩემთვის ქალბატონი ნათელა არამხოლოდ ენათმეცნიერების, არამედ მოქალაქეობის მასწავლებელი იყო. მისი რჩევა-დარიგებანი ცხოვრებისეულ კოდექსად მაქვს ქცეული და ჩემს პიროვნულ აღზრდაში მშობელთა გვერდით ვაყენებ! ყველა სტუდენტს, რომელშიც კი მეცნიერულ ნიჭს აღმოაჩენდა, აწინაურებდა და ყველანაირად უწყობდა ხელს, რომ მეცნიერული გზიდან არ გადაეხვია და საკადრისი სამსახური გაეწია ქვეყნისათვის. გარდაცვალებამდე შინ დამიბარა რამდენიმე დღით ადრე და ბევრი ვისაუბრეთ მეცნიერების შესახებ. კიდევ ერთხელ შემახსენა თანამედროვე ლინგვისტიკისთვის ფონოტაქტიკის მნიშვნელობა და სიტყვის სამი პოზიციის სტრუქტურის საკითხი ახლებურად წარმოაჩინა. ამავე შეხვედრაზე სახსოვრად დამიტოვა ასობით წიგნი და მითხრა: „იცოდე, ლევან, შენ გტოვებ ფონეტიკის

იმედად!". პირადი ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უსახსოვრა, სიცოცხლეშივე 2000-იან წლებში ახალციხის უნივერსიტეტს მდიდარი წიგნადი ფონდი შესწირა. აგრეთვე არაერთი წიგნი უსახსოვრა მესტიის მუზეუმს.

უკვე ერთი წელი შესრულდა პროფესორ ნათელა ქუთელიას გარდაცვალებიდან; დღეს ყველა ვგრძნობთ უმისობით გამოწვეულ დანაკლისს როგორც ქართულ მეცნიერებაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი ბრძანდებოდა უკანასკნელი ფონეტიკოსი ქართული საენათმეცნიერო სკოლისა, რომელმაც ესოდენ მდიდარი მონაპოვარი უბოძა ლინგვისტურ მეცნიერებას მონოგრაფიებისა თუ ნარკვევ-სტატიათა სახით. შეიძლება ითქვას, რომ ფონეტიკის დარგში თანამედროვე ქართული ენათმეცნიერება იმ საფუძველს ემყარება, რომელიც აკად. გიორგი ახვლედიანმა 1918-73 წწ. შექმნა, ხოლო მის გამტკიცებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს პროფესორებმა: სერგი ჟღენტმა და ნათელა ქუთელიამ.

მისმა მოწაფემ, ძველაღმოსავლური სამართლისა და შუმერული ენის სპეციალისტმა, ნიკოლოზ აგლაძემ ლიტერატორ ლექსო დორეულის თანაავტორობით გამოსცა წიგნი *კრიტიტაკა*. ეს პირველი წიგნია, რომელიც პროფ. ნათელა ქუთელიას ხსოვნას მადლიერების ნიშნად მიეძღვნა ან უკვე აღზრდილი მკვლევრისაგან.

PROFESSOR NATELA KUTELIA
(1928-2014)

Levan Kochlamazashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University doctoral student Levan Kochlamazashvili recalls his academic supervisor Natela Kutelia – Professor in Linguistics as personality and as academic. The memoriam includes professor's life from her childhood to her death. He makes focus on some important moments of her life. He expresses his gratitude to her for having various experiences with his teacher.

სათნო სახის კეთილად მომლიმარი ქალბატონი *ლიანა დავლიანიძის გახსენება*

გიორგი ჭეიშვილი

ქალბატონ ლიანაზე საუბრისას თვალწინ წარმომიდგება შუახნის ქალბატონი, სათნო სახითა და კეთილად მომლიმარი. სწორედ ასეთად გავიცანი ლიანა დავლიანიძე, როდესაც ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის (შემდგომში ისტორიისა და ეთნოლოგიის) ინსტიტუტის ზღურბლს გადავაბიჯე.

საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას ვეუფლებოდი და, ბუნებრივია, დიდი სურვილი მქონდა დედანში გავცნობოდი *აშხარაცუიცსა* თუ სხვა სომხურ გეოგრაფიულ ტრაქტატებს. ქვეცნობიერად, ალბათ, ქალბატონ ლიანას იმედი მქონდა: მისი მეუღლე, ძია თორნიკე (ასე ვეძახდით ახალგაზრდები ბატონ თორნიკე ტატიშვილს), ხომ ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების თანამშრომელი იყო; აქეთკენვე მიბიძგებდა პიროვნული ხიბლიცა და პროფესიონალიზმიც – ინსტიტუტის მრავალრიცხოვან თანამშრომელთა შორის ქალბატონ ლიანას გამოარჩევდა უბრალოება, რომლის მიღმა დიდი ცოდნა იმალებოდა. პროფესორების ლეონ მელიქსეთ-ბეგისა და ივანე შილაკაძის ღირსეული მოსწავლე და საქმის გამგრძელებელი, ლიანა დავლიანიძე ქართული არმენოლოგიური სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი გახლდათ. მის მიერ თარგმნილი და გამოცემული სომხური საისტორიო ტექსტები ყოველთვის მაღალი აკადემიურობით ხასიათდებოდა. ზოგიერთი მათგანი უკვე ისტორიის ინსტიტუტში მუშაობის დაწყების დროისათვის მქონდა წაკითხული.

სურვილი სურვილად დარჩა, თუმცა წილად მხვდა ლიანა დავლიანიძის უკეთ გაცნობის ბედნიერება. ქალბატონ ლიანას დავემონაფე და მანაც დაუზარებლად მიჰყო ხელი ჩემს „წვრთნას". შესანიშნავი პედაგოგი აღმოჩნდა – დიდი მოთმინებითა და მონდომებით ცდილობდა აეხსნა გრაბარის გრამატიკის საფუძვლები, ესწავლებინა ძველი სომხური მწერლობის საუკეთესო ნიმუშები.

ქალბატონი ლიანა უშურველად გასცემდა ცოდნასა და გამოცდილებას. სწორედ მისი წყალობით გავეცანი ჰაკობ კარნეცის თხზულებას *ზემო სომხეთის აღწერა*, პირველხარისხოვან ძეგლს გვიანი შუა საუკუნეების (და არამხოლოდ ამ ხანის) ტაოს ისტორიული გეოგრაფიის შესასწავლად. ეს ნაწარმოები ქართველი სპეციალისტებისთვის თითქმის უცნობი იყო. გამოუქვეყნებელი ნაშრომი ხელნაწერის სახით გამაცნო; ხელით ლამაზად ნაწერ ძველ სომხურ ტექსტს პარალელური ქართული თარგმანი მიუყვებოდა,

აქა-იქ მრავალწერტილი და კითხვის ნიშნები იყო დასმული. ლიანა დავლიანიძის თავაზიანი ნებართვით ამ ნაკელევით უხვად ვისარგებლე სადისერტაციო ნაშრომის წერისას; შესაბამისი ამონარიდები დღესაც ფასდაუდებელ სამსახურს მიწევს.

დახმარებას არასდროს დაგზარდებოდათ. სომხურ წყაროებთან დაკავშირებით თუ რამე კითხვა დამებადებოდა, ქალბატონ ლიანას მივმართავდი; ხანდახან გავკადნიერდებოდი და ტელეფონითაც შევაწუხებდი ხოლმე. პასუხი ყოველთვის მზად ჰქონდა, თუმცა დასძენდა, „მოიცადე, შევამოწმებ"! – ესეც მისი პროფესიული თვისება იყო, დაეჭვება, ასე თვალშისაცემი გავრცელებული თავდაჯერებულობისა და არაპროფესიონალიზმის ფონზე.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ლექციების კითხვა რომ დავიწყე, ქალბატონ ლიანას ყურადღება არც მაშინ მომკლებია – რჩევა-დარიგებებს უხვად მაძლევდა ახალბედა ლექტორს.

2006 წლის რეფორმამ და რეორგანიზაციამ ძირფესვიანად შეცვალა ისტორიის ინსტიტუტის ცხოვრება. ინსტიტუტს მიღმა დარჩა მრავალი ღვაწლმოსილი მეცნიერი, მათ შორის, ლიანა დავლიანიძე და მისი მეგობრები, ვინც თითქმის ნახევარი საუკუნე იშრომა ქართული საისტორიო მეცნიერების საკეთილდღეოდ. ინსტიტუტიდან წასვლა ქალბატონმა ლიანამ მძიმედ განიცადა.

მიუხედავად ამისა, ცდილობდა, ინსტიტუტთან კავშირი არ გაეწყვიტა, თვალი ედევნა იქ მიმდინარე მოვლენებისთვის. სამეცნიერო მოღვაწეობაზეც არ აუღია ხელი; თითქმის ბოლო წუთამდე აქტიურად იყო ჩაბმული *ისტორიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრის* საქმიანობაში, აქვეყნებდა სტატიებს ჟურნალ *ანალებში*.

ქალბატონ ლიანას უყვარდა ახალგაზრდა კოლეგებთან ურთიერთობა. გამორჩევით აფასებდა ლელა პატარიძეს, ძლიერ დასწყვიტა გული ლელას უდროოდ წასვლამ...

დრომ არც ქალბატონი ლიანა დაინდო. 2012 წლის დეკემბერში ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები და კოლეგები სამუდამოდ გამოეთხოვნენ ლიანა დავლიანიძეს. მისი ხელნაწერი მემკვიდრეობა შესწავლასა და გამოქვეყნებას მოითხოვს, ღვაწლი კი დამფასებელს ელის.

THE LADY WITH KIND FACE EXPRESSION AND SMILE
IN MEMORY OF LIANA DAVLIANIDZE

Giorgi Cheishvili

On December, 2012 ended life of the Georgian historian, main researcher of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Depratment of Georgian Source-Studies Liana Davlianidze. Her younger colleague, doctor in history, Giorgi Cheishvili recalls her as kind person, excellent professional who always was ready for helping. He briefly characterises her academic achievements and expresses his sorrow because of her death.

პროფესორ გიორგი ჟუჟუნაშვილის გამოსათხოვარი

მიხეილ ქართველიშვილი

ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მძიმე დანაკლისი განიცადა. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ორმოცდარვა წლის ასაკში გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კავკასიის ხალხთა ისტორიის დეპარტამენტი) გიორგი (გოგიტა) ჟუჟუნაშვილი.

გიორგი ჟუჟუნაშვილმა თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1995 წლიდან დაიწყო. იგი იყო ჯერ რუსეთის ისტორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, შემდეგ – დოცენტი. პარალელურად, 1999-2003 წლებში მას იგივე თანამდებობები ეკავა თსუ-ის ახალციხის ფილიალში, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელიც გახლდათ.

2006 წლიდან გიორგი ჟუჟუნაშვილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჯერ ასისტენტ-პროფესორი და შემდგომ უკვე ასოცირებული პროფესორი იყო.

გიორგი ჟუჟუნაშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესები ეხება საქართველოს, რუსეთის, კავკასიის ისტორიას, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს. მისი ნაშრომები გამოირჩევა მუდმივი სიახლის ძიების უნარით, ავტორი ყოველთვის ცდილობდა გამოკვლევა მაქსიმალურად ამომწურავი ყოფილიყო და, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მისი ნაშრომები შესაბამისი მიმართულებით დაინტერესებულ პირთათვის ერთგვარი გზამკვლევის როლს შეასრულებს და მას გვერდს ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი ვერ აუვლის.

განსაკუთრებით აღსანიშნავი და, ვფიქრობთ, მისაბაძი იყო გიორგი ჟუჟუნაშვილის დამოკიდებულება თავისი მასწავლებლის, პროფესორ ვალერიან მაჭარაძისადმი: კოლეგებსა თუ სტუდენტებთან ხშირად საუბრობდა მის პიროვნებაზე, სრულიად აშკარა იყო, რომ თავის პროფესიულ იდეალად საკუთარ მასწავლებელს თვლიდა და ყველაფერს აკეთებდა მისი მეცნიერული მემკვიდრეობის დასაფასებლად, ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ გიორგი ჟუჟუნაშვილმა გამოსცა ვალერიან მაჭარაძის მანამდე გამოუქვეყნებელი ნაშრომი.

ფართო სამეცნიერო საზოგადოებისთვის მანამდე უცნობი ნაშრომების პუბლიკაციის თვალსაზრისით განსაკუთრებულად აღსანიშნავია მის მიერ 2014 წელს, მეუღლის ნანა ბერიძის მიერ თარგმნილი ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის მიხეილ (მიხაკო) წერეთლის ნაშრომი *კავკასიური რასისა და კულტურის პრობლემები*. აქვე უნდა აღინიშნოს მის მიერ პროფესორ დიმიტრი შველიძესთან თანაავტორობით გამოცემული ნაშრომი *ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილის გამო*, რომელიც დიდი ქართველი მამულიშვილის აქამდე პრაქტიკულად უცნობი სტატიის აკადემიურ დონეზე შესრულებულ პუბლიკაციას წარმოადგენს.

სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გიორგი ჟუჟუნაშვილი აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის საფეხურებზე. მისი ლექციები გამოირჩეოდა მასალის მიწოდების სიმარტივით და ინფორმაციულობით, სიღრმით. განსაკუთრებით გვსურს აღვნიშნოთ მისი დამოკიდებულება სტუდენტებისადმი, მისთვის ცუდი სტუდენტი არ არსებობდა, ყველა მათგანში ცდილობდა სწავლის სურვილის გაღვივებას და ეს წარმატებით გამოსდიოდა.

სრულიად გამორჩეულია მისი ადამიანური თვისებები, იყო საოცრად კეთილშობილი, კაცთმოყვარე პატიოსანი პიროვნება, რომელიც მზად იყო კოლეგას, სტუდენტს თუ რიგით ნაცნობს მაქსიმალურად დახმარებოდა.

გიორგი ჟუჟუნაშვილის გარდაცვალება მძიმე დანაკლისია მისი ოჯახისათვის, მეგობრებისათვის, კოლეგებისა თუ სტუდენტებისათვის, ყველა ადამიანისათვის, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონია. მათ ხსოვნაში გიორგი ჟუჟუნაშვილის სახელს დავიწყება არ უწერია.

IN MEMORIAM TO GIORGI (GOGITA) ZHUZHUNASHVILI

Mikheil Kartvelishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University doctoral student Mikheil Kartvelishvili recalls his lecturer Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professor Giorgi Zhuzhunashvili and expresses deep sorrow because of his untimely death. He was only 48 years old. He was full of energy and ideas, professional researcher, honest and friendly person. His works are devoted to the history of interraltions between Georgia and Russia, source criticism. His academic legacy is very important contribution for those researchers who are working in relevant fields.

მედეა აბაშიძის გახსენება
წიგნის *მედეა აბაშიძე* პრეზენტაციაზე წარმოთქმული სიტყვა

ლია მელიქიშვილი

რამდენიმე დღის წინ ჩემს ბიბლიოთეკაში წიგნს ვეძებდი. თაროზე ევლია ჩელების *მოგზაურობას* წავაწყდი და, როგორც უმრავლესობას სჩვევია, გადავშალე და უკვე მერამდენედ კითხვა დავიწყე.

ევლია ჩელები თავის *მოგზაურობის წიგნში* წერს, რომ უნდოდა მსოფლიო, განსაკუთრებით კი წმინდა ადგილები: მექა, მედინა და ა.შ. მოევლო. ერთხელ, როდესაც სიზმარში წინასწარმეტყველი მოევლინა, მან მფარველობის ნაცვლად, როგორც თვით აღნიშნავს, შესცოდა, და მოგზაურობა შეევედრა.

არა მგონია ადამიანთა უმრავლესობა, ღვთის წინაშე მყოფი, ასეთი სურვილით მიმართავდეს, უფალს, უმეტესობა მაინც მფარველობას და დღეგრძელობას ამჯობინებს. თუ გავითვალისწინებთ წიგნში *მედეა აბაშიძე* თავმოყრილ ინფორმაციას, მედეა უფალს ალბათ წმინდა ადგილებში მოგზაურობას შესთხოვდა, მხოლოდ არა მარტო წმინდა მიწაზე, არამედ იმ სამეცნიერო კონფერენციებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, რომ ტარდებოდა, რადგანაც, მისთვის ყველაზე დიდი სიწმინდე ხომ მეცნიერების ის დარგი იყო, რომელსაც სიცოცხლის მანძილზე მუხლჩაუხრელად ემსახურა. ნამდვილად მჯერა, რომ მედეამ უფლისაგან თავის მფარველობას, მეცნიერების მფარველობა ამჯობინა და ამიტომაც დატოვა სააქაო ასე უდროოდ და მეცნიერებას კი დიდი განძი დაუტოვა. ამაზე მეტყველებს წიგნი, სადაც თვალნათლად ჩანს მისი მოღვაწეობის შედეგები და ნიჭიერება, რომლითაც იგი უხვად იყო დაჯილდოებული.

თვით მედეას ეს ნიჭი ღვთისათვის არ უთხოვია. ის თავიდანვე იყო განსაზღვრული და მის გენეტიკაში დასადგურებული. ეფექტური კრეატივით, ანუ შემოქმედებითი აზროვნებით, უნდა იყო დაჯილდოებული ადამიანი, რომ, ჩაწვდე სიღრმეებს და აღმოაჩინო ის, რაც მედეამ შესძლო სიძველეთა მოძიებაში და წყაროთმცოდნეობაში.

მისი სამეცნიერო მოგზაურობა და სამოცდაათამდე სამეცნიერო ფორუმი, საკმაოდ სერიოზული მოხსენებებით, მონაწილეობა 1978 წლიდან მისი სიცოცხლის ბოლო 2014 წლამდე, საკმაოდ შთამბეჭდავია. ქალბატონ მედეას ლექციები და მოხსენებები ესპანეთის, ბერკლის, ჰაიდელბერგის, სტენფორდის, ჯორჯ ტაუნის, ჰონგ-კონგისა და ტაივანის უნივერსიტეტებში გამართულ კონფერენციებსა თუ დისკუსიებში საქართველოსა და კავკასიის თემატიკას ეძღვნებოდა.

მედეაზე ხშირად გაიგონებდით „თავისებური ადამიანია“.

დიახ, მედეა იყო ასეთი. ის არ იყო ორდინალური პიროვნება. ეს სრულიად გასაგები ხდება მას შემდეგ, როდესაც მის წარმოშობას და გვარის ისტორიას გაეცნობით. იგი იმერეთის აბაშიძეთა დიდი საგვარეულოს, რომელიც სათავეს XIII-XIV საუკუნეებში იღებს, შთამომავალია. სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ მისი თავისებურებაც, ნიჭიც, დიდბუნებოვნებაც, ერთგულებაც და სხვა მრავალი დადებითი თვისება. მედეა თავად აღნიშნავდა: „დღეს გვარიშვილობაზე საჯარო საუბარს ვერიდები, მაგრამ ძალზე მსიამოვნებს, როდესაც აღნიშნავენ – აბაშიძის ქალიაო... პასუხისმგებლობას ვგრძნობ წინაპართა წინაშე, რაც მავალდებულებს ჩემი გენის, ისტორიის სიყვარულსა და დაფასებას". მედეას თავისებურებაც სწორედ გენეტიკიდან მომდინარე სიამაყისა, სიძლიერის და ერის წინაშე მოვალეობის განცდა იყო. სწორედ ამ მოვალეობის გრძნობამ მრავალმხრივ ნიჭიერი მედეა ისტორიის დარგის კარიბჭესთან შეაჩერა. შესაძლებელია იგი ყოფილიყო კარგი მსახიობი, კარგი დიზაინერი, მოცეკვე და ა. შ, რისი ნიჭიც ჰქონდა და ბავშვობაში რაზეც ოცნებობდა, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ერის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობამ დაძლია და თავისი ბედი ისტორიის ისეთ მიმართულებას დაუკავშირა, რომელიც ყველაზე მეტად გამოხატავს ერის ღირებულებებს.

მედეამ უცხო ენათა ინსტიტუტი დაამთავრა და რამდენიმე ენას ფლობდა სრულყოფილად. სწორედ ამან განაპირობა მის მიერ სერიის *ქართული ისტორიული წყაროების ინგლისური თარგმანები* და 1996 წელს, მისი რედაქტორობით *მატიანე ქართლისაის* ინგლისური თარგმანის გამოცემა. მისი მთარგმნელობითი საქმიანობა მხოლოდ ტექსტის თარგმნით არ იზღუდებოდა. მისი პროფესიონალიზმი ამ დარგის მიმართ აისახა მისსავე დისერტაციაში *ქართული ისტორიული წყაროების რუსულ ენაზე თარგმნის წყაროთმცოდნეობითი ასპექტები*, რომელსაც მთარგმნელი – ვირტუოზი აკადემიკოსი თინა ყაუხჩიშვილი ასე აფასებდა: „მედეა აბაშიძემ ჩაატარა მეტად ნაყოფიერი და საინტერესო სამუშაო ქართული ისტორიოგრაფიისათვის... ყურადღებას იმსახურებს ავტორის მიერ შემუშავებული წინადადებები და რეკომენდაციები. შრომას ამშვენებს მეხუთე თავი „თარგმანების შედარებითი-სტატისტიკური ანალიზი", რომელშიც წარმოდგენილია სხვადასხვა მთარგმნელის მიერ შესრულებული „შუშანიკის წამების" თარგმანის მათემატიკური ანალიზის შედეგები". ასევე უამრავი გამოჩენილი მეცნიერი, მათ შორის, უცხოელიც, თარგმანის თეორიის და პრაქტიკის საქმეს მაღალ შეფასებას აძლევენ და ქართული ისტორიული წყაროების თარგმნის თეორიული მოსაზრებების, პრინციპების ჩამოყალიბება-განვითარებაში მის დამსახურებაზე მიუთითებენ. საინტერესოა ისიც, რომ მედეა პოეზიის თარგმნის თავისებურებების თეორიაზე საუბრობდა, ხოლო პრაქტიკულად მაღალ დონეზე თარგმნიდა კიდეც. მისი *შენ ხარ ვენახის* ინგლისური თარგმანი ამის მკაფიო დადასტურებაა.

მედეას სამეცნიერო მოღვაწეობა იმდენად მრავალმხრივია, რომ გაოცებას იწვევს მის მიერ გამოცემული ნაშრომების ბიბლიოგრაფია. მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული 100-მდე ნაშრომი და თარგმანები კომენტარებით ძალზედ ფასეულია. მედეა აბაშიძის როლი, სხვა გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად *ქართლის ცხოვრების* (ქართული, რუსული, ინგლისური) გამოცემის საქმეში სათანადოდ შეფასდა.

ქართული საზოგადოება მედეა აბაშიძის თარგმანების წყალობით ძალიან საყურადღებო მასალას გაეცნო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ ბრიტანეთის მუზეუმიდან და ოქსფორდის უნივერსიტეტის საარქივო ფონდიდან ჩამოტანილი მასალები; ნარკვევი და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპების შესახებ; ალ-ჰასან იბნ ტალალის *ქრისტიანობა არაბულ სამყაროში*; ნიკოლას ვისტენის, სოლომონ მალანის და სხვათა ცნობები და სხვა.

მედეა ღირსეული და მრავალმხრივ საინტერესო პიროვნება იყო. საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ისეთივე აქტიურობით იყო ჩართული, როგორც მეცნიერებაში. არ აკლდებოდა არც ოპერას, თეატრს, გამოფენებს. პოლიტიკაშიც კარგად ერკვეოდა. ამის დადასტურებაა ისეთ არაორდინალური პროექტი, როგორიცაა 1998 წელს თეთრი სახლის პატრონაჟის ქვეშ მყოფი ქენან ინსტიტუტის კონკურსში გამარჯვებული *ლეონტი მროველიდან ედუარდ შევარდნაძემდე*. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ქალბატონმა მედეამ თვალი გაადევნა ე.წ. „კავკასიური სახლის" ფორმირებასა და არსებობას, რომელიც ტოლერანტობაზე იყო დაფუძნებული.

მედეა ნამდვილი არისტოკრატის ცხოვრებით ცხოვრობდა.

მედეა აბაშიძემ ცხოვრების გზა ნაყოფირად განვლო, რადგანაც მისი მეცნიერული კვლევის შედეგები, თუ სხვა პუბლიკაციები, აშკარად დაუზარელი შრომის შედეგია. მისთვის შრომა ჩვეული მოვლენა იყო, მან არ იცოდა შეჩერება, შესვენება და საქმის სამომავლოდ გადადება. ის კი არა, ამ თვისებას შენც გადმოგდებდა და მიხვდებოდი ადამიანი, რომ შეუწყვეტელი შრომა კეთილმსახურების მაგალითს იძლევა. მის ამ თვისებას კარგად ეთანადება წმინდა თეოფანე დაყუდებულის სიტყვები: „დროდადრო შრომა შედეგს არ გამოიღებს. როცა წყლის დაგუბება გსურს და მიწის მხოლოდ ერთ ბელტს ჩაუშვებ წყლის გასასვლელში და მიატოვებ საქმეს, გამდინარე წყალი ამ ბელტს დაშლის. ასე მოხდება ყოველთვის თუ დროდადრო იმუშავებ, იგივე შეიძლება ითქვას სულიერ განწყობილებაზე – გულისთქმები, როგორც მდინარე, ისე მოედინება გონებიდან და გულიდან, თუ შევაკავებთ მას და უცებ გავუშვებთ, ვერაფერს მივაღწევთ". ამიტომაც მედეა აბაშიძის გეგმაზომიერი შრომის ნაყოფი ნამდვილად მისი სულიერი განწყობის შედეგია.

„ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსი, ქალბატონი მედეა აბაშიძე საქართველოს მეფეების კარზე მოღვაწე მდივან-მწიგნობრების საპატიო მოვალეობის შემსრულებელი აბაშიძეების საქმის გამგრძელებლად უნდა

ჩაითვალოს. თუმცა იგი დიდგვაროვნობისა და გვარიშვილობის სხვა მრავალ გარეგნულ თუ შინაგან ნიშან-თვისებასაც ღირსეულად ატარებს. განსწავლულობა და პროფესიონალიზმი, ერთგულება და დიდბუნებოვნება, პასუხისმგებლობის გრძნობა სახელოვან წინაპართა წინაშე, აი, არასრული ჩამონათვალი ქალბატონ მედეაში განსხეულებული თავადური გენებისა." – ვკითხულობთ წიგნში *ჩვენ საქართველოს ქალები.*

ამბობენ სიკვდილი მაშინ მოდის, როდესაც ადამიანმა თავისი ამქვეყნიური მისია შეასრულა და სხვა განზომილებაში გადადის.

ამის განმგებელიც უფალია.

მედეამ ისე იშრომა, ისე იღვაწა, რომ აბაშიძეების დიდი საგვარეულოს მისიას თავისი წვლილი შეჰმატა.

RECALLING MEDEA ABASHIDZE

Lia Melikishvili

The paper represents the speech by Academician of Georgian National Academy of Sciences Lia Melikishvili in occasion of presentations the book dedicated to the late colleague Doctor in History Medea Abashidze. The author recalls her very attractive personality and provides brief overview of her academic contribution. Special emphasis is made on English translation of Georgian sources by Medea Abashides. Her doctoral dissertation was devoted to the problems of translation of Georgian sources to Russian. She published significant Georgian hagiographic monument: *Martyrdom of Konstanti Kakhi* in English. Medea Abashidze established series of *English Translations of Georgian Sources*. She contributed to publish *Life of Kartli* in Georgian, Russian and English languages.

გზამკვლევი ავტორთათვის

ჟურნალში წარმოდგენილი სტატია შეიძლება იყოს ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული პროფილის ორიგინალური გამოკვლევა. ამასთან ტერმინი „წყაროთმცოდნეობა" გამოყენებულია ფართო გაგებით ანუ როგორც ყველა ტიპის წყაროთა (და არა მხოლოდ წერილობითი წყაროების) შემსწავლელი მეცნიერება. შესაბამისად, ჟურნალში დაიბეჭდება არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგში შესრულებული შესაბამისი კვლევის ფოკუსის მქონე ნაშრომებიც. არც რეგიონის, არც ქრონოლოგიის მიხედვით შეზღუდვა არ არსებობს: კვლევა შეიძლება შეეხებოდეს უძველესი დროიდან დღემდე პერიოდში ნებისმიერი ქვეყნის ისტორიას და ნებისმიერი ხალხის ისტორიულ გამოცდილებას.

ჟურნალში კვლევითი სტატიების გარდა შესაძლებელია წყაროების ტექსტების გამოქვეყნებაც შესაბამისი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კომენტარებით; მიიღება წყაროთა და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანები, რეცენზიები, სამეცნიერო ცხოვრების სხვადასხვა ფაქტის (კონფერენციის, ვორქშოფის, წიგნის პრეზენტაციის და ა.შ.) ამსახველი ინფორმაციები, სამეცნიერო პოლემიკის მასალები, დარგის სპეციალისტების შესახებ მოგონებები, ნეკროლოგები.

ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა. უფასოდ მიიღებენ ავტორები ჟურნალის ერთ ბეჭდურ ცალს.

კორექტურული შეცდომების შემცველი და ტექნიკურად მოუწესრიგებელი სტატიები შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდებათ ავტორებს შესწორებებისათვის. გადაწყვეტილებას სტატიის გამოქვეყნების შესახებ იღებენ რედაქტორები სამეცნიერო ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

სტატია უნდა გადაეგზავნოს ჟურნალის რედაქტორს – პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: mary.chkhartishvili@gmail.com

სტატიის ენა.

ჟურნალში სტატია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენებზე, გამონაკლის შემთხვევაში, რუსულად. ქართულენოვან სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ინგლისურად, ინგლისურენოვან სტატიას – ქართულად, რუსულენოვან სტატიას – ქართულად და ინგლისურად.

სტატიის სტრუქტურა.

კვლევითი სტატია უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან: სათაური, ავტორის სახელი და გვარი, ძირითადი ტექსტი, შენიშვნები (თუკი არის), დამოწმებანი, რეზიუმე (რეზიუმეები). ილუსტრაციები (ფოტოები ან ცხრილები) შეიძლება ჩართულ იყოს ტექსტში ან დაერთოს ტექსტს რეზიუმეს წინ.

სტატიის სათაური.

გამუქებული (**Bold, Жирный**), ცენტრში, ფონტის ზომა 13.

ავტორის სახელი და გვარი.

გამუქებული (**Bold, Жирный**), მარჯვენა კიდეში, ფონტის ზომა 11.

ძირითადი ტექსტი.

ფონტის ზომა 10, მანძილი სტრიქონებს შორის 1.15.

შენიშვნები.

გამუქებული (**Bold, Жирный**) ფონტის ზომა 11.

შენიშვნების ტექსტი.

ფონტის ზომა 9, მანძილი სტრიქონებს შორის 1.
შენიშვნებში ნუმერაცია ინდექსით, ყოველი შენიშვნის პირველი სტრიქონი აბზაცით

დამოწმებანი.

გამუქებული (**Bold, Жирный**) ფონტის ზომა 11, დამოწმებანის ტექსტის ფონტის ზომა 9, ინტერვალი 1. უცხოელი ავტორების გვარები უნდა გადმოლებულ იქნეს ქართულად და ლიტერატურა უნდა დალაგდეს ქართულ ანბანურ რიგზე.

ფონტი.

სილფაენი (sylfaen) ყველა ენისათვის.

აბზაცი.

აბზაცი უნდა გაკეთდეს კლავიშით Tab (ზოგ კომპიუტერზე ეს კლავიში აღნიშნულია ორი ურთიერთსაპირისპირო ისრით, რომელიც დაყენებული უნდა იყოს ერთ სანტიმეტრზე.

ტექსტში მითითებული ნაშრომის სათაური.

ძირითად ტექსტში მითითებული ნებისმიერი ნაშრომის სათაური ისმება არა ბრჭყალებში, არამედ წარმოდგენილია დახრილად (*Italic, Kypcue*). მაგალითად: *წმ. ნინოს ცხოვრება* არის მეოთხე საუკუნის თხზულება. სექციაში **დამოწმებანი** ლიტერატურის ჩამონათვალში სათაურებისათვის დახრა აღარ გამოიყენება, არც ბრჭყალები.

ციტირება.

ორ სტრიქონზე მეტი მოცულობის ამონარიდი ძირითადი ტექსტისაგან ზემოდანაც და ქვემოდანაც გამოიყოფა 9 ფონტის ზომის 1 ინტერვალით, მთელი ტექსტი შეიწევა აბზაცის დონეზე. ამონარიდის ტექსტის ფონტის ზომაა 9. ორი ან ერთი სტრიქონის მოცულობის ამონარიდი ტექსტისაგან გამოიყოფა ორი ბრჭყალი: „....." ორი ბრჭყალი ამის გარდა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა უნდა გამოიხატოს ავტორის მიერ აზრის მიუღებლობა.

სასვენი ნიშნები.

აუცილებელია ტირესა და დეფისის განსხვავება. დეფისი არის პატარა ხაზი, რომელიც უნდა გამოყენებულ იქნეს კომპოზიტებისათვის. რაც შეეხება ტირეს – ესაა დიდი ხაზი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ სიტყვებს შორის. სასვენი ნიშანი იწერება ბრჭალების შემდგომ, ხოლო შენიშვნის მაჩვენებელი რიცხვი იწერება სასვენი ნიშნის შემდგომ.

მოცულობა.

სტატიის მოცულობა შენიშვნების, დამოწმებანის, დანართებისა და ილუსტრაციების, რეზიუმეს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს 6000 სიტყვას. საინფორმაციო წერილების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 4000 სიტყვას.

რეზიუმე.

რეზიუმე არ უნდა იყოს 200 სიტყვაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას. რეზიუმე უნდა დაერთოს ნებისმიერ ტექსტს ჟურნალის რომელი რუბრიკისათვისაც არ უნდა იყოს იგი გამიზნული. კვლევითი სტატიის რეზიუმე უნდა პასუხობდეს შემდეგ ოთხ კითხვას: რა არის საკვლევი პრობლემის არსი; როგორია მისი შესწავლის მდგომარეობა; როგორია ავტორის დასკვნა, რა არგუმენტები მოჰყავს მას თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად. ინფორმაციული, მიმოხილვითი და ა.შ. სტატიის რეზიუმესათვის სავალდებულო არაა ამგვარი მოთხოვნების მკაცრი დაცვა. ამ შემთხვევაში მოკლედ აღნიშნული უნდა იყოს თუ რას შეეხება პუბლიკაცია.

ლიტერატურის მითითების წესი.

დამოწმებული ლიტერატურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 40 დასახელებას. დამოწმება უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

სტატიის შიგნით ერთი ავტორის ნაშრომი: (ჩხარტიშვილი 2009: 5)

სტატიის ბოლოში, სექციაში **დამოწმებანი** ერთი ავტორის ნაშრომი:

ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით ორი ავტორის ნაშრომი: (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 5)

სტატიის ბოლოში, სექციაში **დამოწმებანი** ორი ავტორის ნაშრომი:

ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. *ივერია* და მისი მკითხველი საქართველო. ტ. 1, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით რამდენიმე ავტორის ნაშრომი: (ლეფორი და *სხვები* 2008: 64)

სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი რამდენიმე ავტორის ნაშრომი:

ლეფორი და სხვები 2008: ჟ. ლეფორი, ნ. იუონომიდისი, დ. პაპახრისანთუ, ელენე მეტრეველის თანაავტორობით, ივირონის აქტები, I, დაარსებიდან XI საუკუნის შუა წლებამდე. ფრანგულიდან თარგმნა ცისანა ბიბილაშვილმა, თბილისი.

ერთსა და იმავე წელს გამოცემული ერთი და იმავე ავტორის რამდენიმე ნაშრომი:

ჩხარტიშვილი 2009ა: M. Chkhartishvili. On Georgian identity and culture (Nine international presentations by Professor Mariam Chkhrtishvili). Tbilisi, Universal.

ჩხარტიშვილი 2009ბ: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში, თბილისი, უნივერსალი.

ნაშრომი კრებულში ან ჟურნალში:

კაშია 2005: ჯ. კაშია. ცალკეული შენიშვნები პატრიოტიზმის თემაზე. კრებ. საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. მთ. რედ.ზ. კიკნაძე, თბილისი, არეტე.

ჩხარტიშვილი, მანია 2010: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართული ერთობის სოციალური „სიცოცხლის – ორი თვე ანუ დაკვირვება ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესზე 1878 წლის *ივერიის* 10 ნომრის მიხედვით. ქართული წყაროთმცოდნეობა. XII. რედ. გ. ალასანია, მ. ჩხარტიშვილი. თბილისი, უნიეერსალი.

გამოქვეყნებული წყაროს მითითების წესი.

სტატიის შიგნით: (ყაუხჩიშვილი1955:2)

სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი:
ყაუხჩიშვილი 1955: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I, თბილისი.

საარქივო მასალის დამოწმება სტატიის შიგნით: (ფონდი 416) ან (არქივი)

სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი:
ფონდი 416: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11.

სამეცნიერო თარგმანის დამოწმება სტატიის შიგნით: (ჩხარტიშვილი 2004: 5)

სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი:
ჩხარტიშვილი 2004: ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი-მალენი). თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.

საინტერნეტო პუბლიკაციის დამოწმება:
ნოსენკო: Елена Носенко. Еще раз о нации, этносе, этничности тому подобных понятиях, ვებ-გვერდი Эхо. http://echo.oranim.ac.il/main.php?p=news&id_news=59&id_personal=18

გამოცემა ავტორის და რედაქტორის გარეშე, საცნობარო ლიტერატურა შეიძლება მითითებული იყოს სათაურით.

სტატიის შიგნით: (ლექსიკონი 1984:34).

სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი: **ლექსიკონი 1984:** Армяно-русский словарь Ереван. Изд. АН Арм ССР.

AUTHOR'S GUIDELINES

Coverage.

The research paper should be original contribution focused on history representation, source criticism, and historiography. The term *source* is understood in broadest sense of this word, accordingly journal will accept the papers in archaeology and cultural anthropology too. There are no restrictions regarding the chronology or region: the papers might be devoted to the history of any country and people, to any period from ancient times until today. Alongside with research papers will be welcomed publications of texts of sources with relevant commentaries, translations of primary and secondary (from other languages to Georgian) sources, book reviews, information about the different evens of academic life (presentations, conferences), also materials reflecting debates, papers devoted to outstanding contributions of scholars as well as in memoriam of those who passed away, but their contribution to the history of profession should be remembered.

Language.

The language of the submitted manuscript should be Georgian with the summary in English, or English with summary in Georgian. As an exception manuscript might be submitted in Russian too with summaries in Georgian and English.

The length.

The length of the papers should not exceed 6000 words; the papers of informative character should not exceed 4000 words.

References.

For references and citation authors should use Chicago style: *author-date system* http://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide.htmlhttp://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide.html

Bibliography and notes.

A bibliography must be included at the end of each contribution with a maximum of 40 titles.
Notes should be inserted as endnotes and placed before the bibliography.

The publication in the journal is free. The authors will be granted one hard copy of the journal and access to electronic version .